სამუშაონი და დღებიივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტი

პროგრამა “ლოგოსი”

პუბლიკაციები და ღონისძიებები კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის სფეროში

ლოგოსი

თ ბ ი ლ ი ს ი 2 0 0 8

ანტიკური ლიტერატურის ანთოლოგია

ელინური ხანის პოეზია

ძვ. წ. VIII-V სს.

შეადგინა, წინათქმანი და განმარტებანი დაურთო

ნანა ტონიამ

წიგნი I

პასუხისმგებელი რედაქტორი: **რისმაგ გორდეზიანი**

რედაქტორები: **იამზე გაგუა**
თინათინ გიორგობიანი
მანანა ღარიბაშვილი

© პროგრამა “ლოგოსი”, 2008

ISBN 978-9941-401-30-5

პროგრამა “ლოგოსი”
ილია ჭავჭავაძის გამზირი 13,
თბილისი 0179
ტელ. 25-02-58, ფაქსი 22-11-81
ელ. ფოსტა: greekstudies@caucasus.net

სარჩევი

წინათქმა 7

ეპოსი

ჰეროიკული ეპოსი 8

ჰომეროსი 8

ილიადა (შემოკლებით) 9

თარგმნა რომან მიმინოშვილმა

ოდისეა (შემოკლებით) 31

თარგმნა პანტელეიმონ ბერაძემ

დიდაქტიკური და გენეალოგიური ეპოსი 83

ჰესიოდე 83

თეოგონია (შემოკლებით) 83

თარგმნა ნიკოლოზ შამუგიამ

სამუშაონი და დღენი (შემოკლებით) 85

თარგმნა ნიკოლოზ შამუგიამ

ჰომეროსის ჰიმნები 90

ჰიმნი აფროდიტეს 90

თარგმნა გიორგი ხომერიკმა

ჰიმნი დიონისეს 96

თარგმნა ლიანა კვირიკაშვილმა

პაროდიული ეპოსი 97

ბაყაყებისა და თაგვების ომი 97

თარგმნა ლევან ბერძენიშვილმა

ლირიკა

ძველი ბერძნული ხალხური პოეზია 108

იამბი და ელეგია 109

არქილოქოსი 109

თარგმნა ნანა ტონიამ

ჰიპონაქსი 111

თარგმნა ნანა ტონიამ 112

სემონიდესი 112

თარგმნა გიგლა სარიშვილმა

კალინოსი 115

თარგმნა ლევან ბერძენიშვილმა

ტირტეოსი 116

თარგმნა ლევან ბერძენიშვილმა

სოლონი 117

თარგმნა გიორგი ხომერიკმა

თეოგნისი 119

თარგმნა გიგლა სარიშვილმა

მიმნერმოსი 121

თარგმნა გიორგი ხომერიკმა

მელიკა 123
ალკეოსი 123
თარგმნა ნანა ტონიამ
საპფო 130
თარგმნა ნანა ტონიამ
ანაკრეონი 137
თარგმნა თამარ კალატოზმა
ქორიკა 139
ალკმანი 139
თარგმნა ნანა ტონიამ
პინდაროსი 141
თარგმნა ნანა ტონიამ

დრამა

ტრაგედია 153
ესქილე 153
აგამემნონი 154
თარგმნა გიგლა სარიშვილმა
ქოეფორები 200
თარგმნა გიგლა სარიშვილმა
ევმენიდები 233
თარგმნა გიგლა სარიშვილმა
სოფოკლე 264
ოიდიპოს მეფე 265
თარგმნა გიორგი ხომერიკმა
ოიდიპოსი კოლონოსში 316
თარგმნა გიორგი ხომერიკმა
ანტიგონე 377
თარგმნა გიორგი ხომერიკმა
ევრიპიდე 418
მედეა 419
თარგმნა ბაჩანა ბრეგვაძემ
იფიგენია ავლისში 447
თარგმნა გიგლა სარიშვილმა
ბაკხოსის მხევლები 500
თარგმნა ზურაბ კიკნაძემ
ძველი ანტიკური კომედია 544
არისტოფანე 544
ღრუბლები 545
თარგმნა ლევან ბერძენიშვილმა
ბაყაყები 610
თარგმნა ლევან ბერძენიშვილმა

წინათქმა

ანტიკური ლიტერატურის ანთოლოგიის გამოცემა დიდად განაპირობა უკანასკნელ ხანებში ჩვენი საზოგადოების, მეტადრე სტუდენტი-ახალგაზრდობის დაინტერესებამ ანტიკური ლიტერატურით. ქართველ მკითხველს პირველად ეძლევა საშუალება შეივსოს წიგნის თარო ძველი ბერძნული და რომაული მხატვრული სიტყვიერების ურჩეულესი ძეგლების ერთად თავმოყრილი ქართული თარგმანებით. როგორც ცნობილია, ანტიკურ ლიტერატურაში იგულისხმება ძველი საბერძნეთისა და რომის სიტყვაკაზმული მწერლობა. შესაბამისად, ჩვენი ანთოლოგიაც ორი ნაკვეთისაგან შედგება. პირველს, რომელიც ძველ ბერძნულ ლიტერატურას მოიცავს, მასალის მრავალფეროვნების გამო ორ წიგნად გთავაზობთ: პირველში წარმოდგენილია ელინური ხანის პოეზია (ძვ.წ. VIII-V სს.), მეორე წიგნში კი ელინური ხანის პროზა და ელინიზმისა და რომაული ბატონობის პერიოდის ბერძნულენოვანი ლიტერატურა (ძვ.წ. IV ს. _ ახ.წ. V ს.). რაც შეეხება რომაულ მწერლობას, მას ანთოლოგიის მეორე ნაკვეთი დაეთმობა.

ელინური პერიოდის პოეზია საშუალებას იძლევა წარმოვადგინოთ მასალა ქრონოლოგიურ-ჟანრობრივი პრინციპით (ეპოსი, ლირიკა, დრამა: ტრაგედია, კომედია). რაც შეეხება მომდევნო პერიოდების მწერლობას, მას ქრონოლოგიური თანმიმდევრობით გთავაზობთ.

ქმნილებათა უმეტესი ნაწილი წარმოდგენილია სრულად, ვრცელტანიანი ნაწარმოებები _ შემოკლებით. ავტორთა ტექსტებს, თან ახლავს მოკლე შესავლები და განმარტებები. რამდენადაც თანამედროვე მკითხველისათვის განსაკუთრებულ სირთულეს მითოსური რეალიები იწვევენ, თითოეულ ნაკვეთს დავურთეთ მითოლოგიურ და გეოგრაფიულ სახელთა მოკლე ლექსიკონები.

ერთგვარი გაუგებრობა შეიძლება გამოიწვიოს ზოგიერთი სახელის განსხვავებული ფორმით წარმოდგენამ (მაგ.: არტემიდა და არტემისი, ვენერა და ვენუსი, საფო და საპფო, ჰეროდოტე და ჰეროდოტოსი და სხვა). მკითხველს შევახსენებთ, რომ უახლეს ცნობარებსა და თარგმანებში შეინიშნება მიდრეკილება საკუთარ სახელთა ქართულად გადმოტანის სისტემატიზაციისაკენ, რაც გულისხმობს მათი სახელობითი ბრუნვის ფორმით წარმოდგენას. ძველ თარგმანებში შენარჩუნებულია თავად მთარგმნელთა მიერ აღიარებული ფორმები.

ვფიქრობთ, ანტიკური ლიტერატურის ანთოლოგიას სიამოვნებით მიიღებს ქართველი მკითხველი.

ეპოსი

ჰეროიკული ეპოსი

ჰომეროსი

(ძვ. წ. VIII ს.)

პოემები “ილიადა” და “ოდისეა”, რომელთა ავტორადაც ტრადიცია ერთხმად აღიარებს **ჰომეროსს**, არა მხოლოდ ბერძნული, არამედ ევროპული ლიტერატურის უძველეს ძეგლებად გვევლინებიან. ეპიკური სტილისათვის ნიშანდობლივი თხრობის სრულყოფილებითა და პოეტური ხელოვნების გასაოცარი ოსტატობით გამორჩეულ ამ დიდებულ ქმნილებებს წინ, ალბათ, უძღოდა ლიტერატურულ ძიებათა ერთობ საინტერესო პროცესები, რომელთა წერილობითი კვალი ჯერ არ არის აღმოჩენილი. მკვლევართა აზრით, ჰომეროსის ეპოპეის წყაროსთვალი უნდა ყოფილიყო მიკენური და პოსტმიკენური ეპოქის ის ჰეროიკული თქმულებები, რომლებიც თავისი უნიკალური მხატვრული ღირსებებით დიდად განსხვავდებოდნენ ფოლკლორული ეპოსისაგან.

ერთი შეხედვით, ჰომეროსი ლეგენდარულ ფიგურად აღიქმება, მაგრამ თავად ძველების რწმენამ ამ “ღვთაებრივი პოეტის” რეალური არსებობის თაობაზე, განაპირობა ანტიკურობის შემსწავლელ მეცნიერებათა შორის სპეციფიკური დარგის, ჰომეროლოგიის წარმოქმნა. ამ სფეროში მოღვაწე კულტუროლოგებმა (ფ. ჰედელინმა, ფ. ა. ვოლფმა, კ. ლახმანმა, ვ. ჰერმანმა, ვ. თაილერმა, ა. კირხოფმა, უ. ფონ ვილამოვიც-მოლენდორფმა, ა. ფონ დერ მიულმა, ვ. შადევალტმა და სხვებმა) გამოკვეთეს: ა) პოემათა ერთიანობისა და მათი ავტორის, ბ) ეპოსისა და ისტორიის ურთიერთმიმართების, გ) პოემათა ფორმირების პრობლემები, რომელთაც ზოგადად “ჰომეროსის საკითხი”უწოდეს.

ჰომეროსის მემკვიდრეობის კვლევაში დიდი წვლილი შეიტანეს ქართველმა მეცნიერებმაც. ამ მხრივ საყოველთაო აღიარება მოიპოვეს პროფ. რისმაგ გორდეზიანის ნაშრომებმა, რომელთა თანახმადაც, მოქმედების ერთიანობის ორიგინალური კონცეფციით გამორჩეული “ილიადისა” და “ოდისეას” ავტორის, ჰომეროსის მოღვაწეობის ხანად ძვ.წ. VIII საუკუნე უნდა იქნეს მიჩნეული.

პოემებში აღწერილი ამბების, ანუ ტროას ომის სავარაუდო ეპოქად ძვ.წ. XIII საუკუნეს ადასტურებენ მეცნიერები. არქეოლოგიურმა კვლევებმა ცხადყვეს, რომ ეგეოსის ზღვის აუზში იმხანად არსებული ვითარება ისტორიული თვალსაზრისით თითქმის იდენტურია ჰომეროსის მიერ აღწერილი სამყაროსი.

და ბოლოს, იმ ფაქტმა, რომ ჰომეროსის პოემათა ტექსტები მკაცრად ორგანიზებულ დიდ სისტემებს წარმოადგენენ, საშუალება მისცა მკვლევართ, დაესაბუთებინათ აზრი მათი არა ზეპირი, არამედ წერილობითი გზით გავრცელების თაობაზე.

ჰომეროსის ეპოპეას საფუძვლად უდევს ტროას ომთან დაკავშირებული ჰეროიკული ეპოსი. ძველ სამყაროში ცნობილი ამ ათწლიანი ომის მიზეზად იქცა ტროელი უფლისწულის, პარისის მიერ აქაველთა ბელადის, მენელაოსის მშვენიერი მეუღლის, ელენეს მოტაცება. თითოეული პოემა ამ დიდი მითოსური ციკლის მხოლოდ ცალკეულ

ეპიზოდებზეა აგებული, მიუხედავად ამისა, მკითხველის თვალწინ ტროას ომის მთელი პანორამა იშლება.

“ი ლ ი ა დ ი ს” სიუჟეტი აქაველ გმირთა შორის ურჩეულესი აქილევსის რისხვას ეფუძნება. იგი, უზენაესი მთავარსარდლის, აგამემნონისგან შეურაცხყოფილი, უარს ამბობს ბრძოლის გაგრძელებაზე. მხოლოდ მეგობრის, პატროკლოსის დაღუპვა აიძულებს მას კვლავ აისხას აღსაჭურველი და ბრძოლის ველზე გაიჭრას. აქილევსი ორთაბრძოლაში კლავს ტროელთა უფლისწულსა და მხედართმთავარ ჰექტორს, რომლის დაკრძალვის რიტუალსაც ეძღვნება პოემის ბოლო სტრიქონები.

“ო დ ი ს ე ა” მოგვითხრობს ტროას ომის დასრულების შემდეგ აქაველ გმირთაგან აღმატებულად “საზრიანი და ცბიერი” ოდისევსის ფათერაკებით აღსავსე შინ დაბრუნების ამბავს. ითაკაზე კი, მას მშვენიერი მეუღლე, პენელოპე ელოდებოდა უკვე ოცი წლის ვაჟთან ერთად.

მიუხედავად იმისა, რომ ჰომეროსის ეპოსი მითოსური საბურველით არის შემოსილი, მასში იმდროინდელი სამყარო მთელი თავისი მრავალფეროვნებით აისახა. მან უდიდესი გავლენა იქონია შემდგომი ეპოქების ბერძნულ ლიტერატურასა და ხელოვნებაზე, მოგვიანებით კი, ვერგილიუსის “ენეიდასთან” ერთად იგი მთელი დასავლეთევროპული ეპოსის ნიმუშად იქცა. თუმცა გვიანი ხანის ვერცერთმა ეპოპეამ ვერ შეძლო მასთან გატოლება მხატვრული ღირსებებისა თუ სამყაროს აღქმის თვალსაზრისით. სწორედ ამიტომ უწოდეს მას “ბერძენთა ბიბლია”.

ჰომეროსის პოემათა თარგმანები:

ჰომეროსი, ილიადა, ძველი ბერძნულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო რომან მიმინოშვილმა, თბილისი 1979.

ჰომეროსი, ოდისეა, ძველი ბერძნულიდან თარგმნა პანტელეიმონ ბერაძემ, წინასიტყვაობა, შენიშვნები და კომენტირებული საძიებელი რისმაგ გორდეზიანისა, თბილისი 1979.

ჰომეროსი, ოდისეა, თარგმანი, შესავალი და შენიშვნები ზურაბ კიკნაძისა და თამაზ ჩხენკელის, თბილისი,1979.

ჰომეროსი

ილიადა

ქება პირველი

[ჟამიანობა. რისხვა]

მუზავ, მიმღერე აქილევსის უწყალო რისხვა,
უთვალავ ნებით დამთრგუნველი აქაველ სპათა:
გადაუხვეწავს მრავლად ჰადესს მამაცთა სულნი,
გვამნი შთენია ყვავ-ყორანთა დასაყივარად
და ძაღლთა წილად გაუწირავს... ზევსმა ჰყო ნება,
მტრად მოეკიდნენ ოდეს ერთურთს ერისთმავარი
აგამემნონი და ღვთიური გმირი აქილევს.
ვინ ღმერთმა აღძრა შუღლი მათდა შესარკინებლად?
_ ლეტოს და ზევსის ძემ, მეფეზე განრისხებულმა.
სასტიკი ჭირი ჯარს შეჰყარა, მუსრი გაავლო:

რად მოეპყრაო უპატიოდ ატრიდი ქრისეს!
მოსულა მოგვი აქაველთა მალემსრბოლ გემთან.
სურდა ასული გამოეხსნა ურიცხვი ძღვენით.
ხელთ ჰქონდა ოქროს კვერთხი უფალ აპოლონისა,
თავსაკრიანი. აქაველებს ევედრებოდა,
ყველაზე მეტად _ ორსავ ატრიდს, ხალხის დამრაზმველს:
“სპანო, საბარკულმშვენიერნო, ეჰა, ატრიდნო!
ოლიმპოს ღმერთნი შეგეწიონ, რომ პრიამოსის
ციხე დალეწოთ და მშვიდობით ეწვიოთ მამულს!
ასულს სანუკვარს თუ დამითმობთ, საზღოს გაახლებთ.
აამეთ ზევსის ძეს აპოლონს, ვერცხლისმშვილდოსანს!”
ერთხმად გაისმა აქაველთა მძლავრი ყიჟინა _
მოგვს ვაამოთო, მივიღოთო ძღვენიც მდიდარი.
გულს არ მოეცხო მხოლოდ ატრიდს მამის ვედრება.
და გააძევა, მიადევნა მრისხანე სიტყვაც:
“გასწი, ბებერო! ხომალდებთან აღარ გიხილო!
ფეხს ნუ აითრევ და ნურასდროს შემობრუნდები,
თორემ ვერ გიხსნის ვერცა კვერთხი, ვერც ღვთის გვირგვინი!
ქალს ვერ გავუშვებ, ტყვეობაში შემაბერდება,
არგოსში წავალთ, მოვაშორებ მშობლიურ მხარეს,
რომ სარეცელშიც შევეცილო დიაცს ქსლის მბეჭველს!
ნუ ამიხირდი, მომწყდი-მეთქი ცოცხალი თავით!”
ასე თქვა, თრთოლვით შეისმინა სიტყვა მოხუცმა,
უხმოდ გაუყვა მრავალხმიან ზღვის სანაპიროს...
გასცილდა გემებს. შეღაღადა გულამომჯდარმა
თმამშვენიერი ლეტოს შობილს, უფალ აპოლონს:
“მიხსენ მე, ვერცხლისმშვილდოსანო, ქრისეს ქომაგო,
კილას მფარველო, მძლე მეუფევ ტენედოსისა,
სმინთევს!.. უკეთუ შემიმკია ტაძარი შენი,
უკეთუ მსხვერპლად შემიწირავს მოზვრის თუ ვაცის
აქნილი სუკი, მეოხ მეყავ! რაც ცრემლი ვღვარე,
ბასრი ისრებით აზღვევინე სპას დანაელთა!”
გული ირისხა, ოლიმპოს მთას მოსწყდა უმალვე,
მშვილდი, კაპარჭი მოსალტული სცემდა მხარიღლივ,
ისე მოქროდა, სულ წივილი გაჰქონდა ისრებს, _
ღმერთი მაღალი მოღელავდა პირღამიანი.
გემებთან ახლოს ჩაიმუხლა, სტყორცნა ისარი,
ზარისმცემელი ვერცხლის მშვილდი ააზუზუნა.
მუსრი გაავლო მაწანწალა ძაღლებს, სახედრებს,
შემდეგ სიკვდილის მთესველ ისრით მისწვდა მხედრობას.
გვამთა შთანმთქმელი კოცონები დააგზნო ყველგან.
ცხრა დღე და ღამე ღვთის ისარი მუსრავდა ლაშქარს.

მეთაე დღეს კი აქილევსმა ხალხი შეკრიბა
ხელებქათქათა ჰერას ნებით შთაგონებულმა, _
ქალღმერთს გულს სწვავდა ამ შავ დღეში დანაელთ ხილვა.
ის იყო ხალხმა მოიყარა კრებაზე თავი,
რომ ადგა გმირი აქილევსი და ასე ბრძანა:
“აგრე მგონია, მრავალტანჯულთ გვმართებს, ატრიდო,
შინ გავეშუროთ, თუ გვწადია, გავექცეთ სიკვდილს;
აქაველთ მუსრავს სნეულება, სასტიკი ომი!..
ქურუმს მივმართოთ, ან მისანმა აგვიხსნას ეგებ _
სიზმრის ამხსნელმა (სიზმარსაც ხომ ზევსი მოგვივლენს) _
აპოლონ ღმერთი ასე რისთვის შემოგვწყრომია?
აღთქმა გავტეხეთ? ჰეკატომბე არ შეგვიწირავს,
თუ კვამლი არ სცემს საზორავთა უბიწო კრავთა?
ვინძლო შეგვინდოს, აგვაშოროს იავარყოფა!”
თქვა და ჩამოჯდა. თესტორის ძე კალქანტი ადგა,
კაცი, ჩიტებზე მარჩიელი, უებრო მცოდნე
ყოვლის, რაც იყო, რაც არის და რაიც იქნება,
ილიონისკენ გემებს იგი გამოსძღოლია
აპოლონისგან მადლცხებული მისნობის ნიჭით.
ახლაც კეთილი გულით უთხრა გმირს თესტორიდმა:
“ზევსის რჩეულო აქილევსო, გიბრძანებია,
გამცნოთ შორსმმუსვრელ აპოლონის რისხვის მიზეზი.
შენი ნებაა! ვიტყვი, მაგრამ ვითხოვ ზენაარს:
შემფიცე, გმირო, რომ დამიცავ სიტყვით თუ საქმით!
ვშიშობ _ ვაითუ მხოლოდ მეფე გავაგულისო,
არგიველთა და აქაველთა ლაშქრის უფალი.
მდაბიოს მართებს არ აღაგზნოს სახმილი რისხვის,
ძრწოდეს, თუ სცოდა! მეფე ბოღმას თავდაპირველად
გულში ინახავს, ჯავრს სანამდის არ ამოიყრის...
მაშ, თვით განსაჯე, შეძლებ იყო შემწე, შემხიდე?”
ფეხმარდმა გმირმა აქილევსმა მიუგო კალქანტს:
“ღვთის ნება გვამცნე გაბედულად, რაც უნდა იყოს!
ვფიცავ აპოლონს, ზევსის რჩეულს, რომელსაც, კალქანტ,
შენც ჰფიცავ ხოლმე, როს დანაელთ ღვთის ნებას ამცნობ, _
სანამდის პირში სული მიდგას და ვჭვრეტ მზის ნათელს,
დანაელთ შორის შენზე ვერვინ ხელს ვერ შემართავს!
თუნდ იყოს იგი თვით მრისხანე აგამემნონი,
მთელს მხედრობაში ზვიადობით აღმატებული”.
მაშინ თამამად თქვა მისანმა სწორუპოვარმა:
“აღთქმას და ზვარაკს არ მოითხოვს! ღმერთი მრისხანებს,
რაკიღა ქრისე შეურაცხყო აგამემნონმა,
აღარც ასული დაუბრუნა, არც ძღვენს დასჯერდა.

არვის დაგვინდობს ამის გამო შორსმოისარი
და არ დაიშლის დანაელთა დავაგლახებას,
თვალმოციმციმე ასულს მამას ვიდრე არ მივგვრით,
ვიდრე ქრისეზე არ შევწირავთ ღმერთს ჰეკატომბეს!
მხოლოდ მაშინღა შეგვიწყალებს, დაშოშმინდება.”
თქვა და ჩამოჯდა. წამოიჭრა გმირი ატრიდი,
შეუზღუდველად მბრძანებელი აგამემნონი.
უგლიმი გული აღვსებოდა ბოღმით და ბრაზით,
აალებული თვალებიდან სულ ცეცხლსა ყრიდა.
კალქანტს შეხედა ღვარძლიანად და უთხრა ასე:
“შე ყიამყრალო! სასიკეთო რომ არ დაგცდება,
და გიხარია, ხალხს უკეთუ აუწყებ აუგს!
არასდროს გითქვამს სიტყვა გულის მაამებელი.
და აი ახლაც დანაელებს ამცნობ ღვთის ნებას,
თითქოს ღვთაება შორსმმუსვრელი განრისხებულა,
რომ არ მივიღე ქრისეისის გამოსასყიდი!
მწადდა ეგ გოგო შინ მყოლოდა, ლამის მერჩივნა
თვით კლიტემნესტრას, ქალწული რომ მერგო მეუღლედ.
ვინ შეედრება ქრისეს ასულს თვალტანადობით,
მშვენიერებით, გინა ჭკუით, გინათუ საქმით?
მაგრამ მაინც ვთმობ, რაკი არ ჩანს ხსნა არსაიდან,
ვინძლო მხედრობას ავაცილო გაცამტვერება!
ოღონდ სანაცვლოდ სხვა საუნჯე უნდა მომართვათ,
საკადრისია, არგიველთა შორის მე დავრჩე
მთლად გაძარცვული? თქვენც ხომ ხედავთ, ვთმობ, რაც მებადა!”
მაშინ მიუგო აქილევსმა ღმერთის სადარმა:
“ატრევსის ძეო, თვალხარბო და გაუმაძღარო!
აქაველ მოყმეთ დიდსულოვანთ რა შეუძლიათ
მოგართვან? განა აქვთ საერთო საუნჯე სადმე?
ციხე-ქალაქთა ნანგრევებში განძი გავყავით,
და რაც გავყავით, ხელყოფა ხომ არ გეკადრება.
სჯობს ღვთის გულისთვის შენი დათმე და აქაველნი
სამგზის, ოთხწილად მოგაგებენ ზევსის შეწევნით,
როს დაამხობენ ტროას მტკიცექონგურებიანს.
პასუხად უთხრა მბრძანებელმა აგამემნონმა:
“ოღონდ ეგ არა, აქილევსო, ღმერთის სადარო!..
დიდებული ხარ, მაგრამ ფლიდობ! თვალს ვერ ამიხვევ!
გსურს შეგრჩეს განძი მონაგარი, მე კი წამგვარო,
დამცე ამგვარად! დაბრუნებას მირჩევ ნადავლის?
მაშინ აქაველთ დიდსულოვანთ სამაგიეროდ
შესაფერისი სხვა საუნჯე უნდა მიბოძონ!
თუ არ ინებებთ, თვითონ მოვალ, დავეუფლები

სიმდიდრეს შენსას, აიანტის, ოდისევსისა,
ვაი _ უბედურს, ვისაც რისხვით თავს დავატყდები!
მაგრამ ამაზე შემდეგ ვიტყვით, ახლა კი დროა
შავმკერდა გემი ჩავაცუროთ ღვთაებრივ ზღვაში,
მძლე მეხოფურნი შევარჩიოთ, დავსხათ ზვარაკი,
ტურფაღაწვება ქრისეისი დავსვათ გემბანზე.
ხომალდს წარუძღვეს მჭევრმეტყველი ვინმე რჩეული _
იდომენევსი, აიანტი ან ოდისევსი,
ან თვითონ შენა, პელევსის ძევ უმამაცესო,
ზორვა ვყოთ, ვინძლო შეგვიწყალოს შორსმოისარმა!”
ცერად გახედა აქილევსმა, გმირმა ფეხმარდმა:
“ეჰ, შე ურცხვობის საბუდარო, გაუმაძღარო!
ვინღა ისურვებს შეასრულოს შენი ბრძანება,
ვინღა შეებმის შეუპოვრად ტროელთა ლაშქარს?
განა მოვსულვარ, რომ ტროელებს, შუბის მტყორცნელებს
შევრკინებოდი? მე არ მახსოვს მათგან ზიანი:
ცხენთა რემა და ჯოგი როდი გაუტაცნიათ
უხვნაყოფიან და ხალხმრავალ ფთიიდან ტროელთ,
ჯეჯილი როდი უთელიათ! გვაშორიშორებს
ჩრდილის დამფენი მთაგრეხილი, ზღვა _ მოგუგუნე
შენდა შემხიდედ შევიკრიბეთ, შენს სახეიროდ,
მენელაოსის ნამუსისთვის ვიბრძვით, პირმაღლო!
აინუნშიაც არას აგდებ, მეც მემუქრები,
ჩემი ნადავლის მიტაცებას იქადი კიდეც,
ნაომარს, მაშვრალს რომ მომიძღვნეს აქაველებმა.
ჩემი წილხვედრი მუდამ იყო შენზე ნაკლები,
როს ვაოხრებდით აყვავებულ ციხე-ქალაქებს.
თუმც შერკინების სისასტიკე ჩემი მკლავების
ხარჯზე წყდებოდა, ზიარ-ყოფა რომ იწყებოდა,
მეტს მოიხვეჭდი ხოლმე, ჩემთვის თმობდი უმცირესს _
უხმოდ ძლივს ხომალდს მივაღწევდი ომით მაშვრალი.
ახლა ფთიაში მივიჩქარი, ო, რა ტკბილია
შინ დაბრუნება მალემსრბოლი ნავ-ხომალდებით!
შენგან შერცხვენილს არ მსურს შენი განძი ვამრავლო!..”
მყისვე მიუგო თემისთავმა აგამემნონმა:
“თავიდან მომწყდი, გაიქეცი, თუ გული გერჩის!
და არ გეგონოს, რომ ვერ დაგთმობ! ღირსებას ჩემსას
სხვაც ჰყავს ქომაგი, უწინარეს _ ზევსი დიადი!
ყველაზე მეტად შენა მძულხარ ბელადთა შორის!
შენ მხოლოდ ომი გიხარია, სისხლისღვრა გატკბობს,
თუმც ძალა გამკობს, ეგეც ღვთისგან მოგნიჭებია!
შენი გემებით გამეცალე! მხედრობას შენსას _

მირმიდონელთა ტომს უმეფე! არად მიღირხარ!
რა ბედენაა რისხვა შენი! გიქადი თვითონ:
რაკი აპოლონს ქრისეისის გაშვება უთქვამს,
დავთმობ! ჩემივე გემით წავა, ჩემს რაზმს ვაახლებ...
თვით კი აწ მნებავს ბრისეისი ლამაზღაწვება
შენ გამოგტაცო, რომ შეიცნო, ამაყო კაცო,
ჩემი უფლების სისასტიკე! დე, ყველა ძრწოდეს,
ვინცა ეცდება გამიტოლდეს და გამეჯიბროს!”
ასე თქვა. პელიდს მწუხარება მოჰგვარა ამით.
ფიქრით მი-და-მო ორ აზრს შუა კრთებოდა გული:
ან უნდა ეძრო ორლესული, წელზე ასხმული,
დამხვდურს დასხმოდა, დაცაეკლა აგამემნონი.
ან მრისხანება დაეშრიტა, გულიც დაეცხრო.
როცა ამ ფიქრით ემღვრეოდა სული და ჭკუა,
ხმალს იშიშვლებდა, მოევლინა ზეცით ათენა,
ხელებქათქათა ქალღმერთ ჰერას ნებით მოსული _
მას, თურმე, ორივ მოყმის ბედით გული ეწვოდა.
ღმერთქალი გმირის ქერა კულულს ხელით შეეხო _
მისთვის საჩინო, სხვათათვის კი უჩინოქმნილი.
შეკრთა აქილევს, უკუმიდგა, იცნო პალასი,
ათენას თვალნი შესაზარი ცეცხლით აენთო.
ქალღმერთს მიმართა აქილევსმა ფრთიანი სიტყვით:
“ზევსის ასულო, მამცნე, ზეცით რად მომევლინე,
აგამემნონის ვერაგობა გსურდა გენახა?
მითქვამს და ვიცი, რომ ნათქვამი ამისრულდება:
ამ თავხედობას გადაჰყვება ამპარტავანი!”
ფეხმარდ აქილევსს თვალმცეცხლია ათენამ უთხრა:
“ცით მოველ, რათა რისხვა დათმო, დაგვემორჩილო.
მე მომავლინა მხრებქათქათა ქალღმერთმა ჰერამ,
ორივე მოყმის ბედ-იღბალით შეშფოთებულმა.
სჯობს შუღლს ერიდო, ხოლო მახვილს ხელი არ ახლო,
ისე რაც გინდა, იგი უთხარ საგინებელი.
მითქვამს და ვიცი, რომ ნათქვამი ამისრულდება:
მოვა დრო, სამჯერ უძვირფასეს ჯილდოს მიიღებ
დამცირებისთვის! დაშოშმინდი, დაგვემორჩილე!”
ქალღმერთს ფეხმარდმა აქილევსმა ასე მიუგო:
“ვალად მმართებსო შევასრულო სურვილი თქვენი,
რაც უნდა რისხვით ვმძვინვარებდე, დაგყვებით ნებას,
ვინც ღმერთს მორჩილებს, მოწყალებას მისგანვე ელის”.
მძლავრი მარჯვენა დააბჯინა ვადას ვერცხლისას,
საზარი ხმალი კვლავ ჩააგო, ღვთის ნებას დაჰყვა.
ათენამ მყისვე მიაშურა ოლიმპოს მწვერვალს,

ეგიოხ ზევსის სრა-სასახლეს და უკვდავ ღმერთებს.
ხოლო პელიდმა კვლავ მიმართა განრისხებულმა
ატრიდს _ თემისთავს, გულში ბოღმა არ დასცხრომია:
“მშიშარავ, ირმისგულიანო, ძაღლისთვალებავ,
მემთვრალევ, ლოთო! არ აგისხამს თორნ-მუზარადი
და სანგარშიაც არასოდეს ჩასაფრებულხარ
ლაშქართან ერთად, სიკვდილივით შიშს გგვრიდა ბრძოლა.
რა სათქმელია, ბანაკში მყოფს არაფრად გიღირს
ომნაცად მებრძოლს გამოსტაცო მონაპოვარი!
კაცთა შთანმთქმელო, ლაჩართ ზედა მეფობის ღირსო,
ვაჰ, სხვა დროს ვინღა შეგარჩენდა მაგ თავხედობას!
გეტყვი ჩემს სათქმელს და შეგფიცავ საფიცარს ჩემსას, _
ამ კვერთხსა ვფიცავ, აწ რომ ვეღარ აიყრის ფოთლებს,
ან შტოებს, მთაში იმთავითვე ჩამოსხეპილი,
არც იყვავილებს, რადგან მძიმე ბრინჯაოს ცულმა
შტოც მოაცილა და ფოთლებიც... დღეს ხელთ უპყრიათ
აქაველთ ძეებს, კრონიონის წესთა დამცველებს...
დე, საწინდარად ექმნეს კვერთხი ზენაარს ჩემსას _
დრო მოვა, კვლავაც აქაველებს მოენატრებათ
პელევსის შვილი. შენც ინანებ, როდესაც ლაშქარს
ვეღარ დაიხსნი კაცთამჟლეტი ჰექტორის ხმლისგან.
დაღუპვა გელით, სინანულით მჯიღს იცემ მკერდში,
რადგან შენ დამთმე, შენ შერისხე უმამაცესი!”
ასე მიმართა პელევსის ძემ. ძირს დასცა კვერთხი
ირგვლივ ოქროთი მოოჭვილი. თქვა და ჩამოჯდა.
პირისპირ შერჩა აგამემნონ გააფთრებული.
ნესტორმა, ამოდ მოუბარმა, პილოსის მეფემ,
გოლეულივით ტკბილი სიტყვით მიმართა მოყმეთ.
უკვე გამქრალა ქვეყნად მოკვდავთ ორი თაობა,
მის დროს შობილი და პილოსში დასახლებული.
მესამე მოდგმას ხელმწიფობდა ახლა მოხუცი.
კეთილი გულით მიუბრუნდა თანამებრძოლებს:
“ღმერთო, აქაველთ მიწას დიდი ურვა დაატყდა,
გაიხარებენ პრიამე და პრიამეს ძენი,
უსაზღვრო შვებით აღივსება ტროელთა სული,
რა ყურს მოჰკრავენ თქვენს ქიშპობას, სწორუპოვარნო
ბრძოლის ველზე თუ დანაელთა საკრებულოში!
ნებას დამყევით, თქვენ ხომ ჩემზე უმრწემესნი ხართ.
მინახავს ბევრი მამაცი და სვიანი გმირი,
ხშირად საამო საუბარი მქონია მათთან.
მაგრამ ვერ ვნახავ, არც მიხილავს ვინმე სადარი
პერითოესი, გინდ დრიანტის ხალხის ბელადის,

ექსადიესი, კაინევსის, პოლიფემისა,
ეგეოსის ძის თესევსისა, უკვდავთა სწორის _
მიწიერთ შორის უბადლო და უმტკიცესისა!
თვით უძლეველნი უძლიერესთ ძლევდნენ სპილენძით
და თავზარდამცემ მთის ურჩხულებს ექიშპებოდნენ.
მათ ვმეგობრობდი, როს განვშორდი პილოსის მხარეს,
აპიეს მიწას შორეულსა. თვითონ მიმიხმეს.
რაც ძალა მქონდა, მეც ბრძოლაში მხარს ვუმაგრებდი.
ვინ შეედრება დღეს იმ გმირებს ძალგულოვნებით,
ვინ გაუბედავს შერკინებას? მაგრამ ჩემს რჩევას
ყურად იღებდნენ, არც თქვენ გაწყენთ ნათათბირევი.
შენ, აგამემნონ, რაგინდ მძლავრი ვაჟკაცი იყო,
აქაველთ ჯილდოს _ ქალს მშვენიერს ნუ სტაცებ პელიდს.
და შენც, აქილევს, მოერიდე მასთან ქიშპობას!
არ ღირსებია ესოდენი დიდება არც ერთს
მეფეს სკიპტროსანს, ზევსის მიერ აღზევებულსა.
თუმც განთქმული ხარ სიმამაცით, გშობა ქალღმერთმაც,
მაგრამ ის შენზე ძლიერია: უთვალავ ხალხს ფლობს.
გული იყუჩე, აგამემნონ, მე გთხოვ, მხცოვანი,
დაიცხრე რისხვა აქილევსზე, ყველა აქაველს
აღემატება, უძლეველი ბურჯი ბრძოლისა!”
უმალ მიუგო მამაცთ მეფემ აგამემნონმა:
“სამართლიანად, გონივრულად ბრძანებ, მოხუცო!
მაგრამ ამ კაცმა აღზევება მოიწადინა,
სურს მბრძანებელად მოევლინოს ლაშქარში ყველას,
მე კი ფიქრადაც მორჩილება არ გამივლია!
განა ღმერთებმა რომ დაბადეს ძალგულოვანი,
იმიტომ აძლევს თავს უფლებას პირში მაგინოს?
სიტყვა მრისხანედ ჩამოართვა გმირმა ფეხმარდმა:
“მხდალად მიხმობენ და ლაჩარი ვიქნები მართლაც,
შენს ნება-სურვილს თუ უსიტყვოდ დავემონები!
ეგ სხვას მოჰკითხე, მორჩილებას სხვისგან ელოდე!
შენი ბრძანება სულ არაფრად მეპრიანება!
ერთს კიდევ გეტყვი და განსაჯე გულში, მეფეო:
ქალისთვის არც შენ, არც არავის შევებრძოლები _
ნება თქვენია, თქვენვე მიგაქვთ თქვენივე ჯილდო!
ოღონდ გახსოვდეს, ჩემს მალემსრბოლ, შავ ხომალდებზე
სხვას უნებართვოდ ვეღარაფერს ვერ ახლებ ხელსა!
თუ გული გერჩის, ერთი სინჯე, იხილოს ყველამ
ჩემს შუბზე შენი შავი სისხლის ჩამოღვენთება!”
ასე კენწლავდნენ ერთურთს გმირნი მხედართმთავარნი.
წამოიმართნენ, წამოშალეს აქაველთ კრება.

გამწყრალ აქილევსს მირმიდონელთ ხომალდებისკენ
გაჰყვა ერთგული მენეტიდი და რაზმი მისი.
აგამემნონმა ჩააცურა ზღვაში ხომალდი,
ოცი მენიჩბე შეარჩია, დასხა ზვარაკი
და ქურუმ ქრისეს ქალიშვილი გემბანზე დასვა.
ხომალდს წარუძღვა ჭკუაჭარბი გმირი ოდისევს
და სველ შარაზე გასრიალდა გემი უმალვე.

ქება მეექვსე

[ჰექტორისა და ანდრომაქეს შეხვედრა]

სწრაფად მიადგა თვის სასახლეს ლაღად აზიდულს.
შინ ვერა ჰპოვა ანდრომაქე ტურფაღაწვება,
შვილის და ლამაზპეპლოსიან ძიძის თანხლებით
კოშკზე ასულა. მოთქვამდა და ცრემლებსა ღვრიდა.
ჰექტორმა შინ რა ვერა ნახა ცოლი უზადო,
ზღურბლთან შეჩერდა, მოახლეებს ეკითხებოდა:
“ნუ დამიმალავთ, დიაცებო, მამცნეთ სიმართლე:
სად არის ჩემი ანდრომაქე, იქნებ მულებთან
წავიდა, იქნებ რძლებს ეწვია მორთულ-მოკაზმულთ?
იქნებ ათენას ტაძარშია, სადაც ტროელი
მანდილოსნები ლოცულობენ ქალღმერთის მიმართ?”
მას გამჭრიახმა მეკუჭნავე ქალმა მიუგო:
“ჰექტორ, რაკი გსურს, მოგახსენებ მხოლოდ სიმართლეს.
არცა მულებთან, არც მოკაზმულ რძლებთან წავიდა,
არცა ათენას ტაძარშია, სადაც ტროელი
მანდილოსნები ლოცულობენ ქალღმერთის მიმართ.
არა, კოშკშია ილიონის, შეშფოთდა ძლიერ,
ოდეს გაიგო, აქაველნი მოგვეძალენო,
გაიქცა ციხის გალავნისკენ თავგამეტებით,
როგორც შეშლილი. მასთან არის ძიძა და ბავშვიც”.
ასე უთხრა და გამოვიდა ჰექტორიც გარეთ,
ლაღად აზიდულ სასახლეებს კვლავ ჩაუარა,
ვრცელი ქალაქი განვლო თითქმის, სკაიას ბჭისკარს
მიუახლოვდა, სადაც იდო გზა ბრძოლის ველის.
იქ დახვდა თვისი ანდრომაქე, სწრაფად მოიჭრა,
ღირსეულ გვარის პირმშო, ქალი ჰეტიონისა.
ტყიან პლაკეში, ფერდობებზე ცხოვრობდა იგი, _
პლაკიის თებეს, კილიკიელთ მთავარი მძლავრი.
მთავრის ასული ცოლად ესვა ჰექტორს აბჯროსანს.
შეხვდნენ ერთმანეთს, ცოლს მოსდევდა მოახლე ქალი
და ხელთ ეჭირა ჩვილი ბავშვი, ჯერეთ უენო,

მათი შობილი, მშვენიერი, ვარსკვლავთსადარი.
მამა ეძახდა სკამანდრიოსს, ტროის მცხოვრებნი
კი _ ასტიანაკტს: ტროის ბურჯი ჰექტორიაო.
მამა შვილს ჩუმად შესცქეროდა და იღიმოდა.
იქავე შედგა ანდრომაქე ცრემლმორეული.
ხელი ჩაავლო ძვირფას ქმარს და მიმართა ასე:
“ეგ სიმამაცე გღუპავს, კაცო გასაოცარო:
არ გეცოდება არცა ჩვილი, დედაც ბედშავი!
დაგიქვრივდები უბედური, არგიველები
თავს დაგესხმიან-ვაგლახ, შენგან დატევებულსა
მიწამც გამისკდეს! ვეღარასდროს შვებას ვერ ვპოვებ,
თუ ბედისწერამ დაგვაშორა, ხვედრად ვაება
არ ამცილდება, არც მამა მყავს, არც სათნო დედა!
მოხუცი მამა აქილევსმა მოკლა ფეხმარდმა,
როცა ქალაქი დაანგრია კილიკიელთა,
მაღალბჭიანი თებე. მოკლა თვით ეტიონი,
ვერ კი გაბედა გაეძარცვა; გულით შეძრწუნდა:
მოხუცი დასწვა აღჭურვილი ძვირფას საჭურვლით.
ფერფლზე ტაგრუცი ააშენა და მის გარშემო
ნიმფებმა, ზევსის ასულებმა, გორა აღმართეს.
და ჩემმა ძმებმაც, _ დამრჩენოდა შვიდი ღვიძლი ძმა, _
ერთ დღეს ჰადესის ჯურღმულებში სავანე ჰპოვეს.
სვეუბედურებს აქილევსმა მოუღო ბოლო,
ჯოგში მიაგნო ბოჭოლებს და ხუჭუჭა კრავებს.
მუხნარი პლაკეს დედოფალი, დედაი ჩემი
ტყვედ წაიყვანა სხვა საბრძოლო ალაფთან ერთად,
თუმცა გაუშვა, უთვალავი საზღოს საფასით.
დედაც მომიკლა ფოიბოსმა საკუთარ სახლში!
ჰექტორ, შენა ხარ ჩემი ყველა _ მამაც და დედაც!
შენ ჩემი ძმაც ხარ ერთადერთი, ქმარიც უბადლო!
ნუ წახვალ, დარჩი, შემიბრალე, ნუ დამიობლებ
შვილს და შენს ცოლსაც ნუ დასტოვებ ქვრივ-ოხრად, ჩემო!..
ჩვენი ლაშქარი დააყენე იქ, ლეღვის ხესთან,
სად გალავანზე მტერს ამოსვლა ეადვილება.
სამგზის დაგვეცნენ იმა მხრიდან აქაველები,
იდომენევსი და ორივე მძლე აიანტი,
ატრევსის ძენი, ტიდევსის ძე, მძლავრი მებრძოლი,
ალბათ ურჩია რომელიმე ბრძენმა მისანმა,
ან, შესაძლოა, გულმა უგრძნო ყოვლის მცნობელმა”.
პასუხად უთხრა ქალს ჰექტორმა ზუჩმოელვარემ:
“მეც ეს მაშფოთებს, ჩემო კარგო, მაგრამ ტროელთა
და გრძელკაბიან ტროელ ქალთა წინაშე სირცხვილს

სად გავექცევი, თუ ლაჩრულად გავექეც ბრძოლას?
გული არ მიზამს. გავწაფულვარ სიგულვანეში,
ტროელთა შორის მარად პირველს ბრძოლა მწყუროდა,
ჩემთვის და ჩემი მამისათვის სახელ-დიდება!
განა არ ვიცი, ჩემს გონებას და გულსაც სჯერა _
ოდესმე მართლაც დაინგრევა ტროა-ქალაქი,
დაიღუპება პრიამე და პრიამეს ტომი.
მაგრამ გულს მიკლავს ხვედრი უფრო არა ტროისა,
მშობელ პრიამეს, მხცოვან დედის ჰეკაბეს ბედი,
საყვარელ ძმათა და მოყმეთა უმამაცესთა,
გამძვინვარებულ მტრების ხელით ძლეულთა გმირთა, _
არამედ შენი, მეუღლეო, მყოფადი შენი!
ტყვედ გაგიტაცებს აქაველი, თავისუფლებას
წაგართმევს ძალით და არგოსში უცხო ქალთათვის
მოჰყვები ქსოვას... მესეისის ან ჰიპერეის
წყაროებიდან წყალს მოიტან მკაცრ იძულებით!
ცრემლებმორეულს გნახავს ვინმე და იტყვის ასე:
“ეს ხომ ჰექტორის ცოლიაო, ის სიმამაცით
ცხენოსანთ ტროელთ ყველას სჯობდა ტროაში მებრძოლთ...”
იტყვის და გულში გაგიელვებს კვლავ სევდა ძველი,
ქმარს გაიხსენებ; ხომ აგხსნიდა მონობის უღელს!
უწინამც მიწამ პირი მიყოს, სანამ ტყვედ გნახავ
და შენს გოდებას გავიგონებ საწყალობელსა!..”
თქვა და შვილისკენ საალერსოდ წავიდა მამა.
მაგრამ პაწაწამ შეჰყვირა და გამდელის მკერდში
თავი ჩამალა, აშინებდა მამის შეხედვა,
ჯავშნის სპილენძი მოელვარე, ჩაჩქნის თავ-ბოლო _
მრისხანედ ცხენის ფაფარივით ათრთოლებული.
ტკბილი ღიმილი მით მოჰგვარა მამას და დედას.
ჩაჩქანი იძრო მეყსეულად გმირმა ჰექტორმა,
მიწაზე დადო მოელვარე, ხელთ აიყვანა
ძვირფასი პირმშო, უნანავა, ასწია მაღლა
და თქვა ზევსის და სხვა უკვდავთა მავედრებელმა:
“ზევსო, უკვდავნო ღვთაებანო, გემუდარებით
ჩემებრ განთქმული გამიზარდეთ პირმშო ძვირფასი.
იყოს მორჭმული, მძლე მეუფე ტროის მხარისა.
დაე მასზე თქვან, ოდეს ბრძოლის ველიდან მოვა:
მამასაც სჯობსო! დაე მტრების დათხიოს სისხლი,
დამხვდურსა სძლიოს, დედის გული აავსოს ლხენით!
თქვა და საყვარელ ცოლს გადასცა ძე სანუკვარი.
დედამ მიიკრა სურნელოვან მკერდზე პატარა
და ცრემლიანი იღიმოდა. მოლბა ჰექტორი,

ცოლს მოეხვია, ხელით ნაზად ეფერებოდა:
“ჩემო კეთილო, რად იკლავო გულს დარდით აგრე?
ბედი თუ მწყალობს, ჰადესს ვერვინ ვერ გამაგზავნის.
მაგრამ ბედს ვერც ვინ გაექცევა მიწის შვილთაგან,
ქვეყნად შობილი, გინა მხდალი, გინდა გულადი.
წა, საყვარელო, დამშვიდებით მიხედე ოჯახს,
ქსოვას და ქარგვას; მოახლენი დასაქმე შინა,
ბრძოლის საქმე კი მხოლოდ ჩვენი საზრუნავია _
ტროელ მამაცთა, და ყველაზე მეტად კი ჩემი!”
თქვა და აიღო ზუჩი გმირმა ჯავშანელვარემ.
ხოლო შინისკენ ანდრომაქე წავიდა უბრად,
ხშირ-ხშირად უკუ მოხედავდა და ცრემლებს ღვრიდა.
მალე მიადგა თავის ბინას ლაღად აზიდულს,
კაცთამმუსვრელი ჰექტორის სახლს. იქ დახვდა ბევრი
მოახლე თვისი და სატირლად აღაგზნო ყველა.
მათ ასე ცოცხლად დაიტირეს გმირი ჰექტორი.
ფიქრობდნენ, რომ შინ სისხლისმძღრელი ბრძოლის ველიდან
ვეღარ მოვაო, ვერ წაუვა აქაველთ რისხვას.

ქება მეთვრამეტე

აქილევსის ფარი

(თეტისის თხოვნით ღმერთი ჰეფესტო აბჯარს ამზადებს აქილევსისთვის)

ზევსმა მაჩუქა ერთი ვაჟი, პირმშო, პირველი
პირველთა შორის, პირმშვენიერს სათუთად ვზრდიდი,
როგორც წალკოტში ნერგს და ყვავილს ლამაზად გაშლილს.
სწრაფმსრბოლ ხომალდით ილიონში გავგზავნე მოყმე
ტროას სალაშქროდ. ვაი, რომ აწ ვეღარ შევხვდები
მამასთან, ნათელ დარბაზებში მოხუც პელევსის!
თუმც ცოცხალია და ჯერ ხედავს მზის ბრწყინვალებას,
უნდა იტანჯოს, მე კი შველა არ შემიძლია!
ქალწული, ჯილდოდ მირთმეული აქაველთ მიერ,
ისევ ხელიდან გამოსტაცა აგამემნონმა.
ამაზე დარდით ევსებოდა გული. აქაველთ
აღარ შეეძლოთ გემს და ბანაკს მოსცილებოდნენ
მტერთაგან ძლეულთ. უხუცესნი ეახლნენ ჩემს ძეს,
უთვალავ ჯილდოს ჰპირდებოდნენ შესარიგებლად.
მან არ ისურვა გადარჩენა აქაველთ ლაშქრის,
მაგრამ პატროკლე თვისი აბჯარ-ბექთრით შემოსა.
მეგობარს ომში გააყოლა რაზმი დიდძალი.

სკაიას კოშკის მისადგომთან მთელ დღეს იბრძოდნენ,
ილიონს კიდეც დაამხობდნენ. უფალ აპოლონს
მენეტიოსის ძისთვის დღე რომ არ მოესწრაფა,
ხოლო დიდება არ რგებოდა ღვთაებრივ ჰექტორს.
აი, რად მოველ, რად ვეხვევი ხვეწნით შენს მუხლებს:
დღესმოსწრაფებულ ჩემს შვილს იქნებ შენ შეეწიო,
იქნებ შენ მისცე ფარიც, ზუჩიც, საბარკულებიც,
იქნებ შენ მისცე სამკლაურიც: თვისი დაკარგა
როს ტროელთ დასცეს ძმადნაფიცი უერთგულესი!”
მყისვე მიუგო მართლმორჭმულმა ამფიგიევსმა:
“იყუჩე და გულს მწუხარება არ გააკარო.
მე განა ძალმიძს, აქილევსი სიკვდილისა და
ბედისწერისგან დავიფარო ისე იოლად,
როგორც საჭურვლის წრთობა ვიცი, უთვალავ მოკვდავს,
ერთი შეხედვით თავზარს დასცემს და გააოცებს!”
ასე უთხრა და ისევ ქურას მიადგა ღმერთი,
ცეცხლს მიუშვირა საბერვლები მძლავრად მქშინავი,
ერთბაშად ოცმა საბერველმა ხახა დააღო,
ააბრიალა მყისვე ალი ძალუმმა სუნთქვამ.
ხან უბერავდნენ მთელი ძალით, ხან წყნარად ქშენდნენ
მქმნელის ნების და ქმნილი საქმის შესაბამისად.
აბობოქრებულ ცეცხლში ჩადო სპილენძის ზოდი,
ბრპენი ჩააგდო, შემდეგ ვერცხლი, ბაჯაღლო ოქრო.
კუნძზე რომ გრდემლი დაამაგრა, მარჯვენა ხელში
ურო აიღო, მეორეში მაშა ეჭირა.
ჯერ გამოჭედა მტკიცე ფარი, უზარმაზარი,
ირგვლივ ლამაზად მოახატა ზეცის კამარა,
სამმაგი თაღი, ვერცხლისფერი ღვედით შეამკო.
ხუთი ფურცელი ჰქონდა იმ ფარს და შუაგულში
ღმერთს საოცარი, ათასგვარი რამ აესახა,
აქ იყო მიწაც, ზღვაც და ზეცაც უკიდეგანო,
მზე _ გზაუზომო, სავსე მთვარე, ყველა ვარსკვლავი,
ცარგვალს რომ ამკობს სილაღით და მშვენიერებით,
პლეადები და ჰიადები, ორიონ, არკტოს,
რომელსაც ეტლსაც უწოდებენ ხოლმე სხვაგვარად.
იგი ორიონს თან დაჰყვება და მიწყივ ბრუნავს,
მაგრამ არასდროს შეხებია ზვირთს ოკეანის.
ორი ქალაქიც გამოსახა მტკიცედ ნაგები,
ერთში ნადიმი და ქორწილი გამართულიყო,
გაჩახჩახებულ სასახლიდან ქალაქის ზღურბლთან
მიაცილებდნენ საქორწინო სიმღერით ქალწულს.
ყმაწვილთ გუნდ-გუნდად გაუმართავთ ფერხული, ისმის

ხმა ფორმინგის და სალამურის. შესციცინებენ
მათ ღირსეულნი ბანოვანნი ჭიშკართან მდგომნი.
იქით მხარეს კი უამრავი ხალხი ირევა
ორ კაცს მკვლელობის საზღაურზე დავა ჰქონიათ.
ერთი ფიცსა სდებს და უცხადებს ხალხს, რომ მთლიანად
გადაიხადა, მეორე კი მტკიცედ უარყოფს.
გადუწყვეტიათ, გადაეჭრათ მოწმეებს დავა,
ხალხი ყაყანებს, თავისიანს ემხროზა ყველა.
მაცნე ბრბოს აცხრობს, უხუცესნი ქალაქისანი
წყნარად თლილ ქვებზე ჩამომსხდარან წრის შუაგულში.
მჟღერხმიან მაცნეთ მიუციათ მათთვის კვერთხები,
ერთი მეორის მიყოლებით მსჯავრს წარმოთქვამენ.
წრეში დევს ოქრო მოელვარე, ორი ტალანტი
მისთვის, ვინც უფრო სამართლიან მსჯავრს გამოიტანს
მეორე ქალაქს შესევია ორი ლაშქარი,
ელვარებს მათი საჭურველი. ორი რამ უნდათ:
ციხის დაქცევა, ან არა და წილად მიღება
თვით მცხოვრებთაგან ყველა სარჩო-საბადებელის.
ხოლო ისინი უაროზენ, ემზადებიან.
კოშკზე უშვებენ საყვარელ ქმრებს დედაკაცები,
ყმაწვილთ უსუსურთ და სიბერით დათრგუნვილ კაცებს
დიაცნი ცვლიან, არესი და პალასი ახლავთ,
ორივ ოქროსი, შემოსილი ოქროს სამოსით.
რა მშვენებაა! საჭურველიც _ რა დიდებული!
მართლა ნამდვილი ღმერთებია! ქვემოთ მებრძოლნი
მიდიან, სადაც ეგულებათ მყუდრო საფარი,
მდინარის პირას, აქ ჩანს ჯოგთა სარწყულებელი.
წყნარადა სხედან, თავს უმშვენებთ ელვარე რვალი,
ორი მსტოვარი მოშორებით ველს უთვალთვალებს:
ხომ არა ჩანსო ცხვრების ფარა, საქონლის ჯოგი?
მალე გამოჩნდა, ორი მწყემსი მიუძღვებოდა
და თან სალამურს აჟღერებდა, ვერ გრძნობდნენ მახეს
სწრაფად ესხმიან თავს წყლის პირას ჩასაფრებულნი.
ეკვეთებიან ხარებს და ცხვრებს ვერცხლისმატყლიანთ,
მწყემსებსა ჰკლავენ, იტაცებენ ჯოგსა და ფარას.
როგორც კი კოშკში ღრიანცელი შეესმა მხედართ,
გალავნის გუშაგთ, მსწრაფლ ამხედრდნენ ფიცხელ ცხენებზე,
სადაც განგაში ატყდა, გაჩნდნენ იქ მეყსეულად,
მხარიმხარ დადგნენ, წყლის ნაპირას გაჩაღდა ბრძოლა.
ერთურთს ეძგერნენ, სპილენძის შუბს მოცლა არა აქვს.
ღვარძლი, გნიასი და სიკვდილი ჯარს დაერია.
სიკვდილის ღმერთი ხან მომაკვდავს, ხან კი მოსაკლავს,

ხან მოკლულს ბრძოლის სარბიელზე ფეხით დაითრევს,
გაწითლებია კაცის სისხლით მკერდზე ქულაჯა.
როგორც ცოცხალი მებრძოლები, ისე იბრძვიან
შმაგი ღმერთები, დგამენ გორას სისხლიან გვამთა.
ფარზე ხატია ფართო ველი და ხოდაბუნი,
ფხვიერი, სამგზის გადახნული, მიწათმოქმედნი
უღელში გაბმულ მოზვრებს სვეზე ერეკებიან
და როცა ისევ მოუხვევენ ყანის სამანთან,
თვითეულს ღვინოს თასით აძლევს კაცი სალხინოს.
და ოდეს კვლავ სვეს თავიანთსას უბრუნდებიან,
ჩქარობენ _ ბოლოს გაიტანონ გუთნით ღრმა ხნული.
თუმც ხოდაბუნი ოქროსია, ხნული შავდება
და უკან რჩება. სასწაული რამ სურათია!
შემდეგ დახატა ყანა მაღალ თავთუხიანი,
მოპირულ ნამგლებს მომკელთ ხელში ბზინვა გაუდის.
ზოლ-ზოლად ხშირი თაველები მიწაზე ცვივა,
მარჯვედ კონავენ შემკვრელები ძნებად და ძნებად.
სამ-სამი მისდევს თითოეულს, უკან ბავშვები
თავთუხს თავთუხზე ამატებენ კონა-კონებად
და მათ აძლევენ. იქვე მოჩანს ყანის პატრონი
კომბალით ხელში, გულს სიამე შემოჰფენია,
შორს კი მსახურნი სუფრას დგამენ მუხის ჩეროში,
ხარი დაუკლავთ, ფუსფუსებენ, ხოლო დიაცნი
თეთრ ფქვილს მტკიცავენ, რომ მოასწრონ ტკბილი სამხარი.
ზემოთ მოხატა დახუნძლული ოქროს ვენახი,
მხოლოდ მტევნები კიაფობენ სურათზე შავად,
ვაზი უჭირავს ვერცხლის ჭიგოს. ვენახთან ახლოს
მუქლურჯი თხრილი და ბრპენისგან თეთრი კედელი
გამოსახულა. ვაზებს შუა ვიწრო ბილიკზე
ჩანან მზიდველნი. რთველი არის ბარაქიანი.
ქალწულთ და ყმაწვილთ გული უცემთ ლხენით და შვებით
სავსე გიდელით როცა მიაქვთ ტკბილი ნაყოფი.
იმათ შორის დგას მშვენიერი ერთი ჭაბუკი,
წკრიალა ფორმინგს რომ აჟღერებს და ტკბილად მღერის,
ჭაბუკის გვერდით მოხდენილად როკავენ ყრმანი.
დგას ჟრიამული, ჟღერს სიმღერა, ქუხს საფერხისო.
იქავე ჯოგი მოჩანს ხართა, რქებმომართულთა,
ზოგი ოქროთი, ზოგიც ბრპენით გამოძერწილი.
გამოცვენილან ძელყორიდან იალაღისკენ,
შმაგი მდინარის ლელიანი ნაპირის გასწვრივ.
ოქრონაძერწი ოთხი მწყემსიც ახლავს საქონელს
და ცხრა ნაგაზი. მალემსრბოლი თანვე მიჰყვება.

ჯოგს დასცემია ორი ლომი ხშირფაფრიანი,
აბღავლდა კურო, დაითრია ოდეს ნადირმა.
საშველად მწყემსნი გამორბიან და ქოფაკებიც,
ლომებს კი ხარის ტყავი უკვე აუგლეჯიათ,
დასწაფებიან სისხლს, შიგნეულს, მწყემსნი ამაოდ
მათ მიუქსევენ ფეხმარად ძაღლებს შესაშინებლად.
თვით ეშინიათ ძაღლებს, კბილს ვით დააკარებენ:
ერთს რომ წკავწკავით შეუყეფენ, გარბიან ისევ.
შემდეგ მოხატა იალაღი ამფიგიევსმა,
ცხვრის ფარა, თეთრად მოქათქათე მშვენიერ ხევში,
ცხვრების ფარეხი და კარვები მათი მწყემსების.
შემდეგ ჰეფესტომ დაამშვენა ფარი ფერხულით,
ისე ლამაზით, როგორც წინათ კნოსოსში შექმნა
დაიდალოსმა თმამშვენიერ არიადნესთვის,
ყრმანი და მრავალმზითვიანი ქალიშვილები
ცეკვავენ, ხელნი სიყვარულით გადაუხლართავთ,
ქალწულთ ამშვენებთ ჩითის კაბა, ყმაწვილთ _ ქიტონი,
და სისპეტაკით და სისწრაფით გაბრწყინვებულან.
გოგოებს ყვავილთ გვირგვინები ალამაზებენ,
ბიჭებს კი ოქროს სატევარი ვერცხლის ღვედებზე.
ისე ცეკვავენ, ისე მარდად შებრუნდებიან,
ისე მსუბუქად, როგორც ჩარხში მარჯვე ბორბალი.
როცა გამოსცდი _ კვლავ ადვილად ბრუნავს თუ არა.
ხან იშლებიან, მიჰყვებიან ერთიმეორეს.
ხალხი გუნდს ირგვლივ მოსჯარვია მომჯადოებელს
შესჩერებია ნეტარებით ჩამდგარს შუაში
ორ ლამაზ ყმაწვილს, საფერხისო სიმღერის დამწყებს.
იქვე მდინარე ოკეანის ძალაც ასახა,
ზედა სალტესთან შემოავლო ფარს საუცხოოს.
როს მოამთავრა მოხატული, ვეება ფარი,
იწყო ალივით მოელვარე ჯავშნის გაჭედვა
ჰეფესტომ. შემდეგ მუზარადი, პელიდის სარგო
მოხატა, ზემოთ ოქროს ჯიღა დაადგა ღმერთმა..
მოქნილ ბრპენისგან გაუკეთა საბარკულები.
როცა ბოლომდე გამოჭედა აბჯარ-ბექთარი,
პელიდის დედას დაულაგა ამფიგიევსმა.
თოვლით მოვერცხლილ ოლიმპოდან ვით შევარდენი,
მოაქროლებდა მოელვარე საჭურველს დედა.

ქება ოცდამეორე

[ჰექტორისა და აქილევსის ორთაბრძოლა]

... აქილევსი მოქროდა მისკენ,
ვით ღმერთი ჩაჩქანმოელვარე _ ენიალიოს.
მარჯვენა მხარზე შუბი ჰქონდა პელიონური,
თვალის მომჭრელად ელვარებდა სპილენძის შუქი,
როგორც კოცონი მოგიზგიზე, როგორც დილის მზე.
ჰექტორი შიშმა აიტანა, აღარ შეეძლო
ცდა, ბჭეს მოსცილდა და გაიქცა ზარდაცემული.
მიჰყვა პელიდიც, გმირს სიმარდის იმედი ჰქონდა.
ვით შევარდენი, ფრთოსანთ შორის ყველაზე სწრაფი,
ენით უთქმელი ძალით ქედანს გამოენთება,
გვერდზე ფრთხიალით გასხლეტილ ჩიტს ყივილით ისევ
ქვემოდან უვლის, ხან ზემოდან, აცხრება ხარბად. _
ისე მისდევდა შეძრწუნებულ ჰექტორს პელიდი,
ტროის გალავნის ირგვლივ მარდად მიჰქროდა იგი.
ლელვის ხის ახლოს, ბორცვთან, სადაც მუდამ ქრის ქარი,
საურმე გზაზე, ციხიდან შორს მიისწრაფოდნენ,
მიადგნენ ლამაზ ჩქერებიან წყაროს გმირები,
სად სკამანდროსის ტალღებს ერთვის ორი ნაკადი.
ერთი წყაროდან მოჩუხჩუხებს სულ თბილი წყალი,
ორთქლი გადასდის, ვით მზეს ლიბრი აალებული,
მეორე ცივად მოწანწკარებს თიბათვეშიაც,
ვით წყალ-კრისტალი, ვით ყინული, ვით თეთრი თოვლი.
ზედ წყაროსთვალთან ქვის ორი ღრუ ამოუკვეთავთ
ფართო და თლილი. იქ ქათქათა კვართთა სარეცხად
ტროელთ ცოლები და ასულნი მშვიდობიან დროს,
აქაველთ ძეთა შემოჭრამდე, იკრიბებოდნენ.
წყაროს მიადგნენ დევნილი და მისი მდევარიც.
ილტვოდა მძლავრი, მაგრამ უფრო მძლავრი მისდევდა.
განა ზვარაკზე, ხარის ტყავზე ჰქონდათ ცილობა,
როგორც სჩვევიათ ასპარეზზე მორბენალ ბიჭებს,
არა, ჰექტორის სულს ერთმანეთს ეცილებოდნენ!
მოკლულთა გმირთა სადიდებლად გამართულ დოღზე
სამანს ჭენებით მსწრაფლ მოუვლის ხოლმე მხედარი,
მოწიფულ დიაცს, ან სამფეხას მოელის ჯილდოდ.
მის მსგავსად სამგზის წრე დაარტყეს პრიამეს ციხეს
შეუჩერებლივ. ყველა ღმერთი მათ შესცქეროდა
და ასე ბრძანა ღვთაებათა და კაცთა მამამ:
“ვაგლახ! საყვარელ ვაჟკაცს ციხე-ქალაქის ახლოს
ვხედავ ოტებულს, ჩემი გული დარდმა გამსჭვალა!

ჰექტორი, კაცი სულნათელი, ხბოს მსუყე ბარკლებს
იდაზე ხშირად სწვავდა ჩემთვის ნელსურნელოვანს.
დღეს ღვთაებრივი აქილევსი, შმაგი მდევარი,
მიელტვის ჰექტორს პრიამოსის ციხის კედლებთან.
ღმერთებო! ახლა გადაწყვიტეთ, თქვენს გულსა ჰკითხეთ:
ბოლოს და ბოლოს სიკვდილისგან ვიხსნათ ჰექტორი,
თუ პელევსის ძეს, გმირ აქილევსს ვარგუნოთ ძლევა?”
ზევსს უპასუხა მყის პალასმა თვალებბრიალამ:
“მეხთამცემელო მამავ, რა თქვი, შავღრუბლიანო?
მოკვდავი კაცი, განწირული ავ ბედისწერით,
გნებავს, რომ სიკვდილს აცდინო, ყოველთა მმუსვრელს?
ნება ყავ! მაგრამ ყველა ღმერთი თავს არ დაგიხრის!”
მყის უპასუხა კრონიონმა ღრუბელთმარეკმა:
“ჩემო ასულო, საყვარელო ტრიტოგენია!
გულის კარნახით როდი ვამბობ შენი მოწყალე,
ნება ყავ და გულს რაც უნდოდეს, იგი ინებე!”
თქვა და შეჰმატა ცეცხლი ისეც გაგულისებულს,
ოლიმპოს მთიდან გადმოფრინდა ათენა უმალ.
ამ დროს პელიდი კვლავ მისდევდა ფეხდაფეხ ჰექტორს.
როგორც მთის ძირას ძაღლი ირემს გამოენთება,
როს წამოაგდებს, ძეძვნარებში და ღრანტეებში
საშველს არ აძლევს, შიშით ბუჩქის ქვეშ მიყუჩებულს,
გუმანით ეძებს, სულ წრიალებს, ვიდრე მიაგნებს.
ასე ჰექტორიც პელეიონს ვერ დაემალა.
მრავალგზის სცადა, დარდანელთა ბჭეს მიღწეულმა,
შევარდნილიყო კოშკმაღალი გალავნის შიგნით,
სადაც ტროელნი დაიცავდნენ მშვილდშემართულნი.
იმდენგზის გმირმა აქილევსმა გზა გადაუჭრა,
ბჭესთან უყელა და მინდორი დაუთმო სრბოლად.
ძილისშორისში კაცი კაცს რომ ამაოდ მისდევს,
ერთი ვერ გარბის, ვერც მეორეს გაუდგამს ფეხი,
ასევე ვერც ეს წასწევია, ვერც ის გაურბის.
მაგრამ თავს როგორ დააღწევდა ჰექტორი სიკვდილს,
რომ აპოლონი გმირის შემწე არ ყოფილიყო?
იგი აძლევდა ძალასაც და ფერხთა სისწრაფეს.
ხოლო ღმრთეებრი აქილევსი სპას უკრძალავდა _
მწარე ისრები ჰექტორისთვის რომ დაეშინათ,
ვინძლო დიდება არ მიხდოდა დაგვიანებულს.
მაგრამ მეოთხედ წყაროებთან რომ მიირბინეს,
ოქროს სასწორზე ორი წილი დააწყო მამამ.
სიკვდილის წილი, მარადიულ ძილის მომგვრელი,
ერთწილ ჰექტორის, მეორეწილ აქილევსისა.

მაღლა ასწია. ჩამოქანდა ჰექტორის პინა
ძირს, ჰადესისკენ... ფოიბოსიც მოსცილდა მოყმეს,
ხოლო აქილევსს მყის ათენა გამოეცხადა,
ახლოს მივიდა, მიაგება სიტყვა ფრთიანი:
“ზევსის რჩეულო აქილევსო, ახლა კი ვგონებ,
აქაველთ გემებს მივანიჭებთ სახელ-დიდებას:
ჰექტორს გავგმირავთ გაუმაძღარს ომით და სისხლით.
ამიერიდან ჩვენს მარჯვენას ვერ დაუსხლტება,
ბევრიც ეცადოს აპოლონი შორსმოისარი,
მოყმე მიწაზე განირთხმება ზევსის წინაშე.
შენ შეისვენე, დადექ, გმირო, მე შეგახვედრებ,
დავიყოლიებ ფეხმარდ გმირთან შესარკინებლად”.
ათენას ნათქვამს სიხარულით უსმინა მოყმემ,
იფანს დეყრდნო მოელვარეს, რვალისწვერიანს.
ღვთაებრივ ჰექტორს დაეწია მყისვე ქალღმერთი,
ხმით და სახითაც დეიფობოსს მიმსგავსებული,
წინ გადაუდგა და ფრთიანი სიტყვით მიმართა:
“გმირო, აქილევსს რა სასტიკად დაუჯაბნიხარ,
რომ ციხის ახლოს მოგდევს აგრე გაშმაგებული!
შეჩერდი, შედექ! მტერს უშიშრად აქ შევეგებოთ!”
მიუგო ჩაფხუტმოელვარე გმირმა ჰექტორმა:
“ო, დეიფობოს, ყრმობიდანვე ჩემს ძმათა შორის,
პრიამოსისა და ჰეკაბეს შობილთა შორის,
შენ შეგხაროდი! ახლა მმართებს უფრო მიყვარდე!
შენ ხომ ჩემ გამო, როს მიხილე მარტოშთენილი,
კოშკი დატოვე, ხოლო სხვები გოდოლში სხედან!”
ისევ მიუგო თვალმცეცხლია ათენამ ჰექტორს:
“მევედრებოდნენ დიახაც რომ მამაც და დედაც,
მუხლთ მეხვეოდნენ, მეგობრებიც მევედრებოდნენ _
ჩვენთან დარჩიო: შიშმა ასე მოიცვა ყველა.
მაგრამ მე გული მიკვდებოდა შენ გამო დარდით.
დავდგეთ და მომხვდურს შევეგებოთ, ნუ დავიშურებთ
შუბსა და სათხედს! აბა ვნახოთ, შეძლებს პელიდი _
ორივ დაგვამხოს, სისხლიანი დავლა ხელთ იგდოს?
თუ შენი შუბით განგმირული დაშოშმინდება?!”
ასე უთხრა და ვერაგულად წინ წადგა ღმერთი.
მაშინვე გმირნი საბრძოლველად შეხვდნენ ერთმანეთს.
პირველად პელიდს ჰრქვა ჰექტორმა ზუჩმოელვარემ:
“პელევსის ძეო.. არ ვაპირებ აწ უკუქცევას!
სამგზის გაგექეც ციხის გასწვრივ, ვერ გაგიბედე
შეგრკინებოდი, მაგრამ ახლა კი გული მითქვამს _
ბრძოლად გამოგყვე. ან მე მოგკლავ, ან შეგაკვდები!

ღმერთებს მოვიხმობ მოწმედ, უკეთ ვერ შეძლებს ვერვინ,
რომ შემინახოს ზენაარი, ფიცი, პირობა:
არ შეგილახავ სხეულს, თუკი ზევსი მარგუნებს
ძლევას, ოდეს სულს ამოგართმევ ელვარე რვალით.
აბჯარს აგაგლეჯ სახელოვანს, ხოლო აქაველთ
გვამს მივცემ და შენც ეს პირობა ხამს შეასრულო”.
რისხვით შეხედა და შეჰყვირა გმირმა ფეხმარდმა:
ჰექტორ, პირობას ნუ მთავაზობ, მტერო ზვიადო!
ლომთა და კაცთა შორის კავშირს განა რა შეკრავს,
არც მგლებს და კრავებს უკარნახებს გული თანხმობას,
მუდამ ბოროტად ზღვევა მართებთ მტრად მოკიდებულთ.
ჩვენც სიყვარული აღარ ძალგვიძს, არც ერთი სიტყვა,
სათნო პირობა ჩვენ არ გვეთქმის! სანამ ერთ-ერთი
თავისი სისხლით არ გააძღებს მძვინვარე არესს!
გიჯობს ყოველი გაიხსენო ზნე სამამაცო,
იყო მებრძოლი შუბოსანი და უშიშარი!
ვეღარ წამიხვალ, ჩემი შუბით მალე ათენა
დაგაშოშმინებს და ერთბაშად ვალს გადამიხდი,
რაც გამამწარე მეგობართა ჩემთა შემუსვრით!”
თქვა და გასტყორცნა გმირმა შუბი გრძელჩრდილიანი.
დროზე შენიშნა, აიცდინა იგი ჰექტორმა:
მსწრაფლ დაიხარა, თავს ზემოდან გადაფრენილი
მიწას ჩაერჭო შუბისწვერი. მაგრამ ათენამ
გმირს დაუბრუნა, თუმც ხალხთა მწყემს ჰექტორს ეს მაშინ
არ შეუნიშნავს. მხნედ შესძახა ჰექტორმა პელიდს:
“ამაო იყო შენი დარტყმა! უკვდავთ სადარო,
ვერ გაგიგია ჩემი ბედი, თუმც მაუწყებდი,
ყოფილხარ ყბედი და ცბიერი! გინდოდა, ალბათ,
რომ ამ სიტყვებით წამრთმეოდა სულაც მხნეობა!
არა, სილტოლვას არ ვაპირებ, პირისპირ გიმზერ
და ზურგში ოროლს ვერ მომაწვდენ! გამიპე გული,
თუ ღმერთს ეს უნდა! მაგრამ ამ ჩემს შუბსაც ერიდე!
ნეტავ სპილენძი შენს სხეულში მთლად ჩაიმარხოს!
ტროელთა ბრძოლა სისხლისმღვრელი უფრო ადვილი
მაშინ იქნება, როცა მოგსპობ მათს მტერს მძვინვარეს!”
თქვა და ძალუმად სტყორცნა შუბი გრძელჩრდილიანი.
ვერრა დააკლო, შუა ფარში მოარტყა პელიდს,
შორს აისხლიტა შუბი ფარმა. შეწუხდა გმირი,
იგრძნო, თუ როგორ მოეცარა ხელი ამაოდ.
თვალი დახარა, აღარ შერჩა უკვე ოროლი.
ხმამაღლივ უხმო შემწედ ერთგულ ძმას დეიფობოსს.
სხვა შუბი სთხოვა. სადღა იყო დეიფობოსი!

ჰექტორი მიხვდა, გულმა უგრძნო და შეღაღადა:
“ვაიმე! უკვე სასიკვდილოდ მიხმეს ღმერთებმა!
დეიფობოსი მე ჩემს გვერდით მეგულებოდა,
ის კი კოშკშია: შემაცდინა ისევ ათენამ.
ჩემს გვერდით მხოლოდ სიკვდილია! ხსნა არსით არის!
უეჭველია, თვით ღმერთებმა განსაჯეს ასე:
ზევსმა, ზევსის ძემ აპოლონმა. ადრე მოწყალეთ
ბევრჯერ მიშველეს და, ჰა, ბედმა მიწია ბოლოს!
მაგრამ უაზროდ, უსახელოდ სულს როდი დავთმობ,
ისეთ საქმეს ვიქმ, რომ ხმა მისწვდეს შთამომავლობას!”
ასე წარმოთქვა და იშიშვლა მყის ორლესული,
მარცხენა მხარეს რომ ეკიდა მძიმე, ვეება,
ისე გაიჭრა, ვით არწივი ცად მოლივლივე,
მრუმე ღრუბლიდან დაბლობისკენ რომ დაეშვება,
ხუჭუჭა ტარიგს, დამფრთხალ კურდღელს დახარბებული.
მას ჰგავდა ჰექტორ, ხმალს იქნევდა სიკვდილის მთესველს.
შემოეგება აქილევსიც გაშმაგებული.
მკერდის წინ ფარი მოხატული ეჭირა ფეხმარდს,
თავზე ჩაფხუტი კიაფობდა ოთხსალტიანი,
ზედ უელავდა სხივნათელი ოქროს ფაფარი,
ჰეფესტომ ჯიღას რომ მოასხა, მოაგვირისტა.
ვით ვარსკვლავთ შორის ღამის ბნელში ბრწყინავს ვარსკვლავი
ჰესპეროს, ზეცად უნათლესი და უტურფესი,
ისე ელავდა აქილევსის ხელში ოროლი,
ღვთაებრივ ჰექტორს სვეს საშინელს რომ უქადოდა.
ეძებდა ადგილს დასარტყმელად მშვენიერ ტანზე,
მაგრამ აბჯარი გმირს იცავდა რვალით ნაჭედი,
რომელიც ერგო მამაც ჰექტორს, პატროკლეს მძლეველს
მხოლოდ იქ, სადაც ყელი ჩანდა, ხორხის ნაწილიც
იყო შიშველი, სული სიკვდილს ვერ აიცდენდა.
მიეჭრა გმირი აქილევსი, დასცა ოროლი,
და შიგ თეთრ ყელში გაიარა ბასრმა ბუნიკმა,
ოღონდაც ხორხს არ შეხებია მწვავე სპილენძი,
ჰექტორს მომაკვდავს რამდენიმე სიტყვა რომ ეთქვა.
დაეცა მოყმე და შესძახა მას აქილევსმა:
“ჰექტორ! პატროკლეს მკვლელს სიცოცხლის იმედი გქონდა,
ბრძოლიდან გასულს აღარ მთვლიდი საშიშ მეტოქედ?
რას მოხვიდოდი ძალით ჩემთან, შურისმგებელთან.
თუმც უქმად გემთან ვიდექ შენთა მუხლთა მსხვრეველი!
აწ დაგკორტნიან სვავნი, ხოლო ძაღლნი დაგფლეთენ,
გმირ პატროკლეს კი დაკრძალავენ აქაველები!..”
მას სულამოთქმით ძლივსღა უთხრა გმირმა ჰექტორმა:

“შენს სულს გაფიცებ ძირს განრთხმული, შენთა მშობელთა!
აქაველთ ძაღლებს ნუ მიუგდებ ჩემს გვამს საჯიჯგნად!
სპილენძი, ოქრო, რამდენიც გსურს, გამოითხოვე
გამოსასყიდად, მოგართმევენ მამა და დედა,
ოღონდ ციხეში დამაბრუნე, რომ კოცონს მიმცენ
და პატივი მცენ ტროელთა და ტროელთ დიაცთაც”.
პირქუშად უთხრა აქილევსმა სულთმობრძავ ჰექტორს:
“ამაოდ, ძაღლო, მუხლთ მეხვევი, მშობელთ მაფიცებ!
რისხვას რომ ავყვე, თვით დაგგლეჯდი ნაწილ-ნაწილად,
ჯერ კიდევ თბილ ხორცს ვიგემებდი, ისე მომეპყარ!
არა, შენს სხეულს კაცისშვილი ვერ მოაცილებს
დამშეულ ძაღლებს, თუნდაც ათჯერ ან თუნდაც ოცჯერ
ძვირფასად მიზღან და იმდენიც დამპირდნენ კიდევ!
პრიამოს მეფემ შენი წონა ოქროც რომ მომცეს,
მაინც ჰეკაბე დედოფალი ძის დაბადებას
ვერ დაიტირებს სასიკვდილო სარეცლის გვერდით.
შენს გვამს სვავები დაკორტნიან, ძაღლნი დაფლეთენ!”
უთხრა ჰექტორმა სულთმობრძავმა ფეხმარდ აქილევსს:
“მე ხომ გიცნობდი, გული გრძნობდა, ვერ მოგალბობდი
ხვეწნა-ვედრებით: შენ ხომ რკინის გული გაქვს მკერდში!
ძრწოდე, მძლეველო, რომ ღვთის რისხვად არ მოგევლინო,
როცა პარისი და აპოლონ შორსმოისარი,
რაც უნდა ძალას იკვეხნიდე, ბჭესთან დაგცემენ!”
ასე მოუბარს დაეუფლა შავი სიკვდილი:
სული, ბაგიდან აფრენილი, ჰადესს ჩაეშვა...

ქება ოცდამეოთხე

[მეფე პრიამოსისა და აქილევსის შეხვედრა]

კარავში შედის შეუმჩნევლად. პრიამე პელიდს
ფერხთ უვარდება, მუხლთ ეხვევა, უკოცნის ხელებს,
მის ნაშიერთა, მრავალ შვილთა მკვლელ საზარ ხელებს.
ოდეს მამაცი სამშობლოში ცოდვას ჩაიდენს _
კლავს ვისმე, ილტვის, უცხო ტომთან მიეშურება,
მძლავრს ეკედლება, განცვიფრებით მას შეხვდებიან.
ასე გაოცდა აქილევსიც, როს ღვთაებრივი
პრიამოს ნახა. განცვიფრებით ერთიმეორეს
შესცქერის ყველა. პრიამოს კი ღაღადებს ასე:
“უკვდავთ სადარო აქილევსო, მოიგონებდე
მამას, ჩემსავით სიბერის ზღურბლს მიწვენილს, მხცოვანს!
ვინ იცის, ახლა გარს ეხვევა ეგეების მტერი,
არვის არ ძალუძს იხსნას იგი განსაცდელისგან.

მაგრამ შენ როცა ეგულები, ხარობს ის შენით
და ცისმარე დღე იმედი აქვს შვილთან შეხვედრის,
როცა ტროიდან დაბრუნდები სამშობლო მხარეს.
მე კი _ უბედურს დამიზრდია აბჯარასხმულნი
ძენი ტროაში, მათგან ერთიც არ შემრჩენია!
ორმოცდაათი შვილი მყავდა აქაველების
შემოსევამდე. ათცხრამეტი _ ერთი დედისგან,
დანარჩენები სხვა ძვირფასმა შობეს ცოლებმა.
ბევრ მათგანს, ბედკრულს, გადუმსხვრია არესმა მუხლი.
ერთიღა დამრჩა, ის იცავდა ქალაქს და მცხოვრებთ,
შენ ისიც მოკალ _ სამშობლოსთვის მებრძოლი გმირი,
ჩემი ჰექტორი! აქაველთა გემებს ვეწვიე:
მსურს დიდძალ განძით დავიბრუნო მისი სხეული.
ო, ღმერთებს ეცი პატივი და გებრალებოდე.
გახსოვდეს მამა, მე ხომ უფრო შესაბრალი ვარ:
მოვესწარ, ქვეყნად არავის რომ არ მოსწრებია _
ჩემი შვილების მკვლელს ვუკოცნი საზარელ ხელებს...”
ასე უთხრა და გულსაკლავი ფიქრი აღუძრა,
მან ხელი ჰკიდა მოხუცის მკლავს, გვერდზე გასწია.
ორივ მიეცა მოგონებას, პრიამოს ცხარედ
შვილს დასტიროდა აქილევსის ფეხქვეშ განთრხმული,
აქილევსი კი მშობელსაც და ძმობილს პატროკლეს.
გულამოსკვნილი მოთქმა მათი ისმოდა ირგვლივ.
გული იჯერა აქილევსმა ცრემლების ფრქვევით,
და რა გაულღვა დამდაღველი სევდა-ნაღველი,
მყისვე წამოდგა და მოხუცი წამოაყენა
თეთრი თმა-წვერის სისპეტაკით გულმოლბობილმა.
ასე დაიწყო და მიმართა ფრთიანი სიტყვით:
“ბედშავო კაცო! რამდენ ვარამს გაუძლო გულმა,
როგორ გაბედე აქაველთა გემებთან მოსვლა,
მასთან, ვინც მრავალ შენს ნაშიერს მოუღო ბოლო?
მოხუცო, მკერდში თურმე რკინის გული გქონია!
მაგრამ დამშვიდდი, აქ ჩამოჯექ, მეფევ, სვიანო!
გულში ჩავიკლათ მწუხარება და გავიყუჩოთ.
რას გვარგებს ცრემლი და ქვითინი გულისმომკვლელი?
ღმერთებმა, ყოვლის შემძლეებმა, ბედშავ მოკვდავებს
დარდი დაგვითმეს: უდარდელი მხოლოდ ღმერთია!
კრონიდის ზღურბლთან ძღვენით სავსე ორი ყუთი დევს,
ერთი ბედნიერთ მიეცემა, მეორე _ ბედკრულთ.
ვისაც შეურევს ორგვარ ჯილდოს ზევსი დიადი,
შეხვდება დარდიც და დროდადრო შვებასაც ჰპოვებს.
ვისაც ბედკრულთა წილს არგუნებს, განწირულია,

გულისმომკვლელი გასაჭირი არ მოშორდება,
ღმერთნი ხელს კრავენ, მიწისშვილნი შეიძულებენ.
ღვთის საჩუქარი პელევსმაც ხომ უხვად მიიღო
სიყმაწვილის ჟამს, ადამიანს ყველას სჭარბობდა
სიმხნით, სიუხვით _ მესვეური მირმიდონელთა.
მოკვდავს მეუღლედ უკვდავებმა ქალღმერთი მისცეს.
მაგრამ მასაც კი ღმერთმა ავი ხვედრი არგუნა _
შინ აღარა ჰყავს ნაშიერი, ძე და მემკვიდრე.
ერთი ვაჟი ჰყავს და ისიც დღემოსწრაფებული...
დღემდე მოხუცს მე შვებას ვერ ვგვრი: შორს სამშობლოდან,
ტროაში, ვებრძვი შენიანებს და შენ, მოხუცო!
ვიცი, მსმენია, შენც ოდესღაც იყავ მორჭმული.
რამდენ ტომს იტევს მაკარიის ლესბოსის მხარე,
ნაყოფიერი ფრიგია და თვით ჰელესპონტი, _
შენზე ამბობენ _ სიმხნით ყველას დასჯაბნიდაო.
მაგრამ ღმერთებმა შენც გაწვნიეს უბედურება,
ტროის გარშემო საზარ ბრძოლას ბოლო არ უჩანს.
გული იჯერე, უსაზღვრო დარდს ნუ მიეცემი:
შვილს რას მოუტან მგლოვიარე. შენი ცრემლებით
მკვდარს ვერ აღადგენ, მარტოოდენ ჭირს გაიმრავლებ!”
მას კვლავ მიუგო ღვთაებრივმა მეფე პრიამემ:
“რა დამაყენებს, ღვთის რჩეულო, სანამ ჰექტორი
დაუკრძალავი მისვენია! მომეცი ნება
ერთხელ შევხედო უბედურმა! მიიღე საზღო:
აქ მოგიტანე, დატკბი, გმირო, კეთილი გქონდეს
გზა მშობლიური მხარისაკენ! ხომ მიწყალობებ
ბებერს სიცოცხლეს და მზის ციაგს მანათობელსა!..”
მოხუცს მრისხანედ უპასუხა გმირმა ფეხმარდმა:
“ნუ განმარისხებ, თვითონ ვიცი, დიდიხანია
მმართებს ჰექტორის დაბრუნება. ზევსის სურვილი
მაცნობა დედამ, ზღვის მოხუცი მეფის ასულმა.
ვერ დამიმალავ მე, პრიამოს, ღვთაების ნებამ
შენც აქაველთა ხომალდებთან რომ მოგიყვანა.
ვერ გაბედავდა კაცი, თუნდაც სიყრმით გზნებული,
ბანაკში მოსვლას, ფხიზელ მცველებს ვერ გასცდებოდა
და კარიბჭეზე ვერც იოლად გასწევდა ურდულს.
იყუჩე ახლა და გულის წყლულს ნუ განმიახლებ!
ნუთუ შენ ფიქრობ, მავედრებელს ხელსა გკრავ, მოხუცს,
და თვითნებურად კრონიონის ნებას გადავალ?”
ასე თქვა. შეკრთა პრიამოსი და გაუყუჩდა,
ლომივით სწრაფად წამოიჭრა გმირი აქილევს,
კარებს მივარდა, თანვე მიჰყვა ორი მეაბჯრე _

ავტომედონტ და ალკიმოსი, მოძმეთა შორის
პატროკლეს შემდეგ მათ ყველაზე მეტად სწყალობდა.
მოსართავები მოხსნეს ცხენებს, შემოიყვანეს
კარავში მეხმლე მოხუცისა. დასვეს ვაჟკაცი.
მეფურ საზიდრით მოტანილი განძი დააწყვეს _
გმირი ჰექტორის უთვალავი გამოსასყიდი.
მხოლოდ დატოვეს მოსასხამი ორი, ქიტონიც,
რომ შემოსილი გაეგზავნათ ტროას ცხედარი.
გმირმა უბრძანა მონა-ქალებს გვამის განბანა,
ნელსაცხებლებით დამშვენება, ისე რომ მამას
არ დაენახა: ვაი თუ მას განარისხებდა
შვილის იერი! ეგებ მაშინ ღვთის უნებურად
აქილევსს ხელიც აღემართა ბედშავ მოხუცზე.
განბანეს გვამი და განპოხეს მშვენიერ საცხით
მონა-ქალებმა, მოსასხამი გადააფარეს,
და აქილევსმა სარეცელზე თვით დაასვენა,
მეგობრებმა კი მოათავსეს ელვარე ეტლზე.
მაშინ პელიდმა სულთქმნა, გლოვით შესძახა მოძმეს:
“ძმაო პატროკლევ, ნუ დამძრახავ, პირქუშ ჰადესში
თუ ხმა მოგწვდება, ღვთაებრივი ჰექტორის გვამი
რომ დავუბრუნე მამას! დიდი საზღო გაიღო
და შენ ზვარაკად შემოგწირავ წილს იმ განძიდან!”
ასე თქვა. კარავს დაუბრუნდა კვლავ აქილევსი.
დაეშვა ლამაზ სავარძელში, რომელსაც წეღან
მოსცილდა უცბად წამომდგარი. მიმართა მოხუცს:
“ძე დაგიბრუნდა, ვით გენება, წევს სარეცელზე
უცხოდ მორთული, სისხამ დილით გარეთ რომ გახვალ,
იხილავ თვითონ. მაგრამ ახლა გვმართებს ვახშამიც.
თვით ნიობემაც უბედურმა ვერ დაივიწყა
საზრდო, თუმც ერთად თორმეტივე შვილი დაკარგა:
ექვსი ასული საყვარელი, ექვსიც ჭაბუკი.
ბიჭები დასცა აპოლონმა ბასრი ისრებით,
ხოლო გოგონებს არტემისმა მოუღო ბოლო.
ლეტოს შეჰკადრა გაჯიბრება თურმე ნიობემ:
ის ორისა და მე კი მრავალთ მშობელი ვარო!
სწორედ იმ ორმა დაუხოცა მკვეხარას ყველა.
ცხრა დღე ეყარნენ... და არ იყო ამ ქვეყნად კაცი,
რომ დაეკრძალა: ქვად აქცია თავხედნი ზევსმა.
მხოლოდ მეათე დღეს დამარხეს ღმერთებმა მკვდრები.
გლოვით მაშვრალმა დედამაც კი ინება საზრდო.
ახლა ის არის სიპულოსის უდაბურ მთებში,
სადაც, ამბობენ, ნიმფებს უყვართ მღვიმე, როს ცეკვით

აქელოოსის ნაკადებთან გულს იჯერებენ.
იქ სატანჯველი სწვავს ნიობეს, ღვთისგან ქვად ქცეულს.
ჩვენც, ღვთაებრივო მეფევ, გვმართებს მივიღოთ საზრდო,
ძის დატირებას მოესწრები, რომ მიასვენებ
ტროაში, უხვად დაიღვრება ცხარე ცრემლები”.
თქვა და წამოდგა. თვითონ დაკლა თეთრმატყლიანი
ცხვარი და ოთხში ამოიღეს, როგორც წესია,
წვრილ-წვრილად დაჭრეს მეგობრებმა, შამფურს ააგეს,
ღადარში წვავდნენ. გადმოიღეს შემდეგ მწვადები.
ავტომედონტმა პური დადო ტაბლაზე ხონჩით,
გაუნაწილა აქილევსმა მეინახეებს.
ხელი მაშინვე გაუწვდინეს მორთმეულ საზრდოს
და როს იჯერეს გული თვისი სმითა და ჭამით,
დიდხანს უმზერდა პრიამოსი გაოცებული
პელიდს, ლამის თვით ღმერთიაო, ეჩვენებოდა
ასევე იყო აქილევსიც გაკვირვებული
მოხუცის სათნო სახითა და საამო სიტყვით.

თარგმანი რომან მიმინოშვილისა

ოდისეა

სიმღერა პირველი

მუზავ, უმღერე მრავლისმხილველ ვაჟკაცს, რომელმაც
ტროის დანგრევის შემდეგ ბევრი იხეტიალა,
მრავალი ტომის ქალაქსა და ადათს გაეცნო
და ტანჯვაც ბევრი განიცადა უსაზღვრო ზღვაზე.
გულით ეწადა, ეხსნა თავიც, თანამებრძოლნიც,
მაგრამ ვერ იქნა, ვერ დაიხსნა განსაცდელისგან,
მათ ხომ თვისივე უგნურებით დაღუპეს თავი _
ხარები დაკლეს უმეცართა ჰელიოს ღმერთის,
მანაც სანაცვლოდ დღე მოსტაცა დაბრუნებისა.
ამ ამბავთაგან გვითხარ რამე, ზევსის ასულო.
ყველა შინ იყო, გადაურჩა ვინაც დაღუპვას,
ვინც კი გაექცა ომის შფოთს და ზღვის მღელვარებას,
მხოლოდ ოდისევსს, შინ მიუსვლელს, ცოლის მონატრულს
ნიმფა კალიფსო აბრკოლებდა, დედაუფალი.
ქვაბს დაემწყვდია, მის ქმრობაზე მეოცნებესა.
და აჰა, დადგა წელიწადიც ჟამთა ბრუნვაში,
რაჟამს ღმერთებმა დაუდგინეს მას დაბრუნება
შინ, ითაკაზე, და ვერ ასცდა მაინც განსაცდელს,
თუმც უერთგულეს მეგობართა შორის იყო და

პოსეიდონის გარდა ღმერთი ყველა სწყალობდა.
ოდენ ის მტრობდა შინ მისვლამდე ღმერთკაცს ოდისევსს.
ღმერთი კი ამ დროს სტუმრებოდა ეთიოპიის
შორეულ მხარეს, კაცთ სამყოფელს ორად გაყოფილს,
მზის ამოსვლის და ჩასვლის კიდეს რომ ბინადრობდნენ.
ხართა და ცხვართა შესაწირვით გალაღებული,
გაშლილ სუფრასთან მოლხენით და განცხრომით იჯდა.
სხვა ღმერთნი ოლიმპს ზევსის ტაძრად შეჯარულიყვნენ.
დაიწყო სიტყვა ზევსმა, მამამ კაცთა და ღმერთთა.
სახელოვანი გაიხსენა სულით ეგისთე,
გულად ორესტეს რომ მოეკლა, აგამემნონიდს.
ამგვარ ფიქრებში მყოფი ზევსი მიმართავს ღმერთებს:
“ვაჰმე, რა ზნე ჭირთ მოკვდავთ, უცებ ღმერთს დასდონ ბრალი,
თავიანთ ყველა უბედობას ჩვენ მოგვაწერენ,
ბედით კი არა, თვის სიბრიყვით ჭირს ჩავარდნილნი.
თუნდაც ეგისთე _ ბედისწერის ნების გარეშე
ცოლი წაართვა ატრიდს, დაჰკლა ის შინ მისული,
თუმც ყოველივე უწყოდა მან, დროით ვაახლეთ
მასთან ჰერმესი შორსმჭვრეტელი, არგოსის მკვლელი,
რომ არ მოეკლა კაცი იგი, ცოლსაც დახსნოდა.
ვამცნეთ: “ორესტე შურს იძიებს ატრიდესათვის,
მომწიფებული ვით მემკვიდრე, რომ მოიხილავს
მამის კერიას”. ასე უთხრა ჰერმესმა ეგისთს.
მან არ ისმინა და ბოროტიც თავს დაიტეხა.
მაშინ შეჰკადრა ზევსს ათენამ თვალთინათინამ:
“მშობელო ჩვენო, ჰე, კრონიდე, ყოვლად ძლიერო,
ახია, ჭირი რაც შეემთხვა, ღირსია კიდეც.
ეგრე დაემხოს სხვაც ამგვარი საქმის ჩამდენი.
მაგრამ მე ხვედრი ოდისევსის მაფიქრებს ფრიად.
გვემულა იგი უთვისტომოდ, მარტო შთენილა
შორეულ კუნძულს, სად ჭიპია ზღვათა სივრცისა,
კუნძულს ხშირტყიანს, სად ქალღმერთის არის სავანე,
დაუნდობელი ატლანტისა, ვინაც მთელი ზღვის
სიღრმეებს იცნობს, და აკავებს იმ მაღალ სვეტებს
მიწას და ზეცას რომ გაჰყოფენ ურთიერთისგან.
მის ასულსა ჰყავს დარდით სავსე ის უბედური.
მარად აცდუნებს საალერსო მოთაფლულ ენით.
რათა ითაკა დაავიწყოს, ოდისევსი კი,
ნატრობს, მშობელი მიწის კვამლი ნახოს ოდენ და
სიკვდილს მოუხმობს. ნუთუ შენს გულს არ სწვდება სრულად,
მეფეო, მისი ხვედრი? განა შენთვის ოდისევსს
არ შეუწირავს არგოსელთა გემებთან მსხვერპლი

ტროის ვრცელ ველზე? რად ხარ, ზევსო, მასზე ნაწყენი?”
მისდა პასუხად ეს თქვა ზევსმა, ღრუბელთ ბატონმა:
“ასულო ჩემო, ეს რა სიტყვა დასცდა შენს ბაგეთ.
ვინ დაივიწყოს ღვთაებრივი, ბრძენი ოდისევს,
ვინაც მოკვდავთა ზე დგას ჭკუით, ვინც უკვდავ ღმერთებს
ცათა მეუფეთ შესაწირავს უძღვნიდა უხვად.
მხოლოდღა ერთი პოსეიდონ, მიწის მპყრობელი
გამწყრალა მასზე, რადგან კიკლოპს _ ღმერთებრ პოლიფემს
გამოუშანთა თვალი, ყველა კიკლოპთა შორის
უძლიერესსა, ვინაც მღელვარ ზღვის ბატონ-პატრონ
ფორკინეს ქალმა, თოოს ნიმფამ შვა, ჩასახული
პოსეიდონთან ბნელ ქვაბულში შეკავშირებით.
მიტომ ოდისევსს პოსეიდონ, მიწის მპყრობელი,
თუმც კი არა ჰკლავს _ სამშობლოსგან მოუწყვეტია
მოდი, ვიფიქროთ, ყველამ ერთად, როგორღა შევძლოთ
შინ დავაბრუნოთ, დავამშვიდოთ პოსეიდონი.
არავის ძალუძს ერთად-ერთსა, რომ წინ აღუდგეს
უკვდავ ღმერთების ერთობლივსა დადგენილებას”.
პასუხად უთხრა ზევსს ათენამ თვალთინათინამ:
“მშობელო ჩვენო, დიდო კრონიდ, ყოვლად ძლიერო,
თუ ნეტარ ღმერთებს განუზრახავთ მართლაც გულდაგულ,
რომ დააბრუნონ თავის სახლში ბრძენი ოდისევს,
მაშინ არგოსის მკვლელი ჰერმეს, ღმერთების მაცნე
უმალ ვაფრინოთ ოგიგიის შორეულ კუნძულს,
ლამაზთმებიან ნიმფას ამცნოს უკვდავთა ნება, _
შინად მიქცევა ოდისევსის არ დააბრკოლოს.
მე კი ითაკას ჩავალ უმალ, რათა მისი ძე
გავათამამო, ჩავუნერგო გულში სიმტკიცე.
შემოიკრიბოს ითაკელნი ხუჭუჭთმიანნი,
რომ გააშორონ სასიძონი ოდისევსის სახლს,
რომელნიც უღვთოდ ნთქავენ იმის ცხვარსა და ხარებს.
გავგზავნი სპარტას და პილოსში, იქნებ შეიტყოს
საყვარელ მამის დაბრუნების შესახებ რამე.
იმადაც, რათა მან სახელი გაითქვას ხალხში”.
ეს თქვა და ფეხთა შეიმოსა ოქროს ქოშები,
ღმერთის საფერი იყო იგი, შეეძლო ქარზე
სწრაფად მოევლო ვრცელი ზღვა და ხმელეთი ვრცელი.
აიღო შუბი წამახული სპილენძის წვერით,
მძიმე, მაგარი, რომლით იგი ლომგულ ვაჟკაცებს
ერკინებოდა, თუ ანაზდად განარისხებდნენ.
მაღალ ოლიმპოს მწვერვალთაგან დაეშვა სწრაფად
ითაკისაკენ, ოდისევსის სახლის წინ გაჩნდა

და კართან დადგა ხელთ მპყრობელი ელვარე შუბის,
ტაფოსელთ ბელად _ მენტეს სახით მოვლინებული,
მყის დაინახა თავგასული სასიძოები,
წინა კართან რომ შექცეოდნენ კოჭის თამაშსა,
მათგანვე დაკლულ ხართა ტყავზე წამოწოლილნი,
იქვე გმირები და მსახურნი დაჰქროდნენ...

სიმღერა მეხუთე

[ოლიმპიელი ღმერთები ოდისევსის შინ დაბრუნებას განიზრახავენ]

როს ტითონოსის სარეცელი დათმო ეოსმა,
უკვდავ-მოკვდავთა თავს ნათელი რომ მოეფინა,
შეკრბნენ საუბნოდ მაშინ ღმერთნი, მათ შორის ზევსიც,
მაღლით მგრგვინავი, ძლიერთ შორის უძლიერესი.
ღმერთმა ათენამ ოდისევსის ტანჯვით შეძრულმა
უკეთუ ნიმფა ახანებდა, კრებულს მიმართა:
“ზევსო, მამაო, დიდნო ღმერთნო მარადიულნო,
კვერთხმპყრობ მეფეთგან აღარავინ აღარ დარჩება,
კეთილმოწყალე, თუნდაც გულით სამართლიანი,
და ბოროტებას ჩაიდებს ის, ვინც გაიფიქრებს,
რომ ღვთისსადარი ოდისევსი აღარ ახსოვს ხალხს,
წინამძღოლობდა ის რომელსაც, ვით მამა შვილებს.
შორ კუნძულზე მყოფს გულს უმჭვალავს სევდა-ნაღველი,
რადგან კალიფსო იჭერს თვისთან მის უნებურად,
ვერ შემძლებელსა მშობელ მიწის, სახლ-კარის ხილვის.
დასაბრუნებლად არ ჰყავს გემი, არცა მხლებელნი,
რომ გადალახვა შეძლოს ვრცელი ზღვების სივრცისა.
ახლა მის შვილსაც, შინ მიმავალს, სიკვდილი ელის,
მამის ამბავის შესატყობად განამგზავრებსა
წმინდა პილოსსა და ღვთაებრივ ლაკედამონსა”.
მის საპასუხოდ ეს თქვა ზევსმა, ღრუბელთ ბატონმა:
“ჰე, შვილო ჩემო, ბაგეთაგან რა სიტყვა დაგცდა?
განა შენ თვითონ შენი აზრით არ გადაწყვიტე,
რა რიგ იძიოს ოდისევსმა შინ მტერზე შური?
ტელემაქე კი შეგიძლია მოხერხებულად
რომ დააბრუნო სამშობლოში მშვიდობიანად,
სასიძოებმა კი ვერ შეძლონ იმისი ვნება”.
მერე მიმართა საყვარელ შვილს, ჰერმესს, ამგვარად:
“ჰერმეს, ხომა ხარ ჩემი მაცნე უერთგულესი.
აი, რა: ამცნე ნიმფას ჩვენი ნება-სურვილი,
შინ დაბრუნდეს-თქო ოდისევსი გულსალკლდოვანი,
ვინმე, არც ღმერთი, არც მოკვდავი არ ჰყავდეს შემწედ.

მრავალტანჯულმა მარტომ ტივით იხეტიალოს,
ვიდრე სქერიას არ მიაღწევს ის მეოცე დღეს.
სადაც მკვიდრობენ ფეაკები, ღმერთთა მოყვრები.
ისე გულსავსედ სცემენ პატივს, ვითარცა ღმერთსა,
მშობელ მხარისკენ თავის ნავით გაისტუმრებენ.
უხვად მისცემენ ნაირ სამოსს, ოქროს და სპილენძს,
რომლის ღირებულს ის ტროადან რას წაიღებდა,
თუნდაც სრულიად უვნებელი შინ მოსულიყო.
მას უწერია თვისტომთ ხილვა, შინ დაბრუნება,
მშობელ მიწის და სასახლეთა ჭვრეტა და ცქერა”.
ეს თქვა და სიტყვა შეისმინა არგოსის მკვლელმა.
ამბროსოვანი ფერხთ მოირგო ოქროს სანდლები,
წყლის და ხმელეთის უბრკოლებლივ გადასალახად,
ნიავ-ქარივით ნებისამებრ მიმოქროლვარემ.
კვერთხიც ხელთ ეპყრა, რომლით მოკვდავთ ძილს მიჰგვრის ხოლმე
ან დაძინებულთ კვლავ სასწრაფოდ გამოაღვიძებს.
იმ კვერთხით ხელში წამოვიდა არგოსის მკვლელი.
პიერიასთან ზღვას დააცხრა ის ეთერიდან.
როგორც თოლია ფრთას შეახებს ატეხილ ტალღებს
მარილოვან და უნაყოფო, საშიშ სივრცეში,
და იჭერს თევზებს, შავ ნაკადში ფრთებს დაისველებს,
ასე ჰერმესი თავს მოევლო ატალღებულ ზღვას.
აი, იმ კუნძულს, შორს მდებარეს, როს მიაღწია,
იისფერ ზღვიდან ამოსული შედგა ხმელეთზე.
იარა, სანამ მიაღწია დიდ გამოქვაბულს,
ლამაზთმებიან ნიმფას სამყოფს. შინ ჰპოვა იღბლად.
კერაზე ცეცხლი გიზგიზებდა აალებული,
კუნძულს ეფინა ამო სუნი საროს შეშისა,
ხოლო ნიმფა კი გასაოცარ ტკბილი ხმით მღერდა
და საქსოვს ქსოვდა ოქროს მაქოთი.
ქვაბულს ყოველ მხრით უღრანი ტყე ეკრა გარშემო,
ტყე ალვებისა, თხმელების და ამო საროთა.
შიგ სწრაფფრთოვანი ფრინველების გუნდი ბუდობდა, _
ჭოტი, მიმინო და ყორანი წვრილენიანი,
უხვად მქონენი საკვებისა იმ ზღვის ნაპირას.
ხოლო თვით ქვაბის გარეშემო ტევრი ვაზისა
მწიფე, დათქვირულ, დიდ მტევნებით დახუნძლულიყო.
ოთხი რუ, ერთურთს მიყოლებით რომ სდევდა, თეთრ წყლებს
მიაგორებდა, ერთმანეთის მახლობლად მყოფი.
ახლოს კი წალკოტს კოლინდრიანს ამკობდა ია.
აქ რომ უკვდავი ვინმე ღმერთიც ჩამოსულიყო,
გაიხარებდა მისი ნახვით, სულს მოულხენდა.

იდგა ჰერმესი გაოცებით, არგოსის მკვლელი,
გულით ხარობდა ყოველივე ამის მნახველი.

[როცა მრისხანებს პოსეიდონი]

ამასობაში მომავალმა ეთიოპიით,
სოლიმთ მთებიდან თვალი მოჰკრა პოსეიდონმა,
რა ზღვას მცურავი დაინახა, შეშფოთდა ფრიად,
მრისხანემ თავი გაიქნია და გულში ეს თქვა:
“აზრი უცვლიათ მაღალ ღმერთებს ოდისევსზედა,
რა გამიგულეს ეთიოპელთ მხარეში მყოფი.
საცაა კიდეც მიადგება ფეაკთა მხარეს,
სად თავს დააღწევს დიდ ჭირ-ვარამს, რაც კი გადახდა.
მაგრამ ვაებას არა მცირეს შევამთხვევ კიდევ”.
თქვა და მრავალი შემოჰკრიბა ღრუბელი უმალ,
სამთითა დასცა ვრცელ ზღვაზე და დასძრა ქარები,
ღრუბლით შეგრაგნა ერთობლივად ზღვაც და ხმელეთიც.
უკუნი ღამე ჩამოეშვა ცის წიაღიდან.
ევროს, ნოტოსი და ზეფიროს ნაზად მქროლავი,
ეთერში შობილ ბორეასთან ერთად სწვდნენ ტალღებს.
მუხლთ მოეკვეთა ოდისევსს და ჩააწყდა გული,
შეშფოთებულმა თვის უტეხ სულს მიმართა ასე:
“ვაიმე, კვლავად რა მომელის მე, ბედით კრულსა?
ვშიშობ, ვაითუ იმ ქალღმერთმა მითხრა სიმართლე,
რომ განსაცდელი კვლავაც მელის, ვიდრე მივაღწევ
მშობლიურ მხარეს. ახდა კიდეც წინასწარ თქმული.
ეს რა ღრუბლებით შეუგრაგნავს ზევსს ცათა სივრცე.
ზღვა დაურისხავს, ქართა ჯარი აუტეხია,
ახლა კი ვხედავ, დღე დამიდგა აღსასრულისა,
სამგზის და ოთხგზის ბედნიერნო აქაველებო,
ატრიდესათვის დაღუპულნო ტროას ვრცელ ველზე,
მიჯობდა იმ დღეს მოვმკვდარიყავ ბედით წყეული,
როს თავს დამქროდნენ ტროელთაგან ნატყორცნი შუბნი,
ოდეს მოკლული აქილევსის დაცვას ვლამობდი.
ო, აქაველნო რა პატივით დამიტირებდნენ!
ახლა კი სიკვდილს სამარცხვინოს მივვახლებივარ”.
თავს წამოადგა ასე მეტყველს ზევიდან ტალღა,
თავზარდამცემი გაშმაგებით ტივს დაეძგერა.
უცებ ტივს მოსწყდა ოდისევსი, საჭე დაუსხლტა,
შუა გატეხა გემის ანძა მრისხანე ტალღამ,
სხვადასხვა ქართა დაჯახებით აბორგებულმა,
ბოლოს აფრას და ფიცარნაგსაც ზღვამ უყო პირი.
ერთხანს წყლის ქვეშე მოქცეულმა, ვეღარა შეძლო

დიდი ტალღების სიმძიმისგან თავის დაღწევა,
ნიმფა კალიფსოს სამოსელით დამძიმებულმა.
ვაი-ვაგლახით ბოლოს თავი გაართვა ტალღას.
მოწურწურებდა, უმლაშებდა პირს მწუთხე წყალი,
არ ივიწყებდა ტივს არაქათგამოლეული,
მიცურავდა და სურდა ტივზე ხელის წავლება,
ბოლოს სიკვდილის მძლევი კიდეც ტივს წაეტანა,
ძალუმი ტალღა აბრუნებდა აღმა და დაღმა,
ვით ძეძვებს ველზე შემოდგომის აქროლებს ქარი,
ბასრი ეკლებით ერთმანეთზე გადახლართულსა.
ასე ქარები ტივს ტალღებზე მიაქანებდნენ.
ზოგჯერ ბორეას გაიგდებდა მას თავის წინა,
ზოგჯერ ევროსი გადასცემდა ისევ ზეფიროსს.
მაშინ იხილა იგი ინომ, კადმოსის ქალმა,
ლამაზფეხება ლევკოთეამ, ადრე მოკვდავად
ყოფილმა, ახლა ზღვაში ღმერთად პატივდებულმა
და ჭირში მყოფი ოდისევსი მას შეებრალა,
წყლის ქათმის სახით ამოვიდა ზღვის ზედაპირზე,
ტივზე შემოჯდა და ოდისევსს უთხრა ამგვარად:
“რას გერჩის ბეჩავს, პოსეიდონ მიწის მპყრობელი,
თავზე ამდენი ჭირ-ვარამი რომ დაგატეხა?
თუმცა ძლიერ სურს, შენს დაღუპვას მაინც ვერ შეძლებს,
მე დამიჯერე, _ არც შენა ხარ მიუხვედრელი:
დააგდე ტივი, მიანებე ქარების ქროლვას,
წყალს თავი მიეც, ხელი გაჰკარ და გადარჩები
ფეაკთა მხარეს თუ მიაღწევ, ბედით მიჩენილს.
ჰა, ღვთაებრივი საბურველი, ეს მოიხვიე,
არც რა საფრთხისა გქონდეს შიში, არცა სიკვდილის.
მაგრამ რა წამსაც ხელს შეახებ ხმელეთზე რამეს,
მოიხსენი და მიანებე ზღვის ტალღებს მყისვე.
შენ კი მაშინვე ხმელეთისკენ იბრუნე პირი”.
ეს თქვა ღმერთქალმა, საბურველი მისცა ოდისევსს,
თვით კი მაშინვე გადაეშვა მღელვარე ზღვაში.
უმალ ჩაყლაპეს წყლის ქათამი შავმა ტალღებმა.
ფიქრს მისცა თავი ოდისევსმა, ღმერთის სადარმა,
და შეუდრეკელ გულს მიმართა ამგვარი სიტყვით:
“ვაჰმე, მგონია, ვინმე ღმერთი კვლავ მახეს მიგებს,
რაკი ტივიდან ჩამოხტომას მირჩევს უბედურს.
ვერ ვერწმუნები იმის ნათქვამს, ვხედავ ჯერ კიდევ
შორს არის ხმელი, ჩემს სახსნელად ბედით დათქმული.
მე ჩემებურად მოვიქცევი, სჯობს, აქვე დავრჩე,
ვიდრე მორები მაგრად სხედან თავის ბუდეში,

ტივზე, მე ვფიქრობ, დავუსხლტები საფრთხეს უფრორე.
ხოლო როდესაც მას ტალღები დაშლიან სულ მთლად,
ცურვას ხელს მივყოფ, სხვას უმჯობესს მაშინ რას ვიზამ?”
ამგვარ ფიქრებით შეპყრობილი იყო მთლიანად,
პოსეიდონმა როს ანაზდად, მიწის მპყრობელმა,
ზე აზიდულ ტივს დაათხლიშა ვეება ტალღა.
ვით ქარიშხალი დაეძგეროს ხმელი ბზის ზვინსა
და ღერღერებად მიმოფანტოს აქეთ და იქით,
ასე დაფანტა ქარმა ტივის დიდი მორები.
ერთ მორს, როგორც ცხენს, ოდისევსი ზე შემოაჯდა,
ტანთ გაიხადა ტანსაცმელი, შემოიხვია
მკერდზე სასწრაფოდ საბურველი, ნიმფამ რომ უძღვნა,
ხელებგაწვდილმა თავი მისცა კუპრისფერ ტალღებს.
პოსეიდონმა თვალი მოჰკრა, მიწის მპყრობელმა,
ღიმილით თავი გაიქნია და გულში ეს თქვა:
“იცურე, კიდევ ბევრ ჭირს ნახავ ამ ზღვაზე, ვიდრე
ბოლოს და ბოლოს კაცთა ჯილაგს ნახავდე სადმე.
რაც შეგემთხვევა, ვგონებ, დიდხანს ვერ დაივიწყო”.
ეს თქვა და ცხენებს გრძელფაფრიანს შოლტი გადაჰკრა
და მიატანა აიგეს, სად სასახლე ედგა.
ზევსის ასულმა, ათენამ კი მყის განიზრახა,
გზას გადვუჭრიო ქართა ქროლვას გამძაფრებულსა,
ერთობ სუყველას დავამშვიდებ, დავაშოშმინებ,
მხოლოდ ბორეას გზას მივცემო ტალღათ სასრბოლად,
რომ ოდისევსმა შეიძლოსო ნიჩბის მოყვარე
ფეაკთა მხარეს მისვლა, სიკვდილს თავდაღწეულმა.
ორ დღე და ღამეს პირქუშ ტალღას აქონდ-დაქონდა,
საკუთარ თვალით დამნახველი თავის სიკვდილის.
რა დღე მესამე გაუთენა დიად ეოსმა,
ჩადგა ქარებიც, გადიშალა ზღვის მშვიდი სივრცე.
უცებ სულ ახლოს ოდისევსმა თვალი ჰკრა მიწას,
მაღალი ტალღის მწვერვალიდან გადმომხედველმა.
როგორც შვილთათვის საამოა მამის მორჩენა,
რომელიც მძიმე ავადმყოფი იტანჯებოდა,
უმკაცრეს სენით განწირული სასიკვდილოდა,
შემდეგ მწყალობელ ღმერთთა ნებით განკურნებული, _
ამგვარ სიამით დაინახა მან ტყე და მიწა.
ცურვას უმატა, რომ მყარ მიწას შეეხოს მალე.
ჰა, კიდეც კაცის დაძახილზე მიუახლოვდა,
როს შემოესმა წყლის დგაფუნის ხმა ნაპირიდან,
ვეება ტალღა სიპ კლდეებზე ეხეთქებოდა
და მთლად ნაპირი მარილიან ქაფს დაეფარა,

არც ნავსადგური ჩანდა სადმე, არც რამე ყურე,
გარს იყო მხოლოდ ქარაფები, კლდენი, ბრაგები.
მაშინ ოდისევსს ჩასწყდა გული, მუხლთ მოეკვეთა,
შეშფოთებულმა უთხრა თავის შეუდრეკელ სულს:
“ვაჰ, მე მეგონა, მიწის ხილვა მაღირსა ზევსმა.
ამ უტეხ ზღვათა უფსკრულების გადამლახველსა:
მაგრამ ვერ ვხედავ გზას გასასვლელს ამ თეთრ ქაფიდან.
ირგვლივ ციცაბო კლდეებია, ზვირთთა გრიალი,
ხოლო ნაპირი აღმართულა ქვის კედელივით.
ზღვაც ძლიერ ღრმაა, შეუძლოა მონახოს კაცმა
ადგილი, ფეხის დასადგმელი, რომ საფრთხეს ასცდეს.
ფეხიც რომ დავდგა, თავს დამესხმის ვეება ტალღა
და კლდეს მიმახლის, ცდა ამაოდ ჩამივლის ასე.
მოდი, გავცურავ, იქნებ ვპოვო სწორი ნაპირი,
ანდა ზღვის ყურე დაწყნარებულ-დამშვიდებული.
იმის შიში მაქვს, ქარიშხალმა მოულოდნელად
არ მიმცეს ზღვასა თავზარდამცემს, მძიმედ გვემული,
ამ ზღვის სიღრმიდან ურჩხული რამ თავს არ დამესხას,
რომელს მრავლად ზრდის ამფიტრიტეს პირქუში უბე,
რაკი ესოდენ მმტრობს სასტიკი პოსეიდონი.
მთელი არსებით შეპყრობილი ამგვარ ფიქრებით,
ის წარიტაცა ტალღამ კლდოვან ნაპირისაკენ.
სულ დაუგლეჯდა ერთობ სხეულს, ძვლებს დაუმსხვრევდა,
ქალღმერთს ათენას რომ იმისთვის ეს არ ერჩია:
ორთავე ხელით იმ სალ კლდესა ჩასჭიდებოდა.
ასე ეკიდა კლდეზე, ტალღის განშორებამდე.
გადარჩა მაშინ, მაგრამ ტალღა კვლავ შემობრუნდა
და ოდისევსი, ისევ უკან გასტყორცნა ზღვაში.
ვით ზღვის პოლიპოსს ამოგლეჯენ ძალით ბუდიდან
და ბუდეს მისას ზედ შერჩება მიკრული კანი,
ასე ქვას შერჩა ოდისევსის ხელების ტყავი.
ხოლო ის თვითონ მყის დაფარა ვეება ტალღამ.
აქ კი უცილოდ იმას ბოლო მოეღებოდა,
მისთვის ათენას, ცისფერთვალას, რომ არ ერჩია:
განს გასხლტომოდა ტალღას თავზე მიმობნეულსა,
სწრაფად ეცურა, სანამ მიწას თვალს არ მოჰკრავდა.
ან სწორსა ნაპირს, ან რაიმე ზღვისა ყურესა.
უცებ მიადგა ის შესართავს ერთი მდინარის
და გაახარა ამ ადგილმა ყოვლის უმეტეს.
არცა კლდე ჩანდა, ქარისგანაც იყო დაცული.
ნაკადი იცნო ღვთაებრივი, ესრედ მლოცველმან:
“მისმინე, ღმერთო, გევედრები, ჩემო მშველელო,

პოსეიდონის რისხვისაგან გადამარჩინე.
საბრალისია ხომ უკვდავი ღმერთებისგანაც
კაცი, მთხოვნელი შეწევნისა, ჩემებრ გვემული.
შემოვევლები მე შენს მუხლებს ამის მთხოვნელი,
ღირსი გამხადე, მეუფეო, შენი წყალობის”.
ეს თქვა და უმალ შეწყდა დენა, დაცხრა ტალღებიც,
ჰპოვა მშვიდ ნაპირს ოდისევსმა თავის სახსნელი,
ორთავე მუხლი მოეკვეთა, ხელთ მოუსავდა,
ზღვაზე დათმენილ სივაგლახით გულგალეულსა.
ტანდაოსებულს ცხვირ-პირიდან წყალი სდიოდა
და სულმიხდილსა ხმის გაღების ძალა არ ჰქონდა,
ესდენ შეეპყრა ენით უთქმელ დაღლილობასა.
რა მოიბრუნა სული, გული ჩადგა საგულეს,
მაშინ ქალღმერთის მოსახვევი მოიხსნა მკერდით,
იმ მდინარეში გადისროლა, ზღვას რომ ერთვოდა.
მყის წარიტაცეს მოსახვევი დიდმა ტალღებმა
ინოს ღვთაებრივ თეთრ ხელებში ჩასაბარებლად.
ადგა და იგი ლერწმებს გასცდა და მისწვდა მიწას,
ქვედამხობილი ჰკოცნიდა და ასე ამბობდა:
“ვაჰმე, რას ვითმენ! ან რა მელის ნეტავი კიდევ?
რომ გავათიო მდინარესთან საზარი ღამე,
ვაჰ, თუ სინესტემ და უჟმურმა მომიღოს ბოლო,
ამდენ ჭირვარამგამოვლილსა, ქანცგაწყვეტილსა.
დილას მდინარით დაუბერავს ცივი რამ ქროლვა
და თუ იმ ბორცვსა შევეფარე, ტყით დაფარულსა,
მის ხშირ ბუჩქებში დავიძინებ მაშინ საამოდ,
დაქანცულობას ტკბილი ძილი გამიქარვებდა,
მაგრამ მას ვშიშობ, რომ არ გავხდე მხეცთა საკბილო”
ბოლოს, ამ ფიქრით შეპყრობილმა, დაასკვნა ასე:
ტყეს მიაშურა, იმ მდინარის ნაპირთან მდებარს.
ორი ხე ჰპოვა იმან ტევრში, ერთად შეზრდილი,
ერთი ველური და მეორე ზეთისხილისა.
ვერ გაუვლიდა ვერც ნოტიო, ცივი ქარები,
ვერც თუ მზის სხივთა მცხუნვარება შინ გაატანდა,
ვერც წვიმის თქეში შეაღწევდა მის სიხშირეში,
ერთი ერთმანეთს ისე მჭიდროდ გადახლართვოდნენ.
შუა მოთავსდა ოდისევსი ფოთლის საწოლზე,
მართლაც ფოთლები თავსაყრელად დაგროვილიყო,
კიდევ ორ-სამ კაცს თავფეხამდე სულ დაფარავდა,
თუნდაც ყველაზე სუსხიან და ცივ ზამთარშიაც
გულს დაუამდა გმირ ოდისევსს, ამის მნახველსა,
შიგ შუა ჩაწვა, ზედ ფოთლები შემოიყარა

ისე, ვით კაცი მუგუზალს შავ ნაცრით დაფარავს,
შორს ველზე მყოფი, როს მახლობლად არვინ არ უვის,
ცეცხლის ნაპერწკლის შემნახველი, დამხმარე ვინმე, _
ისე ჩაეფლო ოდისევსი ფოთლის მორევში.

სიმღერა მეექვსე

[ოდისევსი და ნავსიკაა]

ღმერთთა სადარი ოდისევსი ძილს მისცემოდა,
დაღლილობით და უძილობით ქანცგაწყვეტილი.
ხოლო ათენა ფეაკთ ქალაქს და ხალხს ეწვია,
რომ ბინადრობდა ჰიპერიის ვრცელ მხარეს ძველად,
კიკლოპთა უტეხ და ქედმაღალ ტომის მახლობლად,
ვინც მათ არბევდა ხოლმე ძალით აღმატებული.
მაშინ ღვთისდარმა ნავსითოემ აჰყარა ერი
და გაუყენა უკაცრიელ სქერიის გზასა,
იქ დაადგინა მან ქალაქი სრა-დარბაზებით,
ააგო ღმერთთა სალოცავნი, მიწებიც გაჰყო,
თუმც ბედისწერას წარეგზავნა უკვე ჰადესში.
მაშინ მეფობდა ალკინოე, ღვთისგან ნაკურთხი,
მის დარბაზისკენ გაეშურა ათენ ქალღმერთი,
ესდენ მზრუნველი ოდისევსის დაბრუნებისთვის.
შევიდა უცხოდ ანაშენებ საწოლ დარბაზში,
სად ქალს ეძინა, სილამაზით ღმერთების დარსა,
ნავსიკაიას, ალკინოეს უბადლო ასულს.
ორსა მხევალსა, ქარიტების მიერ შემკულთა,
მშვიდად ეძინათ დაგდულ კარის ორსავე მხარეს.
ნიავის მსგავსად შეიპარა ათენა საწოლს.
თავსასთუმალთან დადგა, სიტყვებს წასჩურჩულებდა,
სახე მიეღო გემთა მცოდნე დიმანტეს ქალის,
ვინაც ასაკით და სიტურფით მას ედრებოდა.
ასე ათენამ, ცისფერთვალამ, დაიწყო სიტყვა:
“ნავსიკაია, რა დედამ გშვა ასე უქნარა.
ტანთსამოსელი უპატრონოდ ჰყრია შენს სახლში,
მოსულა ჟამი გათხოვების, უნდა იცოდე
ჩაცმა-დახურვა კარგი გმართებს შენც, შენს მხლებლებსაც.
კარგად ჩაცმულს ხომ თან სდევს მუდამ კარგი სახელიც,
დედაც და მამაც სიხარულით მას შენატრიან.
აბა, წავიდეთ, დილიდანვე შევუდგეთ სარეცხს,
მეც წამოგყვები, საქმე დროზე რომ მოვითაოთ.
ქალიშვილად ხომ სამუდამოდ არ უნდა დარჩე,
ყველა დიდებულს ამ მხარეში სურს შენი ქმრობა.

რადგან შენც მათებრ კეთილშობილ მოდგმას ეკუთვნი.
ნუღა აყოვნებ, ნახე მამა სახელოვანი,
რომ ადრიდანვე განგიმზადოს ეტლი და ჯორი,
სარტყელ-კაბათა, მოსასხამთა გადასაზიდად.
ფეხით სიარულს, შენც გერჩიოს ეტლზე დაჯდომა.
რადგან შორსაა ქალაქიდან მდინარის პირი".
თქვა და ათენა გაეშურა ოლიმპოსაკენ,
სადაც, ამბობენ, უკვდავ ღმერთებს დაუდევთ მიწა,
იქ არასოდეს არც ქარია და არცა თქეში,
არც ზამთრის თოვლი, სიმშვიდეა მარად უღრუბლო.
ნაზი ეთერი თავს ადგია სხივთ მოკიაფე.
ყოველ ცისმარე დღე იქ ღმერთნი სიამტკბილობენ.
რა ეს აუწყა, იქ ათენა შემდეგ ავიდა
ადგა ეოსი ოქროს ტახტით და გააღვიძა
ნავსიკაია, ნახულ სიზმრით გაოცებული.
მშობლების ძებნა იწყო სახლში, ეთქვა სიზმარი
ძვირფას დედისთვის და მამისთვის ჰპოვა ისინი.
მაყალთან იჯდა დედამისი მსახურ ქალებთან,
მეწამულ ფერის მატყლის რთვაში რომ გართულიყვნენ.
მამაც მოვიდა, წასასვლელად გამზადებული, _
მას მოეწვია კეთილშობილ ფეაკთა კრება
ეახლა მშობელს ამ სიტყვებით ნავსიკაია:
"მამავ, მშობელო, ბრძანე, ეტლი გამიწყონ დროზე,
ტანისამოსი მდინარეზე მიმაქვს სარეცხად
ისე მიყრია ჭუჭყიანი, გაურეცხავი.
შენც ხომ შეგფერის, როცა წახვალ წარჩინებულთა
სათათბიროზე, სუფთა გქონდეს შესამოსელი.
ხუთ ვაჟს პატრონობ სასახლეში სახელოვანსა,
ორს ოჯახი აქვს, სამი ჯერაც უცოლო არის,
ტანისამოსი მუდამ სუფთა ხომ უნდა ჰქონდეთ,
როცა ზეიმზე წავლენ, მმართებს ვიზრუნო მათთვის".
შერცხვა და ვერა თქვა რა თავის ქორწინებაზე
მამა მიუხვდა გულისზრახვას და უთხრა ასე:
"უარს ვით გკადრებ გინდ ჯორებზე, გინდ სხვა რამეზე
ვეტყვი მსახურთ და მყის მოგგვრიან ეტლსა მაღალსა;
მტკიცედ ნაკეთებ ძარსაც ზედვე შემოუდებენ".
ეს თქვა და მსახურთ მოუწოდა. სრულჰყვეს ბრძანება:
ეტლი მოჰგვარეს მეყვსეულად მაღალთვლიანი,
ჯორნიც მორეკეს და შეუბეს მაღალ უღელში.
ქალმა სამოსი დარბაზიდან გამოიტანა
და დაალაგა წესისამებრ გამართულ ეტლზე.
დედამ საგზალი მიაწოდა კალათებითა,

მასთან ტიკებიც, ავსებული საამო ღვინით.
ამასობაში ქალიშვილი ავიდა ეტლზე,
ოქროს ჭურჭელიც ნელსაცხებლით გადასცა დედამ,
რომელიც მას და მის მსახურ ქალთ დასჭირდებოდათ.
ნავსიკაიამ სადავეს და შოლტს ხელი სტაცა,
გაუწყრა ჯორებს და ისინიც დაიძრნენ უმალ
და გზას დაადგნენ ასულის და ტვირთის მზიდველნი.
ხოლო უკან კი მსახურ ქალთა გუნდი მისდევდა.
რა მიაღწიეს ულამაზეს მდინარის ნაპირს,
საცა აუზი მუდამ იყო პირამდე სავსე,
რაკი ფსკერიდან შედიოდა შიგ წყლის ნაკადი,
ეტლი შეჩერდა და გამოხსნეს უღლიდან ჯორნი,
მერე გარეკეს წყლისპირს გაშლილ ტურფა მინდორზე,
თაფლივით ტკბილი სად ბალახი ჭარბად ხარობდა.
შესამოსელი გადმოიღეს, წყალში ჩაალბეს,
ორმოში სთელეს სიმარჯვეში გაჯიბრებულთა,
როცა ტანსაცმელს მოაშორეს მწვირე და ჭუჭყი,
ზღვის ნაპირ-ნაპირ გაყოლებით გამოაფინეს,
იქ, სადაც კენჭებს მშვიდი ტალღა ელამუნება.
შემდეგ კი ტანი დაიბანეს, წაიცხეს ზეთი,
ბოლოს ჩამოსხდნენ მდინარის პირს პურის საჭმელად.
რაკი სარეცხი გასაშრობად მზეს გაუფინეს.
როცა ასულიც და მსახურნიც პურობას მორჩნენ,
ბურთის თამაში წამოიწყეს დედაშობილა.
ქალწულმა ყველა იმ თამაშში ჩააბა მღერით,
ვით არტემიდე მეისარი დაედევნება
ტეიგეტის ან ერიმანთეს დიდ მწვერვალებზე
ან ტახს გარეულს, ანდა ირემს სწრაფად მორბენალს,
თანაც ნიმფები, ზევსის ტურფა ქალიშვილები
კვალდაკვალ ლხენით, გატაცებით მისდევენ იმას.
თვალტანადობით ყველას ისე აღემატება,
უმალ სცნობს კაცი, თუმცა სხვებიც ლამაზებია.
ისე იმ ქალწულს მის ტოლებში გამოარჩევდი.
ნავსიკაია აპირებდა შინ დაბრუნებას,
როს სარეცხს მორჩა და ჯორებიც ეტლში შეაბა,
მაგრამ ათენამ, ცისფერთვალამ, მყის მოიაზრა,
რომ ოდისევსი დაენახა ამ ტურფა ასულს,
რათა ქალაქში წეყვანა ის თავის ხალხთან.
მეფის ასულმა ბურთი სტყორცნა მაშინ ერთ მსახურს,
მაგრამ აუცდა და უეცრად ჩავარდა წყალში.
ატყდა კივილი და ოდისევსს გამოეღვიძა.
წამოდგა ის და გულში მყისვე ეს გაიფიქრა:

“ვაჰმე, რა ხალხში, რა ქვეყანას მიმაგდო ბედმა?
იქნებ სასტიკთა, უსამართლო ველურთა შორის,
ან კაცთმოყვარე და ღვთისმოსავ ხალხთან მივსულვარ?
მერედა ქალთა ხმა რომ ისმის გასაოცარი,
იქნებ ნიმფები ერთობიან, მთათა მწვერვალთა,
წყაროთა, კორდთა, ნაკადულთა ტურფა მფლობელნი?
ან იქნებ სადმე მეტყველ კაცთა მახლობლად მოვხვდი?
მივალ, მე თვითონ ყოველსავეს ვნახავ, შევიტყობ”.
თქვა, ბუჩქებიდან გამოვიდა მყის ოდისევსი,
მტკიცე მარჯვენით შეემტვრია ხეთა ტოტები,
რომ სარცხვენელი დაეფარა მისი ფოთლებით.
ისე გამოხტა, როგორც ლომი, მთებში გაზრდილი,
თითქოს ქარ-თქეშში სანადიროდ გამოვარდნილა,
რომ თავს დაესხას ხართა ჯოგსა, ან ცხვრების ფარას,
ან დამფრთხალ ირმებს, შიმშილისგან იძულებული;
არ ერიდება არც ბოსელსა, არც კაცთა ბინას.
ჰა, ოდისევსი ულამაზეს ქალწულთა შორის
შიშველ-ტიტველი გამოვარდა მოულოდნელად,
შესაზარელი, ზღვის წუმპეში ამოგანგლული.
სხვადასხვა მხარეს გაიფანტნენ ქალიშვილები,
დარჩა მარტოდენ ალკინოეს ტურფა ასული.
გულს სითამამე ღმერთს ჩაედვა ანაზდეულად.
დადგა პირისპირ, ოდისევსს კი ვერ გადეწყვიტა
მუხლებზე ხელი მოეხვია ტურფა ქალისთვის
თუ, შორს დამდგარსა, სათხოვარი ეთქვა თავისი,
რომ წაეყვანა, ტანსაცმელი მიეცა მისთვის.
ამ ფიქრში მყოფმა მიიჩნია საუმჯობესოდ:
შორით დამდგარსა სათხოვარი ეთქვა ტკბილ სიტყვით,
რომ ტურფა ასულს მუხლთ მოხვევნით არა წყენოდა.
ტკბილმოუბარმა ოდისევსმა ეს სიტყვა ჰკადრა:
“უკვდავი ხარ თუ მოკვდავი ხარ, _ გეხვევი მუხლზე,
თუ ღმერთქალი ხარ, ვრცელ ზეცათა მფლობელ-ბატონი,
ზევსის ასულსა _ აფროდიტეს _ შეგადარებდი,
ყველაზე მეტად იმას გავხარ თვალტანადობით.
თუ მოკვდავი ხარ და მიწაზე დაგიდევს ბინა,
სამგზის ყოფილა კურთხეული შენი დედ-მამა
და შენი ძმებიც ბედნიერნი ზომაზე მეტად,
რადგან სიამით აღივსება მათი არსება,
ამგვარ მშვენებას ცისმარე დღე როცა ხედავენ.
ხოლო ყველაზე ბედნიერი იგი იქნება,
ვინც შინ შეგიყვანს ჯილდო-მზითვით სხვებისა მჯობი.
შენს უკეთესი არ მინახავს მოკვდავი ვინმე,

არცა ქალი და არცა კაცი. გიჭვრეტ და მიკვირს.
დელოს კუნძულზე, აპოლონის სამსხვერპლოს ახლო,
პალმა ვიხილე ახლად რგული და ტანწერწეტა.
იქაც ვყოფილვარ, მრავლად მახლდა თანამხლებელნი,
იმ გზას შემდგარი ჭირს შევესწარ აურაცხელსა!
გაოცებული დიდხანს ვიდექ იმის წინაშე,
სხვა დროს აროდეს იმის მსგავსი ხე არ მენახა.
შენც, ქალო, ისე განმაცვიფრე, მაგრამ ვერ ვბედავ,
მუხლებზე ხელი შემოგხვიო ტანჯულ-გვემულმა.
მხოლოდღა გუშინ დავაღწიე თავი პირქუშ ზღვას.
მანამდე ტალღა, ქარიშხალი დამახეტებდა
იმ ოგიგიის კუნძულიდან გადმოხვეწილსა,
აქ მოგდებული რომ სხვა ჭირში ჩავეგდე უფალს.
ვხედავ, მიმზადებს მე ღვთაება ახალ განსაცდელს.
იყავ მოწყალე, დედოფალო, ჭირგამოვლილი
მოვსულვარ შენთან, სხვა კაცთაგანს ვერავის ვხედავ,
ამ ქალაქისა და ამ მიწის ბინადარს ვისმეს.
გზა გამასწავლე, ის ნაჭერიც მომეც, რომელშიც
აქ წამოსვლისას თეთრეული გამოახვიე.
ისემც ღმერთები შენს სათხოვარს შეგისრულებდნენ, _
კარგ ქმარს და სახლ-კარს და ცხოვრებას სიამტკბილობით.
მის უკეთესი არ იქნება ბედნიერება,
ცოლი და ქმარი რომ ცხოვრობენ ერთსულოვანად,
მოყვრის საამოდ და მტრებისთვის გულგასახეთქად.
ამაზე უფრო ნეტარება ქვეყნად რა არი?”
ნავსიკაიამ უპასუხა, თეთრხელიანმა:
“არ გავხარ კაცსა ბოროტსა და გონებაჩლუნგსა.
კაცთა თავის ხვედრს ოლიმპელი ზევსი მიუზღავს,
ავსაც და კარგსაც სურვილისებრ ანიჭებს ყველას
და რაც კი შენთვის მოუცია, უნდა გაუძლო.
რაკი აქ მოხველ, ჩვენს ქალაქში და ჩვენს მხარეში,
არც ტანთ სამოსი მოგაკლდება, არცა სხვა რამე,
რაც კი უბედურ მთხოვნელთათვის გვაქვს გასაცემი.
ქალაქს მიგიყვან, აქ მცხოვრებსაც გაგაცნობ ჩემს ერს.
ფეაკთ უპყრიათ ეს ქალაქიც და ეს მხარეცა.
მე ვარ ასული დიდსულოვან ალკინოესი,
რომლის ხელშია, ფეაკთ შორის, ძალაუფლება”.
შემდეგ უბრძანა კოხტათმიან თავის მსახურებს:
“მოდით, ქალებო, რას გარბიხართ, კაცია უცხო,
როდი მოსულა ჩვენდა სამტროდ ან საავკაცოდ.
არცა შობილა კაცი ვინმე, არცა იშობა,
ჩვენს ქვეყანაში რომ მოვიდეს ბოროტ განზრახვით,

რადგან უკვდავნი გვეპყრობიან მარად წყალობით.
აქ, შორს, მღელვარე ზღვის კიდესთან დავსახლებულვართ,
და იშვიათად მოგვაკითხავს მოკვდავი ვინმე.
ჩვენთან მოსულა დღეს ეს კაცი გაწამებული,
უნდა მივიღოთ ზევსისაგან მოვლინებული.
ცოტა რამ მივცეთ, მაგრამ მივცეთ კეთილი გულით,
სასმელ-საჭმელი მიაწოდეთ უცხო მოგზაურს,
განბანეთ მყუდრო, ქარისაგან დაცულ წყაროსთან”.
ეს რომ თქვა, უმალ ადგა ყველა, ერთურს მოუხმეს,
მყუდრო ადგილას მოაფარეს მათ ოდისევსი,
ისე, ვით ბრძანა ალკინოეს ტურფა ასულმა,
წინ დაულაგეს პერანგი და წამოსასხამი,
ოქროს ჭურჭელით მიაწოდეს ნელსაცხებელი
და მდინარესთან მიიყვანეს ტანდასაბანად.
ასე მიმართა ოდისევსმა მაშინ მსახურებს:
“შორს ჩამოდექით, მსახურებო, დამტოვეთ მარტო,
ტანს დავიბან და დავიზილავ ნელსაცხებელით,
კარგა ხანია, რაც ჩემს სხეულს ის არ უნახავს.
ხომ ვერ დავიბან, თუ ყველანი თავს დამადექით,
შემრცხვება შიშველს ლამაზთმიან ქალთა წინაშე”.
ეს თქვა და უმალ გაეცალნენ ქალიშვილები.
და ოდისევსმა დაიბანა ტანი მაშინვე,
ჩამოირეცხა მხარბეჭიდან ჭუჭყი და მწვირე
და თმებიდანაც მოიშორა ზღვის ქაფის ნაშთი.
როცა სხეული დაიბანა, ზეთი წაიცხო,
ჩაიცვა ქალთა მორთმეული ტანისამოსი,
მაშინ ათენამ, ქალიშვილმა დიადი ზევსის,
ახოვანება და სიმაღლე მისცა ჭაბუკის
და სოსანისებრ გრუზა თმებით თავი შეუმკო.
როგორც ოსტატი ვერცხლის რამ ნივთს მოაოქროებს,
ჰეფესტოსა და ათენასგან ნაწრთობ-ნასწავლი,
და ყოველ ნივთსა სრულყოფს დიდის ხელოვანებით,
ასე შეამკო ის ათენამ თავით ფეხამდე.
შემდეგ ამისა ზღვის ნაპირას დასვა თავისთვის,
გაბრწყინებული საუცხოო რამ სილამაზით.
ქალს, იმის ნახვით გაოცებულს, ეს სიტყვა დასცდა:
“ყური დამიგდეთ, ჰე, მსახურნო, ლამაზთმიანნო,
ოლიმპოს მცხოვრებ დიდთა ღმერთთა ნების გარეშე
ამას ღვთაებრივ ფეაკებთან რა მოიყვანდა?
თავდაპირველად კი მეჩვენა მეტად უბრალო.
ახლა რომ ვხედავ, ეტოლება ღმერთს, ცათა მპყრობელს.
ამდაგვარ ვაჟკაცს საქმროდაც კი მოვინატრებდი,

ჩვენს ქვეყანაში სამუდამოდ რომ დარჩებოდეს.
მაგრამ, მსახურნო, დააპურეთ ჯერეთ სტუმარი!”
ეს თქვა და უმალ აღასრულეს მისი ბრძანება...

სიმღერა მეცხრე

[ოდისევსი ფეაკთა მეფე ალკინოოსს უამბობს თავის თავგადასავალს]

“ო, ალკინოე, კაცთა შორის უპირატესო,
რა საამოა ამ მომღერლის სიმღერის სმენა,
ვინც ხელოვნებით თვითონ ღმერთებს შედარებია.
რა უნდა იყოს სიხარული იმაზე მეტი, _
სიამტკბილობით ხალხი ლხინში შეკრებილიყოს,
ღვინოს სვამდეს და თან ისმენდეს საამო მღერას,
სუფრა ხორაგით, სასმელ-საჭმლით იზნიქებოდეს,
მოქეიფეებს თავზე ადგეთ მერიქიფენი
და რიგრიგობით შენელებულ ღვინოს აწვდიდნენ.
ამის უკეთესს კაცის თვალი, აბა, რას ნახავს?
შენ გსურს ჩემს ბედზე, აღსავსეზე სევდა-ვარამით
გიამბო, რათა მოტირალმა ვიოხრო უფრო.
თავში რა გითხრა, საბოლოოდ რაღა გიამბო,
რაიცა ღმერთებს ჩემს თავს ჭირი დაუტეხიათ,
თავდაპირველად სახელს გეტყვით, რათა იცოდეთ,
რომ თუ სიკვდილის დღეს როგორმე გავექეც, მერე
მე გიმასპინძლებთ, შორს მცხოვრები აქედან, ლხენით.
ოდისევსი ვარ, ლაერტის ძე, მე ხერხთა მცოდნე,
შორს გავარდნილა ჩემი სიბრძნის სახელ-დიდება,
მკვიდრი ვარ მზიან ითაკასი, ჩანს იქ ნერიტონ
მთა ჩრდილოვანი, ტყით მოსილი, ხილვად საამო,
მის გარეშემო მრავლად არის სხვა კუნძულებიც _
სამე, ტყიანი ძაკინთოსი, დულიხიონი.
თვით ითაკა კი ძევს ყველაზე შორს, შუა ზღვაში,
დასავლეთ მხარეს, სხვები კი მზის ამოსავალთან.
თუმც კლდოვანია, კარგ მოყმეთა არის აღმზრდელი.
არსად მეგულვის მე სხვა მხარე მასზე უტკბესი.
მეტად ეწადა იმ კალიფსოს, ჯადოსან ქალღმერთს,
რომ ქმრად ვყოლოდი მჯდომარე ვრცელ გამოქვაბულში.
ფრიად ცდილობდა კირკეც, მცოდნე გრძნეულებისა,
აიაიას დარჩენილი, მასთან ვყოლოდი,
მაგრამ ვერ იქნა, ვერ მოიგო მან ჩემი გული.
რა უნდა იყოს სამშობლოზე, ოჯახზე ტკბილი,
თუნდ სასახლეშიც რომ მეცხოვრა უცხო მხარეში,
ნათესავთაგან, სისხლხორცთაგან დაშორებულსა?

ახლა გიამბობ იმ უმძიმეს დაბრუნებაზე,
ტროიით წამოსულს რაიც ზევსმა თავს დამატეხა,
ტროიდან ქარმა კიკონთ ქალაქს ისმარს მიგვაგდო,
ქალაქი იგი დავანგრიეთ და მკვიდრნიც მოვსპეთ.
ბევრი ნადავლი, ტყვე-ქალები ხელთ ვიგდეთ იქა
და ყველაფერი გავუყავი მებრძოლებს წესით
და უმალ ყველას მოვუწოდე, ადგილს გავცლოდით.
მაგრამ ამაოდ, არ მისმინეს უგუნურებმა.
ბევრისგან ბევრი ღვინოც შესვეს, თაფლზე უტკბესი,
ბევრიც შეჭამეს ხარები და მსუქანი ცხვრები.
ამასობაში კიკონებმა იხმეს თვისტომნი,
რომელნიც ქვეყნის შიგ სახლობენ, იქვე, მეზობლად
წარჩინებულნი ცხენოსანნი, მედგრად მებძროლნი,
მასთან ქვეითად ბრძოლის წესის კარგად მცოდნენი.
დილით მოგვაწყდნენ, გაზაფხულის ფოთლებზე ბევრნი
და ზევსის რისხვა თავს დაგვატყდა მოულოდნელად,
რომ უბედობა განგვეცადა ენით უთქმელი.
ნავების ახლო ცხარე ომი გავმართეთ უცებ,
თვითონ ვუშენდით ჯერ ერთმანეთს სპილენძის ლახვრებს.
ამასობაში ინათლა და დღემაც მოგვისწრო,
მაინც კი მტკიცედ მტერს ურიცხვსა ვუმკლავდებოდით.
მაგრამ მწუხრისას, როცა ხარებს უღელს შეხსნიან,
კიკონელებმა დაიჯაბნეს აქაველთ ჯარი.
ყოველ გემიდან გამოგვაკლდა ექვს-ექვსი კაცი.
სხვებმა კი შავი სიკვდილისგან გაქცევა შეძლეს.
ისევ განვაგრძეთ მერე ცურვა მწუხარე გულით.
თუმც ჩვენ გადავრჩით, დაგვეღუპა ძვირფასი ძმები
მაგრამ გემები გზას მანამდე არ გავუყენეთ,
სანამ დაკარგულ მეგობართა სამგზის არ ვუხმეთ,
ვინც ბრძოლის ველზე კიკონთაგან განგმირულიყო.
და უცებ ზევსმა თავზე რისხვად დაგვცა გრიგალი,
ზღვა და ხმელეთი ბურუს-ჯანყით შემოსა უმალ,
ცით ჩამოეშვა მაშინ ღამე წყვდიადოვანი,
გემებმა შექმნეს უთავბოლო რყევა-ქანავი.
სამად და ოთხად ილქანი დაფხრიწა ქარმა,
დაზაფრულებმა დავხსენით და გემზე დავყარეთ.
ნიჩბებს მოვუსვით. ხმელეთს რასმე მივუახლოვდით.
ორი დღე-ღამე განუწყვეტლივ ნაპირს ვეყარეთ,
მძიმე დარდით და დაღლილობით გულშენაღონნი.
როს მესამე დღეს კოხტათმება გამოჩნდა ეოს,
ანძა აღვმართეთ და დავშალეთ აფრები თეთრი.
ქარმა დაქროლა, მესაჭენი გემს აჩქარებდნენ

და ის-ის იყო, მივაღწიეთ სამშობლო მიწას,
მაგრამ მალეას რომ ვუვლიდით, ატყდა ტალღები,
დაგვცხო ბორეამ და მიგვაგდო კითერონს მიღმა.
ცხრა დღე გვატარა აღმა-დაღმა ქართ მძვინვარებამ
ბობოქარ ზღვაზე. მეათეს კი მივედით ქვეყნად
ლოტოფაგების, ყვავილებით რომ საზრდოობენ.
ავედით ნაპირს, მოვიძიეთ სასმელი წყალი,
გემების ახლოს ზეზეულად გავტეხეთ პური.
როდესაც გული შევაჯერეთ სმითა და ჭამით,
თანამგზავრები მყის გავგზავნე დასაზვერავად,
პურისმჭამელი თუ რა ხალხი ცხოვრობდა იქა.
წავიდა ორი, იმათ ერთიც გზირად ვაახელ.
როცა მივიდნენ, გაერივნენ ლოტოფაგებში,
ლოტოფაგებმა არაფერი არ აწყენინეს,
გაუმასპინძლდნენ და მიართვეს ლოტოსის კერძი
და რა იგემეს უტკბილესი ლოტოსის გემო,
არცარა გვამცნეს, არც ინდომეს უკან წამოსვლა,
მოუნდათ მუდამ ყოფილიყვნენ ლოტოფაგებთან.
ლოტოსის ეშხით დაავიწყდათ შინ დაბრუნება.
სულ ძალა-ძალით მოვათრიე ჩემები გემზე
და მივაკოჭე მაგარ ბაწრით ნიჩბის სახელურს.
ხოლო სხვებს ვუთხარ, უმვირფასეს თანამგზავრებსა,
დაუყოვნებლივ სწრაფ გემებზე რომ ასულიყვნენ,
რათა იმათაც არ ეგემათ ტკბილი ლოტოსი.
უმალ ავიდნენ და მიუსხდნენ ნიჩბების სკამებს,
მწყობრად მსხდარებმა ზღვას ქაფოვანს დაჰკრეს ნიჩბები.
გულამღვრეულნი ამ ამბებით კვლავ მივცურავდით.
და მივაღწიეთ უხეშ, უდრეკ კიკლოპთა მხარეს,
რომლებიც უკვდავ ღმერთთ წყალობას მინდობილიყვნენ.
არც სარგავს რგავდნენ, არცა სათეს სთესავდნენ რასმე,
რადგან იწევდნენ ყოველივეს ურგველ-უთესველს:
ხორბალსა, ქერსა, თან ვენახსა, რომელს ვეება
მტევნები ესხა, ზევსის ნამის მოუკლებელსა.
არც მოედანი ჰქონდათ ბჭობის, არც რამ კანონი.
მთათა მაღალთა მწვერვალებზე მოსახლეობდნენ.
ქვაბთა სიღრმეში ცოლით, შვილით ცხოვრობდნენ მარტო
განდგომით მყოფნი, ერთმანეთთან მიმოუსვლელნი.
კუნძული ვნახეთ, კიკლოპთ ქვეყნის ნავსაყუდელიც,
არცა თუ ახლოს, არც ისე შორს, განზე მდებარე.
ტყეს დაბურულსა ველურ თხების სძოვდა ჯოგები,
რომელნიც კაცთა სიახლოვეს სულ არ უფრთხოდნენ,
მონადირენიც არა სჩანდნენ სადმე მახლობლად.

ვაივაგლახით მწვერვალების გადამლახველნი
არცა მწყემსები არა სჩანდა, არცა მხვნელები,
უხნავ-უთესი შთენილიყო მათი მიდამო.
კაცს ვერ ნახავდი, მარტოდ სძოვდნენ თხა და ციკნები.
არცა ხომალდი არ იცოდა კიკლოპთა გვარმა,
არც კაცნი ჰყავდათ, გემთშენების საქმის მცოდნენი,
რომ გამოეწყო ვინმეს ნავნი, მტკიცედ ნაკეთნი,
ადამიანებს ქალაქებში რომ მიიყვანდნენ,
როგორც სჩვევია კაცთა მოდგმას მისვლა და მოსვლა,
ისინი კუნძულს ხალხით მჭიდროდ დაასახლებდნენ.
სულ მოუმცდარად მოაქვს მიწას მუდამ ნაყოფი,
რადგან ზღვის ნაპირს ჭარბად ახლავს ვრცელი ველები,
ამო რუთაგან რომ ირწყვიან, არ ჭკნება ვაზი.
აქაა ყანაც, ნათესები მაღალი მუდამ
დროზე იმკება, რადგან მიწა ნოყიერია.
ძებნა არ უნდა კარგად გაშლილ ნავსაყუდელსა,
ღუზის ჩაგდებას, ბაგირთ მიბმას არ საჭიროებს.
ნაპირს მიმდგარი იდექ მანამ, სანამდე გინდა,
სანამ ნიავი სასურველი არ დაგიქროლებს,
ნავსადგურს ზემოთ წყალკეთილი დიოდა წყარო,
ქვაბთან რუ იყო, რუს გარშემო _ ალვის ხეები.
ჩვენ იქ შევცურდით, რომელიღაც ღმერთის ჩვენებით,
რადგან არ ჩანდა ბურუსიან ღამეში რამე.
ნავთა გარშემო ჯანღი იდგა, არც მთვარე ჩანდა,
რადგანაც ზეცა შავ ღრუბლებით შეგრაგნილიყო.
მიტომაც კუნძულს ჩვენთაგანი ვერვინ ამჩნევდა.
ვერც დიდრონ ტალღებს ვერ ვხედავდით, ნაპირზე მომსკდარს,
სანამ ნავები არ შეიჭრა ცხვირით სილაში.
მაშინ ნავებზე ჩამოვხსენით ანძა და აფრა
და გადავედით ტალღებშემსკდარ ნაპირზე ჩვენაც.
ვიდრე ეოსი არ გამოჩნდა, გვეძინა მანამ.
ვარდისფერთითა რა გამოჩნდა ეოსი ადრე,
გადაგვეშალა წინ კუნძული, ხილვად უცხო რამ,
მაშინ ნიმფებმა, ასულებმა სკიპტროსან ზევსის,
მორეკეს თხები, რომ თანამგზავრთ გვქონოდა საზრდო.
უმალ შუბ-მშვილდით აღვიჭურვეთ, დავაგდეთ გემი,
ნადირთ სვრა ვიწყეთ სამ ნაწილად გაყოფილებმა,
უხვად მოგვმადლა ღმერთმა მაშინ ნანადირევი,
თორმეტსა ნავსა თითოეულს ცხრა-ცხრა თხა ერგო.
ჩემთვის საკუთრად დავიტოვე ათი ციკანი.
და ჩვენ მთელი დღე მზის ჩასვლამდე ამოდ ვისხედით.
ვჭამდით თხის ხორცს და ვაყოლებდით უტკბილეს ღვინოს,

ჯერ ჩემ გემებზე კიდევ იყო წითელი ღვინო,
გემებით ბევრი წამოვიღეთ სავსე კოკები,
როცა კიკონთა წმინდა ქალაქს დავესხით თავსა.
ნათლად ვარჩევდით კიკლოპთ მხარეს, მის ახლოს მყოფნი,
ხმაც კი გვესმოდა თვითონ მათი, ცხვრების და თხების.
ამასობაში მზეც ჩავიდა, დადგა წყვდიადი.
დავწექით მღელვარ ზღვის ნაპირას დასაძინებლად.
ვარდისფერთითა როს აღმოხდა ეოსი ადრე,
ყველა შევკრიბე მოედანზე და ეს ვუთხარი:
“აქ დარჩით ყველა, მეგობარნო უძვირფასესნო,
მე ერთი გემით თან წავიყვან ჩემს თანამგზავრებს,
შევიტყო, კაცნი იქ მცხოვრებნი თუ ვინ არიან,
ველურებია, არმცოდნენი სამართალისა,
თუ ღვთისმოსავნი, მოყვარენი სტუმარ-მეგობრის”.
ეს ვთქვი და გემზე აველ მაშინ, ვუხმე მეგობრებს
ჩემთან ამოსვლა და საჩქაროდ გემის აშვება.
სრულყვეს ბრძანება და მიუსხდნენ ნიჩბის პალოებს.
შემდეგ ზღვის ტალღებს თეთრქაფიანს დაჰკრეს ნიჩბები.
მსწრაფლ მივაღწიეთ კიკლოპთ ნაპირს უახლოესსა
და ზღვასთან ახლოს დავინახეთ გამოქვაბული,
დაფნის ხეები იდგა მის წინ, გვერდით _ ბოსლები,
თხათა და ცხვართა შესაფერი ღამის სათევი.
შემორაგვული იყო ეზო დიდრონი ქვებით.
ეზოში იდგა ცადაწვდილი მუხა და ფიჭვი.
ერთი ვაჟკაცი იქ ცხოვრობდა მაღალ-მაღალი
განცალკევებით, თხის და ცხვარის ფარების მწყემსი,
სულ მარტოდ მყოფი, უთვისტომო, არაფრის მცოდნე.
რაღაც საოცარ რამ ქმნილებად გამოგვესახა,
კაცს არა ჰგავდა პურისმჭამელს, მთას ჰგავდა უფრო,
ტყით გადაბურულს, ცალკე მდგარსა განმარტოებით.
ყველა თანამგზავრს, ჩემთან მყოფებს, ვუბრძანე მაშინ,
გემი ნაპირზე აეთრიათ, იქ დაეცადათ.
უურჩეულესი თორმეტი ყრმა თან წავიყვანე.
წითელი ღვინო ერთი ტიკი წავიღეთ საგზლად,
რომელიც მიძღვნა მე მარონმა, ევანთეს ძემა,
დიდმა ქურუმმა აპოლონის, ისმარს მჯდომარემ,
რადგან შევინდეთ ჩვენ იგი და მისი ცოლ-შვილი.
მას აპოლონის ხეივანში ედგა სახლ-კარი.
მან ჯილდოდ მიძღვნა საჩუქარი უძვირფასესი,
შვიდი ტალანტის ოქროული, უცხოდ ნაკეთი,
მაჩუქა ტურფად ნახელავი ვერცხლის კრატერიც.
თორმეტ კოკაში თავანკარა ღვინო ჩამისხა,

ღვთიური, უცხო, კაცს გახდიდა ღვინის უნახავს.
მისი ჭაშნიკი სხვას არავის არ გაესინჯა,
მხოლოდ მას, ცოლსა და მსახურსა, ჭურჭლის გამრიგეს.
თუ ისურვებდით შესმას უტკბეს წითელი ღვინის,
ღვინოს ერთ თასსა ოც ზომა წყალს ის შეურევდა.
და იფრქვეოდა საოცარი სურნელი დოქით,
პირს ვერ მოსწყვეტდა კაცი, გემოს თუ გაიგებდა.
სწორედ ეს ღვინო კუპრიელით თანვე წავიღე,
ქეჩხოში ჩავდე საგზალიცა, გუმანით მივხვდი,
კაცს შევხვდებოდი მეტისმეტად დიდს, ბუმბერაზსა,
წესის, კანონის უმეცარსა, ველურსა ვისმე.
გამოქვაბულში შევედით და ვერავინ ვნახეთ.
მახლობელ ველზე თხისა და ცხვრის ფარას მწყემსავდა.
გამოქვაბულში ყოველივე წვრილად შევიტყვეთ.
ჭურჭლები ვნახეთ ყველით სავსე. იქვე ბოსლები
ვეღარ იტევდა სულ დარჩეულ ციკან-ბატკანსა.
მოზრდილნი ცალკე იყვნენ, ცალკე _ ნაგვიანევნი,
ცალკე _ სულ ახლად მოგებულნი და შრატი ესხა
ყველა ჭურჭელში. ქვაბ-საწველიც მზად იდგა იქვე
ფიცხლად დამიწყეს მაშინ ხვეწნა თანამგზავრებმა,
ყველი აგვეღო, მსწრაფლ გავცლოდით იქაურობას,
თან ბოსლებიდან გაგვერეკა ციკან-ბატკნები,
გემზე შეგვესხა და განგვეგრძო გზა მლაშე ზღვაზე.
არ დავუჯერე, თუმც მიჯობდა ყურს მეღო რჩევა _
კიკლოპის ნახვა მსურდა, _ ეგებ მოეცა რამე.
მაგრამ გაცუდდა ეს იმედი, _ რისხვით მიგვიღო,
ცეცხლი დავანთეთ, ჩავიმუხლეთ, მსხვერპლი შევწირეთ,
ყველი გავსინჯეთ, ვრცელ ქვაბულში ვისხედით ამოდ,
მობრუნდებოდა სანამ იგი. ბოლოს გამოჩნდა,
ზურგზე ვეება ხე-ტყე ეწყო ვახშმის სამზადად,
მეხური ზათქით ქვე დაამხო მან თავის ტვირთი.
ნირწამხდრები მივიყუჟეთ ქვაბის კუნჭულში.
გამოქვაბულში შემოლალა მსუქანი ფარა.
მოსაწველავი შეაქუჩა ყველა წინკარში.
ყოჩი და ვაცი გამოქვაბულს გარეთ დასტოვა.
კართან დააგდო კლდის ნაგლეჯი უზარმაზარი,
რომელსაც ეტლი ოცდაორი ძვრას ვერ უზამდა,
ოთხბორბლიანი, მტკიცედ ნაჭედ-ნახელოვნები.
ესდენ ვეება კლდის ნაგლეჯით კარი დაახშო.
მერე დამჯდარმა გამოწველა თხები და ცხვრები.
როგორც წესია, თიკან-კრავი დედებს მიუშვა.
წამს შეადედა მოწველილი რძის ნახევარი,

გაწურა კიდეც, ყველი ჩადო დაწნულ კალათში.
ჭურჭელში დარჩა ნახევარი შემონახული,
რომ შეეთქვლიფა, როცა ვახშმის დრო დადგებოდა.
რა მოითავა ყოველივე, რაც საქმე ჰქონდა,
ცეცხლი დაანთო, თვალი მოგვკრა და შეგვეკითხა:
“რა კაცები ხართ? ამ წყლიან გზით სიდან მოსულხართ?
საქმე გაქვთ რამე, თუ უმიზნოდ დაეხეტებით?
ვით მეკობრენი ამ ვრცელ ზღვაზე საალალბედოდ,
თავს რომ აგებენ და სხვებისთვის ვაება მოაქვთ?”
ეს თქვა და ყველას შეგვიღონდა შიშისგან გული
მის მჭექარ ხმაზე, შეგვძრა მისმა ველურმა სახემ.
მაგრამ მე მაინც ეს შევბედე პასუხად იმას:
“ტროას ომიდან მომავალნი ვართ აქაველნი,
მრავალ ქარისგანი შერისხულნი უსიერ ზღვებზე.
მივეშურებით შინ სულ სხვა გზით და სხვა გეზითა.
ასე ინება, ვით ჩანს, ზევსმა, ბრძენმა განგებამ,
უფროსად გვყავდა ატრევსის ძე აგამემნონი.
მომპოვებელმა ცის ქვეშეთში დიდი სახელის,
მათი ქალაქი ქვე დაამხო და ხალხიც მოსრა.
ჩვენ აქ მოვსულვართ და მუხლს ვიყრით შენსა წინაშე,
რათა მიგვიღო შინ სტუმრებად, გვიძღვნა რაიმე,
როგორც წესია ამა ქვეყნის კაცთა მოდგმისა.
კრძალვა გვხამს ღმერთთა, რადგანაც ვართ მავედრებელნი.
ზევსი მფარველობს სტუმართა და მავედრებელთა,
სტუმართმოყვარე მავედრებელთ კრძალვით თან ახლავს”.
ეს ვთქვი და იმან მიპასუხა განრისხებულმა:
“ბრიყვი ხარ, ანდა ჩამოსულხარ ძლიერ შორიდან,
მე რომ მასწავლი ღმერთთა შიშსა, პატივისცემას.
არად აგდებენ კიკლოპები ზევსს, კვერთხის მპყრობელს,
არცა სხვა ღმერთებს, ბევრად ვჯობვართ თვითონვე იმათ.
არც შეგიბრალებთ ზევსის შიშით შენ და შენს ძმებსაც,
თუ მე არა მსურს და გუნებით არ მოვინდომე.
ჯერ ეს მითხარი, აქ რომ მოხველ, გემი სად გიდგას,
აქედან ახლოს თუ შორსაა, მინდა ვიცოდე”.
ვხედავდი, მცდიდა, არ დავუხვდი გამოუცდელად
და საპასუხო ცბიერებით მივუგე სიტყვა:
“პოსეიდონმა დამიღუპა, მიწის შემძვრელმა,
ქვებს მიგვაჯახა, ქარისაგან მოტაცებულნი,
იმ მაღალ კონცხზე, თქვენი მიწის სანაპიროზე.
მეც და ესენიც შავბნელ სიკვდილს ძლივს გადავურჩით.”
რა დავასრულე, არც რა უთქვამს, ბრაზით მზირალი
ზე წამოიჭრა, მიეტანა ჩემს თანამგზავრებს.

ორს ხელი სტაცა, ლეკვებივით ძირს დაანარცხა,
იმათი ტვინით მოისვარა ირგვლივ მთლად მიწა,
მერე დაკუწა, გაიმზადა მათგან ვახშამი.
ლომებრ შეთქვლიფა ყველაფერი, რაც მოიხელთა,
ხორციც, შიგანიც, მასთან ძვლებიც ქონ-ცხიმით სავსე.
ჩვენ კი მტირალნი აღვაპყრობდით ხელებს ზევსისკენ,
ამის მნახველებს, არ ვიცოდით, რა უნდა გვექნა.
როცა კიკლოპმა დიდი ფაშვი ამოიყორა,
კაცის ხორცჭმულმა მოუხდელი რძე დააყოლა
და მყის ჩაეგდო ცხვართ გროვაში დასაძინებლად.
ბოღმით ამევსო მტკიცე გული და გადავწყვიტე,
ახლოს მისვლა და ბასრი შუბით მკერდის გაპობა
იქ, სად იყოფა დაფისაპკით მკერდი ღვიძლისგან.
მაგრამ სხვა აზრმა დამაბრკოლა ამ ფიქრში მყოფი:
მაშინ უცილოდ სიკვდილისგან თავს ვერ ვიხსნიდით,
რადგან შეუძლო იყო ჩვენთვის მაღალ კარიდან
იმ მძიმე ლოდის გადმოგდება რამენაირად.
ასე ვგოდებდით უიმედოდ გარიჟრაჟამდე.
ვარდისფერთითა რა ეოსი წამოდგა ადრე,
ცეცხლი დაანთო, გამოწველა მან დედა ცხვრები
ვით წესი ითხოვს, მოუნახა დედას შვილები.
რა ყველა საქმე შეასრულა მან თავის რიგზე,
კვლავ ხელი მიჰყო ორ თანამგზავრს და ისაუზმა
მერე კი ფარა გაირეკა საძოვრისაკენ,
შეუწუხებლად მოაცილა კარს დიდი ლოდი,
გარეთ მოადო კარს, ვით კაპარჭს ადებენ ხუფსა.
სტვენა-ძახილით მთად მირეკდა კიკლოპი ფარას.
ქვაბში დარჩენილს მხოლოდ ერთი აზრიღა მქონდა,
შური მეძია, თუ ათენა ძალას მომცემდა.
ბოლოს ეს აზრი მივიჩნიე საუკეთესოდ:
ზეთისხილის ხის დიდი კეტი ეყუდა კედელს,
ახლად მოჭრილი, გასახმობად შემონახული.
რომ შეგეხედა, უეჭველად ასე იტყოდი,
ანძა არისო დიდი გემის, ოცნიჩბიანის,
ტვირთის მზიდველის, ზღვათა სივრცის დამლახველისა,
აი, რამდენად დიდი იყო იგი ხელკეტი.
იქედან მოვჭერ ორი მკლავის გაშლა ნაჭერი,
მივეც თანამგზავრთ, ვბრძანე, როგორ გამოეთალათ.
გააკოპიტეს, იმ სარს წვერი წავუმახვილე,
მგზნებარე ცეცხლში ჩავდე შემდეგ, კარგად გამოვწვი,
ამას რომ მოვრჩი, მყის ნაკელის გროვაში ჩავფალ,
ნაკელის დიდი ზვინი იდგა გამოქვაბულში.

მერე მეგობრებს შევთავაზე, კენჭი ეყარათ,
ვინ გაბედავდა, ჩემთან ერთად კეტი აეღო,
თვალში ეთხარა ტკბილ ძილში მყოფ კიკლოპისათვის.
წილი ოთხს შეხვდა, მათ არჩევას თვით ვაპირებდი,
და წილუყრელად მე ვიყავი მათში მეხუთე.
საღამოს ისევ შემორეკა კიკლოპმა ფარა.
მსუქანი ფარა შემოლალა გამოქვაბულში,
მაღალ ეზოში, ქვაბის გარეთ, ერთიც არ დარჩა,
წინაგრძნობით თუ რომელიღაც ღმერთის ბრძანებით.
შემდეგ ქვაბის კარს კვლავ მიადო ვეება ლოდი.
თხები და ცხვრები გამოწველა ჩვეულებრივად.
ციკნებს და ბატკნებს მოუნახა მის-მისი დედა.
რა დაასრულა ყველა საქმე თავ-თავის რიგით,
კვლავ ორ ამხანაგს ხელი სტაცა, ვახშმად შეთქვლიფა.
ახლოს მივუდექ მაშინ კიკლოპს და ასე ვუთხარ,
თან გავუწოდე ღვინით სავსე სასმისი ხელით:
“ღვინო დალიე, კიკლოპ, კაცის ხორცისმჭამელო,
კარგად შეიტყობ, ჩვენს ხომალდზე თუ რა ღვინოს ვსვამთ.
შენთვის საჩუქრად მოგვიძღვნია, თუ შინ გაგვიშებ,
თუმც მძვინვარებას მისცემიხარ ზომაზე მეტად.
ვინღა გეწვევა, შე უწყალო, აქ მომავალში
სხვა კაცთაგანი, რადგან არღვევ კანონ-სამართალს?”
ეს რომ ვთქვი, თასი ჩამომართვა, მერე გადაჰკრა.
მეტად იამა მას სამელი და კიდევ მთხოვა:
“ერთიც დამისხი, უმალ მითხარ შენი სახელიც,
რომ ჩემს სტუმარსა საჩუქარი მოგცე საამო
კიკლოპსაც აძლევს მსუყე მიწა უხვ მოსავალსა,
საღვინე მტევნებს ზევსის ნამი უვსებს ჯიქანსა,
ეს ღვინო თვითონ ამბროსიოს ნექტარსაც სჯობნის”.
ეს თქვა და ისევ მივაწოდე შუშხუნა ღვინო.
საგზის დავუსხი და იმ ბრიყვმა სამგზისვე შესვა
და როცა ღვინომ კიკლოპს გონი მთლად დაუბნელა,
მოთაფლულ ენით ასერიგად ვეუბნებოდი:
“გინდა, შეიტყო, ჰოი, კიკლოპ, ჩემი სახელი?
გეტყვი, სანაცვლოდ ძღვენი მომეც დანაპირები,
არვინს მიხმობენ. მე სუყველა მეძახის არვინს.
დედაც და მამაც, მეგობრებიც, საერთოდ ყველა”.
ეს რომ ვთქვი, უმალ შემომხედა პირმოქუშულმა
“არვინს კი შევჭამ ყველა მისი მეგობრის შემდეგ,
ეს მიენიჭოს ჩემგან ჯილდოდ შენებრ სტუმარსა”.
ეს რომ თქვა, უცებ ძირს დაეცა, გაიღო ზათქი,
კისერმომტყდარი გაიშოტა და ჩაეძინა

პირიდან ღვინო დაანთხია და კაცის ხორცი.
ზედმეტი სმისგან პირისღება აუტყდა მძიმე.
იმ სარს მაშინვე ცხელ ღადარში ვუკარი თავი,
გახურდეს ერთი, შევუძახე ჩემს თანამგზავრებს,
შეშინებულნი რომ ხელიდან სულ არ გამცლოდნენ.
მალე გახურდა კეტის წვერი, ცეცხლში დებული,
თუმც ნედლი იყო, გადაიქცა სულმთლად ნაკვერჩხლად.
ცეცხლს ავაცალე, თანამგზავრნი შემოვიკრიბე,
ღმერთმა სიმტკიცე მათ ჩაუდო გულს საოცარი
და წყვეტიანი ცხელი წვერი ზეთისხილის ხის
თვალში ვატაკეთ, მერე იქით-აქეთ ვაბრუნეთ,
როგორც ოსტატი იწყებს ხოლმე ბურღის ტრიალსა
სანავე ხეში, ეწევიან სხვები ქვემოდან
ღვედს ჩაფრენილნი ორივ მხრიდან, ისიც ტრიალებს,
ვატრიალებდით ასე იმ კეტს კიკლოპის თვალში.
გადაეღვარა ცხელი სისხლი უპეს და გუგას,
შემოეტრუსა ერთნაირად წარბიც, წამწამიც.
ბოლოს კი თვალმა, ჩაშრეტილმა, შიშინი იწყო.
როგორც მჭედელი, ჩვეულებრივ, როგორც წესია,
გავარვარებულ ცულსა და ხმალს ცივ წყალში ჩადებს,
აშიშინდება და თანდათან უფრო მაგრდება,
ისე იმ კეტის ირგვლივ თვალმა შიშინი იწყო.
მისმა ბღავილმა, ამაზრზენმა, კლდეც შეარყია.
ზარდაცემულნი გავეცალეთ მაშინვე კიკლოპს.
კეტი თვალიდან მოიგლიჯა, სისხლში მოსვრილი
და მძლავრი ხელით შორს გასტყორცნა გაშმაგებულმა.
საშინელი ხმით ახლო მცხოვრებ კიკლოპებს უხმო,
ხშირი ტყით მოსილ მთის ქვაბებში მცხოვრებ-ბინადართ.
გამოეშურნენ მის ყვირილზე სხვადასხვა მხრიდან,
ქვაბულის კართან შეგროვილნი ეკითხებოდნენ:
“რა მოგივიდა, ო, პოლიფემ, რა გაღრიალებს,
ამ ნეტარ ღამეს რომ დაგვიფრთხე ჩვენ ტკბილი ძილი.
ხომ არ მოგტაცა შენი ჯოგი მოკვდავმა ვინმემ,
ანდა მზაკვრულად ვინმე მოკვლას ხომ არ გიპირებს?”
ხოლო ქვაბიდან თქვა პოლიფემ, მძლეთა მძლეველმან:
“არავინა მკლავს, ო, მზაკვრობით და არა ძალით”.
ამაზე მათაც უპასუხეს ფრთოვანი სიტყვა:
“თუ შენ მარტო ხარ და არვინ გყავს მანდ მოძალადე,
მაღალი ზევსის სენისაგან ვინ დაგიფაროს?
ევედრო მამა პოსეიდონს, ის დაგრჩენია”.
თქვეს და წავიდნენ, მე კი გულში მეცინებოდა,
ჩემმა სახელმა, ხერხმა ჩემმა რომ გააცურა.

ხოლო კიკლოპმა სიმწარისგან ღრიალს უმატა
კარებს მოგლიჯა კლდის ბოძალი უშველებელი,
თვითონ დაეგდო კარებში და ხელებს იშვერდა,
იქნება ვინმე ხელთ ვიგდოო გასვლის მოსურნე,
თავის გუნებით ჩვენ ბრიყვებად გვთვლიდა რეგვენი.
მე კი ვეძებდი რაიმე ხერხს საუკეთესოს,
რომ სიკვდილისგან მეხსნა სხვებიც და ჩემი თავიც.
ფიქრით ავწონე ყველა ფანდი, ყველა ოინი,
ენით უთქმელი განსაცდელის წინაშე მყოფმა.
ბოლოს ყველაზე უკეთესი ეს მოვიფიქრე:
ხშირბეწვიანი იქ ყოჩები იდგნენ მსუქნები,
კარგნიც, დიდებიც, მუქი ფერის ბეწვით მოსილნი.
ჩუმად შევკრიბე, ერთად შევკარ სამ-სამი ყოჩი
კიკლოპის საწოლ ზვინისაგან მოპარულ წნელით.
სამთაგან შუას ერთი კაცი ეკრა მუცელზე,
ხოლო სხვა ორი ორთავ მხრიდან მას იფარავდნენ.
ასე ავკიდე სამ-სამ ყოჩსა თითო ვაჟკაცი.
მე კი ყოჩთაგან უმჯობესი გამოვარჩიე,
ზურგს მოვეტანე და ჩავცურდი მერე მუცელზე,
ხელი ჩავავლე ხშირ ბეწვებსა; მჭიდროდ მივეკარ.
გული და სული მოთმინებით გავისალკლდევეთ
და ამ ყოფაში დღის სინათლეს ველოდებოდით.
ვარდისფერთითა რა გამოჩნდა ეოსი ადრე,
საბალახოსკენ მიიწევდნენ მაშინ ყოჩები.
მოუწველავმა დედაცხვრებმა მორთეს ბღავილი,
რაკი ჯიქნებში რძე მოადგათ, მათი მწყემსი კი
მწარედ მკვნესარე ყოჩებს ზურგზე ავლებდა ხელებს,
ვერ მოეაზრა იმა ბრიყვსა, ვერც მიმხვდარიყო,
თუ ხშირბეწვიან იმათ მკერდქვეშ ვინღა ეკიდა.
ყველაზე ბოლოს კარს მიადგა ის ჩემი ყოჩიც,
ბეწვით და ჩემებრ მაცდურ კაცით დამძიმებული.
მასაც მოავლო ზურგზე ხელი და თქვა ამგვარად:
“ერთგულო ყოჩო, ამ ქვაბს ბოლოს რატომღა სტოვებ,
აროდეს მახსოვს ცხვარს რომ უკან ჩამორჩენოდე,
პირველს გიყვარდა გასვლა ველსა ყვავილოვანსა,
პირველს გიყვარდა წყაროსპირად მიბაკუნება
და მწუხრის ჟამსაც ფარეხს მოსვლა გიყვარდა პირველს.
ახლა ყველაზე ბოლოს მიხვალ, იქნებ გებრალვის
პატრონის თვალი, ღვინით დამთვრალს რომ ამომშანთეს
ბოროტმა კაცმა, უბადრუკმა მისმა მხლებლებმა.
ვერვინ ვერ შეძლოს უსიკვდილოდ ჩემგან დასხლეტა.
შენც რომ ჩემებრი გქონდეს გრძნობა და თქმაც შეგეძლოს,

სად ემალება ის ჩემს რისხვას უსაშინელესს,
ამ გამოქვაბულს მივანთხევდი იმის ტვინს მყისვე,
ხოლო რაოდეს დავათხლეშდი დედამიწაზე,
გულს არადვარგის არავინზე მოვიოხებდი".
ეს წარმოთქვა და გაატარა ყოჩი კარებში.
რა ოდნავ გავცდით ქვაბს და ეზოს, მე ძირს ჩამოვხტი
და ყოჩებს უმალ ჩამოვხსენი ამხანაგებიც.
თანაც ჩქარ-ჩქარა იმ წვრილფეხა და მსუქან ფარას
გზა-გზა შემოვლით ნავებისკენ ვერეკებოდით.
გახარებულნი დაგვხვდნენ ძმები გადარჩენილებს,
ხოლო დაკარგულთ დასტიროდნენ მოთქმა-გოდებით.
წარბით ვანიშნე, შეეწყვიტათ ამაო გლოვა,
ვუბრძანე ჯოგი აეყვანათ საჩქაროდ გემზე,
დაუყოვნებლივ რომ გავცლოდით იქაურობას.
გემზე ავიდნენ მყის ისინიც, ნიჩბებს მოუსხდნენ,
ზღვას თეთრქაფიანს ერთობლივად დაჰკრეს ნიჩბები.
რა ნაპირს ერთი დაძახილის მანძილზე გავცდით,
ნიშნის მოგებით შევესიტყვე კიკლოპს ამგვარად:
"კიკლოპ, რას იტყვი? არც თუ ისე უგნური კაცის
თანამგზავრების გსურდა შეჭმა, განრისხებულსა!
ბოროტების წილ რაც შეგემთხვა, ახია შენზე!
რაკი არ უფრთხი სტუმრად მოსულ კაცების შეჭმას,
აჰა, სასჯელიც, ღმერთებისგან მოვლინებული!"
ეს ვთქვი და იგი კიდევ უფრო მკაცრად განრისხდა
მთასა მაღალსა კლდე მოგლიჯა უშველებელი
და გემსა სტყორცნა დაუზოგველ, საშინელ ძალით.
ცოტასღა ასცდა, ლამის საჭეს დაეცა იგი.
ზღვა წამოდუღდა შიგ ჩავარდნილ კლდის ნატეხისგან
ზღვის მოქცევის დროს ყალყზე ამდგარ ტალღებისამებრ,
მიბრუნდა გემი ისევ ისე ნაპირისაკენ.
ხელი წავავლე მაშინ კეტსა, ძალიან გრძელსა,
ნაპირს ვეძგერე, ძმებს ვანიშნე ნიჩბების მოსმა,
რომ შორს გავცლოდი საფრთხეს, ჩვენზე მოვლინებულსა.
მიხვდნენ ჩემს ზრახვას, მოიქნიეს მძლავრად ნიჩბები.
რა ორგზის უფრო მეტ მანძილით შევცურეთ ზღვაში,
ვერ მოვითმინე, კიკლოპისთვის რამე არ მეთქვა,
მაგრამ მყის ძმებმა შემაჩერეს ლმობიერ სიტყვით:
"რაში გჭირდება გაშმაგება ამ ველურ კაცის.
ქვა რომ გვესროლა, გემი ისევ ნაპირს მიაგდო,
ისე გვეგონა, თავს აღსასრულს ვერ დავაღწევდით,
და თუ შენი ხმა, შენი სიტყვა კვლავ ჩასცდა ყურში,
სუყველას თავებს ჩაგვიჩეჩქვავს, გემსაც დაგვიმსხვრევს,

გვერდებწვეტიან მარმარილოს დიდი ნატეხით”.
მაინც ვერ იქნა, გული მაინც ვერ დამიოკეს,
მოუთმენელმა მივახალე პასუხად სიტყვა:
“კიკლოპ, თუ გკითხოს მოკვდავთაგან უცრად ვინმემ
ასე სასირცხოდ თვალის ჩინი ვინ წაგართვაო,
ეს ოდისევსმა დამივსო-თქო, ციხის გამტეხმა,
ლაერტის ძემან, ვინც ითაკის ბინადარია”,
ვთქვი ეს თუ არა, ამაზრზენ ხმით ერთი შეჰყვირა:
“ვაჰმე, ამიხდა ძველის-ძველი წინასწართქმული.
აქ იყო წინათ თვალ-ტანადი მისანი ერთი,
ბრძენი ტელემოს ევრიმიდე, ბევრისა მცოდნე.
მოხუცდა კიკლოპთ ქვეყანაში მართლის მეტყველი,
რაც კი რამ უთქვამს, სწორედ ისე ახდა ყოველი.
თქვა, ოდისევსი წაგართმევსო თვალის სინათლეს.
თვალ-ტანად ვაჟკაცს მოველოდი მას მერე მუდამ,
დიდად შემძლესა, ბუმბერაზსა, სწორუპოვარსა.
ახლა კი ვიღაც ქონდრის კაცმა, არრის მაქნისმა,
თვალი დამიშთო, მე წინასწარ ღვინით დაძლეულს.
მო, ოდისევსო, ჯილდო გიძღვნა სტუმრის საფერი
და მიწის მპყრობელს შევევედრო, მშვიდი გზა მოგცეს,
რომლის შვილიც ვარ, ამაყობს, რომ მამაა ჩემი.
მის გარდა არვის აღარ ძალუძს ჩემი განკურნვა,
არც დიად ღმერთსა, ქვეყნად მცხოვრებს არც ვინმე მოკვდავს”.
თქვა და პასუხად მე მივუგე ამგვარი სიტყვა:
“მე რომ შემეძლოს, სულსაც ისე ამოგართმევდი,
სიცოცხლესაც და ჰადესის გზას გაგიყენებდი,
როგორც თვალის ჩინს ვერ აღგიდგენს მიწის მრყეველი”.
ეს რომ ვთქვი, მაშინ პოლიფემმა, ლოცვად დამდგარმა,
აღაპყრო ხელნი ვარსკვლავოსან ცის წიაღისკენ:
“პოსეიდონო, ჰე, მისმინე, მიწის მპყრობელო,
ძე თუ ვარ შენი, შენც ამაყობ ჩემი მამობით,
ნუმც მისულიყოს ოდისევსი შინ, ციხისმტეხი,
ძე ლაერტისა, ითაკაზე დამკვიდრებული.
თუ კიდევ მაინც უწერია ბედით შინ მისვლა,
ხილვა სახლ-კარის, მაღალ ბინის, მშობელი მიწის,
დე, დაჰკარგოდეს განსაცდელში ყველა ძმობილი,
და სხვათა გემზე დაბრუნებულს შინ ჭირი დახვდეს!
ამგვარად მლოცველს შეუსმინა პოსეიდონმა.

სიმღერა მეათე

[კირკე]

აიაიეს მივაღწიეთ, სად კირკე მკვიდრობს,
მძლავრი ქალღმერთი, კაცური ხმით მოლაპარაკე.
იგი და იყო ავისმზრახველ აიეტ მეფის.
ორივე შობა ჰელიოსმა, სინათლის მფრქვევმა,
და დედამისმა, ოკეანის ასულმა პერსემ.
ნავით შევცურეთ ნავსადგურში შეუმჩნეველად,
წინ მიგვიძღოდა ერთი ვინმე უკვდავთაგანი.
ნაპირზე ჩავხტით, იქ დავყავით ორი დღე-ღამე,
სასომიხდილნი, მწარე სევდით გულშემსჭვალულნი.
როს დღე მესამე შვა ეოსმა, ტურფათმიანმა,
შუბი ხელთ ვიპყარ, წელს მოვირტყი ბასრი მახვილი,
სასწრაფოდ აველ გემის ახლოს მდებარ გორაკზე,
რომ მომეხილა კაცთ სახლობა, ხმა გამეგონა,
დიდხანს ვიდექი კლდეზე, ირგვლივ ვიცქირებოდი,
უცებ კვამლს მოვკარ თვალი, მიწით ამომავალსა,
ხშირი მუხის ხით გარშემორტყმულ კირკეს სახლიდან.

[illegible]

ორად გავყავი მყის ძმობილნი, ჩემთან შთენილნი.
და ყოველ მათგანს დავუნიშნე თითო უფროსი.
ერთს თვით გავუძეხ, მეორეს კი _ ევრილოქოსი
კენჭები ჩავდეთ მუზარადში, მერე ავყარეთ
და წილი ერგო ევრილოქოსს, დიდსულოვანსა,
ის ატირებულ ოცდაათი კაცით წავიდა
და წასულებმა ჩვენც დაგვტოვეს ატირებულნი.
ნახეს უღრანით დაფარული კირკეს სასახლე,
თლილი ქვისაგან აგებული გაშლილ ადგილას.
სასახლის ირგვლივ მთის მგლები და ლომები ისხდნენ,
იმ კირკესაგან მონუსხული რაღაც ჯადოთი.
როდი მივარდნენ მისულ კაცებს, ამის სანაცვლოდ
კუდების ქნევით წამოუხტნენ მიახლოებულთ,
როგორც ძაღლები თავის პატრონს სადილის შემდეგ
გემრიელ ლუკმის მოლოდინში თავს ევლებიან,
ასე ლაქუცით დახვდნენ იმათ მგლებიც, ლომებიც.
მაინც დაშინდნენ თავზარდამცემ მხეცების ხილვით
და ლამაზთმიან კირკეს სახლის წინკარა დადგნენ.
კირკეს სიმღერა შემოესმათ, ამო სიმღერა.
ის საქსოვ დაზგას გარს უვლიდა ღმერთების შექმნილს
და უკვდავთათვის შესაფერის ქსოვილსა ქსოვდა.

წარმოსთქვა მაშინ პოლიტესმა, კარგმა მოყმემან,
მეგობართ შორის ვინც მიმაჩნდა საუკეთესოდ:
“ო, ძმაო, ვიღაც გალობს საქსოვ დაზგის გარშემო
და იმ სიმღერის ხმა გარემოს მიმოფენია,
იქნებ ღმერთია, ანდა ქალი. მოდი, ხმა გავცეთ”.
მან ასე თქვა და დაიძახა სუყველამ ერთად.
კარნი განიხვნენ მყის ელვისებრ გაბრწყინებულნი.
სახტად შთენილი დიდ დარბაზში შევიდა ყველა.
ევრილოქოს კი კართან დარჩა დაეჭვებული,
პატივით დასხა კირკემ ყველა სკამ-სავარძელზე,
პრამნულ ღვინოში შეურია ყველი და თაფლი,
ქერის ფქვილი და მოაყარა ზედ საწამლავი,
რომ იმის შემჭმელს დაავიწყდეს სამშობლო მხარე.
მიართვა ყველას ეს სასმისი, შესვეს და იმათ
ჯოხი შემოჰკრა, საღორეში შერეკა ყველა.
თავფეხით, ბეწვით, ხმით სრულიად ღორს დაემსგავსნენ,
შეუნარჩუნდათ მარტოოდენ გონება კაცის.
ატირებულნი საღორეში შერეკა კირკემ
და ჩაუყარა რკო, ნაყოფი ველური ხისა,
რასაც ტალახში ჩაგდებული ღორი სჭამს ხოლმე.
ევრილოქოსი მყის მოვარდა ისევ შავ ნავთან,
თანამგზავრების სამარცხვინო ხვედრი გვაცნობა,
გაოგნებულმა ენის დაძვრაც კი ვეღარ შეძლო,
ისე აევსო მისი გული დარდსა და ვარამს,
თვალს ცრემლი ადგა, სულს ტირილი მონატრებოდა.
გაოცებულნი ყველა ერთად ვეკითხებოდით,
ბოლოს ძლივსაღა შესძლო ეთქვა მათი ამბავი:
“წავედით ისე, ვით გვიბრძანე, გმირო ოდისევს,
უცხოდ ნაგები ხეივანში ვპოვეთ ტაძარი,
თლილი ქვით ნაგებს ვერ შეამჩნევს უცხოთა თვალი.
მღერალი ვინმე უცხო საქსოვს უვლიდა ირგვლივ,
ღმერთი თუ ქალი, მეგობრებმა უხმეს ძახილით.
მანაც განახვნა მყის ელვისებრ მბრწყინავი კარნი,
ავს არ ველოდით, შინ შეგვიხმო არრის მცოდნენი.
მე მათ ჩამოვრჩი, სივერაგე ვიაზრე რაღაც.
გაუჩინარდა ყველა ერთობ, არვინ მობრუნდა,
თუმცა კი დიდხანს და ამაოდ ველოდებოდი”.
ეს თქვა და მხარზე გადვიკიდე ბასრი მახვილი,
დიდი, სპილენძის, თანაც მშვილდი მოვიგდე ზურგზე,
ვუთხარ მაშინვე, წავეყვანე იქ მისასვლელ გზით.
ხელით მუხლებზე მომეხვია ცრემლით მთხოვნელი,
ამგვარ ვედრებას მოაყოლა ფრთოვანი სიტყვაც:

“ზევსის აღზრდილო, ნუ წამიყვან, დამტოვე აქა,
ვერც შენ მოხვალ და ვერცერთ ძმობილს ვეღარ დაიხსნი.
გემუდარები, გავეცალოთ აქაურობას,
რომ თავი ვიხსნათ უცილობელ დაღუპვისაგან”.
ეს თქვა და იმას საპასუხოდ ვუთხარი ასე:
“თუ გინდა დარჩი, ევრილოქოს, აქ, ამ ადგილას,
სვი აქ და ჭამე, განისვენე ამ ბუნებაში.
მე საქმე მიხმობს, მე იქ წავალ აუცილებლად”.
ეს ვთქვი და გემსაც, ჩვენს სადგომსაც მსწრაფლ გავეცალე.
და ის-ის იყო, წმინდა ხევი ჩამოვიტოვე
და მივაღწიე წამალთ მცოდნე კირკეს სასახლეს,
უეცრად შემხვდა ოქროს კვერთხით ხელში ჰერმესი,
ახლად აკოკრილ ულვაშიან ჭაბუკის მსგავსი, _
სანატრელია ვაჟკაცისთვის ესე ასაკი.
ხელი მომხვია და ამ სიტყვით ის შემეკითხა:
“შესდექ, საბრალოვ, ამ ტყე-ღრეში რად ეხეტები,
უცნობ ადგილას. კირკემ ძმები ღორად გიქცია
და საღორეში შერეკილნი ყრიან საბრალოდ.
იქნება გინდა მათი დახსნა და გადარჩენა?
გეტყვი პირდაპირ, ვერც მათ იხსნი, შენც იქ დარჩები,
მაგრამ დაიცა, თავს აგაცდენ დიდ განსაცდელსა.
წა, კირკეს სახლში, გასაოცარ რამ წამალს მოგცემ,
რომ განერიდო დაღუპვის დღეს აუცილებელს,
კირკეს საქმეთა სივერაგეს შეიტყობ ყველას.
საჭმელს მოგაწვდის, შიგ გაურევს საწამლავს რასმე,
მაგრამ ვერ შეძლებს შენს მოწამვლას, რაც უნდა იყოს,
მე მოგცემ წამალს, იმის ჯადოს გამქარვებელსა.
რაწამ კვერთხს დაგკრავს კირკე ჯადოს მიღების შემდეგ,
უმალ იშიშვლე ქარქაშიდან ბასრი მახვილი,
კირკეს მიუხტი, უპირებდე მას თითქოს მოკვლას.
დამფრთხალი იგი მყის მიგიწვევს თავის საწოლში,
მინებდი, არ თქვა შენ უარი ღმერთთან წოლაზე,
თუ გსურს ძმათა ხსნა და მიღება შესაფერისი.
თანაც უბრძანე, ღვთაებრივი ფიცით შეგფიცოს,
ბოროტსა რამეს შენდა წილად არ განიზრახავს,
რომ შიშვლად მყოფსა არ წაგერთოს ძალა და ღონე”.
არგოსის მკვლელმა ასე მითხრა, წამალი მომცა,
რა ამოგლიჯა მიწით, მამცნო მისი ბუნებაც,
შავფესვებიანს ყვავილები რძისფერი ესხა.
მოლს ეძახიან ღმერთნი, ძნელად შეძლებს მოკვდავი
მის ამოგლეჯას, მხოლოდ ღმერთებს ძალუძთ ყოველი.
შემდეგ ჰერმესი გაემართა დიდ ოლიმპოსკენ.

მე გავეშურე თვითონ კირკეს სასახლისაკენ
და გზად მიმავალს ამიძგერდა გული ძლიერად.
მივადექ კიდეც კოხტათმიან კირკეს წინკარსა,
ხმა ამოვიღე, დაძახილზე გაჩნდა ქალღმერთიც
და რა გააღო გასაოცრად ელვარე კარნი,
მე უკან მივყევ, გული ძლივსღა მედგა საგულეს.
დაჯდომა მთხოვა ტახტზე, ვერცხლის ლურსმნით ნაჭედზე,
საუცხოოზე, ფეხთ საბჯენი სკამიც იქ იდგა.
ჩემთვის სასმელი შეამზადა ოქროს სასმურში,
ავის მზრახველმა შეურია რაღაც წამალიც.
როცა გადმომცა, შევსვი კიდეც, მაგრამ ვერ მავნო.
კვერთხიც თავს დამცა, მოაყოლა თანაც ეს სიტყვა:
“აბა, წა, მალე, შენს ძმობილებს გვერდით მიუწექ!”
ეს თქვა თუ არა, ქარქაშიდან ვიშიშვლე ხმალი,
კირკეს მივუხტი, დავუპირე თითქოსდა მოკვლა,
ერთი შეჰყვირა, ჩამივარდა წამსვე მუხლებში
და საბრალო ხმით ასე მითხრა, ეს შემეკითხა:
“ვინ ხარ, რა კაცი, ვისი შვილი, რომელ ქვეყნიდან?
წამალი შესვი და მაკვირვებს, როგორ გადარჩი?
სხვა ვერა კაცმა ემაგ წამალს ვეღარ გაუძლო,
ვისაც შეუსვამს, ოდნავ ყელში გადასცდენია.
შენ მკერდში გიძევს, როგორც ვხედავ, უტეხი სული.
ოდისევსი ხარ, გამოვლილი ცეცხლსა და წყალში?
ჰერმესმა, ოქროს კვერთხიანმა, მრავალჯერ მითხრა,
შავოსან გემით აქ ტროადან გამოგივლისო.
აბა, ჩააგე შენი ხმალი სწრაფად ქარქაშში
და ჩემს საწოლში განისვენე მერე ნებივრად,
ერთურთს მივენდოთ, შეერთებულთ სიყვარულითა”.
ეს თქვა და იმას საპასუხოდ მივუგე ასე:
“რა პირითა მთხოვ, კირკე, ტკბილად მოგეალერსო,
როცა ამ სახლში შენ ღორებად მიქციე ძმები.
ჩემს მიმართაც ხომ განიზრახე ბოროტი რაღაც.
იქნებ ოთახში მიტომ მიხმობ, საწოლს მთავაზობ,
რომ გაშიშვლებულს სულ წამართვა ძალა და ღონე?
ოთახში შესვლას არ ვინდომებ, არც შენთან წოლას,
თუკი ახლავე არ დამიდებ უდიდეს ფიცსა,
რომ მე არ შემყრი რამე ახალ ჭირსა და ბოროტს”.
ეს რომ ვთქვი, უმალ შემომფიცა, როგორც ვუბრძანე,
ხოლო როდესაც გაასრულა ფიცის სიტყვები,
უცხოდ მოკაზმულ მის საწოლში შევედი მაშინ.
კირკეს სასახლეს ოთხი ქალი დასტრიალებდა _
მოსამსახურე, სულ ოჯახის საქმით გართულნი,

ნაკადულთა და მდინარეთა წარმონაშობნი,
იმ წმინდა წყალთა, უსიერ ზღვას რომ შეერთვიან.
ამათგან ერთმა ტახტს მოაგო კოხტა ფარდაგნი,
მეწამულ ფერის, ხოლო ქვემოთ ხამი გაშალა.
მეორემ ჩქარა გამოაწყო ვერცხლის ტაბლები,
ოქროთი წნული დაალაგა ზედ კალათები.
მესამემ ტკბილი შეაზავა ჭურჭელში ღვინო
და შემოუწყო სასმისები ოქროსი ირგვლივ.
მეოთხემ წყალი მოიტანა სამფეხა ქვაბით,
დადგა და მერე ქვეშ შეუნთო გუზგუზა ცეცხლი.
როცა სპილენძის ქვაბში წყალმა იწყო დუღილი,
აბაზანაში ჩამსვეს, ქვაბით აიღეს წყალი,
შეანელეს და მერე მასხეს თავსა და მხრებზე,
სანამ სხეულში დაღლილობა მთლად არ მომეშვა.
რომ მორჩნენ, ტანი დამიზილეს მბზინავი ზეთით.
პერანგს ზემოდან მოსასხამი შემომახვიეს.
უცხოდ ნაკეთებ ვერცხლით ნაჭედ ტახტზედა დამსვეს,
რომლის მახლობლად სკამიც იდგა ფეხდასადგმელი.
მომართვა ოქროს ხელსაბანი მსახურმა ქალმა,
მდგარი საოცრად გაკეთებულ ვერცხლისა ტახტზე.
ხელი დამბანეს, წინ დამიდგეს კრიალა სუფრა,
მწე ქალმა ახლად გამომცხვარი პური დააწყო,
შემოუმატა სხვა საჭმელიც საუკეთესო.
თვით მთავაზობდა საჭმელს კირკე, გულს ვერ ვუდებდი,
მძიმე ფიქრში მყოფს, რაღაც ბოროტს მიგრძნობდა გული.
კირკემ რა ნახა, პურს ხელს არ ვყოფ და ვზივარ ჩემთვის,
მძიმე რამ დარდით შეპყრობილი, დაღრეჯით მყოფი,
ახლოს მომიჯდა და მომმართა ფრთოვანი სიტყვით:
“უბრად რად ზიხარ, ოდისევსო, გულს რად ისივებ,
აღარც რამ სასმელს ეკარები, აღარცა საჭმელს.
იქნებ კვლავ ღალატს ელი რასმეს. ტყუილა შიშობ,
აკი ურყევი, უმტკიცესი ფიცით შეგფიცე”.
ეს თქვა და ვკადრე საპასუხოდ ამგვარი სიტყვა:
“აბა, მითხარი, კირკევ, რომელ კაცურ კაცს, ვაჟკაცს
გული მიუვა სმა-ჭამაზე მანამდე, სანამ
თავის ძმობილებს, თავისუფალთ, თვალწინ ვერ ხედავს?
და თუკი გინდა, რომ ხალისით შევსვა და ვჭამო,
დამიხსენ ძმები, მათი ხილვის ღირსი გამხადე”.
ეს რომ ვთქვი, კირკე დარბაზიდან გავიდა უმალ,
კვერთხის ხელთ მპყრობმა გამოაღო საღორის კარი,
რა გამოლალა ცხრა წლის ტახებს დამსგავსებულნი,
დარბაზს მოსულნი ერთმანეთსა გვერდით მიუდგნენ

და სათითაოდ ყოველ მათგანს წამალი წასცხო,
მყის სხეულიდან ეცლებოდათ ღორის ჯაგარი,
ტანს ამოსული კირკეს ბოროტ, მაცდურ ჯადოთი.
ახოვანებაც, სილამაზეც ემატებოდათ.
მაშინვე მიცნეს, მომესალმნენ ხელჩამორთმევით.
უეცრად გული აუჩუყდათ, მორთეს ტირილი,
სასახლე შეძრა საბრალოთა მოთქმა-გოდებამ.
თვითონ კირკესაც სიბრალულმა მოულბო გული.
მოვიდა დიდი დედოფალი ახლოს და მითხრა:
“ო, ლაერტის ძევ, ზევსის შვილო, ბრძენო ოდისევს,
ახლავე მიდი ზღვის ნაპირზე სწრაფმავალ გემთან
და ჯერ ხმელეთზე აათრიეთ თქვენი ხომალდი,
ქონება, გემის იარაღი ქვაბს გადამალეთ
და შენი ძმებით ისევ ისე უკან მობრუნდით”.
თქვა და ჭკუაში მე დამიჯდა მისი სიტყვები.
გემს მივაშურე ბობოქარი ზღვის ნაპირისკენ.
ვპოვე მყის გემთან შეკრებილი ძვირფასი ძმები,
დარდით მოკლულნი, მჯდარნი ცხარე ცრემლებს აფრქვევდნენ.
როგორც ხბოები, საძოვრიდან წამოსულ ძროხებს,
შინ დაბრუნებულთ და ბალახით კარგა გამაძღართ,
ხტუნვით ხვდებიან და ბოსელიც მათ ვერ აჩერებს,
ბღავილ-ბღავილით დედებისკენ მიტანებულთა,
მათაც ასევე, თვალი მომკრეს რაწამს, მაშინვე
ტირილი მორთეს, გაიხარეს იმგვარად სულით,
თითქოს ითაკას დაუბრუნდნენ, მშობელ ითაკას,
მიწას, რომელზეც დაიბადნენ და აღიზარდნენ.
ატირებულნი ფრთოვან სიტყვას მეუბნებოდნენ:
“ისე გვახარებს შენი ხილვა, ზევსის გაზრდილო.
თითქოს ითაკას, მშობელ მიწას დავბრუნებოდეთ,
მაგრამ გვიამბე სხვა ჩვენები ვით დაიღუპნენ?”
ეს რომ თქვეს, იმათ საპასუხოდ მივუგე ტკბილად:
“აბა, ჯერ გემი ავათრიოთ სწრაფად ხმელეთზე,
ქონება, გემის იარაღი ქვაბს გადავმალოთ,
ხოლო შემდეგ კი სუყველანი წამოდით ჩემთან,
რომ კირკეს სახლში ნახოთ ყველა ჩვენი ძმობილი,
სმა-ჭამად მსხდარნი და ყველაფრის ბლომად მქონენი”.
ეს ვთქვი და ყველამ დაიჯერა ჩემი ნათქვამი,
ევრილოქელა აჩერებდა სუყველას მხოლოდ
და ფრთოვან სიტყვით მიმართავდა მეგობრებს ასე:
“აბა, სად მიხვალთ, უბედურნო, ჭირ-ბოროტს ელტვით?
რომ კირკეს სახლში მისულები ყველანი ერთად
იქცეთ ღორებად, ანდა კიდევ მგლებად, ლომებად,

მისი სასახლის დარაჯებად იქნებით მუდამ.
ასე არ იყო, კიკლოპთან რომ წავიდნენ ძმები,
გათავხედებულ ოდისევსის მეთაურობით,
რომლის სიბრიყვემ იქ დაღუპა უბედურები".
გული ამემღვრა ამ სიტყვებზე და გავიფიქრე,
ვიშიშვლებ-მეთქი დაკიდებულს გვერდზე ბასრ მახვილს,
თავს ტანისაგან წავაცლი და ძირს დავაგორებ,
თუმცა მოყვარე იყო ჩემი და ნათესავი,
მაგრამ ტკბილ სიტყვით შემაჩერეს ამხანაგებმა:
"ღვთის შვილო, დარჩეს იგი აქა, თუ ნებას დართავ,
მიუდგეს გემს და უდარაჯოს, მას მოუაროს,
ჩვენ კი გავუყვეთ გზას ჯადოსან კირკეს სახლისკენ".
ამგვარ საუბრით გავეცალეთ გემსა და ზღვასა.
არც ევრილოქოს დარჩა მარტო განიერ გემთან,
ისიც გამოგვყვა, ჩემი რისხვით შეშინებული.
ამასობაში კირკეს ძმები, იქ დარჩენილნი,
განებანა და დაეზილა ზეთით ყველანი,
თან შეემოსა პერანგითა და მოსასხამით
და დიდ დარბაზში შევუსწარით მათ მილხინებულთ.
როგორც მივედით და მოვკარით ერთმანეთს თვალი,
მოთქმა-გოდებით და ტირილით აივსო სახლი.
მაშინ კი დიდმა დედოფალმა მომმართა ასე:
"ო, ლაერტიდევ, ოდისევსო, სიბრძნით განთქმულო,
ნუ აიკელით ეს სასახლე მოთქმა-გოდებით.
ვიცი გემთმსხვრეველ ზღვაზე რაიც გადაიტანეთ,
ან ხმელზე რა ჭირს შეეყარენ ძმობილნი თქვენი.
ახლა კი, მოდით, შეექეცით პურსა და ღვინოს.
და გულს მოუხმეთ, ჩადექი-თქო გულო საგულეს,
იმდაგვარადვე, როს ტოვებდით მშობლიურ მიწას,
კლდოვან ითაკას. და ახლა კი სასომიხდილნი,
მომგონებელნი ძნელი გზების, სულს არ მოუხმობთ,
იმხიარულოთ, ესოდენად ბევრის დამთმენნო".
თქვა და მყის ჩვენი დაიყოლა სული მამაცი.
ყოველდღე, ერთი წელიწადი, ვილხენდით მასთან,
შევექცეოდი ხორცსა, პურსა, თაფლივით ღვინოს.
მაგრამ როდესაც წელიწადი ერთი გავიდა,
თვემ თვე შეცვალა და დღემ ისევ მატება იწყო,
მაშინ მომიხმეს ძმობილებმა და მითხრეს ასე:
"ბეჩავო, დროა მოვიგონოთ მშობელი მიწა,
ღმერთს თუ მართლა სურს შენი ხსნა და შინ დაბრუნება,
რომ კვლავ გეღირსოს ხილვა ჩვენი მშობელი ქვეყნის".
ეს თქვეს და იმათ სიტყვას გულით მივენდე მეცა.

მთელ დღეს ვისხედით ერთად, ვიდრე მზე არ ჩავიდა,
შევექცეოდით პურს, ხორცსა და თაფლივით ღვინოს,
ხოლო როდესაც მზე ჩავიდა, ჩამოდგა მწუხრი,
მიწვნენ დარბაზში, ჩრდილოვანში, ჩემიანები,
ავედი კირკეს ტურფად შემკულ საწოლზე მეცა,
მუხლთ მოვეხვიე და ღმერთქალმა მათხოვა ყური
და მეც სიტყვები ფრთაშესხმული ვუთხარი ასე:
“ეჰ, კირკევ, დროა შემისრულო დანაპირები,
გამიშვი სახლში, რა ხანია სული მიმიწევს,
ვით ჩემს თანამგზავრთ, ძმობილები გულს მიწყალებენ,
რაწამს კი შენგან მოშორებით დამიხელთებენ”.
სიტყვას მოვრჩი და საპასუხოდ მითხრა ქალღმერთმა:
“ზევსის შობილო, ლაერტის ძევ, ბრძენო ოდისევს,
დე, ვისაც არ სურს, ნუ დარჩება ჩემს სახლში ნურვინ,
მაგრამ ჯერ უნდა სხვა გზა ნახოთ, ხამს შეიარო
ჰადესის სახლში და ზარდამცემ პერსეფონესთან,
თებელი ბრძენის ტირესიას სულს უნდა ჰკითხოთ,
იმ მისანს ბრმასა, ვისაც უჭრის გონების თვალი,
უნარი იგი დაუტოვა მკვდარს პერსეფონემ.
სხვათა სულნი კი აჩრდილისებრ ეხეტებიან”.
ამგვარად მითხრა, მე კი ჩამწყდა საბრალო გული,
ლოგინზე მჯდარმა, წამოვიწყე მოთქმა, ტირილი,
გულს არ უნდოდა კვლავ სიცოცხლე, მზის სხივის ხილვა.
როცა ვიჯერე გული მოთქმით, თავ-პირში ცემით,
მას საპასუხოდ მე მივმართე ამგვარი სიტყვით:
“კირკევ, აბა, თქვი, მე ამ გზაზე ვინ მიწინამძღვრებს?
ვინ მიაღწია, ერთი მითხარ, ნავით აიდეს?”
აი, რა მითხრა დედოფალმა დიდმა, პასუხად:
“ზევსის შობილო, ლაერტიდევ, ბრძენო ოდისევს,
მასზე ნუ ზრუნავ, თუ ღვთის გზაზე ვინ გიწინამძღვროს.
აღმართე ანძა, ახსენ აფრა და იჯექ შენთვის.
ბორეას ქროლვა თქვენთა ნავსა წაიყვანს თვითონ.
როს გადასცურავს შენი ნავი, ოკეანეს, იქ
ნაპირია და ხეივანი პერსეფონესი,
მაღალ ქორაფით და ტირიფით მთლად დაფარული,
ნავი დასტოვე ღრმად მდინარე ოკეანესთან,
თვით გაეშურე წყვდიადოვან ჰადესისაკენ,
სად აქერონტსა უერთდება პირიფლეგეთონ,
მასთან კოკიტოს _ ტოტი სტიქსის მდინარებისა.
იმ კლდოვან ადგილს, შესართავთან ორთავ ნაკადის,
აქ როგორც გითხრა, გმირო, სწორედ ისე მოიქეც.
ორმო მოთხარე იქ თითო წყრთა განით და სიგრძით,

იმის ნაპირზე უზედაშე ყველა დაღუპულს,
ჯერე თაფლუჭით, მერე კიდევ ღვინის დაქცევით,
მესამედ წყლითა, ბოლოს ქერის ფქვილის მოფრქვევით,
დიდხანს ილოცე მიცვალებულ უძლურთა ზედა,
ხოლო როს მიხვალ ითაკაზე, უკეთეს მოზვერს
მსხვერპლად შესწირავ და ცეცხლს მისცემ ძვირფასეულსაც.
ტირესიას კი ფერად შავი ცხვარი შესწირე,
მთელ შენს ფარაში რაც კი იყოს საუკეთესო.
რა მოილოცავ კეთილშობილ მიცვალებულთა,
ყოჩს და შავ ცხვარსა ორმოს პირად მსხვერპლად შესწირავ,
წყვდიადისაკენ თავებმიხრილთ, თავად მიბრუნდი,
მდინარეთა და ნაკადულთა მხარეს იყურე.
მაშინ მრავალი მკვდრისა სული მოგევლინება,
მყის ძმებს უბრძანე, გაატყაონ ჩქარა სამსხვერპლო,
რომ იმ ცხოველებს, დაკლულებსა ბასრი სპილენძით
ტყავი გააძრონ და შესწირონ ღმერთებს, შესთხოვონ
შავბნელ აიდსა და შიშისმგვრელ პერსეფონესა.
თვითონ მახვილი ორლესული აღმართე ხელით,
თხრილთან დადექი, რომ უსულო მკვდართა თავები
სისხლს არ შეეხონ ტირესიას ქადაგებამდე,
ხალხთა მეუფე ტირესია მყის იქ გაჩნდება,
წვრილად მოგითხრობს მგზავრობაზე, შინ მისვლის დროზე,
თუ რა ხანს დაჰყოფ პირქუშსა და მღელვარე ზღვაზე”.
თქვა და ეოსი ოქროს ტახტით წამოდგა კიდეც.
კირკემ პერანგიც მომაწოდა და მოსასხამიც.
თვითონ მოირგო ვერცხლისებრი სამოსი ნიფმამ,
რბილი და ამო, შემოირტყა წელზე ქამარიც
ოქროქსოვილი, მოიხვია თავსსაბურველი.
მე კარში გაველ, ვნახე ძმები ჩაძინებულნი,
ყველა მათგანი გავაღვიძე ამგვარი სიტყვით:
“იკმარეთ ახლა ტკბილი ძილი, დროა წამოდგეთ,
უნდა დავადგეთ კირკეს მიერ ნაჩვენებ გზასა”.
ჩემი ნათქვამი ერთობ ყველამ ირწმუნა გულით,
მაინც ვერ შევძელ უვნებელად ძმათა წაყვანა.
იყო ჩვენს შორის ელპენორი, ჭაბუკი ვინმე,
ფიცხელ ომშიც და ბრძნულ თათბირში გამოუცდელი.
ის ძმებისაგან ნამალევად კირკეს დარბაზში
სულის სალხენად ერთი მაგრად გამომთვრალიყო.
როცა უეცრად მეგობართა განგაში ესმა,
იქ, ზემოთ მყოფსა დავიწყნია ერთბაშად საწყალს,
რომ ძირს მაღალი კიბით უნდა ჩამოსულიყო,
იმ სიმაღლიდან გადმოვარდა, პირქვედამხობილს

სულ დაელეწა კისრის ძვლები, დალია სული.
დანარჩენებს კი, ჩემთან მოსულთ, ვუთხარი ასე:
“იქნებ გგონიათ, სამშობლოში ახლავე წავალთ?
კირკემ სხვაგვარი მიმითითა გზა და სავალი:
უნდა მივადგეთ ჰადესის და პერსეფონეს სახლს,
რომ თებელ ბრძენის, ტირესიას სულს შევეკითხოთ”.
ეს რომ ვთქვი, საწყლებს შიშით ლამის დაუსკდათ გული.
მიწას დაემხნენ, ტიროდნენ და თან ღაწვს იხოკდნენ.
მაგრამ ეს მოთქმა საქმეს, აბა, რას უშველიდა.
ხოლო როდესაც სწრაფ გემებთან და ზღვასთან გაჩნდნენ,
ღრმად მწუხარენი და ცხელ ცრემლთა დამაფრქვეველნი,
უეცრად გაჩნდა იმ ჩვენს ნავთან კირკე ქალღმერთი,
ყოჩი და ერთი შავი ვერძიც წამოეყვანა.
ვერავინ შეძლო დაენახა, როგორ მოვიდა.
თუ ღმერთს არ უნდა, ვინ შეიძლებს იმის დანახვას?

სიმღერა მეთერთმეტე

[სულთა სამეფო]

ნაპირთან ნავი დავაყენეთ, ცხვრები ჩამოვსვით,
ხოლო ჩვენ თვითონ ოკეანის დენას მივსდიეთ,
ვიდრე იმ ადგილს არ მივედით, კირკემ რომ გვითხრა.
აქ პერიმედეს, ევრილოქოსს საკლავი მივეც,
მე კი გვერდიდან ვიძრე ჩემი ბასრი მახვილი,
ერთი წყრთა ორმო ამოვთხარე სიგრძით და განით,
მიმოვაქციე მის გარშემო ყველა მკვდრისათვის
ჯერე თაფლუჭა, მერე ღვინო, მესამედ წყალი,
ზემოდან თეთრი ქერის ფქვილიც მიმოვაპნიეთ.
ბევრს აღვუთქვამდი მიცვალებულთ უსულო თავებს,
რომ შევწირავდი ითაკაზე უშობელ ძროხას
და ძვირფას განძსაც წმინდა ცეცხლსა მრავლად მივცემდი.
თვით ტირესიას შევწირავდი ცხვარს საგანგებოდ,
სავსებით შავსა, ჩემს ფარაში საუკეთესოს.
ყველა მკვდრისათვის გულმოდგინედ ვილოცეთ რაკი,
საკლავს ორმოზე წესისამებრ დავჭერი ყელი,
შიგ ჩაიღვარა შავი სისხლი, შემოკრბნენ მაშინ
გარდაცვლილთ სულნი, ღრმა წყვდიადში მობინადრენი,
ქალნი, ჭაბუკნი და მოხუცნი დიდჭირნახულნი,
ნორჩი ასულნი, გულმოკლულნი პირველი სევდით.
ბევრნიც ბასრ შუბით განგმირულნი სასტიკ ბრძოლებში,
მტკიცე ვაჟკაცნი, სისხლიანი ჯავშან-აბჯრითა.
ყურისწამღები ზათქით ირგვლივ ორმოს ეკვეთნენ.

საზარმა შიშმა მთლად მოიცვა ჩემი არსება.
მყის ძმები ფეხზე დავაყენე, გავეც ბრძანება,
რათა სპილენძით ყელგამოჭრილ ზვარაკისათვის
ტყავი გაეძროთ და შეეწვათ ხორცი, ელოცათ
ჰადესისა და თავზარდამცემ პერსეფონესთვის.
მე კი ბასრი ხმლით აღჭურვილი ორმოსთან დავჯექ,
მკვდართ თავებს ნება არ მივეცი, სისხლი ეგემნათ,
ტირესიასას ვიდრე რამეს არ შევიტყობდი.
პირველად სული მომევლინა ელპენორისა,
ფართოგზებიან მიწად ჯერაც დაუმარხავის.
ჭირში მყოფებმა იქ დავაგდეთ მისი ცხედარი,
ვერც დავიტირეთ, ვერც ვიგლოვეთ, ვერც დავამიწეთ.
თვალთ ცრემლი წამსკდა მისი ცოდვით გულდამდუღრებულს.
დასამშვიდებლად მას ვუთხარი ფრთოვანი სიტყვა:
“ელპენორ, ვითარ შეძლე მოსვლა ამა წყვდიადში,
ფეხით მომასწარ შავი გემით გამომგზავრებულს?”
ვთქვი და მაშინვე საპასუხოდ მითხრა ეს სიტყვა.
“ზევსისა მოდგმავ, ლაერტიდევ, ბრძენო ოდისევს.
ღვთის ბოროტ ხვედრის, ჭარბი ღვინის მსხვერპლი გავმხდარვარ.
მძინარეს კირკეს სასახლეში, გადამავიწყდა,
რომ მომეძებნა ისევ ისე მაღალი კიბე
და ზემო ბანით ქვედამხობილს მომტყდა კისერი,
ამომხდა სული და გაუდგა ჰადესის გზასა.
მუხლმოყრით გვედრი იქ მყოფთა და არმყოფთ გულისთვის,
საყვარელ ცოლის, გამზრდელ მამის პატივსაცემად,
ტელემაქესთვის, ვინც მარტოკა შინ დარჩენილა.
ვიცი ხომ კარგად, ჰადესიდან შინ მიქცეული
აიაიას კუნძულამდე უკან მიაღწევ.
გვედრი, მეუფევ, მომიგონე, იქ როცა მიხვალ,
ოხერტიალად, დაუტირლად ნუ მიმატოვებ,
რომ ნაცვლად ღმერთმა ჭირ-ვარამი არ შეგახვედროს.
რაც კი ზედ შემრჩა, ცეცხლში დამწვი იმ საჭურველით,
და სხვის ნაპირზე დამაყარე მიწა გორაკად,
სხვათათვის ჩემი უბედობის მოსაგონებლად.
როს ამას სრულყოფ, ჩემს საფლავზე აღმართე ჩემი
ნიჩაბიც, ძმებთან ერთად მეპყრა იგი ზღვით მცურავს”.
ეს თქვა და შემდეგ ვუპასუხე ამგვარი სიტყვით:
“ამას ყველაფერს წესისამებრ სრულვყოფ, ბეჩავო”.
ორივ ვისხედით სევდიანი სიტყვა-პასუხით,
ორმოს თავზე კი კვლავ შიშველი მახვილი მეპყრა
და ამგვარად ვსაუბრობდი ძმობილის ჩრდილთან.
ანაზდად ჩემთან გაჩნდა სული გარდაცვლილ დედის,

ანტიკლეასი, ავტოლიკეს დიადის ქალის,
შინ რომ დავტოვე ტროას ლაშქრად გამგზავრების წინ,
თვალს ცრემლი წამსკდა მისი ნახვით გულაჩუყებულს.
თუმც ვწუხდი ძლიერ, არ მივუშვი ორმოში მაინც
სისხლთან, სანამდე ტირესია მეტყოდა რამეს.
მოვიდა ბოლოს სული თებელ ტირესიასი,
მიცნო მპყრობელმა ოქროს კვერთხის და მითხრა ასე:
“ზევსის აჩრდილო, ლაერტიდევ, ბრძენო ოდისევს,
რად დაგიგდია, თქვი ბედშავო ნათელი მზისა
და აქ მოსულხარ წყვდიადოვან გლოვის სადგურში.
განშორდი ორმოს, მოაშორე ბასრი მახვილი,
სისხლი ვიგემო, გითხრა რამე შენს მომავალზე”.
ეს თქვა, მახვილი მოვერცხლილი ქარქაშს ჩავაგე,
ხოლო თვითონ კი, რა იგემა ის შავი სისხლი,
მაშინ მომავლის ჩემის მცოდნემ მითხრა მართალი:
“შინ დაბრუნების გსურს შეტყობა, ბრძენო ოდისევს,
რომელიც ასე გაგიძნელა შენ ერთმა ღმერთმა.
ვერ დაემალო პოსეიდონს, რისხვით აღგზნებულს,
თვალთა სინათლე რომ ჩაუქრე მის ძვირფას ძესა.
შინ დაბრუნებას მაინც შეძლებ, თუმც ბევრ ჭირს ნახავ,
თუ შეძლებ შენი და ძმაკაცთა სულის მოთოკვას,
ოდეს პირველად შენ მიაღწევ განიერ გემით
თრინაკიისა კუნძულს, ზღვათა გადამლახველი.
იქ ჰელიოსის ცხვარ-ხარის ჯოგს ნახავთ ნაპირზე,
ყოვლისმხილველის, ყოვლისავე ყურით მსმენელის.
შინ დაბრუნების მოსურნენო, მათ ხელს ნუ ახლებთ.
და ითაკაზე მიხვალთ, თუმცა ბევრ ჭირსა ნახავთ.
ჯოგს თუ ხელს ახლებთ, გეუბნები სრულიად მართალს,
დაღუპვა ელის გემს, ძმობილთაც და თითონ შენაც,
თუმც თავს დაიხსნი, ვეღარ იხსნი გემს და ძმობილებს.
შინ დაბრუნდები სხვა ხომალდით, იქ ჭირი გელის
თავხედ კაცთაგან, შენს დოვლათს რომ აჩანაგებენ.
სურთ ცოლი შენი რომ შეირთონ, ძღვენით მოხიბლონ,
ძალადობისთვის შურს იძიებ შენ, შინ მისული.
როცა შენს სახლში სასიძოებს დახოცავ ყველას,
ან მოხერხებით, ან პირდაპირ შეტაკებისას,
კვლავ გზას დაადექ, ნიჩაბს ხელი მოჰკიდე ისევ,
ზღვათა უმეცარ კაცთა მხარეს ვიდრე არ მიხვალ,
კერძში ვინც მარილს არ აზავებს, რომელთ მის დღეში
ხომალდი წითლად შეღებილი არც კი უნახავთ;
არცა ნიჩაბი, ფრთების ნაცვლად გემს მოსახმარი.
ნიშანს გაუწყებ საიმედოს, მოუტყუარსა:

თუკი შენ ვინმე გზად შემხვედრმა გკითხოს ანაზდად,
ბზის სანიაო რა ნიჩაბი გიდევს მხარზეო, _
ჩაარჭვე შენი ის ნიჩაბი იქვე მიწაში
და პოსეიდონს შესაწირი უხვად შესწირე:
ცხვარი და ძროხა, ტახიც ღორთა დამმაკებელი,
შინ მიქცეულმა განუმზადე ჰეკატომბები
ცათა წიაღში დამკვიდრებულ უკვდავ ღმერთებსა,
ყველას მიუზღე რიგისამებრ. მაშინ სიკვდილი
მსუბუქი მოვა მოშორებით ზღვისაგან შენთან
და სიბერისგან ძალმილეულს სულსაც წარგტაცებს,
ბედნიერ ხალხით გარემოცულს, ენდე ჩემს ნათქვამს”.
რა სიტყვას მორჩა, საპასუხოდ ვუთხარი ასე:
“ამას ხომ ღმერთნი, ტირესია, თვით მომისჯიან.
სჯობს შეუცდომლად და სისწორით მირჩიო, რა ვქნა.
გარდაცვლილ დედის სულსა ვხედავ, აქ, ჩემთან მოსულს,
უტყვად დამჯდარა სისხლის ახლოს, თვალს ვერ უსწორებს
მის ღვიძლსა ძესა, ვერც რას ამბობს მის გასაგონად.
მარქვი, მეუფევ, როგორ შეძლოს მან ჩემი ცნობა?”
ეს რომ ვთქვი, იმან საპასუხოდ მომიგო ასე:
“გეტყვი ყველაფერს, შენ კი თქმული გულს ჩაიმარხე:
რომელ მკვდარსაც კი, აწ გარდაცვლილ მიცვალებულსა,
სისხლთან მიუშვებ, მართალს გეტყვის იგი ყველაფერს.
ვის უარს ეტყვი, _ გაგეცლება იგი მაშინვე”.
ეს რომ თქვა, სული დაუბრუნდა ისევ აიდსა,
ტირესიასი, ოდეს სრულყო სიტყვა სამისნო.
ორმოსნაპირთან მე კი ისევ ველოდებოდი,
გამოცხადებას დედის. შავი სისხლი რომ შესვა
მაშინვე მიცნო, მყის თქვა დედამ ფრთოვანი სიტყვა:
“ო, შვილო ჩემო, როგორ მოხველ ცოცხალი თავით
ამა წყვდიადში, ცოცხალთათვის ძნელსახილველში?
ჩვენ შორის დიან მდინარენი ღვარცოფიანნი,
ვერავინ შეძლებს ფეხით გავლას ოკეანეზე,
თუ არ აქვს გემი, საიმედო, მტკიცედ ნაგები.
ნუთუ ტროადან სულ ახლახან დაბრუნებულხარ
შენი ნავით და ხანგრძლივ ნამგზავრ ძმობილებითა?
ჯერე ითაკა არ გინახავს და არც ცოლ-შვილი?”
ეს წარმოთქვა და საპასუხოდ მივუგე მერე:
“მშობელო დედა, იძულებით მოველ აიდსა,
რომ ტირესიას შევკითხოდი ჩემს მომავალზე.
ჯერ არ მეღირსა აქაველთა ქვეყნამდე მისვლა,
არც მშობელ მიწის ხილვა, _ მარად ტანჯვით მოხეტეს,
მას აქეთ, რაც კი აგამემნონს ლაშქრად ვეახლე,

ცხენებით მდიდარ ტროელ ხალხის დასალაშქრავად.
გთხოვ, რომ მიამბო ყველაფერი სრული სიმართლით:
რამ შეგამთხვია ამ სიკვდილსა საალალბედოს,
მძიმე რამ სენმა თუ ისარმა არტემიდესი,
ანაზდეულად გატყორცნილმა მოგიღო ბოლო?
მითხარ მამისა, შინ დარჩენილ ჩემი შვილისა,
ძალაუფლება ჩემი ხელთ აქვს თუ სხვამ წაართვა,
დაჯერებულმა, რომ მე უკან არ დავბრუნდები?
რა აზრს ადგია ჩემი ცოლი, ესეც მითხარი,
ჩემს შვილთან დარჩა სახლისა და ქონების მწყემსად,
თუ აქაველთგან წარჩინებულს მისთხოვდა ვისმე?
ეს რომ ვთქვი, მაშინ მიპასუხა დედა-ბატონმა:
“არა, მტკიცედ დგას ის ერთგულად შენსა დარბაზში,
სულ შენზე ფიქრობს, შენსკენ ილტვის სულით და გულით,
შენზე დარდისგან დღე და ღამე ცრემლთა მფრქვეველი.
ჯერე სხვას არვის არ უპყრია შენი უფლება.
ფლობს ტელემაქე მის საუფლოს, ლხინის ყადრსაც სწევს,
როგორც შეჰფერის წესის მცოდნე ღირსეულ ვაჟკაცს,
ყველა ჰპატიჟობს. მხოლოდ მამა სოფელში დარჩა,
ქალაქს არ მოდის, მოკლებული არის ყველაფერს, _
ლოგინს და საგებს, დასახურავს, ბალიშ-ბუმბულსა,
ზამთარს ატარებს ის უბრალო ქოხმახ საფარში,
კერიის პირას დაგდებული, ძონძმოხვეული.
როცა ზაფხული, შემოდგომა მოატანს ხოლმე,
სადმე ვენახში ადგილს ნახავს მოფარებულსა,
დაცვენილ ფოთლებს შეაქუჩებს, საწოლს იმზადებს,
იქ წვება ხოლმე და სულ ოხრავს შენ მოლოდინში,
დიდად გვემული, მოხუცობა გამწარებული.
მეც ხომ ამ დარდმა მომსპო, ამგვარს შემყარა ხვედრსა.
ჩემს სახლში ღმერთი არ მოსულა ისრის მტყორცნელი,
არც მოვუკლივარ მის გასროლილ ისარს უეცრად,
არც სასიკვდილო არ შემყრია რაიმე სენი,
სხეულს საშინელ გამოფიტვით სულს რომ წაართმევს.
შენზე დარდმა და შენზე ფიქრმა, თვალის სინათლევ,
შენზე გოდებამ სულს გამყარა, თაფლზე უტკბესსა”.
ეს რომ თქვა, მაშინ ამიტაცა უცებ იმ ფიქრმა,
ჩავკონებოდი ჩემი დედის საბრალო სულსა,
სამგზის წამოვხტი, რომ ჩავკვროდი მის სულს სანატრელს,
სამგზის ხელიდან აჩრდილივით დამისხლტა იგი.
ამივსო გული მძიმე ბოღმამ და მწველმა სევდამ,
ბოლოს ამედგა ენა ფრთოვან სიტყვის სათქმელად:
“რატომ გაურბი, დედა, შენს შვილს, მოხვევის მსურველს,

რომ აიდესის სახლში ორმა ხელჩაკიდებით
გული ვიოხოთ ვაი-ვიშით, მოთქმა-გოდებით?
თუ პერსეფონემ მომივლინა მე ეს სახება
მაცდუნებელი, უფრო მეტად რომ მე ვიდარდო?”
ეს რომ ვთქვი, მაშინ მიპასუხა დედა-ბატონმა:
“ვაიმე, შვილო, ყოველ კაცზე უფრო საბრალოვ,
ზევსის ასული პერსეფონე შენ არ გაცდუნებს.
ასეა ხვედრი მიცვალებულ მოკვდავებისა,
არა აქვთ იმათ არც სხეული, არცა თუ ძვლები,
რადგანაც ცეცხლის მცხუნვარება სპობს ყოველივეს.
თეთრ ძვლებს როდესაც მიატოვებს ძალნი სულისა,
სულნი სიზმრისებრ მიმოქროლვას იწყებენ ხოლმე.
ახლა ისწრაფე ნათლისაკენ. რაც ვთქვი, გახსოვდეს,
როცა შეხვდები შენს მეუღლეს, უამბე ყველა”.
ასეთნაირად მოსაუბრეთ, ჩვენ ორთავესა
ქალნი გვეწვივნენ, მოვლენილნი პერსეფონესგან.
დიდ დიდებულთა მეუღლენი, ასულნი მათნი.
შემოეხვივნენ იმ სისხლიან ორმოს ნაპირებს.
მეც მსურდა მათთვის მომესმინა, თვითეულისთვის,
გულმა სურვილი უკეთესი დამიდასტურა.

1

მას შემდეგ, როცა მიმოფანტა იქით და აქეთ
სუსტ ქალთა ჩრდილნი პერსეფონემ თავზარდამცემმა,
მოვიდა სული ატრევსის ძის აგამემნონის,
დამწუხრებული, მასთან ყველა, რომელთაც ერგოთ
ეგისთეს სახლში უმოწყალო სიკვდილის ხვედრი.
მაშინვე მიცნო, რა წამს შავ სისხლს პირი შეახო.
მოსთქვამდა იგი საცოდავად, ცხელ ცრემლს აფრქვევდა,
ჩემკენ იშვერდა ხელებს, სურდა გულში ჩავეკარ,
მაგრამ სად იყო ძველებური ძალა და ღონე,
რომელიც ედგა წინათ ესდენ მოძრავ სხეულში.
მის დანახვაზე ცრემლი მომწყდა სინანულისა,
ენაც ავიდგი ფრთოვან სიტყვის წარმოსათქმელად:
“დიდო ატრიდევ, აგამემნონ, მეუფევ ხალხთა.
რომელმა ბედმა მიგცა სიკვდილს შესაზარელსა?
თუ დააოკა ნავი შენი პოსეიდონმა,
მძაფრ ქარიშხალთა დამთრგუნველმა უტეხი ძალით?
იქნება მტერმა გაგიწვია ხმალდახმალ ომში,
შემართებული მოსატაცად ხართა და ცხვართა,
ანუ ქალაქთა ანუ ქალის ხელთ ჩაგდებისას?”
ეს ვთქვი და მყისვე მიპასუხა აგამემნონმა:
“ზევსის აღზრდილო ოდისევსო, განთქმულო სიბრძნით,

არც უფიქრია პოსეიდონს ჩვენი მოსპობა,
მძაფრ ქარიშხალთა დამთრგუნველსა უტეხი ძალით,
არ მოვუკლავარ მტკიცე ვაჟკაცს ხელჩართულ ომში.
ეგისთესაგან მივეახლე სიკვდილს შავბნელსა,
პირშავი ცოლის კარნახითა საკუთარ სახლში.
სუფრას დამაკლეს, ვით ხარს დაკვლენ ბოსელში დაბმულს.
ამრიგად მომსპეს, სამარცხვინოდ მიმცეს სიკვდილსა,
ამხანაგებსაც ღორებივით გამოსჭრეს ყელი,
ისე, ვით კაცი უმდიდრესი, ან საქორწინოდ,
ანდა სალხინოდ, სანადიმოდ საკლავსა დაჰკლავს.
შენც ბევრი ნახე ვაჟკაცები დახოცილები _
მარტოდ მოკლული ან საერთო ხელჩართულ ომში.
მაგრამ მათ მნახველს ცოდვით გული დაგეწვებოდა,
როგორ ეყარნენ პურმარილით სავსე სუფრის წინ,
ფართო დარბაზში და საკუთარ სისხლში მცურავნი.
კასანდრეს ხმისებრ შემაზრზენი ხმა არ მსმენია,
კლიტემნესტრამ რომ უმოწყალოდ დამაკლა თავზე.
მიწაზე გდებულ მახვილისკენ ვიწვდიდი ხელსა,
მაგრამ არ მეყო მეტად ძალა და ძირს დავეცი.
ის ძაღლთაპირი არც ფიქრობდა, რომ დაეხუჭა
ჩემთვის თვალები და შეეკრა ბაგენი ჩემი.
სინდისგარეცხილ ქალზე ავი რა უნდა იყოს,
ბოროტება რომ განუზრახავს სულით და გულით,
შემართებულა ამგვარ საქმის აღსასრულებლად,
რომ თავის ქმარი სასიკვდილოდ გამოიმეტა.
მეგონა ცოლ-შვილს სახლში მისვლით გავახარებდი,
მან კი ისეთი ჩაიდინა უკეთურება,
რომ მომავალში სუყველა ქალს ჩირქსა სცხებს ამით,
ცოლს თუ ასულებს, თუნდაც ცამდე მართალი იყვნენ”.
ეს თქვა და მაშინ საპასუხოდ ვუთხარი ასე:
“ვაი, ოდითგან ხომ დასაჯა ატრევსის მოდგმა
შორსმჭვრეტმა ზევსმა ქალთა ბოროტ რჩევა-თათბირით.
ელენესათვის ხომ მრავალმა დავდევით თავი.
შორს მყოფს ღალატი გაგიმზადა შენც კლიტემნესტრამ”.
ეს რომ ვთქვი, მაშინ მიპასუხა აგამემნონმა:
“ლმობიერება, შენც იცოდე, თუ გინდა ცოლთან,
და ნურც ნურასდროს ნუ გაანდობ ყველას, რაც იცი;
ნაწილი უთხარ, დაუმალე ნაწილი ხოლმე,
მაგრამ, ოდისევს, არ მოკვდები შენ ცოლის ხელით,
რადგან ის არის კეთილი და კარგისმძრახველი.
იკარეს ქალი პენელოპე, ჭკუადამჯდარი,
ომში წასვლისას პატარძალი რომ მივატოვეთ,
ძუძუმწოვარა მცირე ბალღით მარტოდ შთენილი,

რომელიც ახლა კაცთა შორის თათბირად ჯდება.
ბედიც უღიმის მამის ნახვით გასახარელსა.
გულში ჩაიკრავს სიხარულით შინ მისულ მამას.
ჩემმა ცოლმა კი არ გამხადა იმისი ღირსი,
თვალი გამეძღო შვილის ცქერით, უწყალოდ მომკლა.
ახლა რაც გითხრა, ჩაიმარხე გულის სიღრმეში,
ჩუმად მისული, მშობელ მიწას მიადექ გემით.
არასდიდებით, ეს იცოდე, ცოლს არ დაენდო.
ერთ რამეს გკითხავ, ყოველივე მითხარი სწორად:
იქნებ გსმენია, ჩემი შვილი სად ცხოვრობს ახლა,
სად უდევს ბინა, ორქომენს თუ პილოსს ქვიშოვანს,
ან ვრცელსა სპარტას, სახელოვან მენელაოსთან,
რადგანაც ცოცხლობს ღმერთთ სადარი ორესტე ჯერაც”.
მორჩა იგი და საპასუხოდ მივუგე ასე:
“ატრიდ, რას მკითხავ, ვერც რას გეტყვი მაგის პასუხად,
ცოცხლობს თუ მოკვდა, არა გვარგებს უქმად ყბედობა”.
ასე ვიდექით ერთმანეთთან მოსაუბრენი,
სევდით პყრობილნი, ცხარე ცრემლთა დამაფრქვეველნი.
მოვიდა სული აქილევსის, პელევსისა ძისა,
პატროკლესისაც, თან უზადო ანტილოქოსის,
სული აიანტის, ყველას მჯობის თვალტანადობით,
დანაელთაგან აქილევსის შემდგომ პირველის.
უმალ შემიცნო მაშინ სულმან ეაკიდესმან,
წარმოთქვა დარდით შეპყრობილმა სიტყვა ფრთოვანი:
“ზევსის აღზრდილო ოდისევსო, ლაერტის ძეო,
ამის უძნელესს, აბა, კიდევ რას მოიგონებ?
ვით შესძელ მოსვლა შენ ჰადესის სამფლობელოში,
სად გარდაცვლილთა ოდენ სული გმინავს უგონოდ?”
ეს რომ თქვა, მაშინ საპასუხოდ ვუთხარი ასე:
“პელიდ აქილევს, აქაველთა დიდო იმედო,
ტირესიასთან მოველ, საქმე მქონდა საშური,
მსურდა შემეტყო, ვით დავბრუნდე კლდოვან ითაკას,
არც მღირსებია მე ჯერ მისვლა აქაველთ მხარეს,
არც სამშობლოში, ბოროტებით მარადჟამს დევნილს
შენ კი, აქილევს, ვინ გედაროს ბედნიერებით,
ცოცხალს ღმერთივით გადიდებდნენ არგოსელები.
ახლა აქ მყოფი გარდაცვლილთა ხარ მბრძანებელი,
მიტომ არ გმართებს, დარდს მიეცე სიკვდილის გამო”.
მოვრჩი და მაშინ საპასუხოდ მომიგო ასე:
“რა ნუგეშსა მცემ, ოდისევსო, მიცვალებულსა?
მერჩივნა გლეხად ვყოფილიყავ, მოჯამაგირედ
ვინმე საწყლისა, ლუკმა პურის მონატრებულის,

ვიდრე ვმეფობდე ყველა აქ მყოფ მიცვალებულთა.
სჯობს მითხრა რამე ჩემი ღვიძლი შვილის შესახებ,
ომში წავიდა პირველთ შორის პირველ მებრძოლად?
მამა პელევსი როგორღაა, ტკბილი მოხუცი?
მირმიდონთ ქალაქს იგი ისევ ძველ პატივშია,
თუ ჰელადასა და ფთიეში არ სცემენ პატივს?
მოხუცობისგან დავრდომილს და დასუსტებულსა,
რომ შემძლებოდა მზის ნათელში მოვევლინებოდი,
ისე, შიშის ზარს ოდეს ვცემდი ტროას ველოვანს,
მტრის გმირთა მსვრელი, არგოსელთა დამცველ-მფარველი,
რომ შემძლებოდა სულ ცოტა ხნით მამის სახლს მისვლა,
თავს დავატეხდი ჩემს რისხვას და ხელის ღონესა,
ვინც კი მოხუცსა შეურაცხყოფს უპატიოსნოდ”.
ეს რომ თქვა, იმას საპასუხოდ ვუთხარი ასე:
“არც რამ მსმენია მე პელევსზე კეთილშობილზე,
ხოლო შენს ძეზე, მოსანატრელ ნეოპტოლემზე,
როგორც მიბრძანებ მე ყველაფერს გეტყვი სისწორით.
მაღალანძიან გემზე იგი თვით ავიყვანე
სკიროს კუნძულთან. აქაველებს კოხტააბჯრიანთ
თუ რამ თათბირი გვქონდა რამეს ტროას შესახებ,
პირველი მუდამ ის ამბობდა ენაწყლიანი,
ღმერთებრ ნესტორი და მხოლოდ მე ვჯობდით ზოგჯერაც,
ხოლო სპილენძით როს ვიბრძოდით ჩვენ ტროას ახლო,
არ ინდომებდა არასოდეს ხალხში დარჩენას,
წინ ისწრაფოდა შემართებით, არ ჰყავდა ტოლი.
და მრავალ ვაჟკაცს სასტიკ ომში მოუღო ბოლო.
ყველას ჩამოთვლა, სახელდება სად შემიძლია,
რაც იმას კაცი დაუხოცავს, ჩვენ მფარველ იმედს,
მან ტელეფოდე, ევრიპილე მოჰკლა ვაჟკაცი,
მასთან მრავალი კეტეელი ძმობილიც მისი
ზედ მიაყოლა ქალის ძვირფას ძღვენის გულისთვის.
მემნონის შემდეგ სილამაზით იყო პირველი,
როს შევდიოდით ეპიოსის ნაკეთებ ცხენში
უპირატესნი არგოსელნი, მე ვუფროსობდი.
კარის გაღება თუ დახურვა, ჩემს ხელში იყო.
დანაელების მეთაური და თავკაცები
ცრემლებს აფრქვევდნენ, აიტანა ყველა ცახცახმა,
ხოლო იმას კი ვერ შევნიშნე, თუმც სულ ვუცქერდი,
არც სახის ფერი უკრთებოდა, არც ღაწვებიდან
ცრემლს არ იწმენდდა. ის კი არა, სულ იმას მთხოვდა,
კარში გამეშვა, ხმლის სახელურს ჩასჭიდებოდა,
შუბს იმარჯვებდა, ტროელთათვის ავის მზრახველი.

ხოლო პრიამეს ქალაქი როს დავიმორჩილეთ,
ძვირფას ნადავლით ის ავიდა თავის ხომალდზე,
ბასრი მახვილით დაუჭრელი, დაუკაწრავი,
როგორაც ხდება პირისპირ და ხელჩართულ ომში,
როცა არესი მძვინვარებს და არვის იბრალებს”
ეს რომ ვთქვი, მაშინ ჩრდილმა ფეხმარდ აქილევსისა
გზას მიაშურა ველსა რასმე ასფოდელოსის,
გულით მოლხინემ ღვიძლი შვილის სახელოვნებით.
სევდით მოსილნი იდგნენ სულნი სხვა გარდაცვლილთა
და ყველას სურდა გულის დარდის შეეტყო რამე.
მხოლოდღა სული იმ აიანტ ტელამონიდის
სულ მარტოდ იდგა, ჩემის ძლევით განაწყენები,
როს აქილევსის იარაღი მე მომისაჯეს.
დედამ უფალმა თვით გადმომცა მაშინ მე იგი,
ტროას შვილებმა და ათენამ ქნეს სამართალი.
რა სანანებლად გამხდომია ის გამარჯვება,
მიწამ მის გამო რა ვაჟკაცის თავი ჩაყლაპა!
იგი ხომ სახით, გმირულ საქმით პირველი იყო
დანაელთ შორის თვით აქილევს პელიდეს შემდეგ.
მაშინ გავბედე და ეს ვკადრე მის სულს მწუხარეს:
“ჰე, აიანტო, ძევ დიადი ტელამონისა,
ნუთუ მკვდარიც კი ბრაზობ ჩემზე იარაღისთვის,
რითაც ღმერთებმა არგიველნი დიდად დასაჯეს,
რადგანაც შენებრ ციხე-ბურჯი გამოგვეცალა,
აქაველები შენს დაღუპვას ისე გლოვობდნენ,
ვით აქილევსის ესდენ უღვთოდ დაკარგვის გამო.
ზევსისა გარდა სხვას არავის არ ადევს ბრალი,
ვინც ბოროტ მტრობით მიგცა ხვედრსა შენ სავალალოს.
ახლოს მოდექი, ჰე, უფალო, როს გესმას ჩემი,
დაიცხრე რისხვა, დაიმშვიდე უტეხი სული”.
ეს რომ ვთქვი, ზედაც არ შემხედა, წავიდა იგი
მკვდართა სულებთან ერთად სამყოფს წყვდიადოვანსა,
თუმცა გამწყრალი იყო, მაინც მეტყოდა რამეს,
მაგრამ ჩემს გულში ძლიერ სურვილს დაესადგურა,
სხვათა სულები რომ მენახა გარდასულ კაცთა.
ვნახე მინოსი, დიად ზევსის ბრწყინვალე შვილი,
კვერთხის ხელთ მპყრობი, მოსამართლე მიცვალებულთა.
იჯდა და ირგვლივ ერტყა ხალხი სამართლის მლოდე,
წყვდიადით მოსილ დიდკარიან ჰადესის სახლთან
ვნახე და ვიცან ორიონის ვეება ჩრდილი,
ასფოდელოსის ველზე ველურ მხეცებს რომ სდევდა,
მათ სიცოცხლეშიც ხოცდა იგი მთების მწვერვალზე,

სპილენძოვანი დიდი კეტის ხელთა მპყრობელი.
ვნახე ტიტიოს, შვილი დიად დედამიწისა,
ცხრა ქცევა ველზე ბუმბერაზი გაშოლტილიყო,
ორთავე მხრიდან წყვილი ძერა ღვიძლს უკორტნიდა,
შიგნეულებში ჩამსხდარნი და ხელს ვერ ანძრევდა.
ლეტოს ახადა მან პატივი, ზევსის მეუღლეს,
გზად პანოპევსით პითოსაკენ გამგზავრებულმა.
ტანტალეც ვნახე, აუტანელ ტანჯვის დამთმენი,
მდგარს ღრმა მორევში, ნიკაპამდე წვდებოდა წყალი,
წყურვილით დამხრჩვალს არ ძალუძდა მისი დალევა,
რადგან რამდენჯერ დასალევად დაჰყოფდა პირსა,
იმდენჯერ წყალი გასკდებოდა და მის ფერხთა ქვეშ
ოდენ მიწა ჩნდა, ღვთის განგებით გაშიშვლებული.
მრავალ ხეხილსა გაეწოდა მისკენ ნაყოფი:
მსხალი თუ ვაშლი, ბროწეული წითლად ელვარე,
ტკბილი ლეღვები, ზეთისხილი დამწიფებული.
რა წამს მოხუცი ხელთ გაშვერას დააპირებდა,
უმალ ქროლვა რამ ასტყორცნიდა ღრუბლებისაკენ.
სიზიფეც ვნახე, აუტანელ ტანჯვის დამთმენი,
ვეება ქვასა ორივ ხელით რომ მიათრევდა,
დიდ ჭაპანწყვეტით ხელით, ფეხით, მთელი ძალ-ღონით,
რომ ქვა როგორმე აეზიდა მთის მწვერვალამდე.
და მწვერვალს იქით გადაგდებას დააპირებდა,
ზათქით, ხმაურით ისევ დაბლა დაგორდებოდა.
თავგამოდებით კვლავ ცდილობდა მაღლა ატანას.
ოფლში გაწურულს ბუღი მტვრისა თავს ასდიოდა.
ვნახე ჰერაკლეს, ძალოვნებით სწორუპოვარის,
ოდენ აჩრდილი, ხოლო თვითონ უკვდავ ღმერთებთან
არის სიამით, ტურფა ჰებეს ტრფობით დამთვრალი.
ჰერასგან შობა ის ასული დიადმა ზევსმა,
მკვდართა სულები სირთა მსგავსად თავს ეხვეოდა.
იმას კი შავბნელ, თავზარდამცემ ღამის შესადარს,
ისარმორგებულ და მომართულ მშვილდის მპყრობელსა,
ბრაზით მზირალსა, ის-ის იყო, უნდა ეტყორცნა.
ხმლისა საზიდი სარტყელი რამ მოერტყა მკერდზე,
ოქრონაჭედი, ზედ აღბეჭდილ საოცრებითა:
ველური ღორი, მასთან დათვი, ლომიც ცალთვალა,
ჯახი და ბრძოლა, კაცთა ხოცვა ზედ ამოჭრილი.
ამის ამომჭედს მჯობი კიდევ რა გაეჭედა,
ვინც ეს სარტყელი შექმნა ესდენ ხელოვანებით?
რა თვალი მომკრა მაშინათვე მიცნო კიდევაც,
და სევდის აღმძვრელ ფრთოვან სიტყვით მომმართა ასე:

“ზევსის ნაშობო ლაერტიდევ, ბრძენო ოდისევს,
ჰოი, საბრალოვ, შეხვედრიხარ, ვხედავ, ბოროტ ხვედრს,
როგორიც თვითონ მზის ნათელში მომითმენია.
თუმცა ვიყავი ძე ზევსისა, ტანჯულ ვარ ფრიად,
მეტად უღირსი კაცი ვინმე მექმნა ბატონად,
მრავალი საქმე უძნელესი მან დამავალა.
ბოლოს აქ ქვესკნელს გამომგზავნა ძაღლის გულისთვის,
ეგონა, ამის უძნელესი რა იქნებოდა.
მე კი ის ძაღლი ჰადესიდან გამოვირეკე,
თვალთინათინა ათენა და ჰერმეს მშველოდა”.
ეს რომ თქვა, უმალ მიეფარა აიდეს შავბნელს.
მე კი იქ დავრჩი, მოვა-მეთქი კვლავ ვინმე გმირი,
რომელიც წინათ დაიღუპა მძიმე ბრძოლებში.
ბევრ მათგანს, ვისი ნახვაც მსურდა, ვნახავდი კიდეც:
იმ სახელოვან ღვთის შვილთ თესევსს და პირითოოსს.
მაგრამ იმდენი შემოჯგუფდა სული ხმაურით,
საზარმა შიშმა მთლად მოიცვა ჩემი არსება,
არ მომივლინოს აქ იმ საშიშ გორგონას თავი
პერსეფონემან, მოგზავნილი ღრმა ჰადესიდან.
მყის ნავზე აველ, თან ვუბრძანე ჩემს თანამგზავრებს,
გემთა ბაგირი აეხსნათ და ამოსულიყვნენ.

სიმღერა მეთორმეტე

[კირკეს მისნობა]

როს ოკეანის მდინარებას გასცდა ხომალდი,
აიაიასთან მიგვაბრუნეს ტალღებმა ზღვისა,
სად ცისკრის მაცნე ეოსს ბინა აქვს და სად არის
აღმოსავალი, საცეკვაო ჰელიოსისა.
რა მივეახლეთ, ავათრიეთ გემიც ნაპირზე.
მერე ჩამოვხტით შეუწყვეტლად მღელვარ ზღვის პირას,
დავწექით მერე და ველოდით ღვთაებრივ ეოსს.
აღსდგა ეოსიც ადრიანად, მრავალფერთითა,
უმალ ვაფრინე ძმები კირკეს სასახლისაკენ,
რომ მოეტანათ მათ ცხედარი ელპენორისი.
შეშა დავჩეხეთ, მაღალ კონცხზე მივუწყვეთ ცხედარს,
შევუნთეთ ცეცხლი, დავაფრქვიეთ ზედ ცხარე ცრემლიც.
როცა ცხედარიც, საჭურველიც დაიწვა სულმთლად,
ბორცვი აღვმართეთ და დავუდეთ საფლავის ქვაცა,
თანაც ნიჩაბი მისეული დავასვით ზედა.
ამას ყველაფერს როცა მოვრჩით, მაინც კირკესა
ვერ დავემალეთ აიდედან დაბრუნებულნი.

მალე მოვიდა თვითონ ისიც, მხევლებთან ერთად,
პურით და ხორცით, წითელ ღვინით სავსე ჭურჭლებით.
შუაში ჩადგა და ეს სიტყვა გვითხრა ღმერთქალმა:
“მამაცნო! ცოცხლად თვით ჰადესის სახლში ყოფილხართ!
ორგზის მოკვდებით, სხვა მოკვდავი თუ ერთგზის კვდება.
ილხინეთ მთელ დღეს, ღვინო შესვით, საჭმელი ჭამეთ.
ხოლო რიჟრაჟზე გზა მონახეთ შინ წასასვლელი.
მე თვით გაგიგნებთ, დაწვრილებით, შეუცდომელად,
რათა ბოროტი რამ სიავე საფათერაკო
ზღვასა და ხმელზე უცაბედად თავს არ დაგატყდეთ”.
ეს რომ თქვა, ყველას მოეწონა მისი ნათქვამი.
მთელ დღეს ვისხედით მანათობელ მზისა ჩასვლამდე.
გულით ვილხენდით, ხორცსა ვჭამდით და ღვინოს ვსვამდით.
რა მზე ჩავიდა და წყვდიადმა დაისადგურა,
გემთა სადგომთან ძმები დაწვნენ, ნავებთან ახლო,
ხოლო მე კირკემ მაშინ გვერდზე გამინაპირა,
დამსვა, მომიჯდა და მკითხავდა წილადობილად.
მეც ვუამბობდი ყოველივეს სრული სისწორით.
ბოლოს კი დიდმა დედოფალმა ეს მითხრა, კირკემ:
“რაც შენს თავს არი, მიგდე ყური, ყველაფერს გეტყვი,
და თვითონ ღმერთმა გაგახსენოს ეს ყოველივე
თქმულის სისწორე დამიმოწმოს მაღალმა ღმერთმა.
თავდაპირველად სირინოზთა მხარეს გაივლით,
რომლებიც მათთან ახლო მისულ კაცებს ხიბლავენ.
ვინც ეს არ იცის, ალალბედად მათ ხმას მოისმენს,
გამოეთხოვოს სამუდამოდ უნდა ის ცოლ-შვილს,
დაავიწყდება წამს შინ წასვლა, სახლის სიამეც.
მოხიბლავს იმას სირინოზნი უცხო სიმღერით,
მსხდარნი მდელოზე, გარშემო კი ძვლების გროვაა
გახრწნილ ვაჟკაცთა, მყრალი კანი რომელთაც ძვრებათ.
ერიდეთ იმათ, თანამგზავრებს თაფლის სანთელით
ყური დაუხშე, რომ ვერ შეძლონ მათი მოსმენა.
შენ კი უსმინე, თუ გინდოდეს, მაგრამ იცოდე,
ხელფეხით ანძას ისე უნდა მიება მაგრად,
ვერასდიდებით ვერ შეიძლო მისგან მოგლეჯა,
სანამ მოისმენ სირინოზთა სიმღერას უტკბესს.
ბევრიც რომ სთხოვო შენს ძმობილებს საბლის აშვება,
ისე დამოძღვრე, გაამაგრონ უფრო საბელი.
ხოლო მას შემდეგ ძმობილებთან ერთად რა გელის,
ამის შესახებ მიძნელდება გიამბო რამე.
თუ ორ გზათაგან ამჯობინებ მეტად რომელსაც,
თვით შენ განსაჯე, მე კი ორსავ გზისას მოგითხრობ:

კლდეები მოსჩანს ერთი მხრიდან, დაკიდებული,
რომელს ლურჯთვალა ამფიტრიტეს ტალღები ებრძვის.
პლანქტებს ეტყვიან იმ ადგილსა ღმერთნი მაღალნი.
ვერა ფრთოსანი მას ვერ გასცდეს, გარდა მტრედების,
მამა ზევსისთვის ამბროსია რომ მოაქვთ ხოლმე.
ზოგჯერ მტრედებსაც კი იტაცებს ის კლდე ფრიალო, _
მაგრამ კვლავ ახალს გზავნის მამა იმათ სანაცვლოდ.
ჯერ ვერცერთ ხომალდს, კაცის ნაკეთს, ვერ გაუვლია.
გემის ხეები, კაცთ სხეული რჩება მარტოდენ
ზღვის ტალღების და ცეცხლთ გრიგალის საიავარდოდ.
იქ გავლა მხოლოდ ზღვათ მავალმა, ყველგან ცნობილმა,
არგომ შეიძლო აეტისგან დაბრუნებულმა.
ტალღა იმასაც მაღალ კლდეზე მიაჯახებდა,
იასონისთვის ერთგულ ჰერას რომ არ ეშველა.
გარდა ამისა, ორ ციცაბ კლდეს, ცისკენ აღმართულს,
შეხვდები, თავით შავსა ღრუბელს რომ შეხებიან.
მარად ბნელსა და წყვდიადოვან იმათ მწვერვალზე
არც შემოდგომას, არც ზაფხულში ხვდება სინათლე.
ვერვინ ვერ შეძლოს ვერც ასვლა და ვერც ქვე ჩამოსვლა,
კიდეც რომ ესხას ტანზე ერთად ოცი ხელფეხი,
ისე სლიპია მისი ლოდი, ისე ციცაბო.
მის შუა ადგილს არის ქვები სინათლიანი,
დასავლეთისკენ, წყვდიადისკენ პირმიქცეული.
სწორედ ამ ადგილს გმართებს გასცდე, ბრძენო ოდისევს,
სახელგანთქმული იქა მყოფი ვინმე მეისრეც
შენი გემიდან ვერ მიაწვდენს ისარს იმ ქვაბსა.
ქვაბსა ფლობს სკილა შესაზარი, თავზარდამცემი
ჰგავს იმისი ხმა ახლადშობილ ლეკვის წკმუტუნსა,
ხოლო თვითონ კი დასანახად შესაზარია,
მისი მნახველი ვერ იხარებს, თუნდ ღმერთიც იყოს.
თორმეტი ფეხი დაგვალული ასხია ტანსა,
ექვსი _ კისერიც, დაგრეხილი, დაწვრილებული
და თვითეულზე შესაზარი აბია თავი.
სამწყება _ კბილიც, შავ სიკვდილის დამქადნებელი,
ნახევრად ქვაბსა განიერსა გდია ურჩხული,
ხოლო თავები საზარ უფსკრულს ზემოთ უჭირავს.
იქვე თევზაობს, ირგვლივ თავის მიმომქცეველი.
იჭერს ზღვის ლომებს, ძაღლებს, ზოგჯერ უფრო მსხვილ მხეცსაც,
რომელთ ბევრს კვებავს ამფიტრიტე მარად მგრგვინავი.
ნუ დაიკვეხნოს ნურრა გემის ნავთკოსალარმა,
გემით ურჩხულის თავდაღწევას ისე შევძლებო,
ყოველმა თავმა თითო კაცი რომ არ წამგლიჯოს.

სხვასაც, ოდისევს, ნახავ კლდესა, მასზე დაბალსა,
იმის მახლობლად, დაშორებულს ისრის სროლაზე,
მასზე ლელვის ხე ხარობს ერთი ხშირფოთლიანი.
მის ქვეშ წყალს ამღვრევს კუპრისფერად ღმერთებრ ქარიბდე.
დღეში სამგზობად ანთხევს წყალს და სამჯერვე შთანთქავს.
ეცადე ახლოს არ შეგისწროს წყლის შესრუპვისას,
ვეღარ დაგიხსნის დაღუპვისგან პოსეიდონიც.
ხამს სკილას გემით ჩაუქროლო ელვაზე სწრაფად,
გიჯობს შესწირო ექვსი კაცი საშინელებას,
ვიდრე მათ ნაცვლად სუყველანი ერთად დაღუპო”.
ეს თქვა და იმას საპასუხოდ ვუთხარი ასე:
“თუ შესაძლოა, ჰე, ქალღმერთო, მითხარი სწორად.
ვთქვათ, რომ ქარიბდეს, დამღუპველსა, გადვურჩი კიდეც,
შევძლებ სკილასთან ბრძოლას, როცა ძმებს გამომტაცებს?”
ეს რომ ვთქვი, ჩემდა საპასუხოდ თქვა დედოფალმა:
“ო, სულმამაცო, ომისათვის კვლავ გერჩის გული.
და თვითონ უკვდავ ღმერთებსაც კი არ ეპუები?
არა მოკვდავი, ის ბოროტი უკვდავი არის,
გულღრძო, ველური, საშინელი და უძლეველი.
გაცლა სჯობს მისგან, სხვა რაიმე არ არის ღონე.
რადგან, როს კლდესა საბრძოლველად მიეახლები,
ვშიშობ, რომ ისევ არ დაგესხას პირგაღებული,
ყოველმა თავმა თითო კაცი კვლავ არ მოგტაცოს.
რაც ძალა გექნეს, წინ ისწრაფე, კრატეისს სთხოვე,
სკილას დედასა, ვინც შვა იგი მოკვდავთა ჭირად,
ის შეაყოვნოს, ძმების შთანთქმად კვლავ არ მობრუნდეს.
მიაღწევ კუნძულს თრინაკიის, ბევრი დაუდის
ვრცელ საძოვარზე ძროხა, ცხვარი ღმერთსა ჰელიოსს.
რიცხვით შვიდია ძროხის ჯოგი, ამდენიც ცხვრისა,
ჰყავს თითო ჯოგში ორმოცდაათ-ორმოცდაათი.
არც ნაშენობენ, არვინ ხოცავს, მწყემსენ ღმერთქალნი:
კოხტა ნიმფები ფაეთუსა და ლამპეტიე,
ვინაც დიადმა ნეაირამ უშვა ჰელიოსს.
რა წამოზარდა ორთავ ნიმფა დედაბატონმა,
შორს დაასახლა თრინაკიის კუნძულზე, რათა
მამისეული ცხვარ-ძროხისა ემწყემსათ ჯოგი.
თუ დაბრუნებას მონატრული, ჯოგს ხელს არ ახლებ,
მაშინ ითაკას ნახავ, თუმცა ჭირს ბევრს შეხვდები.
თუ შეეხებით, ეს იცოდეთ დაღუპვა გელით, _
გემსაც, ძმობილთაც, თუმც შენ ბოლოს ჭირს გადურჩები.
შინ მიხვალ გვიან, დამკარგველი თანამგზავრების”.

სიმღერა მეცამეტე

[ოდისევსი ითაკაზე]

...შეპყრობილი სამშობლოს დარდით
მარად მშფოთვარე ზღვის ნაპირზე მიმოდიოდა
დიდად მწუხარე. უცებ გაჩნდა მასთან ათენა,
ერთ ვისმე ჭაბუკს, ნახირის მწყემსს მიმსგავსებული.
დიდი მბრძანებლის ჭაბუკს ჰგავდა თვალტანადობით,
ძვირფასი ორფა მოსასხამი მოეგდო მხრებზე.
შუბი ხელთ ეპყრა, ლამაზ ფეხზე სანდალი ეცვა.
ოდისევსს ძლიერ გაუხარდა მისი დანახვა,
წავიდა მისკენ და მიმართა ფრთოვანი სიტყვით:
“პირველს შენ გხედავ, მეგობარო, ამ მიდამოში,
გულში ბოროტ ფიქრს ნუ გაივლებ, მოყვრად მიმიღე,
გადამირჩინე ეს ქონება, მეც დამიხსენი,
ისე გთხოვ, ვით ღმერთს და მუხლებზე შემოგეხვევი,
ისიც მითხარი სისწორით და დაუფარავად:
ეს რა მხარეა, ან რა ხალხი ცხოვრობს ამქვეყნად?
კუნძული არის რომელიმე შორით მჩინარი,
თუ ხმელეთია ზღვის სივრცეში კონცხად შეჭრილი?”
ამის პასუხად თვალციმციმა ათენამ უთხრა:
“ალბათ ბრიყვი ხარ, ან მოსული შორი ქვეყნიდან,
რომ საკითხავად გაგხდომია ეს მიწა-წყალი.
უცხო როდია, კარგად იცნობს ძალიან ბევრი,
მათ შორის ვინც მზის აღმოსავლის მხარეში სახლობს.
ან ვინც ბინადრობს დასავლეთით მწუხრსა და ბინდში.
ოღროჩოღროა, უხერხული ცხენთა სახედნად,
მწირი არ ეთქმის, თუმცა სივრცით არ არის დიდი,
პურიც ბევრია, ღვინოც ბევრი ამ ქვეყანაში,
რადგან დროზეა წვიმა, ნამი ცხოველმყოფელი.
მდიდარი არის თხის და ძროხის საძოვრებითაც,
ტყეს და ჭალაკსაც ბევრგან ნახავ, წყალვარდნილებსაც,
ითაკის სახელს ტროამდისაც მოუღწევია,
თუმც აქაველთა მიწა-წყლიდან შორსაა იგი”.
თქვა და ოდისევსს სიხარულით გული გაეხსნა,
ხარობდა, მის წინ რომ სამშობლო ქვეყანა იყო,
როგორც აუწყა მას ათენამ ზევსის ასულმა.

1

თქვა და მიდამოს გადაჰყარა ათენამ ნისლი.
სამშობლოს ხილვით ოდისევსმა გახარებულმა
უმალ სიცოცხლის მომნიჭებელ მიწას აკოცა.

ხელები მაღლა აღაპყრო და მიმართა ნიმფებს:
“ნიმფნო დიადნო, ზევსის ქალნო, არ ვიმედობდი,
კვლავ თუ გნახავდით. წრფელი ლოცვით მოგესალმებით:
ხაროზდეთ, ძღვენი ძველებურად არ მოგაკლდებათ.
თუ მომანიჭებს მწყალობელი ზევსის ასული
ხანგრძლივ სიცოცხლეს და ჩემი ძის გაზრდას მომასწრებს”.

სიმღერა ოცდამესამე

[ოდისევსისა და პენელოპეს შეხვედრა]

87 შევიდა იგი დიდ დარბაზში და ცეცხლის პირას
დაჯდა თავისთვის ქმრის პირდაპირ კედლის მახლობლად.
ქმარი კი იჯდა მაღალ სვეტზე ზურგმიყრდნობილი
90 და მოელოდა, რას ეტყოდა მეუღლე მაშინ,
მის წინ მჯდომარეს თვალს როდესაც გაუსწორებდა
ქალი კი სდუმდა მძიმე ფიქრით გულჩათხრობილი.
ჰა, იცნო თითქოს მისი სახე, ესდენ ნანატრი
მაგრამ ძონძების შემხედვარე ეჭვობდა მაინც.
95 მაშინ კი ჰკადრა ტელემაქემ დედამისს სიტყვა:
“თქვი, დედა ხარ თუ უცხო ვინმე, რამ გაგაქვავა,
რატომ შორს დგახარ, რატომ მამას არ მიუჯდები?
არცა რას ჰკითხავ, ერთი სიტყვაც კი არ აღირსე.
100 განა სხვა ქალი მოითმენდა იმ ქმართან დუმილს,
ვინც ენით უთქმელ ჭირ-ვარამის მზიდველ-მტვირთველი
ოცი წლის შემდეგ სამშობლოში დაბრუნებულა?
მაგრამ მაგ მკერდში გულის ნაცვლად ცივი ქვა გიდევს”.
ამის პასუხად პენელოპემ შვილს ასე უთხრა:
105 “ო, შვილო, გული ჩამწყდომია მე საგულეში,
არც რისიმე თქმის, არც შეკითხვის თავი არა მაქვს,
თვალში შეხედვაც კი არ ძალმიძს. და თუ ეს მართლაც
ოდისევსია თავის სახლში დაბრუნებული,
უმალვე ვიცნობთ სულ ადვილად ერთიმეორეს,
110 გვაქვს საიდუმლო, რაც ფარულად მხოლოდ ჩვენ ვიცით”.
ეს რომ თქვა, გულში გაეცინა მაშინ ოდისევსს
და ტელემაქეს ასე უთხრა ფრთოვანი სიტყვით:
“დაე, ტელემაქ, გამომცადოს მე დედაშენმა,
აცალე, ვინძლო შემდეგ უფრო კარგად გამიცნოს.
115 ახლა კი როცა ჭუჭყიანი ძონძი მაცვია,
მიტომ თავს იჭერს, მიტომ ეჭვობს, თითქოს სხვა ვიყო.

1

ამასობაში ძალგულოვან, ღვთისდარ ოდისევსს
ტანი დაბანა ევრინომემ, ზეთი აპკურა,

მერე ჩააცვა პერანგი და წამოსასხამი,
ხოლო ათენამ გასაოცრად შეამკო გმირი,
უფრო დიადი, უფრო სრული გამოაჩინა,
სუმბულისებრი ხშირი თმებით შეუმკო თავი.
ვით ვერცხლს მოავლებს ოქროს ვარაყს კარგი ოსტატი,
ჰეფესტოსა და ათენასგან გამოწაფული,
ყოველი ნივთის მკეთებელი თვალის წარმტაცად,
ისე შეამკო ოდისევსი ათენ ქალღმერთმა.
ღმერთთა იერით გამოვიდა განსაწმენდლიდან,
კვლავ ჩაჯდა თავის სავარძელში, სიდანაც ადგა,
ცოლის პირდაპირ და მიმართა მას ამ სიტყვებით:
“ახირებულო ქალო, შენთვის ღმერთებს მაგ მკერდში
სუსტ ქალთა შორის უგრძნობელი გული ჩაუდევთ.
განა სხვა ქალი დადგებოდა ასე გულგრილად
იმ ქმრის წინაშე, ვისაც ასე ჭირი გადახდა
და დაუბრუნდა მეოცე წელს თავის სამშობლოს?
მოდი, დედილო, გამიშალე აგერ საწოლი,
როგორც ეტყობა, ამ ქალს მკერდში რკინის გული აქვს”.
მას პენელოპე დედოფალმა უთხრა პასუხად:
“ახირებული შენ ხარ თვითონ, მე არ ვქედმაღლობ,
არც ვბრაზობ შენზე. კარგად მახსოვს, რა იყავ ოდეს,
გრძელნიჩბიან გემს ითაკიდან როცა მიენდე.
მაშ, ევრიკლეა, გაუშალე ახლა ლოგინი
ა, იმ საწოლზე, მან თვითონვე რომ გააკეთა.
საძინებელი ოთახიდან გამოიტანე
და მოაყოლე ლეიბი და საბან-ტყაპუჭი”.
ასე ამბობდა თავისი ქმრის გამოსაცდელად.
მაშინ ცოლს უთხრა ოდისევსმა გაჯავრებულმა:
“აბა, რას ამბობ დედაკაცო, ვის შეუძლია,
ადგილი საწოლს შეუცვალოს? ეს მოკვდავთათვის
ძნელი საქმეა, მხოლოდ მაღალ ღმერთს შეუძლია
გადაიტანოს ადგილიდან ადგილზე იგი.
მოკვდავ კაცთაგან ჯერ არავინ დაბადებულა
მისი დამძვრელი, თუნდაც ჰქონდეს უტეხი ძალა.
მე გავაკეთე საწოლი და არა სხვა ვინმემ.
ზეთისხილის ხე ხშირტოტება გვედგა ეზოში,
ტანი სვეტივით აშოლტილი ჰქონდა მცენარეს,
ირგვლივ მოვავლე ქვის კედელი, თან გადავხურე,
ვაქციე ასე საძინებელ ოთახად იგი.
კედელში კარი დავატანე მაგრად შეკრული,
მერე მოვჭერი ზეთისხილის ხის ტანი ზემოთ,
ქვემოთ რაც დარჩა, ის გავთალე ბასრი სპილენძით,

გამოვიყვანე ლარში კარგად წესზე და რიგზე,
ადგილზე ბურღიც მოვიშველე და ჭიბოსანიც,
მაგრამ ამ შრომით ყველაფერი როდი დამთავრდა.
მერე შევამკე ოქრო-ვერცხლით, სპილოს ძვლით იგი,
ღვედიც მოვავლე მას მეწამულ ფერად ნაფერი,
აი, ნიმუში იმ საწოლის, მას კი ვერ გეტყვი,
ისევ იქა დგას, იმ ადგილზე, თუ ვინმე მოკვდავს,
ხის ძირი სხვაგან გადაუდგამს ზეთისხილისა”.
ამის გამგონე პენელოპეს გული ჩაუწყდა,
ისე ზუსტი და სრული იყო ყველა ნიშანი.
ცრემლები წასკდა, ქმარს მივარდა და მოეხვია,
მერე თავ-პირი დაუკოცნა, თან ასე უთხრა:
“ნუ მიჯავრდები, ყოვლის მჯობნო ჭკუა-გონებით,
თუმცა ღმერთებმა მოგვისაჯეს ტანჯვა-ვარამი,
რას მოვილხენდით, სანეტარო ახალგაზრდობის
ყვავილობიდან სიბერემდე გვესიამტკბილა!
გთხოვ, ნუ გამკილავ, მაპატიე, ნუ განრისხდები,
ნახვისთანავე რომ ვერ მოველ, ვერ მოგეხვიე.
სულ შიშით იყო შეპყრობილი ეს ჩემი გული,
რომ ვინმე მოკვდავს მაცთურობით არ შევეცდინე,
განა ცოტაა ბოროტი და ავისმზრახველი?
თვითონ ელენე არგოსელიც, ზევსის ასული,
არ გაიყოფდა უცხო კაცთან ტრფობის სარეცელს,
მას რომ სცოდნოდა, აქაველთა მამაცი ძენი
კვლავ უკან, თავის სამშობლოში დააბრუნებდნენ.
ღვთისგან ატანილს გული თვისი მოსიყვარულე
უკეთურობის ჩასადენად როდი ერჩოდა!
ასე დაედო ჩვენს ჭირვეულ ჭირსაც სათავე.
რაკი შენ სწორად თქვი ნიშნები ჩვენი საწოლის,
რაც არასოდეს დაბადებულ კაცს არ უნახავს
ჩვენ ორისა და მონა ქალის აქტორიდს გარდა,
ვინც მამაჩემმა მზითვად მომცა აქ გამოთხოვილს,
ჩვენი სავანის, საძინებელ ოთახის მცველად,
ახლა ჩემს გულსაც, აგრე უნდოს, კი სჯერა შენი”.
თქვა და თვალთაგან წასკდა ცრემლი, ატირდა ქმარიც,
რომ ასე სათნო და ჭკვიანი ჰყავდა მეუღლე.
ვით მეზღვაურნი მიწის ხილვას დანატრებულნი,
რომელთაც გემი დაულეწა პოსეიდონმა,
მძაფრი ქარიშხლით შემართული შმაგი ზღვის ტალღით,
მხოლოდ ცოტანი პირქუშ ტალღებს თავდაღწეულნი,
ქანცგაწყვეტილნი, მწუთხე წყლისგან ტანამოჭმულნი,
ნანატრ მიწაზე სიხარულით რომ გამოდიან,

ასე ილხენდა პენელოპე ქმრის შემხედვარე
და ქმრის ყელ-კისერს ვერ მოსწყვიტა თეთრი ხელები.
დაადგებოდათ თავს ეოსი ვარდფერთითება,
რომ ათენ ქალღმერთს არ მოსვლოდა ახალი ფიქრი:
ღამე დიდი ხნით შეაჩერა ქვეყნის კიდეში,
ეოსი-ზღვაში, თან უბრძანა, ჯერ არ შეება
ცხენები ეტლში _ სწრაფი ლამპოს და ფაეთონი
მოკვდავ კაცთათვის დღის სინათლის მისანიჭებლად.
მაშინ მეუღლეს ოდისევსმა ასე მიმართა:
“მეუღლევ ჩემო, განსაცდელი კიდევ წინ გვიდევს,
კვლავ დიდი შრომა გველოდება შესასრულებლად,
საქმე საძნელო მეტისმეტად რთული და მძიმე.
მე ასე მითხრა ტირესია მისანის სულმა
იმ დღეს, როდესაც მე ვეწვიე შავბნელ აიდში
ჩემი და ჩემი მეგობრების ბედის საკითხად.
ახლა კი დროა, მივაშუროთ ჩვენს მყუდრო საწოლს,
საამო, ტკბილ ძილს თავი მივსცეთ და მოვისვენოთ”.
პასუხად უთხრა პენელოპე დარბაისელმა:
“დე, იყოს ისე, როგორც შენს სულს მონატრებია,
რაკი ღმერთებმა ინებეს და სახლში დაბრუნდი,
მშობელი მიწის და სახლ-კარის ხილვა გაღირსეს.
რახან დაიწყე, როგორც ღმერთმა ეს ჩაგაგონა,
ბარემ მიამბე, რაც ჩვენ თავზე მოსახდენია,
ადრე თუ გვიან, სულერთია, მაინც შევიტყობ”.
პასუხად უთხრა ოდისევსმა, სიბრძნით ქებულმა:
“უცნაური ხარ, ნეტავ ასე რატომ მაჩქარებ!
რაკი გსურს, გეტყვი ყოველივეს დაუფარავად.
სასიხარულოს ბევრს ვერაფერს ვერ გაიგონებ,
არ მიხარია არც მე, რადგან იმან მიბრძანა:
მხარზე ხის თოფი გავიდო და ვიარო ქვეყნად,
სანამ არ ვნახავ სოფელს, სადაც ზღვა არ იციან,
სადაც წესად აქვთ უმარილო საზრდელის ჭამა
და არასოდეს არ უნახავთ გემი ჭრელგვერდა,
არცა ნიჩბები, გემს რომ ზღვაზე ფრთებად შეესხმის.
ნიშანიც მითხრა საიმედო, ვერ დაგიფარავ:
თუკი მეორე მგზავრმა გკითხოს გზად შეხვედრილმა:
ეს რა ნიჩაბი გაგიდევსო სანიავებლად,
მაშინ ნიჩაბი მე მიწაში უნდა ჩავასო,
მსხვერპლად შევწირო პოსეიდონს, დიდ ღმერთს მბრძანებელს
ხარი და ცხვარი, ზორბა ტახი, შემდეგ კი როცა
შინ დავბრუნდები, განვუმზადო ჰეკატომბები
ღმერთთა მაღალთა ცათა შინა დამკვიდრებულებს,

ყველას ცალ-ცალკე. მაშინ შევძლებ გამძვინვარებულ
ზღვათა ტალღებში უხიფათოდ დავუსხლტე სიკვდილს,
მხოლოდ სიბერეს მიღწეული მოვკვდე გულმშვიდად
სვებედნიერი, ჩემი ხალხით გარშემორტყმული”.
პასუხად უთხრა პენელოპე დარბაისელმა:
“თუ მოხუცობას სვებედნიერს გიმზადებს ზეცა,
იმედი გქონდეს, სამშვიდობოს გასულხარ უკვე”.
ასე ცოლ-ქმარი ერთმანეთში რომ საუბრობდა,
ევრინომე და ევრიკლეა, ჩირაღდნის შუქზე,
იმათ საწოლზე რბილ საგებელს აგებდნენ უკვე.
რა გაამზადეს რიგისამებრ საწოლი მათი,
წავიდა ძიძა ევრიკლეა თავის ოთახში.
ევრინოემ კი წაიყვანა ცოლი და ქმარი,
ჩირაღდნის შუქით გაუნათა გზა საწოლისკენ.
დააბინავა ორთავე და დაბრუნდა უკან.
ძველი საწოლის ხილვა ცოლ-ქმარს ძლიერ ეამათ.
ტელემაქეს და ღორების მწყემსს, მასთან მეძროხეს
ქალებთან ერთად შეეწყვიტათ ცეკვა-თამაში
და დიდ დარბაზში მიეფინნენ დასაძინებლად.
რაკი საამო ტრფობის ჟინით დატკბა ცოლ-ქმარი,
მერე ბაასი წამოიწყეს საურთიერთო.

თარგმანი პანტელეიმონ ბერაძისა

დიდაქტიკური და გენეალოგიური ეპოსი

ოქროს

(ძვ.წ. VIII-VII სს.)

ჰესიოდე გეომეტრიულიდან არქაიკაზე გარდამავალი ეპოქის პოეტია. ეს იყო მნიშვნელოვანი მოვლენებით დატვირთული ხანა, რომელმაც მხატვრულ კულტურაში, ისევე როგორც საზოგადოებრივ ასპარეზზე, პიროვნების როლი გამოკვეთა. ჰესიოდესთან, პირველად ბერძნულ პოეზიაში, შეინიშნება მიდრეკილება მოვლენათა ავტორისეული შეფასებებისაკენ, მასთან ვკითხულობთ საზოგადოებრივი ცხოვრების პირველ გაბედულ კრიტიკასაც ("რკინის საუკუნე").

ბერძნულმა ტრადიციამ შემოგვინახა ჰესიოდეს სახელით ცნობილი რამდენიმე ნაწარმოები: სრულად _ "თეოგონია", "სამუშაონი და დღენი", "ჰერაკლეს ფარი"; ფრაგმენტულად _ "ქალთა კატალოგი" და რამდენიმე სხვა თხზულება.

"თ ე ო გ ო ნ ი ა" 1022 ჰექსამეტრული სტრიქონისაგან შემდგარი პოემაა, სადაც ბერძნული პანთეონის მაქსიმალურად სრული სურათია წარმოდგენილი. ეს არის ბერძნული მითოლოგიის სისტემატიზაციის პირველი წარმატებული ცდა, სადაც ავტორი სამყაროს წარმოქმნისა და სრულყოფის პოეტურ პანორამას გვთავაზობს.

"ს ა მ უ შ ა ო ნ ი დ ა დ ღ ე ნ ი", რომელიც 828 ჰექსამეტრულ სტრიქონს შეიცავს, ბერძნულ ლიტერატურაში დიდაქტიკურ მიმართულებას უდებს დასაბამს. პოემა გამოირჩევა ინფორმაციის სიუხვითა და დახვეწილი პოეტურობით. მასში ევროპულ ლიტერატურაში პირველად არის წარმოდგენილი ავტორი თავისი სახელითა და ცხოვრებისეული ფაქტებით. პოემის დაწერის ფორმალურ მიზეზს თავად პოეტი გვამცნობს: იგი თავის ქმნილებას უძღვნის ძმას, რომელმაც მამის გარდაცვალების შემდეგ უკანონოდ მითვისებული ქონება გაანიავა და საშველად ჰესიოდეს უხმო. პოეტმა კი მას დახმარების ნაცვლად ლექსად დაწერილი რჩევა-დარიგებები გაუგზავნა.

ამ ბიოგრაფიულ ჩანართს ზოგიერთი მკვლევარი ლიტერატურულ ფიქციად მიიჩნევს. მაგრამ ეს არ არის მთავარი. უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ პოემაში ნათლად იკვეთება მიწათმოქმედი გლეხის მსოფლაღქმა: მან იცის, რომ ადამიანის ხსნა შრომაშია, რომ მხოლოდ შრომით შეიძლება დაიმსახუროს ღვთაებათა კეთილგანწყობა. ჰესიოდე დიდ ადგილს უთმობს ფიქრებს ზნეობასა და სამართლიანობაზე (დიკე), რითაც საფუძველს უყრის იდეას, რომელიც მოგვიანებით არქაული ბერძნული პოლისების პირველ კანონმდებელთა მოღვაწეობაში გამოვლინდება.

თარგმანი:

ჰესიოდეს პოემათა ფრაგმენტების რომან მიმინოშვილის მიერ შესრულებული თარგმანები იხ. კრებულში: ელადის მუზა, თბილისი 1976 წ.

თეოგონია

(1-21) ჰელიკონელ მუზათაგან დავიწყოთ სიმღერა, რომელთაც ჰელიკონის მაღალი და საღმრთო მთა აქვთ საცხოვრისად, იისფერი წყაროსა თუ კრონოსის ძლევაშემოსილი ძის საკურთხევლის გარშემო ცეკვავენ რბილი ფეხებით, პერმესოსში, ცხენის წყაროსა თუ საღმრთო ოლმეოსში იბანენ ნატიფ სხეულს, ფერხულს აჩაღებენ ჰელიკონის თხემზე, ლამაზს, სანატრელს, მარდად უვლიან. აქედან წამოვლენ, ხშირი ჰაერით შებურვილნი, ღამით დადიან, უმშვენიერეს ხმებს გამოსცემენ, უგალობენ ეგისისმპყრობელ ზევსსა და

დედოფალ ჰერა არგეელს, ოქროს ხამლებით მოსიარულეს, ეგისისმპყრობელი ზევსის ასულ თვალმოციმციმე ათენას, შუქმფინარ აპოლონსა და მოისარ არტემისს, პოსეიდონს, მიწისმპყრობელსა და მიწისმრყეველს, პატივსაცემ თემისს, წამწამებაპრეხილ აფროდიტეს, ოქროსგვირგვინოსან ჰებეს, ლამაზ დიონეს, ლეტოს, იაპეტოსს, ცბიერ კრონოსს, გარიჟრაჟს, დიდ მზეს, კაშკაშა მთვარეს, მიწას, დიდ ოკეანოსს, ბნელ ღამეს და სხვა მარადის მყოფ უკვდავთა წმინდა მოდგმას.

(22-34) მათ ერთხელ ლამაზი სიმღერა ასწავლეს ჰესიოდეს, როს ცხვრებს მწყემსავდა საღმრთო ჰელიკონზე. იქ მყოფს პირველად ღმერთებმა, ოლიმპიელმა მუზებმა, ეგისისმპყრობელი ზევსის ასულებმა მომმართეს სიტყვით: "ველურო მწყემსებო, სულმდაბალნო, მსუნაგნო, ვიცით სარწმუნოს მსგავსი მრავალი ტყუილის და, როდესაც გვსურს, სიმართლის თქმაც." მითხრეს თუ არა ეს დიადი ზევსის გულმართალმა ასულებმა, რტო მოსწყვიტეს აყვავებულ დაფნას და საკვირველი კვერთხი მომცეს, წინასწარმეტყველური სიმღერა შთამბერეს, რათა შევაქო, რაც მომავალია და რაც არსებულა, მიბრძანეს, მარადის მყოფ ნეტართა მოდგმას ვუგალობო, თავად მათ კი ყოველთვის ვუმღერო სიმღერის დასაწყისში თუ დასასრულს.

(35-52) მაგრამ რას მივედ-მოვედები? მუზათაგან დავიწყოთ, რომლებიც მამა ზევსს უგალობენ ოლიმპოსზე და მაღალ გონებას უხარებენ, ხმაშეწყობით ჰყვებიან იმას, რაც არის, რაც იქნება და რაც იყო, ტკბილი სიმღერა დაუშრეტელად დის მათს ბაგეთაგან. ღმერთქალთა შრომანივით ნატიფი ხმა გარშემო იფანტება და მხიარულდება მოქუხარი მამა ზევსის სახლი, ბანს ეუბნებიან დათოვლილი ოლიმპოსის მწვერვალი და უკვდავთა საცხოვრებელნი. ისინი კი ღვთაებრივ ხმას გამოსცემენ და ღმერთთა პატივსაცემ პირველ მოდგმას აქებენ უწინარესად, რომლებიც მიწამ და უკიდეგანო ცამ დაბადეს, რომელთაგანაც იშვნენ ღმერთნი, წყალობის მომნიჭებელნი. შემდეგ ზევსს, ღმერთთა და კაცთა მამას ადიდებენ, (ყოველთვის, როს წამოიწყებენ ან ამთავრებენ გალობას,) თუ რამდენად აღემატება იგი დანარჩენ ღმერთებს ძალით და დიდებით. კვალად კაცთა და ღონიერ გიგანტთა მოდგმას უგალობენ, ოლიმპოსზე ზევსს გულს უხარებენ, _ ოლიმპიელი მუზანი, ეგისისმპყრობელი ზევსის ასულნი.

(53-74) ისინი პიერიაში დაბადა კრონოსის ძეს შერთულმა მნემოსინემ, ელევთერის ბორცვთა მფარველმა, უსიამოვნებათა დასავიწყებლად და საზრუნავთაგან განსარიდებლად. რადგან ცხრა ღამე შეერთვოდა მას ბრძენი ზევსი, უკვდავთაგან შორს წმინდა სარეცელზე ასული. და როდესაც წელიწადმა გაიარა, თვეები მიილია, წელიწადის დროებმა გარშემოიარეს და მრავალი დღე მიიწურა, მან ცხრა ასული დაბადა, ერთსულოვანი, რომელთაც გულით მხოლოდ სიმღერა იტაცებთ უდარდელთ, დათოვლილი ოლიმპოსის მწვერვალიდან ოდნავ მოშორებით. აქ აქვთ მათ შესანიშნავი საცეკვაო ადგილები, ლამაზი სახლები, გვერდით კი ქარიტები და ჰიმეროსი ბინადრობენ სიამით. მომხიბლავ ხმას გამოსცემენ ბაგეებიდან, ყველა უკვდავის რჯულსა და ღირსეულ ზნეს აკურთხებენ მუზანი, ქებას ასხამენ; მომაჯადოებელია მათი სიმღერა. შემდეგ ოლიმპოსისკენ მიდიან, შვენით ლამაზი ხმა, ღვთაებრივი მღერა; შავი მიწა გუგუნებს მგალობელთა გარშემო, მიემართებიან და მათს ტერფთაგან აღმდგარი გრიალი აღწევს მამამდე, იგი ცაში მეფობს, თავად უპყრია ჭექა-ქუხილი და მოგიზგიზე ელვა, ძლიერებით სძლია მამა კრონოსს, თითოეულ უკვდავს რჯული განუწესა და თავ-თავიანთი პატივი განუცხადა.

(75-103) აი, ამას მღერიან მუზები, ოლიმპოსზე მობინადრენი, დიდი ზევსის მიერ შობილი ცხრა ქალწული: კლიო, ევტერპე, თალია, მელპომენე, ტერფსიქორე, ერატო, პოლიჰიმნია, ურანია და კალიოპე, რომელიც დებს შორის გამორჩეულია, რადგან თან

ახლავს პატივსაცემ მეფეთ. ზევსის გამოზრდილ მეფეთა შორის ვისაც არ უნდა სცემდნენ პატივს და არ უჭვრეტდნენ დაბადებისას დიდი მამის ასულნი, ყველას ტკბილ ცვარს ულვრიან ენაზე და გოლეულივით ტკბილი სიტყვები დის სეფეწულის ბაგეებიდან. ხალხი მეფეს შეჰყურებს, როს მას განაჩენი გამოაქვს მართალი სამართლით. იგი მტკიცედ ბჭობს და უმალვე აცხრობს ცილობას. იმიტომ მოვლენილან მეფენი გონიერნი, რომ უმწეო ხალხს საკრებულოზე სანაცვლოს მიაგებენ იოლად, ალერსიანი სიტყვით არწმუნებენ; კრებაზე მიმავალ მეფეს, როგორც ღმერთს, კრძალვით ეგებებიან, და ბრწყინავს იგი შეკრებილთა შორის. ასეთია მუზათა წმინდა ძღვენი კაცთადმი. რამეთუ მუზათა და შორსმოისარი აპოლონისაგან მომღერლები და მძნობარნი მოვლენილან ამქვეყნად, ხოლო ზევსისგან _ მეფენი. ბედკეთილია იგი, ვინც მუზებს უყვართ, ტკბილი სიმღერა დის მის ბაგეთაგან. თუკი ვინმე სევდას მოუცავს, ჭმუნვით აღვსებია სული და გული უწუხს, როგორც კი მომღერალი, მუზათა მსახური, უწინდელ კაცთა სახელოვან საქმეთ და ოლიმპოს ბინადარ ღმერთებს ხოტბას შეასხამს, მეყსეულად განუქარდება მას მწუხარება და სრულებით აღარ ეხსომება გულისტკივილი. მსწრაფლ იხიბლება იგი ქალღმერთთა ძღვენით.

(104-115) დიდება თქვენდა, ზევსის ასულნო, სანუკვარი სიმღერა მიუძღვენით, ხოტბა შეასხით წმინდა მოდგმას მარადის მყოფი უკვდავებისას, მათ, რომელნიც მიწისა და ვარსკვლავიანი ცისაგან თუ კუნაპეტი ღამისგან იშვნენ, მათ, რომლებიც მარილიანმა პონტოსმა გამოკვება. წართქვით, თუ ვითარ იშვნენ თავდაპირველად ღმერთნი, მიწა, მდინარენი, თვალუწვდენი ბობოქარი ზღვა, მოციალე ვარსკვლავნი და ვრცელი ცა მაღლა და ის ღმერთებიც, მწყალობელნი, რომლებიც მათგან დაიბადნენ, თუ ვით გაიყვეს მათ სიმდიდრე და პატივნი _ გაინაწილეს, ან თავდაპირველად ვით დაეუფლნენ მრავალნაკეცა ოლიმპოსს. ყოველივე თავიდან მიამბეთ, მუზებო, ოლიმპოსის მკვიდრნო, მამცნეთ ღმერთთაგან პირველად რომელი იშვა.

(116-123) უწინარესად იშვა ქაოსი, შემდეგ მკერდგანიერი დედამიწა, _ მარად მტკიცე საყრდენი ყველა უკვდავის, რომელთაც დათოვლილი ოლიმპოსის მწვერვალზე დაუვანიათ, _ ფართოგზებიანი მიწის წიაღში დაბინდული ტარტაროსი და ეროსი, ვინც ულამაზესია ღმერთთა შორის, ღონისმიმხდელი და ყველა ღმერთის თუ კაცის გონებას და გონივრულ ნებას გულს უმორჩილებს.

(123-138) ქაოსისაგან იშვა წყვდიადი და შავი ღამე. ღამე სიყვარულით შეერთო ერებოსს, დაფეხმძიმდა და დაბადა ეთერი და დღე. ხოლო მიწამ თავდაპირველად შვა ვარსკვლავიანი ცა, თავისივე ტოლი, რათა ცას ყოველი მხრიდან დაეფარა იგი და ნეტარ ღმერთთა მარად მტკიცე სამკვიდროდ შექმნილიყო; შვა აგრეთვე მაღალი მთანი, თვალწარმტაცი სამყოფელნი ქალღმერთ ნიმფათა, რომელნიც ტყით დაფარულ მთებში ბინადრობენ; შვა ასევე უნაყოფო ბობოქარი ზღვა, პონტოსი, ისე, რომ ნანატრი სიყვარულით არავის შერთვია; შემდგომ ცასთან გაიზიარა სარეცელი და დაბადა ოკეანოსი ღრმამორევებიანი, კოიოსი, კრეოსი, ჰიპერიონი, იაპეტოსი, თეა, რეა, თემისი, მნემოსინე, ოქროსგვირგვინოსანი ფოიბე და ტურფა ტეთისი; ხოლო მათს მერე შვა უმრწემესი, ცბიერი კრონოსი, შვილთა შორის უსაშინლესი, რომელსაც სძულდა მხნე მამა მშობელი.

(139-146) კვალად შვა მიწამ გულზვიადი კიკლოპნი, _ ბრონტესი, სტეროპესი და გულადი არგესი, _ რომელთაც ჭექა-ქუხილი მისცეს და ელვა დაუმზადეს ზევსს. ისინი ყველაფრით ჰგავდნენ ღმერთებს, მხოლოდ თვალი ჰქონდათ ცალი შუბლის შუაში. მათ კიკლოპები ეწოდათ, რამეთუ ცალი მრგვალი თვალი ჰქონდათ შუბლზე. ძალ-ღონესა და მოხერხებას იჩენდნენ საქმეში.

(147-155) კიდევ სამი ძე შეეძინათ მიწას და ზეცას, წარმოუდგენლად დიდნი, მხნენი და გულზვიადნი, _ კოტოსი, ბრიარეოსი და გიგესი. თითოეულს ასი საზარელი მკლავი

ჰქონდა და მხრებს შორის ორმოცდაათი თავი ამოსვლოდა მკვრივ კიდურებზე; უძლეველი იყო ამ გოლიათ არსებათა ძალა. მიწისა და ცის ნაშობთა შორის ყველაზე ზარდამცემნი იყვნენ და დაბადებიდანვე მოიძულა ისინი მშობელმა მამამ.

თარგმნა ნიკოლოზ შამუგიამ

სამუშაონი და დღენი

(1_10) მუზებო პიერიელნო, სიმღერით ქების შემსხმელნო, მოდით, მამა ზევსს მიმართეთ და უგალობეთ. მოკვდავნი, დიდი ზევსის სურვილისამებრ, უსახელო ან სახელოვანი, უცნობი ან ცნობილი არიან. რამეთუ იოლად განაძლიერებს კაცს და იოლად სთრგუნავს გაძლიერებულს, ადვილად დაამდაბლებს განდიდებულს და უჩინოთ აღამაღლებს, იოლად გამართავს წელში მოდრეკილთ და ქედს მოახრევინებს გულზვიადთ მოქუხარი, ზესთა სამყოფლოს მობინადრე ზევსი. ნახე, ისმინე, დაუკვირდი და განსაჯე სამართლიანად; მე კი პერსესს მოვუთხრობ სიმართლეს.

(11–24) ამქვეყნად ერისთა მხოლოდ ერთი მოდგმა როდი არსებობს, არამედ _ ორი. პირველს ხოტბას შეასხამდა კაცი, რომ შეიცნობდეს; მეორე კი გაკიცხვის ღირსია. ბუნებით ერთმანეთისგან სრულიად განსხვავდებიან. ერთი ბოროტ ომსა და შუღლს ამრავლებს, ულმობელი; მოკვდავთაგან ის არავის უყვარს; ნება-უნებურად, უკვდავთა სურვილის გამო სცემენ პატივს უწყალო ერისს. მეორე კი, უფრო მოწყალე, მრუმე ღამის უფროსი ასულია, კრონოსის ზეცად დაბრძანებულმა, ეთერს მსუფევმა ძემ დაადგინა მიწის წიაღში. ის გაურჯელსაც კი შრომისწადილს აღუძრავს; მუშაობა სწყურდება კაცს, როს ხედავს, მისი მდიდარი ამხანაგი როგორ ჩქარობს ხვნას, თესვას, სახლის აგებას; ეხარბება მეზობელს მეზობლის, რომელიც გულმოდგინედ ირჯება, რათა შეძლებული შეიქმნას. კეთილგანწყობილია ეს ერისი კაცთა მიმართ. მეთუნეს მეთუნისა შურს, ხუროს _ ხუროსი, გლახაკს სხვა გლახაკის ბედი ეხარბება, მომღერალს _ მომღერლის.

(25_41) პერსეს, ყოველივე ეს გულში აღიბეჭდე და ღვარძლიანმა ერისმა, დაე, უარი შრომაზე ვერ გათქმევინოს, როცა დავას ხედავ და ისმენ საკრებულოზე. ცილობა და სასამართლო ნაკლებად მას ეხება, ვისაც წლის მოსავალი, მიწის მიერ ბოძებული დემეტრეს პური, დროულად არ დაუბინავებია. მოსავალს როდესაც დაიუნჯებ, შეგიძლია კამათი და შუღლი აღძრა სხვისი ქონების ხელში ჩასაგდებად. მეორედ ამის ქმნას ვეღარ შეძლებ; თუმც ჩვენი დავა აქ გადავჭრათ ზევსისაგან უმჯობესქმნილი მართალი სამართლით. ვინაიდან მემკვიდრეობა გავიყავით, მაგრამ უმეტესი წილი შენ წარიტაცე და აიღე, ქება-დიდებით შეამკე საჩუქრებით გაუმაძღარი ჩვენი მეფენი, რომელთაც უყვართ მსგავს საქმეთა განხილვა სასამრთლოზე. უგუნურნი! არც კი იციან, ნახევარი რამდენად მეტია მთელზე ან რა დიდი სარგებელია ბალბასა თუ ასფოთელაში.

(42_59) ღმერთები ცხოვრების სახსარს უმალავენ კაცთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ერთ დღეშიც ადვილად შეასრულებდი სამუშაოს, რათა მთელი წლის მანძილზე გაურჯელად შეგენახა თავი; უმალ საჭეს განათავსებდი კვამლის ზემოთ და განქარდებოდა ხარებისა თუ ჯაფას შეჩვეული ჯორების შრომა. მაგრამ გულმწყრალმა ზევსმა გადაგვიმალა ცხოვრების სახსარი, იმის გამო, რომ მოხერხებულმა პრომეთემ მოატყუა; ამიტომაც მწარე ვარამი განუმზადა კაცთ, ცეცხლი დაუმალა; მაგრამ იაპეტოსის კეთილშობილმა ძემ კვლავ მოსტაცა ცეცხლი ბრძენ ზევსს და ფუტურო ლერწმით მოკვდავთ მოუტანა, რის გამოც ელვისმტყორცნელმა ზევსმა ვერაფერი შეამჩნია. გაგულისებულმა მიმართა პრომეთეს კრონოსის ძემ: “იაპეტოსის ძევ, აზროვნებით ყველაზე აღმატებულო, გიხარია, რომ ჭკუაში მაჯობე და მომტაცე ცეცხლი _ დიდი უბედურება თავად შენთვის და მომავალ

კაცთათვისაც. ცეცხლის საფასურად ბოროტს მივაგებ მოკვდავთ, სულითა და გულით დატკბებიან ამით და სიყვარულით შეიწყნარებენ საკუთარ უკეთურებას”.

(60_82) ასე უთხრა და გადაიხარხარა კაცთა და ღმერთთა მამამ. სახელგანთქმულ ჰეფესტოს უბრძანა, მსწრაფლ მიწა მოეზილა წყლით, კაცობრივი ხმა და ღონე ჩაედგა ქმნილებისთვის და გარეგნობით უკვდავი ღმერთქალის მსგავსი თვალწარმტაცი ქალწულისთვის დაედარებინა; ათენას ხელსაქმისა და ხატულა ქსოვილთა ხელმარჯვედ ქსოვის სწავლება მიანდო; ოქროსფრად სხივმფინარ აფროდიტეს სთხოვა, შვენება, მტანჯველი ვნება და ძალისმიმხდელი შეშფოთება დაეფრქვია ქალწულისათვის. ჰერმესს, მეგზურს და არგოსისმკვლელს, დაავალა, მზაკვრული ზნე და ურცხვი გონება შთაენერგა მისთვის.

ასე უბრძანა, მათაც ისმინეს კრონოსის ძის, მამფალი ზევსის. მეყსეულად, სახელოვანმა კოჭლმა ღმერთმა კდემამოსილი ქალწული გამოძერწა თიხისგან, კრონოსის ძის სურვილისამებრ; თვალმოციმციმე ქალღმერთმა ათენამ შემოსა და სარტყელი შემოარტყა; ქარიტებმა და დედოფალმა პეითომ ოქროს მძივები ჩამოჰკიდეს; თმამშვენიერმა ჰორებმა გაზაფხულის ყვავილთა გვირგვინით შეამკეს; ათენა პალასმა ნაირგვარი სამკაულით მორთო; მეგზურმა და არგოსისმკვლელმა მკერდში სიცრუე, მაცდური სიტყვები და მზაკვრული ბუნება შთაუნერგა, მოქუხარი ზევსის ნებისამებრ. ღმერთების მაცნემ ენა ჩაუდგა და პანდორა უწოდა ასულს, რადგან ოლიმპოს ყველა მკვიდრმა უბოძა მას ძღვენი _ უბედურება საზრდოს მომპოვებელ კაცთათვის.

(83_89) როს ძნელი, გამოუსწორებელი მახე დაასრულა, მამამ სახელოვანი არგოსისმკვლელის, ღმერთთა მალი მაცნის ხელით ეპიმეთეს გაუგზავნა იგი ძღვნად. ეპიმეთე არც დაფიქრებია პრომეთეს შეგონებას, ნურასოდეს მიიღებო საჩუქარს ოლიმპოელი ზევსისაგან, უკანვე გაუგზავნეო, რათა რაიმე ბოროტება არ მოიწიოსო მოკვდავთა ზედა; მან მიიღო ძღვენი და, როდესაც სცნო უკეთურება, მაშინღა მიუხვდა ძმას.

(90_105) უწინ ქვეყნად მცხოვრებმა ტომებმა არ უწყოდნენ, რა იყო ბოროტება, მძიმე შრომა ან მტანჯველი სნეულება, რომლებმაც დაღუპვა მოუტანა მათ. ტანჯვაში მოკვდავნი მალე ბერდებოდნენ. მაგრამ ქალმა დიდი თავსახური ახადა თიხის ჭურჭელს, სხვადასხვა უბედურება განაბნია და ჭირ-ვარამს შეამთხვია კაცნი. მხოლოდ იმედი დარჩა თავის გაუტეხელ სახლში, შიგნით, ჭურჭლის პირის ქვემოთ და გარეთ არ გამოფრენილა; ჭურჭლის თავსახურმა შეაკავა იგი, ეგისისმპყრობელი, ღრუბელთშემკრები ზევსის ნებით. ურიცხვი უბედურება კი კაცთა შორის დაეხეტება; ზღვა და ხმელეთი გაივსო ბოროტებით. სნეულებანი განუწყვეტლივ თავს ატყდება მოკვდავებს, დღისით თუ ღამით ბოროტება მოაქვს მათთვის უჩუმრად, რადგან ბრძენმა ზევსმა ხმა წაართვა მათ. ასე რომ, საშველი არ არის, ვერსით გაექცევი ზევსის ნებას.

(106_108) თუ გსურს, სხვა ამბავს მოგითხრობ ოსტატურად, შენ კი გონებაში ჩაიბეჭდე; გამცნობ, თუ როგორ იშვნენ ღმერთნი და მოკვდავი კაცნი ერთი სათავიდან.

(109_120) თავდაპირველად ოლიმპოს მკვიდრმა უკვდავებმა მოკვდავ კაცთა ოქროს მოდგმა შექმნეს, რომელიც კრონოსის ცად მეუფების ჟამს არსებობდა. ისინი ღმერთების მსგავსად ცხოვრობდნენ, უზრუნველნი, უშრომლად და უნაღვლოდ. საშინელი სიბერე არასდროს უწევდათ, არც ხელ-ფეხი უუძლურდებოდათ და ლხენით იშვებდნენ, განრიდებულნი ყოველგვარ ბოროტებას. ოდეს ისინი მიიცვალნენ, თითქოს ძილი მოერიაო მათ. ყოველგვარი სიქველე ჰქონდათ, მშვიდად და შვებით ცხოვრობდნენ თავიანთ მიწაზე, სიკეთით ავსილნი, ცხვრის ფარით მდიდარნი და ნეტარ ღმერთთაგან შეყვარებულნი.

(121_142) მას შემდეგ, რაც ეს მოდგმა დასამარდა, მათ მიწიერი დემონები ეწოდათ. ისინი კეთილისმყოფელნი არიან, მწუხარებათაგან დამხსნელნი და მოკვდავთა მცველნი; სიმდიდრის მომნიჭებელნი მთელს ქვეყნიერებაზე დაეხეტებიან ნისლით შებურვილნი და სამართლიანობასა და მკაცრ მოპყრობას თვალყურს ადევნებენ; ეს სამეფო უფლება ნაბოძები აქვთ.

შემდეგ ოლიმპოს მკვიდრთ მეორე, ვერცხლის თაობა შექმნეს, ნაკლებ კეთილშობილი. ეს მოდგმა არც სულით, არც ხორცით არ ჰგავდა ოქროსას. ბავშვები ასი წელიწადი იზრდებოდნენ მზრუნველ დედასთან და სრულიად გულიბრყვილონი თამაშობდნენ შინ. როგორც კი მომწიფდებოდნენ, ახალგაზრდები გახდებოდნენ, თავიანთი ჩერჩეტობის გამო ცოტა ხანს ცოცხლობდნენ დარდით, რამეთუ შეცოდებისა და ძვირისქმნისაგან თავს ვერ იკავებდნენ. არც უკვდავთა მსახურება სურდათ, არც მსხვერპლის შეწირვა ნეტართა წმინდა საკურთხეველზე, როგორც წესია კაცთა ნებისმიერ მხარეში. განრისხდა კრონოსის ძე ზევსი და აღგავა ისინი პირისაგან მიწისა, რაკი პატივს არ მიაგებდნენ ნეტარ ღმერთებს, ოლიმპოს ბინადართ. როგორც კი ეს მოდგმაც დასამარდა, მათ მიწისქვეშეთის ნეტარი სულები შეერქვათ. მართალია, მეორე მოდგმისანი არიან, მაგრამ მათაც ეკუთვნით პატივისცემა.

(143_155) მამა ზევსმა მოკვდავ კაცთა მესამე, სპილენძის მოდგმა შექმნა კოპიტისაგან. ეს თაობა სრულებით არ ჰგავდა ვერცხლისას, საშინელი და ძალმოსილი იყო. მათ არესის სავალალო საქმენი და ძალმომრეობა ხიბლავდათ. პურსაც კი არ ჭამდნენ, ალმასივით მტკიცე სული ედგათ, საზარელნი იყვნენ. დიდი ძალ-ღონის პატრონთ უძლეველი მკლავები ჰქონდათ, მკვრივი კიდურები. მათი საჭურველი სპილენძისა იყო, სახლებიც _ სპილენძის, სპილენძითვე შრომობდნენ, მაშინ შავი რკინა არ არსებობდა. ეს თაობა საკუთარი ხელითვე შეიმუსრა და ყინულივით ცივი ჰადესის ნესტიან სადგურს ეწვია, უსახელოდ გადაგებული. თუმც მრისხანენი იყვნენ, შავმა სიკვდილმა წარიტაცა ისინი და მათ მზის ელვარე სინათლე დატოვეს.

(156_169ბ) ეს თაობაც დასამარდა თუ არა, კრონოსის ძემ, ზევსმა მეოთხე მოდგმა შექმნა ნაყოფიერ მიწაზე, უფრო კეთილშობილი და სამართლიანი. ეს იყო ნახევარღმერთებად წოდებულ ღვთაებრივ გმირთა თაობა, რომელიც უსაზღვრო ცისქვეშეთში წინ უსწრებდა ჩვენს მოდგმას. მათი ნაწილი ულმობელმა ომმა და შემზარავმა შერკინებებმა შეიწირა. ზოგნი კადმოსის მიწაზე, შვიდბჭიან თებესთან დაეცნენ, როს ოიდიპოსის არვესთვის იბრძოდნენ, ზოგნი კი მაშინ დაიღუპნენ, როს თმამშვენიერი ელენეს გულისთვის ომმა ხომალდებით წაიყვანა ზღვის გაღმა, ტროას ყურესთან. აქ ნაწილს სიკვდილმა მოუღო ბოლო, ნაწილს კი კრონოსის ძემ, მამა ზევსმა სიცოცხლე და საცხოვრისი უბოძა _ კაცთაგან შორს, ქვეყნიერების კიდეში დაასახლა. უზრუნველად ცხოვრობენ ისინი ნეტართა კუნძულებზე ღრმამორევებიანი ოკეანოსის სიახლოვეს. ბარაქიანი მიწა უკვდავ ღმერთთაგან შორს წელიწადში სამჯერ აღმოაცენებს გოლეულივით ტკბილ ნაყოფს ამ ნეტარი გმირებისათვის. მათზე მეუფებს კრონოსი, რომელიც ღმერთთა და კაცთა მამამ გაათავისუფლა ტყვეობისაგან. აქ ორთავეს, ზევსსაც და კრონოსსაც, თანაბრად აქვთ პატივი და დიდება.

(169გ_169დ) კვალად შექმნა შორსმჭვრეტელმა ზევსმა მეხუთე მოდგმა, რომელიც ამჟამად ცხოვრობს ხვავრიელ მიწაზე.

(170_201) ნეტავ, არ ვიყო მეხუთე მოდგმის კაცი. ნეტავ, ადრე მოვმკვდარიყავ ან მოგვიანებით დავბადებულიყავ. ამჟამინდელი მოდგმა რკინისაა. დღე ჯაფისა და მწუხარებისაგან არა აქვთ კაცთ მოსვენება და ღამე _ სიკვდილისაგან. ღმერთები ჭირ-ვარამს უვლენენ მათ, თუმც გასაჭირს სიკეთეც შეერევა. ზევსი მოკვდავ კაცთა ამ

მოდგმასაც შემუსრავს, ოდეს დადგება ჟამი _ შობისთანავე შეუჭაღარავდეთ საფეთქლები, ოდეს არ იქნება მამა შვილების საფერი და შვილები _ მამის, არც სტუმარი _ მასპინძლის, არც ამხანაგი _ ამხანაგის, არც ძმა იქნება უწინდელივით ძმური. ოდეს უპატივცემულოდ მოეპყრობიან მოხუც მშობლებს, მწარე სიტყვებით გაკიცხავენ მათ გულქვანი და ღვთის არმოშიშნი. დაუძლურებულ დედ-მამას სანაცვლოს არ მიაგებენ აღზრდისათვის, რადგან ძალა იქნება სამართალი. ერთი მეორის ქალაქს გაძარცვავს. არ შეიწყალებენ ფიცის ერთგულს, კეთილს. პირიქით, ავისმქმნელსა და მის ძალმომრეობას შეასხამენ ხოტბას. ღონიერება შეიქმნება; სამართალი და პატივისცემა აღარ იარსებებს. უკეთური ავნებს ღირსეულს, ცილს დასწამებს მას და ცრუ ფიცსაც არ ითაკილებს. ავისმეტყველი, სახემწყარალი, ნიშნისმომგები შური მოიცავს ბედკრულ კაცთ. მაშინ კი მიატოვებენ ფართოგზებიან დედამიწას და კაცობრიობას აიდოსი და ნემესისი და უკვდავ ღმერთთა დასს შეუერთდებიან. ნაღველი და ღრმა მწუხარება დარჩება ქვეყნად და არ იქნება საშველი ბოროტისაგან.

(202_211) ახლა მეფეთათვის ერთ იგავს მოვყვები: მიმართა შევარდენმა ყელჭრელ ბულბულს, როცა მაღლა, ღრუბლებში აჰყავდა, მტაცებლის კლანჭებში მოქცეული მგალობელი კი საწყალობლად კვნესოდა. აგდებით უთხრა შევარდენმა: "საბრალოვ, რატომ ყვირი? შენზე მძლავრს უპყრიხარ მტკიცედ და სადაც მომესურვება, იქ წაგიყვან, მომღერალო. თუ მომინდება, შეგჭამ, ან სულაც გაგიშვებ. მხოლოდ სულელი ცდილობს, გაუძალიანდეს თავისზე ძლიერს, რადგან ვერც გაიმარჯვებს და სირცხვილეული დაიტანჯება კიდეც". აი, ასე თქვა ფრთამალმა შევარდენმა, გრძელფრთება გეზელმა.

(212_224) ხოლო შენ. პერსეს, ყური უგდე სამართალს და უწესოდ ნუ მოიქცევი, რადგან უწესობა ცუდს შეამთხვევს საბრალო მოკვდავს. ადვილად ვერც ღირსეული აიტანს მას, ტვირთად დააწვება გასაჭირში ჩავარდნილს. სჯობს, სიმართლით ხვიდოდე, რადგან იგი ძლევს თვითნებობას და ბოლოს და ბოლოს დაისადგურებს. სულელი, როცა საკუთარ თავზე იწვნევს, მხოლოდ მაშინ მიხვდება ამას. ორკოსი მცდარ სამართალთან ერთად ვალს. მართლმსაჯულება გულდათუთქული ტირის, როცა ფეხქვეშ თელავენ ძღვენს დახარბებული კაცნი და უმართებულო განაჩენი გამოაქვთ. ამ დროს სამართალი, აცრემლებული, ნისლით შებურული მიუყვება ქალაქს, კარდაკარ დადის და უბედურება მოაქვს კაცთათვის, რომლებიც აძევებენ მას და არ იწყნარებენ.

(225_237) ვინც მართალ სამართალს უზღავს უცხოსაც და თავისიანსაც და არ ღალატობს მართლმსაჯულებას, აყვავებულია მისი ქალაქი, ბედნიერად ცხოვრობს ხალხი. ამ მხარეში სუფევს მშვიდობა, გულად მოყმეთა აღმზრდელი. ყოვლისმჭვრეტელი ზევსი არასდროს იწყებს მრისხანე ომს მათს წინააღმდეგ. სამართლიანთ აროდეს ტანჯავთ შიმშილი თუ გაჭირვება. მიწა უხვად აძლევს მათ საზრდოს. მთის წვერებზე მუხები რკოს ისხამენ, ფუტკრები დაზუზუნებენ; ხუჭუჭთმიანი ცხვარი დატვირთულა მატყლით; ქალები მშობლის დარ შვილებს ბადებენ. ყოველ ცისმარე დღე მეტი და მეტი სიკეთე შეეძინებათ და გემითაც არ მოგზაურობენ, ვინაიდან ბარაქიანი მიწა აპურებს მათ.

(238_247) ვინც ძალმომრეობს და მრისხანებს, კრონოსის ძე, შორსმჭვრეტელი ზევსი სჯის მას. ხშირად მთელი ქალაქიც კი განსაცდელშია ერთი ბოროტი კაცის გამო და კრონოსის ძე დიდ მწუხარებას, შიმშილს და შავ ჭირს უვლენს მცხოვრებთ. ოლიმპოელი ზევსის განზრახვით, იღუპებიან კაცნი, ცოლები ბავშვებს აღარ აჩენენ, მცირდება სახლები. ხოლო შემდეგ კრონოსის ძე მუსრავს მათს დიდ სპას და გალავანს ან გემებს უნადგურებს ზღვაზე.

(248_264) მეფენო, თქვენც სწორად ადგენთ სამართალს. კაცთა შორის მყოფი უკვდავი ღმერთები თვალყურს ადევნებენ მათ, ვინც მომძეთ უსამართლოდ ავიწროებენ და

ღმრთისა არ ეშინიათ. დოვლათიან მიწაზე ზევსს უკვდავ კაცთათვის სამგზის ათი ათასი მცველი ჰყავს. ისინი ნისლით შებურვილნი დადიან მიწაზე და აკვირდებიან მტყუანს და მართალს. აჰა, ოლიმპოელ ღმერთებს შორის თაყვანს სცემენ და პატივს მიაგებენ ქალწულ დიკეს, ზევსის ასულს. როცა მას ვინმე ცრუ ფიცით, ძვირის თქმით გულს სტკენს, იგი მამის, კრონოსის ძე ზევსის გვერდით ჯდება და კაცთა უსამართლო გონების შესახებ მოუთხრობს მას, ვიდრე ძვირად არ დაუჯდება ხალხს უგუნურება მზაკვარ მეფეთა, რომლებიც აბრკოლებენ მართლმსაჯულებას და უმართებულო განაჩენი გამოაქვთ. დაუკვირდით ამას, მეფენო, და პატიოსნად საჯეთ. ძღვენს დახარბებულნო, სრულად განაგდეთ გონებიდან უსამრთლობა.

(265-266) ვინც სხვას ვნებს, საკუთარ თავს ვნებს და უკეთური ნება მნებელსვე ღუპავს.

(267_273) ზევსის ყოვლისმჭვრეტელი და ყოვლისმცნობელი თვალი, თუკი სურს, ამასაც ხედავს და შეუმჩნეველი არ რჩება, თუ რამდენად სამართლიანად ცხოვრობს პოლისი. ამიტომაც ახლა, შესაძლოა, კაცთა შორის არც მე ვიყო უცდომელი და არც ჩემი ძე. მაგრამ ცუდია, არ ვცდებოდე, თუკი ბიწიერებას მეტი უფლება ექნება, ვიდრე მაღალზნეობრიობას, თუმცა, ვიმედოვნებ, ბრძენი ზევსი აროდეს დაუშვებს ამას.

(274-285) შენ კი, პერსეს, ეს გულს ჩაიბეჭდე და სამართალს ყური მიაპყარ, ძალმომრეობა სრულიად დაივიწყე. კრონოსის ძემ წესად დაადგინა, რომ თევზებმა, ცხოველებმა და ფრინველებმა ჭამონ ერთმანეთი, რადგან მათს შორის არ არის სამართალი. კაცობრიობას კი მან მისცა სამართალი საუკეთესო. ვინც იცის კანონები, ვისაც სურს ისინი საჯაროდ იქადაგოს, მას განამდიდრებს შორსმჭვრეტელი ზევსი. ხოლო ვინც ცილისწამებას და ცრუ ფიცს არ ერიდება, გულს ტკენს დიკეს და უნანებლად სცოდავს. მისი მოდგმა უსახელო რჩება მომავალში. მართალთა შთამომავლობის მერმისი კი გამორჩეულია.

(286-292) უგუნურო, პერსეს! კარგ რამეს გეტყვი: ბოროტებას ადვილად და ათასნაირად შეიძლება მიაღწიო. იგი ახლოსაა ჩვენთან და მისკენ სავალი გზა გატკეცილია. სათნოება კი მხოლოდ ძალისხმევით მიიღწევა. შორი და ციცაბოა მისკენ სავალი. გზის დასაწყისი კლდოვანია, მაგრამ, როგორც კი კაცი მწვერვალს მიაღწევს, გაუიოლდება სათნოების მოპოვება, რაც ადრე ძნელი ეჩვენებოდა.

თარგმნა ნიკოლოზ შამუგიამ

ჰომეროსის ჰიმნები

ჰომეროსის სახელით ჩვენამდე მოაღწია ანთოლოგიამ, რომელშიც 33 ჰიმნია წარმოდგენილი. ისინი სხვადასხვა დროის შემოქმედთა ნამოღვაწარი უნდა იყოს, თუმცა, ტრადიციის ძალით, მათ "ჰ ო მ ე რ ო ს ი ს ჰ ი მ ნ ე ბ ა დ" მოიხსენიებენ.

"ჰიმნთა" უმეტესობა შედარებით მოკლეა, გვიანდელია და ვრცელ ეპიკურ ქმნილებათა პროოიმიონებად მოიაზრება. პირველი ხუთი "ჰიმნი" კი საკმაოდ ვრცელი მოცულობისაა, ადრეულია და სრულყოფილი. ისინი თავიანთი სტილითა და კომპოზიციური შეკრულობით ჰომეროსის პოემებს ემსგავსებიან. სწორედ ამ მსგავსებამ განაპირობა კიდეც მათი სახელწოდება. ამ ქმნილებათაგან კომპოზიციური ორგანიზაციის ჰომეროსისეული ტექნიკით გამოირჩევა "აფროდიტესადმი მიძღვნილი ჰიმნი", რომელიც ძვ.წ. VII-VI საუკუნეებში უნდა შექმნილიყო. მასში თხრობის ეპიკური მანერით არის წარმოდგენილი აფროდიტესა და მოკვდავი ანქიზესის "ტრფობის ღამის" შთამბეჭდავი სურათი. ჰიმნებში თანამედროვე მკითხველი იოლად შეიგრძნობს ბერძენთა მითოპოეტური ხედვის თავისებურებასა და მომხიბლაობას.

თარგმანი:

ჰომეროსის ჰიმნები, თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და სახელთა საძიებელი დაურთო ლიანა კვირია-კაშვილმა, თბილისი 1982.

ჰიმნი აფროდიტეს

მუზავ, მიამბე მრავალოქროვანი კიპრისის საქმენი,
ვინც ტრფობის უტკბესი წადილი აღაგზნო უკვდავთა კრებულში,
ვინც დაიმორჩილა მოკვდავად შობილთა მრავალი ტომი და
ფრინველნიც ზევსისგან ცით ჩამოფრენილნი და ყველას არსება,
ხმელეთი რომ უჩენს მრავალგვარ საზრდოს და დიადი პონტოსიც;
გვირგვინით შემკული კიპრისის საქმენი მიამბე, ღმერთქალო.
სამ ქალღმერთს ვერ აცდენს და ვერ იმორჩილებს კიპრისი მარტოდენ.
პირველად ბუსთვალა ათენა ვახსენოთ, ასული ზევსის.
არ უყვარს ათენას მრავალოქროვანი კიპრისის საქმენი,
ბრძოლა და ყიჟინი, არესის ომები იტაცებს მარტოდენ.
შებმა და კვეთება თუ მოსწონს მხოლოდ და დიადი გმირობა.
პირველად მიწაზე გაჩენილ ხუროებს ასწავლა ათენამ
სპილენძით შეჭედილ საბრძოლო ეტლების ლამაზად კეთება,
დიდ მეგარონებში აბრეშუმკაბიან ქალწულებს მიჰმადლა
ბრწყინვალე საქმენი და მკერდში ჩაუდო ხელსაქმის ცოდნა,
ვერც ხმაურიან და ვერც ოქროსისრებიან ღვთაება არტემისს
ვერ უნთებს სიყვარულს ღიმილის მოყვარე დიადი კიპრისი,
ისართა მიზანში სწორება იტაცებს დიდებულ არტემისს,
ცხოველთა მუსრვა, ფორმინქსთა ხმები და ფერხულთა ყიჟინა,
ჩრდილხშირი ტევრნი და სამართალშემოსილ ვაჟკაცთა ქალაქი.
არც კდემით აღსავსე ქალიშვილს არ მოსწონს კიპრისის საქმენი,
ჰესტიას, რომელიც პირველად დაბადა ცბიერმა კრონოსმა
და მერმე სულ ბოლოს მამისგან რომ იშვა კრონიდის წყალობით.
თვითონ აპოლონიც და პოსეიდონიც ეტრფობდნენ დედოფალს,
არ მოიწადინა ისინი ჰესტიამ, უარყო ორივე.
ფიცი კი მართლაცდა დიადი დადო. აღსრულდა ის ფიცი,
ეგისის მპყრობელი ზევსის თავს შეეხო ფიცის დროს ჰესტია,
რომ მუდამ ქალწული დარჩება იგი და ღმერთთაგან ბრწყინვალე.
დიადმა ზევსმა ქორწილის სანაცვლოდ ეს მისცა საჩუქრად _
შუაგულ სახლში ზის და ასეთნაირად ღებულობს ნაფერდალს.
პატივს არ აკლებენ ღმერთთათვის აგებულ ტაძრებში ჰესტიას
და ყველა კაცთაგან მასა აქვს ყველაზე დიადი პატივი.
ამათ ვერ აცდუნებს, ვერაფრით აჯერებს კიპრისი მარტოდენ,
სხვა ვერვინ გაურბის ლამაზ და დიდებულ ოქრო-აფროდიტეს.
ვერც ნეტარ ღმერთთაგან გაურბის ვინმე და ვერც მოკვდავ კაცთაგან,

ელვამონეტარე თვით დიად ზევსსაც კი უქცია გზა-კვალი,
რაოდენ დიადიც არ უნდა იყოს და დიდპატივგებული.
უნდოდა თუ არა, მსწრაფლ დაუბნელებდა უბრძენეს გონებას
და მერე ადვილად შერთავდა მიწიერ და მოკვდავ ასულებს,
და ავიწყდებოდა ზევსს თავად ჰერაც _ დაცა და მეუღლეც,
იერით ყველაზე დიადი რომ არის ქალღმერთთა შორის,
ყველაზე ბრწყინვალე კრონოსმა დაბადა ის ეგზომ ცბიერმა
და დედამ _ რეიემ. ზევსმა კი გონებით ეგოდენ ძალუმმა
მეუღლედ დაისვა ქალღმერთი ჭკვიანი და მუდამ მზრუნველი.
თვით აფროდიტესაც სტყორცნა და აღუძრა დიადმა კრონიდმა
მოკვდავთან ტრფიალის უტკბესი წადილი, რომ მასაც ვერაფრით
ვეღარ აეცდინა სარეცლის გაყოფა უბრალო ვაჟკაცთან,
ვეღარ შეძლებოდა ღმერთებში ტრაბახი სიცილის მოყვარე,
ტკბილად მომცინარე ოქრო-აფროდიტეს, რომ დიდი ღმერთები
მიწიერ ქალებთან წვებიან ტრფიალით და მერე ისინი,
მოკვდავად შობილნი, მიწიერ შვილებსვე უშობენ უკვდავებს,
ისე ვით ღმერთქალებს ერწყმიან მოკვდავად შობილი ჭაბუკნი.
შიგ სულში ჩაუდო უტკბესი წადილი ანქიზესისადმი,
ხარებს რომ მწყემსავდა წყაროუხვ იდაზე ცადაწვდილ მთებში.
თავად კი უკვდავთა სადარი რომ იყო თავისი იერით,
იმჟამად იხილა სიცილის მოყვარე კიპრისმა ანქიზეს,
მყის შეუყვარდა და სასტიკი წადილი აღეძრა მკერდში.
კიპროსზე მოსული პაფოსში აღმართულ ამოდსურნელოვან
ტაძარში ჩაეშვა. აქ წმინდა ტევრია მისი და სამსხვერპლო.
შევიდა ტაძარში, კარები ჩაკეტა საამოდ სულნელმა.
ხოლო ქარიტებმა განბანეს კიპრისი და ზეთი წააცხეს,
ის ნელსაცხებელი, ღვთაებებს რაცა აქვთ წასმული სხეულზე _
ტკბილი ამბროსია _ თავისთვის რომ ჰქონდა ოქრო-აფროდიტეს.
შეიმოსა და კეთილი სამოსი მოირგო სხეულზე,
ოქროთი მოირთო სიცილის მოყვარე ბრწყინვალე კიპრისი,
დატოვა კიპროსი სურნელოვანი და ტროისკენ გასწია,
ღრუბელთა ზეგარდმო, მაღალზე კვალავდა თავის გზას ღვთაება,
და ოდეს მიადგა ცხოველთა დედას და წყაროუხვ იდას მთას,
მთიდან მიაშურა მწყემსების საცხოვრისს კიპრისმა, უკან კი
კუდების ქიცინით მოსდევდნენ მგლები და მზერამზე ლომები,
დათვები, აგრეთვე ფეხმარდი ირმების მმუსვრელი ჯიქები,
მოსდევდნენ მშვენიერს, ხედავდა იმათ და ხარობდა ქალღმერთი.
მკერდში ჩაუდო სუყველას ნდომა და ისინიც _ მხეცებიც
დაწყვილდნენ მყისვე და სიყვარულს მიეცნენ ჩრდილოვან ხევებში.
თვით აფროდიტე კი მშვენივრად ნაკეთებ კარებთან მივიდა,
იქ ნახა კიპრისმა გმირი ანქიზესი, ეულად რომ იყო
დიდებულ კარავში, ღმერთთაგან რომ ჰქონდა რგებული მშვენება.

ნახირს აძოვებდნენ იმჟამად მწყემსები ბალახხშირ ველებზე,
ყველანი იქ იყვნენ, იგი კი ეულად ვიდოდა კარავში,
ბოლთასა სცემდა და ამგვარად უკრავდა საამო კითარას.
პირისპირ წარუდგა ანქიზეს კიპრისი, ასული ზევსის,
თავისი სიმაღლით და თავის იერით გოგონას სადარი,
რომ იმის დამნახველს არ შეშინებოდა მშვენიერ ანქიზესს.
უმზერდა მოკვდავი ღმერთქალს და ფიქრობდა და დიდად უკვირდა
ქალწულის იერი და მისი სიმაღლე, ლამაზი სამოსიც,
რამეთუ პეპლოსი ბრწყინვალე იყო და ცეცხლივით კაშკაშა,
ოქროთი ნაქსოვი, მთოვარე რომ ჰქონდა ზედ ამოქარგული
მკერდს შემოვლებული მთვარისებრ ელვარე და გასაოცარი.
საკინძეც აეხსნა, და საყურეებიც შვენოდა ღმერთქალს
და ყელსაბამებიც ესოდენ ლამაზნი ყელს ჰქონდა ასხმული
“იხარე ქალღმერთო, შენ, ვინაც ღმერთთაგან მოხვედი ამ სახლში,
ან არტემისი ხარ ან თავად ლეტო და ან ოქრო-კიპრისი,
ან გვარით კეთილი თემისი თუ ხარ და ბუსთვალა ათენაც,
ან ქარიტთაგანი ხომ არ ხარ ერთ-ერთი, დიდებულ ღვთაებებს
რომ მეგობრობენ და რომელთაც უკვდავად უხმობენ მოკვდავნი,
მშვენიერ ტევრებს რომ უფლობენ ნიმფები, იმათგან ხომ არ ხარ?
ან კიდევ მათგანი, რომელნიც ამ მთაზე ცხოვრობენ ამჟამად,
მდინარის წყაროებს უფლობენ რომელნიც და მასთან ველებსაც.
ყოველმხრივ ღია და ადვილად სახილველ ადგილზე აგიგებ
შენ საკურთხეველს და მსხვერპლსაც შემოგწირავ წმინდას და ღვთაებრივს
წყლის ყოველ დროში კი შენ კი, ო, მოწყალე მექმენ და მიბოძე,
ტროელთა მიწაზე პირველი ვიყო და ზეაღმატებული,
ქმენ, რათა შემდგომში ჩემს შთამომავლობას მიეცეს დიდება,
თავადაც ხანგრძლივად ვიცოცხლო კეთილად, მზის ნათელს ვუცქირო
სვებედნიერმა და მდიდარი ვიყო და ვეწიო სიბერეს”.
მას აგრე მიუგო ოქრო-აფროდიტემ, ასულმა ზევსის:
“ანქიზეს, მიწაზე გაჩენილ კაცთაგან უსახელოვნესო,
არა ვარ ღვთაება და რად მიმამსგავსე ნეტავი უკვდავებს,
მოკვდავი ქალი ვარ, მოკვდავად დამბადა დედამ მე ამქვეყნად
და მამამ ოტრევსმა, თუ სადმე გსმენია, დიდსახელგანთქმული,
ფრიგიის სამეფოს რომ უფლობს მთლიანად კეთილად ნაგებს.
მშვენივრად ვიცი მე ეგ თქვენი ენაც და ჩემიც მშობლიურიც,
ტროელი გადია მკვებავდა ოჯახში, სრულიად პატარა
მიმიღო იმ ქალმა ძვირფასი დედისგან და თვითონ გამზარდა.
აი, თუ რად მესმის მე ასე მშვენივრად თქვენი საუბარი.
ოქროს-ისრიანი და ხმაურიანი ქალღმერთ ატრემისის
ფერხულში ვცეკვავდი, მეც იქ მომიტაცა მან ოქროს-მტევნება
არგეიფონტესმა. ნიმფები ირთობდნენ თავს იქ და ქალწულნი,
ხარების მომყვანნი. ურიცხვი გუნდები წრეს ქმნიდნენ გვირგვინად,

მეც იქ მომიტაცა მან, ოქროს-მტევნება არგეიოფნტესმა.
მოკვდავი კაცების ნაჯაფარ ველებზე მოვყავდი ღვთაებას,
და მრავალ უდაბურ, მოუხნავ მინდვრებზე მოვყავდი, იქ, სადაც
ჩრდილოვან ხევებში დაეხეტებიან ველური მხეცები.
ყოვლისმშობ მიწასაც კი არ შევხებივარ მგონია ფეხით.
მითხრა რომ ავიდე შენს სარეცელზე და მეუღლედ გაგიხდე,
მეუღლედ გაგიხდე და მერმე ბრწყინვალე ბავშვები გიშობო.
ამგვარად მითხრა, ასე გამიცხადა და მერმე კვალადვე
უკვდავთა დიდ კრებულს გასწია ძლიერმა არგეიფონტესმა.
და აჰა მოვედი, მე იძულებით ვარ აქ შენთან მოსული,
თუმცაღა გაფიცებ ზევსსა და აგრეთვე ბრწყინვალე შენს მშობლებს _
ხომ არ იქნებოდნენ ისინი ცუდები _ ასეთის მშობელნი, _
ქალწულად მიმგვარე მე _ გამოუცდელი ტრფიალის საქმეში,
მამაშენს ვეახლო და მასთან დედასაც კეთილს და გონიერს
და შენს ძმებს, რომელნიც იმავე გვარიდან იღებენ დასაბამს,
ვარ ან თუ არა ვარ მე შენი საკადრი რძალი და საცოლე.
ჭრელტაიჭებიან ფრიგიას გაგზავნე შიკრიკი სასწრაფოდ,
მამას რომ აუწყოს და მასთან დედასაც, ჩემს გამო მწუხარეს,
გამოგიგზავნიან ოქროსაც მრავლად და ნაქსოვ კაბებსაც,
და შენ კი, ანქიზეს მიიღე მრავალი კეთილი მზითევი,
და როცა მიიღებ, ღირსეულ კაცთა და უკვდავთა თვალთათვის
ღირსი და ლამაზი ნადიმი მოაწყვე და დიდი ქორწილი”.
აგრე თქვა ღმერთმა და საამო წადილი აღაგზნო მის სულში,
სიყვარულს ემონა უმალ ანქიზესი, ეს სიტყვა ამოთქვა:
“მოკვდავი თუ ხარ და მოკვდავმა დედამ თუ გშობა ამქვეყნად,
მამა კი ატრევსი თუ არის განთქმული, როგორც შენ მითხარი,
მარადის უკვდავი მეგზური ჰერმესის სურვილით თუ მოხველ
აქ ჩემთან ახლა და მარადის მეუღლედ თუ უნდა გიხმობდე,
არც უკვდავ ღმერთთაგან, არც მოკვდავ კაცთაგან არსებობს ვინმე,
რომ შემაკავოს და ხელი შემიშალოს, იმად რომ ეხლავე
ტრფიალით შეგერთო. თვით აპოლონმაც კი ისართა მტყორცნელმა
ვერცხლისგან ნაკეთი მშვილდიდან რომ მტყორცნოს მგმირავი ისრები,
მაშინაც ვარჩევდი, მარადის არსებულ ქალღმერთთა სადარო,
შენი სარეცლიდან რომ გადავსულიყავ ჰადესის სამეფოს”.
ამგვარად უთხრა და ხელიც ჩამოიღო, სიცილით იბრუნა
კიპრისმა პირი და თვალები დახარა და ნაზად გაცურდა
ბრწყინვალედ ნაგები სარეცელისაკენ, ადრედაც რომ იყო
შალისგან ნაქსოვი ანქიზესის კვართით რბილად დაგებული,
ზემოდან დათვების და მძიმეხმიანი ლომების ტყავები
ეფინა სარეცელს. ანქიზესს მოეკლა ისინი ტყე-ღრეში.
მერმე კი, როდესაც კარგ-ნაკეთ საწოლზე ავიდნენ ისინი
ქალს სამკაულები ჩამოხსნა მოკვდავმა ბრწყინვალე ტანიდან,

მოხრილი ბალთები, ხვეული საკინძე და ყელსაბამები,
სარტყელიც შემოხსნა და ეგზომ ბრწყინვალე იმისი სამოსიც
გახადა ღმერთქალს და ტახტზე დაალაგა ლამაზმა ჭაბუკმა,
ვერცხლისგან ნაჭედზე, და მერმე ღმერთების ნებით და ბრძანებით
დიდ ქალღმერთს მიუწვა ასე უმეცარი მოკვდავი ანქიზეს.
მერმე კი, როდესაც იალაღებიდან ბაკსა და ფარეხში
წალალეს მწყემსებმა მომთმენი ცხვრები და ზოზინა ხარები,
ძილქუში მოჰგვარა კიპრისმა ანქიზესს, თვითონ კი წამოდგა,
ლამაზი სამოსით შეიმკო სხეული სიცილის მოყვარემ.
შეიმოსა და სხეული მოირთო ღმერთთაგან ბრწყინვალემ,
საწოლთან დადგა და დიდებულ თავით მშვენივრად ნაკეთებ
მაღალ წირთხლს შეეხო, მზესავით განათდა იმისი სიტურფე.
ქალღმერთის, რომელიც კითერეიაა კეთილად ნაშობი.
და გამოაფხიზლა ძილიდან ანქიზესი და უთხრა ამგვარად:
“ადექ, დარდანიდო, როგორ დაგწოლია თავზე ეგ ძილქუში,
ადექ და მითხარი, თუ როგორ მოვგავარ მე ახლა აქ მდგომი,
იმ ასულს, რომელიც პირველად იხილე მაგ შენი თვალებით?”
ამგვარად ეტყოდა. გამოფხიზლებული მიუხვდა ყველაფერს.
თავზარი დაეცა როგორც კი იხილა კიპრისის ლამაზი
ყელი და თვალები, განზე გაიხედა საბრალო ჭაბუკმა,
ქლაინე იფარა მოკვდავმა ესოდენ მშვენიერ სახეზე
და შეევედრა და ამგვარი ფრთოვანი სიტყვებით ეტყოდა:
“უმალვე გიცანი ისე, ვით პირველად, როს ჩემმა თვალებია
გიხილეს, ღმერთქალო, ღმერთი რომ იყავი, და შენ კი თავიდან
დამალე სიმართლე, მაგრამ, ო, გაფიცებ ზევსს აიგიოხოსს,
ძალას ნუ წამართმევ, ნუ იზამ, უძლურად ვცოცხლობდე ამქვეყნად,
ო, თანამიგრძენი, რამეთუ უმალვე სუსტდება ძალღონით
ის, ვინაც გაბედავს ქალღმერთთან დაწოლას, მარადის უკვდავთან”.
მას აგრე მიუგო ოქრო-აფროდიტემ, ასულმა ზევსის:
“ანქიზეს, მიწიერ კაცთაგან ყველაზე უსახელოვნესო,
დამშვიდდი და მეტად ნუროდეს გაივლებ მაგგვარ შიშს გულში,
რამეთუ იცოდე, აროდეს დაითმენ შენ ჩემგან სიავეს,
და არცა სხვა ღმერთთაგან. ძვირფასად იხმობი უკვდავთა კრებულში.
ძე შეგეძინება, რომელიც მორჭმულად იმეფებს ტროაში
და მისი შვილები შვილებსვე შობენ მიწყივ და მარადის,
და მას ენეასი ერქმევა სახელად.
სასტიკი სირცხვილი მტანჯავდა, მოკვდავთან ვიწექი როდესაც,
ღმერთების მსგავსნი და ღმერთების სადარნი მოკვდავთა შორის
ტანით და იერით მაგ თქვენი გვარიდან ყოფილან მუდამჟამ.
ოქროსთმებიანი განიმედესიც კი უბრძნესმა კრონიდმა
სიტურფის გამო მოსტაცა დედ-მამას, რათა სასახლეში
თავის მწდედ ჰყოლოდა, ღვინო ჩამოესხა დიდებულ ღმერთათთვის,

ხილვად საოცარი და ყველა ღმერთთაგან პატივით შემკული,
ოქროს კრატერიდან მეწამულ ნექტარს რომ იღებდა ღმერთთათვის.
მამამისს ტროსსა კი, სასტიკი ნაღველით ეწვოდა გული,
თუ სად გაიტაცა ღმრთეებრმა ქარბუქმა ძვირფასი შვილი
ყოველდღე თავის ძეს სტიროდა მშობელი დილიდან ღამემდე,
და თანაუგრძნო მას დიადმა ზევსმა და მისი ძის სანაცვლოდ
ფეხმარდი ცხენები უბოძა საჩუქრად, დიდებულ ღვთაებებს
რომ დააქროლებენ და ზევსის ნებით და მისი ბრძანებით
ყოველი აცნობა მას გამცილებელმა არგეიფონტესმა,
უხრა რომ მისი ძე უკვდავი შეიქნა და უბერებელი.
როდესაც ისმინა და როცა შეიგნო ნამცნები ზევსისა,
მეტს აღარ ტიროდა და სიხარულით აევსო გულ-მკერდი
ქარბუქის-ფეხება რაშებით დაჰქროდა გულგახარებული.
ასე მოიტაცა ოქროსტანტოსანმა ეოსმა ტითონიც,
თქვენივე გვარისა, თავისი სიტურფით უკვდავთა სადარი.
ვედრებად წავიდა დიდ ზევსთან ეოსი შავ-ღრუბელ-მოსილთან,
შესთხოვა, უკვდავი იყოსო იგი და ჰგიებდეს მარადის.
ზევსმა კი დაუკრა თავი და აღსრულდა ეოსის წადილი.
სულელი! გულშიაც რომ აღარ გაივლო ღმერთქალმა ეოსმა,
სიყრმე რომ ეთხოვა და მუდამ სიშორე დამღუპველ სიბერის.
სანამდის ყრმა იყო იგი და თავისი სიტურფით ჰყვაოდა,
ეოსით ხარობდა ოქროსტახტიანით და ადრე შობილით,
თვით ოკეანოსის ნაპირას ცხოვრობდა მიწის დასალიერს.
მერმე კი როდესაც ესოდენ მშვენიერ და ეგზომ დიდებულ
თმებსა და წვერებში პირველი ჭაღარა გაუჩნდა ტითონოსს,
დატოვა ეოსმა ოქროტახტიანმა იმისი საწოლი,
თუმცაღა ჯერ კიდევ აჭმევდა საჭმელს, სახლშიც აკითხავდა,
პურითაც კვებავდა და ამბროსიითაც, სამოსსაც უცვლიდა,
თუმცაღა როდესაც საშინლად დააწვა სიბერე ტითონოსს,
ვეღარ მოძრაობდა და უკვე ვერ ძრავდა ხელ-ფეხსაც საბრალო,
ყველაზე სწორად ასეთი აზრი ეჩვენა ქალღმერთს,
სახლში დააწვინა იგი და კარები დაუხშო ბრწყინვალე
და მხოლოდ ხმა ჟონავს იქიდან ამჟამად ხმის ისმის მხოლოდ,
განქარდა ის ძალა, მის სხეულს რომ ჰქონდა და მოქნილ ასოებს.
არ ვიზამ იმას, მოკვდავად რჩებოდე მარადის დიდებულ
უკვდავთა კრებულში და მუდამ იცოცხლო და აღარ დაბერდე,
არამედ უკეთუ ამგვარი აზრის და სხეულის მქონები
იცოცხლებ მარად და ქალღმერთის მეუღლე იქნები მუდამჟამ,
ვეღარ დაფარავდა ჩემს ბრძენ სულს ვაება ესოდენ სასტიკი.
ახლა კი იცოდე, მალევე დაგფარავს კიდევაც სიბერე
მკაცრი და სასტიკი, მოკვდავებს რომ უწევს სიცოცხლის ბოლოს,
სიბერე მძიმე და ყოვლის დამღუპველი, ღმერთებსაც რომ აფრთხობს.

თუმღაცა, იცოდე, მე ეგზომ დიადმა და მარადიულმა,
შერცხვენა ვიწვნიე უკვდავი ღმერთების კრებულში შენ გამო,
დაცინვას უფრთხოდნენ ღმერთები ჩემსას და ხრიკებსაც, რომლებით
ოდესღაც მიწიერ ასულებს შევრთავდი დიდებულ ღვთაებებს.
შიშობდნენ, რამეთუ სუყველას ვიპყრობდი ჩემეულ ზრახვებით,
ახლა კი მართლაცდა აროდეს ექნება უკვდავთა კრებულში
ჩემს ბაგეს ეს ძალა. ეგზომი ტანჯვითა და უბედურებით
ვარ დათრგუნული და ესოდენ ამებნა ღვთიური გონება,
რომ მარად უკვდავმა ბავშვი ჩავისახე მოკვდავთან ტრფიალით.
მას მერე, როდესაც პირველად იხილავს მზის სანთელს პატარა,
მას მთებზე მცხოვრები მკერდსავსე ნიმფები გაზრდიან მზრუნველად,
ესოდენ დიდსა და ესოდენ ღვთაებრივ მთაზე რომ ცხოვრობენ.
არ ჰგვანან ისინი არც მოკვდავ კაცებს და არც მარად უკვდავებს,
დიდი ხნით ცხოვრობენ და იკვებებიან უკვდავი საკვებით
და უკვდავ ღმერთებთან ერთადვე ცეკვავენ ყველა მათ ფერხულში.
მათ სილენები და თვალებით _ მართალი არგეიფონტესი
ერთვიან ტრფიალით უტკბილეს ქვაბულთა ვნებიან სიღრმეში.
ნიმფებთან ერთადვე წარმოიშობიან ფიჭვები და თანაც
მაღალი მუხებიც, მოკვდავთა გამზრდელი მიწიდან შობილნი,
ესოდენ ლამაზნი და აყვავებულნი ამ მთების კალთებზე,
მაღალნი დგანან და უკვდავთა შეწირულ ადგილად უხმობენ
სუყველას მოკვდავნი, ვერავინ ვერ მოჭრის იმ ხეებს კაცთაგან.
და ოდეს გაივლის ჟამი და მოირაც მოდგება სიკვდილის
ხმებიან პირველად ლამაზი ხეები მიწაზე მდგომელნი,
მერმე კი გარშემო უხმებათ ქერქიც და სცივდებათ ტოტებიც,
ამ დროსვე სცილდება ნიმფების სულები კაშკაშა მზის ნათელს,
ისინი აჭმევენ, ისინი გაზრდიან თავისთან ჩემს შვილსაც.
და როს სიჭაბუკე ეწვევა პირველად ესოდენ საამო,
აქ მოგიყვანენ და აქ განახებენ ღმერთქალნი ვაჟიშვილს.
და შენ კი მისმინე, სანამ შემიძლია გაუწყო, რაც მინდა
მეხუთე წელს მოვალ და შვილსაც მოგიყვან, იცოდე, მაშინ.
როცა კი პირველად იხილავ ჩემს ნაშობს მაგ შენი თვალებით
უზომოდ იხარებ, ღმერთების სადარი იქნება რადგანაც.
ქართაგან მონაქროლ ტროაში წაიყვან უმალვე იმას და
თუ შეგეკითხება მიწაზე გაჩენილ კაცთაგან ვინმე,
ვინ დედამ იღო მუცლად და ვინ შობა ნანატრი ვაჟიო,
მას აგრე უთხარი, გახსოვდეს კარგად, როგორაც გიბრძანო,
უთხარი, თითქოსდა ყვავილის-სახიან ნიმფამ შვა იგი,
ტყეებით დაბურულ ამ მთას რომ ცხოვრობენ ესოდენ ლამაზნი.
უკეთუ იტყვი და კვეხნასაც დაიწყებ უგნური გონებით,
იტყვი, რომ შეერთე კეთილგვირგვინოსან ოქრო-აფროდიტეს,
ზევსს განარისხებ და შავ-ღრუბელ-მოსილი მეხს გტყორცნის კვამლიანს.

გითხარი ყოველი და ახლა თავადვე განსაჯე გონებით
არ გამთქვა იცოდე, უფრთხოდე უკვდავი ღმერთების რისხვას”.
აგრე თქვა და მერმე ქარიან ზეცაში აიჭრა უმალვე.
იხარე, ქალღმერთო, კეთილად ნაგები კიპროსის მეუფევ,
მე შენით დავიწყე და ახლა სხვა ჰიმნზე გადავალ სამღერად.

თარგმნა გიორგი ხომერიკმა

ჰიმნი დიონისეს

სილაღის კიჟინს, სუროთი შემკულ ბახუსს ვუგალობ,
ზევსს და სემელეს, ყოვლად საქებელს, ეშვათ მბრწყინვალე,
თმამშვენიერნი ზრდიდნენ ნიმფები, უფლის მამისგან
მიირქვეს მკერდზე, თავს შემოვლებით ეფერებოდნენ
ნისის მთიულეთს; გამჩენის ნებით სამყოფლად ჰქონდა
სურნელი მღვიმე, უკვდავ მეუფეთ ვინაც შეერთო.
და გამოზარდეს ოდეს ღმერთქალთა გალობის ღირსი,
მოედებოდა თურმე ორგიით ტყიან ხეობებს,
დაფნა და სურო ჩაეწნა თმებში და ფერიები
მისდევდნენ გუნდად, აღუწერელი ტყე გუგუნებდა.
ო, დიონისე, სიმრავლედ გიხმობ ვაზის მტევანთა,
საწუთრო კვალად გაზაფხულობის მადლით აგვივსე,
აღყვავებულნი რათა მრავალ ჟამ შემოგხაროდეთ.

თარგმნა ლიანა კვირიკაშვილმა

პაროდიული ეპოსი

ბაყაყებისა და თაგვების ომი

ბატრაქომიომაქია

ძველი საბერძნეთის ეპიკური პოეზიის ამ მინიატურული პოემის ავტორად ასახელებენ ვინმე **პიგრესს**, კარიის დედოფალ არტემისიას ძეს. პლუტარქოსისა და სხვა სარწმუნო მინიშნებათა თანახმად, არტემისია ჰალიკარნასელი სალამისის ბრძოლაში სპარსელების მხარეს იბრძოდა. შესაბამისად, მეცნიერთა უმეტესობა "ბატრაქომიომაქიის" შექმნის თარიღად ძვ.წ. V საუკუნეს აღიარებს, თუმცა არსებობს სხვა მოსაზრებაც. ყოველი შემთხვევისათვის, პოემა ძვ.წ. III საუკუნეზე გვიან არ უნდა შექმნილიყო, რადგანაც ამ პერიოდით დათარიღებულ ერთ-ერთ ანტიკურ რელიეფზე ჰომეროსის ფეხებთან თაგვი და ბაყაყია გამოსახული.

პოემა ჰომეროსის "ილიადის" პაროდიის ეფექტს აღწევს გმირთა ექსპონირების, ტრადიციული ეპიკური ფორმულების, მეტყველი სახელებისა და სხვა პოეტური ხერხების გამოყენებით. პაროდიულია ღმერთების სამყაროს მახვილი იუმორით წარმოდგენილი სურათებიც.

ძველ საბერძნეთში ჰომეროსის ეპოსი ეპიკური პოეზიის შედევრად იყო შერაცხული. "მაშ, რატომ შეიწყნარეს ბერძნებმა "ანტიპატრიოტული" და ანტიჰეროიკული "ბაყაყებისა და თაგვების ომი?" ალბათ იმიტომ, რომ იგი არ ებრძოდა ჰომეროსს, არ აკნინებდა "ილიადას", არ დასცინოდა აქილევსს; იგი ებრძოდა ჰომეროსის გაფეტიშებას... ძველ ბერძნებს დროის მანძანა რომ გამოეგონებინათ და ჰომეროსს თავის ეპოსის ეს პაროდია რომ წაეკითხა, კაცობრიობა ნამდვილ ჰომეროსულ ხარხარს გაიგონებდა" (ლ. ბერძენიშვილი).

თარგმანი:

ბაყაყებისა და თაგვების ომი, ძველი ბერძნული ენიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო ლევან ბერძენიშვილმა, თბილისი 2001 წ.

ბაყაყებისა და თაგვების ომი

პირველად მუზათა დასს შევევედრები, რომ ჰელიკონიდან
ჩემს სულს მოეახლონ ახლახან შექმნილი სიმღერის სასმენად _
მუხლებზე დადებულ პატარა დაფებზე ჩავწერე ამბავი
უცხარეს ბრძოლათა, არესის მქუხარე საომარ საქმეთა.
იმად ვევედრები, რომ ყველა მოკვდავის ყურს მისწვდეს ამბავი,
თუ როგორ დაესხნენ თაგვნი გულოვანნი ბაყაყებს და როგორ
ემსგავსნენ ისინი მრისხანე გიგანტებს, მიწისგან შობილებს.
ძველთა გადმოცემით, საქმეს დასაბამი ჰქონია ამგვარი:
წყურვილს გაუტანჯავს კატისგან დევნილი თაგუნა ოდესღაც;
ჭაობთან მისულა და, გახარებული, გამშრალი ტუჩებით

ხარბად დასცხრომია წყალს, დამტკბარს თაფლივით; მაშინ დაუნახავს
ჭაობის სიტყვაუხვ ბინადარს იგი და ასე მიუმართავს:
“ვინა ხარ, სტუმარო? საიდან მოსულხარ? ვინა გყავს მშობელი?
სიმართლე მითხარი ყოველი, ცრუ ვინმეს არ ჰგავხარ იერით.
უკეთუ ღირსეულ მეგობრად შეგიცნობ, სახლში მიგიწვევ და
აღარ დავიშურებ ძვირფასი სტუმრისთვის შესაფერ საჩუქრებს.
გახლავარ ხელმწიფე ყბადაბერილოსი, რომელსაც ჭაობში
პატივს მომაგებენ ნიადაგ ბაყაყნი, ვითარცა წინამძღოლს.
მე მშვეს ტალახევსმა და წყლის დედოფალმა, ოდეს სიყვარულით
შეერწყნენ ერთმანეთს კბოდიან ნაპირთან ერიდანოსისა.
ცხადია, სხვებისგან ხარ გამორჩეული, ლაღი და მამაცი,
ხელმწიფე ბრძანდები კვერთხისმპყრობელი და ომებში ნაწრთობი.
ახლაც შენც მითხარი, შენს წარმოშობაზეც მარქვი ყოველივე”.
მაშინ უპასუხა *ნამცეციპარიამ* და აგრე ეზრახა:
“რისთვისღა დაეძებ ჩემს წარმომავლობას? ცხადია ყველასთვის _
ნამცეციპარიად მიხმობენ, გახლავარ ძე პურისმღრღნელისა,
მორჭმული მამისა, ხოლო დედაჩემი, დოლაბოლოკია,
ბრძანდება ასული შაშხილოკოსისა, მძლავრი მეუფისა;
მან ქოხში მშობა და თავად გამომზარდა ძვირფასი საკვებით,
თხილით და კაკლით და ლეღვით და მისთანა ნუგბარი ხორაგით.
მეგობრად როგორღა გამიხდი, ბუნებით ეგზომ განსხვავებულს?
შენ წყალში ბინადროზ, მე დასაბამიდან ხმელეთის მკვიდრი ვარ;
შენ ჭაობს ნატრულობ, მე კაცთ სამყოფელში ღრღნასა ვარ ჩვეული,
ვერ გადამირჩება ფუნთუშა პური და კალათში ჩაყრილი
ქუნჯუთის ღვეზელი მოგრძო, გემრიელი და ყუათიანი,
ან შაშხის ნაჭერი, ან ღვიძლი ამო და თეთრქიტონიანი,
ან ყველი ჭყინტი და ყველი სანაქებო, მსუყე რძე რომ დასდის,
ან ის თაფლისკვერი, რომელსაც ნეტარნიც არ დაიწუნებდნენ,
ანდა მზარეულნი რასაც ამზადებენ ხოლმე ნადიმისთვის:
სურნელოვანი და ნუგბარი კერძები უხვი საკმაზებით.
რა მაჭმევს თქვენს ბოლოკს, გოგრას და კომბოსტოს, ღმერთმა დამიფაროს!
მე ვერ შევეწყობი უგემურ ნიახურს, ან პრასას საძაგელს,
თქვენ კი, ჭაობელებს, სწორედ ეგენი გაქვთ სარჩოდ და საკვებად”.
მაშინ გაუღიმა ყბადაბერილოსმა და უთხრა პასუხად:
“გატყობ, უცხოელო, საკვების ამბავი გადარდებს ძალიან;
მაგრამ სანახავი სხვაც ბევრი რამაა ხმელსა თუ ჭაობში,
ჩვენ კი კრონიონმა ორმაგი ბუნება მოგვაგო ოდითგან:
ხმელეთზე დავხტივართ და ამასთანავე ვცურავთ წყლის სიღრმეში.
უკეთუ ისურვებ შენ ამის შესწავლას, იოლი რამაა.
ზურგზე შემომაჯექ, კარგად ჩამეჭიდე, რომ არ ჩამოვარდე,
ასე მხიარულად მივიდეთ ორივე ჩემს სრა-სასახლესთან”.
ამგვარად ეუბნა, ზურგიც შეუშვირა; შესკუპდა თაგვი და

უმალვე თათები ბაყაყის რბილ კისერს ნასკვად შემოაჭდო.
ჯერ კი გაიხარა, რომ ნავსაყუდელნი ნახა სიახლოვეს,
ყბადაბერილოსის ცურვითაც ტკბებოდა; მაგრამ როს იხილა
პირქუში ტალღები, ცრემლები მოადგა, თავზარი დაეცა
და დაჰკრა მრავალგზის კუდი, ვით ნიჩაბი, ჭაობის ზედაპირს,
ღმერთებსაც ეჯა, დამაბრუნებდეთო როგომე მიწაზე;
უფალთ მოუხმობდა მწარე სინანულით, ბეწვებსაც იგლეჯდა,
ფეხს იბაგუნებდა მკერდზე გამწარებით, დამფრთხალი გული კი
უხტოდა საშინლად, ხმელზე დაბრუნებას ნატრობდა ბედშავი.
საზარლად კვნესოდა, საბრალოს შიშისგან სისხლი გაჰყინვოდა.
და როგორც ოდესღაც ტრფობით ატანილი ხარი მიაპობდა
ზვირთებს და ზურგით კი ევროპე მიჰყავდა კრეტის ნაპირისკენ,
ასევე მიჰყავდა ამჟამად თაგუნა ზურგზე შემოსმული
ბაყაყს და ტალღებში მწვანედ გამოკრთოდა იმისი სხეული.
ანაზდად გამოჩნდა გველი. ორივესთვის იყო საზარელი
ურჩხულის დანახვა. ყალყზე შემართული მოჰქროდა იმათკენ.
იმავწამს ჩაყვინთა ყბადაბერილოსმა, არც კი უფიქრია,
როგორი ძმობილი გაწირა უღმერთოდ, ჭირში მიატოვა;
თავად კი ჩაეშვა ჭაობის სიღრმეში, სიკვდილს გადაურჩა.
მარტოდ დაშთენილი თაგვი კი გულჩაღმა ჩაეშვა ზვირთებში,
ხელებს იმტვრევდა და სვეგამწარებული ძლივსღა წრიპინებდა.
მრავალგზის ჩაყვინთა და ფართხალ-ფართხალით ისევ ამოყვინთა,
მაგრამ განწირული ვეღარსად გაექცა მსახვრალ ბედისწერას _
სიღრმისკენ წაიღო წყლით დამძიმებულმა ბეწვმა საკუთარმა;
ოღონდ დაღუპვამდე ამგვარი სიტყვების წარმოთქმა მოასწრო:
“არ დაიმალება, ყბადაბერილოსო, შენი ვერაგობა,
მაღალი ზურგიდან, როგორც მწვერვალიდან, ისე გადმომაგდე!
ხმელეთზე ვერაფრით აღმემატებოდი, ო, უბოროტესო,
ვერც პანკრატიონში, ვერც ჭიდაობაში და ვერცა სირბილში;
მაგრამ შენ მზაკვრულად აქ შემომიტყუე! ღმერთნი მოგიზღავენ
სამაგიეროს და ვერ დაემალები ლაშქარს თაგვებისას!”
თქვა და დაიღუპა მძვინვარე ტალღებში. იგი დაინახა
ნაპირთან, მაღლობზე მჯდომარე გუშაგმა, მათლაფაკოკოსმა.
შეჰყვირა საზარლად, გაიქცა და თაგვებს ამცნო ყოველივე.
რა ესმათ ამბავი, უმალ დაეუფლათ რისხვა შემზარავი,
უმალვე თავიანთ ეჯიბებს უბრძანეს, რომ განთიადისას
კრება მოეწვიათ სრა-სახლთან ხელმწიფის, მძლე პურისმღრღნელისა,
დაღუპულ ვაჟკაცის უბედურ მამისა. ამ დროს უფლისწული
ნამცეციპარია ჭაობში ლპებოდა და მისი ცხედარი
შორს, შორს ნაპირიდან, თვალუწვდენ სივრცეში მიჰქონდა დინებას.
ინათა თუ არა, შემოკრბნენ ყველანი. პირველი წამოდგა
მძლავრი პურისმღრღნელი, ძის გამო მჭმუნვარე და სიტყვა წარმოსთქვა:

“ვაგლახ, მეგობრებო, მარტო მე რამდენი რამ გადამხდენია
ამ ბაყაყებისგან, ახლა უარესი ჭირი მომისართეს!
რა უბედური ვარ! სამივე ვაჟკაცი წამართვა სიკვდილმა!
ჯერ იყო, უფროსი გავიდა სოროდან, არ დარუნებულა,
კატამ შეიწირა დიად თაგვთა მოდგმის მტერმა უძინარმა.
მერმე შუათანაც მოკლეს გულბოროტმა ადამიანებმა,
ოდეს ვერაგულად ააგეს ხისაგან დიდი საოცრება,
მზაკვრული მანქანა, თაგვთა შემმუსვრელი ბნელი ხაფანგოსი.
შემრჩა უმრწემესი, იმედად ჩემად და უტკბესი დედისად
და ისიც დამიხრჩო ყბადაბერილოსმა ჭაობის სიღრმეში!
მაშ, შევიარაღდეთ და ჩვენს დამაქცევართ დავეცეთ სასწრაფოდ!
უნდა შევიჭურვოთ უცხოდ ნაკეთები აბჯრებით, მოძმენო!”
თქვა და დაარწმუნა, აბჯარი აესხა სასწრაფოდ სუყველას.
რაც ნამცეცობაზე სერობის სუფრისა ლობიო გადარჩათ,
რვალზე უმტკიცესი იმისი პარკები დიდად გამოადგათ,
მჭიდროდ მიიმაგრეს და საბარკულებად იხმიეს გმირებმა.
აბჯარი კი ჰქონდათ გამძლე ტყავისაგან ლერწმით შეკერილი
(ეს ტყავი ოდესღაც მტერს, კატას გააძვრეს დიდი ხელოვნებით).
ფარად იფარებდნენ სანათის შუაწრეს, შუბს წარმოადგენდა
ვეება მახათი, სრულადრვალიანი არესის ქმნილება;
ხოლო მუზარადად თხილის ნაჭუჭები მოირგეს თაგვებმა.
ასე აღიჭურვნენ გმირნი უმძლავრესნი. როდესაც შეიტყვეს
ესე ბაყაყებმა, წყლიდან ამოყვინთეს, გუნდად შეიკრიბნენ
და ბჭობა-ყიყინი გამართეს სასტიკი ომის თაობაზე.
სანამ გაარკვევდნენ ისინი, საიდან ელოდათ თავდასხმა,
ანაზდად თაგვთაგან მოვიდა შიკრიკი, მპყრობელი კვერთხისა,
ქოთანძრომიოსი, ძე დიდგულოვანი სულგუნმმუსრევსისა,
მან ამცნო ბოროტი ამბავი ომისა ყველას და ეზრახა:
“ბაყაყნო! თაგვები გემუქრებიან და მე აქ გამომგზავნეს,
შეურაცხმყოფელნი საზარელ ბრძოლაში რომ გამოგიწვიოთ.
ნამდვილად შევიტყვეთ, ნამცეციპარია როგორ მოაკვდინა
მაგ თქვენმა ხელმწიფემ, ყბადაბერილოსმა. საომრად მოგიხმობთ,
ვინც გამორჩეულ და მამაც მებრძოლებად იშვით ბაყაყებში!”
ჯიქურ მიახალა, სიტყვა კი გაფრინდა, ყველას ყურს მისწვდა და
ფრიად აღაშფოთა დაუმორჩილებელ ბაყაყთა გულები.
ყბადაბერილოსმა ეს უთხრა ბაყაყებს და დააშოშმინა:
“მყვარნო გულოვანნო! თაგვი არ მომიკლავს და არც დამინახავს,
როგორ დაიღუპა. თავად თუ დაიხრჩო წყალში თამაშისას,
როდესაც ცურვაში გვბაძავდა ბაყაყებს; ახლა კი ბოროტი
მტრები მე მკიცხავენ, უდანაშაულოს. უნდა მოვიფიქროთ,
ხერხი რამ ვიხმაროთ, როგორმე მზაკვრულად დავღუპოთ თაგვები.
ჯერ იმას გამცნობდით, ჩემი მოსაზრებით რაც უმჯობესია:

სწრაფად განვემზადოთ და აბჯარასხმულნი განვლაგდეთ ყველანი
მაღალ კბოდეებთან, იქ, სადაც ნაპირი ციცაბოდ ეშვება.
ოდეს დაეწყობა სპა-ჯარი მტრისა და ჩვენსკენ დაიძრება,
ვაცადოთ, პირისპირ მოვიდნენ და მერმე ავართვათ ჩაჩქანნი,
შემდგომ კი ერთბაშად ჭაობში ჩავყაროთ ყველანი უკლებლივ;
იქ ჩაიხრჩობიან, რამეთუ არიან ცურვის უმეცარნი.
ჩვენ კი მხიარული ყიყინით აღვმართოთ სვეტი გამარჯვების!”
თქვა და დაარწმუნა, აბჯარი აესხა სასწრაფოდ სუყველას.
ჯერ საბარკულებად იხმარეს მაგარი ფოთლები ბალბისა,
აბჯარიც აისხეს მწვანე და ლამაზი, ჭარხლის ფოთლებისა,
ფარად კი იფარეს რვალშეუღწეველი კომბოსტოს ფურცელი;
შუბადაც აიღო ყოველმა ბასრი და ვეება ლერწამი,
ხოლო მუზარადად ლოქორას ნიჟარა მოირგო სუყველამ.
და მწყობრად დაჯრილნი განლაგდნენ ისინი მაღალ კბოდეებთან,
შუბებს იქნევდნენ და ყველას ევსებოდა სული სიმამაცით.
ვარსკვლავებანთებულ ზეცაზე ღმერთები მოიხმო ზევსმა და
აჩვენა ფიცხელი ომი და სიქველე მეომარ ვაჟკაცთა,
სიმრავლე ლაშქართა, ბასრ და უზარმაზარ შუბთა ელვარება;
იხილეს ლომგულნი, მსგავსნი კენტავრთა და მძლეთამძლე გიგანტთა;
კრონიდს გაეღიმა, იკითხა: “ვინა ხართ მყვართა მეგობარნი?
თაგვთა განსაცდელზე გული ვის შესტკივა?” ეზრახა ათენას:
“ასულო, ეგებ შენ მღრღნელთა დასაცავად გინდა გაემართო?
შენი ტაძრების ქვეშ ცხოვრობენ ისინი და იქ წრიპინებენ
ცხიმისთვის, ზეთისთვის, სხვა სასუსნავისთვის შენი მადლიერნი”.
ეს ბრძანა უფალმა. მამას კი მიუგო ათენა პალასმა:
“მეუფევ, მე თაგვებს, თუნდ სული სძვრებოდეთ, არ დავეხმარები,
რამეთუ მაგათგან მრავალი სიავე მახსოვს რახანია:
გვირგვინებს მიღრღნიან და ზეთსაც ლოკავენ ჩემი ლამპარიდან.
ეს აღარ მაკმარეს, გული სულ მომიკლეს, როდესაც ახლახან
მზაკვრულად დაფლითეს ძვირფასი პეპლოსი, რომელიც მოვქსოვე
დიდი რუდუნებით ფაქიზი ქსელით და წვრილი მისაქსელით;
მაგათ დამიჭამეს, თერძი კი მომდგა და შეკეთებისათვის
იმდენი მომთხოვა, ვერც ერთი უკვდავი რომ ვერ გადაიხდის.
ძაფიც ნასასხები მქონდა და ეს ვალიც ვეღარ გავისტუმრე.
გული არ შემტკივა არც ბაყაყებზე და ხელს არ გავუმართავ,
ორგულნი არიან და ფიცის გამტეხნი. აგერ, ამასწინათ,
ომიდან მოვბრუნდი, სიმართლე რომ გითხრათ, მეტად მოვიქანცე,
ძილი მერეოდა და მყრალი ყიყინით აღარ მომასვენეს,
თვალიც ვერ მოვხუჭე, ვიწექი დაღლილი, თავი მისკდებოდა,
ასე გავიტანჯე, სანამ განთიადი არ მამცნო მამალმა.
თავი შევიკავოთ, ღმერთებო, და ნურც ერთს ნუ დავეხმარებით,
ვინმე არ დაგვიჭრან ხელჩართულ ბრძოლაში ისრით წამახულით.

სასტიკნი მებრძოლნი თვით მაღალ ღმერთსაც კი არ ეპუებიან.
სჯობს ყველამ ზეციდან ვუყუროთ ბრძოლას და სისხლით გავიხაროთ”.
ეს ბრძანა ათენამ და სხვა ღვთაებანიც სწრაფად დაემოწმნენ,
ერთად შეიყარნენ, მოძებნეს ზეცაში უსაფრთხო ადგილი.
ჩაჰბერეს ნაღარებს მძლავრად კოღოებმა და უმალ გაისმა
ზეციდან საზარი ქუხილი ომისა, როდესაც იჭექა
კრონიდმა ზევსმა და ეგ იყო ნიშანი ბოროტი ბრძოლისა.
პირველმა გატყორცნა შუბი მჭექაროსმა და იგი შიგ მკერდში
ამგერა ლოკიას, რომელიც თაგვების ლაშქარს მიუძღოდა;
დაეცა პირჩაღმა და ბეწვი სათუთი მტვერში ამოგანგლა.
და მერმე გულმკერდში ამგერა ლახვარი მამაცმა სოროსმა
ღვთაებრივ ტალახევსს, იგიც განგმირული დაეცა მოწყვეტით
და შავმა სიკვდილმა მიიღო, სული კი გაფრინდა ხორციდან.
ჭარხლევსმაც შიგ გულში მოარტყა ისარი მძლე *ქოთანძრომიოსს*,
ხოლო *პურჭამევსმა* მუცელში ატაკა მახვილი *ყიყინევსს*,
დაეცა ვაჟკაცი და სული გვამიდან უმალ ამოფრინდა.
ოდეს *მყრალგუბევსმა* იხილა საზარი ბედი მეგობრისა,
დაასწრო სოროსს და პირბასრი მახვილით ყელი გამოღადრა,
მას კი ჩაკვნეტევსმა უმალვე უსწორა შუბი მოელვარე,
სტყორცნა გამალებით და ღვიძლში გაურჭო წვერმახი ჰოროლი;
ამ დროს შეამჩნია კომბოსტოჭამოსი და ხევში გადახტა;
როდი გაურბოდა მასთან შეტაკებას, მარჯვე წამს ელოდა.
მაგრამ გადაქანდა იგი ანაზდად და კბოდეს მიენარცხა
და მთელი ჭაობი უეცრად მეწამულ სისხლით შეიღება.
ჭაოფსმა კბოდესთან აჰყარა აბჯარი მამაც ყველიჭამევსს;
შაშხევსმა იხილა მისკენ მომავალი გულმხეცი პიტნევსი,
გაიქცა, ჭაობში ისკუპა, ფარი კი დააგდო ლაჩრულად.
მთხრელოსს მზე ჩაუქრო მტერთმაოტებელმა ტალახშიგდებოსმა,
კეფაში უხეთქა ლოდი უდიდესი; ტვინმა გადმოხეთქა
ნესტოებიდან და მთელი არემარე სისხლით მოითხვარა.
მათლაფალოკოსმა შუბით შეუტია ტალახშიგდებოსს და
განგმირა, მოკლულს კი თვალებში წყვდიადი ჩაუდგა უეცრად.
პრასევსმა იხილა ვაჟკაცის სიკვდილი და მკვლელი იმისი
წყალში ჩაითრია, ყელში ჩააფრინდა, მოგუდა ჭაობში.
მას არ შეარჩინა მეგობრის მოშთობა ლუკმაპარიოსმა,
ესროლა ჰოროლი და ზუსტად მოარტყა შიგ შუა გულ-ღვიძლში.
დაეცა პრასევსი, სული კი უმალვე ჰადესს გაეშურა.
კომბოსტომავლოსმა ვეღარ აიტანა მეგობრის დაღუპვა,
მკვლელს მუჭით ტალახი ესროლა თვალებში, ლამის დააბრმავა,
მაგრამ მან მრისხანედ დაავლო ვეება ხელი უზარმაზარ
ლოდს, ველზე რომ ეგდო, და იგი ესროლა, საზარი შხუილით.

გაიჭრა ლოდი და კომბოსტომავლოსააც მუხლი დაულეწა,
თავად ვაჟკაცი კი პირაღმა დაეცა მტვერსა და ბრელოში.
უცებ მყივარიდმა აოტა მტერი და აძგერა საშინლად
პირბასრი ლერწამი ფაშვის შუაგულში და შიგ გაუტარა
სასტიკი მარჯვენით, მერმე გამოჰქაჩა მძლავრი ჰოროლი და
მთელი შიგნეული გმირისა მიწაზე დაცვივდა, გაცივდა.
მერმე პურისმღრღნელმა ტერფი დაულეწა მძლავრ ყბადაბერილოსს,
კოჭლობით გაექცა იგი შეტაკებას, სასტიკად გვემული,
თხრილში გადაეშვა, სურდა გაქცეოდა აღსასრულს უცაბედს;
ოდეს პურისმღრღნელმა იხილა სიკვდილის პირად დავარდნილი,
მცველნი შეუმუსრნა, მეფეს კი აძგერა მახვილი ლერწამი;
ხორცი გაიგლიჯა, წვერი კი ლახვრისა შიგ ჩარჩა მომაკვდავს.
მკვლელსაც დაულეწა ვეება ჩაჩქანი ლომმა ომბალევსმა,
სასტიკი რისხვით და გმირული სიქველით არესის მეტოქემ,
გულმამაც მყვართაგან ბრძოლას ერთადერთი შემორჩა რომელიც.
ერთბაშად დაიძრა ლაშქარი მისკენ და როგორ დაუცდიდა
მძლავრ თაგვებს, ადგა და საჩქაროდ ჩაყვინთა ჭაობის სიღრმეში.
თაგვთაგან სიქველით გამოირჩეოდა ნაჭრიპარიოსი,
გულადი მებრძოლი, ძე უბრწყინვალესი პურისაზრევსისა;
ის იმუქრებოდა, სრულად ამოვწყვეტო მოდგმას ბაყაყების.
მახვილი დაჰკრა და შუაზე გააპო ნაჭუჭი თხილისა,
მისგან გაიკეთა ლერწამშეუვალი ელვარე აბჯარი
და განრისხებული ზვიადად დაიძრა ბაყაყთა ლაშქრისკენ.
თავზარი დაეცათ, ადგნენ და ჭაობში ისკუპეს იმათაც.
ნაჭრიპარიოსი არ დააყოვნებდა სიტყვის აღსრულებას,
რომ არ ყოფილიყო ზევსი _ მოკვდავთა და უკვდავთა მშობელი;
გარნა შეიწყალა საბრალო ბაყაყნი მაღალმა კრონიდმა,
თავი გააქნია და მერმე ასეთი სიტყვები წარმოთქვა:
“ვაგლახ! საოცრებას ხედავენ თვალები, უთუოდ წარვწყდებით,
სუყველას ამოწყვეტს ნაჭრიპარიოსი, რომელიც ჭაობთან
უპირებს ბაყაყებს გაჟუჟვას; ახლავე გავგზავნოთ დამხმარედ
ხმახაფი პალასი, გულადი მებრძოლი, ან თავად არესი,
მაგათ შეუძლიათ მხოლოდ, შეაჩერონ მრისხანე წრუწუნა”.
ეს ბრძანა კრონიდმა, ჰერამ კი უმალვე მიუგო პასუხად:
“ვიშიშვი, უფალო, რომ ვერც ათენა და ვერც თავად არესი
ვერ გამოიხსნიან საბრალო ბაყაყებს ნაღდი დაღუპვისგან.
ან უნდა წავიდეთ ყველანი საშველად, ან შენი ლახვარი
უნდა ამოქმედდეს, მას ძალუძს მარტოდენ მისი დაოკება.
ხომ მაგით განგმირე ადრე კაპანევსი, კაცი უდიდესი,
მძლე ენკელადოსი და ველურ გიგანტთა ტომი საზარელი”.
ეს თქვა და კრონიდმაც უმალვე გატყორცნა ელვა კვამლიანი;
მერმე დაიქუხა, მაღალი ოლიმპო შეირყა ერთბაშად;

ბოლოს კვლავ იელვა, მძლავრი იარაღი კრონიდი ზევსისა
ოდნავ შემობრუნდა და უმალ გაფრინდა უკვდავის ხელიდან.
იელვა თუ არა, თავზარი დაეცათ თაგვთა და ბაყაყთა,
მაგრამ გონს მოეგნენ მამაცი თაგვები, უფროის მოეცათ
იმედი შუბოსან ბაყაყთა მძლეთამძლე მოდგმის გაწყვეტისა;
მაგრამ ოლიმპოდან ისევ შეიბრალა ზევსმა ბაყაყები
და მათ, განწირულებს, ახლა მოუვლინა დამხმარედ ურჩხულნი.
ანაზდად გამოჩნდნენ საცეცებდახრილნი და ზურგჯავშნიანნი,
პირმაკრატლიანნი და კანბაკნიანნი და გან-გან მავალნი,
მკერდით მომზირალნი, ფეხმრუდნი, ძვლოვანნი, ზურგმოელვარენი,
ბაგეძარღვიანნი, ბეჭებგანიერნი და მრჩობლთავიანნი,
მთლად უხელონი და რვა-რვა ფეხასხმულნი, რომელთაც უხმობენ
კირჩხიბად! _ კუდები დააღრღნეს იმავწამს თაგვებს კიბოებმა
და მერმე ხელებს და ფეხებსაც მიადგნენ... გაცუდდნენ შუბები,
შიშმა აიტანა ლაჩარნი თაგვნი და აღარ მოიცადეს,
სივლტოლად მიიქცნენ, ამ დროს კი ანაზდად მზეც ჩაესვენა და
მაშინ ერთდღიანი ომიც საზარელი გასრულდა უეცრად.

განმარტებანი

სტრ. 1. ჰელიკონი _ საშუალო სიმაღლის მთები დას. ბეოტიაში; მიჩნეული იყო მუზათა სამშობლოდ და ამიტომ ამ ქალღმერთებს ჰელიკონიადებიც ეწოდებოდათ. ჰელიკონზე მითიური ცხენის, პეგასოსის წიხლის დაკვრით აღმოცენდა ჰიპოკრენეს წყარო, რომელშიც მუზები ტანს განიბანდნენ.

მუზათა დასი _ ცხრა მუზა, რომელთაც ბერძენი პოეტები, განსაკუთრებით კი ეპიკოსები, მიმართავდნენ პოემის დასაწყისში და აღმაფრენას თხოვდნენ. ასე იწყება “ილიადა” (“რისხვას უმღერე, ქალღმერთო...”) და “ოდისეა” (“მრავალგამოცდილ კაცზე მიამბე, მუზავ...”).

სტრ. 3. “პატარა დაფებზე...” _ იგულისხმება ცვილით დაფარული პატარა დაფები, რომლებსაც საწერად იყენებდნენ. წერდნენ სპეციალური გრიფელით (სტყლუს), რომელსაც ცალი ბოლო წამახული ჰქონდა _ საწერად, ხოლო მეორე ბოლო სქელი _ წასაშლელად.

სტრ. 7. გიგანტები (მით.) _ ვეებერთელა, ძრწოლისმომგვრელი გოლიათები, რომლებიც გეამ (დედამიწამ) შვა სისხლის იმ წვეთებისგან, სამყაროს პირველი მბრძანებლის, ზეცის მეუფის, ურანოსის დასაჭურისებისას რომ დაიღვარა. სამყაროს ახალი გამგებლით, ზევსით უკმაყოფილო ამბოხებული გიგანტები ოლიმპიელმა ღმერთებმა და ზევსის ძემ, ჰერაკლემ დაამარცხეს, რისთვისაც ჰერაკლეს უკვდავება მიენიჭა.

სტრ. 9. კატა _ ორიგინალშია გალევჰ _ სინდიოფალა. ბერძნებს კატები არ ჰყოლიათ. მათ ფუნქციას მოშინაურებული სინდიოფალები ასრულებდნენ. ტრადიციულად, გალევჰ-ს აქაც და სხვა ნაწარმოებებშიც, როგორც წესი, კატად თარგმნიან.

სტრ. 19. ტალახევსი _ ორიგინალში სიტყვათა თამაშია, რაც აგებულია სიტყვა Pჰლეუვ"-ის ორგვარ გააზრებაზე: 1. პელევსი, მამა აქილევსისა და 2. ტალახევსი _ სიტყვიდან Pჰლოვ" _ ტალახი. ავტორს, როგორც ჩანს, სურს მიგვანიშნოს, რომ პელევს-ტალახევსის ძე, ბაყაყთა ძლევამოსილი ხელმწიფე ყბადაბერილოსი “ბაყაყებისა და თაგვების ომში” იმავე რანგის პერსონაჟია, როგორც “ილიადაში” აქილევსი, პელევსის ძე.

სტრ. 20. ერიდანოსი _ მითოსური მდინარე, რომელიც ჰესიოდეს მიხედვით, ოკეანეში ჩაედინება; შემდგომში გაუიგივეს მდინარე პადუსს (მდ. პო დღევანდელ იტალიაში).

სტრ. 25-43 _ კომიკურადაა პაროდირებული გლავკეს პასუხი დიომედესადმი (“ილიადა” VI, სტრ. 145-211).

სტრ. 35. ქუნჯუთი (სჰსამჰვ) _ აღმოსავლური მცენარეა. მისი ზეთისგან სანელებელი მზადდება, ხოლო თვით მცენარისგან ძვირფასი ზეთი. ქუნჯუთის ღვეზელი _ უსისხლო შესაწირავი. სამსხვერპლო ცხოველი თუ არ ჰყავდათ, ამ ღვეზელს იმ ცხოველის ფორმას აძლევდნენ, რომელიც უნდა შეეწირათ; ღმერთები შეიწყნარებდნენ ამგვარ საქციელს.

სტრ. 47. კრონიონი ან კრონიდი _ ზევსი, კრონოსის ძე.

სტრ. 63 და შმდგ. _ ბერძნული ლეგენდის მიხედვით, ფინიკიის მეფის, აგენორისა და ტელეფასას ქალიშვილს, ევროპეს, ზევსი თვინიერი თეთრი ხარის სახით გამოეცხადა სანაპიროზე., ზღვაში შეიტყუა და გაიტაცა კუნძულ კრეტაზე. აქ ბაყაყი გროტესკულადაა შედარებული უზენაეს ღვთაებასთან, ზევსთან.

სტრ. 81-82 _ მკვლელისთვის მოახლოებული დაღუპვის წინასწარმეტყველება ჰომეროსის საყვარელი მხატვრული ხერხია. მაგალითად, ასე უწინასწარმეტყველა თავის მკვლელს, ჰექტორს მოახლოებული სიკვდილი პატროკლემ:

“პრიამოსის ძევ, დიდი ხნის სიცოცხლე არ დაგრჩენია:
ყოვლისშემძლე ბედისწერა და სიკვდილი უკვე მოგიახლოვდნენ,
მალე დაეცემი ეაკოსის უმანკო შვილიშვილის ხელით”.

“ილიადა”, XVI, 852-854.

სტრ. 81. პანკრატიონი _ სპორტის ანტიკური სახეობა, რომელიც ოლიმპიურ პროგრამაში შეიტანეს ძვ.წ. 648 წელს. იგი აერთიანებდა ჭიდაობისა და კრივის ელემენტებს და მასში ნებადართული იყო მუშტით, ფეხით, იდაყვით და მუხლით დარტყმები, ასევე გდება და ე.წ. მახრჩობელა ილეთები, ხოლო კბენა და ფხაჭნა აკრძალული იყო. ასპარეზობის ხანგრძლივობა განუსაზღვრელი იყო და იგი მთავრდებოდა ან ერთ-ერთი მხარის ნებაყოფლობითი დანებების, ან ბრძოლის გაგრძელების შეუძლებლობის გამო.

სტრ. 97 _ პაროდირებულია პრიამოსის გოდება აქილევსის მიერ მისი ვაჟის, ჰექტორის მოკვლის გამო “ილიადაში”:

“რამდენი შვილი მომიკლა სასტიკმა!
მაგრამ, ვდარდობ რა ყველაზე, არავისზე ისე მწარედ არ ვგოდებ,
როგორც ამ ერთზე”...

“ილიადა”, XXII, 423-425.

სტრ. 99 _ იხ. სტრ. 9-ს კომენტარი.

სტრ. 101-102 _ ტროას ცხენის ილუზია.

სტრ. 108 _ მხიარული პაროდია საგმირო ეპოსის იმ ადგილებზე, სადაც გმირთა აღჭურვილობაა აღწერილი.

სტრ. 120. “მპყრობელი კვერთხისა...” _ კვერთხი სამეფო და სამხედართმთავრო ძალაუფლების ჩვეულებრივი სიმბოლოა; ჰომეროსთან კვერთხი უპყრიათ ქურუმებსა და კრებაზე გამოსულ ორატორებს; მტრის ელჩის ან შიკრიკის ხელში კი კვერთხს იგივე მნიშვნელობა ენიჭებოდა, რაც ახალ დროში მიენიჭა ელჩების რწმუნების სიგელებს.

სტრ. 152. “ვარსკვლავებანთებულ ზეცაზე...” _ ეპიკურ პოეზიაში ეპითეტი ჩვეულებრივ მიემაგრება ამა თუ იმ სიტყვას და არ სცილდება მას, თუნდაც სიტუაციურად ასე იყოს საჭირო. ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში საუბარია ზეცაზე და მას მიმაგრებული აქვს ეპითეტი ვარსკვლავებანთებული, მიუხედავად იმისა, რომ მოქმედება აშკარად დღისით მიმდინარეობს. მსგავსი შემთხვევები დადასტურებულია ჰომეროსთანაც (იხ. “ილიადა” IV, 44; V, 769; VIII, 46; XV, 371; XIX, 128, 130 და “ოდისეა”, IX, 527; XII, 380; XX, 113).

სტრ. 166. პეპლოსი _ კაბის სახეობა. ათენელი ქალები სადღესასწაულოდ უქსოვდენ პეპლოსს ათენა პალასს.

სტრ. 258. კაპანევსი (მით.) _ ერთ-ერთი თებეზე მოლაშქრე შვიდ გმირთაგან. ლაშქრობისას დაიკვეხა, ქალაქს თვით ზევსიც ვერ იხსნიდაო. განრისხებულმა ღმერთმა ელვით დაფერფლა იგი, როცა ქალაქის გალავანზე გადადიოდა.

სტრ. 259. ენკელადოსი _ გეასა და ტარტაროსის ვაჟი, რომელიც მოკლა ზევსმა.

სტრ. 277. “მზეც ჩაესვენა...” _ მზის ჩასვენება ჰომეროსთან გაცხარებულ ბრძოლასაც წყვეტდა. “ბატრაქიომაქიის” დასასრული ეხმიანება ჰომეროსის “ილიადის” VIII სიმღერის “შეწყვეტილ ბრძოლას”.

თარგმანი და შენიშვნები ლევან ბერძენიშვილის

ლ ი რ ი კ ა

(ძვ. წ. VII-V სს.)

ბერძნული ლირიკის განვითარების აღმავლობის ხანა ძვ.წ. VII საუკუნიდან იწყება. ამ დროს ძველი ელადის დიდებული ეპოსი უკვე შექმნილი იყო, კულტურის სხვა სფეროებში სრულქმნის პროცესები შეიმჩნეოდა. ამიტომ ამ "არქაიკად" წოდებულ პერიოდს ზოგჯერ "ლირიკული წლების" ხანადაც მოიხსენიებენ. მისი ძირითადი თავისებურება "პიროვნების აღმოჩენა" იყო. იმხანად მონუმენტურ ქმნილებათა სული დაჩრდილა მცირე ფორმების პოეზიამ, რომელიც დემოკრატიული სახელმწიფოს შემოქმედ ადამიანთა პიროვნული ემოციების წარმოსაჩენად უფრო შესაფერისი აღმოჩნდა.

ბერძნული ლირიკა, ვითარცა სასიმღერო-ფოლკლორულ ჟანრთა მემკვიდრე, მჭიდროდ იყო დაკავშირებული მუსიკასთან. თავდაპირველად ტერმინი "ლირიკა" მხოლოდ ლირის აკომპანიმენტით შესრულებულ ნაწარმოებებს აღნიშნავდა. ალექსანდრიელი სწავლულები, რომლებმაც ეს ტერმინი დაამკვიდრეს, ამით ერთმანეთისგან განასხვავებდნენ სასიმღერო და დეკლამაციურ პოეზიას. დღეს ანტიკური კულტურის მკვლევარები ბერძნულ ლირიკაში მოიაზრებენ მცირე ზომის პოეტურ ქმნილებებს და მათ შემდეგ სახეებად აჯგუფებენ: იამბი, ელეგია და მელიკა (პიროვნული და საგუნდო).

სამწუხაროდ, ჩვენამდე ბერძნული ლირიკული პოეზიის არცთუ დიდმა ნაწილმა მოაღწია. მიუხედავად ამისა, ჩვენ თვალწინ მაინც ცოცხლდებიან ძველი პოეტების შთამბეჭდავი სახეები.

ბერძნული ლირიკის მნიშვნელოვან ჟანრად ითვლებოდა *იამბური პოეზია*. იგი დეკლამაციური იყო და თავდაპირველად ლექსად თქმულ დაცინვას, ან საერთოდ კაფიას ეწოდებოდა. იამბური ლირიკის ფუძემდებლად ითვლება **არქილოქოს პაროსელი** (ძვ.წ. VII ს.). მასვე მიაწერენ იამბის, როგორც სალექსო საზომის გამოგონებას. ჩვენამდე მოღწეული მცირერიცხოვანი ფრაგმენტებიც კი საშუალებას გვაძლევენ წარმოვიდგინოთ მკვეთრი ინდივიდუალობით, მძლავრი ტემპერამენტით, განსაკუთრებული ნიჭიერებითა და რთული ბედით გამორჩეული პოეტი, რომელმაც მთელი ცხოვრება გაატარა უცხოობაში, ბრძოლის ველზე თუ ზღვით ხეტიალში და რომელმაც ბევრი უსიამოვნება დაითმინა ახლობელთაგან. არქილოქოსის "ლირიკული გმირის" მსოფლაღქმა დიდად განსხვავდება ეპიკურისგან, რაზეც თავადაც მიგვანიშნებს პოეტი (შდრ. "დაკარგული ფარის" მოტივი). იგი ცხოვრებამ გააუხეშა, რაც აისახა კიდეც მის ლექსებში. გადმოცემათა თანახმად, მას მდიდარი ოჯახის შვილი შეუყვარდა, მაგრამ როდესაც უარი მიიღო, შეურაცხმყოფლებს თავს ისეთი რისხვა დაატეხა დამცინავი ლექსებით, რომ თვითმკვლელობამდე მიიყვანა ისინი.

არქილოქოსის ენა მძიმეა, ხშირად უხამსი. დამცინავი იამბი პოეტის განწყობილებებს სათანადოდ მოერგო. იგი პირველია ელინ ლირიკოსთაგან, რომელმაც უარი თქვა ტრადიციულ ღირებულებებზე, რის გამოც მას ბერძნულ ლიტერატურაში ახალი ეტაპის დამწყებად აღიარებენ.

არქილოქოსის პოეზიას თავისი ხასიათით უახლოვდება **ჰიპონაქსი** (ძვ.წ. VI ს.), რომელიც მცირე აზიის ქალაქ ეფესოსში მოღვაწეობდა. მისი შემოქმედებიდან უმნიშვნელო ფრაგმენტებია შემორჩენილი, თუმცა ცნობილია, რომ იგი ითვლებოდა ახალი სალექსო საზომის, ქოლიამბის ანუ "კოჭლი იამბის" შემოქმედად.

ყურადღებას იპყრობს არქილოქოსის უმცროსი თანამედროვის, **სემონიდესის** პოეზია. იგი წარმოშობით კუნძულ სამოსიდან ყოფილა, თუმცა ამორგოსზე გაუტარებია მთელი ცხოვრება. დაუწერია იამბების ორი წიგნი და ელეგიები. ჩვენთვის სემონიდესი ცნობილია თავისი "სატირით ქალებზე" და პესიმისტური ხასიათის რამდენიმე ფრაგმენტით.

თუ იამბოგრაფოსებმა გარკვეული სიახლე შეიტანეს ძველ ბერძნულ პოეზიაში, *ელეგიკოსები* უფრო ტრადიციათა ერთგულებით გამოირჩეოდნენ. ელეგიებს ჰექსამეტრულ და პენტამეტრულ სტრიქონთა ერთობლიობით გამართულ ლექსებს უწოდებდნენ. ელეგია მშვიდად სრულდებოდა და სერიოზულ, მორალიზებულ აზრთა გადმოცემის საშუალებას იძლეოდა. ამ სახის ქმნილებათა უძველესი ნიმუშების ავტორებად მიიჩნევენ პოეტებს **კალინოსსა** (ძვ.წ. VII ს.) და **ტირტეოსს** (ძვ.წ. VII ს.). პირველი წარმოშობით მცირე აზიიდან იყო, მეორე კი სპარტადან. მიუხედავად ამისა, მათი ლექსები შინაარსითა და პათოსით ერთმანეთის, ხოლო სტილითა და ეთიკური იდეალების წარმოსახვით _ ეპოსის მსგავსია.

ელეგიებს წერდა **სოლონიც** (ძვ.წ. VII-VI სს.), ათენის ცნობილი კანონმდებელი, "შვიდი ბრძენის" ნუსხაში რომ მოიხსენიეს ალექსანდრიელმა სწავლულებმა. სწორედ პოეტური ელეგიებით ქადაგებდა იგი თავის პოლიტიკურ და ზნეობრივ იდეალებს, იცავდა კანონებს, რომლებიც საფუძვლად დაუდო ათენურ დემოკრატიას. სოლონისათვის მთავარი იყო მორალურ-ფილოსოფიური სჯანი. იგი თავისი ეთიკური შეხედულებებით ძლიერ ემსგავსებოდა ჰესიოდეს, თუმცა, ამასთანავე, პოეზიაში შემოჰქონდა ეპოსისათვის სრულიად ახალი მოტივი _ ადამიანის პასუხისმგებლობისა სახელმწიფოსა და საზოგადოების წინაშე. ბერძნულ ლიტერატურაში პირველად ჩნდება სამოქალაქო მორალის თემა, რომელიც წამყვან ადგილს დაიისაკუთრებს ტრაგედიაში.

ელეგიის პოლიტიკური ტენდენციურობის ძეგლად მიიჩნევენ ლექსების კრებულს, რომელშიც სხვადასხვა დროს დაწერილი 1400-მდე კარედია თავმოყრილი და, რომელიც "თ ე ო გ ნ ი დ ე ა ს" სახელით არის ცნობილი. კრებულში მოთავსებულ ელეგიათა უმეტესობის ავტორად **თეოგნისს** (ძვ.წ. VI ს.) ასახელებენ. ეს იყო მეგარელი არისტოკრატი, რომელიც ვერ იტანდა დემოსს, ხოლო აქედან გამომდინარე, სამყაროს კეთილშობილთა და მდაბიოთა ურთიერთშეხლის ასპარეზად წარმოადგენდა.

სამოქალაქო თემატიკისგან შორს დგას ელეგიათა ის რამდენიმე ფრაგმენტი, რომლებმაც **მიმნერმოსის** (ძვ.წ. VII ს.) სახელით მოაღწია ჩვენამდე. ამ ელეგიებით მიეცა დასაბამი ანტიკურობის სატრფიალო პოეზიას, რომელიც საყოველთაო აღიარებას ელინიზმის და რომაული ეპოქების ლირიკოსთა ქმნილებებით დაიმსახურებს.

მელიკური ლირიკის ნიმუშები სიმებიანი საკრავის თანხლებითა და ცეკვით სრულდებოდა, რაც მის ფოლკლორულ ძირებზე მიუთითებს. მას შემდეგ, რაც ბერძნულენოვანი სამყარო მუსიკალური ხელოვნების თვისობრივ გარდაქმნას დაიწყებს, სასიმღერო პოეზია აღმავლობის გზას დაადგება. ამ დროს გამოიკვეთება მელოსური ლირიკის ორი სფერო _ *მონოდიური*, რომელიც გამოხატავდა პოეტის სათქმელს და რომელსაც ერთი პიროვნება ასრულებდა და *ქორიკული*, რომელიც საზოგადოების ინტერესებს ახმოვანებდა და რომელსაც მთელი ქორო ასრულებდა. მელოსური პოეზიის ეფექტი თანამედროვე მკითხველისათვის შეუცნობელია, რამეთუ მის შემადგენელ

კომპონენტთაგან მხოლოდ ერთს ვიცნობთ _ სიტყვიერებას, უმეტესწილად ფრაგმენტულად.

მელოსის ჟანრები და სახეები განსაზღვრულ მხარეებსა და დიალექტებს უკავშირდებოდა. მონოდიური ლირიკის სამშობლოდ ეოლიურ კუნძულ ლესბოსს ასახელებენ. ძვ.წ. VII-VI საუკუნეთა მიჯნაზე იქ ორი სახელოვანი პოეტი ცხოვრობდა: საპფო და ალკეოსი. ისინი ერთ დროს, ერთ ქალაქში (მიტილენეში) მოღვაწეობდნენ და, მიუხედავად ამისა, განსხვავებულად აღიქვამდნენ სამყაროს.

ალკეოსი, როგორც ჭეშმარიტი არისტოკრატი და მოქალაქე, ტირანიის წინააღმდეგ იბრძოდა. მაგრამ დროს თავისი კანონები ჰქონდა. არისტოკრატია სხვა, უფრო პროგრესული წყობით უნდა შეცვლილიყო. ამ ისტორიულ პროცესში სახელმწიფოს ომის მძვინვარება არყევდა. სამუდამოდ შემორჩა მეხსიერებას ალკეოსის პოეტური ალუზია: იგი ქალაქს იმ განწირულ ხომალდს ადარებდა, რომელსაც ზვირთები ეხეთქებოდნენ და დასაღუპად მიაქანებდნენ. პოლიტიკურ ძალთა ჭიდილში მიტილენელი არისტოკრატები დამარცხდნენ. პოეტის ხელში საბრძოლო მახვილი ღვინით სავსე ფიალამ შეცვალა, თუმც მისი სული "ბოროტებას არ დაუთრგუნავს".

ალკეოსს რამდენიმე რთული სალექსო საზომი შეუქმნია, რომელთაგან ე.წ. "ალკეოსურმა" საყოველთაო აღიარება მოიპოვა.

საპფოს არა მხოლოდ ძველი საბერძნეთის, არამედ მთელი ევროპული პოეზიის უპირველეს პოეტესას, პლატონმა "მეათე მუზა" უწოდა. მის ლექსებში ეპოქის მღელვარე მოვლენები არ ასახულა, მისი სამყარო აღსავსე იყო მხოლოდ იმ ემოციებით, რომელთა წყაროსთვალს სიყვარული წარმოადგენდა. საპფო თავის სიმღერებს უძღვნიდა იმ მეგობრებს და მოწაფეებს, რომლებიც თავს იყრიდნენ მის სალონში. ეს იყო "მუზის მსახურთა სახლი", სადაც აფროდიტეს კულტს ზიარებული ქალწულები სხვადასხვა ხელოვნებას ეუფლებოდნენ; სწავლობდნენ საპფოს სიმღერებსაც, განმსჭვალულთ მშვენიერების განცდითა თუ სამყაროსეულ სიკეთეთა აღფრთოვანებით. პოეზიაში ადამიანურ გრძნობათა სამყაროს გახსნა, მშვენიერების სამყაროს წარმოჩენა საპფოს უდიდეს დამსახურებად მიიჩნევა. მის მიერ შექმნილ სალექსო საზომთაგან კი ყველაზე დიდი პოპულარობით ე.წ. "საპფოური სტროფი" სარგებლობდა მთელს ანტიკურ პოეზიაში.

არქაულ ეპოქაში მოხეტიალე პოეტებიც მოღვაწეობდნენ. ჩვენამდე შემორჩა იბიკოსის და ანაკრეონის შემოქმედების უმნიშვნელო ფრაგმენტები.

ანაკრეონი (ძვ.წ. VI ს.) ტირანთა კარის პოეტი იყო, ამიტომაც მის პოეზიაში მდიდრული სასახლეების მკვიდრთა ჰედონისტური განწყობილებები აისახა. მან თავისი ადგილი პოეზიაში გრძნობათა ზედაპირული წარმოსახვითა და ხალისიანი ოპტიმიზმით დაიმკვიდრა. ანაკრეონს მრავალი მიმდევარი გამოუჩნდა, შეიქმნა ახალი ჟანრი, რომელიც "პალატინის ანთოლოგიის" დამატებაში "ა ნ ა კ რ ე ო ნ ტ ე ა ს " სახელწოდებით არის წარმოდგენილი.

ანაკრეონის გავლენა იგრძნობა ბესიკისა და ალექსანდრე ჭავჭავაძის პოეზიაში.

ძვ.წ. VII საუკუნიდან საბერძნეთში დიდი მუსიკალურ-პოეტური რეფორმები განხორციელდა. ამ რეფორმათა ცენტრი იყო დორიული სპარტა _ ბერძნულ პოლისთაგან ყველაზე დიდი და ორგანიზებული სახელმწიფო. აქ პოეზიამ სახელმწიფოებრივი დატვირთვა მიიღო, მას უნდა განედიდებინა პოლისი თავისი კულტებითა და სახელოვანი ადამიანებით. ამის განხორციელება შეძლო ქორიკულმა მელიკამ, რომელმაც დორიული დიალექტი დაიკანონა. არსებობდა საგუნდო მელიკის მრავალი სახეობა: *ჰიმნები* (აპოლონისადმი მიძღვნილს *პეანი* ეწოდებოდა, დიონისესადმი _ *დითირამბოსი*), *ენკომიონები* (სახოტბო სიმღერები), *ეპინიკიები* (გამარჯვებულთა სადიდებლები),

პართენიები (ქალწულთა დასამღერებლები), *ჰიპორქემები* (სიმღერები ცეკვის თანხლებით) და სხვა. ცნობილია ქორიკული ლირიკის მრავალი წარმომადგენლის სახელი: ტერპანდროსი, არიონი, ალკმანი, სემონიდეს კეოსელი, სტესიქოროსი, ბაკქილიდესი, რომელთა შემოქმედებიდან ან სულ არაფერი, ან მხოლოდ უმნიშვნელო ფრაგმენტები შემორჩა.

საყოველთაო აღიარება მოიპოვა თებელმა პოეტმა **პინდაროსმა** (ძვ.წ. დაახლ. 518-440 წწ.). პოლიტიკურ შეხედულებათა ფართო ჰორიზონტი, უნიკალური განათლება და მუსიკალურ-პოეტური ნიჭი იყო ალბათ განმსაზღვრელი იმისა, რომ იგი სხვადასხვა კუთხის გამოჩენილ ადამიანთა გვერდით იდგა მუდამ. პინდაროსი ერთ-ერთი პირველი იყო ბერძენ პოეტთაგან, რომელმაც თავისი შემოქმედება აღიქვა როგორც პროფესიონალმა: იგი სიმღერებს წერდა შეკვეთით და იღებდა შესაბამის ანაზღაურებას. მის ქმნილებებს მღეროდნენ ყველგან, სადაც კი იყო ზეიმი, სუფრა თუ სამგლოვიარო ცერემონია. სამწუხაროდ, პინდაროსის მდიდარი შემოქმედების მხოლოდ ნაწილმა მოაღწია ჩვენამდე, თუმცა ეს ნაწილიც საკმაოდ მნიშვნელოვანია. ეს გახლავთ სპორტულ ასპარეზობებზე გამარჯვებულთა სადიდებლები ანუ "ე პ ი ნ ი კ ი ე ბ ი". დიდ სარბიელზე გამარჯვება პანელინური მოვლენა იყო. გამარჯვებული საკუთარ თავს ან საკუთარ მოდგმას კი არ განადიდებდა მხოლოდ, არამედ თავის სახელმწიფოსაც. ხოტბას ასხამდა რა გმირებს, პინდაროსი მიანიშნებდა იმ მოვლენებზე, რომლებსაც მიჰყავთ ადამიანი გამარჯვებამდე. უმაღლეს ფასეულობათა სისტემაში იგი პიროვნულ ღირსებებს (სიქველეს) ანიჭებდა უპირატესობას. მის მიერ გააზრებული იდეალი სულით და ხორცით მშვენიერი ადამიანისა კლასიკური ეპოქის ეთიკურ-ესთეტიკურ იდეალად იქცა.

პინდაროსის ოდების მეტრული სტრუქტურა მეტისმეტად რთულია. მელოდიას დაქვემდებარებული რიტმი განუწყვეტლივ იცვლება, იცვლება სტრიქონთა აგებულება და დინამიკაც. რთულია პინდაროსის ლირიკა იდეურ-მხატვრული თვალსაზრისითაც. პოეტი არა ლოგიკური, არამედ ასოციაციური თანამიმდევრობით გადადის ერთი სახიდან მეორეზე, ერთი აზრიდან მეორეზე. იმავდროულად, მისი სტილი საზეიმოა, ამაღლებული, სიტყვაკაზმული, დატვირთული მითოლოგიური ასოციაციებით, ფილოსოფიური რემინისცენციებით, მეტაფორებით, სენტენციებით, რაც თანამედროვე მკითხველისათვის ძნელი აღსაქმელია. ამ სირთულეთა გამო პინდაროსს თანამედროვე სამყაროში მხოლოდ დიდად განათლებული მკითხველი დაეძებნება.

ძველი ბერძნული ლირიკის ნიმუშები წარმოდგენილია წიგნში: ჰელიკონი, შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნანა ტონიამ, თბილისი 2002 წ.

ძველი გერძნული ხალხური პოეზია

აღამაღლეთ,
აღამაღლეთ,
დაუცალეთ ღვთაებას ზეცა,
ღმერთმა ისურვა
წარმოგვიდგეს მთელი დიდებით
და მზვაობარმა
შუა ზეცად გადაიაროს.

მოდი, მაღალო დიონისე,
ალეას ტაძრად,
წმინდა ტაძრად მოდი, ქარიტთა დასით,
მოდი, ბორგნეულო,
ხარის ფეხებით,
ხარო, მეუფეო,
ხარო, მეუფეო.

სად არის ვარდები,
სად არის იები,
სად არის ჩემი ნათელი მთვარე?
აი, ვარდები,
აი, იები,
და აი, შენი ნათელი მთვარეც.

რა დაითმინე? ო, ნუ გამთქვამ, გემუდარები,
ადექი, ვიდრე მოვიდოდეს, გაუჩინარდი,
დღე ახლოვდება, გახედე სარკმელს, ხომ არ ინათა?

შემოფრინდა მერცხალი
ნათელი დღის ხარებით,
გაზაფხულის ხარებით,
მუცელთეთრი, ზურგშავი.
სავსე კერის მიართვით
ხილი, ღვინო ფიალით,
მხოლოდ ხორბალს, მუხუდოს
არ მიიღებს მერცხალი.
კეთილი ნებით მოგვცემ თუ წაგართვათ,
გაიღე წყალობა, თორემ დაისჯები:
კარს ჩამოვიღებთ, ან კარების ბჭეს,
სულაც დიასახლისს მოგტაცებთ, მიმალულს,
ტანად პატარაა, იოლად წავიყვანთ.
თუკი გვიმასპინძლებ, იყავი გულუხვი.
გაუღეთ, გაუღეთ კარები მერცხალს,
მოხუცნი კი არა, ბავშვები მოგვივალთ.

თარგმნა ნანა ტონიამ

არქილოქოსი

ვარ ძლევამოსილი ღვთაების ენიალიოსის მსახური,
ჩემთვის როდია უცხო მუზათა მვირფასი ძღვენი.

ოროლით ვატარებ პურსაც და ოროლით ვატარებ ღვინოსაც,
ოროლსვე ვეყრდნობი, ოდეს ვსვამ ისმაროსელთა ღვინოს.

დარდით დათრგუნული ქალაქის არცერთი მოსახლე, პერიკლევ,
აღარ მოისურვებს ლხინში შვების და სიამის ძებნას,
ო, რა დიდებული კაცები შთანთქეს ბობოქარმა ზვირთებმა,
გმინვით და ცრემლების ფრქვევით მკერდში გაგვისივდა გული.
მაგრამ გარდაუვალ ლმობათა სალბუნი გვიბოძეს ღმერთებმა:
სიმხნით სიმძლავრეა, ძმაო, ზეგარდმო მოძღვნილი ძღვენი.
ჟამიდან-ჟამამდე უმზადებს მიწიერს ღვთაება საწუხარს,
დღეს ჩვენ გაგვირისხდა იგი, დღეს ჩვენ ვიძირებით სისხლში,
ხვალ სხვას დაატყდება რისხება, ქალური გოდების თვინიერ
უმძიმეს განსაცდელს სწრაფად უნდა დავაღწიოთ თავი.

არ მხიბლავს გიგესი, ოქროთი მდიდარი,
არც შური მთრგუნავს და არც ღმერთთა საქმენი,
არც ძალმოსილება მიზიდავს მეფეთა,
ჩემს თვალთა საწიერს განშორდნენ ისინი.

ღვთაებათა უფლობს ნება, ხშირად ღმერთი ჟამიერს,
ბედკრულს, მიწად მუხლმოდრეკილს, ფეხზე წამოაყენებს,
ბედსვიანს კი განცხრომის ჟამს უმალ პირქვე დაამხობს,
დასასრული არ ექნება კაცთა ბედის კირთებას:
უპოვარნი, გონმიხდილნი ივლენ მიუსაფარად.

თვისტომთაგან დიდებას და პატივს ვერ ეღირსება
მკვდარი, ცოცხალს მიეგება მხოლოდ მადლი ცოცხალთა,
ასეთია დაღუპულთა ხვედრი უსაზარლესი.

გულო, გულო, გათანგულო გლოვითა და გოდებით,
დარდს და ურვას მიეგებე, აღორძინდი ლმობილი,
მტერს სანგართან ჩაუსაფრდი, ნუ შედრკები, განმტკიცდი,
გაიმარჯვებ – სახილველად ნუ გაიხდი სიხარულს,
დამარცხდები – ნუ იგლოვებ შინ დარდით მოდრეკილი,
ზომიერად იხარე და ზომიერად იწუხე,
შეიმეცნე კაცთა ხვედრის იდუმალი წესრიგი.

გვმართებს ყოვლის მოლოდინი, გვმართებს ყოვლის ბრმა რწმენა,
აწ არაფერს გავიოცებთ, რადგან ღმერთთა მეუფემ
შუადღისით მოვლენილი ღამეული უკუნით
მზის ნათელი დაუბნელა შიშით შეძრულ მიწიერს.
იმ წამიდან მოულოდნელს ვაღიარებთ მოწევნად,
საოცარი არ იქნება, თუკი ისე მოხდება,
ზღვები მთებში გაუცვალონ დელფინებმა მთის ცხოველთ,
სანუკვარი გახდეს მათთვის ბორობანი ტყეები,
მხეცთათვის კი – მღელვარე ზღვის ზვირთთა აბობოქრება.

“ტრფიალების წადილს მთლად ნუ დაიოკებ,
თუ სული გევსება ვნებით,
ჩვენს სახლში იპოვნი მომხიბლავ გოგონას,
რომელსაც სურხარ და მენდე,
უზადო ითხოვე ცოლად”. – ასე მითხრა.
მივუგე: “მიწა რომ ფარავს
იმ კეთილშობილი ამფიმედოს ქალო,
მისმინე: კიპრისი ჭაბუკს
სიამოვნების გზას მრავალგვარს ანიჭებს.
ერთს ახლაც იხილავ, ქორწილს
მერეც მოვესწრებით, როს ღვთაების ნებით
მზით გაგვერუჯება ღაწვნი.
თხოვნა შეგისრულო? შენ მსურხარ, პირველმა
უნდა გადავლახო ზღურბლი,
ძვირფასო, შენს მწვანე ბაღში მახალისე,
ხოლო ნეობულე იყოს
სხვა კაცთან. ყვავილი მისი ქალწულობის
დაჭკნა, გაეცვითა ხიბლი.
გადამწიფებულიც ვნებას ვერ იოკებს,
სიშმაგით გვიჩვენა თავი.
გაქრეს! დიდი ღმერთიც ვეღარ მაიძულებს,

შევირთო ასეთი ქალი.
მასხარად ამიგდებს მოყვასიც, ძვირფასო,
შენგან არ მოველი ღალატს,
ის უნამუსოა, მრავალთან მეგობრობს
და ვშიშობ უგონო ლტოლვით,
ვით ხვადმა, უმწეო ბავშვი არ ჩავსახო".
ვთქვი და ავიტაცე ქალი,
მინდვრის ყვავილებში ჩავმალე, დავფარე
რბილი მოსასხამით. მფრთხალი
ისე გაირინდა, როგორც კრავი მგელთან,
ნაზად ვეამბორე მკერდზე,
მან ქალწულებრივი მიძღვნა სიამაყე.
თეთრი სასიცოცხლო ძალა
ნებას მივუშვი და მის თმას მივეფერე...

თარგმნა ნანა ტონიამ

ჰიპონაქსი

ჰერმეს საყვარელო, ჰერმეს კილენელო,
მაიას ვაჟკაცო, მოგმართავ ვედრებით,
რადგან სიცივისგან ვცახცახებ საბრალო.
მიეცი ჰიპონაქსს თბილი ტანსაცმელი,
თბილი ფეხსაცმელი და ოქროს სამოსი,
სტატერიც მიეცი მეზობლის ჯიბიდან.

შენ არ მოგიცია არც თბილი ლაბადა –
წამალი, ზამთარში გაყინულისათვის,
არც თბილი ჩექმები გაგიმეტებია,
რომ ყინვას პოეტის ფეხი არ დაეზრო.

არასდროს პლუტოსი – მართლაც უსინათლო! –
ჩემთან არ მოსულა, არ უთქვამს: "ჰიპონაქს",
მე გამლევ ოცდაათ ვერცხლის მნას და კიდევ
რაღაც-რაღაცეებს. სულმოკლე ღმერთია.

ჩემს სულს, მრავალტანჯულს, დაღუპვა მოელის,
თუ სწრაფად ცოტა ქერს არ გამომიგზავნი,
რომ მისგან ნანატრი ფაფა დავამზადო

და იგი შევირგო ვითარცა წამალი.

თარგმნა ნანა ტონიამ

სემონიდესი

შვილო, დაიხსომე, მაღლითმოქუხარი
ზევსი ნებისამებრ განაგებს სამყაროს,
კაცს განრიდებია აზრი, ჟამიერნი
ღვთისგან მოვლენილი ხანმოკლე ცხოვრების
სამანთა უცებნი, ცხვრებივით იღვწიან.
მაგრამ უდრტვინველი იმედი აცოცხლებს
ვინც აღუსრულებელს მიენდო ოცნებას,
ვიღაც ჟამს მიითვლის, ვიღაც – წელთა სრბოლას
და ყოველს ჰგონია, მისი დროც დადგება,
ექნება სიმდიდრის თუ მადლის სიამე,
და ასე ბერდება, ეწევა სიკვდილიც,
ცოცხალს ეს წინ უძევს. სხვა მოსპო სალმობამ,
ზოგი ბრძოლის ველზე არესით ძლეული
მიწის ქვეშ მიიღო ჰადესის წყვდიადმა.
ზოგი ბობოქარმა ზღვამ დაასამარა
და მრუმე მორევში რომ არ ჩაეტანა
ზვირთებს, შესაძლოა, ეცოცხლა ჯერხანად.
სხვა კი მზის ნათებას ნებით განერიდა,
უბედობათა ჟამს სული განუტევა.
უკეთურებათა სად სუფევს სამანი,
კაცთა გაუსაძლის საწუხარს ვინ მოსთვლის!
თუმცა დათრგუნულმა ბოლომდე გასწიე
ცხოვრების საბელი, სულით არ დაეცე,
როს თავს დაგატყდება მძიმე გასაჭირი.

სატირა ქალთათვის

სხვადასხვაგვარი შეუქმნია ქალთა ჯილაგი
ღმერთს დასაბამით. ზოგი ქალი ჯაგარაშლილი
ღორიდან მოდის, სახლი მუდამ აჯიჯგნილი აქვს,
გაუთავებლად გორავს, ნებივრობს,
უბანელია, ჭუჭყიანი აცვია კაბა,
ეფლობა წვირში, რაც დრო გადის ედება ქონი.

ზოგ ქალს უფალმა მელაძუას ჯიში უკურთხა,
ასეთი ქალი მუდამ არჩევს ავს კარგისაგან,
ოღონდაც ცუდსა გიკარგებს და

კარგსა გიცუდებს.
იცვლის ხასიათს.

სხვა ქალთაგანი ავი ძაღლის ნაშიერია,
სწორედ ძუკნაა, ყველაფერს რომ უსმენს და ყნოსავს.
სულ ზვერე-ქვერე დასუნსულებს მიმოცქერალი.
სულაც ქურდის რომ ჭაჭანება არ იყოს – ყმუის.
ვერ დაიურვებს ასეთ ქალს ქმარი,
თუნდაც სულ ქვებით უმტვრიოს პირი,
თუნდაც ალერსის დაყვავებას ლამობდეს მისას,
სტუმართა ავი მასპინძელია,
ვერას გააწყობ ასეთ დიაცთან.
ასეთ ქალთაგანს ოლიმპოსის მაღალმა დასმა
ტალახისაგან მოზელილი უბოძა ქმარი.
ზემორე თქმული არ ასხვავებს ავს კარგისაგან,
ამ ქვეყნად მისი გატაცება ჭამაა მხოლოდ.
რაჟამს ღვთის ნებით გაავდრდება, იგი ცეცხლისკენ
არ მიჩოჩდება, სიცივით რომ სული სძვრებოდეს.
ზღვიდან წარმოქმნილს დაჰყოლია ზნე ორთაგანი.
ზოგჯერ იცინის, დღიდან დღემდე მხიარულია.
ამ დროს შემხვედრი უცხო კაცი შექებით იტყვის:
ა, ქალი, ქალის უნახავს გაგხდის,
სად ნახავ უფრო რჩეულს და სათნოს.
ზოგჯერ კი იგი ფეთხუმია, ზედ არ შეხედავ,
არ გაგიკარებს, არის დია გაავებული,
ვითარცა ძუკნა თავის ლეკვებთან.
აღარც ალერსი ეკითხება პირგამეხებულს,
აღარც დაგიდევს მტერი ხარ თუ მოყვასი მისი,
სწორედ ისევე, როგორც ზღვაა ზაფხულის დღეში
ტალღებჩამდგარი, გასახარი ზღვაოსანთათვის
და უცაბედად აზვირთდება, გადაირევა.
ზემორეთქმული ქალიც ესრეთ ცვალებადია,
გაშლილ ზღვასავით მერყევია ბუნება მისი.

ზოგი ქალი კი ნაცრისფერი ბრიყვი ვირიდან
წარმოშობილა; მიძალებით, ლანძღვა-გინებით
თუ აქნევინებ რამე საქმეს, სამაგიეროდ
სახლის კუთხეში ზის დღედაღამ და ილუკმება.
თუ შესთავაზეს აფროდიტეს ტკბილი საწოლი,
არ დაფიქრდება, შემთხვევით კაცს გაუშლის ლოგინს.

ზოგი კი ზღარბის ჯიშისაა ჯილაგდამწვარი,
უშნო რამეა, ულაზათო და სახენავსი.
არც სიყვარული გინდა მისი, არცა ალერსი.

მაგრამ, იცოცხლე, სარეცელზე გადადის მალაყს,
ქმარს ანჯღრევს, როგორც ნავს ზღვის ტალღა,
გულს არევინებს,
ხელწამკრავია, სტანჯავს მეზობლებს,
საღვთო საკურთხსაც მიაძღება განუკითხავად.

ზოგს მოსდგამს ჯიში ფაფარაშლილ ფაშატ კვიცისა,
ცხოვრების ლაგამს, უღლის ჯაფას გაურბის ფიცხლად.
არცა წისქვილისკენ გზას დაიჭერს, არცა საპალნეს
წამოიკიდებს, არცთუ ნაგავს გაიტანს გარეთ.
წაუალერსებს გულისგარე თავის მეუღლეს.
მერე ორ-ორჯერ, ან სამ-სამჯერ განიბანება,
ტანზე საამო კეთილსურნელს წაიცხებს მირონს
და დალალებსაც დაიმშვენებს ნაზი ყვავილით.
იცოცხლე, სხვებს კი გულს უხარებს ასეთი ქალი,
მაგრამ ქმრისათვის ის ზედმეტი ბარგია მხოლოდ.
ქმარი ხელმწიფე ხომ არ არის, ან სტრატეგოსი,
რომ გასართობად იყოლიოს ლამაზი ცოლი.

დიაცს, რომელსაც მაიმუნის ნაგრამი მოსდევს,
მოაქვს კაცთათვის სიავენი ზევსის განგებით.
შესახედავად მურდალია, მთელი ქალაქის
ვაჟ-ახალუხლებს სასაცილოდ არ ჰყოფნით იგი,
მკერდღარიბია, გალეული, დაჭლევებული,
რა ეშველება, ვინც ამ მათხოჯს უნდა ეხვიოს.
ჭკუით ცეტია, დამანჭული მაიმუნივით,
სიცილს კი მისას ნუ იკითხავ, გასაშტერებელს!
კარგს ნუ მოელი ასეთისაგან,
მუდამ იმაზე უჭირავს თვალი
ვის რა ზიანი მიაყენოს აუწონელი.

ზოგიერთს მოსდგამს ფუტკრის ჯიში, ბედნიერია
მეუღლე მისი. არ ჩვევია შინ მანჭვით ჯდომა.
მოაქვს სიმდიდრე, სიხარული მადლიან ხელებს.
იგი ბოლომდე გამტანია მოყვარული ქმრის,
ამრავლებს მარად მშვენიერ და დიდებულ მოდგმას.
ყველა ქალს ჩრდილავს სათნოებით, მშვენიერებით.

არც იმ ქალებთან ჩამოჯდება, ვისაც სჩვევიათ
სააფროდიტო მასლაათი ვნებათ აღმძვრელი.
ამგვარ ქალებით მამაკაცებს ახარებს ზევსი
და მოაქვს მათთვის სიკეთე და ბედნიერება.
სხვა ქალები კი ოლიმპიელ ზევსის განგებით
არ დაგვილევენ ჭირის დღეს და უბედურებას,

რამეთუ დიდი ბოროტება განთესა ქალში
მაღალმა ზევსმა. ვინც დიაცში ეძებს სიკეთეს,
ხელთ ბოროტება შერჩება მხოლოდ.
დღე არ ექნება აღარც ერთი დამშვიდებული.
ვისაც მეგობრად გაუხდია ამქვეყნად ქალი,
ვერ გააძევებს გარეთ შიმშილს – ვერაგ მეზობელს,
ამ გაკერპებულ, უძლეველ დემონს.
ვთქვათ კაცმა გონი დაიუნჯა კეთილი აზრით,
საღვთო რამ საქმე მოინება, გინდა საერო,
აითვალწუნებს ცოლი უმალ, დაუწყებს თათხვას.
სახლში, საცა კი ნატამალი არის დიაცის,
ძვირფას სტუმარსაც ვერ მიიღებ გულდამშვიდებით.
უფრო ის ქალი, მოკრძალებით რომ გინადირებს,
გაცდუნებს მეტი ხელოვნებით:
ამგვარის ქმარი კმაყოფილი ზის და ამთქნარებს,
მეზობელი კი გულიანად იცინის მასზე.

ყველანი ვფიქრობთ, სანაქებო გვყავსო ცოლები,
ის კი არ ვუწყით, საერთოა ხვედრი ყველასი.
მაღალმა ზევსმა ქალის სახით დაგვდო ბორკილი,
მტკიცედ ნაჭედი, სანავარდო შეგვიკრა გზები
იმ დღიდან, რაჟამს გადალალა ჰადესის მხარეს
დიაცისათვის გავეშებულ ვაჟკაცთა ჯარი.

თარგმნა გიგლა სარიშვილმა

კალინოსი

როდემდე იქნებით ასე დაცემულნი, სულს როდის ჩაიდგამთ?
ან მეზობლებისაც აღარ გრცხვენიათ, ყმაწვილნო კაცნო?!
ამგვარად რომ ჰყრიხართ დაუძლურებულნი, ნუთუ, უგუნურნო,
გგონიათ, მშვიდობა სუფევს, როს ომებს მოუცავს მიწა?!
(სასწრაფოდ აიღეთ ფარი და მედგრად ეკვეთეთ მომხდურს!)
უკანასკნელადაც ტყორცნეთ სიკვდილის მოსვლამდე შუბი!
რადგან საპატიო საქმეა ნამდვილი მამრისთვის გულადად
მამის, ბავშვების და ცოლის, სამშობლოს სახელით ბრძოლა.
მაინც აღსასრული მოელის სუყველას, როცა კი მოქსოვენ
ავი მოირები სიკვდილს. ყველამ შუბს დაავლოს ხელი,
მაღლა აღმართოს და ფარის ქვეშ ლომური გული შეარხიოს,
პირველი ჩაებას ომში, პირველმა აოტოს მტერი!
რამეთუ სიკვდილი იმგვარი რამაა, ვერსად გაექცევა
ვერავინ, ვერც ერთი კაცი, თუნდ იყოს უკვდავთა მოდგმის;

მრავალგზის დააგდებს ბრძოლას და შუბების საშინელ ხმაურსაც,
სახლში დაბრუნებულს მაინც მიწვდება სიკვდილის ხელი.
ამგვარი ლაჩრობით ხალხის სიყვარულსაც ვეღარ მოიპოვებს,
ცოტა დაიტირებს მას და მრავალი – ბრძოლაში მოკლულს;
რადგანაც მამაცი მამრია ხალხისთვის ყველაზე ძვირფასი,
დაღუპულს იგლოვებს მწარედ, ცოცხალს კი შერაცხავს ღმერთად,
რამეთუ ვაჟკაცი მამრია ქალაქის მტკიცე ბალავარი,
ბრძოლაში მარტოც რომ დარჩეს,
ლაშქრად დააცხრება მომხდურს.

თარგმნა ლევან ბერძენიშვილმა

ტირტეოსი

საბრძოლო ელეგია

ტკბილია სიკვდილი, რომელიც ეწვევა ლაშქრის უპირველეს
რიგებში დაცემულ ვაჟკაცს, მამულის გულოვან დამცველს.
ხოლო ვინც მშობლიურ ქალაქს და ნოყიერ ყანებს მიატოვებს,
მწარეა იმისი ხვედრი, მოძულებულია იგი
და განწირულია მუდმივი ლანძღვისთვის საყვარელ დედასთან,
დავარდნილ მამასთან, ცოლთან, ძუძუთა ბავშვებთან ერთად.
ოდეს სიღატაკე, მძიმე გაჭირვება ვისიმე კარებთან
მიიყვანს, მასპინძლის გულიც არ გადაიხსნება მისთვის;
გვარსაც თავს მოჭრის და ვეღარც სილამაზე იხსნის შერცხვენისგან,
სიავე, სირცხვილი მთელი უკან გამოჰყვება მუდამ,
უკეთუ გაქცეულს და მოხეტიალეს არც რამ დაფასება,
არც რამ შეწყალება, ზრუნვა, ან პატივისცემა ელის.
მაშ, თავგამოდებით ვიბრძოლოთ ქვეყნისა და ბავშვებისათვის.
მოვკვდეთ მამაცურად ყველა, არაფერს შეუდრკეს სული!

ბრძოლისაკენ!

არ მოვიხსენიებ, სიტყვასაც არ დავძრავ მე ვინმე ვაჟკაცზე
ფეხების სიმარდის ანდა კარგი ჭიდაობის გამო;
თუგინდ მას კიკლოპის ძალა და სიმაღლე ჰქონდეს, ან სირბილში
თრაკიულ ბორეასს ძლევდეს, უკან იტოვებდეს ქარებს
თუგინდ ტითონოსსაც აღემატებოდეს მძლავრი აღნაგობით,
შეძლებით კინირასს ჯობდეს, მიდასზეც მდიდარი იყოს,
თუგინდ ხელმწიფებით ვალში არ რჩებოდეს ტანტალიდ პელოფსსაც,
ენა ადრასტოსზე მეტად თაფლივით დამტკბარი ჰქონდეს,
თუნდ ყველა დიდება მოსავდეს, თვინიერ ულევი მხნეობის.
რამეთუ არ მჯერა კაცის სიკეთის, უკეთუ ომში
თვალს არ გაუსწორებს სისხლიან სიკვდილს და ხელჩართულ ბრძოლაში
არ გადაეშვება მძლავრად, გმირულად არ აჩეხს მომხდურს.
ეს სიმამაცეა და ვაჟკაცობაა ნიჭი საუცხოო,
ყოველი ყმაწვილი კაცი ამას ნატრულობდეს უნდა,
რადგან ეს გმირობა ქალაქსაც სჭირდება და ხალხსაც ადგება.
უკეთუ იბრძოლებს მუდამ ლაშქრის უპირველეს რაზმში
კაცი და წამითაც გულში არ გაივლებს საძრახის გაქცევას,
სიმხნევით აივსებს სულსაც, არ შეუტოკდება გულიც,
მამაცურ სიტყვებით თავის თანამებრძოლ კაცსაც გაამხნევებს,
ამგვარი ვაჟკაცი მომწონს, მისი სიკეთისა მჯერა.
იმავწამს გაიწევს და ბრძოლის ზვირთებში მხნედ გადაეშვება,

წვეტიან შუბების მორევს მძლავრად ეკვეთება იგი.
თუკი დაეცემა ლაშქრის უპირველეს რაზმებში მებრძოლი,
დიდებით შემოსავს მამის, ხალხის და ქალაქის სახელს.
მანამ კი გულადი მკერდით და ბუნიკით თავისი ფარისა
მრავალს გაიყოლებს გმირი, მრავალს გაამგზავრებს ჰადესს.
მას ყველა იგლოვებს, ბერიც ყმაწვილივით მწარედ დაიტირებს
და აუწერელი სევდა მოიცავს მშობლიურ ქალაქს.
და ეცოდინება ყველას სამარე და შვილები გმირისა
და შვილთა შვილები მისი და მთელი იმისი გვარიც.
არასდროს დაჭკნება დიდება გმირისა და სახელოვნება,
ჰადესს განისვენოს თუნდაც, უკვდავად იქცევა მაინც,
ვისაც კი ქვეყნის და ბავშვების სახელით გმირულად მეომარს
სულ წინა რაზმებში დასცემს მსახვრალი არესის ხელი.
ხოლო თუ მოცელვით მომწყვლელი სიკვდილის ცელს გადაურჩება,
მძლედ გამარჯვებული ომში ბრწყინვალეს მოიხვეჭს სახელს,
ყველა დააფასებს, მოხუციც ყმაწვილის დარად გააღმერთებს,
მრავალ სიკეთესაც ნახავს, ისე გაუყვება ჰადესს;
როცა კი სიბერე ეწვევა, ზრუნვას და პატივის მიგებას
არავინ დააკლებს მოხუცს, არვინ მოექცევა ავად.
არამედ სუყველა: დიდი და პატარა, მთელი ეს ქალაქიც
დიდის მოწიწებით ყველგან დაუთმობს საკუთარ ადგილს.
ამგვარ ვაჟკაცობას და ამგვარ სიქველეს უნდა მიელტვოდეს
კაცი და ეცადოს უნდა, სულით არ დაეცეს ომში.

თარგმნა ლევან ბერძენიშვილმა

სოლონი

რისთვისაც ადრე მთელი ხალხი შევყარე ერთად,
ხომ ავასრულე ყოველივე დანაპირები?
დამიმოწმებდა ამას დროის სამსჯავროზედაც
ოლიმპოს მკვიდრთა დიადი და უზენაესი
მშობელი, შავი დედამიწა, ვისაც მრავალგზის
გადავუწიე ქვანაკვეთი საზღვრის მიჯნები,
და დამონებულს მივანიჭე თავისუფლება.
ამ ღვთითბოძებულ ჩვენს ათენშიც მე დავაბრუნე
კაცნი მონებად გაყიდულნი, უსამართლოდ თუ
სამართლიანად რომ გაყიდეს და აიძულეს,
წასულიყვნენ და ეყარიბათ. აღარ ესმოდათ
მათ ჩვენი ენა და დაძრწოდნენ უცხო ქვეყნებში.
იმათ კი, ვინაც აქ იყო და ვისაც უღირსი

მონობა აწვა მეუფეთა ვნებებით დამფრთხალს,
თავისუფლება მივანიჭე. შევადუღაბე
მე ერთმანეთთან ძლიერება და სამართალი
და ჩემი საქმით გავამართლე ჩემივე სიტყვა.
მდაბიორებსაც დავუწესე კანონები და
დიდებულებსაც, რათა ყველას, ვინც მართალია,
ჰქონდეს მართალი სამართალი. სხვას რომ სჭეროდა
კვერთხი ჩემსავით, მამრს ავსა და ვერცხლის მოყვარეს
ვერ იუფლებდა იგი დემოსს, რადგან, უკეთუ
იმას ვიზამდი, რაც მეგობრებს ეამებოდა,
ან კიდევ იმას – რასაც მათი მტრები მეტყოდნენ,
გაიცლებოდა ვაჟკაცთაგან ჩვენი ქალაქი.
და ყოველმხრიდან მოწოლილი ძალით ამღვრეულს
მგლისებრ ტრიალი მომიწევდა ქოფაკთა შორის.

თავისი ასაკით ჯერ კიდევ უხანო, პატარა ბიჭუნა
შვიდის გახდება წლის და კბილებს მოიცვლის კიდეც.
უკეთუ მეორე შვიდწელიწდეულსაც აცოცხლებს ღვთაება,
აშკარად ვატყობთ უკვე მოზარდის ნიშნებს ჭაბუკს.
მესამე შვიდედში წვერი და ულვაში ეზრდება სახეზე,
ფეხებს უფარავს თმები, ფერი ეცვლება კანსაც.
მოდგება მეოთხეც – კაცს უკვე სიმტკიცე ამშვენებს ძალისა,
მასში პოვებენ ხოლმე მამრნი ღირსების ნიშანს.
მეხუთის ჟამისად დრო არის ქორწილზე იფიქროს ვაჟკაცმა,
რათა გვარსა და მოდგმას გზა გაუგრძელოს მანაც.
მეექვსე შვიდედში ყოველმხრივ ლაგდება გონება კაცისა,
უაზრო მიზნებს უკვე აღარ ესწრაფვის იგი.
მეშვიდე შვიდედში სრულყოფას აღწევენ ენა და გონება,
აგრეა მერვეს დროსაც, თოთხმეტ წელსაა აგრე.
ჟამსა მას მეცხრეს კი, თუმც ისევ შემძლეა, თანდათან აკლდება
ენა და ჭკუა, რაიც საქმეს სჭირდება ლამაზს.
და თუკი მეათე შვიდწელიწდეულსაც გაატანს მავანი,
ვეღარვინ იტყვის უკვე, ადრე მოკვდაო იგი.

მდიდარი ავკაციც ბევრია ქვეყნად და ღატაკი ვაჟკაციც,
ჩვენ კი სიქველეს ჩვენსას აროდეს გავცვლით ფულზე.
რამეთუ გრძელია სიქველის არსება, ფული კი ამქვეყნად
დღეს ერთსა აქვს და ხვალ კი ვინმე სხვასა აქვს სულაც.

სალამისი

იმ ჩვენი ნანატრი სალამისიდან ვარ მოსული შიკრიკად,
საჯარო სიტყვის ნაცვლად, სიმღერით გეტყვით სათქმელს.

ათენის შვილობას ფოლეგანდროსელი სჯობია რომ იყო,
სიკინოსლობაც მიჯობს ათენის შვილის სახელს;
აგრეა, რამეთუ მაშინვე ამგვარად ამბობენ ყველანი:
“ათენელია იგი, ვინც სალამისი დათმო”.

სალამისს გავსწიოთ, ჩვენივე მიწისთვის ვიბრძოლოთ უშიშრად,
ნუღარ ვატარებთ მხრებით ამ აუტანელ სირცხვილს.

ნუროდეს ნუ მოვა სიკვდილი უცრემლოდ, ჩემს ძვირფას მეგობრებს
გლოვა დაურჩეთ ჩემზე და ცრემლიანი დარდი.

თუ ეხლაც შეძლებ და ჩემ სიტყვას ენდობი, განაგდე ეგ აზრი,
ნუ შეგშურდება ისიც, თუ შენზე უკეთ ვიტყვი.
ო, ლიგიასტიდეს, შეცვალე აზრი და ამგვარად იმღერე:
დე, მიაღწიოს ოთხმოცს ჩვენი სიცოცხლის ბოლომ.

თარგმნა გიორგი ხომერიკმა

თეოგნისი

ნადირთ მმუსვრელო არტემისო, ზევსის ასულო,
რომელს შეგწირა წმინდა მსხვერპლი აგამემნონმა,
მაშინ შეგწირა წმინდა მსხვერპლი აგამემნონმა,
ოდეს ტროასკენ ზღვით გაღწევას ლამობდა იგი.
აწ შეიწირე ჩემი ლოცვაც და ამაშორე
ბედის სიავე, რაიც, ქალღმერთო,
შენთვის ესოდენ იოლია, ჩემთვის კი ძნელი.

ნუ მიენდობი, პოლიპიდევ, ამ ქალაქის მკვიდრთ,
რაგინდრანაირ სარგებელსაც ელოდე მათგან.
სიტყვა მიუგდე – თითქოს მათი მეგობარი ხარ,
საქმე კი მათთან არასოდეს არ დაიჭირო.
თავად შეიტყობ, რა სულმოკლეც არის ეგ ხალხი

და ყოვლად არასაიმედო ყოველ საქმეში.
ისე გაბმულან ვერაგობის ურთიერთხლართში,
რომ თავი ვეღარ დაუხსნიათ ერთმანეთისგან.

ბოროტ კაცთაგანს არ მიადგე რჩევისთვის, კირნოს,
როცა გწადია აღასრულო საშური საქმე.
სჯობს კეთილშობილს მიაკითხო კეთილ რჩევისთვის,
თუნდ დიდი ჯაფა და გრძელი გზაც წინ გედოს, კირნოს.

არ უწყის უძღებ კაცთა მოდგმამ სიმდიდრის ზღვარი,
რაგინდ ზომაზე მეტიც გვქონდეს ყოვლი სიკეთე –
ორჯერ მეტს ვეძებთ, – განა როსმე გაძღება კაცი?
ფულის ხვეჭაში ჰკარგავს კაცი გონიერებას,
ბრმავდება ფულით; ოქროს შხამით ამზადებს ზევსი
უბედურებას დღეს ერთისთვის, ხვალ კი – სხვისათვის.

კიცხვას იმდენად შეეჩვივნენ მოქალაქენი,
რომ დაუჩლუნგდათ მათ გონება ქალაქის ხსნისა.

დღეს კეთილ ხალხთა ყველა სიკეთე
გადაიბარა ბოროტთა მოდგმამ
და უცნაურმა კანონებმა მოიდგა ფეხი,
მოკვდა სინდისი და სათნოება,
ხოლო თავხედმა ძალმომრეობამ
ხელთ იგდო მიწა და ჩამარხა შიგ სამართალი.

თუ მეგობარი მოვიკვეთეთ მცირე წყენისთვის,
ეს იგივეა – მეგობრობა სულ აღარ გვწამდეს.
შეცდომისგან ხომ არვინ არის თავისუფალი,
შეუცდომელნი მხოლოდ ღმერთნი არიან, კირნოს.

მე მეგობრები მყიდიან, მტრებს – თვით ვერიდები,
როგორც მესაჭე ზღვისპირა კლდეებს.
გამაგრდი, კირნოს, ჭირში, როგორც ლაღობდი ლხინში,
რასაც შენ ბედი მუდამ ასე უხვად გწყალობდა,
აწ მძიმე დღეში ჩავარდნილი ნუ დაეცემი,

ზეაღიმართე აღმლოცველი მაღლა ღმერთთადმი;
ყველას წინაშე ნუ გამოფენ შენს შავდღეობას, –
რა ჩარად აქნევ ცრუ ნუგეშს და ცრუ მონუგეშეს.

არ შეიძლება ბრძენი რეგვენს სულ ესაუბროს,
მაგრამ სულ ჩუმად იყოს – ესეც არ შეიძლება.

მონას არასდროს არ უჭირავს თავი პირდაპირ,
დახრილ კისერზე უნდილად რომ ჩამოჰკიდვია.
და როგორც ჭლაკვი არ მოისხამს ვარდს და იაკინთს,
ასევე მონა თავისუფალ შვილს ვერ დაბადებს.

თუ თავს არ ირცხვენ და ასევე სხვებსაც არ არცხვენ
უკვე მაგითაც დიდ სიკეთის მქნელი ხარ, კირნოს.

სწორი გზით ვივლი, არ ავიქცევ მხარს წარამარა,
ამგვარი წესით გავაკეთებ ყოველ საქმესაც.
ვემსახურები ჩემს სამშობლოს ქალაქმშვენიერს,
ყურს არ დავუგდებ ბრბოს ყაყანს და ბოროტთა ჭორებს.

ტანზე გადამდის თითქოს ჩქარი მდინარის წყალი,
როცა ვუყურებ ჩემი სიყრმის თანატოლ ყვავილს –
სიყვარულის და სიხარულის მჩუქებელ ასაკს,
როგორც გაზაფხულს სწრაფმავალს და როგორც სიზმარს.
ვერც კი მოვასწრებთ სიყრმის ძილში გამოსიზმრებას,
რომ თავს გვადგია სიბერე და გვაღვიძებს უკვე.

ადამიანი სულელია, მკვდარს რომ დასტირის
და არა – სიყრმის ნაზ ყვავილებს, სიბერით ცვენილთ.
უწინ მაღალნი აწ მდაბალნი არიან, კირნოს,
დღეს ყველგან პატივაყრილია პატიოსანი.
ნუთუ პატივით უნდა ვმოსოთ უპატიოსნო!
დღეს ცრუს მართალი ემოყვრება, ასულს ურიგებს;
ყველა ერთმანეთს ატყუებს და ერთურთს დასცინის.
არც ცუდს განსჯიან ცუდისათვის, არც კარგს – კარგისთვის.

ძნელი საქმეა, დასაწყისით შეიცნო ბოლო,
ღმერთმა თუ უწყის, რა და როგორ აღესრულება.
წინ ბურუსია, ბურუსს იქით – კიდევ ბურუსი,
და უვიცობას მოკვდავ კაცთა არა აქვს ზღვარი.

როგორღა ძალგიძთ, ფლეიტაზე იმღეროთ, როცა
აგორიდანაც ჩანს საზღვრები ჩვენი მამულის.
ის გკვებავთ მუდამ თვის ნაყოფით ნადიმობისას,
გიმკობთ ოქროსფერ თმებს მეწამულ გვირგვინთა წნულით.
მაგრამ ჯობს, სკითოს, თმა შეიჭრა, მორჩე ღრეობას,
იგლოვო, მხარე მშვენიერი რომ იღუპება.

ღირსეულ კაცის გარეგნობა მიიღე, მაგრამ
უჭკუო თავზე დგას გვირგვინი ვაჟკაცობისა.

დასტკბი, იხარე, სანამ შენთან არს სიყვარული,
რადგან ჩავლილზე უკვე ხელი არ მიგიწვდება!

თარგმნა გიგლა სარიშვილმა

მიმნერმოსი

ვითარცა ფოთლები, ჩვენც ისე ვიშვებით ფერმრავალ გაზაფხულს,
ოდეს ნათელი მზისა სწრაფად ამრავლებს ფოთლებს.
იმათი სადარნი მცირე ხანს თუ ვტკბებით ამ ჩვენი სიყრმეთი.
ავსა და კეთილს ამ დროს ვეღარც კი ვარჩევთ კარგად.
გაივლის ხანი და კარს მოგვადგებიან შავბნელი კერები,
ერთს სიძაბუნე მოაქვს, სხვას კი – სიცოცხლის ბოლო,
მცირე ხანს თუ ხარობს ნაყოფი სიყრმისა, მანამდე თუ ხარობს,
სანამ თავისი სხივით ქვეყანას გვითბობს მნათი.
და როცა გაივლის სიყრმე და სიამეც გაივლის სიყრმისა,
ქვეყნად უმისოდ ყოფნას სიკვდილი გვიჯობს სულაც.
მრავალი ტანჯვა და სიავე იბუდებს ჩვენს სულში ბოლო ჟამს,
სახლი ენგრევა მავანს, უსახლოდ ცხოვრობს ზოგიც,
სხვას კიდევ ბავშვები რომ სურდა ჰყოლოდა, ამგვარი სურვილით
ქვესკნელში ჩადის იგი, ჰადესში ჩადის ბოლოს.
მავანსაც სენი სჭირს მომწყვლელი სულისა; ვინ დარჩა ნეტავი,

ვისაც საშინელ ტკივილს არ მოუვლენდა ზევსი.

კიპრისის გარეშე ნეტავი რაღაა ეს ჩვენი სიცოცხლე,
სიკვდილს ვარჩევდი უმალ, თუ არ ვეღირსე მეტად
უტკბილეს განცხრომას, ლოგინს და ქალების ნამალევ სიყვარულს.
ვარდის საამო ფერი ყრმობისას ჰშვენით მხოლოდ
ქალებს და ჭაბუკებს; და ოდეს სიბერე მოაწევს მტანჯველი,
ერთ დროს მშვენიერ ვაჟკაცს უშნოდ რომ აქცევს ბოლოს,
მუდამდღე შფოთსა და ავ საზრუნავებში უხდება ტრიალი,
აღარ ახარებს მჭვრეტელს მნათის სხივები უკვე,
არც ქალებს სცხელათ და არც ბიჭებს სცალიათ ასეთი კაცისთვის.
მწარე სიბერეს გვაძლევს ბოლოს უკვდავი ღმერთი.

მაშინვე ღვარივით ჩამომდის ოფლი და შიშისგან ვცახცახებ,
ოდეს თვალნათლივ ვხედავ, თუ როგორ ყვავის სიყრმე,
ვუცქერი კეთილს და საოცრად საამურს – ნეტავი გაგრძელდეს,
მაგრამ ხანმოკლე არის, ვით მოლანდება, იგი.
ხანმოკლე არის და ყველასთვის ნანატრიც. სიბერე ჩვენ კი
ქედს დაგვწოლია მძიმედ, უსახური და მწარე,
სიბერე მტრული და საოცრად უღირსი, სხვა ვინმედ რომ გვაქცევს:
ჯერ თვალებსა ვნებს იგი, აზრსაც გვიბნელებს ბოლოს.

ნურც უცხოელისთვის იქნები ავი და ნურც შენიანისთვის,
ნუ იქმ ავსა და ბოროტს, მუდამ მართალი იყავ.
სიამით აივსე გული და გონება; მკაცრ ქალაქელთაგან
ზოგი ცუდს იტყვის შენზე, ზოგიც – კარგსა და კეთილს.

ო, უცხოელნო, ჰიპონაქსის საფლავს ერიდეთ.
ვინც სიცოცხლეში სეტყვის სადარ იამბს წერდა და
მტვრადმიქცეულიც ბუპალეოსს რომ ლანძღავს ისევ.
ო, ნუღარ, ნუღარ გააღვიძებთ ამ ბზიკს, რომელსაც
ჰადესშიც აღარ დავიწყნია თავისი ბოღმა.
კოჭლობს და მტერსაც ისრისდარი სიტყვებით გმირავს.

თარგმნა გიორგი ხომერიკმა

ალკეოსი

ჰიმნები

დიოსკურებისადმი

[2] ზევსის და ლედას ნაშიერნო, ღმერთნო ძლიერნო,
დიდო კასტორ და პოლიდევკეს, კეთილმოდრეკით
მოიღეთ ჩვენზე მოწყალება და მიატოვეთ
პელოფსის მიწა.

უკიდეგანო ხმელეთსა და ზღვათა ზვირთებზე
მოგაქროლებენ მალემსრბოლი ჰუნენი მიწყივ,
რათა დაიხსნათ ულმობელი სიკვდილისაგან
მოკვდავთა მოდგმა.

გარდაევლებით ხომალდების მაღალ ქანდარებს,
იალქნებს, ცისფრად მობრიალე ცეცხლოვან ანძებს,
მოევლინებით შავ ხომალდებს ღამის უკუნში
მხსნელი ნათელით.

ჰერმესისადმი

[3] კილენეს მთათა მბრძანებელო, კურთხეულ იყავ!
მსურს ჰიმნი გიძღვნა შენ, რომელიც გშობა მაიამ
მთების მწვერვალზე, ყოველთმეუფე კრონიონთან
შეუღლებულმა.

ათენასადმი

[4] სულითმებრძოლო დედოფალო, დიდო ათენა,
კორონეიას მინდვრად მდინარი კორალიოსის
სანაპიროზე აღმართულ ტაძარს
ღვთაებრივი სვლით უახლოვდები.

ეროსისადმი

[5] ეროსი, ტკბილად მომღიმარი ტრფობის ღვთაება
ოლიმპიელთა შორის შიშის ზარის მომგვრელი,
ლამაზსანდლება ირისმა შვა,
ოქროსთმებიან ზეფიროსთან შეუღლებულმა.

მითები

ელენე და თეტისი

6 ასე ამბობენ, საშინელი ბედი ეწია
მამა პრიამოსს და მის ყველა ძვირფას ნაშიერს,
ეს მწარე ხვედრი შენ არგუნე, ალმა დაფერფლა
წმინდა ქალაქი.

შენ არ მოგგავდა ოკეანეს მეფის ასული,
ერისიონთა ჩაგონებით რომ მოიყვანა
ეაკოსის ძემ ნერევსის სამფლობელოდან
ქირონის ბინად.

ოდეს შეიგრძნო სიყვარული პელევსისადმი
თეტისმა დათმო უმწიკვლობის წმინდა ქამარი,
ულამაზესმა ზღვათა მეფის ასულთა შორის
წლის დასალიერს

ურჩეულესი ძე წარმოშვა, ნახევრადღმერთი,
სვებედნიერი მბრძანებელი ცეცხლისფერ კვიცთა.
შენ კი, ელენე, შეიწირე ფრიგიელები,
ტროა დაემხო.

პარისი და ელენე

7 აღელდა გული არგოსელი ელენეს მკერდში,
ოდეს მიაპყრო ილიონელ მამაკაცს მზერა,
ვნებააღვსილი სტუმართმოყვარულ ადათთა დამრღვევს
გაჰყვა ხომალდით.

ჩვილი ასული სასახლეში ობლად დატოვა,
დათმო მეუღლის სარეცელი, ნათელმოსილი.
ზევსის და ლედას ნაშიერი ასე აცდუნა
კიპრისმა ტრფობით.
...
აი შედეგიც სავალალო – ელენეს გამო
განისვენებენ შავ მიწაში ტროას მინდორზე
მებრძოლი ძმები.

მრავალი ეტლი განადგურდა ბრძოლის ქარცეცხლში,
თვალნათლიერი ვაჟკაცების გმირული მოდგმა
პირქვე განერთხა გათელილი. აქილევსი კი
ხარობდა სისხლით.

აქილევსი და თეტისი

8 ღრმა მწუხარებით აღვსილი ხმით უხმობდა დედას,

ზღვათა ფერიას,
უმშვენიერესს ღმერთ ნერევსის ასულთა შორის,
არ დააყოვნა
თეტისმაც და ზევსს მიეახლა ზეცად,
მუხლებზე შემოხვეული
ევედრებოდა, საყვარელი ძის რისხვა დაეცხრო...

აიასი და კასანდრა

9 ღვთაება სჯიდა ბიწიერს და უმართებულოს,
შეუწყნარებელს უხდებოდა მოდრეკა ქედის,
და იყო იგი განწირული...
...
ბერძნებს მართებდათ აიასის დროულად დასჯა,
რომ ჩაექოლათ, უკეთესი ხვდებოდათ ხვედრი:
ეგესთან ზვირთთა გადამლახველნი
თავს დააღწევდნენ შემზარავ სიკვდილს.

მაგრამ კასანდრამ ცისიერის ტაძრად ისწრაფა,
ზევსის ასულის ქანდაკებას შეფარებულმა
აღაპყრო ხელნი და აღავლინა
ლოცვა უკვდავი ღმერთებისადმი.

იმ ხანად ტროა ემხობოდა, ძლევდნენ ბერძნები,
დეიფობოსი განიგმირა, კედელთა მიღმა
გმინავდა ხალხი, ქალაქის მინდვრებს
ეფინებოდა ბავშვების კვნესა.

შესარისხავად განწირული ლოკრელი გმირი
ღვთის სალოცავში შემოიჭრა, სადაც ათენა
ნეტართა შორის აღმატებული
ულმობელობით სჯიდა მკრეხელებს.

შემოეხვია აიასი ორთავე ხელით
ქალწულს, რომელიც ქანდაკებას ეფარებოდა,
არ მოერიდა ლოკრელი გმირი
მებრძოლი ღმერთის იდუმალ ძალას.

წარბები შეკრა მრისხანებით ზევსის ასულმა,
პირქუში მზერით დააბნელა თვალსაწიერი,
ჩამუქებული ზღვისკენ ისწრაფა,
ზვირთებს აპობდა მძვინვარე დელგმით.

10 ომის ღვთაების ნათელი მოსავს მაღალ სასახლეს,
საჭურველი ანათებს დარბაზს,
ბრინჯაოს სხივით ელვარებს ჭერი
ზუჩებითა და მუზარადებით მიმოფენილი.
ცხენთა ძუების თეთრად ფრიალი
ომში მყივარი მებრძოლების თავსარქმელს ამკობს.
მაგარ შუბთაგან თავდასაცავი
მოელვარე საბარკულები ფარავენ სარჭეთ,
ირგვლივ ბზინავენ ახლად ნაკეთი სელის ჯავშნები.
იატაკს მოსავს ფართა სიმრავლე
და ქალკისური შუბების ბზინვა.
თვლა აღარა აქვს სათეძურებს და წელსაბმელებს.
არ გვმართებს მათი დავიწყება,
ოდეს დადგება საბრძოლველად წარმართვის ჟამი.

11 ქართა ჭიდილში აღარ ძალმიძს გზების გაგნება,
აღიმართება ერთი მხრიდან ტალღა, მიგორავს
და ეხეთქება შემხვედრ ტალღას,
ზვირთებში ცურავს შავი ხომალდი.

პირქუშ ავდართან გვიწევს ბრძოლა დიდი წვალებით,
ტალღები თავზე ევლებიან აღმართულ ანძას,
დაგლეჯილია იალქანი
და ჩამოძონძილ ნაფლეთებად ფრიალებს ქარში.

აშვებულია ღუზაც...

12 ხომალდს ტალღები აწყდებიან, ეხეთქებიან,
გამძვინვარებულ ზვირთებთან და ზღვასთან ჭიდილი
მას აღარ ძალუძს, ჩაიძირება
თუ წააწყდება უჩინარ ბექობს.

განსაცდელშია ჩავარდნილი ჩვენი ხომალდი.
ჩემო ძვირფასო, უკუაგდე ეს საწუხარი,
ბიკქისთან ერთად მოილხინე
და სიხარულით აღივსე სული.

15 ძალაუფლების მბაფრი წადილით მალე ეს კაცი

დაღუპავს ქალაქს,
ქალაქი კი უკვე შეირყა.

16 სამშობლოს უბედურება
შეუჭირველი პიტაკოსი, ბედით წყეული,
ქალაქს ტირანად მოუვლინეთ,
როს განადიდეთ შეკრებილებმა.

17 მამაო ზევსო, ჩვენი ბედით შეწუხებული
ლიდიის ხალხი ორი ათას ოქროს ფულს გვიძღვნის,
იქნებ როგორმე შევაღწიოთ მათი შეწევნით
წმინდა ქალაქში.

ჩვენგან ლიდიელთ რა სიკეთე დაუთმენიათ?
ცბიერმა მელამ იოლი გზით არჩია წასვლა,
წინასწარ ჭვრეტდა გამარჯვებას, რადგან ეგონა
ვერ შევნიშნავდით.

18 ახლა კი გვმართებს მოვილხინოთ თავდავიწყებით,
რადგან მირსილოსს, როგორც იქნა, აღმოხდა სული.

19 საზარელი ხარ, სიღარიბევ, ავბედობავ დაუთმენელო,
შენი და არის უმწეობა,
თქვენ ერთად თრგუნავთ ადამიანებს.

20 ამბობენ, თურმე არისტოდამოსს
ერთხელ სპარტაში წარმოუთქვამს მართალი სიტყვა:
“ფულია კაცი”
ღარიბს პატივი და ღირსება არ მიეგება.

21 მყის გაიელვეს, ვით ფრინველებმა,
ანაზდეულად არწივი რომ მოევლინება...

გაძევების ჟამს

24 ჰებროსო, შენი მდინარება ულამაზესი,

აინოსიდან მეწამული ზღვისკენ მედინი,
აზვირთებული, თრაკიელთა ველების გავლით
უფრო მშვენდება.

ეწაფებიან ქალწულები შენს წმინდა ნაკადს,
ნაზი ხელებით ისველებენ სათუთ თეძოებს,
სალბუნის მსგავსი ღვთაებრივი წყლით ენიჭებათ
მომხიბლაობა.

25 იებით მორთულო, წმინდა, ტკბილღიმილიანო საპფო

26 ოდესღაც ეს წმინდა ადგილი
ლესბოსელებმა განაშენეს, სამსხვერპლოები
შორით საჩინარ მაღალ ბექობზე
აღმართეს უკვდავ ღმერთთა დიდებად.

საპირისპირო ქართა მბოჭავ მაღალ ზევსს უხმეს,
შენც მოგიწოდეს წარმომშობო ყოველიერთა
ეოლიელთა შემწე ღვთაებავ,
მესამე ღმერთად ცნეს დიონისე,

ღმერთქალ სემელეს უმი ხორცის მჭამელი მოდგმა.
კეთილი სულით განწყობილნი გამომეცხადეთ
და გაძევების მძიმე დარდისგან
დათრგუნულ ლტოლვილს გზა გამინათეთ!

ჰირას ვაჟიშვილს ერინისი სდევნიდეს მიწყივ!
ჩვენ ხომ ასეთი წმინდა ფიცი დავდეთ ოდესღაც:
რომ არასოდეს მივატოვებდით
თანამოზრახეს მიუსაფარად.

თუ მტერი გვძლევდა, დამარცხებულებს
ან მიწად უნდა განგვესვენა, ან გადარჩენილთ
უნდა მოგვეკლა ძალისუფალნი,
მაშინ კაცი იგრძნობდა შვებას.

ეს საფიქრალი გაბერილ ბღენძს არ აწუხებდა,
ფეხით გათელა წმინდა ფიცი მუხანათურად,
მოსრა ქალაქი მოღალატემ,
უტიფრად გვლანძღავს და გვემუქრება.
...

27 წმინდა ადგილთა ძიებაში აქ ვპოვე ბინა,

საბრალობელი გლეხიკაცის ხვედრს ვიზიარებ.
დიდი სურვილი მაქვს მოვისმინო
ვით მიხმობს ხალხის მაუწყებელი

საკრებულოში, სადაც ჩემი მშობელი მამა
და წინაპარი – მისი მამა გაჭაღარავდნენ,
ახლა იქ მხოლოდ გაბოროტებულ
მოქალაქეთა შუღლი ბატონობს.

მე გამაძევეს, განმარიდეს მშობლიურ სამანს,
ვცხოვრობდი, როგორც ონიმაკლე, მიუსაფარი,
ძალისმფლობელთა წინაღმსდგარი და
ამბოხებების მსხვერპლად ქცეული.

მე შავ მიწაზე დიდი ხანი ვიხეტიალე,
ბოლოს ვეწვიე ღვთაებათა წმინდა სავანეს
და დავიმკვიდრე თავშესაფარი
უბედურებას განრინებულმა.

აქ იმართება პეპლოსებით ტანშებურული
ლესბოსელების საზეიმო დღესასწაული,
ყოველწლიურად ამ წმინდა ველზე
ქალთა ღვთიური ექო ცას აღწევს.

როდის მიხსნიან საწუხართაგან ოლიმპოს ღმერთნი?

სანადიმო სიმღერები

28 ცით მოავლინა კრონიონმა საზარი დელგმა,
სუფევს სიცივე, ნაკადები ყინვით დამზრალან.
....
გვაკმარე დელგმა, განასრულე ცივი ზამთარი,
ააგიზგიზე ბუხრის ცეცხლი, გადამეტებით
განაზავე სიტკბოთი ღვინო,
დამიდე თავქვეშ ფაფუკი ბალიში...

29 შესვი, გაამოს, მელანიპოს, იქნებ გგონია,
ოდეს გაცურავ ბობოქარი აქერონის მშფოთვარე ტალღებს
დადგება ჟამი მზის ნათელის კვალად ხილვისა?
ისმინე ჩემი: ნუ მოისურვებ დიად საქმეთა აღსრულებას!
ო, მოიგონე ეოლოსის ძე სისიფოსი. მოკვდავთა შორის
აღზევებული იყო იგი გონიერებით, თუმცა ეგონა,
სიკვდილის პირქუშ სამეუფოს გაექცეოდა, ორგზის გაცურა

ღვთით დაწყევლილმა ბოზოქარი აქერონის
ბნელი ტალღები,
და მოავლინა ოლიმპიელთა განმგებელმა, მეუფე ზევსმა
შავი მიწის ქვეშ ულმობელი სასჯელი მისთვის...
ნუ მოისურვებ დიად საქმეთა აღსრულებას!
ვიდრე დადგა სიბერის ჟამი...

30 არ გვეკადრება ბოროტებით აღვივსოთ სული,
ვერას მივაღწევთ და ამაოდ დავიტანჯებით,
სჯობს, ჩემო ბიკქის, ჩვენი სულის
დიდებულ მკურნალს მივენდოთ, დავთვრეთ!

31 ყელს გაგისველებს ღვინო, შესვი! ქრება ვარსკვლავი,
წელიწადის მძიმე დრო დადგა, გადაიბუგა სიცხით ყოველი,
ფოთოლთა ჩრდილში შეყუჟული ჭიჭინობელა
ჭრიჭინებს ტკბილად
და ოქრომხალა ყვავილობს მხოლოდ...
ვნებააშლილნი არიან ახლა დიაცნი, კაცებს
დაუფლებიათ უძლურება,
მათ თავსა და მუხლს მცხუნვარებით წვავს სირიოსი.

32 შევსვათ, ლოდინი არას გვარგებს ნათლის დადგომის,
დღე სწრაფად გადის,
დიდი ფიალა მომაწოდე მოხატული ნაირფერებით,
განა ეს ღვინო თავად ზევსის და სემელეს ძემ არ გვიბოძა
კაცებს სულის დასაამებლად?
ჩამოასხი განზავებული ერთი ორის წილ
და აღავსე თასი პირთამდე,
დე დაედევნოს თასი ფიალას.

თარგმნა ნანა ტონიამ

საპფო

ჰიმნები

აფროდიტეს

1 ტახტმოხატულო, მარადმყოფო, ზევსის ასულო,
გრძნებით მაცდურო აფროდიტე, შენ გევედრები,
დარდს და საწუხარს განმარიდე, ნუ დამითრგუნე

სული, მეუფევ.

გარდმომივლინე შემწეობა, გამომეცხადე.
უწინაც ხშირად, როს გსმენია ცად აღვლენილი
ჩემი ვედრება, დაგითმია მამისეული
ოქროს სასახლე

და გარდმოსულხარ ციდან ეტლზე აღზევებული.
სწრაფადმფრინავი ბეღურების ლამაზი გუნდი
ჰაერში ფრთების ხშირი რხევით მოგაქროლებდა
შავი მიწისკენ.

მყის მოაღწევდნენ ჩემს სამყოფელს და შენ, ნეტარო,
მშვიდი ღიმილით მოციაგე, უკვდავი სახით
მეკითხებოდი: რა მეწადა, რა მაწუხებდა,
კვლავ რად გიხმობდი.

ესოდენ ძლიერ რა მაკრთობდა, რას ვესწრაფოდი
მღელვარე სულით: – ჩემო საპფო, ვინ დავარწმუნო
შენდამი ტრფობით რომ აღენთოს, ვინმე მოგეპყრო
უმართებულოდ?

სათნოყოფილმა მიგატოვა იქნებ ქალწულმა,
თვით გეახლება; შენს ნაბოძებ ძღვენს თუ არ იღებს,
თავად მოგიძღვნის; თუ არ უყვარხარ, უნებლიეთ
შეუყვარდები.

ღმერთქალო, ახლაც მომევლინე კეთილგანწყობით,
მძიმე განცდათგან დამიხსენი დამწუხრებული
და დამიბრუნე თანადგომის დიდებულებით
სულის სიმშვიდე.

კიპროსშობილს

2 ციდან ისწრაფე, კრეტის წმინდა ტაძართან მოდი,
აქ ვაშლის ხეთა დიდებული ხეივანია
და სურნელოვან საკმეველთა ბოლით მოსილი
საკურთხევლები.

წვიმის წვეთები ხმაურობენ ხეთა რტოებში,
ველად ბალახებს ეფინება ვარდების ჩრდილი,
ათრთოლებული ფოთლებიდან მოითენთება
მდუმარე თვლემა.

მიმობნეულან საძოვრებით მდიდარ მინდორზე
ახლად მოსული ყვავილები და საამური
ნიავი არხევს იაკინთებს წმინდა ბაღების

წყაროთა ჩრდილში.

კიპროსშობილო, გვირგვინებით დამშვენებული
მოდი ამ ველზე და აღავსე ოქროს თასები
დამათრობელი სიხალისით განზავებული
ტკბილი ნექტარით.

ჰერას

3 მომიახლოვდი, მშვენიერო, დიდო ღვთაებავ,
მეც იმდაგვარად მომევლინე, ნათელო ჰერა,
ვით სახელოვან ძმებს – ატრიდებს გამოეცხადე,
დიდებულ მეფეთ,

არესის საქმე აღასრულეს ოდეს კეთილად.
მათ უწინარეს მდინარების განვლეს ნაპირნი,
აქ დაივანეს, ვეღარ შეძლეს გზის გაგრძელება
არგოსისაკენ,

ვიდრე შენ და ზევსს, კეთილ ქართა ცით გარდმომვლენელს,
არ მოგიწოდეს და თიონეს სანუკვარ პირმშოს.
ახლა მეც ველი შენს დიდებულ გამოცხადებას
უწინდებურად...

ძმისადმი

4 თქვენ გევედრებით, კითერეა და ნერეიდნო,
შეაძლებინეთ ბედნიერად შინ დაბრუნება
ჩემს ძმას და რაც კი სანატრელი გამხდარა მისთვის
უქციეთ ცხადად.

გთხოვთ, მიუტევოთ ოდინდელი შეცოდებები,
ახლობელნი რომ გაგვახაროს ხილვის სიამით,
მტერთ კი მიუზღოს ბოროტების წილ საკადრისი
მისაგებელი.

ნუღარასოდეს დაეთმინოს მსგავსი სალმობა,
სადარდებელი დაივიწყოს გარდასულ დღეთა
და ძველებური სიყვარულით აღსავსე სულით
დაბრუნდეს დასთან,
....

ქალწულებისადმი

5 ღმერთების ხვედრის მეჩვენება თანაზიარი

კაცი, რომელიც შენ წინარე ზის მდუმარებით
და გისმენს ტკბილად მოსაუბრეს, ნაზად მომღიმარს
სულგანაბული.

მე კი სხვა გრძნობა მეუფლება: ოდეს გიხილავ,
თუნდ წამიერი იყოს შენი გამოცხადება,
მღელვარებისგან ამოვარდნას ისწრაფვის გული
და გაოგნებულს

ძალი არ შემწევს, ხმა გავიღო შენდა სათქმელად.
თავბრუ მეხვევა, მწველი ალი სხეულს დამივლის,
თვალთაგან ჩინი მეკარგება, სასმენელთაგან
მერთმევა სმენა,

ოფლად ვიღვრები, თრთოლა მიტანს, გონებას ვკარგავ,
ბალახზე უფრო მწვანე ფერი სახედ მედება,
მცირედი ხანიც, და უსულოდ ჩავიკეცები
მგონია, მკვდარი.

მაგრამ ყველაფრის დამთმენია საბრალო სული.

ანაქტორიას

6 მხედარს ადიდებს ზოგიერთი, ზოგი კი ქვეითს,
ზოგს ხომალდების ხილვა უფრო ესალბუნება,
მე ვუწოდებდი ამ ბინდისფერ დედამიწაზე
უმშვენიერესს

ვისდამიც ილტვის სიყვარულით ადამიანი.
დაერწმუნებით ამ სიტყვათა ჭეშმარიტებას,
თუკი ელენეს მოიგონებთ, მიწიერთაგან
ულამაზესმა

რჩეულთა შორის ღირსეული დატოვა ქმარი,
თავის ასული, საყვარელი დათმო მშობლები
და წარიტაცა პირველხილვის ცთუნებამ ტროად
კიპრისის ნებით.
წმინდაა გრძნობა მინდობილი ღვთაების ნებას,
ისე მსუბუქი, უთრგუნველი გონების ძალით,
მომაგონდება ჩემგან შორით განრინებული
ანაქტორია

და მენატრება უფრო მისი მსუბუქი რება,
ნათელი სახის ბრწყინვალება, ვიდრე ლიდიის
ოქროს ეტლები, ან აბჯარასხმულ მეომართა
მშვენიერება.

გახსენება

7 მხოლოდ სიკვდილი მენატრება მარტოდ დარჩენილს,
ოდეს მტოვებდა, მწუხარებით მოიცრემლოდა,
გზის გასაყართან გამომეთხოვა:
“ოი, რა მძიმე სევდამ შეგვიპყრო,
მე უხალისოდ გშორდები, საპფო”.
პასუხად ვუთხარ: “გზა მშვიდობისა,
მომიგონებდე ტკბილად, ხომ გახსოვს,
რა ნეტარებით ვეძლეოდით საწუთროს ლხენას,
თუ დაგავიწყდა, თავად გიამბობ,
მსურს გაგახსენო,
თუ რაოდენი სილამაზე დაგვითმენია,
მინდვრად გაბნეულ ვარდებს და იებს
დავკრეფდით ერთად და გვირგვინებით
შეიმკობდი თმებს მუხლმოყრილი იქვე, ჩემს ახლოს,
დაიმშვენებდი შენს სათუთ კისერს
მინდვრის მძივებით
და გიხდებოდა ნაირგვარი ყვავილთფერობა.
შემდეგ სხეულზე გულმოდგინებით
მიიპკურებდი სურნელოვან სამეფო მირონს,
მოისვენებდი რბილ სარეცელზე
...
და არსად იყო სადმე ფერხული,
წმინდა ადგილი,
რომ არ გვეხილა კვალი ჩვენი ბორიალისა.

ატთისს

8 სარდეში ხშირად შენზე ფიქრი აიყოლიებს,
ღვთაებასავით გეთაყვანება.
ოდეს აქ იყავ,
შენი ხმიერი სიმღერებით იხიბლებოდა.
ახლა ანათებ ლიდიელი ქალების დასში,
როგორც მთოვარე ვარდისფერთითა,
მზის ჩასვლის შემდეგ რომ გაკრთება ცის კაბადონზე,
ყველა ვარსკვლავის დამჩრდილავი უცხო მშვენებით,
რომლის ნათელი სხივი აღავსებს
მარილიან ზღვას, ყვავილებით მოფენილ მდელოს,
სადაც ლამაზად იბნევა ნამი,
გაცოცხლდებიან მაშინ ვარდები,
ყვავილნაყარი ძიძოებიც იწყებენ სუნთქვას.
დაეხეტება მიმწუხრისას იგი მოწყენით,

როს სიყვარულით იგონებს ატთისს
მისი სათუთი, მწუხარებით აღსავსე სული.
მოდიო ჩემთან! – მას მოუხმობს ხმამაღლა იგი,
მაგრამ ზღვის მრავალ ხმაურთა შორის
არავის ესმის შორეული ძახილი მისი.

კლეისს

9 მე მახსენდება დედაჩემის ნათქვამი, კლეის:
“ოდესღაც, ჩემი ქალწულობისას
ყველას სჯობნიდა სიმშვენიერით,
ვინც კი კულულებს ძოწისფერი ბაბთით იმკობდა.
მას უხდებოდა ეს სამკაული,
ვისაც თმა ჰქონდა კანდელზე უფრო
ცეცხლოვანი და მოელვარე.
დამშვენდებოდა იგი უმეტეს, თუ ჩაიბნევდა
ახლად დაკრეფილ ყვავილებს თმებში”.
შენ მოჩითული რიდე მთხოვე
მეძღვნა სარდედან,
ო, მომიტევე, ჩემო ასულო,
მე ვერ გიბოძებ სასურველ რიდეს,
იქნებ მიმართო მიტილენეს ლამაზ ქალწულებს...

ეპითალამიები

ჰექტორისა და ანდრომაქეს ქორწილი

16 ოდეს მოვიდა კვიპროსიდან
მალემსრბოლი მახარობელი იდაოსი,
გაავრცელა ხმა საამური,
აზიისათვის სასახელო ამბავი განთქვა:
“წყლებით მდიდარი პლაკიიდან, ღვთაებრივი თებედან უკვე
ეშურებაო გზას ჰექტორი მოყვასთ თანხლებით,
ხომალდით მოჰყავთ ანდრომაქე, მშვენიერი სახიერებით.
გადმოლახავენ მარილიან ზღვას ალბათ მალე,
მოაქვთ ურიცხვი
უცხოდ ნაქარგი ძოწისფერი თავსაბურავი,
ვერცხლის თასები,
ოქროცურვილი ნაირგვარი სამკაულები, ძვლები სპილოსი”.
ეს რა ისმინა, მეყვსეულად წამოიჭრა მამა – მშობელი,
მთელმა ქალაქმა გულისხმა-ყო,
ახლობლებსაც აცნობეს უმალ,

სახელოვანმა ვაჟკაცებმა, ილიონის მკვიდრმა შვილებმა
გამოიყვანეს სახედრები ლამაზბორბლება ურმებისათვის,
ზედ ქალნი დასხეს უპირველეს, ნაზწვივიანი ქალწულებიც,
ცალკე მოთავსდნენ პრიამოსის ქალიშვილები.
ეტლებს შეაბეს ახალგაზრდა რაინდებმა მალი ცხენები,
უძლიერესნი თვალს მიეფარნენ...
...
გამოჩნდა ოდეს ღვთის სადარი ანდრომაქე
ჰექტორთან ერთად,
ბრბო თავშეყრილი მიეგება ზარ-ზეიმით ეტლის წინარე
ეთაყვანა და წინ წარუძღვა ილიონისკენ.
ზეიმს ხმიერი საკრავების შვენოდა ჰანგი.
ავილთა ხმები მიერთვოდა ციმბალის და მაგადის ჟღერას,
ისმოდა ყმაწვილ ქალთა ტკბილი საგალობელი,
ცამდე აღწევდა ძლიერი ხმა, იხაროდენ ერისიონნი.
გზა-ბილიკები საზეიმოდ იყო მორთული,
აღვსილი იყო ფიალები და კრატერები...
საკმეველის და ფოინიქსის სურნელება აღზევდა მაღლა,
მანდილოსნები ხმამაღალი სიმღერებით მოიმღეროდნენ,
კაცნი მომხიბლავ და მხიარულ სამადლობელს
უძღვნიდნენ ღმერთებს,
ლირამშვენიერ ჰეკებოლოსს უხმობდა ყველა
და აღავლენდა
მხურვალე ლოცვას ღვთისსადარი
ნეფე-დედოფლის სადიდებლად.

17 ...
ხის მაღალ რტოზე ტკბილი ვაშლი გამოკრთის წითლად
და ეს რტო ხისა მაღალზედ უფრო მაღალია,
დავიწყებიათ მოწყვეტა ვაშლის...
დავიწყებიათ კი არა და ვერ შეძლებიათ მიწვდომა მისი.

21 _ საით მიდიხარ, სიქალწულევ, სიქალწულევ, რად მიმატოვე,
– აღარასოდეს დავბრუნდები, დედოფალო, აღარასოდეს.

24 როგორც სუმბული,
მწყემსნი ფერხთა ქვეშ რომ თელავენ მთის ფერდობებზე,
ესე ყვავილი ძოწისფერი ეგდო მიწაზე.

25 მაღლა ასწიეთ ჭერი,
ჰიმენე!
სულაც ახადეთ ხუროებო, ჭერი,
ჰიმენე!
ნეფე მობრძანდება არესის სადარი,
მაღალზედ უფრო უმაღლესი.

ფრაგმენტები

27 ზეცის მნათობნი მშვენიერი მთოვარის ახლოს
მბრწყინავ სახეებს იმალავენ, ოდეს აღვსილი
აღმატებული ნათლით მოსავს მიწას ვერცხლისფრად.

28 აფროდიტეო, მოკაზმულო ოქროს გვირგვინით,
ო, როგორ მსურდა, მეც ასეთი ხვედრი მრგებოდა.

29 ვისთვისაც მხოლოდ სიკეთე მსურდა,
მათ უმეტესი მწუხარებით აღმივსეს სული.

30 ახლა ლამაზად უნდა ვიმღერო
მეგობარ ქალთა დასაამებლად.

□□□

ო, მშვენიერნო, თქვენდა მიმართ
არ შეიცვლება ჩემი აზრები.

31 მოკვდავთა შორის ნუთუ სხვა ვინმე
ჩემზედ უფრო შეგიყვარდება?

32 შენ დამიბრუნდი, რა კარგია, ო, როგორ მსურდი,
ნათელმოსილი სიყვარულით მევსება სული,
იბედნიერე, ვიდრე დროა ბედნიერების...

33 მშვენიერს მხოლოდ გარეგნობა აქვს მშვენიერი,
კეთილი უმალ მშვენიერიც მოგვეჩვენება.

34 სული შემიძრა სიყვარულმა ისე ძლიერად,
როგორც მაღლიდან მოვარდნილი ქარი შესძრავს
მთაზე მდგომ მუხას.

35 დაივიწყებენ სამუდამოდ შენს არსებობას,
თუ წილად არ გხვდა პიერიის ვარდების მადლი,
ოდეს მოკვდები, ბნელ ჰადესში დაიდებ ბინას
უსხეულო და უცხო ლანდებს შეუერთდები.

36 ნათელმოსილი, როს მთოვარე გაკრთა ცარგვალზე,
საკურთხეველის გარეშემო დადგნენ ქალები.

37 თუკი სიმდიდრეს ღირსება არ დააგვირგვინებს,
ცუდია, ერთად _ მწვერვალია ბედნიერების.

38 ჩაესვენა მთვარეც, ვარსკვლავებიც,
დადგა შუა ღამე,
დრო კი მიდის, მიდის...
ისევ მარტო ვწევარ.

41 _ მოკვდაო მშვენიერი ადონისი, კითერეა, რა გვეშველება?
შემოიხიეთ ქიტონები,
ქალწულნო, გლოვა გმართებთ საზარი.

42 უწინდებურად გონწარმხდელი ეროსი მთრგუნავს,
დაუძლეველი არსებაა იგი ტკბილ-მწარე.

ხოლო შენ, ატთის, შეიძულე ჩემი ფიქრები
და ახლა შორით მიისწრაფი ანდრომედასკენ.

43 – მსურდა, რომ მეთქვა შენთვის რაღაც,
მაგრამ მრცხვენია...

– ღირსებითა და სათნოებით სავსე სურვილი
რომ გქონდეს, განა წარმოთქვამდი საძრახის სიტყვებს?
მაშინ თვალებსაც არ დახრიდი დამორცხვებული
და გამანდობდი წრფელი გულით ნათქვამ სიმართლეს.

44 რა ლამაზია საყვარელი ჩემი გოგონა,
ჩემი კლეისი, ოქროვანი ყვავილის დარი,
მის ნათელ სახეს შემოვავლებ ლიდიასაც და
ლესბოსსაც მისდა სანაცვლოდ გავხდი.

45 ცისიერნი სწყალობენ უცრემლებოდ დარჩენილთ.

თარგმნა ნანა ტონიამ

ანაკრეონი

1 ჰოი, ირმებზე მონადირევ, მუხლს ვიდრეკ შენ წინ,
ოქროსფერ თმებით შემკობილო ზევსის ასულო,
ნადირთმფარველო არტემისო,
მოდი, მოაპყარ მწყალობელი ეგ შენი მზერა
სწორუპოვარი ვაჟკაცების მტკიცეზღუდოვან
ქალაქს – მდებარეს ლეთეოსის მდინარებასთან,
რამეთუ მწყემსი
შენ ხარ მორჩილ მოქალაქეთა.

3 მე ერთხელ ბურთი მეწამული ფერის მესროლა
ოქროსთმიანმა
ეროსმა და კვლავ სათამაშოდ,
ჭრელსანდლებიან გოგონასთან ცეკვად გამიხმო.
მაგრამ ქალწულმა,
ამ მდიდარი ლესბოსის შვილმა,
ჩემს ჭაღარა თმებს გადახედა დაცინვის თვალით
და მერმე სხვისკენ მიტრიალდა და გაუღიმა.

4 ო, მბრძანებელო, შენ, ყრმა ეროსი,
ყორნისფერთვალა ნაზი ნიმფები
და აფროდიტე ძოწითმოსილი
თავს ირთობთ ერთად. გთხოვ, გადმომხედო
უმაღლესი მთის მწვერვალიდან მღაღადებელს და
მავედრებელს მუხლმოყრით შენდა, მოწყალედ მექმენ,
მომევლინე ჩემთა თვალთა წინ და აწ განცხრომით
მოისმინე მუდარა ესე...
გთხოვ, კლეობულეს სანუკვარი რჩევით მიმართო,
აღმოუცენო სიყვარული ჩემდამო წრფელი,
ო, დიონისევ, ყურად იღე ვედრება ჩემი.

6 მწყურვალი ვარ, სურნელოვან ღვინით
აზარფეშა მომაწოდე ყრმაო,
შეურიე ათი წილი წყალი
მარტოოდენ ხუთ ფიალა ღვინოს,
მინდა შევსვა ასე მშვიდად, წყნარად,
მორიდებით ხოტბა ვუძღვნა ბახუსს.
...
ვინადიმოთ, მაშ, ამივსე თასი,
მე არ მიყვარს ღრეობა და ჩხუბი,
რაც ჩვევად აქვთ ლოთობისას სკვითებს,
(მე კი ქვეყნად რას არ დავივიწყებ)
ოღონდ ამო სიმღერის დროს მასვი...

9 მომიტანე ვაჟო წყალი, ღვინო,
ყვავილებიც მომიტანე ჩქარა,
გვირგვინებით მსურს მოვირთო თავი
და ხელდახელ შევებრძოლო ეროსს.

11 არ მიყვარს (კაცი) ნადიმისას, როცა კრატერით
ღვინოს სვამს, ცხარობს და ბრძოლებზე ცრემლისღვრით ყვება,
არამედ ვინაც მუზებსა და ლამაზ საჩუქარს
აფროდიტესას გამახსენებს ამოდ მომლხენი...

12 ო, თრაკიულო კვიცო, მაპყრობ ალმაცერ მზერას
შეუბრალებლად გამირბიხარ და არ მაფასებ...

თუმც დანავარდობ თავისუფლად, მე კი შენ მაინც
ამოგდებ აღვირს და სამანებს შემოგაჭენებ...
ჯერ კი მინდვრად სძოვ, მსუბუქად და შმაგად თამაშობ,
არ გიწვნევია ჯერ მხედვნელის მარჯვენის ძალა...

13 ქერათმიანი ევრიპილე ვნებით გზნებულა
მოხეტიალე არტემონზე...
ვიდრე ხმაროობდა იგი ძონძებს, ნათრევ მოსასხამს,
ყურებში კიდევ ხისა ზარებს და შიშველ მხრებზე
ხარის გაძრცვნილ ტყავს,
ჭუჭყიან ქარქაშს, უვარგის ფარს, მეფუნთუშესთან
მრუშობდა იგი... ეწეოდა ის ყალბ ცხოვრებას,
გარყვნილი, ფლიდი არტემონი...
ხშირად კისერი ედო ძელზე, ხშირად ბორბალზე,
თვით ზურგზეც ტყავის მათრახები ბევრჯერ ხვდომია
და თმა და წვერი დაუპუტავთ...
დღეს კი ატარებს ეტლში ასულს კიკესის ვაჟი,
ამშვენებს ოქროს საყურე და საჩრდილობელსაც
ხმაროობს, ნაკეთებს სპილოს ძვლისგან,
ქალების მსგავსად.

თარგმნა თამარ კალატოზმა

ქორიკა

ალკმანი

1 ...
ასეთია ღმერთების რისხვა.
ბედნიერია, ვინც თავის დღეებს
სიხარულით და უცრემლოდ განლევს,
მე კი ვუმღერი აგიდოს ნათელს,
ვუმზერ, მზესავით
ბრწყინავს აგიდო.
ქოროს კორიფე, სახელმოსილი,
არა მრთავს ნებას,
ხოტბა შევასხა მას ან გავკიცხო,
რამეთუ იგი გამოირჩევა
თავის რემაში,

ვით სარბიელზე გამარჯვებული
ფეხმრეკი ჰუნე,
ფრთებგამოსხმული ზმანებიდან გარდმოვლენილი.

ნუთუ ვერ ამჩნევ?
ეს არის ჰუნე ვენეტიური.
ჩემი მოყვასის
აგესიქორას თმები ბზინავს,
ვით წმიდა ოქრო,
ვერცხლივით ელავს მისი სახე.
რა საჭიროა ზედმეტი სიტყვა:
აქ არის თავად აგესიქორა,
აგიდოს მერმე მეორეა მშვენიერებით.
კოლაქსურ ჰუნეს
ეტოქება იბენიური.
ამბროსიული ღამის წყვდიადში
ცად აღმომხდარი პლეადები,
როგორც მნათობი სირიოსი,
ჩვენ, თვით ორთრიას მოსასხამის წამღებთ გვებრძვიან.

ძოწის ფერებით
ცის მნათობებს ვერ შევედრებით,
ვერც ნაირფერი,
ოქროცურვილი სამკლაურებით.
არ გაგვაჩნია ლიდიური რიდე,
თვალმნათ ქალწულთა თავსამკაული,
არა გვაქვს ნანოს კულულები.
არც ღვთაებრივი არეტე გვყავს,
არც სილაკისი,
არც კლესისერა,
ენესიმბროტეს ვერ ეწვევი, რათა შეჰბედო:
მსურს ასტაფისი!
მიმზერს ფილილა და დამარეტე,
მშვენიერი იანთემისიც.
მხოლოდ აგესიქორა მაწამებს.

ნუთუ აქ არის
ფეხმშვენიერი აგესიქორა?
აგიდოსთან ერთად
ნუთუ ხოტბას არ ასხამს ზეიმს?
მაგრამ, ღმერთებო,
შეისმინეთ მათი ვედრება!
ღმერთთა უწყიან დასაბამიც და დასასრულიც.
ქოროს კორიფე თქვენ მოგმართავთ:

“ამაოდ ვკივი, ვით ჭოტი სხვენზე,
მსურს აოტისი აღმატებულად გავახარო,
რამეთუ იგი მკურნალია ჩვენი სალმობის.
მაგრამ მხოლოდ აგესიქორას წყალობით
მივაღწიეთ ნანატრ სიმშვიდეს.”
...
მეხომალდეებს
მართებთ მესაჭის მორჩილება.
იგი სიმღერით სირინოზებს აღემატება,
ხოლო ისინი ღვთაებრივი მოდგმის არიან.
საოცრად მღერის ათი ასული,
თერთმეტის დარად,
მისი სიმღერა მოიღვრება,
როგორც ქსანთოსის დინებაზე გედის გალობა,
მშვენიერი, ცეცხლისფერი თმები...

11 ძინავთ მაღალი მთების მწვერვალებს, ძინავთ უფსკრულებს,
ხეობებსა და მღვიმეებს ძინავთ,
ძინავთ ასპიტებს, შავი მიწა რომ ასაზრდოებს,
მაღალი მთების ცხოველებს და ფუტკართა გუნდებს.
ძინავთ ურჩხულებს მეწამული ზღვის სიღრმეებში,
ო, ტკბილად ძინავთ გრძელფრთიანი ჩიტების დასებს...

თარგმნა ნანა ტონიამ

პინდაროსი

ოლიმპიური I. “ჰელოფსი”. ჰიერონ სირაკუსელს
და მის ცხენს ფერენიკოსს,
რომლებმაც გაიმარჯვეს სრბოლაში 476 წელს.

ს. 1 უაღრესია წყალი,
ოქრო კი, ბნელში ცეცხლივით რომ ელვარებს,
საგანძურების სიამაყეა.
ო, ჩემო გულო,
აგონების ხოტბას თუ ლამობ,
ნუ შეეცდები
უდაბურ ზეცად დღისით ჰპოვო ვარსკვლავი
მზეს ნათელით აღმატებული,
ნუ შეეცდები
ოლიმპიურ თამაშობებზე უაღრესი ჰპოვო სხვა ბრძოლა,
რადგან აქედან გადაეცემა
მრავალხმიერი სიმღერები პოეტთა აზრებს,

მიახლებულებს ჰიერონის ჭერკეთილ კერას,
რათა კრონოსის ძე განადიდონ.

ა. 1 ჰიერონისა,
რომელიც ფლობს სამართლის სკიპტრას
ცხვართა სიუხვით სახელგანთქმულ სიცილიაზე,
რომელიც ფლობს სიქველეთა მაღალ მწვერვალებს,
რომელიც ბრწყინავს
სანადიმოდ გაშლილ სუფრასთან
ჩვენთვის ჩვეული სიმღერების თაიგულებში.
მაშ, ჩამოიღე დორიული ჩანგი სარჭედან
თუკი შენს სულში პისასა და ფერენიკოსზე
საამო ფიქრის სიხარულმა დაისადგურა,
ფერენიკოსზე,
ცხენზე, რომელმაც ალფეოსის გასწვრივ ჭენებით,
რაოდეს ნებას მიშვებული სხეულით ქროდა,
ძალმოსილებას აზიარა თავის მეუფე –

ე. 1 ეტლით მებრძოლი მბრძანებელი სირაკუსისა,
რომლის დიდებაც
ბრწყინავს კაცებით სახელგანთქმული
ლიდიელი პელოფსის მიწად,
იმ პელოფსისა,
ვინც ასე ძლიერ შეიყვარა მიწისმრყეველმა პოსეიდონმა,

როს კლოთოს წმინდა ემბაზიდან აღზევებული იხილა იგი:
ნათელს აფრქვევდა სპილოს ძვალი მისი ბეჭიდან.
საოცარია ეს ამბავი,
თუმც მიწიერთა მიეთ-მოეთი
ხშირად განავრცობს ჭეშმარიტებას
და გვაცთუნებენ გამონაგონით სავსე მითები.

ს. 2 თავად ქარისიც,
ქვეყნად შობილებს რომ ანიჭებს პატივსა და სიამოვნებას,
დაუჯერებელს სინამდვილედ წარმოგვისახავს
და ჩვენც ვირწმუნებთ.
თუმც წარმავალი დღეები
არიან ყოვლად ბრძენი მოწმენი!
მიწიერს მართებს
ღმერთებზე თქვას მხოლოდ კეთილი
და ეს იქნება ნაკლები ცოდვა.
ტანტალოსის ძევ,
წინაპართაგან განსხვავებით შენს შესახებ
სხვა ამბავს ვიტყვი:

ოდესღაც, ძველი ადათის წესით,
შინ მიიწვია ტანტალოსმა ღმერთნი მაღალნი
და მისთვის ძვირფას სიპილონზე
ლხინი გამართა.
შენ სწორედ მაშინ მოგიტაცა
მბრწყინავი სამკაპის მპყრობელმა ღმერთმა.

ა. 2 ნდომამ დათრგუნა მისი გული,
ოქროს ცხენებით აღგაზევა
ზევსის ზეციურ საბრძანებელში.
სხვა დროს შენსავით მოიყვანენ აქ განიმედესს,
რათა დააცხროს ზევსის ვნება.
და გაქრა კვალი,
ვერ დაგაბრუნეს მშობელ დედასთან მაძიებლებმა.
ხოლო შურიანი მეზობელი ასე ყვებოდა:
თითქოს იხილა, როგორ დუღდა წყალი კოცონზე
და მდუღარეში იყრებოდა
ასო-ასოდ აკუწული შენი სხეული,
მერმე სუფრასთან გემრიელ ლუკმად
გინაწილებდნენ და შთანგთქამდნენ.

ე. 2 მე ვერ გავბედავ ღმერთს ვუწოდო კაცისმჭამელი,
აქ შევწყვეტ თხრობას,
რადგან მკრეხელი მიწყივ ისჯება.
და თუ ოდესმე ოლიმპოს მკვიდრნი
მიწიერთაგან ვინმეს ღირსჰყოფდნენ,
ეს იყო მხოლოდ ტანტალოსი,
მანაც ვერ შესძლო
გადაეტანა საოცარი ბედნიერება:
უსასტიკესად დაისაჯა, რადგან შესცოდა.
მაღალმა ღმერთმა მის თავს ზემოთ უმძიმესი ლოდი დაჰკიდა,
რომელიც უნდა ჩამოვარდეს.
ნეტარ სიმშვიდეს ტანტალოსი გამოეთხოვა,

ს.3 დაუსაბამო წამებით აღივსო
მიუსაფარი მისი სიცოცხლე.
იგი მეოთხე, სამის მერმე, ითმენს სატანჯველს,
რადგან მესტუმრე თანასწორთათვის
ღმერთებს მოჰპარა
წმინდა ნექტარი და ამბროსია,
რომლებშიც იყო უკვდავება.
ო, როგორ ცდება, ვინც იმედოვნებს,
რომ ღმერთის მზერას დაემალება!
სწორედ ამიტომ დაუბრუნეს მისი შვილი ცისიერებმა

მოკვდავთა მოდგმის ჟამიერ ყოფას.
რაოდეს იგი დავაჟკაცდა,
ღაწვები ღინღლით დაეფარა
და მოისურვა
სახელოვანი ჰიპოდამეა ცოლად შეერთო,

ა.3 ჰიპოდამეა, ვისაც ჰყავდა პისელი მამა,
მან მარტოდმარტო მიაშურა აქაფებულ ზღვას,
ღამის წყვდიადში მოუწოდა ყრუდმოქუხარ ღმერთს,
დიდებული სამკაპის მპყრობელს.
ფერხთა წინარე მოევლინა პოსეიდონი,
ვისაც შეჰბედა:
“თუკი გიგრძვნია აფროდიტეს საოცარი ძღვენის სიამე,
გთხოვ, შეაჩერე ოინომაოსის რვალის ოროლი,
ელისისაკენ გამაქროლე უსწრაფეს ეტლით
და გამარჯვებით გამასხივოსნე.
მან ცამეტ ვაჟკაცს მოუსწრაფა სიცოცხლის წამი,

ე. 3 რათა ქალწულის ქორწინება გადაეწია.
დიდია საფრთხე,
დამარცხება მოელის ჯაბანს,
მაგრამ თუ ვინმე სასიკვდილოდ განიწირება,
მიაღწევს განა უსაჩინო სიბერის ხანას
ჩრდილში მდგარი და განრინებული მშვენიერებას?
ბრძოლა მე უნდა დავითმინო,
შენ მაზიარე ჩემი საქმის კეთილ სამანებს!”
როდი აღმოხდა ლიტონი სიტყვა,
დიდებისათვის უბოძა ღმერთმა
ოქროს ეტლი და ტაიჭები, უღლელი ფრთებით.

ს. 4 ოინომაოსის ძალა მოსპო
და მისი ქალწულის სარეცელი გაიზიარა.
ჰიპოდამეამ უშვა ექვსი ძე,
ექვსი სიქველით გაბრწყინებული მბრძანებელი.
ახლა კი იგი, სისხლიანი მსხვერპლით მოსილი,
განისვენებს ალფეოსის მისადგომებთან.
მის სამარესთან უამრავი მგზავრი ჩაივლის,
მრავალი მსხვერპლი ეწირება აღმართულ ბომონს.
პელოფსის სახელს შორით ასხივებს
ოლიმპიური სარბიელი,
სადაც ფერხთა სისწრაფე იბრძვის
და სამანს ეძებს მედგარი ძალა.
ძლევამოსილი მწუხრის კარამდე

კრეფს მოგებული ბრძოლის სიამეს.

ა. 4 დღე დღეს გადასცემს მის დიად სახელს,
რაც მოკვდავისთვის უმაღლესი არის პატივი!
მმართებს მივუძღვნა მას მხედრული სადიდებელი
და დავამშვენო
ეოლიური ჰანგის გვირგვინით.
ვიცი, ისეთ კაცს, დღევანდელთაგან
ვინც შემკულია ორი თვისებით:
მშვენიერების წვდომითა და აღმატებული ძალმოსილებით,
ვერ განვადიდებ ღირსეულად ძნობის ხვეულით!
მზრუნველი ღმერთი, შენს განზრახვებს რომელიც განჭვრეტს,
გფარავს, ჰიერონ,
თუ არ მიგატოვებს იგი,
მეც შემეძლება აღმატებული სიტკბოებით შეგასხა ხოტბა

ე. 4 შენს მალემავალ ეტლთან ერთად
და გზას ვიპოვი ჩემი აზმისთვის,
რომელიც შენთვის იღწვის თვალხმიერ
კრონიონთან აღსაზევებლად.
ჩემს ძლევამოსილ ისარს ძალას შეჰმატებს მუზა,
სხვებს აღამაღლებს სხვა ნაღვაწი,
ხოლო მეფობით გვირგვინდება უაღრესობა!
ნუღარ მიმართავ მზერას უფრო შორს,
დაე, განგებამ
ამ სიმაღლეზე დაგავანოს აღსასრულამდე,
მე – მაარსებოს ძლევამოსილთა თანამდგომად
ელინთა შორის სიბრძნით ყოველს აღმატებული.

თარგმნა ნანა ტონიამ

განმარტებანი

ხალხური პოეზია

ანტიკური ხანიდან ჩვენს დრომდე ძველბერძნულ ხალხურ სიმღერათა მეტად მცირე ნაწილმა მოაღწია. ლიტერატურულ წყაროებში აქა-იქ ძუნწად მოხსენიებული ფრაგმენტების რიცხვი ექვს ათეულამდე აღწევს. ამ სიმღერებს, ჩვეულებრივ, მღეროდნენ რელიგიური დღესასწაულების, შრომის, საბრძოლო ლაშქრობების, თამაშობათა დროს.

ალკეოსი

(ძვ.წ. VII-VI სს.)

2

სიმღერის ბოლო ნაწილი დაკარგულია. შემორჩენილი ფრაგმენტიდან ნათელი ხდება, რომ სიმღერა ეძღვნებოდა დიოსკურებს, ტყუპ ძმებს – კასტორსა და პოლიდევკესს. დიოსკურების კულტი სხვადასხვა დროს სხვადასხვა ნიუანსს იძენდა. ალკეოსის დროს, როგორც ჩანს, ისინი ზღვაში მყოფთა მხსნელებად იყვნენ მიჩნეულნი. ხელოვნებაში კასტორსა და პოლიდევკესს ლამაზ ვაჟებად, თავ-

ზე ბერძენ მეზღვაურთათვის დამახასიათებელი ოვალური ქუდებით გამოსახავდნენ ხოლმე. ალკეოსი თავის სიმღერებში მათ გამოჩენას ცეცხლის ხილვას უკავშირებს. ასეთი გამოცხადება ღმერთებისა არ არის უცხო ბერძენთათვის. მსგავსი პასაჟები გვხვდება ეპოსსა თუ პოეზიაში. განსაკუთრებით საინტერესოა შემორჩენილი ფრაგმენტის ბოლო კარედი: "შავ ხომალდს – საშინელ ღამით – მხსნელი ნათელით მოევლინებით". მართლაც, შთამბეჭდავი პოეტური ხატია დასაღუპავად განწირული ხომალდის წარმოსადგენად. საყოველთაოდ მიღებული აზრით, ჰომეროსის ჰიმნი, რომელიც დიოსკურებს ეძღვნება, ასეთ შთამბეჭდაობასა და დრამატიზმს მოკლებულია (იხ. ჰ. ჰ. XXXIII).

6, 7, 8

სიმღერები აგებულია ორი ლეგენდარული გმირის – ელენესა და თეტისის ურთიერთდაპირისპირებაზე. მითის მიხედვით, თეტისი ზღვის ღვთაება ნერევსის ქალიშვილია. მას გაუმოჯნურდა ზევსი, რომელსაც სამისნომ უწინასწარმეტყველა – თეტისთან შობილი ვაჟი სიძლიერით მამას აღემატებაო. ამიტომ თეტისი მან იძულებით მიათხოვა მოკვდავ პელევსს. უკვე ალკეოსის ლექსიდან ჩანს, რომ თეტისმა შეიყვარა მეუღლე და ქორწინებიდან ერთი წლის თავზე "ურჩეულესი ძე ნახევარღმერთთა შორის შვა". ეს იყო აქილევსი, ტროას ომის გმირი. ალკეოსისთვის ამ მითიდან მთავარია თეტისის სიყვარული და ერთგულება პელევსისადმი. როგორც ჩანს, ამ სიმღერით პოეტი პასუხობდა ცნობილ სიმღერებს ელენეს შესახებ. ელენე ძველი ბერძნული ეპოსის პოპულარული გმირია. მის სახელთან დაკავშირებულია მრავალი ისტორიული თუ ლეგენდარული ამბავი. მითის გავრცელებული ვარიანტის მიხედვით, მენელაოსის მეუღლე, მშვენიერი ელენე მოიტაცა პარისმა და ტროაში წაიყვანა. მენელაოსმა მოუხმო ბერძენ გმირებს და გაილაშქრა ტროაზე. ასე დაიწყო ტროას ომი, რომელმაც მრავალი გმირი იმსხვერპლა. ელენეს მითის ამ სიუჟეტს გადმოგვცემს საპფოც (6). მეტად საინტერესოა, რომ თანამედროვე და თანამემამულე ორი დიდი პოეტი მითის ორ განსხვავებულ ინტერპრეტაციას გვთავაზობს.

9

სიმღერამ ფრაგმენტულად მოაღწია ჩვენამდე. ჩანს, მასში პოეტი ეხებოდა მითს კასანდრას შესახებ. მითოლოგიაში მიღებული აზრის თანახმად, კასანდრა აპოლონს მისნობის ნიჭით დაუჯილდოებია. მაგრამ, როდესაც ქალწულმა უარყო მისი სიყვარული, განრისხებულმა ღმერთმა იგი დასაჯა – კასანდრას წინასწარმეტყველებას აღარავინ უჯერებდა. არ ირწმუნეს მისი წინასწარმეტყველება ტროას დაღუპვის შესახებაც. როდესაც ტროა დაემხო, კასანდრამ სცადა დამალვა ათენას ქანდაკების უკან. მაგრამ ლოკრისელმა აიასმა, ოილევსის ძემ, ქალწული შენიშნა და იქვე პატივი ახადა. განრისხებულმა ათენამ ტაძრის წამბილწველი მკაცრად დასაჯა: გამარჯვებულ ბერძენთა ხომალდები, რომლითაც აიასი და მისი თანამებრძოლები სამშობლოში ბრუნდებოდნენ, მძვინვარე ქარიშხალში მოახვედრა და ჩაძირა. ნადავლის განაწილების შემდეგ კასანდრა ერგო აგამემნონს, ვისთან ერთადაც დაიღუპა მიკენში.

ეგე – ქალაქი ევბეაში.

დეიფობოსი – პრიამოსის ძე.

11

სიმღერა ალეგორიული ხასიათისაა. როგორც ჩანს, აქ ალკეოსი გადმოგვცემდა იმ გასაჭირის შესახებ, რომელშიც ჩავარდა იგი მირსილოსის წინააღმდეგ შეთქმულების მოწყობის ჟამს. ფრაგმენტი წარმოგვიდგენს იმ ხანად არსებულ პოლიტიკურ სიტუაციას. "ქარები" სიმბოლურად ასახავენ მოწინააღმდეგე პოლიტიკურ ძალებს, ხოლო "ხომალდი" იძენს ანტიკურ ხანაში უკვე ცნობილ "სახელმწიფო-ხომალდის" მნიშვნელობას.

12

ეს სიმღერა, ისევე როგორც ფრ. 11, ალეგორიული ხასიათისაა. აქაც ვხვდებით მინიშნებას არსებულ პოლიტიკურ სიტუაციაზე. აქაც "ხომალდი" სიმბოლურ მნიშვნელობას იძენს. ვარაუდობენ, რომ ეს სიმღერა აღნიშნული ფრაგმენტის გაგრძელება უნდა იყოს. საკუთარი სახელი "ბიკქისი" გვხვდება აგრეთვე სხვა ფრაგმენტშიც. თუ ვინ იყო იგი, გარკვეული არ არის.

16

ფრაგმენტი პიტაკოსს ეხება. სიტყვა "კაკოპატრივდან" ქართულად ვთარგმნეთ "სამშობლოს უბედურება", თუმცა მას სხვა ინტერპრეტაციაც შეიძლება მიეცეს.

17

სიმღერა ფრაგმენტულია, ამიტომ ბევრი რამ ბუნდოვანია. “წმინდა ქალაქი”, მკვლევართა აზრით, უნდა იყოს მიტილენე, რადგანაც აქ იყო სამი დიდი ღვთაების – ზევსის, ჰერასა და დიონისეს საკულტო ადგილი. კუნძულ ლესბოსზე მდებარეობდა აგრეთვე ქალაქი ჰირა (ჰიერაწმინდა). ზოგი მკვლევარი ვარაუდობს, რომ აქ სარდე იგულისხმება. ეპითეტი “ცბიერი მელა” პიტაკოსს უნდა ეხებოდეს.

20

მითოლოგიაში არისტოდამოსი ერთ-ერთი ჰერაკლიდია: სპარტის მეფეთა – ევრიხთონოსისა და პროკლოსის მამა.

24

ეს ფრაგმენტი ალკეოსის პოეტური აზროვნების ბრწყინვალე ნიმუშად იყო აღიარებული ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში. პოეტი გვიხატავს ადამიანისა და ბუნების მშვენიერების შერწყმის მომხიბლავ სურათს. ვარაუდობენ, რომ სიმღერა ჰიმნოგრაფიული ხასიათისა იყო.

26

სიმღერის ბოლო ნაწილი დაკარგულია. შემორჩენილ ფრაგმენტში ნათლად იკვეთება პოეტის განწყობილება. “ჰირას ძე” იყო პიტაკოსი. ამდენად, სიმღერა მის წინააღმდეგ დაიწერა. პიტაკოსმა, პოეტის რწმენით, დაარბია ქალაქი, გაანადგურა წმინდა ადგილები, უბედურება მოუტანა ხალხს. მან გატეხა მეგობართა შორის დადებული ფიცი. ალკეოსი შესთხოვს სამ მფარველ ღვთაებას (ზევსს, ჰერასა და დიონისეს), ერინისი – შურისძიების ღვთაება, მიუჩინონ მას. ეს ღვთაებები ითვლებოდნენ კუნძულ ლესბოსის მფარველებად მითიური დროიდან. ალკეოსი ყოველ ღვთაებას ტრადიციული ეპითეტებით მიმართავს: ზევსი – მოპირისპირე ქართა მბოჭავი; ჰერა – მოწყალე; დიონისე – უმი ხორცის მჭამელი (ამ უკანასკნელი ეპითეტის მნიშვნელობა დაზუსტებული არ არის).

ალკეოსი თავისი პოლიტიკური მრწამსით სრულიად ეწინააღმდეგებოდა პიტაკოსს, რომელიც ჯერ მისი მეკავშირე იყო, შემდეგ კი, მირსილოსისა. ალკეოსი პიტაკოსს უწოდებს “ბღენძს, ქოთნისმუცელას” (სტრ. 21). ასეთი არაპოეტური მიმართვა დამახასიათებელია მისთვის. დიოგენე ლაერტიოსი გვაწვდის საინტერესო სიას იმ ეპითეტებისას, რომლითაც ალკეოსი მოიხსენიებდა პიტაკოსს (1,81).

27

სიმღერა ფრაგმენტულია. სამშობლოდან გაძევებული ალკეოსი თავის ხვედრს უჩივის. მის მრავლისმხილველ სულს ერთადერთ სიხარულს ჰგვრის ლესბოსელ ქალწულთა სილამაზის დღესასწაულების წარმოდგენა (როგორც ცნობილია, მიტილენეში ყოველწლიურად იმართებოდა ქალწულთა სილამაზის აგონები). სიმღერაში შეინიშნება განწყობილებათა ცვლა, რაც ნიშანდობლივია ალკეოსის ლირიკისათვის.

ონიმაკლე – ალბათ ალკეოსის თანამზრახველი.

29

ეს სიმღერა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია ჩვენამდე მოღწეულ ფრაგმენტთა შორის. მისი შექმნის დროს, ჩანს, პოეტის მებრძოლი სული დათრგუნული იყო. ალკეოსი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ცხოვრებაში ყოველივე ამაოა, რომ ფუჭია სწრაფვა დიად საქმეთა აღსასრულებლად, რამეთუ მარცხი გარდუვალია. ამის მაგალითად იშველიებს სისიფოსის მითს, რითიც მიანიშნებდა მეგობარს, რომ სიკვდილისაგან თავის დახსნა შეუძლებელია. ამიტომ საჭიროა ტკბობა იმით, რაც ღმერთებს უბოძებიათ.

მელანიპოსი – არისტოკრატული მოდგმის სახელი; სავარაუდოა, ერქვა იგი პოეტის მეგობარს.

30

ბიკქისი – ბაკქოსის ეოლიური ფორმა.

32

ზევსის და სემელეს ძე – დიონისე, ღვინისა და ნაყოფიერების ღვთაება.

საპფო

(ძვ.წ. VII-VI სს.)

1

ჰიმნი აფროდიტესადმი – ასეთი სახელწოდებით არის ცნობილი ეს სიმღერა ბერძნულ ლირიკაში. საპფოს შემოქმედებიდან მან ერთადერთმა მოაღწია სრულად ჩვენამდე. ანტიკურ საბერძნეთშივე იყო მიჩნეული იგი ულამაზეს ჰიმნად. ჯერ კიდევ დიონისე ჰალიკარნასელი (ძვ.წ. I ს.) გამოყოფდა მას საპფოს სიმღერათაგან თავისი კომპოზიციური შეკრულობითა და მთლიანობით.

ჰიმნი წარმოადგენს ვედრებას ღმერთქალისადმი, რომლის ყოვლისშემძლეობაშიც დარწმუნებულია პოეტი (შდრ. აქილევსის ვედრება ზევსისადმი, როცა პატროკლოსი მიდის საომრად, ჰომ. ილ. 16. 233-8). სიმღერა სამ ნაწილს მოიცავს: მიმართვა, გამხნევება და ვედრება. ღვთაების გამოძახების ეს ფორმა ტრადიციული იყო კლეტიკურ ჰიმნებში (უ[მნოი კლჰტიკოივ – მიმართვის ჰიმნები). მაგრამ, როგორც ყოველთვის, აქაც საპფო ტრადიციულ ფორმათა ჩარჩოებით არ იფარგლება. პოეტის აზრები მიწიერი სცენებიდან თანდათან მიემართება ოლიმპიური დიდებულებისაკენ, გარდასულ დღეთა მოგონებიდან – საზეიმო დაპირებისაკენ; ხდება მოვლენათა შეუმჩნეველი ცვლა, რასაც მხოლოდ სიმღერის დასრულების შემდეგ შევიგრძნობთ სრულად.

2

ჩვენამდე მოღწეული ფრაგმენტი ნათლად წარმოგვიდგენს აფროდიტესადმი მიძღვნილი რელიგიური რიტუალის მომხიბვლელ სურათს. სიმღერას აქვს კლეტიკური ჰიმნის ფორმა. პოეტი სიყვარულის ღმერთქალს იწვევს ტაძართან, სადაც უნდა შესრულდეს რაღაც რიტუალი. აქ ყველაფერი იდუმალი მოლოდინით არის მოცული. კრეტაზე აფროდიტეს პატივსაცემად აგებული იყო ორიგინალური ტაძარი (იხ. დიოდ. სიც. 5.77); მას თაყვანს სცემდნენ როგორც “ანთეიას” და უკავშირებდნენ ყვავილთა ბაღებს. გაზაფხული იყო მისი დრო. ამრიგად, საპფომ ამოირჩია დრო და ადგილი, რომელიც შეეფერებოდა მის ღვთაებას. სიმღერის ყოველი კომპონენტი აფროდიტეს ეხება. ვაშლი იყო მისი ემბლემა. ცხენები შედიოდა მისი კულტის სისტემაში. როდესაც საპფო მოუხმობდა აფროდიტეს, აღწერდა იმ ადგილს, სადაც რელიგიური რიტუალი უნდა შესრულებულიყო. იგი გულისხმობდა, რომ სწორედ ეს ადგილი და ეს დრო სასურველი იქნებოდა მისი ღმერთქალისათვის. სიმღერის მეოთხე სტროფი ხსნის აღწერილი სიტუაციის შინაგან არსს. ყველაფერი მოლოდინშია, და როდესაც ღმერთქალი მოვა, მას თან მოჰყვება დღესასწაული. ბერძენთა წარმოდგენით ღმერთების ყოფნა რელიგიურ რიტუალთა შესრულების დროს იყო უდიდესი ბედნიერებისა და სიხარულის მომნიჭებელი. საპფო უფრო შორს მიდის, იგი მოუხმობს აფროდიტეს, არა მხოლოდ იმიტომ, რომ იმყოფებოდეს დიდ ზეიმზე, არამედ იმიტომაც, რომ ჩამოასხას ტკბილი ნექტარი ოქროს თასებში. ნექტარი არაფერს გულისხმობს სხვას, გარდა ამ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობისა: ეს არის ღმერთების სასმელი, რომელსაც საპფო და მისი მეგობარი ქალწულებიც უნდა ეზიაროონ. ისინი თავის დღესასწაულს ზეიმობენ და ბუნებრივია, სურთ აფროდიტე, მათი რჩეული ღმერთქალი, მათ შორის იყოს.

3

საპფოს ეს სიმღერა წარმოადგენს ვედრებას ღმერთქალ ჰერასადმი. ფრაგმენტი ძლიერ დაზიანებულია (ამიტომ წარმოვადგენთ შემოკლებით), მაგრამ ეს გადარჩენილი ნაწილიც საშუალებას გვაძლევს, ნათელი წარმოდგენა შევიქმნათ მის შესახებ.

სიმღერაში გამოყენებულია მითოლოგიური სიუჟეტი, კერძოდ, აქ მოხსენიებულნი არიან ტროას ომის მონაწილენი – არესი, ომის ღმერთი ძველ საბერძნეთში და ატრიდები, ატრევსის ვაჟიშვილები, სახელგანთქმული გმირები – აგამემნონი და მენელაოსი, რომლებმაც წარმატებით დაასრულეს ტროას ათწლიანი ომი და შინ მშვიდობით დაბრუნდნენ.

აღსანიშნავია, რომ საპფო მრავალგზის მიმართავდა მითოლოგიურ სიუჟეტებს და წარმოადგენდა მათ საკუთარი აზრებისა და განწყობილებების შესაბამისად. მკვლევართა აზრით, ეს სიმღერა საპფოს გადასახლებაში ყოფნის დროს უნდა იყოს დაწერილი. ამას გვაფიქრებინებს სტ. 20-ში ამოკითხული სიტყვა – “მიმაღწევინე”. შესაძლოა, საპფო ჰერას მიტილენეში კეთილად დაბრუნებას ევედრებოდა. იგი ავლებდა ერთგვარ პარალელს მას და ატრიდთა შინ მშვიდობით “მიღწევას” შორის.

სიმღერას აქვს კლეტიკური ჰიმნის ფორმა. იგი იწყება მიმართვით ღმერთქალისადმი და თავდება ვედრებით ღმერთქალისადმი. წერის ამგვარი მანერა დამახასიათებელია საერთოდ საპფოს პოეზიისათვის.

4

სიმღერა წარმოადგენს პროპემპტიკონს (ლოცვა მშვიდობით დაბრუნებისათვის), რომელიც საპფოს მისი ძმისადმი – ქარაქსოსისადმი უნდა მიეძღვნა. კლეტიკურ ჰიმნთაგან განსხვავებით პროპემტიკონი ნაცვლად ღვთაებათა მოხმობისა, იწყება მათდამი მიმართვით (შდრ. ჰომ. ოდ. 3.60). ამ შემთხვევაში საპფო კვლავ აფროდიტეს მიმართავს, როგორც ზღვისა და ნაოსნობის ღმერთქალს, მასთან ერთად მოიხსენიებს ნერეიდებსაც – ზღვის ფერიებს. შემდეგ იგი გამოთქვამს თავის სურვილებს ძმისადმი, მისი მეგობრებისადმი და საკუთარი თავისადმიც (შდრ. ჰომ. ოდ. 6,185; კალიმ. 194,98). სიმღერის ბოლოს საპფო კვლავ კიპრისს მიმართავს ძმის კეთილად დაბრუნების თხოვნით. აქ ერთგვარად იკვრება წრე. სავარაუდოა, რომ სიმღერამ თუმცა ძლიერ დაზიანებული, მაგრამ დასრულებული სახით მოაღწია ჩვენამდე, რადგანაც მას, ისევე როგორც საპფოს მთელ რიგ ჰიმნებს, ახასიათებს წრიული კომპოზიცია.

ჰეროდოტეს გადმოცემით (II, 135), საპფოს ძმამ ქარაქსოსმა ეგვიპტეში მოგზაურობის დროს შეიყვარა ცნობილი ჰეტერა, სახელად როდოპისი; დიდი თანხით გამოისყიდა და თან წამოიყვანა. ამან საპფოს დიდი გულისწყრომა გამოიწვია, რაც გამოხატა ერთ-ერთ სიმღერაში (შდრ. სტრაბ. XVII, 808; ათენ. 13. 596ბ; ოქს. პაპ. XV. 1800, 7-13; ფოტ. “@ღოდწვპიდო" აჯნავქჰმა”), რომელიც აღსავსე უნდა ყოფილიყო მისთვის დამახასიათებელი ემოციურობით, სიყვარულით ძმისადმი და სიძულვილით აზატი ქალისადმი (იხ. ოვიდ. წერ. საპფოს, 63-64); ამ სიმღერას ჩვენამდე არ მოუღწევია, სამაგიეროდ ჩვენთვის ცნობილია სხვა ფრაგმენტები, სადაც საპფო ამ თემას ეხებოდა. ქალს, რომელსაც ჰეროდოტე როდოპისად მოიხსენიებდა, იგი დორიქას უწოდებდა (შეად. სტრაბ. XVII, 808).

5

მართალია, სიმღერას აკლია ბოლო ნაწილი, მაგრამ ტოვებს მთლიან, დასრულებულ შთაბეჭდილებას. იგი თითქოს პოეტის ერთი ამოსუნთქვით არის დაწერილი. ლონგინოსმა (ჩვ.წ. III ს.) დიდი სიზუსტით განსაზღვრა მისი შთამბეჭდავი პოეტური ძალა: “არა ხართ გაოცებულნი, თუ როგორ მიმართავს იგი (საპფოს – ნ. ტ.) თითქოსდა შორით მყოფ სულსა თუ სხეულს, სმენას თუ ენას, თვალებსა თუ ფერს – ყოველივეს, რაც თითქოსდა განილტვა მისგან. ურთიერთსაწინააღმდეგო გრძნობათ რომ აერთებს, ის ერთდროულად თან იწვის, თან იყინება, ან გონი ერთმევა, თან ცნობას ეგება, ან სიკვდილის შიშით ძრწის, თან სიკვდილს ნატრობს, რათა თავისი განცდა ერთი რომელიმე გრძნობით კი არა, გრძნობათა ჯიდილით წარმოსახოს. განა ასე არ მოსდით მიჯნურთ. მაგრამ ეს არის, როგორც ვთქვით, ყველაზე მძაფრი (განცდანი, მძაფრთა შორის) და მათი თავმოყრა ერთ მთლიანში, რაც გამოარჩევს ამ სიმღერას სხვათაგან” (თარგმ. ბ. ბრეგვაძისა). ლონგინოსი არსად არ აღნიშნავს, რომ მას ფრაგმენტი მოჰყავს მთლიანობაში. ძნელია რაიმეს თქმა ამ საკითხთან დაკავშირებით. შესაძლოა, მისი ბოლო ნაწილი მართლაც დაიკარგა. თუმცა ის, რაც გადარჩა, არის ერთიანი და ნათელი. უფრო მეტიც, ეს სიმღერა ემოციური პოეზიის შეუდარებელი ნიმუშია, მასში პოეტი ადამიანურ ვნებათა გადმოცემის უმაღლეს ხელოვნებას აღწევს.

6

სიმღერა ეძღვნება პოეტის მეგობარ ქალს – ანაქტორიას. ლექსში მოხსენიებული ელენე ძველი ბერძნული ეპოსის საყვარელი პერსონაჟია. არაჩვეულებრივი სილამაზის გამო მის სახელს მრავალი გმირის სახიფათო თავგადასავალს უკავშირებდნენ. მისი სილამაზით მოხიბლულმა პარისმა იგი მოიტაცა და ტროაში წაიყვანა. ელენეს ქმარმა – მენელაოსმა დასახმარებლად მოუხმო გმირებს და პარისი ბრძოლაში გამოიწვია. ასე დაიწყო ტროას ომი.

სიმღერა იწყება ერთგვარი პრიამელ-ით “ზოგი... სხვები... მე კი...” ვარაუდობენ, რომ ეს ფორმა დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო ბერძნული ლირიკისათვის (შდრ. ჰორაც. ოდ. I, 1, 7). საპფოს იგი დასჭირდა საკუთარი მსოფლმხედველობის გადმოსაცემად. ამ სიმღერაში პოეტი აყენებს უმშვენიერესის პრობლემას – მიმართავს თავის ქალურ იდეალს მამაკაცური იდეალის წინააღმდეგ. მისთვის უმშვენიერესი არის ის, რაც ადამიანს უყვარს. სიყვარულისადმი ლტოლვა და თაყვანისცემა საპფოს არსებობის წარმმართველი იყო. ამაზე მრავალგზის მიგვანიშნებდა პოეტი სიმღერებში, მაგ-

რამ ესოდენი სინათლით ჩვენამდე მოღწეულ მხოლოდ ამ ფრაგმენტში გამოიხატა მისი აზრი. ამ სიმღერის წერის მომენტში საპფოსათვის მთავარი იყო ანაქტორიას ფიზიკური ხილვა.

7

ამ სიმღერის მიხედვით საშუალება გვეძლევა წარმოვიდგინოთ საპფოს წრის ქალწულთა ცხოვრების სურათები: ისინი მინდვრად კრეფდნენ ყვავილებს, გვირგვინებით თმებშემკობილნი სეირნობდნენ წმინდა ადგილებში, მათ სხეულს ასდიოდა მეფურ ნელსაცხებელთა საამო სურნელება... ფრაგმენტი იწყება მეგობართან განშორებული პოეტის სევდიანი სიტყვებით. ეს სტრიქონი ტრაგიკულ ნოტებს შეიცავს (შდრ. ჰომ. ოდ. 8, 461). საპფო წარმოგვიდგენს იმ გრძნობებს, რომელსაც იგი განიცდის ახლა, როდესაც გამომშვიდობება წარსულს ჩაბარდა. საყვარელ მეგობართან განშორება ავადმყოფურად მოქმედებს მის პოეტურ სულზე. შეყვარებულთან გამოთხოვებით გამოწვეული სიკვდილის სურვილი დამახასიათებელია ელინისტური პოეზიისათვის, თუმცა ეს ანარეკლი წრფელი ემოციებისა, ხშირად გაცვეთილი ფრაზის შთაბეჭდილებას ტოვებს. ბედნიერი წუთების გახსენება სხვა ხელოვანთან, შესაძლოა, ბანალური გამხდარიყო და მოსაწყენი, მაგრამ საპფოს ძალა იმაშია, რომ იგი უბრალო, გასაგები ენით, ყოველგვარი შელამაზების გარეშე გამოხატავს განცდილ გრძნობათა სიძლიერეს.

8

ეს მომხიბლავი სიმღერა, ჩანს, საპფომ მის მეგობარ ატთისს მიუღვნა. მასზე პოეტს ალბათ სხვა სიმღერებიც ექნებოდა დაწერილი, რომელთაგან მხოლოდ მცირეოდენი შემოგვინახა დრომ. ამ ფრაგმენტებიდან ცხადი ხდება, თუ რაოდენ დიდი სიყვარულით უნდა ყოფილიყო განწყობილი საპფო თავისი მეგობრისადმი.

ფრაგმენტის დასაწყისი სტრიქონები დაკარგულია, ამიტომ გაუგებარი რჩება, თუ ვინ იგულისხმება სარდეში მყოფად, რომელსაც ატთისზე ფიქრით “სული უმძიმდება”.

9

ეს სიმღერა საპფოს თავისი შვილის – კლეისისადმი მიუძღვნია. ფრაგმენტი გვიან იქნა აღმოჩენილი: 1939 წელს იგი პირველად გამოაქვეყნა ვოგლიანომ “ფილოლოგუსში” ორი – მილანური ბ და კოპენჰაგენური ა ხელნაწერების მიხედვით. მისი საპფოსადმი კუთვნილება დაადგინა ცნობილმა მეცნიერმა ლობელმა 1941 წელს.

ვარაუდობენ, რომ საპფოს ეს სიმღერა გაძევების დროს უნდა დაეწერა. პიტაკოსი, რომლის დროსაც გაასახლეს იგი მიტილენედან, იყო კლეანაქტიდების ჩამომავალი. თუ რამ გამოიწვია საპფოს გაძევება, ამაზე მეცნიერებაში არ არის ერთიანი აზრი.

16

ეს ფრაგმენტი საპფოს ქმნილებათაგან შედარებით კარგად შემოგვინახა ორმა პაპირუსმა. იგი აღდგენილი სახით წარმოგვიდგინა ათენეოსმა (II 460). პაპირუსებში არის მინიშნება იმის შესახებ, რომ სიმღერა II წიგნის ბოლოს ყოფილა მოთავსებული. ზოგიერთ მკვლევარს ეჭვი ეპარებოდა მის საპფოსადმი კუთვნილებაში, მაგრამ ენობრივმა ანალიზმა გააქარწყლა ეს აზრი. ფრაგმენტი წარმოადგენს მითიური გმირების – ჰექტორისა და ანდრომაქეს ქორწილის მომხიბვლელ სურათს. ვარაუდობენ, რომ იგი საქორწინო ეპითალამია იყო. აქ წარმოდგენილი სურათი ერთგვარ მიმართებაშია ჰომეროსის ეპოსთან (იხ. ილ. 24, 265, 321; აგრ. 6, 396; ოდ. 23, 362). მაგრამ იმდენად თავისებურია და განსხვავებული საპფოს თხრობის მანერა და სტილი, რომ ყოველგვარ გავლენაზე სრულიად ზედმეტია საუბარი. საპფოს ქალური ბუნება ჩანს იმ ეპითეტებსა და განსაზღვრებებში, რაც უხვად არის წარმოდგენილი სიმღერაში. პოეტი ახასიათებს ანდრომაქეს მომხიბვლელობას და არაფერს ამბობს ჰექტორის შესახებ. იგი გატაცებით აღწერს იმ სიმდიდრეს, რაც მექორწინეებს მოაქვთ ხომალდით. ეს ერთგვარ საზეიმო ელფერს აძლევს სიმღერას. ამას მოსდევს ახალი სურათი – ქალაქის მზადებისა ნეფე-დედოფლის შესახვედრად, და კიდევ ახალი სურათი – დიდი საქორწინო დღესასწაულისა. სიმღერის კითხვა თანდათან იპყრობს მკითხველს, უქმნის მას საოცარ საზეიმო განწყობილებას. ამ გრძნობას აძლიერებს სიმღერის ამაღლებული ტონი და მთლიანობა დროში.

ენა და მეტრიკული წყობა ლექსისა არ არის ჩვეულებრივი საპფოს პოეზიისათვის. ერთის მხრივ, აქ პოეტი ისაზღვრება ლესბოსური დიალექტით, გაურბის ჰიატუსებსა და ეპიკურ აღწერებს, მეორეს მხრივ, იყენებს არალესბოსურ გამოთქმებსა და ფორმებს.

21

სიმღერა დიალოგის ფორმით უნდა ყოფილიყო დაწერილი. შესაძლოა, მას ინსცენირების სახეც ჰქონდა საქორწინო ცერემონიალების დროს.

25

ეს მომხიბლავი ეპითალამია ნეფის მოახლოებისას იმღერებოდა ალბათ დედოფლის სახლში. მასში იგრძნობა ამაღლებული ტონი და საზეიმო განწყობილება.

43

არისტოტელეს თანახმად (რიტ. 1, 9), ეს ფრაგმენტი არის იმ სიმღერის ნაწილი, რომელიც საპფოს დაუწერია ალკეოსის პასუხად. ჩანს, "პოეტიკის" ავტორმა იცოდა ამ სიმღერათა არსებობისა და კავშირის შესახებ. თუ დავაკვირდებით ფრაგმენტს, შევამჩნევთ, რაოდენი თავშეკავებულობით მიმართავს ალკეოსი თანამოსაუბრეს. საპფოს პასუხი კი მკვეთრია და შეუბრალებელი. სიმღერა სასაუბრო ტონით უნდა ყოფილიყო დაწერილი.

ანაკრეონი

(ძვ.წ. VI ს.)

1

ლეთეოსი – მდინარე მცირე აზიაში, ერთვის მეანდროსს, რომლის სანაპიროზე მდებარეობდა ქალაქი მაგნესია. ამ ქალაქს განსაკუთრებით მფარველობდა არტემისი.

მაგნესიელმა ვაჭკაცებმა გმირული წინააღმდეგობა გაუწიეს სპარსელთა ჯარს, ამიტომაც უწოდებს პოეტი მათ სწორუპოვართ.

ლექსი გამართულია მსუბუქი გლიკონური საზომით, მხოლოდ მესამე და მერვე კარედებშია ფერეკრატესეული საზომი გამოყენებული.

3

ამ ლექსში ანაკრეონი ერთგვარი სიმსუბუქით აგვიწერს თავის სიბერეს და ამის გამო ლესბოსელი ქალწულისაგან უარყოფას.

ლესბოსი – კუნძული, რომელიც მდებარეობს მცირე აზიის ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროსთან.

6

ეს ფრაგმენტი შედარებით სრულადაა მოღწეული. იგი სუფრული სიმღერაა და ისევ და ისევ ზომიერი ნადიმისაკენ მოუწოდებს მოქეიფეებს.

ლექსში პოეტი ახსენებს სკვითებს, რომელთა ღვინის სმა ღრეობასა და ჩხუბთანაა დაკავშირებული. სკვითები არაბერძნული ტომებია და ისინი ჩრდილოეთით სახლობენ.

9

შემორჩენილი ნაწყვეტი ბერძნული ნადიმის სურათებს გვიხატავს. იგი სუფრულ სიმღერებს მიეკუთვნება. პოეტი უბრძანებს ახალგაზრდა ვაჟს გვირგვინების მოტანას. როგორც ვიცით, მონადიმეთათვის აუცილებელი იყო ყვავილთა გვირგვინებით თავდამშვენება. ისინი უგრილებდნენ შუბლს და საამო სურნელებით გულს უხალისებდნენ, მეტი სიძლიერით აღაგზნებდნენ სიყვარულთან საბრძოლველად.

12

ანაკრეონი თავისი გრძნობების გამოხატვისათვის ხშირად ალეგორიასაც მიმართავს. ასეა აქაც. "თრაკიელ კვიცში" უნდა ვიგულისხმოთ პოლიკრატესის კარზე მყოფი რომელიმე თრაკიელი ჰეტერა. არსებობს აზრი, თითქოს პოეტი ნამდვილად მიმართავს ცხენს, რომლითაც უნდა დაესაჩუქრებინათ, მაგრამ ეს არ უნდა იყოს მართალი აზრი, რადგან ცნობილია, რომ ანაკრეონი საოცრად უანგარო პიროვნება გახლდათ. მოსალოდნელ საჩუქარზე პოეტი წერას არ დაიწყებდა.

13

ზოგიერთ გამოცემაში ეს ფრაგმენტები ცალ-ცალკე გვხვდება, ზოგან კი ერთად. ჩვენც ვარჩიეთ ერთმანეთის მიმდევრობით წარმოგვედგინა, რათა არ დარღვეულიყო აზრის მთლიანობა.

ლექსიდან ჩანს, რომ ანაკრეონი გულგრილი არ უნდა ყოფილიყო ევრიპილესადმი, რომელმაც პოეტს ყოფილი მაწანწალა არტემონი არჩია. პოეტი ძალზე დაუნდობელია. იგი გესლიანი სიტყვებით დასცინის თავისი მეტოქის მთელ წარსულ ცხოვრებასა თუ აწმყოს.

"ხშირად კისერი ედო ჯირკზე, ხშირად ბორბალზე" – ამ სიტყვებში უნდა იგულისხმებოდეს დამნაშავის დასჯის ერთ-ერთი სახეობა. ასე სჯიდნენ მატყუარა გამყიდველებსა და მყიდველებს.

ალკმანი

(ძვ.წ. VII ს. II ნახევარი)

1

ერთადერთი ფრაგმენტი, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია შედარებით ვრცლად. მისი ტექსტი აღმოჩნდა XIX საუკუნეში ერთ-ერთი ეგვიპტური სამარხის პაპირუსებში. ეს არის სიმღერა, რომელსაც ასრულებდა ქალწულთა გუნდი. როგორც მოღწეული სტრიქონებიდან ჩანს, იგი ეძღვნება ქალწულებს – აგიდოსა და აგესიქორას.

სტრ. 17 ვენეტიური ცხენი – ვენეტები, ილირიის (ადრიატიკის ზღვის აღმოსავლეთი სანაპირო) მოსახლენი.

სტრ. 26-27 სკვითური და ლიდიური ცხენები – დასახელებულია ცხენთა საუკეთესო ჯიშები, ხოლო ქალიშვილისა და ცხენის შედარება დამახასიათებელია ძველბერძნული პოეზიისათვის.

სტრ. 30 ორთრია – ვარაუდობენ, აქ იგულისხმება ქალღმერთი არტემისი ("ორთრია" – "აღმმომავალი", არტემისის ეპითეტი სპარტასა და არკადიაში).

სტრ. 36 ნანო – ცნობილი პოეტი ქალი.

სტრ. 55 აოტისი – ან არტემისის ეპითეტია, ან ჩვენთვის უცნობი ღვთაების სახელი.

სტრ. 64 ქსანთოსი – მდინარე მცირე აზიაში.

პინდაროსი

(ძვ.წ. VII-VI სს.)

ოლიმპიური I. ჰიერონ სირაკუსელს.

"ქვეყნად სიმღერათა შორის უმშვენიერესს" უწოდებს ლუკიანოსი ამ სიმღერას ("სიზმარი", 7). ალექსანდრიულ ტრადიციაში ამ ოდას პინდაროსის ოლიმპიურ სიმღერათა შორის პირველი ადგილი აქვს მიჩნეული, რამდენადაც მასში ხოტბაშესხმულია ოლიმპიური ასპარეზობანი და მათი პირველი დამაარსებელი პელოფსი (ოლიმპიურ მეორე ოდაში ოლიმპიურ ასპარეზობათა დამაარსებლად პინდაროსი ასახელებს ჰერაკლეს, სტრ. 5).

ოდა ეძღვნება სირაკუსის ტირანს, ჰიერონს, რომელმაც 476 წელს ოლიმპიურ დოღში მოიპოვა გამარჯვება. პინდაროსმა ჰიერონს სხვა ოდებიც მიუძღვნა, მაგრამ ეს ყველაზე ადრეულია მათ შორის. ოდა პოეტის სიცილიაზე მოგზაურობის დროს არის დაწერილი. მას მკვეთრად გამოვლენილი სიმეტრიულობა ახასიათებს. დასაწყისი საკმაოდ რთულია (სტრ. 1-7), პინდაროსი ერთმანეთის გვერდით აყენებს სამყაროს დასაბამი წყლისა და ოლიმპიურ ასპარეზობათა უაღრესობას, რასაც მოსდევს ამ ასპარეზობებში გამარჯვებული ჰიერონისა და მისი ცხენის – ფერენიკოსის ხოტბა (სტრ. 8-24). ამ დიდებული შესავლის შემდეგ იწყება ოდის მითოლოგიური ნაწილი – ამბავი პელოფსზე, ოლიმპიურ ასპარეზობათა დამაარსებელზე (სტრ. 25-96). ოდის დასკვნით ნაწილში (სტრ. 96-116) კვლავ ჰიერონი და მისი გამარჯვება არის ხოტბაშესხმული.

(სტრიქონთა ნუმერაცია წარმოდგენილია ორიგინალის მიხედვით).

1. "უაღრესია წყალი..." – ამ ოდის ცნობილი დასაწყისი დიდ კამათს იწვევდა ძველ ბერძენ მოაზროვნეთა შორის. არისტოტელესთან ვხვდებით ასეთ განმარტებას: "იშვიათი სჯობს მრავალს, როგორც ოქრო რკინას, თუმცა ის ნაკლებ გამოიყენება. ოქროს მეტი ღირებულებაც აქვს, რადგან მისი მოპოვება ძნელია. მაგრამ, მეორეს მხრივ, ხშირი იშვიათს სჯობს, რადგან მეტად გამოიყენება და რადგან "ხშირი" სჯობს "იშვიათს", ამიტომაა ნათქვამი, რომ: "წყალი უკეთესია" ("რიტორიკა", 1.7.

თარგმანი თ. კუკავასი). სქოლიასტები მიიჩნევდნენ, რომ ამ სიტყვებში გამოხატული იყო თალეს მილეტელის ფილოსოფია, რომელიც სამყაროს პირველსაწყისად წყალს აღიარებდა.

4. პოეტის საკუთარი თავისადმი მიმართვის ერთ-ერთი ფორმა.

16. პოეტი მიმართავს საკუთარ თავს.

17. ფერენიკოსი ("გამარჯვების მომტანი") – სახელი ჰიერონის ცხენისა, რომელმაც თავის პატრონს უფრო ადრეც, 482 და 478 წლებში პითიურ ასპარეზობებზე მოუტანა გამარჯვება.

23. იგულისხმება: პისა, ადგილი ოლიმპიის მახლობლად.

27 და მომდევნო სტრიქონებში პინდაროსი ახდენს მითის ტრანსფორმაციას. ამ არქაული მითის ჩვეულებრივი ვერსიის მიხედვით, ტანტალოსმა გადაწყვიტა რა ღმერთების გამოცდა, ასო-ასო აკუწა თავისი შვილი პელოფსი, ქვაბში მოხარშა და სტუმრად მიწვეულ ცისიერებს გაუმასპინძლდა. დემეტრემ, რომელიც გართული იყო დაკარგულ პერსეფონეზე ფიქრით, შეჭამა კიდეც მხრის ნაწილი. დანარჩენი ღმერთები, რომლებიც ყველაფერს მიხვდნენ, აღშფოთდნენ და კვლავ აღადგინეს პელოფსი. მხრის ნაწილი, რომელიც დემეტრემ მიირთვა, შეცვალეს სპილოს ძვლით, ხოლო ტანტალოსი დასაჯეს.

პინდაროსი გვთავაზობს მითის მორალიზებულ ვარიანტს. ქვაბი შეცვლილია ემბაზით, რომელშიც მოირა კლოთო ახალშობილ პელოფსს განბანს. სპილოს ძვალი, მისი მხრის თანდაყოლილი სიქათქათით, რითაც მოიხიბლება პოსეიდონი, ხოლო პელოფსი, პინდაროსის მიხედვით, დაისაჯა იმიტომ, რომ ღმერთებს მოპარა უკვდავება და შეეცადა მის მინიჭებას ადამიანებისათვის.

44. განიმედესი, ლაომედონის ძე, "ილიადის" მიხედვით (V, 265; II, 232) იგი ცხოვრობდა პელოფსამდე, ხოლო კიკლიკური ეპოსის მიხედვით ("მცირე ილიადა" 6) – პელოფსის შემდეგ.

60. "მეოთხე სამის მერმე..." – გაუგებარი ადგილი: სქოლიასტების აზრით, აქ იგულისხმება ან ჰადესის ოთხი დიდი ცოდვილი – სისიფოსი, ტიტიოსი, იქსიონი და ტანტალოსი, ან ოთხი სასჯელი – შიმშილი, წყურვილი, შიში და უკვდავება. ჰომეროსი არ მოიხსენიებს შიშს, ხოლო პინდაროსი – შიმშილს და წყურვილს.

71. იგულისხმება: ოინომაოსი, პისას მეფე.

81. "...ცამეტი სასიძო..." – იხ. პავსანიასი (VI, 21. 10-11), შდრ. პინდ. 135.

87. "...უღლელი ფრთებით..." – ასე წარმოსახავდნენ პელოფსის ცხენებს (იხ. პავსანიასი, V, 17, 7).

დრამა

ტრაგედია

დრამა თავისი კლასიკური ფორმით საბერძნეთში ჩამოყალიბდა. ეს იყო სინთეზური ხელოვნება, რომელიც აერთიანებდა რიტუალის საკრალურობას, ეპიკური თხრობის მასშტაბურობას, ლირიკის ინტიმურობას, მუსიკის ირაციონალობას, კოსტიუმებისა და ნიღბების გამომსახველობითობას, შემოქმედის ნიჭიერებას, მსახიობის ოსტატობას _ ყოველივე იმას, რაც სანახაობის გრანდიოზულობის საფუძველს ქმნიდა. რიტუალი, რომელიც ამ სინთეზის საშუალებას იძლეოდა, დიონისეს კულტთან იყო დაკავშირებული. როდესაც ამ კულტმა ათენში სახელმწიფოებრივი აღიარება მოიპოვა (ძვ.წ. VI საუკუნის დასასრული), თეატრალური სანახაობები საზოგადოების უმნიშვნელოვანეს მოვლენად იქცა. ძველ საბერძნეთში დიონისეს კულტს წელიწადში ხუთი დღესასწაული ეძღვნებოდა, რომელთაგან სამს თან ახლდა თეატრალური ზეიმები (ლენეები, სოფლის დიონისიები, ქალაქის ანუ დიდი დიონისიები). როდესაც ამ ზეიმებმა აგონის ხასიათი მიიღეს, პირველობისათვის ბრძოლაში ერთმანეთს დაუპირისპირეს სამი პოეტი, რომელთაგან თითოეული წარმოადგენდა სამ ტრაგედიასა და ერთ სატირულ დრამას, პიესას, სადაც ქოროს პარტიებს ასრულებდნენ სატირები, დიონისეს თანმხლები თხისმაგვარი არსებები (აქედან მომდინარეობს სახელწოდება “ტრაგედია” ანუ “თხის სიმღერა”). ჯილდოს აგონის ყოველი მონაწილე იღებდა, თუმცა, პირველი, საპატიო ჯილდო მხოლოდ გამარჯვებულს ენიჭებოდა.

ძვ.წ. V-IV საუკუნეებში დრამა თავისი ორი უმთავრესი ნაირსახეობით, ტრაგედიითა და კომედიით, მხატვრული სიტყვიერების წამყვან ჟანრად იქცა. ტრაგედიის საწყისად არისტოტელე ქორიკულ ლირიკას, კერძოდ დითირამბოსს მიიჩნევდა (“პოეტიკა”, IV). მისი წარმოშობა ქოროდან გამოყოფილმა პირველმა მსახიობმა განაპირობა. დრამატული ელემენტის გაძლიერებას ხელი შეუწყო მეორე მსახიობის გამოყვანამ სცენაზე, რამაც ურთიერთდაპირისპირებულ ძალთა კონფლიქტის წარმოდგენის შესაძლებლობა შექმნა. მეორე მსახიობის იდეა კი ეკუთვნოდა ესქილეს, რომელმაც “ტრაგედიის მამის” სახელი დაიმკვიდრა სიტყვაკაზმული მწერლობის ისტორიაში.

ესქილე

(ძვ.წ. 525-456 წწ.)

არისტოკრატული მოდგმის პოეტის მოღვაწეობის ხანა ემთხვევა იმ მოვლენებს, რომლებმაც უდიდესი როლი შეასრულეს ბერძნული საზოგადოების ისტორიაში. ეს იყო პისისტრატიდების ტირანიის დამხობისა და კლისთენესის რეფორმათა შედეგად ათენის დემოკრატიულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების პერიოდი გამმაფრებული ბერძენ-სპარ-სელთა ომებით, რომელთა უშუალო მონაწილეც თავად იყო. ესქილეს მთელი შემოქმედება ამ ეპოქის ანარეკლია. მას 90-მდე ტრაგედია დაუწერია, რომელთაგან ჩვენამდე სრულად მხოლოდ შვიდი შემორჩა, მათ შორის ერთი ტრილოგია, სახელწოდებით “ო რ ე ს ტ ე ა”. ეს ტრილოგია (“ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი ”, “ქ ო ე ფ ო რ ე ბ ი ”, “ე ვ მ ე ნ ი დ ე ბ ი ”), რომელიც

დრამატურგს თავისი შემოქმედებითი გზის დასასრულს დაუწერია, ფილოსოფიური სიღრმითა და მხატვრული სრულყოფილებით გამოირჩევა. ერთი მითოსური ამბით დაკავშირებულ ამ სამ ტრაგედიაში მთელი სისრულით გაიხსნა ესქილეს შემოქმედების უმთავრესი თემა _ ზეიმი ათენური დემოკრატიისა, რომელიც სამყაროს სამართლიანობის განსახიერებად მიაჩნდა პოეტს. ტრილოგია ეხება დანაშაულისა და შურისძიების, ადამიანის ნებისა და ღვთის განგების ურთიერთდაპირისპირების პრობლემებს. სამართლიანი შურისძიების იდეის ზეობით ესქილე ბოლო ტრაგედიაში (“ევმენიდები”) განადიდებს ათენის სახელმწიფოს, რომელიც მისი აზრით, ეფუძნება რა მართალგანგებას, ახალ პოლისურ მორალს სთავაზობს სამყაროს.

თარგმანები:
ესქილე, ორესტეა, ძველი ბერძნულიდან თარგმნა გიგლა სარიშვილმა, თბილისი 1974 წ.
ესქილე, ტრაგედიები, ძველი ბერძნულიდან თარგმნა გიგლა სარიშვილმა, თბილისი 1978 წ.

ორესტეა

აგამემნონი

მოქმედი პირნი:

guSagi,
argosel moxucTa qoro,
klitemnestra,
macne,
agamemnoni,
kasandra,
egisTosi.

პროლოგოსი

(არგოსის სამეფო სასახლე. სასახლის სახურავზე წამოწოლილია გუშაგი)

გუშაგი

ღმერთებსა ვვედრი, ტანჯვას ჩემსას დასდონ სამანი.
უკვე გასრულდა წელიწადი, რაც დარაჯად ვარ
ატრიდთა სახლის სახურავზე, ძაღლური ყოფით.
ზემიჭვრეტია ღამეული კრება ვარსკვლავთა,
ზოგი რომ ზამთარს, ზოგიც ზაფხულს უგზავნის მოკვდავთ _
ციაგს რომ ჰფენენ და შვენობენ ეთერის წიაღ,
ოდეს მიმქრალნი კვლავ აღსავლით აღბრწყინდებიან.
ახლა მე ველი ჩირაღდნის ნიშანს,
ალს მოლაპლაპეს, რაც მოიტანს ტროიდან ცნობას _
ამბავს ქალაქის დაცემისა, ამას იქადის
კაცურ-განმსჯელი, მოიმედე დიაცის გული.
ავსიზმრეული, ნესტიანი ჩემი საწოლი
განა საძილედ პირს მიმიქცევს სიზმართა ხილვად,

გადამფოფრია თავზე შიში ნაცვლად ძილისა,
რომელიც ოდენ წამწამებზე წამით გაკრთება.
ხან მინდა სტვენა წამოვიწყო, ხანაც სიმღერა,
რომ აგრერიგი განვიმზადო ძილის წამალი.
ბოლოს კი ვტირი სახლეულის ბედზე მკვნესარი,
რომ აღარ დამშთა მოკეთე და ჭირისუფალი.
სვებედნიერად ჩამომეხსნას ნეტავი ტვირთი
და კეთილ მაცნედ ამოფრინდეს ალი წყვდიადში.

(შორეთში იფეთქებს ალი)

დიდება შენდა, ო, ჩირაღო, შენ, ღამის დღეო.
ნათელო, აღძრავ სახიობას ფერხისაისას
არგოსში მრავალს, ამ ხვედრისთვის დიდება შენდა.
ეჰე-ჰე-ჰეი!
უნდა ვაცნობო ეს ამბავი დაუყოვნებლივ
აგამემნონის ცოლს, წამოდგეს სარეცელიდან,
ვაშას ძახილით მიეგებოს ღამეულ პატრუქს.
უკვე დაეცა ილიონის ციხე-ქალაქი,
როგორც გვაუწყა კოცონმა ბნელში.
თავად პირველი დავუვლი ფერხულს.
ხელმწიფის ბედზე ნაყარია რემლი, რომელიც
მე გამისრულდა სამჯერ ექვსით _ კეთილი რიცხვით.
სვებედნიერი ნეტავ ხელზე ხელს შემახებდეს
ხელმწიფე იგი, სამშობლოში მობრუნებული.
სხვა ამბებზე კი უნდა ვდუმდე. ვეება ხარი
ტლანქი ჩლიქებით შემდგომია ენაზე მქისედ.
სახლს ენა ჰქონდეს _ უცხადესად გვითხრობდა ყოველს.
ამ ამბავს ისევ მას ვანდობდი, ვინც უკვე უწყის,
და ვინც არ უწყის, მას უფრორე გავუვიწყებდი.

(გუშაგი გადის, ორქესტრაზე გამოჩნდება არგოსელთა ქორო)

პ ა რ ო დ ო ს ი

ქ ო რ ო ს უ ხ უ ც ე ს ი

ათი წელია, რაც პრიამოსის
დიდი მეტოქე მენელაოსი და ხელმწიფე
აგამემნონი,
ზევსის განგებით ორტახტოვან, ორსკიპტროსან
ატრიდთა ჯუფთი
აქაველთა უშქარი ლაშქრით და ხომალდებით
ჩვენი მიწიდან გარდაიხვეწა,
ჩაება ომში.

და ხმობდნენ არესს.
ასე ძერები ხმობენ
ბარტყებს ბუდიდან ჩამოცვენილებს.
ზერე დაჰფრენენ, გამწარებით
ფრთათა ნიჩბებს ურტყამენ ჰაერს.
დაფართხალებენ მწუხარებით
საბუდარს აგრე.
ვიდრე არ ისმენს მავედრებელთა
ვალალებას მეუფე ზეცით _
აპოლონი, პანი ან ზევსი
და გარდმოავლენს
ერინიებს შურისგებისთვის.
აგრერიგად მიავლინა ატრევსის ძენი
უფალმა ზევსმა ალექსანდრესთან,
რომ იმ ქალისთვის, ვისაც ურიცხვი
ჰყავდა მეტრფენი, დაწყებულიყო
ფიცხელი ომი, დაულეველი,
ნაცარტუტაზე დაცემულიყო მეომრის მუხლი
და ნაფოტებად დაფშვნილი შუბი.
რისხვა დაატყდა დანაელებს
მსგავსად ტროელთა.
გარდასახდელი გარდახდების ბედის განგებით.
ვერც შესაწირით, ვერც ჯადოსნობით,
ვერცა თუ ცრემლით შეარბილებ
რისხვას ღვთაებრივს.
ჩვენ კი, ბებრები, ხელარგოსანნი,
შინ რომ დაგვტოვეს,
დავმსგავსებივართ უმწეო ბალღებს,
მკერდში რომ გვითრთის უსუსური
ბებრული გული
და შიგ არ ჰკივის შმაგი არესი.
ბებერ მუხას წყდება ფოთოლი.
სამი ფეხით, სუსტი ბავშვივით
მიბორძიკობს ბერი კაცი
სიზმარეულ სიცხადეში წუთისოფლისა.

(გამოჩნდება კლიტემნესტრა მხლებლებით. ხმა ქოროდან)

გვარქვი, ასულო ტინდარევსისა,
დედუფალო კლიტემნესტრა.
რა ვიღონთ? რაა ახალი? რის შემტყობელმა
რა უწყებისად
განიზრახე, სწირო საწირი?

ციხე-ქალაქის ღმერთებისთვის,
ზესკნელ-ქვესკნელის ღმერთებისთვის,
სახლის მფარველი, ბაზრის მფარველი ღმერთებისთვის
ბოლავს ბომონი.
ყოველი მხრიდან
ცას შესდგომია ცეცხლის სვეტები.
ხელადებიდან
კამკამა ზეთის ფიორა კვამლი
ეფინება ხელმწიფის ეზოს.
თქვი, დედუფალო, რასაც იზრახავ,
რისი თქმაც გსურს და ეჭვები
გამინიავე.
შემომესია ავი ფიქრები...
მხოლოდ სამსხვერპლო ცეცხლის ნათელი
ამინთებს იმედს, დააცხრობს წამით
მძიმე სატანჯველს და სატკივარს. გულს რომ მიცოხნის.

(კლიტემნესტრა ეახლება საკურთხეველს)

ქ ო რ ო

ს ტ რ ო ფ ი პ ი რ ვ ე ლ ი

ახლა კი მზად ვარ, რათა ღაღადვყო ბედწაღმართ მამრთა
გზათ გასრულება, ღვთის შთაგონებით
მივენდობი სიმღერის ნიჭს და ძალსა სიტყვისა.
აქაველების ორხატოვანი ძალმორჭმულება, ელადის სიყრმე,
სარდალი ორი,
წარგზავნეს შუბით და დამსჯელ ხელით,
ვით ძერძერუკნი ტევკრიდის მხარეს.
ვით ფრინველთ მეფე ნავთა მეფესთან _ დამწიოკები;
ფრთა შავის უკან მოჩანდა თეთრი,
იქვე, მხარმარჯვნივ სასახლისა დაეშვნენ მერმე
რჩეულ თავანზე;
ჩაუსაფრდნენ კურდღლების ბუნაგს,
დაჰფატრეს მუცლები მაკეებს,
გვამებში დაძიძგნეს მოცახცახე ნაყოფი დედათა.
აილინოს, მომაძახე აილინოს! დაე, ბოლო იყოს კეთილი.

ა ნ ტ ი ს ტ რ ო ფ ი პ ი რ ვ ე ლ ი

სახელგანთქმულმა მისანმა ოდეს
ნახა ფრთოსნები კურდღლის მჭამელნი, მყისვე ენიშნა
ატრიდი ორი ხმალაპყრობილი, წარსთქვა მაშინ:
დრო გარდააგდებს პრიამოსის ქალაქს ოდესმე;

ყველა სიკეთეს,
რაც შეკრებილა და სახალხოდ განბოძებულა,
გააცამტვერებს მოირების ულმობელობა.
მაგრამ არცერთმა ღმერთთაგანმა არ ინება,
ადრე შეეხსნა ზღუდემოვლებულ ტროის სარტყელი,
რამეთუ გაწყრა არტემიდა, წმიდა ქალწული
მამა-მშობელზე, ვინც ფრთოსანი შობა ძაღლები,
სუსტნი დედანი რომ შეჭამეს მუცელღებულნი.
ზიზღსა გვრის ქალწულს არწივების ბილწი ტრაპეზი.
აილინოს, მომაძახე აილინოს, დაე, ბოლო იყოს კეთილი!

ე პ ო დ ო ს ი

მშვენიერო ქალწულო, შენ იფრავ
მბრდღვინვარე ლომების უმწეო ბოკვერთ.
მეძუძურ ტყიერთ.
თუ ნიშანი სასიკეთოა, აღასრულე,
თუ ავბედითი _ გააწაღმართე.
კეთილად გვემღეროს პეანი!
კეთილად გვემღეროს პეანი!
დე, ნუ დააბრკოლებს დანაელთ ხომალდებს
ხანგრძლივი ქარები, უამინდობა.
არ შეგეწიროს უკანონო ზვარაკი,
მოყვასთა შორის შუღლს რომ დასთესს,
ცოლს ქმრისაგან რომ განარიდებს.
შინ ზის დიაცი პირგამეხებული,
შვილისათვის შურისმგებელი.
ასე უმისნა ავიც და კარგიც
ოჯახს მეფისას ბრძენმა კალქანტმა.
ყველა ამისთვის
აილინოს მომაძახე, აილინოს, დაე, ბოლო იყოს კეთილი!

ს ტ რ ო ფ ი მ ე ო რ ე

ზევსო მაღალო, რომელიც დასაბამით
სანატრელად ხმობილხარ,
ვლოცულობ შენდა.
არ ძალმიძს განსჯა
სრულიადი განსასჯელისა
თვინიერ ზევსის; შენ გევედრები
გარდამიცვალე სიხარულზე ვარამი ჩემი!

ა ნ ტ ი ს ტ რ ო ფ ი მ ე ო რ ე

გარდასულ დროის დიდი ღმერთი,
ვინც მძლეობდა, ჩქეფდა, ჰყვაოდა,

აწ აღარ არის, დავიწყებულა.
მხოლოდ იგი, ვინც შემდეგ იშვა,
აღზევებულა სვებედნიერი.
ზევსს მივუძღვნათ ეპინიკია,
დიდ არს იგი და ჭეშმარიტი.

ს ტ რ ო ფ ი მ ე ს ა მ ე

უფალი ტანჯვას და რუდუნებას
მოუვლენს მოკვდავთ, რომ აზიაროს
ამრიგად სიბრძნეს და სათნოებას.
არა გვშორდება ტანჯვა სიზმრებშიც,
რომ არ გაგვშორდეს ჩვენ სათნოება.

ა ნ ტ ი ს ტ რ ო ფ ი მ ე ს ა მ ე

მაშინ სარდალმა ხანმოთეულმა,
აქაველების ხომალდთა გამგემ,
არ დაძრა სიტყვა მისნის წინაშე
და მიჰყვა ჟამის ულმობელობას.
ავმა პირქარმა შეუკრა გზები
და აშიმშილა აქაველები
ავლიდის მხარეს, სადაც ქალკიდის
შმაგი ზვირთები დგებიან ყალყზე.

ს ტ რ ო ფ ი მ ე ო თ ხ ე

სტრიმონის მხრიდან იძრნენ ქარები,
თან მოიტანეს ხელმოცარვა, შიმშილი, ძრწოლა,
მიუსაფარი ნავთასყუდელნი,
ნავებისა და ნავსადგურთა განადგურება.
ჟამთა ქარებმა არგოსის ჯარის
ლამაზ გაზაფხულს ჩამოუცვინეს ძირს ყვავილები.
მერმე მოდგა ნათელმხილველი,
საშინელზე უსაშინლესი
ამცნო ბელადებს
რისხვა ქალღმერთის, არტემიდესი,
მაშინ დაარჭვეს ატრიდებმა მიწას არგნები
და ზე წამოდგნენ ცრემლმორეულნი.

ა ნ ტ ი ს ტ რ ო ფ ი მ ე ო თ ხ ე

ბრძანა სარდალმა ჭაღაროსანმა:
დია მძიმეა ბედს არ მიენდო.
დია მძიმეა დაკლა ასული, სახლის სიტურფე,
ბომონზე მამამ შეიღებოს ქალწულისმკვლელი

ხელები სისხლით.
რაღა დაშთება თვინიერ ტანჯვის?
დავაგდო ესე ნავ-ხომალდები?
დავაგდო ბრძოლა, ძალმოსილება?
ქარებს დააცხრობს ასულის მსხვერპლი,
გარნა სანაცვლოდ სულს აღაბორგებს.
დე, ბოლო მაინც იყოს კეთილი!

ს ტ რ ო ფ ი მ ე ხ უ თ ე

ბედისწერის იდვა უღელი,
მიეცა უგუნურ ზრახვებს,
ვერაგს და უღვთოს.
ხელიწიფა ყოვლისმძლეობა.
მოკვდავთ ანიჭებს თავხედობას
სამარცხვინო ბოროტი ძირი,
დაკლა ასული მშობელმა მამამ,
რომ სხვა ქალისთვის
დაეძრა ჯარი
და ხომალდები.

ა ნ ტ ი ს ტ რ ო ფ ი მ ე ხ უ თ ე

ვერც ლოცვამ ქალის, ვერცა მამის მოყვასეობამ,
ვერც სიქალწულემ
ვერ მოალბო მსაჯულთ ველური სისასტიკე.
მამამ ლოცვა აღასრულა და მერმე ბრძანა _
ბომონს წარეცათ მეფის ასული, როგორც ციკანი.
სამსხვერპლო ზეწრით აღამაღლეს ბომონზე იგი
თავდადრეკილი. ტლუ სიმამაცით
მშვენიერი აუკრეს პირი,
რომ სახლეულის მიმართ საბრალოს
არ დასცდენოდა რამ საყვედური.

ს ტ რ ო ფ ი მ ე ე ქ ვ ს ე

არტახით მქისედ აუკრეს პირი.
უცხო ტალღებად ეკეცებოდა ზაფრანისფერი კაბის ტალღები.
დგა გარინდებით, ვითარცა ხატი და მკვლელთა მისთა
ისრებს სტყორცნიდა თვალებიდან ვედრების ნიშნად.
აგრძნობინებდა თითქოს მშობელს, თუ ვითარ იყო ასული მისი,
თუ ვითარ ამოდ მღეროდა იგი მამაკაცების
რჩეულ სუფრაზე, საამო სიტყვით
ოქროპირობდა და მამის სვებედს განადიდებდა
მესამე ჭიქის მხიარული, ტკბილი პეანით.

ანტისტროფი მეექვსე

თვალს არ ენახა, ყურს არ ესმინა _ რაც შემდეგ მოხდა,
ოჰ, აღსრულდება ნამისნევი ბრძენი კალქანტის.
მსაჯული დიკე რუდუნებით მოგვივლენს სიბრძნეს.
ნურავინ გოდებს ხვალინდელ დღეზე,
ხვალემ იდარდოს შავი ხვალისთვის.
ნათელს გვპირდება განთიადის მორბედი სხივი.
დე, კეთილად აღესრულოს, რაიც სწადია
აპიის მიწის ციხე-ქალაქს, მას დედუფალი
დაიფარავს ყოვლად ძლიერი.

პირველი ეპიზოდი

(შემოდის კლიტემნესტრა, ეახლება ქოროს)

ქოროს უხუცესი

ო, კლიტემნესტრა, განვადიდებ შენს ძლიერებას,
დიდება შვენის ვაჟკაცის და სარდლის მეუღლეს,
ვისი სამეფოც უიმისოდ ობლად შთენილა.
საიმედოა ცნობა იგი, რაიც გეუწყა?
თუ სასიკეთოს იწყებ წირვას, მარქვი და გისმენ.
თუ დუმილს არჩევ, კარგს ამაში ვერ დავინახავ.

კლიტემნესტრა

სწორედ ისევე, ვით ხატოვნად იტყვიან ზოგჯერ,
მოვალს აისი კეთილ მაცნედ, ღამის ასული.
გადააჭარბა სიხარულმა ყოველ მოლოდინს,
არგიველებმა პრიამოსის დასცეს ქალაქი.

ქოროს უხუცესი

როგორა ბრძანე? რიგიანად ვერ მოვკარ ყური.

კლიტემნესტრა

მე ვთქვი გარკვევით, აქაველებს უპყრიათ ტროა.

ქოროს უხუცესი

ო, სიხარულმა ამიტანა, ცრემლები მომდის.

კლიტემნესტრა

ადასტურებენ ერთგულებას თვალები შენი.

ქოროს უხუცესი

ნუთუ სანდოა, ჭეშმარიტი ეგ რწმუნებანი?

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

დიახ, სანდოა, თუ არ ტრელობს განგება ჩვენზე.

ქ ო რ ო ს უ ხ უ ც ე ს ი

ეგებ ღამეულ სიზმარკეთილს ერწმუნე მხოლოდ?

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

არ მოგახსენებ მოჩვენებითს, ან სიზმარეულს.

ქ ო რ ო ს უ ხ უ ც ე ს ი

უფრთებო ჭორმა გაგაბრუა იქნებ ანაზდად?

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

ეჰ, შენ დამცინი, როგორც სულელ კუდრაჭა გოგოს.

ქ ო რ ო ს უ ხ უ ც ე ს ი

როდის დალაშქრა სპა ლაშქარმა ქალაქი იგი?

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

როდესაც ღამემ მიწურულმა ეს დღე დაჰბადა.

ქ ო რ ო ს უ ხ უ ც ე ს ი

ვით მოაწია მალემსრბოლმა ეგრე მალიად?

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

თვით ჰეფესტოსმა იდის მთიდან მოიღო შუქი,
კოცონი კოცონს მიადევნა მაუწყებელი.
იდის მთებიდან ლემნოსსა და ჰერმესის თხემებს
უწია ალმა. კუნძულიდან სამგზის მიიღო
ათონმა, ზევსის საბრძანისმა, შუქურ-ნიშანი.
ვითარცა თევზი ზღვის შეზვინულ ტალღების წიაღ,
დაჰქრის ჩირაღი ღამეული სასიხარულოდ.
ბრიალებს კვარი შეხანძრული, ვით მზე კეთილი
და შუქ-იმედი მაკისტოსის საგუშაგოსთვის.
ხოლო გუშაგი საღათას ძილს როდი ეძლევა,
მან აღასრულა მაცნის ვალი, როგორც რიგია.
და ჰა, შემაღლდა ევრიპოსზე ცეცხლის ლანქერი
და მესაპიის სადარაჯოს გადაუარა.
ძალი მოიცა ათინათმა, კეთილის მაცნემ.
წიწვის ფიჩხებზე დატრიალდა ცეცხლის ჩქერალი.
ამოდის ცეცხლი, ძლიერდება, უფრო ივსება,
თავზე ადგება აზოპის მთებს, როგორც მთოვარე.
ძილს უფრთხობს იგი კითერონის მაღალ კბოდეებს,

გორგოპის ტბაზე წინაუკმო ხლტის და დაცურავს,
თვით ეგიპლანკტის კლდეებამდე რომ განვრცობილა.
აღიძრა ცეცხლი, არა ცხრება, არცა ხანდება,
წითელი თმები ჩამოშალა და სარონიკის
სარკოვან ნაპირთ განეფინა ბოწოწოებად.
ეგრე გადაიალისქარა არაქნეს ქედნი
და მეზობელი ჭიუხები სათვალთვალონი.
იდის მთებიდან მოზრიალე ხანძრის ქარებმა
ფერფლი და ცეცხლი შეაპნია ატრიდთა კედლებს.
მე მეცნაურა შმაგი რბოლა მეცეცხლურების,
გადადიოდა ჩირაღდანი ხელიდან ხელში,
მათგან პირველს და უკანასკნელს ხვდა გამარჯვება:
აი, ნიშანი და საბუთი, რაც მოგახსენე,
რაიც მეუღლის დაბრუნებას მაუწყებს ტროითა.

ქ ო რ ო ს უ ხ უ ც ე ს ი

ო, ქალბატონო, ნეტარ იყვნენ ღმერთნი ცათანი!
რა სიხარულით ვისურვებდი კვლავ გამეგონა
გასაოცარი, საკვირველი სიტყვები შენი.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

ამიერიდან აქაველებს უპყრიათ ტროა.
ქალაქი ყვირის, გაპობილა ორად ყვირილი;
ძმარი და ზეთი რომ ჩაასხა ერთ ფიალაში,
არ გაზავდება ორი მტრული ნივთიერება.
დამარცხებულის ღაღადისი სხვანაირია,
სულ სხვაგვარია შეძახილი გამარჯვებულის.
გადაფოფრიან ცხედრებს თვისას მოქალაქენი,
მოძმე ვაჟკაცებს, ყმაწვილკაცებს _ მოხუცებულნი.
ვეღარასოდეს დღეის იქით ჭირისუფალნი
ვეღარ იგლოვენ თავისუფლად თავისიანებს.
მეორენი კი, ომის ტვირთი რომ მოიშორეს,
ზვაობენ ახლა, მათ ხელთაა ქალაქის განძი.
წესი და რიგი დარღვეულა, ყოველი კაცი
რასაც იხელთებს, წილხვედრილიც ისაა მისი.
დამორჩილებულ ტროის მდიდრულ პალატთა ჭერქვეშ,
ცხოვრობენ ლაღად, დააღწიეს თავი ცისქვეშეთს,
ქარსა და წვიმას, გაიმრავლეს ყველა სიკეთე
და აწ უშფოთველ, უგუშაგო ძილს ეძლევიან.
თუკი დასდებენ პატივს ღმერთებს ქალაქის მფარველთ,
დამარცხებული ქვეყნის ადათს არ შებილწავენ,
დაგვირგვინდება გამარჯვება სრულად და მტკიცედ.

დე, ნუ შეიპყრობს მოლაშქრეებს გაუმაძღრობა,
გამოსარჩენი, დამპყრობლური გასულდიდება.
გამარჯვებულებს უდგათ ჟამი შინ დაბრუნების,
რომ გზა განვლილი, წარმატებით უკუგამოვლონ.
ღმერთს დანდობილი დაბრუნდება ლაშქარი უკან.
ოდესმე მაინც დაიყივლებს მოკლულთა სისხლი,
დატრიალდება უცაბედი უბედურება.
ეს არის, ჩემგან, ქალისაგან რაც გაიგონე.
დაე, კეთილმა გაიმარჯვოს არა ნახევრად,
არამედ სრულად, რომ ვიგემო სიტკბო სავსებით.

ქ ო რ ო ს უ ხ უ ც ე ს ი

თუმცა ქალი ხარ, ბრძენკაცურად იტყვი და განსჯი,
რაც გავიგონე მეჭაშნიკა, მეჭეშმარიტა.
მზად ვარ ღმერთთათვის აღვავლინო ლოცვა-კურთხევა.
რუდუნების წილ სიხარული დაგვიდგა დიდი.

(კლიტემნესტრა შედის პალატაში. ქორო ლოცულობს)

ს ტ ა ს ი მ ი პ ი რ ვ ე ლ ი

ქ ო რ ო ს უ ხ უ ც ე ს ი

ო, ზევსო, მეუფევ! ნიუქტო, სანატრელო,
უხვი დოვლათის მომტანო ნიუქტო!
ტროის გოდოლზე შენ ისროლე
სიკვდილის ბადე. ვერც ასაკსრული,
ვერცა თუ მრწემი ვერ გადაურჩა
ყულფს მონობისას,
უბედურებას საყოველთაოს.
დიდება ზევსსა, სტუმართ მოწესეს!
მან მიუვლინა ალექსანდრეს
ისარ-ბოძალი, ადრე კაპარჭში
რომ მიაძინა, რათა უდროოდ
ცუდ ვარსკვლავზე არ გაესროლათ.

ქ ო რ ო

ს ტ რ ო ფ ი პ ი რ ვ ე ლ ი

ქუხილს ზევსისას გაიგონებს, ვინც ყრუ არ არის,
ვინც ბრმა არ არის _ კვალს იცნობს მისას.
აღესრულება ნება ღვთისა, სად გაგონილა
მოკვდავთაგანი ფეხით თელავდეს
წმიდა ადგილებს გაამაყებით?
ვერ გაიხარებს ასეთი კაცი.

ისჯება იგი, ვინც უზომოდ მედიდურია,
ვინც უკანონოდ აღზევებულა,
ვინც კუთვნილზე მეტით აავსო
სახლ-კარი თვისი,
არ უწყის ზღვარი. მხოლოდ ის არის
ჭეშმარიტად მოსახვეჭელი, რასაც მოვიხვეჭთ
სიბრძნით, სიკეთით.
რა ფასი აქვს ოქროს, ოდეს
მოდგება დიკე მოუსყიდველი
და მტაცებლობით რაც მოხვეჭილა _
გაჰფანტავს უცბად.

ა ნ ტ ი ს ტ რ ო ფ ი პ ი რ ვ ე ლ ი

ზოგჯერ გვიმონებს გონაშლილობა,
სურვილი მწველი _ შეცოდების ტკბილი ასული.
ბრიყვია ვნება, თავს ვერსად მალავს,
თითქოს ცეცხლშიაც გუზგუზებს იგი.
ჭუჭყიანია, როგორც მძიმე სპილენძის ფული,
ხელიდან ხელში გდებისაგან ფერგადასული.
სურვილი ხშირად ბრმა ბავშვს გვაგონებს,
ჩიტს დასაჭერად რომ გამოუდგა
და მთელ ქვეყანას შესწყრა იგი
ხელმოცარული _
წყევლას მისას არ უსმენს ღმერთი.
ვინც ჰმონებს ვნებას _
სჯის ბედისწერა.
ასე პარისმაც
ატრიდთა სახლში
წმიდა ტრაპეზს არ სცა პატივი
და გაიტაცა სახლიდან ქალი.

ს ტ რ ო ფ ი მ ე ო რ ე

მშობელი ქალაქი დატოვა ქალმა
შუბოსანთა ზათქით, ნავების ზრიალით.
ნგრევა დააწია ილიონს,
ამაყად, ფეხჩქარა გაიარა
ჭიშკრები მისი, ვიშმა და ვაებამ,
ბორგვამ მოიცვა სახლეული მთელი.
ვაიმე სახლი! ვაიმე და _ სახლი მეფისა!
ვაი, საწოლო, ტკბილო სარეცელო!
შინ მეუღლე დამდგარა შტერად,
სირცხვილს ბეჩავად დაუგდია.

აჩრდილიღა შერჩენია სახლს
ზღვად გარდახვეწილ ქალისათვის დამწუხრებული,
შეზიზღებია
სახლის საუნჯე. წარხდა სიხარული,
გაქრა აფროდიტე.

ა ნ ტ ი ს ტ რ ო ფ ი მ ე ო რ ე

რიოშია ყველა სიზმარი,
სანუგეშოდ რომ გენიშნება;
მოგეჩვენება, ვითომ ხედავ საყვარელ სახეს,
გინდა ხელებით წაეპოტინო, მაგრამ უმალვე
შეფრთხება, როგორც შემკრთალი ჩიტი,
გაგიფრინდება ბინდის სტუმარი.
შინ და გარეთ
დამკვიდრდა სევდა.
ელადის ლაშქრად ვინც განწესდა,
სახლში დატოვა შიში და ცრემლი,
გულებში გლოვა. დიდსატკივარმა
დასწვა გულგვამი.
ვინ იცის, რამდენ იმ ვაჟკაცთაგან,
ვინც გაემგზავრა,
შინ დაბრუნდება ფერფლი და მტვერი
და იარაღი მკვდრის მუჭიდან გამორთმეული.

ს ტ რ ო ფ ი მ ე ს ა მ ე

სისხლით, გვამებით მოვაჭრე არესს
ომის სასწორი უპყრია ხელთა
და ილიონით
აგზავნის იგი
დასატირებელ ვაჟიკაცის
საფერფლე ურნას, კოხტად მოჭედილს.
ვალალებენ ჭირისუფალნი, განადიდებენ ვაჟკაცს,
რომელიც იყო მედგარი
და მშვენიერი ჰპოვა სიკვდილი.
“მაგრამ ეს მოხდა უცხო ქალისთვის” _
დასძენენ ასე ჩუმი ყვედრებით
და შურისგების ქვეწარმავალი
მიცოცავს ნელა ატრიდთა კვალზე.
ხოლო სხვები კი დიდი პატივით
დაკრძალეს ბჭესთან ილიონისა.
იქ სამტრო მიწამ მიიღო მტერი.

ანტისტროფი მესამე

სამძიმოა ქალაქის აღბორგება, სამძიმოა რისხვა,
იგი გაწირავს, ჩაქოლავს ცოდვილს.
გაისმის გოდება,
მეუფეს შავეთი.
უთვალთვალებენ ღმერთები
კაცისმკვლელთ. და ერინიები
დასდებენ სასჯელს,
ვინც უსამართლოდ
ეწია ბედს.
დავიწყების ჩრდილი დაფარავს,
ვინც ხელიწიფა იოლად ეზიდა
დიდების ტვირთი: მძიმედ გრუხუნებს
მეხი ზევსისა.
არა მსურს ჭარბი ბედნიერება,
არა მსურს ქალაქთა მნგრეველი ვიყო,
არა მსურს პური მარილიანი,
გამოწვდილი დამპყრობლის ხელით.

მეორე ეპიზოდი

(ხმები ქოროდან)

საამო ცნობა გამოაშუქა
სწრაფად მქროლავმა კოცონმა ბნელში.
მაგრამ ვინ უწყის,
ეს სიმართლეა თუ გვათამაშებს განგების ძალა?
ბალღია იგი, ან ჭკუამწყრალი.
ვინც ცეცხლის ნიშანს ერწმუნება,
გულს რომ გაგვითბობს ანაზდეულად,
მერმე კი ქრება და სიცივე დაგვრჩება მხოლოდ.
მარტო დიაცის სუსტ გონებას შეეფერება
ბეცად ერწმუნოს მოჩვენებითს და უადგილოდ
ღმერთებს მადლობა მოახსენოს, რადგანაც ქალი
მალემრწმენია, სურვილებიც ქარივით უქრის,
სიხარულიც ქალისმიერი
წარმავალია, ვით გრძნობა ქალის.

ქოროს უხუცესი

მალე შევიტყობთ, ჭეშმარიტი არის თუ არა,
რაიც გვაუწყა კოცონმა და პატრუქთა სრბოლამ,
იქნებ ტკბილი სიზმარია ეს ყოველივე
და ღამეულმა ათინათმა წარგვტაცა გონი?

ვხედავ, მალიად სანაპიროს მოსდევს შიკრიკი,
თავდაჩრდილული ზეთისხილის გრილი რტოებით.
აჰკვრია მტვერი _ მშრალი მიწის მწყურვალე დაი.
უტყვი ნიშანი ან ფიჩხნარი ალმოდებული. _
ტყიერი ცეცხლი ვერას გვეტყვის, არამედ იგი,
თავად შიკრიკი, ყოველივეს მოგვითხრობს წვრილად.
არა და მაშინ... დროზე უნდა დავმუწო პირი.
ნეტავ, ყოველი სვეკეთილად დასრულდებოდეს
და ვინმე თუა ქალაქისთვის ავის მსურველი,
ავად შეერგოს და ჩამწარდეს ნაყოფი ტკბილი.

(შემოდის მაცნე)

მ ა ც ნ ე

ო, მშობლიურო გოროხებო არგოსის მიწის!
კვლავ დაგიბრუნდი მე დღეისდღეს ათი წლის მერმე.
ბევრი იმედი ჩაქრა, მაგრამ აღსრულდა ერთი...
აღარ მეგონა თუ არგოსის მშობელ მიწაზე
ვეღირსებოდი მიცვალებას, კუთვნილ სამარეს.
მაშ, გამარჯობა ტკბილო მიწავ, ნათელო მზეო,
ზევსო, მფარველო ქვეყნისაო, შენც პითიელო,
ახლა რომ დუმხარ, აღარ გვიშენ უწყალოდ ისრებს...
საკმაო იყო სკამანდროსზე სისხლი და მსხვერპლი.
კვლავაც იყავი მსხნელად ჩვენდა, მეუფედ ჩვენდა,
დიდო აპოლონ. მე მოვუხმობ ახლა სხვა ღმერთებს;
მალემსრბოლ ჰერმესს, უპირველეს მალემსრბოლთაგანს.
თქვენ კი, დევგმირნო, სასისხლოდ რომ გაგზავნეთ ჯარი,
კვლავ ჩაიბარეთ შუბს და ჰოროლს გადარჩენილი.
ო, ხელმწიფეთა საბრძანისო, სრა-სასახლენო,
ნაკურთხო ტახტო, ღვთაებრივო სალოცავებო
და სიძველენო, ბრწყინვალებით თვალის მიმტაცნო,
ისევ მიიღეთ მეფე თქვენი მრავალ წლის მერმე,
მობრძანდა იგი, შუქმოსილი, კეთილშობილი,
ხელმწიფე თქვენი, ჯიღოსანი აგამემნონი.
მიეგებენით ზარ-ზეიმით, როგორც შეჰფერის, _
ზევსის ორკაპით გულოვანმა რომ დასცა ტროა
და ბჭენი მისნი ნაცარტუტად გარდააქცია.
ქვედაენარცხა ბომონები და ღვთაებრივი
ტურფა ტაძარნი, განადგურდა სრულად ნათესი.
რომელმან ტროის ციხე-გოდოლს სტყორცნა ქამანდი,
მოვალს დიდებით ბედნიერი აგამემნონი,
პირველთაგანი კაცთა შორის და უხუცესი
ატრიდი ქველი. არ იკვეხნის უკვე პარისი

მკვდარი ქალაქით, შურისგებით აღვსილა გული.
მზვაობრობისთვის, დაუცხრომელ მტაცებლობისთვის,
შეცოდებისთვის ამოვარდა ძირფესვიანად
მეფური გვარი, სახლეული დაცარიელდა.
მწარედ უწია პრიამიდებს ორგვარმა ცოდვამ.

ქ ო რ ო ს უ ხ უ ც ე ს ი

აქაველების მალემსრბოლო, შენ გაიხარე.

მ ა ც ნ ე

აჰა, მეც ვხაროზ,აწ სიკვდილიც არარად მიჩანს.

ქ ო რ ო ს უ ხ უ ც ე ს ი

სამშობლოს სევდა თან დაგდევდა, ეჭვი არ არის.

მ ა ც ნ ე

ეჭვი არ არის... სიხარულის ცრემლი მდის ახლა.

ქ ო რ ო ს უ ხ უ ც ე ს ი

და ალბათ სენიც მოგეძალა სიხარულის წილ.

მ ა ც ნ ე

როგორა ბრძანე? მსურს გავიგო ქარაგმა შენი.

ქ ო რ ო ს უ ხ უ ც ე ს ი

დარდი გაქვს მისი, ვინაც ალბათ, შენთვის დარდობდა.

მ ა ც ნ ე

ლაშქრად წასულებს იგლოვდაო სამშობლო, ამბობ.

ქ ო რ ო ს უ ხ უ ც ე ს ი

ბევრგზის აღმოხდა გლოვის ზარი სულის სიღრმეებს.

მ ა ც ნ ე

რაზედ იგლოვდა ჯარებისთვის ქვეყანა ეგრეთ?

ქ ო რ ო ს უ ხ უ ც ე ს ი

დიდი ხანია, გადავყლაპე დუმილის ფხვნილი.

მ ა ც ნ ე

და მერე რათა, უხელმწიფოდ აქ ვინ გჩაგრავდა.

ქ ო რ ო ს უ ხ უ ც ე ს ი

ვით წეღან შენ თქვი, მეც არარად მიჩანს სიკვდილი.

მ ა ც ნ ე

რადღა, კეთილად აღესრულა ხომ ყოველივე.
შემდეგი დრო კი ხან ბედ-იღბალს მოგვივლენს ხოლმე.
ხან ავბედსა გვწევს, აბა, მითხარ მთელი ცხოვრება
რომელს ჰქონია ბედნიერი, თვინიერ ღვთისა?
ახლა მოგითხრო გასაჭირზე და სიმუხთლეზე,
სველი გემბანის ფიცარნაგზე თუ ვით ვეყარეთ
და სავსე იყო დღენი ჩვენი ვაით და ვიშით.
ურიცხვი გვედგა გასაჭირი ხმელეთზეც, როცა
მტრის გალავანთან დაცემული გვქონდა კარვები.
ცა მოქუფრული, წვიმიანი თავს გვექცეოდა,
ნისლი და ნესტი მოცოცავდა ხეობებიდან
და ტანისამოსს ზედ გვალპობდა ბეჩავ ტყიერებს.
აბა, ზამთარზე რაღა გითხრა, ხის რტოებს ესხათ
მკვდარი ჩიტები, ძნელბედობდა იდის თოვლქარი.
და ახლა სიცხე... ზღვა ჩამკვდარი და მოქანცული
თვლემდა უძრავად ჩაძირული შუადღის ხვატში.
მაგრამ რაღაზე გევაგლახო, დასრულდა ტანჯვა.
დასრულდა იგი იმისთვისაც, ვინც მიიცვალა
და საფლავიდან წამოწევა არ უწერია.
მაგრამ რისთვისღა ვეჩიჩინოთ ცოცხლებს სულეთზე
და უმძიმესი მოგონებით შევუძრათ გული?
დროა გარდასულ უიღბლობას დავემშვიდობოთ.
ჩვენ, აქაველებს, ომის გრიგალს ვინც გადავურჩით,
შეგვიმსუბუქა გამარჯვებამ ბედის სიავე.
თვალი ამაყად გავუსწორეთ მარადიულ მზეს
და შეგვწევს ძალი ზღვას და ხმელეთს ვაუწყოთ ესრეთ:
“აქაველებმა დიდებული დაამხეს ტროა,
მოიალაფეს განძეული მისი მდიდრული
და ელადაში სანაქებოდ მორთეს სახლები”.
რაჟამს ამ ამბავს შეიტყობენ, განადიდებენ
ქალაქს და სარდლებს, მოწიწებით მოახსენებენ
მადლობას ზევსსა. სულ ეს არის, რაც უნდა მეთქვა.

ქ ო რ ო ს უ ხ უ ც ე ს ი

სიტყვის სიმწყობრით შენ მაჯობე, მე ვაღიარებ.
მოხუცი მუდამ ჭაბუკია სიბრძნის წყურვილით.
დე, გაიხაროს სახლეულმა და კლიტემნესტრამ
ჯერ ამ უწყებით და მერმეცა ჩვენც გვიხაროდეს.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

მე სიხარულის შეძახილი უკვე აღმომხდა

რაჟამს მორბოდა ჟინჟღილებით მაცნე ღამეში
და გაჰკიოდა, დაეცაო ბჭე იღიონის,
დაცინვით მკითხეს: “დაერწმუნე ღამეულ კოცონს
და დაიჯერე, რომ დაინგრა ტროის კედლები?
მალემრწმენია, სულსწაფია ქალთა ჯილაგი”.
და ალმაცერად მიყურებდნენ, ვითარცა ჩერჩეტს.
მე კი ვამრავლე წირვა-ლოცვა და მთელ ქალაქში
იდგა ქალების ღრიანცელი, ჟივილ-ხივილი
სასიხარულო და ღმერთების საკურთხევლებზე
ბოლავდა კვამლი ზეთოვანი, კეთილსრუნელი.
რა შეგიძლია მომახსენო კიდევ ახალი?
თუმცა მომითხრობს ყოველივეს თავად ხელმწიფე.
ახლა ვიჩქარი, რომ მეუფეს შინდაბრუნებულს
სახებედნიერს მივეგებო, როგორც რიგია.
განა უფრორე სასურველი რაა ქალისთვის,
ვიდრე დღე იგი, რაჟამს ქმარი ომგადახდილი,
ღვთისაგან მრთელი გიბრუნდება და ჭიშკარს უღებ.
აცნობე მეფეს, დაეჩქაროს საყვარელ ბინას.
მოვა იგი და შინ დახვდება ერთგული ცოლი,
როგორც დასტოვა, ეზოს იცავს ერთგული ძაღლი,
სანდო დარაჯი, ავსულისგან სახლის მფარველი.
არ შეგვიცვლია არაფერი, დრომ ისე განვლო,
არც ერთი ლუქი არ ახსნია განძთა საცავებს.
არცრა ჭაჭანებს ჩემს გარშემო ჭრელი ჭორები,
ჩემს სხეულს მამრი ისე იცნობს, ვით მე მჭედლობას.
ქალს კეთილშობილს ეს ღირსება თუ გაუხდია
თავმოსაწონად, სამარცხვინო რაა ამაში.

ქ ო რ ო ს უ ხ უ ც ე ს ი

რაიცა ბრძანა ქალბატონმა, შენ გაიგონე,
არ დაიძვირა ლაპარაკი, ლამაზი სიტყვა.
შენ მითხარ, მაცნევ, ყოველივე და დაგიჯერებ,
მართლა დაბრუნდა სამშობლოში მენელაოსი?
უვნებელია კვლავაც იგი, ბურჯი ქვეყნისა?

მ ა ც ნ ე

ნუ ფიქრობ, თითქოს ლამაზ ტყუილს მოგახსენებდე,
ვერ ასაზრდოებ ფუჭი სილით ახლობლებს დიდხანს.

ქ ო რ ო ს უ ხ უ ც ე ს ი

საბედნიერო, სიმართლეა სიტყვები შენი?
ჭეშმარიტებას ვერ მიჩქმალავ ყალბი სიტყვებით.

მ ა ც ნ ე

უკვალოდ მოსწყდა კაცი იგი აქაველთ ლაშქარს,
მისი ხომალდიც მასთან ერთად, არ ვამბობ ტყუილს.

ქ ო რ ო ს უ ხ უ ც ე ს ი

მითხარ, თქვენ თვალწინ გაეშურა ილიონიდან,
თუ ბორგნეულმა ქარიშხალმა მოსწყვიტა ლაშქარს?

მ ა ც ნ ე

ვით გაწაფულმა მშვილდოსანმა, მიზანს მოარტყი,
მსუბუქი სიტყვით მომაყენე ტკივილი მძიმე.

ქ ო რ ო ს უ ხ უ ც ე ს ი

ჯერ ეს მითხარი, ცოცხალია იგი თუ მკვდვარი,
არ მიგიღიათ ცნობა რამე ზღვაოსანთაგან?

მ ა ც ნ ე

არ არის კაცი, ამ ამბისა გვაუწყოს რამე
თვინიერ მზისა, რითაც მიწა მწიფს და პურდება.

ქ ო რ ო ს უ ხ უ ც ე ს ი

წვრილად მომითხრე, ქარიშხალი თუ ვით აღბორგდა,
ლაშქარი თუ ვით დაიღუპა დემონთა ნებით.

მ ა ც ნ ე

ეგებ არა ხამს, ეს კეთილდღე ავენოვანი
ცნობით შეიმღვრეს _ ნაირსახობს პატივი ღმერთთა.
ოდეს ქალაქში მოდის მაცნე პირმოქუფრული
და მოაქვს ომში დაღუპულთა მძიმე ამბავი,
საყოველთაო ტკივილებით გულგასენილი
ავრცელებს იგი წყლულებს ხალხში, ყოველ ოჯახში,
სადაც არესის წყვილი შუბით, წყვილი მათრახით
მკერდგაპობილი უბედური ეგულვით მკვდარი
და ისღა რჩება ჭრილობებით დაღარულ მაცნეს,
რომ ერინიებს პეანები მიუძღვნას ტკბილი.
მე კი წილად მხვდა კეთილმაცნედ მოვსულიყავი
და სვებედნიერ ჩემს ქალაქში მემახარობლა.
რად გავურიო ტკბილსა მწარე, რაზედ მოგითხრო,
აქაველების გასაჭირზე, ღმერთთა რისხვაზე,
როს დაძმობილდნენ მუდამ მტრული წყალნი და ცეცხლნი,
შეკრეს პირობა არ დაენდოთ და დაეღუპათ
აქაველების მხედრიონი, ილაჯგაცლილი;
ღამის წყვდიადში ავად ძრწოდა ზღვა მოტორტმანე,

ავბედითობდა ტალღის მთები წყვდიადოვანი
და თრაკიული ქარბორბალა გემებს არღვევდა,
ნავებს ურქენდა, როგორც ხარი გადარეული.
იდგა ქარ-წვიმა, უფსკრულისკენ მიაქანებდა
ნავების ფარას ქარიშხალი _ რეგვენი მწყემსი.
და მზე რაჟამს ამოვიდა, ჩვენ დავინახეთ
ეგეოსის ზღვა მოცინარე, გადაცხედრილი
აქაველებით და დაშლილი ნავების ჯარით.
ბოლოს როგორღაც თავად ჩვენ და ჩვენი ხომალდიც
მძიმე ფათერაკს აგვარიდა უთუოდ ღმერთმა
და არა კაცმა, საწაღმართოდ გვიქცია გეზი.
თვით ბედისწერამ მოუმართა ხელი ჩვენს ხომალდს
და არ ინება, ტალღებს ფსკერში დაენთქა იგი
ან ეშვებიან ქვიან კბოდეს შენარცხებოდა.
მხოლოდრე რაჟამს ზღვის ქარტეხილს გამოვექეცით,
აღარ გვჯეროდა, დღის სინათლეს კვლავ რომ ვხედავდით.
მერმე ახალი მწუხარების ხარებმა გვძოძეს
იმათი დარდით, უგზოუკვლოდ ვინც დაიკარგა.
დღეს იმათ შორის ვინმე თუა გადარჩენილი,
თავად ვგონივართ დაღუპულნი, ეჭვი არ არის.
გაგვიწაღმართდეს ნეტავ ბედი, შინ დაგვიბრუნდეს
ბედმოღიმარედ უვნებელი მენელაოსი.
თუ ცისქვეშეთში ერთი სხივი დაჰნათის მაინც
ნათელი მზისა, მაღლით ზევსიც თუ არ ინებებს
გადააშენოს ერთიანად მეფური გვარი,
მაშინ ჩვენ მისი დაბრუნების კვლავ გვაქვს იმედი.
ჭეშმარიტია, რაც გითხარი, ესე ყოველი.

(მაცნე გადის)

მეორე სტასიმი

ქორო

სტროფი პირველი

ვინ შეარქვა
მრავალწიშნა სახელი იმ ქალს?
თვით მან ხომ არა, ვისი ხილვაც არ შეგვიძლია _
ბედის მეცანმა,
განაჩენი ენის წვერზე რომ მოსდგომია?
მან თუ უწოდა
ყველასათვის ტურფა ელენას
“ელენა”, რომელმაც შუბზე იქორწინა,

და ჰელანდროსმა, ჰელეპტოლისმა
ოქსინოს რბილი სარეცელი ამოქარგული
მიატოვა და ზღვად გარდიხვეწა.
გამოედევნა ზეფირის ქარებს
ბევრი ვაჟკაცი, ბევრი მდევარი შუბოსანი
ჩაუდგა კვალში,
სასისხლოდ რომ მიეხალნენ სიმეონტის
ხშირფოთლოვან სანაპიროებს.

ა ნ ტ ი ს ტ რ ო ფ ი პ ი რ ვ ე ლ ი

მწარით შეცვალა კარიბჭესთან ილიონისა
სარეცლის სიტკბო შურისმგებელმა,
რისხვით რომ აღსდგა
სირცხვილეული ტრაპეზისათვის.
ზევსის საკურთხის შეგინებისთვის,
ოდეს მოყივნდა სახლის სიწმინდე,
საქორწილო ლხინის სიამე.
ოდეს პატარძალს განადიდებდა
ჭაბუკთა გუნდი
სადედოფლო საგალობელით.
აწ გალობა შესცვალა გლოვამ.
აწ ცრემლებით გაუხვებულმა
პრიამოსის ძველი ქალაქი,
მაცდურცოლიან პარისისთვის მავედრებელი.
ყველა იმედი მოქალაქეთა
ჩაძირულა
სისხლისა და ცრემლის გუბეში.

ს ტ რ ო ფ ი მ ე ო რ ე

კაცმა ერთმა, კეთილმა თურმე
ლომის ბოკვერი მოიძია, შინ მიიყვანა.
და გამოზარდა.
ჯერ თვინიერი გახლდათ მეტად
ლეკვი ლომისა.
ართობდა იგი მოხუცებულებს,
დაჰყავდათ ხელით,
ვით საყვარელი ბალღი პატარა,
აფახულებდა უმანკო თვალებს,
შიმშილიც კი ავიწყდებოდა.

ა ნ ტ ი ს ტ რ ო ფ ი მ ე ო რ ე

ხანი გავიდა. გაამჟღავნა ცხოველმა უმალ

თანდაყოლილი ბუნება მისი.
დაერია აღმზრდელებს თვისას.
სასიკვდილო გაავლო მუსრი.
სისხლიანი შექმნა ღრეობა,
წაბილწა სახლი.
დია დაღონდა შინაურნი.
ჟამმა სასტიკმა იმსხვერპლა ბევრი,
ღმერთმა მოჰგვარა მათ ლომის სახით
მოსისხარი შურისმგებელი.

ს ტ რ ო ფ ი მ ე ს ა მ ე

სწორედ ასევე მიეახლა ქალიც ილიონს,
ვით საამო ზღვის ქარკეთილი,
უხიწვო ოქროს მშვიდი ქანდაკი.
თვალებიდან ნათლის მფრქვეველი.
გულთა მკოდავი, კოკობ-ყვავილი სიყვარულისა.
ჭეშმარიტად კი იყო რიოში და მოღალატე,
ქორწილი გლოვით გაასრულა.
მოსაყივნებლად და სავალალოდ
პრიამოსის ვაჟს მიჰგვარა ცოლად
პურადმა ზევსმა
ეგ ერინია, პატარძალთა ამტირებელი.

ა ნ ტ ი ს ტ რ ო ფ ი მ ე ს ა მ ე

არსებობს ძველი ნათქვამი ერთი:
თუ შვილად გივის ბედნიერება
მას შვილიშვილი მიჰყვებაო საპირისპირო,
რადგან არისო ბედნიერება
უბედურებით ორსული მუდამ.
მე კი სრულიად სხვაგვარად ვფიქრობ:
ბოროტი საქმე
წარმოშობს ბოროტს,
ვით ცუდი მამა.
ხოლო იქ, სადაც უფროსობს სიბრძნე,
სახლი ივსება კეთილი და საღი ბავშვებით.

ს ტ რ ო ფ ი მ ე ო თ ხ ე

გადაეცემა ბოროტი თესლი შთამომავლობას,
ხელმეორედ აყვავდება ხე შეცოდების,
ვიდრე მოვა დემონი შავი,
ხელშეუვალი,
დაეყუდება სახლის ყურეზე

შურისმგებელი,
სახედ მშობლისა.

ანტისტროფი მეოთხე

შუაცეცხლიან ღარიბ ქოხებში ბჟუტავს სიმართლე,
სადაც ცხოვრება დიდებულია პატიოსნებით,
სადაც გაურბის სათნოება სპეტაკ ოქროს ჭუჭყიან ხელში.
ზიზღით შესცქერის მქონებელთა
ამ წარმავალ ყოყლოჩინობას,
რადგან თვით არის სათნოება
ყოვლის საგანი.

(ორქესტრაზე ეტლით შემოდის აგამემნონი კასანდრასთან ერთად)

მესამე ეპიზოდი

ქოროს უხუცესი

მეფევ ბატონო, ქალაქ ტროის დამამხობელო,
ატრევსის პირმშოვ!
ვითარ გიკითხო, ხელმწიფეო? ვითარ მოგმართო,
რომ არც რაიმე მოგიჭარბო და არც მოგაკლო
ეგოდენი სიხარულის ჟამს?
მოკვდავთ სჩვევიათ, ზოგჯერ საზღვარს გადავლენ ხოლმე
პირმოთნეობით
და მზად არიან სხვის ჭრილობებს ადვილად წასცხონ
ოხვრა, მაგრამ გულთან ახლოსაც
არ მიიტანენ სხვისთა სატკივართ.
ასევე _ სხვისი სიხარულის ჟამს
იღმიჭებიან ნაძალადევად.
მაგრამ გამჭრიახ და კეთილ მწყემსსა
თვალს ვერ აუხვევს სხვათა მზაკვრობა,
იგი გაარჩევს ტყუილს და მართალს,
წყალსა და ღვინოს.
მაშინ, რაჟამსაც დაჯარე ჯარი
შენ ელენასთვის, არ დაგიმალავ,
ჩემს სულში აზრი ჩაიფესვა ესევითარი,
არა ჰყოლია ფარას-მეთქი კეთილი მწყემსი.
ეგრე უაზროდ გამამაცებულს,
სასიკვდილოდ რომ მიგყავდა ხალხი.
დღეს კი მეც ვხარობ, ვესალმები სულით და გულით.
ვინც გაასრულა ყოველივე საკეთილდღეოდ,
დრო მოვა, თავად დარწმუნდები,
ვინ ერთგულებდა ქალაქს შენსას _

ვინ იყო ორგულ.

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

ჯერ მინდა, არგოსს მივესალმო და ღმერთებს ჩვენსა,
შინ დაბრუნება რომ მარგუნეს და თანამედგნენ,
რაჟამს დავატყდი პრიამოსის ქალაქს სასტიკი
შურისძიებით. არ ჰქონიათ კამათი ღმერთებს,
არც მსაჯულებით ტროის ბედი არ განუსჯიათ,
ოდეს სიკვდილის ბნელ ურნაში ისროდნენ კენჭებს.
სასწორს ბედისას მეორე მხრივ ედგა იმედი,
მაგრამ თავისკენ ვერ სწონიდა, მეტად მსუბუქი.
ახლა კი კვამლი დაჰფენია ტროის ნანგრევებს.
სიკვდილის კვამლი ჯერაც სუნთქავს მბჟუტავ ნაცარში,
სიმდიდრე ძველი გაპნეულა ფერფლად ქარდაქარ.
ამისთვის ღმერთებს საუკუნო ლოცვა-კურთხევა
ეგების ჩვენგან. ოსტატურად დავაგეთ ფანდი.
ერთი ქალისთვის თავს დაატყდა განადგურება
და აქაველთა გავეშება უბედურ ქალაქს.
აჯილღა ცხენმა, ბოძალივით გულგამპობელმა
გაიჯირითა პლეადების ჩაქრობის ჟამზე.
მშიერი ლომი გამოვარდა, ლეში იყნოსა,
გაუმაძღარმა ამოხვრიპა მეფური სისხლი.
აი, ეს არის ღმერთებისთვის რაც უნდა მეთქვა.
ხოლო რაც შენ თქვი, ყურად ვიღე, დავეც დასტური.
ბარიბარშია ერთმანეთთან აზრები ჩვენი.
ის კაცთაგანი გახლავთ სწორედ კეთილშობილი,
ვინც უშურველად თანაუგრძნობს ბედგაღიმებულს.
ხოლო მოშურნეს ტკივილები უორკეცდება,
უძლიერდება ავადობა, ვითარცა სნეულს.
განმარტოვდება, კარს დაიხშობს გულგასენილი,
და იგლოვს ასე ბედნიერის ბედნიერებას.
მრუდე სარკეში მეგობარი მყავდა, მეგონა,
დაუთვალავი და ფიცით რომ მემტკიცებოდნენ,
იმ ძმადნაფიცთა ჩრდილებიღა შემომრჩა ბოლოს.
ოდისევსმა კი, თანადგომა ჯერ რომ არ სურდა,
დიდ-ერთგულების ღირსეული ზიდა უღელი.
ახლა არ ვიცი, მკვდარია თუ ცოცხალი იგი _
ამას რომ ვამბობ. ხოლო ქალაქს რაც შეეხება
და მაღალ ღმერთებს, ყოველივეს განვბჭობთ მერმისთვის,
ვითარცა ჯერ არს. ახლა გვმართებს ზრუნვა იმაზე _
გავიხანგრძლივოთ დღე კეთილი და განვამტკიცოთ.
თუ სადმე სენი შეპარულა და მკურნალობა

არის საჭირო, დასტაქარის ხელოვანებით
ჩვენ ამოვძირკვავთ სნეულებას ცეცხლით თუ დანით.
ახლა კი სახლში, ჩემს ბინაში გავეშურები,
რომ საკადრისი საწირავი მივაგო ღმერთებს,
მათ გამამგზავრეს ბედნიერად და დამაბრუნეს.
ვით გარეთ, შინაც გამარჯვება ფეხდაფეხ მდევდეს!

(სასახლის კარიბჭესთან გამოდის კლიტემნესტრა ამალით)

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

მოქალაქენო, უხუცესნო დარბაისელნო,
გვერდზე გადავდებ მოკრძალებას და ჯიქურ გეტყვით,
ვით მე მიყვარდა ქმარი ჩემი. ალბათ დროს მიაქვს
კაცის კრძალვა და მოშიშება. არ გკადრებთ ტყუილს,
გეტყვით რაც ვიცი, ბედი ჩემი ვით შეტრიალდა,
რაჟამს მეუღლე ილიონის ბჭეებთან იდგა.
ძნელია მეტად, როცა ქალი ქმარმონატრული,
მარტოშთენილი სასახლეში ზის მომლოდინე,
თან სმენას გიხშობს მითქმა-მოთქმა გაუთავებლად,
ერთ ამბავს ცნობა უარესი მოსდევს მეორე _
და გივსებს სახლსა შეშფოთებით, ავი ფიქრებით.
მართლაც იმდენი რომ მიეღო ჭრილობა მძიმე
მეუღლეს ჩემსას, მითქმა-მოთქმა რამდენიც იყო,
ბისგან ბადეღა შეგვრჩებოდა ხელთ ფარღალალა.
იმდენჯერაც რომ მომკვდარიყო, რამდენს ყბედობდნენ,
ის იქნებოდა გერიონი სამსახოვანი
და იცოცხლებდა დასაბამით დაუსაბამოდ.
იამაყებდა, რომ მან სამგზის შემოიფარა
ცხედრის სუდარა თვითეული სიკვდილისათვის.
ესევითარი შემზარავი ცნობების გამო
ბევრჯერ მომისწრეს, როცა ყელზე მედო მარყუჟი
და გამომიხსნეს სიკვდილისკენ პირმოქცეული.

(მიმართავს აგამემნონს)

დღეს აქ არ გახლავს შვილი ჩვენი, თუმც მის აქ ყოფნას
ითხოვდა წესი, ერთგულების ჩვენის სიმტკიცე,
ვაჟი ორესტე, მაგრამ, მეფევ, ნუ შეშფოთდები,
მას ზრდის ბეჯითად გვაროვანი, შუბის ძმობილი,
ბრძენი სტროფიოს ფოკიელი, რომელმაც ადრე
განჭვრიტა, რომ შენ ილიონთან გელოდა საფრთხე.
მაშინ ხომ აქაც მოგველოდა თავაწყვეტილი
ბრბოის ამბოხი, რადგან მოკვდავთ სჩვევიათ მუდამ,
თუ დაცემული დაინახეს, წიხლი ჩაარტყან.

აი, საბუთი, ნატყუარი არაფერია,
მე კი ტირილმა გამომიშრო სხეული უკვე,
ჩემს მარილოვან ცრემლის ტბაში წვეთიც არ დარჩა.
გრძელ ღამეებში ამტკენია ღია თვალები.
რაჟამს მოვთქვამდი მწარედ შენთვის და ვდარაჯობდი
ღამეულ პატრუქს, ძილს მიფრთხობდა მთვლემარებაში
ეული კოღოს უღიმღამო გაზუზუნებაც.
ავსიზმრეული ვიყავ შენგნით, ხანმოკლე ძილში
ვხედავდი ხანგრძლივ, უბოლოო საშინელებათ.
და აჰა, ბოლოს სიხარულით გასრულდა ტანჯვა.
შევადარებდი მე ხელმწიფეს სამწყემსო ნაგაზს,
ხომალდის ანძას, ზეატყორცნილ თაღის დედაბოძს.
მხოლოდშობილ ძეს, უშრეტ წყაროს თვისი მშობლისა,
იმედის ნაპირს, თვალსაწიერს ზღვაოსანთათვის,
გამოზაფხულის კეთილ ტაროსს გრძელ ზამთრის მერმე,
მწყურვალ მგზავრთათვის თავანკარა საამო წყაროს.
უკუმიქცეულს დამყაყებულ სიმღვრივისაგან.
მოგესალმები, ხელმწიფეო, დიდება შენდა!
წყეულიმც იყოს აწ მტერობა, ჩვენ საკმარისად
ვიგემეთ იგი. ჩამობრძანდი, მეფევ ბატონო,
შენი ეტლიდან, ოღონდ მიწას ნუ შეეხები
ფეხით, რომლითაც ილიონზე შენ გაიარე.

(მიმართავს მსახურთ)

ჰეი, მსახურნო! რას უდგეხართ, გზებზე ახლავე
ძვირფას ნოხების გადაფენა მიბრძანებია!
ფიცხლავ დააგონ ფარდაგები, მეწამულ გზაზე
დაე, უძღოდეს სასახლისკენ თვით დიკე მეფეს.
სხვა დანარჩენზე სიბეჯითე იზრუნებს ჩემი
მუდამ ფხიზელი, თუ ღმერთებმაც მომხედეს მაღლით.

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

ლედას ასულო, სრა-პალატთა ჩემთა მფარველო,
ენაწყლიანად ბრძანე ჩემი განშორებისთვის.
მხოლოდრე მეტად გაგიგრძელდა. უმჯობესია,
სხვისი ბაგიდან მიითვალო ჯილდო ქებისა.
ქალი არა ვარ, მეტის ქებით რომ გავკეკლუცდე,
არც ბარბაროსი, რომ ჩემს ფერხთით დაემხოს ვინმე
და ბრიყვულ ქებას შემბღაოდეს პირმორღვეული;
შურის აღმძვრელი არც გზა მინდა ატლასეული,
ღმერთებს ეგების ეგოდენი პატივი მხოლოდ.
მე კი კაცი ვარ წარმავალი და არა მფერობს

არ მოშიშებით ხავერდოვან გზით სიარული.
დე, პატივი მცენ, ვით კაცთაგანს და არა ღმერთსა.
ხალიჩა კი არ განმადიდებს, ფეხით სათელი,
არამედ საქმე; ღმერთებისთვის დიდი ძღვენია
ყოყლოჩინობის უკუგდება, ბედნიერია
მხოლოდ ის კაცი, ვინც სიკეთით განვლის სიცოცხლეს.
ეს არის ჩემი კადნიერი სიტყვაც და საქმეც.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

თუმც ესრეთ წარსთქვი, ნუ გადახვალ მაინც ჩემს სიტყვას.

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

უწყოდე ესე _ ურყევია განზრახვა ჩემი.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

ღმერთების შიშით იტყვი უარს შენს განზრახვაზე?

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

რაიცა მითქვამს, მიფიქრია და ისე მითქვამს.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

ამ დროს, უწყიღა, რას იზამდა თვით პრიამოსი?

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

ალბათ, თამამად გაივლიდა მოფარდაგულზე.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

ყურს ნუ მიუგდებ შენც, მეფეო, ბრბოის ნაჭორავს.

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

ჭეშმარიტია ხმა ერისა უმქუხარესი.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

ჰმ, პატივს ნუ სდებ, რაც პატივის ღირსად არა ღირს.

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

დიაცს არ ფერობს ამ საქმეთა სჯა და განბჭობა.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

ბედნიერთათვის თავდადრეკა ღირსება არის.

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

ნუთუ ჩვენს შორის გამარჯვება რაიმედ გიღირს.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

დამმორჩილდი და გაიმარჯვებ მეტის ღირსებით.

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

(მიმართავს მსახურთ)

რადგან ასე გსურს,
მაშ, შემხსენით ფეხებზე სწრაფად
ხვიარა ხამლი, ჩემს ფეხებს რომ ემსახურება,
და რა გავივლი გალაღებით მეწამულ გზაზე,
დაე, არსაით მითვალთვალონ შურის თვალებმა.
მომეტებული პატივია, ფეხით გათელო
ფარჩა-შარები, ფასეული ოქრო-ოქსინო.
აწ კმარა ჩემზე ლაპარაკი.

(მიუთითებს კასანდრას)

ეს უცხო ქალი
სახლში პატივით შევიყვანე. დღეს გამარჯვებულს
თავზე დამცქერის ზეციერის მოწყალე თვალი.
ნებით არავინ შემოიდგამს მონობის უღელს,
ეს გოგონა კი, განძთა შორის უძვირფასესი,
ნორჩი ყვავილი, ომის ჯილდო, მე თან გამომყვა.
და, ჰა, მოგყვები, ცოლო ჩემო, გემორჩილები,
სასახლისაკენ მივაბიჯებ მეწამული გზით.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

ზღვა უსაზღვროა, ამოხაპვა ვის ძალუძს მისი?
აიქოჩრება, ნაირფერად წამოშლის ტალღებს,
ვერცხლის გვირგვინებს წამოიდგამს უმშვენიერესს.
ღმერთთა შეწევნით, ჩვენც სავსე გვაქვს სტავრა, მეფეო.
სასახლემ ჩვენმა უკმარობა რაა, არ იცის.
დაუთვალავად დაგიფენდი ფეხქვეშ ხალიჩებს,
ურიცხვ საბოძვარს გავიღებდი, ოღონდაც შენი
საბედნიერო დაბრუნება ემცნო ორაკულს.
დაე, არ გახმეს ფუძის ძირი, აფოთლდეს ჭერი
და სირიოსის ცხელი დღენი ჩამოგვიჩრდილოს.
აგერ, შენც კერას დაუბრუნდი, ჩვენი სასახლის
ჟამგრძელ ზამთარში გაზაფხული შემოიყვანე.
ანდა პირიქით, ოდეს ზევსი უმწიფარ ყურძენს
დამხუკველ ხორშაკს მოუჭარბებს, მოგაქვს სიგრილე
კარმიდამოზე, სადაც კაცის იღვწის მარჯვენა.
ო, ზევსო, ზევსო, გევედრები, აღმსრულებელო,
აღასრულებდე ყოველივეს, რაიც მწადია.

(კლიტემნესტრა მეფესთან ერთად შედის სასახლეში.

ეტლში დგას გაოგნებული კასანდრა)

მესამე სტასიმი

ქორო

სტროფი პირველი

ვაჰმე, რად მტანჯავს
შიშის აჩრდილი და გულზე მაწევს
ვით მაჯლაჯუნა?
რად აღარ ძალმიძს
გავხსნა ხვანჯი დაბურულ სიზმრის?
ვაჰმე! რად აღარ დაბრძანდება სულის ტახტზე გაბედულება?
დიდი ხანია ხომალდის ღუზა
ქვიშიან ფსკერზე დაეშვა, ოდეს
ილიონისკენ მიჰყავდათ ჯარი.

ანტისტროფი პირველი

თავად ვარ მოწმე, ჩემი ორთავ თვალებით ვნახე,
სამშობლოსკენ ვიდოდა ჯარი.
და მაინც სულში რღაც რეკავენ
გლოვის ჰანგები უსიხარულო,
ვით მოტირილი ერინიების,
რად მოგვეძალა სასოწარკვეთა?
შფოთავს სული. აღსასრულის წინაგრძნობა
გულში ფხაჭუნობს.
ვლოცულობ, რათა გამიცრუვდეს ეს წინაგრძნობა,
არ აღესრულოს აროდეს იგი.

სტროფი მეორე

თუნდაც სიმრთელის გარს გეკრას ღობე,
მეზობელი ხომ
სნებაა მაინც.
ჯიქურად მავალ მენავეს ზოგჯერ
მხარს შეუქცევს, დაღუპავს ბედი.
ჭკუადამჯდარი კაცი კი უმალ
განძს და ქონებას გადაყრის წყალში,
რომ შემსუბუქდეს ხომალდი მისი.
ოდეს გავიღებთ სახლიდან ნაწილს,
სახლს გადავარჩენთ დაღუპვას ამით.
ზევსი ხომ კვლავაც მოგვიტანს დოვლათს;

წლიდან წლამდე დააპურებს უხვი მინდვრებით
ყოველ დამშეულს.

ანტისტროფი მეორე

რაჟამს დაეცემა მოკვდავი,
შავ სისხლს გადმოაქცევს მკერდიდან,
სულს ვინ შთაბერავს კვლავ ჯადოქრობით?
რომელს ძალედვა
მიცვალებულის მკვდრეთით აღდგენა _
დასაჯა ზევსმა.
ღმერთებმა ბრძანეს:
არ ყოფილიყო ბედი _ ბედის თანაზიარი,
გათიშულიყო შიშის სამანით.
თუნდაც დაადე ენას კლიტე _
გული ამოთქვამს ყოველივეს
დაუფარავად.
ვაგლახ! ამჟამად ყრუ სიბნელეში
ფართხალებს გული,
თავისსავე უძლურებას აწყდება იგი,
დაფეთებული.

მეოთხე ეპიზოდი

(სასახლიდან გამოდის კლიტემნესტრა და მიდის ეტლისაკენ, რომელზედაც
კასანდრა დგას)

კლიტემნესტრა

მიბრძანებია, შემოხვიდეთ სახლში, კასანდრა,
დაწესებულა ზევსისაგან, რომ შენც ისევე,
ვით სხვა მონებმა, მოდგე ახლოს მდიდრულ სასახლის
საკურთხევლებთან და ნაკურთხი აპკურო წყალი.
დათრგუნე შენი სიამაყე, ეტლიდან ჩამო!
ალკმენეს ძემაც, გვიამბობენ, იგემა თურმე
მონობის ხვედრი და სამხიო პურ-წყალის გემო...
რაკიღა ბედის განაჩენი გარდუვალია,
საამაყოა შენთვის სახლი ოდით მდიდრული.
ხოლო იქ, სადაც მდიდრდებიან ნაუცბათევად,
გლახაკთ ამაყად ეპყრობიან, განუკითხველად.
ჩვენთან კი ისე მიგიღებენ, ვითარცა ჯერ არს.

(კასანდრა დუმს)

ქ ო რ ო ს უ ხ უ ც ე ს ი

რაც გითხრეს ახლა, ნათლად იყო იგი ნათქვამი.
ბედის ბადეში გახლართულხარ, ტყვილად ფართხალებ.
აწ, სულ ერთია, გეჯერება შენ ეს თუ არა.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

(ქოროს უხუცესს)

თუ არ ჭიკჭიკებს ბარბაროსულ ენაზე მხოლოდ,
როგორც მერცხალი, ჩვენი ენაც თუ ეყურება,
გააგებინე უფრო ნათლად სიტყვები ჩემი.

ქ ო რ ო ს უ ხ უ ც ე ს ი

(კასანდრას)

დაჰყევ მის ნებას. ქალბატონი სიკეთეს გირჩევს.
იყავ გამგონე, ნუ ჯიუტობ, ეტლიდან ჩამო.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

მე კი არ ძალმიძს აქ, კარებთან დავყოვნდე მეტად,
იქით ვიჩქარი, სად სასახლის ზედ შუა ჭიპზე
გდია ზვარაკი შესაწირი და დანას უცდის.
ვინ ელოდა თუ ამ სიხარულს ვეღირსებოდით.
შენ კი შემოსვლა თუ გწადია, შემოდი ბარემ
და თუ სიტყვებით საუბარი არ გეხერხება,
მაშინ ხელებით ისაუბრე, როგორც ველურმა.

ქ ო რ ო ს უ ხ უ ც ე ს ი

მარჯვე სჭირია თარჯიმანი მაგ უცხო გოგოს,
მახეში გაბმულ დაფეთებულ ნადირს ჰგავს იგი.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

სწორედ შლეგია. სხვაგან დაჰქრის მისი გონება.
ახლად დამხობილ ქალაქიდან მოსულა იგი,
ვერ შეიგუებს ეგრე მალე მონობის საბელს,
სანამ ჯერ კიდევ ყელში სჩრია ბოღმა და სისხლი.
მაგრამ აწ კმარა, არ ვიმცირებ თავს მეტის ხვეწნით.

(კლიტემნესტრა შედის სასახლეში)

ქ ო რ ო ს უ ხ უ ც ე ს ი

არ გიჯავრდები, მებრალვი მხოლოდ,

ჩამო ეტლიდან, საბრალო ქალო,
დაემორჩილე ხვედრს მონობისა.

კასანდრა

სტროფი პირველი

ვაიმე, ვაიმე!
აპოლონ, აპოლონ!

ქოროს ხუცესი

რისთვის შესტირი ეგრე ლოქსიას?
სხვა არის იგი, არ ებრალვის ატირებული.

კასანდრა

ანტისროფი პირველი

ვაიმე, ვაიმე!
აპოლონ, აპოლონ!

ქოროს ხუცესი

ისევ ეძახის, ღმერთს დიდებულს შესტირის იგი,
რომელიც მტირალს არ შეიწყალებს.

კასანდრა

სტროფი მეორე

აპოლონ, აპოლონ!
გზათა მეცანო, ჩემო აპოლონ!
ვაი, ორგზის გამიტარე გულს ორლესული.

ქოროს ხუცესი

ალბათ წინაგრძნობს უბედურებას,
მონა ქალშიც კი დაფარულა ღვთაებრიობა.

კასანდრა

ანტისტროფი მეორე

აპოლონ, აპოლონ!
გზის გამძღოლო, ჩემო აპოლონ!
სად მომიყვანე სადაური, რომელ ბინაში?

ქოროს ხუცესი

ეს ატრიდების სასახლეა, თუ შენ არ უწყი,
მე გეუბნები, ესე სრული სიმართლე გახლავს.

კ ა ს ა ნ დ რ ა

ს ტ რ ო ფ ი მ ე ს ა მ ე

ღვთისმგმობელთა ადგილია ეს სრა-პალატი,
მოწმე მკვლელობის და ჯალათობის,
განესტილია იატაკი მოყვასის სისხლით.

ქ ო რ ო ს ხ უ ც ე ს ი

მეძებრის ყნოსვა აღმოაჩნდა უცხო გოგონას,
გეში აიღო, გაეკიდა კვალს მკვლელობისა.

კ ა ს ა ნ დ რ ა

ა ნ ტ ი ს ტ რ ო ფ ი მ ე ს ა მ ე

მივყვები, ვუსმენ შორეულ ხილვებს,
აგე, ტირიან თოთო ბავშვები,
თავად მშობელნი სწვავენ ტაფაზე და მიირთმევენ.

ქ ო რ ო ს ხ უ ც ე ს ი

ჩვენ გვესმა შენი წინასწართქმანი,
რაღა შთენია აწ სათქმელი წინასწარმეტყველს.

კ ა ს ა ნ დ რ ა

ს ტ რ ო ფ ი მ ე ო თ ხ ე

ღმერთო მაღალო! კვლავ რა ახალი
ზრახვა უდევს გულში ქალბატონს
ახლობელთა მწუხარებისთვის?
არსაით ახსნა,
არსაით შველა.

ქ ო რ ო ს ხ უ ც ე ს ი

ბოლო მისნობა ვერ გამოვიცან,
პირველი ვუწყი _ ამას ყვირის მთელი ქალაქი.

კ ა ს ა ნ დ რ ა

ა ნ ტ ი ს ტ რ ო ფ ი მ ე ო თ ხ ე

ვაიმე, ქალო, რა გაგიზრახავს
აბაზანაში რომ მიუძღვები
თანამეცხედრეს? ბოლომდე როგორ ვილაპარაკო?
აღესრულება მალე ყოველი,
აჰა, ხელები ეძებენ ხელებს.

ქ ო რ ო ს ხ უ ც ე ს ი

ვეღარას ვიგებ მისნობისას, თითქოს ანაზდად,
ბნელი სიტყვების უსიერში დავკარგე გეზი.

კ ა ს ა ნ დ რ ა

ს ტ რ ო ფ ი მ ე ხ უ თ ე

ვაიმე, ვაი, ეს რა ვიხილე.
უკვე გაშალეს ჰადესის ბადე!
სიკვდილის ლანდი ხელჩაკიდული
მიუძღვის დიაცს... აჰა, იყვირე,
გაუმაძღარო შურისძიებავ, დაკლეს ზვარაკი!

ქ ო რ ო ს ხ უ ც ე ს ი

რისთვის ეძახი სასახლეში ერინიებს,
რად ესალმები? შენს სიტყვებში მწუხრის ჟამია.
რად მოგაწვა სისხლი გულბანდზე, ზაფრანისფერი
დაგდებია, თითქოს დამდგარა ჟამი, როდესაც
უკანასკნელი სიცოცხლის სხივი გაიყინება ღია თვალებში.

კ ა ს ა ნ დ რ ა

ა ნ ტ ი ს ტ რ ო ფ ი მ ე ხ უ თ ე

აჰა, შეხედეთ, შეხედეთ! ძროხას გაარიდეთ ხარი.
ბადეს გლეჯს ახლა
შავი, წვეტიანი რქები.
კაცი ეცემა, იძირება წყალში.
სიკვდილის ვარცლზე განბანეს იგი.

ქ ო რ ო ს ხ უ ც ე ს ი

თუმცა მისნობას ვერ მივმხვდარვარ,
მაინც ცუდს ამბავს მიგრძნობს გული.

ქ ო რ ო

რომელ ორაკულს უმისნია
სიკეთე ჩვენთვის. ისინი მხოლოდ
ავს გვიცხადებენ, მრავალ ტანჯვას
გვიწინაგრძნობენ, გვზარავენ შიშით.

კ ა ს ა ნ დ რ ა

ს ტ რ ო ფ ი მ ე ე ქ ვ ს ე

ვაიმე, ვაი, ავბედო ბედო!
ტანჯვის ციხეა სხეული ჩემი.

სად მომიყვანე მე უბედური
შენი სიკვდილის თანამტვირთველად, სად მომიყვანე?

ქ ო რ ო

ღვთიურო ქალო, რად კვნესი ეგრე,
როგორც ბულბული გულყვითელა,
მთელი სიცოცხლე რომ დასტირის თავის საყვარელს
და ხმობს მარადის უბედური:
იტის, ი-ტის!

კ ა ს ა ნ დ რ ა

ა ნ ტ ი ს ტ რ ო ფ ი მ ე ე ქ ვ ს ე

ვაიმე, ვაი! საშურია მაგ ჩიტის ბედი.
ფრთოსან ბულბულად აქციეს ღმერთებმა,
დაუწესეს სევდიანად ეგალობა ჟამიდან ჟამზე,
მე კი ფხიანი ორლესული მკერდს დამილეწავს.

ქ ო რ ო

რად მოგივლინა
ამაო სალმობანი უფალმა.
რაა იგი, რასაც შენ ხედავ?
რადა სტირი გულამოსკვნით, მოთქვამ და გოდებ?
ვინ დაგიბედა მაგიური
გზა ავბედითი?

კ ა ს ა ნ დ რ ა

ს ტ რ ო ფ ი მ ე შ ვ ი დ ე

ვაიმე!
პარისის ქორწილი, ვაი, სისხლით გასრულებული!
სკამანდროსის მშობლიურო ტალღებო, ვაი!
შენს ნაპირებთან ვიზრდებოდი მე საცოდავი.
ამიერიდან კოკიტოსის
მკვდარ ნაპირებზე დავიდებ ბინას.

ქ ო რ ო

როგორც იქნა, შენს სიტყვებში გაკრთა სიცხადე,
ახლა ბავშვიც კი გაგიგებდა,
მეც ეკალმა გამიფხაჭნა გული ანაზდად,
შემიპყრო სევდამ,
შენი ვაებით, სატანჯველით დია შევღონდი.

კ ა ს ა ნ დ რ ა

ა ნ ტ ი ს ტ რ ო ფ ი მ ე შ ვ ი დ ე

ვაი, ტკივილო, დაღუპული სამშობლოს სევდავ!
თუმცა მამაჩემმა ბევრი ზვარაკი
დასდვა ქალაქის გადასარჩენად,
ვერ იხსნა იგი.
მსგავსი ვარამი არ უნახავს ქალაქს აროდეს.
მეც ალბათ მალე მივეცემი სასიკვდილო ციებ-ცხელებას.

ქ ო რ ო

რაც ახლა თქვი, წინანდელსა ჰგავს.
საშველს არ გაძლევს ავი დემონი,
გულს გიშფოთებს
სევდიანი გლოვის ჰანგებით,
სიკვდილის ხმობით, აღარ ვუწყი რა ვიღონიო.

კ ა ს ა ნ დ რ ა

ნუმც მოიბუროს პირზე რიდე ჩემმა მისნობამ,
ვითარცა მორცხვმა პატარძალმა, ახლად შერთულმა.
რაჟამს ინათლებს აღმოსავლით, დაჰბერავს ქარი,
გაეკიდება ტალღა ტალღას მზისკენ მორბედი,
ასევე ტანჯვა ტანჯვას მისდევს და ძლიერდება
ჟამიჟან ჟამზე. ნათლად ვიტყვი მე ყოველივეს.
იყავით მოწმე, კვლას დავადექ, ვით მეძებარი,
გამოვეკიდე აღსრულებულ ბოროტ საქმეებს.
აღარასოდეს მიატოვებს ამიერიდან
სასახლის კედლებს ქოროს ზრუნი და მოტირილი.
სახლში ჩასახლდნენ მემთვრალენი, მეზარხოშენი,
სისხლის ნადიმზე შეკრებილან ერინიები,
ვერ გაჰყრი დღეის ამას იქით მათ სასახლიდან.
ტკბილი სუფრულით მოილხენენ, ადღეგრძელებენ
ძველ შურისგებებს, ხანაც ბილწად მიაგინებენ,
ვინც ძმისეული სარეცელი ხელყო, შელახა...
სთქვი, ავაცდინე, თუ ჩუბინად მოვარტყი სიტყვა?
გგონივართ კარზე მოკაკუნე მთხოვარი, ყბედი?
დამიდასტურეთ, ჭეშმარიტად ვიცან თუ არა
ამას სასახლის გარდასული ვერაგობანი.

ქ ო რ ო ს უ ხ უ ც ე ს ი

დადასტურება, ფიციმტკიცი რაღას უშველის
ბოროტ საქმეთა. მაინც დიდად გამკვირვებია,
შენ, ვინც ზღვის გაღმა დაიბადე და გაიზარდე,

აქ ყოველივეს განსჯი, როგორც თანამხილველი.

კ ა ს ა ნ დ რ ა

ხილვის უნარი აპოლონის მოწყალებაა.

ქ ო რ ო ს უ ხ უ ც ე ს ი

მოკვდავი ქალი ნუთუ მისი წილხვედრილი ხარ?

კ ა ს ა ნ დ რ ა

მიჭირს ამაზე ლაპარაკი, სირცხვილი მიპყრობს.

ქ ო რ ო ს უ ხ უ ც ე ს ი

მორცხვია ქალი, როცა იგი ბედნიერია.

კ ა ს ა ნ დ რ ა

სასიყვარულოდ მომეძალა ღვთაება იგი.

ქ ო რ ო ს უ ხ უ ც ე ს ი

შენ მას დანებდი, იყოლიე შვილები მისგან?

კ ა ს ა ნ დ რ ა

შევპირდი, მაგრამ გავუტეხე სიტყვა ლოქსიას.

ქ ო რ ო ს უ ხ უ ც ე ს ი

და ამის შემდეგ ეზიარე ზეციურ ხილვებს?

კ ა ს ა ნ დ რ ა

ავ ფათერაკებს ვარიდებდი მე თანამოძმეთ.

ქ ო რ ო ს უ ხ უ ც ე ს ი

მაინც როგორღა გადაურჩი ლოქსიას რისხვას?

კ ა ს ა ნ დ რ ა

იმ დღიდან ჩემი აღარ სჯერათ, დამსაჯა ამით.

ქ ო რ ო ს უ ხ უ ც ე ს ი

მე ხომ ვირწმუნე საკვირველი შენი მისნობა.

კ ა ს ა ნ დ რ ა

ვაიმე ვაი!
კვლავ ავბედითი მომეძალა წინაგრძნობანი,
შიშმა შემიპყრო ერთიანად, ჰოი, შავბედო!
დახეთ, პაწია ბიჭუნები კარებთან წვანან,
თითქოს ძილფხიზლად გადასულან უღრან სიზმრებში.
თავისიანებს მოუშთიათ თითქოს ისინი.

და მათივ ხორციით ილუკმება მშობელი მამა.
ო, განვაცხადებ, შურს იძიებს ამისთვის ხვადი,
ჯერეთ უმწეო, სხვათა ბუნაგს შეფარებული,
ჩემს აქ მომყვანელ ძლიერ ბატონს ის გადაუხდის,
კი, ბატონს-მეთქი ვამბობ, რადგან მონა ვარ უკვე.
დამამხობელმა ილიონის, ხომალდთ გამრიგემ
არარა უწყის, ქალბატონი რა მახეს უგებს,
რომ ელეკვება, როგორც ძუკნა და შესციცინებს,
გულში კი ჩუმად უტრიალებს ფიქრი მზაკვრული.
ო, რა სასტიკი გაბედვაა: ქალი კლავს ვაჟკცს.
მტაცებლის ნაგრამს ვუწოდებდი ამნაირ დიაცს,
კლდეების სკილას, საშიშ ურჩხულს ზღვაოსანთათვის,
ბნელი ჰადესის ყაჩაღანას, არც თავისიანს,
არც მოყვასს მისას არასოდეს რომ არ დაინდობს.
თავხედი! ისე გაჰკიოდა, ვით მეომარი,
თითქოს უზომოდ გაახარა ქმრის დაბრუნებამ.
გინდა ირწმუნოთ, გინდა არა, ნათქვამი ჩემი,
ახლა ეს ჩემთვის სულ ერთია, ადრე და მალე
აღესრულება ყოველივე, იყავი მოწმე,
დაადასტურებს ჩემს სიმართლეს ცრემლები შენი.

ქ ო რ ო ს უ ხ უ ც ე ს ი

ვაჰმე, თიესტეს სისხლიანი მემცნო ნადიმი,
მძიმე ტრაპეზი შვილთა ხორცის, შემზარა ამან.
ეგ ჭეშმარიტად წარსთქვი, ვიცი, არ მოგიჭორავს.
ხოლო დანარჩენ ნათქვამიდან ვერა გავიგე.

კ ა ს ა ნ დ რ ა

მაშ გეტყვი: მალე გაიგონებ ხელმწიფის სიკვდილს.

ქ ო რ ო ს უ ხ უ ც ე ს ი

ჩუ, ენას კბილი დააჭირე, შე უბედურო!

კ ა ს ა ნ დ რ ა

ვერსად წაუვა, სულ ერთია, ამ განჩინებას.

ქ ო რ ო ს უ ხ უ ც ე ს ი

ჰო, თუ აღსრულდა... მაგრამ, ნეტა, არ აღესრულოს!

კ ა ს ა ნ დ რ ა

სიკვდილის ჟამმა მოაწია, შენ კი ლოცულობ.

ქ ო რ ო ს უ ხ უ ც ე ს ი

მაგრამ რომელი აღასრულებს ამ ბოროტ საქმეს?

კ ა ს ა ნ დ რ ა

ჩანს, ყურს არ უგდებ დაუნჯებით მისნობას ჩემსა.

ქ ო რ ო ს უ ხ უ ც ე ს ი

თქვი, არაფერი გამეგება, ვინ არის მკვლელი?

კ ა ს ა ნ დ რ ა

მე ყოველივე ელინურად გითხარ გარკვევით.

ქ ო რ ო ს უ ხ უ ც ე ს ი

ჰოი, პითიავ, ელინურად, მაგრამ რა, მერე.

კ ა ს ა ნ დ რ ა

ვაიმე, ვაი!
დაიძრა ცეცხლი, შემომეგზნო ალი მლოკავი.
ვაი, ლიკიის აპოლონი, ვაიმე ვაი!
ორფეხა ძუი მგელს უთმობდა სარეცელს თვისას,
ოდეს შორს იყო ლომი მისი კეთილშობილი.
მეც არ დამინდობს იგი ბედშავს და მომაკვდინებს.
არ დაიშურებს ფიალებით შხამს და სამსალას.
ახლა კი ქმრისთვის ლესავს ხანჯალს, იმად ლოცულობს,
რომ მოაკვდინოს კაცი, ჩემი აქ მომყვანელი.
რისთვის ვვიდოდი, რისთვის ქვეყნად სირცხვილეული,
მისნის არგანით, ორაკულის გვირგვინით შუბლზე.
არა! მოგაშთობთ, სანამ ჩემი დამგარა ჯერი.
უფსკრულში ჯერ თქვენ გადაგიშვებთ, მერმე მოგყვებით.
ჩემი სიკვდილით დაე, სხვები ვყო ბედნიერი.

(იხდის სამოსელს)

სამისნო ესე სამოსელი თვით აპოლონმა
გამხადა უკვე, როცა ყველამ ამითვალწუნა
და გამეტებით დამცინოდნენ მაგ ტანსაცმელში
დაურიდებლად, თავხედურად, მტერიც, მოყვარეც;
რას არ მეძახდნენ, მაწანწალას, მთხოვარს თუ გლახაკს,
ფლიდს, გუდამშიერს, ავიტანე ეს ყოველივე.
და აჰა, ბოლოს დამიხელთა მისანმა ვაჟმა
და სიკვდილისკენ მიმაქცია მისანი ქალი.
მშობლიურ ბომონს ვინ მაღირსებს, მხოლოდღა კუნძზე
დამადებინებს თავს ჯალათი და წარმკვეთს ცულით.
გარნა ღმერთები იძიებენ შურს მკვლელობისთვის;
მოდგება ბოლოს უსათუოდ შურისმგებელი;
მამის გულისთვის ხელს აღმართავს შვილი დედაზე;
დევნილი, უცხო ქვეყანაში გარდახვეწილი,

შინ მობრუნდება, აღასრულებს მძიმე განაჩენს.
დიდმა ღმერთებმა უკვე დადეს მრისხანე ფიცი _
დაბრუნდეს შვილი, მამისათვის იძიოს შური.
მაგრამ ნეტავი რად ვწუწუნებ, რას ვიხოკები;
მე უკვე განვვლე უმძიმესი დღეები, ოდეს
დაასამარეს ილიონი, ქალაქი ჩემი.
მაგრამ განგება დამჰყრობლებსაც მოუღებს ბოლოს,
გარდაუვალი გარდახდების. ჰა, ველი სიკვდილს,
მივესალმები აჩრდილეთში ჰადესის ჭიშკრებს.
ერთსღა ვინატრი _ უდრტვინველი მექნეს სიკვდილი,
არ ამიტანოს კრუნჩხვამ, რაჟამს იჩქეფებს სისხლი,
უცებ გავთავდე, სამუდამოდ მოვხუჭო თვალი.

ქ ო რ ო ს უ ხ უ ც ე ს ი

ო, უბედურზე უბედურო, ბრძენო ასულო,
შენ უკვე გვარქვი ყოველივე, მაგრამ მითხარი,
რისთვის გარბიხარ ბომონისკენ ბედის მეცანი,
როგორც ბოჩოლა დასაკლავად წინგაგდებული.

კ ა ს ა ნ დ რ ა

ხსნა არსით არის, რას ვუცადო, უძვირფასესნო.

ქ ო რ ო ს უ ხ უ ც ე ს ი

მოკვდავისთვის ხომ უტკბესია ბოლო წუთებიც.

კ ა ს ა ნ დ რ ა

დარეკა ჟამმა, დაყოვნება უსარგებლოა.

ქ ო რ ო ს უ ხ უ ც ე ს ი

რა სიამაყით ეგებები, ასულო, სიკვდილს!

კ ა ს ა ნ დ რ ა

წარმავალია სიხარულიც და სიამაყეც.

ქ ო რ ო ს უ ხ უ ც ე ს ი

არ უბნობს ესრეთ ბედნიერი, რაღა თქმა უნდა.

კ ა ს ა ნ დ რ ა

(ყურს მიუგდებს სასახლის კედლებს)

ბედკრულო მამავ, ვაი! ვაი! შვილები შენი!

ქ ო რ ო ს უ ხ უ ც ე ს ი

რადა კრთი ეგრე შიშნეული, რა დაგემართა?

კ ა ს ა ნ დ რ ა

ვაიმე, ვაი!

ქ ო რ ო ს უ ხ უ ც ე ს ი

რამ შეგიშფოთა სული ესრეთ, რატომ შეძრწუნდი?

კ ა ს ა ნ დ რ ა

სასახლის კედლებს თბილი სისხლის სუნი სდით უკვე.

ქ ო რ ო ს უ ხ უ ც ე ს ი

ეგ ხომ სუნია შეწირული ზვარაკეულის.

კ ა ს ა ნ დ რ ა

მე კი მგონია ცხედარს ასდის ასეთი სუნი.

ქ ო რ ო ს უ ხ უ ც ე ს ი

კეთილსურნელი სირიული იფრქვევა სახლში.

კ ა ს ა ნ დ რ ა

ო, უცხოელნო!
მე გავფრინდები უცხო მხარეს, სევდა შემიპყრობს
ეულ ჩიტივით, სიკვდილის წინ მსურს გითხრათ ესე:
ქალისთვის, ჩემი სიკვდილისთვის ზღავს თვითონ ქალი,
ბედკრულ კაცისთვის დაეცემა მხოლოდრე კაცი.
ეს არის ჩემი ნუგეშინი სიკვდილის ზღურბლთან.

ქ ო რ ო ს უ ხ უ ც ე ს ი

ჰოი, ბედკრულო, მტანჯავს შენი უნუგეშობა.

კ ა ს ა ნ დ რ ა

სამგლოვიარო სიტყვას ვიტყვი უკანასკნელად
ჩემის ხვედრისთვის. ვევედრები აწ ჰელიოსის
უკანასკნელ სხივს, არასოდეს არ გაახაროს
ჩემი მკვლელები, ჯალათები, მათ დაუბედოს
იგივ სიკვდილი, რაც საბრალო მონას მეწია.
ეჰ, ამაო საქმენი კაცთა! ბედნიერების
უსუსურ ნათელს წაშლის ჩრდილი უბედურების,
როგორც ფორმულებს სოველი ჩვარი.

(კასანდრა შედის სასახლეში)

ქ ო რ ო ს უ ხ უ ც ე ს ი

უძღებია მოკვდავთა მოდგმა და მზვაობარი.
ბედნიერიც კი კარებისკენ თითს ვერ უჩვენებს,

ვერ უბრძანებს უბედურებას _
გაეთრიეო ჩემი სახლიდან.
ბედნიერი იყო ხელმწიფეც,
რაჟამს აიღო პრიამოსის ციხე-ქალაქი
და ღვთის ბადალი სახლში დაბრუნდა.
ახლა კი დაღვრილ სისხლის წილ სისხლი იღვრება მისი.
ამიერ სხვათა სიკვდილისთვის
ზღვას სიკვდილითვე.
სად გაგონილა
ბედნიერება იყოს მდგრადი, უცვალებელი?

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი (ხ მ ა ს ა ს ა ხ ლ ი დ ა ნ)

ვაგლახ, ლახვარი სასიკვდინე გულს დამეძგერა.

ქ ო რ ო ს უ ხ უ ც ე ს ი

ჩუმად! თითქოსდა მესმა კვნესა ლახვარსობილის.

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი (ხ მ ა ს ა ს ა ხ ლ ი დ ა ნ)

ვაგლახ, მეორედ გამიტარეს მკერდში ხანჯალი!

ქ ო რ ო ს უ ხ უ ც ე ს ი

მგონი აღსრულდა ბნელი საქმე, მეფის ხმა ვიცან!
ახლავე უნდა გადავწყვიტოთ თუ რა ვიღონოთ.

ხ მ ა ქ ო რ ო დ ა ნ

ჩემი აზრია, მთელ ქალაქში ყოველი კუთხით
ვაფრინოთ კაცი, სასახლესთან შევყაროთ ხალხი.

მ ე ს ა მ ე ხ მ ა

სახლში შევცვივდეთ, ეგრე ვფიქრობ, უმჯობესია,
ჯალათს მივუსწროთ, ვიდრე სისხლით სველია დაშნა.

მ ე ო თ ხ ე ხ მ ა

მეც გეთანხმები, მანდ ვარ სწორედ, ახლა გვჭირდება
სახელდახელო მოქმედება, დრო აღარ ითმენს.

მ ე ხ უ თ ე ხ მ ა

უნდა დავფიქრდეთ, ავბედითი მოჩანს ნიშნები,
სახელმწიფოში ტირანია მზადდება მძიმე.

მ ე ე ქ ვ ს ე ხ მ ა

რაღას ვაბრკოლებთ, ვინც დაბრკოლდა, ღირსება მისი
ფეხქვეშ გათელეს, გახსნილი აქვს ახლა ხელები.

მ ე შ ვ ი დ ე ხ მ ა

მე კი ისეთი რა გირჩიოთ, რა უნდა გითხრათ,
ჯერ კარგად უნდა მოვიფიქროთ, სანამ გადავწყვეტთ.

მ ე რ ვ ე ხ მ ა

მეც მაგ დღეში ვარ, რა უნდა ვთქვა, აღარა ვუწყი,
რა პირით შევხვდეთ მიცვალებულს, რა ვგაქვს სათქმელი.

მ ე ც ხ რ ე ხ მ ა

ნუთუ სიცოცხლეს ისე უნდა დავკანკალებდეთ,
რომ კაცისმკვლელთა სანავარდოდ დავაგდოთ სახლი?

მ ე ა თ ე ხ მ ა

არა, ჩვენ ამას არ მოვითმენთ, უმალ გვამებად
გადავიქცევით, ტირანიას სიკვდილი გვიჯობს.

მ ე თ ე რ თ მ ე ტ ე ხ მ ა

მაგრამ საბუთი ხელთ არა გვაქვს, საიდან ვიცით,
გულგანგმირული ვინ კვნესოდა _ ხელმწიფე იყო?

მ ე თ ო რ მ ე ტ ე ხ მ ა

კარგად შევიტყოთ ჯერ ყოველი, მერმე ავზავდეთ,
სულ სხვადასხვაა მოჩვენება და სინამდვილე.

ქ ო რ ო უ ხ უ ც ე ს ი

მეც გიდასტურებ, ჩინებული გახლავს ეგ რჩევა,
უნდა შევიტყოთ, რა დღეშია ატრიდი თვითონ.

(ფართოდ იღება სასახლის კარი, გამოჩნება კლიტემნესტრა.

ხელში სისხლიანი ხანჯალი უჭირავს. დარბაზის სიღრმეში

მოჩანს აგამემნონისა და კასანდრას გვამები)

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

არ გამოვიჩენ მოკრძალებას და თქვენს წინაშე
ვიტყვი ყველაფერს, რაც ადრევე მქონდა სათქმელი,
ვითარ განვსაჯოთ სხვანაირად, როდესაც მტერი
მტერს ემოყვრება, ფარულად კი უბლანდავს ბადეს,
ისეთ ასმანაკს _ ამაოა ყველა ნახტომი.
დიდი ხანია მე ჩავები ორთაბრძოლაში,
ავწონ-დავწონე ყოველივე, ჰა, ეს დღეც დადგა.
მკვლელობა ისე აღვასრულე, არ დაგიმალავთ,
მას არც გაქცევა შეძლებოდა, არც თავის დაცვა.
ნატიფად ნაქსოვ საბურველში გავხვიე იგი

უკანასკნელად, როგორც გაშლილ ბადეში თევზი.
ორჯერ დავარტყი გამეტებით და ორი კვნესით
დაეცა იგი, გარნა სანამ დაეცემოდა,
სულთა მფარველი დიდი ზევსის პატივსაცემად
არ დავახანე და მესამედ ვუმარჯვე ხმალი.
იგი დაეცა, განუტევა სული იქავე.
რაჟამს პირღია ჭრილობიდან იჩქეფა სისხლმა
და მომესხურა მოთრქრიალე წვეთები მრუმე,
ისე აღვტკინდი, თითქოს ყანას, თაველებიანს
ზევსისმიერმა გრილმა წვიმამ გადაუარა.
აჰა, არგოსის უხუცესნო, აღსრულდა ესე.
თუ გეხარებათ, გიხაროდეთ, მე კი ვზეიმობ.
თუ წესი ითხოვს დაიღვაროს მკვდრისთვის ზედაშე,
დღეს ერთი-ორად მართებული გახლავთ ეგ წესი,
სწორედ მან, სურა ვინც აღავსო ცოდვით და სისხლით,
დაბრუნდა შინ და გამოსცალა ფსკერამდე იგი.

ქ ო რ ო ს უ ხ უ ც ე ს ი

თავხედო ქალო, საუბარი გვაოცებს შენი,
მეუღლის მკვლელი ეგრერიგად ვითარ ამაყობ.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

რაც გსურთ იფიქრეთ, ჭკუამოკლე ქალად მიგულვეთ,
მე კი ამრიგად, როგორც მხედავთ, უშფოთველ გულით,
გესაუბრებით, გინდ მაძაგეთ, გინდ განმადიდეთ,
არარად ვაქნევ, აგერ, თავად აგამემნონი,
ცხედარი მისი... აჰა, ჩემი მარჯვენაც აგერ,
ოსტატის ხელი. სულ ეს არის, რაც მოგახსენეთ.

ქ ო რ ო

ს ტ რ ო ფ ი პ ი რ ვ ე ლ ი

ჰოი, დიაცო!
რა მიწა გზრდიდა, რა მყრალბალახა გიჭამია,
რომელი ზღვიდან გისვამს წყალი, ფსკერში ჩამპალი,
ეგ სიმქისე რამ მოგამადლა?
მოკვეთილი ხარ ამიერიდან,
გაგანაპირებს, როგორც უცხოს, სამშობლო ჩემი.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

ოჰ, თქვენ გწადიათ გამაძევოთ სამშობლოიდან,
თავს დამატეხოთ ხალხის წყევლა, ქალაქის ზიზღი,
მაგრამ იმ კაცსაც მსჯავრი დასდოთ, სულაც არა გსურთ,

ვინც მსხვერპლად დასდვა საყვარელი გოგონა ჩემი,
ტანჯვით შობილი, შეავედრა თრაკიის ქარებს
ისე იოლად, ველზე მძოვარ ფარიდან თითქოს
ამოარჩია საზვარაკოდ ხუჭუჭა კრავი.
მაშ, ვინც ხელები განიბანა უმანკო სისხლით,
არ იყო ღირსი გაძევების? ჩემს ცოდვებს განსჯით
ეგეოდენი სისასტიკით... მაგრამ მოხუცო,
ჩემი მუქარაც დაიხსომე, მზად ვარ ბრძოლისთვის.
თუ გაიმარჯვებ, იხელმწიფე, მაშინ, როგორც მე
და თუ არასდროს ისურვებენ ამას ღმერთები _
თუმც მოხუცი ხარ, მოკრძალება არ გაწყენს მაინც

ქ ო რ ო

ა ნ ტ ი ს ტ რ ო ფ ი

რარიგ მრისხანებ!
გაფითრებულხარ, შეგშლია სახე,
ზედ აღბეჭდვია მკვლელობის კვალი,
დამშვენებულხარ სისხლის ხალებით.
არ გიგემნია ჯერ სასჯელი, მაგრამ განწირულს
ვინ დაგიფარავს, სიკვდილისთვის მოისთვლი სიკვდილს.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

ოჰ, შეისმინეთ ჩემი ფიცი და ღაღადისი!
ჩემთან არს დიკე და შვილისთვის შურისმგებელი
ერინიები _ მათ შევწირე მეუღლე ჩემი.
ბედის წყალობით აშორდება სასახლეს შიში,
ჩვენი ოჯახის კერიაზე სანამ აჩაღებს
ცეცხლს ეგისთოსი, შემწე ჩემი, თანამზრახველი.
იგია ჩემი სიმამაცის ძლიერი ფარი.
ეს კი მკვდარია, აქ წევს ცოლის მომყივნებელი,
ქრიზეს ასულთან ილიონში რომ აშიკობდა.
აგერ ტყვე გოგოც, მისი შუბით მოპოვებული
მისანი ქალი, მხევალი და თანმწოლი მისი,
მესაიდუმლე; ხომალდებზე თუ გემბანებზე
ერთად ეყარნენ. აღვასრულე მეც სამართალი.
ეს ქალიც აგერ განისვენებს, უკანასკნელი
ამოიძახა მომაკვდავმა სიმღერა გედის
და მისდო თავი საყვარელთან, ვინც ეგ მომგვარა,
ვით ტკბილეული, ჩემს გაწყობილ მდიდრულ სუფრისთვის.

მეოთხე სტასიმი

ქორო

სტროფი პირველი

ვაიმე, ნეტა წამომეპაროს
ელვის სიკვდილი უეცარი
და უდრტინველად
მარგუნოს ბედმა მარადიული ძილის საუფლო,
უკვე მკვდარია
ღირსეული დარაჯი ჩვენი.
ქალისთვის მებძროლს
ვერაგულად მოუსწრაფა
სიცოცხლე ქალმა.

ქოროს უხუცესი

ჰოი, ელენე, ჰოი, ელენე,
წყეულიმც იყავ, ელენე, წყეულიმც!
ერთმა იმსხვერპლე ურიცხვი და დაუთვალავი
გმირთა სიცოცხლე ტროის ჭიშკრებთან.
ახალი სისხლით დაიბანე პირი, დამშვენდი,
ჩასახლებულო სახლში ღალატით
და ქმრის სიკვდილით.

კლიტემნესტრა

ნუ ემახი სიკვდილის უფალს
გულგასენილი,
ნუ დააწევ რისხვას ელენეს,
როგორც კაცთა მკვლელს, რომ თითქოს ერთმა
აქაველ ვაჟთა
შეიწირა სიცოცხლე ბევრი,
მოიმოქმედა ბოროტება აუწონელი.

ქორო

ანტისტროფი პირველი

ჰოი, დემონო, დაბადებულხარ
ორბუნებოვან ტანტალიდების
სასახლის ჭერქვეშ.
შენ თანაბრად ხარ ყველა ქალში,
გულის მპოტნელი.
ის დაფართხალებს აგერ ცხედარს,
როგორც ყორანი.
სიკვდილის ჟამით გალობს, როკავს

და განიხარებს.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

ბოლოს და ბოლოს ჭეშმარიტი წამოგცდა სიტყვა,
როცა ახსენე შენ
დემონის ძალმოსილება.
დიახ, მას უყვარს ქორფა სისხლი,
თუმც ძველ ჭრილობებს
ჯერ არ შეკვრია პირი, სისხლი სწყურია ისევ.

ქ ო რ ო

ს ტ რ ო ფ ი მ ე ო რ ე

შინ დაბუდებულს
დია საშიშს ადიდებ დემონს.
ო, სიამაყევ, გაუმაძღარ ავისმქნელისა!
ო, ზევსო, ზევსო, ყოვლის მიზეზო, ყოვლის მოქმედო!
რა შეიძლება ზევსის გარე შეემთხვეს მოკვდავთ?
რა შეიძლება ღვთიურ ძალთა გარეშე მოხდეს?

ქ ო რ ო ს უ ხ უ ც ე ს ი

ვაჰ, ხელმწიფეო, ხელმწიფეო,
ვით დაგტიროდე?
ვით შეგასმინო მდუღარება ჩემი გულისა?
ობობას ქსელში გაბლანდულხარ
მიცვალებული უღონიო, პატივაყრილი.
ვაიმე, ვაი! უპატიო გერგო საწოლი,
ვერაგი ხელით გაუპიხარ ორლესულ ხანჯალს.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

თქვი, რამდენიც გსურს, რომ ეს საქმე მე ჩავიდინე,
მაგრამ ნუ იტყვი,
ქვრივმა ქნაო აგამემნონის...
შენ წინ დგას ახლა დიაცის სახით
დემონი ძველი, შურისმგებელი,
ვინაც ატრევსის ბილწი ლხინისთვის,
ბალღებისთვის
იძია შური.

ქ ო რ ო

ა ნ ტ ი ს ტ რ ო ფ ი მ ე ო რ ე

ყურს ვინ დაგიგდებს, რით გაამართლებ
მკვლელობას მძიმეს?

მხარს ვინ დაგიჭერს? მხოლოდრე მშობელს
თანადგომა შეეძლო შენი.
სისხლის ლანქერში
მოაბოტებს ახლა არესი.
ბავშვთა დამკვლელის სისხლში ცურავს პირმოთხუპნული.

ქ ო რ ო ს უ ხ უ ც ე ს ი

ვაჰ, ხელმწიფეო, ხელმწიფეო,
ვით დაგტიროდე?
ვით შეგასმინო მდუღარება ჩემი გულისა?
ობობას ქსელში გაბლანდულხარ
მიცვალებული უღონიო, პატივაყრილი.
ვაიმე, ვაი! უპატიო გერგო საწოლი,
ვერაგი ხელით
გაუპიხარ ორლესულ ხანჯალს.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

მიზეზი თავის სიკვდილისა
თავადვე გახლავთ;
მან არ დააგო სასახლეში მზაკვრული ბადე?
არ მოაკვდინა მისგან ნაყოფი
გოგონა ჩემი, უბედური იფიგენია?
ავი ქნა და ავად მიეზღო.
უსიხარულო იყოს მისი ჰადესის ჟამი,
ვისაც მახვილმა
განაჩენი გამოუტანა.

ქ ო რ ო

ს ტ რ ო ფ ი მ ე ს ა მ ე

დავმდგარვარ შტერად, მემღვრევა აზრი,
რას მოვეჭიდო,
უფსკრულისკენ მიექანება სახლი.
მალე დადგება სისხლის ქარ-წვიმა.
აჰა, პირველი ჩამოიცვარა უკვე წვეთები...
ახლა დიკე ახალ სისხლისთვის
სალეს ქვაზე პირავს სატევარს.

ქ ო რ ო ს უ ხ უ ც ე ს ი

ო, დედამიწავ, დედამიწავ, შენ დამამიწე,
ვიდრე ვნახავდე
როგორ ჩასდებენ მეფის ცხედარს ვერცხლის კუბოში.
ვინ დაკრძალავს, ვინ დაიტირებს?

ნუთუ შენ, ქალო, მკვლელი მისი,
მოჰყვები მოთქმას?
ყალბი გლოვით და მოყვასებით მას შეურაცხყოფ,
ვინც გადიხადა, აღასრულა დიდნი საქმენი?
ვინ ივაგლახებს, პირს ვინ მოიხოკს საფლავის პირას?
ვინ შემოიფლეთს ტანისამოსს
ღვთაებრივი დიდი კაცისთვის?

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

შენგან არ ჯერს არს ტირილი მისი,
ის ჩვენ გავგმირეთ,
ჩვენ მოვკალით, ჩვენვე დავკრძალავთ.
არ გაასვენებს მოტირალე მას სახლეული.
იქ კი, სწრაფმავალ აქერონტის
მრუმე ტალღებთან,
იფიგენია, ქალიშვილი უსათნოესი
ხელს გაუწოდებს მშობელ მამას
და მოეხვევა.

ქ ო რ ო

ა ნ ტ ი ს ტ რ ო ფ ი მ ე ს ა მ ე

ლანძღვის წილ ლანძღვა გაისმის მხოლოდ,
გარნა რომელ არს სწორი და ბრუნდი?
ვინც მოკვდა, მოკვდა, მაგრამ გაიღებს საზღვაურს მკვლელიც.
სანამ ზევსი მაღალ ტახტზე ბრძანდება მორჭმით,
დადგინებულ არს განაჩენი ბოროტისათვის.
ვინ გააძევებს წყევლას სახლიდან?
შთამომავლობას მისდევს კუდში ავბედითობა.

ქ ო რ ო ს უ ხ უ ც ე ს ი

ო, დედამიწავ, დედამიწავ, შენ დამამიწე,
ვიდრე ვნახავდე
როგორ ჩასდებენ მეფის ცხედარს ვერცხლის კუბოში.
ვინ დაკრძალავს, ვინ დაიტირებს?
ნუთუ შენ, ქალო, მკვლელი მისი,
მოჰყვები მოთქმას?
ყალბი გლოვით და მოყვასებით მას შეურაცხყოფ,
ვინც გადიხადა, აღასრულა დიდნი საქმენი?
ვინ ივაგლახებს, პირს ვინ მოიხოკს საფლავის პირას?
ვინ შემოიფლეთს ტანისამოსს
ღვთაებრივი დიდი კაცისთვის?

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

ჭეშმარიტია სიტყვები შენი.
შევფიცო მინდა პლისთენიდების
მძვინვარე დემონს,
რომ ვურიგდები ჩემს მწარე წარსულს;
ოღონდ დატოვოს სახლი ესე ამიერიდან,
სხვა ბილიკებს გაუყვეს იგი,
სხვა სასახლისკენ, სისხლით და შუღლით.
მთელ ჩემს სიმდიდრეს შევწირავდი,
ვიკმარებდი მარტოდენ მცირეს, ოღონდაც აწი
შეწყვეტილიყო ბრმა სიძულვილი
და მკვლელობანი მოყვასთა შორის.

ე ქ ს ო დ ო ს ი

(სასახლიდან გამოდის ეგისთოსი ამალით)

ე გ ი ს თ ო ს ი

ო, ნათელსვეტო, შურიგების ნანატრო დღეო,
უკვე თამამად განვაცხადებ _ ღმერთები მაღლით
ქვერე დასცქერენ კაცთა ცოდვებს და სჯიან მკაცრად.
ჰა, მტერი ჩემი ძირს გართხმულა, ერინიების
სამგლოვიარო სამოსელში გამოწყობილი;
მეც ეგ მახარებს... ზღო სიკვდილით ჯალათმა მამამ.
ამ სახელმწიფოს გამგებელმა მამამაგისმა,
თავად თიესტე, მამაჩემი, ანუ ძმა თვისი,
ესეც უნდა ვთქვა, სასახლიდან გამოაძევა,
რათა აეღო ხელში სრული ძალაუფლება.
ლტოლვილობიდან შინ მობრუნდა მერმე თიესტე,
თავშესაფარი თხოვა მეფეს, დადეს პირობა,
არ დაეღვარათ საძმო სისხლი მშობელ მიწაზე.
მაგრამ უღმერთო, ვერაგ მეფეს სხვა ედო გულში,
მიიპატიჟა მამაჩემი დიდი პატივით,
ვით მეგობარმა მეგობარი უსათნოესი
და განუმზადა დაკლულ შვილთა ტრაპეზი მძიმე.
ბავშვთა თავ-ფეხი, ფრჩხილ-თიითები, ხელის მტევნები
ცალკერძ დააწყო, რომ არავის ეცნო ისინი
რას იფიქრებდა ამას მამა, აბა, განსაჯეთ,
მიუჯდა სუფრას, მსუყე ნაჭრებს შეახო პირი
და სასაფლაოს საჭამადი იყნოსა უცბად...
ხელი ჰკრა სუფრას, წამოვარდა და დაიბღავლა...
აღმოხდა წყევლა, რომ პელოპის შთამომავლობა
ამომწყდარიყო ერთიანად მსგავსი სიკვდილით,

მას მიჰყოლოდა ერთიანად პლისთენიდები.
და ჰა, მკვდარია, როგორც ხედავთ, ერთი მათგანი.
კანონიერი მოწილე ვარ მეც ამ მკვლელობის.
მესამე შვილი უბედური მამაჩემისა
ძუძუს მომწყვიტეს, გადამაგდეს უცხო მხარეში,
იქ მზარდა დიკემ, დამაბრუნა კვლავ სამშობლოში.
დიდხანს კარს უკან მიმალული ვუცდიდი მტარვალს.
და ჰა, მზაკვრული ოსტატობით ავუგე წესი.
აწი სიკვდილსაც სიხარულად მივითვლი, რაკი
სამართლიანად ხელფეხშეკრულს ვხედავ მოსისხლეს.

ქ ო რ ო ს უ ხ უ ც ე ს ი

ცოდვას იკვეხნი, ვერ შეგიქებ ამას, ეგისთოს.
თუმცა მკვლელობის უშუალო არ ხარ მოწილე,
შენ განამზადე საქმე ესე უბოროტესი.
ვერ გაექცევი ხალხის რისხვას, უწყოდე ესეც.
სამართალს იქმენ, ჩაგქოლავენ შეუბრალებლად.

ე გ ი ს თ ო ს ი

შენ ვინც ქვევით ხარ, ნიჩბოსანი უკანასკნელი,
ვით ეტოქები მეხომალდეს, მესაჭეს ძლიერს.
მოგეხსენება, უხუცესო, ძნელია მეტად
გვიან ასაკში ჭაღაროსანს ასწავლო ჭკუა;
მაგრამ წამალი არის ორი _ ხუნდი, შიმშილი.
არ უწყი ესე? ნუთუ ბრმა ხარ თვალგახელილი.
თუ არ დაადგამ ფეხს ეკალზე, აგცდება ჩხვლეტა.

ქ ო რ ო ს უ ხ უ ც ე ს ი

ოჰ, ქალაჩუნავ! სახლში იჯექ, როდესაც სხვანი
მოლაშქრეობდნენ, ხოლო სარდალს, რომლის ცოლთანაც
წვებოდი ურცხვად, განუმზადე მკვლელობა მძიმე!

ე გ ი ს თ ო ს ი

შენ ეგ სიტყვები, თავხედური, ცრემლს გაგიმრავლებს,
ტყვილად ორფევსობ, საამისოდ არ გეწევს ძალი.
ორფევსმა ლხენა მოიხვეჭა ტკბილი ჰანგებით,
შენ კი უმწეო, საცოდავი შენი კნავილით
ბორკილს მოიხვეჭ, წელში მოხრილს ხმა ჩაგიწყდება.

ქ ო რ ო ს უ ხ უ ც ე ს ი

ნუთუ აპირებ, არგოსელთა გახდე ტირანი,
ვინც განიზრახე სამარცხვინო მკვლელობა, თუმცა
ვერ აღასრულე, ვერ გაბედე საკუთარ ხელით?

ე გ ი ს თ ო ს ი

ეგ იმიტომ, რომ ქალი უფრო ხერხიანია,
მე კი მტერი ვარ ძველთაძველი, ეჭვმიტანილი.
დღეს ჩემს ხელთაა განძი სრული და გამგებლობაც
მოქალაქეთა. თავაშვებულს დავადგამ უღელს.
არ უნდა ბევრი თივა-ქერი აჯილღა-ულაყს,
უფრო შიმშილი, ბნელი ქალტა ათვინიერებს.

ქ ო რ ო ს უ ხ უ ც ე ს ი

რად არ შეხსენი საჭურველი მოსისხლეს შენსას
შენივ ხელებით, რად გარიე ცოდვაში ქალი,
ჩვენი დიადი ღმერთების და ქვეყნის წინაშე?
მაგრამ ორესტე ცოცხალია ბედის განგებით,
დადგება ჟამი, როცა იგი შინ მობრუნდება
თქვენდა ჯალათად, უსასტიკეს შურისმგებელად.

ე გ ი ს თ ო ს ი

მეტის უფლებას აძლევ ენას, განანებ მწარედ,
ჰეი, მოყმენო, მოქმედების დამდგარა ჟამი!

ქ ო რ ო ს უ ხ უ ც ე ს ი

ჩვენც სხვა აღარა დაგვრჩენია, ვიშიშვლოთ ხმლები!

ე გ ი ს თ ო ს ი

აჰა, ვიშიშვლე თავად უკვე... არ ვუფრთხი სიკვდილს.

ქ ო რ ო ს უ ხ უ ც ე ს ი

არ უფრთხი სიკვდილს... დე, ნუ უფრთხი, ეს გვინდა სწორედ.

(ქორო და ეგისთოსი მცველებით საომრად შემართულნი დგანან,

შემოდის კლიტემნესტრა და დგება მათ შორის)

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

ოჰ, საყვარელო ვაჟკაცებო, იკმარეთ შუღლი!
კმარა სიმხეცე, კმარა მტრული მოსისხლეობა,
წადი შენ შენთვის, მოხუცებიც სახლში წაბრძანდნენ,
საჭირო სისხლი დაიღვარა, არ გვინდა მეტი.
გადავიხადეთ ტანჯვა დიდი, საკმარისია
შეუბრალებლად გადაგვთქერა დემონის ფლოქვმა.
ჰა, დიაცური სიტყვა ჩემი, თუ ღირსად იცნობთ.

ე გ ი ს თ ო ს ი

ტყუილუბრალოდ რა აზრი აქვს სიტყვების ფანტვას,
როცა გამგებელს ხელაღებით შეურაცხყოფენ.

ლანძღვა-გინებით, ავყიობით უხმობენ დემონს.

ქ ო რ ო ს უ ხ უ ც ე ს ი

არ აამებენ არგოსელნი მტარვალს აროდეს.

ე გ ი ს თ ო ს ი

მაშ, დაიცადეთ, დრო დადგება, თქვენაც მოტყდებით.

ქ ო რ ო ს უ ხ უ ც ე ს ი

ვერ ეღირსები, თუ ორესტე დაბრუნდა ღმერთით.

ე გ ი ს თ ო ს ი

მხოლოდ იმედით იკვებება შინმოუსვლელი.

ქ ო რ ო ს უ ხ უ ც ე ს ი

შენც იპარპაშე კანონგარე, სანამ დაგცლია.

ე გ ი ს თ ო ს ი

იცოდე, ძვირად გადაგიხდი თავხედობისთვის.

ქ ო რ ო ს უ ხ უ ც ე ს ი

მიდი, იფხორე, ვით მამალმა კეკლუც დედალთან.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

ყურს ნუ მიუგდებ ამათ ყეფას ტყუილუბრალოდ,
დავჯდეთ მე და შენ და ვიმეფოთ, როგორც გვენებოს.

(ორივე ტოვებს ორქესტრას ქოროსთან ერთად)

თარგმნა გიგლა სარიშვილმა

ქოეფორები

მოქმედი პირნი:

oreste,	qalTa qoro,
pilade,	ZiZa,
eleqtra,	msaxuri.
klitemnestra,	

(სცენაზე საფლავის ბორცვი. შემოდიან ორესტე და პილადე)

ო რ ე ს ტ ე

მიწისქვეშეთის მეუფეო, დიადო ჰერმეს,
მეყავ მხსნელად და თანამდგომად მთხოვარს შენსა.
აჰა, მოვედი, დავუბრუნდი მშობლიურ მიწას.
საფლავის ბორცვთან ვდგევარ აგერ და მამის აჩრდილს
ვუხმობ, ვეძახი, მომაპყრას ყური.

ერთი კულული რომ ვუბოძე ინაქეს ჩემი,
ახლა მეორეს ვწირავ მამას საგლოვო ნიშნად.
მძიმე წუთებში აქ არ ვიყავ, ვერ ვღვარე ცრემლი,
ვერ გავუწოდე მამას ხელი უკანასკნელად.

(გამოჩნდება ელექტრა შავოსანი ქალებით)

ამას რა ვხედავ? ნეტავ, საით მოედინება
შავოსან ქალთა პროცესია ჩამოღვრემილი?
რა გასაჭირი დადგომიათ, რასა იგლოვენ?
კვლავ დატრიალდა სასახლეში უბედურება?
ან, იქნებ, მხოლოდ გარდაცვლილი მამაჩემის სულს
სამკვდრო საკურთხით, მსხვერპლშეწირვით ანუგეშებენ?
დიახ, ასეა. აგერ მოდის, მგონი ელექტრაც,
სახემწუხარე დაი ჩემი, ჩაფიქრებული.
დიადო ზევსო, იყავ ჩემად თანამესანგრედ,
მომეცი ძალი, რომ მშობლისთვის ვიძიო შური!
პილადე, ცოტა გვერდზე გავდგეთ, შევიტყოთ ერთი,
რისთვის მოსულან, რას ვედრიან ღმერთებს ქალები.

(ორესტე და პილადე გვერდზე გადგებიან. ელექტრა ქოროს თანხლებით

უახლოვდება საფლავს)

პ ა რ ო დ ო ს ი

ქ ო რ ო

ს ტ რ ო ფ ი პ ი რ ვ ე ლ ი

ჩვენ გამოგვრეკეს სასაფლაოზე,
აქ ვწირავთ მსხვერპლსა, მჯიღებს ვიცემთ სახეში მწარედ.
სისხლის ორნატით გვიყავის სახე.
ვიხოკავთ ლოყებს...
ტკივილებმა მოძოვეს გული.
ფარჩა-აბრეშუმს ვიგლეჯთ ტანზე
გამწარებულნი.
შემოვიძარცვეთ აზღუდები, მოვიღიადეთ
მკერდი, ავბედით დატორილებმა.

ა ნ ტ ი ს ტ რ ო ფ ი პ ი რ ვ ე ლ ი

ანაზდეულად შუაღამით იკივლა სახლში
თმააბურძგნულმა ცივმა შიშმა
ავ წინაგრძნობად
და მხევალ ქალთა სანთიობოში
შეიჭრა იგი გულშემზარავი.

შემდეგნაირად ახსნეს ძილი ეგ შიშნეული
ორაკულებმა:
არ ისვენებსო მოკლულის სული,
დასტრიალებსო მკვლელის ბინას წყევლით და კრულვით.

ს ტ რ ო ფ ი მ ე ო რ ე

ოჰ, თვალთმაქცური მოყვასება, ბოროტეულ საქმეთა ფარი!
ოჰ, დედამიწავ! აქ გამოგვგზავნა საწირავად
ქალმა ღვთისაგან შერისხულმა... მიმძის სიტყვები.
ვინ შეისყიდის სისხლს, დათხეულს დედამიწაზე?
ვაი, ოჯახო დაქცეულო!
ვაი, სახლკარო დამიწებულო!
უმზეო ბნელმა უჟამურმა დაჰფარა სახლი,
რაც მიიცვალა ბატონი ჩვენი.

ა ნ ტ ი ს ტ რ ო ფ ი მ ე ო რ ე

სიდარბაისლე, მოშიშება, თაყვანისცემა,
ხალხის სულსა და გულს რომ ავსებდა,
გამქრალა. შიში სადღა არის. ყველას პირადი
გამოსარჩენი უჩანს ღმერთად და ღმერთზე მეტად.
მაგრამ დიკე ხომ ყოველივეს ზედამხედველობს.
ზოგს სინათლეში დააწევს სასჯელს.
ზოგს სიბნელეში,
სადაც დააცლის მიმალვას ბოროტს,
ვინც ტყვილად ფიქრობს, ღამის უღრანს მოეფარება.

ს ტ რ ო ფ ი მ ე ს ა მ ე

როს დაეცემა დედამიწას სისხლის ნაღვენთი,
იზრდება წვეთი, ფართოვდება უკიდეგანოდ...
შურისგება კი აყოვნებს მანამ,
სანამ ბოლომდე დამწიფდება ცოდვის ნაყოფი.

ა ნ ტ ი ს ტ რ ო ფ ი მ ე ს ა მ ე

კვალს ვერ დაფარავ საპატარძლო სანთიობოშიც.
ყველა მდინარე რომ შეერთდეს,
ერთ კალაპოტში იწყოს წარდენა,
ვერ ჩამობანს სისხლიან ხელებს.

ე პ ო დ ო ს ი

სოფელ-ქვეყანას მოვწყვეტილვართ ღმერთთა განგებით,
სახლ-კარიდან გამოგვრეკა
აშარმა ბედმა.

ძალა გვიბრძანებს, ბრუნდს და მართალს ქალბატონისას
მწარე ზიზღით განვადიდებდეთ.
რიდეს ვიფარებთ, ისე ვტირით
მეფის ხვედრისთვის,
გულს გვიმძიმებს ფარული ტანჯვა.

პ ი რ ვ ე ლ ი ე პ ი ზ ო დ ი

ე ლ ე ქ ტ რ ა

სახლის კეთილო საუნჯენო, მსახურო ქალნო,
თანამხლებელნო მწუხრეული ლიტანიისა,
გარემოდექით, რჩეულთაგან მირჩიეთ რამე...
ვით აღვასრულო მსხვერპლშეწირვა საფლავის ბორცვზე,
ვით წარვთქვა სიტყვა, მშობელს ჩემსას რა შევავედრო?
მე ვერ ვიტყოდი, რომ საყვარელ თანამეცხედრეს
რამეს სწირავდეს სატრფო ცოლი, დედაი ჩემი.
მე ვერ ვიტყოდი, ვით მოკვდავნი იტყვიან ხოლმე,
თვით ბოროტება ბოროტებას განიკითხავსო.
ვერ გადავიხდი ამგვარ წირვას, კრინტსაც ვერ დავძრავ,
ვერ ხელვიწიფებ მამისეულ საფლავის ბორცვზე
დავდვა გვირგვინი წინაპართა ძველი ადათით:
ანდა უსიტყვო მდუმარებით, ვით მამაჩემი
მოკვდა უსიტყვოდ, მეც უსიტყვოდ დავდგა წანდილი
და განვერიდო იქაობას, არ ვკიდო თვალი,
თითქოს ჭურჭლიდან გადამესხას ბინძური სითხე.
მაშ, რა უნდა ვქნა, მეგობრებო, მირჩიეთ რამე.
შევუკრებივრთ აქ სიძულვილს საყოველთაოს.
ნურას დამალავთ, გულში შიში ნუ ჩაგიდგებათ,
საბოლოოდ ხომ, სულ ერთია, ყველას მისწვდება
ბატონსაც, ყმასაც მდევარ ბედის მსახვრალი ხელი.
მაშ, დაწვრილებით განმიცხადეთ ზრახვანი თქვენნი.

ქ ო რ ო ს გ ა მ ძ ღ ო ლ ი ქ ა ლ ი

ვითარცა ბომონს, ქედს მოვუხრი საფლავს მამისას,
სიტყვებს სულიდან ამოვიკრებ, თუკი მიბრძანებ.

ე ლ ე ქ ტ რ ა

რაც დამშვენდება მშობლის საფლავს, წარსთქვი ყოველი.

ქ ო რ ო ს გ ა მ ძ ღ ო ლ ი ქ ა ლ ი

ხამს, ჯერ აკურთხო თანამდგომი, ერთგული შენი.

ელექტრა

ვინ მეგულება მახლობელთა შორის ასეთი?

ქოროს გამძღოლი ქალი

იგულვე თავი, მერმე მტრები ეგისთოსისა.

ელექტრა

როგორ, საკურთხი მივიკერძოთ მე და შენ მხოლოდ?

ქოროს გამძღოლი ქალი

მე გითხარ ჩემი, დანარჩენი თავად განსაჯე.
ნუთუ ჩვენ გარდა კიდევ ვინმეს დავასახელებ?
არ გაგონდება ლტოლვილი ძმა, შენი ორესტე?

ელექტრა

ო, რა დროულად შემახსენე, დიდებულია!

ქოროს გამძღოლი ქალი

არცა მკვლელები დაივიწყო, ეგეც გახსოვდეს.

ელექტრა

მანდ რას გულისხმობ, ვერ გავიგე, მაუწყე თავად.

ქოროს გამძღოლი ქალი

დე, მოევლინოს მათ დემონი, ან კაცთაგანი.

ელექტრა

მაინც არ ვუწყი, რომელს ვუხმო, მსაჯულს თუ დამსჯელს.

ქოროს გამძღოლი ქალი

ილოცე მისთვის, მკვლელს სიკვდილით ვინც გადაუხდის.

ელექტრა

ამგვარი ლოცვა, აბა, როგორ შევკადრო ღმერთებს.

ქოროს გამძღოლი ქალი

როგორ თუ, ბოროტს არ მიუზღავ სამაგიეროს?

ელექტრა

ზესკნელ-ქვესკნელის გამგებელო, სწორუპოვარო,
დიადო ჰერმეს, გევედრები, ისმინე ჩემი,
დე, აჩრდილეთში დემონებმა ათხოვონ ყური
ვედრებას ჩემსას, მშობლის სისხლს რომ უფრთხილდებიან.
აგრეთვე თავად დედამიწამ დამბადებელმა,

რომელიც გვბადებს, გვასუქებს და კვლავ მუცლად გვიღებს.
აჰა, საფლავზე დავაქციე ნაკურთხი წყალი,
გეძახი, მამავ, დააბრუნე სახლში ორესტე,
ძე საყვარელი, მამისეულ ბინას გვაღირსე.
ჩვენ ვართ ლტოლვილნი, მათხოვარნი ჩვენივ დედისა,
მან ეგისთოსზე, შენს ჯალათზე გაგცვალა, მამავ,
მონის ხვედრია ჩვენი ხვედრი, ხოლო ორესტე
უქონელია და უწილო, თავად ისინი
შენგან მონაგარ სიმდიდრეზე ლაღობენ, მამავ.
ო, დააბრუნე შინ ორესტე კეთილ იმედად,
ისმინე ჩემი, გელოცები და გეხვეწები,
დე, ამაშორე დედის ხვედრი, შემაძლებინე,
იყოს უსისხლო და სპეტაკი ხელები ჩემი.
აჰა, ეს იყოს ლოცვა ჩემი, ხოლო მოსისხლეთ,
დე, შურისგების მძიმე ჟამი ეწიოთ, მამავ!
მკვლელს სიკვდილითვე საზღაური მიაგოს ბედმა.
ორთაგანია ერთდროულად ვედრება ჩემი,
ერთად ვლოცულობ სიკეთის და ბოროტებისთვის.
მაგრამ ამისთვის ნუ შეგვრისხავთ, გვყავით წყალობა _
შენ, მამაჩემო, შენ, მიწაო, შენც, მძლავრო დიკევ!
ჩვენ კი, დობილნო, ვილალალოთ, როგორც წესია,
მწუხარე ზრუნვით მიცვალებულს დავდოთ პატივი.

ქ ო რ ო

გადმოსკდი, ცრემლო,
დაღუპული ხელმწიფისათვის.
ძვირფას საფლავზე, კეთილი სული რომ დასტრიალებს,
ჩვენ ვწირავთ მსხვერპლსა.
მოგვაპყარ ყური, დიდებულო მეუფის სულო.
ისმინე ჩვენი!
ვაი და ვაი!
სად ხარ, მამაცო შუბოსანო,
ოჯახის ბურჯო!
რად არ ზრიალებს შენი კაპარჭი,
სკვითიელივით რად არ მოზნექ თითებში ისარს,
რად არ გაივლებ ხელს კოტაზე, ხმალს არ იშიშვლებ.

ე ლ ე ქ ტ რ ა

აჰა, ზედაშე დაიღვარა მამის საფლავზე.
ახლა კი მინდა, სხვა გულისთქმა გაგიზიაროთ.

ქ ო რ ო ს გ ა მ ძ ღ ო ლ ი ქ ა ლ ი

გაგვიზიარე, მოუთმენლად მიტოკავს გული.

ელექტრა

საფლავის ქვაზე ნაწნავს ვხედავ, ეს აშკარაა.

ქოროს გამძღოლი ქალი

კაცისაა თუ წელსარტყელა ქალიშვილისა?

ელექტრა

ეს კი მარტივად ასახსნელი გამოცანაა.

ქოროს გამძღოლი ქალი

მაშ, გამარკვიე ბებრუხანა, ნორჩო გოგონავ!

ელექტრა

ჩემ გარდა კიდევ ამგვარ დალალს ვინ შეიჭრიდა?

ქოროს გამძღოლი ქალი

მტერთაგანს ვისმე არ შეეძლო ამის ჩადენა?

ელექტრა

სწორედ ასეთი ფერისაა, ეჭვი არ არის.

ქოროს გამძღოლი ქალი

რა ფერისაა? მაცოდინე, გემუდარები.

ელექტრა

აშკარად ჩემი თმის ფერია, კარგად შეხედე.

ქოროს გამძღოლი ქალი

ეგებ, ორესტემ გძღვნა ფარულად ეგ საჩუქარი.

ელექტრა

მან, რა თქმა უნდა, ეგ დალალი სწორედ მისია.

ქოროს გამძღოლი ქალი

მაგრამ როგორღა ხელიწიფა შინ დაბრუნება?

ელექტრა

გამოგვიგზავნა, ალბათ, თმები, როგორც სალამი.

ქოროს გამძღოლი ქალი

ვერ ვეღირსები, ალბათ, ცრემლებს ბედნიერების
თუ გარდაუწყდა მას იმედი დაბრუნებისა.

ელექტრა

მეც გამკრა გულში ეჭვის ჭავლმა ანაზდეულად,

თითქოს ბოძალმა გამიარა გულისფიცარში
და ღაპაღუპით ჩამომდის და ჩამომდის ცრემლი,
მწუხარე ავდრად თვალებიდან ჩამომწვიმარე,
ნაწნავი იგი რომ ვიხილე. არა მგონია,
რომ აქაურმა მოქალაქემ დატოვა იგი.
არ შეიჭრიდა თმიდან ნაწნავს მკვლელი დიაცი,
რომელსაც ხმობენ დედაჩემად, მაგრამ დედური
აღარაფერი შერჩენია ღვთისაგან წყეულს.
ო, რომ შემეძლოს უტყუარად დავადასტურო,
ჩემი ძმისაა, უსაყვარლეს ორესტესია
ეგ საჩუქარი _ გამფურჩქვნიდა იმედი მაშინ.
ვაიმე, ვაი!
ვაი, ლაპარაკი რომ შეგეძლოთ, თმის კულულებო,
გამიფანტავდით მაშინ ეჭვთა ორაზროვნებას,
ან შეგაქცევდით ზურგს აშკარად ზიზღით აღვსილი,
თუ მტრის თავიდან იქნებოდით ჩამოთიბული,
ანდა პირიქით, თაყვანს გცემდით, ჩემს სიახლოვეს
დავიგულვებდი თანამგლოვარს საგლოვო ბორცვთან,
ძეგლსა მშვენიერს, ამაღლებულს, მამის საფლავზე.
აგერ, ნიშანი კვლავ ახალი, ფეხის ორნატის,
ჩამოჰგავს ორანს ჩემთა ფერხთა აშკარად იგი,
ერთმანეთს მისდევს ორი კაცის ნაფეხურები,
ერთი მისია, მეორე კი - ვიღაც მეგზურის.
აჰა, მე ვზომავ ნაფეხურთა გარწერილობას,
ჩემი ფეხის კვალს მისხალ-მისხალ ესადაგება,
სამშობიარო ტკივილებმა გამკრა ანაზდად...
ვეძახი ღმერთებს, მათ უწყიან, თუ რა გრიგალმა
დამბერა ახლა, ბედის ნავი თუ ვით შექანდა.
თუ გადარჩენა მიწერია, იმედის თესლით
ამოღვივდება, გაიშლება ხე მსხმოიარე.

(გამოჩნდება ორესტე)

ო რ ე ს ტ ე

ილოცე მისთვის, რომ ასევე კვლავ აგისრულოს
დიდმა ღმერთებმა სათხოვარი მხურვალედ მლოცველს.

ე ლ ე ქ ტ რ ა

მაგრამ ჯერ ნუთუ ამისრულეს ღმერთებმა რამე?

ო რ ე ს ტ ე

ვისთვისაც წეღან ლოცულობდი _ შენ წინაშე დგას.

ე ლ ე ქ ტ რ ა

საიდან იცი, წეღან ვისთვის ვილოცებოდი?

ო რ ე ს ტ ე

ვიცი, ორესტეს მოუხმობდი სახემწუხარე.

ე ლ ე ქ ტ რ ა

ო, ნუთუ მართლა აღესრულა ვედრება ჩემი?

ო რ ე ს ტ ე

დიახ, ეს მე ვარ, ჩემს მაგიერს ვერსად იპოვი.

ე ლ ე ქ ტ რ ა

იქნება ვინმე მასხარა ხარ, მამასხარავებ?

ო რ ე ს ტ ე

ვიმასხარავებ მაშინ თავსაც, ეჭვი არ არის.

ე ლ ე ქ ტ რ ა

ეგებ დასცინი ჩემს ამ მძიმე უბედურებას?

ო რ ე ს ტ ე

უბედურებას ჩემსას უფრო დავცინი მაშინ.

ე ლ ე ქ ტ რ ა

მაშ, ორესტესთან ვლაპარაკობ, ეს შენ ხარ მართლა?

ო რ ე ს ტ ე

ეს მე ვარ სწორედ, ვისაც ხედავ და მაინც ვერ ცნობ.
თუმცა დალალებს რომ ხედავდი სამარის ბორცვზე
და მარტოოდენ ნატერფალებს აკვირდებოდი,
უფრო გჯეროდა, რომ აქ ვიყავ, უკვე ხაროობდი.
აბა, შეხედე ამ თმის ღერებს, აქ რომ აწყვია,
შენი ძმისაა, შენი თმების მინამსგავსია.
ჩემს სამოსელსაც დააკვირდი, ნახელავს შენსას
შემორჩენია ლომი, შენგან ამოქსოვილი.

ე ლ ე ქ ტ რ ა

ო, თვალის ჩინო, ხვედრის ჩემის თანაზიარო!
მამა ხარ ჩემი, დიდებული მამის სანაცვლოდ,
დედა ხარ, დედის მაგიერი, უსაყვარლესი,
რადგან მძულს იგი, ვინც დედაა კანონიერი,
ვისგანაც ვიშვი და სასტიკი მერგო შვილობა.
ძმა ხარ უძმესი, დის იმედი და სიამაყე.

ო რ ე ს ტ ე

გონს ნუ წაგიღებს სიხარული, იყუჩე, დაო,
არ ჩაგვიმწაროს სიხარული ნათესავებმა.

ე ლ ე ქ ტ რ ა

უძვირფასესო, ნატვრის თვალო ჩვენი სახლისა,
ატირებულის ნუგეშინო, იმედის ფუძევ,
დე, მოიპოვე მამის ბინა მტკიცე მარჯვენით!
პირველ მფარველად გყავდეს ძალა, მეორედ დიკე,
მესამედ თავად ზევსი იყოს შენი მფარველი!

ო რ ე ს ტ ე

ო, ზევსო, ზევსო, მოწყალება მოიღე ჩვენდა!
მამა არწივის ნაშიერებს მოაპყარ თვალი,
საწყალ მართვეებს დაობლებულთ შიათ, სწყურიათ,
სული ეხუთვით გამომწყვდეულთ გველის გორგალში.
ძალი არ შესწევთ საბრალობელთ, მამისეული
ბუდე ძალოვნად გაამრავლონ სადიდებელით...
ეს ჩვენ ვართ აგერ, უბედური მე და ელექტრა,
ვლოცულობთ ასე შენს წინაშე ოხერ-ობოლნი,
ვით მოკვეთილნი, უმამონი, უსახლკარონი.
თუ შენ გასწირავ, გაიმეტებ მოდგმას მშობლისას,
რომელიც აგრე პატივს გდებდა, გწირავდა უხვად,
ვისგან მიიზღავ ეგეოდენ საწირავს კიდევ?
თუ აღგვი სრულად მეფურ ბუდეს, გადააშენებ,
ვინღა დაგშთება მოციქულად კაცთა წინაშე?
ვინღა დაგიდებს წმინდა ტარიგს მაღალ ბომონზე,
თუ უნაყოფოდ ამოვარდა სამეფო ძირი...
მაშ, გადმოგვხედე, აღაშენე, კვლავ აღამაღლე,
სასახლე ესე დაქცეული, ქვედამხობილი!

ქ ო რ ო ს გ ა მ ძ ღ ო ლ ი ქ ა ლ ი

მშობლის ოჯახის მოსარჩლენო, ჩემო შვილებო,
იყუჩეთ, ვინმემ თქვენ ნაუბარს არ მოჰკრას ყური.
არ მიიტანონ ავი ენა, არრა აუწყონ
ზედამდგომელთა ჩვენთა, ნეტა მოვესწრებოდე
ვნახო ისინი სულმღაფავნი ცეცხლში და კუპრში.

ო რ ე ს ტ ე

არ მიმატოვებს მე ლოქსია ყოვლად ძლიერი,
მან ორაკულის პირით მამცნო ხიფათთან ბრძოლა
და ძარღვებს ჩემსას ემუქრება სისხლის გაყინვით,

თუ მამის მკვლელებს არ მივუზღავ სამაგიეროს;
თუ დათხეული სისხლისათვის სისხლს არ დავათხევ,
ვით დაათხიეს ის მკვლელებმა _ ნამისნევი მაქვს,
უბედურ ხარად მივიქცევი, ვირბენ სახრის ქვეშ.
მეუწყა ესრეთ _ როს შფოთავენ სულეთში სულნი,
არ მოასვენებს ნათესავებს ფათერაკები,
გაუმრავლდება მოკვდავს დიდი ჭირი და ურვა,
ველური ეშვი წამოიგებს, გადაღრღნის სხეულს,
გააცამტვერებს სიჭაბუკეს, მადლს ბუნებისა,
შეიფიფიქება ნაადრევად თავი ჭაღარით.
ნამისნევი მაქვს _ დამტანჯავენ ერინიები,
სისხლის წვეთები აღდგებიან, ბინდის ჩრდილებად,
მირიად თვალებს მომაპყრობენ გაბოროტებით.
არ გვასვენებენ შავეთიდან მიცვალებულნი.
შემოგვისევენ წკვარამიდან უხილავ ისრებს
და გვბოჭავს შიში ღამეული, დაუძლეველი.
იცვლება ჩვენი ბედის ჩარხი, რკინის მათრახით
გაგვაძევებენ, მოგვკვეთავენ სამშობლოიდან,
ამოგვიშრება კრატერებში ზედაშეს წვენი,
სულის სამხვეწრო: არცა ბომონს არ გააკარებს
ასეთ კაცთაგანს მამის რისხვა გარდმოვლენილი,
არ შეიფარებს მას არავინ, ხელს არ გაუწვდის
და მარტოსული, უმეგობრო, დამცირებული,
ვით ჩაჩანაკი, მსხემი ვინმე, განვლის ცხოვრებას.
უნდა ვირწმუნო ეგ მისნობა, სხვა გზა არ არის,
გინდ არ ვირწმუნო, მოსახდენი მოხდება მაინც.
ათასი ფიქრი ერთ მორევში ტრიალებს ახლა.
ეს განაჩენი ღვთისმიერი, სევდა მშობლისა,
ამკიდებია მძიმე ტვირთად და ვეზიდები,
რომ ჩემს დიდებულ, სახელოვან მოქალაქეებს,
მე რომ თაყვანს ვცემ _ დიდებული რომ დასცეს ტროა.
თავზე არ აჯდეს თავგასული ორი დიაცი,
დიახ, ეგ კაციც დიაცია, ნახავთ _ თუ არა.

კომოსი

ქოროს გამძღოლი ქალი

ჰეი, ძლიერო მოირებო, ზევსის განგებით
ჰქმენით
მართალი სამართალი!
დაჰკოდოს ენამ
ენით მკოდავი _ ასე გვიბრძანებს

უფალი დიკე,
ხმლით დაიკოდოს
ხმლით მკოდავი, მიეზღოს ბოროტს სამაგიერო _
ასე გვიბრძანებს სამგზის მოხუცი.

ო რ ე ს ტ ე

ს ტ რ ო ფ ი პ ი რ ვ ე ლ ი

ო, მამაო, მწარე მამაო,
რა განუგეშო,
ვით მოვაღწიო შენს საწოლთან,
ვით გავარღვიო წყვდიადის სისქე,
ბნელს და ნათელს საზღვრავს სამანი.
ვერ მიწვდება ცოცხალთა მოთქმა
ატრიდების
შორეულ ბინას.

ქ ო რ ო

ს ტ რ ო ფ ი პ ი რ ვ ე ლ ი

ვერ შთანთქავს, შვილო, ცეცხლის ხახა
გარდაცვლილის სულს,
ვერ დააცხრობს დია ბორგნეულს;
როს განგმირულის სხეულიდან ამოდის სული,
იქვე ჩნდება შურისმგებელი,
სასიკვდილოდ განგმირული მშობლის ყვირილი
დაეხეტება, აქეთ-იქით აწყდება, შფოთავს,
ეძებს სამართალს გამწარებული.

ე ლ ე ქ ტ რ ა

ა ნ ტ ი ს ტ რ ო ფ ი პ ი რ ვ ე ლ ი

ყური მოაპყარ, მამაჩემო,
ცრემლების თხევას.
შენი შვილების
წყვილი ბაგით ამოდის კვნესა.
ვდგავართ საფლავზე,
ვით მხვეწარი ორი ლტოლვილი,
ვით დავაღწიოთ თავი ტანჯვას, რა ვიღონიოთ,
ხსნა არსით არის.

ქ ო რ ო ს გ ა მ ძ ღ ო ლ ი ქ ა ლ ი

თუ წყალობა მოიღო ღმერთმა,
მოთქმა სიმღერად შეიცვლება.

სასაფლაოს ზრუნის ნაცვლად
ლაღი სიმღერით მიიღებენ ჭაბუკ უფლისწულს
სახელმწიფო სრა-სასახლეში.

ო რ ე ს ტ ე

ს ტ რ ო ფ ი მ ე ო რ ე

ილიონთან რომ
დაცემულიყავ, ძვირფასო მამავ,
ლიკიელის სიქსიქა შუბით,
ახლა ჩვენ სახლში ვიქნებოდით _
შენი შვილები _
პატივდებულნი,
მადლიერნი თავის ბედისა.
იქ, ზღვის გადაღმა ბედად შენთვის
რომ აღემართათ საფლავის ბორცვი,
ინუგეშებდა ოჯახი შენი.

ქ ო რ ო

ა ნ ტ ი ს ტ რ ო ფ ი პ ი რ ვ ე ლ ი

და მოძმეთ შორის დაცემული
შენ იქნებოდი
ხელმწიფე იქაც _ მიწისქვეშეთში,
ხელისუფალი
დიადთა დასის.
ხოლო ცოცხალი
ცოცხლებზევე იმეფებდი ბედით მორჭმული,
ხელსკიპტროსანი.

ე ლ ე ქ ტ რ ა

ა ნ ტ ი ს ტ რ ო ფ ი მ ე ო რ ე

ო, ვერა, მამავ,
მე ვერასოდეს მოვისურვებდი,
დაცემულიყავ ტროის კედლებთან მებრძოლთა რიგში
და სკამანდროსთან გაეთხარათ შენთვის სამარე.
მხოლოდ შენს მკვლელებს
ვუსურვებდი ამნაირ სიკვდილს,
რაიცა სწორედ
ამ გლოვის ტვირთს
ამაშორებდა.

ქ ო რ ო ს გ ა მ მ ღ ო ლ ი ქ ა ლ ი

ჩემო გოგონა, ოქროზე უფრო ძვირფასია სურვილი შენი,
ედემის ბაღზე, კეთილ ბედზე უდიადესი,
ოღონდაც იგი აღსრულდებოდეს,
ორფა მათრახი წივის ჰაერში...
მიწა ჭამს ქომაგს...
ხელისუფალთ კი გასვრილი აქვთ სისხლში ხელები.
მძიმე ხვედრი მიცვალებულის,
უფრორე მძიმე _ ცოცხლადშთენილ მისი შვილების.

ო რ ე ს ტ ე

ს ტ რ ო ფ ი მ ე ს ა მ ე

ისარივით გაჰკვეთა ყური
შენმა სიტყვებმა.
ბოლოს ხომ მაინც
ქვესკნელიდან მოავლენს სასჯელს;
აღიმართება მკვლელის თავზე უხეში ხელი,
დამშვიდდება მოკლულის სული.

ქ ო რ ო

ს ტ რ ო ფ ი მ ე ო რ ე

შემოვძახებდი უმალ სიმღერას,
რომ გამეგონა
საძულველი კაცისა და
ცოლის სიკვდილი.
არა, არ ვმალავ
ჩემს გააფთრებას.
დაუბერეს რისხვის ქარებმა.
და დაიძაბა სული ჩემი,
ვითარცა აფრა.

ე ლ ე ქ ტ რ ა

ა ნ ტ ი ს ტ რ ო ფ ი მ ე ს ა მ ე

ოჰ, აღიმართოს
მათ თავებზე ხელი ზევსისა,
როგორც ნაჯახი!
კვლავ გამოჩნდებოდა მაშინ რწმენა...
უსამართლოთა სამსჯავროზე ვუხმოთ სამართალს,
მისმინეთ, მიწავ და უფალნო ქვეშეთისანო!

ქ ო რ ო ს გ ა მ ძ ღ ო ლ ი ქ ა ლ ი

კანონის ძალით
სისხლით ითხოვს სისხლი საზღაურს,
შეჰბღავის სისხლი ერინიას,
რომ ბოროტმოქმედს
მოეკითხოს ბოროტებისთვის.

ო რ ე ს ტ ე

ს ტ რ ო ფ ი მ ე ო თ ხ ე

ოჰ, მეუფენო ქვეშეთისანო,
მოხედეთ სულებს მიცვალებულთა!
ჩვენც ატრიდების ნაშიერებს
უმწეოდ შთენილთ,
უსახლკაროებს
მოგვაპყარ თვალი!
გვირჩიე რამე, მაღალო ზევსო!

ქ ო რ ო

ა ნ ტ ი ს ტ რ ო ფ ი მ ე ო რ ე

გული ჩემი იხარშება მდუღარე სისხლში,
ისმის შიშინი,
უიმედო, მძიმე სიტყვა,
როგორც ღამე,
ჩამდის სხეულში.
მაგრამ ჩვენთან ხარ ამიერიდან, ლომგულოვანო,
და იფანტება შიშის ბურუსი,
მესახება კეთილი ბედი.

ე ლ ე ქ ტ რ ა

ა ნ ტ ი ს ტ რ ო ფ ი მ ე ო თ ხ ე

აბა, როგორ ვთქვა, რაც გადაგვხდა,
როგორ დაგვტანჯა ღვიძლმა დედამ დამბადებელმა?
მაგრამ არ ძალმიძს მიტევება, კუდის ქიცინი;
სულში მგელი მყავს დამწყვდეული
დედაჩემისთვის.

ქ ო რ ო

ს ტ რ ო ფ ი პ ი რ ვ ე ლ ი

მჯიღებს ვიცემ არიისა და კისიის
წესზე მტირალ ქალისა,

ბეჩავად ქმნილი სახილველად,
განუწყვეტელად ტანზე ხელით
შემომპოტნელი, მჯიღით ხმიერად
ჩემს უბედურ თავსა მცემელი.

ე ლ ე ქ ტ რ ა

ვაი, ვაი ავის გამბედო
მტერდედაო, მტრულად იზრახე
დაუტირებლად, უჭირისუფლოდ,
უპატიოდ
დაგემარხა მეუღლე შენი.

ო რ ე ს ტ ე

ს ტ რ ო ფ ი მ ე ო რ ე

ვაი, რას ამბობ, ვაი, სირცხვილო!
თანამეცხედრის მოყივნებისთვის მოღორდეს ცოლიც!
ეს სურს დემონს,
ეს სურს ამ ხელებს.
რა გარდავიხდი გარდასახდელს, მოვკვდები მშვიდად.

ქ ო რ ო

ა ნ ტ ი ს ტ რ ო ფ ი მ ე ო რ ე

დაჩეხეს გვამი, უწყოდე, შვილო,
დამარხეს მერე.
სირცხვილეული
დააგდეს ქვეყნად.
ჰა, შეგიტყვია, თუ ვით აჰყარეს პატივი მამას.

ე ლ ე ქ ტ რ ა

ა ნ ტ ი ს ტ რ ო ფ ი პ ი რ ვ ე ლ ი

შენ შეგიტყვია ხვედრი მამისა.
მე კი გამაგდეს, მომიძულეს
ვით ავი ძუკნა.
მოკვდა სიცილი ჩემს ბაგეზე,
გამიმრავლდა ურვა და ცრემლი.
რაც გითხარი, დაიბეჭდე გულისფიცარზე.

ქ ო რ ო

ყურად იღე ნათქვამი ესე.
ახლოს განჩხრიკე.
რაც მოხდა _ უწყი,
რაც მოხდება, უწყოდე ისიც.

აღასრულებდე მამაცურად მამაცის საქმეთ.

ო რ ე ს ტ ე

ს ტ რ ო ფ ი

მე მოგიწოდებ, შემწედ ჩვენდა გვეყოლე, მამავ.

ე ლ ე ქ ტ რ ა

მამავ, მეც ამას გევედრები ცრემლდათხეული.

ქ ო რ ო ს გ ა მ ძ ღ ო ლ ი ქ ა ლ ი

ჩვენც ვადასტურებთ მოტირილით, ზარით და ზურნით?

ყ ვ ე ლ ა ნ ი

ამოიმართე ნათლის სვეტად,
შემწედ ჩვენდა იყავ მტერზედა!

ო რ ე ს ტ ე

ა ნ ტ ი ს ტ რ ო ფ ი

მხარი აუბას დიკემ დიკეს, არესმა _ არესს.

ე ლ ე ქ ტ რ ა

ჰე, ზეციერო, გვყავ წყალობა სამართლიანი!

ქ ო რ ო ს გ ა მ ძ ღ ო ლ ი ქ ა ლ ი

ტანში დაცოცავს ცივი შიში, თქვენ რომ გიყურებთ.

ყ ვ ე ლ ა ნ ი

დიდხანს იცდიდა წერა-მწერელი,
ახლა კი დროა, იგი მლოცველთ გამოეცხადოს.

ქ ო რ ო

ს ტ რ ო ფ ი

ოჰ, ტანჯვანი საშოსმიერნი!
სალმობანი, აღმოკვნესანი!
სისხლიანი ნაკოდარები...
ოჰ, ტკივილები გარსმოჯარული,
ოჰ, ჭრილობანი მოუშუშარი!

ა ნ ტ ი ს ტ რ ო ფ ი

ვერ განკურნავს
სასახლის წყლულებს
უცხო წამალი,

თუ არა მისივ მოსისხლეობა.
ასე გალობენ მიწის ღმერთები.

ქ ო რ ო ს გ ა მ ძ ღ ო ლ ი ქ ა ლ ი

ათხოვეთ ყური, მიწის ღმერთებო,
საბრალო ბავშვებს, შემოაწიეთ
მწეობა, სიმხნე და გამარჯვება.

ო რ ე ს ტ ე

შენ ხელმწიფურად არ წასულხარ იმ ქვეყნად, მამავ,
მე მაინც მერგოს ხელმწიფება შენს სასახლეში.

ე ლ ე ქ ტ რ ა

დასდე სამანი ტანჯვას ჩემსას, გენუკვი, მამავ,
მაღირსე შველა და ეგისთეს დასდე სასჯელი.

ო რ ე ს ტ ე

პატივს დაგდებენ, შეგწირავენ მდიდრულ საწირავს,
არა და ყველა ზურგს შეგაქცევს მიწის ბინადარს,
არ ახრჩოლდება შენს საფლავზე საწესო კვამლი.

ე ლ ე ქ ტ რ ა

ჩემი ქორწილის ბედნიერ დღეს, ძვირფასო მამავ,
მშობლიურ სახლის მთელ მონაგარს შენ შემოგწირავ,
და უწინარეს საფლავს შენსას ვეთაყვანები.

ო რ ე ს ტ ე

დედამიწაო, დამიბრუნე მესანგრედ მამა.

ე ლ ე ქ ტ რ ა

ო, პერსეფონე, საწაღმართოდ მოგვეცი ძალი!

ო რ ე ს ტ ე

სამძიმო სისხლის აბაზანა გახსოვდეს, მამავ!

ე ლ ე ქ ტ რ ა

სამგლოვიარო სამოსელი გახსოვდეს, მამავ!

ო რ ე ს ტ ე

მახე დაგიგეს ვერაგულად, მხეცებრ გაგმაგრეს.

ე ლ ე ქ ტ რ ა

პირობა შეკრეს, გამოგაწყვეს შავებში მკვდარი.

ო რ ე ს ტ ე

არ გაიხსენებ ამ შერცხვენას, ძვირფასო მამავ?

ე ლ ე ქ ტ რ ა

არ აღმოხდები საფლავიდან, ძვირფასო მამავ?

ო რ ე ს ტ ე

თანამებრძოლად მომივლინე ქალწული დიკე,
ან ვერაგობით ვერაგობა დამაგმობინე.
დამარცხებული გამარჯვებას ნუ შეელევი.

ე ლ ე ქ ტ რ ა

უკანასკნელი მოტირილიც ისმინე, მამავ!
საფლავზე ობლად მოწივწივე შენი ბარტყები,
ვაჟი და ქალი, შეიფარე შენგან შობილნი.

ო რ ე ს ტ ე

არ გარდააგო პელოპიდთა ჯილაგი ძველი.

ე ლ ე ქ ტ რ ა

მაშინ სიკვდილი გარდასულსაც ვერას დაგაკლებს.

ო რ ე ს ტ ე

არ ჩასტოვებენ დავიწყების ფსკერში შვილები
წინაპრებს თვისას, როგორც კორპის ქერქეჭელები
ზევით ეწევა წყალში ბადეს, არ სძირავს ქვევით.

ე ლ ე ქ ტ რ ა

გვათხოვე ყური, შენთვის ვგოდებთ საწყალობელად.

ო რ ე ს ტ ე

შენთვის იქნება ნუგეშინი, თუ გვცემ ნუგეშინს.

ქ ო რ ო ს გ ა მ ძ ღ ო ლ ი ქ ა ლ ი

ვერვინ დაგზრახავთ, გლოვა ეგრე რომ გაგიგრძელდათ,
თქვენ შეიწყალეთ ეს საფლავი, ოხერტიალი.
მაგრამ თუ სული სამამაცოდ გიდგას, ორესტე,
შეუდექ საქმეს, მოიხილე დემონი შენი.

ო რ ე ს ტ ე

დე, იყოს ესე. არ იქნება ოღონდ ურიგო,
ვიკითხო ერთი, დედაჩემმა რად გამოგზავნა
ნაგვიანევი მოშიშებით შესაწირავი?
მტრის კუბოს უთვლის მონანიე სამძიმარს იგი?

რა იაფია მცირე ესე გამოსასყიდი,
რა უბადრუკი, ვიდრე თავად დანაშაული.
სისხლის საფასურს ვერას გასცემ, თუმც საწირავი
შესწირო მთელი, ამაოა ყოველი ღონე.
უკეთუ უწყი, ამა საქმის მაუწყე რამე.

ქ ო რ ო ს გ ა მ ძ ღ ო ლ ი ქ ა ლ ი

დიახ, ყოველი ვუწყი, შვილო, მე ხომ იქ ვიყავ,
შიშმა შეიპყრო ღამეულმა, ავმა სიზმრებმა,
საკურთხიც მიტომ გამოგზავნა უღმერთო ქალმა.

ო რ ე ს ტ ე

რა სიზმრებია, დალაგებით მითხარი ერთი.

ქ ო რ ო ს გ ა მ ძ ღ ო ლ ი ქ ა ლ ი

ვითარცა ბრძანა, მეზმანაო _ ვშობე დრაკონი.

ო რ ე ს ტ ე

რა მოჰყვა ამას, რით დამთავრდა ეს საქმე ბოლოს?

ქ ო რ ო ს გ ა მ ძ ღ ო ლ ი ქ ა ლ ი

ბალღის სახვევში ვახვევდიო ახალშობილ გველს.

ო რ ე ს ტ ე

ვინ ამძუძებდა გველის წიწილს, ქალისგან ნაშობს?

ქ ო რ ო ს გ ა მ ძ ღ ო ლ ი ქ ა ლ ი

დედისავ მკერდზე ზმანებული _ მის ძუძუს სწოვდა.

ო რ ე ს ტ ე

არ უნესტრავდა მერე გულმკერდს უხსენებელი?

ქ ო რ ო ს გ ა მ ძ ღ ო ლ ი ქ ა ლ ი

სისხლის ლეკერტი ამოჰქონდა ძუძუს კერტიდან.

ო რ ე ს ტ ე

საგულისხმოა ხილვა ესე სიზმარეული.

ქ ო რ ო ს გ ა მ ძ ღ ო ლ ი ქ ა ლ ი

ბოლოს შეჰყვირა, შიშნეული ზეწამოიჭრა,
ჩაბნელებული სასანთლენი დაუთვალავი
აინთო უმალ სადედუფლო სანთიობოში.
გამთენიისას გამოგვგზავნა მიცვალებული!
სულის საწესოდ, მსხვერპლშეწირვით, იმედნეულმა.

ო რ ე ს ტ ე

მე ვევედრები მიწას ჩემსას, საფლავს მამისას,
რომ სასიკეთოდ ამისრულდეს სიზმარი ესე,
საცნაურია ჩემთვის მისი თავი და ბოლო,
გველი დაჰბადა საშომ, ჩემმა დამბადებელმა,
ჩემი ბალღობის სახვევებში ეხვია გველი.
იგივე ძუძუს სწოვდა იგი, მე რომ მოვწოვე,
მეც იმ გველივით ქალის სისხლს და რძეს ვეზიარე.
დიახ, ყვირილი საზარელი აღმოხდებოდა,
ჰმართებდა კიდეც; მან შეიგრძნო, რომ შვა ურჩხული,
დრაკონი იგი თავად მე ვარ, მისგან ნაშობი
მე მოვკლავ დედას, საცნაურყოფს ამას სიზმარი.

ქ ო რ ო ს გ ა მ ძ ღ ო ლ ი ქ ა ლ ი

მიმიჩნევიხარ სიზმარეულ ხილვის მეცანად,
დე, იყოს ესე, მეგობრებსაც უნდა გაენდო,
რისი ქმნა გმართებს, რისი არა _ გვაუწყე ესეც.

ო რ ე ს ტ ე

ვიტყვი უბრალოდ, დაუბრუნდეს ბინას ელექტრა,
თქვენ კი გულებში დაიმარხავთ ჩემს განზრახულებს.
როგორც მოაშთეს ვერაგობით მშობელი მამა,
თავადაც იმავ ვერაგობით მოიშთობიან.
ეჭვი არ არის, ადასტურებს ამას ლოქსია,
თვით აპოლონი, ურყევია ბრძანება მისი.
მე კი შინ შევალ უცხოელის ტანისამოსით,
თან მეახლება ეს ვაჟკაცი, ჩვენი პილადე,
ჩემს კერიაზე და ჩემს შუბზე ძმადშეფიცული.
პარნასეების მიხვრა-მოხვრას მოვიშველიებთ
და ფოკიდელთა კილოკავზე მოვუქცევთ სიტყვას,
არა მგონია ღირსეულად გაგვიმასპინძლდეს
სასახლე, სადაც ჩაესახლა შავი დემონი.
თავად ცოტა ხანს აქ დავიცდით, დაველოდებით
გზად გამვლელს ვინმეს, წესისამებრ ვინაც იკითხავს:
“როგორ, ეგისთე ალოდინებს კარებთან სტუმრებს?
შევიტყო ერთი, ეგებ, სახლში არ არის იგი?”
და თუღა განვვლე სეფე-კარი და მისი წირთხლი,
შევეჩეხები მამის ტახტზე მჯდომარე მტარვალს,
ის წამოდგება, შესახვედრად წამოვა ჩემკენ,
მერმე პირისპირ ერთმანეთთან დავრჩებით წამით
და ვერ მოასწრებს: “უცხოელო, სადაური ხარ” _
შეტორტმანდება უმალ იგი ხმლით მოცელილი,

და ერინიამ, ორთქლიანი სისხლის მწყურვალმა,
სავსე ფიალა მესამედაც გადაჰკრას ბარემ!
ელექტრა, დაო, სახლში მარჯვედ გეჭიროს თვალი,
რომ ყოველივე ისე მოხდეს, როგორც გვწადია.
თქვენ კი გავალებთ, დაიბრძენოთ თქვენი ენები
ან დუმილისთვის, ან დროული ლაპარაკისთვის;
სხვა დანარჩენზე, იმედია, იზრუნებს იგი,
ვინც სისხლიანი დაგვიბედა ჩვენ ასპარეზი.

(ორესტე და პილადე გადიან, ელექტრა მიდის სასახლეში)

პირველი სტასიმი

ქორო

სტროფი პირველი

უთვალავ როკაპს, დია აშიშს დაჰბადებს მიწა,
ზღვა წარმოშობს საშიშ ურჩხულებს,
რომ შეზაროს მოკვდავის სული.
მაღალ ღრუბლებში
ტკაცუნებს ცეცხლი,
ცაზე ფრინველთ, მიწაზე მღოღავთ
შიშის ზარს სცემს ელვა და ქარი.

ანტისტროფი პირველი

რა ამოწურავს მამრის ზვაობას,
დიაცის ვნებას
დაუოკებელს.
ნავსი ბედი შეეუღლა
მოკვდავთაგანს დიაცის სახით.
ავხორცობა, რაიც ბუდობს ქალის სხეულში,
საშიშია თვით ვეშაპზე და ქარიშხალზე.

ქორო

სტროფი მეორე

ისმინეთ, ვისაც გეყურებათ,
ამბავი ძველი _
ბოროტი ქალის
თესტიასაგან
შვილის დაწვისა.
როს ყრმამან ჩვილმან
გამოაღწია დედის წიაღით,

დედამ აანთო მუგუზალი
და დასწვა ჩვილი.

ა ნ ტ ი ს ტ რ ო ფ ი მ ე ო რ ე

სხვანი გვითხრობენ
საძაგელი სკილას მკვლელობას.
მტრის ცდუნებით
ვინაც დაღუპა ძვირფასი მამა,
რა დაეხარბა ოქროს ყელსაკიდს
მინოსისა.
მძინარე ნისოსს
უკვდავების შეაჭრა თმები
უსირცხვო ძუკნამ
და ჰერმესი წამოაწია.

ს ტ რ ო ფ ი მ ე ს ა მ ე

ყველას კი მაინც ლემნოსური უბედურება ჭარბობს.
ხშირად გაჰყივიან ამ სააუგო ამბავს.
იმ ჟამიდან ყოველ ახალ უბედურებას
ლემნოსური ავბედობით ზომავენ კაცნი.
გარდაეგება უპატიოდ
ღვთისმგმობელთა ბოროტი მოდგმა,
შერისხული მაღალ ღმერთთაგან.
თავად განსაჯეთ, ჭეშმარიტად ვამბობ თუ არა.

ა ნ ტ ი ს ტ რ ო ფ ი მ ე ს ა მ ე

ჩვენ გავიხსენეთ სიმუხთლენი, აწ გარდასულნი,
ნურც ბედკრულ ქორწილს დავივიწყებთ
და ცბიერ დიაცს,
ვაჟკაცი რომ მოაყივნა
მტერთა მზაფრავი.
ჩვენ კი ამ დროს მოვკუნჭულვართ დიაცის შუბქვეშ
გაციებულ სახლის კერაზე.

ს ტ რ ო ფ ი მ ე ო თ ხ ე

დიკეს ლახვარი გულს გაუპობს,
ვინც გაქელა დიკეს დიდება
და ქალწული სათნოება ამოსვარა უღვთოდ ტალახში,
ვინც ფეხით შესდგა ზევსის კანონებს.

ა ნ ტ ი ს ტ რ ო ფ ი მ ე ო თ ხ ე

გარნა დიკე შეუვალია.
ხმალს ჭედავს ბედი.
შინ აბრუნებს იგი უფლისწულს, რომ სისხლისწილ
დასთხიოს სისხლი ერინიამ ყოვლის მეცანმა.

მ ე ო რ ე ე პ ი ზ ო დ ი

(მეგზურებივით მოსილი ორესტე და პილადე მხლებლებითურთ

შედიან ატრიდთა სასახლის ეზოში)

ო რ ე ს ტ ე

ჰეი, მსახურნო, რად არ გესმით კარზე კაკუნი!
ეჰე-ჰე-ჰეი! შინ არვინ ხართ? გამომეყურეთ!
აგერ მესამედ გიხმობთ უკვე კარებთან მდგარი.
ეგისთოსისას მიივიწყეს სტუმართმიღება?

(სასახლიდან გამოდის მსახური)

მ ს ა ხ უ რ ი

გისმენ სტუმარო, სადაური საით მოსულხარ?

ო რ ე ს ტ ე

დაუყოვნებლივ მოახსენე სასახლის პატრონს,
რომ მნიშვნელოვან უწყებით ვარ მასთან მოსული.
ნუ დააყოვნებ, ღამიერი იჩქარის ეტლი,
დაუხანებლად მართებს მეგზურს, სტუმართმოყვრული
ეძიოს სახლი გასათევად, ვით ნავსადგური.
გამომეჩვენოს გარეთ სახლის უფროსთაგანი,
გინდ ქალი იყოს, გინდა კაცი, კაცი აჯობებს _
უხერხულია ჩაბნელებულ სადარბაზოსთან
ქალთან ბაასი, ხოლო კაცი დაურიდებლად
და გასაგებად თავის სათქმელს კაცს უფრო ეტყვის.

(გამოდის კლიტემნესტრა)

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

წარსთქვი, სტუმარო, რად მოსულხარ, რისი თქმა გინებს;
ხელმწიფის სახლი ხელმწიფურად ღებულობს მეგზურთ.
ინებე ცხელი აბაზანა, რბილი საწოლი _
დაღლილის შვება, იმსახურე ცქაფი მსახურნი
და თუ სარჩეო საკითხებზე გარჯილხარ, მგზავრო,
სასახლის კაცთან თუ გაქვს საქმე, მას წარუდექი.

ო რ ე ს ტ ე

ფოკიდით მოვალ, დავლიდელი გახლავართ თავად.
როცა საქმეზე ჩემთვის ხურჯინაკიდებული
ვეშურებოდი არგოსისკენ, გზად შემხვდა კაცი,
გამოვიკითხეთ უცნობებმა ერთი-მეორე,
საიდან მოვალთ, ანდა საით მივეშურებით.
ვინმე სტროფიოს ფოკიდელი აღმოჩნდა იგი,
მთხოვა, “თუ მართლა არგოსისკენ მიდიხარ, მგზავრო,
წყალობა მიყავ, გადაეცი ორესტეს მშობლებს _
გარდაიცვალა ორესტე-თქო, არ დაგავიწყდეს.
ეგებ სურთ, ნეშტი სამშობლოში გადაასვენონ,
ანდა დატოვონ უცხოეთში სამარადჟამოდ.
რომ დაბრუნდები, მომიტანე ამის პასუხი.
ჩვენ საკადრისად დავიგლოვეთ მიცვალებული,
ფერფლი სპილენძის ურნაშია დაცული მისი”.
ეს იყო, მგზავრმა რაც მაუწყა, მე კი არ ვუწყი
ვუთხრა თუ არა ეს ამბავი იმას:, ვისთვისაც
უნდა მეუწყა, ეგ კი, ალბათ, შენ იცი უკეთ.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

ვაიმე ბედკრულს, ფერხთა ქვეშე შეირყა მიწა,
ოჰ, შერისხულო სასახლეო, ბნელო დილეგო!
ოჰ, წყევლა-კრულვავ! ვინც მეგონა გადარჩენილი,
წამოაწიე შენ ისარი, გულს განუწონე;
წამგვარე ყველა ახლობელი, დამაგდე მსხემად.
აგერ, ორესტეც... ბედნიერად რომ ვიგულვებდი
და მცელავ სიკვდილს გადურჩა-თქო ვფიქრობდი, ვაგლახ!..
აღარაფერი აღარ დამრჩა, ყველა იმედი
გადამეწურა, ჩაშრა ფსკერში ბედის წამალი.

ო რ ე ს ტ ე

ჰოი, ნეტავი შემძლებოდა მოვსულიყავი
თქვენს ამაღლებულ სრა-პალატში სამახარობლოდ,
ვით ფეხკეთილი სასურველი სტუმარი თქვენი,
სტუმარი ღვთისა _ ბედნიერი მასპინძლობისათვის.
მხოლოდრე არც ის იქნებოდა პატიოსნება,
თუ ჭირისუფალთ მძიმე ამბავს დავუმალავდი.
თან სიტყვა მივეც უჭოჭმანოდ თანამგზავრს ჩემსას.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

ეგ არ დაამცრობს შენს ღირსებას, მგზავრო, სრულებით,
მობრძანდი, თავი დაიგულვე სასურველ სტუმრად.

მაგ მძიმე ამბავს შენ თუ არა, სხვა გვაუწყებდა,
ახლა კი დროა, ღამეულმა ჩვენმა სტუმრებმა,
მთელი დღის ნამგზავრ-დაღლილებმა, ჰპოვონ სიმშვიდე.

(მსახურს)

კაცთა დარბაზში შეიყვანე მოსასვენებლად
ჩვენი სტუმრები, არ მოაკლო მათ ყურადღება,
ამა სასახლის სიკეთენი არ მოუძუნწო _
მიბრძანებია, პასუხს ჩემთან აგებ, იცოდე.
ხოლო მე წავალ, მოვახსენებ სასახლის ბატონს
სამძიმო ამბავს, მეგობრებიც უხვად გვივიან,
ავწონ-დავწონით ყოველივეს გონდაუნჯებით.

(კლიტემნესტრა, ორესტე და პილადე სასახლეში შედიან)

ქ ო რ ო ს გ ა მ ძ ღ ო ლ ი ქ ა ლ ი

ო, დობილნო, სასახლის მსახურნო,
დროა უკვე
ბაგეებს ჩვენსას დასცდეს ლოცვა ორესტესათვის.

ქ ო რ ო

ო, დედამიწაო, დედუფალო ჩვენო!
ო, ტაგრუცო ამაღლებულო!
შენს წიაღში რომ ინახავ ზღვათა ხელმწიფეს,
წყალობა გვყავი, მოგვაპყარ ყური!
ქსელს ვერაგულად
ბლანდავს პეითო
და ხელჩართულ ბრძოლაში იხმობს
მიწისქვეშეთის ჰერმესსა და წკვარამის
ჰერმესს.

(ამ დროს გვერდითი კარიდან გამოდის ორესტეს ძიძა კილია)

ქ ო რ ო ს გ ა მ ძ ღ ო ლ ი ქ ა ლ ი

ბედნავსი ცნობა მოიტანა, ალბათ, სტუმარმა,
აგერ, ორესტეს ძიძას ვხედავ მტირალი სახით.
საით მიდიხარ კარიბჭიდან, გვარქვი კილია,
ხელჩაკიდული სად მიჰყვები შავოსან აჩრდილს.

ძ ი ძ ა

დაუყოვნებლივ ეგისთოსის წარდგენა ბრძანა
სტუმართ წინაშე დედოფალმა, რომ დაწვრილებით
კაცმა შეიტყოს ყოველივე თავად კაცისგან.
თუმცა მსახურებს ეჩვენება მწუხარე სახით,

მაინც თვალები დედოფლისა ამხელს სიხარულს,
იგი აშკარად აღატყინა მაგ უცხოელის
სამძიმო ცნობამ, მაგრამ მთელი სასახლე ჩვენი
უბედურებით გადაყურსა მძიმე უწყებამ.
მეუღლეც მისი აღივსება სიხარულითა,
რაჟამს შეიტყობს ამა ამბავს, ა-ვაჰმე, ვაგლახ!
თუმც არაერთგზის მიგემნია უწინაც უხვად
ჟამთა სიავის მწარე შხამი ატრევსის სახლში,
ასე აროდეს მკერდში გული არ მომწურვია.
ამიტანია ღირსეულად ვარამი ძველი.
მაგრამ ორესტემ სანუკვარმა, აღზრდილმა ჩემმა,
ერთავად ხელი მომითავა, შემიძრე სული.
დედის საშოდან აღვიყვანე, ვაწოვე ძუძუ.
ვაჰმე, ღამეებს ვუთენებდი უმწეო მტირალს,
ყოველი ჯაფა აწ გაცუდდა და რუდუნება,
რაიც სჭირდება ბავშვის აღზრდას. ახალშობილი
უგუნურია, ცხოველივით ძნელად საწვრთნელი,
ჯერეთ უენო ვერას გეტყვის ჩვრებშეფუთვნილი,
როცა სწყურია, შია, ანდა აწუხებს შარდი;
უმწეო ღლაპი მხოლოდ მუცელს ემორჩილება.
ასი თვალი და ყური გინდა, რომ ჩვილ მეძუძურს
არრა მიაკლო, მიაშველო დროზე საცვლები.
მე ვიყავ მისი გადიაც და მრეცხავი ქალიც,
ორივე საქმეს ვასრულებდი დაუზარებლად.
მამის მემკვიდრედ აგრერიგად ვზრდიდი ორესტეს.
ახლა შევიტყვე უბედურმა სიკვდილი მისი,
და ეს ამბავი მიმაქვს მასთან, სამახარობლოდ,
ვინც მოაყივნა ხელაღებით სასახლე ესე.

ქ ო რ ო ს გ ა მ ძ ღ ო ლ ი ქ ა ლ ი

რარიგად ბრძანა ქალბატონმა მისი მოყვანა?

ძ ი ძ ა

როგორ რარიგად... კვლავ მიბრძანე უფრორე ნათლად.

ქ ო რ ო ს გ ა მ ძ ღ ო ლ ი ქ ა ლ ი

მცველები უნდა იახლოს თუ მარტო მოვიდეს?

ძ ი ძ ა

ნაბრძანებია შუბოსანთა რაზმი იახლოს.

ქ ო რ ო ს გ ა მ ძ ღ ო ლ ი ქ ა ლ ი

ნუ განუცხადებ მაგ ბრძანებას საძულველ დესპოტს,

დაე, მოვიდეს უდარდელად, უმეთვალყუროდ.
მაშ გაუჩქარე, მხიარულად ეახელ ბატონს;
შეატრიალე ბრუნდი სიტყვა მახარობელმა.

ძიძა

შენც ეს უწყება ეგრერიგად გახარებს, ნუთუ?

ქოროს გამძღოლი ქალი

ზოგჯერ ტანჯვასაც სიხარულად მოგვისთვლის ზევსი.

ძიძა

როგორღა, ოდეს სახლის ბოძად არ დგას ორესტე.

ქოროს გამძღოლი ქალი

ო, არა, არა! ეგრე განსჯის ცუდი მისანი.

ძიძა

ერთი ამბავი ორდაგვარად გაუწყეს ალბათ?

ქოროს გამძღოლი ქალი

შენ აღასრულე ბრძანებული, გასწი, იჩქარე,
დანარჩენებზე იზრუნებენ ღმერთები თავად.

ძიძა

აჰა, მივდივარ, ყურად ვიღებ შენეულ სიტყვებს,
დე, თანა მდევდეს მოწყალება ღმერთთამიერი.

მეორე სტასიმი

ქორო

სტროფი პირველი

მოგვაპყარ ყური,
ოლიმპიელთა მაღალ დასის მამაო ზევსო!
მოიღე ჩემდა მოწყალება,
კეთილობა მახილე, ზევსო!
ჩვენი მართალი ღაღადება
ისმინე, ზევსო!
ვაიმე, ვაი! მოეცი ძალი შინდაბრუნებულს
მტერთა ზედა გამარჯვებისა!
მოეცი ძალი
ორმაგ, სამმაგ შურისგებისა,
დიადო ზევსო!

ა ნ ტ ი ს ტ რ ო ფ ი პ ი რ ვ ე ლ ი

მამის გვარზე მხტომარე კვიცი
აწ შებმულა კირთების ეტლში.
დე, ზომიერი ჰქონდეს ნახტომი ფიცხელ იაბოს!
ნუთუ სიმწყობრით
გადაუვლის გაუხედნელი
სარბევ მოედანს?
ვაიმე, ვაი! მოეცი ძალი მტერთა ზედა გამარჯვებისა,
დიადო ზევსო!
მოეცი ძალი
ორმაგ, სამმაგ შურისგებისა!

ს ტ რ ო ფ ი მ ე ო რ ე

სასახლის განძთა,
საჭურჭლეთა მფარველო ღმერთნო,
ღაღადისი ისმინეთ ჩვენი!
ჩამორეცხეთ ახალ სისხლით
ძველნი ცოდვანი.
დე, უძეოდ გარდაეგოს
ბებერი მტრობა.
ო, კეთილო მბრძანებელო, დიდო უფალო,
სახლსა ამას გარდმოავლე მოწყალე თვალი.
მწუხრის ბინდი
ჩამოხსენი
მოყვასის თვალებს.

ა ნ ტ ი ს ტ რ ო ფ ი მ ე ო რ ე

გამოატარე ქარიშხალში ბედის ხომალდი
შენ, მაიას ძევ,
და ქარკეთილი დაუბერე.
ჭეშმარიტებას ფარავს წყვდიადი.
ბნელში წრიალებს ეული სიტყვა.
ღია თვალებში ღამეა მხოლოდ,
დღეც ღამეა და
უჩინოა ყველა ხილული.
მოიღე ძალი ბურჯო სასახლისა,
დიდებულ სახლის!
მოიღე ჩვენდა თავისუფლება,
ჩამოაშორე მოყვასთა თვალებს
მწუხრის ზეწარი.

ს ტ რ ო ფ ი მ ე ს ა მ ე

გაიფანტება მაშინ შიში,
ქალთა პირიდან აღმოსკდება
შეძახილი სიხარულისა.
ქალაქს მშობლისა
აღავსებენ სადღეობო საგალობელნი,
მომიზღვავდება სიხარული აღუწონელი!
დაუტევებს ავბედი მოყვასს.
არ შედრკე საქმის აღსრულების ჟამს!
და როცა დედა შემოგბღავლებს,
“ოჰ, შვილო ჩემო”!
ყელში ჩასჩარე ეს სიტყვები ყვირილით _ “მამა”!
და უდრტვინველად აღასრულე სასისხლო საქმე.

ა ნ ტ ი ს ტ რ ო ფ ი მ ე ს ა მ ე

სულში პერსევსის ჩაიდგი ძალა,
გულში სიმტკიცე, ჰქმენ ეს იმათთვის,
ვინც შეეხიზნა მიწისქვეშეთს _
ვინც ზევით დარჩა.
უბოროტესი სიკვდილისთვის
დაუდგინე სასიკვდილო განაჩენი
ბოროტის მოქმედს.
არ შედრკე საქმის აღსრულების ჟამს!
და როცა დედა შემოგბღავლებს _
“ოჰ, შვილო ჩემო”!
ყელში ჩასჩარე ეს სიტყვები ყვირილით _ “მამა”!
და უდრტვინველად აღასრულე სასისხლო საქმე.

მ ე ს ა მ ე ე პ ი ზ ო დ ი

(შემოდის ეგისთოსი)

ე გ ი ს თ ო ს ი

მე აქ სურვილით არ მოვსულვარ, მიხმეს და მოველ.
როგორც შევიტყვე, ვიღაც უცხო ხალხი მოსულა,
მოუტანიათ მათ ორესტეს გარდაცვალების
ავი ამბავი. სამძიმოა უწყება ესე
ჩვენი ხალხისთვის. ძნელი ჟამი დაგვიდგა ისევ,
თუმც ძველ ჭრილობებს არ შეკვრია პირი სავსებით.
გარნა ეს ცნობა ნამდვილია თუ ნატყუარი?
იქნებ ნათრევი, დიაცური ჭორია მხოლოდ,
შიშის ცდუნება, რასაც ქარი გაჰფანტავს მალე.

იქნებ, შენ მაინც განმიცხადო ჭეშმარიტება?

ქ ო რ ო ს გ ა მ მ ძ ღ ო ლ ი ქ ა ლ ი

ყური მომიკრავს მაგ ამბისთვის, მაგრამ აჯობებს
თავად ეახლო უცხოელებს, მათგან შეიტყო,
გამოიძიო ყოველივე დანამდვილებით.

ე გ ი ს თ ო ს ი

თავადაც მნებავს ვესაუბრო პირადად მაცნეს,
გამოვიკითხო, შესწრებია იგი ამ ამბავს
თუ რამ მონაჭორს ან ყურმოკრულს გვიყვება რასმე.
ჩემს ჯიუტ მზერას იგი ვერას გამოაპარებს.

ქ ო რ ო ს გ ა მ მ ძ ღ ო ლ ი ქ ა ლ ი

ო, ზევსო, ზევსო!
ვით აღვავლინო ლოცვა შენდა,
ვით დავაჯგუფთო
სიტყვა და აზრი?
მოქმედების დამდგარა ჯერი.
აღიმართება სასისხლოდ ხმალი,
ან ერთიანად გაცამტვერდება
აგამემნონის ბედკრული სახლი,
ან გაჩაღდება კერაზე ცეცხლი თავისუფლების
და დაბრძანდება ხელმწიფის ტახტზე
ტახტის მემკვიდრე.
განზრახული აქვს ღვთიურ ორესტეს
ორ მტერს შეებას ერთდროულად.
გამარჯვებული გვენახოს იგი!

(ეგისთოსის ხმა სასახლიდან)

ვაგლახ, ვაიმე!

ქ ო რ ო

ჩუმად, ჩუმად!
რა ამბავია, რა ხდება სახლში?

ქ ო რ ო ს გ ა მ მ ძ ღ ო ლ ი ქ ა ლ ი

ჩვენ გვერდზე მივდგეთ, აღსრულდა საქმე.
არ შეგვამჩნიონ, ბრალი არ დაგვდონ.
ბრძოლა დასასრულს უახლოვდება.

მ ს ა ხ უ რ ი

ვაიმე, ვაი! მკვდარი გდია ბატონი უკვე!
ვაიმე, ვაი! აწ ამაოდ ვტირი და ვგოდებ...

აწ ეგისთოსი აღარ არის.... გააღიაღეთ
კარკანდელები ჩქარა! ქალთა სანთიობოებს
შეხსენით კარი! იღონიეთ ყოველი ღონე!
რაღას უშველით თუმცაღა მკვდარს, რაღას უშველით.
ვაგლახ მე, ვაი!
არსაიდან ხმა, თითქოს ვუხმობ ყრუთ და მძინარეთ,
სად არის თავად კლიტემნესტრა, რატომ დაყოვნდა?
უნდა ვიფიქროთ, შურისგების ბასრი მახვილით
დღეს თვით დედოფლის ფაფუკ კისერს მოსწყდება თავი.

(სასახლიდან გამოდის კლიტემნესტრა)

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

რა ხდება სახლში, რა ხმაური აგიტეხია.

მ ს ა ხ უ რ ი

ესრეთ შეგკადრებ, ქალბატონო, მკვდარი კლავს ცოცხალთ.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

ვაიმე, ბედკრულს, გამოვიცან ეგ გამოცანა.
ვაჰმე, ჩვენივე მკვლელობის წილ ახლა ჩვენ გვკლავენ.
ჩქარა მოიღეთ შუბნაჯახი პირგაბასრული,
სხვა რაღა დაგვრჩა _ ან სიკვდილი ან გამარჯვება.
მეტად გაგრძელდა საქმე ესე ბოროტეული.

(სეფე კარებიდან შემოდიან ორესტე და პილადე,

ხელები სისხლში აქვთ გასვრილი)

ო რ ე ს ტ ე (კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა ს)

აჰა, სწორედ შენ დაგეძებდი, მან კი ზღო უკვე.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

ვაი, ეგისთე, საყვარელო, მკვდარი ხარ უკვე!

ო რ ე ს ტ ე

მაშ, გიყვარს იგი ჭეშმარიტად? მაშინ მის გვერდით
ჰპოვებ სამარეს: მჯერა, სატრფოს არ უღალატებ.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

შეჩერდი, შვილო, დედაშენის დაინდე მკერდი,
სადაც პაწიას თავი გედო, გეძინა მშვიდად
და გიწოვია გამოწვდილი ტკბილი ძუძუნი.

ო რ ე ს ტ ე

ვაი, პილადე, მემნელება დედის სიკვდილი!

პ ი ლ ა დ ე

შენ დაივიწყე ნამისნევი დიდი ლოქსიის,
ფიცი, რომლითაც შეემტკიცე პითოსელს ერთხელ?
მოკვდავთ ღალატი შეიძლება, ღმერთთა კი _ არა.

ო რ ე ს ტ ე (პ ი ლ ა დ ე ს)

ოჰ, მართალი ხარ... სარწმუნოა შენი სიტყვები.

(კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა ს)

თან გამომყევი, უნდა წაგაკლა საყვარელს ზედა.
თუკი ეგისთე სიცოცხლეში ანაცვლე მამას,
მკვდარსაც მიუწექ ახლა გვერდით, შენ ის გიყვარდა,
და გძულდა იგი _ სიყვარული გმართებდა ვისიც.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

მე შენ გაგზარდე, შენთან მინდა განვლიო დღენი.

ო რ ე ს ტ ე

შენ, ვინც მოჰკალი მამაჩემი, ჩემთან გსურს ყოფნა?

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

ბედია, შვილო, და მოირა ყოვლის მიზეზი.

ო რ ე ს ტ ე

შენაც მოირა გაზღვევინებს სამაგიეროს.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

დედაშვილობას, დედის წყევლა თავზარს არ დაგცემს?

ო რ ე ს ტ ე

თუმც კი დედა ხარ, შენ მაგემე მე უდედობა,
ოდეს დამბადე და დამაგდე ობოლ-ოხერი.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

არ დამიგდიხარ, მოყვრის სახლში დაგმალე მხოლოდ.

ო რ ე ს ტ ე

ორგზის გამყიდე თავისუფალ მშობლის მემკვიდრე.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ე

თუღა გაგყიდე, რა ავიღე მე სარგებელი?

ო რ ე ს ტ ე

მე მსვრის ტალახში საუგო საქმენი შენნი.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

თვით მამაშენის სიავეზე რად აღარ იტყვი?

ო რ ე ს ტ ე

მაშვრალ მამაკაცს ნურას ყვედრის უქმი დიაცი.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

დიაცისათვის უკაცობა მძიმეა, შვილო.

ო რ ე ს ტ ე

მაგრამ ადვილი _ ინებივროს კაცის ნაღვაწით.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

ოჰ, ნუთუ შვილო, გულში გიძევს დედის მკვლელობა.

ო რ ე ს ტ ე

შენვე დასთესე ეგ სიკვდილი და იმკი ახლა.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

გაფრთხილდი, დედურ სისხლს იცავენ ავი ძაღლები.

ო რ ს ე ტ ე

მაშინ მამის სისხლს სად გავექცე, მაუწყე თავად.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

რა გითხრა, უკვე მე ჩემსავე ცხედართან ვდგევარ.

ო რ ე ს ტ ე

შენ განგიჩინა განაჩენი ხვედრმა მამისამ.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

ვაგლახ, მე, გველი მიშობია და გამიზრდია.

ო რ ე ს ტ ე

ფუჭი არ იყო შიში შენი სიზმარეული.
შენ მოჰკალ _ სცოდე, გკლავ და ვცოდავ სამაგიეროდ.

(ორესტეს დარბაზში შეჰყავს კლიტემნესტრა, შეშფოთებული ქორო თავის ადგილს უბრუნდება)

მესამე სტასიმი

ქორო

სტროფი პირველი

თავს წამოადგა პირამიდების ძველ გვარს დიკე
მკაცრი სასჯელით.
აგამემნონის სახლს ეწვია მართლმსაჯულება
ორი ლომით, ორი არესით.
ბოლოჟამს
მოდგა მალემსრბოლი.
აღასრულა ბრძანებული პითოსელისა.
ო, გიხაროდენ, ჩააძაღლეს ორი ტირანი!
ზაკვა, მკლელობა დასრულდა სახლში.
ამიერიდან ხელს ვერ აღმართავს ვერაგი წყვილი!

ანტისტროფი პირველი

შემოიპარა სასახლეში შურისგების
ფრთხილი ლანდი და აღძრა ბრძოლა.
აღმართა ხმალი ზევსის ასულმა,
ვისაც ხმობენ ჭეშმარიტად მოკვდავნი დიკედ,
ვინც ჩაგვაგონებს
ბოროტთა მიმართ მტრობას მარადის.
ო, გიხაროდენ, ჩააძაღლეს ორი ტირანი!
ზაკვა, მკლელობა დასრულდა სახლში.
ამიერიდან ხელს ვერ აღმართავს ვერაგი წყვილი!

სტროფი მეორე

მაღალ და დიდ არს პარნასელი მამა ლოქსია,
ქვეყნის ღმერთთა დიდი უფალი,
ვერაგულ სასჯელს დაატეხს ყოველ
ვერაგულად მიჩქმალულ საქმეთ.
სიკეთის ქმნა
ღვთიურ ნების აღსრულებაა.
ზეციურის მიმართ მარადის ხამს თაყვანება.
კვლავ აღიმართა სვეტი ნათლისა.
დაილეწა სრა-სასახლის მძიმე ხუნდები.
ამაღლდი, სახლო, მტვრად ქცეულო,
აღსდექ ნაცრიდან!

ა ნ ტ ი ს ტ რ ო ფ ი მ ე ო რ ე

ყოვლის მკურნალი დრო გარდაივლის
სასახლის ზღურბლზე,
წარხოცავს იგი
სისხლისა და შეცოდების ავბედით ორნატს.
კვლავ მოძებნის ბედნიერი თვალები თვალებს,
კვლავ დაიყივლებს სიხარული,
გავა სახლიდან ნავსი სტუმარი.
კვლავ აღიმართა სვეტი ნათლისა.
დაილეწა სრა-სასახლის მძიმე ხუნდები.
ამაღლდი, სახლო, მტვრად ქცეულო,
აღსდექ ნაცრიდან!

ე ქ ს ო დ ო ს ი

(სასახლიდან გამოდის ორესტე. სიღრმეში მოჩანს

ეგისთესა და კლიტემნესტრას გვამები)

ო რ ე ს ტ ე

ჰა, დაინახეთ, ჩვენი ქვეყნის წყვილი ტირანი,
მამისმკვლელები, სახლის ჩვენის დამამხობელნი.
აქ ერთ უღელქვეშ განაგებდნენ ქვეყანას ჩვენსას
და აჰა, იქაც ერთად წვანან შეუღლებულნი,
არ გაუტეხეს ერთგულების ფიცი ერთმანეთს,
ოდეს შეჰფიცეს, რომ მამაჩემს მოჰკლავდნენ ერთად,
საფლავშიც ერთად ჩავიდოდნენ _ აღსრულდა ფიცი.

(მ ს ა ხ უ რ თ)

აქეთ მოიღეთ და გაშალეთ ვერაგი ბადე,
რითაც უსირცხვოდ ნადიროზენ ადამიანზე,
დაე, იხილოს იგი მამამ, ჩემმა კი არა _
ყოველთა მამამ ჰელიოსმა _ ბადე დედისა.
შუქი მოფინოს მან ამ საქმეს, იყოს მოწამე,
ვქმენ სამართალი, დასასჯელად ხელვყავი დედა.
მხოლოდრე სულაც არ მაღონებს ეგისთეს ხვედრი.
ცოდვილ მოსისხლეს ვაზღვევინე სამართლიანად.
მაგრამ დიაცი, ქმარი თვისი რომ მოიძულა,
ვისგანაც შვილი იყოლია, ატარა მუცლით,
დაჰბადა ვინაც შვილი მტერად და არა პირმშოდ,
ვინ არის იგი? შხამიანი ქვეწარმავალი,
თუმც არ გიკბინოს, შეგეხება და ხორცთ შეგალპობს.
ნურც დამიბედოს მე ღმერთებმა ეგეთი ცოლი,

სულაც უძეოდ გარდადგება უფრორე მიჯობს.

ქ ო რ ო

ს ტ რ ო ფ ი

ვაგლახ, ვაგლახ, ბნელო საქმენო!
შავო სიკვდილო!
ვაგლახ, ვაგლახ,
აღერილო ცოდვის ყვავილო!

ო რ ე ს ტ ე

არის თუ არა ქალი მკვლელი? ამის მოწმეა
თვით მამაჩემის სამოსელი, ზედ შეწმენდილი
ხმლის ანაბეჭდით, ჟამთა დენამ უცვალა ფერი,
გამოუხუნა ოდინდელი პეწი და ნახჭი.
საბედისწერო ამ მოსასხამს მამაჩემისა
დავყურებ აგერ, ჩემს უბედურ ხვედრზე მგლოვარი
და ვწყევლი ზიზღით ჩემს სისხლიან, მწარე გმირობას.

ა ნ ტ ი ს ტ რ ო ფ ი

ვერც უცოდველად განვლის ცხოვრებას,
ვერც დაუსჯელად, მოკვდავთაგანი,
ვაგლახ, ვაგლახ!
ცოდვაც, სასჯელიც არვის ასცდება.

ო რ ე ს ტ ე

რით დასრულდება ყოველივე, თავად არ ვუწყი,
გზას ასცდა თითქოს ეტლი ჩემი, ვერ დავიურვე
შლეგი ცხენები, ველარ ვიჭერ აზრთა სადავეს.
შეფართხალებულ გულში შიშმა იკივლა უკვე,
აცეკვდა გული იდუმალი დაირის ხმაზე.
სანამ გონება არ შემშლია, გაუწყებთ ესრეთ,
მე უსამართლოდ არ მომიკლავს მშობელი ჩემი,
მკვლელი მამისა, თვით ღმერთებმა რომ მოიძულეს.
თავად ლოქსიამ შთამაგონა, მისანმა ღმერთმა,
გაბედულება _ თუ ამ საქმეს აღვასრულებდი,
შეცოდებისგან უსათუოდ განმწმენდდა იგი,
არა და მძიმეს, აღუწონელს დამდებდა სასჯელს,
დამაწყლულებდა საშინელი ისარი მისი.
ახლა კი დროა გზას გავუდგე, ვითარცა მსხემი,
ვივლი ყარიბად ზეთისხილის რტოებით შუბლზე,
ვიდრე მივაღწევ, სად ჭიპია დედამიწისა;
სად ხრჩოლავს კვამლი ღვთაებრივი, მივეყუდები

ლოქსიას ტაძარს, შევავედრებ ჩემს მძიმე ცოდვებს;
სხვა ბინა ქვეყნად აღარა მაქვს ღვთის განჩინებით.
ვიდრემდის წავალ, თქვენ მოგმართავთ, არგოსელებო,
დამემოწმენით, თუ ვითარი მერგო კირთება...
ამიერიდან მე უცხო ვარ ჩემი ქვეყნისთვის,
არ მომასვენებს ხმა ღვთიური ცოცხალს თუ მკვდარსა.

ქ ო რ ო ს გ ა მ ძ ღ ო ლ ი ქ ა ლ ი

შენ განაჩინე სამართალი, ბაგეებს შენთა
ნუღა დასცდება სამდურავი, ნუ ჰყვედრი თავსა.
წყვილეულ დრაკონს სასიკეთოდ მოჰკვეთე თავი,
სრულიად არგოსს მიანიჭე თავისუფლება.

ო რ ე ს ტ ე

ოჰ!
საზარელი, შემზარავი ქალაშავები
ყომრალ კაბებით შემოსილან გორგონთა მგვანნი,
თმები გველებად ჩამოშლიათ, უნდა გავიქცე!

ქ ო რ ო ს გ ა მ ძ ღ ო ლ ი ქ ა ლ ი

რა მოჩვენება მოგეძალა, მშობლის ნუგეშო,
გაჰფანტე შიში მამაცურად, გამაგრდი, დადექ!

ო რ ე ს ტ ე

არა, არ მდევენ აჩრდილები, მოჩვენებები,
ნამდვილად ვხედავ შურისმგებელ დედათა ძაღლებს.

ქ ო რ ო ს გ ა მ ძ ღ ო ლ ი ქ ა ლ ი

არ შეგშრობია ჯერ ხელები, სისხლით გაქვს სველი,
სულს ეს გიშფოთებს, შიშნეულად გიფანტავს აზრებს.

ო რ ე ს ტ ე

ჰოი, აპოლონ! აგერ ხროვად მოძუნძულებენ,
თვალთაგან სისხლი მოწანწკარებთ გულის ამრევად.

ქ ო რ ო ს გ ა მ ძ ღ ო ლ ი ქ ა ლ ი

განწმენდა გმართებს, შეავედრე უფალ ლოქსიას
ცოდვილი სული. აგხსნის იგი მძიმე სატანჯველს.

ო რ ე ს ტ ე

თქვენ მათ ვერ ამჩნევთ, მე კი ვხედავ მორბიან ხროვად,
უკვე აიღეს გეში ჩემზე, უნდა გავიქცე!

(გარბის)

ქ ო რ ო ს გ ა მ მ ძ ღ ო ლ ი ქ ა ლ ი

გწყალობდეს ბედი, ღმერთი იყოს შენი მფარველი,
მან მოგიტევოს შეცოდება, გაშოროს ურვა.

ქ ო რ ო

აჰა, მესამედ გაუავდრდა
ხელმწიფის სახლკარს,
შემოუბერა ქარიშხალმა ნაყოფიერად.
იყო პირველი უამინდობა,
ოდეს თიესტემ, უბედურმა, დაკლულ შვილთა იგემა ხორცი.
მეორედ მაშინ დაიგრუხუნა მძლავრმა გრიგალმა,
ოდეს დაეცა აბაზანაში დიდი ხელმწიფე,
აქაველთა ჯარის სარდალი.
და ეს მესამე გაავდრება, ო, აღარ ვიცით
რას მოგვიტანს, ხსნას თუ დაღუპვას.
საით დადგება, ან საით გასწევს
უბედურების მძიმე ლოდი აგორებული?

თარგმნა გიგლა სარიშვილმა

ევმენიდები

მოქმედი პირნი:

apoloni,	qoro eriniebisa,
piTia, misani qali,	msvlelobis monawileni,
aTena,	oreste.

პ რ ო ლ ო გ ო ს ი

(აპოლონის ტაძრის ფასადი, ორქესტრაზე გამოდის პითია, მისანი ქალი).

პ ი თ ი ა

ღმერთთა დასიდან ლოცვას ჩემსას ჯერ შევავედრებ
ღმერთქალ გაიას პირველს მისანს, მერმე თემიდას,
ვინც დედის შემდეგ მანტეონზე ამაღლებულა _
ასეთი არის გადმოცემა, ხოლო მესამე
ტიტანიდია, ფებე მიწის მომდევნო ქალი,
ნებაყოფლობით ვისაც ერგო მემკვიდრეობა,
რომელმან ფებოსს, ახალშობილს უბოძა ტახტი,
სწორედ აქედან წარმოსდგება სახელი მისი.
მან დაუტევა დელოსი და ტბის ნაპირები,
პალადის კეთილ ნავსადგურში ჩაუშვა ღუზა

და საბრძანისად აირჩია პარნასის მხარე.
ის გააცილეს ჰეფესტოსის ვაჟიშვილებმა
დიდი პატივით, მეგზურობა ითავეს მისი,
უსიერ ტყეში ბილიკები გასჭრეს სავალი.
იქ მიბრძანებულს შეეგება პატივით ხალხი,
თავად დელფოსი, ამა ქვეყნის გამგე ხელმწიფე.
მერმე, ზევსისგან კურთხეული და გაბრძნობილი
ტახტზე ავიდა, ვით მეოთხე ნათელმხილველი.
ამრიგად ზევსის ორაკული გახლავთ ლოქსია.
ჯერეთ ამ ღმერთებს შევავედრებ მე ლოცვას ჩემსა,
მერმე პალადას, ამაღლებულს ტაძრის წინარე,
თვალწარმტაც ნიმფებს, კორიკიდის ქვაბულში მცხოვრებთ,
სად სასირეა ფრინველთა და დემონთა ბინა.
არ დავივიწყებ ბრომიოსსაც ამ მხარის მპყრობელს,
ბაკხი ასული აქ იუფლა უზენაესმა
და კურდღლის ბედი დააწია ოტებულ პენთევსს.
ახლა ვიხსენებ პლისტოსის წყლებს, პოსეიდონის
ძალმორჭმულებას, ზევსს, უმაღლეს აღმასრულებელს
და ავალ ტახტზე მოწიწებით მისანი ქალი.
აწ სასიკეთო რჩევისათვის ღია იქნება
კარები ჩემი, ელინები, ვინც აქ იცდიან
დე, წილხვედრილად მომეახლონ, როგორც რიგია.
და რასაც ღმერთი ჩამაგონებს, მათ განვუცხადებ.

(შედის ტაძარში, მალევე უკან ბრუნდება შიშით მოცული)

ო, სახსენებლად, სახილველად საზარი შიში!
გამომაძევა მან ლოქსიის შინიდან გარეთ.
ჰა, გამიბრუნდდა ნაბიჯები, გამიწყდა აჯა,
მითრთის ხელები, აღარ შემრჩა მუხლებში ღონე.
უმწეო ბალღად აქცევს თურმე ბერდედას შიში.
რა შევდგი ფეხი გვირგვინებით მორთულ ტაძარში,
ვხედავ ძირს გდია, მიწის ჭიპზე, ღვთის შერისხული
ავკაცი ვინმე, ხელგაწვდილი, როგორც მთხოვარი...
ხელებზე სისხლი მოსწვეთავდა, რომელშიც ეპყრა
შიშველი ხმალი და რტოები ზეთისხილისა,
კონად შეკრული აბრეშუმის უუნაზესი
თეთრი ბაფთებით. ყოველივე ცხადად ვიხილე.
და მის ახლორე საკვირველი ვიღაც ქალები
ტაძრის დიდებულ სავარძლებში სხედან და თვლემენ.
მათ უსაზარლეს გორგონებად თუ ვხმობდი მხოლოდ.
მაგრამ ისინი გორგონებსაც არ გვანან, არა.
ერთხელ სურათზე დამინახავს, როგორ მუსრავენ

ფინევსის სუფრას ჰარპიები, გარნა ეგენი
უფრთოებია, შავგვრემანნი, დია მურდალნი,
მყრალი აქვთ სუნთქვა, საზიზღარი, მოსარიდალი,
ხოლო თვალთაგან გულთამრევი ჩამოსდით წვალა.
მათ მორთულობას ნუ იკითხავთ, არც ღვთის ტაძარში,
არცათუ კაცთა სასახლეში არ შეესვლებათ.
მე არა ვუწყი, რა ტომ-თესლის ნაშიერნია,
რომელი მიწა დაგვალული ასაზრდოებდა
ამ საფრთხობელებს, ან რა ცოდვა აძევთ ასეთი.
მაგრამ ამ ამბავს ამა ტაძრის დიდმა უფალმა
თავად ლოქსიამ, ყოვლის შემძლემ მიაპყრას ყური.
იგია ყველას მკურნალი და ბედის მეცანი,
ყოველ საცხოვრისს იგი განწმენდს, განასპეტაკებს.

(პითია გადის. იღება ტაძრის კარი. მოჩანს მთვლემარე

ერინიებით გარშემორტყმული ორესტე. შორიახლოს დგას

აპოლონი, იქვეა ჰერმესიც)

ა პ ო ლ ო ნ ი

მე არასოდეს მიგატოვებ, შენთან დავრჩები
მფარველად შენდა, ახლოს ვიყო, გინდა გშორავდე.
არ გავუღიმებ შენს მტარვალებს ალერსიანად.
ეგ თავხედნი კი, თავად ხედავ, ტყვენი არიან,
ძილს მისცემია ჟამხნიერი ავი ნაგრამი _
პირქუში ღამის ნაშიერი ქალაშავები;
არ იკარებენ ღმერთს, კაცთაგანს, არცა თუ ტყიერს,
ბოროტებისთვის გაჩენილებს ბოროტ ღამეში,
მიწისქვეშეთის ტარტაროსში დაუდევთ ბინა,
ზიზღსა რომ ჰგვრიან მოკვდავებს და ოლიმპოს ღმერთებს.
ფრიადი გმართებს ჯომარდობა, მათ რომ გაექცე,
მოგდევენ ყველგან, დედამიწაც შემოვლო ვრცელი,
ზღვა და ხმელეთი გაიარო თვალუწიერი,
გინდ ციხე-ქალაქს შეაღწიო ზღვით გარემოცულს.
მაგრამ ხარივით გაქაფული ძირს არ დაეცე
სასომიხდილი, მიაღწიე პალადის ქალაქს,
უძველეს ქანდაკს ეახლე და მოსჭიდე ხელი.
მართლმსაჯულებას იქა ჰპოვებ, იქ გაიგონებ
ნუგეშის სიტყვებს, საწაღმართოს ვიღონებთ რასმე,
რომ სალმობიერ კირთებისგან დაიხსნა თავი.
შენ ხომ მე თავად ჩაგაგონე დედის მკვლელობა.

ო რ ე ს ტ ე

დიდო აპოლონ, ქმნა მართლისა უწყიღა დია,
წარიღე ტანჯვა, მოწყალება მოიღე ჩემდა!
დიდია შენი, მეუფეო, ძალმორჭმულება.

ა პ ო ლ ო ნ ი

კვლავ, მოგაგონებ, შიშმა სული არ დაგითრგუნოს.

(ჰ ე რ მ ე ს ს)

დედის ძუძუის მოზიარევ, შენ, ძმაო ჰერმეს,
მწყემსო მეგზურო, კაცი ეგე შენ შეივრდომე,
ვინც არის ჩემი შევრდომების შემომხვეწელი.
ზევსის წყალობას მიუბოძებს კაცთა მეურვეს,
ვინც მოკვდავთაგანს სიკეთისკენ პირს აქნევინებს.

(ორესტე გაჰყავს ჰერმესს. აპოლონი ქრება.

გამოჩნდება კლიტემნესტრას აჩრდილი)

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა ს ა ჩ რ დ ი ლ ი

(მიმართავს ერინიებს)

აჰა, თქვენ გძინავთ, მძინარენი ვერას მარგებენ.
მიცვალებულთა ჩამოქუფრულ ამ საუფლოში,
მე დაგიგდივართ უპატიოდ, ხოლო ისინი
ვინც მე გავგმირე, ჩემი ლანძღვით არ ისვენებენ.
სირცხვილეული დავძრწი მარტო... კვლავ ამას გეტყვით,
თუ რა მძიმეა სალმობანი და ხვედრი ჩემი,
თუ ვითარ ჩემთა მოყვასთაგან ტანჯულგვემულვარ,
გარნა არც ერთი ღმერთთაგანი არ გამრისხანდა,
ოდეს შობილმა მშობელ დედას გაუპო გული.
მო, ნახე გული, დაფლეთილი სატევარისგან!
ძილისჟამს სული ფხიზელია, თვალგახელილი,
მაგრამ ბრმავდება იგი უმალ დღის სინათლეზე.
მუდამ გწირავდით შეურევნელ წმიდა საწირავს
განვამზადებდი კერიაზე ღამეულ ნადიმს
მხოლოდრე თქვენთვის, სხვა ღმერთები აღარც მახსოვდა.
და თქვენ გათელეთ ფერხთა ქვეშე ესე ყოველი.
ის კი გაუსხლტა ბედის ბადეს, როგორც ირემი,
იოლად გაიიალაღა, გაინავარდა
და დამცინავად გითვალთვალებთ ახლა შორიდან.
მიწისქვეშეთის მეუფენო, ისმინეთ ჩემი
სულის ძახილი, მოწყალება მოიღეთ ჩემდა!
მე, კლიტემნესტრა, სიზმრეული ვკივი აჩრდილი.

(ქორო გოდებს)

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა ს ა ჩ რ დ ი ლ ი

თქვენ ივაგლახეთ, ის კი გარბის, წავიდა, გაქრა,
მას დია ჰყვანან თანამდგომნი _ ხოლო მე _ არა.

(ქორო გოდებს)

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა ს ა ჩ რ დ ი ლ ი

თქვენ გძინავთ. გძინავთ, გულს ვარამი არ გეკარებათ,
ხოლო ორესტე, დედისმკვლელი, გაიქცა, გაქრა!

(ქორო გოდებს)

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა ს ა ჩ რ დ ი ლ ი

გძინავთ და ოხრავთ. ნუთუ ზეზე აღარ აღდგებით
არ აღიძვრებით ბოროტეულ საქმეთა ზედა?

(ქორო გადის)

გ ა ი ს მ ი ს ხ მ ა ქ ო რ ო დ ა ნ

არ გაუშვათ! არ გაუშვათ! არ გაუშვათ!

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა ს ა ჩ რ დ ი ლ ი

გაქცეულ ნადირს ძილში მისდევ, წკავწკავებ ისე,
როგორც ნაგაზი, ძილ-ღვიძილშიც მარად ერთგული.
ნუღა აყოვნებ, ადე ზეზე, ნუ დაყოვნდები.
განახვნე თვალნი, განაღვიძე საქმენი შენი.
ჰა, მიითვალე საყვედური სამართლიანი _
ყოველ გონიერს ბოძალივით გულში რომ ჰკოდავს.
ჰეი, მხრჩოლავი ალისქარით, ცეცხლოვან ქშენით,
საშოსმიერი გეენიით დატანჯე მტერი!
რაღას უყურებ, არ დაინდო, დაბუშე, დასწვი!

(კლიტემნესტრას აჩრდილი ქრება)

ერინიები

ქ ო რ ო ს გ ა მ ძ ღ ო ლ ი ქ ა ლ ი

გამოიღვიძე, გააღვიძე მალედვე სხვებიც,
ნუთუ შენც გძინავს, წამოდექი, დასძალე ძილი.
ვისი სიტყვები ჩაგვესმოდა, შევიტყოთ ერთი.

პაროდოსი

პირველი ხმა

ვაგლახმე, ვაი! ვაიმე დებო!

მეორე ხმა

თავზე დამატყდა ჭირმრავლობა ტყუილუბრალოდ.

პირველი ხმა

ო, რა მძიმეა სალმობა ჩემი
და რუდუნება.
ნადირი გასხლტა ხაფანგიდან, გაიშლიგინა.

მეორე ხმა

ვითარ დაგვრია ძილმა ხელი, ნადირი გასხლტა.

პირველი ხმა

ანტისტროფი პირველი

შენ ქურდი ხარ, ძეო ზევსისა.

მეორე ხმა

ოჰ, ღმერთჭაბუკო, ჭაღაროსანი ღმერთქალები ფეხით გათელე!

პირველი ხმა

შენ შეიწყნარე უღვთო მხვეწნელი,
მშობლის ჭირი,
დედის ჯალათი შენ შეიწყნარე, შენ, თავად ღმერთმა.

მეორე ხმა

მართლმსაჯულად ვინ გხმობს ამიერ.

პირველი ხმა

სტროფი მეორე

სიზმარეული მაჯლაჯუნა მტანჯავდა ძილში,
თითქოს გულზე გადამიარა
მცელავმა ეტლმა.

მეორე ხმა

მტკივა თავი, მეწვის ყურის ბიბილოები,
თითქოს მათრახი გადამკრეს ტანზე...
სხეულში მივლის საშინელი ციებ-ცხელება.

პ ი რ ვ ე ლ ი ხ მ ა

ა ნ ტ ი ს ტ რ ო ფ ი მ ე ო რ ე

სხვა საზრუნავი გასჩენიათ აწინდელ ღმერთებს,
ძალმომრეობა სამართალზე აღმატებულა.
ტახტი სისხლშია ამოვლებული.

მ ე ო რ ე ხ მ ა

სისხლის მორევში ყელყელაობენ,
მიწის ჭიპზე სისხლიანი ფეხებით ვლენან
ცოდვის ტვირთით დამძიმებულნი.

პ ი რ ვ ე ლ ი ხ მ ა

ს ტ რ ო ფ ი მ ე ს ა მ ე

მანტიკური წმიდა კერია
ღმერთთაგანმა შებღალა თავად.
ღმერთთა საწესოს ამჯობინა მოკვდავთა წესი.
მოირების მეუფება დაამხო ძველი.

ა ნ ტ ი ს ტ რ ო ფ ი მ ე ს ა მ ე

რაც გინდა მიყავ, ცოდვილს მაინც ვერ განმარიდებ,
მიწაშიც ვპოვებ.
ვერა, ჯალათი
უჯალათოდ ვერ გადარჩება!

პ ი რ ვ ე ლ ი ე პ ი ზ ო დ ი

(გამოჩნდება აპოლონი)

ა პ ო ლ ო ნ ი

მიბრძანებია, დაუტევეთ ტაძარი ესე _
წმიდა სამისნო, აბა ჩქარა, არ დაახანოთ!
ჩემი მშვილდიდან ასხლეტილი მფრინავლი გველი
თქვენკენ წამოვა მოსხმარტალე ავი სისინით,
აქ კაცთა სისხლით გულმაძღარნი რომ გალეშილხართ,
წამოასაქმებთ მალე უკან შავ ლეკერტებად.
აქ რასა დგახართ, წმიდა ვანთან, თქვენ უნდა იდგეთ _
სადაც ზვაობენ ქონდაქარნი თვალთა დამთხრელნი,
სად კაცის კვლაა, საშოშივე თესლთა დაშრეტა,
სადაც თავები კისერს წყდება, სად კირთებაა,
გოდება, გვემა, დამსხვრეული ძვლების ხრჭიალი.

ქვებით ჩაქოლვა, ძელზე გასმა... გესმით? ეს არის
თქვენი ზეიმი, სიხარული და ამიტომაც
თქვენ სძულხართ ღმერთებს თქვენეული ადათ-წესებით.
თქვენ სისხლის სუნით აქოთებულ ლომის ბუნაგში
უნდა ცხოვრობდეთ, მოშორებით, სოფლის კიდედან,
წმიდა სავანეს თავხედობით რას ბილწავთ აქა.
წა, წაილალეთ, თორემ გაგრეკთ კომბლით ჩობანი,
რადგან ღმერთთაგან მწყემსი თქვენი არსადრა ჰგიეს.

ქ ო რ ო ს გ ა მ ძ ღ ო ლ ი ქ ა ლ ი

აპოლონ, დიდო მეუფეო, მეც მომისმინე,
თანამოწილე კი არა ხარ შენ სხვისი მხოლოდ,
არამედ თვით ხარ წილისმყრელი, მიზეზი ყოვლის.

ა პ ო ლ ო ნ ი

რა? ვერ გავიგე. ჰე, პირდაპირ მოსჭერი სიტყვა.

ქ ო რ ო ს გ ა მ ძ ღ ო ლ ი ქ ა ლ ი

თვით შთააგონე უცხოქვეყნელს დედის მკვლელობა.

ა პ ო ლ ო ნ ი

თვით შთავაგონე შურისგება მამისთვის, მერე?

ქ ო რ ო ს გ ა მ ძ ღ ო ლ ი ქ ა ლ ი

მერე... ინებე სისხლიანი კვალის დაფარვა.

ა პ ო ლ ო ნ ი

განსაწმენდელად შემოვუშვი ტაძარში იგი.

ქ ო რ ო ს გ ა მ ძ ღ ო ლ ი ქ ა ლ ი

მით მოგვაყივნე, გვიყოლიე მკვლელის მხლებლებად.

ა პ ო ლ ო ნ ი

რად შემოხვედით ჩემს ტაძარში, რამ გაიძულათ?

ქ ო რ ო ს გ ა მ ძ ღ ო ლ ი ქ ა ლ ი

ჩვენ მხოლოდ ვალი გვაიძულებს ყოველთა საქმეთ.

ა პ ო ლ ო ნ ი

მაინც რა არის ვალი თქვენი, რითაც იქადით?

ქ ო რ ო ს გ ა მ ძ ღ ო ლ ი ქ ა ლ ი

მივერეკებით დედისმკვლელებს ყოველ სახლიდან.

ა პ ო ლ ო ნ ი

ო, ნუთუ მართლა? მაგრამ ცოლმა თუ მოჰკლა ქმარი?

ქ ო რ ო ს გ ა მ ძ ღ ო ლ ი ქ ა ლ ი

როდი იღვრება მაგ დროს სისხლი ნათესავური.

ა პ ო ლ ო ნ ი

მაშ, არაფერი არ ყოფილა, არარად გიჩანს
ჰერას და ზევსის ღვთაებრივი, წმიდა კავშირი,
ტურფა კიპრიდას განაქიქებ, რომლის წყალობით
მიჰმადლებია სიამენი მოდგმას კაცისას.
ქალი და ვაჟი სარეცელზე შეჯუფთებულა
განგების ძალით _ ყოველ ფიცზე უუმტკიცესით.
და თუ მოწყალედ ეკიდები მეუღლის მკვლელებს _
არც მრისხანებით შეაურვებ, არცა თუ დევნით,
თქვენ გეკითხებით _ რაღას ერჩით მაშინ ორესტეს?
ეგრე მიცვნიხარ _ სიავკაცე გაშფოთებს ერთის,
ხოლო მეორის ბოროტება არარად გიჩანს.
დე, გადაწყვიტოს ყოველივე თავად პალადამ.

ქ ო რ ო ს გ ა მ ძ ღ ო ლ ი ქ ა ლ ი

არა, ავის მქნელს არასოდეს ჩამოვეხსნები.

ა პ ო ლ ო ნ ი

აბა შენ იცი, არ დაეხსნა, აწამე, გვემე.

ქ ო რ ო ს გ ა მ ძ ღ ო ლ ი ქ ა ლ ი

უკადრის სიტყვით ნუ დაამცროზ ღირსებას ჩემსას.

ა პ ო ლ ო ნ ი

ჩირად არ მიღირს უბადრუკი ღირსება შენი.

ქ ო რ ო ს გ ა მ ძ ღ ო ლ ი ქ ა ლ ი

შენ ძალმოსილხარ დიდი ზევსის ტახტრევნის გვერდით,
მე დედის სისხლი მერეკება შურისძიებად
და კვალს დავეძებ, ვით ფეხცქაფი მწევარი ძუკნა.

(ქორო გადის)

ა პ ო ლ ო ნ ი

თავად დავიცავ, შევიფარებ ჩემს მავედრებელს.
ღმერთთათვის, გინდაც მოკვდავთათვის სულმდაბლობაა
შემომხვეწნელის უკუგდება, არ ვიზამ ამას.

(გადის)

მეორე ეპიზოდი

(ქალაქი ათენი. მოედანი ათენა პალადის ტაძრის წინ.

შემოდის ორესტე, მოეხვევა ათენას ქანდაკს)

ორესტე

ათენა, დიდო დედუფალო, ლოქსიის ნებით
მოვსულვარ შენთან, შემივრდომე შეცოდებული.
აწ სისხლისაგან განწმენდილა ხელები ჩემი.
შევიმსუბუქე ცოდვის ტვირთი მძიმე ცხოვრებით,
კარიდან კარზე მათხოვრობით მსხემად მარებმა.
შემოვიარე დამაშვრალმა ზღვა და ხმელეთი,
თან ყურს ვუგდებდი იდუმალი ლოქსიის ძახილს
და ჰა, შენს ტაძრად დავეყუდე, შენს კერპს ვეხვევი,
დიდო დედაო, განჩინებას მოველი შენგან.

(ორქესტრაზე გამოჩნდება ერინიების ქორო)

ქოროს გამძღოლი ქალი

აბა, მომყევით, კაცისმკვლელის კვალი დავლანდე,
ფრთხილად მიჰყევით ამ ნაკვალევს, ვითარცა ჯაშუშს,
ვით მეძებრები დაეძებენ დაკოდილ ირემს,
უკან რომ მისდევს სისხლიანი ნაფეხურები.
გამომელია არაქათი ამდენი რბენით.
გამიწყდა ქანცი, მოვიარე სრულად ხმელეთი,
ზღვის სივრცეებში თვალუმალი ვქროდი კიდეგან
მდევარი მისი, ხომალდები უკან მრჩებოდა.
ალბათ აქ არის მიმალული იგი სადამე,
ძე ხორციელის სისხლის სუნი მცემს საიდანღაც.

მეორე პაროდოსი

პირველი ერინია

თვალი მარჯვედ, ყური მარჯვედ,
არ გაგვისხლტეს მკვლელი დედისა.

მეორე ერინია

ისევ გაგვისხლტა,
ხელი ჰკიდა ქალღმერთის ქანდაკს,
თავს აფარებს ღვთიურ სამსჯავროს.

მ ე ს ა მ ე ე რ ი ნ ი ა

ეგ არ ეგების! დათხეულია სისხლი დედისა,
წვეთებისაგან აღარ ადგება _
ჩაწრეტილი ფხვიერ მიწაში.

მ ე ო თ ხ ე ე რ ი ნ ი ა

შენაც მიგეზღოს შენს მოფათქუნე სხეულიდან
გადმოვაქცევ წითელ ზედაშეს,
დავეწაფები დასათრობად გადახსნილ ვენებს.

მ ე ხ უ თ ე ე რ ი ნ ი ა

ძირს დაეცემა მოფართხალე შენი სხეული,
შეღონდები ტანჯვის წილ ტანჯვით, მკვლელო დედისა!

მ ე ე ქ ვ ს ე ე რ ი ნ ი ა

მძიმე ხვედრი არ აგცდება, ვით ყოველ მოკვდავს,
ვინაც ჰგმო ღმერთი,
სტუმარი და მოყვასი თვისი,
რომელნიც ვლენან სამართლიანი განჩინებით, კირთების ქვეშე.

მ ე შ ვ ი დ ე ე რ ი ნ ი ა

მოკვდავთა ჟამის მოყურიადედ მიწისქვეშეთში
ჰგიეს ჰადესი,
ხსოვნის დაფას თვალს არ აშორებს.

ო რ ე ს ტ ე

ისე-ვითარ ვარ გაბრძნობილი ჟამთა ცვალებით,
რომ კარგად ვუწყი როდის თქმა სჯობს და როდის არა.
დღეს კი ჯერია, ჯეროვანი წარვთქვა მე სიტყვა,
მრთავს ამის ნებას ბრძენთა ბრძენი მოძღვარი ჩემი.
განსპეტაკდება სისხლიანი მარჯვენა ესე,
განიწმინდება ცოდვისაგან მკვლელი დედისა.
სისხლით მივაგე საზღაური ფებოსს, როდესაც
ღვთიურ ბომონზე მივუტანე სამსხვერპლო ტახი.
ენა ვერ იტყვის მსგავსი ჩემი რამდენი დავალს
ამ საწუთროში დაუსჯელად, მაგრამ ბოლო ხომ
ერთი აქვს ყველას _ დრო ბებერი წარხოცავს ყოველს.
და აჰა, აგერ წმიდა გულით ვუხმობ, ვეძახი
დიად ათენას, ამა წმიდა ადგილთა დედას _
მოვიდეს შველად; დე, უშუბოდ იუფლოს მორჭმით
ქვეყანა ჩემი, დაგვიგულოს ჩვენ, არგოსელნი,
უგულითადეს მეგობრებად აწ და მარადის,
ვისაც უპყრია ლიბიური ქვეყნები სრულად,

ტრიტონის წყლებზე ტომკეთილი ბრძანებით დავალს,
სად ფეხს შემოდგამს, მოაქვს ჭერი დასახურავი,
მავედრებელთა მწყალობელი ამაყად დასცქერს
ფლეგრის სანახებს ქვეგანფენილს, ვით სტრატეგოსი,
ო, დედუფალო შორეულო, მოდექ ახლორე,
წყალობა მყავი, ცოდვის ტვირთი მაშორე მძიმე.

ქ ო რ ო ს გ ა მ ძ ღ ო ლ ი ქ ა ლ ი

ვერც აპოლონის, ვერც ათენას ღვთიური ძალი
ვერ დაგიფარავს, ჩემს სიცოფეს ვერსად წაუხვალ.
მიიწურვიან დღენი შენნი უსიხარულოდ.
დიახ, დემონის საძოვარი შენ ხარ მინდორი,
ბედკრულო ლანდო, დუმხარ განა, ზიზღსა გგვრის განა
სიტყვები ჩემი? რა თქმა უნდა, შენ ხომ მსხვერპლი ხარ.

ქ ო რ ო

აწ დადგა ჟამი, მწუხარე ზრუნი
გულწამღები
იმღეროს ქორომ.
გალობით წარვთქვათ, თუ ვით განაგებს ძალი ჩვენი
კაცთა ცხოვრებას.
ჩვენი ვალია, სამართალი გავაჩინოთ მიუდგომელი.
ვისი ხელებიც წმიდაა და
შეუცოდველი _
ჩვენ არ შევრისხავთ,
შეუჭირვებლად განვლოს ცხოვრება.
ხოლო ამ კაცსა,
სისხლიან ხელებს უკან რომ მალავს,
ვის სიავკაცის მოწმენიც ჩვენ ვართ,
სიკვდილის წილ მივაგებთ სიკვდილს.

(ქორო ცეკვავს ორესტეს გარშემო)

პ ი რ ვ ე ლ ი ს ტ ა ს ი მ ი

ქ ო რ ო

ს ტ რ ო ფ ი პ ი რ ვ ე ლ ი

ღამის უფალო, დედაო ნიქტო,
ამ წუთისოფლის მართლმსაჯულად რომ გიშობივარ,
მოგვავლე თვალი, გავწბილებულვართ ლეტოს ვაჟისგან.
მან დაგვიმალა სულმდაბალი მკვლელი დედისა.
შეიფარა მსჯავრდადებული.
ისმის საგლოვო გალობა ჩვენი,

ჭკუის შემშლელი, მზაფრავი კაცთა.
განწირულის მიმართ გაისმის
ერინიების საგოდებელი, მწუხარე ზრუნი.

ა ნ ტ ი ს ტ რ ო ფ ი პ ი რ ვ ე ლ ი

დამიწერა წერა-მწერელმა
ძალმოსილება და ვალი მძიმე,
რომ სიკვდილამდე უნდა ვდიო
მკვლელობის მტვირთველს,
შევაურვო სიკვდილის მერმეც.
ისმის საგლოვო გალობა ჩვენი,
ჭკუის შემშლელი, მზაფრავი კაცთა.
განწირულის მიმართ გაისმის
ერინიების საგოდებელი, მწუხარე ზრუნი.

ს ტ რ ო ფ ი მ ე ო რ ე

მძიმე მხვდა ხვედრი დასაბამიდან,
უკვდავთა შორის არა ჰგიეს ადგილი ჩემი,
წილს ვერ დავიდებ ღმერთთა ტაბლაზე,
საქორწილო თეთრი კაბა თუ სასახლეთა მეჯლისები უცხოა ჩემთვის.
ჩვენ ვანგრევთ ოჯახს,
სადაც ზვაობს არესის სული,
სადაც იღვრება მოყვაისის სისხლი,
ვამხობთ მკვლელთა ყოვლისმძლეობას,
სანამ სისხლი
ჯერაც სველია.

ა ნ ტ ი ს ტ რ ო ფ ი მ ე ო რ ე

ზენაართა მაღალ სადგურს განვრიდებივართ,
არ ვერევით
მათს სამსჯავროში.
დიადი ზევსის საკრებულო არ იკარებს კაცთმოძულე
საზიზღარ ჯილაგს.
ჩვენ ვანგრევთ ოჯახს,
სადაც ზვაობს არესის სული,
სადაც იღვრება მოყვასის სისხლი,
ვამხობთ მკვლელთა ყოვლისმძლეობას,
სანამ სისხლი
ჯერაც სველია.

ს ტ რ ო ფ ი მ ე ს ა მ ე

ზეცის სირგვლემდე ატყორცნილი კაცთა დიდება

ქვედაეცემა,
შავით მოსილ ზერემხტომთა
ფეხებთან მტვერში.
ყოველ პყრობილს
გავიგდებ ფეხქვეშ,
ავზელ ტალახში,
ვერსად წამოვა.

ანტისტროფი მესამე

ტლუა მოკვდავი, მოკვდაობა არ სჯერა მისი,
რომ დაეკრობა თვალთა მისთა შავი ღრუბელი...
ბნელში დანთქმულს ბოროტეულ სახლს
შესძრავს გნიასი.
ყოველ პყრობილს
გავიგდებ ფეხქვეშ,
ავზელ ტალახში,
ვერსად წამივა.

სტროფი მეოთხე

ყველგან მივაგნებთ, დავთრგუნავთ ბოროტს,
არ ვღალატობთ ჩვენს წმიდა საქმეს
შეუვალნი მოკვდავთა მიმართ.
შორს, სიბნელეში გვიძევს ბინა,
მზე ვერ გვწვდება ზეციურ ღმერთთა.
ვერც თვალხილულნი გვჭვრეტენ ვერსაით,
ვერცა თუ ბრმანი.

ანტისტროფი მეოთხე

ვით არ შეძრწუნდეს მოკვდავთაგანი,
ოდეს მოისმენს
ღვთით მოვლენილ საბედისწერო
გალობას ჩემსას?
ძველთა-ძველია ტახტი ჩემი ღირსად საცნობი.
მიწისქვეშეთში
ჰგიეს ჩემი საბრძანებელი.

მესამე ეპიზოდი

(გამოჩნდება ათენა)

ათენა

მე შემომესმა სკამანდროსით კერძო თქვენი ხმა,
ჩემი წილია ეს ჭალ-წყლები და სანახები,

აქაველების მთავრებმა და მთავარსარდლებმა
მე დამისაზღვრეს ბასრი შუბით და მომიბოძეს,
ვითარცა დავლა დიდებული თეზევსის ძეთა,
დამდიდრებული მშვენიერი ხით და ნაყოფით.
სწორედ იქიდან მოვქრიოდი თვალუმალ ფრენით,
ვითა ჰქრის ეტლი ქარიშხლიან ბედაურებით.
და ახლა აგერ, ჩემს ქალაქში უცხო ხალხს ვხედავ,
თუმც არა საშიშთ, სახილველად დია საკვირველთ.
სიდან მოსულხართ სადაურნი, ვინა ხართ, წარსთქვით.
შენ, უცხოელო, ქანდაკს ჩემსას რას მისდგომიხარ.
ვერ შემიცვნიხართ, კაცთა ჯილაგს სულაც არ ჰგავხართ,
თქვენეულ სახის არ უხილავს ღმერთებს აროდეს
არცა ქალღმერთნი ზეციერნი, არცა მოკვდავნი.
მაგრამ მე ამით განქიქება არა მწადს თქვენი,
ჭკუათმყოფელი არ დაამცროჰს სტუმარს ნავსობით.

ქ ო რ ო ს გ ა მ ძ ღ ო ლ ი ქ ა ლ ი

ზევსის ასულო, მოჭრით გეტყვით, თავს არ შეგაწყენთ,
ჩვენ _ უკუნეთის უბედური ქალიშვილები,
ქვესკნელის წყევლა-კრულვიანი არსებანი ვართ.

ა თ ე ნ ა

არ ვუწყი თქვენი ზედწოდება, შთამომავლობა.

ქ ო რ ო ს გ ა მ ძ ღ ო ლ ი ქ ა ლ ი

გარნა უწყოდე ბარემ ჩვენი მოვალეობაც.

ა თ ე ნ ა

მზადა ვარ სმენად, ყოველივე წვრილად მიამბე.

ქ ო რ ო ს გ ა მ ძ ღ ო ლ ი ქ ა ლ ი

სახლიდან გარეთ ვერეკებით ყოველ მოსისხლეს.

ა თ ე ნ ა

მკვლელის ხეტებას უნაპიროს სადა სდებთ სამანს?

ქ ო რ ო ს გ ა მ ძ ღ ო ლ ი ქ ა ლ ი

სადაც არ ჰგიეს არც ხალისი, არც ნეტარება.

ა თ ე ნ ა

მაგ უცხოელსაც ეგევითარს უქადით ხვედრსა?

ქ ო რ ო ს გ ა მ ძ ღ ო ლ ი ქ ა ლ ი

დიახ, სწორედ მან ხელიწიფა დედისმკვლელობა.

ა თ ე ნ ა

ეგების, იგი აიძულა გარდუვალობამ?

ქ ო რ ო ს გ ა მ ძ ღ ო ლ ი ქ ა ლ ი

ვით აიძულა, თუნდაც სახრით, დედის მკვლელობა?

ა თ ე ნ ა

მიზეზთაგანი ერთი უკვე თავად მსმენია.

ქ ო რ ო ს გ ა მ ძ ღ ო ლ ი ქ ა ლ ი

ფიცს ვერ დადებდა, არ შეეძლო დაედო ფიცი.

ა თ ე ნ ა

თუმც ბრუნდად განსჯი, სწორ-მართალი გგონია თავი.

ქ ო რ ო ს გ ა მ ძ ღ ო ლ ი ქ ა ლ ი

მაუწყე ნათლად, ვიცი სიბრძნით არ ხარ ღარიბი.

ა თ ე ნ ა

ვერცა ფიცის ქვეშ დაიმალვის ბოროტმოქმედი.

ქ ო რ ო ს გ ა მ ძ ღ ო ლ ი ქ ა ლ ი

თქვი რაიც გინებს, შენეული ჰქმენ სამართალი.

ა თ ე ნ ა

მაშ, მე მომმართავთ განაჩენის გამოსატანად?

ქ ო რ ო ს გ ა მ ძ ღ ო ლ ი ქ ა ლ ი

ვითომ რად არა? ღირსეული ღირსად გვიცვნიხარ.

ა თ ე ნ ა

შენ რაღას იტყვი, უცხოელო, ხმა გამოიღე,
სადაური ხარ, რა გვარტომის, რა ფათერაკი
გარდაგხდენია? ბრალდებაზე რისი თქმა ძალგიძს?
ალბათ, ირწმუნე ჩემი კერპის ძალმოსილება,
აქ მოხველ, რათა კერას ჩემსას თაყვანებოდი
და შეწყალება მოითხოვე, ვით იქსიონმა.
მაშ, განმიცხადე ყოველივე დაუფარავად.

ო რ ე ს ტ ე

დიდო ათენა, შენმა სიტყვამ, ზემორეთქმულმა
ურვის და ჭმუნვის მძიმე ტვირთი უნდა ჩამომხსნას.
ცოდვებისაგან განვწმენდილვარ, განბანილია
ხელები ჩემი, რომლებითაც შენს კერპს ვეხები.
ახლავე მინდა მოგახსენო ამის საბუთიც.

სანამ მოსისხლე სისხლიან ხელს არ ჩამოიბანს
ახალშობილი დეკეულის უბიწო სისხლით,
კანონი მანამ გვაიძულებს მდუმრიად დგომას.
მეც არაერთხელ განვწმენდილვარ სისხლისგან სისხლით
ნაკურთხი წყლებით უცხო კარად გადახიზნული.
მე მოგახსენე, ცოდვისაგან ვით განვწმენდილვარ;
ახლა კი დროა, გვარტომობაც უწყოდე ჩემი:
არგოსელი ვარ, მამაჩემი _ აგამემნონი,
იყო სარდალი ნავთგამრიგე, ეს თავად უწყი.
ვისთანაც ერთად ილიონი შენ დააჩოქე.
შინმობრუნებულს მუხანათი ერგო სიკვდილი,
გულღვარძლიანმა მოაკვდინა დედამან ჩემმან,
ბადეთა ქსელში გაახვია მუხანათურად,
აბაზანაში ვერაგულად აუგო წესი.
გამოხდა ხანი, განდევნილი კვლავ შინ მოვბრუნდი
და მოვკალ დედა, არ უარვყოფ ამას სრულებით,
მშობელ მამისთვის აღვასრულე შურისძიება.
თანამზრახველად თანამედგა თავად ლოქსია.
ის დამემუქრა, რომ უმძიმესს დამდებდა სასჯელს,
ბოროტის მოქმედს თუ სანაცვლოს არ მივაგებდი.
ჩემი მართალი, ჩემი ბრუნდი განსაჯე თავად,
შენ ხარ მსაჯული, თავს დავუკრავ შენს განჩინებას.

ა თ ე ნ ა

საჭოჭმანოა საქმე ესე, თავს ვერ გაართმევს
მოკვდავთაგანი, სამძიმოა დია ჩემთვისაც
მართლად განბჭობა, რადგან საქმე სისხლს შეეხება,
მე გერწმუნები, განწმენდილი მოადექ ტაძარს,
ვით უბოროტო მახვეწარი ყარიბი ვინმე
და თანახმა ვარ შეგივრდომო ჩემს სატახტოში,
მაგრამ ამათაც ხელაღებით ვერ გავაძევებ,
ხელის მოცარვა მეტისმეტად გააბოროტებთ,
გადმოანთხევენ შხამს და ბალღამს მყრალი ხახიდან
და დედამიწას დანერწყვავენ ჭირით და სნებით.
მძიმეა ჩემი არჩევანი, მათი დარჩენაც
მძიმეა ჩემთვის, განტევებაც _ აგრეთვე მძიმე.
მაგრამ რაკიღა ეს საკითხი თათბირს მოითხოვს,
რადგან ახლოით სასიკვდილო ბრალდებას განვჩხრეკთ,
ვიწვევ სამსჯავროს სამუდამო კანონისათვის.
უხმეთ მოწმეებს, მოიშველეთ მტკიცე საბუთი,
თან ფიცი-მტკიცით განამტკიცეთ თქვენი სიმართლე.
მიბრძანებია, ღირსეული მოქალაქენი

საბჭოს წარუდგნენ, და მართალი ქმნან სამართალი,
დაიცვან ფიცი, რაც სწორია, არ გაამრუდონ.

(ათენა გადის)

მეორე სტასიმი

ქორო

სტროფი პირველი

მალე ახლები წარხოცავენ
ძველების ადათს, თუ დედისმკვლელმა
გაიმარჯვა, მსგავს საქმეებს ხელიწიფებს
ყოველი კაცი.
დღეის იქით გაუმრავლდება ჭირი და ურვა
შვილებისაგან უბედურ მშობლებს.

ანტისტროფი პირველი

დღეის იქით ცოდვილ მოკვდავს
არავინ დასჯის,
ითარეშებს მკვლელობა ყველგან.
რაც უნდა ვნება
მიაყენოს ბოროტმა კეთილს,
თანაგრძნობას, თავის დახსნას ეძიებს იგი,
გარნა უსისხლოდ არაოდეს არ მოშუშდება დაჭრილის წყლული.

სტროფი მეორე

ამოიძახებს აწ ყოველი
მძიმე ხვედრით შეურვებული
მწუხარე სიტყვებს: ვაჰ, მსაჯულებავ,
ერინიების ძლიერო ტახტო, მარქვი, სადა ხარ!
ესრეთ იზრახვენ მამა-დედანი,
გატანჯულნი შვილებისაგან
ვიდრე მოდგება სახლის ღოჯეზე მსაჯული დიკე.

ანტისტროფი მეორე

არრა არს ზოგჯერ შიშზე უმეტეს _
ის ჰგიეს ჩვენში _
ზედამხედველად ჩვენი სულისა.
შიში გვკარნახობს გონიერებას უბედურების ასაცილებლად.
იქ, სად გულებით
არ დააქვთ შიში,
რა ქალაქი ან მოქალაქე განადიდებს სათნო სამართალს.

ს ტ რ ო ფ ი მ ე ს ა მ ე

ნურც ანარქიას გაამართლებ,
ნურც ტირანიას.
ღვთაებრივია ზომიერი ძალაუფლება.
რაც უზომოა _ არამყარია.
ჭეშმარიტად
უმღერთობა შობს თავხედობას.
მხოლოდ ჯანსაღი სულიდან მოსჩქეფს
ყოვლი სიკეთე გაუხვებულად.

ა ნ ტ ი ს ტ რ ო ფ ი მ ე ს ა მ ე

აწ ამას გეტყვი,
ეთაყვანე სამართლის ბომონს,
გამოსარჩენმა არ გიბიძგოს მის გასათელად.
თორემ სასჯელი არ აგცდება,
ბედისწერა ყოველივეს დაუდებს სამანს.
დედავ, უწყოდე
დედაშვილობა,
მასპინძელო,
უწყოდე
სტუმართმასპინძლობა.

ს ტ რ ო ფ ი მ ე ო თ ხ ე

ვისაც სიკეთე ბუნებით მოსდგამს,
იქნება ხანგრძლივ სვებედნიერი,
არ შეაჭირვებს აროდეს ურვა.
ვინც უსამართლოდ მომხვეჭელია,
ვისი ხომალდიც დატვირთულია ნაყაჩაღარით,
დაჰბერავს ქარი, დაშლის ანძას,
ყველა მოგებულს წარაგებს იგი.

ა ნ ტ ი ს ტ რ ო ფ ი მ ე ო თ ხ ე

ამაოდ შეჰბღავლებს ღმერთებს
ზღვის ფსკერიდან დაქანებული;
გულით ამაყს, ვისაც ჰგონია,
დაიმონებს ბორგნეულ ტალღებს _
დაჰხარხარებს თავზე დემონი.
კლდეს შეალეწავს ძვირფასეულს,
გაჰფანტავს ზღვაში წერა-მწერელი,
დაუტირებლად დაფლავს ფსკერში ამავ მესაჭეს.

მ ე ო თ ხ ე ე პ ი ზ ო დ ი

(შემოდის ათენა მაცნისა და მსაჯულთა თანხლებით)

ა თ ე ნ ა

დაიწყე, მაცნევ, ბორგნეული დაჯარე ჯარი!
მიმართე ცისკენ ტირსენიის მძლავრი საყვირი,
ჩაჰბერე ფიცხლავ მთელი ძალით, ხალხს გააგონე
საჭირბოროტო, საგანგაშოდ დაძრული ხმები.
დაე, გაჩუმდეს უხუცესთა კრებული ახლა,
მთელი ქალაქი, მთელი ხალხი, და განაჩენი
ისმინონ ჩემი, რაც ოდითგან განჩინებულა.
ჰქმენით მართალი სამართალი, დაბრძანდით ბჭობად.

(შემოდის აპოლონი)

ქ ო რ ო ს გ ა მ ძ ღ ო ლ ი ქ ა ლ ი

დიდო აპოლონ, შენ იუფლე საუფლო შენი,
ჩვენს საქმეებთან რა ხელი გაქვს, აბა მიბრძანე.

ა პ ო ლ ო ნ ი

მოწმედ მოვსულვარ სამსჯავროზე, ეგ ბრალდებული _
მხვეწარი ჩემი, შეეფარა ჩემს წმიდა ტაძარს;
განვასპეტაკე სისხლისაგან შეცოდებული
და მასთან მოველ მოსამართლედ, რადგან მიზეზი
დედისმკვლელობის მე გახლავართ.

(ათენას)

დაიწყე ბჭობა.
შენ უკვე უწყი ამა საქმის სწორი და ბრუნდი.

ა თ ე ნ ა

(ერინიებს)

თქვენ გელოდებით, სასამართლო შეუდგეს საქმეს,
პირველი სიტყვა წესისამებრ ბრძანოს მოსარჩლემ,
სინდისის ხმობით არნაჭორად წართქვას ყოველი.

ქ ო რ ო ს გ ა მ ძ ღ ო ლ ი ქ ა ლ ი

აქ მრავლადა ვართ, მაგრამ სიტყვას არ გავამრავლებთ.

(ორესტეს)

ჩაგეკითხებით რიგრიგობით, შენ უპასუხებ.

მ ე ო რ ე ე რ ი ნ ი ა

ჯერ ეს გვითხარი, მართლა მოჰკალ მშობელი დედა?

ო რ ე ს ტ ე

დიახ, მოვკალი, არ უარვყოფ. ეს სიმართლეა.

მ ე ს ა მ ე ე რ ი ნ ი ა

სამი მთელიდან ერთი ქულა დაჰკარგე უკვე.

ო რ ე ს ტ ე

მაგით ვერ გამტეხ, ვერც ქადილით დამაკლებ რასმე.

მ ე ო თ ხ ე ე რ ი ნ ი ა

ახლა იმაზე გვიპასუხე, თუ ვითარ მოჰკალ.

ო რ ე ს ტ ე

გეტყვით, ორპირი სატევარი ვუმარჯვე ყელში.

მ ე ხ უ თ ე ე რ ი ნ ი ა

ვინ შთაგაგონა, ვინ გიბრძანა მკვლელობა მძიმე?

ო რ ე ს ტ ე

მისანმა ღმერთმა, აგერ, თავად დამემოწმება.

მ ე ე ქ ვ ს ე ე რ ი ნ ი ა

როგორ თუ, ღმერთმა გაიძულა დედის მკვლელობა?

ო რ ე ს ტ ე

მან, დასტურ, ღმერთმა, სამდურავი არა მაქვს ბედთან.

მ ე შ ვ ი დ ე ე რ ი ნ ი ა

აზრებს შეგიცვლის განაჩენი, ალბათ, სულ მალე.

ო რ ე ს ტ ე

მე მიმფარველებს სულეთიდან მამის აჩრდილი.

მ ე რ ვ ე ე რ ი ნ ი ა

დედისა დამკვლელს მკვდრის იმედი გშთენია ნუთუ.

ო რ ე ს ტ ე

შელახულია დედაჩემი ორგზის სიბილწით.

მ ე ც ხ რ ე ე რ ი ნ ი ა

როგორ თუ ორგზის, მოახსენე მართლმსაჯულებას.

ო რ ე ს ტ ე

მან ერთი დაკვრით ქმარიც მოჰკლა და მამაჩემიც.

მ ე ა თ ე ე რ ი ნ ი ა

გარნა განწმინდა ის სიკვდილმა, შენ კი ცოცხალ ხარ.

ო რ ე ს ტ ე

სანამ იგიცა ცოცხალ იყო, რად არ დევნიდით?

მ ე თ ე რ თ მ ე ტ ე ე რ ი ნ ი ა

მან მოკლა ქმარი, უცხო სისხლი დაღვარა მხოლოდ

ო რ ე ს ტ ე

მშობლიურია ნუთუ სისხლი დედაჩემისა?

მ ე თ ო რ მ ე ტ ე ე რ ი ნ ი ა

დედის სხეულში ჩასახულხარ, მკვლელო, ბოროტო,
დაბადებული დამბადებელს ვითარ უარყოფ.

ო რ ე ს ტ ე

შენ დაამტკიცე, საცნაურყავ, დიდო აპოლონ,
სამართლიანად მოვაკვდინე თუ არა დედა.
რაც მოხდა, მოხდა, სიმართლეა და არ უარვყოფ.
მაგრამ სიმართლე სათნოება არის თუ არა
თავად განსაჯე, თავს დავუკრავ განაჩენს შენსას.

ა პ ო ლ ო ნ ი

ათენას კრებულს განვუცხადებ ამ სამსჯავროზე,
მართალ არს მკვლელი, მე, მისანი, არ გეცრუებით.
მანტიურ ტახტზე არასოდეს არ მიმისნია
არც ქალაქისთვის, არც კაცისთვის, არცა ქალისთვის,
რომ არ მქონოდა ოლიმპიურ ზევსის დასტური.
ირწმუნეთ თქვენაც ძალი მისი განგებიანი
და უზეშთაეს განჩინებას მისდიეთ მისას,
ფიცზე უფრორე უმტკიცეა ნება ზევსისა.

ქ ო რ ო ს გ ა მ ძ ღ ო ლ ი ქ ა ლ ი

ზევსისმიერი იყო ნუთუ მისნობა იგი,
რომ მამისათვის მას, ორესტეს, ეძია შური,
ხოლო პატივი არ დაედო მშობელ დედისთვის?

ა პ ო ლ ო ნ ი

სულ სხვა საქმეა, ოდეს კვდება კეთილშობილი,
ზევსის რჩეული ვაჟიკაცი, გვირგვინოსანი,
თან ომში ხმალი კი არა ჰკლავს, არც ამორძალის
სწრაფი ისარი გულს ესობა _ შინ ჰკლავს დიაცი.

ახლა ისმინე შენ, პალადა, ისმინოს ყველამ,
ვისაც სამართლის განჩინება ხელეწიფების.
ომგადახდილი შინ მობრუნდა ოდეს ვაჟკაცი
გამარჯვებული, შეეგება ალერსით ცოლი,
აბაზანაში შეიყვანა და მიჩიგდანი
გადააფარა _ სასიკვდილოდ დაჰკრა მახვილი.
აჰა, გიამბეთ ხვედრი მძიმე, ვით აღესრულა
კეთილშობილი კაცთაგანი, ხომალდთა მწყემსი.
ამით იმ ქალზეც მოგახსენებთ. აწ, მართლმსაჯულნო,
სამართლიანი განაჩინოთ ხამს განაჩენი.

ქ ო რ ო ს გ ა მ ძ ღ ო ლ ი ქ ა ლ ი

მამის პატივის აღსადგენად ზევსს იშველიებ,
რომელმან კრონოსს, მოხუც მამას დასდო ბორკილი,
ამით შენ თვითონ აბათილებ შენივ რწმუნებას.
გთხოვთ, დამიმოწმოთ მართლმსაჯულნო, რომ ეს ასეა.

ა პ ო ლ ო ნ ი

ოჰ, საძულველო ურჩხულებო, ღვთით შერისხულნო!
ბორკილის ახსნა ხომ სრულიად იოლი გახლავთ,
ამისთვის რა არ შეიძლება იღონოს კაცმა.
მხოლოდრე რაჟამს კაცის სისხლი მტვერს შეერევა,
ვითარ აღდგება სისხლი იგი და განკაცდება!
ეგევითარი ჯადოსნობის თვით მამაღმერთსაც
არ შესწევს ძალი, თუმც კი ძალუძს აღზევებული
ქვედაანარცხოს, აღაზევოს ქვედამხობილი.

ქ ო რ ო ს გ ა მ ძ ღ ო ლ ი ქ ა ლ ი

ვითარ გწადია შეიწყალო და გაამართლო,
ვინაც დასთხია დედის სისხლი დედამიწაზე,
ვითარ ეცხოვრა აწ არგოსში, მშობლიურ სახლში?
ვითარ გაბედავს მიეახლოს სამსხვერპლო ბომონს,
ნაკურთხი წყალი ფრატერებმა ვით დააღირსონ?

ა პ ო ლ ო ნ ი

მსურს ამისთვისაც მოგახსენოთ, ყურს მომაპყრობდეთ,
იგი, რომელსაც დედად ხმობენ, სულაც არ გახლავთ
შვილის გამჩენი, მამრის თესლსღა აღვივებს მხოლოდ.
ნაყოფს შობს კაცი, ხოლო ქალი, ვით მასპინძელი
ინახავს სტუმრის მოზომებულ ძვირფას საჩუქარს,
აი, საბუთი უტყუარი ჭეშმარიტების.
ზოგჯერ უდედოდ აჩენს მამა, მაგალითადრე,
აგერ, ათენა, ოლიმპიელ ზევსის ასული,

იგი დიაცის ბნელ საშოში არ ჩასახულა,
გარნა რომელ ქალს უშობიეს მსგავსი სიტურფე?
რაც ძალი შემწევს არ დავზოგავ შენთვის, პალადა,
და განვამტკიცებ ქალაქს შენსას და უშქარ ლაშქარს.
მე წარმოვგზავნე აქ ორესტე, შენს სავანეში,
ის გიერთგულებს, დედუფალო, სამარადჟამოდ
იქნება შენი ღირსეული თანამდგომელი.
არ დაირღვევა შენდა მიმართ წმიდა კავშირი,
გადაეცემა სიყვარული მოდგმიდან მოდგმას.

ა თ ე ნ ა

სიტყვა საკმაოდ წარმოითქვა, მიბრძანებია
აწ კენჭი ჰყარონ, ყოველივე ასწონ-დასწონონ.

ქ ო რ ო ს გ ა მ ძ ღ ო ლ ი ქ ა ლ ი

მორჩა შეჯიბრი, გაიტყორცნა ყველა ისარი.
ახლა კი დროა მოვუსმინოთ შეჯიბრის შედეგს.

ა თ ე ნ ა

(აპოლონსა და ორესტეს)

რა ვიღონიო, ვით გავექცე ყვედრებას თქვენსას.

ქ ო რ ო ს გ ა მ ძ ღ ო ლ ი ქ ა ლ ი

ყოველი თქმული გავიგონე, აწ წილი ჰყარონ,
გულისთქმა ჰყავით, უცხოელნო, ფიცის დასტურით.

ა თ ე ნ ა

შეიტყვეთ ჩემი განაჩენი, ატიკის ხალხო,
ვინც აქ პირველად მოიხილავთ სისხლიან საქმეთ,
დე, ამ სამსჯავროს განაჩენი აწ და მარადის
მტკიცე კანონად დაეწესოს ეგევსის მოდგმას,
ამორძალებმა აქ ოდესმე დასცეს კარავი,
როდესაც თეზევსს გაუმართეს ფიცხელი ომი,
მათ აქ აღმართეს დიდებული ახალქალაქი,
ძველის ადგილას უახლესი დადგეს გოდოლი.
არესს მიუძღვნეს ეს მაღლობი, სახელად “პაგი”,
სწორედ აქედან წარმოსდგება “აეროპაგი”.
დე, ამ ალაგის მოშიშება ჰქონდეთ ნიადაგ,
რომ იმეუფოს სამართალმა და სათნოებამ,
მოქალაქეებს აბარია კანონი წმიდა,
წყაროს ჰგავს იგი, სიბინძურე თუ შეერია,
შეიმღვრევა და წმიდა სითხედ ვეღარ ვიგემებთ.
არც ანარქია მირჩევია, არც ტირანია

ჩვენი ქვეყნისთვის, რჩევა ჩემი ესეთი გახლავთ.
არც მოშიშება შემოაკლდეს ჩვენს სახელმწიფოს,
მკვლელია ყველა ღვთაებრივი შიშის გარეშე.
ციხე-გოდოლი სიმართლისა ესევითარი,
სხვაგან სადამე არც ერთ ქალაქს, არც ერთ ქვეყანას,
არც ერთ ხალხთაგანს ცის ქვეშეთში არ აბადია,
არც სკვითიაში, არც შორეულ პელოპთა მხარეს.
სამსჯავრო ესე, საკრებულო ჩემგან ხმობილი,
მიუდგომელი და მრისხანე, აღმართულია
როგორც ფხიზელი საგუშაგო მძინართა ზედა.
ასეთი წესი დავუდგინე ჩემეულ ქალაქს
სამარადჟამოდ, ჰე, მსაჯულნო, ახლა კი დროა
გამოიტანოთ განაჩენი სინდისის ხმობით.
ფიცით შეკრული, ჰა, სათქმელი გასრულდა ჩემი.

ქ ო რ ო ს გ ა მ ძ ღ ო ლ ი ქ ა ლ ი

არც ჩვენი რჩევა არ დააგდოთ უყურადღებოდ,
მეტად საშიში სტუმრები ვართ თქვენი ქვეყნისა.

ა პ ო ლ ო ნ ი

თქვენც ყურად იღეთ განაჩენი ზევსისეული,
პატივისცემა იქონიეთ და მოშიშება.

ქ ო რ ო ს გ ა მ ძ ღ ო ლ ი ქ ა ლ ი

ამ სისხლიანი საქმისაგან გვერდზე გადექი,
ნუ მოაყივნებ ორაკულის წმიდა მისნობას.

ა პ ო ლ ო ნ ი

ნუთუ შენ ფიქრობ, მამაჩემმა შესცოდა მაშინ,
ოდეს განწმინდა იქსიონი პირველ სისხლისგან?

ქ ო რ ო ს გ ა მ ძ ღ ო ლ ი ქ ა ლ ი

ერთხელ მოირა შენ აცდუნე ფერეტის სახლში,
როს აიძულე უკვდავყო მოკვდავთაგანი.

ა პ ო ლ ო ნ ი

უსამართლობად მიგაჩნია მას თანავუგრძნოთ,
ვინაც პატივს გვდებს, ამავე დროს მოითხოვს შველას?

ქ ო რ ო ს გ ა მ ძ ღ ო ლ ი ქ ა ლ ი

შენ დაარღვიე ძველ ღმერთების ნაანდერძევი,
ნუნუას წვენით გააბრუე ქალღმერთაა დასი.

ა პ ო ლ ო ნ ი

ნურას მაყვედრი, სამართალი ჩემს მხარეზეა,
ვერას დამაკლებს შხამიანი სიტყვები შენი.

ქ ო რ ო ს გ ა მ ძ ღ ო ლ ი ქ ა ლ ი

თუ სამართალი ჩვენეული ვერ გავაჩინეთ,
მაშინ იკითხე, რისხვის ზვავი მოსრავს ქვეყანას.

ა პ ო ლ ო ნ ი

არცა ძველ ღმერთთა, არც ახალთა მაღალი დასი,
არ დაგდებს პატივს, გამარჯვება ჩემი ხვედრია.

ქ ო რ ო ს გ ა მ ძ ღ ო ლ ი ქ ა ლ ი

ჭაბუკი ღმერთი ბებრუხანას გათელვას ლამობ,
მაგრამ დამაცა, მოვისმინოთ ჯერ განაჩენი,
მერმე გადავწყვეტ, შევაურვებ ქალაქს თუ არა.

ა თ ე ნ ა

ახლა კი დროა, სასამართლომ შეწყვიტოს ბჭობა,
მსურის, ორესტეს სასარგებლოდ ჩავაგდო კენჭი.
დედის მუცლიდან არ ვშობილვარ და მამაკაცი
ქალს მირჩევნია, თუმც არასდროს არ ვეუღლები,
მაინც მას ველტვი მამაღმერთის მთაყვანებელი.
ხვედრს იმ ქალისას არასოდეს გავიზიარებ,
ვინაც მეუღლე მოაკვდინა _ ოჯახის ბურჯი.
მხოლოდ ორესტე გაიმარჯვებს, თუმცა თანაბრად
გაიყო ხმები.

(აგდებს კენჭს)

მსაჯულებმა დაუყოვნებლივ
ბნელი ურნიდან ამოთვალონ დროა კენჭები.

ო რ ე ს ტ ე

აპოლონ ფებოს, რას მომისჯის ეს განაჩენი?

ქ ო რ ო ს გ ა მ ძ ღ ო ლ ი ქ ა ლ ი

ო, ნიქტო, ჩემო შავო დედავ, ხედავ, რა ხდება?

ო რ ე ს ტ ე

რა გარდამიწყდა, მზისა ცქერა თუ სახრჩობელა?

ქ ო რ ო ს გ ა მ ძ ღ ო ლ ი ქ ა ლ ი

ჩვენც რაღა გველის, პატივდება თუ განსახლება?

ა პ ო ლ ო ნ ი

დათვალეთ ხმები, მართლმსაჯულნო, გულდადინჯებით,
მოუხმეთ ოდენ სიმართლეს და პატიოსნებას.
ერთი ხმით ნაკლულ _ მოასწავებს უბედურებას.
ერთი ხმით მეტი _ გადარჩენას ძველი მოდგმისა.

ა თ ე ნ ა

ორესტე, აჰა, გამარჯვება შენს მხარეზეა,
ხმები თანაბრად განაწილდა ორივე ყუთში.

ო რ ე ს ტ ე

ოო, პალადა, დედუფალო, მხსნელო სახლისა,
კვლავ დამაფუძნე მე, ლტოლვილი, მშობელ მიწაზე!
ამიერიდან ელინები წართქვამენ ესრეთ:
ეზიარაო არგოსელი მწირი სამშობლოს,
პატივმოსილი პალადის და ლოქსიის ნებით,
მოევლინაო მამაღმერთი მესამე მხსნელად,
რომელმან მამას აღუდგინა პატივ-ღირსება;
დაიცვა შვილი ბოროტ დედის მოსარჩლეთაგან,
მე კი ფიცსა ვდებ, ვუერთგულებ სამარადჟამოდ
ხალხსა დიდებულს და წილხვედრილ ქვეყანას შენსას.
ახლა კი დროა მივაშურო მშობლიურ სახლ-კარს.
მივდივარ მტკიცე შეპირებით, რომ არგოსელი
აქ არასოდეს ფეხს არ დადგამს ხმალამოწვდილი,
არა და მაშინ, თუნდ საფლავში ვიქნე მდებარე,
თუ რომელიმე ჩვენთაგანი ამ ფიცს დაარღვევს,
თავზე დავატეხ მრისხანებას, ჟამთა სიავეს,
დავუმეგზურებ ფათერაკებს და უგზოობას.
ჭირს გავუმრავლებ მოღალატეს, ვანანებ მწარედ.
ხოლო ვინც ამ ფიცს განამტკიცებს და პატივს დასდებს
პალადას ქალაქს, უერთგულებს, დაიცავს შუბით,
არ მოაკლდება პატივი და წყალობა ჩემი.
მშვიდობით, ჩემო დედუფალო, კეთილო ხალხო.
გამედგრებულნი მტერთა ზედა მენახეთ მარად.
არ მოგკლებოდეთ გამარჯვება, ხელშუბოსანნო.

(ორესტე და აპოლონი გადიან)

ქ ო რ ო

პირველი კომოსი

სტროფი პირველი

ჭაბუკნო ღმერთნო, თქვენ გათელეთ ძველი ადათი,
ვაგლახ, ხელიდან გამომგლიჯეთ ძალმოსილება!
ვაი, ბეჩავო ჩემო თავო!
შხამს გადმოვანთხევ,
იავარვყოფ აქაურობას.
ჩამოსცვივიან ფოთოლნი ხეთა.
ვერ ინაყოფებს ხორციელი.
ხორცს შემოალპობს ძვლებზე
სულდგმულთ სნეულებანი.
რა ვიღონო? ვვალალებ მხოლოდ,
ვაი, ბედკრულნო,
ვაგლახ, ვაი;
ბნელი ღამის
უბედურო ქალაშვებო!

ათენა

ყურს მომაპყრობდეთ, გულს ვარამი ნუ დაგიმძიმებთ,
არცა პატივი მოგკლებიათ, არც დამცრობილხართ.
ჩვენ ვყარეთ წილი, ხმები ორად გაიყო მხოლოდ
და, ამავე დროს, ზევსის ნებაც გარდმოგვევლინა,
აღსრულდა მისი ბრძანებული, მისივ წყალობით
დღეს კირთებისგან ტვირთშეხსნილი არის ორესტე.
თქვენც ამ ქვეყანას შურისგებით ნუ ემუქრებით,
ნუღა დააზრობთ დედამიწას, ყანებს, ველ-მინდვრებს,
ნუ გადანერწყვავთ დემონიურ შხამით და სნებით.
ნურც კაცთა სარჩო-საბადებელს გაავერანებთ.
მეც, მადლიერი, გულმოწყალე დავშთები თქვენდა.
ჩემს საუფლოში მშვენიერი დაიდეთ ვანი.
ყოველ პალატში დაიგულეთ კვერთხი და ტახტი,
გეთაყვანებათ მოკრძალებით დაბა-ქალაქნი.

ქოროს გამძღოლი ქალი

ჭაბუკნო ღმერთნო, თქვენ გათელეთ ძველი ადათი,
ვაგლახ, ხელიდან გამომგლიჯეთ ძალმოსილება.
ვაი, ბეჩავო ჩემო თავო!
შხამს გადმოვათხევ,
იავარვყოფ აქაურობას.
ჩამოსცვივიან ფოთოლნი ხეთა.
ვერ ინაყოფებს ხორციელი.

ხორცს შემოალპობს ძვლებზე
სულდგმულთ სნეულებანი.
რა ვიღონო? ვვალალებ მხოლოდ.
ვაი, ბედკრულნო,
ვაგლახ, ვაი;
ბნელი ღამის
უბედურო ქალაშავებო!

ა თ ე ნ ა

არ ხელგვიყვიხართ, ქალღმერთებო, ტყუილუბრალოდ
ცოფსა და რისხვას ნუ დაატეხთ მოკვდავთა მიწას.
მთაყვანებელი ვარ ზევსისა ასული მისი,
მე ვუწყი მხოლოდ გასაღები ღმერთთა სასახლის,
სადაც გულდაგულ ინახება მეხმტეხი ელვა;
ნუ აღასრულებთ თქვენს განზრახულს, ენდეთ ჩემს სიტყვებს.
ტყუილუბრალოდ ნუ მოუტანთ ზიანს ქვეყანას,
არ გამოიღებს კეთილ ნაყოფს ბოროტი თესლი.

(ქოროს გამძღოლ ქალს)

უბრძანე, უკან ჩააბრუნონ ტალღა რისხვისა _
დაშთები ჩემად მახლობელად და სახლეულად.
ყოველ სამკალში პირველ თავთავს შენ შეგწირავენ,
შვილიერებას, ქორწინებას შემოგვედრიან
ტურფა ქალ-ვაჟნი, თუ სასმენელთ მომაპყრობ შენთა.

ქ ო რ ო

ს ტ რ ო ფ ი მ ე ო რ ე

ვაი, ბედკრულო, ბებერო თავო!
ბარემ მიწამ დამიყოს პირი,
ვაგლახ, ვაი!
გამწარებული წრიალებს სული,
ვაგლახ, ვაგლახ!
ტკივილის ჭვალი მივლის ტანში.
ვივსები ტანჯვით.
დედაო ღამევ, ვაგლახ, ღმერთებმა
რიოშობით მოაყივნეს დიდება ჩემი!

ა თ ე ნ ა

უხნესი ხარ და _ მოგიტევებ მაგ განცოფებას,
ჩემზე უფროსი ხარ და, ალბათ, ჩემზე უბრძნესიც,
გარნა ჩემთვისაც ზევსს გონება არ დაუკლია.
რაჟამსაც წახვალთ, დაივანებთ უცხო მიწაზე,

მოგენატრებათ ვანი ჩემი _ გიმისნებთ ამას.
დადგება ჟამი გაზაფხულის, აღორძინდება
ქვეყანა ესე, მაშინ შენაც, ჩვენი სტუმარი
ზეამაღლდები ერეხთევსის საკარო ტახტზე,
სადაც ქალ-ვაჟნი ამალანი ისე შვენობენ,
რომ სხვა მხარეში ვერსად ჰპოვონ მათი ბადალი.
სიკეთისათვის მიეზღვება ყველას სიკეთით,
დია უხვია ღვთისმოყვარე ქვეყანა ჩემი.

ქ ო რ ო ს გ ა მ ძ ღ ო ლ ი ქ ა ლ ი

ვაი, ბედკრულო ბებერო თავო!
ბარემ მიწამ დამიყოს პირი,
ვაგლახ, მე, ვაი!
გამწარებული წრიალებს სული,
ვაგლახ, ვაგლახ!
ტკივილის ჭვალი მივლის ტანში,
ვივსები ტანჯვით.
დედაო ღამევ, ვაგლახ, ღმერთებმა
რიოშობით მოაყივნეს დიდება ჩემი!

ა თ ე ნ ა

მწადიან გული მოგიბრუნო კეთილი სიტყვით,
არ გათქმევინებ _ უმრწემესმა ქალღმერთთაგანმა
და ამა ქვეყნის მოკვდავებმა ძველი ქალღმერთი
დაუპურებლად, უმასპინძლოდ გამისტუმრაო.
თუ გწამს პეითო, გონივრული რწმენის ქალწული,
იწამებ მაშინ ჩემს სიტყვებსაც, ალაგმავ რისხვას.
გაგვეხარდება თუ დარჩები, თუ არ დარჩები,
შენს მრისხანებას ნუ დაატეხ ჩვენს ქალაქს მაინც,
ნუ შეაურვებ ავბედობით ხალხსა და ლაშქარს,
თავის მიწა-წყალს საბრძანებლად რომ გთავაზობენ,
პატივისცემას, თაყვანებას რომ გპირდებიან.

ქ ო რ ო ს გ ა მ ძ ღ ო ლ ი ქ ა ლ ი

დიდო ათენა, საით ვეძიოთ საბრძანისი?

ა თ ე ნ ა

ამოირჩიეთ, სადაც გნებავთ, მყუდრო სავანე.

ქ ო რ ო ს გ ა მ ძ ღ ო ლ ი ქ ა ლ ი

რა მეკისრება აღსრულებლად, თუ აქ დავრჩები?

ა თ ე ნ ა

ოდენ სიკეთე გაუხვდება შენის დასტურით.

ქ ო რ ო ს გ ა მ ძ ღ ო ლ ი ქ ა ლ ი

შენ გვიდასტურებ ეგევითარ ძალმოსილებას?

ა თ ე ნ ა

ვინც პატივს დაგვდებს, არ მოვაკლებთ პატივდიდებას.

ქ ო რ ო ს გ ა მ ძ ღ ო ლ ი ქ ა ლ ი

სამარადჟამოდ განამტკიცებ მაგ შეპირებას?

ა თ ე ნ ა

ასე იქნება, ჩემმიერი სიტყვა საქმეა.

ქ ო რ ო ს გ ა მ ძ ღ ო ლ ი ქ ა ლ ი

მილბება გული, ბორგნეული მიცხრება სული.

ა თ ე ნ ა

გაგიმრავლდება მეგობრები ჩვენს მიწა-წყალზე.

ქ ო რ ო ს გ ა მ ძ ღ ო ლ ი ქ ა ლ ი

რით ვასახელო მხარე შენი _ ესეც მიბრძანე.

ა თ ე ნ ა

გამარჯვებულიმც დამენახე სიკეთის ქმნაში!
დე, მიწა იყოს ხვავრიელი, ზღვა ზომიერი,
ზეცამ მანანა ჩამოჰყაროს მაცოცხლებელი,
მზემან და ჩრდილმან განაზავოს სიცხე-სიგრილე,
ჩამოიბერტყოს მიწამ კალთა ნაყოფით სავსე,
გამრავლდეს მროწლე, იღვრებოდეს სიკეთის მადლი,
საშოში თესლი არ გაცუდდეს, მხსნელი მოდგმისა,
არ გაიხაროს მხოლოოდენ ბოროტმა თესლმა,
რომლისგან შენობს მზვაობარი, ცრუ და რიოში,
გამოიმარგლოს ძირძურისგან ხასხასა ყანა.
ეს იყოს შენი საზრუნავი, სხვა დანარჩენზე,
ომზე, ქალაქის თავდაცვაზე თავად ვიზრუნებ,
რომ გამარჯვებით იხარებდეს ქვეყანა ესე.

ს ტ რ ო ფ ი პ ი რ ვ ე ლ ი

დავეფუძნები პალადას სახლსა,
ქალაქს შენსას არ შევუარვებ,
მის ბრჭეებს იცავს დიდი ზევსი
და თვით არესი,
ვითარცა ბომონს ელინურ ღმერთთა,
ვლოცულობ

ოდენ სიკეთისათვის.
ჩქეფდეს სიცოცხლე, ნაყოფიერი
დაიბერტყოს მიწამ კალთები
ცხოველი მზის ქვეშ.

ა თ ე ნ ა

მოქალაქეთა სასიკეთოდ
აქ იცხოვრებენ
შურისგების მკაცრი ქალღმერთნი.
ამიერიდან
მათ განარიგონ კაცთა საქმენი.
დღეის იქით ვერ იაზროს შემცოდებელმა,
სად ან როდის
წამოეწევა ზურგში ისარი.
მოეკითხება შვილთა შვილებს
მშობლების ცოდვა, განწირულთა
შემზარავ ბღავილს
უმალ დაარღვევს მდუმარება მარადიული.

ქ ო რ ო

ა ნ ტ ი ს ტ რ ო ფ ი პ ი რ ვ ე ლ ი

ნუ დააზრობენ
ხეხილოვან ბაღებს ქარები,
ნუ დახუჭავენ ღია თვალებს
მინდვრის ყვავილნი.
ნუ გაუჩნდება ნაყოფს ჭირი.
გამრავლდეს ფარა,
ტყუპად შობოს
ნერბმა ბატკანი,
საბადოებმა დაჰბადონ ოქრო,
ღვთით ბოძებული.

ა თ ე ნ ა

თქვენ, ჩემი ქვეყნის მოქალაქენო,
გაიგონეთ, რაიცა ითქვა?
მეუფებენ ერინიები
ქვესკნელთა და ზესკნელთა ზედა,
საცნაურყოფენ მოკვდავთა საქმეთ,
მათ ლოცვას
მოაქვს სიხარული
ან მწუხარება
და დღეები ჩამოქუფრული.

ქ ო რ ო

ს ტ რ ო ფ ი მ ე ო რ ე

შეწყდეს სიკვდილი უასაკოთა ამიერიდან!
დაებედოთ ლამაზ ასულებს
ვაჟებთან ხვევნა-სიხარული,
ო, მოირებო,
დანო ჩემნო სისხლისმიერნო,
კანონთა მცველნო,
ყველა სახლის დიდნო სტუმარნო,
ყოველ საქმის თანაზიარნო,
ურჩეულესნო ღმერთთა შორის _
თქვენ გეაჯებით!

ა თ ე ნ ა

დია მახარებს ჩვენს ქალაქზე მოწყენილი
ქალღმერთების
გულმოწყალება, ვესათნოები პეითოს თვალებს _
მან მისცა ძალა ენას ჩემსას,
რომ მაგარი რბილად ექცია.
უფრო კი ზევსი მომეშველა, მრჩეველი ჩემი.
დე, დღეის იქით
სიკეთეში გავეჯიბროთ ყველანი ერთურთს.

ქ ო რ ო

ა ნ ტ ი ს ტ რ ო ფ ი მ ე ო რ ე

ვლოცულობ მისთვის,
რომ ძმათა სისხლით არ დალბეს მიწა.
არ დასტყდომოდეს ხალხს სიცოფე,
მოსისხლეობა,
ჭირი და ურვა.
ვლოცულობ მისთვის,
დაე, ერთმანეთს შეეუღლონ სიყვარული და სიძულვილი
სიკეთის შობად
და წარუვალ ნუგეშინად ამ წარმავალ წუთისოფელში.

ა თ ე ნ ა

ვინა თქვა,
თითქოს კეთილი სიტყვა
გზას ვერ გაიგნებს სიკეთისაკენ?
ეგ საშინელი არსებანი
დღეს სასიკეთოდ მოვლენიათ მოქალაქეებს.
სათნო ქალღმერთნო,

დე, სწყალობდეთ
ჩემი ქვეყნის გულმართალ მკვიდრთა.
დე, სიმართლეს მსახურებდეთ
უკუნითი უკუნისამდე.

ქ ო რ ო

ს ტ რ ო ფ ი მ ე ს ა მ ე

განიხარებდეთ, განიხარებდეთ,
დავლათიანი ატიკის მკვიდრნო!
თქვენ თაყვანს სცემთ ზევსის სალოცავს,
თქვენ ბრძენი ხართ,
უყვარხართ ქალწულს,
თქვენ უყვარხართ ქალწულ პალადას,
თქვენ უყვარხართ მამაზეციერს.

ა თ ე ნ ა

თქვენც გიხაროდეთ! თავად ვზრუნავ
თქვენს სავანეზე.
ცეცხლფარეში გაგიძღვება ღვთიური ცეცხლით.
დე, ამ ნათელმა მიწის წკვარამში
დანთქას ყოველი _
რიოში, ბრუნდი.
მხოლოდ ქალაქის სათნოებას
მოეფინოს იმედის შუქი.
კრანაოსის ზრდილო შვილებო,
თქვენ გააცილეთ ჩვენი სტუმრები.
დე, გაუმრავლდეთ სიკეთენი
ჩვენს მოქალაქეთ.

ქ ო რ ო

განიხარებდეთ, კვლავ ვიძახი, განიხარებდეთ,
სრულო ქვეყანავ, ღვთაებანო და მოკვდავებო.
ქალაქის მკვიდრნო, ღირსეულად რომ მიმასპინძლეთ,
წაღმართად ივლით დღეის იქით მრავალჟამიერ!

ე ქ ს ო დ ო ს ი

ა თ ე ნ ა

მადლობელი ვარ მაგ ლოცვისთვის, მაგ სიტყვებისთვის;
აწ გაგაცილებთ ჩირაღდნებით, მეცეცხლურებით
ქვეყნის წიაღში, სად საუფლო ვანია თქვენი.
გეახლებიან მოახლენი, რომელნიც კრძალვით
მოეპყრობიან ჩემს სალოცავს, თან გამომყვება
თეზევსის თვალი _ ღირსეული ქალაქის დასი _

ტურფა ქალ-რძალნი, ყმაწვილკაცნი და უხუცესნი.

(მიმართავს მსახურ ქალთ, რომელნიც გამოდიან ტაძრიდან)

თქვენ გამოეწყვეთ ვარდისფერად ლამაზ კაბებში,
დე, დამამშვენოთ, დე, იფეთქოს ცეცხლის ალებმა.
დე, ჩვენი ახალმოსახლენი ამიერიდან
კეთილზნეობდნენ უკუნითი უკუნისამდე.

(გამოდის გამცილებელთ ქორო, იწყება საზეიმო სვლა)

მ ს ვ ლ ე ლ ო ბ ი ს მ ო ნ ა წ ი ლ ე ნ ი

ს ტ რ ო ფ ი პ ი რ ვ ე ლ ი

შინ მიგაცილებთ, უდიადესნო,
ბნელი ღამის უნაყოფო ნაშიერებო.
ვიმღეროთ და ვამღეროთ ყველა!

ა ნ ტ ი ს ტ რ ო ფ ი პ ი რ ვ ე ლ ი

მიწისქვეშეთის საუფლოში, თქვენს სავანეში,
წარმოგიგზავნით ძვირფას საწირავს.
ვიმღეროთ და ვამღეროთ ყველა!

ს ტ რ ო ფ ი მ ე ო რ ე

მწყალობელნო ჩვენი მიწისა,
ზეიმით განვლეთ
გზა ჩირაღდნებით განათებული.
მაშ, შემოვძახოთ ტკბილი სიმღერა!

ა ნ ტ ი ს ტ რ ო ფ ი მ ე ო რ ე

პალადისეულ ჩირაღდნოსან ქალაქში, დაე,
ჩვენი კავშირი განემტკიცოს, ესრეთ ისურვეს
დიადმა ზევსმა და მოირებმა.
დე, შემოვძახოთ ტკბილი სიმღერა.

(ქორო და მსახიობები ტოვებენ ორქესტრას)

თარგმანი გიგლა სარიშვილმა

სოფოკლე

(ძვ.წ. 496-406 წწ.)

ძველი საბერძნეთის კულტურის "ოქროს ხანის" სულიერების ყველაზე ნათლად გამომხატველმა დრამატურგმა ცხოვრების ხანგრძლივი გზა განვლო. დაწერა ასოცდაათამდე დრამა და თეატრალურ აგონებზე ოცგზის იზეიმა გამარჯვება. კოლონოსის მდიდრულ ოჯახში დაბადებული აქტიურად მონაწილეობდა ათენის საზოგადოებრივსა და პოლიტიკურ ცხოვრებაში, მეგობრობდა "დემოკრატიის მამად" აღიარებულ პერიკლესსთან, ეკავა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის თანამდებობები, იყო ასკლეპიოსის კულტის ერთ-ერთი დამაარსებელი, რის გამოც გარდაცვალების შემდეგ ათენელებმა იგი "წმინდა გმირად" (ჰეროსი) შერაცხეს.

სოფოკლეს ქმნილებებიდან ჩვენამდე შვიდი ტრაგედია და ერთი სატირული დრამა შემორჩა. პოეტის შემოქმედების ცენტრში დგას ზნეობრივი სიწმინდის მაძიებელი ადამიანი, რომლისთვისაც საზოგადოების მორალური ნორმები საკუთარ სიცოცხლეზე უფრო მნიშვნელოვანია. ეს არის ანტიკური პოლისის იდეალური მოქალაქე. ასეთია *ანტიგონე*, რომელიც მზად არის, თავი შესწიროს "დაუწერელი ღვთაებრივი კანონების" აღსრულებას; ასეთია *მეფე ოიდიპოსი*, რომელიც თავისი ტრაგიკული ბედით ასხივებს მაღალ ზნეობრივ თვისებებს, იმ სულიერ ენერგიას, რომელიც თავდაუზოგავად ეძიებს ჭეშმარიტებას და გრძნობს მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობას სახელმწიფოსა და საზოგადოების წინაშე. გარდაუვალი ბედისწერის თემა სოფოკლეს ტრაგედიებში უშუალოდ ერწყმის ადამიანის ნებისყოფის თემას, იმ ადამიანისა, რომელსაც ძალუძს აღმატებულად ტრაგიკულ მომენტებშიც კი შეინარჩუნოს ზნეობრივი სიწმინდე, რითაც საზოგადოებაში სიკეთეს თესავს. მართალია, სოფოკლეს გმირები იდეალურნი და მონუმენტურნი არიან, მაგრამ ისინი განუმეორებელი ინდივიდუალობითაც გამოირჩევიან, თუმცა არასოდეს ეშვებიან უფერულ ყოფითობამდე. ჯერ კიდევ ანტიკურ სამყაროში შენიშნეს სოფოკლეს შემოქმედებითი მანერის დიდებულება, დრამატული ხედვის სიღრმე და ტრაგიზმის წარმოსახვის მაღალი ხელოვნება. სოფოკლეს შემოქმედებით დასრულდა ბერძნული ტრაგედიის ფორმირების პროცესი: მან შეამცირა ქოროს როლი და სცენაზე გამოიყვანა მესამე მსახიობი, რამაც კიდევ უფრო გააძლიერა დრამატურგიული ეფექტი. "მრავალი ცვლილების შემდეგ ტრაგედია შეჩერდა, რადგან მიაღწია თავის ბუნებას", _ ასე შეაფასებს არისტოტელე სოფოკლეს ღვაწლს დრამის განვითარების პროცესში ("პოეტიკა" 1549 ა 14).

თარგმანები:

სოფოკლე, თებეს ტრაგედიები, ძველი ბერძნულიდან თარგმნა გიორგი ხომერიკმა, თბილისი 1988.

სოფოკლე, ტრაგედიები, "ოიდიპოს მეფე" და "ანტიგონე", თარგმანი დავით გაჩეჩილაძისა, თბილისი 1971

ბერძენ და რომაელ ავტორთა თარგმანები შესრულებული პეტრე ქავთარაძის მიერ, თბილისი 1962.

სოფოკლე

ოიდიპოს მეფე

მოქმედი პირნი

oidiposi	iokaste
qurumi	macne
kreonti	laiosis msaxuri
qoro	eqsangelosi
tiresiasi	

პროლოგოსი

ოიდიპოსი

შვილებო, ახალთაობაო ძველი კადმოსის,
ნეტავი რისთვის ჩამომსხდარხართ საკურთხევლებთან,
სავედრებელი რად გიპყრიათ ხელში რტოები?
საკმევლის კვამლით ავსებულა მთელი ქალაქი,
პეანებსა და ოხვრა-კვნესას მოუცავს იგი.
აღარ ვისურვე, სხვისი პირით შემეტყო, შვილნო,
თქვენი ამბავი, თავად მოველ თქვენს მოსასმენად
სახელგანთქმულად წოდებული ოიდიპოსი.
მაგრამ, მოხუცო, ხმა გაიღე, აკი შენ შეგფერს,
მათ ნაცვლად მითხრა, რა მიზეზით მოსულხართ ჩემთან,
რაიმეს შიშობთ? გსურთ რაიმე? მე ძლიერ მინდა,
რომ ყველაფერში დაგეხმაროთ; გულქვა ვიქნები,
თქვენი ვედრება თუ არ შემძრავს შესაბრალისი.

ქურუმი

ო, ოიდიპოს, მბრძანებელო ჩვენი ქვყნისა,
შენ თავად გვხედავ, თითქმის ყველა ასაკისანი
შენს ბომონებთან ვსხედვართ ახლა. შორს ვერ დაფრენენ
ზოგნი ჯერ კიდევ, აქვე არის წლებით მოღლილი
ქურუმთა დასიც, მეც აქა ვარ _ ზევსის ქურუმი,
აქვე არიან ჭაბუკთაგან ურჩეულესნიც,
სხვებიც ათენას ორ ტაძართან სხედან რტოებით,
ჩვენს აგორაზე, ისმენოსის სამისნო ფერფლთან.
რადგან ქალაქი, კარგად ხედავ ამას თავადვე,
ზომაზე მეტად ღელავს უკვე, თავს ვეღარა სწევს
ღრმა უფსკრულიდან, თავს ვერ აღწევს სისხლიან მორევს,
თესლშივე კვდება თვისი მიწის ნაყოფით თებე,
ხარის ჯოგებშიც იღუპება და თებეს ქალთა
ჩანასახშივე კვდება იგი; ცეცხლისმპყრობი და

მრისხანე ღმერთი _ შავი ჭირი აწამებს ქალაქს.
აცარიელებს შავი ჭირი კადმოსის მიწას,
ხოლო შავბნელი ჰადესი კი კვნესით მდიდრდება.
ღმერთების სწორად არც მე გთვლი და არც ეს ბალღები,
საკურთხეველთან რომ დამსხდარან სავედრებელად,
მაგრამ ამ ქვეყნის ვარამსა და ღვთიურ საქმეში
მოკვდავ კაცთაგან უპირველესს გიხმობთ ყველანი;
ავი მომღერლის ხარკისაგან, ჩვენ რომ ვიხდიდით,
შენ შენი მოსვლით დაიხსენი კადმოსის სახლი,
იხსენი, თუმც კი არაფერი იცოდი ჩვენგან
და არაფერი შეგიტყვია: ყველა ასე ვთვლით,
რომ ღვთის შეწევნით დაიხსენი ჩვენი სიცოცხლე.
ო, ოიდიპოს, ყველას შორის აღმატებულო,
ყველანი ამას შემოგთხოვთ და ამას გავედრებთ,
აღმოგვიჩინე დახმარება, უფლის ისმინე
სიტყვა რაიმე ან კაცისგან იუწყე რამე;
აკიღა ვიცი, ამ ცხოვრების ავბედობისას
. . . . . .
ისევ ნაცადთა რჩევას მოაქვს კარგი შედეგი.
აღსდექ, მეფეო, მოკვდავთაგან უპირველესო,
აღსდექ და ისევ აღადგინე ჩვენი ქალაქი;
ძველი საქმისთვის მხსნელს გიწოდებს შენ ეს ქვეყანა,
მაგრამ თუ კვლავაც დავეცემით ერთხელ დახსნილნი,
აღარაფერში აღარ ვაქნევთ შენს მმართველობას.
კვლავაც უშიშრად დაამტკიცე ჩვენი ქალაქი.
კეთილი ნიშნით ხომ გვიბოძე ადრე, მეფეო,
ბედნიერება, ამის მსგავსად იქმოდე ახლაც.
უკეთუ მართავ ამ ქვეყანას და თუკი უფლობ,
განა დაცლილი, ხალხით სავსე იუფლე იგი;
რაღა აზრი აქვს სიმაგრეს და ან კიდევ ხომალდს,
თუკი სრულიად დაიცლება იგი ხალხისგან?!

ო ი დ ი პ ო ს ი

როგორ არ ვიცი, კარგად ვიცი, საბრალო შვილნო,
თუ რად მოხვედით, კარგად არის ჩემთვის ცნობილი,
რომ სნეულებას შეუპყრიხართ, მაგრამ იცოდეთ,
ჩემზე სნეული არვინაა, შვილებო, თქვენში.
თქვენი ტკივილი ერთს ეხება მხოლოდ და მხოლოდ,
მარტოდენ თქვენს თავს, სხვა არავის, ჩემი სული კი
ქალაქზეც ტირის, ჩემს თავზედაც და თავად შენზეც.
თქვენ ახლა განა ძილქუშიდან გამომაღვიძეთ,
კარგად იცოდეთ, ბევრი ცრემლი დავღვარე უკვე,

ბევრი მოვსინჯე გზა ფიქრებში ხეტიალისას,
ბევრი ვიფიქრე, ეს ერთი გზა მოვნახე ბოლოს
და სწორედ ასეც მოვიქეცი, აკი კრეონტი,
ჩემი ცოლისძმა, ვაჟიშვილი მენეკევსისა,
უკვე წარვგზავნე ფოიბოსის პითიურ სახლში,
მსურს რომ იკითხოს, როგორ უნდა დავიხსნათ თებე.
ვიანგარიშე უკვე გზის დროც და ეს ბოლო დღე
მწუხარე კითხვას მისვამს ახლა, რა ქნა კრეონტმა?
რად იგვიანებს? გადასცილდა დრო უკვე ვადას.
დაბრუნდება და გულბოროტი ვიქნები მართლაც,
უკეთუ სრულად არ დავიცავ უფლის ნაბრძანებს.

ქ უ რ უ მ ი

კეთილად მითხარ ყოველივე და ჰა, კრეონტის
მოახლოებას მანიშნებენ უკვე ესენიც.

ო ი დ ი პ ო ს ი

დიდო აპოლონ, დე, ისეთი მხსნელივე ბედი
მოჰქონდეს კრეონტს, რა ნათელიც თვალებში უდგას.

ქ უ რ უ მ ი

როგორც ჩანს, რაღაც უხარია; თუ არა მაშინ
არ მოვიდოდა იგი ჩვენთან დაფნით შემკული.

ო ი დ ი პ ო ს ი

მალე შევიტყობთ; სულ ახლოა, ხმასაც მივაწვდენთ.
მეუფევ, ძეო მენეკევსის, ჩემო ცოლისძმავ,
გვითხარი, უფლის რა პასუხით მოდიხარ ჩვენთან.

კ რ ე ო ნ ტ ი

კარგით, რამეთუ ის სიმძიმე, რაც დაგვაწვება,
თუ სწორი იქნა, სრულ სიკეთეს მოგვიტანს ყველას.

ო ი დ ი პ ო ს ი

მაინც როგორი ამბავია? ეგ შენი სიტყვა
არც შიშს არა მგვრის და არც რაიმე სიმხნევეს მმატებს,

კ რ ე ო ნ ტ ი

თუ გსურს, რომ ყველას თანდასწრებით მაამბობინო,
მე მზად ვარ გითხრა, თუ არა და, შიგნით შევიდეთ.

ო ი დ ი პ ო ს ი

ყველას წინაშე მომახსენე, განა ჩემ გამო,
მათ გამო არის, თუ წუხილი მტანჯავს მათ მეფეს.

კ რ ე ო ნ ტ ი

იმას გაუწყებ, რაც ღმერთისაგან მომისმენია,
ცხადად გვიბრძანებს ფოიბოსი, უფალი ჩვენი,
რომ ქვეყნის მანკი ამ მიწაზე კაცად შობილი
გავაძევოთ და სენისაგან დავიხსნათ თებე.

ო ი დ ი პ ო ს ი

როგორ განვწმინდოთ? ხსნა რა არის ამ სიავისგან?

კ რ ე ო ნ ტ ი

ქვეყნიდან კაცის გაძევება, მკვლელის მოკვეთა,
სწორედ ამ სისხლმა ააზვირთა ჩვენი ქალაქი.

ო ი დ ი პ ო ს ი

ვინ კაცზე ამბობს აპოლონი, ვის ხვედრს გულისხმობს?

კ რ ე ო ნ ტ ი

სანამდის თავად დაიწყებდი ქალაქის მართვას,
ქვეყნის მეუფედ ლაიოსი გვესვა თებეში.

ო ი დ ი პ ო ს ი

გამიგონია, არ მინახავს თუმც იგი თავად.

კ რ ე ო ნ ტ ი

მკვდარია იგი და ახლა კი ჩვენი უფალი
მისი მკვლელების დასჯასა გვთხოვს განცხადებულად.

ო ი დ ი პ ო ს ი

სადღა ვიპოვით ახლა იმათ? სად აღმოჩნდება
კვალი იმ ძველი მკვლელობისა ძნელად საცნობი?

კ რ ე ო ნ ტ ი

ამ მიწაზეო, ბრძანა ღმერთმა, რასაცა ვეძებთ,
ვპულობთ კიდეც, ჩვენ მას ვკარგავთ, რასაც არ ვეძებთ.

ო ი დ ი პ ო ს ი

მაინც სად მოკლეს ლაიოსი, სახლში თუ გარეთ,
ველზე ხომ არა, ანდა სადმე, უცხო მიწაზე?

კ რ ე ო ნ ტ ი

როგორც თვითონ თქვა, საკითხავად წავიდა ღმერთთან...
გაეშურა და უკან აღარ დაბრუნებულა.

ო ი დ ი პ ო ს ი

განა არავინ შესწრებია თანამგზავრთაგან
ვინმე ამ ამბავს, იმისგან რომ შეგვეტყო რამე?

კ რ ე ო ნ ტ ი

ერთი გადარჩა მათგან მხოლოდ და მანაც ერთმა
ერთი რამ გვითხრა მარტოოდენ, სხვა არაფერი.

ო ი დ ი პ ო ს ი

მაინც რა გითხრათ? აღმოაჩენს მრავალს ის ერთიც,
ამ მცირე იმედს კარგად უნდა ჩავჭიდოთ ხელი.

კ რ ე ო ნ ტ ი

ასე გვაუწყა, ყაჩაღებმა მოკლესო მეფე,
განა თუ ერთის, ბევრის ხელით მოკვდაო იგი.

ო ი დ ი პ ო ს ი

ვით წავიდოდა ამ საქმეზე ყაჩაღი ვინმე,
აქედან რომ არ მოესყიდა ის კაცი ვინმეს?

კ რ ე ო ნ ტ ი

ფიქრობდნენ ასეც, თუმც მას მერე, რაც იგი მოკლეს,
არვინ გამოჩნდა ამ მკვლელობის შურისმგებელი.

ო ი დ ი პ ო ს ი

თქვენი ტირანის ამნაირი დაღუპვის შემდეგ
რა გასაჭირმა შეგიშალათ ძებნაში ხელი?

კ რ ე ო ნ ტ ი

ცბიერმა სფინქსმა გვაიძულა, ბოროტ-მელექსემ,
ფერხთით გვეცქირა და ფარულზე არ კი გვეზრუნა.

ო ი დ ი პ ო ს ი

ამ დაფარულის განცხადებას მე შევძლებ ისევ.
რადგან, ფოიბოს, და შენც, კრეონტ, მოკლულისადმი
თქვენი მცდელობა ღირსეულად დაიწყეთ მართლაც,
მაშ, მეც მიხილავთ სამართლიან თქვენს თანამდგომად,
შურისმგებელად ამ მიწისთვის და თანაც ღმრთისთვის.
განა შორეულ მეგობართა გულისთვის მოვსპობ
ამ სისაძაგლეს, ჩემთვის მოვსპობ მე იმას ისევ.
რადგან ის, ვინაც ლაიოსი განგმირა ერთ დროს,
იმავე ხელით ჩემს მოკვლასაც ისურვებს მალე.
თუკი ლაიოსს შევეწევი, ჩემს თავს დავიცავ.

მაშ, სწრაფად ზეზე წამოდექით, ჩემო შვილებო,
ემაგ კიბიდან და წაიღეთ სავედრებელი
თქვენი რტოები, სხვამ კი ვინმემ ერთად შეკრიბოს
კადმოსის მოდგმა, ავასრულებ მისთვის ყველაფერს.
ან ბედს გვარგუნებს, ან მიწაზე დაგვამხობს ღმერთი.

ქ უ რ უ მ ი

ავდგეთ, შვილებო, ჩვენ ხომ სწორედ ამ მადლისათვის
მოვედით მასთან, თავად იგი რომ ამბობს ახლა.
ფოიბოსი კი ამ მისნობის წარმომგზავნელი
დე, მასთან ერთად მსხნელად გვექნეს და ჩაკლას სენი.

პ ა რ ო დ ო ს ი

ქ ო რ ო

ს ტ რ ო ფ ი ა

ო, ზევსის ხმატკბილო სიტყვაო, ნეტავი როგორი მოსულხარ
ოქრომრავალი პითონიდან
ჩვენს განთქმულ თებებში? ვშიშობ და ვცახცახებ და სული მიშფოთავს.
მკურნალო დელიოს პეანო,
ვშიშობ და ქედს ვიხრი წინაშე შენსა,
რას მეტყვი ახალ წესს, ძველთაძველს რას მეტყვი,
შენ რომ აღგისრულო,
მაუწყე, ო, ოქრო-იმედის ნაშობო,
უკვდავო სიტყვაო.

ა ნ ტ ი ს ტ რ ო ფ ი ა

პირველად შენ გიხმობ ასულო ზევსისა,
უკვდავო ათენა,
და შენაც, დაო ათენასი,
მყპრობელო მიწისა არტემის, რომელიც
აგორას ტახტს ზიხარ,
და შენცა, შორსმტყორცნელო ფოიბოს,
ჭირთაგან დამცველნო, კვლავ მოდით მხსნელებად,
კვლავ მოდით, რამეთუ ადრეც თქვენ ჩაგიკლავთ
ხანძარი ჭირისა,
ხანძარი ჩვენ ადრეც, რომ გვწვავდა, ო, ისევ
გვიხსენით, უკვდავნო.

ს ტ რ ო ფ ი ბ

ჰოი, ღმერთებო, უბედურება
მტანჯავს ურიცხვი, სნება შეჰყრია

ჩემს ხალხს და აღარც აზრის შუბი აქვს
ვისმე, რომ იგი ჭირს შეაგებოს,
ბავშვებიც არ ჩნდება ამ დიად მიწაზე,
ვერც შობის ტკივილს უძლებენ ქალნი,
ფრთამალი ფრინველის სადარად მიქრიან,
ცეცხლსაც კი ასწრებენ, ურჩსა და მოუდრეკს,
მწუხრის ღვთაების ნაპირისაკენ.

ანტისტროფი ბ

და იღუპება ქალაქი მათგან,
და საწყალობლად წვანან ბავშვები
და სიკვდილს სთესენ ქვემოთ, დაბლობზე.
მხცოვანი ქალებიც დედებთან არიან,
სასტიკი ტანჯვისგან ვედრებით სავსენი
საკურთხევლებთან გმინავენ საწყლად.
მათ კივილს შერთვია ნათელი პეანიც,
გვიხსენი, ო, ზევსის, შენ, ოქრო-ასულო,
ხსნა მოგვივლინე თვალებნათელო.

სტროფი გ

მძლეთამძლე არესს, ვინაც
მტანჯავს ბრინჯაოს ფარის უქონელს,
ვაების აღმძვრელს ვემუდარები,
შორს გაეცალოს სამშობლოს ჩემსას,
ჩემი სამშობლოს საზღვრებს,
ან ამფიტრიტეს საწოლს ეწვიოს,
ან კიდევ არასტუმართმოყვარე
თრაკიის ტალღებ-მარად-ბორგნეულ
ნავთა საყუდელს.
ღამით დარჩენილს დღე გვტაცებს უკვე.
შენ, მძლე ისრების
და ცეცხლის მპყრობო, მამაო ზევსო,
შენი მეხის ქვეშ დაამხე იგი.

ანტისტროფი გ

შენ, ლიკეიოს მეუფევ,
მსურს ოქროწნული შენი ლარიდან
ყოველგნით ტყორცნო შენი მძლეთამძლე,
შენი უძლევი ქეიბურები.
და არტემისმაც ტყორცნოს ისინი,
ღმერთქალმა ხელში ნათლისმპყრობელმა,
სწრაფად რომ დაქრის ლიკიის მთებზე,

ბაკქოსსაც ვუხმობ ოქროსმიტრიანს,
ამ ჩვენი მიწის სახელზიარ და ვაზისფურცლება
ევოურ ბაკქოსს,
დე, განაბნიოს ნათელ ჩირაღდნით
ღმერთი ღმერთთაგან უსაძაგლესი.

პირველი ეპისოდიონი

ოიდიპოსი

შენ ღმერთებს შესთხოვ, მაშ, უკეთუ მოისურვებ და
მე დამიჯერებ და ბოლომდე მიჰყვები ამ ჭირს,
დაცვას მიიღებ და ჭირთაგან შემსუბუქებას.
რაც ადრე მოხდა, ან რაც ითქვა, შორს არის ჩემგან,
მაშ, როგორც უცხო, ისე ვიტყვი, საყურადღებოს
ვერას მივაკვლევ, თუ ნიშანი არ მექნა რამის.
ახლა კი, რახან გვიან გავხდი ამ ქვეყნის მკვიდრი,
ამას გიცხადებთ ყველა თქვენგანს, ყველა კადმოსელს:
მას, ვინაც იცის, თუ ვის მიერ იქნა მოკლული
ლაბდაკოსის ძე, ლაიოსი, დაუყოვნებლივ
მომახსენოს მე ყოველივე და თუ თვით არის
დამნაშავე და ეშინია ცოდვის გამხელა,
. . . . . .
არ დაატყდება, მას სიავე არანაირი.
ამ ერთის გარდა _ უვნებელი დატოვებს თებეს.
ხოლო უკეთუ ვინმემ იცის, რომ დამნაშავე
ვიღაც უცხოა, ნუ დამალავს, რადგან მე იმას
ჯილდოს მივცემ და გავუმრავლებ ქონებას მადლით.
მაგრამ თუ ენას ჩაიგდებთ და მეგობრისათვის,
ანდა თქვენივე თავისათვის შიში შეგიპყრობთ,
ხამს, ისევ ჩემგან მოისმინოთ, რას გავაკეთებ.
ვინც უნდა იყოს, ამას ვბრძანებ, რომ ამ მიწაზე,
მიწაზე, რომლის ძალასა და ტახტსაც თავად ვფლობ,
არვინ მიიღოს სახლში იგი, სიტყვა არ გასცეს,
თანაზიარი არ გახადოს მსხვერპლშეწირვაში,
არც განბანვის და არც კურთხევის არ მისცეს ნება,
ყველამ სახლიდან გააძევოს მუდამდღე იგი _
მიზეზი ჩვენი სიავისა _ აკი აგრე თქვა
დიადმა ღმერთმა პითიური მისნობის ენით.
ხოლო ვინც ნაბრძანს არ დაიცავს, უკვდავებს შევთხოვ,
რომ არც ამ მიწის არ უბოძონ ნაყოფი მას და
არც შვილი მისცენ დიაცისგან, დაე, ახლავე
მოკვდნენ ისინი ან თავისით წარწყმდნენ როგორმე.

მაშ, რაც ვთქვი, იმის შესრულებას გიბრძანებთ ყველას.
გიბრძანებთ ჩემთვის, ღმრთისთვისა და ჩვენი მიწისთვის.
ეგზომ უღმრთოდ და უნაყოფოდ რომ განწირულა.
ღმერთებსაც რომ არ ესურვათ და ეს არ ებრძანათ,
რჩეული მამრის და მეუფის სიკვდილის შემდეგ,
არ ხმდა, რომ აგრე შებილწული გყოლოდათ თებე.
მკვლელები უნდა მოგეძიათ; ამჯერად მე ვფლობ
ძალას მიწისას, ლაიოსი რომ ფლობდა ადრე,
მის სარეცელსაც და მის ცოლსაც მე ვფლობ ამჯერად,
ზიარს გვიშობდა ცოლი ბავშვებს, უკეთუ მის ქმარს
უბედურება არ რგებოდა უშვილობისა _
ახლა კი, როცა ბოროტება არის ამ კაცზე,
ვით მამისათვის, სწორედ ისე ვიბრძოლებ მისთვის,
შვილების ნაცვლად ყველაფერზე წავალ კიდევაც,
რათა ვიპოვო და შევიპყრო ამ კაცის მკვლელი,
ვის წინაპრებად ლაბდაკოსს ვთვლით, პოლიდოროსსაც,
დიად კადმოსს და უპირველეს დიად აგენორს.
აი, ამგვარი ქომაგი და თანამდგომი ვარ
დაიმონისა, კაცისა და თავად მოკლულის,
ბოროტმოქმედს კი აგრე ვწყევლი, უკეთუ იგი
დამალულია, მარტო არის ან სხვებთან ერთად,
დაე, ბოროტად გაატაროს ეგზომ ბოროტი
და უბედური თვისი ყოფა, ღმერთებს ვფიცავარ,
უკეთუ იგი ჩემს სახლშია ჩემი თანხმობით,
ახლახან რაც ვთქვი, მეც შემხვდება იგივე ვნება.
თქვენ კი, დანარჩენ კადმოსელებს, რომელთათვისაც
მოსაწონია ჩემი სიტყვა, დე, თანამდგომად
დიკე გყავდეთ და ნეტარ ღმერთთა უკვდავი დასი.

ქ ო რ ო

ეგ შენი წყევლა მაიძულებს გულწრფელად გითხრა:
არც მე მომიკლავს და არც მკვლელი არ შემიძლია,
შენ რომ გიჩვენო. და უკეთუ შურისძიება
ღმერთმა გვიბრძანა, მანვე გვამცნოს, ვინ არის მკვლელი.

ო ი დ ი პ ო ს ი

სამართლიანად ამბობ მართლაც, მაგრამ გახსოვდეს,
თუ ღმერთებს არ სურთ, იძულებით ვერაფერს იზამ.

ქ ო რ ო

ახლა რომ ფიქრობ, ამ მეორე აზრსაც გეტყოდი.

ო ი დ ი პ ო ს ი

მესამეც თუ გაქვს, იმაზედაც ნუ იტყვი უარს.

ქ ო რ ო

რასაც მეუფე აპოლონი ხედავს, მე მჯერა,
იმასვე ხედავს თვით მეუფე ტირესიასიც,
ვინმემ რომ ჰკითხოს, ყოველივეს შეიტყობ მისგან.

ო ი დ ი პ ო ს ი

არ დამვიწყნია არც ეგა და კრეონტის რჩევით
მე უკვე ორჯერ გავაგზავნე იმასთან ხალხი;
საოცარია, დრო გადის და ის კი არ მოდის.

ქ ო რ ო

ერთი უაზრო ჭორისთვისაც მომიკრავს ყური.

ო ი დ ი პ ო ს ი

მაინც რომლისთვის, ყველა აზრი ავწონ-დავწონოთ.

ქ ო რ ო

ამბობდნენ, ვიღაც მოგზაურმა მოკლაო მეფე.

ო ი დ ი პ ო ს ი

მეც შემიტყვია, მაგრამ იმ კაცს ვერავინ ვერ ცნობს.

ქ ო რ ო

თუ ვინმეს კიდევ შერჩენია შიშის მისხალი,
ამ წყევლის შემდეგ ვეღარ შეძლებს ჩუმად რომ იყოს.

ო ი დ ი პ ო ს ი

ვისაც ავის ქმნა არ აშინებს, არც სიტყვა აფრთხობს.

ქ ო რ ო

განმცხადებელიც აქვე არის, აჰა, მსახურებს,
უკვე აქ მოჰყავთ ღვთაებრივი იგი მისანი,
ისღა ატარებს გულში კაცთა ჭეშმარიტებას.

ო ი დ ი პ ო ს ი

ო, ყოვლის მცოდნე ტირესიას, შეცნობადის და
შეუცნობლისაც, ციურისაც, მიწიერისაც,
თუმც ვერა ხედავ, მაინც ხვდები რა სნებასა ჰყავს
ჩვენი ქალაქი შეპყრობილი, ჩვენო მეუფევ,
შენღა გვეგულვი დამცველად და ქალაქის მხსნელად.
შენ იქნებ არც კი შეგიტყვია, რომ ფოიბოსმა

აგრე აუწყა ქალაქიდან წარგზავნილ ვაჭკაცთ:
ამ ჭირისაგან ერთადერთი შვება ის არის,
რომ ლაიოსის დამღუპველნი მოვიძიოთ და
მოვკლათ ისინი ან განვდევნოთ ჩვენი მიწიდან.
შენ კი, რაკიღა კარგად იცნობ ფრინველთა ენას
და არც მისნობის სხვა გზა არის შენთვის უცნობი,
იხსენი თავი, თებეცა და მეც დამიხსენი,
მეფის მკვლელობის ბიწისაგან იხსენი ყველა.
შენით ვარ ახლა; კაცისათვის დახმარება კი
შეგვიძლია და ვიცით კიდეც მისი ღვაწლისთვის.

ტ ი რ ე ს ი ა ს ი

ვაგლახ, ო, ვაგლახ, საშინელი არის ის ცოდნა,
მცოდნეს სარგებელს რომ არ აძლევს, ვიცოდი კარგად
და დამავიწყდა _ თორემ შენთან არ მოვიდოდი.

ო ი დ ი პ ო ს ი

მაინც რა მოხდა? რად მოხვედი აგრე უგულოდ?

ტ ი რ ე ს ი ა ს ი

გამიშვი უკან; შენც ადვილად განაგდებ შენს ჭირს,
და თუ დამყვები, მეც ადვილად განვაგდებ ჩემსას.

ო ი დ ი პ ო ს ი

არც მართალს ამბობ და სათქმელის ასეთი მალვით
არც თებე გიყვარს, შენ რომ გშობა და გამოგზარდა.

ტ ი რ ე ს ი ა ს ი

ჰო, რადგან ვხედავ, არ მოიტანს სარგებელს შენთვის
ეგ შენი სიტყვა; არც მე მინდა მისგან რომ ვევნო.

ო ი დ ი პ ო ს ი

ღმერთებს გაფიცებ, თუ რამ იცი, ზურგს ნუ შეგვაქცევ,
ყველანი ამას გვევედრებით მუხლმოდრეკილნი.

ტ ი რ ე ს ი ა ს ი

არავინ უწყით, მეც არასდროს არ გეტყვით ჩემსას,
რათა არასდროს განვაცხადო შენ სიავე.

ო ი დ ი პ ო ს ი

რას ამბობ? იცი და არ იტყვი? ის ხომ არ გინდა,
მეც გამყიდო და ეს ქალაქიც გაანადგურო?

ტ ი რ ე ს ი ა ს ი

არც ჩემთვის მინდა და არც შენთვის მწარე ტკივილი,
ვერ დამარწმუნებ. ნუღა მკითხავ ტყუილუბრალოდ.

ო ი დ ი პ ო ს ი

უბოროტესო ბოროტთაგან _ კლდესაც რისხვით და
წყრომით შეძრავდა შენი ქცევა _ იტყვი თუ არა,
თუ აგრე ურჩი და სასტიკი იქნები ისევ?

ტ ი რ ე ს ი ა ს ი

ჩემს მრისხანებას მსაყვედურობ, ხოლო შენსას კი,
მუდამ შენთან მყოფს, ვერც კი ამჩნევ, ვეღარც კი ხედავ.

ო ი დ ი პ ო ს ი

ვის არ აავსებს მრისხანებით იმის მოსმენა,
თუ რა სიტყვებით შეურაცხყავ ჩვენი ქალაქი.

ტ ი რ ე ს ი ა ს ი

თავისთავადაც გაცხადდება, მე რომც დავმალო.

ო ი დ ი პ ო ს ი

შენც უნდა მითხრა, თავისთავად რაც გაცხადდება.

ტ ი რ ე ს ი ა ს ი

მეტს აღარაფერს აღარ გეტყვი, ასე რომ, თუ გსურს,
დე, უფრო მძიმემ და ველურმა შეგიპყროს რისხვამ.

ო ი დ ი პ ო ს ი

მართლაც არა მსურს რომ დავმალო ჩემი რისხვა და
ჩემი აზრები; მაშ იცოდე, რას ვფიქრობ შენზე:
შენ არ მოგიკლავს, სხვებთან ერთად მოაწყვე საქმე
და სხვების ხელით აღასრულე. ბრმა რომ არ იყო
შენ დაგწამებდი ლაიოსის მკვლელობას მხოლოდ.

ტ ი რ ე ს ი ა ს ი

აგრე? მაშ გეტყვი, იმ ბრძანებას, შენ რომ გამოთქვი,
ჯობს თავად შენვე უერთგულო და დღეის იქით
არც ამათ უთხრა სიტყვა რამე და არც მე მითხრა,
რადგან ამ მიწის წამბილწველი შენა ხარ სწორედ.

ო ი დ ი პ ო ს ი

რა უსირცხვილოდ, რა უტიფრად მითხარი სიტყვა,
ხომ არ გგონია, მაგ შენს ნათქვამს სადმე გაექცე?

ტ ი რ ე ს ი ა ს ი

მე დახსნილი ვარ, რადგან ჩემში არის სიმართლე.

ო ი დ ი პ ო ს ი

საიდან იცი? არ მგონია, შენი საქმიდან.

ტ ი რ ე ს ი ა ს ი

ისევ თვით შენგან! არ მსურდა და შენ მათქმევინე.

ო ი დ ი პ ო ს ი

რა გათქმევინე? თქვი ერთხელაც, უკეთ მივხვდები.

ტ ი რ ე ს ი ა ს ი

ვერ მიხვდი განა? იქნებ ცდილობ, მე შემაცდინო?

ო ი დ ი პ ო ს ი

კარგად ვერ მივხვდი, ერთხელ კიდევ გამიმეორე.

ტ ი რ ე ს ი ა ს ი

ასე რომ ეძებ, შენ ხარ-მეთქი სწორედ ის მკვლელი.

ო ი დ ი პ ო ს ი

ორჯერ შემრისხე, არ მოგიტანს შენ ეგ სიხარულს.

ტ ი რ ე ს ი ა ს ი

მაშ, სხვასაც გეტყვი, რათა უფრო შეგიპყროს რისხვამ.

ო ი დ ი პ ო ს ი

რამდენიც გსურდეს, იმდენი თქვი, ფუჭად ირჯები.

ტ ი რ ე ს ი ა ს ი

მაშ, კარგი, გეტყვი, შენ ვერ ხედავ, რა სიავე გჭირს,
რა საძაგელი კავშირი გაქვს შენიანებთან.

ო ი დ ი პ ო ს ი

იქნებ გგონია, მუდამ ასე შეძლებ ლაპარაკს?!

ტ ი რ ე ს ი ა ს ი

ჰო, სანამ რამე ძალასა ფლობს ჭეშმარიტება.

ო ი დ ი პ ო ს ი

ფლობს, მაგრამ ისევ შენ გარეშე, ისევ უშენოდ,
შენ ბრმა გაქვს სმენა, გონება და ბრმა ხარ თვალებით.

ტ ი რ ე ს ი ა ს ი

ო, უბედურო, სწორედ იმას მაბრალებ ახლა,
რასაც სულ მალე თვით ესენი იტყვიან შენზე.

ო ი დ ი პ ო ს ი

შენ ღამე გკვებავს ერთადერთი, არც მე ვევნები
და არც სხვა ვინმეს ნათლის მჭვრეტელს ევნება შენგან.

ტ ი რ ე ს ი ა ს ი

ჰო, რადგან ჩემგან როდი გელის დაცემა ხვედრით,
აპოლონია უძლეველი, იგი იქმს ამას.

ო ი დ ი პ ო ს ი

იქნებ კრეონტმა ჩაგაგონა შენ ეგ სიტყვები?

კ რ ე ო ნ ტ ი

არაფერს გერჩის შენ კრეონტი, შენს თავს შენვე მტრობ.

ო ი დ ი პ ო ს ი

ო, სიმდიდრევ და ტირანიავ, ხელოვნებაო,
ქიშპობით სავსე ცხოვრებაში უპირველესო,
რა შური არის დამალული თქვენში ასეთი,
რომ ტახტისათვის, რაც მე ჩემით არც მითხოვია
და რაც ქალაქმა მომიბოძა მუქაფად ერთ დროს,
კრეონტი, ჩემი თანამდგომი უპირველესი
ახლა მალულად მოემპარა და იმას ფიქრობს,
ტახტიდან როგორ ჩამომაგდოს, ამ მოგვს მიგზავნის,
ხვანჯთა დამგებელს, მაწანწალას, რომელიც გულში
ერთს ხედავს მხოლოდ, ხელობით კი ბრმა არის მართლაც.
თქვი მაინც, რითი ასახელე შენი ხელობა,
სად დაიმალე, როცა სფინქსი ტანჯავდა ქალაქს?
იხსენი განა შენი სიტყვით მაშინ თებელნი?
იმ გამოცანას ვერ გახსნიდა უბრალო ვინმე,
მისნობა იყო ამისათვის საჭირო მაშინ;
შენ ვერც ღმერთთაგან მიხვედი რამეს; მე კი მოველ და
მოვკალი იგი არრასმცოდნე ოიდიპოსმა,
ჭკუით შევძელი, ფრინველთაგან არ შემიცვნია,
შენ კი ის გინდა, დამამხო და იმას ოცნებობ,
რომ კრეონტს გვერდით ამოუდგე სამეფო ტახტთან.
მკვლელის ამგვარი გაძევება მწარედ გატირებთ
შენცა და მასაც; უხუცესად რომ არა გთვლიდნენ,
შენი საკადრი სასჯელითვე მოგგვრიდი ჭკუას.

ქ ო რ ო

აგრე მგონია, ოიდიპოს, თქვენ ორს სიტყვები
უსაზმნო რისხვამ გათქმევინათ. თუ დამიჯერებ,
ახლა იმაზე უფრო არის საჭირო ზრუნვა,
როგორმე კარგად რომ ასრულდეს ღმერთის მისნობა.

ტ ი რ ე ს ი ა ს ი

შენ ტირანი ხარ, მაგრამ მეც მაქვს იმის შეძლება,
რომ იმავეთი გიპასუხო; მეცა მაქვს ძალა;
განა თუ შენი, ლოქსიასის მონა ვარ მხოლოდ,
ასე რომ, არ ვარ დაწერილი კრეონტის მცველად.
ბრმა მიწოდე და გამომლანძღე, მე კი გპასუხობ:
თვალხილულიც კი ვერა ხედავ, რა სიავე გჭირს,
ვერც იმას ხედავ, თუ სადა ხარ ან ვისთან ცხოვრობ.
იცი კი, ვინ გშვა? განა იცი, მტრად რომ ერგები
ყველა შენიანს, ვინც მკვდარია და ვინც ცოცხალი
. . . . . .
ოდესმე შენი დედისა და მამის ორმაგი
ფეხმოსატეხი წყევლისაგან განიდევნები
შენ ამ მიწიდან, ბრმა იქნები შენ უკვე მაშინ.
რა ყურე, ანდა კითერონის რომელი კუთხე
არ აივსება შენი მოთქმით, მაშინ მიხვდები,
თუ სახლისათვის რა ბორგნეულ ქორწილს მოადექ
შენი კეთილი, ბედნიერი ცურვის ბოლოში.
. . . . . .
ვერც სხვა სიავე შეგიგრძნია, რომელიც მალე
ბოროტად ნაშობ შენს შვილებთან გაგათანაბრებს.
მაშ, მოდი, ახლაც ამოსვარე კრეონტისა და
ჩემი სიტყვები; არვინ არის მოკვდავთა შორის,
შენზე ბოროტი, რომ ელოდეს ქვეყნად დაღუპვა.

ო ი დ ი პ ო ს ი

შეძლებდა განა, აეტანა ვინმეს ამდენი?
ო, გაეთრიე, გატრიალდი უკანვე სწრაფად,
არ მოიხედო, არ მობრუნდე, ისე გაგვშორდი.

ტ ი რ ე ს ი ა ს ი

შენ რომ არ გეხმე, შენთან მოსვლას არც ვაპირებდი.

ო ი დ ი პ ო ს ი

რას ვიფიქრებდი, სისულელეს მეტყოდი რასმე,
თორემ არასგზით არ გიხმობდი ჩემს სასახლეში.

ტ ი რ ე ს ი ა ს ი

ჩვენ, შენი აზრით, სულელებად ვიშვით ამქვეყნად,
ხოლო შენს მშობლებს ბრძენკაცებად მივაჩნდით, მახსოვს.

ო ი დ ი პ ო ს ი

რომელ ჩემს მშობლებს? მოიცადე! განა ვინ მშობა?

ტ ი რ ე ს ი ა ს ი

სწორედ ეს დღე გშობს და ეს დღევე დაგამხობს სწორედ.

ო ი დ ი პ ო ს ი

შენ რა ყველაფერს დაფარულს და არაცხადს ამბობ.

ტ ი რ ე ს ი ა ს ი

მათს ამოხსნაში შენ არა ხარ განა პირველი?

ო ი დ ი პ ო ს ი

მამდაბლებ, მაგრამ იმავეთი მამაღლებ კიდეც.

ტ ი რ ე ს ი ა ს ი

მაგ ოსტატობამ დაგამხო და დაგღუპა სწორედ.

ო ი დ ი პ ო ს ი

თუ ეს ქალაქი დავიხსენი, აღარას ვწუხვარ.

ტ ი რ ე ს ი ა ს ი

რახან ასეა, მეც მივდივარ, წავიდეთ, ბალღო.

ო ი დ ი პ ო ს ი

ჰო, წაგიყვანოს, შენი ყოფნით ხელს გვიშლი მხოლოდ,
წახვალ და მეტად ვეღარ მოგვგვრი უკვე სატკივარს.

ტ ი რ ე ს ი ა ს ი

რაც მსურდა ვთქვი და გტოვებ კიდეც, ხოლო ეგ სახე
მე არ მაშინებს; კარგად ვიცი, ვერაფერს მავნებ.
კარგად მისმინე, კაცი იგი, შენ რომ დაეძებ,
კაცი, რომელსაც ექადნები და იმას ცდილობ,
ხალხს მეფის მკვლელად წარუდგინო, _ აქ არის იგი.
გადამთიელად მიიჩნევენ იმას თებელნი,
ის კი აქ იშვა და თებელად შევიცნობთ მალე.
არ გაიხარებს ამით იგი, თვალხილულისგან
ბრმა შეიქმნება, მდიდრისაგან _ არაფრისმქონე,
ჯოხის ცეცებით გასწევს იგი უცხო მიწაზე,
და დაინახავს, რომ თავისი ბავშვებისათვის

ძმა არის იგი, და ამასთან, მშობელი მამაც.
ხოლო ქალისთვის, ვინც ის შობა _ შვილი და ქმარი,
მამის სარეცლის მოზიარე და მამის მკვლელი.
მაშ, შედი შიგნით და დაფიქრდი, და თუკი ვცდები,
თქვი, რომ მისნობის არაფერი არა მცოდნია.

პირველი სტასიმონი

ქორო

სტროფი ა

ვინ არის იგი, ვინც დელფიურმა
და სამისნო კლდემ
ცოდვათა შორის ჯერაც ართქმული
ცოდვის ჩამდენად გამოაცხადა.
დროა, თავისი ფეხით გარბოდეს
ის კაცი უკვე,
ფრთამალ ცხენებზე სწრაფად გარბოდეს.
ზევსის ძე ატყდება მას უკვე ზეციდან,
ელვით ატყდება და ცათა ცეცხლით,
კერებიც გვერდით ახლავან უფალს,
საშინელნი და შეუცდომელნი.

ანტისტროფი ა

აკი აენთო თოვლდაბურული
პარნასოსიდან
ახლახან თქმული ღვთიური სიტყვა;
უცნობი კაცი ვეძებოთ ყველამ,
ტყეებში დაძრწის იგი საწყლად და
მღვიმეებში და
კლდეებზე დაძრწის ველურ ხარივით.
საბრალო არის და საბრალო თავისი ფეხით
ნამისნს გაურბის მიწის ჭიპისას,
სიტყვებს, უკვდავნი რომ არიან და
ახლა მის ირგვლივ რომ დაფრინვენ.

სტროფი ბ

მწარე შიშს მგვრის იგი, ვისაც ფრინველების ესმის ენა.
არც მჯერა და არც არ მჯერა, არც ის ვიცი, რა უნდა ვთქვა,
იმედებსღა ვეჭიდები, ვერც აწმყოს ვჭვრეტ ვერც მომავალს.
არასოდეს არ მსმენია
რამე შუღლი ყოფილიყოს

ლაბდაკოსის მოდგმასა და პოლიბოსის ნაშობს შორის.
შუღლი, რომლის გულისთვისაც
ხალხში ეგზომ განდიდებულ
ოიდიპოს მეფის სახელს
სამტროდ აღვუდგებოდი და ალბათ შურსაც ვიძიებდი
ლაბდაკიდთა იდუმალი დაღუპვისათვის.

ა ნ ტ ი ს ტ რ ო ფ ი ბ

მხოლოდ ზევსი თუ არის და აპოლონი კაცთა მხედი,
ვინაც უწყის ყოველივე; ხოლო ის, რომ მოკვდავ მისანს
ჩემზე მეტი ჰქონდეს ცოდნა, მცდარი არის აზრი იგი.
კაცს მისანი თავის სიბრძნით
მუდამ სჯობნის ხოლმე, მაგრამ
სანამ რამე ურყევ ამბავს არ მეტყვიან დასტურისთვის,
არც მე ვიტყვი რამეს მტკიცედ.
აკი ერთხელ ოიდიპოსს
ქალწულ-სფინქსი ედგა წინ და
ბრძნად წარმოჩნდა იგი მაშინ თებეს მხსნელი.
არასოდეს ბრალს არ დასდებს ოიდიპოსს სული ჩემი.

მ ე ო რ ე ე პ ი ს ო დ ი ო ნ ი

კ რ ე ო ნ ტ ი

მოქალაქენო, საშინელი ამბავი მითხრეს,
თურმე ცილს მწამებს მე ტირანი ოიდიპოსი,
ვეღარ გავძელ და აქ მოვედი, თუკი ის ფიქრობს,
რომ რამე სიტყვით, ან რაიმე ბოროტი საქმით
მისთვის ზიანი მომეტანოს ამ გასაჭირში,
თუკი ასეთად მიმიჩნევენ ამიერიდან
აღარც კი მინდა ცოცხლად თავი, განა თუ მცირე,
ძალზე დიდ ვნებას მომაყენებს ასეთი სიტყვა,
თუ ამ ქალაქში ბოროტს მეტყვის ყველა თებელი,
მეგობრებიც და თავად შენაც ბოროტს თუ მეტყვით.

ქ ო რ ო

შენი ბრალდება მრისხანების ჟამს თუ წამოსცდა
მეუფეს ჩვენსას, განუსჯელად, დაუფიქრებლად.

კ რ ე ო ნ ტ ი

მას აგრე უთქვამს, თითქოს ჩემგან ჩაგონებული
მისანი იგი მოტყუებას ცდილობდა მისას.

ქ ო რ ო

მართლაც აგრე თქვა, თუმც არ ვიცი, რას გულისხმობდა.

კ რ ე ო ნ ტ ი

სწორი თუ ჰქონდა მზერა ნეტავ, აზრზე თუ იყო,
მე რომ ამ საქმეს მაბრალებდა ოიდიპოსი.

ქ ო რ ო

არ ვიცი, რადგან მე არ ვუცქერ, თუ რას სჩადიან
ქვეყნის მმართველნი. აჰა, ისიც. გარეთ გამოდის.

ო ი დ ი პ ო ს ი

შენა ხარ განა? აქ მოხვედი, ასეთი ნეტავ
რა გული გერჩის, აქ, ჩემს სახლში რომ ბედავ მოსვლას?
ცხადზე ცხადია, რომ აშკარა მკვლელი ხარ ჩემი
და ჩემი ტახტის მოპოვებას ცდილობ აშკარად.
ღმერთებს გაფიცებ, თქვი, რა ნახე ჩემში სიმხდალის,
ან სიბრიყვისა რაღა ნახე ჩემში ისეთი,
ამას რომ ბედავ? რა გეგონა, ვერ მივხვდებოდი?
ან მივხვდებოდი და იმას კი ვეღარ შევძლებდი,
თავი დამეცვა? ხომ სიბრიყვე გამოდგა ეს ცდა,
ცდა, რომ უხალხოდ მოგეხვეჭა ტირანის ტახტი,
ტახტი, რომელსაც ხალხითა და ოქროთი ვიხვეჭთ?

კ რ ე ო ნ ტ ი

თავადვე უწყი, რა აკეთო, მაგრამ მოდი და
მეც მომისმინე, გაიგე და მერე განსაჯე.

ო ი დ ი პ ო ს ი

ენა ტკბილი გაქვს, მოწაფე კი ცუდი ვარ შენი.
მშვენივრად ვხვდები, მოსისხარი მტერი ხარ ჩემი.

კ რ ე ო ნ ტ ი

ჯერ მომისმინე, თუ რა გითხრა სწორედ მაგაზე.

ო ი დ ი პ ო ს ი

სწორედ მაგაზე ნუღარ მეტყვი, მართალი ვარო.

კ რ ე ო ნ ტ ი

უკეთუ ფიქრობ, შენი წილი თვითდაჯერება
გონებას უნდა გადასცილდეს, ძალიან ცდები.

ო ი დ ი პ ო ს ი

უკეთუ თვლი, რომ ნათესავი ქვეგამხედვარი

მსჯავრს გაექცევა რაიმე გზით, კარგად არ ფიქრობ.

კ რ ე ო ნ ტ ი

ჰო, გეთანხმები, მართალს ამბობ, მაგრამ მითხარი,
მაინც რა ვნება განიცადე ჩემგან ასეთი?

ო ი დ ი პ ო ს ი

ხომ მარწმუნებდი, აკი თავად შენ მარწმუნებდი,
მისანთან არის საჭიროო კაცის გაგზავნა?

კ რ ე ო ნ ტ ი

ახლაც ჯერ კიდევ ამ აზრის ვარ და ამას ვფიქრობ.

ო ი დ ი პ ო ს ი

რა დრო გავიდა იმას შემდეგ, რაც ლაიოსი...

კ რ ე ო ნ ტ ი

რა ლაიოსი? რისით თქმა გსურს, ვერაფერს ვხვდები.

ო ი დ ი პ ო ს ი

გადაიკარგა, დაიღუპა მკვლელების ხელით?

კ რ ე ო ნ ტ ი

მას შემდეგ მართლაც დიდი დროა გასული უკვე.

ო ი დ ი პ ო ს ი

განა მაშინაც ასეთივე იყო მისანი?

კ რ ე ო ნ ტ ი

მსგავსადვე ბრძენი და მსგავსდვე პატივგებული.

ო ი დ ი პ ო ს ი

მერედა მაშინ გაახსენდა ჩემზე რაიმე?

კ რ ე ო ნ ტ ი

არა, არ უთქვამს, არაფერი გამიგონია.

ო ი დ ი პ ო ს ი

განა მაშინაც არ ეძებდით თქვენი მეფის მკვლელს?

კ რ ე ო ნ ტ ი

ვეძებდით, როგორ არ ვეძებდით, მაგრამ ვერ ვნახეთ.

ო ი დ ი პ ო ს ი

იმავე ბრძენმა რატომ მაშინ იგივე არ თქვა?

კ რ ე ო ნ ტ ი

არ ვიცი, რასაც ვერა ვხვდები, ვერც ვერას ვამბობ.

ო ი დ ი პ ო ს ი

მაშ, ის მითხარი, რაც მშვენივრად გეცოდინება.

კ რ ე ო ნ ტ ი

რა გინდა, რომ ვთქვა? თუკი ვიცი, არ დაგიმალავ.

ო ი დ ი პ ო ს ი

შეთქმული რომ არ ყოფილიყო შენთან ის კაცი,
ვერ დამწამებდა ლაიოსის მკვლელობას იგი.

კ რ ე ო ნ ტ ი

შენ უკეთ იცი, ის რას ამბობს, მაგრამ ამჯერად
მეც მინდა გკითხო, აკი შენაც მისვამდი კითხვებს.

ო ი დ ი პ ო ს ი

ჰო, მკითხე, მაგრამ მკვლელი ხარო, ვერ მეტყვი ამას.

კ რ ე ო ნ ტ ი

ხომ მართალია, ხომ ჩემი და გისვია ცოლად?

ო ი დ ი პ ო ს ი

მე არ უარვყოფ, რასაც ამბობს, მართლაც აგრეა.

კ რ ე ო ნ ტ ი

ხომ ინაწილებს იგი შენთან ძალაუფლებას?

ო ი დ ი პ ო ს ი

თუკი რა უნდა, ყოველივეს ღებულობს ჩემგან.

კ რ ე ო ნ ტ ი

განა მესამე მეც არა ვარ თქვენი ტოლფერი?

ო ი დ ი პ ო ს ი

კი, რადგან სწორედ მანდ გამოჩნდი ბოროტ მეგობრად.

კ რ ე ო ნ ტ ი

თუ ჩემს სათქმელსაც მათქმევინებ, მაგას არ იტყვი.
თავდაპირველად ეს განსაჯე: ვინ ისურვებდა,
ხელთ ქვეყნის მართვა ჩაეგდო და სიმშვიდის ნაცვლად
მუდამ ძრწოლაში ყოფილიყო, ვინ ისურვებდა,
თუკი ისედაც ექნებოდა ძალაუფლება?

ჰოდა, არც მე მსურს ტირანობა, მე მირჩევნია,
ტირანის მსგავსად ვიყო მხოლოდ. ყველა ასეა,
ვინც საღად ფიქრობს, რადგან ახლა უშიშრადა მაქვს
შენგან ყოველი, თვით რომ ვიყო ქვეყნის მმართველი,
ალბათ, ბევრ რამეს ჩავიდენდი ნების გარეშე.
რით გამიხდება ტირანია უფრო საამო,
ვიდრე ეს ჩემი უზრუნველი მართვა ქვეყნისა,
ისე რა შემშლის, უფრო მეტი ვისურვო კიდევ.
ყოველივეთი ვხაროზ ახლა, ყველას ვუყვარვარ,
ჩემთან მოდიან, შენგან თუ სურთ რამე თებელებს.
ჩემს ხელში არის ყველაფერი, რაც იმათ უნდათ.
ჰოდა, როგორღა ვამჯობინო ამას მეფობა?
საღი გონება არასოდეს ჩაიდენს ბოროტს.
ამგვარი საქმე აზრადაც კი არ გამივლია,
ვერ გავბედავდი საამისოდ შევთქმოდი ვინმეს.
დაე, პითონსაც მიაშურე, თუკი არ გჯერა
და იქ იკითხე, თუ ყველაფერს მართლად არ ვამბობ.
თუკი შეიტყობ, რომ მისანთან შევკარი პირი
და მას შევეთქვი, შენი ნებით ნუ მომკლავ მხოლოდ,
ორმაგით მომკალ _ ჩემითა და აგრეთვე შენით,
ნათელი აზრით და ნათელი გამოძიებით.
რა სამართალი ეგ გგონია, ასე ადვილად
მართალნი ავად მიიჩნიო, ავნი _ მართლებად?!
კარგი მეგობრის გაძევება, მე ასე გეტყვი,
იმას მიაგავს, რომ სიცოცხლე განაგდო ტკბილი,
მაგრამ დრო მოვა და შეიცნობ ყველაფერს კარგად
დრო მაშინ თვითონ გამოაჩენს კაცის სიმართლეს.
სამართლიან კაცს დრო სჭირდება გამოსაჩენად,
ხოლო ავკაცის გამოცნობას ერთი დღეც ჰყოფნის.

ქ ო რ ო

ვისაც შეცდომის ეშინია, კარგად თქვა, მისთვის
საშიში არის მალემრწმენი კაცი, მეფეო.

ო ი დ ი პ ო ს ი

როდესაც ვინმე მალულად და ხრიკით თავს მესხმის,
სწრაფად მოქმედებს, აჩქარება მმართებს თვითონაც,
მე რომ გულმშვიდად დაველოდო იმის საქმეებს,
იგი თავისას ჩაიდენს და მე კი წავაგებ.

კ რ ე ო ნ ტ ი

მაინც რა გინდა? ქალაქიდან გინდა განმდევნო?

ო ი დ ი პ ო ს ი

არა, არ მინდა გაგაძევო, შენს მოკვლას ვფიქრობ.

კ რ ე ო ნ ტ ი

. . . . . .

ო ი დ ი პ ო ს ი

როდესაც კარგად გამოაჩენ, რა შური გტანჯავს.

კ რ ე ო ნ ტ ი

ლაპარაკობ და არ მიჯერებ, არაფერს მითმობ.

ო ი დ ი პ ო ს ი

. . . . . .

კ რ ე ო ნ ტ ი

ჰო, რადგან ვხედავ, სწორი არ ხარ.

ო ი დ ი პ ო ს ი

ჩემთვის სწორი ვარ.

კ რ ე ო ნ ტ ი

ხამს, რომ ჩემთვისაც სწორი იყო.

ო ი დ ი პ ო ს ი

შენ ხომ მტერი ხარ.

კ რ ე ო ნ ტ ი

ვერაფერს ვხვდები!

ო ი დ ი პ ო ს ი

ამ ქვეყანას მაინც მე ვმართავ.

კ რ ე ო ნ ტ ი

ვერ მართავ, თუკი ცუდად მართავ.

ო ი დ ი პ ო ს ი

თებევ, ო, თებევ!

კ რ ე ო ნ ტ ი

მეცა მყავს თებე, განა მარტო შენა გყავს იგი!

ქ ო რ ო

შეჩერდით, ჩვენო მეუფენო, აჰა, შინიდან
აქეთკენ მოდის იოკასტეც. ისღა თუ შეძლებს
უმტკივნეულოდ დაასრულოს თქვენი კამათი.

ი ო კ ა ს ტ ე

ეს რა ცილობა და კამათი წამოგიწყიათ,
ბედშავნო, ნეტავ! იმის მაინც რად არ გრცხვენიათ,
სნეულ თებეში თქვენს სიავეს რომ აჰყოლიხართ?
ისევ შინ შედი, მეუფეო, შინ შედი, კრეონტ,
უბედურებად ნუ იქცევა თქვენი კამათი.

კ რ ე ო ნ ტ ი

ო, იოკასტე, ჩემო დაო, ჩემო ძვირფასო,
საშინელ რასმე მექადნება შენი მეუღლე _
ან სამშობლოდან გაძევებას, ან კიდევ _ სიკვდილს.

ო ი დ ი პ ო ს ი

ჰო, მართალს ამბობს, სწორედ მაშინ შევიპყარ იგი,
ჩემს წინააღმდეგ ბოროტებას რომ ამზადებდა.

კ რ ე ო ნ ტ ი

ვერარამ მიხსნას, დაე, ბოლო მომეღოს წყეულს,
უკეთუ მართლა ჩამედინოს, შენ რომ მაბრალებ.

ი ო კ ა ს ტ ე

ღმერთებს გაფიცებ, ოიდიპოს, ერწმუნე კრეონტს,
პატივი ეცი ღმერთებისთვის წარმოთქმულ ფიცსაც,
მერმე მეც მეცი პატივი და ყველა აქა მყოფს.

კომმოსი

ს ტ რ ო ფ ი ა

ქ ო რ ო

გვედრი, მეფეო, ნებას დამყევ აზრით და სულით.

ო ი დ ი პ ო ს ი

მაინც რაში გწადს, ნებას რომ დაგყვე?

ქ ო რ ო

ადრედაც სწორად ამბობდა იგი,
და დააფასე ახლაც ფიცისთვის.

ო ი დ ი პ ო ს ი

იცი კი, რა გსურს?

ქ ო რ ო

ვიცი!

ო ი დ ი პ ო ს ი

მაშ, მითხარ!

ქ ო რ ო

თუ მართალია მოყვასი შენი,
ბრალს უსაფუძვლოდ ნუღარ დასდებ, ნუ დაამცირებ.

ო ი დ ი პ ო ს ი

კარგად იცოდე, მაგ სურვილით ჩემთვის ის გინდა,
ან მომკლა, ანდა ქალაქიდან რომ გამაძევო.

ქ ო რ ო

არა, ო, არა, ღმერთებს შორის ღმერთს უპირველესს _
ჰელიოსს ვფიცავ, თუკი მართლა მსურდეს ეგ საქმე,
დე, უმეგობროდ დავიღუპო და ღმერთგამწყრალი.
ეს მომაკვდავი ქვეყანაა, სულს რომ მიტანჯავს,
მიტანჯავს, რადგან აღარ მინდა, მის ძველ სიავეს
თქვენი ქიშპობით წარმოშობილი უბედურება დაერთოს კიდევ.

ო ი დ ი პ ო ს ი

წავიდეს იგი, თუნდაც მოვკვდე და გავნადგურდე,
ან ამ მიწიდან გამაძევონ ძალმომრეობით.
განა თუ მისმა, შენმა სიტყვამ მომილბო გული,
სადაც კი წავა, ჩემი მტერი იქნება ყველგან.

კ რ ე ო ნ ტ ი

აშკარა არის, ძალით დათმე, მაგრამ დაცხრები
და მერმე ტანჯვა გეახლება. ზნე მაგნაირი
მოკვდავს უთუოდ აუტანელ სიავეს შეჰყრის.

ო ი დ ი პ ო ს ი

არ წახვალ განა? არ დამტოვებ?

კ რ ე ო ნ ტ ი

გავეშურები,
შენ ვერ მიცანი, ამათთვის კი კვლავ მართალი ვარ.

ა ნ ტ ი ს ტ რ ო ფ ი ა

ო, დედოფალო, რად აყოვნებ მეფის წაყვანას?

ი ო კ ა ს ტ ე

მინდა შევიტყო, მაინც რა მოხდა.

ქ ო რ ო

სიტყვამ წარმოშვა გაუგებრობა _
უმართებულო, მაგრამ მტანჯველი.

ი ო კ ა ს ტ ე

მათ შორის?

ქ ო რ ო

სწორედ ამათ შორის.

ი ო კ ა ს ტ ე

რაზე დავობდნენ?

ქ ო რ ო

კმარა, ჩვენს ქალაქს სიავე ტანჯავს,
ამაზე ფიქრი მიატოვე, ნუღარ იხსენებ.

ო ი დ ი პ ო ს ი

ჭკუით აღსავსე, ხედავ განა, საით მიილტვი?
არარად მაგდებ, გულს მიტეხ და წუხილით მავსებ.

ქ ო რ ო

ადრეც მრავალგზის გეუბნებოდი, ჩემო მეუფევ,
ახლაც იცოდე, გადავცდები უმალ გონებას,
და ვეღარაფერს ვერ შევიძლებ, რომ მიგატოვო,
შენ, ვინაც ამ ჩემს სანუკვარ და ტალღანაჯაფარ
ქვეყანას კვლავაც უსაფრთხო და სწორი გზა მიეც.
უკეთუ ძალგიძს, კვლავ იყავი ჩვენი მესაჭე.

ი ო კ ა ს ტ ე

ღმერთთა გულისთვის, მეც მითხარი, ჩემო მეუფევ,
ასეთი რისხვა რამ აანთო შენში ნეტავი?

ო ი დ ი პ ო ს ი

გეტყვი _ ამათგან შენ გაფასებ ყველაზე მეტად;
კრეონტზე ვწყრები, შეთქმულებას მიწყობს კრეონტი.

ი ო კ ა ს ტ ე

თუ შეგიძლია, ამიხსენი შუღლის მიზეზი.

ო ი დ ი პ ო ს ი

კრეონტი ამბობს, ლაიოსი მომეკლას თითქოს.

ი ო კ ა ს ტ ე

ამის მხილველი თვით არის, თუ სხვისგან შეიტყო?

ო ი დ ი პ ო ს ი

ავი მისანი მომიგზავნა, თვითონ კი ამ დროს
მოსაჩვენებლად არას ამბობს თავისი პირით.

ი ო კ ა ს ტ ე

მაგ შენს ნათქვამზე ნუღარ სწუხარ, მეტად, მეფეო,
მომისმინე და შეიცანი, რომ კაცთა შორის
არავინ არის, მისნობისა შეეტყოს სიღრმე.
ამის საბუთად ესეც კმარა: ერთ დროს ლაიოსს _
არ ვიტყვი, რომ თვით ფოიბოსმა, მაგრამ ცხადია,
რომ ფოიბოსის მსახურებმა უმისნეს თითქოს,
იმისი ხვედრი შვილისაგან სიკვდილი იყო,
შვილისგან, ჩვენ რომ წარმოვშობდით ამ ქვეყანაზე.
ლაიოსი, კი, ყველამ ვიცით, ვიღაც უცნობმა
ავაზაკებმა მოკლეს სამი გზის შესაყარზე;
ხოლო თავის შვილს, სამი დღისაც არ იყო იგი,
მამამ კოჭები გაუმსჭვალა კილოებით და
გაუვალ მთებში გადაგდება უბრძანა მსახურთ.
ასე რომ, თავად აპოლონმა აღარ დაუშვა
მისი გახდომა მამისმკვლელად, არც ის დაუშვა
რისიც ლაიოსს ეშინოდა _ ძისგან სიკვდილი.
აი,ეს არის მისნობათა სიტყვების ძალა.
ჰოდა, ნუ სწუხარ ნუღარაფერს, თვით განაცხადებს,
უკეთუ რამის განცხადება სჭირდება უკვდავს.

ო ი დ ი პ ო ს ი

ო, იოკასტე, რა სასტიკმა შიშმა მომიცვა,
რა აზრის ბორგვნა დამეუფლა ამის მოსმენით.

ი ო კ ა ს ტ ე

რად ამბობ ამას, რა ტკივილმა მოგიცვა ნეტავ?

ო ი დ ი პ ო ს ი

თუკი არ ვცდები, შენ აგრე თქვი, რომ ლაიოსი
ეტლთა სამი გზის შესაყარზე იქნა მოკლული.

ი ო კ ა ს ტ ე

ასე ამბობდნენ, დღესაც ასე ამბობენ ამას.

ო ი დ ი პ ო ს ი

მაინც სად არის ის ადგილი, იგი რომ მოკლეს?

ი ო კ ა ს ტ ე

ფოკისს უხმობენ იმ ქვეყანას, ხოლო ის გზები
დელფოსს და დავლისს შორის კვეთენ ერთიმეორეს.

ო ი დ ი პ ო ს ი

რა დრო გავიდა იმის შემდეგ, რაც იგი მოკლეს?

ი ო კ ა ს ტ ე

მისი ამბავი თებეს სწორედ იმის წინ ამცნეს,
შენ რომ ქალაქის მმართველობა აიღე ხელში.

ო ი დ ი პ ო ს ი

მაღალო ღმერთო, რა საქმისთვის გამწირე ნეტავ?

ი ო კ ა ს ტ ე

რა ტკივილი გაქვს, ოიდიპოს, გულში ასეთი?

ო ი დ ი პ ო ს ი

ჯერ ნურას მკითხავ, ის მითხარი, რა ხნისა იყო,
რა იერი და გარეგნობა ჰქონდა ლაიოსს?

ი ო კ ა ს ტ ე

ტანადი იყო და ჭაღარა ერთოდა უკვე,
ხოლო იერით შენა გგავდა იგი ძალიან.

ო ი დ ი პ ო ს ი

ვაი, მე ბედშავს! არ ვიცოდი, და ახლა, მგონი,
საზარი წყევლა მომეწია, დავღუპე თავი.

ი ო კ ა ს ტ ე

ამას რად ამბობ? გიყურებ და შიშით ვცახცახებ.

ო ი დ ი პ ო ს ი

ო, როგორ ვშიშობ, არ გამართლდეს ის ბრმა მისანი,
ერთსაც თუ მეტყვი, უფრო მეტსაც მივხვდები, ალბათ.

ი ო კ ა ს ტ ე

მეც მეშინია, მაგრამ გეტყვი, რაც შემიძლია.

ო ი დ ი პ ო ს ი

როგორ წავიდა? მცირე იყო მისი ამალა,

თუ ბევრნი ახლდნენ, ვით სამეფო ტახტის მბრძანებელს?

ი ო კ ა ს ტ ე

სულ ხუთნი იყვნენ, მათგან ერთი შიკრიკი იყო,
ეტლი კი მხოლოდ ერთი ჰქონდა მაშინ ლაიოსს.

ო ი დ ი პ ო ს ი

ვაგლახ, ცხადია უკვე ესეც, მაგრამ მითხარი,
ვინ მოგიტანათ, იოკასტე, მისი ამბავი?

ი ო კ ა ს ტ ე

მისმა მსახურმა, ის გადარჩა იმათგან მხოლოდ.

ო ი დ ი პ ო ს ი

ახლაც აქ არის ის მსახური, აქ არის იგი?

ი ო კ ა ს ტ ე

არა, არ არის. შენ რომ თებეს მეფედ გიხილა,
და როცა უკვე ლაიოსიც არ იყო ქვეყნად,
ხელზე შემეხო, დამეთხოვა და შემევედრა,
რომ სადმე ველზე გამეგზავნა ჯოგის სამწყემსად,
რაც შეიძლება შორს მინდაო, თებედან, წასვლა.
და მეც გავუშვი, რადგან ვთვლიდი, ვითარცა მონა,
ამაზე მეტი მადლის ღირსიც კი იყო იგი.

ო ი დ ი პ ო ს ი

ნეტავ საჩქაროდ როგორ შევძლებთ იმის მოყვანას?

ი ო კ ა ს ტ ე

მოვიყვანთ, მაგრამ რისთვის გინდა მისი აქ მოსვლა?

ო ი დ ი პ ო ს ი

ჩემ გამო ვშიშობ, იოკასტე, განა ცოტაა,
ჩემზე რაც ითქვა, ამად მინდა იმისი ნახვა.

ი ო კ ა ს ტ ე

კეთილი, მოვა; მაგრამ ღირსი აკი მეცა ვარ,
შენი ტკივილი რომ ვიცოდე, ჩემო მეუფევ.

ო ი დ ი პ ო ს ი

ვერ დაგიმალავ, რადგან მართლაც ძალზე ვარ უკვე
შიშით მოცული, შიშისაგან ამ დღეში მყოფმა
ჩემი სათქმელი შენზე უფრო ვის უნდა ვუთხრა?
პოლიბოსია მამაჩემი, კორინთოს მეფე,

დედაჩემი კი მეროპეა, დორისის მკვიდრი.
უპირველესი კაცი ვიყავ ქალაქელთაგან,
სანამ ეს ერთი საკვირველი რამ არ შემემთხვა,
ამბავი, ღირსიც რომ არ იყო ყურადღებისა.
ერთხელ, ნადიმზე, ვიღაც ღვინით გამოლეშილმა
ასე თქვა, რომ მე მიგდებული ვიყავ მეფისა.
განრისხებულმა ძლივს შევძელი თავის მოთოკვა.
მეორე დღეს კი წავედი და მისი ნათქვამი
დედას და მამას მოვუყევი. ძლიერ განრისხდნენ
ჩემი მშობლები გალეშილის ამგვარ სიტყვებზე.
ამან პირველად დამაწყნარა, მაგრამ შემდგომში
სხვებმაც შეიტყვეს ეს ამბავი, და მეც, გატანჯულს
სხვა გზა არ მქონდა, დედისა და მამის მალულად
დელფოს წავედი. ჩემს კითხვაზე არრა მომიგო
დიდმა ფებოსმა, თუმც სასტიკი და მეტად მძიმე
ამბავი მამცნო ღვთაებრივი თავისი ბაგით.
თქვა, რომ უცილოდ შევერთვები ჩემს მშობელ დედას,
წარმოვშობ მოდგმას საამქვეყნოდ საშინელსა და
მკვლელი გავხდები საკუთარი მშობელი მამის.
ეს რომ შევიტყვე, იმ დღიდანვე გამოვითვალე
გზა ვარსკვლავებით და დავადგდე კორინთოს მიწა.
საშინელ წყევლას გავექეცი, რადგან არ მსურდა,
როდესმე მართლა ამხდენოდა დელფოს მისნობა.
წამოვედი და იმ ქვეყანას მოვადექ სწორედ,
სადაც, შენი თქმით, თებეს ტირანს მოუღეს ბოლო.
სიმართლეს გეტყვი, იოკასტე, როცა იმ სამპირ
გზასთან ვიყავი, წინამძღოლი შემომხვდა ვიღაც,
იმ წინამძღოლს კი ეტლი მოჰყვა ცხენებშებმული,
ხოლო იმ ეტლზე კაცი იდგა, სწორედ ისეთი,
შენ რომ ახლახან ამიწერე. წინამძღოლმა და
მოხუცმაც გზიდან გადაგდება ისურვეს ჩემი.
განრისხებულმა მის მეეტლეს დავჰკარი მაშინ,
ჩემს გადაგდებას რომ ცდილობდა, ხოლო მოხუცმა,
ეს რომ იხილა, იმის ეტლთან გათანაბრებულს,
თავზე გადამკრა ორმაგკაპა თვისი მათრახი.
განა მეც იმით ვუპასუხე _ ამ ჩემი ხელით
მაშინვე კვერთხი მთელი ძალით დავჰკარი მოხუცს,
და იმ ეტლიდან ჩამოვაგდე უმალვე იგი.
მერმე კი სხვებიც ამოვხოცე, მისი თანმხლებნი.
თუ იმ უცნობთან საერთო აქვს ამ ამბავს რამე,
მაშინ ამქვეყნად ვინღა არის ჩემზე ბოროტი?
ვინღა იქნება ღმერთებისთვის უფრო საძაგი,

ვიდრე მე, ვისაც აღარც უცხო, აღარც თებელი
აღარ მიმიღებს თავის სახლში, არც ხმას არ გამცემს,
ყველა შინიდან გამაძევებს _ და ეს წყევლანიც,
განა სხვა ვინმემ, ისევ მევე ვარგუნე ჩემს თავს.
იმავე ხელით შევუგინე საწოლი მოკლულს,
რომელ ხელითაც ის მოვკალი. არა ვარ განა
კაცი ბოროტი? საშინელი ცოდვის ჩამდენი
არა ვარ განა? გაქცევაღა თუ დამრჩა მხოლოდ,
გავიქცევი და ჩემიანებს მაინც ვერ ვნახავ;
ნება არა მაქვს, დედა უნდა შევირთო მაშინ
და პოლიბოსი უნდა მოვკლა, ჩემი მშობელი.
სულ ოდნავადაც არ შეცდება ის, ვინაც იტყვის,
რომ საშინელი დაიმონის ხელია ყველგან.
არა, ო, არა ო, უკვდავთა წმინდაო კრძალვავ,
არ უნდა ვნახო ეს დღე თვალით, უნდა გავშორდე
მოკვდავთა მოდგმას, უნდა გავქრე მისი თვალიდან,
სანამდის თავზე დამტყდომია დანაშაული.

ქ ო რ ო

ჩვენც შეგვაძრწუნა, მეუფეო, ამის მოსმენამ,
თუმც სანამ მოწმეს არა ჰკითხავ, იმედი გქონდეს.

ო ი დ ი პ ო ს ი

ეს ერთადერთი იმედიღა თუ დამრჩა მხოლოდ,
იმ მწყემსი კაცის ჩვენთან მოსვლას რომ დაველოდო.

ი ო კ ა ს ტ ე

რა შვება არის, მეუფეო, იმის მოსვლაში?

ო ი დ ი პ ო ს ი

გეტყვი: თუ ისიც იმას მეტყვის, რაც შენ მითხარი,
მე არ მიმიძღვის ლაიოსის მოკვლაში ბრალი.

ი ო კ ა ს ტ ე

რა მოისმინე, ოიდიპოს, ჩემგან ასეთი?

ო ი დ ი პ ო ს ი

შენი მტკიცებით, მან აგრე თქვა, რომ ლაიოსი
ავაზაკებმა მოკლეს თითქოს. თუ იგი კვლავაც
ამასვე იტყვის, არ ვყოფილვარ მკვლელი მე მაშინ;
რადგან მრავალი ვერ იქნება ტოლი ერთისა.
ხოლო უკეთუ ცხადად იტყვის, ერთი იყოო,
მაშინ ეგ საქმე უეჭველად ჩემს თავზე მოდის.

ი ო კ ა ს ტ ე

სწორედ ასე თქვა, დამიჯერე, ისიც კაცია,
ისევ უკანვე რად წაიღებს, ადრევე ნათქვამს?
განა მარტო მე, მთელ ჩვენს ქალაქს ეგ უთხრა მაშინ.
ასეც რომ მოხდეს, და ნათქვამი უარყოს იმან,
ვერ დაამტკიცებს, მეუფეო, იგი ვერასდროს,
რომ ლაიოსი შენ მოკალი, თვით ლოქსიასმა
ბრძანა ამგვარად _ ჩემს შვილს უნდა მოეკლა იგი.
მან კი არათუ მამა მოკლა, არამედ სულაც
მამაზე ადრე დაიღუპა სამგზის ბედშავი.
ასე რომ, განა მხოლოდ ახლა არ დავუჯერებ,
არც არასოდეს დავუჯერებ მისნობის სიტყვას.

ო ი დ ი პ ო ს ი

ჰო, მართლაც სწორად მეუბნები, მაგრამ საჩქაროდ
აქ მოიყვანე, მალემსრბოლი გაგზავნე მწყემსთან.

ი ო კ ა ს ტ ე

მალე გავგზავნი, მაგრამ, მოდი, შიგნით შევიდეთ,
ისეთს არრას ვიქმ, სასურველი არ იყოს შენთვის.

მეორე სტასიმონი

ქ ო რ ო

ს ტ რ ო ფ ი ა

დე, ბედით მერგოს წმინდა სიტყვების და ყოველ საქმის
შეურყვნელობას ვიცავდე მუდამ,
მაღალ ზეცაში დადგენილა ამ საქმეთათვის
ეთერის გავლით წარმოშობილი
წმინდა კანონთა მტკიცე კრებული,
მოკვდავთა მოდგმამ როდი შვა იგი,
ოლიმპო არის კანონთა მამა,
არც დავიწყება ერგებათ იმათ, დიადია და
არც დაბერდება იმათში ღმერთი.

ა ნ ტ ი ს ტ რ ო ფ ი ა

ამპარტავნება წარმოშობს ტირანს, ამპარტავნება,
უკეთუ იგი, უსამართლო და
უსარგებელო საქმეებით ფუჭად აღვსილი,
მწვერვალს მიაღწევს დიდებისას,
ავბედობათა ღრმა უფსკრულში ინთქმება იგი
და ფეხსაც ვეღარ იკიდებს მასში.

ღმერთს ვევედრები, ნუროდეს მოშლის
ჩვენს ამ ძიებას, თებესათვის მხსნელსა და კეთილს.
მუდამ, ყოველთვის ღმერთს მივიჩნევ ჩემს წინამძღოლად.

ს ტ რ ო ფ ი ბ

უკეთუ ვინმე საქმით და სიტყვით გაამაყდება
და დიკესადმი შიშსაც არ იგრძნობს,
ღვთის სამყოფლოებს არ დააფასებს,
დაე, ბედკრული სიამაყისთვის
ბოროტი ხვედრი მიეგოს იმას,
მიეგოს, რაკი უსამართლოდ ელტვის სარგებელს
და არ გაურბის უღირს საქმეებს
და ხელშეუხებს უგუნური ხელით ეხება.
ვინ დაიკვეხნის ამგვართაგან როდისმე ისევ,
ღვთაებრივ ისრებს გავექცევიო;
თუკი პატივი მიეგება ამგვარ სიავეს,
წმინდა ფერხულში რა მინდა მაშინ?

ა ნ ტ ი ს ტ რ ო ფ ი ბ

ვეღარ ვეწვევი სათაყვანებლად
მიწის წმინდა ჭიპს
და ვერც აბეში წავალ ტაძართან,
ვერც ოლიმპიას ვეღარ ვეწვევი,
ცხადად და ნათლად თუ არ ასრულდა
ესე ყოველი ყოველ კაცთათვის.
მაგრამ, ო, ზევსო, მძლეთამძლეო, რაკიღა კაცნი
მარტოდენ შენ ერთს გიწოდებენ მმართველს ყოვლისას,
დაე, ნურასდროს ნუ დაფარავ შენს მეუფებას,
ო, ნუ დაფარავ, რადგან უკვე ანადგურებენ
ლაიოსზე თქმულ იმ ძველ მისნობებს,
აღარ ღებულობს აპოლონი აღარსად პატივს
და ყოველივე ქრება ღვთიური.

მ ე ს ა მ ე ე პ ი ს ო დ ი ო ნ ი

ი ო კ ა ს ტ ე

ჰოი, ამ ქვეყნის მეუფენო, მე გადავწყვიტე,
ღმერთების ტაძრებს მივაშურო წყალობისათვის,
საკმევლითა და გვირგვინებით მივიდე მათთან.
საშინლად ღელავს და საშინელ წუხილს მოუცავს
ოიდიპოსი ერთიანად, ვერ შვება იმას
ძველის მიხედვით ახალი რომ დაასკვნას საღად,

იმათღა უსმენს, ვინც საშინელს რასმე უყვება.
დარიგებებით ვეღარაფერს ვეღარ ვახერხებ.
შენ, ო, აპოლლონ ლიკეიოს, ვით უახლოესს,
შენ გევედრები, სამსხვერპლოთი მოვდივარ შენთან,
რათა წმინდა ხსნა მოამადლო ყველა ჩვენთაგანს.
ყველანი ძრწოლას შევუპყრივართ, რამეთუ ვხედავთ,
შიშშია ისიც _ ჩვენი გემის _ თებეს მესაჭე.

მ ა ც ნ ე

შევძლებ თუ არა, რომ შევიტყო თქვენგან, უცხონო,
სად უნდა იყოს ოიდიპოს ტირანის სახლი?
თუმცა ჯობია, ის მაუწყოთ, სად არის იგი.

ქ ო რ ო

ესაა მისი დარბაზები, შინაა მეფე,
ეს კი ცოლია და იმისი ბავშვების დედა.

მ ა ც ნ ე

გწყალობდეს ბედი, ბედნიერი იყავ მარადის,
მისი ბავშვებით კურთხეულო, ღირსო მეუღლევ.

ი ო კ ა ს ტ ე

შენაც ასევე, უცხო კაცო, მაგ სიტყვებისთვის
შენაც მაგასვე იმსახურებ, ახლა კი მითხარ,
რისთვის მოსულხარ, რა ამბავი უნდა გვაუწყო?

მ ა ც ნ ე

შენი სახლისა და ქმრისათვის კარგი ამბავი.

ი ო კ ა ს ტ ე

რა არის იგი, მაინც რისთვის მოსულხარ ჩვენთან?

მ ა ც ნ ე

კორინთოდან ვარ, ამბავი კი, ახლა რომ გამცნობ,
სიხარულს მოგგვრის, თუმც წუხილი ეხლება იმას.

ი ო კ ა ს ტ ე

მაინც რა არის? რა ორმაგი ძალა აქვს ნეტავ?

მ ა ც ნ ე

ისთმოსის მიწის ტირანად სურთ რომ დააყენონ
ოიდიპოსი, ასე თვლიან ისთმოსის მკვიდრნი.

ი ო კ ა ს ტ ე

როგორ, ჯერ განა პოლიბოსი არ მართავს ისთმოსს?

მ ა ც ნ ე

არა, საფლავში ჩაიყვანა სიკვდილმა იგი.

ი ო კ ა ს ტ ე

ამას რას ამბობ? პოლიბოსი მოკვდაო, ამბობ?

მ ა ც ნ ე

დაე, სიკვდილის ღირსი გავხდე, თუ გატყუებდე.

ი ო კ ა ს ტ ე

მხევალო, გასწი, და საჩქაროდ შეატყობინე
მეუღლეს ჩემსას! მისნობანი უკვდავ ღმერთების,
სადა ხართ? აკი გამოექცა ოიდიპოსი
მამას, რომ იგი არ მოეკლა და აი, ახლა
განა შვილისგან, თავის ხვედრით მომკვდარა იგი.

ო ი დ ი პ ო ს ი

ჩემო ძვირფასო იოკასტე, ჩემო მეუღლევ,
ნეტავი რისთვის გამომიხმე შინიდან ისევ?

ი ო კ ა ს ტ ე

ამ კაცს დაუგდე, ოიდიპოს, კარგად ყური და
მერმე შეხედე, სადღა არის ღმერთის მისნობა.

ო ი დ ი პ ო ს ი

ვინ არის იგი? ან რა უნდა, შემატყობინოს?

ი ო კ ა ს ტ ე

კორინთელია, პოლიბოსის მაცნეა იგი,
მამაშენისა, ცოცხლებში რომ აღარ წერია.

ო ი დ ი პ ო ს ი

რა სიტყვა მოგაქვს, უცხოელო, თვითონ მითხარი,

მ ა ც ნ ე

თუკი პირველად ამის თქმაა საჭირო შენთვის,
კარგად იცოდე, აღარ არის ცოცხალი იგი.

ო ი დ ი პ ო ს ი

რით მოკვდა იგი, მზაკვრობით თუ რაიმე სენით?

მ ა ც ნ ე

სუსტი სიმძიმეც კი ამშვიდებს მოხუცებულებს.

ო ი დ ი პ ო ს ი

სნეულებებით გარდაცვლილა, ვხედავ, ბედშავი.

მ ა ც ნ ე

და მასთან ერთად მეტად გრძელი თავისი ჟამით.

ო ი დ ი პ ო ს ი

ვაიმე, ვაი, იოკასტე, ვინღა შეხედავს
პითომანტისის წმინდა კერას, ვინღა შეხედავს
ფრინველებს ცაში მომყივარებს, განა მათ არ თქვეს,
რომ მე მშობელი მამა უნდა მომეკლა ჩემი?
მკვდარია იგი, მიწაში წევს, მე კი აქ ვარ და
იარაღს არც კი შევხებივარ მის მოსაკლავად.
თუ მკვლელად ჩამთვლის ვინმე მაინც, მხოლოდ იმიტომ
რომ ჩემზე დარდმა მოკლა იგი. წევს იგი ახლა
მრუმე ჰადესში და მისნობაც თან ახლავს ფუჭი.

ი ო კ ა ს ტ ე

განა მეც ამას არ ვამბობდი ცოტა ხნის წინათ?

ო ი დ ი პ ო ს ი

ამბობდი, მე კი შიშით ვიყავ მაშინ მოცული.

ი ო კ ა ს ტ ე

ჰოდა მაგნაირს ნუღარაფერს გაივლებ გულში.

ო ი დ ი პ ო ს ი

განა არ უნდა მეშინოდეს დედის სარეცლის?

ი ო კ ა ს ტ ე

რისიღა უნდა ეშინოდეს ნეტავი მოკვდავს,
თუ მის ცხოვრებას ბედი მართავს. მომავლის ჭვრეტა
არაფერს გვაძლევს, ისევ ის ჯობს, ბედს მივენდოთ და
ისე ვიცხოვროთ, როგორც ძალგვიძს, ნუღარ გაშინებს
დედასთან შერთვა, ბევრი ხედავს სიზმრებში ჯერაც,
დედასთან ერთად როგორა წევს, მაგრამ იმათთვის
არაფერია ეს ამბავი, კარგად ცხოვრობენ.

ო ი დ ი პ ო ს ი

მართლაცდა კარგი იქნებოდა ეგ შენი სიტყვა,
მშობელი დედა აკი ისევ კორინთოშია.

ჰოდა, ამიტომ საჭიროა შიში ამაზე.

ი ო კ ა ს ტ ე

შენთვის დიადი თვალი არის მამის სამარე.

ო ი დ ი პ ო ს ი

მართლაც დიადი; მაგრამ ახლა ცოცხალზე ვფიქრობ.

მ ა ც ნ ე

ვის გამო არის ამნაირი ეგ თქვენი შიში?

ო ი დ ი პ ო ს ი

მეროპეს გამო, პოლიბოსის შემდეგ რომ ცოცხლობს.

მ ა ც ნ ე

ჰო, მაგრამ რატომ გეშინიათ მეროპეს გამო?

ო ი დ ი პ ო ს ი

ღვთისგან ნათქვამი სიტყვის გამო, უცხოტომელო.

მ ა ც ნ ე

მეტყვი თუ არა? იქნებ არ ხამს, სხვამ რომ გაიგოს?

ო ი დ ი პ ო ს ი

რატომაც არა; ლოქსიასმა მითხრა ოდესღაც,
რომ უცილობლად შევერთოდი საკუთარ დედას
და ჩემი ხელით მამისეულ სისხლსაც დავღვრიდი.
ამის გამოა, შორს რომ არის, დიდი ხანია,
ჩემგან კორინთო. მართალია, კეთილად ვცხოვრობ,
მაგრამ კარგია, როცა მშობლებს უცქერ თვალებში.

მ ა ც ნ ე

ამ შიშის გამო მიატოვე განა ქალაქი?

ო ი დ ი პ ო ს ი

და იმის გამოც, მამაჩემი რომ არ მომეკლა.

მ ა ც ნ ე

რადღა არ გიხსნა, მეუფეო, ამ შიშისაგან,
მართლაცდა შენდა გასახარად მოვსულვარ შეთან.

ო ი დ ი პ ო ს ი

მაგ საქმისათვის შესაფერის ჯილდოსაც მოგცემ.

მ ა ც ნ ე

მეც მაგისათვის გეახელი, მეუფევ, სწორედ,
რომ კორინთოში სასიკეთო მომიზღო რამე.

ო ი დ ი პ ო ს ი

ჰო, მაგრამ არ მსურს ჩემს მშობლებთან ერთად ცხოვრება.

მ ა ც ნ ე

მე ვხედავ შვილო, არც კი ვიცი, თუ რას სჩადიხარ.

ო ი დ ი პ ო ს ი

რატომ, მოხუცო, ღმრთის გულისთვის, გამაგებინე.

მ ა ც ნ ე

მათ გამო რომ ვერ გაგიბედავს შინ დაბრუნება.

ო ი დ ი პ ო ს ი

იმაზე ვშიშობ, ფოიბოსის სიტყვა არ ახდეს.

მ ა ც ნ ე

შენი მშობლები არ შებღალო, ამაზე შიშობ?

ო ი დ ი პ ო ს ი

სწორედ მაგაზე ბერიკაცო, მაგის შიში მაქვს.

მ ა ც ნ ე

შენ არც კი იცი, უსაფუძვლოდ რომ გეშინია.

ო ი დ ი პ ო ს ი

უსაფუძვლოდო? მათ არ მშობეს განა ამქვეყნად?

მ ა ც ნ ე

წვეთიც არ არის პოლიბოსის სისხლისა შენში.

ო ი დ ი პ ო ს ი

ამას რას ამბობ, პოლიბოსმა არ მშობა განა?

მ ა ც ნ ე

განა თუ მეტად, ჩემებრ იყოს ის შენი მამა.

ო ი დ ი პ ო ს ი

შენ მაინც როგორ გიტოლდება ჩემი მშობელი?

მ ა ც ნ ე

ისე, რომ არც მე და არც იმას უშვიხარ ქვეყნად.

ო ი დ ი პ ო ს ი

მაშინ რაღატომ მიწოდებდა თავის ძეს იგი?

მ ა ც ნ ე

საჩუქრად მივეც შენი თავი იმას ოდესღაც.

ო ი დ ი პ ო ს ი

სხვისი ხელიდან აყვანილი ვუყვარდი ასე?

მ ა ც ნ ე

უშვილო იყო, ამან იყო, რომ აიძულა.

ო ი დ ი პ ო ს ი

შენ რა, მიყიდე თუ თავადვე მომეც სიცოცხლე?

მ ა ც ნ ე

მე კითერონის ხრამში გნახე დიდი ხნის წინათ.

ო ი დ ი პ ო ს ი

იმ ადგილებში რა გინდოდა, რას დადიოდი?

მ ა ც ნ ე

ნახირს ვმწყემსავდი მე იმჟამად იმ ადგილებში.

ო ი დ ი პ ო ს ი

მწყემსი იყავი და ქირაზე მოხეტიალე?

მ ა ც ნ ე

ჰო, და ამასთან, ჩემო შვილო, შენივე მხსნელიც.

ო ი დ ი პ ო ს ი

რა გასაჭირი მქონდა მაშინ, შენ რომ მიპოვე?

მ ა ც ნ ე

შენი ფეხების სახსრებივე გეტყვიან ამას.

ო ი დ ი პ ო ს ი

ვაი, რად ამბობ მაგ ძველისძველ უბედურებას?

მ ა ც ნ ე

მე გაგიხსენი გახვრეტილი ფეხები მაშინ.

ო ი დ ი პ ო ს ი

მიტომაც დამრჩა ჩვრებიდანვე იმათი კვალი?

მ ა ც ნ ე

შენი სახელიც მაგის გამო დაგერქვა სწორედ.

ო ი დ ი პ ო ს ი

ღმერთთა გულისთვის, ვინ მიწოდა, დედამ თუ მამამ?

მ ა ც ნ ე

ეგ იმან იცის, შენი თავი ვინაც გადმომცა.

ო ი დ ი პ ო ს ი

სხვამო? ეგ როგორ? მაშ, შენ თვითონ არ გინახივარ?

მ ა ც ნ ე

არა, მეორე მწყემსმა მომცა მე შენი თავი.

ო ი დ ი პ ო ს ი

ვინ არის იგი, შეგიძლია გამაგებინო?

მ ა ც ნ ე

თავის თავს იგი ლაიოსის მსახურს ეძახდა.

ო ი დ ი პ ო ს ი

ამ ქვეყნის ძველი, ადრინდელი ტირანის მსახურს?

მ ა ც ნ ე

სწორედ იმისას. მისი იყო ის მწყემსი, სწორედ.

ო ი დ ი პ ო ს ი

თავად რომ ვნახო, ცოცხალია ის კაცი ახლა?

მ ა ც ნ ე

თქვენ, თებელებმა უკეთ უნდა იცოდეთ ეგა.

ო ი დ ი პ ო ს ი

არის თუ არა აქ მყოფთაგან ვინმე ისეთი,
იმ მწყემსს რომ იცნობს, რომელზედაც ეს გვეუბნება,
ეგეების ველზე, ანდა ჩვენთან გინახავთ იგი?
მითხარით, ვინმემ, საჭიროა ამის გაგება.

ქ ო რ ო

სწორედ ის კაცი უნდა იყოს ის მწყემსი ალბათ,
შენ რომ გინდოდა მოგეყვანა; თუმცაღა ამას
ყველაზე კარგად იოკასტე გეტყოდა ისევ.

ო ი დ ი პ ო ს ი

შენ რაღას ფიქრობ, იოკასტე, მართლა ის არის,
ჩვენ რომ აქ მოსვლა შევუთვალეთ, იმაზე ამბობს?

ი ო კ ა ს ტ ე

ვისზე რომ ამბობს? ნურას სწუხარ; ნუღარ იხსენებ
მის მიერ ნათქვამ ამ ცარიელ, უაზრო სიტყვებს.

ო ი დ ი პ ო ს ი

არა ვიქმ იმას, რომ ამგვარი ნიშნების მქონემ
ჩემი მოდგმა და ჩემი გვარი არ გამოვიცნო.

ი ო კ ა ს ტ ე

ღმერთთა გულისთვის, თუ სიცოცხლე რაიმედ გიღირს,
ნუ ეძებ ამას, ჩემი ტანჯვაც სამკარისია.

ო ი დ ი პ ო ს ი

მშვიდად იყავი; არაფერი შეგხვდება ცუდი,
თუნდ დედაჩემი სამგზის მონა აღმოჩნდეს მოდგმით.

ი ო კ ა ს ტ ე

შენც დამიჯერე, გევედრები, ნუ იზამ ამას.

ო ი დ ი პ ო ს ი

ვერ დაგიჯერებ, ყველაფერი უნდა შევიტყო.

ი ო კ ა ს ტ ე

მე ვიფიქრე და მგონია, რომ კარგ რჩევას გაძლევ.

ო ი დ ი პ ო ს ი

ტანჯვით მავსებენ რახანია მსგავსი რჩევები.

ი ო კ ა ს ტ ე

ო, ბედდამწვარო, ნურასოდეს შეგეტყოს, ვინ ხარ.

ო ი დ ი პ ო ს ი

წავა თუ არა ვინმე მაინც, მომიყვანს იმ მწყემსს?
ამან კი, დაე, იამაყოს დიდგვაროვნებით.

ი ო კ ა ს ტ ე

ვაიმე, ვაი, შე ბედკრულო, ეს ერთი დამრჩა
სათქმელად შენთვის, სხვას ვერაფერს ვერ გეტყვი უკვე.

ქ ო რ ო

საით წავიდა, ოიდიპოს, ნეტავი მაინც
შეურვებული შენი ცოლი? მე მეშინია
უბედურებად არ დაიმსხვრეს მისი დუმილი.

ო ი დ ი პ ო ს ი

მოხდეს, რაც არის მოსახდენი. მე გადავწყვიტე,
მონაც რომ დავრჩე, ჩემი გვარი შევიცნო მაინც.
ის კი ქალია და თავისი ამაყი ფიქრით
ალბათ რცხვენია, მდაბიორი რომ გამოვდექი.
მე კი აგრე ვთვლი, მე შვილი ვარ კეთილმომცემი
ბედის ქალღმერთის და პატივი არა მაქვს მცირე.
მან ისე მშობა, როგორც დედამ, ხოლო და-ძმებად
თვეები მყავდა, მათ გამხადეს მცირეც და დიდიც.
მე, აგრე შობილს, არაფერი ისე არ შემცვლის,
რომ ჩემი გვარის გამოცნობა არ მოვინდომო.

მ ე ს ა მ ე ს ტ ა ს ი მ ო ნ ი

ქ ო რ ო

ს ტ რ ო ფ ი ა

მისანი თუ ვარ, მომავლის მცოდნე
და განბრძნობილიც ჩემი გონებით,
ო, კითერონო ვფიცავ ოლიმპოსს,
ხვალ, სანამ მთვარე გაივსებოდეს,
ოიდიპოსის თანათვისტომს შენ განგადიდებთ,
ოიდიპოსის გამომზრდელს და მის მშობელ დედას,
ფერხულს გავმართავთ შენს სადიდებლად,
შენს სადიდებლად, ვინაც ყოველთვის
საამოდ სწყალობ ტირანებს ჩემსას,
მხსნელო ფოიბოს, შენც სიამით აღგავსოს ამან.

ა ნ ტ ი ს რ ო ფ ი ა

ვინ გშობა ნეტავ, ვინ გშობა, შვილო,
სულით ნეტართა და უკვდავთაგან,
ეგეების პანმა დაგბადა ქალთან,
მთებზე მავალი ლოქსიასის სატრფომ გშვა იქნებ? _
მთათა ველები უყვარს ლოქსიასს.
იქნებ კილლენეს დიად მეუფეს
ან იქნებ თავად დიდებულ ბაკქოსს
გადაგცა ნიმფამ, როცა გიპოვნა,

ბაკქოსს, რომელიც მთის მწვერვალებზე
ცხოვრობს ყოველთვის და ნიმფებთან თამაშობს ხშირად.

მეოთხე ეპისოდიონი

ო ი დ ი პ ო ს ი

თუ შეიძლება, კაცზე, ვინაც ჯერ არ მინახავს,
რამე დავასკვნა, იმ მწემსს ვხედავ, მგონი, მოხუცო,
აქ რომ გვინდოდა მოგვეყვანა; მისი ჭაღარა
უცნობი მწყემსის ხნოვანებას შეეფერება.
ჩემს მსახურებს ვცნობ იმ ხალხს შორის, მას რომ ახლავან,
შენ კი მას, ალბათ, უკეთესად უნდა იცნობდე,
რადგან ადრედაც უნდა გყავდეს ნანახი იგი.

ქ ო რ ო

ეჭვიც ნუღარ გაქვს, ჰო, ვიცნობდი, რადგან ლაიოსს
სხვა არვინ ჰყავდა მასზე უფრო ერთგული მწყემსი.

ო ი დ ი პ ო ს ი

ჯერ შენა გკითხავ, კორინთოდან მოსულო უცხოვ.
ამაზე ამბობ?

მ ა ც ნ ე

სწორედ მასზე, ახლა რომ ხედავ.

ო ი დ ი პ ო ს ი

მოხუცო, თვალი გამისწორე და მიპასუხე
ამ შეკითხვაზე: ლაიოსის მონა იყავი?

მ ს ა ხ უ რ ი

ჰო, მონად ვიშვი იმის სახლში, არ ვუყიდივარ.

ო ი დ ი პ ო ს ი

მაინც რა საქმეს აკეთებდი, რითი ცხოვრობდი?

მ ს ა ხ უ რ ი

მთელი ცხოვრება ლაიოსის მწყემსი ვიყავი.

ო ი დ ი პ ო ს ი

რა ადგილებში დადიოდი ყველაზე ხშირად?

მ ს ა ხ უ რ ი

კითერონზე და კითერონის მიდამოებში.

ო ი დ ი პ ო ს ი

ამ კაცს თუ იცნობ, თუ გინახავს როდესმე იგი?

მ ს ა ხ უ რ ი

სად თუ მინახავს, ვინ კაცზეა, რომ მეკითხები?

ო ი დ ი პ ო ს ი

აქ, შენ წინ რომ დგას, რა საერთო გქონია მასთან?

მ ს ა ხ უ რ ი

ისეთი მართლაც არაფერი, უცებ რომ ვიცნო.

მ ა ც ნ ე

არაფერია გასკვირი, ჩემო ბატონო,
მე მოვაგონებ მივიწყებულს, რამეთუ ვიცი,
გაახსენდება, კითერონზე როგორ ვმწყემსავდით
ნახირს, მას ორი ჯოგი ჰყავდა, ხოლო მე _ ერთი.
ერთურთს ვხვდებოდით ორივენი ცხრა თვის მანძილზე,
გაზაფხულიდან დაწყებული ვიდრე ზამთრამდე.
ზამთართან ერთად ჩემს ბაგაში წავასხი ჯოგი,
მანაც ლაიოსს წაუგვარა ბაგაში იგი.
ხომ ისე ვამბობ, როგორც იყო, ხომ არა ვტყუი?

მ ს ა ხ უ რ ი

ჰო, მართალს ამბობ, დიდი დროა უკვე გასული.

მ ა ც ნ ე

ახლა კი ის თქვი, რაც თვით იცი, რომ გადმომეცი
ოდესღაც ბავშვი, გასაზრდელად რომ ჩამაბარე?

მ ს ა ხ უ რ ი

მერე რა მოხდა, ვის სჭირდება ამის ძიება?

მ ა ც ნ ე

აი, ეს არის, მეგობარო, ის ჩვილი ბავშვი.

მ ს ა ხ უ რ ი

წყეულიმც იყავ, გააჩერებ თუ არა ენას!

ო ი დ ი პ ო ს ი

მას ნურას ერჩი, ბერიკაცო, შენი სიტყვები
იმის სიტყვებზე მეტადრეა სასჯელის ღირსი.

მ ს ა ხ უ რ ი

რა დავაშავე, სულკეთილო, ჩემო მეუფევ?

ო ი დ ი პ ო ს ი

ის, რომ იმ ბავშვზე არაფერი არ გინდა, გვითხრა.

მ ს ა ხ უ რ ი

მან არც კი იცის, თუ რას ამბობს, ფუჭად ირჯება.

ო ი დ ი პ ო ს ი

რახან კეთილად არას ამბობ, ცრემლებით იტყვი.

მ ს ა ხ უ რ ი

ღმერთთა გულისთვის, მოხუცებულს ნუ დამამცირებ.

ო ი დ ი პ ო ს ი

ჩქარა ხელები გაუკარით ზურგსუკან მაგას!

მ ს ა ხ უ რ ი

ვაი, მე ბედშავს, რის გულისთვის? მაინც რა გინდა?!

ო ი დ ი პ ო ს ი

მართლა მიეცი ამ კაცს ბავშვი, სწორს ამბობს იგი?

მ ს ა ხ უ რ ი

მივეცი, ნეტავ იმავ, დღეს მოვმკვდარიყავი.

ო ი დ ი პ ო ს ი

ასეც იქნება, თუ სიმართლეს არ მომახსენებ.

მ ს ა ხ უ რ ი

თუ გეტყვი, მაშინ უფრო მწარედ დავიღუპები.

ო ი დ ი პ ო ს ი

როგორც ეტყობა, ხრიკით უნდა ამ კაცს გაგვისხლტეს.

მ ს ა ხ უ რ ი

არა, არ მინდა, აკი გითხარ, მივეცი-მეთქი.

ო ი დ ი პ ო ს ი

ვისგან მიიღე? შენი იყო თუ ვინმე სხვისი?

მ ს ა ხ უ რ ი

არა, არ იყო იგი ჩემი, ბავშვი სხვამ მომცა.

ო ი დ ი პ ო ს ი

ვისგან მიიღე იგი მაინც, ვის სახლში მოგცეს?

მ ს ა ხ უ რ ი

ღმერთთა გულისთვის, მეუფეო, მეტს ნუღარ ეძებ.

ო ი დ ი პ ო ს ი

დაიღუპები, თუ ერთხელაც დაგისვი კითხვა.

მ ს ა ხ უ რ ი

ის ბავშვი მეფე ლაიოსის სახლიდან იყო.

ო ი დ ი პ ო ს ი

მონა იყო თუ ნათესავად იშვა მის სახლში?

მ ს ა ხ უ რ ი

ვაი, მე უკვე მივადექი საშინელ სათქმელს.

ო ი დ ი პ ო ს ი

მე კი _ მოსასმენს, მაგრამ მაინც მოვისმენ ყოველს.

მ ს ა ხ უ რ ი

ის ლაიოსის ბავშვი იყო, შენი მეუღლე
სახლში რომ არის, უკეთესად გეტყოდა ყოველს.

ო ი დ ი პ ო ს ი

მან მოგცა იგი?

მ ს ა ხ უ რ ი

სწორედ იმან, ჩემო მეუფევ.

ო ი დ ი პ ო ს ი

მერედა, რისთვის?

მ ს ა ხ უ რ ი

იმისთვის, რომ უნდა მომეკლა.

ო ი დ ი პ ო ს ი

საბრალო დედა!

მ ს ა ხ უ რ ი

ავ მისნობას უფრთხოდა იგი.

ო ი დ ი პ ო ს ი

რომელ მისნობას?

მ ს ა ხ უ რ ი

რომ დედ-მამას მოკლავდა შვილი.

ო ი დ ი პ ო ს ი

მერედა ამას რაღატომღა მიეცი იგი?

მ ს ა ხ უ რ ი

აჰ, შემებრალა, მეუფეო, ასე ვიფიქრე,
რომ სხვა მიწაზე წაიყვანდა ბავშვს უცხო მწყემსი.
გადაარჩინა სავალალოდ მან თურმე იგი,
თუ მართლაც ის ხარ, უბედური შობილხარ მაშინ.

ო ი დ ი პ ო ს ი

ვაიმე, ვაი, ყველაფერი ცხადია უკვე.
უკანასკნელად გიცქერ ახლა, ჰოი, ნათელო,
ვიშვი იმათგან, ვისაც ქვეყნად არ უნდა ვეშვი,
ცოლად შევირთე დედაჩემი, მოვკალი მამა.

მ ე ო თ ხ ე ს ტ ა ს ი მ ო ნ ი

ქ ო რ ო

ს ტ რ ო ფ ი ა

ადამიანთა მოკვდავო მოდგმავ,
არარაობად თუ ჩაგთვლით მხოლოდ
ამქვეყნად მცხოვრებს.
რადგან ვინ აღწევს ბედნიერებას
იმაზე მეტს, რომ შემდგომში ისევ
ამგვარი ბედით გამოჩენილი
ქვე არ დაეცეს იმ სიმაღლიდან?
მქონე მაგ შენი მაგალითისა,
მაგ შენი ბედის, შენის, საბრალოვ,
ო, ოიდიპოს, მოკვდავთა შორის
ნეტარი არვინ არ მეგულება.

ა ნ ტ ი ს ტ რ ო ფ ი ა

შენ, ვინაც ზუსტად ტყორცნე ისარი,
მიზანს მოარტყი და დაიპყარი
ყოველნაირი კეთილდღეობა.
დიდება კრონიდს, შენ დაამარცხე
მრუდეკლანჭება ქალწული იგი
ლექსითმომისნე და სიკვდილისგან
ქვეყნის სიმაგრედ წარმოდექ ჩვენთვის,

ჩემს ბასილევსად იხმობი კიდეც
ამის გამო, და უდიადესი
პატივიც გერგო დიად თებეში,
სადაც შენა ხარ მეფე.

ს ტ რ ო ფ ი ბ

არის კი ვინმე, შენზე უფრო ბედშავი განა?
ვინ არის განა ამა სოფლის ცვალებადობით
მეტ სიავეში ჩავარდნილი?
ო, ოიდიპოს, სახელოვანო,
შენ, ო, ვისთვისაც დასამშვიდებლად
საკმარი გახდა
ზიარი ყურე ქალთან შერთვისა
ძისა და მამის ერთ სარეცელზე,
როგორ შეეძლო ამდენ ხანს მაინც,
ჩუმად ჰყოლოდი, ბედდამწვარო, მამის სარეცელს?

ა ნ ტ ი ს ტ რ ო ფ ი ბ

აღმოგაჩინა უნებური ბოროტმოქმედი
ყოვლისმხედველმა ჟამმა ბოლოს და ასამართლებს
მშობლის და შვილის ამ ბოროტ ქორწილს,
ვაგლახ, ო, შვილო ლაიოსისა,
ნეტავ არასდროს
შენ არ მეხილე,
რამეთუ ახლა
შეძრწუნებული ვტირი და ვგლოვობ.
თუმცაღა ერთიც უნდა ვთქვა შენზე:
შენი წყალობით მოვითქვი სული,
შენი წყალობით დავხუჭე თვალი.

ე ქ ს ო დ ო ს ი

ე ქ ს ა ნ გ ე ლ ო ს ი

ჰოი, ამ მიწის ღირსეულო მოაქალაქენო,
რას არ მოისმენთ, რას არ ნახავთ და რანაირი
გლოვა არ შეგძრავთ, ლაბდაკიდთა ნათესავები
თუ გქვიათ კვლავ და მათ სახელზე თუ წუხხართ ისევ
რამეთუ ვფიქრობ, ვერც ისტროსი და ვერც ფასისი
ვერ განწმენდდა და გადარეცხდა მათს ამ სამყოფელს.
რადგან ბევრია აქ სიავე, განზრახ ნაქმნარი,
სულ მალე ყველა რომ შეიტყობს, სატანჯველთაგან
ის უფრო გვტანჯავს, რაშიც თავად მიგვიძღვის ბრალი.

ქ ო რ ო

სხვა რაღა დარჩა, უფრო მძიმე, იმაზე მეტი,
ადრე რომ ვნახეთ ჩვენი თვალით, სხვას რაღას იტყვი?

ე ქ ს ა ნ გ ე ლ ო ს ი

ის, რაც საჩქაროდ უნდა გითხრათ, თქვენ კი შეიტყოთ:
უკვე მკვდარია იოკასტე, ღმერთთა სადარი.

ქ ო რ ო

ო, უბედურო! მაგრამ ნეტავ ვინ მოკლა იგი?

ე ქ ს ა ნ გ ე ლ ო ს ი

თავი მოიკლა. საშინელი და მეტად მძიმე
იყო, რაც იმას დაემართა. თქვენ არ გიხილავთ,
მაგრამ თუ ისევ შემრჩენია მეხსიერება,
ჩემგან მოისმენთ იმ ბედშავის უმძიმეს ტანჯვას.
როგორც კი შევლო წინკარი, შიგნით შევიდა,
რისხვით შეძრულმა თავის საწოლს მიმართა მყისვე,
მიდიოდა და თმებს იგლეჯდა ორივე ხელით.
შიგნით შესულმა გადარაზა უმალვე კარი...
დაუწყო ხმობა ადრე მოკლულ თავის ლაიოსს,
იმ ბავშვსაც ხმობდა, რომლისგანაც იმის მეუღლეს
სიკვდილი უნდა რგუნებოდა, შვილის დედა კი
სწორედ იმისთვის გადაეცა, ვისაგანც დედამ
ბედშავი მოდგმა გააჩინა.. გლოვობდა საწოლს,
სადაც ქმარი შვა ქმრისაგან და შვილისგან შვილნი.
თუ როგორ მოკვდა, აღარ ვიცი, რამეთუ შიგნით
ოიდიპოსი შემოიჭრა ყვირილით ამ დროს.
ჩვენი დედოფლის აღსასრული ვერ ვნახე, რადგან
მის ქმარს ვუცქერდი, აქეთ-იქით რომ აწყდებოდა.
მოდიოდა და მახვილს მთხოვდა, ცოლს დაეძებდა,
ცოლს, ვისაც ცოლი არც კი ეთქმის, ეძებდა იმ ქალს,
ხოდაბუნს, ვინაც ისიც შვა და მისი შვილებიც.
ნახევრად შეშლილს დაიმონმა თუ მიანიშნა
ერთ-ერთმა ამ დროს, არვინ ახლდა სხვა ამ დროს რადგან.
მიუთითაო თითქოს ვინმემ, ხმა აღმოხდა და
კარს დაეძგერა, გამოგლიჯა კალაპოტიდან
მისი ურდული და ოთახში შეიჭრა მყისვე;
იქ იოკასტე დავინახე ჩამოხრჩობილი,
დაწნული თოკი შემოსჭდოდა ყულფად კისერზე;
საზარელი ხმით დაიბღავლა ამის მხილველმა,
ჩამოხსნა თოკი და როდესაც უკვე მიწაზე

ესვენა ქალი, საშინელი რამ მოხდა ამ დროს,
ოქროს ბალთები ჩამოჰგლიჯა დედოფლის კაბას,
ბალთები, კაბას რომ იჭერდა დედოფლის ტანზე
და ორთავ თვალის უპეებში ჩაიცა უმალ,
აგრე ამბობდა, ნუროდესო ნახავენ იმას,
რაც თავს დაატყდა და ნურც იმას, რაც ჩაიდინა.
დაე, არასდროს არ იხილონ, რაც არ ხამს ხილვად,
და რაც თვითონ სურთ, ნურასოდეს ეხილოთ მეტად.
აგრე იძახდა, განა ერთგზის, ბევრჯერ ჩაიცა
ისინი მწარედ, დაითხარა ორივე თვალი.
ნიკაპზე წვიმად დასდიოდა სისხლის ნაკადი,
სისხლს კი თვალებიც მოჰყვებოდა, მისგან დათხრილი,
და შავი სითხეც უპეებით გამოდენილი.
ორივესაგან მოდიოდა ეს ავბედობა,
ორივეს ედო მასში წილი _ ქალსაც და კაცსაც.
ხოლო ის ძველი, ადრინდელი ბედნიერება
ბედნიერება იყო მართლაც, ახლა კი, ამ დღეს
ოხვრაა იგი, სიკვდილიც და ვნებაც, შერცხვენაც.
ყველა აქ არის, რასაც ქვეყნად სიავე ჰქვია.

ქ ო რ ო

მერედა, ახლა რას აკეთებს ის უბედური?

ე ქ ს ა ნ გ ე ლ ო ს ი

ყვირის, განახვნან ურდულები და განუცხადონ
ყველა კადმოსელს, მამისმკვლელი რომ არის იგი,
და დედის... არა, ამ სიბილწეს უკვე ვერ ვიტყვი.
ყვირის, ქვეყნიდან გააძევონ, რომ დღეის შემდეგ
არ დარჩეს სახლში, თავის წყევლას გადასცა თავი.
თუმც შემწეობას ითხოვს იგი და ვინმე მეგზურს,
რადგან ის სნება, ახლა რომ სჭირს, უფრო მეტია,
ვიდრე მას ძალუძს აიტანოს, თავად მიხვდები;
უკვე იხსნება ურდულები. მალე იხილავ
სანახაობას, თვით მტერსაც რომ შეაძრწუნებდა.

კ ო მ მ ო ს ი

ქ ო რ ო

ვნებაო, კაცთათვის ყველაზე სასტიკო,
ყველაზე სასტიკო მათ შორის, რაც ადრე
მინახავს ოდესმე; შენ, ჰოი, ბედკრულო,
რომელმა სიშმაგემ შეგიპყრო ეგზომ?
ვინ არის ღმერთთაგან ყველაზე დიადი,

თავზე რომ დაგატყდა ესოდენ უწყალოდ?
ვაიმე, ბედშავო! ვეღარ გიყურებ,
მრავალი რამ მინდა გკითხო და გავიგო,
მრავალნიც ვირწუმნო, მრავალნიც ავწონო,
აი, რა სასტიკ ძრწოლას ვგრძნობ შენზე.

ო ი დ ი პ ო ს ი

ვაიმე, ვაი, ეგზომ ბედკრული,
ნეტავ სად მივალ, სად მივალ ნეტავ?
სად მიდის, სად ქრება ჩემი ხმა მყისვე?
სად მომიყვანე, ო, დაიმონო?

ქ ო რ ო

გაუგონარ და ჯერარნახულ სასტიკ ადგილას.

ო ი დ ი პ ო ს ი

ჰოი, წყვდიადის
ჩემო ღრუბელო, თავს დამტრიალებს ენითუთქმელი,
ო, უძლეველო და უზურგქარო.
ვაგლახ,
ო, როგორ შემოვიდა, როგორ ჩამერჭო
ის ბალთები და სიავეთა ბოროტი ხსოვნა.

ქ ო რ ო

არაფერია გასაკვირი, რომ ამ ტანჯვაში
ორმაგად გლოვობ და ორმაგად ფიქრობ ბოროტზე.

ო ი დ ი პ ო ს ი

ო, მეგობარო,
შენ ერთი შემრჩი ერთგულ მსახურად; უსინათლოსთვის
ისევ და ისევ შენ ხარ მზრუნველი.
ვაიმე,
როდი ხარ ჩემთვის დაფარული, რადგან შენი ხმით
ახლაც კარგად გცნობ, თუმც წყვდიადში დანთქმული დავალ.

ქ ო რ ო

ჰოი, ამ ცოდვის ჩამდენელო, როგორ გაბედე,
თვალების დათხრა? ვინ გიბიძგა დაიმონთაგან?

ო ი დ ი პ ო ს ი

აპოლონია, მეგობრებო, აპოლონია,
ჩემს სიავეთა და ვნებათა აღმსრულებელი.
ხოლო თვალები განა სხვა ვინმემ _
მე დავიბრმავე ჩემივე ხელით.
რადგან, რად მინდა თვალის სინათლე,

თუკი თვალხილულს არაფერი მინახავს ტკბილი?

ქ ო რ ო

მართლაც აგრეა, როგორც შენ ამბობ.

ო ი დ ი პ ო ს ი

ვინ იყო ჩემთვის ხილვად საამო,
ანდა ვინ არის კიდევ ისეთი,
კარგი მითხრას და ყური დავუგდო?
ო, წამიყვანეთ, მეგობრებო, რაც შეიძლება
სასწრაფოდ სადმე წამიყვანეთ, მე, თქვენი მანკი,
ყველაზე მეტად წყეული და უკვდავ ღმერთთათვის
მოკვდავთა შორის უსაძაგლესი.

ქ ო რ ო

გონებითა და შენი ბედით საბრალობელო,
მსურს, რომ არასდროს არაფერი შევიტყო შენზე.

ო ი დ ი პ ო ს ი

დე, დაიღუპოს იგი, ვინაც ამ საძოვარზე
ბორკილი შემხსნა და სიკვდილისგან
გადამარჩინა;
არანაირი მადლი ჩემთვის მას არ უყვია,
რადგან მაშინ რომ მოვმკვდარიყავი,
არც ვიქცეოდი სატანჯველად არავისათვის.

ქ ო რ ო

ჩემთვისაც ასე აჯობებდა.

ო ი დ ი პ ო ს ი

არ ვიქცეოდი მე მამისმკვლელად,
არც არასოდეს არ მიწოდებდნენ
მშობელ დედასთან შეუღლებულს.
უღმერთოდ დავრჩი და იმათი უღირსი ძე ვარ,
მოზიარე დამშადა ვინაც მისი სარეცლის.
თუ რამე არის თვით ბოროტზე უფრო ბოროტი,
ის მოიწია ოიდიპოსმა.

ქ ო რ ო

არ ვიცი, სწორად ვით ჩავთვალო, რაც თავს უყავი,
რადგან ბრმად ყოფნას ისევ ის სჯობს, სულაც არ იყო.

ო ი დ ი პ ო ს ი

ნუღარ მასწავლი, ნუღარ მეტყვი ნურაფერს მეტად,

რომ არასწორად გავაკეთე, რაც გავაკეთე,
რადგან არ ვიცი, რა თვალებით გავუსწორებდი
მზერას მამაჩემს ბნელ ჰადესში, ვით შევხედავდი
საბრალო დედას; იმ საქმისათვის, მათ რომ ვუყავი,
ჩამოხრჩობაც კი მცირე არის ჩემთვის ამჯერად.
მაგრამ, მართლაცდა, საამოა, საცქერად ჩემთვის
ჩემი შვილები, დედაჩემმა რომ გამოზარდა.
ვერ იხილავენ მათ ვერასდროს ჩემი თვალები;
ვეღარც ქალაქს და ვეღარც გოდოლს, ვერც დაიმონთა
წმინდა ქანდაკებს იხილავენ, რადგან ისინი
მე დავუკარგე ჩემსავე თავს, მე, ვინც თებეში
უპირველესი კაცი ვიყავი. აკი თვით ვბრძანე
იმ უწმინდურის გაძევება, ვინაც ღმერთებმა
მკრეხელად ცნეს და ლაიოსის ცოდვილ გვარისად.
მე, ამნაირი ჩემი ცოდვის გამომცხადებელს,
მზერა ვით უნდა გამემართა ქალაქელთათვის?
ვერ ვიქმდი ამას, იმის ძალაც რომ მქონებოდა,
სმენაც ჩამეხშო, მხოლოდ მაშინ თუ დავრჩებოდი
ყველასგან მარტოდ, რადგან მაშინ თუღა შევძლებდი
რომ არავისთვის არ მეცქირა და არ მესმინა,
რადგან ავ ფიქრთა გარეშეა ცხოვრება ტკბილი.
ო, კითერონო, რად მიმიღე? თუ მიმიღე და
უმალვე რად არ მომაკვდინე, რომ არასოდეს
არ გამემხილა მოკვდავთათვის, ვისი გვარის ვარ?
ჰოი, პოლიბოს, ო, კორინთოვ, ო, ძველო სახლო,
მე რომ მშობლიურ სახლად გთვლიდი, ბოროტებათა
რა ჩირქიანი სილამაზე გამოგიზრდივართ!
ახლაღა მივხვდი, ბოროტთაგან ბოროტი რომ ვარ.
ო, სამო გზაო, დაბურულო ტყიანო ხევო,
და შენაც, ტევრო, და ვიწრობო გზაგასაყარის,
რომელთ დაღვრილი შეიწოვეთ ამ ჩემს ხელთაგან,
სისხლი მამისა, გახსოვთ განა, თუ რა ბოროტი
საქმენი ვქმენი თქვენთვის მაშინ და მერეც, როცა
თებეში მოველ. თუ რა ვქმენი? ქორწინებანო,
გვშობეთ და მერმე, როცა გავჩნდით, ისევ უკანვე
ამოანთხიეთ ჩვენი თესლი, ერთი სისხლისად
შობეთ მამები, შობეთ ძმები, შობეთ ვაჟები,
შობეთ ცოლები, სარძლონი და შობეთ დედები
და კაცთა შორის ყოველგვარი სასირცხვო საქმე.
მაგრამ, ო, არ ხამს სიავეთა კვლავ გახსენება,
რაც შეიძლება, ო, საჩქაროდ, ღმერთთა გულისთვის,
თებედან სადმე გადამმალეთ, მომკალით, ანდა

ზღვაში დამანთქეთ, ნუ მიხილავთ ნუღარასოდეს,
მოდით, ღირსებად მიიჩნიეთ ჩემთან შეხება.
ნუ გეშინიათ, დამიჯერეთ, ჩემი სიავე
ჩემ გარდა არვის არ ეკუთვნის სატარებელად.

ქ ო რ ო

აჰა, რის ქმნასაც ჩვენგან ითხოვ, იმის საქმნელად
კრეონტი მოდის ახლა შენთან, ის გირჩევს რამეს,
შენს ნაცვლად ახლა თებეს მცველად ის დარჩა მხოლოდ.

ო ი დ ი პ ო ს ი

ვაიმე... ნეტავ რა სიტყვებით მივმართო კრეონტს?
რა სამართალს და ერთგულებას ველოდო მისგან,
თუ ადრე მასთან უსამართლო ვიყავი მხოლოდ.

კ რ ე ო ნ ტ ი

მისთვის არ მოველ, ოიდიპოს, შენ რომ დაგცინო,
და საყვედურით გიპასუხო შენს სიავეზე.
თუ კაცთა მიმართ არ გრძნობთ სირცხვილს, დე, ჰელიოსის
ალს მოერიდეთ, ქვეყნად ყოვლის მასაზრდოებელს,
ნუ წარმოაჩენთ ცოდვას შიშვლად, რასაც არც მიწა,
არც წმინდა წვიმა და სინათლე აღარ მიიღებს.
დე, ისევ სახლში შეიყვანეთ საჩქაროდ იგი;
რადგან მარტოდენ ნათესავებს შეეფერება
ნათესავების სიავეთა ცქერა და სმენა.

ო ი დ ი პ ო ს ი

ღმერთთა გულისთვის, მოლოდინი რა გამიმტყუნე,
და შენ, რჩეული, ჩემთან მოხველ, უბოროტესთან,
გთხოვ დამიჯერო, შენთვის ვიტყვი და არა ჩემთვის.

კ რ ე ო ნ ტ ი

ასე ბეჯითად რას მოითხოვ, რომ აგისრულო?

ო ი დ ი პ ო ს ი

გთხოვ, გამაძევო ამ მიწიდან, იქ გამაძევო,
სადაც ვერავინ ვეღარ შეძლებს ჩემთან საუბარს.

კ რ ე ო ნ ტ ი

გწამდეს, მართლაცდა აგრე ვიქმდი, ის რომ არ მსურდეს,
ჯერ ღმერთებისგან მოვისმინო, როგორ მოვიქცე.

ო ი დ ი პ ო ს ი

აკი სავსებით ცხადი არის უკვე ღმრთის სიტყვა,

დაღუპვა მელის უღმერთოს და უღირს მამისმკვლელს.

კ რ ე ო ნ ტ ი

მართლაც აგრეა ეგ ნათქვამი, მაგრამ ამჯერად
ხამს, უკეთესად რომ გავიგო, როგორ მოვიქცეთ.

ო ი დ ი პ ო ს ი

განა ესოდენ უბედურზე ჰკითხავ ღვთაებას?

კ რ ე ო ნ ტ ი

ჰო, რადგან ახლა, ალბათ, შენც გაქვს რწმენა ღმერთისა.

ო ი დ ი პ ო ს ი

მაშ, შენ გავალებ, შენ შეგთხოვ და შენ გევედრები,
შენ, ვინაც ასე მართლად ზრუნავ შენიანებზე,
დაკრძალე იგი, სასახლეში რომ წევს ამჟამად.
მე კი ნუროდეს ნუღარ ჩამთვლის ჩემი ქალაქი
ღირსად იმისა, რათა მასში ვიცხოვრო ისევ.
მთაზე გამიშვი საცხოვრებლად, მთაზე, რომელიც
ჩემს კითერონად იწოდება, დედამ და მამამ
მე რომ სამარედ გამიმზადეს ჯერ ისევ ცოცხალს,
ვინც მე გამწირა, მათვე მომკლან, დაე, იმ მთაზე.
მაგრამ მე ვიცი, რომ არც სნება მომკლავს რაიმე
და არც სხვა რამე; სასიკვდილოდ როდი გადავრჩი
ოდესღაც?! არა, სატანჯველად გადავრჩი მაშინ.
დაე, წავიდეს ჩვენი ხვედრი, საითაც მიდის;
ჩემს ვაჟკაცებზე ნუ იზრუნებ, კრეონტ, რამეთუ
მამაკაცები არიან და ამ ცხოვრებაში
მათ არ გატანჯავს გასაჭირი ოდესმე დიდად;
ხოლო ჩემს ბედშავ და საბრალო ქალიშვილებზე,
რომელთათვისაც არასოდეს არ იდგმებოდა
მაგიდა ცალკე, ჩემ გარეშე, არამედ მუდამ
იგივე ჰქონდათ, რაც მათ მამას, ამას გავედრებ,
მათზე იზრუნე, კრეონტ, ჩემთვის; ო, დამრთე ნება,
ხელით შემეხონ და ვიგლოვო ეს ჩემი ჭირი.
წადი, მეუფევ,
კეთილშობილო გვაროვანო, ხელს შევახებ და
ვით თვალხილული, ისე შევძლებ მათ წარმოსახვას.
ნეტა რას ვამბობ?
ჰოი, ღმერთებო, სანუკველი ჩემი შვილების
ხმა ხომ არ მესმის, შემიბრალა განა კრეონტმა?
აქ მომიყვანა საყვარელი განა შვილები?
ხომ არა ვცდები?

კ რ ე ო ნ ტ ი

არა, არ ცდები; მართლაც მომყავს ისინი შენთან.
რამეთუ ვიცი, ვით გიყვარდა ადრე ისინი.

ო ი დ ი პ ო ს ი

სვებედნიერი იყავ, კრეონტ, და უკეთესი
შეგხვდეს შენს გზაზე დაიმონი, ვიდრე მე შემხვდა.
შვილებო, სად ხართ? ისევ მოდით, ო, მომეახლეთ,
ამ ბედშავ ხელებს, ხელებს თქვენი ტანჯული ძმისას,
ხელებს, რომლებმაც თქვენი ღვიძლი, მშობელი მამის
თვალები ჩაკლეს და ჩააქრეს სამარადისოდ.
ჩემო შვილებო, მამათქვენმა, ვით გუთნის დედამ,
იმისგან გშობათ, ვის მიერაც თავადვე იშვა.
თქვენზე ვტირივარ, რომ არ ძალმიძს თქვენი დანახვა,
ვფიქრობ, სვემწარე შეიქმნება თქვენი ცხოვრების
ნაწილი, აწ რომ გაატარებთ მოკვდავთა შორის.
ქალაქელების რა კრებულზე, ან რა ზეიმზე
არ წახვალთ ნეტავ, რომ შვების და სიამის ნაცვლად
ისევ ცრემლებით არ დაბრუნდეთ თქვენსავე სახლში!
ხოლო, როდესაც ქორწინების ასაკს მიაღწევთ,
ვინ, ვინ გაბედავს, რომ მიიღოს, ჩემო შვილებო,
სირცხვილი, რაიც ჩემს დედა-მამას აწევს კისერზე,
და მათთან ერთად თქვენს მშობლებსაც რომ ერგო წილად.
რაღა ჭირია, აქ არ იყოს. თქვენმა მშობელმა
თავისი მამა მოაკვდინა, დედას შეერთო,
საკუთარ დედას, რომლისგანაც თვით წარმოიშვა,
თქვენც მისგან გშობათ, რომლისგანაც თავადვე იშვა.
გაგიხსენებენ ყოველივეს, და ვინ შეგირთავთ?
არვინ, შვილებო, აღარავინ, ცხადზე ცხადია,
გაუთხოვარნი, მარტოსულნი დაიღუპებით.
ო, მენეკევსის ვაჟიშვილო, რახან ერთადერთ
მამად დაურჩი ჩემს ასულებს _ აკი არა ჰყავთ
მათ უკვე დედა და არც მამა არა ჰყავთ უკვე _
ნუ გადააქცევ მათხოვრებად დისშვილებს შენსას,
ნუ იზამ იმას, მათაც შეხვდეთ ჩემი სიავე,
ო, შეიბრალე, ორივენი მარტოკა დარჩნენ,
ასე ნორჩები, შენს იმედად დარჩნენ ისინი.
ხელზე გეხები, დიდებულო, მომეცი სიტყვა.
თქვენ კი, შვილებო, მოწიფული ჭკუა რომ გქონდეთ,
დაგარიგებდით მრავალ რამეს, ახლა კი ის მსურს,
რომ იქ ვიცხოვრო, სადაც შემფერს, თქვენ კი ორთავეს,
დაე, ჩემსაზე უკვეთესი გერგოთ ცხოვრება.

კ რ ე ო ნ ტ ი

შენ საკმარისად იტირე უკვე და ახლა ის სჯობს,
სახლში შეხვიდე.

ო ი დ ი პ ო ს ი

არა მსურს, მაგრამ გემორჩილები.

კ რ ე ო ნ ტ ი

ყველაფერს თავის დრო და ჟამი აქვს.

ო ი დ ი პ ო ს ი

იცი, როგორი პირობით წავალ?

კ რ ე ო ნ ტ ი

იტყვი და მაშინ მოვისმენ კიდეც.

ო ი დ ი პ ო ს ი

რაც შეიძლება, შორს წამიყვანო.

კ რ ე ო ნ ტ ი

შენ მე იმას მთხოვ, რასაც ღმერთი წყვეტს.

ო ი დ ი პ ო ს ი

საძულველი ვარ აკი ღმერთთათვის.

კ რ ე ო ნ ტ ი

აგისრულდება მალე სურვილი.

ო ი დ ი პ ო ს ი

რა იგულისხმე?

კ რ ე ო ნ ტ ი

რაც თვით არ ვიცი, არ მიყვარს ხოლმე მასზე მსჯელობა.

ო ი დ ი პ ო ს ი

მაშ, წამიყვანე ახლა აქედან.

კ რ ე ო ნ ტ ი

წადი, დატოვე შენი შვილები.

ო ი დ ი პ ო ს ი

ო, ნუ წამართმევ სანუკვარ შვილებს.

კ რ ე ო ნ ტ ი

ნუ განიზრახავ ყველაფრის ფლობას,
რამეთუ იმან, რასაც შენ ფლობდი, არარა არგო ცხოვრებას შენსას.

ქ ო რ ო

ო, ძველთაძველო თებეს მცხოვრებნო, აი, შეხედეთ, ოიდიპოსი,
ვინც იმ ცნობილი გამოცანების შეძლო ამოხსნა, და ვინც თებეში
პირველი იყო და უდიდესი, და ვისაც შურით ჭვრეტდნენ ყველანი,
ავბედობათა რა აუწერელ უფსკრულში არის დანთქმული ახლა.
დაე, სუყველამ მოკვდავის ბოლო დღეს მიაპყროს თავისი მზერა
და ბედნიერად ნუ ჩათვლის ხოლმე მოკვდავს მოკვდავი, სანამდის იგი
ყოველნაირი ტანჯვის გარეშე არ გადალახავს სიცოცხლის სამანს.

თარგმნა გიორგი ხომერიკმა

ოიდიპოსი კოლონოსში

მოქმედი პირნი:

oidiposi	Tesevsi
antigone	kreonti
ucxo	polinike
atikel uxucesTa qoro	macne
ismene	

პროლოგოსი

ო ი დ ი პ ო ს ი

ო, ანტიგონე, უსინათლო მოხუცის შვილო,
სადა ვარ ნეტავ ან რომელი ხალხის ქალაქთან?
ვინ შეივრდომებს დღეისათვის მწირ ოიდიპოსს
თავისი მცირი გასაკითხით, ვინ შეიფარებს
ეგზომ მცირედის მთხოვნელსა და მცირედზე ბევრად
მცირედის მშოვნელს, თუმც იმითაც სრულად კმაყოფილს?
მე ხომ სიყვარულს და დათმენას მასწავლის ტანჯვა,
ხანგრძლივი ჟამი და მესამეც _ დიდგვაროვნება.
თუმცაღა, შვილო, თუკი ახლო ან კიდევ სადმე
წმინდა ჭალაში ჩამოსაჯდომს ხედავ რაიმეს,
შემაჩერე და იქ ჩამომსვი. უნდა გავიგოთ,
სად ვიმყოფებით: უცხონი ვართ და საჭიროა,
ვიკითხოთ, როგორ აღვასრულოთ ქვეყნის წესები.

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

მრავალტანჯულო ოიდიპოს, ძვირფასო მამა,
შორიდან ვხედავ, გოდოლები არტყია ქალაქს.
ცხადზე ცხადია, წმინდა არის ადგილი ესე,
ზეთისხილითა, დაფნითა და ვაზით მდიდარი,
და ბულბულებიც საამურად გალობენ ირგვლივ.
ამ მქისე ქვაზე აჯობებდა მოგეთქვა სული
მოხუცისათვის მეტისმეტად გრძელი გზის შემდეგ.

ო ი დ ი პ ო ს ი

ახლა დამსვი და თვალდაშრეტილს დამიდექ მცველად.

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

კარგა ხანია, არ მჭირდება ამის სწავლება.

ო ი დ ი პ ო ს ი

მაინც სადა ვართ, შეგიძლია გამაგებინო?

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

თუმც ვხედავ ათენს, ამ ადგილის სხვა არრა ვიცი.

ო ი დ ი პ ო ს ი

ამას ხომ ყველა მოგზაურიც გვეუბნებოდა?

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

წავიდე სადმე, გავიკითხო, რა ადგილია?

ო ი დ ი პ ო ს ი

ჰო, ჩემო შვილო, თუკი სახლობს ვინმე მახლობლად.

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

სწორედ აგრეა; არ გვჭირდება არავის ძებნა;
ვხედავ, რომ ვიღაც უცხო კაცი გვიახლოვდება.

ო ი დ ი პ ო ს ი

აქეთკენ მოდის? თანაც უკვე ახლოა ჩვენთან?

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

ის კაცი უკვე ჩვენთან არის, ასე რომ, მამა,
შენი სათქმელი შეგიძლია თვით მასვე უთხრა.

ო ი დ ი პ ო ს ი

ო, უცხო კაცო, შვილისაგან, რომლის თვალები
ჩვენ ორის ნაცვლად ჭვრეტენ ნათელს, მე გავიგონე,
რომ აქ მოსულხარ ჩემდა ბედად, იქნებ გვაუწყო...

უ ც ხ ო

სანამდის რამეს შეიტყობდე, მანდედან ადექ,
ნება არა გაქვს, რომ შეეხო ამ წმინდა ადგილს.

ო ი დ ი პ ო ს ი

რა ადგილია ეს ადგილი ან რომელ ღმერთის?

უ ც ხ ო

წმიინდა არის და უკაცური, რადგან გეას და
სკოტოსის სასტიკ ქალიშვილებს უპყრია იგი.

ო ი დ ი პ ო ს ი

თქვი, უცხო კაცო, რა სახელით ვევედრო უკვდავთ?

უ ც ხ ო

ყველაფრისმცოდნე ევმენიდებს უხმობენ იმათ

აქაურები, სხვა სახელით უხმობენ სხვები.

ო ი დ ი პ ო ს ი

გულმოწყალებით მიმიღებენ მათ მავედრებელს,
არც არასოდეს წამოვდგები ამ ადგილიდან.

უ ც ხ ო

რად ამბობს ამას?

ო ი დ ი პ ო ს ი

ასეთია ბედის ნიშნება.

უ ც ხ ო

არა, მართლაც რომ ვერ გავბედავ მე შენს გაგდებას,
მოქალაქეებს თუ არ ვკითხე, როგორ მოვიქცე.

ო ი დ ი პ ო ს ი

გაფიცებ ღმერთებს, უცხო კაცო, ეგზომ უპოვარს,
ნუ დამჩაგრავ და მიპასუხე ერთ შეკითხვაზე.

უ ც ხ ო

მკითხე, არაფრით არ შევლახავ მე შენს ღირსებას.

ო ი დ ი პ ო ს ი

ვისია ნეტა ეს ადგილი, რომელი ღმერთის?

უ ც ხ ო

ყველაფერს წვრილად მოგახსენებ, რაც თავად ვიცი.
წმინდათაწმიდად იწოდება ადგილი ესე _
დიდი ტიტანის, ცეცხლოსანი პრომეთევსის და
პოსეიდონის წილხვდომილად ხმობილი მიწა.
ადგილი, შენ რომ ფეხით თელავ, რვალის ზღურბლია
ჩვენი მიწისა და დიადი ათენის ფუძე.
დიდად ამაყობს გარეშემო ყოველი ველი
მათი მფარველი კოლონოსით, ცხენთა მხედნელით,
ამადაც მისას ატარებენ სახელს ყველანი.
აი, სადა ხარ, უცხო კაცო, ეს ჩვენი მხარე
სიტყვით კი არა, საქმითაა პატივგებული.

ო ი დ ი პ ო ს ი

სახლობს თუ არა კაცის ტომი ამ ადგილებში?

უ ც ხ ო

რაღა თქმა უნდა, და სახელიც ამ ღმრთისა ჰქვია.

ო ი დ ი პ ო ს ი

მეფე ვინღაა, იქნებ ძალა ხალხსა აქვს თავად?

უ ც ხ ო

ქალაქში მყოფი ბასილევსი მართავს ამ მხარეს.

ო ი დ ი პ ო ს ი

ვინ არის იგი ვინაც მართავს სიტყვით და ძალით?

უ ც ხ ო

თესევსს უხმობენ დიდებული ეგევსის ნაშობს.

ო ი დ ი პ ო ს ი

იქნებ მალემსრბოლს გაგზავნიდით იმასთან ვინმეს?

უ ც ხ ო

ჰო, მაგრამ რისთვის, იმისთვის, რომ შენთან მოვიდეს?

ო ი დ ი პ ო ს ი

მცირედით შემწეო სარგებელი რომ ნახოს დიდი.

უ ც ხ ო

რა სარგებელი უნდა ნახოს მეფემ ბრმისაგან?

ო ი დ ი პ ო ს ი

რასაც კი ვამცნობთ, მიუმცდარად ვეტყვით ყველაფერს.

უ ც ხ ო

რომ არაფერი არ შეგემთხვეს, აქ დამელოდე,
ბედკრულო კაცო, თუმც, როგორც ჩანს, კეითლშობილო.
მანდავე დარჩი, მე რომ გნახე, მე კი წავალ და
განა თუ თავად ათენელებს, ჩემსავე თვისტომთ
ვეტყვი ყველაფერს, ისინი კი უკეთ განსჯიან,
აქ დაგტოვონ, თუ გაგაბრუნონ კვალადვე უკან.

ო ი დ ი პ ო ს ი

წავიდა ჩვენგან უცხო კაცი? მითხარი, შვილო.

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

წავიდა იგი, ყველაფერი რიგზეა, მამა,
თქვი, რაც გენებოს, შენთან ისევ მხოლოდ მე დავრჩი.

ო ი დ ი პ ო ს ი

მზერასასტიკნო მეუფენო, უპირველესად,

თქვენდამი ლოცვად მოვდრეკილვარ მე ამ მიწაზე.
ნურც ფებოსის და ნურც ჩემ მიმართ იქნებით მკაცრნი,
სწორედ მან მითხრა, დაითმენო მრავალ სატანჯველს
და აღსასრულიც ამნაირი მითხრა უკვდავმა:
მითხრა, რომ ბოლოს მივაღწევდი ქვეყანას, სადაც
წმინდა ლოდებზე დავჯდებოდი, ქვეყნის მკვიდრთაგან
თავშესაფარსაც ვიპოვიდი. აქ მოვრჩებოდი
ტანჯულ სიცოცხლეს. მადლსა ვწევდი, ვინც შემივრდომდა,
იმათ კი, ვინაც გამაგდებდა _ ათას სიავეს.
მომასწავები ეგ ნიშნებიც აღმითქვა ღმერთმა:
მიწისძვრა ანდა მეხის გრგვინვა ან ზევსის ელვა,
ახლა კი მართლაც კარგად ვხვდები, რომ ამ ჩემს გზაზე
განა სხვარიგად, ისევ თქვენი წმინდა ნიშნებით
შემომიყვანეთ ღვთაებათა ამ წმინდა ტევრში.
ღვინის მოძულეთ არასოდეს არ შეგხვდებოდით
მე თქვენ პირველებს, მე _ თავადაც მუდამ ფხიზელი.
ო, არც ამ ქვაზე დავჯდებოდი, მაგრამ, ღმერთქალნო,
დეე, მიბოძეთ აპოლონის მიერ აღთქმული
აღსასრული და იდუმალი გარდაცვალება,
უკეთუ ნაკლებ ღირსეულად არ მთვლით ამისთვის
მე, კაცთა შორის უსასტიკეს ტანჯვათა მნახველს,
ძველის სკოტოსის ტკბილო შვილნო, შემიბრალებდეთ,
შემიბრალებდე შენც, პალასით სახელდებულო
ყველა ქალაქზე უწმინდესო დიდო ათენო,
შემიბრალებდე ოიდიპოს მეფის საბრალო
აჩრდილს, რამეთუ არსადღაა ძველი სხეული.

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

იყუჩე, მამა, კარგად ვხედავ, შენს სანახავად
აქეთკენ მოდის უხუცესთა უცხო კრებული.

ო ი დ ი პ ო ს ი

მე გავჩუმდები, შენ კი, მოდი, გადამიყვანე
გზიდან ჭალაში, ვიდრე მათგან არ გავიგონებ,
თუ რას იტყვიან, აკი სწორედ ცოდნა იძლევა
იმის პირობას, ფრთხილად ვიყოთ ყოველ საქმეში.

პ ა რ ო დ ო ს ი

ქ ო რ ო

ს ტ რ ო ფ ი ა

შეხედე. ნეტავი ვინ იყო, სად გაქრა?

აქედან ნეტავი საითკენ წასულა იგი _ კადნიერთა
შორის ყველაზე კადნიერი?
ეძებე იგი თვალებით,
ყოველგან მიაპყარ სმენა.
ვიღაც მოხუცი ყარიბი _ იგი
უცხოა ალბათ; ამ წმინდა ტევრში
ვერ შებედავდა შესვლას ჩვენგანი,
ამ დაუძლეველ ასულთა შორის,
რომელთა სახელის გვაშინებს ხსენებაც,
გვერდს ვუვლით რომელთ და თვალსაც ვერ ვუსწორებთ,
უხმოდ, უსიტყვოდ ჩავუვლით მხოლოდ,
სულში კრძალული აზრით სავსენი,
ახლა კი ვიღაც მოსულა აქ და
წესი შეულახავს,
თუმც ყველგან ვეძებე მე იგი თვალებით,
აქამდე არ ძალმიძს,
გავიგო, მაინც რა იქნა იგი.

ს ი ს ტ ე მ ა ა

ო ი დ ი პ ო ს ი

აქა ვარ ის კაცი, რამეთუ ხმით ვხედავ,
როგორც იტყვიან.

ქ ო რ ო

ვაგლახ, ო ვაგლახ!
ეგზომ შემზარავი ხილვად და სასმენად.

ო ი დ ი პ ო ს ი

ამას გთხოვთ, უცხონო, ნუ ჩამთვლით მკრეხელად.

ქ ო რ ო

მფარველო კრონიდეს, ვინ არის ეს კაცი?

ო ი დ ი პ ო ს ი

ისა ვარ, ვის ხვედრსაც არავინ ეტყოდა
კარგსა და ბედნიერს. ამ მიწის პატრონნო,
ხომ ცხადზე ცხადია, ხომ აღარ ვივლიდი
მე სხვისი თვალებით,
ან თავად წლოვანი ამ ბალღის წყალობით?

ა ნ ტ ი ს ტ რ ო ფ ი ა

ქ ო რ ო

ვაგლახ, ო, თვალებით სინათლე-დამქრალო,
ო, ნუთუ ეგეთი ბედშავი ყოფილხარ? ვხედავ, ცხოვრება
გრძელი გაქვს განვლილი და მძიმეც.
თუმცაღა რამდენადაც ძალმიძს,
ვეცდები არ შეგმატო ტანჯვა.
შედიხარ,
შედიხარ, მაგრამ ჯოგს არ შეხვიდე
მდუმარე ტევრის სიღრმეში, სადაც,
მწვანე ბალახით მორთულ მდელოზე
წმინდა ჭურჭელი ერთურთს შეურევს
თაფლიან სასმელს და წყალს ნაკადულისას.
ო, იმათ ერიდე, ბედშავო უცხოვ,
განვედ, გაშორდი ამ ადგილს, ჩქარა,
დიდი მანძილი იქმნას ჩვენ შორის.
ხომ გაიგონე, ტანჯულო მწირო?
ან იქნებ ის გინდა,
პასუხი მომიგო. მაშ, მოდი, აქ დადექ,
იქ, სადაც ყველას აქვს
უფლება დგომისა. მანამ კი დადუმდი.

ს ი ს ტ ე მ ა ბ

ო ი დ ი პ ო ს ი

რა მოვიფიქროთ, რაღა ვქნათ, შვილო?

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

რაც ამათ სწადიათ, ისა ვქნათ, ძვირფასო,
დავუთმოთ, რაცა ხამს, ვისმინოთ ამათი.

ო ი დ ი პ ო ს ი

მაშ, ხელი მომკიდე.

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

მე უკვე გეხები.

ო ი დ ი პ ო ს ი

თქვენდამი დანდობილს და თქვენთან გადმოსულს,
ნურაფერს დამაწევთ, უცხონო, უკეთურს.

ს ტ რ ო ფ ი ბ

ქ ო რ ო

ვერვინ, ვერასდროს გაგაძევებს ძალმომრეობით,
მოხუცო კაცო, ამ ლოდებიდან.

ო ი დ ი პ ო ს ი

კმარა თუ არა?

ქ ო რ ო

უფრო წინ მოდექ.

ო ი დ ი პ ო ს ი

კიდევ...

ქ ო რ ო

ქალწულო, წინ გამოუძეხ,
შენ ხომ ყველაფერს კარგად ხედავ.

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

მომენდე, მამა, გაგიძღვები და
უკან გამომყევ ბრმა ნაბიჯებით.

ო ი დ ი პ ო ს ი

. . . . . .

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

. . . . . .
. . . . . .

ო ი დ ი პ ო ს ი

. . . . . .
. . . . . .

ქ ო რ ო

უცხოვ უცხოთ შორის, ტანჯულო,
გადაწყვიტე და ზიზღით განაგდე
ჩვენი ქვეყნისთვის მიუღებელი,
ხოლო მისაღები შეიყვარე

ს ი ს ტ ე მ ა ბ

ო ი დ ი პ ო ს ი

მაშ, წამიყვანე, ჩემო ძვირფასო,
სადაც ღვთისმოსავ ზრახვით განმსჭვალულთ თქმაც შეგვეძლება

და საპასუხო სიტყვის მოსმენაც.
ნუ შევეურჩებით უცილოდ მოსახდენს.

ა ნ ტ ი ს ტ რ ო ფ ი ბ

ქ ო რ ო

აქეთ წამოდი. შეჩერდი და ამ ლოდის ძგიდეს
ნუღარ გასცდები, ბედკრულო კაცო.

ო ი დ ი პ ო ს ი

აქ ვიყო?

ქ ო რ ო

აკი გითხარი, კმარა!

ო ი დ ი პ ო ს ი

ვიდგე თუ დავჯდე?

ქ ო რ ო

ლოდზე დაჯექი
და დაბლა გვერდზე დაიხარე.

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

მამა, მომენდე, მშვიდად და წყნარად
ნაბიჯი შენი მიადგი ნაბიჯს.

ო ი დ ი პ ო ს ი

ვაგლახ, ო, ვაგლახ!

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

შენი სუსტი და მოხუცი ტანით
ხელებს მიენდე მოსიყვარულეს.

ო ი დ ი პ ო ს ი

ო, მძიმე ხვედრო!

ქ ო რ ო

ბედკრულო, ახლა, როცა დამშვიდდი,
გაბედე, გვითხარ, ვინ გშობა ქვეყნად,
აქ რამ მოგიყვანა აგრერიგ ტანჯული.
რას მოგვიყვები შენს სამშობლოზე.

ეპოდოსი

ო ი დ ი პ ო ს ი

ო, უცხო კაცნო,
გამაძევეს, ოღონდ... ო, ოღონდ...

ქ ო რ ო

მაინც რას გვიკრძალავ, მოხუცო კაცო?

ო ი დ ი პ ო ს ი

ო, მეტად ნუღარ, ნუღარ ეცდები,
ვინაობაზე მკითხო რაიმე.

ქ ო რ ო

ვინა ხარ მაინც?

ო ი დ ი პ ო ს ი

ჩემი მოდგმა შემზარავია.

ქ ო რ ო

გვითხარი!

ო ი დ ი პ ო ს ი

ღმერთო, რა ვუთხრა, შვილო?

ქ ო რ ო

თქვი, უცხო კაცო, ვისი თემის ხარ,
ისიც გვითხარი, ვინ გშობა ქვეყნად.

ო ი დ ი პ ო ს ი

ვაიმე, ბედშავს, რაღა ვქნა, შვილო?

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

უკვე ზღურბლზე ხარ, უთხარი, მამა,

ო ი დ ი პ ო ს ი

კეთილი, ვეტყვი, ვერ ვმალავ უკვე.

ქ ო რ ო

ნუღარ აყოვნებ, ჩქარა გვითხარი.

ო ი დ ი პ ო ს ი

ლაიოსის ძე თუ იცით?

ქ ო რ ო

ვაგლახ!

ო ი დ ი პ ო ს ი

ძე ლაბდაკიდთა გვარისა?

ქ ო რ ო

ზევსო!

ო ი დ ი პ ო ს ი

ოიდიპოსი?

ქ ო რ ო

შენ ხომ არა ხარ?

ო ი დ ი პ ო ს ი

ნუ შეგაშინებთ, რასაც მე გეტყვით.

ქ ო რ ო

ვაგლახ, ო, ვაგლახ!

ო ი დ ი პ ო ს ი

მე ბედშავს.

ქ ო რ ო

ვაგლახ!

ო ი დ ი პ ო ს ი

ახლა რაღა ვქნათ, მითხარი, შვილო?

ქ ო რ ო

წადით, გაშორდით ამ მიწას ჩქარა.

ო ი დ ი პ ო ს ი

ვით აღასრულებ, რასაც შემპირდი?

ქ ო რ ო

ბოროტ წყენაზე შურისძიებას
აროდეს დასჯის, იცოდე, ბედი.
ტყუილს, სანაცვლოდ ტყუილმიგებულს,
ტანჯვა თუ მოაქვს მისი მთქმელისთვის.
ადექ, გაშორდი მაგ ადგილს ჩქარა
განვედ, შორს წადი ჩვენი მიწიდან;
რამე ახალი ჭირი

თავს არ დაატეხო ქალაქს.

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

წყალობით სავსე უცხოტომელნო,
ბოლომდე აღარ მოისურვეთ, რომ მოგესმინათ
მოხუც მამისთვის. არ ისურვეთ, რადგან შეიტყვეთ,
შეიტყვეთ ეგზომ უნებლიე მისი ცოდვები.
და აი, ახლა მე შეგთხოვთ ბედკრული,
მე მაინც შემინდეთ ამ ერთის მთხოვნელი,
მამა შეიბრალეთ ჩემი.
ო, გევედრებით. თავად შენ კი ჩემი თვალებით
ისევე გიცქერ მაგ თვალებში, თითქოს თქვენივე
სისხლისა ვიყო, თქვენიანი, ო, შეიწყალეთ
საბრალო მამა, ვით ღვთის ხელებში
სწორედ ისე ვართ თქვენს ხელში ახლა,
თუმც არც კი ველით, გადმოგვხედეთ წყალობის თვალით.
გავედრებ შენთვის უსაყვარლეს ბავშვს და მეუღლეს,
ქონებასა და კერის ღმერთსაც გავედრებ ცრემლით...
განა გიხილავს მოკვდავი კაცი
ღმერთისგან მონიშნულ
ბედს გაჰქცეოდეს?

პ ი რ ვ ე ლ ი ე პ ი ს ო დ ი ო ნ ი

ქ ო რ ო

ოიდიპოსის ქალიშვილო, კარგად იცოდე,
ეგზომ ბედშავნი, გვებრალები შენაც და ისიც.
მაგრამ დიადი და უკვდავი ღმერთების შიშით
რაიც გითხარით, იმაზე მეტს ვერაფერს გეტყვით.

ო ი დ ი პ ო ს ი

რა სარგებელი შეუძლია რომ მოიტანოს,
ხალხში დარხეულ დიდებას და მშვენიერ სახელს?
ამბობენ თითქოს ქალაქებში ათენიაო
ყველაზე მეტად ღვთისმოსავი, მას თუ ძალუძსო,
შეიფაროს და მიეშველოს ბედკრულ უცხოელს.
ნეტა სად არის ჩემდა მომართ ესე ყოველი,
თუკი ამ წმინდა ფუძეთაგან მაყენებთ ახლა
და შორს მაძევებთ სახელისგან შეშინებულნი,
განა საქმისგან ან თვით ჩემგან _ მე ჩემს საქმეებს
დათმენილს უფრო დავარქმევდი, ვიდრე ჩადენილს,
თქვენ ხომ ის გსურდათ, დედა-მამაზე მეუწყა რამე.
მე კარგად ვიცი, მათ გამოა ეგ თქვენი შიში.

მაინც როგორ ვარ მე ბუნებით ბოროტი ნეტავ,
თუკი საქმითვე ვუპასუხე ჩადენილ საქმეს?
განზრახ რომ მექნა, ამგვარადაც არ ვიქმდი ბოროტს.
თქვენთან მოსული არრასმცოდნე მოვსულვარ სულაც,
მათგან კი სწორედ მცოდნეთაგან ვევნე ესოდენ.
ღმერთებს გაფიცებთ, დამიცავით, რახან შემპირდით.
ღმერთების შიშით ნურასოდეს შელახავთ მეტად
უკვდავთა შორის ღირსეულსაც ხედავენ მუდამ
და უღირსებსაც ჭვრეტენ მათში. მათგან გაქცევას
ვეროდეს შეძლებს უსამართლო ვინმე მოკვდავი.
სწორედ მათ გამო ვდგავარ ახლა თქვენ წინ, უცხონო,
დე, ნუ ჩაიდენთ, ნუ შელახავთ უღირსი საქმით
სვეკეთილი და დიდებული ათენის სახელს,
არამედ ისე, ვით მიმიღეთ ხელშეუხები
მავედრებელი დამტოვეთ და დამიცავთ კიდეც.
ნუ დამამცირებთ სახილველად ეგზომ შემზარავს;
ღმერთშემოსილი და წმინდანი მოვსულვართ თქვენთან
და სარგებელიც დიდი მომაქვს ათენელთათვის.
როცა მეუფე მოვა ვინმე, თქვენი პატრონი,
მაშინ მოისმენთ, ყოველივეს მაშინ გაიგებთ,
ხოლო მანამდე არაფერი არ ქმნათ ბოროტი.

ქ ო რ ო

ჰოი, მოხუცო, უეჭველი მოწიწების და
კრძალვის ღირსია შენი აზრი, შენი სიტყვები
როდი არიან უსრულონი, ისე ვით ადრე.
დაე, ამ ქვეყნის მეუფეთა განბჭონ ისინი.

ო ი დ ი პ ო ს ი

მაგრამ სად არის ქვეყნის მეფე, უცხოტომელნო?

ქ ო რ ო

თავისი მამის და წინაპრის დიად ქალაქში,
მასაც ეტყოდა ალბათ მაცნე, ჩვენ რომ შეგვყარა.

ო ი დ ი პ ო ს ი

ო, ნუთუ მართლა მიწყალობებს ეგოდენ ზრუნვას,
რომ ბრმა ბერიკაცს აქ მეახლოს თავისი ფეხით?

ქ ო რ ო

ძალზე უხვადაც, თუ სახელი უხსენეს შენი.

ო ი დ ი პ ო ს ი

ჰო, მაგრამ ნეტავ ვინ აუწყებს ამ ამბავს მეფეს?

ქ ო რ ო

გზა გრძელი არის მეტისმეტად, მაგრამ მგზავრები
საკმაოდ სწრაფად ავრცელებენ სამეფოს ამბებს,
ეტყვიან მას და უმალ შენკენ გამოსწევს იგი.
შენს სახელს ყველა კარგად იცნობს, რაწამს ამცნობენ
შენ მოგაშურებს, ნებიერად ეძინოს თუნდაც.

ო ი დ ი პ ო ს ი

მისივე ქვეყნის და თვით ჩემდა საბედნიეროდ
მოვიდეს იგი _ ვინ არ არის თავის მოკეთე.

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

ო, კრონიდესო! რა ვიფიქრო, ან რა ვთქვა, მამა?

ო ი დ ი პ ო ს ი

რა მოხდა, ჩემო ანტიგონე?

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

ვიღაცა ქალი
აქეთკენ მოდის ეტნურ კვიცზე ამხედრებული,
თესალიური ქუდი მალავს ქალის პირსახეს
თავისი ფართო ფარფლისაგან მომდგარი ჩრდილით.
რა ვთქვა?
მართლა ის არის, თუ არ არის, ხომ არ ვტყუვდები?
ხან ამას ვფიქრობ, ხანაც იმას. ვერაფერს ვამბობ.
ბედშავო...
არა, არ ვცდები. შორიდანვე მეალერსება
გაბრწყინებული მისი სახე და მისი მზერა,
ეჭვი არ არის, ჩემს სანუკველ ისმენეს ვხედავ.

ო ი დ ი პ ო ს ი

როგორ თქვი, შვილო?

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

შენ შვილს ვხედავ, ძვირფასო მამა,
შენ შვილს და ჩემს დას, უკვე ხმებიც გარკვევით მესმის.

ი ს მ ე ნ ე

ო, რა ტკბილია და ძვირფასი ეგ თქვენი ხმები _
დისა და მამის! ძლივს გიპოვეთ და აი, ახლაც

გიყურებთ თქვენ და ძლივსღა გარჩევთ მწუხარებისგან.

ო ი დ ი პ ო ს ი

მოხვედი, შვილო!

ი ს მ ე ნ ე

რა ბედშავი ყოფილხარ, მამა!

ო ი დ ი პ ო ს ი

შვილო, აქა ხარ!

ი ს მ ე ნ ე

ჰო, აქა ვარ, ძლივს მოგაღწიე.

ო ი დ ი პ ო ს ი

ხელი მომკიდე!

ი ს მ ე ნ ე

ჰა, ორთავეს გეხვევით, მამა.

ო ი დ ი პ ო ს ი

დაო და შვილო!

ი ს მ ე ნ ე

ცხოვრებაო ეგზომ მძიმეო!

ო ი დ ი პ ო ს ი

ჩვენ ორზე ამბობ?

ი ს მ ე ნ ე

და აგრეთვე ჩემს ბედშავ თავზეც.

ო ი დ ი პ ო ს ი

რამ მოგიყვანა მაინც, შვილო?

ი ს მ ე ნ ე

შენ გამო ზრუნვამ.

ო ი დ ი პ ო ს ი

ნახვა მოგწყურდა?

ი ს მ ე ნ ე

ჰო და თანაც ამბები მომაქვს
ამ კაცთან ერთად, უერთგულეს მონად რომ შემრჩა.

ო ი დ ი პ ო ს ი

თქვი, შენი ძმები რაღას იქმენ ან სად არიან?

ი ს მ ე ნ ე

სადაც არიან, საშინელი რამ სჭირს ორთავეს.

ო ი დ ი პ ო ს ი

ჰოი, რაოდენ მსგავსი არის მათი ყოფა და
მათი ბუნება ეგვიპტური ადათ-წესების.
ამ ქვეყნის კაცნი ჩვეულებრივ სახლში სხედან და
ქსელსა ბეჭავენ, ცოლები კი ამნაირ კაცთა
ნიადაგ კარში ირჯებიან სარჩოს გულისთვის.
თქვენაც აგრე ხართ; იმათ, ვისაც ზრუნვა შეჰფერის,
ქალწულებივით ჩაკეტილან თავიანთ სახლში,
თქვენ კი მათ ნაცვლად იზიარებთ ესოდენ მძიმე
ჩემს კუთვნილ ტანჯვას. აჰა, ესეც _ რაწამს ყრმობიდან
გამოვიდა და მოიმაგრა ნორჩი სხეული _
ბედშავი მუდამ თან დამყვება და უსინათლოს
მუდამ ერთგულად დამატარებს ტყესა და ღრეში.
ხშირად ატყდება უხამურს და ულუკმაპუროს
წვიმების თქეში, ხშირად ტანჯავს მზის სიმხურვალე.
საოცრად მტკიცე არად აგდებს იგი მშობლიურ
სახლში ცხოვრებას, ლუკმაპური თუ ექნა მამას.
შენ კი, ო, შვილო, ჯერაც ადრე შენს ბედკრულ მამას
კადმოსელთაგან იდუმალად რომ მომიტანე
ჩემს ცხოვრებაზე ნამისნევი ქურუმთა სიტყვა,
ერთგული დარჩი, თებედან რომ გამომაძევეს.
და აი ახლაც მამისათვის ნეტავ რა სიტყვა
მოგაქვს, ისმენე, სამშობლოდან გრძელი გზით მოსულს.
ან იქნებ მართლაც არ აპირებ ავის უწყებას.

ი ს მ ე ნ ე

თუ რანაირი ტანჯვა ვნახე, ძვირფასო მამა,
როდესაც შენსას ვეძიებდი ადგილ-სამყოფელს,
არ გეტყვი, რადგან აღარა მსურს, გავიხსენო და
კვლავ განვიცადო ერთგზის უკვე განცდილი ტანჯვა,
მე იმ ამბავთა საუწყებლად მოვსულვარ შენთან,
შენს ბედუკუღმართ ვაჟიშვილებს რომ სჭირთ ამჟამად.
ჯერ აგრე სურდათ, კრეონტისთვის დაეთმოთ ტახტი.
ამით ახალი ბიწისაგან ეხსნათ ქალაქი.
საგვარეულო წყევლას ჭვრეტდნენ და ავბედობას,
წყევლას, რომელიც გაუხარელ შენ სახლში მკვიდრობს.

ახლა კი ღმერთთა ნებითა და თვით მათი ავი
გონების ძალით შუღლს მიეცნენ სამგზის ბედშავნი.
მმართველობა სურთ და ტირანის ძალაუფლება.
და, ჰა, ასაკით უმცროსი და გვიან შობილი
ტახტს ართმევს ადრე დაბადებულ პოლინიკეს და
შორს განაძევებს სამშობლოდან. და ის კი თურმე _
ასეთი ხმები გავრცელდა და დაირხა ჩვენში, _
შორეულ არგოსს გაქცეულა, ახალ მოყვრებს და
ახალ მეგობრებს იძენს თურმე. აგრე ჰგონია,
ან დაიპყრობსო თვით არგოსი კადმეის დაბლობს,
ან ისევ თვით მას ატყორცნისო მაღალ ზეცაში.
ფუჭი სიტყვები როდი არის, რაც მე გითხარი,
არამედ საქმე საშინელი, მე კი არ ვიცი,
ვით მოულბებათ შენს ტანჯვაზე გული უკვდავებს.

ო ი დ ი პ ო ს ი

ნუთუ ისევ გაქვს ნუგეში და იმედი, ღმერთებს
ჩემი თავი აქვთ, რომ ესოდენ ბედშავს მიშველონ?

ი ს მ ე ნ ე

უცილოდ, მამა, თუკი ახალ ნამისნს ვენდობით.

ო ი დ ი პ ო ს ი

ჰო, მაგრამ რომელს, რას გვაუწყებს ეს ნამისნევი?

ი ს მ ე ნ ე

მას, რომ ოდესმე თავისათვის საკეთილდღეოდ
მკვდარს ანდა ცოცხალს დაგიწყებენ ძებნას თებელნი.

ო ი დ ი პ ო ს ი

ამგვარი კაცი რა სიკეთეს მოვუტან ვინმეს?

ი ს მ ე ნ ე

მისნობა ამბობს, შენშიაო იმათი ძალა.

ო ი დ ი პ ო ს ი

ოდეს არცა ვარ, ნუთუ სწორედ ამ დროს ვარ კაცი?

ი ს მ ე ნ ე

ადრე დაცემულს კვლავ გაღზევებს უკვდავთა მოდგმა.

ო ი დ ი პ ო ს ი

ყრმად დაცემული მოხუცი სურთ რომ ამაყენონ?

ი ს მ ე ნ ე

იცოდე მამა, რომ კრეონტი განა თუ გვიან,
სულ მცირე ხანში გეახლება ამ საქმისათვის.

ო ი დ ი პ ო ს ი

რა განზრახვა აქვს, რას მიპირებ, მითხარი, შვილო.

ი ს მ ე ნ ე

სურთ, რომ კადმოსის მიწის ახლოს გაცხოვრონ შენ და
მათ ხელში იყო, ქალაქში კი არროს შეგიშვან.

ო ი დ ი პ ო ს ი

რაც გარეთაა, სარგებელი რა არის მისგან?

ი ს მ ე ნ ე

ავი იქნება მათთვის შენი სამარის ტვირთი.

ო ი დ ი პ ო ს ი

ღმრთის გარეშედაც, გონებითაც მიწვდები ამას.

ი ს მ ე ნ ე

ამის გამოა, ქალაქის წინ რომ სურთ გაცხოვრონ,
სურთ, რომ პატრონი აღარ იყო შენი თავისა.

ო ი დ ი პ ო ს ი

მიწას თუ მაინც დამაყრიან ჩემი ქალაქის?

ი ს მ ე ნ ე

არ შეიწყნარებს ამას, მამა, დაღვრილი სისხლი.

ო ი დ ი პ ო ს ი

მაშინ ისინიც ვერ დამძლევენ ვეღარასოდეს.

ი ს მ ე ნ ე

ოდესმე ტვირთად დააწვებათ კადმოსელთ ეგე.

ო ი დ ი პ ო ს ი

ჰო, მაგრამ როგორ, მაინც რისგან, ჩემო ასულო?

ი ს მ ე ნ ე

შენი რისხვისგან, შენს საფლავთან რომ დადგებიან.

ო ი დ ი პ ო ს ი

ვისგან შეიტყვე ყველაფერი, რაც მე გითხარი?

ი ს მ ე ნ ე

დელფოს კერიდან დაბრუნებულ მლოცველებისგან.

ო ი დ ი პ ო ს ი

ფოიბოსმა თქვა, რომ ასეთი მომელის ხვედრი?

ი ს მ ე ნ ე

აგრე ამბობდნენ თებეს დაბლობს დაბრუნებულნი.

ო ი დ ი პ ო ს ი

ჩემმა ვაჟებმა თუ გაიგეს ამაზე რამე?

ი ს მ ე ნ ე

მათაც შეიტყვეს და ორივემ მშვენივრად იცის.

ო ი დ ი პ ო ს ი

და მას შემდეგაც, უკეთურთა რა ეს შეიტყვეს,
ტირანის ტახტზე გადაცვალეს მამაშვილობა?!

ი ს მ ე ნ ე

ტკივილით ვამბობ თუმცა ამას, მე მაინც ვამბობ.

ო ი დ ი პ ო ს ი

დაე, ნუროდეს დააქრობენ უკდავნი ღმერთნი
მათ ბედისმიერ შუღლს და მტრობას, დე, თავად ჩემით
მოეღოს ბოლო მათ შუღლსა და მათ ორთაბრძოლას.
ბრძოლას, რომელშიც შუბით ლეწენ ერთმანეთს ძმები.
ისე, რომ არც ის არ გადარჩეს, ვინაც კვერთხსა და
ტახტსა ფლობს ახლა და არც იგი დაბრუნდეს როსმე,
ვინც გააძევეს; მათ ხომ ორთა მე _ მათი მამა _
არც კი დამიცვეს, სამშობლოდან ასე უღირსად.
ეგების თქვა, რომ თვით მე მსურდა ეს და ქალაქიც
ჩემი სურვილის თანახმადვე მოიქცა აგრე.
არა და არა, სწორედ იმ დღეს და სწორედ მაშინ,
როდესაც სული მიდუღდა და ოდეს ბორგნეულს
დაქოლვა მწადდა და სიკვდილი მიჩნდა საამოდ,
მაშინ არავინ ამისრულა ეგ ჩემი ნატვრა.
მერმე კი, როცა დამიამდა მწარე ტკივილი,
და როცა მივხვდი, რომ უზომო ამ ჩემმა რისხვამ
უფრო სასტიკად მაზღვევინა, ვიდრეღა ამას
იმსახურებდა შეცდომები, ქალაქმაც სწორედ,
სწორედ მაშინღა მოინდომა ჩემი განკვეთა.
მათ კი _ ღვიძლ შვილებს, თუმც შეეძლოთ დამხმარებოდნენ,

არც კი ისურვეს მამისათვის ეღონათ რამე.
სიტყვაც არა თქვეს და მათხოვრად გამწირეს მამა.
და, აჰა, ჩემი ასულები, რამდენადაც კი
ბუნება აძლევთ ამის ძალას, მუდამ ცდილობენ,
საფრთხეს მარიდონ და საზრდელი მიშოვონ მოხუცს.
ჩემმა ნაქებმა ვაჟებმა კი მშობლის მაგივრად
ტახტსა და კვერთხს და მიწის მართვას დაადგეს თვალი.
ისინი ვერროს იხილავენ ჩემში თანამდგომს,
არც კადმეაზე მმართველობა მისცემს სარგებელს
ოდესმე იმათ. განა მხოლოდ ისმენეს მიერ
აქ მოტანილი მისნობაა ამის დასტური!
ჯერ კიდევ ადრე ფოიბოსმა მამცნო იგივე.
ახლა კი, დაე, მომიგზავნონ თუნდაც კრეონტი,
ანუღა ვინმე სხვა ძლიერი მამრი თებესი.
რადგან, უკეთუ ისურვებთ და ო, უცხო კაცნო,
პატივმოსილი ღმერთქალების კრებულთან ერთად
სიმხნეს მოიკრებთ, დიად მხსნელად აღმავლენთ მაშინ
ამ მიწისათვის და მტერთათვის ჩემთა კი _ ტანჯვად.

ქ ო რ ო

მართლაც ღირსი ხარ, ოიდიპოს, და შენთან ერთად
ღირსი არიან სიბრალულის შენი ასულნიც.
და რახან სიტყვით გვევლინები ამ მიწის მხსნელად,
მეც მინდა ერთი სასარგებლო რჩევა რომ მოგცე.

ო ი დ ი პ ო ს ი

ჩემო ძვირფასო, ყველაფერზე მზადა ვარ ახლა.

ქ ო რ ო

დაე, განწმენდა აღასრულე ქალღმერთებისთვის,
ვისთანაც მოხველ და პატივი შელახე ვისიც.

ო ი დ ი პ ო ს ი

ჰო, მაგრამ როგორ, ო, მასწავლეთ, უცხოტომელნო.

ქ ო რ ო

უპირველესად მარად მედინ წყაროსთვალიდან
საკურთხი წყალი ამოიღე სუფთა ხელებით.

ო ი დ ი პ ო ს ი

მერმე რაღა ვქნა, წმინდა ნაკადს ავიღებ ოდეს.

ქ ო რ ო

კრატერებს ნახავ კაცის ხელით მარჯვედ ნაკეთებს,

დაე, თავები და ყურები შეამკე მათი.

ო ი დ ი პ ო ს ი

შალის ბაფთებით, რტოებით თუ კიდევ სხვა რამით?

ქ ო რ ო

ახლად შეჭრილი კრავის მატყლით შეამკე მხოლოდ.

ო ი დ ი პ ო ს ი

კეთილი, მაგრამ ამის შემდეგ რა აღვასრულო?

ქ ო რ ო

წყალი დაღვარე აისისკენ პირშექცეულმა.

ო ი დ ი პ ო ს ი

იმ ჭურჭლებიდან გადმოვღვარო, შენ რომ მითხარი?

ქ ო რ ო

სამივეთაგან, მესამე კი სრულად დასცალე.

ო ი დ ი პ ო ს ი

რითი შევავსო ის კრატერი, მასწავლე ეგეც.

ქ ო რ ო

წყლითა და თაფლით, არ გაბედო ღვინის გარევა.

ო ი დ ი პ ო ს ი

და როცა სითხით გაჯერდება მუქ-მწვანე მიწა?

ქ ო რ ო

ორივე ხელით ზეთისხილის სამგზის ცხრა ტოტი
ზედ დააწყვე და ამნაირით ილოცე ლოცვით.

ო ი დ ი პ ო ს ი

სწორედ ეგ მინდა მოვისმინო ყველაზე მეტად.

ქ ო რ ო

“მათ, ვისაც ვუხმობთ გულმოწყალეთ, დაე, გულით და
დაე, წყალობით შეიწყნარონ მავედრებელი!”
გინდ შენ ევედრე ან შენს ნაცვლად სხვა იყოს თუნდაც,
ხმის აუწევლად, ჩუმად წართქვი ლოცვის სიტყვები.
ნუ მოიხედავ, ასე ჩუმად წამოდი უკან.
შემწედ გექმნები, აღასრულებ უკეთუ ყოველს.
სხვარიგ კი შიში თუ მექნება შენ გამო მხოლოდ.

ო ი დ ი პ ო ს ი

გესმით, შვილებო, რა გვაუწყეს აქაურებმა?

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

გავიგეთ, მამა, და გვიბრძანე, როგორ მოვიქცეთ.

ო ი დ ი პ ო ს ი

თვით მე ვერ წავალ, რადგან ორი უბედურება _
უსინათლობა და სისუსტე _ მუდამ თან მახლავს.
დაე, თქვენგანმა აღასრულოს იგი ერთ-ერთმა,
რამეთუ ვფიქრობ, რომ ათასის ნაცვლად თვით ერთი
სულიც იკმარებს, თუ ერთგული იქნება საქმით.
თუმცაღა ახლა აჯობებს, რომ ვიჩქაროთ, მე კი
ნუ მიმატოვებთ მარტოდმარტო; არ შეუძლია
აკი ჩემს სხეულს მოძრაობა დაუხმარებლად.

ი ს მ ე ნ ე

დე, იყოს ასე, ყოველივეს მე აღვასრულებ,
მაგრამ მასწავლეთ, იქ როგორღა უნდა წავიდე.

ქ ო რ ო

ტევრის მიღმაა ის ადგილი, უცხო ასულო,
თუ რამ დაგჭირდეს, დარაჯს ჰკითხე იქავე მცხოვრებს.

ი ს მ ე ნ ე

აჰა, მივდივარ, ანტიგონე, შენ კი დარჩი და
მამას მიხედე, შვილს, რომელიც მშობლებზე ზრუნავს,
მათდამი გარჯა არც კი უნდა მიაჩნდეს გარჯად.

კ ო მ მ ო ს ი

ს ტ რ ო ფ ი ა

საშინელია თუმც, უცხო კაცო, კვლავ გაღვიძება
იმ დამარხული ძველი ცოდვის,
ძლიერ მწადია, რომ შევიტყო...

ო ი დ ი პ ო ს ი

რა გწადს, შეიტყო?

ქ ო რ ო

სავალალო და გარდაუვალი
ტანჯვა განმიცხადე შენი.

ო ი დ ი პ ო ს ი

სტუმარმასპინძლობის გამო
ნუ გამამხელინებ ცოდვებს.

ქ ო რ ო

ყველგან რომ ისმის და რომ არ ცხრება,
მასზე მწადია მართლის გაგება.

ო ი დ ი პ ო ს ი

ვაგლახ, მე ბედშავს!

ქ ო რ ო

გთხოვ, დამიჯერე, ნებას დამყევი

ო ი დ ი პ ო ს ი

ვაგლახ, ო, ვაგლახ!

ქ ო რ ო

ნებას დამყევი, აკი თავად გისრულებ წადილს.

ა ნ ტ ი ს ტ რ ო ფ ი ა

ო ი დ ი პ ო ს ი

ო, ჩავიდინე, ჩავიდინე ის ავი საქმე,
თუმცა ღმერთია ამის მოწმე _
ჩემი სურვილით არ მიქნია.

ქ ო რ ო

მაშ, როგორ მოხდა?

ო ი დ ი პ ო ს ი

ავბედ ქორწილით შემკრა ქალაქმა
სრულიად არაფრის მცოდნე.

ქ ო რ ო

ნუთუ დედაშენის ბედშავ
საწოლზე იწექი მართლა?

ო ი დ ი პ ო ს ი

ოჰ, სიკვდილია ამის მოსმენა,
უცხოვ, ესენი ორივე ჩემი...

ქ ო რ ო

რისი თქმა გინდა?

ო ი დ ი პ ო ს ი

ასულნი, ორი სატანჯველი...

ქ ო რ ო

ზევსო, ო, ზევსო,

ო ი დ ი პ ო ს ი

ჩემივე დედის ტკივილებით იშვნენ ისინი.

ს ტ რ ო ფ ი გ

ქ ო რ ო

ასულნი არიან?

ო ი დ ი პ ო ს ი

და ორი ღვიძლი და...

ქ ო რ ო

ვაგლახ!

ო ი დ ი პ ო ს ი

ო, ვაგლახ, ათასი სიავის ვიწვნიე კვეთება.

ქ ო რ ო

შენ განიცადე...

ო ი დ ი პ ო ს ი

განვიცადე აუტანელი.

ქ ო რ ო

შენ ჩაიდინე...

ო ი დ ი პ ო ს ი

მე, ო, არა!

ქ ო რ ო

მაშ, ვინღა?

ო ი დ ი პ ო ს ი

ძღვენი
ავიღე, რომელიც აროდეს არ უნდა
ამელო ბედშავს ვალში მყოფი ქალაქისაგან.

ა ნ ტ ი ს ტ რ ო ფ ი გ

ქორო, ბედკრულო! მოკალი...

ო ი დ ი პ ო ს ი

ვინ? რა გსურს უწყოდე?

ქ ო რ ო

მამა?

ო ი დ ი პ ო ს ი

ო, ვაგლახ, პირველზე მეორეს მაყენებ ჭრილობას.

ქ ო რ ო

აკი მოკალი...

ო ი დ ი პ ო ს ი

ჰო, მოვკალი. მაგრამ მე მქონდა...

ქ ო რ ო

რა გქონდა?

ო ი დ ი პ ო ს ი

ის, რაც გამამართლებს.

ქ ო რ ო

და მაინც?

ო ი დ ი პ ო ს ი

გეტყვი.
განა მე განზრახ მოვკალი და დავღუპე იგი;
კანონით სუფთა არრასმცოდნე ვიქმდი ამ საქმეს.

მ ე ო რ ე ე პ ი ს ო დ ი ო ნ ი

ქ ო რ ო

და, აჰა, ისიც, ეგევსის ძე, მეუფე ჩვენი
უკვე აქ არის, აქ მოსულა შენგან ხმობილი.

თ ე ს ე ვ ს ი

ადრეც მსმენია მრავალთაგან, ადრეც ვიცოდი,
ვით დაისისხლე და შენივე ხელით დაიქრე
ეგ შენი თვალნი, ლაიოსის ძეო, გზაზედაც
მამცნეს შენზე და უფრო მეტად შეგიცან ახლა,
ოდეს სამოსი და საზარი ეგ შენი სახე
ცხადს ხდიან ჩემთვის, თუ ვინა ხარ, მე მებრალები
და ამიტომაც, ოიდიპოს, მინდა შევიტყო,
თუ რა გსურთ ჩემი ქალაქისგან ან თავად ჩემგან

შენ და შენსავით სვეუბედურ მაგ შენს თანამდგომს.
მითხარ, რამეთუ ეგზომ მძიმეს, რას მეტყვი განა,
მე რომ უარით გაგისტუმრო. მე, ვინაც თავად
უცხოობაში ვიზრდებოდი ადრე შენსავით
და სამშობლოსგან მოცილებულს ყველაზე მეტი
განსაცდელი და უბედობა დამატყდა თავზე.
სწორედ ამიტომ არცერთ უცხოს _ შენი არ იყოს _
უარს არასდროს არ ვეტყოდი დახმარებაზე.
რამეთუ ვიცი, რომ კაცი ვარ და რომ ამიტომ,
ხვალინდელ დღისგან შენსაზე მეტს არაფერს ველი.

ო ი დ ი პ ო ს ი

მოკლე სიტყვაშიც სულდიდი და კეთილშობილი
გამოჩნდი, თესევს, და ამიტომ არც მე შემრცხვება,
მოკლედ რომ გითხრა. შენ თავად თქვი, ვინა ვარ მე და
ვისი შვილი ვარ ან რომელი ქვეყნით მოსული.
ამადაც სხვას მე არრას გეტყვი, მას გეტყვი მხოლოდ,
შენგან რომ ველი და სათქმელსაც ამით მოვრჩები.

თ ე ს ე ვ ს ი

მაშ, სწორედ ეგ თქვი, რათა კარგად გავიგო იგი.

ო ი დ ი პ ო ს ი

მოვსულვარ, რათა უბედური ჩემი სხეული
ძღვნად მოგიბოძო. ღარიბია თუმც ხილვად იგი,
სარგებელს მასში მეტს იპოვი, ვიდრე მშვენებას.

თ ე ს ე ვ ს ი

ჰო, მაგრამ მაინც რა სარგებლით მოხვედი ჩემთან?

ო ი დ ი პ ო ს ი

მოვა ამის დრო და გაიგებ, ჯერ ნურას მკითხავ.

თ ე ს ე ვ ს ი

მაინც როდისთვის განცხადდება ეგ სარგებელი?

ო ი დ ი პ ო ს ი

როცა მოვკვდები და შენ მიერ დავიმარხები.

თ ე ს ე ვ ს ი

შენ აღსასრულზე მევედრები, ცხოვრების გზას კი
ან ივიწყებ და ან არაფრად აგდებ სრულიად.

ო ი დ ი პ ო ს ი

ჰო, რადგან იგი თავს მანდ იყრის, მანდ იკრიბება.

თ ე ს ე ვ ს ი

მაგრამ წყალობას მეტისმეტად მცირეს მთხოვ მართლაც.

ო ი დ ი პ ო ს ი

კარგად იცოდე, საშინელი იქნება ბრძოლა.

თ ე ს ე ვ ს ი

რა ბრძოლა? შენი ვაჟებისა? ან იქნებ ჩემი?

ო ი დ ი პ ო ს ი

შვილები ძალას მოიხმარენ ჩემს წასაყვანად.

თ ე ს ე ვ ს ი

უკეთუ ეგ სურთ, არც შენ გარგებს, რომ განერიდო.

ო ი დ ი პ ო ს ი

მე რომ ვითხოვდი, სწორედ მაშინ გამაგდეს იმათ.

თ ე ს ე ვ ს ი

უბედობის ჟამს არას გარგებს, ბედშავო, რისხვა.

ო ი დ ი პ ო ს ი

მაშინ მირჩიე, როს გაიგებ; ახლა _ მისმინე.

თ ე ს ე ვ ს ი

მაუწყე, რადგან არ შემფერის ზრახება უცებს.

ო ი დ ი პ ო ს ი

ყველაზე დიდი ბოროტება დამატყდა თავზე.

თ ე ს ე ვ ს ი

ძველ ავბედობას ხომ არ ამბობ შენი გვარისას?

ო ი დ ი პ ო ს ი

არა! ამას ხომ ელინთაგან ყველა გაჰყვირის.

თ ე ს ე ვ ს ი

ამაზე უფრო საშინელი რა გელის მაინც?

ო ი დ ი პ ო ს ი

აი, თუ რა მჭირს _ უმოწყალოდ გამომაძევეს
ჩემი მიწიდან თვით ჩემივე ვაჟიშვილებმა

და ვერც ოდესმე დავბრუნდები ვით მამისმკვლელი.

თ ე ს ე ვ ს ი

რადღა გიხმობენ, თუკი ცალკე იცხოვრებთ კვლავაც?

ო ი დ ი პ ო ს ი

ღვთიური ბაგე აიძულებს, ასე მოიქცნენ.

თ ე ს ე ვ ს ი

რა შიში არის, მათ რომ ტანჯავს ამ მისნობიდან?

ო ი დ ი პ ო ს ი

ის, რომ უცილოდ ეს ქვეყანა დაღუპავს იმათ.

თ ე ს ე ვ ს ი

მაინც რამ უნდა ჩამოაგდოს ჩვენ შორის მტრობა?

ო ი დ ი პ ო ს ი

ჰოი, ეგევსის სანუკველო ძეო, მარტოდენ
ღმერთებს არ უწევთ სიბერე და ანდა სიკვდილი.
სხვას კი ყველაფერს ჟამი მუსრავს ყოვლისმძლეველი.
ილევა ხოლმე მიწის ძალაც, ძალაც სხეულის,
კვდება ნდობა და უნდობლობა იშვის იმის წილ.
არც მეგობრებში, არც ქალაქთა შორის არ მკვიდრობს
კეთილგანწყობა ურყევი და შეუქცეველი.
ზოგისთვის ადრე, ზოგისთვისაც მოგვიანებით
ამო სიყვარულს კვლავ სიმწარე შეცვლის რაიმე.
და თუკი თებეს ნათელი დღე ადგას ამჯერად
და კარგად არის იგი შენთან, ხანგრძლივი ჟამი
დღეთა კვალდაკვალ აურაცხელს წარმოშობს ღამეს
და მათ სრბოლაში ამჟამინდელ ამ მეგობრობას
მცირე სიტყვისთვის გაფანტავენ მძლავრი შუბები;
და მაშინ ჩემი ცივი გვამი, მიწად ჩაფლული,
მათ ცხელ სისხლს შესვამს, თუკი ზევსი ზევსია კვლავაც
და ნათელია აპოლლონიც მისგან ნაშობი.
თუმცაღა არ ხამს, დაფარულზე ვიუბნო ახლა.
მომეცი ნება, არ გაუწყო და შენგან მხოლოდ
ნდობას ვითხოვდე ძველებურად და თუკი ღმერთნი
არ მატყუებენ, არც შენ იტყვი, რომ ოიდიპოსს
ამაოდ მიეც შესაფარი ამ შენს მიწაზე.

ქ ო რ ო

მეფეო, იგი ადრეც აგრე ამბობდა, თითქოს
ამგვარ სარგებელს მოუტანდა ამ ჩვენს ქვეყანას.

თ ე ს ე ვ ს ი

განა კი ვინმე უკუაგდებს ამგვარი კაცის
კეთილგანწყობას, რომლისთვისაც, ვით მეგობრისთვის,
ზიარი არის დასაბამით ეს ჩვენი კერა?
ესეც არ იყოს, თვით ღმერთქალთა მავედრელია
და ძღვენსაც მცირეს არ გვპირდება მე და ჩემს მიწას.
მეც ყოველივე ამის გამო არ უკუვაგდებ
მადლს ამ კაცისას, დე, იცხოვროს ამ ჩვენს მიწაზე.
თუკი აქ ნებავს სტუმარს მოცდა, მაშინ შენ დარჩი
მასთან დარაჯად. ან, თუ უნდა, თვით მე წამომყვეს.
ამოირჩიე, ოიდიპოს, რა გირჩევნია,
მე კი ყველაფერს აგისრულებ რასაც ინებებ.

ო ი დ ი პ ო ს ი

ყოველი მადლი მიანიჭე, ზევსო, ასეთ კაცს.

თ ე ს ე ვ ს ი

და მაინც რა გსურს? ჩემს პალატში წამოხვალ იქნებ?

ო ი დ ი პ ო ს ი

ნეტავ შემეძლოს. მაგრამ ეს ხომ ის ადგილია...

თ ე ს ე ვ ს ი

რა განგიზრახავს ამ ადგილას? თქვი, არ დაგიშლი.

ო ი დ ი პ ო ს ი

სადაც ისინი უნდა ვძლიო, ვინც გამაძევა.

თ ე ს ე ვ ს ი

აკი აქა ხარ. იქნებ მართლაც დიდ ძღვენს მპირდები.

ო ი დ ი პ ო ს ი

უკეთუ საქმით უერთგულებ შენსავე სიტყვებს.

თ ე ს ე ვ ს ი

გჯეროდეს ჩემი და მომენდე; არ გიღალატებ.

ო ი დ ი პ ო ს ი

ფიცი რომ გთხოვო, როგორც უღირსს, ვერ გკადრებ ამას.

თ ე ს ე ვ ს ი

ამ სიტყვაზე მეტს შენ ის ფიცი არრას მოგცემდა.

ო ი დ ი პ ო ს ი

მაშ, რას მიპირებ?

თ ე ს ე ვ ს ი

რა გაშინებს ყველაზე მეტად?

ო ი დ ი პ ო ს ი

ისინი მოვლენ.

თ ე ს ე ვ ს ი

დე, ამაზე ამათ იზრუნონ.

ო ი დ ი პ ო ს ი

მიმატოვებ და...

თ ე ს ე ვ ს ი

ნუ მასწავლი, რა გავაკეთო.

ო ი დ ი პ ო ს ი

და მაინც ვშიშობ.

თ ე ს ე ვ ს ი

გული ჩემი არ შიშობს სულაც.

ო ი დ ი პ ო ს ი

არ იცი მათი დანაქადნი...

თ ე ს ე ვ ს ი

მე ვიცი, ჩემი
ნების გარეშე ვერ წაგიყვანს აქედან ვერვინ.
ამაო არის ქადება და ცხელ გულზე თქმული
გრძელი სიტყვები მუქარისა. დაუბრუნდება
გონება მთქმელს და განქარდება ის დანაქადნიც.
დაე, ისინიც დაგემუქრონ და დაგექადნონ
შენი წაყვანით, მე კი ვიცი _ აქეთ წამოსულთ
ძნელად სავალი და ვრცელი ზღვა დახვდება იმათ.
ასე რომ, მხნედ და მშვიდად იყავ ჩემ გარეშედაც,
უკეთუ მართლაც ფოიბოსმა მოგგზავნა ჩემთან.
მე ისიც ვიცი, როცა შენთან აქ არ ვიქნები,
ჩემი სახელიც კი დაგიცავს სიავისაგან.

პირველი სტასიმონი

სტროფა

ქორო

ცხენებგანთქმული ამ დიად ქვეყნის
საუკეთესო კუთხეს მოსულხარ
თეთრ კოლონოსში, უცხოტომელო.
აქ ხომ ნიადაგ გალობს ბულბული,
ამ მწვანე ტევრში, ამ წმინდა ტევრში,
ხმაწკრიალა და სევდიანი,
შეფარებული მუქ-მწვანე სუროს,
ანდა კრძალულ და ღმრთისთვის შეწირულ
ნაყოფით მდიდარ, მარად უმზეო,
უზამთრისქარო
უსიერ ტევრში, იქ, სადაც დადის
აღტყინებული დიონისე, მისი გამზრდელი
ქალღმერთებისგან თანხლებული.

ანტისტროფა

ყოველდღე ზეცის ნამით ნაპკური
აქვე ნიადაგ ყვავის ნარცისიც
ლამაზმტევნება; ორი დიადი
ქალღმერთის ძველი გვირგვინი. აქვე
ოქროელვარე ყავის ზაფრანაც,
აროდეს სძინავთ და არ შრებიან
მარადმედინი შენაკადები
კეფისოსისა, არამედ მარად
ველებზე დის იგი და კამკამა წყლით
ანოყიერებს
მკერდფართო მიწას; ის არც მუზათა
ფერხულებს სძულთ და არც ხელებში ოქროს აღვირის
მპყრობელ ღვთაებრივ აფროდიტეს.

სტროფა

ის ხეც აქვეა, რომლის სადარი
არა მსმენია, აზიაში ხაროზდეს სადმე.
ანდა პელოფსის დიად დორიულ
კუნძულზე იზრდებოდეს თუნდაც,
ხელითურგავი, თვით-ამოსული,
მტრის იარაღთა ელდა,
იგი დიდად ხაროზს ამ ჩვენს ქვეყანაში _
ზეთისხილის ხე, ბავშვთა მზრდელი, ფოთოლნათელი.

მას ვერც ახალგაზრდა ხელყოფს მეუფე და
ვერც უხუცესი ქვეყნის მეფე,
აგრეა, რადგან ზევსის თვალი დასცქერის იმას,
თვალი ყველაფრის მხედველი და ყოვლის მცნობელი.
ათენაც მას ჭვრეტს თვალსხივოსანი.

ა ნ ტ ი ს ტ რ ო ფ ი გ

თუმცაღა სხვაც მაქვს უდიადესი
ქება-დიდება მშობლიური ჩემი ქვეყნისა;
ძღვენი დიადი დაიმონისა
მიწის დიდება: ტაიჭები და
ფიცხი კვიცები, ზღვაცა დიადი.
კრონოსის ძეო.
ო, პოესიდონ, შენ მიანიჭე
ჩვენს ქალაქს ეგზომ დიდი სახელი, რადგან პირველად
სწორედ აქ შეჰქმენ ცხენის აღვირი,
შენივე ნებით მისრიალებს ესოდენ სწრაფად
მძლავრი ნიჩბებით გაწყობილი ხომალდი ზღვაზე,
მიჰქრის და გვერდით ახლავს ასფეხა
ნერეიდების გუნდი.

მ ე ო რ ე ე პ ი ს ო დ ი ო ნ ი

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

მხარეო ეგზომ ქებულო და ქებაშესხმულო,
შენ ახლა უნდა გაამართლო შენი სახელი.

ო ი დ ი პ ო ს ი

ახალი მოხდა, შვილო, რამე?

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

კრეონტი მოდის
აქეთკენ, მამა, კრეონტი და მისი ამალა.

ო ი დ ი პ ო ს ი

ჰოი, ძვირფასო უხუცესნო, გამოაჩინეთ,
რომ ამ ერთხელაც დამიფარავთ ავბედობისგან.

ქ ო რ ო

მერწმუნე, კვლავაც შეგეწევი, მე თუ დავბერდი,
როდი მიხრწნილა ძლიერება ჩემი ქვეყნისა.

კ რ ე ო ნ ტ ი

სამეფოს კეთილგვაროვანო უცხო მოხუცნო,

თითქოსდა რაღაც ანაზდეულ შიშს ვხედავ ახლა
მაგ თქვენს თვალებში ჩემი მოსვლის გამო ანთებულს.
ნუ გეშინიათ, ნურც ავ სიტყვას მეტყვით რაიმეს,
თქვენ რომ გგონიათ, იმისათვის როდი მოვსულვარ.
მოხუცი ვარ და კარგად ვიცი, რომ ეს ქალაქი
ძლიერია და უდიდესი მთელს ელადაში.
ასაკით ამის თანატოლი გამომაგზავნეს,
რომ დავარწმუნო, კვლავ თებეში დაბრუნდეს იგი.
განა თუ ერთმა იმათგანმა, მთელმა ქალაქმა
გამომაგზავნა ამისათვის. მე _ მის ნათესავს
ყველაზე მეტად მაწუხებდა მისი ვარამი.
მაგრამ, ბედკრულო ოიდიპოს, დამიჯერე და
დაბრუნდი ჩვენთან, მთელი ხალხი შენი ქვეყნისა
სამართლიანად გიხმობს უკან, მე კი _ მეტადრე.
უბოროტესი თუ არა ვარ მოკვდავთა შორის.
ტანჯვას როგორღა არ მომგვრიდა შენი სიმწარე,
ახლა, როდესაც შენ გიყურებ სვეგამწარებულს,
მარად სხვის კარზე მოწანწალეს და ამ ერთადერთ
მსახურთან ერთად ლუკმაპურის საბრალო მთხოვნელს.
განა ოდესმე ვიფიქრებდი, რომ ამდენ ვარამს
ნახავდა იგი, ტკივილსა და ასეთ შერცხვენას?
მათხოვრად იქცა შენი შვილი შენზე ზრუნვაში.
მას, ამ ასაკში გაუთხოვარს, აგრე უმწეოს
ადვილად აჰყრის პატივს ვინმე ამ ხეტიალში.
ბედშავმა განა ამ სირცხვილით მე არ მოგჭერი
თავი შენა და შენს ოჯახსაც, აგრეთვე ჩემს გვარს?
ვერსად დამალავ ამ სიმართლეს, მაგრამ ამჯერად
დამიჯერე და შენ დამალე იგი მშობლიურ
ღმერთთა გულისთვის, დამიჯერე, კვლავ დაუბრუნდი
მშობლიურ თებეს. მეგობრულად დაემშვიდობე
ამ ქალაქს; იგი ღირსი არის. მშობლიური კი _
უფროა ღირსი, დამბადებელს რომ სცე პატივი.

ო ი დ ი პ ო ს ი

შენ, ო, ყველაფრის მკადრებელო, შენ, ვისაც ძალგიძს,
მართალი სიტყვით გაამზადო ჭრელი ხაფანგი.
მაინც რას ცდილობ, ხომ არ გინდა კვლავ შემიპყრო და
მეტი ტანჯვისთვის მეორედვე ჩამიგდო ხელში?
ჯერ აგრე მსურდა, ოჯახური უბედურებით
მეტანჯა ბედშავს, და როდესაც განკვეთა გთხოვე,
არ მოისურვე მთხოვნელისთვის მადლი მოგეძღვნა.
ხოლო როდესაც მოვიჯერე ამ რისხვით გული

და ისევ ამოდ მომეჩვენა სახლში ცხოვრება,
შენც სწორედ მაშინ გამაძევე ჩემი თებედან,
ჩვენს სიახლოვეს როდი თვლიდი საამოდ მაშინ!
ახლა კი, როცა კვლავ იხილე, რომ მთელი თებე
და მთელი ერი კვლავ კეთილი თვალით მიცქერის,
გსურს გამიტყუო ავ საქმეზე ტკბილად მოუბარს.
ძალად სიყვარულს რა სიამე ახლავს ნეტავი?
ეგ იმასა ჰგავს, ვინმეს რამე სთხოვო და იმან
არც მოისურვოს შენი შველა, მერმე კი, როცა
აგისრულდება ის ნატვრა და სავსე ხარ მისით,
მანაც გიბოძოს. მადლი არის განა ეგ მადლი?
უაზროს განა მიიღებდი ასეთ სიკეთეს?
ცხადზე ცხადია, ამგვარ რამეს მთავაზობ შენაც,
სიტყვით ჩინებულს, ხოლო საქმით მეტადრე ბოროტს.
ამათაც ვეტყვი, რომ გამოჩნდეს შენი სიავე.
განა თუ მართლა შინ გწადია ჩემი წაყვანა,
გინდა თებესთან დამასახლო, რათა შენს ქალაქს
დიადი ძლევა ააშორო ამ ქვეყნისაგან.
შენ ვერ მიიღებ ამას ჩემგან: სამაგიეროდ
შურისმგებელი ჩემი სული მარად იცოცხლებს
ჩემს ქვეყანაში, ჩემს ვაჟებს, კი, დე, ჩემი მიწა
იმდენი შეხვდეთ, სამარისთვის რომ ეყოთ მხოლოდ.
თებეს რა ხდება, შენზე უკეთ არ ვიცი განა?
იმდენად უკეთ, რამდენადაც უკეთვე მესმის
ფოიბოსისა და იმისი მამისა, ზევსის.
ფარისევლური და ესოდენ გაქნილი ენით
მოსულხარ ჩემთან. მაშ, იცოდე, ემაგ სიტყვებით
სიავეს უფრო მეტს ეწევი, ვიდრე სარგებელს.
თუმცაღა ვიცი, დარწმუნებას ვერ შევძლებ შენსას,
მაშ, განვედ! ჩვენ კი აქ გვაცხოვრე, თუკი არა გვძულს,
არც აქ იქნება ავბედითი ჩვენთვის ცხოვრება.

კ რ ე ო ნ ტ ი

როგორ გგონია, ეგ კამათი ვისთვის მოიტანს
მეტ სიავეს და უბედობას, ჩემთვის თუ შენთვის?

ო ი დ ი პ ო ს ი

ყველაზე მეტად ის მაამებს, რომ ვერც ჩემი და
ვერც ამ მოწმეთა მოახერხო გადარწმუნება.

კ რ ე ო ნ ტ ი

შე უბედურო, ჟამთან ერთად არ მოდის განა
კაცთათვის ჭკუა? ასაკისა გრცხვენოდეს მაინც.

ო ი დ ი პ ო ს ი

ბასრი გაქვს ენა; მე არავის ვიცნობ მართალ კაცს,
ყველაფერზე რომ ახერხებდეს კარგად ლაპარაკს.

კ რ ე ო ნ ტ ი

ბევრს ლაპარაკობ, საჭიროს კი არაფერს ამბობ.

ო ი დ ი პ ო ს ი

შენ კი ყველაფერს მოკლედ ამბობ და მუდამ დროზე.

კ რ ე ო ნ ტ ი

განა თუ მათთვის, ვინც გონებით შენი სწორია.

ო ი დ ი პ ო ს ი

ჩემი და მათი სახელითაც გეტყვი, ო, განვედ,
ნურც თვალს მადევნებ, თუ სად უნდა ვიცხოვრო თავად.

კ რ ე ო ნ ტ ი

მათ ვუხმობ მოწმედ _ შენ კი არა _ თუ რა სიტყვებით
უმასპინძლდები შენს მეგობრებს. მაშინ შეგიპყრობ...

ო ი დ ი პ ო ს ი

როგორ შემიპყრობ, თანამდგომნი მიცავენ თუკი?

კ რ ე ო ნ ტ ი

გარდა ამისა, სხვა რამითაც მოგგვრი სატკივარს.

ო ი დ ი პ ო ს ი

მაინც რა საქმე ახლავს ნეტავ მაგ შენს მუქარას?

კ რ ე ო ნ ტ ი

შენს ასულთაგან შევიპყარი უკვე ერთი და
შორს გავაგზავნე, მეორეს კი მალე წავიყვან.

ო ი დ ი პ ო ს ი

ვაიმე, შვილო!

კ რ ე ო ნ ტ ი

შეიცხადებ სულ მალე მეტად.

ო ი დ ი პ ო ს ი

ხელში ჩაიგდე?

კ რ ე ო ნ ტ ი

მალე ესეც მე მეყოლება.

ო ი დ ი პ ო ს ი

უცხოტომელნო, რას აპირებთ? ნუთუ გამყიდით?
ნუთუ ამ მკრეხელს არ განდევნით თქვენი მიწიდან?

ქ ო რ ო

განვედ, საჩქაროდ გაგვეცალე, უცხოტომელო,
შენ არც ახლა იქმ და არც ადრე იქმდი სამართალს.

კ რ ე ო ნ ტ ი

მაშ, ისევ თქვენვე შეიპყარით, თქვენ წაიყვანეთ,
მსახურნო, იგი, რახან თავად არ სურს წამოსვლა.

ო ი დ ი პ ო ს ი

ვაიმე ბედკრულს. სად გავიქცე? ვის ვთხოვო შველა _
ღმერთებს თუ მოკვდავთ?

ქ ო რ ო

რას ჩადიხარ, უცხოტომელო?

კ რ ე ო ნ ტ ი

მე ამას არც კი შევხებივარ, მე ჩემი მიმყავს.

ო ი დ ი პ ო ს ი

მიწის პატრონნო!

ქ ო რ ო

უცხო კაცო, არ იქმ სიმართლეს.

კ რ ე ო ნ ტ ი

მე სიმართლეს ვიქმ.

ქ ო რ ო

შენ? სიმართლეს?

კ რ ე ო ნ ტ ი

ჩემები მიმყავს.

კ ო მ მ ო ს ი

ს ტ რ ო ფ ი ბ

ო ი დ ი პ ო ს ი

ჰოი, ქალაქო!

ქ ო რ ო

არ გაუშვებ? ძალას გაგემებთ.

კ რ ე ო ნ ტ ი

შეჩერდი!

ქ ო რ ო

არა, შენ ხომ მკრეხელობ.

კ რ ე ო ნ ტ ი

თავად ჩემს ქალაქს შეებმები, თუ რამეს მავნებ.

ო ი დ ი პ ო ს ი

განა მეც ამას არ ვამბობდი?

ქ ო რ ო

ჩქარა გაუშვი
ბავშვი.

კ რ ე ო ნ ტ ი

იმაზე ნუ მბრძანებლობ, რასაც არა ფლობ.

ქ ო რ ო

გაუშვი-მეთქი!

კ რ ე ო ნ ტ ი

მე კი ვამბობ, შენს გზაზე წადი.

ქ ო რ ო

მოდით, ო, მოდით, ადგილის მკვიდრნო,
ქალაქს, ჩემს ქალაქს ანგრევენ ძალით,
ო, მომაშურეთ.

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

ძალით მივყავარ, მომეშველეთ, უცხოტომელნო!

ო ი დ ი პ ო ს ი

სადა ხარ, შვილო, ო, სადა ხარ?

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

ძალით მივყავარ.

ო ი დ ი პ ო ს ი

გამომიწოდე ხელი, შვილო.

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

არ შემიძლია.

კ რ ე ო ნ ტ ი

აღარ წაიყვანთ?!

ო ი დ ი პ ო ს ი

უბედური, მე უბედური!

კ რ ე ო ნ ტ ი

დღეიდან უკვე ველარ ივლი ასე გზადაგზა.
ამ ორი კვერთხით. შენ თუ ის გსურს, რომ დაამარცხო
შენი სამშობლო, მეგობრებო, რომელთა მიერ
ნაბრძანითა ვქმენ ეგ ყოველი მათმა ტირანმა,
დე, დაამარცხე, გავა დრო და ვიცი, შეიგნებ,
შენი თავისთვის არც ახლა იქმ სიკეთეს შენ და
არც ადრე იქმდი, მოყვასთადმი მუდამ ეჭვით და
რისხვით აღძრული. ეგ რისხვაა, მუდამ რომ გღუპავს.

ქ ო რ ო

შეჩერდი, უცხოვ!

კ რ ე ო ნ ტ ი

მე კი ვამბობ, არ მომეკარო!

ქ ო რ ო

არსად გაგიშვებ, სანამ იმათ არ დააბრუნებ!

კ რ ე ო ნ ტ ი

სულ მალე, ალბათ, უფრო დიდსაც მომცემს მუქაფას
თქვენი ქალაქი, განა მხოლოდ იმათ მოგტაცებთ.

ქ ო რ ო

სხვა რას აპირებ?

კ რ ე ო ნ ტ ი

შევიპყრობ და წავიყვან მასაც.

ქ ო რ ო

საშინელს ამბობ.

კ რ ე ო ნ ტ ი

აღვასრულებ კიდევაც ნათქვამს.

ქ ო რ ო

თუკი ამ ქვეყნის მეფე მოგცემს ამის უფლებას.

ო ი დ ი პ ო ს ი

ო, ურცხვო ხმაო, გაბედავ და მეც შემეხები?

კ რ ე ო ნ ტ ი

შენ კი გაჩუმდი, გეუბნები!

ო ი დ ი პ ო ს ი

ჰოი, ღმერთქალნო,
ნუ გამხდით უტყვს და მათქმევინეთ ეგ ჩემი წყევლა.
უბოროტესო კაცთა შორის, ჩემს დამქრალ თვალებს
ეგ ერთი თვალიც წარსტაცე და წასვლას აპირებ.
დაე, თვით შენც და შენს მოდგმასაც ისეთი მისცეს
ყოვლისმხედველმა ჰელიოსმა სიცოცხლე სწორედ,
როგორიც თვითონ განვიცადე ჩემს სიბერეში.

კ რ ე ო ნ ტ ი

ხომ ყველაფერი დაინახეთ, ამ მიწის მკვიდრნო?

ო ი დ ი პ ო ს ი

მეც მხედავენ და თავად შენაც და აგრე სჯიან _
საქმით ვნებული სიტყვებითღა თუ ვიცავ ჩემს თავს.

კ რ ე ო ნ ტ ი

მე არ დავიცხრობ მრისხანებას, ძალით წავიყვან,
თუმცა მარტო ვარ და ჟამითაც დამძიმებული.

ა ნ ტ ი ს ტ რ ო ფ ი ბ

ო ი დ ი პ ო ს ი

ვაგლახ, მე ბედშავს.

ქ ო რ ო

რა თავხედი ხარ, ამას თუ ფიქრობ.

კ რ ე ო ნ ტ ი

ვფიქრობ.

ქ ო რ ო

არაფრად არ ჩავთვლი ათენს.

კ რ ე ო ნ ტ ი

თვით პატარაც კი დაამარცხებს სიმართლით დიადს.

ო ი დ ი პ ო ს ი

ო, გესმით განა, თუ რას ამბობს?

ქ ო რ ო

ვერ იზამს ამას.

კ რ ე ო ნ ტ ი

ეგ ზევსმა იცის ერთადერთმა, განა თუ შენა.

ქ ო რ ო

თავხედობ განა?

კ რ ე ო ნ ტ ი

ჰო, ვთავხედობ, შენ კი დაითმენ.

ქ ო რ ო

ხალხო, ო, ყველავ, ქვეყნის რჩეულნო,
საჩქაროდ მოდით, მოდით; მართლაცდა
სჩადიან თვისას.

თ ე ს ე ვ ს ი

რა შფოთია? რა ძახილი? რად მომიხმეთ ბომონთაგან,
ოდეს ხარებს შევწირავდი კოლონოსის დიად მფარველს.
დიადი ზღვის ღმერთს და მეფეს? თქვით, მაუწყეთ ყოველივე,
რის გამოა, აქ რომ მოველ ქვეითად და ეგზომ ჩქარა?

ო ი დ ი პ ო ს ი

ჩემო ძვირფასო, მე გიცანი შენივე სიტყვით,
საშინელი რამ დავითმინე მისგან ახლახანს.

თ ე ს ე ვ ს ი

მაინც რა მოხდა? ო, მითხარი, ვინ გავნო მაინც?

ო ი დ ი პ ო ს ი

კრეონტი იყო, შენ მას ხედავ, ის უკვე მიდის,
ბოლო ნუგეში _ ასულები წამართვა ვინაც.

თ ე ს ე ვ ს ი

ამას რას ამბობ?

ო ი დ ი პ ო ს ი

რაც გარდამხდა, ის მოისმინე.

თ ე ს ე ვ ს ი

საკურთხეველებს მიაშუროს დაუყოვნებლივ

მსახურმა ვინმემ და სუყველას, ვინც კი აქ არის,
ქვეითებსაც და ცხენოსნებსაც, აგრე უბრძანოს,
მთელი სისწრაფით გაეშურონ იმ ადგილისკენ,
ორი სავაჭრო გზა რომ ერწყმის ერთიმეორეს.
ვერც ასულები გაიტაცოს იმისმა ხალხმა
და არც მე გავხდე დასაცინი უცხოელისთვის.
მაშ, როგორც ვბრძანე, ჩქარა! მას კი, უკეთუ მისი
შესაფერისი მრისხანებით აღვიძვრებოდი,
უვნებელს არც კი გავუშვებდი ჩემი ხელიდან.
ახლა კი სწორედ იმ წესითვე მივიღებ იმას,
რა წესითა და რა კანონით თვითონ მოსულა.
ვეღარასოდეს მიატოვებ ამ მიწას შენით
სანამდის ისევ აქ არ მომგვრი გატაცებულებს.
ღირსი არც თავად ჩემი იყო, რაც შენ მაკადრე,
არც შენი მიწის და არც მათი, ვინაც შენ გშობა,
როცა მოსული სამართალით მოსილ ამ ქალაქს,
ქალაქს, რომელიც უკანონოდ არაფერს სჩადის,
არაფრად აგდებს მის ადათებს და ვით მძარცველი
ძალას ხმარობ და, ვისაც გინდა, იტაცებ კიდეც;
უკაცრიელად ხომ არ თვლიდი ჩემს ქალაქს ანდა
მონებით სავსედ, მეც არაფრად მიგაჩნდი იქნებ?!
არცა თუ თებე გასწავლიდა ამგვარ სიავეს,
არც იქ არ უყვართ, არც იქ ზრდიან უკეთურ ვაჟკაცთ.
ვინძლო თუ არც შენ შეგაქებდა, რა შეიტყობდა,
ღმერთებისას და თვით ჩემივე კუთვნილს რომ ძარცვავ
და ძალით მიგყავს საცოდავი მავედრებლები.
ოდესმე მეც რომ მოვსულიყავ იმ შენს მიწაზე,
უზენაესიც რომ მქონოდა რამე უფლება,
ვინც ქვეყნის გამგე იქნებოდა, იმის გარეშე
გავიტაცებდით განა ვინმეს? მეხსომებოდა,
თუ როგორ უნდა იქცეოდეს ქალაქში უცხო.
შენსავე ქალაქს არცხვენ ამით, ქალაქს, რომელიც
არ იმსახურებს ამგვარ რამეს; ხანგრძლივმა ჟამმა
დაგაბერა და გონება კი გაკლია ერთობ.
ადრეც ვამბობდი, ამჯერადაც ამასვე გეტყვი,
საჩქაროდ აქვე მომიყვანოს ასულნი ვინმემ,
უკეთუ არ გსურს, უნდობლად და ნაძალადევად
ამ ჩვენს მიწაზე დაგასახლონ. მე ამას ვამბობ
გონებითა და ამ გონების თანახმა ენით.

ქ ო რ ო

ხედავ, სანამდის მიხველ, უცხოვ? კეთილშობილმა

ავისმოქმედად დაგვანახე ეგ შენი თავი.

კ რ ე ო ნ ტ ი

არც უკაცურად არ მივიჩნევ, როგორც შენა თქვი,
და არც უგნურად მე შენს ქალაქს, ეგევსის ძეო.
აგრე იმიტომ გავაკეთე, რომ მტკიცედ მწამდა,
ამათზე არვინ დაიწყებდა ეგოდენ ზრუნვას,
მათ დასაცავად თვით ძალაც კი ეხმარათ ჩემზე.
აგრე ვიცოდი, მამისმკვლელს და ბოროტის მოქმედს.
კაცს, ვინაც ეგზომ ბიწიერი ცოლქმრობით შობა
ბილწი შვილები, არ მისცემდით ადგილს თქვენ შორის.
ისიც ვიცოდი, ბრძენთაბრძენი არეოპაგი,
მსაჯული თქვენი, არასოდეს მოგცემდათ ნებას,
ამ მაწანწალებს თქვენთან ერთად დაედოთ ბინა.
სწორედ ამ რწმენით დავეუფლე მე ჩემს ნადავლსაც.
თუმცაღა ამას არც ვიზამდი, მას რომ ჩემზე და
ჩემს გვარზე ეგზომ საშინელი წყევლა არ ეთქვა.
ვთვლიდი, რომ ვნებულს შური უნდა მეძია მასზე.
რისხვისთვის განა სხვა სიბერე არსებობს ქვეყნად
სიკვდილის გარდა? მკვდარს არ შეძრავს ტანჯვა მარტოდენ.
მაშ, რაც გენებოს, ის ირჩიე. თუმც მართალს ვამბობ,
მარტო ვარ ახლა და ადვილად ძალგიძს დამძლიო.
მაგრამ იცოდე, იმ საქმისათვის, შენ რომ ჩაიდენ,
თუმც ხნიერი ვარ, შევეცდები, მუქაფა გიზღო.

ო ი დ ი პ ო ს ი

ო, უსირცხვილო თავხედობავ! მაინც ვინ გინდა,
რომ დაამბალო _ მე თუ ისევ შენივე თავი?
მკვლელობაცა და ქორწინებაც, სხვა სიავენიც,
ეგ შენი ენა რომ მაბრალებს აგრე უსირცხვოდ,
მე ბედშავს აკი უნებურად დამატყდა თავზე;
თვით ღმერთებს სურდათ ამნაირად რომ მომხდარიყო,
ჩვენს მიმართ რაღაც ძველისძველი რისხვა აქვთ ღმერთებს.
ჩემში რას ნახავ ისეთნაირს, რის გულისთვისაც
აგრე სასტიკად გავწირავდი თავსა და ჩემებს?
აბა, განსაჯე, თუკი მამას დელფოში უთხრეს,
რომ შვილის ხელით სიკვდილია იმისი ხვედრი,
არ არის განა უსამართლო, ცოდვა დასწამო
კაცს, ვისაც მაშინ არც კი ჰყავდა დედა და მამა
და ქვეყანაზე არც კი იყო დაბადებული.
და როცა ეგზომ უბედური ვიშვი ამქვეყნად,
რომ მამის ხელში ჩავარდნილი მამას ვკლავდი და

არც კი ვიცოდი თუ ვის ვკლავდი ან ვისი ნებით,
ვით გამამტყუნებ ამ უნებურ საქმეში ნეტავ?
საბრალოვ, ისიც კი არ გაფრთხობს, შენი ღვიძლი დის
ქორწინებაზეც რომ მაძალებ თავის მართლებას.
ამასაც მალე მოგახსენებ, არ გავჩუმდები,
რაკიღა სინდისგარეცხილი აღმოჩნდი თავად.
მშობა, ო, მშობა, უბედურო, ო, ჩემო თავო,
მშობა არმცოდნემ არრასმცოდნე, მშობა და მერმე
მის ნაშობს მისდა სამარცხვინოდ შვილებიც მიშვა.
ეს კი მტკიცედ მწამს, მაგ სიავეს შენ განზრახ ამბობ,
მე კი არც მაშინ არ მინდოდა მისი შერთვა და
არც ახლა მინდა ლაპარაკი შენთან იმაზე.
მე ვერვინ მეტყვის იმ ქორწილზე რაიმე ბოროტს,
ვერც მკვლელობაზე მეტყვის რამეს, შენ რომ მაბრალებ
და გამუდმებით რომ მაყვედრი ბოროტი ენით.
თუმც მიპასუხე ამ კითხვაზე: ვინმე რომ აქვე
ბრალის არმქონეს მოსაკლავად დაგსხმოდა თავზე,
ჰკითხავდი განა, მამა არის იგი თუ მკვლელი,
თუ უმალ იმას მიუზღავდი, რაც ერგებოდა?
ვფიქრობ, სიცოცხლე თუკი გიყვარს, არად ჩათვლიდი
წესსა და კანონს, უმალ იქვე დასჯიდი მომხდურს.
უბედურება მეც ასევე დამატყდა თავზე,
მე ღმერთთა ნება წარმმართავდა, გაცოცხლებული
თვით მამის სულიც ამგვარადვე მეტყოდა ამას.
შენ კი, მკრეხელი, ვინაც ფიქრობ, სწორად ვამბობო
ყველაფერს, რაიც სათქმელია და რაიც არა,
ჩემს დამცირებას ცდილობ ახლა, ხალხის წინაშე.
თესევსის კეთილ სახელს ლიქნი ამჯერად შენ და
მის ათენს აქებ სანიმუშო წესრიგით მცხოვრებს,
ეგზომი ქებით გარჯილხარ და ის კი არ გახსოვს,
რომ თუკი სადმე რომელიმე მიწა დიდ ღმერთებს
მიაგებს პატივს, ათენია მათში პირველი.
შენ კი აქედან გაიტაცე ჩემი შვილები
და მოხუც მვედრელს მეც აქედან მიტაცებ ახლა.
ამის გამოა ამ ქალღმერთებს რომ ვუხმობ სწორედ,
თავს ვავედრებ და გულმხურვალედ ვღაღადებ ამას,
შემწედ მექმნენ და თანამდგომად, რათა შეიგნო.
ქალაქსა ამას თუ რაგვარნი იცავენ მამრნი.

ქ ო რ ო

მეფევ, წმინდაა ეგ მოხუცი; მისი ვარამი
დამღუპველია, მაგრამ იგი ღირსია შველის.

თ ე ს ე ვ ს ი

კმარა სიტყვები; იჩქარიან გამტაცებლები.
მათგან ვნებულნი _ ჩვენ კი ისევ ადგილზე ვდგავართ.

კ რ ე ო ნ ტ ი

რაღას მიბრძანებ შენს წინაშე უძალოდ შთენილს?

თ ე ს ე ვ ს ი

პირველი წადი, წინ გამიძეხ შენს უკან მავალს,
და თუ ახლო გყავს დამალული სადმე ისინი,
თვითონ მიდი და დამანახვე, და თუკი იმათ
მიაქროლებენ ავაზაკნი _ არ უშავს მასაც _
უკან მიჰყვება მათ მდევარი, ვერ შეიძლებენ
ჩვენ გაგვექცნენ და მადლი უთხრან ამ ქვეყნის ღმერთებს.
ახლა კი წადი და იცოდე, მათი შემპყრობი
ჩვენვე გვიპყრიხარ, მონადირეც თვით შენმა ბედმა
მოგინადირა ვით ნადირი. ვეროდეს შეძლებ
უსამართლობით შეძენილის შენარჩუნებას.
ვერვინ გიშველის; მე ხომ ვიცი, ვერ შეგვბედავდი
ამ თავხედობას შენ მარტოკა, უიარაღო,
სხვების იმედით ჩადიოდი ყველაფერს ამას.
სიფხიზლე არის ჩემი ვალი, რომ ეს ქალაქი
ერთ კაცზე სუსტი არ აღმოჩნდეს, მიმიხვდი განა?
ან იქნებ ახლაც არად გვაგდებ მე და ჩემს სიტყვას,
ისევე არად, როცა გეგმას აწყობდი ჩვენზე.

კ რ ე ო ნ ტ ი

აქ თქვენთან მყოფი არრას გეტყვი, დაბრუნებულს კი
მეცოდინება, თუ რისი ქმნა აჯობებს ჩემგან.

თ ე ს ე ვ ს ი

იქადნე, მაგრამ გაგვიძეხი, შენ კი აქ დარჩი
და მშვიდად იყავ, ოიდიპოს, გჯეროდეს ჩემი _
თუკი არ მომკლავს, ვერ მონახავს სიმშვიდე ჩემს გულს,
ვიდრე უკანვე არ მოგიყვან შენ ქალიშვილებს.

ო ი დ ი პ ო ს ი

ბედნიერება მოგენიჭოს შენი ჩვენდამი
სამართლიანი ზრუნვისათვის, კეთილო თესევს.

მეორე სტასიმონი

ს ტ რ ო ფ ი ა

ქ ო რ ო

ნეტავი იქ ვიყო, სადაც
რვალის ხმოსან არესს აღძრავს
მალე მამრთა იერიში,
პითიის დიად სანაპიროზე
ან ლამპრებიან წმინდა ნაპირზე.
იდუმალ წესებს ასრულებენ აქ ქალღმერთები
კაცთა ტომისთვის; ხოლო მათი მონა-ქალები _
ევმოლპიდები _ ოქროკლიტით უბამენ ენას.
აგრე მგონია, რომ ბრძოლაში შეუპოვარი
დიდი თესევსი და უბიწო
ორი ასული
ბრძოლის ყიჟინით, გლოვის ზარით შეძრავენ მალე
მთელს ამ მიდამოს.

ა ნ ტ ი ს ტ რ ო ფ ი ა

დასავლეთით რბიან ეგებ
და დათოვლილ კლდეთა მხარეს
ეატისის ველებიდან.
იქნებ ცხენებით ან იქნებ სწრაფი
ეტლებით უნდათ გაექცნენ მდევარს.
შევიპყრობთ იმათ; სასტიკია ჩვენი არესი,
სასტიკი არის თესეიდთა მრისხანე ძალა,
უელვარებენ უზანგები მეომარ ვაჟკაცთ,
და ჭენებაში მიუშვია ყველას აღვირი,
მხედრობა მიჰქრის, მიჰქრის ყველა,
ვინც კი თაყვანს სცემს
ცხენების მფარველ ათენას და ზღვათა მეუფეს,
რეას ძვირფას ძეს.

ს ტ რ ო ფ ი ბ

იბრძვიან თუ ჯერაც არა?
თითქოს გული მეტყვის,
დავიხსნითო მალე
ასულთ ეგზომ გატანჯულთ და ნათესავთა გამო ვნებულთ.
დღეს აღასრულებს რაღაცას ზევსი.
დიად ძლევათა ვარ მე მისანი.
ნეტავ ქარივით სწრაფ და ფრთამალ გარეულ მტრედად
ეთერში, მაღლა ავჭრილიყავ ღრუბელთა შორის,

ჩემი თვალებით ვნახავდი ბრძოლას.

ა ნ ტ ი ს ტ რ ო ფ ი ბ

ზევსო, ღმერთთა შორის ყოვლის
მპყრობელო და მხედო,
მიეც ქვეყნის მცველებს
ძლევის ძალა, ყოვლისმძლევი იერიშით რომ აღიძრან.
და ათენასაც ვუხმობ სანუკველს
და მონადირე დიად აპოლონს,
მის დასაც ვუხმობ, ხშირწინწკლება და ფეხებმარდი
ირმის ჯოგებზე რომ ნადირობს. შველას ვთხოვ იმათ
ამ მიწისა და მისი ხალხისთვის.

მ ე ს ა მ ე ე პ ი ს ო დ ი ო ნ ი

ქ ო რ ო

ო, უცხო მწირო, ნუღარ იტყვი, თითქოს შენთვის
ცრუდ მისნობდაო შენი მცველი; აჰა, ასულნი
ისევ აქეთკენ იჩქარიან მსახურებითურთ.

ო ი დ ი პ ო ს ი

სად? რაო, რა თქვი? როგორა თქვი?

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

მამა, ო, მამა,
ნეტავი ღმერთებს იმის ძალა მოეცათ შენთვის,
გეხილა კაცი, ჩვენი თავი მოგგვარა ვინაც.

ო ი დ ი პ ო ს ი

ო, შვილო, ნუთუ აქა დგახართ? ნუთუ აქა ხართ?

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

თესევსმა გვიხსნა და დიადმა მისმა ამალამ.

ო ი დ ი პ ო ს ი

რომ მოგეხვიოთ, მოეახლეთ, შვილებო, მამას,
აღარ ელოდა იგი უკვე თქვენ დაბრუნებას.

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

მისაღებს ითხოვ; ძლიერ წადილს მადლიც თან ახლავს.

ო ი დ ი პ ო ს ი

სად დგახართ? სად ხართ?

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

ორივენი გიახლოვდებით.

ო ი დ ი პ ო ს ი

ჩემო ძვირფასნო!

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

ძვირფასია მშობლისთვის შვილი.

ო ი დ ი პ ო ს ი

ო, მამის კვერთხნო!

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

უბედურნო უბედურისა.

ო ი დ ი პ ო ს ი

უძვირფასესნო ყველას შორის, ისევ მე მყავხართ.
რახან ჩემთან ხართ, არ დავხვდები სიკვდილს ბედშავად.
ამომიდექით, მომეკარით ორივე მხრიდან,
ჩემო შვილებო, ამარიდეთ ტანჯვა, რომელიც
მარტოდ ყოფნისას მომელოდა ეულად შთენილს.
მოჰყევით, რაც კი თავს გარდაგხდათ, მოკლედ მიამბეთ;
მაგ თქვენს ასაკში მცირე სიტყვაც საკმარისია.

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

მხსნელი ის არის. იმისი სჯობს მოსმენა, მამა;
ცოტა წვლილი გვაქვს ამ საქმეში შენაც და ჩვენაც.

ო ი დ ი პ ო ს ი

სიტყვა რომ აგრე გავუგრძელე ჩემს ქალიშვილებს,
ნუ გიკვირს, მეფევ, არ ველოდი მე იმათ უკვე.
მე კარგად ვიცი, რომ ამ შვებას და ამ სიხარულს
არვის არ უნდა ვუმადლოდე შენ ერთის გარდა,
განა სხვა ვინმემ, შენ იხსენი ჩემი შვილები.
დაე, რაც მე მწადს, ის გისურვონ დიდმა ღმერთებმა
თავად შენაც და შენს მიწასაც, რადგან მე მხოლოდ
თქვენთან ვიპოვე ჭეშმარიტი ღვთისმოსაობა,
კაცთმოყვარება და ურყევის პირის სიმართლე.
ჩემსავე თავზე გამოვცადე ეს ყველაფერი,
რადგან რაცა მაქვს, შენგანა მაქვს და არა სხვისგან.
მაშ, მომეც ხელი, მეუფეო, ჩამოგართვა და
უკეთუ ამის უფლება მაქვს, შუბლზეც გემთხვიო.
ამას რას ვამბობ, ეგზომ ბედშავს სადა მაქვს ნება,
შევეხო ვაჟკაცს, ვისაც ბიწი არანაირი

არ შეჰხებია. ვერ გავბედავ, ვერ შეგეხები
და არც შენ მოგცემ ამის ნებას, მოკვდავთა შორის
ისევ ჩემდენი ტანჯვის მნახველს თუ ძალუძს მხოლოდ
ჩემი ამგვარი თანალმობა. აქედან გეტყვი:
და, გაიხარე, დე, ასევე გეზრუნოს ჩემთვის.

თ ე ს ე ვ ს ი

როდი მაკვირვებს ვრცელი სიტყვა შენი, რომელმაც
შვილების ნახვით გაიხარე, არც ის მაკვირვებს,
ჩემამდე იმათ რომ მიაგე შენი სიტყვები,
გულგასანაწყენს არვინ ხედავს ამაში რამეს,
განა სიტყვებით ვცდილობთ ხოლმე, ჩვენი ცხოვრება
დიდების ნათლით რომ შევმოსოთ, არამედ _ საქმით.
აჰა, დასტური; რაც შეგფიცე, მოხუცო, სიტყვით,
არ გეცრუვე და საქმით ვქმენი; უვნებელი და
გადარჩენილნი აქ მოგგვარე შენი შვილები.
თუ ვით ვიხსენი მე ისინი, რა საჭიროა
ამაზე კვეხნა, გოგონები გეტყვიან ამას.
ჯობს, იმ ამბავზე მომაწოდო რაიმე რჩევა,
აქეთ მომავალს რომ მაუწყეს გზაზე ახლახან.
მოკლეა იგი, მაგრამ დიდად გასაოცარი.

ო ი დ ი პ ო ს ი

მაინც რა არის? ამიხსენი, ეგევსის ძეო,
მე არრა ვიცი იმ ამბისა, შენ რომ გსმენია.

თ ე ს ე ვ ს ი

მითხრეს, თითქოსდა ვიღაც კაცი, არა თებელი
და მაინც შენი ნათესავი, პოსეიდონის
საკურთხევლებთან ჩამომჯდარა სავედრებელად.
მაშინ მისულა, მე რომ აქეთ მოვიჩქაროდი.

ო ი დ ი პ ო ს ი

საიდან არის ან რას ითხოვს თავის ვედრებით?

თ ე ს ე ვ ს ი

ეს ვიცი მხოლოდ, სწადია, რომ რაღაც გაუწყოს.
მცირეოდენი, თანაც თურმე არასამძიმო.

ო ი დ ი პ ო ს ი

მცირეო? განა მცირედისთვის შესთხოვდა ბომონს?

თ ე ს ე ვ ს ი

შენთან საუბნოდ აქ მოსული, იგი, ამბობენ,

ითხოვს, რომ მერმე უვნებლადვე გავუშვათ უკან.

ო ი დ ი პ ო ს ი

ვინ უნდა იყოს იგი მაინც, ბომონთან მჯდარი?

თ ე ს ე ვ ს ი

აბა, დაფიქრდი, ნათესავი ხომ არ გყავს ვინმე
სადმე არგოსში, ამ წყალობას მოგთხოვდა ვინაც?

ო ი დ ი პ ო ს ი

ჰოი, ძვირფასო, მანდ შეჩერდი!

თ ე ს ე ვ ს ი

რა დაგემართა?

ო ი დ ი პ ო ს ი

არა, არ მთხოვო!

თ ე ს ე ვ ს ი

რა არ გთხოვო, გამაგებინე.

ო ი დ ი პ ო ს ი

მე უკვე ვიცი, თუ ვინ არის იგი მთხოვნელი.

თ ე ს ე ვ ს ი

ვინ არის იგი, ჩემი რისხვის ღირსი რომ იყოს?

ო ი დ ი პ ო ს ი

მეფეო, იგი საძულველი შვილია ჩემი,
სწორედ მის სიტყვებს ვერ ავიტან ყველაზე მეტად.

თ ე ს ე ვ ს ი

არ შეგიძლია, მოუსმინო და რაც არ გინდა,
არ შეუსრულო, მაშ, რად გიმძიმს მისი მოსმენა?

ო ი დ ი პ ო ს ი

საძულველია ხმაც კი მისი, მეფევ, მამისთვის,
მას რომ დავუთმო, ნუ დამატან ამაზე ძალას.

თ ე ს ე ვ ს ი

მაგრამ თუ ამას გაიძულებს საკურთხეველთან
მჯდარის უფლება, გვერდს აუვლი განა ღვთის ნებას?!

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

თუმც ყმაწვილი ვარ, მამაჩემო, რჩევას მოგცემ და

გთხოვ, დამიჯერო, აღასრულოს, დაე, მეუფემ
სიკეთე, რაიც სულისათვის უნდა და ღმრთისთვის.
დაგვითმე ჩვენაც, დე, მოვიდეს ჩვენთან ჩვენი ძმა.
გაბედე, მამა! დამიჯერე, ვერ გამოგძალავს
იგი ისეთ აზრს, საზიანო რომ იყოს შენთვის.
მაინც რას გავნებს, თუ მის სიტყვებს მოისმენ მხოლოდ?
ავი ზრახვები სიტყვებშივე ჩანან ყოველთვის.
შენი შვილია იგი, მამა, და ამიტომაც
თვით უარესი ბოროტების გამოც არა გაქვს
უფლება, მასაც ბოროტითვე გადაუხადო,
მიეცი ნება. სხვებსაც ტანჯავს მწველი რისხვა და
სხვებსაც ჰყავთ ავი და უღირსი შვილები, მაგრამ
მათ ბუნებასაც მოდრეკს ხოლმე მოყვასთა რჩევა.
განა ახლანდელს, ძველ სიმწარეს გახედე შენსას,
მშობლებისაგან რომ იწვნიე ეგზომ სასტიკად.
თუკი იმათაც გაიხსენებ, მიხვდები, მჯერა,
ბოროტი რისხვა რა სიავეს შეიქმს ბოლოსთვის.
მცირედი გახლავს განა ამის საბუთი თავად
შენ, ვინაც თვითონ დაითხარე შენი თვალები?
ო, დამიჯერე, ცუდი არის, სიმართლის მძებნელს,
დიდხანს რომ უწევს მისი თხოვნა. არ გვარგებს, მამა,
მეფის სიკეთეს სიკეთითვე რომ არ მივუზღოთ.

ო ი დ ი პ ო ს ი

თქვენთვის საამოდ, ხოლო ჩემთვის ეგზომ სამძიმოდ
თქვენმა სიტყვებმა მძლიეს, შვილო. დე, იყოს, აგრე.
მაგრამ, მეფეო, თუკი იგი მართლაც აქ მოვა,
არვინ იუფლოს ჩემი სული, ჩემი სიცოცხლე.

თ ე ს ე ვ ს ი

ერთხელ ხომ მთხოვე, მეორეჯერ ნუღარას ამბობ.
მე არ ვიქადი, მაგრამ გწამდეს, სანამდის ღმერთი
მფარველობს ვისმე, უვნებელი იქნები შენაც.

მ ე ს ა მ ე ს ტ ა ს ი მ ო ნ ი

ს ტ რ ო ფ ი

ქ ო რ ო

ვისაც უნდა, რომ მეტხანს იცოცხლოს,
ვიდრე ბედისგან ერგება ხანი,
შეუფერებელს ესწრაფვის იგი,
ცხადზე ცხადია ჩემთვის ეგ სიბრძნე.

სატანჯველთათვის მრავალგზისი და
გრძელი დღეების რიგია ხვედრად,
ხოლო საამოს ვერაფერს ნახავ
შენს წადილსა და შენს სურვილებს
მოჭიდებული. და ოდეს გიხმობს ჰადესი, ვინაც
არც ცეკვა იცის და არც სიმღერა,
ყველას ერთურთთან გაასწორებს, ყველას დაიხსნის
ბოლოს სიკვდილი.

ა ნ ტ ი ს ტ რ ო ფ ი

არ დაიბადო _ აი, რა არის
ყველაზე კარგი და მერე ის, რომ
უკეთუ იშვი, საჩქაროდ ისევ
იქვე დაბრუნდე, საიდანაც მოხველ.
როცა გაივლის ახალგაზრდობა
უზრუნველი და ქარიფანტია,
რა ტანჯვა არის, შენ არ გეწვიოს,
რა ჯაფა, შური ანდა ზვაობა,
შუღლი, ბრძოლა და ანდა მკვლელობა?
ბოლოს კი მოდის საძულველი, ძალადამცლელი,
მარტოდ მშთენელი და უამური
სიბერე, რათა სიავეთა ყველა სიავე
ერთად აცხოვროს.

ე პ ო დ ო ს ი

ქ ო რო

ბედშავი იგიც ამ ხნისაა, განა მარტო მე.
ვით ყოველ მხრიდან ჩრდილოეთის ციცაბო ნაპირს
ატყდება ხოლმე ცივ ზამთარში და არყევს ტალღა,
აგრე ბორგავენ მოხუცის თავზე
შემზარავი და მძიმე ცოდვები.
მას ეხლებიან ისინი მუდამ.
ზოგი იქიდან, სადაც მზე ჩადის,
ზოგიც იქიდან, მზე რომ ამოდის.
ზოგი შუადღის სამხრეთ ქვეყნიდან
და ზოგი სულაც ჩრდილოეთით, ღამის რიპედან.

მ ე ო თ ხ ე ე პ ი ს ო დ ი ო ნ ი

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

სწორედ ის უცხო კაცი არის, როგორც ჩანს, მამა,

უამალოდ და მარტოდმარტო რომ მოდის აქეთ,
ცრემლის ნაკადი ღვარად დასდის ბედშავს სახეზე.

ო ი დ ი პ ო ს ი

ვინ არის იგი?

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

სწორედ იგი, ვისზედაც ადრე
თავად ვფიქრობდით; პოლინიკე მოდის აქეთკენ.

პ ო ლ ი ნ ი კ ე

ვაგლახ რაღა ვქნა, რა ვიტირო, დებო, პირველად _
ჩემივე თავის უბედობა? თუ უბედობა
მამაჩემისა? სამშობლოდან გაძევებული
უცხო მიწაზე მოვიძიე შვილებთან იგი.
ეს რა ტანსაცმლით შეუმოსავს ბებერი ტანი.
მოხუცის ჭუჭყით გალესილი ტანისამოსი
ტანზე ეკვრის და მოხუცებულს გვერდებს უფიტავს,
თვალდათხრილ თავზე ქარისაგან აშლია თმები.
ალბათ ჩანთაშიც ასეთივე უდევს საგზალი
და იმით კვებავს საბრალობელ, გატანჯულ სხეულს.
გვიან ვგებულობ მე ბედშავი ყველაფერ ამას.
თავადვე გეტყვი, კაცთა შორის უბოროტესი
ვყოფილვარ მართლაც, ამგვარ დღეში რომ გხედავ მამას.
მაგრამ ხომ მუდამ გვერდით უზის ტახტთან დიად ზევსს
ლმობიერება ყოვლის მიმართ, დაე, შენთანაც
ის დადგეს, მამა. ალბათ შევძლებ გამოვისყიდო
ჩემი ცოდვები, გამრავლებას ვერ შევძლებ მათსას.
რად დუმხარ?
მითხარი რამე, ნუ იბრუნებ პირს ჩემგან, მამა.
არ მეტყვი რამეს? ნუთუ ასე პატივშელახულს
გამიშვებ უკან და არ მეტყვი რაზე მრისხანებ?
თქვენ, ო, შვილებო ამ კაცისა, ძვირფასო დებო,
თქენც მაინც სცადეთ მამაჩემის ბაგის შერხევა,
უკარებელი რომ არის და ეგზომ სასტიკი.
სცადეთ, რამეთუ ღმრთის წინაშე ვედრებად მდგარი
არ გამაბრუნოს უსიტყვოდ და აგრე უღირსად.

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

რისთვის, მოხვედი, ამაზე თქვი, ბედკრულო, რამე,
რადგან სიტყვები, სიხარული რომ მოაქვთ ჩვენთვის,
ან რამე წყენა, ან სიბრალულს აღძრავენ ჩვენში,
თავად მუნჯებსაც კი ამოჰგლეჯს რაიმე ბგერას.

პ ო ლ ი ნ ი კ ე

მაშ, კარგი, ვიტყვი, მართლაც სწორად მითხარი, დაო,
უპირველესად იმ ღმერთს ვუხმობ დახმარებისთვის,
საკურთხევლებთან რომ ვედექი, ვედექი, რათა
აქ მოვსულიყავ და ამ ქვეყნის მეფის ნებართვით
სათქმელი მეთქვა, მომესმინა მამის პასუხი,
და მერმე მშვიდად წავსულიყავ. მეც ამას ვითხოვ
თქვენგან, უცხონო, თქვენგან, დებო, და შენგან, მამა.
ახლა კი გეტყვი, რის გულისთვის მოვსულვარ შენთან:
განდევნილი ვარ სამშობლოდან, და ეს იმიტომ,
რომ შენი ტახტი მოვისურვე ყოვლისმპყრობელი,
ტახტი, რომელიც შენს უფროს ძეს ეკუთვნის წესით.
ეტეოკლემ კი, შენმა შვილმა, ჩემზე უმცროსმა,
თებეს ქვეყნიდან გამაძევა, პირველობა კი
განა თუ სიტყვით დამიმტკიცა ან კიდევ საქმით, _
უბრალოდ ხალხი შემოიმხრო. მე ახლა ვხედავ,
ამის მიზეზიც ერინისი ყოფილა შენი;
მისნებიც სწორედ ამნაირად ამბობენ ამას,
რადგან არგოსში რომ მოვედი, მეფე ადრასტოსს
სიძედ გავუხდი და ურყევი ფიცი შევკარი
ყველა იმასთან, აპიაში პირველებსა და
იარაღგანთქმულთ რომ უხმობენ, შევკარი, რათა
იმათი ლაშქრის შვიდი რაზმით ვეკვეთო თებეს.
ვეკვეთო, რათა ამ ბრძოლაში ან თავად მოვკვდე,
ან გავაძევო იგი, ვინაც მე გამაძევა.
იქნებ იკითხო, შენთან რისთვის მოვსულვარ მაინც?
ფრიად მდაბალი თხოვნა გვაქვს და სავედრებელი
შენდამი, მამა, თავად მე და ჩემს თანამდგომებს,
ახლა ისინი შვიდი ალმით და შვიდი რაზმით
თებეს კედლებთან შემართულან ქალაქის ირგვლივ.
პირველი არის შუბოსანი და ფრინველებით
მკითხავი ამფიარაოსი, ხოლო მეორე
ტიდევსი არის ეტოლიელ ენევსის ვაჟი,
ეტეოკლე კი მესამეა არგოსს შობილი,
მშობელმა მამამ ტალაოსმა რომ წარმოგზავნა,
ჰიპომედონტი მეოთხეა, კაპანევსი კი,
რიგით მეხუთე, დაწვასა და მიწად დამხობას
უქადის თებეს, მეექვსე კი არკადიელი
პართენოპაიოსი არის, ატალანტეს ძე
დედის ხანგრძლივი ქალწულობით აგრე ხმობილი.
თვით მე კი _ შენი, და თუ არა შენი, ავბედი

ხვედრის ნაშობი _ მაინც გენად მიხმობენ ვისაც,
თებესკენ ვუძღვი არგოსელთა გულმამაც ლაშქარს.
შენს ასულებს და შენს სიცოცხლეს გავედრებთ, მამა,
მათ გავედრებთ და ამ ერთადერთ მადლსა გთხოვთ მხოლოდ,
მე გადმომეცი შენი რისხვა ახლა, როდესაც
ჩემს ძმაზე შურის საძიებლად მივდივარ თებეს,
ძმაზე, რომელმაც მშობლიური მიწა წამართვა.
გადმომეც, რადგან, თუ მისანთა სიტყვებს ვენდობით,
ვისიც შენ იყო, გამარჯვებაც იმას დარჩება.
თებეს ღმერთებს და მის წყაროებს გაფიცებთ, მამა,
დამიჯერე და დამყევ ნებას, ჩვენ ხომ ორივე
მათხოვრები ვართ სამშობლოდან გაძევებულნი.
სხვათა წყალობის შემყურენი ვცოცხლობთ ორივე
და ხვედრიც სწორედ ერთნაირი შეგვხვდა მამა-შვილს.
ის კი ტირანი სახლში არის _ ჰოი, მე ბედშავს _
დაგვცინის ჩვენ და ზვიადობა ატკბობს თავისი.
თუკი გადაწყვეტ და ჩემს მხარეს დაიჭერ, მამა,
სწრაფად და ერთობ უჭირველად დავამხობ იმას,
წაგიყვან, მამა, და გამყოფებ შენსავე სახლში,
მე დავბრუნდები, გავაძევებ რაკიღა იმას.
შენი შეწევნით აღვასრულებ ამას ყველაფერს,
ხოლო უშენოდ, ვიცი, თავსაც ვერ გადავირჩენ.

ქ ო რ ო

ვინაც ის შენთან მოიყვანა, იმ კაცის რიდით
უთხარი რამე და უკანვე გაუშვი იგი.

ო ი დ ი პ ო ს ი

არა, მოხუცნო, ის რომ მართლაც ამ მიწის მპყრობელს
არ მოეყვანა ჩემთან ახლა და თავად თესევსს
არ მოესურვა, რომ პასუხი მიმეგო მისთვის,
მართლაც ვერასდროს მოისმენდა ჩემ სიტყვას იგი,
ახლა კი ღირსი შეიქმნება იმ სიტყვებისა,
არაფრით რომ არ გაახარებს იმის სიცოცხლეს.
ბოროტო, აკი შენ იყავი იგი _ კვერთხის და
ტახტის მპყრობელი, ის შენი ძმა რომ უფლობს ახლა, _
მშობელი მამა რომ განდევნე ქალაქიდან და
ამ სამოსელის რომ არგუნე წილად ტარება.
ახლა დასტირი ამ სამოსელს, ახლა, როდესაც
აგრე ნატანჯი ჩემი სწორი მოჩანხარ თითქმის.
განა საგლოვი, ისევ ჩემი სატარებია
ის, სანამ ვარ და მეხსომები, ვითარცა მკვლელი.

აკილა სწორედ შენ ჩამაგდე ამ გასაჭირში,
შენ გამაძევე, შენ გამოა, მოხეტიალე,
სხვებს რომ გამოვთხოვ ყოველდღიურ ჩემს არსებობას.
ეს გოგონები რომ არ მეშვა, ჩემი მრჩენელნი,
დღეს უკვე მკვდარი ვიქნებოდი შენი წყალობით.
ჩემი მრჩენელნი, ისინია, მე რომ მშველიან,
კაცნი არიან ისინი და არა ქალები
ჩემზე ზრუნვაში. თქვენ კი არ ხართ ჩემგან შობილნი.
ამადაც გიცქერთ ბედისწერა, თუმც განა ისე,
როგორც იმხანად, როცა მართლაც დაიძვრებიან
შენი რაზმები თებესაკენ, ვეროდეს დასცე
შენ ეგ ქალაქი, უფრო ადრე შენი ღვიძლი ძმის
სისხლით შელებილ შენს თავს დასცემ შენს ძმასთან ერთად.
თანადგომისთვის დიდ ქალღმერთებს ვღაღადებ, რათა
თქვენი მშობლების დაფასება შეიგნოთ თქვენაც
და უკადრისად არ განდევნოთ დაბრმავებული
მშობელი მამა. როდი იქმდნენ ამას ესენი,
ამადაც სწორედ მათ იუფლონ შენი კვერთხი და
შენი დარბაზნი, თუკი კვლავაც კრონიდთან ჰგიეს
კანონთა მცველი სამართალი თავდაპირველი.
შენ კი, ო, განვედ, საძულველო, შენ არ გყავს მამა,
უბოროტესო ბოროტთაგან, მუდამ თან გდევდეს
წყევლა, რომელსაც მე აღვავლენ: არცთუ მშობელი
მიწა დაიპყრო შენი შუბით და არც ოდესმე
უკან დაბრუნდე შენს არგოსში, დაე, შენივე
ძმის ხელით მოკვდე და თვით მოკლა, ვინც გაგაძევა.
აგრე გწყევლი და ტარტაროსის მზარავ ნათესავს
ერებოსს ვუხმობ შენც თავისთან დაგიდოს ბინა.
ამ ქალღმერთებსაც ვღაღადებ და არესსაც ვუხმობ,
არესს, თქვენ შორის საშინელი შუღლის ჩამომაგდებს.
ხომ მოისმინე, მაშ, გამშორდი და მოახსენე,
ყველა კადმოსელს და შენდამი ესოდენ ერთგულ
იმ შენს მეგობრებს, თუ რად მისცა ოიდიპოსმა
ასეთნაირი საბოძვარი თავის ვაჟკაცებს.

ქ ო რ ო

როდი ვხარობდი, პოლინიკე, აქეთ მომავალ
შენი გზის გამო _ ო, ახლა კი გასწი საჩქაროდ!

პ ო ლ ი ნ ი კ ე

ვაიმე, გზაო, ვაი, ჩემო უბედურებავ,
ო, მეგობრებო, როგორია ჩვენი გზის ბოლო,

ჩვენი, ვინც არგოსს ვეშურებით _ ჰოი, მე ბედშავს _
სწორედ იმგვარი, რომ არ ძალმიძს, ჩემს თანამდგომებს
მოვუთხრა მასზე, ვეღარც უკან დავიხევ უკვე,
დამუნჯებული უნდა შევხვდე ჩემს ბედისწერას.
ო, ჩემო დებო, ო, თქვენ მაინც, ვინაც მშობელი
მამის წყევლანი მოისმინეთ უსასტიკესი,
უკეთუ მართლა აღსრულდება ეს შეჩვენება
და თუკი სახლში დაბრუნდბა ვინმე თქვენგანი,
დაე, თქვენ მაინც ნუ შელახავთ, დებო, ჩემს პატივს,
საფლავში ჩამდეთ და დაკრძალვის მომაგეთ წესი;
მაშინ დღევანდელ სახელსა და მაგ თქვენს დიდებას,
რომელიც მასზე მზრუნველობით მოგიხვეჭიათ,
ჩემზე ზრუნვითაც არანაკლებს შეჰმატებს სახელს.

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

ო, დამიჯერე, პოლინიკე, გემუდარები!

პ ო ლ ი ნ ი კ ე

რისი თქმა გინდა, ანტიგონე, ჩემო ძვირფასო?

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

სასწრაფოდ არგოსს მიაბრუნე შენი ლაშქარი,
ნურც თავს დაღუპავ და ნურც ქალაქს დაღუპავ შენსას.

პ ო ლ ი ნ ი კ ე

არ შემიძლია; რადგან მერმე როგორ გავუძღვე
ლაშქარს, რომელსაც დავაბრუნებ შიშისგან ერთხელ.

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

რა საჭიროა ხელმეორედ აღიძრა, ძმაო?
რა მადლს მოიგებ, თუ შენსავე ქალაქს დაანგრევ?

პ ო ლ ი ნ ი კ ე

სამარცხვინოა გაქცევა და აგრეთვე ისიც,
ჩემზე _ უფროსზე _ უმრწემესმა ძმამ რომ იცინოს.

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

ხედავ თუ არა, რა სწორია მისნობა იგი,
ერთმანეთისგან რომ აღგითქვამთ სიკვდილს ორთავეს?

პ ო ლ ი ნ ი კ ე

მას ხომ აგრე სურს, და დათმობა აღარც ჩვენ ძალგვიძს.

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

ვაი, მე ბედშავს, ვინ გაბედავს შენ რომ გამოგყვეს
მის მიერ აგრე ნამისნევი სიტყვების შემდეგ?

პ ო ლ ი ნ ი კ ე

ცუდს არას ვიტყვი, კარგი სარდლის მოვალეობა
მუდამ საამოს უწყებაა და არა ავის.

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

მაშ, მართლა ასე გადაწყვიტე, ბედშავო ძმაო:

პ ო ლ ი ნ ი კ ე

ნუღარ მაკავებ, ანტიგონე, ნუღარ მაკავებ,
უბედურია ეს ჩემი გზა უსასტიკესი
და წყევლა აწევს მამისა და ერინიების.
თქვენ კი, უკეთუ წესს ამიგებთ, სიკეთე მოგცეთ
მაღალმა ზევსმა; განა ცოცხალს, მკვდარს მომეხვიეთ
ოდესმე ისევ. მაშ, გამიშვით, მშვიდობით, დებო,
ვეღარ მიხილავთ მხედველს მეტად.

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

ჰოი, მე ბედშავს!

პ ო ლ ი ნ ი კ ე

ნუ მგლოვობ, დაო.

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

ვინ შეიძლოს, რომ არ გიგლოვოს,
შენ, ვინაც, ძმაო, ასევ ცხადად ჩადიხარ ჰადესს?!

პ ო ლ ი ნ ი კ ე

თუ სიკვდილია, დაე მოვკვდე.

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

ყური დამიგდე.

პ ო ლ ი ნ ი კ ე

რაც არ შემფერის, ნურც შენ მეტყვი.

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

შენ თუ დაგკარგე,
რა უბედური შევიქნები.

პ ო ლ ი ნ ი კ ე

ღმერთი განაგებს
აგრე იქნება თუ სხვაგვარად. თქვენ კი, ორივეს,
ღმერთებს ვთხოვ ამას, არასოდეს შეგხვდეთ სიავე,
ცხადია, მართლაც, ავბედობის არა ხართ ღირსნი.

კ ო მ მ ო ს ი

ს ტ რ ო ფ ი ა

ქ ო რ ო

თუ ბედისწერა არ მისწვდება და თუ არ შეცვლის,
მრავალ ხელახალ ავბედობას დამაწევს თავზე
ეგ უსინათლო უცხო კაცი.
ღვთაებათაგან წინასწართქმულს ვერაფერს ჩავთვლი
ცრუდ და ამაოდ.
ხედავს, ო, ხედავს, ყველაფერს ხედავს მარადიული
ჟამი, რომელიც
ყოველდღიურად ამრავლებს ვარამს.
შეირყა ეთერი, ო, ზევსო!

ო ი დ ი პ ო ს ი

ჩემო შვილებო, ო, შვილებო, ხომ ვერ მოიყვანს
აქაურთაგან რომელიმე დიდებულ თესევსს?

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

რა განგიზრახავს მაინც, მამა, მეფეს რად უხმობ?

ო ი დ ი პ ო ს ი

მალე ჩამიყვანს ფრთამოსილი მეხი ზევსისა
ჰადესში... თუმცა, ო, გაგზავნეთ ვინმე საჩქაროდ.

ა ნ ტ ი ს ტ რ ო ფ ი ა

ქ ო რ ო

შეხედე, გრგვინავს და გრიალებს ზევსის ნატყორცნი
ვეება მეხი, ყალყზე მიდგას თმები შიშისგან,
ო, ყალყზე მიდგას,
თრთის და ცახცახებს ჩემი სული, გარდამოსული
კვლავ იწვის ელვა.
რა აღსასრული მოდის ნეტავ, ძრწოლამ შემიპყრო,
მუდამ სიავე ახლავს მის გრგვინვას,
ო, დიდო ეთერო, ო, ზევსო!

ო ი დ ი პ ო ს ი

ღვთისაგან კაცზე ნამისნევი აღსასრულია
მომდგარი, შვილნო, განრიდება აღარ ეგების.

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

საიდან უწყი და საიდან დაასკვენ, მამა?

ო ი დ ი პ ო ს ი

ვიცი ნამდვილად. მაგრამ ნეტავ წავიდეს ვინმე
და ჩქარა ჩემთან მოიყვანოს ამ მიწის მეფე.

ს ტ რ ო ფ ი ბ

ქ ო რ ო

ჰოი, შეხედე, როგორ გრგვინავს შორს მომქუხარი
მეხი ზევსისა,
ო, შეგვიწყალე, შეგვიწყალე, მაღალო ღმერთო.
ნეტავ წყვდიადი ხომ არ მოგაქვს დედამიწაზე?!
დე, სასიკეთოდ მოგვევლენოდეს შენი ნიშნება,
დაე, სამადლოდ მოსულიყოს ჩვენთან ეს კაცი,
მაღალო ზევსო, შენდა ვღაღადებ.

ო ი დ ი პ ო ს ი

ახლოა უკვე? ნუთუ ისევ ცოცხალს მომისწრებს,
შვილებო, იგი და გონებით ჯერაც დაწმენდილს?

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

რა ანდერძი გსურს დაუტოვო იმის სულს ნეტავ?

ო ი დ ი პ ო ს ი

ჩემგან აღთქმული მადლი მინდა მივაგო იმას,
კეთილ საქმეზე საქმითვე მსურს გადავუხადო.

ა ნ ტ ი ს ტ რ ო ფ ი ბ

ვაგლახ, ვაიმე, შვილო, მოვედ; ო, მოვედ,
მოვედ, თუნდაც რომ
ჩვენი სამშობლოს განსაწმენდად სწირადვე ზვარაკს
ზღვათა მეუფე პოსეიდონს, მოვედ, ო, მოვედ.
ამ უცხო მოხუცს უნდა, რათა შენ და შენს ქალაქს
შენს მეგობრებსაც მადლი უზღოს სამართლიანი.
გამოეშურე სწრაფად, პატრონო!

თ ე ს ე ვ ს ი

რა მიზეზია, რა ხმაურით მოცულხართ ყველა
და ამ ხმაურში რატომ ისმის ხმა უცხო კაცის?
ზეციდან ხომ არ დაგტყდომიათ დიადი ზევსის
ელვა ან სიტყვა; ყველაფერი ძალუძს ღვთაებას,
ეგზომ ძლიერი ქარაშოტი აღაგზნო ვინაც.

ო ი დ ი პ ო ს ი

გნატრობდი, მეფევ, და მოხვედი, ამ გზაზე ალბათ
ვიღაც უკვდავმა დაგაყენა შენს სასიკეთოდ.

თ ე ს ე ვ ს ი

ახალი არის რამე, ძეო ლაიოსისა?

ო ი დ ი პ ო ს ი

ჩემი სიცოცხლის გარდატეხა, არ მინდა მოვკვდე
და დანაპირი გაგიცრუოთ შენ და შენს ქალაქს.

თ ე ს ე ვ ს ი

რამე ნიშნებით განგიცხადდა ამგვარი ხვედრი?

ო ი დ ი პ ო ს ი

მაცნე ღმერთები მაუწყებენ ამას უცდომლად,
მათი ნიშნები არასოდეს გვატყუებს მოკვდავთ.

თ ე ს ე ვ ს ი

მაინც რა იყო ეგ ნიშნები, მოხუცო კაცო?

ო ი დ ი პ ო ს ი

გრგვინვა მეხისა მრავალგზისი და უძლეველი
ხელით ნატყორცნი მრავალგზისი ელვის ისრები.

თ ე ს ე ვ ს ი

მე მჯერა შენი; რაც წინასწარ გვითხარი ადრე,
ყველა აღსრულდა. თქვი, რას მირჩევ, როგორ მოვიქცე.

ო ი დ ი პ ო ს ი

ეგევსის ძეო, მე გასწავლი სიბრძნეს, რომელიც
შენს ქალაქს მარად უბერებელ ქალაქად აქცევს,
იმ ადგილს, სადაც უნდა მოვკვდე, თავად გაჩვენებ,
თვით წარგიძღვები, არვის შველა არ დამჭირდება.
და შენ კაცთაგან ნურასოდეს ნუ ეტყვი ვინმეს,
სად იმყოფება, დაფარული სად არის იგი,
რათა მრავალი ფარისა და შუბის სანაცვლოდ

მეზობლებისგან იგი იყოს თქვენი მფარველი.
იმას, რისი თქმაც მკრეხელობა არის ამჯერად,
თავად შეიტყობ, იქ რომ მოხვალ განმარტოებით,
ქალაქელთაგან მე არავის არ ვეტყვი იმას,
დაფარე იგი თავად შენაც და როცა მოვა
სიკვდილის ჟამი, შენს მემკვიდრეს გაანდე მხოლოდ,
მეფიდან მეფეს გადაეცეს ნიადაგ იგი.
დე, ასე დარჩეს შენს ქალაქში, სპარტთა მოდგმისთვის
მარად უძლეველ დიდ ათენში. ქედმაღლობა კი
ქალაქთა შორის ბევრს სჭირს ხოლმე კეთილად მცხოვრებს.
გვიან აპყრობენ თავის მზერას ღმერთები იმას,
მათ წესს განუდგა და ზვაობას მიეცა ვინაც.
არ დაგემართოს შენაც ასე, ეგევსის ძეო.
უჩემოდ იცი ყველაფერი, ახლა კი როცა
ღმერთის ნიშნება აჩქარებას მაუწყებს უკვე,
ნუღარ ვაყოვნებთ, მივაშუროთ იმ ადგილს ჩვენაც.
შვილებო, უკან გამომყევით, მე გაგიხდებით
ჯერ არგაგონილ წინამძღოლად, მე, ვინაც ადრე
თქვენვე დაგყავდით. გამომყევით, ნუ შემეხებით,
მევე მომანდეთ ჩემი წმინდა სამარის პოვნა,
სადაც ამ მიწით მიწერია რომ დავიფარო.
აგრე, აქეთკენ გამომყევით; აქეთ მიყვავარ
სულების მეგზურ ჰერმესსა და ქვესკნელის ღმერთქალს.
ჰოი, შენ, ბნელო სინათლეო, ოდესღაც, სადღაც
ჩემი იყავი, ამჟამად კი უკანასკნელად
მეხები ტანზე. მივალ, რათა აღსრულებული
სიცოცხლე ჰადესს ჩავაბარო. ო, სანუკველო,
თავად შენაც და შენი მიწაც, შენი მსახურნიც
იყავით მარად ბედნიერნი და სიმართლეში
მარადის ნეტართ მეც გახსოვდეთ, როცა მოვკვდები.

მეოთხე სტასიმონი

სტროფია

ქორო

თუკი ნება მაქვს, ჩემი ლოცვებით,
თაყვანი რომ გცეთ, უხილავო დიდო ქალღმერთო,
და შენც, აჩრდილთა საბრძანისის დიდო მეუფევ,
შენ, ო, აიდონევს, აიდონევს,
გემუდარები უდრტვინველი სიკვდილით ჩაჰხდეს
მოხუცი იგი სტიქსისა და აჩრდილთა სახლში,

რათა მართლაცდა უსამართლო და უთვალავი
უსასტიკესი სიმწარის შემდეგ
_ მას რომ დაატყდა
კვლავაც აღავსოს იგი ღმერთმა სამართლიანმა.

ა ნ ტ ი ს ტ რ ო ფ ი ა

მიწის ქალღმერთნო და უძლეველო
მხეცო, ჰადესის სტუმარმრავალ ბჭესთან რომ წევხარ,
და შენს ქვაბულში იღრინები გულისწამღებად,
ბრდღვინავ, რამეთუ, როგორც ჩვენ ვამბობთ,
ბნელი ჰადესის დარაჯი ხარ მარადიული.
შენაც გეას და ტარტაროსის ბნელო ასულო,
მკვდართა საუფლოს ჩაიყვანო, გვედრი, ქვესკნელში
_ შენს კართან მდგარი სამართლიანი
უცხოტომელი,
შენ, ვისაც გიხმობ მარადისად მიმაძინებელს.

ე ქ ს ო დ ო ს ი

მ ა ც ნ ე

ქალაქის მკვიდრნო, თუკი მოკლე სიტყვით ვიტყოდი,
ამას გამცნობდით, აღარ არის ოიდიპოსი.
ხოლო იმ ამბავს, რაც იქ მოხდა ცოტა ხნის წინათ,
ვერავინ შეძლებს მოკლე სიტყვით მოუთხროს ვინმეს.

ქ ო რ ო

მაშ, დაიღუპა, უბედური?

მ ა ც ნ ე

ეჭვიც არ არის,
სამარადისოდ მიატოვა მან ეს ცხოვრება.

ქ ო რ ო

და მაინც როგორ _ ღვთის ნებით და უმტკივნეულოდ?

მ ა ც ნ ე

ესე ამბავი გაოცების ღირსია მართლაც.
აქედან როგორ გაემართა თავად ხედავდი,
რადგან აქ იყავ _ არ უძღოდა მას წინ არავინ.
პირიქით მოხდა: თავად იმას მივყავდით ყველა.
მერმე კი, როცა მიაღწია ციცაბო დაღმართს,
სპილენძის კიბედ რომ ეშვება მიწის წიაღში,
გზაჯვარედინთან ერთ-ერთ გზაზე შედგა მოხუცი

უფსკრულის პირას, _ ძმობის ნიშნად სწორედ აქ დგანან
პირითოოსის და თესევსის ქანდაკებები.
შუაში დადგა იგი მათგან, თორიკულ კლდისგან,
გულცარიელი მსხლის ხისა და ქვის სამარისგან.
დაჯდა, გაიძრო ჭუჭყიანი თვისი სამოსი,
მერმე ასულებს მოუხმო და განსაბანელად
და საკურთხევლად წყლის მოტანა უბრძანა შვილებს.
მათაც უმალვე მიაშურეს მწვანით შემოსილ
დემეტრეს გორაკს, იქიდანაც კარგად რომ ჩანდა.
მსწრაფლ მოიტანეს ნაბრძანები, განბანეს იგი,
როგორც წესია და სამოსით შემოსეს თეთრით.
და ბოლოს, ოდეს განიხარა ყოვლითა ამით
და აღარ დარჩა არრა საქმე, რაც იმას სურდა,
მიწისმიერმაც სწორედ მაშინ იგრგვინა ზევსმა.
რა ესმათ მისი, აცახცახდნენ შიშით ქალწულნი,
მამას მუხლებში ჩაუვარდნენ და გლოვის ზარით
დიდხანს იცემდნენ ხელებს მკერდში ცრემლდადენილნი.
და მან კი, ოდეს გაიგონა მათი გლოვის ხმა,
მშვიდად მოჰხვია ხელები და უთხრა: “შვილებო,
დღეს უკვე მეტად აღარა გყავთ მშობელი მამა,
მოკვდა ყოველი ჩემეული და თქვენაც უკვე
აღარ გექნებათ ჩემი რჩენა ჯაფად და ზრუნვად.
მე ვიცი, იგი მძიმე იყო, შვილებო, თქვენთვის,
მაშ, დე, ამ სიტყვამ განაქარვოს ეს თქვენი ტანჯვა.
არ არის ქვეყნად სიყვარული უფრო ძლიერი,
ვით სიყვარული ამ კაცისა. დაობლებულნი
ამიერიდან კეთილადვე იცხოვრებთ ისევ”.
აგრე ურთიერთს ჩაკონილნი დიდხანს ტიროდნენ
გულამოსკვნილად სამივენი, და ბოლოს, როცა
იყუჩეს სამთა და ტირილი და მათი გლოვა
აღარ არღვევდა დამდგარ დუმილს, ანაზდად რაღაც
ხმამ მოუწოდა ოიდიპოსს და მაშინ მათაც
ყალყზე დაუდგათ შიშისაგან ზარგანხდილთ თმები,
რადგან ბევრგზის და ბევრი მხრიდან მოუხმო ღმერთმა:
“ო, ოიდიპოს, ოიდიპოს, რად ვაგვიანებთ
შენს წასვლას ნეტავ? შენ ისედაც დიდად დაყოვნდი”.
და როცა მიხვდა, ღმერთისაგან ვარო ხმობილი,
დიდი თესევსი, მიწის მეფე იხმო თავისთან.
და როს მივიდა იგი მასთან, უთხრა: “ძვირფასო,
მომეცი ხელი იმის ნიშნად, რომ არ უმტყუნებ
ასულებს ჩემსას _ თქვენც მიეცით, შვილებო, ხელი _
და შემომპირდი, რომ ერთგული იქნები მათი

და რომ ყოველთვის სასიკეთოდ იზრუნებ მათთვის”.
და მეფემ, როგორც კეთილშობილ ვაჟკაცს შეჰფერის,
დაუყოვედრებლად შეჰფიცა და პირობაც მისცა.
და ყოველივე ამის შემდეგ ოიდიპოსმა
შვილებს მოჰკიდა ხელები და ამგვარად უთხრა:
“შვილებო, უნდა დაჰმორჩილდეთ მოსახდენსა და
უნდა დატოვოთ ეს ადგილი, რათა არ ნახოთ
და არ ისმინოთ, რაც არა ხამს ხილვად და სმენად.
არამედ წადით და საჩქაროდ. მხოლოდ მეუფე
თესევსი დარჩეს, რათა ნახოს, რაც აქ მოხდება”.
აგრე თქვა მან და სუყველანი მას დავმორჩილდით.
გამოვეშურეთ ასულებთან ერთად და ყველას
ცრემლი გვდიოდა ნაკადივით. რა გამოვშორდით
იმ ადგილს, უკან მოვიხედეთ და დავინახეთ,
რომ უკვე არსად აღარ ჩანდა იგი მოხუცი.
მეფეღა იდგა, გაეწვდინა ხელები წინ და
თვალებს მალავდა, თითქოს რაღაც აუტანელი,
ზარგანმხდელი და საშინელი ხილვა ენახოს,
თუმცაღა მალე აგრე ვხედავთ, იჩოქებს მეფე
და თაყვანსა სცემს დედამიწას, ხოლო სიტყვებით
დიდებულ ღმერთთა ოლიმპოსაც მიაგებს პატივს.
ხოლო რა ხვედრით აღესრულა ოიდიპოსი,
თესევსის გარდა ვერვინ იტყვის მოკვდავთა შორის.
რადგან არც ღმერთის ცეცხლისმფრქვეველ ელვას დაუწვავს
და არც ზღვის ქარბუქს წაუღია საითმე იგი.
შესაძლო არის, რომ მეგზურმა ვინმე ღვთაებამ
წარგვგვარა იგი ან წყვდიადმა ჩაიკრა გულში.
არც ტანჯვით არის იგი მკვდარი და არც რაიმე
სნეულებისგან ძალმიხდილი, მოკვდავთა შორის
იგი _ ყველაზე საოცარი. თუკი მე ვცდები,
არა მგონია, არ ცდებოდეს, ვინც ასე ფიქრობს.

ქ ო რ ო

სადღა არიან ასულები და ვინც მათ ახლდა?

მ ა ც ნ ე

შორს არ არიან, რადგან მოთქმის მკაფიო ხმები
მე მანიშნებენ, რომ აქეთკენ მოდიან ისევ.

კ ო მ მ ო ს ი

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

ს ტ რ ო ფ ი ა

ვაგლახ, ვაიმე, საჭიროა, რათა ორივემ
სისხლი ვიგლოვოთ მამაჩვენისა,
ვიგლოვოთ ახლა და მერმისშიც ვიგლოვოთ იგი _
დაწყევლილი და ავბედითი. ამ სისხლის გამო
ადრეც მრავალი ჯაფა გვადგა და მერმისშიაც
მრავალი გველის უბედურება.

ქ ო რ ო

რა მოხდა, ბალღო?

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

სწორედ ისე, შენ რომ გინდოდა,
რადგან არც არესს მოუტაცნია
იგი და არც ზღვას. ბნელმა წიაღმა
ჩაინთქა იგი თავის წყვდიადში
შეუცნობელი ბედით და ხვედრით.
ვაგლახ, ორთავეს, სვეუბედურთ! ო, ავბედითი
ღამე მომდგარა ჩვენს თვალებზე;
რომელ მიწაზე ანდა ბორგნეულ
ზღვაზე ვიპოვით ჩვენს ბედს ეულნი.
როგორ ვიპოვოთ ანდა სად არის
ჩვენი ცხოვრების მწარე საგზალი?!

ი ს მ ე ნ ე

არ ვიცი, დაო, ნეტავი სისხლით
უძღომელ ჰადესს მოვეტაცე და
მამასთან ერთად მოვეკალ სულაც.
სიცოცხლეს, დღეს რომ მომადგა ჩემთვის,
სიცოცხლე უკვე არც ეთქმის მეტად.

ქ ო რ ო

თქვენ, შვილთა შორის გამორჩეულნო,
ღმრთის განაჩენი ღირსეულად ატარეთ მუდამ.
ნუ სტირით. ხვედრი, თქვენ რომ მოგეგოთ,
სულაც არ არის აგრე სასტიკი.

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

ა ნ ტ ი ს ტ რ ო ფ ი ა

ო, მენატრება ის სიმწარე, ძვირფასი იყო
იგი _ არაფრით გასახარი,
ძვირფასი იყო, როცა ხელით მიმყავდა იგი.
მამა, ო, მამა, დედამიწის წყვდიადში მწოლო.
კარგად იცოდე, არასოდეს არ განელდება,
ჩვენი შენდამი სიყვარული.

ქ ო რ ო

მან აღასრულა?

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

აღასრულა ის, რაც მას სურდა.

ქ ო რ ო

რა სურდა?

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

სადაც თავად სწადდა, იქ მიიცვალა
უცხო მიწაზე. მისი ლოგინი
მარად წყვდიადში დანთქმულა ქვემოთ.
განა უცრემლო დაგვრჩა წუხილი;
მუდამ, ო, მუდამ გიგლოვებენ ცრემლდადენილი
ჩემი თვალები. არ ვიცი, მამა.
რა უნდა მოხდეს, სვეგამწარებულს
ეს ჩემი გლოვა რომ გამინელოს.
ვაიმე, უცხო მიწაზე გწადდა
სიკვდილი, მამა, მაგრამ რად მოკვდი
ასე სულ მარტო, ასე უჩემოდ.

ი ს მ ე ნ ე

ვაი, მე ბედშავს, რა ხვედრი გველის
. . . . . .
. . . . . .
ან კიდევ შენაც, ძვირფასო დაო,
მამისგან აგრე მიტოვებულებს?

ქ ო რ ო

რახან აგრეა, რომ მამათქვენმა
ნეტარად გახსნა, სანუკველნო, სიცოცხლის ბოლო
შეწყვიტეთ გლოვა; სიავისათვის

არავინაა მიუწვდომელი.

ს ტ რ ო ფ ი ბ

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

მოდი, დავბრუნდეთ, ძვირფასო.

ი ს მ ე ნ ე

რატომ?

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

სურვილი მტანჯავს...

ი ს მ ე ნ ე

რისი სურვილი?

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

სამარე მინდა ვიხილო, დაო.

ი ს მ ე ნ ე

ვისი სამარე?

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

მამაჩვენისა.

ი ს მ ე ნ ე

განა ვისა აქვს იქ მისვლის ნება?
ნუთუ ვერ ხედავ?

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

რას ვერა ვხედავ?

ი ს მ ე ნ ე

იმას, რომ...

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

მაინც რასა, ძვირფასო?

ი ს მ ე ნ ე

მოკვდა და არვის არ დაუმარხავს.

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

მაშ, წამიყვანე და მეც მომკალი.

ი ს მ ე ნ ე

ვაი, მე ბედშავს, სად გავატარებ

ამ ჩემს სიცოცხლეს სვეგამწარებულს
განწირული და დაობლებული?

ა ნ ტ ი ს ტ რ ო ფ ი ბ

ქ ო რ ო

ნუ გეშინიათ, ძვირფასებო.

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

სადღა გავიქცეთ?

ქ ო რ ო

თქვენ დააღწიეთ თავი საფრთხეს...

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

ამას რად ამბობ?

ქ ო რ ო

არ დაგატყდებათ უბედურება.

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

მე ვფიქრობ.

ქ ო რ ო

მაინც რას ფიქრობ ნეტავ?

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

არ ვიცი, როგორ დავბრუნდეთ უკან.
არ ვიცი.

ქ ო რ ო

ნუღარ დაეძებ.

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

ტანჯვა
დამაწვა.

ქ ო რ ო

ადრეც ხომ გაწვა.

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

ადრე
ერთობ და აწ კი ზომაზე მეტად.

ქ ო რ ო

ტანჯვის რა დიდი ზღვა გერგოთ წილად!

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

ვაიმე, სადღა წავიდეთ, ზევსო?
რა იმედს მომცემს, რას მომიბოძებს
ნეტავ ამჯერად დიდი ღვთაება?

ს ი ს ტ ე მ ა

თ ე ს ე ვ ს ი

შეწყვიტეთ, შვილებო, იმაზე გოდება,
რაშიაც მადლი და ღამეა მიწისა;
ცოდვაა ამაზე ტირილი.

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

შენს ფერხთით განვერთხმით, ეგევსის ნაშობო.

თ ე ს ე ვ ს ი

რასა მთხოვთ, შვილებო? რისი ქმნა გწადიათ?

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

გვინდა სამარე მამაჩვენისა
თავად ვიხილოთ.

თ ე ს ე ვ ს ი

არავისა აქვს იქ მისვლის ნება.

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

რატომ გვითხარი ასე, პატრონო?

თ ე ს ე ვ ს ი

ჩემო შვილებო, მან აგრე თქვა, რომ მის სამარეს
არვინ არ უნდა მიეახლოს მოკვდავთა შორის,
არვის არ უნდა განვუცხადო, სად არის იგი,
სად არის მისი წმინდა სამარე.
მან ისიცა თქვა, რომ ამგვარად თუკი ვიზამდი,
მარად ნეტარი შეიქმნება ჩემი ქვეყანა.
ღმერთმაც ისმინა ეს სიტყვები და
ზევსის ჰორკოსიც ისმენდა ამას.

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

რაკიღა თვითონ მას სურდა აგრე,
ნუღარას ამბობ; ესეც კმარა. მაგრამ, მეფეო,

გემუდარებით, ჩვენს თებეში გაგვიშვი ისევ,
ძმების სიკვდილი რომ აღვკვეთოთ
ერთურთის ხელით.

თ ე ს ე ვ ს ი

მასაც აგრე ვიქმ და ყველაფერსაც
თქვენს სასიკეთოდ რომ მინდა თავად
და მამათქვენის წმინდა მადლისთვის.
ამის ქმნა ჩემთვის როდის არის, შვილებო, მძიმე.

ქ ო რ ო

მაშ, დამშვიდდით და ნუღარ გლოვობთ,
მეტს ნუღარ ტირით.
ურყევი არის სიტყვა მეუფის.

თარგმნა გიორგი ხომერიკმა

ანტიგონე

მოქმედი პირნი:

ანტიგონე
ისმენე
თებელ უხუცესთა ქორო
კრეონტი
დარაჯი
ჰემონი
ტირესიასი
მაცნე
ევრიდიკე
ექსანგელოსი

პ რ ო ლ ო გ ო ს ი

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

ო, ჩემო დაო, საყვარელო ჩემო ისმენე,
იცი თუ არა, ჯერაც ცოცხლებს რას არ გვიმზადებს
ოიდიპოსის სიავეთა შორის კრონიდი?
აკი არც რამე ტანჯვა არის და არც ჭირია,
არც შერცხვენა და დატირება არის ისეთი,
ჩვენ სიმწარეში ჩემი თვალით რომ არ მეხილოს.
და აი ახლა რა ბრძანებას ამბობენ ნეტავ,
სტრატეგოსისგან ქალაქელთა მიმართ გამოთქმულს?
შეიტყვე რამე? იქნებ სულაც არ გაგიგია
სიავე, რაიც ჩვენს ძვირფას ძმებს უნდა დაატყდეს.

ი ს მ ე ნ ე

არანაირი, ანტიგონე, მათი ამბავი
მე არ მომსვლია არც საამო, არც სამწუხარო.

მას მერე, რაც რომ ორივე ძმა დავკარგეთ ორმა,
ორივე _ ერთ დღეს ერთმანეთის ხელით მოკლული,
მას შემდეგ, რაც კი არგოსელთა ჯარი გაიქცა
თებედან წუხელ, არაფერი არ შემიტყვია
ამბავი რამე სავალალო, ანდა საამო.

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

კარგად ვიცოდი, ამიტომაც ვცდილობდი სწორედ
შინიდან გარეთ რომ გამეხმე და მარტო მეთქვა.

ი ს მ ე ნ ე

მაინც რა მოხდა? აშკარაა, რაღაც გაღელვებს.

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

არ განუზრახავს განა კრეონტს ერთის დამარხვა,
ხოლო მეორის მიგდება და პატივის აყრა?
როგორც ამბობენ, ეტეოკლე სიმართლითა და
პატივისცემით და წესრიგით დამარხა თურმე
მიწაში მკვდრებთან და ქვესკნელში პატივგებული,
საწყლად დაღუპულ პოლინიკეს ბედშავ გვამზე კი
ამბობენ თურმე, უბრძანაო მოქალაქეებს,
არ დაფლან ის და არ იტირონ. უსაფლავო და
დაუტირები ტკბილ ნადავლად რომ ერგოს ფრინველთ,
დამშეულად რომ აცხრებიან საამო სარჩოს.
აგრე ამბობენ, რომ კეთილმა თურმე კრეონტმა
მეცა და შენაც, გესმის, მეც კი ასე მიბრძანა.
აქ მოდის იგი, რათა ნათლად აუწყოს მათაც,
ვინც ეს არ იცის. საქმე ეგე როდია მხოლოდ
ფუჭი სიტყვები; ვინც გაბედავს იმის დამარხვას
სიკვდილს ირგუნებს ქალაქისგან და ქვით ჩაქოლვას.
აგრეა. ალბათ დაამტკიცებ სულ მალე თავად,
კეთილშობილი შობილხარ თუ სულით მდაბალი.

ი ს მ ე ნ ე

თუკი ასეა, რითღა ძალმიძს ნეტავ მე ბედშავს,
შევუწყო ანდა შევუშალო ხელი ამ საქმეს?

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

კარგად დაფიქრდი, შეგიძლია, რომ დამეხმარო?

ი ს მ ე ნ ე

კი, მაგრამ, მაინც რა საქმეში, რა განგიზრახავს?

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

ასწევ თუ არა ჩემთან ერთად მოკლულის სხეულს?

ი ს მ ე ნ ე

დამარხვა გინდა? ამის ნება არა აქვს ქალაქს.

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

მაშ, უშენოდაც, მე დავმარხავ, ჩემსა და შენს ძმას,
შენ თუ არ გინდა. მოღალატე მე ვერ გავხდები.

ი ს მ ე ნ ე

ჰოი, ბედშავო, თვით კრეონტის აკრძალვის მერმეც?

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

რომ დამიშალოს, მას არა აქვს ამის უფლება!

ი ს მ ე ნ ე

ვაიმე, დაო, დაუფიქრდი, რა სამარცხვინოდ
და უსახელოდ დაგველუპა მშობელი მამა,
თავის ცოდვათა მის მიერვე შეცნობის შემდეგ,
თავისი ხელით დაითხარა ორივე თვალი.
ამასთან ერთად მისმა დედამ და მისმა ცოლმა
სასირცხვოდ თოკზე დაასრულა თვისი სიცოცხლე.
აჰა, მესამეც _ ჩვენმა ძმებმა, ორივემ ერთ დღეს,
საწყალობლებმა და ერთურთის დამღუპველებმა,
საერთო ხვედრი განუმზადეს ხელით ერთმანეთს.
ახლა კი ჩვენ ვართ დარჩენილნი. აბა, შეხედე,
რარიგ ბედშავად ამოვწყდებით, ტირანთა ნებას
და ძლიერებას თუ გადავალთ ადათის ძალით.
უნდა დავფიქრდეთ იმაზედაც, რომ ჩვენ ამქვეყნად
ქალებად ვიშვით და არ ძალგვიძს კაცებთან ბრძოლა,
ესეც არ იყოს, ჩვენზე ძლიერთ ვუპყრივართ ხელში
და უნდა მოვდრკეთ, მეტი ჭირი გვარგუნონ თუნდაც.
და მეც, ამდენად, შენდობასღა თუ შევთხოვ მხოლოდ
ქვესკნელის ღმერთებს, იმათ წესებს რომ გადავდივარ.
დავმორჩილდები ამა ქვეყნის ძლიერებს, რადგან
ქმნა ზედმეტისა უგნურება თუ არის მხოლოდ.

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

მე არც ვაპირებ, გაიძულო, და რომც მესურვა,
ჩემთვის საამოდ არ იქმოდი შენ ამას მაინც.
დაე, იფიქრე, როგორც ფიქრობ, მე დავფლავ იმას
და ამის შემდეგ ნეტარებით მოვკვდები კიდეც.

მისთვის სანატრი სანატრელთან დავწვები მაშინ,
აღმსრულებელი საღმრთო ვალის და დამნაშავე;
ხამს, მათ ვაამო უფრო მეტად, ვინც ქვესკნელშია,
ვიდრე აქა მყოფთ, მე ხომ მუდამ ქვემოთ ვიქნები.
შენ კი შელახე ღმერთთა წესი, რახან აგრე გსურს.

ი ს მ ე ნ ე

პატივშესალახს არრას არ ვიქმ. მოქალაქეთა
წინაამღდეგ კი მე არ ძალმიძს ამის ჩადენა.

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

დაე, ეძებე გამართლება, მე კი წავალ და
ჩემს სანუკვარ ძმას აღვუმართავ სამარის გორაკს.

ი ს მ ე ნ ე

ვაი, ბედკრულო, მწარე შიში მიპყრობს შენ გამო.

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

ჩემზე ნუ ზრუნავ, შენს ხვედრზევე იზრუნე, გიჯობს.

ი ს მ ე ნ ე

ჰო, მაგრამ, დაე, ნუვის ეტყვი, რასაც აპირებ.
არავის უთხრა, მეც ასევე არავის ვეტყვი.

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

ო, ნუ დამალავ! საძულველი იქნები უფრო
თუ გაჩუმდები, ვიდრე მაშინ, ყველას თუ ამცნობ.

ი ს მ ე ნ ე

ვერ გააცივა შენი გული სასტიკმა სუსხმა.

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

მაგრამ მე ვიცი, ვის ვაამო ყველაზე მეტად.

ი ს მ ე ნ ე

ნეტა შეგეძლოს. თუმც არ ძალგიძს და ისე ცდილობ.

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

თავს დავანებებ, რა თქმა უნდა, თუკი ვერ შევძლებ.

ი ს მ ე ნ ე

აზრი არა აქვს შეუძლებელს მოჰკიდო ხელი.

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

მე შეგიძულებ, თუკი ასე ილაპარაკებ,

მიცვალებულსაც მტრად გაიხდი სამართლიანად.
მაგრამ მაცალე და ჩემივე უგნურებისგან
დამათმენინე ეგ სიავე. ისეთს არაფერს
არ გავაკეთებ, სახელოვან სიკვდილს რომ ავცდე.

ი ს მ ე ნ ე

წადი, თუ გინდა, და იცოდე, სიგიჟეს სჩადი,
თუმც მოყვასთათვის მოყვასადვე დარჩები მუდამ.

პ ა რ ო დ ო ს ი

ქ ო რ ო

ს ტ რ ო ფ ი ა

ჰოი, მზის სხივო! ყველაზე კარგო,
რაც კი აქამდე მოსულა ჩვენთან,
შენ განაბრწყინე ბჭეშვიდი თებე,
ბოლოს და ბოლო მოხვედი კიდეც.
შენ, ო, ოქრო-დღის წამწამო,
გადმოიარე დირკესეულ წყაროებზე და
თეთრ არგოსიდან მოსული კაცი,
თეთრი ფარით და მთელი იმისი
აღჭურვილობით შორს გააქციე,
გაარეკინე სწრაფი ცხენები,
პოლინიკეს და ეტეოკლეს შუღლის მიზეზით
აღუდგა იგი სამტროდ ჩვენს ქალაქს.
როგორც არწივმა ხმამჭექარე თავის ყივილით
გადაუქროლა ამ ჩვენს მიწას, გადაუქროლა
და თოვლისფერი ფრთებით იყო იგი მოსილი,
ჯავშანში იყო ჩამჯდარი და ცხენის ფაფარით
დამშვენებული მუზარადით მოსილი იყო.

ა ნ ტ ი ს ტ რ ო ფ ი ა

სახურავებზე შეჩერებულმა
შვიდბჭიან თებეს ყოველი მხრიდან
შუბნი უსწორა სასიკვდილონი,
მაგრამ წავიდა მანამდის, სანამ
სისხლით გაივსებდა ნისკარტს.
მანამდე, სანამ აიღებდა გოდოლთა გვირგვინს
ზეთით აღვსილი ჰეფაისტოსი,
არესის დიდი გრგვინვა გავრცელდა
იმის ზურგსუკან, დაუძლეველი

იყო დრაკონი თებეს ბრძოლაში.
თავმომწონეთა ტრაბახსა და ენამრავლობას
ვერ იტანს ზევსი. მათი მხილველი,
რომელნიც დიდი ნაკადის და ღვართქაფის დარად
აჟღარუნებდნენ ოქროცურვილ თავის საჭურველს.
ნატყორცნი ელვებით ანარცხებს სასტიკად
მეომარს, კედლის ქონგურების პირას მიღწეულს
ძლევის ყიჟინა რომ უნდოდა დაეცა უკვე.

ს ტ რ ო ფ ი ბ

ცეცხლი ეპყრა და განატყორცნი მიწას დაასკდა
და შეტორტმანდა მის გვამქვეშ მიწა. უსაშინლესი
ქარების დარად მიისწრაფოდა
გააფთრებული ის მეომარი.
ამგვარი ჰქონდა ხვედრი ერთისთვის,
და გაუსწორდა სხვებსაც ამგვარად
თავისი რისხვით ეგზომ ძლიერი
გამძვებელი დიდი არესი,
რამეთუ იმ შვიდი კარიბჭის პირისპირ
იდგა ბელადი შვიდი შვიდის წინ,
მტერთგანმაოტებელ დიად ზევსს დაუგდო
შვიდივემ თავისი სპილენძის ალაფი
და მხოლოდ ის ორი ძმა დარჩა ბედშავი,
ვაჟკაცნი, რომელთაც ერთურთზე შემართეს
ხელი და სიკვდილი იწვნიეს.

ა ნ ტ ი ს ტ რ ო ფ ი ბ

თუმცა მოვიდა სახელოვანი დიადი ნიკე
თვისი ღიმილით მრავალეტლიან ამ ჩვენს თებეში
ცოტა ხნის წინათ გასრულებული
ბრძოლების შემდეგ. მაშ, დაივიწყეთ;
ღმერთების ტაძრებს ვეახლოთ ყველა
ღამესათევი ფერხულებით და
ცეკვით. ცეკვებით თებეს მრყეველი
წინ დიონისე წარგვიძღვეს.
თუმც მოდის მეუფე ამ ჩვენი ქვეყნისა,
მენეკევსის ძე, დიდი კრეონტი,
ღმერთების წყალობით რომ გახდა მეუფე
ახლახანს. რა უდევს გულში მას ნეტავი.
რისთვის დაუნიშნავს ნეტავი ჩვენს მეფეს
ესოდენ სასწრაფოდ მხცოვანთა ყრილობა,
რად გვიხმო მაცნეთა სიტყვებით.

პირველი ეპისოდიონი

კრეონტი

მრავალი ტალღით შერყეული ქალაქის საქმე
კვლავაც სწორ გზაზე დააყენეს ღმერთებმა, კაცნო,
მე კი მაცნეთა მეოხებით ცალკე მოგიხმეთ
ჩემთან, რამეთუ კარგად ვიცი, რომ ლაიოსის
ტახტის ძალას და ძლიერებას იცავდით მუდამ.
მე ისიც ვიცი, რომ როდესაც ოიდიპოსი
მართავდა ქალაქს და მას მერმეც, ოდეს დაეცა,
ორივე შვილის ერთგულები რჩებოდით ყველა.
მას შემდეგ, რაც კი დაიღუპა ორივე ერთ დღეს
ორმხრივ სიკვდილად რომ ეკვეთნენ ერთმანეთს შუღლით
და შეიბილწნენ ურთიერთის ხელით მოკლულნი,
ძალაუფლება მე მიპყრია, მიპყრია ტახტიც,
ვითარცა ორი დაღუპულის ახლო ნათესავს.
შეუძლებელი არის თუმცა ყოველი კაცის
სულის, ზრახვისა და ფიქრების შეცნობა მანამ,
სანამ მართვაში გამოიჩენს თავის თავს იგი,
რამეთუ ვფიქრობ, გამგებელი სახელმწიფოსი
არად რომ აგდებს მართებულ და უტყუარ რჩევას
და მუდამ შიშით ენაზე აქვს დადგმული კბილი,
ბოროტთა შორის ბოროტია უცილობელად.
მას, ვინაც თავის სამშობლოზე აღმატებულად
მეგობარსა თვლის, არად ვაგდებ ამნაირ ვაჟკაცს,
რადგან _ დე, იყოს ყოვლისმჭვრეტი ზევსი მარადის _
არ გავჩუმდები, ავბედობას თუ დავინახავ,
ქალაქელებზე რომ მომდგარა შვების სანაცვლოდ.
არცთუ ოდესმე ჩემი მიწის მტერს არ გავიხდი
მე ჩემს მეგობრად, კარგად ვიცი ეს ერთი რამაც:
სამშობლოშია სწორედ ხსნა და სამშობლოზევე
სწორად მზრუნავნი ვიხვეჭთ ხოლმე მეგობრებს ჩვენაც.
დე, ეტეოკლე, ქალაქისთვის იბრძოდა ვინაც
და დაიღუპა შუბოსნობით გამორჩეული,
დაიმარხოს და აღუსრულდეს ყველა ის წესი,
ყველაზე რჩეულ მიცვალებულს რომ ხვდება წილად.
მის ავ ძმაზე კი, პოლინიკე ერქვა რომელსაც,
ვისაც მშობელი ქვეყნისა და მშობელ ღმერთების
გადაწვა სურდა სამშობლოში ჯარით შემოსულს
და სხვათა მონად გატაცება, სწორედ რომ მასზე
მიბრძანებია საზოგადოდ ქალაქელთათვის:
ნურც დამარხავს და ნურც იგლოვებს იმას ნურავინ,

დაუმარხავი იყოს, დაე, ფრინველთათვის და
ძაღლთათვის ეგდოს _ სახილველად უგვანი გვამი.
ასეთი არის ჩემი აზრი _ არ ვამჯობინებ
დამნაშავეებს პატიოსან ხალხსა და ვაჟკაცთ.
ხოლო ქალაქის გულისათვის კეთილად მზრახველს
მკვდარს და ცოცხალსაც თანაბრადვე მივაგებ პატივს.

ქ ო რ ო

შენ აგრე განსჯი, მენეკევსის დიადო ძეო,
თუ ვინ იზრახავს ქალაქისთვის კეთილს და ბოროტს.
შენ ძალგიძს, მკაცრი კანონები მიაგო ყველას,
გარდაცვლილებსაც და იმათაც, რომელნიც ვცოცხლობთ.

კ რ ე ო ნ ტ ი

თვალყური კარგად მიადევნე ჩემგან ნაბრძანებს...

ქ ო რ ო

ჩვენზე უმცროსებს დაავალე ამის კეთება.

კ რ ე ო ნ ტ ი

უკვე მზადა მყავს გვამისათვის მეთვალყურენი.

ქ ო რ ო

გარდა ამისა, სხვა რამესაც ხომ არ გვიბრძანებ?

კ რ ე ო ნ ტ ი

არ შეიწყნარო ამ კანონის არაერთგულნი.

ქ ო რ ო

ისეთი ბრიყვი ვინ იქნება, სიკვდილი სწადდეს?

კ რ ე ო ნ ტ ი

სიკვდილი არის საზღაური, თუმცაღა ხშირად
ადამიანებს ანგარება ღუპავს უაზრო.

დ ა რ ა ჯ ი

ჩემო მეუფევ, მე ვერ გეტყვი, რომ ძალზე სწრაფად
და ძალზე ჩქარა მოვდიოდი სულმოუთქმელი.
ბევრჯერ შევჩერდი, რადგან აზრი არ მასვენებდა,
ისევ უკანვე წავსულიყავ გაბრუნებული,
რამეთუ სული მრავლისმთქმელი მეტყოდა აგრე:
საბრალოვ, ნეტავ სად მიდიხარ, მიხვალ იქა და
სასჯელს მიიღებ. აქ დარჩები? შეიტყობს ამას
კრეონტი სხვისგან და როგორღა არ გევნოს მაშინ?

ამ აზრებისგან აბნეული ნელა ვვიდოდი.
და, ჰა, ამდენად, ეგ მოკლე გზაც შეიქნა გრძელი.
ბოლოს და ბოლოს შენთან მოსვლის აზრმა იმარჯვა,
თუმცაღა ამბავს ვერას გამცნობ, მე მაინც გეტყვი.
აქეთ მომავალს ეს იმედი მქონდა ნუგეშად,
არ შემხვდებოდა, რაც ბედ-იღბლით არ მიწერია.

კ რ ე ო ნ ტ ი

მაინც რა არის, რის გამო ხარ ასე დამფრთხალი?

დ ა რ ა ჯ ი

ჯერ თავად ჩემზე მინდა გითხრა, ჩემი არ არის
ეგ საქმე მეფევ, არც მინახავს ვინა ქმნა იგი.
ჰოდა, უაზროდ დამატეხდი უბედურებას.

კ რ ე ო ნ ტ ი

გასხლტომას ცდილობ და შორიდან უვლი სათქმელსაც,
ჩანს, რაღაც მეტად მნიშვნელოვან სიახლეს გვეტყვი.

დ ა რ ა ჯ ი

საშინელ ამბებს შეყოვნება სჩვევია დიდი.

კ რ ე ო ნ ტ ი

აღარ ამოთქვამ? გიჯობს მორჩე და გზას გაუდგე.

დ ა რ ა ჯ ი

ყველაფერს გეტყვი, სულ ახლახან ვიღაც უცნობმა
დამარხა გვამი და წავიდა, ზემოდან ქვიშა
მოაბნია და აღასრულა დაკრძალვის წესი.

კ რ ე ო ნ ტ ი

ამას რას ამბობ, ვინ გაბედა ამის ჩადენა?

დ ა რ ა ჯ ი

არ ვიცი, რადგან არც ნიჩაბის კვალი მინახავს
და არც წერაქვის მონათხარი, მკვრივია მიწა,
ხმელი არის და გაუჭრელი, არც ბორბლის კვალი
ატყვია სადმე. არ დატოვა ნიშანი უცხომ.
როდესაც გვამი დაგვანახა დღის მეთვალყურემ,
ჩვენთვის, ყველასთვის საოცრება იქმნა საზარი.
რადგან არ ჩანდა გვამი იგი და არც ემარხა,
თითქოსდა ცოდვას გაექცაო ვიღაც და მიწა
მოკლულს თხელ ფენად წააყარა. არ ჩანდა ისიც,
ძაღლი ან მხეცი მოსულიყო მის დასაფლეთად.

ავი სიტყვები გახმიანდა ერთურთში უმალ.
დარაჯი დარაჯს აბრალებდა და უკვე ლამის
ჩხუბიც შეიქმნა, არც ვინ იყო დამწყნარებელი,
რადგან ყოველი დამნაშავედ თვლიდა მეორეს,
არცვინ ტყდებოდა, ირიდებდა თავისგან ყველა.
მზანი ვიყავით, ცხელი რკინა აგვეღო ხელში
და ცეცხლის ალში გამოგვევლო გამოსაცდელად
და თვით ღმერთებიც დაგვეფიცა, რომ არაფერი
არ გვიქნია და არ გვინახავს საქმის ჩამდენი.
ბოლოს კი, როცა ვერაფერი გამოვიძიეთ,
ერთ-ერთმა თქვა და შიშისაგან დავხარეთ მაშინ
თავები ყველამ, აღარ გვქონდა, რადგან არავის
არც საპასუხო რამ სათქმელი, არცა თუ გეგმა
ამაზე კარგი, და გადაწყდა, რომ ეს ამბავი
არ დაგვემალა და თვით შენთვის გვეუწყებინა _
და გაიმარჯვა ამ აზრმა და ბედგაცუდებულს
მე შემახვედრა ეგ სიკეთე წილისყრამ სწორედ.
არც თქვენ გინდოდათ ჩემი მოსვლა და არც მე მსურდა
მოსვლა აქ, თქვენთან, არვის უყვარს სიავის მაცნე.

ქ ო რ ო

პატრონო ჩემო, რა ხანია, აზრი მაწუხებს,
თვით ღმერთებისა ხომ არ არის ეგ საქმე ნეტავ?

კ რ ე ო ნ ტ ი

გაჩუმდი, სანამ მრისხანებით არ აგივსივარ,
დაე, ნუ დაგბლევს უგნურება ამ სიბერის ხანს.
შეუწყნარებელს მეუბნები, როდესაც ამბობ,
დაიმონები ზრუნავდნენო თითქოს გვამისთვის.
ვით დამარხავდნენ მას ისინი, ვითარცა ვინმეს
კეთილის მოქმედს, ვინც სვეტებით გარშემორტყმული
ტაძრებისა და შესაწირთა დაწვად მოვიდა
და მათი ქვეყნის და კანონთა შესამუსრავად?
სად გაგონილა, ბოროტმოქმედს ფარავდნენ ღმერთნი?
ვერსად ნახავდი, თუმც ამნაირ აზრებზე მდგარნი
ადრეც მყოლია მომდურავნი ამ ჩემს ქალაქში.
თავებს აქნევენ იდუმალად, რადგან უღელი
კარგად არა აქვთ მორგებული მორჩილებისთვის.
მშვენივრად ვიცი, რომ იმათგან არიან სწორედ
მოსყიდულები ამ საქმეზე მეთვალყურენიც.
კაცთათვის ქვეყნად არ შობილა ადათი რამე
ვერცხლზე ბოროტი. იგი ანგრევს ქალაქებსა და

კაცებსაც ხოლმე სახლებიდან იგი გაიყვანს,
იგი ასწავლის და სასირცხო საქმეებისთვის
იგი აცდუნებს მოკვდავ კაცთა სათნო გულებსაც.
მან დაანახა კაცთა მოდგმას ეშმაკობა და
ყოველნაირი უღირსი და უზნეო საქმე.
იმათ კი, ვინაც ჩაიდინა ახლა ეს ცოდვა,
გავა ჟამი და მიეგება სამართლიანად,
თუ შემრჩენია ზევსისადმი პატივისცემა.
რასაცა ვამბობ, დამიჯერეთ, რამეთუ ვფიცავ,
თქვენივე ხელით თუ არ მომგვრით საფლავის გამთხრელს,
არ იპოვით და არ მომიყვანთ თვალთა წინაშე,
როდი გაკმარებთ მხოლოდ ჰადესს, ცოცხლად დაგკიდებთ
მანამდე, სანამ არ გამიმხელთ ამ თავხედობას,
კარგად გაიგებთ, საიდან ხამს სარგებლის ნახვა.
დაე, მიიღეთ დანარჩენიც და შეიგენით
ყოველგან როდი შეიძლება ესწრაფოთ ხეირს,
რადგან საძრახი სასყიდელი უმეტესწილად
ზარალს მოუტანს ადამიანს, ვიდრე სარგებელს.

დ ა რ ა ჯ ი

თქმის ნებას მომცემ, თუ ასევე წავიდე უკან?

კ რ ე ო ნ ტ ი

ვერ ხვდები განა, ლაპარაკით თავს რომ მაბეზრებ?

დ ა რ ა ჯ ი

ყურს გხვდება ცუდად, თუ სულსაა რომ გიმწუხარებს?

კ რ ე ო ნ ტ ი

რისთვის კითხულობ, თუ წუხილი სად არის ჩემი?

დ ა რ ა ჯ ი

სულს დამნაშავე გიმწუხარებს, ყურებს _ ჩემი ხმა.

კ რ ე ო ნ ტ ი

ვხედავ, რომ მართლაც გაიძვერად დაბადებულხარ.

დ ა რ ა ჯ ი

ჰო, მაგრამ არ ვარ მე არასგზით ამის ჩამდენი.

კ რ ე ო ნ ტ ი

გარდა ამისა, ვერცხლისათვის სულსაც გაყიდი.

დ ა რ ა ჯ ი

საშინელია, ცრუდ თუ ფიქრობს ფიქრის დროს ვინმე.

კ რ ე ო ნ ტ ი

შენ არვინ გკითხავს ჩემი აზრის განსჯას. იცოდე,
აქ თუ არ მომგვრით დამნაშავეთ, თავადვე გეტყვით,
რა წყენას შეიქმს ანგარება უსაძაგლესი.

დ ა რ ა ჯ ი

კარგი იქნება, რომ აღმოჩნდეს; ახლა კი მხოლოდ
ბედი გადაწყვეტს, შეიპყრობენ იმას თუ ვერა.
ვეღარ მიხილავ ხელმეორედ აქ, შენთან მოსულს,
რამეთუ ახლაც, თუმც არ მქონდა ამის იმედი,
გადარჩენილი დიდ მადლობას მივუძღვნი ღმერთებს.

პ ი რ ვ ე ლ ი ს ტ ა ს ი მ ო ნ ი

ქ ო რ ო

ს ტ რ ო ფ ი ა

მრავალი არის საკვირველება,
ადამიანზე საკვირველი კი
არრაა ქვეყნად, ჭაღარა ზღვასაც
მიაპობს გემით ზამთრის ქარებში,
ირგვლივ მღელვარე ტალღების მიღმა
სწრაფად მიცურავს და მიჰქრის იგი.
გეას, ღმერთთაგან ყველაზე დიადს,
გარდუვალს და მარად მოუღლელს,
ფიტავს, როდესაც თავისი გუთნით
შებმულ ცხენებით წლითი-წლობით ხნავს ხოლმე მუდამ.

ა ნ ტ ი ს ტ რ ო ფ ი ა

ფრინველთა გვარს კი, ალალს და მიმნდობს
ბადით იჭერს და ამგვარად მიჰყავს,
ასევე იჭერს ველურ მხეცებსაც,
ნაქსოვი ბადით იჭერს აგრეთვე
ბუნებას ზღვისას და მის ქმნილებებს
კაცი მარჯვე და წინდახედული;
მრავალი ხერხით ათვინიერებს
მთის ველურ მხეცებს, ფაფარხშირ ცხენს კი
კისერზე ადგამს უღელს. ასევე
უღელში აბამს მიუჩვეველ მთის ველურ ხარსაც.

ს ტ რ ო ფ ი ბ

მეტყველება და ქარივით
ფრთამალი ფიქრი ისწავლა,
ქალაქის ზნეშიც გაიწაფა და
ავდრებისა და კოკისპირული
წვიმებისაგან განრიდებაშიც.
წინ მიიწევს და არ უძნელდება
წინსვლა ხერხიანს. და მხოლოდ ჰადესს
არ შეუძლია, რომ განერიდოს,
სნეულებათა წამლები კი მოგონილი აქვს.

ა ნ ტ ი ს ტ რ ო ფ ი ბ

ცბიერებათა ოსტატი
ყველა მოლოდინს აჭარბებს
თავისი სიბრძნით, ხან ბოროტისკენ,
ხან კეთილისკენ იხრება იგი.
თუ კანონს იცავს თავის მიწისას
ღმერთებს იფიცებს _ ქალაქშია აღზევებული.
არ აქვს ქალაქი, ვინც გაბედულად
დაემებს ხეირს, ო, ვერ გახდება
თანამზრახველი ჩემი იგი, ვინაც ასე იქმს.
ო, ვეღარ ვიგებ ამ ღვთიურ ნიშნებს.
როგორღა უარვყო თვალნათლივ მხედველმა
რომ თვით ანტიგონე არ არის ეს ქალი.
სვეუბედურო,
ასულო ბედშავ ოიდიპოსის,
რა მოხდა? ო, ნუთუ ურჩობა შეჰბედე
ბასილევსისგან გამოთქმულ კანონებს.
უგონოდ მოქმედი შეგიპყრეს მცველებმა.

მ ე ო რ ე ე პ ი ს ო დ ი ო ნ ი

დ ა რ ა ჯ ი

აი, ეს არის დამნაშავე, შევიპყრეთ, როცა
მოკლულს მარხავდა. სადღა არის თავად კრეონტი?

ქ ო რ ო

სწორედ რომ დროზე ისევ აქეთ მოდის შინიდან.

კ რ ე ო ნ ტ ი

მაინც რა არის? რატომა ვარ დროზე მოსული?

დ ა რ ა ჯ ი

არ ღირს, მეუფევ, დაიფიცოს კაცმა რამეზე,
ამტყუნებს ხოლმე მეორადი აზრი პირველ აზრს;
მართლაცდა შენი დანაქადით შეშინებული,
აგრე მეგონა, არასოდეს დავბრუნდებოდი.
მაგრამ ძლიერ და მოულოდნელ სიხარულს ქვეყნად
არ შეედრება ნეტარება არანაირი.
მოვედი _ თუმცა დავიფიცე, არ მოვალ-მეთქი _
და ეს ქალწულიც მოვიყვანე, ვინაც საფლავის
შემკობის გამო შევიპყარით. წილის უყრელად
თავად ჩემია ეს ნადავლი და არა სხვისი.
დე, როგორც გსურდეს, მეუფეო, ისე მიაგე.
განსაჯე იგი და დაჰკითხე. მე კი ამჯერად
სამართლიანად დახსნილი ვარ ავბედობისგან.

კ რ ე ო ნ ტ ი

ვით შეიპყარით მაინც იგი? საიდან მოგყავს?

დ ა რ ა ჯ ი

მოკლულს მარხავდა, ყველაფერი გითხარი უკვე.

კ რ ე ო ნ ტ ი

სწორად შეიტყვე? მართალია, რასაც შენ ამბობ?

დ ა რ ა ჯ ი

მე თავად ვნახე, რომ მარხავდა, ვისი დამარხვაც
შენ აგვიკრძალე. განა ცხადად არ გეუბნები?

კ რ ე ო ნ ტ ი

ვით დაინახეთ იგი, ანდა ვით შეიპყარით?

დ ა რ ა ჯ ი

ამგვარად იყო ეს ამბავი. როცა მოვედით,
დანაქადნისა შენისაგან შეშინებულნი,
გადავაცალეთ მთელი მიწა, გვამს რომ ფარავდა
და უკვე ხრწნადი გავაშიშვლეთ სრულად სხეული,
მაღალ ბორცვებზე ჩამოვსხედით მოფარებულად,
ქარს რომ ჩვენამდე გვამის სუნი არ მოეტანა.
ერთიმეორეს ვამხნევებდით, უკეთუ ვინმე
მოადუნებდა ყურადღებას, ვლანძღავდით კიდეც.
დრო იყო, ოდეს თვით შუაგულ ეთერში დგება
მზის ბრწყინვალე და მანათობლად ნათელი დისკო
და აჭერს ხვატი და უეცრად მიწის გრიგალი

მაღლა სწევს ქარბუქს, ზეციური უბედურება
ავსებს მთელ დაბლობს და ფოთლები დაბლობის ტყისა
წყალობენ ქარით, იგი ავსებს დიდებულ ეთერს.
თვალდახუჭულთა ავიტანეთ ღმრთეებრი სენი
და მერმე, როცა, როგორც იქნა, გრიგალი ჩადგა,
გამოჩნდა ბავშვი. მაღალი ხმით ტიროდა იგი,
იმ ფრინველივით გაჰკიოდა, ბუდე რომ ნახა
ბარტყებისაგან დაცლილი და დაობლებული.
ასევე მაინც, რა იხილა გაშიშვლებული
სხეული მისი, მოთქმა იწყო გლოვით და ზარით
და მწარე წყევლა დააწია ამის ჩამდენელს.
თავისი ხელით იღებს იგი გამომშრალ მიწას,
მაღლა სწევს ჭურჭელს, სპილენძისგან გამოჭედილს და
აპატიოსნებს გვამს სამმაგი კურთხევის წესით.
დავინახეთ და მივეჭერით და შევიპყარით
მაშინვე იგი. არ შემკრთალა გოგონა სულაც.
ადრინდელზეც და მაშინდელზეც ვკითხეთ ყოველი.
დაგვიდასტურა ყველაფერი, რაც ჩაიდინა.
მაგრამ საამოც იყო ჩემთვის ეგ და საწუხიც.
რადგან, უკეთუ გაექცევი რამე სიავეს,
საამო არის, და თუ მოყვასს გაწირავ მისთვის_
სამწუხაროა; მაგრამ თავად ყველაზე მაღლა
დაბადებიდან ჩემი თავის შველას ვაყენებ.

კ რ ე ო ნ ტ ი

შენ კი, შენ, ვისაც დაგიხრია ძირს ახლა თავი,
თქვი, უარყოფ თუ აღიარებ, რაც ჩაიდინე?

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

ჰო, მართალია, არ უარვყოფ, მე გავაკეთე.

კ რ ე ო ნ ტ ი

მიხედე შენს თავს და საითაც თავად გინდოდეს,
იქითკენ წადი მძიმე სასჯელს გადარჩენილი.
შენ კი მითხარი, გრძლად ნუ მეტყვი, მოკლედ მოჭერი,
აკი იცოდი, რომ ავკრძალე ამის ჩადენა.

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

ვიცოდი, როგორ არ ვიცოდი, ყველამ იცოდა.

კ რ ე ო ნ ტ ი

და კანონების დარღვევა კი მაინც გაბედე?!

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

ჰო, მაგრამ ეს ხომ ზევსისაგან არ იყო თქმული
და არც ქვესკნელის ღმერთთა შორის მცხოვრებ დიკესგან;
მათ დაამკვიდრეს კანონები მოკვდავთა შორის,
არ ჩამითვლია შენი სიტყვა ეგზომ ძლიერად,
რომ დაუწერელ და ურყეველ ღმერთთა კანონებს
გადასულიყავ შენ, მოკვდავი ადამიანი.
განა თუ ახლა, ანდა გუშინ, მარად ცოცხლობენ
ისინი ჩვენთან, არც ვინ იცის, როდის გამოჩნდნენ.
არ ვქენი ის, რომ კაცის აზრით გულშეშინებულს
ეს კანონები დამერღვია, ღვთის მსჯავრიც მეზღო.
აკი ვიცოდი, მოვკვდებოდი, რატომაც არა?
ვიცოდი, შენც რომ არ გებრძანა, ხოლო უკეთუ
ადრე მოვკვდები, უკეთესიც იქნება ჩემთვის.
რამეთუ იგი, ვინაც თავის ყოფნაში ამდენ
სიავეს ითმენს, ვით არ ნახავს სიკვდილში ხეირს?
ასე რომ, სულაც არ მამწუხრებს ამგვარი ბედი,
ხოლო უკეთუ დედაჩემის მიერ ნაშობი
ჩემი ძმის სხეულს დავტოვებდი დაუმარხავად,
ეს აღმავსებდა მწუხარებით. არ ვდარდობ ამას,
შენ კი, უკეთუ ჩემს საქციელს უგნურს უწოდებ,
თავად უგნური უგნურებას მაბრალებ მხოლოდ.

ქ ო რ ო

თანდაყოლილი სიმტკიცე ჩანს მტკიცე მამისა
ამ ასულშიაც. მას არ ძალუძს დაუთმოს ბოროტს.

კ რ ე ო ნ ტ ი

მაგრამ იცოდე, უმტკიცესი ხასიათები
ითრგუნებიან პირველ რიგში და უმტკიცესი
რკინა, რომელიც გამოაწრთო ალმა ცეცხლისამ,
ტყდება და მცირე ნამტვრევებად იმსხვრევა ხოლმე.
გაშმაგებული ცხენიც ბევრი მიხილავს ადრე,
პატარა ლაგმით რომ გახედნეს, როდი შეჰფერის
ზვაობა იმას, ვინც მონაა. ამ დედაკაცმა
ჯერ კიდევ მაშინ დაამტკიცა ამპარტავნება,
ჩემგან დადებულ კანონებს რომ გადააბიჯა.
ახლა კი უკვე მეორეჯერ თავხედობს იგი _
ლაზღანდარობს და თავი მოაქვს ნამოქმედარით.
ან კაცი არა ვარ თავად, ანდა ის არის კაცი,
თუკი ეგ საქმე დაუსჯელად ჩაუვლის დიაცს,
თუნდაც დისწული იყოს ჩემი, ასეთი ღვიძლი,
ასეთი ახლო ნათესავი ჩემი სახლისა,

არ ავაცილებ არც მასა და არცა თუ მის დას
საშინელ სასჯელს. თანაბრადვე დამნაშავეა
მისი დაც, აკი ძმის დამარხვა სურდა იმასაც.
მასაც მოუხმეთ, მე ახლახან ვიხილე იგი,
თავის თავს ვეღარ ითოკავდა გონდაბინდული.
ასეა ხოლმე, იმათ რისხვას ადრევე ხედავ,
თავის განხზრახვას ბნელ წყვდიადში რომ ამზადებენ.
ვერ ვიტან იმ კაცს, დანაშაულს რომ ჩაიდენს და
მერმე კი ცდილობს, ჩადენილი შეალამაზოს.

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

ხომ შემიპყარი, მაშ, მომკალი, სხვა რაღა გინდა?

კ რ ე ო ნ ტ ი

სხვა _ არაფერი, ავისრულებ ამით ყველაფერს.

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

რადღა აყოვნებ? შენს სიტყვებში არაფერია
მე რომ მეამოს, არც როდესმე მაამებს რამე.
არც შენთვისაა მოსაწონი, რაც გავაკეთე.
თუმც რით ვირგუნე მე სახელი სახელოვანი,
თუ არა იმით, რომ საფლავში ჩავდე ჩემი ძმა.
აკი ასეა, ესენიც ხომ დამთანხმდებოდნენ,
ენას რომ შიში არ უბამდეს და უბორკავდეს.
ტირანია კი კეთილდღეობს აგრეთვე იმით,
რომ რასაც უნდა, იმას ამბობს და იმას სჩადის.

კ რ ე ო ნ ტ ი

კადმოსელთაგან მარტოოდენ შენ ხედავ ამას.

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

სხვებიც ხედავენ, მაგრამ შენთვის დუმან ისინი.

კ რ ე ო ნ ტ ი

როდი გრცხვენია, სხვანაირად რომ აზროვნებდე.

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

სამარცხვინოა განა წესი ავუგო ღვიძლ ძმას?

კ რ ე ო ნ ტ ი

ღვიძლი არ იყო განა ისიც: მისგან მოკლული?

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

დედით და მამით ღვიძლი იყო და ერთი სისხლის.

კ რ ე ო ნ ტ ი

მაშ, იმას რად არ მიანიჭებ წესსა და პატივს?

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

არ დაამოწმებს ამას სულაც მოკლულის გვამი.

კ რ ე ო ნ ტ ი

კი მაგრამ, როგორ, თუ თანაბრად მიაგებ პატივს.

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

განა თუ ვინმე მონა იყო, ძმა მოკვდა მისი.

კ რ ე ო ნ ტ ი

დამაქცევარი ამ მიწისა, ის კი იცავდა.

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

მაგრამ ჰადესი ყველასათვის თანაბარს ითხოვს.

კ რ ე ო ნ ტ ი

კეთილს და ბოროტს ერთი ხვედრი როდი ეკუთვნის.

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

იცის კი ვინმემ, თუ ქვესკნელში რა არის წმინდა?

კ რ ე ო ნ ტ ი

მკვდარიც რომ იყოს, მაინც მტრადვე დარჩება მტერი.

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

მე დავიბადე, რომ მიყვარდეს და არა _ მძულდეს.

კ რ ე ო ნ ტ ი

მაშ, ქვემოთ ჩადი, და თუ გინდა, დაე, გიყვარდეს
ყველა ისინი, ვერ დავისვამ მე თავზე დიაცს.

ქ ო რ ო

კარებში არის ისმენე უკვე,
და თავის დაზე ცრემლებს ღვრის იგი,
დარდის ღრუბელი საამო სახეს
ელფერს უკარგავს,
და ლამაზ ღაწვებს უსველებს ასულს.

კ რ ე ო ნ ტ ი

შენ კი, ჩემს სახლში იქედნესებრ რომ შემომძვრალხარ
და ნამალევად ჩემს სისხლს რომ სვამ, ვიცოდი განა

რომ ჩემი ტახტის დამაქცევარ ორ წყევლას ვზრდიდი?
მაშ, მიპასუხე, შენც დაიდე წილი დაფლვაში,
თუ დაიფიცებ, რომ ამ საქმის არრა იცოდი?

ი ს მ ე ნ ე

მეც ჩავიდინე, თუკი იგი დამეთანხმება,
წილი მეცა მაქვს ამ საქმეში და მსჯავრიც მელის.

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

სიმართლე ამას ვერ მოითმენს; შენ არ ისურვე,
და ამიტომაც არ გაგხადე თანაზიარი.

ი ს მ ე ნ ე

არა მრცხვენია, ავბედობა გავიზიარო,
არა მრცხვენია, შენს სატანჯველს მეც რომ ვიყოფდე.

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

ჰადესი არის ამის მოწმე და ქვეშ მცხოვრებნი,
თუ ვინ დამარხა. მე არ მიყვარს სიტყვით მოყვასნი.

ი ს მ ე ნ ე

ნუ, დაო, პატვის ნუ დამაკლებ, შენთან რომ მოვკვდე
და შენთან ერთად რომ ავუგო წესი დაღუპულს.

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

ო, ნუ მოკვდები ჩემთან ერთად, ნუ მიითვისებ,
რაც არ გეკუთვნის, საკმაოა ჩემი სიკვდილიც.

ი ს მ ე ნ ე

შენ თუ დაგკარგე, რაღად მინდა წუთისოფელი?

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

კრეონტსა ჰკითხე; შენ ხომ სწორედ იმაზე ზრუნავ.

ი ს მ ე ნ ე

არაფრით მშველი. მწუხარებას რადღა მგვრი, დაო?

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

სწორედ მე ვწუხვარ, თუ დასაცინს დავცინი შენში.

ი ს მ ე ნ ე

მითხარი მაინც, რა გიშველო, რით დაგეხმარო?

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

გადაირჩინე შენი თავი, არ შემშურდება.

ი ს მ ე ნ ე

ვაიმე, ბედკრულს, ნუთუ შენს ხვედრს ვეღარ გავიყოფ?

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

შენ ხომ სიცოცხლე აირჩიე, მე კი _ სიკვდილი.

ი ს მ ე ნ ე

ჰო, მაგრამ განა იმ სიტყვებით, ჯერ რომ არ მითქვამს.

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

აკი ფიქრობდი, სწორი ვარო, მეც სწორი ვიყავ.

ი ს მ ე ნ ე

ერთნაირი გვაქვს ჩვენ ორივეს დანაშაული.

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

დამშვიდდი, შენ ხომ ცოცხალი ხარ, ჩემი სული კი
ადრევე მოკვდა, მარტოოდენ მკვდართათვის სარგო.

კ რ ე ო ნ ტ ი

ამ ასულთაგან სულ ახლახანს გაგიჟდა ერთი,
ხოლო მეორე თავიდანვე ასეთი იშვა.

ი ს მ ე ნ ე

არ რჩებათ ხოლმე უბედურებს ჭკუა, რომელიც
თავიდან დაჰყვათ. ტოვებს ხოლმე ჭკუა უბედურთ.

კ რ ე ო ნ ტ ი

შენც მიგატოვა, აირჩიე ოდეს ბოროტი.

ი ს მ ე ნ ე

რაღა იქნება ჩემი ყოფნა ნეტავ უმისოდ?

კ რ ე ო ნ ტ ი

იმაზე ნუღარ ლაპარაკობ, ის აღარ არის.

ი ს მ ე ნ ე

ო, ნუთუ მოკლავ, მეუფეო, შვილის საცოლეს?

კ რ ე ო ნ ტ ი

სხვა ხოდაბუნიც ბევრი არის ამ ქვეყანაზე.

ი ს მ ე ნ ე

არა ასევე მისი დარი და შესაფერი.

კ რ ე ო ნ ტ ი

შვილებისათვის მეჯავრება ბოროტი ქალი.

ი ს მ ე ნ ე

ძვირფასო ჰემონ, ვით გამცირებს შენივე მამა?!

კ რ ე ო ნ ტ ი

ო, მეჯავრებით შენაცა და შენი ქორწილიც.

ი ს მ ე ნ ე

ნუთუ შენ მართლა მოაშორებ შენს ვაჟკაცს იმას?

კ რ ე ო ნ ტ ი

ისევ ჰადესი აღასრულებს ამ ქორწინებას.

ი ს მ ე ნ ე

გადაწყვეტილა, მაშ, როგორც ჩანს, მისი სიკვდილი.

კ რ ე ო ნ ტ ი

დიახ, შენთვისაც და ჩემთვისაც. ნუღარ ვაყოვნებთ,
და, წაიყვანეთ, მსახურებო, სახლში ორივე,
რომ ქალთა დარად ჩაკეტილნი ისხდნენ ისინი;
აკი გარბიან თვით მამაცნიც, როდესაც ახლოს
სიცოცხლის ბოლოს იხილავენ და თავის სიკვდილს.

მ ე ო რ ე ს ტ ა ს ი მ ო ნ ი

ქ ო რ ო

ს ტ რ ო ფ ი ა

ბედნიერია იგი, ვისაც არ განუცდია
უბედურება არანაირი. რამეთუ, ვისაც
ერთხელ შეერყა სახლი ღმერთთაგან, არ მიატოვებს
უბედურება. მოდგმიდან მოდგმას
გადაეცემა სიავე სრული.
ისევე, როგორც ზვირთები ზღვისა, როცა ისინი,
თრაკიის ქარით მონაბერნი, ზღვისქვეშა ქვიშას
მოაგორებენ თავის სიღრმიდან
და გრიალებენ ტალღანახეთქი ციცაბო კლდენი.

ა ნ ტ ი ს ტ რ ო ფ ი ა

ლაბდაკიდების ავბედობას ვხედავ ძველთაძველს
და ემატება იმ ძველს ახალი და არ ანიჭებს
თავისუფლებას ერთი მოდგმა მოდგმას მეორეს.

ღმერთთაგან ამხობს იმათ გვარს ვიღაც,
ხსნა კი არა ჩანს, თითქოს გავრცელდა
ამ ბოლო ფესვზე ოიდიპოსის სახლში სინათლე
და მას უმალვე ქვესკნელის ღმერთი ყოვლისმომსვრელი
ცელავს მახვილით, იმასვე ღუპავს
უგუნურება და ერინისი აზროვნებისა.

ს ტ რ ო ფ ი ბ

ვინც შეაკავებს მედიდურობით
შენს ძლიერებას, მაღალო ზევსო,
მას ვერც ჰიპნოსი დაძლევს ოდესმე ძალის დამცლელი
და ვერც ღმერთების თვეთა ნაკადი.
დრო-ჟამისაგან უბერებელი მორჭმულად უფლობ
მანათობლ და სხივმოიეფე ნათელ ოლიმპოსს.
ისე, ვით ახლა, ისე ვით უწინ,
მომავალშიც ძალა ექნება
კანონს, რომელიც ამბობს: ჭირთაგან
არავინაა მოკვდავთა შორის სრულად დახსნილი.

ა ნ ტ ი ს ტ რ ო ფ ი ბ

ცრუ იმედი კი ბევრგან მავალი
სიხარულია მრავალისათვის,
თუმცაღა მრავალს გულს უტეხს იგი
და ეპარება კაცს, სანამ იგი
ფეხს დაიწვავდეს ცეცხლის ალზე არაფრის მცოდნე.
მართლაცდა სიბრძნით წარმოჩნდა ერთ დროს ცნობილი სიტყვა:
სიკეთედა თვლის სიავეს იგი,
ვის სულსაც ღმერთი, მარად უკვდავი,
უბედურებას მიუახლოვებს,
მცირე ხანსღაა ავბედობის გარეშე იგი.
აჰა, თვით ჰემონიც, შენს ვაჟიშვილებში
ყველაზე უმცროსი, ხომ არ სწუხს, ნეტავი
ქალწულის ხვედრზე და თავიანთ ქორწილზე
თავის გაცრუებულ სარეცელს ხომ არ სწუხს?

მ ე ს ა მ ე ე პ ი ს ო დ ი ო ნ ი

კ რ ე ო ნ ტ ი

მალე მისნებზე უკეთესად შევიტყობთ ყოველს.
შვილო, მამაზე ხომ არა ხარ განრისხებული,
საცოლის მსჯავრი რომ შეიტყვე, ამისთვის მოხველ,
თუ შენთვის ისევ მოყვასებად ვრჩებით ყველანი?

ჰ ე მ ო ნ ი

შენი ვარ, მამა, და კეთილი ზრახვების მქონემ
გზა წარმიმართე, შენი რჩევით ვივლი ყოველთვის,
რადგან არც ერთი ქორწინება არ მომიტანდა
მეტ რამეს, ვიდრე შენი სიტყვა, კარგად ნათქვამი.

კ რ ე ო ნ ტ ი

ჰო, აგრე, შვილო, საჭიროა გულში გემარხოს,
რომ მამის აზრი ყველაფერზე წინ დააყენო.
აი, რად უნდათ ხოლმე მშობლებს, რომ თავის სახლში
მუდამ დამჯერი და ერთგული შვილები ჰყავდეთ.
მტერს ბოროტებით მიუზღავენ ისინი მუდამ,
ხოლო მეგობარს პატივს სცემენ, ვით მათი მამა.
ხოლო იმათზე, ვინც ურგები შვილები შობა,
სხვა რა უნდა ვთქვა უფრო მეტი, თუ არა ის, რომ
ჭირად უშვიათ თავისთვის და მტრისთვის საცინრად.
ქალის გულისთვის ნურასოდეს ნუ გაცვლი, შვილო
გონიერებას სიამეზე, კარგად იცოდე,
ცივი გახდება მოსახვევად ბოროტი ქალი,
შენი სარეცლის მოზიარე და შენთან მყოფი.
ავ მეგობარზე უფრო დიდი სად არის წყლული?
შეიძაგე და ვით საძაგი განაგდე შენგან.
დე, ეს ასული თვით ჰადესში შეერთოს ვინმეს,
რადგან მას მერე, რაც დავრწმუნდი, რომ ერთადერთმა
მან არ ისურვა, ნაბრძანების დამორჩილება.
ქალაქის თვალში მატყუარა მე ვერ გავხდები,
მოვკლავ და, დაე, თვით კრონიდესს შესთხოვოს ძმაზე.
რადგან უკეთუ თავისნებად აღვზრდი ჩემიანს,
შორეულს უფრო თავისნებად აღვზრდი უთუოდ.
თუკი ასეა, ვინც სახლშია მუდამ მართალი,
ისღა თუ შეძლებს, რომ წარმართოს ქალაქი მართლად.
ამნაირ კაცზე გაბედულად ვიტყოდი: იგი
კარგად მართავს და კარგად მოჩანს მორჩილებაშიც;
და თვით საბრძოლო ქარიშხალშიც ურყევად მდგარი,
მართალ მებრძოლად წარმოჩნდება და უშიშარად.
ხოლო ის კაცი, კანონებზე რომ ძალმომრეობს,
ანდა გამგებელს რომ კარნახობს თავის ბრძანებებს,
არ იმსახურებს განდიდებას ჩემგან არასგზით.
ვინაც ქალაქმა აირჩია, მისი ხამს სმენა,
სმენა მცირედშიც და მართალშიც, ანდა პირიქით.
ანარქიაზე მეტი ჭირი არ არის ქვეყნად;
ის ანადგურებს ქალაქებს და სწორედ ის არის,

სახლებს რომ ანგრევს, იგი დაშლის მხარდამხარ მებრძოლ
ვაჟკაცთა რიგებს და ბრძოლაში აოტებს იმათ.
ძალაუფლების მორჩილება დაიხსნის მრავალს.
დასაცავია აგრერიგად სწორედ წესრიგი
და მასთან ისიც, რომ არარა დავუთმოთ დიაცს.
თუ საჭიროა, ის აჯობებს, მამაკაცს დავყვე,
დაე, ნურავინ ნუ გვიწოდებს ქალებზე სუსტებს.

ქ ო რ ო

ჩვენი ასაკი, ჩვენი წლები თუ არ გვატყუებს,
აგრე გვგონია, გონიერად მეტყველებ მართლაც.

ჰ ე მ ო ნ ი

მამა, ღმერთებმა მიანიჭეს მოკვდავთ გონება,
აღემატება იგი მართლაც ყოველ საგანძურს,
არ შემიძლია, რომ უარვყო იმის სიმართლე,
რაც შენ მითხარი, არც ის ვიცი, როგორ უარვყო.
მაგრამ შენ გარდა, მამაჩემო, ხომ შეიძლება,
სხვაც სჯიდეს სწორად, შენ არ ძალგიძს ყველაფერს ჭვრეტდე,
თუ ვინ რას ამბობს, რას აკეთებს, ანდა ვის ლანძღავს.
შიშს უნერგავენ უბრალო კაცს შენი თვალები,
რომ არ გეამოს, ის ვერ გეტყვის იმნაირ სიტყვას.
მე კი მალულად მესმის ხოლმე, თუ როგორ სტკივა
და როგორ ელმის ამ ასულზე მთელ ქალაქს გული.
ყველა ქალს შორის სხვებზე ნაკლებ სიკვდილის ღირსი
ის იღუპება სადიდებელ საქმეთა გამო,
ქალი, რომელმაც ძმა _ მტერთაგან ომში მოკლული
და უპატრონოდ მიგდებული _ არ დაუტოვა
სისხლისმსმელ ძაღლებს და ფრინველებს, არ არის განა
ეს საქციელი უდიდესი პატივის ღირსი?
აი, ასეთი ფარული ხმა გაისმის ხალხში,
ჩემთვის კი უფრო საპატიო არაფერია,
ვიდრეღა შენი კარგად ყოფნა, ძვირფასო მამა.
რა არის მამის გაბრწყინებულ სახელზე დიდი
შვილთათვის, ანდა შვილებისა _ მათი მამისთვის.
მაგ ერთადერთ ზნეს ნუ ატარებ შენს თავში მხოლოდ,
რომ მხოლოდ ერთი შენ ხარ სწორი, სხვა კი არავინ.
ვისაც ჰგონია, რომ მარტოდენ ის ფიქრობს სწორად,
ან მართალს ამბობს, ან მარტოა სულით მდიდარი,
როგორც კი გახსნი, ცარიელი შეგრჩება ხელში.
ადამიანი, რაც არ უნდა ბრძენკაცი იყოს,
მეტის შეცნობა სამარცხვინო როდია მისთვის.

ცუდია თავისნათქვამობა, ხომ კარგად ხედავ,
წყალდიდობისას ის ხეები რჩება ადგილზე,
გზა რომ დაუთმეს მდინარებას, ხოლო იმ ხეებს.
ურჩად რომ დგანან, ფესვებითვე ამოთხრის წყალი.
გემიც აგრეა, იალქნები რომ დაუჭიმეს,
თუ არ მოუშვი, ფსკერისაკენ წავა უთუოდ.
ო, დაიოკე მრისხანება, განაგდე იგი,
და თუკი ჩემში, თუნდ უმცროსში დღეს არის მაინც
რაიმე აზრი, გეტყვი, რადგან ასე მგონია,
კარგია, კაცი ყველაფერში თვით იყოს ბრძენი,
ხოლო სხვა დროს კი, და ეს მუდამ როდია ასე _
ვინაც სწორად სჯის, მისგანაა საჭირო სწავლა.

ქ ო რ ო

შენი ვალია, მეუფეო, თუ კარგად ამბობს,
ისწავლო მისგან; ორივენი მშვენივრად განსჯით.

კ რ ე ო ნ ტ ი

ეგზომ ასაკით დამძიმებულთ ეგზომ ჭაბუკმა
ჭკუა ვით უნდა დაგვარიგოს ნეტავი მაინც.

ჰ ე მ ო ნ ი

არრას გასწავლი უსამართლოს, თუ ყმაწვილი ვარ,
საქმე გასინჯე, წლოვანებას რაღას უყურებ.

კ რ ე ო ნ ტ ი

საქმეა განა, თავნება ხალხს რომ სცე პატივი?

ჰ ე მ ო ნ ი

იმას არა გთხოვ, ბოროტ ვინმეს მიაგო მადლი.

კ რ ე ო ნ ტ ი

განა ამ სენით შეპყრობილი არ არის იგი?

ჰ ე მ ო ნ ი

აგრე როდი თვლის თებეს ხალხი და მთელი ერი!

კ რ ე ო ნ ტ ი

განა ქალაქმა უნდა მითხრას, რა დავაწესო?

ჰ ე მ ო ნ ი

ხედავ თუ არა, მთლად ბავშივით რომ ლაპარაკობ?

კ რ ე ო ნ ტ ი

მაშ მე არა ვარ, სხვა ვინმეა ქვეყნის მმართველი?

ჰ ე მ ო ნ ი

ქალაქი რაღა ქალაქია, ერთს თუ ეკუთვნის.

კ რ ე ო ნ ტ ი

მისად არ თვლიან განა ქალაქს, ვინც მას განაგებს?

ჰ ე მ ო ნ ი

უხალხო ქვეყნის მმართველობას შეძლებდი მხოლოდ.

კ რ ე ო ნ ტ ი

როგორც ჩანს, იგი დიაცს იცავს და მას ქომაგობს.

ჰ ე მ ო ნ ი

ჰო, თუ ქალი ხარ, რადგან ახლა მე შენზე ვზრუნავ.

კ რ ე ო ნ ტ ი

ულირსო შვილო, წინ აღუდექ საკუთარ მამას?

ჰ ე მ ო ნ ი

ჰო, რადგან ვხედავ უსამართლო ცოდვას სჩადიხარ.

კ რ ე ო ნ ტ ი

ძალაუფლებას ვიცავ ჩემსას, ამიტომ ვცდები?

ჰ ე მ ო ნ ი

არ იცავ, რადგან უკვდავ ღმერთებს ულახავ პატივს.

კ რ ე ო ნ ტ ი

ზნედაცემულო, ქალისაგან დამონებულო!

ჰ ე მ ო ნ ი

ვერ დამაბრალებ, სამარცხვინო საქმეს რომ ვიქმდე.

კ რ ე ო ნ ტ ი

ჰო, მაგრამ მთელი შენი სიტყვა ქალზეა მხოლოდ.

ჰ ე მ ო ნ ი

შენზეც და ჩემზეც და ქვესკნელის დიად ღმერთებზეც.

კ რ ე ო ნ ტ ი

შენ რომ ცოცხალზე დაქორწინდე, ეს არ მოხდება.

ჰ ე მ ო ნ ი

მაშ, ის მოკვდება და მოკლული ვიღაცას მოკლავს.

კ რ ე ო ნ ტ ი

და შენ ესოდენ მემუქრები და წინ მიდგები?

ჰ ე მ ო ნ ი

რა მუქარაა უსაბუთო სიტყვის პასუხი?

კ რ ე ო ნ ტ ი

თავად უჭკუო შენდა ჭირად მასწავლი ჭკუას.

ჰ ე მ ო ნ ი

მამა არ იყო, უჭკუოს და შლეგს დაგარქმევდი.

კ რ ე ო ნ ტ ი

ნუღარას მეტყვი, ქალისაგან დამონებულო.

ჰ ე მ ო ნ ი

შენ ლაპარაკობ, სხვის ნათქვამს კი არაფრად აგდებ.

კ რ ე ო ნ ტ ი

აგრეა განა?! მაშ, იცოდე, ოლიმპოსს ვფიცავ,
არ გაიხარებ ამნაირი ლანძღვა-გინებით.
დაუყოვნებლივ მოიყვანეთ ის საძაგელი,
მისივე საქმროს წინაშევე მოკალით იგი.

ჰ ე მ ო ნ ი

ეს არ მოხდება, გულში აზრად არ გაიტარო,
რომ ჩემ წინაშე მოკლავ იმას, ის კი არადა,
თვით მეც ვერასდროს ვერ მიხილავ ემაგ თვალებით.
დე, ვისაც სწადდეს, მას დაატყდი მაგ შენი რისხვით.

ქ ო რ ო

ჩემო მეუფევ, გულგამწყრალი წავიდა იგი,
ხოლო გონება ამ ასაკში ცხარეა მეტად.

კ რ ე ო ნ ტ ი

წავიდეს, დაე, გააკეთოს შეუძლებელიც,
იმ ორ ქალიშვილს ვერ დაიხსნის მწარე ხვედრისგან.

ქ ო რ ო

მაშ, შენ ორივეს მოკვდინებას ფიქრობ, მეუფევ?

კ რ ე ო ნ ტ ი

ვინც არ შეეხო, მას არ მოვკლავ, კარგად მითხარი.

ქ ო რ ო

რა სასჯელით გსურს ანტიგონე რომ მოაკვდინო?

კ რ ე ო ნ ტ ი

უდაბურსა და უკაცრიელ ადგილს წავიყვან,
და გამოვამწყვედევ მას ცოცხლადვე კლდოვან მღვიმეში,
საჭმელსაც მივცემ, ოღონდ იმდენს, ცოდვას გავექცეთ,
იმდენს, რომ ცოდვას განერიდოს მთელი ქალაქი.
დე, იქ შესთხოვოს ჰადესს მანაც, რომელსაც იგი
უკვდავთა შორის ერთადერთს სცემს პატივს და მაშინ
ან გადარჩება იგი სიკვდილს, ანდა შეიცნობს,
რომ ჰადესისთვის ფუჭი არის თაყვანისცემა.

მ ე ს ა მ ე ს ტ ა ს ი მ ო ნ ი

ქ ო რ ო

ს ტ რ ო ფ ი ა

ეროსო, ომში დაუძლეველო,
ეროსო, ვინაც ნადავლს ატყდები,
ვინც ქალიშვილის ტურფა ღაწვებზე
ათენებ ღამეს და მათზე წევხარ.
და ზღვის გადაღმა გადიხარ ვინაც,
და სოფლურ სახლებს მოინახულებ,
ვერც უკვდავთაგან გაგირბის ვინმე
და ვერც ჟამმოკლე მოკვდავ კაცთაგან.
ვისაც შეიპყრობ, ხელდება ყველა.
ხალხს სამართლიანს შენ უსამართლო
საქმეს ასწავლი და აგრე ღუპავ.
ნათესაური და სისხლით ერთი
ქიშპობა აღძარ ვაჟკაცთა შორის.
მაგრამ იმარჯვებს პატარძლის თვალთა
ეგზომ ნათელი მშვენიერება,
დასაბამითვე დიდ კანონებთან
ერთად ზის ტახტზე, ხარობს, იცინის
დაუძლეველი კიპროგენეა.
მეც გადავდივარ ახლა კანონებს,
ამას რომ ვუცქერ და ცრემლის ნაკადს
რომ ვერ ვიკავებ. ვუცქერ და ვტირი,
კაცთმიმაძინებელ სასახლეს რომ მიჰყავთ

ჩვენი ანტიგონე.

მეოთხე ეპისოდიონი

კომმოსი

ანტიგონე

სტროფი ბ

ო, შემომხედეთ, მშობელი მიწის მოქალაქენო,
ამ უკანასკნელ გზაზე მიმავალს.
მანათობელი მზის უკანასკნელ
ნათელის მხილველს. ვეღარ ვიხილავ,
მე იმას უკვე, ცოცხლად მივყავარ
მიმაძინებელ ჰადესს ქვესკნელში
მრუმე აქერონტის ნაპირას.
მე არც ქორწილი არ მხვდა წილად და
არც საქორწინო არ უმღერია
ჩემთვის სიმღერა ვინმეს,
ახლა კი თავად აქერონტის გავხდები რძალი.

ქორო

სახელით შემკული და ქებით მოსილი,
შენ ახლა მიდიხარ აჩრდილთა სამყოფელს.
არცათუ მტანჯველი სენისგან მოწყლული
და არცთუ ხმლისაგან მიმღები ჯილდოსი,
არამედ შენ ერთი ჩადიხარ კაცთაგან,
შენ ერთი ჩადიხარ ჰადესში ცოცხალი.

ანტიგონე

ანტისტროფი ბ

გამიგონია, რომ დაიღუპა ბედდამწვარი და
ფრიგიისათვის უცხოტომელი
ნაზი ასული ტანტალოსისა;
სიპილოსის მთის მაღალ მწვერვალზე
მას სუროსავით გარშემოეჭდო
კლდოვანი გარსი. მას, თითქმის დამდნარს,
როგორც მიაჩნიათ კაცთა,
არც თოვლი ტოვებს და არც ლესტერი.
მარადმტირალი წამწამებიდან
რწყავს იგი თავის კეფას.
სწორედ ასევე მეც დაიმონი მაძინებს ახლა.

ქ ო რ ო

მაგრამ, ის ღმერთია, ღმრთისაგან ნაშობი,
და ჩვენ კი კაცნი ვართ მოკვდავად შობილნი,
თუმც განწირულისთვის ამოა სასმენლად
ღმერთების სადარი განგების მიღება.

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

ს ტ რ ო ფ ი გ

ვაგლახ, დამცინი, ჰოი, ღმერთებო,
რატომ ქედმაღლობ
ჩემზე, _ რომელსაც ჯერ სული მიდგას?
ჰოი, ქალაქო,
და თქვენაც, ქალაქის მამრნო,
დირკესეულო წყარონო
და ეტლკეთილი თებეს ტევრებო,
მე მოწმეებად მოგიხმობთ ახლა,
მეგობართაგან დაუტირები,
თუ რა კანონთა გამოისობით მივდივარ ახლა
ჩემი გმიროზის გამო საშინელ
და გაუგონარ მრუმე საფლავში.
ჰოი, მე უბედურს.
გადავსახლდები, აღარც მკვდართა და
აღარ ცოცხალთა შორის აღარ ვიცხოვრებ უკვე.

ქ ო რ ო

სიმამაცის უკიდურეს ზღვარზე მიხველ
და სამართლის, ო, ესოდენ მაღალ ტახტსაც
მიენარცხე, ჩემო ბავშვო, უმოწყალოდ,
მამისეულს იხდი კიდეც რაღაც ტანჯვას.

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

ს ტ რ ო ფ ი გ

ყველაზე მტკივან ადგილს შეეხე
შენ ახლა ჩემსას.
ოიდიპოსის განმეორებად
ეგზომ მწარე ხვედრს,
ლაბდაკიდების მოდგმის
საერთო წერას.
ო, დედაჩემის მწარე ლოგინო,
ო, უბედურო ქორწინებაო,
დედის და შვილის, დედის და მამის,

რომელთაც ერთ დროს ქვეყნად წარმომშვეს სვეუბედური
და რომლებთანაც დაწყევლილი და
გაუთხოვარი მივდივარ ახლა
ჩემი უიღბლო ქორწილით.
ო, დაღუპულო ძვირფასო ძმაო,
მკვდარმა ჯერ კიდევ ცოცხლად მყოფი მომკალი ახლა.

ქ ო რ ო

თავის პატივს ითხოვს მართლაც მოკლული ძმა,
მაგრამ არ ხამს, გადახვიდე ძალის ნებას,
გადახვიდე იმის ნებას, ვინც ძალას ფლობს,
თვითნება გაქვს ზნე და სწორედ იგი გღუპავს.

ე პ ო დ ო ს ი

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

დაუტირები და უმეგობრო
გაუთხოვარი მივდივარ ახლა
ამ გზით, რომელიც მე გამიმზადეს.
ველარ ვიხილავ მნათობთა წმინდა
და სამართლიან ნათელს ბედშავი;
ამ დაუტირებ ჩემს ამგვარ ხვედრს კი
არავინ გლოვობს მეგობართაგან.

კ რ ე ო ნ ტ ი

განა არ იცით, რომ ჩივილს და სიკვდილის გლოვას
არვინ შეწყვეტდა, სასარგებლო რომ იყოს იგი.
დაუყოვნებლივ წაიყვანეთ. ხელი მოჰკიდეთ
და როგორც ვბრძანე, სამარეში ჩააგდეთ იგი.
მარტო დატოვეთ, დეე, მოკვდეს, თუ საჭიროა,
ანდა ცოცხალი დაქორწინდეს თავის საფლავში.
ჩვენ უბრალო ვართ ამ ასულის წინაშე ყველა,
მას წაერთმევა იმის ნება, აქ რომ იცხოვროს.

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

ჰოი, საფლავო, საქორწინო ჩემო დარბაზო,
ღრმად გამოთხრილო საცხოვრისო, ტყვეთ მამყოფელო,
მივეშურები იქ, ჩემებთან, ყველა ისინი
ეგზომ მრავალნი პერსეფასსამ მიიღო მიწად,
მე კი ბოლო ვარ იმათ შორის და ასე მწარედ
მათთან ჩავდივარ ჯანმრთელი და ჯერაც ცოცხალი.
მე, მიმავალი, იმ იმედით ვსაზრდოობ ახლა,
რომ სანუკველი შევიქნები მამისათვისაც

და შენთვის, დედა, და შენთვისაც, ძვირფასო ძმაო.
როდესაც მოკვდით, ჩემი ხელით განგბანეთ ყველა,
გამოგაწყეთ და დამარხულებს წესიც აგიგეთ.
და აი ახლა, პოლინიკე, ამას ვღებულობ
მე, რადგან მიწა დაგაყარე სხეულზე. მაგრამ
მე კარგად ვიცი, გონიერნი მომიწონებენ.
შვილი მყოლოდა, არასოდეს ვიზამდი ამას,
თუნდაც მოკლული და გახრწნილი მყოლოდა ქმარი,
მოქალაქეთა წინააღმდეგ არ ჩავიდენდი
ამნაირ საქმეს. თუ რად ვამბობ ამას ამგვარად?
რომ მომკვდარიყო ჩემი ქმარი, სხვა შემირთავდა,
თუ დავკარგავდი, გავიჩენდი ბავშვებსაც სხვისგან,
ხოლო როდესაც ჰადესშია დედა და მამა,
აღარვინაა, ძმა რომ მიშვას ქვეყნად როდესმე.
და თუმცა ასე დაგაფასე ამგვარი წესით,
კრეონტი ფიქრობს და ჰგონია, რომ თითქოს ვცდები
და რომ საშინელ საქმეს ვბედავ, ო, ჩემო ძმაო,
აჰა, მან კიდეც შემიპყრო და ძალით მივყავარ
გაუთხოვარი, საქორწინო ჰანგთა არმცოდნე,
არც მეუღლობა მღირსებია, არც ბავშვის გაზრდა,
არც მეგობარი არ მყავს ვინმე, სვეუბედური
ცოცხლად მივდივარ გარდაცვლილთა საცხოვრებელში,
დაიმონების რა სიმართლეს გადაველ ნეტავ?
ნეტავ, ვინ არის, ვინ მოვიხმო სვეუბედურმა
ჩემდა საშველად, მოვუწოდო მას შემდეგ, რაიც
კარგი საქმისთვის უკადრისი სასჯელი დამდეს?
თუ ღმერთებისთვის კარგი არის ეს და საჭირო,
მშვიდად, უშფოთვლად დავითმენდი ღირსეულ სასჯელს.
ხოლო უკეთუ შეცდნენ ღმერთნი, დე, იმდენივე
სიავე ერგოთ, მე რომ შემხვდა ახლა იმათგან.

ქ ო რ ო

იგივე ღელვა და გრიგალი სულისა,
ჯერ კიდევ ატყდება ასულის გონებას.

კ რ ე ო ნ ტ ი

სუყველას, რომელთაც წაყვანა ვუბრძანე,
პასუხსაც მე მოვთხოვ ზოზინის გულისთვის.

ქ ო რ ო

ვაგლახ, ო, ამ სიტყვამ სიკვდილი უფრორე
ახლოს მოიყვანა.

კ რ ე ო ნ ტ ი

იმედსაც არ გაძლევ იმის, რომ ოდესმე
რაიმე შეცვლიდეს ამ ბოლო ბრძანებას.

ა ნ ტ ი გ ო ნ ე

ო, თებეს მიწაო, მშობელო ქალაქო,
წინაპართ ღმერთებო,
ო, უკვე მივყავარ, აღარვინ მაჩერებს,
შეხედეთ, ბჭეშვიდი ქალაქის ღმერთქალნო,
თუ მარტოდ შთენილი ასული მეფისა
რას ვითმენ ამათგან, რას ვითმენ მე, ვინაც
პატივის მისაგებს პატივი მივაგე.

მ ე ო თ ხ ე ს ტ ა ს ი მ ო ნ ი

ქ ო რ ო

ს ტ რ ო ფ ი ა

დანაეც ევნო, ვინც ზეციური შუქი გაცვალა
რვალით ნაჭედი გამოქვაბულის მრუმე წყვდიადზე.
დამალეს იგი და დაამწყვდიეს,
შეუკავშირდა საფლავისეულ ჰადესს ასული,
მაგრამ გვარი კი დიადი იყო მისი, ო, შვილო,
ის ინახავდა სხეულში ზევსის
ოქროდ ჩამოღვრილ ღვთაებრივ თესლსაც,
მაგრამ უცილოდ საზარი არის ძალა ბედისა,
ვერცა სიმდიდრე, ვერცა არესი
და ვერც ქვისაგან ნაგები კოშკნი,
ვერც შავი გემნი _ ვერაფერი გვიხსნის მისაგან.

ა ნ ტ ი ს ტ რ ო ფ ი ა

შეპყრობილ იქნა მზვაობარი ძე დრიანტისა,
ედონიელთა დიდი მეფე თავისი ფიცხი
და მეომარი ხასიათისთვის,
დიონისოსმა დამალა იგი კლდოვან ციხეში,
ასე თანდათან იხშობა მისი სასტიკი რისხვა,
კარგად შეიგნო, აგრე სასტიკად
რომ შეურაცხყო დიადი ღმერთი
მოუთოკავი თვისი ენითა და მრისხანებით,
წინ აღუდგებოდა ღმრთით შთაგონებულ და
მხიარულ ღმერთის ლამპროსან ასულთ
და განარისხებდა მუზებსაც, ფლეიტის ესოდენ მოყვარულთ.

ს ტ რ ო ფ ი ბ

კიანიურ კლდეთა ახლოს და ორი ზღვის
ზღურბლზე არის ნაპირები ბოსფორისა,
და თრაკიის სალმიდესიც იქვე არის,
სადაც ქალაქის მცველმა არესმა
ფინევსის ორი ვაჟი იხილა,
და ჭრილობა დაუნახა მათ ორთავეს
დედინაცვლის ბოროტ ხელით თვალდათხრილებს.
შურისგებას მოითხოვდნენ ბრმა თვალები.
შუბის წვერით როდი ჰქონდათ ამოთხრილი _
_ მათ სახეზე დასისხლული ორი თვალი
ხელით ჰქონდათ და სართავი დაზგის წვეტით.

ა ნ ტ ი ს ტ რ ო ფ ი ბ

საბრალონი, სიმწრისაგან გათანგულნი,
დასტიროდნენ დედისმიერ თავიანთ ბედს,
დედისმიერს, ქორწინებით უბედურის.
თავისი გვარით მათი დედა კი
ძველთაუძველეს ერეხთიდების
გვარ-ტომიდან მოდიოდა, მამისეულ
და შორეულ ქალაქებში აღიზარდა
ბორეასის ქალიშვილი, თავად ცხენზე
უსწრაფესი რომ იყო და ღმერთთა შვილი,
მამისეულ ქარბუქებში აღიზარდა,
მასაც მისწვდა ბედის ღმერთთა ხელი, შვილო.

მეხუთე ეპისოდიონი

ტ ი რ ე ს ი ა ს ი

მოვდივართ, თებეს მეუფენო, ორნი ერთი გზით
და ორნი ერთი თვალისჩინით. უსინათლოებს
გზის მაჩვენებლად მეგზური ჰყავთ აკი ყოველთვის.

კ რ ე ო ნ ტ ი

რაა, მოხუცო ტირესიას, ნეტავ ახალი?

ტ ი რ ე ს ი ა ს ი

ამას მე გამცნობ, შენ კი მისანს დაემორჩილე.

კ რ ე ო ნ ტ ი

არ გავურბოდი მე შენს რჩევას არცა თუ ადრე.

ტ ი რ ე ს ი ა ს ი

სწორედ ამიტომ შენს ქალაქსაც კარგად მართავდი.

კ რ ე ო ნ ტ ი

კი, გეთანხმები, შენ ამაში მეხმარებოდი.

ტ ი რ ე ს ი ა ს ი

მაშ, დაუფიქრდი, ამჯერადაც ბეწვზე კიდიხარ.

კ რ ე ო ნ ტ ი

მაინც რა მოხდა? მაცახცახებს შენი სიტყვისგან.

ტ ი რ ე ს ი ა ს ი

შეიცნობ, თუკი მისნობათა ნიშნებს მოისმენ.
ძველ სკამზე დამჯდარს ფრინველების სამკითხაოში,
ნავსაყუდელად რომ განთქმულა ფრინველებისა,
იმათი უცხო ხმა მომესმა. ავად ყიოდნენ
ისინი მჭახე, ველური და ბოროტი ხმებით,
ბასრი კლანჭებით სასიკვდილოდ ფლეთდნენ ერთმანეთს.
მივხვდი, რაღაცას მანიშნებდა ფრთათა ხმაური.
შეშინებულმა გამალებით ავანთე ცეცხლი
სხივმოელვარე ბომონებზე; არ ანათებდა
იმ ზვარაკთაგან ჰეფესტოსი, ცხელ ნაკვერჩხალში
სუკის ცხიმიღა იღვრებოდა მხოლოდ და მხოლოდ,
ხრჩოლავდა იგი და შხეფებსღა ისროდა ცხიმის.
ამოდიოდა ნაღველი და იფანტებოდა,
ქონშემოცლილი თეძოს ძვლები ეყარა შიშვლად.
ეს ყოველივე ამ ბალღისგან გავიგე თავად,
გავიგე ის, რომ ავი იყო მსხვერპლთა ნიშნები,
წინამძღოლია იგი ჩემი, მე კი _ სხვებისა.
შენი აზრების გამო არის სნეული თებე,
საკურთხევლები, ბომონები სავსეა ახლა
ფრინველებისგან და ძაღლთაგან ნაალაფარი
ოიდიპოსის უბედური ვაჟის ხორცებით.
აღარ იღებენ შესაწირს და მუდარას მეტად
ჩვენგან ღმერთები, სუკის ალსაც აღარ იღებენ,
არც ფრინველები გამოსცემენ უკვე ლამაზ ხმებს,
გვამის სისხლით და ცხიმიანი ხორცით მაძღარნი.
მაშ, მოიაზრე, შვილო, ეგე. ადამიანებს
მუდამ სჩვევიათ შეცდომების დაშვება ქვეყნად.
უკეთუ შეცდა კაცი ვინმე, არ არის იგი
უგუნური და უბედური, არ არის, თუკი

განიკურნება სიავისგან და არ დარჩება
მასში ჯიუტად, სიშლეგეა აკი ურჩობა.
ო, მოიბრუნე მოკლულისკენ გული, მეუფევ,
ნულარ გასტანჯავ ომში მოკლულს, რა მხნეობაა
მოკლულის მოკვლა? შენთვის ვფიქრობ და შენთვის ვამბობ,
კარგი მთქმელისგან საამოა კარგის შესმენა.

კ რ ე ო ნ ტ ი

ჰოი, მოხუცო, სუყველანი, ვით მოისარნი
მიზანში მესვრით დაუნდობლად; მისნობაშიაც
აღარ დამინდო აღარავინ, ნათესავებმაც
დიდი ხანია მიმუხთლეს და სულაც გამყიდეს.
დაე, აჰყევით ანგარებას, დაე, იყიდეთ
ილიქტრიონი სარდესი და თუ გსურთ, ინდური
ოქროც იყიდეთ, ვერ დამარხავთ საფლავში იმას,
თუნდაც თვით ზევსის არწივებმა ისურვონ ხორცი
და წაიღონ და ზევსის ტახტქვეშ დააწყონ იგი.
ასე რომ, აღარც თვით ცოდვებით შეშინებული
არ მივცემ ნებას დამარხვისას. მე კარგად ვიცი,
რომ მოკვდავთაგან არვის ძალუძს ღმერთთა შელახვა.
დიდო მოხუცო, ტირესიას, მოკვდავთა შორის
ყველაზე ბრძენნიც სამარცხვინოდ იღუპებიან,
ანგარებისთვის კეთილად თუ რაცხავენ ბოროტს.

ტ ი რ ე ს ი ა ს ი

ვაგლახ,
ვინ იცის ნეტავ მოკვდავთაგან, ფიქრობს კი იგი..

კ რ ე ო ნ ტ ი

რაზე თუ ფიქრობს, რა მოარულ სიბრძნეს გამოთქვამ?

ტ ი რ ე ს ი ა ს ი

საგანძურს სიბრძნე თუ რამდენად აღემატება.

კ რ ე ო ნ ტ ი

სწორედ იმდენად, უგნურება რომ გვავნებს ხოლმე.

ტ ი რ ე ს ი ა ს ი

ამ სნეულებას შეუპყრიხარ, იცოდე, შენაც,

კ რ ე ო ნ ტ ი

არ მინდა მისანს ბოროტებით რომ ვუპასუხო.

ტ ი რ ე ს ი ა ს ი

მაინც აგრეა, რაკი ამბობ, ყალბად მისნობო.

კ რ ე ო ნ ტ ი

ჰო, რადგან ვერცხლისმოყვარეა მისანთა მოდგმა.

ტ ი რ ე ს ი ა ს ი

ხოლო ტირანთა _ ანგარებას შეყვარებული.

კ რ ე ო ნ ტ ი

არ იცი განა, შენს მეფესთან რომ ლაპარაკობ?

ტ ი რ ე ს ი ა ს ი

ვიცი, რომ ჩემით დაიხსენი შენი ქალაქი.

კ რ ე ო ნ ტ ი

ბრძენი მოგვი ხარ, თუმც კი გიყვარს უსამართლობა.

ტ ი რ ე ს ი ა ს ი

შენ მაიძულებ, დამალული ცხადლივ გაუწყო.

კ რ ე ო ნ ტ ი

თქვი, ოღონდ ნუ იქმ ანგარების გულისთვის ამას.

ტ ი რ ე ს ი ა ს ი

სწორედ ამგვარად განმიზრახავს, შენ რომ მოგექცე.

კ რ ე ო ნ ტ ი

იცოდე, ჩემს სულს ვერასოდეს ვერ მოისყიდი.

ტ ი რ ე ს ი ა ს ი

მაგრამ ეს კარგად შეიმეცნე, განა თუ მრავალ
წრეს შემოვილის დიდი მნათი აჩქარებულად,
რომ სწორედ ვიღაც შენიანი იქნება სწორედ,
მოკლულთა წილ რომ მოისწრაფებს თავის სიცოცხლეს.
ვინც მაღლა არის, ქვეშ ჩაგზავნე იმათგან ერთი,
შელახე სული, ჩაასახლე იგი საფლავში,
აქ კი ქვესკნელის ღმერთებისგან განთვისებული
წესაუგებლად დაგიგდია გვამი მიწაზე.
ნება ამისა არც შენ გაქვს და არც მაღალ ღმერთებს,
მარტოდენ შენი ძალადობით სჩადიხარ ამას.
ჩასაფრებულან ამიტომაც შენს დასასჯელად
ჰადესისა და სხვა ღმერთების ერინისები,
რათა მაგავე სიავეში ჩაგაგდონ შენაც.

აწონ-დაწონე, მოსყიდული თუ ვამბობ რამეს,
რადგან სულ მალე წარმოაჩენს ამას შენს სახლში
კაცთა და ქალთა სავალალო მოთქმა-გოდება.
ერინისები მტრობენ ხოლმე ყველა იმ ქალაქს,
მოკლულის გამო რომ წაბილწეს ძაღლებმა, ანდა
სხვა რამ მხეცებმა ან ფრინველმა, გახრწნილი ხორცი
რომ მიიტანეს იმ ქალაქის საკურთხეველზე.
აგრეა, რადგან შეურაცხმყავ და განმარისხე,
ვით მოისარმა საიმედო ისრები ვტყორცნე
ჩემი გულიდან, მათ სიმწარეს ვერსად წაუხვალ.
მაშ, წამიყვანე სახლში, შვილო, რათა ამ კაცმა
მასზე უმცროსებს დაანთხიოს თავისი წყრომა.
დაე, ისწავლოს შეკავება ურჩი ენისა,
და იყოს უფრო გონიერი, ვიდრე ახლაა.

ქ ო რ ო

წავიდა იგი, მეუფეო, და დაგვიტოვა
მისნობა ეგზომ შემზარავი, ჩვენ კარგად ვიცით,
მას მერე, რაც კი შავი გახდა ეს ჩემი თმები,
ცრუდ მას არასდროს უმისნია ქალაქისათვის.

კ რ ე ო ნ ტ ი

ვიცი და დიდად ვწუხვარ კიდეც სულის სიღრმეში,
რადგან დათმობა სიმხდალეა, ხოლო ურჩობით
უბედურებას არ ვეწიო, ამასა ვშიშობ.

ქ ო რ ო

გონებას უნდა დაუჯერო, მენეკევსის ძევ.

კ რ ე ო ნ ტ ი

რაა საჭირო, ო, მითხარი, მე დაგიჯერებ.

ქ ო რ ო

ამოიყვანე მიწისქვეშა სამყოფელიდან
ანტიგონე და მიაბარე სამარეს გვამი.

კ რ ე ო ნ ტ ი

ამ რჩევას მაძლევ და ფიქრობ, რომ უნდა დაგთანხმდე?

ქ ო რ ო

ჰო, მეუფეო, და სასწრაფოდ, ავისგანმზრახველთ
მალე ეწევა უკვდავ ღმერთთა სწრაფი სასჯელი.

კ რ ე ო ნ ტ ი

სულს ძლიერ უჭირს ახლა ასე რომ გააკეთოს,
მაგრამ მოსახდენს შევეურჩო, არც ეს არ ძალმიძს.

ტ ი რ ე ს ი ა ს ი

მაშ, აგრე ჰქმენი, თავად წადი, სხვა არვინ გინდა.

კ რ ე ო ნ ტ ი

დაუყოვნებლივ მივაშურებ, და თქვენ კი, ვინაც
აქა ხართ ახლა, წერაქვები წამოიღეთ და
იმ ადგილისკენ გაემართეთ, აქედან რომ ჩანს.
მე კი, რამეთუ შემეცვალა უკვე აზრები,
მევე დავიხსნი, აკი თავად შევიპყარ იგი.
რამეთუ ვფიქრობ, კანონმდებელს მეტ სახელს შესძენს,
თუ იგი თავის დატყვევებულს დაიხსნის ვინმეს.

მ ე ხ უ თ ე ს ტ ა ს ი მ ო ნ ი

ქ ო რ ო

ს ტ რ ო ფ ი ა

სახელმრავალო, დიდი კადმოსის ტურფა ასულის
შვილო და განძო, მომქუხარო და
დიადი ზევსის დიადო ძეო,
გარშემორტყმიხარ სახელდიდ
იტალიას და მეუფედ ჩანხარ
ელევსინელის დეოს
ყველასთვის ღია უდაბნოებში,
ჰოი, ბაკქევსო, ბაკქელთა
დედაქალაქში _ თებეში
ცხოვრობ ისმენეს პირად და
დრაკონის ხოდაბუნებში.

ა ნ ტ ი ს ტ რ ო ფ ი ა

ორთავიანი, კლდეშემოსილი პარნასოსიდან
გიცქერის ალი ჩირაღდნებისა,
დასეირნობენ აქ ბაკქელი და
კორიკიელი ნიმფები.
კასტალიური ჩქეფს იქვე წყარო,
ნისეის მთების სუროთი
შემკული კალთა და მწვერვალები,
ყურძენმრავალი ნაპირიც
შენ გაგზავნიან შენდამი

შეწირულ უკდვავ ამ ჩვენს ჰანგებთან.
შენ თებეს ქუჩებს დასცქერი.

ს ტ რ ო ფ ი ბ

ყველაზე უფრო მეტად აფასებთ
შენცა და ელვით გულგანგმირული
შენი სემელე ჩვენს დიად ქალაქს.
ახლა კი, როცა მთელი ქალაქი
სასტიკი სენით შეპყრობილა, მოვედ, ო, მოვედ,
მაცხოვნებელი შენი ფეხებით; დიდი პარნასოსის
მწვერვალი ანდა ხმაურიანი გადმოსჭერ სრუტე.

ა ნ ტ ი ს ტ რ ო ფ ი ბ

ცეცხლით მსუნთქველი ყველა ვარსკვლავის
ო, წინამძღოლო, შენ, ღამეული
შეძახილების მამაუფალო
და სანატრელო ზევსის ძეო,
ჰოი, მეუფევ, წარმოჩნდი, დაე, შენს თანამხლებელ
თიიასებთან ერთად, რომელნიც თავაწყვეტილად
ხარობენ შენით და გადიდებენ მმართველ იაკქოსს.

ე ქ ს ო დ ო ს ი

მ ა ც ნ ე

კადმოსისა და ამფიონის სახლის მცხოვრებნო,
არ დავუწყებდი მე კაცის ხვედრს ქებას და ლანძღვას,
სანამდის იგი ცოცხალია ამ ქვეყანაზე.
რამეთუ ბედი გაასწორებს მიწასთან ბედშავს
და მუდამ ბედი თუ დააქცევს სვებედნიერსაც.
ვერვინ იმისნებს, თუ რა უნდა შეემთხვეს მოკვდავს.
კრეონტსაც შურით ვუყურებდით ოდესღაც, მგონი.
მტრებისგან იხსნა მან კადმოსის მიწა და მერმე
ერთმმართველობა მოიხვეჭა მთელი ქვეყნისა,
მართავდა იგი და ყვაოდა კეთილი მოდგმით.
ახლა კი გაქრა ყველაფერი, რამეთუ როცა
დანაშაულის გამო კარგავს სიხარულს კაცი,
ცოცხლად როდი ვთვლი მას, არამედ სულჩადგმულ გვამად.
განძიც რომ გქონდეს სახლში ბევრი, უკეთუ ეს გსურს,
და ტირანივით დიდებულად ცხოვრობდე თუნდაც,
თუ ვერ დაგატკბო ამ ქონებამ, მაშინ მე მისთვის
კვამლის ჩრდილშიაც არ გავცვლიდი სიამოვნებას.

ქ ო რ ო

მეფეთა სახლის რა სიმწარე მოგაქვს ასეთი?

მ ა ც ნ ე

მოკვდნენ ისინი, ვინც მიზეზნი იყვნენ სიკვდილის.

ქ ო რ ო

მაინც ვინ მოკლა? ვინ მომკვდარა? გვითხარი ჩქარა.

მ ა ც ნ ე

ჰემონი მოკვდა მისი ხელით მოკვდინებული.

ქ ო რ ო

ორში რომელით? მამისა თუ თავისი ხელით?

მ ა ც ნ ე

მამის ცოდვებით გულგამწყრალმა თავი მოიკლა.

ქ ო რ ო

ჰოი, მისანო, როგორ ახდა შენი სიტყვები.

მ ა ც ნ ე

ამის შემდეგ კი დანარჩენის თქმაა საჭირო.

ქ ო რ ო

ევრიდიკესაც ახლოს ვხედავ სვეგამწარებულს.
ცოლს კრეონტისას, აქეთ მოდის სახლიდან იგი,
შემთხვევით მოდის, ანდა იცის შვილის ამბავი.

ე ვ რ ი დ ი კ ე

მოქალაქენო, ამ კარებთან მოახლოებულს
თქვენი სიტყვები შემომესმა. სალოცავად და
სავედრებლად მოვდიოდი დიდ ათენასთან.
და აი, ახლა, კარის საკეტს როცა ვაღებდი,
უბედურება შემომესმა ჩემი სახლისა,
გადაქცეული მოწყვეტილად დავეცი უცებ
შემკრთალ მხევალთა ხელებზე და გონი დავკარგე,
თუმცა მითხარით ხელმეორედ, რასაც ამბობდით,
მე უკვე ვიცი ჩემი ჭირი. მშვიდად მოგისმენთ.

მ ა ც ნ ე

მე, საყვარელო დედოფალო, _ მაგრამ, ვაიმე, _
ყველაფერს გეტყვი და სიმართლეს არ დაგიმალავ.
არ მოგატყუებ, რისთვის მინდა მატყუარები

გამოვდგეთ შემდგომ; სიმართლეა საჭირო მუდამ.
თავად ფეხდაფეხ მივყვებოდი მე შენს მეუღლეს
დაბლობზე სწორედ იმ ბორცვამდე, სადაც მოკლულის
სხეული ეგდო ძაღლებისგან მიმოფლეთილი.
და აი, ჩვენაც შევევედრეთ გზისპირა ღმერთს და
პლუტოსსაც ვთხოვეთ, რომ დაეცხრო ჩვენდამი რისხვა.
განვბანეთ გვამი სუფთა წყლით და ახლადდაკრეფილ
ტოტებზე დავწვით ნარჩენები პოლინიკესი.
საფლავზე ბორცვი წამოვმართეთ მშობელი მიწით
და ქვისგან ნაგებს, საქორწინოს და ღრმად ამოთხრილს
ქალწულის ქვაბულს მივაშურეთ ჰადესისმიერს.
ანაზდეულად ხმამაღალი გმინვა მოესმა
დაუმარხველის პალატიდან ვიღაცა ჩვენგანს,
მოირბინა და დესპოტ კრეონტს აუწყა უმალ.
სულ უფრო მეტად ახლო მოსულს უახლოვდება
შესაბრალისი ხმები მასაც. შეჰყვირებს მეფე
და აგრე ამბობს ცრემლიანი: “ჰოი, მე ბედშავს,
ნუთუ მოგვი ვარ? ნუთუ ყველა აწ განვლილ გზაზე
უფრო უბედურ გზას დავადექ ახლა ჩანჩალით?
შვილის ხმა არის, მე რომ მტანჯავს, მაგრამ, მონებო,
იჩქარეთ აქეთ, მოაშორეთ ეს დიდი ლოდი,
კარგად გასინჯეთ და ნაპრალიც ნახეთ კედლისა,
შესასვლელამდე შედით კარგად და ნახეთ, ეს ხმა
ჰემონისაა, თუ ღმერთთაგან ვტყუვდები მხოლოდ”.
მსწრაფლ ავასრულეთ ნაბრძანები ჩვენი მჭმუნვარე
დესპოტისა და შიგ სიღრმეში, საფლავის ბოლოს
ჩამოხრჩობილი დავინახეთ მეფის ასული,
სათუთი ნაჭრის კვანძში ჰქონდა კისერი ბედშავს.
ვაჟიც ვიხილეთ, ახლო ეწვა მას ჩახვეული
და მაღალი ხმით დასტიროდა იმის დაღუპვას,
მამის საქმეს და ბედუკუღმართ თავის ქორწილსაც.
შვილის მხილველი საწყალობლად შეჰყვირებს მამა,
მასთან შედის და ცრემლიანი ამგვარად ამბობს:
“საბრალობელო, რას სჩადიხარ, რას ფიქრობ, ნეტავ?
რა სიმწარეში ჩაგიგდია ეგ შენი თავი?
გემუდარები, გევედრები, გამოდი, შვილო”.
ველურ თვალებით შემოხედა შვილმა მამამისს,
ზურგი აქცია და არარა უთხრა პასუხად,
ამოიწვადა ორლესული თვისი მახვილი
და მამისაკენ გაიწია. დაუსხლტა მამა.
მაშინ ბედშავი თავის თავზე განრისხდა იგი,
დაეგო ხმალს და გაიტარა მახვილი ფერდში,

ჯერ გონზე მყოფი სუსტ ხელებით მიეკრო ქალწულს.
ამოისუნთქა ერთი ღრმად და სისხლი ანთხია
უსულოდ მყოფი ქალიშვილის ფერმკრთალ ღაწვებზე.
წევს გვამი გვამთან, ეზიარა ვაჟი ქორწილის
იდუმალებას და ჰადესში შეიცნო იგი.
წარმოუჩინა ადამიანთ, თუ რაოდენი
სიავე არის უგნურება მოკვდავ კაცთათვის.

ქ ო რ ო

ეს ყველაფერი რაღას ნიშნავს? წავიდა ქალი,
და არაფერი აღარ უთქვამს კარგი ან ცუდი.

მ ა ც ნ ე

თავადაც მიკვირს, ამ იმედით ვსაზრდოობ ახლა.
რა გაიგონა თვისი შვილის უბედურება,
არ ჩათვლის სწორად, მთელს ქალაქში იგლოვოს იგი,
არამედ სახლში მოახლეებს აღძრავს სატირლად.
ახლა რომ შეცდეს, როდი არის უგნური იგი.

ქ ო რ ო

არ ვიცი, მაგრამ მეტისმეტი დუმილით ყოფნა
ავს მოასწავებს მეტისმეტი ძახილის მსგავსად.

მ ა ც ნ ე

მაგრამ შევიტყობთ შინ მისულნი, ხომ არ ინახავს
გულგასენილი იგი რამე იდუმალ ზრახვას
გულის სიღრმეში. კარგად ამბობ, მართლაც აგრეა
სიავე ახლავს სიმშვიდეს და მეტისმეტ დუმილს.

ქ ო რ ო

თუმცაღა თვით მოდის აქ ჩვენი პატრონი.
ხელებში უჭირავს მეტყველი ნიშანი.
თუ ასე ითქმება, მასვე სჭირს სიავე
და არა ვისმე გარეშეს.

კ ო მ მ ო ს ი

კ რ ე ო ნ ტ ი

ს ტ რ ო ფ ი ა

ვაგლახ, ვაიმე,
უგუნურ აზრთა უსასტიკესო
შეცოდებანო,
სიავისა და სიკვდილის მთესნო,

ჩემს ღვიძლებს უცქერთ, მკვლელებს, რომლებმაც
თავისი ხელით მოისწრაფეს თვისი სიცოცხლე.
ვაგლახ, საქმენო წინდაუხედნო,
ვაიმე, შვილო,
ჭაბუკი მოკვდი,
ჩემმა უგნურმა საქმემ დაგღუპა.

ქ ო რ ო

ვაგლახ, როგორც ჩანს, შენ სიმართლე გვიან იხილე.

ს ტ რ ო ფ ი ბ

ვაიმე ჩემს თავს,
უბედურმაღა შევიცანი მე უკვე ახლა,
რომ ვიღაც ღმერთმა დამატეხა უდიადესი
თავისი რისხვა და მიბიძგა ამ ველურ გზებზე,
ფეხით გათელა ჩემი შვებანი.
ჰოი, მოკვდავთა მძიმე ვარამო.

ე ქ ს ა ნ გ ე ლ ო ს ი

ჰოი, ბატონო, უბედობის უკვე მქონებელს
ერთი სიმწარე მაგ ხელებში გიპყრია ახლა
და შინაც ალბათ მეორესაც იხილავ მალე.

კ რ ე ო ნ ტ ი

ამაზე მეტი რა იქნება უბედურება?

ე ქ ს ა ნ გ ე ლ ო ს ი

შენი მეუღლე დაიღუპა, ამ ვაჟის დედა,
ჯერაც სისხლი სდის უბედურის მძიმე ჭრილობებს.

კ რ ე ო ნ ტ ი

ა ნ ტ ი ს ტ რ ო ფ ი ა

ვაიმე, ვაი,
შეურიგები ჰადესის ყურევ.
რად, ო, რად მღუპავ,
ჩემთვის ასეთი მწუხარე ამბის
მაუწყებელო, რა სიტყვას ამბობ?
ვაგლახ, დაღუპულს ხელმეორედ მღუპავ შენ ახლა,
რას ამბობ, შვილო? ახალს რას მეტყვი?
ვაიმე, ვაი,
სიკვდილს შვილისას
ზედ ემატება ცოლის სიკვდილიც.

ე ქ ს ა ნ გ ე ლ ო ს ი

აქ არის იგი, აღარ არის დარბაზში უკვე.

კ რ ე ო ნ ტ ი

ა ნ ტ ი ს ტ რ ო ფ ი ბ

ვაგლახ, ვაიმე,
აჰა, მეორე ავბედობას ვხედავ ბედშავი.
კიდევ რა ხვედრი. რა სიავე მომელის ნეტავ?
ხელში უბედურს ჩემი შვილი მიპყრია ახლა
და ჩემს პირდაპირ მკვდარსა ვჭვრეტ ცოლსაც.
ბედშავო დედავ! ვაიმე შვილო!

ე ქ ს ა ნ გ ე ლ ო ს ი

საკურთხეველთან განიგმირა მახვილით მკერდი,
ბნელით მოცულნი დაეხუჭა ბედშავს თვალები,
გლოვობდა მკვდარი მეგარევსის დიდებულ სახელს,
მერმე ამასაც და ბოლოს კი როგორც შვილის მკვლელს,
შენ გიგზავნიდა უსაშინლეს წყევლას და კრულვას.

კ რ ე ო ნ ტ ი

ვაგლახ, ო, ვაგლახ,
შიშით ვცახცახებ, რად არ მაძგერებს
ორლესულ მახვილს მე მკერდში ვინმე?
საბრალოს, ვაგლახ,
უბედურება დამატყდა თავზე.

ე ქ ს ა ნ გ ე ლ ო ს ი

რაღა თქმა უნდა, შენ იყავი გარდაცვლილისთვის
მიზეზი მისი ორი ვაჟის მოკვდინებისა.

კ რ ე ო ნ ტ ი

და მაინც, როგორ მოისწრაფა სიცოცხლე ნეტავ?

ე ქ ს ა ნ გ ე ლ ო ს ი

საკუთარ ხელით განიგმირა თავისი მკერდი,
მწარე სიკვდილი რომ შეიტყო თავისი შვილის.

ს ტ რ ო ფ ი დ

ვაგლახ მე, ვაგლახ, ვერ დავაბრალებ,
ჩემს დანაშაულს კაცთაგან ვინმეს
რადგან საბრალომ, მე, მე მოვკალი.
სიმართლეს ვამბობ, ვაგლახ, მსახურნო,

ო, წამიყვანეთ აქედან ჩქარა,
აღარ ვარსებობ, არრა ვარ მეტად.

კ ო რ ი ფ ა ი ო ს ი

კარგი რჩევაა, თუ კარგია ამაში რამე,
უკეთესია რომ გაშორდე ამ ავბედობას.

ა ნ ტ ი ს ტ რ ო ფ ი გ

მოვედ, ო, მოვედ,
წარმოჩინდი ჩემო წილო სიკვდილო,
და მოიყვანე ჩემი ბოლო დღე.
მოვედ, ო, მოვედ,
ველარ ვიხილო რათა დღე მეტად.

კ ო რ ი ფ ა ი ო ს ი

ეს მყოფადია. ხამს აწმყოსთვის ვიზრუნოთ ახლა,
მყოფადისათვის ის იზრუნებს, ვისაც ეს შეჰფერს.

კ რ ე ო ნ ტ ი

ის, რაც მე მინდა, ვედრებაში შევკრიბე ერთად.

კ ო რ ი ფ ა ი ო ს ი

მეტად ნუღარას ევედრები, ვერ გაექცევა
მოკვდავი კაცი ღმერთებისგან ბოძებულ წერას.

ა ნ ტ ი ს ტ რ ო ფ ი დ

კ რ ე ო ნ ტ ი

ო, წამიყვანეთ საბრალო კაცი,
ვინც უნებურად მოგკლა, ო, შვილო,
და შენც, მეუღლევ, ო, აღარ ვიცი,
თქვენ ორში მაინც რომელს გიცქიროთ,
განქრა ყოველი, რაც ხელში მქონდა,
და ხვედრი მერგო აუტანელი.

ქ ო რ ო

სიბრძნეა, ყველაფერს რომ აღემატება,
არავის უღირსად არ უნდა მოვექცეთ
დიდებულ ღმერთთაგან, ზვიადი სიტყვა კი
კაცს მისით მზვაობარს დარტყმებით პასუხობს
და სიბრძნეს ასწავლის,
ასწავლის თუმცაღა უკვე მოხუცს.

თარგმნა გიორგი ხომერიკმა

ევრიპიდე

(ძვ.წ. 484-406 წწ.)

ათენის თეატრის სცენაზე ევრიპიდე თავისი სახელოვანი წინამორბედის, სოფოკლეს, ყველაზე უფრო ღირსეული მეტოქე იყო. თუმცა ხალხში ნაკლები პოპულარობით სარგებლობდა. მან მხოლოდ ხუთგზის იზეიმა გამარჯვება.

წარმატება ევრიპიდეს გარდაცვალებიდან დიდი ხნის შემდეგ ეწვია. მისი 92 დრამიდან ჩვენამდე 18 დრამა შემორჩა. ღარიბი ოჯახიშვილი ათენის პოლიტიკურ ცხოვრებაში არ მონაწილეობდა. თუმცა ტრაგედიების მიხედვით თუ განვსჯით, იგი დიდად ყოფილა დაინტერესებული თავისი ქალაქის საზოგადოებრივი და ინტელექტუალური მოვლენებით, ხოლო ფილოსოფიურ პრობლემებზე მსჯელობის გამო მისთვის თანამედროვეებს "ფილოსოფოსი სცენაზე" შეურქმევიათ.

ევრიპიდე იყო არა მხოლოდ პოეტი, დრამატურგი, არამედ მუსიკოსიცა და მხატვარიც. მან წინ გაუსწრო თავის დროს და ტრაგედიებში გმირთა ფსიქოლოგიზმის წინ წამოწევით არა მხოლოდ ანტიკურ, არამედ მსოფლიო დრამატურგიას განვითარების მრავალსაუკუნოვანი გზა გაუხსნა. მის ქმნილებებში ტრაგიკული კონფლიქტი თავად გმირის სულში ვითარდება როგორც ურთიერთსაწინააღმდეგო გრძნობათა ჭიდილი. ეს არის ფსიქოლოგიური კონფლიქტი, ადამიანის სულში არსებული ბრძოლა გრძნობასა და გონებას შორის, რაც მანამდე უჩვეულო სიღრმით არის წარმოდგენილი ტრაგედიაში "**მედეა**": მისი მთავარი გმირი, *მედეა*, დიდი ვნებათაღელვის შემდეგ იღებს ისეთ გადაწყვეტილებას, რომლის დანაშაულებრივი სიმწვავე თავადაც გაცნობიერებული აქვს. მის ურთიერთსაპირისპირო გრძნობათა მუდმივი მონაცვლეობის თანაზიარი მაყურებელია, რომელიც ტრაგედიის გმირივით მარტო რჩება სცენაზე დატრიალებული უბედურების წინაშე. და მან არ იცის რა მოელის ამ ბოროტებასთან მებრძოლ, მაგრამ ამავე დროს უდიდესი ბოროტების ჩამდენ მედეას, რადგანაც მის ქმედებას აღარ წარმართავს აღარც ღმერთი და აღარც ბედისწერა. სულიერი კატასტროფა სამართლიანობის აღდგენის იმედს არ ტოვებს. ასეთი ფსიქოლოგიზმი სრულიად ახალი მოვლენა იყო ძველ ბერძნულ დრამატურგიაში. ევრიპიდეს აინტერესებდა ის, თუ როგორ მოქმედებენ გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილი გმირები. ზოგჯერ მათი გრძნობების გამძაფრება სხვისი უბედურების ხარჯზე საკუთარი თავის გადარჩენის ინსტინქტს აძლიერებს, ზოგჯერ კი პირიქით, ხელს უწყობს ჰუმანური თვისებების გამოვლენას. ასეთია *იფიგენია* ("**იფიგენია ავლისში**"), რომელიც მსხვერპლად ეწირება თავის სამშობლოს. ბრბო ამ მსხვერპლს ითხოვს, მაგრამ ისინი, რომლებიც იფიგენიას გვერდით დგანან მისი სიცოცხლის ბოლო წუთებში, უმალ უფრო ადამიანურნი ხდებიან, თანამგრძნობნი და თანამხლებელნი, თუმცა მაინც აგვიანდებათ.

"**ბაკქი ქალები**" ევრიპიდემ მაკედონიაში დაწერა, ცხოვრების ბოლოს. აქ იგი ცნობიერისა და არაცნობიერის ურთიერთდაპირისპირების პრობლემას ეხება. მთავარი გმირის, *პენთევსის* ტრაგედია ის არის, რომ მის ლოგიკურად მოაზროვნე გონებას არ შეუძლია დაიჯეროს ის, რაც მისივე ლოგიკის მიღმა დგას. პიესაში გონება მარცხდება რწმენის წინაშე, მაგრამ ეს რწმენა მიუღებელია. დედოფალმა *აგავემ* თუმცა ირწმუნა დიონისეს ღვთაებრიობა, მაგრამ მას შემდეგ, რაც გონებადაბინდულმა ჩაიდინა ბაკქურ ექსტაზში, აღიარა, რომ ამ რწმენით ცხოვრება არ სურს.

ევრიპიდეს ხშირად ბრალს სდებდნენ, რომ მას სცენაზე გამოჰყავდა ფსიქოლოგიურად გაუწონასწორებელი გმირები, რის გამოც ბერძნულმა ტრაგედიამ დაკარგა საზოგადოების

აღმზრდელის ფუნქცია. ამისდა მიუხედავად, თავისი პოეტურობით, დრამატურგიული ხელოვნებით, გმირთა სულიერი სამყაროს ფსიქოლოგიური სიღრმის წარმოჩენით ევრიპიდემ ისე შეძრა მაყურებელი, რომ არისტოტელეს, რომელიც სულაც არ თვლიდა თავს მის თაყვანისმცემლად, ათქმევინა: “პოეტთაგან ის ყველაზე ტრაგიკულია” (“პოეტიკა” 1453 ა 29).

თარგმანები:

ევრიპიდე, მედეა, თარგმანი ძველი ბერძნულიდან პ. ბერაძისა, თბილისი 1969.

ევრიპიდე, ბაკხი ქალები, იფიგენია ავლისში, ძველი ბერძნულიდან თარგმნეს ზ. კიკნაძემ და გ. სარიშვილმა, თბილისი 1979.

ევრიპიდე, მედეა, თარგმანი ბ. ბრეგვაძისა, წინასიტყვაობა და კომენტარები რ. გორდეზიანისა, თბილისი 1999[II].

მედეა

მოქმედნი პირნი:

ძიძა
კრეონი, კორინთოს მეფე
მედეას ორი შვილი
გამზრდელი
იასონი, მედეას ქმარი
ეგევსი, ათენის მეფე
მედეა, კოლხეთის მეფის, აიეტის ასული
მაცნე

striqonebi 1-11

მედეას მსახური ქალები. მეფეთა ამალა.

მოქმედების ადგილი: კ ო რ ი ნ თ ო

პ რ ო ლ ო გ ი

მედეას სახლი კორინთოში.

ძიძა. ო, ნეტა გზა შეეკრათ პირქუშ სიმპლეგადებს და კოლხეთის ნაპირს არ მისდგომოდა ხომალდი არგო; არც არასოდეს წაექციათ ვეება ფიჭვი პელიონის უსიერ ტევრში და კეთილშობილ ვაჟკაცთა ნიჩბებად არ დაეთალათ; არც ოქროს საწმისი მიერთმიათ პელიასისთვის. მაშინ ხომ არც ჩემი ქალბატონი _ იასონის ტრფობით მონუსხული მედეა მიაშურებდა იოლკოსის ციხე-სიმაგრეს, არც მშობელ მამას მოაკვლევინებდა პელიასის ასულთ და აღარც იძულებული გახდებოდა, ქმარ-შვილითურთ კორინთოში ეძებნა თავშესაფარი. თუმც განდევნილმა თავი კი შეაყვარა მოქალაქეებს და მორჩილად მსახურებდა იასონს (ნეტა იმ ოჯახს, სადაც სიამტკბილობით ცხოვრობს ცოლ-ქმარი), მაგრამ, ვაი, რომ ბედმა უმუხთლა საბრალოს და შეუბღალა წმინდა კავშირი. იასონი ცოლად ირთავს კორინთოს მბრძანებლის კრეონის ასულს, ვის სარეცელსაც ანაცვალა მთელი ოჯახი, ჩემს ქალბატონსაც უღალატა და თავის შვილებსაც. სვედავსილი მედეა ხმამაღალი ქვითინით იხსენებს ფიცს და ხელაპყრობილი უკვდავ ღმერთებს მოუხმობს იასონის სიმუხთლის მოწმედ. უსმელ-

უჭმელი წევს სარეცელზე, ტკივილად ქცეული სხეულით; დღედაღამ მოსთქვამს, მეუღლის მიერ მოყივნებული; თვალცრემლიანი ჩაშტერებია მიწას. როგორც კლდოვანი კბოდე ისხლეტავს ტალღებს, პირგამეხებული ყურად არ იღებს მეგობრების რჩევას. მხოლოდ ხანდახან თუ იბრუნებს პირს, უმწეოდ გადაიგდებს ქათქათა ყელს და ტირილით იგონებს ძვირფას მამას, მშობლიურ მხარეს და თავის ახლობლებს, რომლებსაც უღალატა, რათა გაჰყოლოდა უღირს კაცს, ვინც ასე სასტიკად შეურაცხყო იგი. უბედურებამ ასწავლა ბედკრულს დაკარგული სამშობლოს ყადრი. შვილებიც კი მოიძულა, უწინდებურად აღარ ხარობს მათი შემყურე. მეშინია, ავი რამ ზრახვა არ ჩაიდოს გულში: უკადრი და შეურაცხყოფას უჩვევია მისი სული. კარგად ვიცნობ და მიტომაც ვძრწი თავზარდაცემული: ვაითუ, ქურდულად შეიპაროს საწოლ ოთახში, ბასრი მახვილით განგმიროს მბრძანებელიც, თავისი პირშავი მეუღლეც და უბედურმა უარეს დღეში ჩაიგდოს თავი. საშინელია მედეას რისხვა: თავბედს აწყევლინებს გათავხედებულ მტერს...

მაგრამ, აი, ბავშვებსაც ვხედავ: თამაში დაუმთავრებიათ და შინ ბრუნდებიან. აზრადაც არ მოსდით, რა ცეცხლი ტრიალებს მათი საბრალო დედის გულში. ნორჩების სული არას დაგიდევს ტანჯვას.

გამზრდელი. ჩემი ქალბატონის მოხუცო ძიძავ, მარტოდმარტო რას დამდგარხარ ამ კარიბჭესთან, ან აგრე საწყალობლად რატომ ვალალებ?.. უშენოდ ცოდოა მედეა.

ძიძა. ო, იასონის შვილების ტკბილო გამზრდელო, ნუთუ არ იცი, რომ ბატონების უბედურება თავიანთ უიღბლობად მიაჩნიათ ერთგულ მსახურებს? ნეტა ამ დღეს არ მოვსწრებოდი. ისეთი სევდა შემომაწვა გულზე, რომ გარეთ გამოველ, რათა მაღლა ცას და დაბლა მიწას შევტირო ჩვენი დედოფლის სვედავსილობის ამბავი.

გამზრდელი. ისევ ისე მოსთქვამს და ტირის?

ძიძა. რა გულუბრყვილო ხარ, ბერიკაცო! ჭირმა მხოლოდ ახლა იჩინა თავი. შენ აწი იკითხე.

გამზრდელი. უგუნური! _ ღმერთო, შემინდე, დედოფალზე რომ ვამბობ ამას, _ არც კი იცის, რომ ახალი უბედურება დაატყდა თავზე.

ძიძა. რაო? რას ამბობ, ბერიკაცო? აღარ იტყვი, რა ამბავია ჩვენს თავს?

გამზრდელი. არა, არაფერი, ჩემდა უნებურად წამომცდა.

ძიძა. სინდისს გაფიცებ, ნურაფერს დამიმალავ შენს ბედში მყოფს. თუ საჭიროა, ხომ იცი, არ გამიჭირდება ენას მაგრად დავაჭირო კბილი.

გამზრდელი. დღეს, პეირენეს წმინდა წყაროსთან, სადაც უხუცესნი ბჭობენ ხოლმე, მოშაშეებს ჩავუარე გვერდით და ყური მოვკარი მათ სიტყვებს (თუმცა თავი ისე დავიჭირე, ვითომც არაფერი გამიგონია): კრეონი აპირებს კორინთოდან შვილებითურთ გაამევოს მედეაო. არ ვიცი, მართალია თუ მონაჭორი. ღმერთმა ქნას, რომ მცდარი გამოდგეს.

ძიძა. ო, ღმერთო, ცოლი კი მოიძულა, მაგრამ ნუთუ იასონი ასე უღვთოდ გასწირავს შვილებს?

გამზრდელი. ახალ ქორწილში ვიღას ახსოვს ძველი? ცხადია, იასონი აღარა გვწყალობს.

ძიძა. დავიღუპეთ... ვაიზე უი დაგვერთო.

გამზრდელი. ჩუმად იყავი, კრინტი არ დასძრა: ესღა აკლია ჩვენს ქალბატონს.

ძიძა. ვაიმე, შვილებო, წყეულიმც იყოს მამათქვენი! ღმერთო, ნუ მიწყენ, _ მაინც ჩემი ბატონია და მბრძანებელი. მაგრამ ასე ვინ ექცევა შვილებს?

გამზრდელი. რას იზამ, ასეთია კაცის ბუნება: ჯერ თავო და თავოო... ვითომ ახალი ამბავია შენთვის? მიკვირს, ღმერთმანი, შვილების გულისთვის დასთმობდა სატრფოს?

ძიძა. შინ შედით, შვილებო, ყველაფერს მოევლება... შენ კი თვალი ფხიზლად გეჭიროს: სასოწარკვეთილ დედას ახლოს არ გააკარო ბავშვები... ღმერთო, რა შეშლილივით უცქერდა შვილებს, მგონი, რაღაც საშინელს გვიქადის. არა, ნამდვილად ვერ დაცხრება, ვერ დაიოკებს მძვინვარებას, სანამ არ შეიწირავს ვინმეს. შინაურებს ღმერთმა არიდოს, მტერს მისი რისხვა!..

მედეა (სცენის მიღმა). ვაიმე, ბედკრულს! ამას რას მოვესწარი? ვაიმე, ვაი!

ძიძა. გესმით, შვილებო, როგორ ბორგავს, როგორ ბობოქრობს დედათქვენის რისხვით შეძრული გული? ჩქარა, შინ შედით, მხოლოდ თვალით არ დაენახოთ! ჩუმად მიიყუჟეთ სადმე, თავი აარიდეთ რისხვით ცნობამიხდილსა და გამძვინვარებულს! ჩქარა, ჩქარა-მეთქი, ვის ვეუბნები?! მალე გმინვის საავდრო ღრუბელს მძვინვარება შეუნთებს ცეცხლს! სადა აქვს ზღვარი შენს ტანჯვას, შმაგი ვნებებით მბორგავო, უსამართლობით მოწყლულო გულო?

მედეა (სცენის მიღმა). ვაი ჩემს დღეს და მოსწრებას, ვაი! ფუჭია მოთქმაც, ბორგვაც, გოდებაც! დამიწყევლიხართ, შვილებო, თქვენც და თქვენი მშობელი მამაც! წყეულიმც იყოს ჩვენი სახლ-კარი!

ძიძა. ვაიმე, სვეგამწარებულს! შვილებმა რა დაგიშავეს? მამის ბრალს რატომ აზღვევინებ? რატომა სწყევლი? რად მოიძულე უმანკონი? ვაიმე, ჩემო პატარებო, რარიგ მაშინებს თქვენი ბედი! საშინელია მეფეთა რისხვა. არავის რჩევას ყურს არ უგდებენ, მათ წინაშე კი ყველამ უნდა მოიდრიკოს ქედი. ვის შეუძლია მოთოკოს მათი მძვინვარება? ნეტა მას, ვინც უჩინრად ცხოვრობს მისსავე მსგავს უჩინოთ შორის. რა იქნებოდა, მეც მღირსებოდა მშვიდი სიბერე? სასახლეს მერჩია ქოხი! ზომიერება, _ რა ტკბილად ჟღერს თვითონ ეს სიტყვა! ცხოვრებაში კი არაფერია მისი ფასი! მაშინ როდესაც მეტისმეტობას არასოდეს ხეირი არ დაუყრია კაცთათვის. ესაა წყევლა, შეჩვენება, ღვთის რისხვა, ჩვენს თავს მოწეული!

პაროდოსი

ორქესტრაზე შემოდის კორინთოელ ქალთა გუნდი.

გუნდი

ვისი ხმა მესმის, ვისი გოდება? _
სვედავსილი კოლხი ასულის!
ჯერ არ დამცხრალა, ისევ მძვინვარებს?
გვითხარი, ძიძავ!..
ორმაგი კარიც კი ვერ ახშობს,
მესმის ქვითინი!
ვწუხვარ, დავტირი, თანავულმობ
ჩემთვის ძვირფასი ოჯახის
უბედურებას!

ძიძა. ეჰ, სადღაა ოჯახი, იავარიქმნა! ქმარი მეფის სასახლეში, ახალ სარეცელზე ნებივრობს, მარტოდ შთენილი ცოლი კი სანთიობოში ჩაკეტილა. ვინ ანუგეშოს უბედური, სასომიხდილი?

მედეა (სცენის მიღმა) ვაიმე, ვაი! თავს დამატყდა რისხვა ზეცისა! ამქვეყნად რაღა დამრჩენია, რისთვის ვიცოცხლო? ჰოი, სიკვდილო, მოვედ, მიხსენ ამ ტანჯვისაგან, შემიმოკლე სიცოცხლის დღენი! 16

ს ტ რ ო ფ ი

გუნდი

თუ გესმის, ზევსო, დედამიწავ, ნათელო მზისა, 17
საწყალობელი დედოფლის
მოთქმა-გოდება?
რატომ დასტირი, საცოდავო, აგრე მწარედ
შენს ცივ სარეცელს?
რატომ მოუხმობ მწედ და მეოხად 152-172
უწყალო სიკვდილს?
ისედაც მალე მოგაკითხავს,
სვედავსილო!
თუკი გიმუხთლა მეუღლემ შენმა,
ახალ სარეცელს ანაცვალა
შენი ალერსი,
რაღად ამძაფრებ საზარი რისხვით
უბედურებას?
თავს რატომ იკლავ? ზეცას მიენდე,
ის მოგიფონებს!
ცრემლების ზღვაში ნუ ჩაიხრჩობ თავს,
ფიცის გამტეხი ქმრის მოზარევ!

მედეა (სცენის მიღმა). ო, დიდო ზევსო, და თემიდავ, ყოვლისშემძლე ღვთაებავ ჩვენო! ხედავთ ჩემს ტანჯვას? როგორ მიმუხთლა წყეულმა მეუღლემ ჩემმა, გატეხა ფიცი საუკუნო ერთგულებისა! ოჰ, რა იქნება, ჩამოიქცეს სასახლის ჭერი, თავზე დაემხოს მოღალატეს და მის მიჯნურსაც! მათგან მჭირს, რაც მჭირს! ვაიმე, მამავ, ვაიმე, სამშობლოვ ჩემო, საბრალო ძმაო, ჩემი ხელით უღვთოდ მოკლულო! 150

ძიძა. ყური უგდეთ, რას შესტირის, რას შეღაღადებს თემიდას, აღთქმათა მფარველს, და მაღალ ზევსს, ფიცის მეუფედ შერაცხილს მოკვდავთა მიერ. ვაიმე, მხოლოდ საზარელი შურისძიება თუ დაუცხრობს ვნების მწველ სახმილს.

ა ნ ტ ი ს ტ რ ო ფ ი

გუნდი

რად არ გვიჩვენებს სახეს თვისას,
რატომ არ ნებავს
შეისმინოს ჩვენი სიტყვები?

იქნებ დაგვეცხრო
ველური რისხვა,
ნაზი ალერსით ჩაგვექრო
გულში შმაგად მბორგავი ცეცხლი!
მოყვასთათვის არ დავიშურებთ
კეთილ რჩევას სულის სალბუნად...
მაგრამ შინ შედი
და ახლავე აქ გამოგვგვარე!
იჩქარე, ძიძავ,
სანამ ხელი არ აღუმართავს
შინაურებზე,
რისხვით გონებადაბინდულს
და ცნობამიხდილს.

ძიძა. ვნახოთ, ვცდი, მაგრამ მეეჭვება. ვშიშობ, რომ ვერას შევასმენ. თუმცა არაფერს დავიშურებ, მაგრამ უკლებლივ ყველა მხევალს, ყველა მოახლეს, ვედრებით ან ნაზი ალერსით რომ უახლოვდება მის სარეცელს, მძვინვარე ლომივით უბღვერს... ღმერთმანი, გონიერნი კი არა, ბრიყვები იყვნენ ჩვენი წინაპრები, სადღესასწაულო თუ სალხინო სუფრაზე სამღერლად და ბედნიერთა საამებლად რომ თხზავდნენ ჰიმნებს. მაგრამ დღემდე ვერავინ მოიგონა ვერც სიმღერა და ვერც მრავალხმიანი ჰანგი, რომ დაეცხროს პირქუში სევდა, მოუფონოს უსასოებას, უმწეობას და მწუხარებას, საიდანაც იღებს დასაბამს სიკვდილიც და საზარელი უბედურებაც, მოკვდავთა მომთხრელი და დამამხობელი. რა იქნებოდა, სიმღერით რომ შეიძლებოდეს უმკურნალო კაცთა სატკივარს! ლხინის დროს კი რა აზრი აქვს ან სიმღერას, ან მუსიკობას? საზეიმოდ გაშლილი სუფრა უმისოდაც კარგად ალხენს მოკვდავთა გულს (შედის სახლში).

ეპოდოსი

გუნდი

კვლავ მესმის გმინვა, მოთქმა-გოდება,
კვლავ თავს ატყდება წყევლა-კრულვა
უღირს მეუღლეს,
ჟინს აყოლილმა რომ შებღალა და ჰგმო სიწმინდე
საქორწინო სარეცელისა.
თავის ობლობას შეღაღადებს ზევსს და თემიდას
სვედავსილი კოლხი ასული,
რამ გადმოაგდო შორეული სამშობლოდან
აქ, ელადაში,
სადაც უსაზღვრო, უსასრულო, უკიდეგანო
ბობოქრობს ზღვა და ყალყზე შემდგარი
ტალღა ღრიალით აწყდება ნაპირს.

ეპისოდიონი პირველი

შემოდის მედეა, უკან ძიძა მოსდევს, რომელიც კართან ჩერდება.

მედეა (გუნდს). კორინთელთა ასულნო, მხოლოდ იმიტომ გამოგხედეთ, გამოველ გარეთ, რომ თავიდან ავიცილო თქვენი ყვედრება. რამდენ კაცს ვიცნობ, რომლებსაც ქედმაღლობას სწამებენ და განუკითხავად ჰგმობენ მხოლოდ იმიტომ, რომ თავს არიდებენ თავიანთ მოყვასთ ანდა, პირიქით, ხალხში ტრიალი ურჩევნიათ ყველაფერს. ზოგსაც, თავმდაბალს და ქედმოდრეკილს, ერთხმად ჰგმობენ და აგინებენ; უკუღმართიაო, ამბობენ, ცხოვრებაზე ხელჩაქნეული. მაცთურია მოკვდავთა თვალი, ვერ არჩევს მრუდსა და მართალს, ჩვენ კი სწორედ ერთი შეხედვით, ზერელედ ვმსჯელობთ იმაზე, ვის სულშიაც არ ჩაგვიხედავს, და ვგმობთ იმას, ვინც ჩვენს გმობას არ იმსახურებს. მით უმეტეს, სიფრთხილე მართებს უცხოელს თქვენს შორის, რაკი არ ინდობთ თვისტომსაც მხოლოდ იმიტომ, რომ გულში არ ჩაგახედათ. 27

მე კი მოულოდნელი უბედურება დამატყდა თავზე, სულის ამრევი; სიკვდილი მომნატრებია სვეგამწარებულს. ვინც ყველაფერი იყო ჩემთვის, ვისაც შევწირე ჩემი სიცოცხლე, _ გვიან გავიგე, საყვარლებო, _ თურმე უკანასკნელი ყოფილა კაცთა შორის. რამდენი სულდგმულია ამ ქვეყნად, რამდენ გულში ღვივის გრძნობა და აზრი, მაგრამ არ მოიძებნება არსება, ქალზე უფრო უმწეო და საცოდავი. ჯერ არის და, მამასისხლად ვყიდულობთ ქმარს, მაგრამ მალე ირკვევა, რომ მონა კი არა, დესპოტი შევგიძენია, ხორცის მჯიჯგნელი. ვთქვათ, გაცილება დააპირე, ვაი შენს დღეს და მოსწრებას, სად წაუხვალ სირცხვილს? ქალებს ვინ მოგვცა იმისი ნება, რომ ქმარს გავეყაროთ? და, აი, ალალბედზე შევდივართ ქმრის სახლში, _ უცხო ხალხი, უცხო წესი, უცხო გარემო; მიდი და იმტვრიე თავი, სადა ხარ, ვისთანა ხარ, ვინ გიწევს გვერდით, მხეცი თუ კაცი! ბედნიერად ითვლება ქალი, ყველა შენატრის იმის ყოფას, თუ ქმარი ერთგულად ეწევა ცოლ-ქმრობის უღელს; თუ არა და, სიკვდილი გვიჯობს სიცოცხლეს. თუ კაცს თავი მოაბეზრეს შინაურებმა, გავა, გარეთ გაინავარდებს, ტოლ-სწორებში მოილხენს და დროს გაატარებს, ჩვენ კი მხოლოდ მას უნდა შევციცინებდეთ თვალებში. ჩვენზე ამბობენ, მშვიდად და უზრუნველად ცხოვრობთ ქმრის სახლში, კაცის ცხოვრება კი ხელჩართული ბრძოლააო. რა სიბრიყვეა! ერთი შვილის შობას მირჩევნია სამი ბრძოლა გადავიხადო. 22

ამას ამბობენ, საეროდ, ყველა ქალზე, მაგრამ განა მე და თქვენ ერთნი ვართ? აქაა თქვენი სამშობლო, თქვენი სახლ-კარი, ჭირშიც და ლხინშიც მეგობრები გიდგანან მხარში! მე კი მარტო ვარ, უთვისტომო, მიუსაფარი, ქმრისაგან მოძულებული: უცხო ქვეყნიდან გადმოხვეწილს არვინა მყავს მწედ და მეოხად: არც დედა, არც ძმა, არც ნათესავი. ერთსა გთხოვთ მხოლოდ: თუ ვპოვე გზა და საშუალება, რომ სანაცვლო მივაგო ქმარს და მწარედ ვაზღვევინო ღალატი, _ ნუ გამცემთ, ჩუმად იყავით. სუსტია ქალი, ბასრი მახვილის დანახვაც კი აძრწუნებს და თავზარსა სცემს, მაგრამ თუ შეუგინეს ღირსება და შეუბღალეს სარეცელი, მისებრ მწარედ ვერავინ იძიებს შურს. 23 25

კორიფე

გეთანხმები, უფლება გაქვს შური იძიო
მოღალატეზე, არც ის მიკვირს,
რომ დასტირი შენს უბედობას...
მაგრამ ვხედავ, თვით კრეონი გვიახლოვდება,
ჩვენი მეუფე. ნეტავი რა უნდა გვაუწყოს? 26

კრეონი (შემოდის მხლებლებითურთ). რა კუშტი და პირქუშია შენი მზერა, ბოღმით სავსევ, ქმარზე რისხვით გულამღვრეულო. მოველ, რომ გითხრა: დაუყოვნებლივ გაძევებ ჩემი ქვეყნიდან! წადი და თან წაიყოლე შენი შვილებიც! მაშ, გაემზადე, სასახლეში არ დავბრუნდები, სანამ ჩემს ბრძანებას არ შეასრულებ.

მედეა. ვაიმე, ბედკრულს! დავიღუპე! მტერმა რისხვით შემართა ხელი, საშველი კი არსაითა ჩანს. მაგრამ ერთ რამეს მაინც გკითხავ: მითხარი, რისთვის მაძევებ, კრეონ?

კრეონი. არ დაგიმალავ, პირდაპირ გეტყვი: მეშინია, ჩემს ასულს არა ავნო რა. მე შენ გეტყვი და არა მაქვს შიშის საბაბი: ვერაგი ხარ, ჯადოქარი, გრძნებით მჩხიბავი, ახლა კი ამას ზედ ერთვის სასტიკი რისხვაც, ქმრის ღალატით გამოწვეული. ისიც მითხრეს, რომ დაგიქადია, თავბედს ვაწყევლინებ მეფესაც, მის ასულსაც და ჩემს ქმარსაცო. ჰოდა, რა ვქნა, მეც თავს ვიზღვევ განსაცდლისაგან. მირჩევნია ახლა შეგბულდე, ვიდრე 28
შემდეგ სავაგლახოდ და თავში საცემად გამიხდეს საქმე.

მედეა. ვაიმე, ვაი! პირველად ახლა კი არა, ვინ მოსთვლის, კრეონ, რამდენჯერ ჭირად მქცევია ჩემი სახელი. კაცს თუ ჭკუა აქვს, დიდ ცოდნას არ მისცემს შვილებს, რათა ხალხის შურს განარიდოს, სხვებისაგან გამორჩეულნი. აბა, გაბედე და რაიმე ასწავლე უვიცს: უქნარად ჩაგთვლის, განა მცოდნედ, ანდა სწავლულად. ხოლო თუ ცოდნით დაჩრდილე ჭკუა-გონებით განთქმულნი და სახელმორჭმულნი, იცოდე, მავნედ 29
და ხორცმეტად მიგიჩნევს ხალხი. ასეთია ჩემი ხვედრიც: ცოტა რამ მესმის, მიტომაც ერთნი ზიზღით მიცქერენ, მეორენი კი შენსავით მავნედ და საშიშად მთვლიან. ბრძენიაო, ასე ჰგონიათ უგუნურთ, მაგრამ ვინ მომაშავა სიბრძნე? უმწეო ქალმა რა უნდა 30
ავნოს მეფეებს? ჩემი ნუ გეშინია, კრეონ, ეგეც არ იყოს, შენ რას გერჩი? ვინც მოგწონდა, მას მიეც ქალი. მე ჩემი ქმარი მეზიზღება მხოლოდ და მხოლოდ. შენდა თავად კი ბრძნულად მოიქეც... მაგრამ მე მაინც არა მშურს შენი: ქენით ქორწილი, იხარეთ, იბედნიერეთ, მე კი მომეშვით, რა იქნება, ჩემთვის ვეგდო აქ, კორინთოში? უდრტვინველად ავიტან სირცხვილს: ჩემზე უფრო ძლიერმა მძლია. 310

კრეონი. თაფლი მოგწვეთავს ენის წვერიდან, მაგრამ გული კი შხამით გაქვს სავსე. რაც მეტს გისმენ, მით უფრო ნაკლებად მჯერა. რამდენად უფრო ადვილია გულფიცხი ქალის, გინდ კაცისაგან დაიცვა თავი, ვიდრე ერიდო შენსავით ფრთხილსა და ვერაგს. წადი, გამეცა, ურყევია ჩემი ნება. ბევრიც ეცადო, ვერ დამითანხმებ, რომ მტერს და ორგულს აქ მოგცე ბინა. 32

მედეა. მუხლმოდრეკილი გემუდარები, ახალგათხოვილ ასულს გაფიცებ.

კრეონი. ქარს ატან სიტყვებს: ვერ მომდრეკ, ვერ დამითანხმებ.

მედეა. შემიბრალე... ყურად იღე საბრალო ქალის ვედრება.

კრეონი. ჩემს სახლეულზე მეტად ვერ შეგიყვარებ.

მედეა

ვაიმე, ჩემთვის დაკარგულო სამშობლოვ ჩემო,
დღეს უფრო მეტად მენატრები, ვიდრე ოდესმე.

კრეონი. შვილების შემდეგ მეც სამშობლო მირჩევნია ქვეყნად ყველაფერს.

მედეა. რა ძვირად გვიღირს სიყვარული უბრალო მოკვდავთ.

კრეონი. ბედისწერა განაგებს ყოველს. 33

მედეა. ზევსმა მოჰკითხოს, ვინც მე ასე უღვთოდ გამწირა.

კრეონი. გამეცა, შლეგო, ნუღარ მტანჯავ, ნუღარ მაწამებ.

მედეა. წამება ჩემი ხვედრია, სატანჯველად შემქმნა განგებამ.

კრეონი. ნებით არ წახვალ, ძალით წაგაბრძანებენ.

მედეა. ოჰ, არა, არა, გევედრები... გთხოვ, მომისმინო.

კრეონი. თვალში ხომ არ გეცოტავები?

მედეა. წასვლით კი წავალ... ამას როდი გთხოვ, მეუფეო.

კრეონი. სხვა რაღა გნებავს, ა?! აღარ იტყვი?

მედეა. გემუდარები, ერთი დღე მაინც მომეცი, რომ გადავწყვიტო, რა ვიღონო, რა გზას დავადგე; ბავშვებს მივხედო და სამგზავროდ მოვამზადო, მშობელი მამის მიერ ობლად დაყრილნი. შეიწყალე განწირულნი, შენც ხომ მამა ხარ, და სიბრალული, ალბათ, უცხო არ არის შენთვის. განდევნა როდი მაშინებს, არა, მეფეო, თუ ვტირი, მხოლოდ მათ უბედურებას დავტირი. 34 ი

კრეონი. რა ვქნა, მტარვალად არ ვარ შობილი. რამდენჯერ თავი მაწყევლინა ამ გულჩვილობამ. ახლაც ხომ ვიცი, რომ ვცდები, მაგრამ მაინც გისრულებ თხოვნას, ოღონდ იცოდე, თუ ხვალ შენც და შენს შვილებსაც მზის ნათელმა აქვე მოგისწროთ, გარდუვალი სიკვდილი გელის. ასეთია ჩემი სიტყვა: მხოლოდ ერთი დღე მომიცია. ერთ დღეში კი ვერ მოასწრებ იმას, რისი შიშიცა მაქვს (მხლებლებითურთ გადის).

კორიფე

ვაი, რა ცეცხლში ჩავარდნილხარ,
საბრალო ქალო.
საით წახვალ, ვინ შეგიფარებს? 36 ი
სადაა ის კურთხეული
სახლი, ანდა მხარე, მედეა?
ვინ მოგიფონებს?
ტანჯვის ზღვას ერთვის შენი გზა,
სვედავსილო!
ასეთი რა შესცოდე ღმერთებს?

მედეა. დაბნელდა ზეცა... მაგრამ, არა, არ გეგონოს, თითქოს ამით დამთავრდა საქმე! შავ დღეს უქადის მომავალი ახლად დაწინდულთ! გაჩენის დღეს ვაწყევლინებ მათ მაჭანკალსაც. იქნებ გგონია, ტყუილუბრალოდ ვეპირფერებოდი და თავს ვევლებოდი? არა, ყველაფერი წინასწარ ავწონ-დავწონე. ასე რომ არა, მერწმუნე, ხმასაც არ გავცემდი, თითსაც კი არ გავანძრევდი. ბრიყვი!.. შეეძლო გავედევნე და მთელი დღე კი მაჩუქა სამოქმედოდ. ო, ეს ერთი დღე საკმარისია, რათა მზე დავუბნელო სამ მოსისხლე მტერს: მეფეს, მის ასულს და ჩემს მეუღლეს. ბევრი გზა მაქვს, მაგრამ არ ვიცი, რომელს დავადგე: ცეცხლს მივცე მექორწინეთა სახლი, თუ ფეხაკრეფით შევიპარო სანთიობოში და ორივეს გულს ვაძგერო ბასრი მახვილი? მაგრამ ვაითუ ზღურბლზევე მახვილშემართული შემიპყრონ და მტერი ვაცინო ჩემზე. არა, სჯობს ისევ პირდაპირი გზა ავირჩიო: მრავალგზის ნაცად საწამლავს ვიხმარ. რაც არი, არი! მაგრამ, ვთქვათ და, მიზანს ვეწიე, მერე რაღა ვქნა? სადაა ან ქვეყანა, ან ქალაქი, ან კიდევ სახლი, რომელიც კარს გამიღებს და შემიფარებს? მაშ, მოდი, ერთხანს შევიცადოთ. თუ შევიგულე საიმედო თავშესაფარი, ფეხაკრეფით დავადგები იდუმალი მკვლელობის ბილიკს. მაგრამ თუ არსით გაჩნდა საშველი, მაშინ კი სააშკარაოდ ხელთ ვიპყრობ მახვილს, ჯიქურ მივეჭრები ჩემს დამღუპველთ, და ან მოვკლავ, ან შევაკ-

ვდები. ვფიცავ ჰეკატეს, ჩემს სათაყვანებელ ღვთაებას, ჩემს მწეს და მეოხს, სახლ-კარის და კერიის მფარველს, რომ მტერს ჩემზე არ გავაცინებ! ძვირად დავუსვამ მათ ამ ქორწილს და ჩემს განდევნას! მაშ, წინ, მედეა, ნუღარ დაზოგავ ნურც შენს გრძნეულ ხელოვნებას, ნურც ხერხს და ღონეს. დაე, აღსრულდეს საქმე საზარი! დადგა ჟამი შურისგებისა!.. ვაი, სირცხვილო, ვაი, ამ ჩემს დღეს და მოსწრებას! ნუთუ დაუშვებ, რომ სიზიფეს წყეულმა მოდგმამ ამ ქორწინების წყალობით მწარედ დასცინოს ჰელიოსის თესლს და ნაშიერს? მაგრამ რას ვამბობ? თუ ბუნებამ ჩვენ, ქალები, იმგვარად შეგვქმნა, რომ სიკეთის ქმნის არ მოგვცა ნიჭი, სამაგიეროდ სიავეში არ გვყავს ბადალი. 41 0

სტასიმონი პირველი

სტროფი I

გუნდი 42 0

აღმა იბრუნეს პირი წინდა მდინარეებმა,
სიმართლის ძალა გაქარწყლებულა,
ღვთაებრივ რწმენას ფეხქვეშ თელავს
კაცთა მზაკვრობა.
ო, იმედია გაქარწყლდება ჩვენი აუგიც,
პატივს დასდებენ ამიერიდან
ქალების მოდგმას,
და ჩვენს ძვირსაც ვეღარვინ იტყვის.

ანტისტროფი I

კმარა, რაც ითქვა, ნუღარ იტყვის
პოეტის ლექსი 43 0
ჩემს ვერაგობას,
დროა, გაისმას ჩემი ქებაც შენს საუფლოში, 37
ფებოს, პოეტთა სიტყვის მეუფევ.
საუკუნეთა გრძელ მანძილზე
რამდენი ავი
დაუთესია კაცთა მოდგმას, 38
დროა, გვასმინო მათი აუგიც.

სტროფი II

მამა-პაპეულ სახლს მოწყვეტილო, 39 0
შავად მღელვარე ფიქრითა და მკვნესარე გულით
გადმოგილახავს უსასრულო სივრცე ზღვისა,
საზარი კლდენი.
აქ, უცხო მხარეს, ცალად შთენილხარ
მეუღლისგან მოძულებული. 40 0
ვის რა შესცოდე, აქედანაც რომ გაძევებენ
შერცხვენილსა და შეგინებულს?

აღარც ფიცის წმინდა სიტყვები,
აღარც სირცხვილი აღარ ახსოვს
დიად ელადას!
ცას მიაშურა ყველაფერმა, რაც იყო წმინდა...
შენ კი _ აღარც მამის სახლი,
აღარც სადმე მყუდრო სავანე.
წაურთმევია შენთვის სახლიც და სარეცელიც
მეფის ნორჩ ასულს.

ეპისოდიონი მეორე

შემოდის იასონი.

იასონი. განა დღეს პირველად ვხედავ, ძალზე ხშირად ვყოფილვარ მოწმე, რამდენი სიავის სათავეა ფუჭი სიშმაგე. შეგეძლო მშვიდად გეცხოვრა შენთვის ამ სახლში და ამ ქალაქში, თუკი მორჩილად დაჰყვებოდი მეფეთა ნებას. მაგრამ შენმა ენამ დაგღუპა. სწორედ მაგიტომ გაძევებენ. რა მენაღვლება, რამდენიც გინდა მლანძღე, მაგინე, უკანასკნელი მიძახე კაცთა შორის; მაგრამ ახლა მეფის ოჯახსაც გადასწვდი და ღმერთს მადლობა შესწირე, რომ განდევნას გაკმარებენ მხოლოდ. მე, რაც შემეძლო, ცდა არ დამიკლია, რომ დამეცხრო მეფეთა რისხვა; ვთხოვდი, აქ დარჩენის ნება მოეცათ შენთვის, მაგრამ შენი არ მოიშალე, კვლავინდებურად ლანძღავდი და აგინებდი სამეფო ოჯახს; ჰოდა შენს თავს დააბრალე, ქალაქიდან რომ გაძევებენ. მაგრამ მე, როგორც ერთგულ მეგობარს შეშვენის, ხელს ვერ აგაღებ; მოვედი, რათა გაჭირვება არ ვაგრძნობინო ჩემს ცოლ-შვილს: ბევრი სიავე და სიმძიმილი გელის განდევნილს. ვიცი, რომ გძულვარ, მაგრამ მე მაინც არ შემიძლია ბოროტი მსურდეს შენთვის.

436-458

მედეა. ოო, თახსირო, სულმდაბალო, არც კი ვიცი, სხვა რა ვუწოდო მაგ ავკაცობას. მეგობრად კი არა, მოსისხლე მტრად მოსულხარ, უკვდავთა და მოკვდავთ მოძულევ. გამბედაობა ჰქვია, ან სითამამე, მოყვასს უმუხთლო და მერე თვალი გაუსწორო შენგან განწირულს? არა, ჩვენში სხვა სახელს სდებენ კაცთა ამ უკეთურ სენს _ უტიფრობას! თუმცა მაინც კარგი ქენი, რომ მოხვედი: ყველაფერს პირში მოგახლი და გულს მოვიოხებ, შენ კი თავბედს და გაჩენის დღეს გაწყევლინებ. დავიწყებ იმით, რომ მე გიხსენი, მოწმედა მყავს ყველა ელინი, ვინც შენთან ერთად "არგოთი" მოადგა კოლხეთს; გიხსენი, როცა დაგავალეს გაგეხედნა ცეცხლისმფრქვეველი ხარები, დაგეხნა და დაგეთესა სიკვდილის ველი; მე მოვკალი მარად ფხიზელი გველეშაპი, თავისი საზარელი ტანით ოქროს საწმისზე შემოგრაგნილი; მოვკალი და სასომიხდილს კვლავ აგინთე ხსნის ნათელი. შენი გულისთვის დავუტევე მშობელი მამაც, სამშობლოც, ჩემი სახლ-კარიც და პელიონის იოლკოსში გამოგყევი: ვნების სახმილმა დამივსო გონების თვალი. მისსავე შვილებს საზარელი სიკვდილით მოვაკვლევინე პელიასი და სამუდამოდ გიხსენი თავზარდამცემი შიშისაგან. ხომ ამდენი სიკეთე გიყავ, კაცთა შორის ყოვლად უღირსო, შენ კი რა მომაგე სანაცვლოდ? მიღალატე, სხვაზე გამცვალე. უშვილძირო რომ ყოფილიყავი, ვინ იცის, იქნებ გამეგო და მეპატიებინა კიდეც ახალი სარეცლის ნდომა-სურვილი. მითხარი, სად გაქრა შენი ფიცი? ოჰ, რამდენჯერ გიძებნია ვნებაატა-

ნილს ჩემი ხელები, ჩემი მუხლები!.. ვაიმე, რას ველოდი და რა შემრჩა ხელში? როგორ გამიცუდდა ყველა იმედი? როგორღა ვირწმუნო შენი მეგობრობა? ან რა სიკეთეს უნდა ველოდე შენგან? მაგრამ კვლავ გკითხავ, რომ სირცხვილმა დაგწვას, დაგდაღოს: რას მიბრძანებ, საით წავიდე? ვინ შემიფარებს? მამაჩემი, რომელსაც შენი გულისთვის ვუღალატე? თუ პელიასის ასულები? დიდი პატივით კი მიმიღებენ თავიანთი მამის მკვლელს! ასეა საქმე: მათ, ვინც მიყვარდა, თვით ვუღალატე, ხოლო ისინი, ვისაც ჩემი კი არა, მხოლოდ შენი გულისთვის ვუმტრე, არ დამინდობენ. ვაიმე, ბედკრულს! ესეც შენი აღთქმული სახელი და პატივი! ო, რა ქმარი მყავს, რამდენი ქალი შემომნატრის მთელს ელადაში! თუ უმწეოს და უთვისტომოს შვილებითურთ გამდევნიან ამ ქალაქიდან, სახელი მაშინ დაიკვეხნოს ახალმა სიძემ, როცა მისი მხსნელიცა და უბედური შვილებიც კარდაკარ დაიწყებენ წანწალს. ო, ზევსო, რატომ მიეცი კაცს ყალბი ოქროს გამოცნობის უნარი, ფლიდს კი შუბლზე არ ამოშანთე ნიშანი მისი სიმუხთლის და ვერაგობისა?

კორიფე

ო, ვინ დააცხროს საზარი რისხვა,
როს სიყვარულის ნაცვლად მტრობა
ისადგურებს მოყვასთა სულში.

იასონი. ახლა მჭირდება, თუ მჭირდება ენამჭევრობა; მესაჭისა არ იყოს, სიფრთხილე მმართებს: დაუყოვნებლივ დავუშვებ აფრას, რომ ერთიანად არ წამლეკოს ავყიობის შმაგმა გრიგალმა. ძალიან კი აზვიადებ შენს მხარდაჭერას, მაგრამ პირადად მე თუ მკითხავ, ღმერთთა და კაცთა შორის მხოლოდ კიპრიდას ვსახავ ჩემს ერთადერთ მწედ და მეოხად, მხოლოდ მას ერთს ვუმადლი იმას, რომ კეთილად დაგვირგვინდა ჩვენი მგზავრობა. ჭკვიან ქალად გთვლი, მაგრამ ვიცი, არაფრად გეპიტნავება, თუ ვიტყვი, რომ თავისი ბასრი ისრებით მხოლოდ ეროსმა ჩაგაგონა, გეშველა ჩემთვის. თუმცა რაცა ვთქვი, ისიცა კმარა. შენს სამსახურს როდი უარვყოფ, მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ სანცვლოდ მეტიც მოგაგე. ჯერ ერთი, ბარბაროსთა ქვეყნიდან გამოგიტაცე და ელადაში დაგამკვიდრე, სადაც შეიცან სამართალი და კანონები, შენს სამშობლოში გამეფებული თვითნებობისა და ძალმომრეობის ნაცვლად. აქ, ელადაში, დიდი თუ პატარა, ყველა ბრძნად გსახავს, შორს გავარდნილა შენი სახელი, ხოლო იქ, ქვეყნის დასალიერს რომ დარჩენილიყავი, ვინ შეიტყობდა შენს სიბრძნეს? რად მინდა ოქრო, ან ორფევსის ბრწყინვალე ნიჭი, თუკი ვერავის განვაცვიფრებ? შენ თვითონ მაიძულე, თორემ, მართალი გითხრა, ამის თქმას არც ვაპირებდი. ახლა კი ჩემს ქორწინებაზე მოგახსენებ: ღმერთმანი, ჭკვიანურად და კეთილგონივრულად მოვიქეცი, შენს სასიკეთოდ და ჩემი შვილების საკეთილდღეოდ. მშვიდად მისმინე! ხომ იცი, იოლკოსიდან გამოქცეულმა რამდენი უბედურება გადავიტანე; ჩემებრ დევნილისა და მიუსაფრისთვის სწორედ ხსნა იყო მეფის ასულის ცოლად შერთვა. ნუ გგონია, თითქოს შენი სარეცელი მოვიძულე, სხვისადმი ვნებით ალმოდებულმა, ან თითქოს იმას ვესწრაფი, რომ რაც შეიძლება მეტი შვილი მყავდეს. არა, მეყოფა ისიც, რაცა მყავს, და ამ მხრივ ვერაფერს გისაყვედურებ. ცოლი იმიტომ შევირთე, რომ უზრუნველად გვეცხოვრა და გაჭირვება არ განგვეცადა, რადგანაც ვიცი, რომ უბედურს და ღარიბ-ღატაკს მეგობრებიც კი გაურბიან. ეგეც იყოს, მე მინდოდა ღირსეულად აღმეზარდა ჩემი შვილები, როგორც შეშვენის ჩემს გვარიშვილობას, და ახალი ძმები მიმეცა მათთვის, რათა ძლიერი და სვებედნიერი ყოფილიყო

ჩემი მოდგმა. შენ რაღად გინდა მეტი შვილი? მე კი მჭირდება, რათა იმათი წყალობით, ახალმა მეუღლემ რომ უნდა მიშვას, ვემსახურო შენს მიერ შობილთ. ხომ მართალი ვარ? ვიცი, უთუოდ კვერს დამიკრავდი, ეჭვიანობა რომ არ გიმღვრევდეს გულს. ქალები ბედნიერად თვლით თავს, თუკი თქვენს სარეცელს არაფერი ემუქრება, მაგრამ თუ ქმარს ორგულობა შეატყვეთ, მორჩა, აღარც ერთგული მეგობარი გწამთ და აღარც კეთილი მრჩეველი; ზიზღით და სიძულვილით უცქერით ყველას. ნეტავი ბავშვები რაღაც სხვა გზით იბადებოდნენ და ქალი სულაც არ ერიოს ამ საქმეში; რამდენ უბედურებას გადურჩებოდა კაცთა მოდგმა.

კორიფე

სიტყვა კი კარგად მოგიქარგავს, იასონ, მაგრამ
ნუ მიწყენ, თუ სიმართლეს გეტყვი,
მაინც ცოლის მტერი ხარ და მოღალატე.

მედეა. ერთხელ კიდევ ვრწმუნდები, რამდენი რამ განმასხვავებს დანარჩენ მოკვდავთაგან. ასწილ უმკაცრეს სასჯელს ვსდებ ყველას, ვინც ცდილობს ენამჭევრობით შენიღბოს უსამართლობა: მოქარგული ენით შენიღბული კი ყოველგვარ უსამართლობას ჩაიდენს. აი, შენც ჩემს წინაშე დგახარ და შემპარავი სიტყვით ცდილობ თვალი ამიხვიო, მაგრამ ერთს გეტყვი და უმალვე გავაქარწყლებ მთელს შენს მცდელობას. ფლიდი რომ არ იყო, ქორწინებამდე მე გამანდობდი მაგ შენს განზრახვას: შენ კი უჩემოდ შეირთე ცოლი.

იასონი. მეთქვა, თორემ ხელს შემიწყობდი! დღემდე გონს ვერ მოსულხარ, შმაგი, რისხვით ცნობამიხდილი.

მედეა. შენ სულ სხვა რამის შიში გქონდა: ვაითუ სიბერის დღემდე ბარბაროსის ქმარი მერქვასო.

იასონი. სცდები, მაგის გამო როდი შემირთავს მეფის ასული. აკი გითხარი, შენი ხსნა მსურდა-მეთქი. მინდოდა ჩვენს შვილებსაც ძმებად ჰყოლოდათ უფლისწულნი, მთელი ჩვენი გვარისა და ოჯახის საკეთილდღეოდ.

მედეა. რა თავში ვიხლი სიმწრის ფასად მოპოვებულ კეთილდღეობას, ან იმნაირ ბედნიერებას, გულს რომ გაგიხეთქს?

იასონი. ღმერთებს ევედრე, მეტი ჭკუა მოგცენ, რათა ერთმანეთში არ ურევდე სასარგებლოსა და საზიანოს, ბედნიერებას კი უბედურებად არ თვლიდე.

მედეა. დამცინი კიდეც?.. შენ რა გიჭირს... მე შენ გეტყვი, თავშესაფარი გაქვს საძებნელი... მე ვიკითხო, უდაბნოდ რომ მექცა ქვეყანა.

იასონი. შენ თვითონ ირჩიე ასეთი ხვედრი, სხვას ნუ აბრალებ.

მედეა. რაო? მე გავთხოვდი? მე გიღალატე?

იასონი. წყევლით აავსე მეფის ოჯახი.

მედეა. არც შენს ოჯახს მოვუშლი წყევლას.

იასონი. კმარა, რა აზრი აქვს ამაზე დავას? თუკი რამ გჭირდებათ შენც და ბავშვებსაც, მითხარი, ნუ მომერიდები; მზადა ვარ, დიდსულოვნად გამოგიწოდო დახმარების ხელი. წერილს მიგიწერ ჩემს მეგობრებთან და ისინი მფარველობას არ მოგაკლებენ. მაგრამ თუ არ მიიღებ ჩემს დახმარებას, იცოდე, დიდ სისულელეს ჩაიდენ, ქალო. მოთოკე ეგ შენი რისხვა. მერწმუნე, ასე გიჯობს.

მედეა. არც შენი მეგობრები მჭირდება და არც შენი მოწყალება. ტყუილად მთავაზობ. უკეთური ქმრისგან მოძღვნილი თაფლიც კი შხამად მექცევა.

იასონი. ღმერთია მოწმე, მოვედი, რომ არაფერი მომეკლო შენთვის და ჩემი შვილებისათვის, მაგრამ კერპმა წიხლი მიკარი სიკეთეს. მით უარესი შენთვის (მიდის).

მედეა. წადი! ვხედავ, მოგენატრა ახალი ცოლი; სული გელევა, როდისა ნახავ. სასახლეშიც მოუთმენლად მიგელიან. მაგრამ ღმერთს ვფიცავ, შხამად შეგარგებ მაგ ქორწინებას.

სტროფი II

სტასიმონი მეორე

სტროფი I

გუნდი

როცა უწყალოდ შმაგობს ეროსი,
ვეღარც დიდებას და ვეღარც სახელს
ვეღარ მოიხვეჭს კაცი,
ტრფობით გახელებული.
მაგრამ როდესაც კიპრიდა მხოლოდ
სიხარულით და სინაზით გვათრობს,
რა შეედრება აძ ხეტარებას?
გემუდარები, ქალღმერთო, ნურასდროს მტყორცნი
შენს ოქროს ისრებს,
რომ არ დამდაგოს ვნების სახმილმა.

ანტისტროფი I

მიბოძე მხოლოდ მშვიდი ვნება,
უკვდავთა უტკბესი ნიჭი,
მარიდე რისხვა, გულისწყრომა,
სიბობოქრე ვნებათა ღელვის,
სხვისი სარეცლის
ნდომა-სურვილი.
უღრუბლო ჰყავ და
უზრუნველი
ცოლ-ქმრის ცხოვრება,
გვედრი, ქალღმერთო.

სტროფი II

ჰოი, სამშობლოვ, სახლ-კარო ჩემო,
ღმერთმა მარიდოს უთვისტომობა,
განდევნილის ტანჯვითა და ვაებით სავსე
სიცოცხლის დღენი.

სიკვდილი მიჯობს ამგვარ ყოფნას,
სიკვდილი მიჯობს,
ო, ღმერთო, მტერსაც არ ვუსურვებ
უსამშობლობას.

ანტისტროფი II

სხვას როდი უთქვამს, თვითონვე ვხედავ:
აღარც სამშობლო, არც მეგობარი!
ვინ განუგეშებს, სვედავსილო,
ვინ შეგივრდომებს?
სიკვდილი ორგულს და უმადურს,
ვინც გულს არ მისცემს გულისთვის
მოყვასს.
ღმერთო, მარიდე პირშავი კაცი.

ეპისოდიონი მესამე

შემოდის ეგევსი მხლებლებითურთ.

ეგევსი. იხარე, მედეა! მეგობრებს უფრო თბილი სიტყვით ვერავინ მიესალმება.
მედეა. ღმერთმა გახაროს, ბრძენთა-ბრძენი პანდიონის ძევ! სად ყოფილხარ?
ეგევსი. დელფოში გახლდი, ფებოსის ძველ სამისნოში.
მედეა. რა საქმე გქონდა?
ეგევსი. უშვილობის წამალს ვეძებდი.
მედეა. ო, ღმერთო, ნუთუ დღემდე უშვილო ხარ?
ეგევსი. ჰო, უშვილო ვარ. არ ვიცი, რომელმა ღმერთმა დამწყევლა.
მედეა. ცოლი გყავს თუ ჯერ არ შებმულხარ ცოლ-ქმრობის უღელში?
ეგევსი. არა, არ გავქცევივარ მე მაგ უღელს.
მედეა. მერედა, რა გაუწყა მისანმა?
ეგევსი. ვინ ჩახვდება მის გამოცანას?
ედეა. მაინც რაო? არ შეიძლება მეც გამანდო?
ეგევსი. რა თქმა უნდა. აქ სწორედ შენი სიბრძნეა საჭირო.
მედეა. მაშ, მითხარი, თუ შეიძლება.
ეგევსი. ნუ გამოიღებ ტომრიდან ფეხსო.
მედეა. სანამ რამეს არ აასრულებ, ანდა სადმე არ მიხვალო?
ეგევსი. დიახ, სანამ მამა-პაპეულ სახლს არ დაუბრუნდებიო.
მედეა. მაშ, აქ რისთვისღა მოსულხარ?
ეგევსი. პიტთევსი თუ გაგიგია, ტრეძენის მეფე?..
მედეა. ღვთისმოსაობით განთქმული ძე პელოფსისა?
ეგევსი. სწორედ მას უნდა ვაუწყო მისნის სიტყვები.
მედეა. ბრძენი კაცია, მაგისთანები გამოუცვნია?
ეგევსი. თანაც, ყველაზე სანდო მეგობარია ჩემი.
მედეა. ღმერთმა ხელი მოგიმართოს, ეგევს; აგისრულდეს, რასაცა ნატრობ.

ეგევსი. კი მაგრამ, შენ რა სახე ჩამოგტირის, თვალები რად ჩაგშავებია?

მედეა. ქმარმა მიმუხთლა, კაცთა შორის ყოვლად უღირსმა.

ეგევსი. რას ამბობ? უფრო ნათლად მამცნე შენი გულის წუხილი.

მედეა. საშინლად შეურაცხმყო სულ უმიზეზოდ.

ეგევსი. მაინც რა მოხდა, აღარ მეტყვი?

მედეა. სხვა ქალი შემოჰყავს ჩემს ოჯახში დიასახლისად.

ეგევსი. მაგას როგორ გაბედავდა! ვაი, სირცხვილო!

მედეა. მაშ, იცოდე: ყველა მოიძულა, ვინც თავის თავს ერჩია გუშინ.

ეგევსი. ფუ, მის კაცობას! შენი თქმისა არ იყოს, უღირსი ყოფილა მართლაც.

მედეა. მეფის ასული მოჰყავს ცოლად.

ეგევსი. ვინაო? ყური ხომ არ მატყუებს?

მედეა. კორინთოს მეფის ასული-მეთქი.

ეგევსი. ახლა კი მესმის შენი ვაება.

მედეა. მთლად დავიღუპე, ქალაქიდანაც მაძევებენ.

ეგევსი. ეს კიდევ რაღა ღვთის რისხვაა?

მედეა. გეუბნები, კორინთოდან მაძევებს-მეთქი მეფე კრეონი.

ეგევსი. კი მაგრამ, იასონი თანახმაა?

მედეა. სიტყვით არა, მაგრამ საქმით კი მეფის ნება-სურვილს ასრულებს. მუხლმოდრეკილი გევედრები, გემუდარები, შემიწყალე მე საცოდავი. ყველასგან დევნილს ნუ გამწირავ, მიუსაფრად ნუ მიმატოვებ. მიმიღე შენს ქვეყანაში, შენს სასახლეში, აგრემც ღმერთები შეგეწიონ და გიბოძონ ნანატრი შვილი, ცოცხალს _ იმედად, მკვდარს _ დამტირებლად. არც კი იცი, რა ბედს ეწიე: უშვილძიროდ არ გადაეგები, მე ვუწამლებ შენს უშვილობას.

ეგევსი. გულით მინდა, რომ დაგეხმარო: ღმერთებიც ამას მიწესებენ და შენი აღთქმაც ამასვე მავალდებულებს, _ შვილი გეყოლებაო? მაშინ ხომ ჩემზე ბედნიერი კაცი აღარ იქნება ქვეყნად. აი, რას გეტყვი: თუ ჩემს ქვეყანაში ჩამოხვალ, ვეცდები, ისე გიმასპინძლო, როგორც წესია და რიგია. მაგრამ ჩემგან არ ეგების, თან წაგიყვანო, ხოლო თუ შენ თვითონ მეწვევი ჩემს სასახლეში, უბატონოდ ხმას ვერვინ გაგცემს, არავის დავაჩაგვრინებ შენს თავს. მაგრამ ეს ქვეყანა კი უჩემოდ უნდა დასტოვო: არც მე მინდა, რომ ჩემი მასპინძლები შენს გამო მოვიმდურო.

მედეა. კეთილი, მაგრამ შენი სიტყვების თავდებად რა უნდა მქონდეს?

ეგევსი. ნუთუ არ მენდობი? სთქვი, რა გაეჭვებს?

მედეა. ნდობით კი გენდობი, მაგრამ ხომ იცი, რამდენი მტერი მყავს, პელიასის სახლეულიცა და მეფე კრეონიც. მაშ, შემომფიცე, რომ ჩემს თავს ხელში არ ჩაუგდებ მათ. თორემ ისე, მარტოოდენ ლიტონ სიტყვას, რომელიც ფიცით არ არის განმტკიცებული, რა ფასი აქვს? ჩემი მტრები შენი მეგობრები და მოკავშირეები არიან. ელჩებსა და შიკრიკებს დაგახვევენ, დაჟინებული მოთხოვნებით აგიკლებენ და ხომ შეიძლება, ბოლოს და ბოლოს, შენც ძალაუნებურად ქედი მოიხარო და მათ ნებას დაჰყვე? ვინა ვარ მე _ ერთი სუსტი და უმწეო ქალი. ჩემი მტრები კი მეფეები არიან.

ეგევსი. მეტისმეტი სიფრთხილე და წინდახედულება ჩანს შენს სიტყვებში. მაგრამ რაკი გული ასე გითქვამს, არც იმაზე გეტყვი უარს, რომ შემოგფიცო. ალბათ, ჩემთვისაც ასე აჯობებს: უფრო თამამად ვეტყვი შენს მტრებს, რომ ფიცითა ვარ შეკრული და შენც უფრო იმედიანად იქნები. მაშ, მითხარი, რომელი ღმერთების წინაშე შემოგფიცო?

690

700

710

720

730

740

მედეა. დედამიწის, მამაჩემის მამის _ ჰელიოსისა და უკვდავ ღმერთთა მთელი ხომლის წინაშე. 750

ეგევსი. მაშინ ისიც მითხარი, თუ რაზე მაფიცებ.

მედეა. იმაზე, რომ შენი ქვეყნიდან არ გამაძევებ და, ვინც უნდა გთხოვოს, ცოცხალი თავით არ მიმცემ მტრებს.

ეგევსი. ვფიცავ მიწას, მზის ნათელს და, მასთან ერთად, სხვა ღმერთებსაც, რომ ჩემს აღთქმას არ ვუღალატებ.

მედეა. კმარა. ახლა ისიცა სთქვი, თუ ფიცის გატეხისათვის რა მოგესაჯოს.

ეგევსი. რაც ეკუთვნის ღვთის პირით გადამდგარს.

მედეა. გზა მშვიდობისა! ყველაფერი კარგად იქნება. მალე მეც უკან გამოგყვები; მხოლოდ მანამდე უცილობლად ავასრულებ იმას, რაც მინდა და რასაც ვესწრაფვი.

ეგევსი მხლებლებითურთ მიდის.

760

კორიფე

მაიას ძეო, მოგზაურთა დიდო მფარველო,
შენ უწინამძღვრე ეგევსს, მშვიდობით
შინ მიიყვანე!
აგიხდეს, მეფევ, ყველა სურვილი.
ჰოი, ვაჟკაცო კეთილშობილო,
შენი სიქველის დღეს სასახელოს
შევესწარ საქმეს.

770

მედეა. ზევსო, შენც _ ზევსის სამართალო და მზის ნათელო! ახლა კი ძლევას მომანიჭებს, დობილებო, განგების ძალა. გზა ხსნილი მაქვს. იმედი მომეცა, რომ დაუსჯელად ვერ გადამირჩებიან მტრები. რადგან ეს კაცი ჩემს ნამდვილ მხსნელად მომევლინა: საიმედო ნავსაყუდელის გამიხსნა კარი; სწორედ იქ ჩავუშვებ ჩემი ხომალდის ღუზას. მოწყალედ მიმიღებს პალადას სახელოვანი ქალაქი. ახლა კი ყველაფერს მოგახსენებ, რასაც ვაპირებ. ვაი, რომ საამოს ვერაფერს გეტყვი. 780

ერთ ჩემს მხევალს იასონთან გავაგზავნი და აქ მოსვლასა ვთხოვ. ალერსიანად, შემპარავი სიტყვით დავხვდები: ვეტყვი, შენს ქორწინებასაც ვიწონებ და აღარც მოღალატედ გთვლი-მეთქი. ვთხოვ, ბავშვებს მაინც მისცენ კორინთოში დარჩენის ნება. იმიტომ კი არა, თითქოს მართლა ვაპირებ ჩემი შვილები მტრების ხელში დავტოვო საწამებლად, არამედ იმიტომ, რომ ვერაგულად მოვუსწრაფო სიცოცხლე მეფის ასულს. ვითომ შეწყალების სათხოვნელად გავგზავნი ჩემს პატარებს და მათი ხელით საჩუქარს ვაახლებ სასძლოს: უძვირფასეს სამოსელს და ოქროს გვირგვინს. როგორც კი სამოსს შეეხება და ტანთ ჩაიცვამს, საშინელი წამებით ამოხდება სული, მასაც და სხვასაც, ვინც ხელში აიღებს ჩემს საჩუქარს, _ ისეთი შხამით გავჟღინთე იგი. მაგრამ ვაი რომ ამით არ დამთავრდება საქმე. მწარედ დავტირი იმას, რაც უნდა ჩავიდინო შემდეგ: მე თვითონ უნდა დავხოცო ჩემი შვილები, ვერავინ დაიხსნის საბრალოთ. და როცა მიწასთან გავასწორებ იასონის სახლ-კარს, აქედან გადავიხვეწები, ჩემი საყვარელი შვილების მკვლელი, საზარი საქმისთვის შეჩვენებული. არ გავაცინებ ჩემზე მტერს, ო, საყვარლებო. მერე კი, თუნდაც მოვკვდე, რაღად მინდა თავი ცოცხალი? აღარც სამშობლო, აღარც მამის სახლი, არც რამ საშველი ბოროტისაგან თავდასაღწევად. ოჰ, რად ვერწმუნე მუხანათი ელინის ფიცს? რად მივატოვე ან სამშობლო, ან მა-

მის სახლი? მაგრამ, ღვთის შეწევნით, საკადრისს მივუზღავ ვერაგს. ველარასოდეს გაიხარებს ჩემგან ნაშობი შვილების ცქერით, ველარც ახალი მეუღლე აჩუქებს შვილებს, რადგანაც ჩემგან მოწამლულს საზარელი სიკვდილი ელის. ვერავინ მიწოდებს სუსტს და უმწეოს, რადგანაც სულ სხვაგვარია ბუნება ჩემი. მტრისთვის _ სასტიკი, მოყვრისთვის კი _ კეთილმოწყალე. ესაა წესი ამაყი სულის.

კორიფე

რაკი თვით გვამცნე, რასაც აპირებ,
მე, როგორც შენი კეთილმოსურნე
და მოკვდავთა კანონების ერთგული მცველი,
გირჩევ, მაგ შავბნელ განზრახვაზე
ხელი აიღო.

მედეა. სხვა გზა არა მაქვს. შენ კი რა გიჭირს: სხვა სხვის ომში ბრძენიაო, გამიგონია.

კორიფე

მაშ, შენს სისხლსა და ხორცს გასწირავ?

მედეა. ამით ჩემს ქმარს დავცემ, დავამხობ.

კორიფე

კი მაგრამ, თავსაც რომ იღუპავ?

მედეა. დე, დავიღუპო! სულ ფუჭია, რაღას მარგებს აწ შენი სიტყვა?.. (ძიძას) შენ კი გასწი და ახლავე იასონი აქ მომგვარე. შენზე სანდო და ერთგული ამ საქმეში არავინა მყავს. და თუ მართლა თანაუგრძნობ შენს ქალბატონს, თუკი ქალი გქვია თავადაც, ამ ჩემს განზრახვაზე სიტყვა არ დაგცდეს, კრინტი არ დასძრა.

ძიძა მიდის.

სტასიმონი მესამე

სტროფი I

გუნდი

ერეხთიდების ნეტარო მოდგმავ,
თქვენ, ღვთივშობილნო, ოდითგანვე თავისუფალი
მიწა-წყლის მკვიდრნო! ღვთიური სიბრძნის
მადლით ზრდილნი ნაზი ნარნარით
რომ დანანაობთ ჰაეროვან სივრცეში, სადაც
ოქროსთმიანი ჰარმონიის ცხრა ნაშიერი _
ცხრა სხივოსანი პიერიდი თქვენთანა ჰსუფევს.

ანტისტროფი I

სადაც კეფისის კამკამა ზვირთი
ნაზი ალერსით თავს ევლება კიპრიდას სხეულს,

სადაც ქალღმერთის სუნთქვასავით მსუბუქი ჭავლი
ირგვლივ იფრქვევა და ვარდნარად აქცევს ნაპირებს.
ო, იმ ვარდებით შემკულ ლამაზ თმებს
მათი სურნელი თან ახლავს მუდამ
და მარად ხარობს იქ სიყვარული,
გულის სალხინო.

სტროფი II

860

როგორ მიგიღოს წმინდა მდინარის
ქალაქმა, ანდა მეგობარმა ვით შეგივრდომოს
შვილების მკვლელი?
რა საზარელი იქნება ხილვად,
როს სისხლიანი ჭრილობები
ყაყაჩოსფრად ააფორეჯებს
ნორჩების სხეულს.
ო, მუხლმოყრილი გევედრები, გემუდარები,
ხელს ნუ გაისვრი უმანკო ბავშვების სისხლში.

ანტისტროფი II

870

რა გული მოგცემს,
ანდა მკლავი სად ჰპოვებს ძალას,
რომ სასიკვდილოდ გაიმეტო შენი შვილები?
როცა ჩახედავ იმათ უმანკო
თვალებს, ო, ნუთუ მდუღარე ცრემლი
ხელშივე არ შეგაყინავს
სასიკვდილოდ შემართულ მახვილს?
არა, ვერ შესძლებ, ვერ გასწირავ,
როს მუხლმოყრილნი
შემოგტირებენ, შეგვიბრალეო.

ეპისოდიონი მეოთხე

შემოდის იასონი.

იასონი. მიხმე და მოველ. თუმცა კი მტრად მთვლი, მაინც მზადა ვარ მოგისმინო. მითხარი, რა გსურს?

მედეა. გთხოვ მომიტევო, რაც წეღან გკადრე. იმდენ ხანს გვაერთებდა ჩვენ სიყვარული, რომ, ალბათ, მაპატიებ წამიერ თავდავიწყებას. ახლა კი გონს მოვეგე და მწარედ ვყვედრი ჩემსავე თავს: “რა გინდა, შე უბედურო, რატომ მრისხანებ, ან რად ეურჩები შენსავე კეთილისმსურველთ? რას ერჩი კორინთოს მბრძანებლებს, ან კიდევ შენს ქმარს, რომელიც მხოლოდ შენზე ზრუნავს, ცოლად რომ ირთავს მეფის ასულს, რათა შენს შვილებს, მათსავე სასიკეთოდ და საკეთილდღეოდ, უფლისწულნი შესძინოს

ძმებად? ნუთუ არ შეგიძლია მრისხანება ჩაიკლა გულში? რად შმაგობ, როცა თვით უკ-
ვდავი ღმერთები გწყალობენ? განა შენს შვილებს მოვლა-პატრონობა არ სჭირდება? მე 910
შენ გეტყვი, სამშობლო გაქვს ან ერთგული მეგობრები გახვევიან ირგვლივ! აი, ამ ფიქ-
რმა მაგრძნობინა მთელი ჩემი უგუნურება და შემაგნებინა, რა უაზროა ფუჭი სიშმაგე.
ახლა კი გაქებ: ღმერთმანი, ბრძნულად მოიქეც, როცა გადაწყვიტე ახალი ცოლი შე-
გერთო. ვაი რომ ბრიყვი გვიანღა მოვედი გონს. მე თვითონ უნდა დაგხმარებოდი და
ხელი შემეწყო შენთვის: თვითონვე მემსახურა სიამტკბილობით და ფეხქვეშ ფიანდა- 920
ზად გავგებოდი ახალ სასძლოს. ეჰ, რას იზამ! ჩვენ, ქალები, ისა ვართ, რაც ვართ. მეტს
ნურაფერს მათქმევინებ ჩვენზე. არ შეგფერის სუსტ ქალთან ჯიბრი. არ გეკადრება, მის
სისულელეს სისულელითვე უპასუხო. რა ვქნა, შევცდი, მაგრამ ბოლოს მაინც ვისწავ-
ლე ჭკუა და სწორ გზას დავადექ. (სახლიდან იხმობს ბავშვებს). მოდით, შვილებო, მოეხვი-
ეთ მამათქვენს და ჩემთან ერთად უთხარით, რომ მეგობრების მიმართ წყენას არ ჩაიხ-
ვევთ გულში. აბა, ჩქარა გაუწოდეთ მარჯვენა ხელი! (ჩუმად, თავისთვის) ვაიმე, ბედ-
კრულს, რა შავი ფიქრი მიტრიალებს თავში, რა ნაღველი შემომწოლია გულს. ვაიმე,
შვილებო! ნეტა რამდენი ხნის სიცოცხლე დაგრჩათ, რამდენ ხანს კიდევ მიწერია 930
დავტკბე თქვენი ნაზი ხელებით? ცრემლად ვიღვრები უბედური, შიშით ვცახცახებ...
დიდხანს ვიყავი მამათქვენზე მწყრალად და ახლა, როცა შევურიგდი, ცრემლს ვეღარ
ვიკავებ.

კორიფე

მეც მდუღარე ცრემლს ვაფრქვევ თვალთაგან, 940
ღმერთმა გაკმაროს უბედურება.

იასონი. მომწონს ეგ სიტყვა, ძველი წყენა კი აღარ მახსოვს. ვიცი, რაც არის ქალის ჯილაგი: გულისწყრომას ვეღარ იოკებს, როცა ქმარი სხვას ირთავს ცოლად. კიდევ კარგი, ბოლოს მაინც მოეგე გონს და შენსავ სასიკეთოდ იცვალე აზრი. ჭკვიანი ქალი ყოველთვის ასე იქცევა... თქვენ კი, შვილებო, ღვთის შეწევნით, მზრუნველობას არ მო-
გაკლებთ მამათქვენი. იმედი მაქვს, მოვა დრო და, თქვენს მომავალ ძმებთან ერთად, 950
ბადალი არ გეყოლებათ კორინთოს თავკაცთა შორის. მაშ, იზარდეთ, დანარჩენი კი მა-
მათქვენსა და თქვენს მფარველ ღმერთებს მიანდეთ. ნეტავი თქვენს ჭაბუკობას მომას-
წრო, ჩემი მტრისა და ორგულის ჯიბრზე... შენ კი კვლავ სტირი? კვლავ ცრემლები
გისველებს ღაწვებს? რად მარიდებ შენს ლამაზ სახეს? სატირალი რა გითხარი?

მედეა. არაფერი. ბავშვებზე ფიქრმა წამიღო.

იასონი. ნუ გეშინია, არაფერს გავუჭირვებ.

მედეა. მჯერა, შენი გულწრფელობა როდი მაეჭვებს. მაგრამ ხომ იცი, ქალი ტირი- 960
ლით იოხებს გულს.

იასონი. სატირალი რა სჭირთ? ეგ კი მეტისმეტია.

მედეა. დედა ვარ მათი, მე ვშობე, მე ვაწოვე ძუძუ, და როცა მზეგრძელობა უსურვე მათ, გულმა უცებ რეჩხი მიყო, ნეტა მამის სურვილი თუ აუხდებათ-მეთქი... მაგრამ კვლავ მივუბრუნდეთ ჩვენს სიტყვას: ზოგი რამ უკვე გითხარი, დანარჩენს ახლა მოგახ-
სენებ. მაშ, ასე, მეფეს ჩემი განდევნა სურს. კეთილი, მეც ასე მიჯობს. აღარც შენ შეგიშლი ხელს და აღარც მეფეს ვეურჩები, რომელსაც თავისი სახლის მტერი ვგონივარ. დღესვე გავეცლები აქაურობას. მაგრამ ბავშვებმა რა დააშავეს? რატომ უნდა მოაკლდეთ მამის

მზრუნველი ხელი? რა იქნება, სთხოვო კრეონს, აქ, კორინთოში დარჩენის ნება მისცეს ჩვენს შვილებს?

იასონი. თხოვნით კი ვთხოვ, მაგრამ დამეთანხმება?

მედეა. მაშინ შენს ცოლს ათხოვნინე მამამისისთვის, რომ ბავშვები მაინც დატოვონ.

იასონი. მე მგონია, არ მეტყვის უარს.

მედეა. თუ კი ქალია და ქვის გული არ უდევს მკერდში... მეც ხელს შეგიწყობ, ბავშვების ხელით უძვირფასეს საჩუქარს ვაახლებ შენს ცოლს _ მსუბუქ სამოსელს და ოქროს გვირგვინს. გარწმუნებ, მათი ფასი ჯერ არ უნახავს კაცის თვალს. (მხევლებს გასძახის) ჰეი, მისმინეთ, ახლავე აქ მომართვით ტანსამკაული! (იასონს) ო, ათასგზის ბედნიერი ყოფილა იგი, შენებრი კაცი რომ შეხვდა ქმრად და, ამასთანავე, ძღვნად მიიღო უცხო რამ განძი, მამაჩემის მამამ, ჰელიოსმა რომ უსახსოვრა თავის მემკვიდრეებ. (მხევალს შემოაქვს საჩუქრები, რომლებსაც მედეა თავის შვილებს გადასცემს). აიღეთ, ჩემო პატარებო, ეს საქორწინო საჩუქარი და ძღვნად მიართვით ბედნიერ სასძლოს, მეფის მომხიბლავ ასულს. ძღვენიაო, ამაზე ითქმის!

იასონი. ხომ არ გაგიჟდი, განა ასეთი განძი შენ თვითონ გაწყენს? იქნებ გგონია, რომ მეფის სასახლეს ან ძვირფასი სამოსელი აკლია, ან ოქრო-ვერცხლი? რაც შენია, შენავე გქონდეს, ნუ გააჩუქებ. თუკი რამედ მთვლის, დამერწმუნე, ეგ შენი ძღვენი სრულიად ზედმეტია.

მედეა. მაგას ნუ იტყვი; ძღვენი ღმერთებსაც არ აწყენთო, გამიგონია; მოკვდავთ კი, მით უმეტეს, ერთი ოქრო მეტად უღირთ ათას სიტყვაზე. ბედი დღეს შენს ახალ ცოლს სწყალობს, ღმერთიც წყალობის თვალით უყურებს: ნორჩია, ნაზი, სადედოფლოდ გამზადებული. ოღონდ კი ჩემს შვილებს განდევნა ავაცილო თავიდან და სულს არ დავიშურებ, არამცთუ ოქროს... აბა, ბავშვებო, ახლავე გასწით მბრძანებლის სრა-სასახლეში, მამათქვენის ახალ ცოლს, ჩემს ქალბატონს ეახლეთ, მუხლი მოუყარეთ და შეევედრეთ, ქალაქიდან არ გაგაძევონ. თან ძვირფასი ძღვენიც მიართვით. მხოლოდ გახსოვდეთ, ძღვენი თვითონ, თავისივე ხელით უნდა აიღოს... ახლა კი წადით. ღმერთმა ქნას, რომ კეთილი ამბის მაუწყებლად დაუბრუნდეთ დედას, რომელიც მოუთმენლად მოგელით.

ბავშვები გამზრდელის თანხლებით გადიან.

სტასიმონი მეოთხე

სტროფი I

გუნდი

სრულად განქარდა იმედი
ბავშვების ხსნისა,
უკვე სიკვდილის
დაადგნენ ბილიკს.
საბრალო სასძლო
თავისივე ხელით დაირქმევს
ოქროსფერ თმაზე
სასიკვდილო შხამით გაჟღენთილ
თავსამკაულს _ ჰადესის გვირგვინს.

ანტისტროფი I

მოსავს სამოსი
ოქროქსოვილი
და სადედოფლო
ადგას გვირგვინი,
თვით ბედისწერის
მსახვრალი ხელით
თავს დარქმეული.
ო, საქორწინო კი არა და,
სასიკვდილო სარეცელი
იშლება ჰადესს.

1010

სტროფი II

შენ კი, სიკვდილის მოციქულო,
რა პირით მიხვალ სასახლეში,
სიძედ მეფის მიერ რჩეულო?
ნუთუ ვერ ხედავ, უგუნურო,
რომ სასიკვდილოდ აგზავნი შვილებს
და შენს სასძლოსაც საბედისწერო
ჩირაღდანს უნთებ.

1020

ანტისტროფი II

ახლა კი ცხარე ცრემლით დავტირი
შენს ხვედრს, დედავ, შვილების მკვლელო!
შენს შეგინებულ სარეცელსა და მუხანათი
ქმრის შავბნელ ღალატს
მსხვერპლად რომ სწირავ შენსავ ნაშიერთ.

ეპისოდიონი მეხუთე

შემოდის გამზრდელი ბავშვებთან ერთად.

გამზრდელი. გიხაროდეს, ქალბატონო, ბავშვებს აღარ ამევებენ. პირმომღიმარე სა-პატარძლომ თავისი ხელით აიღო ძღვენი. ამიერიდან აღარაფერი უჭირთ პატარებს... კი მაგრამ, ამას რას ვხედავ? ბედმა გაგიღიმა და შენ კი ცრემლებსა ღვრი?

მედეა. ვაიმე, ვაი!

გამზრდელი. განა სიხარულს ცრემლი შეჰფერის?

მედეა. ვაიმე, ბედკრულს!

გამზრდელი. მე სამახარობლოს მოველოდი და შენ კი...

მედეა. არა, რა შენი ბრალია? რაც შენი თვალითა ნახე, მეც ის მითხარი.

გამზრდელი. მაშ, ეგრე მწარედ რატომღა მოსთქვამ, თავდახრილი?

მედეა. ეჰ, ბერიკაცო, ასე ინება ღმერთმა და ჩემმა ბოროტმა სვემ.

გამზრდელი. გამხნევდი, ღმერთი მოწყალეა, ქალბატონო. შვილებს აქ სტოვებ და ოდესმე, მათი წყალობით, შენც დაბრუნდები.

მედეა. მე უბედური უმალ თვითონვე დავაბრუნებ მათ: დავაბრუნებ იქ, საიდანაც ამ ქვეყნად მოსულან.

გამზრდელი. რას იზამ, პირველი შენ ხომ არა ხარ, ვისაც შვილებს მკერდიდან ჰგლეჯენ? მოკვდავს ჭირში მხნეობა მართებს.

მედეა. მართალს ამბობ... ახლა კი შინ შედი და, რაც ბავშვებს სჭირდება, ყველაფერი გაამზადე (გამზრდელი მიდის). ვაიმე, შვილებო, ჩემო საცოდავო შვილებო, ახლა ქალაქიცა გაქვთ, სახლიცა და თავშესაფარიც, სადაც სამუდამოდ დარჩებით, დედისაგან განშორებულნი. მე უბედური კი უცხო მხარეს გადავიხვეწები, დევნილი და ყველას მიერ მოძულებული. ვერასოდეს გავიხარებ თქვენი ბედნიერებით, ვეღარ დაგაცოლშვილებთ, ვეღარ გაგიშლით საქორწინო სარეცელს და ვეღარც ბრდღვიალა ჩირაღდნებით გაგიჩახჩახებთ საქორწინო დარბაზს. ო, სიამაყევ, ჩემო მკვლელო და დამღუპველო! ვაიმე, რად გაგაჩინეთ, ჩემო კარგებო! რატომ ვიტანჯე ასე მწარედ თქვენი შობისას? ვაი, რა ფუჭი იმედი მასულდგმულებდა, რომ სიბერის ჟამს მოვლა-პატრონობას არ მომაკლებდით, მიცვალებულს კი მდუღარე ცრემლს დამაყრიდით მგლოვიარენი. ვაიმე, რად არ მეღირსა მოკვდავთათვის ესოდენ სასურველი ხვედრი? რატომ გამიცუდდა ტკბილი იმედი? ოხერ-ტიალი უნდა ვეხეტო კარით-კარად, უშვილძირო, უთვისტომო, მიუსაფარი. ვეღარასოდეს იხილავენ დედათქვენის სამიწე სახეს თქვენი საყვარელი თვალები; დღეიდან მხოლოდ ცის სიწმინდეს უნდა უმზიროთ... ვაიმე, ბედკრულს, რას მიყურებთ, რას შემომცინით? უკანასკნელად იცინით, ჩემო კარგებო! ვაიმე, ეს რა განვიზრახე? ვაიმე, გულო! ნუთუ მე უნდა ჩავაქრო თქვენი სხივოსანი თვალები? ჩემივე ხელით წავშალო თქვენი ღიმილი? არა, ამას ვერ ვიზამ, დებო! ორივეს თან წავიყვან, შორს გავიტაცებ. რად მინდა მამის ტანჯვა ჩემი შვილების სიკვდილისა და ჩემივე უბედურების ფასად ვიყიდო? შორს ჩემგან სისხლი, შორს შავი ზრახვა!.. მაგრამ რას ვამბობ? მაშ, მტერი ვაცინო ჩემზე? დაუსჯელად დავტოვო იგი? უნდა გავბედო! ოჰ, შე ჯაბანო ჩემო თავო, მხდალო, ლაჩარო, წყეულო მონავ ლმობიერების! (შვილებს) შინ შედით, ჩემო საყვარლებო! (გუნდს) და თქვენც, ვისაც თავზარსა გცემთ ეს სისხლიანი მსხვერპლშეწირვა, გამეცალეთ! (თავის თავს) შენ კი არ შედრკე, უბედურო, სიმტკიცე გმართებს!.. ვაიმე, ვაი, რას სჩადი, გულო? ვის იმეტებ? შეიბრალე შენი შვილები! ჩვენგან შორს მყოფნიც მაინც ჩვენდა ნუგეშად და სასოებად გვეყოლებიან!.. მაგრამ არა, ვფიცავ ჰადესის შურისგებას, რომ ჩემს შვილებს საწამებლად არ ჩავუგდებ მტერს ხელში. უმჯობესია, ჩემგან შობილთ მე თვითონვე მოვუსწრაფო სიცოცხლის დღენი. მორჩა, ყველა გზა მოჭრილია! ვიცი, სწორედ აი, ამ წამს, ოქროს გვირგვინი დაიდგა თავზე, საქორწინო კაბაც ჩაიცვა და საზარელი წამებით სიკვდილს ებრძვის მეფის ასული. ახლა კი, როცა სასტიკად ვიძიე შური, მე თვითონაც უნდა დავადგე ჯერ არნახული სიმწრისა და წამების გზას. მაგრამ მანამდე მინდა ჩემს შვილებს გამოვეთხოვო. აქ მოდით, ჩემო საყვარლებო, მომეცით ხელი! (გულში იკრავს და მხურვალედ ჰკოცნის შვილებს). ო, ეს ხელები, ლბილი თმები, ნაზი ღაწვები, კეთილშობილი სახის ნაკვთები! იქ, იქ მაინც იყავით ბედნიერნი, რადგან აქ მამამ წაგართვათ ბედნიერება! ოჰ, თქვენი ტკბილი ბაგეები, ქორფა სხეული, სუნთქვა-ფშვინვა უუნაზესი! წადით, ჩქარა წადით, გამშორდით! ძალი არ შემწევს, თქვენს კრიალა თვალებს ვუცქირო! უბედურებამ გამსრისა და მომიღო ბოლო! ვიცი,

ვხედავ, რა საზარელ საქმეს ვაპირებ, მაგრამ ვაი, რომ ვნებამ სძლია და დათრგუნა ჩემი გონება, კაცთა მოდგმის ამ ჯალათმა უსასტიკესმა.

გუნდი

ხშირად მიცდია ჩავწვდომოდი
უფრო რთულ საკითხთა სიღრმეს,
ვიდრე ქალის ჭკუას შეჰფერის,
მაგრამ ჩვენც ხომ გვყავს ჩვენი მუზა,
ჩვენც მისი სიბრძნის ძუძუთი ვართ
ნასაზრდოებნი,
თუმც არა ყველა, მაგრამ ათასში
ერთი ჩვენშიაც გამოერევა,
ვისთვისაც უცხო არ არის სიბრძნე.
ჰოდა, მე ვამბობ: მოკვდავთა შორის
უშვილძირონი ათასწილ უფრო
ბედნიერნი არიან მათზე,
ვისაც შვილი მისცა განგებამ.
რადგან უშვილომ არც კი იცის
რა არის შვილი:
ენითუთქმელი სიხარულის
თუ მუდმივი ტანჯვის სათავე.
ო, უშვილობა ათას ჭირ-ვარამს
ააცილებს თავიდან მოკვდავს,
ხოლო ვის სახლშიც
ჟრიამული ისმის ბავშვების,
მთელი მისი დღე და მოსწრება
დარდს, საფიქრალს და საზრუნავს
თავს ვერ დააღწევს.
ჯერ არის და, ღირსეულად უნდა აღზარდოს,
მემკვიდრეობაც დაუტოვოს, რომ უზრუნველი
ეგულებოდეს. ეგეც არ იყოს,
საწყალობელმა არც კი იცის,
ვისთვის ზრუნავს, ვისთვისა წვალობს _
ღირსეულისა თუ უღირსისათვის.
მაგრამ ყველაზე საშინელი მაინც ეს არის:
ვთქვათ, არაფერი არ მოაკლო,
ღირსეულად აღზარდა შვილი,
ზნით, სილამაზით და სიქველით გამორჩეული.
მაგრამ თუ ბედმა უმუხთლა და შავმა სიკვდილმა
წაართვა, რათა პირქუში ჰადესის სიღრმე
სამარადისო სამყოფლად მას მიუჩინოს,
ვინ ანუგეშებს მაშინ ზეცით განწირულ მშობელს?
ვინ მოურჩენს გულის იარას?

1090

ო, ღმერთო, ნუთუ კიდევ არსებობს
ტანჯვა ამაზე უსასტიკესი?

მედეა. რა ხანია, მოუთმენლად მოველი, დებო, როდის შევიტყობ ბედის განაჩენს. მაგრამ, აი, იასონის ერთ მხლებელს ვხედავ. სულს ძლივსღა ითქვამს; როგორც ჩანს, რაღაც საშინელი ამბავი უნდა გვაუწყოს.

მაცნე (შემორბის). ო, საზარელი საქმის მქმნელო, ჩქარა გაიქეც! ხომალდით, ეტლით, რითაც გინდა, მხოლოდ ჩქარა გაიქეც-მეთქი!

მედეა. მაინც რატომ უნდა გავიქცე?

მაცნე. მეფესაც და მის ასულსაც, ორივეს შენმა საწამლავმა მოუღო ბოლო.

მედეა. სამახარობლო გეკუთვნის ჩემგან... დღეიდან ჩემს უერთგულეს მეგობრადა გთვლი.

მაცნე. რას ამბობ, ხომ არ გაგიჟდი? მეფის სახლობას მუსრი გაავლე და გიხარია, ნაცვლად იმისა, რომ შიშითა ძრწოდე?

მედეა. რამდენი რამ მაქვს შენთვის სათქმელი, მაგრამ ნუ ჩქარობ, მოთმინება იქონიე, ჩემო ძვირფასო. ჯერ ის მითხარი, როგორ დაიხოცნენ, ორგზის მაამებ, თუ მეტყვი, რომ საშინელი წამებით ამოხდათ სული.

მაცნე. როდესაც შენი ორი შვილი და იასონი ერთად შემოვიდნენ საქორწინო დარბაზში, შენი უბედურებით გულმოკლულ მსახურებს დიდად გვეამა. ატყდა ერთი მითქმა-მოთქმა: ცოლ-ქმარი შერიგებულან, აღარ დაობენო. ვინ ხელებს უკოცნიდა ბავშვებს, ვინ _ ოქროსფერ თმებს. გახარებული სანთიობოშო შევყევი პატარებს. ჩვენმა ახალმა ქალბატონმა, რომელსაც დღეს შენს ნაცვლად ვემსახურებით, სიყვარულით სავსე მზერა მიაპყრო იასონს; როგორც ჩანს, ბავშვები არც შეუმჩნევია. მაგრამ მაშინვე გულმოსულმა იბრუნა პირი და საბურველი ჩამოიფარა: ბავშვებს მოჰკრა თვალი და ამან შეაცბუნა. იასონმა სცადა ალერსიანი სიტყვით დაეცხრო მისი რისხვა: "ო, ნუ იქნები აგრე უწყალო ჩემი ახლობლების მიმართ. დამშვიდდი, ნუღარა ბრაზობ და წყალობის თვალით გადმოგვხედე. ხომ იცი, ჩემი მოკეთენი შენი მოკეთენიც არიან. აიღე ძღვენი და, თუ გიყვარვარ, სთხოვე მამაშენს, შეიწყალოს ჩემი შვილები და აქ დარჩენის ნება მისცეს." სამკაულს რომ შეავლო თვალი, ქალი მოლბა და ქმრის ნებას დაჰყვა. როგორც კი მამა-შვილები სანთიობოდან გამოვიდნენ, ოქროქსოვილ სამოსს დასწვდა და ტანზე მოირგო, ოქროს გვირგვინიც თავზე დაიდგა. მერე კრიალა სარკესთან მივიდა და თმის სწორებას მოჰყვა, თან თავის თავს უღიმოდა სარკეში. ბოლოს სავარძლიდან წამოდგა და ოთახში გაიარ-გამოიარა; მოხდენილად ადგამდა ქათქათა ფეხებს, თავის თავს შეჰხაროდა, კეკლუცობდა, კოპწიაობდა, თავს იწონებდა ძვირფასი სამკაულებით. მაგრამ უეცრად საზარელი სურათის მოწმენი გავხდით: ანაზდეულად მკვდრის ფერი დაედო სახეზე, წელში მოიხარა და მთელი სხეული აუცახცახდა; ძირს რომ არ დაცემულიყო, მუხლმოკვეთილი ძლივსძლივობით მილასლასდა სავარძლამდე და შიგ ჩაესვენა. მოხუც მოახლეს ეგონა, პანს ან რომელიმე სხვა ღვთაებას დაუზაფრავსო და თვითონაც დაზაფრულივით შეიცხადა. მაგრამ აქ საბრალო ქალს დუჟი მოადგა პირზე, თვალები გადმოეკარკლა და ისე გაეცრიცა სახე, გეგონებოდათ, წვეთი სისხლი აღარ შერჩაო. ამის შემყურე მხევალი უფრო უარესად აკივლდა. მაშინვე ერთი მოახლე მამის დასაძახებლად გავარდა, მეორე კი _ ქმრისა, და მალე მთელს სასახლეში საზარელი გნიასი ატყდა.

ვიდრე ფეხმარდი მორბენალი ექვსი პლეთრონის გარბენასა და უკანვე მობრუნებას მოასწრებდეს, უსულოდ მდებარე ქალი შეირხა, თვალი გაახილა და გულშემზარავი გმინვა აღმოხდა. ორმაგი ჭირი სწვავდა საბრალოს: ოქროს გვირგვინი ცეცხლის ალად მოსდებოდა თმაზე, შენი შვილების ხელით მიძღვნილი სამოსი კი მძვინვარე ხანძარივით შემოგზნებოდა ქათქათა სხეულს. საზარელი კივილით წამოიჭრა სავარძლიდან, დამდუღრულივით იქნევდა თავს და ცდილობდა მოეგლიჯა გვირგვინი, მაგრამ ოქრო თითქოს შეზრდოდა თმებს, და რაც უფრო გამწარებით იქნევდა თავს, მით უფრო მძაფრდებოდა მწველი სახმილი. ბოლოს, ღონემიხდილი დაეცა ძირს. მშობელი მამაც კი ვეღარ იცნობდა ტანჯვით სახეშეშლილს: აღარც თვალები აჩნდა სადმე, აღარც სახის ტურფა ნაკვთები. მხოლოდ თმებში აზელილი სისხლი მოწვეთავდა თხემიდან და დუღდა, თუხთუხებდა ალმოდებული. უხილავი საწამლავით მოწყლული ხორცი ისე ჩამოჰფლეთოდა ძვლებს, როგორც ფიჭვის ხეს ცრემლებივით ჩამოსდის ფისი. ამ საშინელებამ თავზარი დაგვცა. ვერვინ გაბედა მიახლებოდა ცხედარს. გახევებულნი ვიდექით, ბედისწერის რისხვით დამფრთხალნი. საბრალო მამამ ჯერ კიდევ არ იცოდა, რა უბედურება დაატყდა თავზე; ოთახში შემოსულმა შვილის ცხედარი რომ დაინახა, ღრიალით დაემხო ზედ, გულში ჩაიკრა, ჰკოცნიდა და ქვითინებდა: “ვაიმე, შვილო, ვინ, რომელმა ღმერთმა წამართვა ასე უწყალოდ შენი თავი? ვინ დამაობლა, ცალი ფეხით სამარეში მდგარი? ვაიმე, ნეტავი მეც შენთან ერთად მოვეკალი, შვილო!” მოთქმა-გოდებით რომ იჯერა გული, წამოდგომა დააპირა, მაგრამ ცხედარი, როგორც სურო _ დაფნას, ისე ჩასწვნოდა მამის სხეულს. და დაიწყო საშინელი ბრძოლა: მამა ცდილობს წამოდგეს, წელში გაიმართოს, მაგრამ ამაოდ: რაც მეტს ცდილობს, მით უფრო მეტად, ბღუჯა-ბღუჯა ეცლება ძვლებიდან ხორცი. მეტი ვეღარ ქნა და სული განუტევა საბრალომ. უბედურებას და წამებას ვეღარ გაუძლო. ახლა ორივენი ერთად, გვერდი-გვერდ წვანან, შვილიცა და მოხუცი მამაც. ქვაც კი ატირდება მათი შემყურე. სხვა რაღა გითხრა? თვითონაც კარგად იცი, რა ჩაიდინე... ერთს დავსძენ მხოლოდ: ყველა მოკვდავი მარტოოდენ აჩრდილად მიჩანს, და თუ ვინმეს ბრძენთაბრძენი ჰგონია თავი, იმის ღირსია, რომ შლეგად თვლიდნენ. არა, ამქვეყნად არავის უწერია ბედნიერება. ზოგს შეიძლება ერთ საქმეში სწყალობდეს ბედი, სხვას _ მეორეში, მაგრამ ბედნიერს ვერავის ჰპოვებ.

კორიფე

ჩანს, დღეს ღვთაებამ სამართლიანად
თავს დაატეხა საზარელი ჭირი იასონს.
ჰოი, საბრალოვ, მდუღარე ცრემლით დაგტირით
კრეონის ასულს!
რა დააშავე, ჰადესმა რომ გიყო პირი?
ნუთუ მხოლოდ ის, რომ იასონის ცოლობა გსურდა?

მედეა. გადაწყდა, დებო... ახლავე ავასრულებ ჩემს საშინელ განზრახვას და აქედან გადავიხვეწები. მაშ, მტრის ხელში ხომ არ დავტოვებ ჩემს საცოდავ შვილებს? სულერთია, მაინც ვერსად წაუვლენ სიკვდილს. არა სჯობია, მშობელმა დედამ თავისი ხელით მოუსწრაფოს სიცოცხლე? გამაგრდი, გულო! აღასრულე გარდუვალი, საზარი საქმე! მახვილი იპყარ, ბედკრულო, მერე კი დაადექ ტანჯვისა და წამების გზას! რაღა დროს ყოყმანია? ნუ გაიხსენებ დედაშვილობის სიყვარულს, დაივიწყე, რომ დედა ხარ მათი, რომ შენა შობე.

დღეს დაივიწყე, ხვალიდან კი ცრემლმა წარღვნას შენი სიცოცხლე. ო, უბედურო, გიყვარს და ხოცავ? ვინ არის ქვეყნად ჩემზე ბედკრული? (სწრაფად შედის სახლში).

სტასიმონი მეხუთე

სტროფი I

კორიფე

ო, დედამიწავ, და შენც, მზეო, სხივცისკროვანო,
ამას რას ვხედავთ, რას მოვესწარით?
ნუთუ ამ გულქვამ თავისი ხელით
უნდა დახოცოს ღვიძლი შვილები?
ო, ისინიც ხომ შენი სხივები
არიან, მზეო!
აგვარიდე საქმე საზარი.
ნუ დაუშვებ, რომ ღვთაების სისხლი
დედამიწაზე დაღვაროს მსახვრალმა ხელმა.
გევედრები, ზევსის ნათელო,
ძლევას ნუ მისცემ ერინიებს,
განდევნე შენი სახლიდან
შურისგებით აბორგებულნი.

ანტისტროფი I

ო, რა ამაოდ იტანჯე მათი შობისას,
ამაოდ შობე შენივე სისხლი და ხორცი,
ამაოდ გადმოლახე პირქუში სიმპლეგადებიც,
ბედკრულო დედავ!
რა შმაგი რისხვით გიბორგავს გული,
რა წერას აუტანიხარ?
არ გეყო სისხლი,
შენი ხელით უკვე დაღვრილი?
ვაი მოკვდავთ,
თავიანთი სისხლ-ხორცის მკვლელთა!
უკვდავ ღმერთებს შეღაღადებს
უმანკო სისხლი.
მტერს მათი რისხვა!

ბავშვები (სახლიდან). ვაიმე!..

სტროფი II

გუნდი

გესმის შენგანვე განწირულთა
საწყალობელი ყვირილი,
ბედკრულო დედავ?!

ერთ-ერთი ბავშვის ხმა (სახლიდან). ვაიმე, დედა!.. რა დაგიშავეთ?!
მეორე ბავშვის ხმა (სახლიდან). დავიღუპეთ!.. ვაიმე, ძმაო!..

გუნდი

კარი შევლეწოთ,
იქნებ ვიხსნათ საცოდავები!..

ერთ-ერთი ბავშვის ხმა (სახლიდან). გვიშველეთ, ღვთის გულისათვის!..
მეორე ბავშვის ხმა (სახლიდან). ვაიმე, მოგვკლა!..

გუნდი

ო, უბედურო, ქვა ხარ თუ რკინა,
აგრე უწყალოდ რომ ხოცავ შვილებს?

ანტისტროფი II

ვაიმე, ამას რას მოვესწარით?!
მხოლოდ ერთხელ, გამიგონია,
თავისივე შვილების სისხლით
შეიღება დედამ ხელები!..
ეს იყო ინო, ჰერას რისხვით
დევნილი, უღვთოდ ნაწამები, ცნობამიხდილი...
მერე კი მაღალი კლდიდან
ზღვის უფსკრულში გადაეშვა
შვილების მკვლელი
და ტალღებმა ჩაიხვიეს
სისხლიანი მისი სხეული...
ღმერთმა გვარიდოს საზარელი,
თავზარდამცემი,
ქალის წყრომით შობილი რისხვა!..

ექსოდოსი

შემოდის იასონი.

იასონი (გუნდს). დიდი ხანია აქა ხართ? სადაა წყეული მკვლელი? სახლში ჩაიკეტა თუ გაქცევით უშველა თავს? ქვესკნელში თუ ჩაძვრება, ან თავისი გრძნეულებით აფრინდება ცაში, თორემ სად წაუვა მეფის ახლობელთა რისხვას? ხომ არ ჰგონია, რომ ამ საზარელი მკვლელობის შემდეგ თავიდან აიცილებს სასჯელს? მაგრამ ახლა მისი დარდი როდი მაწუხებს. მეშინია, ვაითუ ბავშვებზე იძიონ შური. დედის დასჯას ყოველთვის მოასწრებენ, მაგრამ შვილებმა რა დააშავეს? მე უნდა ვიხსნა საბრალონი. მათ რატომ უნდა აზღვევინონ წყეული დედის მიერ დაღვრილი სისხლი?

კორიფე

ო, უბედურო, ჯერ არც კი იცი,
თავს რა საზარი ელდა დაგეცა,

თორემ მაგას აღარ იტყოდი.

იასონი. რა მოხდა, მაინც რა ამბავია ჩემს თავს? იქნებ მეც მოკვლას მიპირებს?

კორიფე

შენ არა, მაგრამ ღვიძლი შვილები
თავისი ხელით დახოცა დედამ.

იასონი. რაო?.. რა სთქვი?.. მომკალი და ეგაა, ქალო!

კორიფე

აღარ არიან შენი შვილები.

იასონი. სად... დახოცა... სახლში თუ გარეთ?

კორიფე

კარი გააღე, _
ყველაფერს შენი თვალით ნახავ.

იასონი. ეჰეი, გესმით! ახლავე შელეწეთ კარი! მინდა ჩემივე თვალით ვნახო ორივე უბედურება: ჩემი დაკლული შვილებიც და მათი მკვლელიც.

არავინ იძვრის. მაშინ იასონი თვითონვე მივარდება კარს და შემტვრევას ცდილობს. მაგრამ ამ დროს კარი თვითონვე იღება და გამოჩნდება ეტლი, რომელშიაც ფრთოსანი დრაკონებია შებმული. ეტლში მედეა ზის. მუხლებზე მკვდარი შვილები უსვენია.

მედეა. რას ამტვრევთ კარს?.. აჰ, შენ მოხვედი?.. აი, მოკლულნიც და აგერ მკვლელიც!.. აბა, რა გინდა?.. ხელსაც ვერ მახლებ, ისეთი ეტლი მიბოძა მამაჩემის მამამ, ჰელიოსმა, მტრებისგან თავდასაღწევად!..

იასონი. ოო, ურჩხულო! ყველაზე მეტად საძულველო ჩემთვის, კაცთათვის და მაღალი ღმერთებისათვისაც! რა გულმა მოგცა, რომ შენგანვე შობილ შვილებზე აღმართე ხელი? რად დამღუპე, უშვილძიროდ რატომ დამტოვე? რა პირითღა უყურებ მაღლა მზეს და დაბლა მიწას, ღვთის პირისაგან განდგომილო? ადრე ბრმა ვიყავ, ახლაღა ვხვდები მე უბედური, რომ ბარბაროსთა ქვეყნიდან ჩემდა ჭირად მოგათრიე აქ, ელადაში, მშობელი მამის მოღალატევ, მშობლიური მიწის გერო და გამყიდველო! ღმერთების ნებით ჩემს მტანჯველად მოვლენილო ბოროტო სულო! სად მქონდა თვალი? ვერ ვხედავდი, რითი დაიწყე? ჯერ იყო და, "არგოზე" რომ დაგედგა ფეხი, შენივე ღვიძლი ძმა გასწირე, სასიკვდილოდ გაიმეტე. მერე ბედკრული პელიასი მისსავე შვილებს მოაკვლევინე. ბოლოს, ჩემი ცოლი გახდი და ორი თვალხატულა შვილიც მაჩუქე, მაგრამ ეჭვიანობით გაგიჟებულმა ისინიც შენს რისხვას უმსხვერპლე. მთელს ელადაში ვერ მოვძებნიდი ამნაირ ურჩხულს, მე უბედურმა კი, ჩემდა ჭირად, ბერძენ ქალებს შენ გამჯობინე... ქალი კი არა, ძუ ლომი ხარ, მძვინვარე ლომი. სკილას რომ მკერდში გული ჰქონდეს, ვფიცავ, შენს გულზე უფრო ჩვილი ის იქნებოდა. მაგრამ რა აზრი აქვს ამ ჩემს გმობას? მირიადი მგმობელიც კი ვერას დაგაკლებს, ფერს ვერ გაცვლევინებს, ურცხვო. წადი, თვალიდან დამეკარგე, შვილების წყეულო მკვლელო! მე კი ჩემი უბედური ხვედრიც მეყოფა საკვნესად და სატკივარად: აღარც ცოლი, აღარც შვილები! ყველა დავკარგე! რაღაა ჩემი სიცოცხლე?

მედეა. დრო რომ მქონდეს, საკადრის პასუხს გაგცემდი. ზევსმა ხომ იცის, ყოვლის მხილველმა, რა ჩავიდინე შენი გულისთვის და რა მივიღე ჩემი თავგანწირვის სანაცვლოდ. ვეღარ იხარებ, ჩემი სარეცლის შემბილწველი, ვეღარ დატკბები ახალი ცოლის ალერსით. მეტი არაა ჩემი მტერი! ადგნენ ახლა და გამაძევონ შენმა ახალმა სასძლომ და სასიმამრომ! ძუ ლომი ხარო? დე, აგრე იყოს! დე ვიყო სკილაც _ ტირსენის ჯოჯო! მტერზე ხომ მაინც ვიყარე ჯავრი.

იასონი. შენი თავის მტერიც რომ ხარ, შე საცოდავო?!

მედეა. სწორია, მაგრამ ნუგეშად შენი ტანჯვა მეყოფა!

იასონი. ვაიმე, შვილებო, რა დედამ გშობათ!

მედეა. მამის ავკაცობამ დაგღუპათ, ჩემო კარგებო!

იასონი. რაო? განა ჩემმა ხელმა მოუღოთ ბოლო?

მედეა. არა, _ შენმა ღალატმა და ახალმა სასძლომ!

იასონი. ეჭვიანობას უმსხვერპლე შენი შვილები?

მედეა. ქალისთვის შენ ეგ ცოტა გგონია?

იასონი. ქალისთვის _ არა! მაგრამ შენ ხომ ჯოჯო ხარ, ჯოჯო!

მედეა. აღარ არიან, იტანჯე, მოკვდი!

იასონი. არა, არიან, შურისგების რისხვად ქცეულნი!

მედეა. ღმერთმა ხომ იცის, ვისზე უნდა იძიონ შური!

იასონი. დიახაც იცის, იცის-მეთქი, წყეულო მკვლელო!

მედეა. ო, როგორ მძულს შენი სიტყვა, შხამში ნალესი!

იასონი. მე კიდევ _ შენი! მაშ, რატომ არ გავეცლებით ერთიმეორეს?

მედეა. აბა, რა ვიცი? ჩემი ნატვრაც სწორედ ეგ არის!

იასონი. ცხედრები მაინც მომეცი, რომ დავიტირო.

მედეა. არა, მე თვითონ დავიტირებ, მევე დავმარხავ, ბორცვთა ქალღმერთის, ჰერას წმინდა საკურთხეველთან, რომ მტრისას არ დავაგდო მათი საფლავი. ხოლო სიზიფეს ქვეყანაში ამიერიდან საღვთისმსახურო წესს დავადგენ მათი უმანკო სისხლის გამოსასყიდად. მერე კი ერეხთევსის მხარეს მივაშურებ, სადაც ეგევსმა, პანდიონის ძემ, მოწყალედ მიბოძა თავშესაფარი. შენ კი დარჩები მარტოდმარტო, ყველასაგან მოძულებული. ისიც იცოდე, საზარელი სიკვდილი გელის: “არგოს” ნატეხი გაგიპობს თავს. სისხლით უნდა ზღო შენი ღალატი.

იასონი. შენზე კი, შვილების მკვლელო, შურს იძიებენ ერინიები და ქალღმერთი დიკე!

მედეა. ვინ, რომელი ღმერთი შეისმენს მაგ შენს სიტყვებს, მუხანათო, ფიცის გამტეხო?

იასონი. ო, შვილების წყეულო მკვლელო!

მედეა. რაღას უდგახარ? სახლში წადი! შენი ნორჩი ცოლი დამარხე!

იასონი. ვაიმე, მშვიდობით, ჩემო შვილებო!

მედეა. ჯერ ნუ სტირი! შენ ის იკითხე, სიბერეში რანაირი მოგიწევს გლოვა!

იასონი. ვაი, შვილებო!

მედეა. ჩემი შვილები არიან და არა შენი!

იასონი. მერედა, მიტომაც დახოცე?

მედეა. შენ რომ მეტანჯე, სწორედ იმიტომ!

იასონი. ვაიმე, ვაი, რა იქნება, ერთხელ მაინც გეამბოროთ, გულს ჩაგიკონოთ?!

მედეა. ახლა მოგინდა ამათი კოცნა-ალერსი? უწინ კი ობლად დაყარე და ოხერტიალად.

იასონი. ღვთის გულისათვის... გევედრები... ნება მომეცი, ერთხელ მაინც შევეხო შვილების სხეულს!

მედეა. არა!.. არა-მეთქი!.. ფუჭია თხოვნა!..

ეტლი ადგილს სწყდება და იმწამსვე თვალს ეფარება. 1410

იასონი. ხომ ხედავ, ზევსო, როგორ გამწირა ამ ძუ ლომმა, შვილების წყეულმა მკვლელმა?! აწ, რაღა დამრჩა?! გულმდუღარე შემოგტირით, ზესკნელის მკვიდრნო: თქვენა ხართ მოწმე, შვილებს ახლო არ გამაკარა, რომ ცხარე ცრემლით დამეტირა საბრალონი. ნეტა არასდროს ჩამესახა და არც ამ დღეს მოვსწრებოდი!..

გუნდი (იასონთან ერთად ტოვებს ორქესტრას.)

კაცთა ბედ-იღბალს ოლიმპოზე
წყვეტს მხოლოდ ზევსი,
ბედისწერა კი განაგებს ყოველს,
რასაც მოველით, არ მოხდება, მოულოდნელს კი
ხშირად ღვთის რისხვად თავს დაგვატეხს
განგების ნება,
ასეთია მოკვდავთა ხვედრი.

განმარტებანი

სტრ. 1. არგოსა და არგონავტთა კოლხეთში ლაშქრობის თქმულების მოკლე შინაარსი გადმოცემულია წიგნის შესავალში.

3. პ ე ლ ი ო ნ ი ს მ თ ა _ მდებარეობს აღმოსავლეთ თესალიაში, საბერძნეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში. მასთან დაკავშირებულია მრავალი ცნობილი თქმულება თუ მითოლოგიური სახე. აქ მოჭრილი ხით აიგო არგო.

69. პ ე ი რ ე ნ ე _ წმინდა წყარო კორინთოს მთავარ მოედანზე.

167. ს ა ბ რ ა ლ ო მ მ ა ო , ჩ ე მ ი ხ ე ლ ი თ უ ღ ვ თ ო დ მ ო კ ლ უ ლ ო _ როდესაც იასონმა და მედეამ გამოიტაცეს ოქროს საწმისი და არგოთი ზღვაში გავიდნენ, მათ დაედევნა მედეას ძმა აფსირტოსი, რომელიც მედეას გეგმის თანახმად შეიტყუეს და სასტიკად მოკლეს. თუმცა, როგორც 1334 სტრიქონიდან ჩანს, ევრიპიდე იმ ვერსიას იზიარებს, რომლის მიხედვითაც მედეამ აფსირტოსი ჯერ კიდევ მამისეულ სახლში მოკლა.

168. თ ე მ ი დ ა _ კანონიერების ქალღმერთი, ურანოსისა და გეას ასული. მან ზევსს, უზენაეს ღმერთს, უშვა დიკე _ სამართლის ქალღმერთი.

397. ჰ ე კ ა ტ ე , უძველესი ღვთაება, ტიტან პერსესისა და ტიტანიდა ასტერიას ასული. იგი ითვლებოდა გზების ღვთაებად. იმ ნიღბებიდან, რომელთაც სამი გზის გასაყარზე ჰკიდებდნენ, წარმოიქმნა სამსახება ქალღმერთის, ჰეკატეს ხატი. მას უკავშირებდნენ მაგიას, ჯადოქრობასაც, როგორც ღვთაება მთვარეს. ძნელი სათქმელია, როდის დაუკავშირდა იგი კოლხიდას. არ არის გამორიცხული, რომ ეს ელინიზებული აღმოსავლური ღვთაება თავისი წარმოშობით მართლაც იყო მიმართებაში კოლხურ სამყაროსთან. ძველ საქართველოში ანტიკური წყაროების მტკიცებით მთვარის კულტი ერთ-ერთი ძირითადი იყო. მედეას თვლიდნენ ჰეკატეს ქურუმად, რომელიც ამ ქალღმერთის ჯადოქრულ სტიქიასთან იყო დაკავშირებული.

405. სიზიფე _ თესალიელი მეფის ეოლოსის და ენარეტეს შვილი, სიცრუისა და ეშმაკობის განსახიერება. იგი ითვლებოდა ქალაქ კორინთოს დამაარსებლად და აქაურ მმართველთა გვარის ფუძემდებლად. მან ეშმაკობით მიწისქვეშეთიდან სააქაოს დაბრუნებაც კი შეძლო. საიქიოში აუტანელი მისია დაეკისრა _ მთაზე გამუდმებით აგორება მძიმე ქვისა, რომელიც მიაღწევდა თუ არა მწვერვალს, მაშინვე ისევ თავქვე გორდებოდა. აქედანაა გამოთქმა "სიზიფეს შრომა", რაც "ფუჭ შრომას" ნიშნავს.

406. ჰელიოსი _ მზე ღმერთი, რომლის ძე არის მედეას მამა აიეტი.

410. აღმა იბრუნეს პირი მდინარეებმა _ ეს ხატოვანი გამოთქმა ბუნების კანონთა გაუკუღმართების მნიშვნელობით გამოიყენებოდა.

421. ნუღარ იტყვის პოეტის ლექსი _ როგორც ჩანს, აქ. ძვ.წ. VII საუკუნის ცნობილი პოეტი არქილოქე პაროსელი იგულისხმება, რომლის გესლიანი ლექსების ერთი ნაწილი ქალების წინააღმდეგ იყო მიმართული.

426. ფებოს, პოეტთა სიტყვის მეუფევ _ იგულისხმება აპოლონი, მუზათა მფარველი და ხელოვნების მეუფე.

433. საზარი კლდენი _ სიმპლეგადები ანუ კიანეები, არგონავტთა კოლხეთში ლაშქრობის გზაზე მდებარე ორი კლდე ზღვაში, თრაკიულ ბოსფორთან. ისინი გამუდმებით მოძრაობდნენ და მათ შორის გაცურვა თითქმის შეუძლებელი იყო. არგონავტებმა შეძლეს ამ დაბრკოლების გადალახვა.

439. ცას მიაშურა ყველაფერმა _ უკვე ჰესიოდეს პოემა "სამუშაონი და დღენი" (197...) გვაუწყებდა შემდეგს: ადამიანთა ბოლო, რკინის საუკუნის მოდგმა იმდენად აუტანელია, რომ აიდოსმა (ღვთაება, სირცხვილის პერსონიფიკაცია) და ნემესისმა (ღვთაება, რომელიც ადამიანებს სამაგიეროს მიაგებს ქედმაღლობისათვის) მიატოვეს მოკვდავნი და ცას მიაშურეს.

527. კიპრიდა _ სიყვარულისა და სილამაზის ქალღმერთ აფროდიტეს კუნძულ კვიპროსზე მდებარე მისი ერთ-ერთი უმთავრესი საკულტო ადგილის მიხედვით ამ სახელითაც მოიხსენიებდნენ.

530. ეროსი _ სიყვარულის ღმერთი, ერთი ვერსიით უძველესი კოსმოსური წარმოშობის დემონი, მეორეთი კი აფროდიტესა და არესის შვილი. იგი წარმოიდგინებოდა ფრთოსან ბიჭად, რომელსაც მუდამ თან ჰქონდა მშვილდ-ისარი. ეროსის მიერ ნატყორცნი ისრები პირდაპირ გულს ხვდებოდნენ და მასში სიყვარულს აღანთებდნენ ხოლმე.

537. ნეტავი ბავშვები რაღაც სხვა გზით იბადებოდნენ _ იასონი ამ შემთხვევაში აშკარად ეხმიანება იმ ქალთმოძულე ანუ მისოგინურ ტენდენციებს, რომლებიც ჰესიოდედან მოყოლებული ხშირად გვხვდება ბერძნულ ლიტერატურაში. რასაკვირველია, ახალი ქორწინების გზაზე შემდგარი კაცისაგან ეს სიტყვები საკმაოდ მოულოდნელია, ამ შემთხვევაში უნდა გავითვალისწინოთ იასონის წადილი, გაიმარჯვოს სიტყვიერ პაექრობაში და რაც შეიძლება გაუბათილოს მედეას არგუმენტები.

632. ნუ მტყორცნი შენს ოქროს ისრებს _ ამ შემთხვევაში იგულისხმება, რომ ეროსი დედის, აფროდიტეს, ბრძანებით ისვრის თავის აუცდენელ ისრებს.

665. ეგევსი _ პანდიონის ძე, ეს უკანასკნელი შვილი იყო ათენის დამაარსებლის კეკროფსისა.

667. ფებოსის ძველი სამისნო _ იგულისხმება აპოლონის განთქმული სამისნო დელფოში.

683. ტრეძენი _ ქალაქი საბერძნეთში, არგოლიდის სამხრეთ-აღმოსავლეთში პელოპონესოსზე.

746. დედამიწა _ გეა, უძველესი ქალღმერთი (შდრ. აგრ. შენიშვნა სტრ. 168).

759. მაიას ძე _ იგულისხმება ღმერთი ჰერმესი, მოგზაურთა მფარველი, რომელიც მთის ნიმფა მაიამ უშვა ზევსს.

759. პალადა _ ათენა პალადა, ქალაქ ათენის მფარველი ქალღმერთი. იგი ზევსის თავიდან იშვა. ქალღმერთმა გაიმარჯვა პოსეიდონთან შეჯიბრში ატიკის მიწისათვის _ თუკი ზღვის ღმერთმა სამკბილას დაკვრით ქალაქის აკროპოლისზე წყარო ამოაჩუხჩუხა, ათენამ ატიკელებს პირველი ზეთისხილის ხე აღმოუცენა.

824. ერეხთიდები _ ერეხთევსი ან ერიხთონიოსი (ზოგიერთი წყაროს მიხედვით, შესაძლოა, ეს სახელები მამისა და შვილის იყოს) იყო ათენის მეფე, მიწისაგან შობილი. მას ქვედა ტანი გველისა ჰქონდა. ათენელები თვლიდნენ თავიანთ წინაპრად, რომლისაგანაც მათ ხშირად ერეხთიდებსაც უწოდებდნენ.

831. ჰარმონიის ცხრა ნაშიერი _ ფართოდ გავრცელებული ვერსიისაგან განსხვავებით აქ ახალ ტრადიციაზე დაყრდნობით ცხრა მუზა არესისა და აფროდიტეს ქალიშვილის ჰარმონიას ასულებად მოიხსენიება.

835. კეფისოსი _ ატიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მდინარე.

836. შდრ. შენიშვნა სტრ. 527.

980. ჰადესის გვირგვინი _ სასიკვდილო სამკაული.

1027. ჩირაღდნებით გაგიჩახჩახებთ საქორწინო დარბაზს _ როდესაც შვილები ქორწინდებოდნენ, დედის მოვალეობას შეადგენდა საქორწინო ჩირაღდნის ტარება.

1172. პანი _ ტყეებისა და მინდვრების, მწყემსთა და ფარების ღმერთი. მან გამოიგონა მწყემსებისთვის სალამური. არ იყო თანხმობა იმაზე, თუ ვის ძედ უნდა ჩაეთვალათ იგი: კრონოსის, ზევსისა თუ ჰერმესის, თუმცა წყაროთა მეტი წილი მას ჰერმესისა და ნიმფა დრიოპეს ვაჟად თვლის. მას ტანი თხასავით თმიანი ჰქონდა. გარეგნულად თხისა და ადამიანის ჰიბრიდად წარმოისახებოდა. მისი უეცარი მოვლინება “პანიკურ შიშს” აღძრავდა ადამიანებში.

1181. პლეთრონი _ მანძილის საზომი, უდრის დაახლ. 30.83 მ. ექვსი პლეთრონი იყო სტადიონის სიგრძე, სადაც მორბენალთა შერკინებები იმართებოდა.

1260. ერინიები _ შურისგების ქალღმერთები, გეასაგან შობილნი.

1282. ინო _ თებეს მეფის კადმოსისა და ჰარმონიას (შდრ. შენ. სტრ. 831) ქალიშვილი, მეფე ათამასის მეორე ცოლი, ფრიქსესა და ჰელეს დედინაცვალი, ლეარქოსისა და მელიკერტესის დედა. მითის გავრცელებული ვარიანტის მიხედვით, ჰერამ შური იძია მასზე იმის გამო, რომ ინომ თავისი დის, სემელეს სიკვდილის შემდეგ, მისგან შობილი ზევსის ძე დიონისე აიყვანა აღსაზრდელად. ჰერამ ათამასს შეშლილობა მოუვლინა და მამამ ერთი შვილი მოკლა. ინო თავისი მეორე შვილით, გაშმაგებული ათამასისაგან ლტოლვილი, ზღვაში გადაეშვა. ევრიპიდე, როგორც ჩანს, აქ ეყრდნობა მითის ნაკლებად პოპულარულ ვარიანტს, რომლის მიხედვითაც გონგადასული ინო თავად გახდა შვილის მკვლელი.

1334. შდრ. შენიშვნა სტრ. 167.

1342. სკილა _ ზღვის ურჩხული. მითის თანახმად ტირსენიული ზღვის ჩრდილოეთით მდებარე ვიწრო სრუტეს ორივე მხარეს კლდეები ჰქონდა შემოჯარული. ერთზე გამოქვაბულში სკილა იყო დაბუდებული, მეორეზე ქარიბდა. სკილას ექვსი თავი და თორმეტი ფეხი ჰქონდა. ამ ურჩხულთა წყალობით არავის შეეძლო სრუტის გაცურვა, თვით პოსეიდონიც კი ვერ იხსნიდა მათგან წარმოქმნილი მორევისაგან ზღვაოსანთ.

1379. ჰერა _ ზევსის მეუღლე, ერთ-ერთი მძლავრი ქალღმერთთაგანი. ამ შემთხვევაში იგულისხმება ჰერა აკრაიას ანუ კორინთოს ბორცვზე განდიდებული ჰერას საკურთხეველი. კლასიკურ საბერძნეთში აქ მართლაც მიუთითებდნენ მედეას შვილთა საფლავების კულტს.

1387. “არგოს ნატეხი” _ აქ მედეა წინასწარმეტყველებს იასონის სიკვდილის იმ ვერსიას, რომელიც მითით იყო ცნობილი _ მძინარე იასონი დაძველებული არგოს ნამსხვრევებმა მოიყოლეს.

1389. შდრ. შენიშვნა სტრ. 1260.

1390. დ ი კ ე _ სამართლის ქალღმერთი.

1415. ო ლ ი მ პ ო (ო ლ ი მ პ ო ს ი) _ თესალიის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე, საბერ-ძნეთის უმაღლესი მთა. ბერძენთა რწმენის თანახმად, აქ იყო მათი ღმერთების სამკვიდრებელი.

თარგმანი და კომენტარები ბაჩანა ბრეგვაძის

იფიგენია ავლისში

მოქმედნი პირნი:

agamemnoni	ifigenia
moxuci	oreste
gundi	aqilevsi
menelaosi	agamemnonis amala
macne	aqilevsis amala
klitemnestra	klitemnestras amala

პ რ ო ლ ო გ ო ს ი

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

ჰეი, მოხუცო, დაუტევე კარავი შენი,
აქეთ წამოდი!

მ ო ხ უ ც ი

ახლავ! უფალო აგამემნონ,
რამ შეგაურვა?

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

აბა, იჩქარე!

მ ო ხ უ ც ი

აჰანდე, ვჩქარობ,
უძილო არის, ხელმწიფეო, ჩემი სიბერე,
ჩემი თვალები უფრო ავლენს გონის სიფხიზლეს.

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

იმ ნათელ ციაგს ვითარ უხმობ, ცად რომ რონინებს?

მ ო ხ უ ც ი

სირიოსია ეგ, მეფეო, ახლა მეშვიდე
პლეადზე ბრწყინავს, უკვე განვლო გზის ნახევარი.

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

რა სიჩუმეა გარეშემო! თვლემენ ფრინველნი,
არცა თუ ზღვაზე იძვრის ტალღა, მძლე ევრიპოსიც
გადაყვინთულა ეთეროვან მდუმარებაში.

მ ო ხ უ ც ი

მაგრამ მიბრძანე, აგამემნონ.
დიდო ხელმწიფევ,
როცა ავლისში სიწყნარეა, რად დაგიგდია

კარავი შენი. გარინდებით ფხიზლობს დარაჯიც.
შევბრუნდეთ შინა.

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

ო, მოხუცო, ბედნიერი ხარ?
ვითარ მშურს მათი, თავი თვისი ვინც უჩინარყო,
მოკრძალებულად, უყვედრელად, განვლო ცხოვრება.
არასაშუროდ მიჩანს ხვედრი აღზევებულთა.

მ ო ხ უ ც ი

მაგრამ სიკეთეს აღზევებით იხვეჭენ კაცნი.

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

იხვეჭენ კია? იხვეჭენ და უმალ ჰკარგავენ.
დიდების სიტკბოს
ახლავს სიმწრის ცვალებადობა.
ღმერთი დაატეხს ღვთიურ რისხვას გაამაყებით
აზიდულ თავებს უძღებ კაცთა, გაანიავებს
განზრახულს მათთა.

მ ო ხ უ ც ი

არამეფურად ვცან, მეფეო, შენი სიტყვები.
ო, ხელმწიფეო, განა ოდენ ლხენისთვის გშობა
მამა ატრევსმა!
სიხარულიც და მწუხარებაც შენი ხვედრია,
ვინაც მოკვდავად გაჩენილხარ და, გსურს თუ არა,
გარდუვალია ნება ღვთისა, ვერ აღუდგები.
გნახე, სანათით განათებულ კარავში იჯექ
და წერილს წერდი;
ხელთ გიპყრია ახლაც დელტონი;
წერდი და შლიდი,
კვლავ ბეჯითად ადებდი ბეჭედს
და კვლავ აგლეჯდი, მერე მწარედ პირდაღრეჯილი
ძირს ანარცხებდი, თვალებიდან გდიოდა ცრემლი.
ეგრე იტყოდი _
ჭკვაამცდარი შლეგი არისო.
რად მწუხარე ხარ, რას მუნათობ, მარქვი, მეფეო,
გამანდე სიტყვა,
ყმა ვარ შენი უერთგულესი.
მე ხომ მზითევში წილხვდომივარ ტინდარევსისგან
მეუღლეს შენსას,
ვითარც მისი პირისფარეში.

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

სამი ასული ესვა ლედას, თესტიას ქალსა.
ჯერ ფებე, მერმე კლიტემნესტრა, მეუღლე ჩემი;
უმრწემესია ამათთაგან ტურფა ელენე,
ვისთვისაც ჯარი სასიძოთა შეკრბა ელადას,
აღიძრა შური საშიშარი და დიდი მტრობა,
რათა ეუფლათ მშვენიერი ასულის ხელი.
გამოსავალი ვერ ეპოვნა ამა საქმიდან
მამას, ტინდარევსს; არ უწყოდა რა გზას სწეოდა
და რა ეღონა. ბოლოს ვაჟკაცთ მიმართა ასე:
“ურყევი ფიცით შეემტკიცეთ ერთურთს, რაინდნო,
სამსხვერპლო ცეცხლში განარკინეთ ფიცის დასტური,
რომ ვისაც ქალი ეცოლება ტინდარევსისა,
შეუცილებლად მას შერაცხავთ მეუღლედ მისად.
ხოლო თუ ვინმე შეეცდება მოჰგლიჯოს ქალი
ქმრის სანთიობოს _ გინდ ელინი, გინდ უცხოელი,
შემოჯარავთ და მის საცხოვრისს გააქარმტვერებთ”.
ოდეს ეს საქმე განარიგა, თავის ქალიშვილს
ხანმოთეულმა ტინდარევსმა აუწყა ესე:
აირჩიეო მხოლოდ იგი სასიძოთაგან,
ვისკენაც დაგძრავს აფროდიტეს ტრფიალის ქარი.
მან ჩვენდა ჭირად აირჩია მენელაოსი.
გამოხდა ხანი და ქალღმერთთა დავის გამრიგე,
ვით გამოგვცემენ _ არგიველი, ფრიგიის ქვეყნით
ლაკედემონში ჩამოვიდა; ძვირფას სამოსით
იცნობდით უმალ, ბარბაროსი რომ იყო იგი.
მენელაოსის შინ არყოფნით დრო მოიხელთა
და წარიტაცა ჯოგმრავალი იდის მხარეში
მისი ტრფიალით ცდუნებული ტურფა ელენე,
აზვავებული შემობრუნდა მენელაოსი,
ტინდარევსს ფიცით მოუწოდა, სრულად ელადის,
ერის ღირსების დამცირებისთვის ქუდზე კაცს უხმო.
და ელინებმა მყის შუბების ტყე აღამაღლეს,
ავლისის პირას დააბჯრული დაჯარდა ჯარი;
ხომალდთა ფარა გადაფარა ფართო ფარებმა;
მცელავ ეტლებში აჭიხვინდნენ ფიცხი ჰუნენი.
მენელაოსის სამსახურად მე დამეკისრა
მთავარსარდლობა, _ ძმაა ჩემი, სისხლისმიერი,
თორემ სხვას რასმე საპირადოს არ გავურჯივარ.
დიდი ხანია, ზღვაოსანთა რაც შეკრბა ჯარი,
ავმა არავმა მიგვახვეტა ავლისის ჭალებს.

ქადაგმა ასე იქადაგა მაშინ კალქანტმა,
რომ არტემიდეს ბომონს წარვცე მსხვერპლშესაწირად
იფიგენია, საყვარელი ასული ჩემი,
გზას გაუხსნისო ქარკეთილი ხომალდებს მაშინ
და წარმატებით დალაშქრავთო ფრიგიელთ მხარეს;
ვერ იწაღმართებთ, თუ ეს მსხვერპლი არ გაიღეთო.
ოდეს შევიტყვე საშინელი მისნობა ესე,
მყისვე ვუბრძანე ტალთიბიოსს _ აუწყოს ლაშქარს,
რომ ვერასოდეს ხელვიწიფებ დავკლა ასული.
ოჰ, სიტყვას როგორ იბრუნებდა, როს მარწმუნებდა
საშინელ საქმის აღსრულებას ღვიძლი ძმა ჩემი.
მეუღლეს ვწერდი, რომ ასული გამოეგზავნა,
თითქოს რაინდი აქილევსი ითხოვდა მის ხელს,
თან სიტყვიერად ვაბარებდი, რომ აქაველთა
მხარდამხარ იგი არ ისურვებს გავიდეს ბრძოლად,
ვიდრე ფთიაში ჩვენს ასულზე არ იქორწინებს.
ვეცრუებოდი აგრერიგად თანამეცხედრეს.
ქალის ჩემისთვის ნატყუარი შევთხზე ქორწილი,
და ვინც სიმართლე აქაეთში უწყის _ ეს ჩვენ ვართ:
მე, ოდისევსი, კალქანტი და მენელაოსი.
დამიწერია რაიც მრუდედ, მევე ვასწორებ
დელტონზე ახლა. შენ წამასწარ კეთილ ღამეში,
ოდეს ვშლიდი და ვასწორებდი დელტონს, მოხუცო,
აიღე ხელთა ეს უსტარი, ჩადი არგოსში,
ხოლო წერილი ჩემეული რა აზრს იმარხავს,
სიტყვებით ზეპირ გაგიცხადებ თავად ყველაფერს,
ვითარცა ერთგულს სახლის ჩემის და დედოფლისა.

მ ო ხ უ ც ი

მამცნე რაიმე საიმისოდ, რომ შეეთანხმოს
ზეპირ ნათქვამი ჩემი სიტყვა აზრს წერილისას.

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

ყურად ნუ იღებ პივრელ წერილს
ლედას ყლორტო-თქო...
ნუ დააჩქარებ, დედოფალო,
საყვარელ ასულს
ევბეის წყლებით
წყნარ ავლისისკენ...
ჩვენი ასულის ქორწინება
გადაიდო-თქო.

მ ო ხ უ ც ი

მაგრამ ზვიადი აქილევსი
არ შეგრისხავთ შენ და დედოფალს
თუ გაუცრუებთ საქორწინო სარეცლის იმედს?
ეს საშიშია. თქმულის შენის მაუწყე აზრი.

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

არაფრისმთქმელი სახელია აქ აქილევსი.
ამ ქორწინების მან არც-რა უწყის _
თითქოსდა ასულს რომ ვუმზადებთ
მას საპატარძლოდ,
საქორწინო სარეცელზე მოსავანებლად.

მ ო ხ უ ც ი

ოჰ, აგამემნონ, ხელმწიფეო, ვით ხელიწიფე
საქმე საშიში, და ღვთის დარი ასული შენი
მოსაკვდინებლად დანაელის დანის ქვეშ დასდე.

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

ცნობას გადაველ...
ლამის მიწა განმერღვეს ფერხქვეშ!
ჩქარა, მოხუცო, მყის ჩაიდგი მუხლებში ქარი,
არსად დახანდე!

მ ო ხ უ ც ი

მზად ვარ, მეფეო!

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

არცა მშვენიერ ჭალაკებში ჩამოისვენო,
არც წყლისპირებთან,
არცა თუ ძილმა წაგგვაროს თვალი...

მ ო ხ უ ც ი

კეთილგზიანი ვყოფილიყო!

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

გზაჯვარედინებს
მოავლე თვალი, არაფერი გამოგეპაროს,
ეგების უკვე ეტლში იჯდეს, აქეთ მოჰქროდეს
გოგონა ჩემი, დანაელთა ხომალდებისკენ,
უუსწრაფესად.

მ ო ხ უ ც ი

აღვასრულებ ბრძანებულს შენსას!

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

თუ ციხის გარეთ დაინახო: მოჰყავდეთ იგი
მხევალთა ხლებით, მყის მეეტლეს ცხენთა აღვირზე
უტაცე ხელი და უკანვე, დაუყოვნებლივ,
კიკლოპთ ციხისკენ აქნევინე პირი ამალას.

მ ო ხ უ ც ი

გარნა ეს მარქვი, სიტყვას ჩემსას დაენდობიან,
ყურს ათხოვებენ ასული ან მეუღლე შენი?

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

სამაგიეროდ წერილი გაქვს, უფრთხილდი დელტონს.
ჩქარა, თენდება.
იცისკრა უკვე! აღმოსავლეთით
აღჩნდა ეოსი და, საცაა მნათი ჰელიოს
ცეცხლის რაშებით ცად ამაღლდება.
ტანჯვის ჟამია. ყველა მოკვდავი,
ბედნიერიც კი, საბოლოოდ უბედურია.
აროდეს, არვინ ბედნიერი არა შობილა.

პ ა რ ო დ ო ს ი

გ უ ნ დ ი

ს ტ რ ო ფ ი ა

გამოვნაპირდით ამ სანახებში
სილიანი ავლისის წყლებით,
გამომივლია ევრიპოსის
ვიწრო ხევები.
მშობლიურ ქალაქს დავეხსენ ჩემსას,
მშობლიურ ჭალ-წყლებს,
შორს მოვიტოვე არეთუსა სახელგანთქმული.
ნავსადგურებში
ჩაგროვებულ აქაველთა ჯარს
ტროისკენ უძღვის
ხომალდმრავალი
მენელაოსი, ქერათმიანი.
მას მხარში უდგას აგამემნონი
ელენეს გამო.
ღერწმით მოწკირულ ევროტის წყლებთან
იუფლა ქალი მწყემსმა პარისმა,
ვით საბოძვარი აფროდიტესი.
ეს მოხდა, ოდეს მან ჩქერალებთან

პალასისა და ჰერას დავაში
სცნო აფროდიტე კვიპროსელი ზემშვენიერად.

ა ნ ტ ი ს ტ რ ო ფ ი ა

ტარიგმრავალი არტემიდეს ჭალაკებიდან
აქ მოვსულვარ
ყმაწვილი ქალი
და ლოყა მეწვის, მორცხვად რომ ვუმზერ
დანაელ ვაჟკაცთ,
მათ ფართა ზრიალს
და ცხენთმრავლობას.
დავლანდე ორი მე აიანტი:
ოილევსი _ ძე ტელამონისა,
ვინც სალამინის თავ-გვირგვინია;
ახლორე მისსა პროტესილაოს
ჯდა ტახტებზე მოვანებულ
მლხინობელთ შორის;
მე დავინახე პალამედე _ პოსეიდონის
შვილიშვილი და დიომედე, დისკოს მტყორცნელი;
ვცან მერიონიც _ არესის ყლორტი,
კაცთათვის დიდი საკვირველება.
მთა-კუნძულების ნაშიერი
ვნახე ნირევსიც,
ლაერტეს პირმშო, პირველთაგანი
აქაველთ შორის.

ე პ ო დ ო ს ი

მუხლჩაუხრელი აქილევსი,
ქარივით სწრაფი,
დედა თეტისმა რომ შობა
და ქირონმა სრულჰყო.
ზღვისპირეთს ფიცხად
მიირბევდა
ტანშეაბჯრული,
გაჯიბრებული
მქროლავ ოთხცხენას _
დამწვი მისი და გამსწრებელი.
ცხენებს მალიმალ უყიოდა მარჯვე მეეტლე _
ევმელოსი _ ძე ფერეტისა;
ოქროკემსული აღვირები
მოეშვა სრულად

და უწიოდა
ხელში მათრახი.
გამოარჩევდით ცხენებიდან
თეთრონს
და წითელს,
გვერდზე რომ თავებს მიიბრუნებდნენ...
ორიც მათ უკან მიჰქროდა... და, ჰა
ტანშეაბჯრული პელიდი გასცდა
მყივარ მეეტლის სადგარს და სირინგს!

ს ტ რ ო ფ ი ბ

ხომალდთ სიმრავლე რომ მოიხილა,
მყის სიხარულით
გაიფოთლა ქალის თვალები
იფანის დარად.
ორმოცდაათ საომარ ხომალდს,
მარჯვნივ რომ გასდით ნიჩბების ჩქამი,
მირმიდონელი მართავს არესი;
ოქროსფერებად აბზინვარებენ,
კონცხთან ხომალდებს ნერეიდები,
პატივდებულნი აქაველი ჯარებისაგან:

ა ნ ტ ი ს ტ რ ო ფ ი ბ

იქვე არგოსელთ ხომალდებიც
ჩარიგებულან თანაბარ მწკრივად.
მათ წინამძღვრობს მეკისტევსის ძე,
მთავარსარდალი
და სთენელოსი
კაპანევსის ძე; ორმოცდაათი
ხომალდი კიდევ ატიკიდან ჩამოიყვანა
თესევსის ვაჟმა.
პალასის სახე ამობეჭდილა
ფრთიან რაშებით შებმულ ეტლებზე, _
კეთილნიშანი აძევთ ხომალდებს.

ს ტ რ ო ფ ი გ

ბეოტიელთა აღჭურვილობა
ვიხილეთ მერმე: ორმოცდაათი ხომალდი მათი
ყელყელაობდა ზღვის გარეპირზე,
ზედგა კადმოსი
და ხელთ ეპყრა
ოქროს დრაკონი

გემთა ქიმებთან.
მიწის შობილი ლეიტოსი
წინაუძღოდა ხომალდთა ჯარებს.
ფოკისისა და ლოკრთა ხომალდებს
სარდლობს დიადი ოილევსი, ძალ-უძლეველი.
აქეთ წამოსულს
დაუგდია თრონიის ციხე.

ა ნ ტ ი ს ტ რ ო ფ ი გ

ხოლო კიკლოპურ მიკენელთა
რიცხვით ას ხომალდს
ატრევსის ძე გამოსძღოლია.
გვერდით სარდალი ედგა ადრასტე,
წამოჰყოლია ვით მომძეს მომძე,
ქარიხვეტია ქალის მიზეზით,
ვინც ბარბაროსის სარეცლისათვის
დათმო ელადა.
აგერ, დავლანდეთ, პილოსელი,
გერენიელი გმირი ნესტორიც.
ხარის ემბლემა მოუჩანდა გემის კიჩოზე, _
ალფევსის ნიში.

ე პ ო დ ო ს ი

ენიანთ იახლეს თორმეტი
ხომალდი, სარდალი
გუნევსი მართავდა მათ. ახლოით იდგნენ
ელისის მკვიდრნი,
ეპეებად რომ უხმობენ ხალხნი _
ევრიტოსი მართავდა მათ.
თეთრხოფებიანი არესის სიფიცხე
უძღოდა ტაფიელთ _ მეგესი მართავდა მათ _
ფილევსის ვაჟი, მოსული
ზღვაოსანთათვის საშიშ კუნძულებით.
მარჯვენა ჯგუფს ედგა
სალამინელი აიანტი იქვე,
მარცხენა ხომალდთა ჯგუფს
რიცხვით თორმეტი
ხომალდის რიგი
ეჯუფთებოდა.
თვალი ვერ იხილავდა
ხილვად უკეთესს!

ვინაც იგუოს
ხომალდნი ბარბაროსთა _
აღეკვეთოს შინდაბრუნება.
ჩვენ აქ მოვიხილეთ
გემთა წყებანი.
ესე ეუწყება სახლებში ხალხს...

პირველი ეპისოდიონი

მოხუცი

რასაც კადრულობ, მენელაოს, არ გეკადრება.

მენელაოსი

მომწყდი!.. ზედმეტად ერთგული ხარ შენი ბატონის.

მოხუცი

ქებად მივითვლი მე მაგ სიტყვებს, ვიდრე ძაგებად.

მენელაოსი

თუ იმას იზამ, რაც არ გმართებს, ზღავ ცრემლებითა.

მოხუცი

წერილის გახსნა არა გმართებს, მე რომ ხელთ მეპყრა.

მენელაოსი

შენ ხელთა გეპყრა ბოროტება ელადისათვის.

მოხუცი

ამაზე დავა სხვებთან გმართებს, მე წერილს ვითხოვ.

მენელაოსი

მას ვერ მიიღებ!

მოხუცი

ჰოდა, ვერც მე ჩამოგეხსნები.

მენელაოსი

თუ არ იყუჩებ, კვერთხი ჩემი შენს სისხლს დაათხევს.

მოხუცი

საამაყოა ბატონისთვის სიკვდილი ყმისა.

მენელაოსი

ხმა ჩაიკმინდე! ცოტა სიტყვა შეჰფერის მონას.

მ ო ხ უ ც ი

ვაი, პატრონო! დამიბრიყვეს... უსტარი შენი
ძალ-უხეშობით წარიტაცეს ხელთაგან ჩემთა,
მშველელად ჩემდა, აგამემნონ, არღავინ არის!

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

ეჰეი!
ეს რა ხმაური და ჩოჩქოლი მესმის ჩემსა ჭიშკრებთან.

მ ე ნ ე ლ ა ო ს ი

უფრორე გმართებს, ჯერ მე მომმართო, მონაზე უმალ.

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

ეგ მარქვი, მონას რას უწყრები, მენელაოს, რად ემძლავრები?

მ ე ნ ე ლ ა ო ს ი

ჯერ გამისწორე თვალი პირნათლად და მერმე თავად მოგაგებ პასუხს.

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

ვერ შეუშინებს თვალებს ვერვინ ატრევსის ძესა.

მ ე ნ ე ლ ა ო ს ი

ხედავ ამ წერილს, უბოროტეს აზრს რომ იმარხავს?

ა გ ა მ ე მ ო ნ ი

ვხედავ, მოვითხოვ უპირველესად _ შეუშვა ხელი.

მ ე ნ ე ლ ა ო ს ი

არა! სანამდე არ ვამცნობ ამას მე დანაელებს.

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

დიდი ხანია, რაც ეგ წერილი ხელთ ჩაგივარდა?

მ ე ნ ე ლ ა ო ს ი

საწუხ არს, მაგრამ მე უკვე ვუწყი ზრახვანი შენნი.

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

და რა შეიტყვე? ჰოი, ღმერთებო! სულს ნუ წარიწყმედ!..

მ ე ნ ე ლ ა ო ს ი

არგოსით მოვა ასული შენი? დაიძვრის ჯარი? მე ვითხოვ პასუხს.

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

ჩემი ოჯახის საქმეებში ცხვირსა ჰყოფ და არც კი წითლდები.

მ ე ნ ე ლ ა ო ს ი

რა მესაქმება შენს ოჯახთან _ მსახური არ ვარ შენი სახლისა.

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

თავხედობაა, მიკრძალავდნენ გამგებლობას ჩემი სახლისას.

მ ე ნ ე ლ ა ო ს ი

შეიცვლი შენს აზრს “გუშინ”, “დღეს” და “ხვალეს” კვალობით.

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

როს ცუდს ფიქრობ და ლამაზად ამბობ _ სათნოების მტერია ენა.

მ ე ნ ე ლ ა ო ს ი

ძუნწ მდიდარსა ჰგავს სიავის მხვეჭი _ არას გაიღებს სიკეთისათვის.
მე კი გირჩევდი, დაგეცხრო რისხვა. წინ არ აღუდგე არჩევანს კეთილს
და მეც აროდეს ჩაგეძიები შენ უსამართლოდ.
დანაიდების ბელადობა თვით არ ითავე სამტროდ ტროისა?
გახსოვს, ახდენა გულის ზრახვათა თუ ვითა გსურდა?
თუ ვით მდაბლობდი და მთხოვარივით იწვდიდი ხელებს
და ღია გქონდა სახლის კარი ყოველ გზაზე გამვლელისათვის?
უჩერდებოდი ყოველ შემხვედრს, ესალმებოდი, გსურდა თუ არა.
თავს არ ზოგავდი, რამენაირად მოგესყიდა მტერიც, მოყვარეც,
მალე აღზევდი და მალედვე იცვალე ზნენი,
ვინც ზეაგწია, მათ თავებზე დადიხარ ახლა.
ცხრაკლიტულ ციხედ გადაიქეც. ვაჟკაცს არ ფერობს
მედიდურობა, როდესაც იხვეჭს ბედის წყალობას,
ვალია მისი _ მწედ თანუდგეს მოყვასთა თვისთა.
სვებედნიერი მოვალე არის, სხვაც ბედნიერჰყოს.
მეფეო, ზევით მისთვის წარმოჩნდი, რომ დაგვენახა სიმდაბლე შენი?
ოდეს მოხვედი ავლისის მხარეს ელადის ჯარით,
არ მოინებეს დიდმა ღმერთებმა, ბედს რომ სწეოდით
და ქარკეთილი აღკვეთეს ზღვაზე ოდეს იზრახეს დანაიდებმა _
დროა დავბრათო აწ ხომალდები, თორემ ჩავლპითო ავლისის წყლებში.
შენ კი შიშობდი, რომ იმედი არ აღგკვეთოდა _
გარს მისდგომოდი ილიონს ჯარით, ტროის მინდორზე დაგერჭო შუბი.
მე მომიხმობდი სათათბიროდ, რა ვიღონო, რა გზას დავადგე?
გულბეჯითობდი, რომ ხელიდან არ გაგეშვა მთავარსარდლობა.
მაგრამ კალქანტმა რაჟამს იმისნა _ გაეხსნებოდა გზა დანაიდებს,
თუ ასულს შენსას მიუყენებდი არტემისის ბომონს სამსხვერპლოდ _
შენც შენივ ნებით დაეც დასტური, რომ შესწირავდი იფიგენიას.
ბრძანე, მეუღლეს გამოეწვია ასული შენი,
რომ თითქოს იგი აქილევსზე იქორწინებდა.

მხოლოდრე შემდეგ იცვალე აზრი, შენივ უარყავ შენ ბრძანებული,
აღარ ისურვე ყოფილიყავ ასულის მკვლელი.
ყოველი ამის მომსწრე ვარსკვლავი ჯერაც ცაზეა.
ცაც მაღლა იყო, ოდეს ინებე შენ ესე თავად.
და ეს ირწმუნა უმრავლესმა და აღსრულებად
იწყეს მათ საქმე, შენ კი ვაგლახად უარყავ თქმული.
მოქალაქენი? გონგანუსჯელნი გახლავთ ისინი.
თავად არ ძალუძთ, სახელმწიფო დაიცვან მტკიცედ.
მეც მხოლოდ ვგოდებ მრავალტანჯული ელადისათვის.
აღარ დედოფლობს ძალი ჩვენი ბარბაროსებზე,
რომ დაგვცინიან ახლა შენი ასულის გამო.
ჩვენ არ გვჭირდება სტრატეგოსი დიდგვაროვანი,
არც თვალტანადი, თუ არ უცემს მეომრის გული
და ბედწაღმართად ვერ წარმართავს საქმეთ ერისას.
ხამს, განაგებდეს ქვეყანას თვისას ბედის მეცანი, გულთა მხილავი.

გ უ ნ დ ი ს წ ი ნ ა მ ძ ღ ო ლ ი

საავბედოა ძმათა შორის მწარე სიტყვები,
შუღლსა, მტერობას ჩამოაგდებს მათ შორის ძნიადს.

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

დაიცხრე რისხვა, ნუ განდევნი აზრს გულხენეშად,
უმდაბლეს გრძნობას კი ნუ მისდევ, მისდიე უბრძნესს,
სიკეთის ძალი მოიკრიბე ძმისა წინაშე.
რას მოგწოლია ბოღმისაგან სისხლი თვალებში?
რამ შეგაურვა, სარეცელი წარგიღეს ტკბილი?
განა მე უნდა დაგირჩინო, რასაცა შეკრებ,
განა მე უნდა შეგიკრიბო, რასაც გაფანტავ?
დიდება ჩემი ნუ აღგავსებს შურით, რამეთუ
შენ ქალის ხვედნა გირჩევნია ყოველ დიდებას
და ქვენა გრძნობებს ანაცვალებ მშვენიერ საქმეთ.
თუ გებრიყვება რჩევა ჩემი, თავად ხარ ბრიყვი,
ავ ცოლს გაგყარეს _ ბედსა გწიეს ღმერთებმა ამით,
შენ კი გსურს, ისევ დაუბრუნო სარეცელს იგი.
ოდეს ტინდარევსს სასიძონი შეეკვრნენ ფიცით,
მე ესრეთ ვფიქრობ, ეს ქალღმერთის წყალობით მოხდა
და შენს ღირსებას ამ საქმეში არ ედო წილი.
აჰა, ალაშქრე სასიძონი შენი ცოლისთვის!
ღმერთი ხომ არ თვლემს, საჩინოა მისთვის ყოველი,
ის განიკითხავს სამარცხივნო ფიცით შებოჭილთ.
არ იქონიო ამ საქმეში ჩემი იმედი,
ვალად არა მდევს ვაგვარებდე შენს პირად საქმეთ, _

უმანკო სისხლი დავათხიო ასულის ჩემის,
მერმე ვიტანჯო, თავში მჯიღებს ვიცემდე მწარედ.
მე ყოველივე მოგახსენე ნათლად, გარკვევით
და თუ ამ რჩევას არა რჩეობ, წავალ ჩემი გზით.

გ უ ნ დ ი ს წ ი ნ ა მ ძ ღ ო ლ ი

სიტყვები ითქვა აქ სრულიად საპირისპირო,
ნეტავი, კამათს არ ემსხვერპლოს მეფის ასული.

მ ე ნ ე ლ ა ო ს ი

ვაგლახ, ამქვეყნად უმეგობროდ ვშთენილვარ თურმე.

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

შენ ხომ მეგობარს მისთვის იძენ, რათა დაკარგო.

მ ე ნ ე ლ ა ო ს ი

ნუთუ ძმები ვართ ჩვენ საერთო მამისმიერი?

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

ბოროტებისთვის არ გეძმობი, გძმობ სიკეთისთვის.

მ ე ნ ე ლ ა ო ს ი

მაგრამ ხომ უწყი _ ძმა ძმისთვისო, შავი დღისთვისო?

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

შენი ლხინისთვის ნუ მოითხოვ ძმის მწუხარებას.

მ ე ნ ე ლ ა ო ს ი

არ თვლი გასაჭირს ელადისა შენს გასაჭირად?

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

ელადას თვით შენ მოუვლინე შლეგი დემონი.

მ ე ნ ე ლ ა ო ს ი

სამეფო სკიპტრას უქცევიხარ ძმის მოღალატედ,
მეც კიდევ, ჩემს გზას გავუდგები, ვიღონებ რასმე,
სხვას ვუხმობ შველად...

მ ა ც ნ ე

ხელმწიფეო სრულად ელინთა,
აჰა, მოგგვარე, აგამემნონ, ასული შენი,
რომელსაც ხმობენ სასახლეში იფიგენიად.
მასთან მობრძანდა კლიტემნესტრაც _ შენი მეუღლე.
იახლეს შენდა გასახარად ვაჟი ორესტეც, _

არ მოგიხილავს სახლეული დიდი ხანია.
ქალებიც მოვლენ, ჩამოვტოვე გრილ ჩქერალებთან _
მოითქვან-მეთქი ცოტა სული, ტურფა ფერხთაგან
ჩამოიბანონ მომქანცველი მგზავრობის მტვერი.
იქა წავდენე ფაშატები მწვანე მინდორზე,
თავად კი აქეთ მოვეშურე შენს სამსახურად.
უკვე ეუწყა ლაშქარს, როგორ მიმოდის ხმები,
რომ მეფის ასულს დაუხვდები დიდის პატივით.
შეჰქნიათ ერთი ჟრიამული, ჟივილ-ხივილით
მოცულა ჯარი, ისწრაფვიან ასულის ხილვად
მოკვდავთა შორის უაღრესნი, უპირველესნი;
ამბობენ, რაღაც ქორწილი თუ ლხინი მზადდება,
და ამიტომაც მოიხმოო მეფემ ასული;
აგრეც ამბობენ _ არტემისის, ავლისის ქალღმერთს
ავედრებენო საპატარძლოს... ვინ ღირს არს ნეფედ?
ეჰეი, ჩქარა გვირგვინები!
შენც, მენელაოს,
მძლავრი მაყრული შემოსძახე; დე, სასახლეში
დოლს და წინწილებს შეუერთდეს მწყობრი ფერხული,
კეთილსაბედოდ მზე დაბრძანდეს ასულის გვერდით.

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

მადლობელი ვარ, მაცნევ, შენი... აწ დაუტევე
სასახლე ესე. დე, კეთილად ახდეს ყოველი.
ვაგლახ მე, ვაგლახ! რა ვიღონო, რა გზას დავადგე,
დაზნიქა ქედი ბედისწერის მძიმე უღელმა.
მოდგა დემონი, რათა გახსნას ეშმაკეული,
მზაკვრული ხვანჯი ჩვენმიერი და საცნაურყოს.
ბედნიერია ამა ქვეყნად მდაბიო კაცი,
გულწრფელი ცრემლით ეგებება გასაჭირს იგი,
დარდს იმსუბუქებს ბედმჩივანი, ხოლო დიდებულთ
სირცხვილი ბოჭავთ; მონა არის ხელისუფალი
ბრმა სიამაყის და იმ ბრბოის, ვისზეც ხელმწიფებს.
წრფელი კურცხალის გადმოგდება ვერ გამიბედავს.
და რომ ცრემლები შევიკავო, ისიც არ ძალმიძს,
ბედის ტრიალში უჩინარი მღილი ვარ მხოლოდ...
რა ვანუგეშო, რაი ვუთხრა მეუღლეს ჩემსას,
ვით მივეახლო, ან თვალები ვით გავუსწორო?
ამ მეტად არასასურველმა მისმა სტუმრობამ
ჭირს მიუსართა ოდენ ჭირი. ჩამოიყვანა
მან ქალიშვილი, ქორწილისთვის რომ განამზადოს,
მაგრამ მე ვისაც განვუმზადე უკვე სიკვდილი,

ნუთუ ის ჩემი ასულია, მე _ მამა მისი?
ალბათ, ქვესკნელში იქორწინებს ჰადესთან იგი
ყოვლის უადრეს, საყვედური დასცდება ბაგეთ
სიკვდილის წინა: “რისთვის მამავ, ნუთუ ეგ არის
ჩემი ქორწილი? _ მიულოცე იგი ახლობელთ.
დაკლულ დის გვერდით ატირდება ჩვილი ორესტე,
მძის სისხლი იგრძნობს დის სხეულზე დაცემულ დანას.
ვაგლახ, ელენეს და პარისის _ პრიამეს ძისა _
ურცხვი კავშირი, საავბედოდ აღსრულებული!

გ უ ნ დ ი ს წ ი ნ ა მ ძ ღ ო ლ ი

თანაგელმობი, ხელმწიფეო, ვისაც წილად გხვდა,
სხვისი ცოლისთვის დაგტეხოდა ბედის სიავე.

მ ე ნ ე ლ ა ო ს ი

გამომიწოდე, ძმაო, ხელი, მოდი, შევრიგდეთ!

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

აჰა, ხელს გაწვდი, ძალმოსილო, მე უსუსური.

მ ე ნ ე ლ ა ო ს ი

მე დავიფიცებ პელოფს, მამას ჩვენი მამისა,
ანუ ჩვენს პაპას, ვისი შვილიც არის ატრევსი,
რომ შენდა მიმართ ჩემსა გულში ამოღვივდება
აზრი კეთილი, წმინდა, ზაკვაშეურევნელი.
როს დავინახე, თვალებიდან მოგწვიმდა ცრემლი,
გული ვაგლახად დამიმძიმდა, ავტირდი ლამის,
უკანვე მიმაქვს წინანდელი ჩემი სიტყვები,
ნურა გეშინის, ერთ დღეში ვართ ორნივე, ძმაო.
ვით გაიძულებ მოაკვდინო შობილი შენი
სანაცვლოდ ჩემდა, სადაური სამართალია,
შენ დაიმწუხრო თავი, რათა მე დავჯდე ლხინად,
შენი უმზეოდ გარდაეგოს, ჩემი _ მზეს ჭვრეტდეს.
განა ასეთი რა მწადიან? ნუთუ სხვა ქალსა
ვერ ამოვირჩევ, ვერ შევირთავ, თუკი ვისურვებ?
ანდა კი რა მრჯის ძმა შავწირო სისხლისმიერი
ელენესათვის, ვამჯობინო ბოროტი კეთილს.
ახლაღა მივწვდი, ვით ტლუ ბიჭი, და ჩავუკვირდი
სამძიმო საქმეს, რასაც ჰქვიან შვილთამკვლელობა.
თანამგრძნობლობა უბედური ასულის მიმართ
გამოაფხიზლა მშობლიური სისხლის ყივილმა.
იგი რად უნდა შეეწიროს ჩემს ქორწინებას,
რა ბედენაა თვით ელენე შენი ქალისთვის?

მორჩა! ჯარებმა დაუტევოს დაე, ავლისი!
დრო არის უკვე დაწდეს ცრემლი, რომელიც სახეს
მირწყულებს, ძმაო, ჩემს თვალებშიც ცრემლის მშრობელი.
შენ თუ გჭირს ჯავრად ასულისთვის მძიმე მისნობა,
მე არ მჭირს იგი? შენი ხვედრი ჩემი ხვედრია;
ჩემი ცდომილი ზრახვისათვის მევე განვსჯილვარ,
შეცდომამ ჩემმა ამამაღლა და ახლა უფრო
მე ავღორძინდი სიყვარულით ძმისა ჩემისთვის.
კაცთა ღირსების დასაბამი მათსავ ნაკლშია.

გ უ ნ დ ი ს წ ი ნ ა მ ძ ღ ო ლ ი

შენ ჭეშმარიტად ბრძანე სიტყვა, ზევსის ნაშიერ
ტანტალეს ღირსი, არ აყივნებ წინაპართ შენთა.

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

მხიბლავს ჩემდამი, მენელაოს, ეგ თანაგრძნობა,
სიტყვები შენი ჭეშმარიტად ქების ღირსია.
მზვაობრობა და ქალთსურვილი აღძრავს ნიადაგ
შინაშლილობას, ძმათა მძიმე მეშუღლეობას
და წააქიშპებს სისხლისმიერ ნათესავთ ერთურთს.
მე კი არ ძალმიძს ბედისწერის სამანს გადავსცდე
და ქალი ჩემი განვარიდო სისხლიან სიკვდილს.

მ ე ნ ე ლ ა ო ს ი

რა ბედისწერა გაიძულებს სიკვდილს შვილისას?

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

ესე სურთ სრულად აქაველთა და მთელს მხედრიონს.

მ ე ნ ე ლ ა ო ს ი

არა! არგოსში დააბრუნე იგი ახლავე.

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

იქ ვით დავმალავ, ვით დავიხსნი სიცოცხლეს მისას?

მ ე ნ ე ლ ა ო ს ი

ვითარ განვსაჯოთ ესე ფუჭი ბრბოთმოშიშება?

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

კალქანტი ყოველს განუცხადებს არგიველ ლაშქარს.

მ ე ნ ე ლ ა ო ს ი

არა, უადრეს თვითონ მოკვდეს, უმჯობესია.

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

ბოროტად პატივმოყვარეა მისანთ ჯილაგი.

მ ე ნ ე ლ ა ო ს ი

ვის ახარებენ ეგენი, რომ ჩვენ გავახაროთ?

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

მაგრამ იმაზედ არა ფიქრობ, რაც თვით მომელის.

მ ე ნ ე ლ ა ო ს ი

განა რას ვფიქრობ, რა მოგელის? თქვი, რას იზრახავ.

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

მაშ, გაიხსენე სისიფოსი და მოდგმა მისი.

მ ე ნ ე ლ ა ო ს ი

ჰო, ოდისევსი... მაგრამ, ვეჭვობ, დაგვაკლოს რამე.

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

საფიცარია იგი ბრბოის, ჭკუამზაკვარი.

მ ე ნ ე ლ ა ო ს ი

თავმოყვარეა იგი, ლამის ბოროტი არი.

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

წარმოიდგინე იგი, მდგარი არგიველთ ბრბოში,
რომელიც მამხელს, რომ კალქანტის განცხადებული
მისნობა თუ ვით უარვყავი, თუ ვით ვეცრუე
მე არტემისის წმინდა ბომონს, განა ლაშქარი
აზვავებული არ ჩამქოლავს? არგიველები
არ მოითხოვენ განა ჩემი ასულის დაკვლას?
თუნდაც არგოსში ჩავიკეტო, კიკლოპის კედლებს
ჩამოაქცევენ, მთელ ქვეყანას ააოხრებენ.
ეს არის ჩემი საწუხარი. ო, უბედურო
შენ, თავო ჩემო, გზა ღმერთისკენ ვერ გიპოვნია.
შენ, მენელაოს, გადი ლაშქრად, თან ფრთხილად იყავ,
რომ კლიტემნესტრამ ამ ამბისა არრა შეიტყოს.
მანამ კი ჰადესს გავისტუმრებ გოგონას ჩემსას.
ახლა მცირედი კურცხლის წვეთიც მომიღებს ბოლოს.
თქვენ კი, სტუმარნო, ბაგეს დასდეთ დუმილის კლიტე.

პირველი სტასიმონი

გუნდი

სტროფი

ბედნიერია, ვინც ღვთიური
ზომით და გონით ეზიარა
აფროდიტეულ სარეცელის სიტკბოს;
არ დაესევა მას
სიშლეგის მაწუხელები.
ორგვარი ისრით
გაუწყვია კაპარჭი ეროსს _
ერთი დაგჭრის ბედნიერ ხვედრით,
ხოლო მეორე ჭირს გაგიმრავლებს.
ო, კიპრიდა, ულამაზესო
განმარიდე სარეცლისა შენის სიმრუდეს.
ზომიერი სიხარული მოიღე ჩემდა,
და წმინდა ვნება,
და მზად ვარ შენდა სამსახურად
და აღსრულებად.

ანტისტროფი

ნაირფერია ბუნება კაცთა
და მათნი ზნენი,
მხოლოდ ერთია მზე ყოველთა სწორად მხილველი.
გაუჯაფველად ვერ მოვიმკით
ზნეთ სიდიადეს და ქველთა საქმეთ.
თავმდაბალია სიბრძნე,
რითაც სიხარულს დიდ სიკეთისას
მოიკრებს სული,
ღირსებას, სახელს,
უბერებელ სიცოცხლეს ქებულს.
სათნოება მაღლდება,
ოდეს დიაცნი აფროდიტეს განეკრძალვიან.
რაჟამს ვაჟკაცნი
აღაშენებენ
დიდებულად დიდთა ქალაქთა.

ეპოდოსი

რამ მოგიყვანა აქ, პარისო,
ვინაც მწყემსავდი ქათქათა ფარას
ოდის კალთებზე,

სად ველური ხმით სალამურობდა ფრიგიული
ფლეიტა შენი, მსგავსად ოლიმპოს ლერწმებისა,
ქარში რომ სტვენენ.
მინდვრებზე დაგრჩა ჯიქანსავსე ძროხები, ოდეს
ქალღმერთის ნებით
მოხველ ელადას.
სპილოს ძვლით ნაშენ
ელინთ დარბაზში,
ქალის წინ დადექ,
თვალებით ეტრფე
შენსა მტრფობელსა.
და ჰა, აღიძრა მტერობა დიდი,
შეკრბა ელადა, ფარშუბებით და ხომალდებით
ემუქრება ტროის პერგამონს.

მეორე ეპისოდიონი

არგიველ მამაკაცთა ქორო

გუნდის წინამძღოლი

დიდება თქვენდა, დიდება თქვენდა,
სანთო დედანო! იფიგენია,
მეფის ასულო, დიდება შენდა!
შენც, კლიტემნესტრა, ტინდარეს ქალო!
მაღალთა დასის ჩამომავალო,
ო, დედოფალო, ხვედრ-ბედნიერ ხარ!
გამორჩეულხართ,
ღვთის ბადალნო, უბირთა შორის.

გუნდი

ქალკიდის ქალნო,
მიეშველენით დიდ დედოფალს, ჩამოხდეს ეტლით.
მოჰკიდეთ ხელი ფრთხილად,
ფეხი არ მოუსხლიტოთ.
არ შეაწუხოთ
აგამემნონის ტურფა ასული.
პატივ-ღირსებით დავუხვდეთ წვეულთ,
ვითარ ხდვებიან თავად სტუმარს
არგოლიდაში.

კლიტემნესტრა

შემიწირია გულითადი მადლობა, ქალნო,
სამახარობლოდ დაშთეს ჩემდა სალამი თქვენი.

მოვსულვარ რათა ღირსეულად გადავიხადოთ
დიდი ქორწილი.
სადედოფლო საჩუქრებიც
მომიტანია, დაალაგეთ კარვებში ფრთხილად.
დროა ეტლიდან ჩამოხვიდე, ჩემო გოგონა,
რომ მოავანო დაღალული ნაზი სხეული.
მოდით, ქალებო, მოეხვიეთ ალერსიანად,
ეტლიდან ფრთხილად აღიყვანეთ მეფის ასული.
მეც ხელი მკიდეთ, შემეშველეთ _ ძირს ჩამოვიდე,
დაღალული ვარ, დამასვენეთ ტახტზე სადამე.
მოეახლენით ცოტა ფრთხილად ეტლს, მოახლენო,
ანაზდეულად არ შეოცდნენ ფიცხი ცხენები.
ხელში აზიზად აიტატეთ აგამემნონის
ყრმა უფლისწული, უმრწემესი ვაჟი ორესტე,
რული მოჰგვარა აკვანივით რწეულმა ეტლმა.
ბედნიერ საათს გაგალვიძებ, ჩემო ბიჭუნა,
კიდევ უფრორე დიადდება შენი გვარ-ტომი,
ნერეიდას რომ ვემოყვრებით დის ქორწინებით.
ასულო ჩემო, მომეახლე, მოდექ ახლორე,
ბედნიერ დედის გვერდით დადექ, იფიგენია,
სტუმრებმაც ჩვენი სიხარული გაინაწილონ.
აგერ, ხელმწიფეც, მიესალმე, ასულო, მამას.

ი ფ ი გ ე ნ ი ა

არ გამირისხდე, წინ რომ გისწრებ, დედავ ბატონო,
შენზე უადრეს ვბედავ მამას გადავეხვიო.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

ო, აგამემნონ, ხელმწიფეო სწორუპოვარო,
აჰა, გეახლეთ, არ გადუვალთ ბრძანებულს შენსას.

ი ფ ი გ ე ნ ი ა

სული მძლევს, ჯერ მე მოგეხვიო, ძვირფასო მამავ,
მოგეყრდნო მკერდზე შენსა ალერსს დანატრებული.
ო, ერთხელ კიდევ მომიტევე ამისთვის, დედა!

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

რას ამბობ, სწორედ ასეც გმართებს, ჩემო გოგონა,
მამისთვის ძვირფას, უსათუთეს ქალად შობილო.

ი ფ ი გ ე ნ ი ა

ბედნიერი ვარ შენი ნახვით, ნატრულო მამავ.

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

და მეც ასევე _ თანაბრად ვართ დღეს ბედნიერნი.

ი ფ ი გ ე ნ ი ა

მადლობას გწირავ, ჩემი ნახვა რომ მოინებე.

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

მაგრამ რა გითხრა, რა არ გითხრა _ არკიღა ვუწყი.

ი ფ ი გ ე ნ ი ა

ეს როგორ...
თითქოს გიხარიან და მწუხარეც ხარ.

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

მეფე-სარდალნი ამა ქვეყნად ჭმუნვითა ვლენან.

ი ფ ი გ ე ნ ი ა

მაგრამ დღეს მაინც დაჰგმე ჭმუნვა, გახსენი შუბლი.

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

მაგრამ, სწორედ დღეს, ჩემო კარგო... ოჰ, რომ სწორედ დღეს...

ი ფ ი გ ე ნ ი ა

გახსენი სახე, ჩაიყენე თვალებში შუქი.

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

მე ვხარობ, როგორც მეხარება... ჩემო გოგონა.

ი ფ ი გ ე ნ ი ა

რისად გიბრწყინავს, თუ აგრეა, კურცხალი თვალზე?

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

ვშიშობ, დიდი ხნით მოგვიხდება ჩვენ განშორება.

ი ფ ი გ ე ნ ი ა

ვერ გამიგია, რისი თქმა გსურს მაგითი, მამა.

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

რა ჭკვიანი ხარ, რა სათუთი... მით უფრო მტანჯავ.

ი ფ ი გ ე ნ ი ა

სულელი ვიყო _ სიხარული მოგგვარო ოღონდ.

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

ოჰ, ღმერთო, აღარ შემიძლია...

აჰა, ვიცინი...

ი ფ ი გ ე ნ ი ა

წამო აქედან, დაუბრუნდი შენს შვილებს, მამა

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

დავბრუნდებოდი, ნება ჩემი ჩემს ხელთ რომ იყოს.

ი ფ ი გ ე ნ ი ა

დაგვღუპავს შუბი და ცრუ ცოლი მენელაოსის.

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

აწ სხვებს დაღუპავს, მე თავად კი დამღუპა უკვე.

ი ფ ი გ ე ნ ი ა

შენ მეტისმეტად დაახანე ავლისის მხარეს.

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

ბრკოლდება ჯარი, წინ ნაბიჯიც ვერ მოუცვლია.

ი ფ ი გ ე ნ ი ა

მითხარი ერთი, სად სახლობენ ეგ ფრიგიელნი.

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

იქ, სადაც ჩვენდა სავალალოდ სახლობს პარისი.

ი ფ ი გ ე ნ ი ა

შენ შორეთ-შორეთ მიმავალი მე აქ დამტოვებ?

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

ესევითარი ხვედრი შეხვდა მამაშენს, შვილო.

ი ფ ი გ ე ნ ი ა

გავიხარებდი, შენთან ერთად მეც რომ ზღვით მევლო.

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

სულ სხვა გზა გერგო, მოიგონე იქ მამაშენი...

ი ფ ი გ ე ნ ი ა

უნდა ვიმგზავრო მარტოკამ თუ წამყვება დედაც?

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

სრულიად მარტოს, უდედმამოდ მოგიწევს წასლვა.

ი ფ ი გ ე ნ ი ა

უცხო მხარეში ხომ არ უნდა დავიდო ვანი?-

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

ოჰ, არა! შენთვის ჯერ ადრეა ამის შეტყობა.

ი ფ ი გ ე ნ ი ა

მალე მენახო შინ მშვიდობით მობრუნებული.

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

მაგრამ თუ მსხვერპლი არ გავიღეთ, ეგ არ მოხდება.

ი ფ ი გ ე ნ ი ა

წმიდა საწესო აღსრულდება, ალბათ, რიგისად.

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

სამსხვერპლოს გვერდით შენ დადგები, ასულო ჩემო...

ი ფ ი გ ე ნ ი ა

რათა ფერხული დავუაროთ წმიდა სამსხვერპლოს?

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

მშურს შენი, რადგან რაც მე ვიცი, არ უწყი, შვილო.
შედი კარავში, ასულისთვის უხერხულია
კაცებთან დგომა, დამეთხოვე ამბორის ყოფით,
რაკი დიდი ხნით გვიწერია ჩვენ განშორება.
ო, ჩემი ქალის ნაზნო ღაწვნო, ქერა კულულნო!
რას გიქადიან ელენე და ფრიგიელები,
რა ბედითობას... აღარ ძალმიძს სიტყვის განგრძობა.
ლამის სხეულზე გადმოგექცე მე ცრემლთა წვიმად...
შედი კარავში...
მსჯავრს ნუ დამდებ, ლედას ასულო,
თუ განშორების სიმძიმილით დავღონებულვარ
ასულის ჩემის აქილევსზე გამთხოვებელი.
სასიხარულო თუმცა კია ეს განშორება,
მაინც ეწყვლება გული მშობელს, როცა იშორებს
და უცხო ბინად მიაბარებს საკუთარ ასულს.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

არც ჩემთვის არის, დამერწმუნე, უცხო ეგ გრძნობა,
მეც მაგ დღეში ვარ, თავს დიდად ვერ დავინუგეშებ,
როს მაყრიონი წაგგვრის ასულს და გააცილებს,
მაგრამ დრო ყოვლის მკურნალია, ჩვენც დავმშვიდდებით.

ახლა კი მითხარ, ვით უხმობენ ჭაბუკ სასიძოს,
შთამომავლობა, გვარი მისი შევიტყო მინდა.

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

ქალი, ეგინად წოდებული, შობა ასოპემ.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

თავად ეგინა ვის ეცოლა, ღმერთს თუ კაცთაგანს?

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

ზევსს, და ეაკი ეშვა მისგან, ენონეს მეფე.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

ეაკს თუ დარჩა ვაჟთაგანი, გვარის განმგრძობი?

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

დარჩა პელევსი, ვინც შეირთო ნერევსის ქალი.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

მოიტაცა თუ წაიყვანა ღმერთის დასტურით?

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

ზევსის ჩარევით აღესრულა ეს ქორწინება...

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

ზღვათა შინ ხომ არ იქორწინეს, ვით გადმოგვეცემენ?

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

იქ, პელიონის ქვაბში, სადაც ქირონი ცხოვრობს.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

სადაც აგრეთვე კენტავრების ბინას იტყვიან?

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

სწორედ ღმერთები იქ დასწრნენ პელევსის ქორწილს.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

თეტისმა ზარდა აქილევსი, თუ ოდენ მამამ?

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

ქირონი ზრდიდა, არიდებდა მოკვდავთ სიმდაბლეს.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

ხედავ?
ვინც თავად ბრძენი არის, ბრძენსა ესწრაფვის.

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

ასეთი არის სწორედ შენი ასულის საქმრო.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

ელადის რომელ მხარეს ცხოვრობს ეგ დიდებული?

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

ფთიის მხარეში, იქ, სად მოსჩქეფს აპიდანოსი.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

მერე, იქ უნდა წაიყვანოს ჩვენი გოგონა?

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

ქალი მისია და წაიყვანს საითაც ნებავს.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

სვესრულიმც იყოს ქორწინება _ როდის იქნება?

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

მთვარის ალვსების ბედნიერ დღეს დავნიშნავთ ქორწილს

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

როდის შევწირავთ საქორწილო შესაწირს ქალღმერთს?

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

სწორედ რომ ზვარაკს ქალღმერთისთვის ახლა ვამზადებთ.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

ამის შემდეგ ხომ საქორწილო ნადიმს მოვაწყობთ?

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

შემდეგ მე მმართებს, საწირავი მივაგო ღმერთებს.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

ჩვენა? ქალები სად დავსხდებით, სად ვინადიმებთ?

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

სად არგიველთა ქიმმაგარი ხომალდებია.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

სხვა რა გზა არი, თუ ეგრეა გადაწყვეტილი.

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

მეუღლევ ჩემო, მისმინე და არ კი მედავო.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

როდის ყოფილა, გარდაუველ ბრძანებულს შენსას?

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

საქმე ეხება ჩემს ნებას და არა სიძისას.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

უდედოდ გინდა განარიგო ასულის ბედი?

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

შენი ასული დანაიდებს უნდა გადავცეთ.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

საკითხავია, თავად ამ დროს სად უნდა ვიყო?

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

დაბრუნდი არგოსს, იქ ბავშვები გელოდებიან.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

ვინ გააცილებს საქორწილო ჩირაღით ასულს?

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

ნეფიონს თავად წარვუძღვები ჩირაღდნით ხელში.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

ეს სირცხვილია, არა წესობს ასეთი წესი.

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

ულამაზოა ქალისათვის ლაშქარში დგომა.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

დედას კი შვენის, რომ ლაშქარში დატოვოს ქალი?

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

სხვა ასულებიც მისახედად გივიან სახლში.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

იქ დაცულია სრულად მათი უსაფრთხოება.

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

დაჰყევ ჩემს ნებას!

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

არა, ვფიცავ არგოსელ ქალღმერთს.
შენ თუ მეფე ხარ, მე დედა ვარ, სახლის მფარველი,

ქალიშვილს თავად გადავუხდი ღირსეულ ქორწილს.

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

ვაგლახ, შეირყა ეს იმედიც, ეგრე ვფიქრობდი,
შინ, სასახლეში გავისტუმრებ მეუღლეს-მეთქი.
ცრუ, რიოში ვარ მოყვარეთა ჩემთა წინაშე.
ფეხქვეშ ნიადაგგამოცლილი, დამარცხებული
წვალ კალქანტთან, მსხვერპლშეწირვას ვინც აღასრულებს,
რომ ერთად განვბჭოთ საქმე ესე ბოროტეული,
სამძიმო ჩემთვის და სრულიად ელადისათვის.
მენელაოსის კახპა ცოლი!.. თუ ზნეკეთილი
არ არის ქალი, სჯობს რომ სულაც უცოლოდ ეგო.

მ ე ო რ ე ს ტ ა ს ი მ ო ნ ი

გ უ ნ დ ი

ს ტ რ ო ფ ი ა

აღარ დაიძვრის სიმოენტის
ჩქერალებისკენ
ელინთა ჯარი,
აღარ უწევენ ნავებითა და იარაღით
ტროის ილიონს,
ფებოსის მიწას?
ქერა კულულებს
იქ კასანდრა ივარცხნის ახლა
და თმებში იბნევს დაფნის ღერაკებს,
რომ ეზიაროს ეთერის შუქზე
ღვთიურ სახილველს.

ა ნ ტ ი ს ტ რ ო ფ ი ა

პერგამონის ტროის კედლებთან
დგაგან ტროელნი,
ხოლო სპილენძის ფაროსანი არესი უკვე
ლამაზქიმიან ხომალდთა ჩქამით
უახლოვდება
სიმოენტის მაღალ ჩანჩქერებს.
გაწზრახული აქვთ დიოსკურებს
ზეცისმიერ ძმებს,
გამოიტაცონ პრიამოსის ციხით ელენე
და დაუბრუნონ ისევ ელადას
ელინთ ფარ-შუბით.

ეპოდოსი

ფრიგიელთა ქალაქ პერგამონს,
გრანიტოვან კბოდეებს მისას
დატყდომია არესის რისხვა
და არღვევს ქალაქს...
თავგაპობილთ ათრევენ გვამებს...
ნგრეულ პალატთა
ნაპარტახალზე
მოზარეობენ პრიამოსის დედა-წულები.
შენც ქვითინებ ახლა, ელენე,
ზევსის ასულო,
სიამეთ რომ ანაცვლე ქმარი.
ღმერთმა მაშოროს ასეთი ხვედრი,
აშორს იგი ჩემთა შვილთა
და შვილთაშვილებს.
ფრიგიისა და ლიდიის მხარის
ტურფა ქალ-რძალნი
წარსთქვამენ ოხვრით. _
გლოვამ დაშალა ყვავილობაო,
ნანგრევთა წიაღ იბნევაო ჩვენი ნახმევი.
ოჰ, ყოვლის დვრიტა შენ ხარ, ელენე,
ყელაზიდული გედის მოდგმავ, აგრე გვამცნობენ,
შენ გშობა ლედამ,
ფრინველის სახით
რაჟამს იგი ზევსს შეეუღლა.
თუ არ ტყუიან
პიერიის მგოსნები, ოდეს
ამ ამბებს ხალხში განავრცელებენ.

მესამე ეპისოდიონი

აქილევსი

ჰეი, სადა ხარ, აქაველთა ჯარის სარდალო?
გასწი, მსახურო, მოახსენე ხელმწიფეს ჩქარა,
რომ აქილევსი, პელევსის ძე ჭიშკრებთან დგას-თქო.
იქ, ევრიპოსის ნაპირებთან იცდის ლაშქარი,
მათგან მრავალი ჯერ უწვერო და უცოლოა
და უპატრონოდ დაუგდიათ სახლ-კარი თვისი.
ახლად ცოლშერთულთ ჯერ შვილებიც არ მოსწრებიათ.
მაღალთა ღმერთთა გარდუვალი ნებაა, ალბათ,
ეგზომ სიშლეგით რომ მოჯარდა ელინთა ჯარი.
მეც ჩემი ლაშქრის თაობაზე ვეახელ მეფეს.

ასევე სხვებიც გამეზრახონ თავის ზრახვებით.
რისთვის დავაგდე მე ფარსალი, მამა პელევსი
და ევრიპოსის ნაპირებთან გრიგალში დავდექ?
მირმიდონელნი, მე რომ ვსარდლობ, მეკითხებიან,
რად ვახანებთო აქ ამდენ ხანს, გვარქვი, აქილევს,
რად არ ვლაშქრობთო მოლაშქრენი ილიონისკენ?
ან შინ დავბრუნდეთ, ანდა დროა შევუდგეთ ბრძოლას,
აღარას გვარგებს ორჭოფობა ატრიდებისა.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

ო, ნერეიდის ნაშიერო, მესმა თუ არა
შენი სიტყვები, მყისვე აქეთ გამოვეშურე.

ა ქ ი ლ ე ვ ს ი

მე მოკრძალება მეუფლება, ო, ქალბატონო,
ჩემ წინ რომ დგახარ აგრე სათნო და მშვენიერი.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

მეც მოკრძალება მხიბლავს შენი და თუ ვერ მიცან,
არაფერია საკვირველი, ჩვენ უცხონი ვართ.

ა ქ ი ლ ე ვ ს ი

ვინა ბრძანდებით? ამ ლაშქარში რამ მოგიყვანა,
ან მამრთა შორის გაუბრება რისთვის ისურვე?

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

ლედას ქალი ვარ, კლიტემნესტრას მხმობენ სახელად,
მეუღლე ჩემი ხელმწიფეა _ აგამემნონი.

ა ქ ი ლ ე ვ ს ი

თუმც კი საუბრობ ღირსეულად და მიმზიდველად,
ჩემთვის აქ ქალთან საუბარი უხერხულია.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

დაიცა, საით მიიჩქარი, მომეცი ხელი,
ვით საწინდარი ბედნიერი ქორწინებისა.

ა ქ ი ლ ე ვ ს ი

განა რას ამბობ? ხელი მოგცე? ვერ ვემუხთლები
ვერც აგამემნონს, ვერ ჩემს ნამუსს გადავაბიჯებ.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

სწორედაც ნამუსს არასოდეს გადააბიჯო,
ნერეიდის ძევ, ჩემს ასულზე რომ ქორწინდები.

ა ქ ი ლ ე ვ ს ი

რა ქორწილზეა საუბარი, მიწყდება სიტყვა...
ან აზრი ჩემი ვერა წვდება ნაუბარს შენსას?

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

როგორ გავიგოთ... გაურბიხარ ახალ მოყვარეთ,
ქორწინებაზე საუბარსაც აღარ ინებებ.

ა ქ ი ლ ე ვ ს ი

ვერას მიგიხვდი, რის ქორწილი, არც მიფიქრია,
არცა თუ მეფე ასულს თქვენსას შემპირებია.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

საოცარია! გაგაოცა ჩემმა ნათქვამმა,
და მეც ასევე მაოცებენ შენი სიტყვები.

ა ქ ი ლ ე ვ ს ი

შენ ეს გეოცა, დედოფალო, მეც მაგ დღეში ვარ,
მოტყუებული უნდა ვიყოთ ორივე სწორედ.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

საშინელებავ! მე ვირწმუნე ცრუ ქორწინება
და ჭეშმარიტად ვიცან იგი, ვაი, სირცხვილო!

ა ქ ი ლ ე ვ ს ი

გადასატანი ჩვენი ჩვენვე გადავიტანოთ,
ზედმეტად თავს ნუ შეიურვებ ამ საქმის გამო.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

დე, მომეტევოს უნებლიე ტყუილი ჩემი,
თვალს ვერ გისწორებ დარცხვენილი, არ ვიცი რა ვთქვა.

ა ქ ი ლ ე ვ ს ი

შენდობას ვითხოვ მეც ჩემი მხრით. ახლა კი წავალ,
მოვძებნი მეფეს, იქნებ იყოს კარვებთან სადმე.

მ ო ხ უ ც ი

ჰე, უცხოელო, შენ გეძახი, ეაკის მოდგმავ, და შენც შეჩერდი
ერთი წამით, ლედას ასულო!

ა ქ ი ლ ე ვ ს ი

მანდ რომელი ხარ, ვისი ხმაა, ან რას იძახი, შეძრწუნებული ეგრე-რიგად ქებულ ჭიშკრებთან?

მ ო ხ უ ც ი

მონა გახლავართ ბებრუხუნა, როდი ვამაყობ, არვის უხარის უღიმღამო ხვედრი თავისი.

ა ქ ი ლ ე ვ ს ი

ჰო, მაგრამ ვისი მსახური ხარ, აგამემნონის? ჩემი რომ არ ხარ. ჩემთვის მხოლოდ ეს არის ცხადი.

მ ო ხ უ ც ი

ნამსახური ვარ მე შინაყმად დედოფლის კარზე, ამჟამადა ვარ ტინდარევსის მსახურთაგანი.

ა ქ ი ლ ე ვ ს ი

შენ მაგ პასუხით არას ამბობ, ან ეგ ვინ გკითხა, სათქმელი მართლა თუ გაქვს რამე, ის მომახსენე.

მ ო ხ უ ც ი

ჯერ ეს მითხარი, მანდ, ჭიშკრებთან მარტო თქვენა ხართ,
თუ კიდევ არის შორიახლო ვინმე თქვენს გარდა?

ა ქ ი ლ ე ვ ს ი

აქ კაციშვილი არ ჭაჭანებს, მარტო ჩვენა ვართ,
წამოდი აქეთ, დაუტევე სამეფო ეზო.

მ ო ხ უ ც ი

მოხუცებულის წინაგრძნობავ, ბედის მცნობელო!
ნეტავი შევძლო ვიხსნა იგი, ვის ხსნასაც ვლამობ.

ა ქ ი ლ ე ვ ს ი

ოჰ, მეტისმეტად ისმის, ავისმომასწავებლად,
შენი სიტყვები, წინაგრძნობა მკარნახობს აგრე.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

თქვი ყოველივე გაბედულად, რასაც იზრახავ,
გაგვითამამდი, აქ ვერავინ ხელსაც ვერ გახლებს.

მ ო ხ უ ც ი

ო, ქალბატონო, არცთუ ცუდად გასხოვარ, ალბათ,
მე ხომ მუდამდღე შვილთა შენთა მოკეთე ვიყავ.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

ყოველმხრივ კარგად და კეთილად მახსოვხარ, როგორც
უერთგულესი ყრმათაგანი ჩემი სახლისა.

მ ო ხ უ ც ი

მას ჟამსა შინა შენს მზითევში გამოვყოლივარ
მე აგამემნონს სადედოფლო კარის მსახურად.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

სწორედ ასეა, არგოსში მე ჩამოგიყვანე,
შენაც იმ დღიდან ჩემი სახლის ერთგულად გრაცხდი.

მ ო ხ უ ც ი

შენი მოკეთე უფრო ვიყავ და ახლაცა ვარ, ვიდრე ვიყავი ან ვარ შენი მეუღლისათვის.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

შენი სიტყვები ნართაული რა აზრს იმარხავს, წარსთქვი ყოველი დაურიდალ პირდაპირობით.

მ ო ხ უ ც ი

მამას აშკარად განუზრახავს ასული თვისი ბომონისათვის მსხვერპლშესაწირ ტარიგად დასდვას.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

ეგ რა სთქვი? ეგებ ფუჭად ფანტავ სიტყვებს, მოხუცო, ან აშკარაა სრულ ჭკუაზე არ უნდა იყო.

მ ო ხ უ ც ი

ვაგლახ, რომ კისერს უუნაზესს უნდა მოსწყვიტოს უსაყვარლესი, სათნო თავი მძიმე ნაჯახმა.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

ვაი, ბეჩავო თავო ჩემო, თანამეცხედრე, დიდ-სნეულებას შეუპყრია უთუოდ რასმე.

მ ო ხ უ ც ი

სნეული არის იგი შენთვის, აგრეთვე შენი ასულისათვის, თორემ სხვაფრივ სრულ ჭკუაზეა.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

ეს საავბედო როგორ წასცდა პირიდან სიტყვა. რა მძულვარებამ, რა სიავემ გააბედვინა?

მ ო ხ უ ც ი

ოდენ მისნობამ კალქანტისა; მან განაცხადა _
ამგვარი მსხვერპლით ელინთა ლაშქარს გზა შეკრული გაეხსნებაო.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

სად _ რომელი გზა, ვაი, ხვედრი ბეჩავ დედისა! ვაი, ასულო! მამას ნებავს შენი სიკვდილი.

მ ო ხ უ ც ი

ვალადა რაცხენ, დაარბიონ დარდანის სახლი, შინ დააბრუნონ მენელაოსის ცოლი, ელენე.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

ამისთვის უნდა დაათხიოს უმანკო სისხლი იფიგენამ, ელენე რომ შინ დააბრუნონ?

მ ო ხ უ ც ი

შენ უკვე უწყი ყოველივე... მას განუზრახავს ასული შენი არტემიდეს შესწიროს მსხვერპლად.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

არარსებული შეთხზა ესე მან ქორწინება, და ამ საბაბით სასახლიდან გამოგვიტყუა?

მ ო ხ უ ც ი

დიახ, სწორედ რომ მაგ საბაბით, სინამდვილეში ბედნიერება იქნებოდა ეგ ქორწინება.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

ჩემო გოგონა, ო, საბრალო, რას ვიფიქრებდით, რომ აქეთ შენი სიკვდილისთვის მოვიჩქაროდით.

მ ო ხ უ ც ი

დედავ და შვილო, ჭეშმარიტად ტირილი გმართებთ, უმძიმეს ცოდვის მოქმედია აგამემნონი.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

ჩემთა თვალთაგან წარდენილი ცრემლთა ნაკადით თვალს ვერ მოვხუჭავ ერთი წამით ამიერიდან.

მ ო ხ უ ც ი

ვაი, რომ ცრემლთა გაუხვება ვერას უშველის შვილის დაღუპვის მწუხარებას, შეუდარებელს.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

შენ კი საიდან შეგიტყვია ჩვენს თავს დამტყდარი უბედურების უმძიმესი ესე ამბავი?

მ ო ხ უ ც ი

პირველ წერილში რაც დაწერა, წაშალა მეფემ, ხოლო მეორე, სულ სხვა, შენთან გამომატანა.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

წერილში იყო ბრძანებული, რომ სასიკდილოდ გამოეძახათ სასახლიდან ჩემი ასული?

მ ო ხ უ ც ი

პირველ წერილში არ ბრძანებდა ასულის სიკვდილს; ჯერ კიდევ მეფეს სიკეთისთვის არ ეღალატნა.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

უსტარი იგი სად წაიღე, რად დაახანე, რად არ გადმომეც ის წერილი დაუყოვნებლივ?

მ ო ხ უ ც ი

მენელაოსმა გამომტაცა ხელიდან ძალით.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

ჰოი, ასულო, ნერეიდის ჩამომავალო, ოჰ, პელევსის ძევ, რა მოწევნილა თავსა ჩვენსა, ხედავ, რა ხდება?

ა ქ ი ლ ე ვ ს ი

თანამწუხარე ვარ მე შენი მწუხარებისა, ამ საქმის მხილველს მრისხანებით მევსება გული.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

შენი ქორწილი ჩემ ასულზე იმისთვის შეთხზეს, რომ ამ გზით მსხვერპლად შეეწირათ ჩემი ასული.

ა ქ ი ლ ე ვ ს ი

ამიერიდან შენს მეუღლეს პატივს არა ვცემ. წყეულიმც იყოს! აწ მიიზღავს საკადრისს ჩემგან.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

არ ვითაკილებ და მუხლებში ჩაგივარდები,
უკვდავ ქალღმერთის მოკვდავო ძევ, ვით გექედმაღლო?
რაა დედისთვის საზრუნავი, შვილზე უფრორე?
ქალღმერთის ძეო, მწეო ჩემო, დადექ ჩემს გვერდით
ამ გასაჭირში და დაიცავ ასული იგი,
ვინაც ამაოდ, გარნა წრფელად შენ გეპატარძლა
და ვისაც აქეთ საქორწინოდ მოვაჩქარებდი;
მომიყვანია თავად, თურმე, სასაკლაოზე.
თუ მას დაიცავ, სირცხვილისგან დაიცავ თავსაც.
შეეუღლე მას და იმისსა უბედობასაც.
ჩამომავლობამ, ვაჟკაცობამ, ღირსების ძალამ,
ვალმა დედისამ ჩაგაგონოს შურისძიება,
რათა სახელი რაინდული შენი გშვენოდეს.
ჩემი ბომონი შენს ფერხთაა, მწედ გრაცხავ ჩემდა.
აგამემნონი კი ეძიებს ოდენ დიდებას.
აწ გავრიყულვარ სრულად მისგან და შენ გთხოვ შველას,

ის ბოროტია და ამაყი, ხსნას შენგნით ველი.

გ უ ნ დ ი ს წ ი ნ ა მ ძ ღ ო ლ ი

ოჰ, სალმობანი ორსულისა, შობისმიერნი,
მასშია წყარო სიხარულის და სალმობისაც!

ა ქ ი ლ ე ვ ს ი

აჰა, აღივსო გული ჩემი სიამაყითა!
რაჟამს იფეთქებს მრისხანება ან სიხარული
დიდი ჩვენს გულში _ გვამრთებს დიდი ზომიერება.
უნდა ახსოვდეს მოკვდავს ესე უბრალო მცნება,
რომ არასოდეს არ გადასცდეს გონების სამანს,
თუმცაღა განსჯა ხშირად გვართმევს სიამოვნებას,
რადგან საჭიროს სასურველზე მაღლა ვაყენებთ.
აღმზრდელი ჩემი ქირონია, მის სწავლათგან
უბრალოება მისწავლია უპირველესად;
თუ დავინახავ სამართლიან საქმეთ ატრიდთა,
მათ გზას გავყვები, თუ არა და, ბიჯსაც არ გავდგამ.
თავისუფლებას ვერც ტროაში ხელყოფენ ჩემსას,
ვერც თუ არესის შუბის პყრობას დამიშლის ვინმე.
შენ კი, ბედკრულო, გაწირულო მოყვასისაგან,
რაც ძალი შემწევს, ჭაბუკური ძალმოსილების,
თანაგრძნობას და სიმამაცეს არ დავიშურებ,
რომ ნაჯახის ქვეშ არ დაეცეს შენი ასული.
ეგრე ვაგლახად აქილევსი არ გაებმება
შენის მეუღლის ვერაგულად გაბლანდულ ქსელში.
შვილის მკვლელია, შერისხული მამაა იგი,
თუნდაც რომ ხელი საჯალათოს არ ახლოს ნაჯახს.
მე კი არასდროს არ ამცდება სინდისის ქენჯნა,
თუ ამ ვერაგულ, ცრუ ქორწილში ჩემი სახელით
შეიტყუებენ და დაკლავენ უბედურ ქალწულს:
ვაი, სირცხვილო, ლაფს რომ ასხამ მეფურ ღირსებას!
ო, მაშინ ვიყო უმდაბლესი არგოსელთ შორის,
არარა, მღილი, როგორც თავად მენელაოსი
და არა შურის მიმგებელი ძე ატრევსისა,
თუ ვაჯალათო ქმარი შენი ჩემის სახელით.
ოკეანოსის ქაფით ნაშობ ნერევსს ვფიცავარ,
თეტისის მამას, თეტისისა, რომელმან მშობა, _
ხელს ვეღარ მიჰყოფს ასულს შენსას აგამემნონი,
ვერ შეეხება საავკაცოდ სამოსელს მისას,
სიპილოსია ბარბაროსთა ქალაქი ძველი,
სადაც ბოგინებს ეგევითარ სარდალთა მოდგმა,

ფთია კი აღარ, საამისოდ აროდეს თქმულა.
ვერა, კალქანტი ვერ ჩააბნევს ურნაში ფერფლსა _
ავი მისანი; ან კი იგი რა მისანია,
კანტიკუნტად თუ განაცხადებს ჭეშმარიტს რასმე,
უმეტესწილად კუდს სირცხვილით ამოიძუებს.
ამით შენს ასულს ვუმიზნებდე _ ეგ არ იფიქრო;
თუმც, არ ვიკვეხნი, ბევრი ნატრობს სარეცელს ჩემსას.
არსაკადრისი რამ მაკადრა აგამემნონმა,
მართებდა თხოვნა, თუღა სურდა ჩემი ქმრად ხმობა
ასულისათვის. უწინარეს თვით კლიტემნესტრა _
დედაუფალი, მომანდობდა მე ასულს თვისას,
პატარძალს თავად წარვუდგენდი მერმე ელინებს,
თუ შეიკვროდა უამისოდ ილიონის გზა.
საერთო საქმის მსახურება ვალია ჩვენი.
აწ კი არ ძალმიძს მთავარსარდლებს მე მივუტევო
ესე ყოველი და პასუხი არ ვაგებინო.
ვგონებ, ბრძოლამდე აქ შევღებავ ჩემს მახვილს სისხლით,
ვიდრე ბრძოლაში განვგმირავდე პირველ ფრიგიელს.
მაგრამ ვაგლახად ასულს შენსას ხელს ვერ ახლებენ.
იყავ გულმშვიდად, დედოფალო, და თუმცა მშველელ
ღმერთად დამსახე, ღმერთი არა ვარ, მაგრამ გიშველი.

გ უ ნ დ ი ს წ ი ნ ა მ ძ ღ ო ლ ი

პელევსის ძეო, სიტყვა წარსთქვი შენ შენივ ღირსი
და ზღვისმიერი სათაყვანო დედაღმერთისა.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

ეჰა, რა მწირი, უგერგილო არის სიტყვები,
დაღუპვისაგან გადარჩენის სამადლობელოდ.
კეთილშობილ კაცთ მოჭარბებით არა სთნავთ ქება,
არას აქნევენ მაქებარებს თავად ქებულნი.
მრცხვევნიან კიდეც, შენს წინაშე ცრემლებს რომ ვაფრქვევ.
ჩემი წუხილი, გასაჭირი უცხოა შენთვის.
მაგრამ თავს იმით ვინუგეშებ, რომ ღირსეული
კაცის ვალია შეჭირვებულს სცეს ნუგეშინი,
როგორაც სწორედ ჩემს უმწარეს ხვედრს იზიარებ.
თუმცა მეგონა ჭეშმარიტი ეგ ქორწინება,
ახლა კი ვხედავ, რომ საგლოვო პროცესიაა
და განსვენება განწირული ქალწულის ოდენ.
დაე, კეთილად აღესრულოს შენი ნათქვამი,
ჩემი ასულის გადარჩენა შენ შეგიძლია.
დაშთება იგი გულმხურვალე მლოცველად შენდა,

მხსნელის მუხლებთან დაეცემა, თუკი უბრძანებ,
ან თუ მის მოსვლას აქ ინებებ; თუმც ქალწულისთვის
სათაკილოა, _ მოვა შენთან, დახრის წამწამებს
და თუ იმ მოსვლას არ მოითხოვს საჭიროება,
დარჩება სახლში ოდენ შენი ბრძანებისამებრ;
მოკრძალება ხომ ძლიერებას ემორჩილება.

ა ქ ი ლ ე ვ ს ი

ნუ გამოაჩენ ასულს შენსას ჩემს თვალთა წინა
და ბრბოის ენის სათრევლად ნუ გავხდით იმას,
მთელი არგოსი თვისი ჯარით ახლა აქ არის
და დაჯოგებულ ხალხის ენას სჭირს ავყიობა.
ჩემი მახვეწარ-მავედრალი ჩემივ ტოლია
და თუ თავად მარცხს არ ვეწიე, გპირდები მტკიცედ,
რომ აგაშორო, რაგინდ დიდიც იყოს ხიფათი.
ისმინე ესე, ვით დასტური და არნაჭორი,
ხოლო თუ სიტყვა გამიცუდდა ფუჭად დამაშვრალს,
მოვკვდები მყისვე, ცოცხალი კი ვაცოცხლებ ასულს.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

ძლიერიმც იყავ უძალოთა მწედ და ნუგეშად.

ა ქ ი ლ ე ვ ს ი

ახლა მისმინე, რათა საქმე წარმართო უკეთ.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

მარქვი, მოსმენა რისი მმართებს? მზადა ვარ სმენად.

ა ქ ი ლ ე ვ ს ი

ვცადოთ, ეგების დაჰყვეს მამა კეთილ არჩევანს.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

მხდალია იგი, თავისივე ჯარის მოშიში.

ა ქ ი ლ ე ვ ს ი

ეგებ, განსაჯოს სიტყვამ სიტყვა და დააურვოს.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

ამის იმედი თუმც არა მაქვს, გიჯერებ მაინც.

ა ქ ი ლ ე ვ ს ი

ჯერეთ მეუღლეს შეავედრე ასული შენი,
ეახელ მეფეს, იღონიე ყოველი ღონე,
და თუ ვერა-რა შეაგონო, კვლავ მოდი მაშინ

და ისევ ჩემთან მოიძიე ხსნა და მწეობა.
თუკი ისედაც გაიმარჯვებს გონიერება,
არ წავიკიდებ მაშინ მტერად მეგობარ მეფეს,
და არცა ლაშქარს აღვაბორგებ მოჯანყეობით.
აღესრულება საქმე მოყვასთ საკეთილდღეოდ,
თუ, რა თქმა უნდა, გაიმარჯვებს გონიერება.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

სასარგებლოდ და ბრძნულად მიჩანს ეგ შენი აზრი,
მაგრამ თუ ჩემთვის სასიკეთოდ არ აღესრულა,
კვლავ სად გეძიო, შავბედისამ, სად დაგიგულვო,
ვითარცა მწედ და ნუგეშინის მცემელად ჩემდა?

ა ქ ი ლ ე ვ ს ი

როცა საჭირო შეიქმნება, დაგიცავს მცველი,
ოღონდაც ახლა დანაიდებს შიშით და ვიშით
ნუ ეახლები, ნუ შეარცხვენ მშობლიურ კერას,
ნუ გადააგდებ ტინდარევსის უბადლო სახელს
ბრბოის სათრევად... პატივი ეც დიად ელადას.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

თქმული შენი და ბრძანებული შენ აღასრულე,
და თუკი ღმერთნი სამართლიან კაცთა სწყალობენ,
გწყალობდნენ შენაც! თუ არა და _ ფუჭია გარჯა.

მ ე ს ა მ ე ს ტ ა ს ი მ ო ნ ი

გ უ ნ დ ი

ს ტ რ ო ფ ი

საქორწინო ლიბიური ლოტოსებიდან,
მეფერხულეთა კითარებიდან,
სვირინგებიდან გადმოიღვარა
გალობა ტკბილი.
აქ პელიონის ღვთიურ ნადიმზე,
განსადიდებლად პელევსისა მოდგნენ ქალწულნი _
თმაშეზვინული პიერიდები
და საქორწილო როკვით აღბეჭდეს
ოქროს სანდლების ნაფეხურები.
იმღერდნენ ტკბილად ეაკის და თეტისისათვის.
კენტავრის მთებით
პელიონის ტყეებს სწვდებოდა ხმათა ღარღილი.
დარდანის ვაჟი,
განიმედი,

დიადი ზევსის სალაღობოდ
ნექტარს ასხამდა
ლამაზმუცელა ოქროს დოქებში.
ვერცხლისქვიშიან სანაპიროზე
ორმოცდაათი ნერეიდა, _
ორმოცდაათი
ბროლის ქალი
როკვიდა წრეზე.

ა ნ ტ ი ს ტ რ ო ფ ი

ნაძვის რტოების გვირგვინებით,
საზეიმო სვლით
კენტავრები ღმერთთა ნადიმზე
მიეახლნენ ბაკქოსის ჭიქებს.
ხმა აღავლინეს:
“ო, ასულო ნერევსისაო,
შენს ვაჟს აუწყა თესალიაში
ფებოსის მუზის მზიარებელმა, დიდებულმა
ქირონმა: განდიდდებაო ვაჟკაცი იგი,
ვინც მირმიდონელთ
ჯარის ფარებით
გადაფარავს
პრიამოსის ქებულ ქვეყანას.
აღეჭედება იმ რაინდს ტანი
ოქროს აბჯარით,
ჰეფესტოსმა რომ გამოჭედა
და საჩუქრად
მიუბოძა დედა თეტისმა”.
ასე ლაღობდნენ
სანეტარო წვეულების ჟამს დაიმონთ დასნი,
ნერეიდების მაყრიონი ალხენდა ოდეს
პელევსის ქორწილს.

ე პ ო დ ო ს ი

შენ კი, ასულო,
შეგიმკობენ თმებს არგიველნი,
ლამაზ გვირგვინით,
გამოგდენიან დასაკლავად,
ვით მღვიმიდან ხალიან ირემს
და შენი სისხლის ნაზი წვეთები
დაეცემიან მწვანე მინდორს მკვდარ ყვავილებად.
ოჰ, ეს შენ... ვინაც ინაქიდთა

ქორწილისთვის იყავ შობილი...
და ჯერ არც დედის გალიაკსა მოშორებიხარ
და უბირ მწყემსთა სირინგთა ხმაც არა გსმენია.
ვერც კდემამ, ვერცა სათნოებამ,
ვერცა სინორჩემ ვერ დაგიფარა.
სიკეთეზე ძალმომრეობს ძალ-უხეშობა
მოკვდავთა შორის,
კანონზე კი _ უკანონობა.
ნუთუ მოკვდავთა ამ სისხლიან ბოროტ ასპარეზს
არ შემოსწყრება ღვთიური თვალი?

მ ე ო თ ხ ე ე პ ი ს ო დ ი ო ნ ი

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

სახლიდან გარეთ გამოვსულვარ, მეუღლეს ვეძებ,
რად დაუგდია ამდენი ხნით კარავი თვისი!
ცრემლად იღვრება უბედური ასული ჩემი,
ის მონებს სიკვდილს, მამამისმა რომ დაუდგინა.
აჰა, ჩქამი რამ შემომესმა შორიახლორე,
აგამემნონის ფეხის ხმაა, გავიგო ერთი
გულს რა სიავე ჩაუდია შვილის მოსისხლეს.

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

რა კარგ დროს შეგხვდი, მშვენიერი ლედას ასულო,
სახლიდან გარეთ მარტოდმარტო რომ გამოსულხარ,
რადგან პატარძალს არ შეჰფერის ყური დაგვიგდოს.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

ახალს რას მეტყვი, რას წერს ჩვენთვის ბედის მწერელი?

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

ასული უნდა გაატანო სახლიდან მამას.
საწეს-სალხინოდ ყველაფერი უკვე მზად არის, _
წმიდა პურ-წყალი ნაკურთხევი, განსაწმედელი
და ქალღმერთისთვის შესაწირი დიაკეულნი,
ყურყუმა სისხლი რომ დასთხიონ ატემისისთვის.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

რიგიანია სიტყვა შენი, მაგრამ არ ვიცი,
ასევე საქმეც რიგიანი არის თუ არა.
ჩემო გოგონა, მოდი აქა, შენ უკვე უწყი
მამის ზრახვანი, აღიყვანე ხელში ორესტეც,
შენი პატარა ძმა, ჯერ ნორჩი, ტანთშეფუთვნილი.

აჰა, მეფეო, უენო და მორჩილი ბავშვი!
ორთავეს სათქმელს მე თვით გეტყვი _ ჩემსაც და მისსაც.

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

ო, ბავშვო ჩემო, რადა სტირი, რად ხარ მწუხარე,
თავი მიწისკენ დაგიღია, იფარებ პეპლოსს.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

ვაგლახ მე!
რომელი ჭირი ვიმჯობინოთ ჭირთმრავლობაში,
არ აქვს სამანი სალმობათა კიდეგანობას,
ყველგან ფსკერია და ნაპირი არსაით ჰგიეს.

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

რა მოგივიდათ, თითქოს ერთად შეგიკრავთ პირი,
თვალები თქვენი შეშფოთებას და შიშს ამხელენ.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

ღირსეულია კითხვა ეგე მეუღლისათვის.

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

მოეშვი ე მაგ ნართაულებს, მე მსურს პასუხი.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

გარნა არა გსურს მოაკვდინო გოგონა ჩვენი?

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

ვაგლახ!
ეგ ვითარ ხელიწიფე... გონს გარდასულხარ.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

იყავი მშვიდად,
კითხვას ჩემსას გაეც პასუხი.

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

მე თავად შენგან ვითხოვ პასუხს გონდაუნჯებით.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

ჯერ მიპასუხე, გეკითხები მართალს თუ არა?

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

ოჰ, ეს დიაცი ბედისწერა, ბედი, შავბედი!..

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

დედ-მამა-შვილის _ სამებისთვის აღძრულა იგი!

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

შენ ვინ გემუხთლა...

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

ესეც ჩემგან გინდა შეიტყო?
თავად არ გიჩანს, ვგონებ, პირი გონზე ყოფნისა.

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

დავიღუპენით... განზრახულნი ჩემნი უწყიან.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

ვიცი ყოველი, შემიტყვია, რის ჩადენაც გსურს,
თუმც თავად სდუმხარ, ყოველივეს ცხადად იტყვიან
ოხვრანი შენნი, ლაპარაკი არა გჭირდება.

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

დიახ, მე ვდუმვარ, საძრახია დია ეს საქმე _
კიდევ სიცრუვით დავამძიმო უბედურება?

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

დამიგდე ყური, გეტყვი სათქმელს დაუფარავად,
რის მაქნისია ქარაგმები, ან ნართაული.
ყოველს თავიდან მოგაგონებ, ჯერ იმას გყვედრი,
ძალადობით რომ წამიყვანე, შემირთე ცოლად,
როს ტანტალოსი მოაკვდინე, მეუღლე ჩემი,
ხოლო ნაყოფი ჩემეული, საშოსმიერი,
ძუძუს მომგლიჯე, უსუსური ობლად დააგდე.
კვალში ჩაგიდგნენ ჩემი ძმები, ზევსის ვაჟები,
თეთრი რაშებით მოგარბევდნენ და მოგყიოდნენ.
მაშინ ტინდარევსს _ მამას ჩემსას შევედრებულმა
დაიხსენ თავი და ამრიგად მე შენ გეცოლე.
იმ დღიდან, რაც შენს სასახლეში შემოვდგი ფეხი,
დამერწმუნები, ცუდ ცოლობას ვერ დამაყვედრი,
ვერ მიუფლებდნენ სიამენი აფროდიტესი.
ვედედაბოძე სახლსა ჩვენსა, გულდამშვიდებით
შეგეძლო წასვლაც, უდარდელად შინდაბრუნებაც.
იშვიათად თუ პოვოს ვინმემ ამგვარი ცოლი,
რადგან ცოლცუდნი არც თუ ისე იშვიათობენ.
ჯერ გაგახარე სამი ქალით, მერმე კი ვაჟით,
დღეს ერთსა მათგანს ასულთ შორის მართმევ უბედურს.
ო, მარქვი, რათა! თუმც პასუხი რა საჭიროა _
ელენე უნდა დაიბრუნოს მენელაოსმა
და კახპა დიაცს შეეწიროს უმანკო ქალი,

საბულველს უნდა ვანაცვალოთ უსაყვარლესი.
ჟამსა მას, ოდეს ლაშქრად წახვალ, მე შინ დამტოვებ,
მარტოდ დაშთენილს ამ ხანგრძლივი განშორებისას.
საგულეს გული ვით დამიდგეს, სახლში ვით გავძლო,
უნდა ვუჭვრიტო უბედურმა ცარიელ დღეებს,
უაზროდ ქცეულს ასულისა ჩემის გალიაკს;
მუდამ ცრემლებში დალტობილი დამცდეს სიტყვები:
“ო, ბავშვო ჩემო, მშობლის ხელით მოკლულო-მეთქი,
ოჰ, სწორედაც რომ მშობლის ხელით და არა სხვისა...
თვით კი სასახლე დაუტევა მან მწუხრეული”.
მაგრამ უწყოდე, ხელმწიფეო, საკმარისია
საბაბი მცირე, რომ მეცა და ჩემი ასულნიც,
ობლად შთენილნი, დაგხვდეთ ისე, ვითარცა ჯერ არს.
ღვთის გულისათვის, განერიდე წერას ბედისას,
არც მე მამთხვიო საქმე ავი, არც შენ იმთხვიო.
თუ ქალს შესწირავ, რა სიკეთეს მოიხვეჭ მაგით?
მსხვერპლად შეწირულ ასულის წილ რას შესთხოვ უფალს?
შენს სამარცხვინო გალაშქრებას და დაბრუნებას?
ან ეგებ, ჩემგან მოელი, რომ გზას დაგილოცავ?
ან რად მივდიოთ ღმერთთა ოდენ უძღებ სურვილთა,
რად ვესათნოოთ ბოროტეულ მათთა ზრახვათა?
თუ გულუწყალოდ მოგხედავენ, რად ვესათნოოთ?
თავად რა გულით ეახლები არგოსში ბავშვებს?
ამას ადათი აღგიკვეთავს. ან კი, მითხარი,
რომელი ბავშვი შემოხედავს ბავშვის მკვლელს ნდობით?
კი გიფიქრია შენ ამაზე? თუ მარტოოდენ
სამეფო სკიპტრა გედარდება და ხელმწიფება?
მართლისა მქნელი არგოსელებს ეტყოდა ესრეთ:
“თუ გსურთ შევცუროთ, აქაველნო, ფრიგიის მხარეს,
და თუ ეს ითხოვს მსხვერპლს ქალისას, დე, ვყაროთ წილი”.
მსხვერპლად შევწირო დანაიდებს ასული ჩემი?
მენელაოსმა ჰერმიონე შესწიროს თავის
მისივ ცოლისთვის, ელენესთვის, მე კი, სარეცლის
წმიდად დამცველმა ხამს გავწირო ასული ჩემი,
და თავად ის კი _ მოყივნებულ დიაცის პირმშო _
იყოს დღეგრძელი და სპარტაში განიხარებდეს?
თქვი, მიპასუხე, მართალს ვამბობ ამას, თუ არა?
თუ მართალს ვამბობ, ნუ იბრუნდებ, მოიეც გონი
და არ მოაშთო სიყვარულის ნაყოფი ჩვენი.

გ უ ნ დ ი ს წ ი ნ ა მ ძ ღ ო ლ ი

დაერწმუნე და იხსენ ბავშვი, საპირისპიროდ

ვერვინ რას გკადრებს, აგამემნონ, მოკვდავთა შორის.

ი ფ ი გ ე ნ ი ა

მომმადლებოდა ნეტავ, მამა, ორფევსის ნიჭი,
სიმღერით კლდეთა მოვიხმობდი ჩემად მხლებლებად
და ყოველ სიტყვას ჯადოქრულის ძალით განვბრძნობდი,
როდესაც შენთან მოვიდოდი. ახლა კი ჩემი
ძალი და ნიჭი ერთადერთი _ ცრემლია მხოლოდ.
სავედრებელი ვითა რტოი ზეთისხილისა
მიმოვერხევი შენსა მუხლებს მე _ ყლორტი შენი.
ნუ მკლავ უდროოდ, ნუ წამართმევ ჩემს წილ სიხარულს _
ვუმზერდე მზესა, მიწისქვეშეთს ნუ დამიბედებ.
პირველად მამა მე გიწოდე, შენ მე _ ასული!
არ გაგონდება, შენ მუხლებზე რომ მივცოცავდი;
შენ ამიყვანდი, მიცინოდი, მეფერებოდი,
მეუბნებოდი: “ნეტარ იმ დღეს, როდის ვიხილავ,
ოდეს მეუღლით შეიქნები სვებედნიერი,
იყვავილებ და ინაყოფებ ჩემდა იმედად”.
და მეც ალერსით მშობელს ყელზე გჭიდებდი ხელებს
ისე, ვით ახლა გიწვდი ხელებს... და გპასუხობდი:
“სხვა ვინა-მეთქი, თუ არა მე, ძვირფასო მამავ,
მიგიღებს სახლში სიყვარულით სიბერის ჟამსა
და სუსტ ხელებში მოგაწვდებს უყვედურ ლუკმას?”
ყოველი სიტყვა ხსოვნაში მაქვს მე აღბეჭდილი,
შენ კი უარყავ ყოველი და გსურს მომაკვდინო.
ნუ იზამ ამას, პელოპსა და ატრევსს გაფიცებ
და დედას ჩემსას, ვინაც ჩემი შობით ტანჯულა,
ჩემივ სიკვდილით დღეს მეორედ ნუღა დატანჯავ.
მე ალექსანდრეს და ელენეს ქორწილის გამო
რა ცოდვა მაწევს? რისთვის მერგო სიკვდილი, მამავ?
მოგვხედე ჩვენცა, გარდმოგვავლე წყალობის თვალი,
ანდა, თუ მომკლავ, ჩემთან ერთად მოკალ ალერსიც
ჩემი შენდამი, აწ რომელსაც ღალატობ აგრე.
შენ კი, ორესტევ, პატარა ხარ, არ ძალგიძს შველა,
მაგრამ იტირე მაინც ჩემთვის და შეევედრე
შენსა მშობელსა _ არ მოგიკლას იფიგენია.
ბალღები გრძნობენ სიავკარგეს, თუმც თქმა არ ძალუძთ.
შეხედე, მამავ, თუ ვით უხმოდ ლოცულობს იგი,
მოეგე ცნობას, დაიხსენი სიცოცხლე ჩემი.
შეგვედრებივართ სიყვარულით შენი შვილები,
ერთი უმწეო, უმრწემესი, ერთიც _ უფროსი.
ჩემმა სიტყვებმა გაჭრას, ნეტავ, და გავიმარჯვო.

ყველა სულდგმული განიხარებს სამზეოს ჭვრეტით,
გაურბის შავეთს, სიკვდილს შლეგნი ნატრობენ ოდენ.
მწირის სიცოცხლე მირჩევნია მკვდრისა დიდებას.

გ უ ნ დ ი ს წ ი ნ ა მ ძ ღ ო ლ ი

ელენე, კრულო! ავბედობა შენის ქორწილით
თავს დაატეხე ატრიდებს და ნაშიერთ მისთა!

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

სანაღვლოდ ჩემდა რა არის და რა არა _ ვუწყი,
შლეგი ხომ არა ვარ _ არ მიყვარდეს ასული ჩემი.
მაგრამ, მეუღლევ, გინდ საშიშო იყოს გაბედვად,
გინდ არ საშიშო, საქმე ესე ხამს აღსრულებად.
შენ ხედავ ლაშქარს, ხომალდებით გარემოცულთა,
სპილენძის ჯავშნით ტანშეაბჯრულ ელინთა სარდლებს,
არ გაეხსნებათ გზა ციხისკენ ილიონისა,
ვერცა დიდებულ ტროის კედლებს დაიუფლებენ,
ვიდრე ზვარაკად არ შეგწირავ კალქანტის რჩევით.
აფროდიტეს სულს აღუგზნია ელინთა ჯარი,
უნდათ სასწრაფოდ ბარბაროსთა მიადგნენ ნაპირთ,
რომ ელინ ქალთა გატაცება კვლავ ვერ გაბედონ...
ჩავლენ არგოსში, ჩემს ქალწულებს ყელებს დასჭრიან,
დაგვხოცვენ ჩვენცა, თუ დავურღვევ ქალღმერთს მისნობას.
მენელაოსის სურვილთ მონა არ ვარ, ასულო,
განა მის ნებას დავყოლივარ, მის რჩევას ვრჩეობ,
მე მსურს თუ არ მსურს _ შენ ელადა გირჩევს სამსხვერპლოდ.
ხოლო მე და შენ მის წინაშე არარანი ვართ.
შენაც, როგორც მე, ბავშვო ჩემო, თუ ამას ითხოვს
თავისუფლება ელადისა _ ხამს შევეწიროთ,
რომ ბარბაროსნი არ ჰბილწავდნენ სარეცელთ მისას.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

ოჰ, ბავშვო ჩემო, ოჰ, უცხოელნო!
უბედური სიკვდილის წილო,
დაგაგდო მამამ ჰადესის პირად.

ი ფ ი გ ე ნ ი ა

ვაიმე, დედავ! ერთმა შავბედმა
განგვიმეხა ორივეს ტანი.
აღარ არის ნათელი ჩემთვის,
აღარ არის მზეობა მზისა.
ვაგლახ, ვაიმე!
ოჰ, ფრიგთა მხარევ, იდის მთანო თავთოვლიანნო,

მანდ პრიამოსმა დედას აჰგლიჯა
უმწეო ბალღი, მეძუძური, მოსაკვდინებლად
გადააგდო ჩვილი პარისი. ის შეიფარა ნიმფა იდეამ,
მერმე ჰყვებოდნენ მასზე ამბებს ფრიგთ ქვეყანაში
და ის გადარჩა ოდენ ცოდვისთვის.
იალაღებზე მწყემსად იარა
და ალექსანდრედ სახელდებული
დაემკვიდრა თეთრ ჩქერალებთან,
სადაც ნიმფები
ყვავილებით გადაწინწკლულ ველებზე ჰკრეფენ
ველურ ვარდებსა და სუმბულებს
თმაშესამკობად; იქ ივანებდა
მაშინ პალასი და კიპრიდა, ხლართთა მბეჭველი,
ჰერა და ზევსის მაცნე ჰერმესი
აღეძრათ შუღლი სილამაზისთვის
ტურფა კიპრისსა, მერმე შუბოსან პალასსა
და უფალ ზევსის ცოლსა ჰერას
ურთიერთ შორის.
მათს საშიშ დავას სილამაზისთვის,
ჩემთვის ოდენ სიკვდილი მოაქვს,
ხოლო დიდება დანაელთათვის.
ო, ქალიშვილნო! მე დამდვეს მსხვერპლად
არტემისისთვის, გზის წარმართვად ილიონისა.
მამამ დამაგდო მე უბედური,
ო, დედა, დედა,
მან მიგვატოვა, დავგაგდო მსხემად.
ო, მე ბედმწარე! ო, შენ ელენე,
წყაროვ მწარე, მწარე ბედისა!
ოჰ, მე ვკვდები, მე ვიღუპები
ცივი მშობლის ცივ იარაღით.
ნეტა, ავლისის ნავთსაყუდელს
სპილენძისცხვირა ხომალდები
არ შეეხიზნა,
არ ჩაშვებოდათ წყალში ღუზა
ტროისაკენ მიმავალ გემებს,
არ დაებერა ავი პირბაქი
ზევსს ევრიპოსთან, რომელსაც ძალუძს
განუჩინოს ნაირ მოკვდავს
ნაირი ბედი,
ზოგსა ლხინი, ზოგს მწუხარება,
ზოგს ლაშქრობა,
ზოგს განზრახვა,

ზოგს აღსრულება.
მარვალტანჯული ჩვენი ტომის, დღეის დღისამდე
მრავალტანჯული ჩვენი ტომის
ვაჟკაცებს კიდევ
ეჭირვებათ უბედურება?
ვაგლახ! ვაგლახ!
დიდსა გლოვას და მწუხარებას განუმზადებს
დანაიდებს ტინდარეს ქალი.

გ უ ნ დ ი ს წ ი ნ ა მ ძ ღ ო ლ ი

საბრალობელო, ვწუხვარ შენდა, და ვიზიარებ
შენს მძიმე ხვედრსა,
განჩინებულს ფუჭად ეგოდენ.

ი ფ ი გ ე ნ ი ა

ო, დედავ ჩემო, მეომართა ჯგროს ვხედავ აგერ!

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

ქალღმერთის წულო, ბავშვო ჩემო, აქა ხარ შენა...

ი ფ ი გ ე ნ ი ა

მონებო, კარებს ნუ დამიხშობთ, დამმალეთ სადმე.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

რას გარბი, შვილო?

ი ფ ი გ ე ნ ი ა

აქილევსის ხილვა მრცხვენია.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

და რათა მერე?

ი ფ ი გ ე ნ ი ა

ამ ბედკრული ქორწილის გამო.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

მოკრძალებაში ამ მძიმე ჟამს არარა ჰყრია,
რადგან, გახსოვდეს, საქმე გახლავს დია უღირსი.

ა ქ ი ლ ე ვ ს ი

ლედას ასულო, ო, ბედშავო!..

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

მართალს იძახი!

ა ქ ი ლ ე ვ ს ი

რა ყვირილი აქვთ არგოსელებს?

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

ყვირილი? მითხარ...

ა ქ ი ლ ე ვ ს ი

ასულს ითხოვენ...

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

ავს მაუწყებს ეგ შენი სიტყვა.

ა ქ ი ლ ე ვ ს ი

ასულს ითხოვენ შესაწირად.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

ოჰ... ხსნა არ არის?

ა ქ ი ლ ე ვ ს ი

ბრბოის ცოფს თავად ძლივს დავუსხლტი...

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

როგორ თუ ძლივსა?

ა ქ ი ლ ე ვ ს ი

ჩაქოლვა სურდათ ჩემი.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

ასულს გამოესარჩლე?

ა ქ ი ლ ე ვ ს ი

გამოვესარჩლე.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

ჩაქოლვით ვინ გემუქრებოდა?

ა ქ ი ლ ე ვ ს ი

სრულად ელიწნი.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

თან არ გახლდნენ მირმიდონელნი?

ა ქ ი ლ ე ვ ს ი

პირველ მათ მიმტრეს.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

ვით გიშველო, ვაიმე, შვილო!

ა ქ ი ლ ე ვ ს ი

ქორწილი ავად გამიხსენეს.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

შენ რა მიყუგე?

ა ქ ი ლ ე ვ ს ი

არ დავთმობ-მეთქი საცოლეს ჩემსა.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

მართალიც გითქვამს.

ა ქ ი ლ ე ვ ს ი

ის ხომ თვით მამამ გამირიგა.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

იხმო არგოსით...

ა ქ ი ლ ე ვ ს ი

გარნა ბრბოის ხმა ვერ დავაცხრე.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

ბრბო ღრძო და ყრუა.

ა ქ ი ლ ე ვ ს ი

მაინც დავრჩები თქვენთან.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

ბრბოსთან ვით შეძლებ ბრძოლას?

ა ქ ი ლ ე ვ ს ი

იარაღასხმულს ხედავ ლაშქარს?

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

მძლემც იყო სულით!

ა ქ ი ლ ე ვ ს ი

ვიღონებთ რასმე.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

გადურჩება ასული დანას?

ა ქ ი ლ ე ვ ს ი

ვიდრე ცოცხალ ვარ, გადურჩება.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

ვინ მივა მასთან?

ა ქ ი ლ ე ვ ს ი

მოვა ჯარი და ოდისევსი.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

სისიფოსის ძე?

ა ქ ი ლ ე ვ ს ი

სწორედ ის.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

ჯარის სურვილით, თუ თავის ნებით?

ა ქ ი ლ ე ვ ს ი

თავისი ნებით.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

ოჰ, ბოროტი ნებაა ეგე!

ა ქ ი ლ ე ვ ს ი

მაგრამ მე აქ ვარ...

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

ძალმომრეობით ხელყოფს ქალსა?

ა ქ ი ლ ე ვ ს ი

ვაგლახ, რომ სწვდება ქერა თმაში.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

ვაჰ, რა ვიღონო!

ა ქ ი ლ ე ვ ს ი

მწედ ეყავ ასულს.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

მაგრამ სიკვდილს ვით ავარიდო.

ა ქ ი ლ ე ვ ს ი

სწორედ ეგ უნდა მოვიფიქროთ...

ი ფ ი გ ე ნ ი ა

მისმინე, დედა!
აწ შეიგონე თქმული ჩემი და ნუღა ყვედრი
მეუღლეს შენსას, მასაც უმძიმს ჩვენი ვარამი.
მოკეთეობით გულსავსეა ჩვენი სტუმარი,
მაგრამ ასევე ჩვენაც გვმართებს გონიერება,
რომ იგი მსხვერპლად არ მივუგდოთ გავეშებულ ჯარს.
მე ყოველივე განვიცადე, მისმინე, დედა.
ვეჭვობ, რომ სიკვდილს გადავურჩე; მწადიან კია,
არ მომეძალოს სულმდაბლობა უმძიმეს ჟამსა.
აწ მინდა გითხრა, რას იტყვიან ჩვენზე, დედაო.
სრულად ელადას მოუპყრია დღეს ჩემკენ თვალნი.
რომ ჩვენ გავუხსნათ გზა ხომალდებს ფრიგიისაკენ,
რომ დაისაჯონ ბარბაროსნი, ქალთმტაცებელნი.
რომ ხელი ვერ ჰყონ სატაციოდ დიად ელადას,
რომ თვით პარისმა ზღოს ელენეს წარტყვევნისათვის.
მე ვიღუპები, რომ ვიცოცხლო სათნოებისთვის
და თავისუფალს ვიგულვებდე ელადას ჩემსას.
სიცოცხლეს რისად გავუფრთხილდე, რისად ვიშიშო.
არ მხოლოდ შენთვის _ სამშობლოსთვის მშობე, დედაო.
ოდეს ვაჟკაცნი ათასობით ფარებს ისხამენ,
ასევე სხვანი ნიჩბის ტარებს ჩასჭიდებიან,
რათა სამშობლოს შემგინებელ მტერს ზედ შეაკვდნენ,
ვით დავაბრკოლო მე ისინი ჩემი სიცოცხლით?
არ ვარ მართალი, თუ სამართალს წინ აღვუდგები.
ან მარქვი, ჩემთვის _ ქალისათვის, რად შეებრძოლოს
ერთი ვაჟკაცი ამოდენა არგოსელ ლაშქარს,
როდესაც ქალთა მთელი ჯარი ერთ კაცად არ ღირს.
ეგეც არ იყოს, სხეულს ჩემსას თუ არტემისი
მოითხოვს მსხვერპლად, ვით ვეურჩო მოკვდავი ქალღმერთს?
თავს აღარ ვიცავ, სხეულს ჩემსას ვწირავ ელადას.
დამდეთ ზვარაკად, დაანგრიეთ ტროის კედლები
სახსოვრად ჩემდა, მოიპოვეთ თქვენ გამარჯვება.
ხამს, ელინებმა განუჩინონ წესნი ბარბაროსთ.

გ უ ნ დ ი ს წ ი ნ ა მ ძ ღ ო ლ ი

ო, რა ღირსებით აღსავსეა შენი არსება,
და რა უღირსი _ განჩინება ბედისწერისა.

ა ქ ი ლ ე ვ ს ი

ღმერთებს რომ ექნათ, ო, ასულო აგამემნონის,
ბედნიერს მყოფდნენ მე ისინი ამ ქორწინებით.

ხარ საშურველი ელადისთვის, ელადა _ შენთვის.
ღირსნი არიან ეგ სიტყვანი სამშობლოისა,
წინ არ აღუდექ შენ სულმოკლედ ღვთის განჩინებას
და ხვედრად იღე არჩევანი მკაცრი სიქველის.
ყველაზე მეტად დღეს მწადიან შენი ცოლობა.
რა შევიცანი სათნოების შენის ბუნება.
მომაპყარ ყური: მსურს გავირჯე შენს სასიკეთოდ
და შეგიფარო სახლსა ჩემსა და ვფიცავ თეტისს,
ხელს დამრევს სევდა უსაშველო თუ ვერ დაგიხსნი
და დანაიდებს მიგცემ უღვთო სიკვდილისათვის.

ი ფ ი გ ე ნ ი ა

აბა, რა მეთქმის გარემოცულს ეგეთი ზრუნვით,
მაგრამ ტინდარეს ქალიც კმარა, ვისი ტანისთვის
ატყდა მამრთ ჟლეტა ამოდენი; ნურც შენ, სტუმარო,
დაიღუპები ჩემთვის ფუჭად, ნურც სხვას დაღუპავ,
ელადის ხსნისთვის მეც მზადა ვარ _ ვით შემიძლია.

ა ქ ი ლ ე ვ ს ი

შენს სათნოებრივ ეგეოდენ გაბედულებას
ვერ დაგიზრახავ, ღირსეულად განსჯი, ასულო.
მაგრამ ეგების ჩაუფიქრდე მძიმე არჩევანს
და ეგ განზრახვა უმკაცრესი გადაიფიქრო?
თუ გირჩევნია რჩევა ჩემი, იცოდე მაშინ
აბჯარასხმული მივუდგები ბომონს კუთხეში
და უმალ, ვიდრე ხელს გახლებენ, აღვკვეთ სიკვდილსა.
ჩემი ნათქვამი დაიხსომე და როს ბომონთან
დაგემუქრება გაბასრული დანა სიკვდილით,
შენს დაძახილზე შევაჩერებ საშინელ საქმეს.
მე იქ ვიქნები აბჯროსანი ჯარით მოსული
და ერთი წამით თვალს სახილველს არ მოვაშორებ.

ი ფ ი გ ე ნ ი ა

ო, დედაჩემო, ეგრე უხმოდ დასტირი ასულს?

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

ნუთუ მიზეზი ტირილისა არ მაქვს უბედურს?

ი ფ ი გ ე ნ ი ა

კმარა... გულს ნუ მტკენ. ამისრულე ოდენ, რაც გითხრა...

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

თქვი, აგისრულებ... მშობელს ნურას დაჰყვედრი, შვილო...

ი ფ ი გ ე ნ ი ა

არცრა შეიჭრა, დედავ, თმები ნიშნად გლოვისა,
არცარა ტანი შეიმოსო შავი პეპლოსით.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

აბა, რას ამბობ, განწირულო ჩემო გოგონა!

ი ფ ი გ ე ნ ი ა

გლოვა ამცდება, იღორძინებს დიდება ჩემი.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

დასატირებლად შენს საფლავზე ნუთუ ვერ მოვალ.

ი ფ ი გ ე ნ ი ა

ვერა, რამეთუ არ მექნება საფლავი, დედა!

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

სად გაგონილა უსაფლავოდ მიცვალებული?

ი ფ ი გ ე ნ ი ა

მე ზევსის ასულს დავეკმევი ღვთიურ ბომონზე...

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

ოი, მენიშნება ეგ სიტყვები, ასულო ჩემო!

ი ფ ი გ ე ნ ი ა

უსაყვედუროდ ვკვდები, დედავ, ელადისათვის.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

რას დაუბარებ, რა გადავცე შენს ძმასა და დებს?

ი ფ ი გ ე ნ ი ა

არ დაიდარდონ, არ ჩაიცვან შავები ჩემზე.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

შენი ალერსი, სურვილები მათ არ გადავცე?

ი ფ ი გ ე ნ ი ა

კარგ ბედს ვუსურვებ... ორესტეს კი _ დავაჟკაცებას.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

გადაეხვიე შენს ძამიკოს უკანასკნელად!

ი ფ ი გ ე ნ ი ა

შენ ხომ ბოლომდე მიერთგულე, როგორც შეგეძლო.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

არგოსს ჩასულმა ჩავიტანო შენი სალამი?

ი ფ ი გ ე ნ ი ა

ჰო, ნურც მამაჩემს შეიძულებ, მეუღლეს შენსას.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

ოჰ, არ ასცდება მას სასტიკი ზიზღი, მტერობა.

ი ფ ი გ ე ნ ი ა

მშობელის ხელით ელადა მკლავს და არა მამა.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

ტყუის ატრევსის ნაშიერი, რიოში ეგე!

ი ფ ი გ ე ნ ი ა

ვინ მეახლება, როცა თმებში ხელს ჩამავლებენ?

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

მე დაგიდგები გვერდით, შვილო...

ი ფ ი გ ე ნ ი ა

ეგ არ ეგების!

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

მაგრად ჩაგჭიდებ ხელს კაბაში...

ი ფ ი გ ე ნ ი ა

ო, დამიჯერე! _
უმჯობესია ეს შენთვის და ჩემთვისაც, დედა!
არავინ მეფის ამალიდან არ მეახლება,
მარტოს დამცემენ არტემიდეს ჭალაკში დანას.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

ოჰ, მიხვალ შვილო?..

ი ფ ი გ ე ნ ი ა

მივალ, დედა... სამარადისოდ...

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

მაშ, ტოვებ დედას?

ი ფ ი გ ე ნ ი ა

ვტოვებ, მაგრამ არ მიძღვის ბრალი.

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

ოჰ, შეიცადე!..

ი ფ ი გ ე ნ ი ა

ამაოა უკვე, გოდება...
თქვენ კი, ქალწულნო, აღავლინეთ ლოცვა მხურვალედ,
სძღვენით პეანი თქვენს არტემისს, ასულს ზევსისა.
ჩემი ხვედრისთვის, დღეგრძელ იყვნენ დანაიდები!
დააგზნეთ ცეცხლი, გადმოღვარეთ პროქიტებიდან
განსაწმენდელი ზეთი... ხოლო მარჯვნივ სამსხვერპლოისა
დადგეს მამა და... მე, ვითარცა მხსნელი ქალწული,
დავეწინდები ჩემს ელადას ჩემი სხეულით.

მ ე ო თ ხ ე ს ტ ა ს ი მ ო ნ ი

ი ფ ი გ ე ნ ი ა

ს ტ რ ო ფ ი ა

მაშ, წამიყვანეთ ილიონის
და ფრიგიის დამამხობელად,
მინდვრის ყვავილთა
გვირგვინებით შემიმკეთ შუბლი,
მიმაახლეთ ღვთიურ ჩქერალებს.
მოაწყდით ტაძარს არტემისისა,
ტაძარს ზენაარ არტემისისა.
მოდით, ნეტარი არტემისის ბომონთან, მოდით!
დაჰკრავს ჟამი და სამსხვერპლო სისხლით
განვიბანები,
ორაკულის ბრძანებისაებრ.

ა ნ ტ ი ს ტ რ ო ფ ი ა

ო, დედაო, დედაუფალო!
ვერ იხილავ ცრემლს ჩემს თვალებზე.
წმიდა საწირავს არ შეჰფერის ცრემლების ფრქვევა.
ჰეი, ასულნო,
შემოგროვდით ქალკიდის პირად
და არტემისს ამცნეთ სიმღერით,
თუ ვით ამაღლდა შუბების ტყე
ჩემის წყალობით
ქარაფოვანი ავლისის წყლებში.
ო, დედულეთო,
ტკბილო მიწავ პელასგიისა

და შენც, მიკენო, აღმზრდელო ჩემო!

გ უ ნ დ ი

ეს... შენ მოუხმობ
პერსევსის ქალაქს,
აღშენებულს კიკლოპთა ხელით?

ი ფ ი გ ე ნ ი ა

განსადიდებლად ელადისა დავბადებულვარ,
მისთვის სიკვდილსაც არ დავიშურებ.

გ უ ნ დ ი

არ მიგატოვებს შენ დიდება ამიერიდან.

ი ფ ი გ ე ნ ი ა

იო, იო!
გემშვიდობები,
საქორწინო ჩირაღო ჩემო,
ცეცხლო ზევსისა, სხვა სიცოცხლეს,
სხვა ცეცხლკერიას განმიმზადებს წერა ბედისა.
გემშვიდობები, ნათელო ჩემო.

გ უ ნ დ ი

ს ტ რ ო ფ ი ბ

იო, იო!
აჰა, იხილეთ ილიონის
და ფრიგიის დამანგრეველი.
ვით მოვალს იგი გვირგვინით შუბლზე
დაპკურებული ნაკურთხი წყლებით.
მალე ბომონს ღვთაებისა
გაღებავს სისხლი,
ტურფა სხეული რომ გარდმოაქცევს
უწყალო დანით ხმაჩახშობილ ნაზი ყელიდან...
ოჰ, მამისეულ საღვთო წყლებით განბანენ მერმე...
ესე სწადია აქაველ ლაშქარს,
ილიონისკენ წარმატებით რომ გაილაშქროს.

ა ნ ტ ი ს ტ რ ო ფ ი ბ

ო, არტემისო,
ზევსის ასულო,
უნეტარესო,
შეამსუბუქე ო, დედუფალო, ჩემი შეწირვით
მოკვდავთა ხვედრი, ფრიგთ ქვეყანაში

ელინთა ჯარი
შემოაწყვე ძნელმისადგომ ტროის გალავნებს.
შუბით მოიმკოს აგამემნონმა
ქების გვირგვინი ელადისათვის
და თავსა ედგას
დაუჭკნობლად მრავალჟამიერ!

ე ქ ს ო დ ო ს ი

მ ა ც ნ ე

ჰე, კლიტემნესტრა, ნაშიერო ტინდარევსისა,
გამომეზრახე, გამობრძანდი სახლიდან გარეთ!

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

შენი ხმა მესმა, მეძახოდი... და მეც აქა ვარ,
გული მიჩქროლავს ავბედითად და შიში მიპყრობს.
რისთვის მომიხმე, მარქვი, ხომ არ მოგიტანია
რამე ამბავი...

მ ა ც ნ ე

დიახ, შენი ასულისათვის
ამბავი დია საკვირველი მომიტანია...

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

მარქვი ყოველი დაწვრილებით, დაუყოვნებლივ.

მ ა ც ნ ე

ო, დედუფალო, ყოველივეს მოგითხრობ წვრილად,
თავით ბოლომდე, უცაბედად მეხსიერებამ
თუ არ მიმტყუნა, ანდა ენა თუ არ წამერთვა.
რომ ქალი შენი არტემისის, ზევსის ქალწულის
ყვავილნარიან ჭალაკებში მე მივიყვანე,
იქ შეგვეგება აქაველთა უშქარი ჯარი
და ბრბო დიდძალი, კიდით-კიდე შემოგროვილი.
აგამემნონმა რა იხილა, მსხვერპლშესაწირად
წმიდა ჭალაკზე მომავალი ასული თვისი,
სახეზე მჯიღით მოიფარა წამოსასხამი,
უკუშებრუნდა და აღმოხდა ქვითინი მწარე.
მაგრამ ასული მიეახლა მშობელს სათუთად _
ნუ დარდობ, მამა, არ გიძღვისო ბრალი ამაში,
ჩემმავე ნებამ გადაწყვიტა ეს ყოველივე
და ამგვარ ხვედრის არჩევანი ჩემი არისო.
შემიწირია მამულისთვის სიცოცხლე ჩემი,

სრულად ელადას ტკბილ-მშობლიურს ვუძღვენო თავი.
ამირჩევია ჩემივ ნებით საღვთო ბომონი,
დე, აღსრულდესო ნამისნევი ორაკულისა.
თქვენ ყოფილიყოთ ბედნიერნი, დე, გამარჯვება
ვითარცა ჯილდო, დაგეწინდოთ შინ დაბრუნებულთ,
მე კი აქ ნუვინ შემეხება არგიველთაგან _
თვით გავიწვდიო სამსხვერპლოზე კისერს მორჩილად.
რა ეს თქვა, სივრცე შეარყია ბრბოის ყიჟინამ,
სათნო ასულის სიმამაცით გაოცდა ყველა.
შუარე მდგარმა წესთგამრიგე ტალთიბიოსმა
წესრიგისათვის მოუწოდა აზვავებულ ბრბოს.
ამოაშიშვლა ქარქაშიდან კალქანტმა ხმალი
მოვარაყებულ კალათებთან დასდო უჩუმრად
და მერმე ასულს მიეახლა, დასდგა გვირგვინი.
ბორიალობდა ბომონის წინ პელევსის ვაჟი,
ნაკურთხი წყალით ასველებდა ლამაზ კალათებს,
თან ავედრებდა ქალღმერთს ესრეთ: _ ჰოი, ქალწულო,
ზევსის ასულო, ღვთიურ შუქს რომ წყვდიადზე განფენ,
იწირე ესე საწირავი, რომელსაც გწირავს
ლაშქარი ჩვენი და ხელმწიფე აგამემნონი, _
უმწიკვლო სისხლი ბროლის ყელით გარდმოქცეული.
გზა უხიფათო დაუბედე ხომალდებს ჩვენსას,
და მოგვეც ძალი, დავაჩოქოთ ტროა შუბებით!
თავი დაეღო აგამემნონს და სრულად ლაშქარს...
ქურუმმა ლოცვა აღასრულა, აღიღო ხრმალი,
თვალით მოზომა თვინიერი მსხვერპლის კისერი.
ოჰ, მე იქ ვიდექ, სახილველმა წარმიღო გონი...
და საავბედოდ ჩამოვარდნილ ყრუ სიჩუმეში
ანაზდეულად საკვირველი გაისმა ჩქამი,
ავიღე თავი... აღარ ჩანდა აღარაფერი.
ხმა წასკდა ქურუმს და ლაშქარზე განივრცო ექოდ...
ხმა იგი თითქოს იყო ღვთისა... სხვა თავად ვნახეთ,
და რაიც ვნახეთ, იმ ხილულის ახლაც არ მჯერა,
ოღონდ ხილული ჭეშმარიტად საკვირველ იყო:
ბომონის კიდით გართხმულიყო ფური ირემი
და მოცახცახე სხეულიდან სდიოდა სისხლი.
ჟამსა მას ქურუმს სიხარულის აღმოხდა სიტყვა:
ჰე, აქაველთა ჯარებო და ჯარის სარდალნო,
თქვენ დაინახეთ თუ ირემმა, მთას მორონინემ,
ვით გაუწვდინა დასაკლავად ბომონს კისერი.
თავად ქალღმერთმა არ შებღალა სისხლით სამსხვერპლო,
საღვთო ტარიგით გზა გაგვიხსნა ილიონისკენ

და ქარკეთილი დაგვიბედა გზათ გასრულებად.
ჰე, ზღვაოსანნო, მამაცურად გაისარჯენით,
ყველა საომრად მოემზადეთ და სამამაცოდ
და ნავ-ხომალდებს მიაშურეთ, უნდა დავაგადოთ
ავლისის კლდენი, ეგეოსით ზღვა გავასრულოთ.
რაჟამს ტარიგი ჰეფესტოსის ალმა დანავლა,
ქურუმმა ლაშქარს დაულოცა დაბრუნების დღე.
მე კი ხელმწიფემ გამომგზავნა, რათა ღმერთთაგან
ასულის შენის შეწყნარების ამბავი მეთქვა,
რაც სასახელოდ აღესრულა ელადისათვის.
დასტურ გიამბობ ყოველივეს და არ ნაჭორად, _
ღმერთებმა ცხადლივ აღიყვანეს შენი ასული;
ნუ იტანჯები, მეუღლესაც ნუღარ ემდური,
სასოწარკვეთილთ უსასოოდ არ დატოვებენ
მაღალნი ღმერთნი და მზე იგი მწუხრეულ დღისა,
შენი ქალისთვის ჩამავალი, კვლავ აღმოხდების.

გ უ ნ დ ი ს წ ი ნ ა მ ძ ღ ო ლ ი

ო, ვითარ ვხარობ ამ უწყებით, რომ მეფის ასულს
ღმერთთა მაღალთა საუფლოში დაუდევს ვანი!

კ ლ ი ტ ე მ ნ ე ს ტ რ ა

მართლა ღმერთების ნადავლი ხარ, ჩემო გოგონა?
საით გეძახო? საით მოგნახო?
შენამდე აღწევს სიტყვა ჩემი თუ ქარდაქაროობს?
ნუგეშინი ვინ მცეს მწუხარეს?

გ უ ნ დ ი ს წ ი ნ ა მ ძ ღ ო ლ ი

აგერ, გვეახლა თავად მეფე აგამემნონი,
იგი დასტურჰყოფს თქმულ-გაგონილს თვისის ნათქვამით.

ა გ ა მ ე მ ნ ო ნ ი

ო, დედოფალო, ბედნიერგვყო ასულმა, ვისაც
ამიერიდან ღმერთთა შორის დაუდევს ვანი.
ხელი მოჰკიდე ჩვენს პატარა ბოკვერს ლომისას
და წაიყვანე. დადგა ჟამი დავიძრათ ზღვებით.
იყავ ბედნიერ! გამარჯვებით შინ ჩამოგსვლოდე
ტროადან, ხოლო შენაც მრთელი შინ დამხვედროდე.

გ უ ნ დ ი ს წ ი ნ ა მ ძ ღ ო ლ ი

სვებედნიერად მიგეღწიოს ფრიგიის მხარეს, ატრევსის ძეო,
შინამც ბედნიერ მოსულიყავ,
დიდების დავლით მოსულიყავ შორი ტროადან!

თარგმნა გიგლა სარიშვილმა

ბაკხოსის მხევლები

მოქმედი პირნი:

dionise	Msaxuri
gundi	macne
tiresia	meore macne
kadmosi	agave
penTevsi	

პროლოგოსი

დიონისე

მე, დიონისე, ზევსის შვილი, მივადექ თებეს,
სადაც ასულმა კადმოსისამ, დედა სემელემ
მოილოგინა და დამბადა მეხისტეხაში.
აწ შემიცვლია ღვთაებრივი, უკვდავი სახე,
მოკვდავთა აღით მოვევლინე დირკეს წყაროსთვალს,
ისმენეს ჭალებს, სადაც დედა განგმირა მეხმა.
ვხედავ მის საფლავს, აკვამლებულ ნასახლარს ვხედავ:
კვლავ ღვივის ცეცხლი, ზევსის ცეცხლი ჯერ არ დამცხრალა;
ჩანს, არ დამცხრალა ჰერას რისხვაც სემელეს მიმართ!
დიდება კადმოსს, შეუვალი ადგილი ესე
თვისი ასულის საწმიდარად რომ განაკრძალა!
მე კი, მოსულმა, ოქრომრავალ ლიდიის ქვეყნით,
ვაზის მტევნებით დავამშვენე ეს არემარე.
გადმოვიარე არაბეთიც, მთელი აზია,
მლაშე ზღვის პირას გადაშლილი, სადაც ელინნი
უცხოთა მოდგმას შერევიან და მაღლა ცისკენ
თვალშეუდგამი გოდოლები ზეაღუმართავთ.
იქ დავაწესე ფერხისაი და საიდუმლო
დღეობა, ვინძლო გაცხადებით ვეხილე მოკვდავთ.
უკანასკნელად მოვიხილე ელინთა მიწა
და აქ, თებეში, ირმის ტყავი მოვასხი თვისტომთ;
ხელთ მივეც თირსო, ჩემი შუბი სუროხვეული,
და ჩემეული შმაგი ხმებით ავაყიჟინე.
გამიბოროტდნენ დედისდანი, არ დაიჯერეს,
რომ თავად ზევსმა გამაჩინა მე, დიონისე;
ცილი დასწამეს დედაჩემსაც _ სემელემ თითქოს,
ვიღაც მოკვდავთან სამარცხვინოდ შეუღლებულმა,
ზევსს დააბრალა საიდუმლო თვისი ნაყოფი

(ასე ერჩიოს თითქოს კადმოსს ქალიშვილისთვის!)
და იმიტომაც მოიკლაო ზევსისვე ხელით.
გავშმაგდი მაშინ და შეშლილნი იგი ასულნი
პალატთა გარე გამოვასხი, მთებში ავყარე,
იქ დავასახლე და შევმოსე ძალისძალათი
ირმის ტყავებით, ნიშნად ჩემი ორგიებისა.
არვინ დავინდე, ვინც კი იყვნენ კადმოსიანნი
ქალთა ჯილაგის, აღვურიე გონება ყველას.
იქ, კბოდეებზე, შერეულნი კადმოსის ასულთ,
უჭერქვეშონი ფიჭვთა ქვეშე შეფარებულან.
უნდა შეიგნოს ამ ქალაქმა, რომც არ უნდოდეს,
რას მოასწავებს უარყოფა ჩემი ბაკხობის.
მე, დიონისე, ზევსის შვილი, უკვდავი ღმერთი,
მოკვდავთა მოდგმას მოვევლინე, რათა დავიცვა
წმიდა სახელი დამეხილი დედაჩემისა.
ჟამგარდასულმა პაპაჩემმა, კადმოსმა, უკვე
თვისი ასულის ვაჟს უბოძა ძალაუფლება;
ახლა პენთევსი მეტოქება და ღმერთს უარმყოფს,
არ მიღვრის საღვრელს და ლოცვებში მე არ მახსენებს.
მაგრამ სულ მალე მოვალს ჟამი და დავუმტკიცებ
მას და თებელებს, რომ მე ზევსის ნაშიერი ვარ!
მერმე კი გავსწევ სხვა მხარისკენ და თუ პენთევსი
ჩემს არყოფნაში ჯარებს შეჰყრის, რომ ჩამორეკოს
ბაკხი ქალები იმ მთებიდან, სადაც ავლალე _
მენადებითურთ დავბრუნდები და ბრძოლის ცეცხლში
თებეს მკვიდრთაგან არ დავარჩენ ცოცხლად არავის!
ამად ვიცვალე ღვთაებური, უკვდავი არსი
და კაცებრივად ფერნაცვალი გამოვჩნდი თებეს.
ეჰა, დიაცნო, ვინც დასტოვეთ ლიდიის კოშკი,
წმიდა ტმოლოსი, ჩემნო დასნო, ვინც წამოგასხით
უცხოთესლთაგან და შეგრაცხეთ თანამგზავრებად _
დაჰკათ დაფდაფებს, ფრიგიელთა მქუხარე საკრავს,
დედა კიბელემ და მე თავად რომ გაგიჩინეთ!
სამეფო სახლ-კარს პენთევსისას უარეთ ირგვლივ,
რათა წარუღოთ ყურთასმენა კადმოსის ქალაქს.
ახლა ბაკხებთან კითერონის ფერდობებისკენ
გავეშურები, რომ ჩავება მეც ფერხულებში.

პ ა რ ო დ ო ს ი

გ უ ნ დ ი

ს ტ რ ო ფ ი ა

აზიის მიწა დამიგდია,
წმიდა ტმოლოსით მოვიჩქარი,
რათა ბრომიოსს, მოგრიალეს,
მივაგო ტკბილ-მწარე საშრომელი _
“ეჰეის” მქუხარე ძახილით
დიონისე ვადიდო!

ა ნ ტ ი ს ტ რ ო ფ ი ა

გზაზე ვინა დგას, გზაზე?
ჭერქვეშ ვინა ხართ? გაირინდეთ!
წმიდად დაიკრძალეთ ბაგენი,
წესისამებრ იდუმეთ!
მარადის სადიდებელ
დიონისეს ვადიდებ!

ს ტ რ ო ფ ი ბ

ნეტარ ხარ, მოწმინდარო, ნეტარ,
დიად ნასრულობას წილნაყარო,
ცხოვრებას წმიდად განიკრძალავ,
ღვთაებისად სულის შემწირველო!
მთათა შინა ბრომიოსს თანაურბი,
ღვთიურ განწმედათა მოშურნეო!
დედა კიბელეს წესებს აღუსრულებ,
ნართეკის კვერთხის მაღლად მქნეველო!
თავზე სუროს გვირგვინად იწნავ,
მარადის დიონისეს მხლებელო!
ეჰა, დიაცნო, ეჰა, დიაცნო,
დიაცნო ბაკხოსის მოდასენო,
რომელნი ფრიგიის მთებიდაღმე
ყრმა დიონისეს მიუძღვებით
წიაღიან, მშობელ ელადისკენ _
მოგრიალე ბრომიოსს!

ა ნ ტ ი ს ტ რ ო ფ ი ბ

მიდგომილ ასულს ნაყოფი ედგა
მომლოდინეს სალმობის ჟამისა _
ოდეს ზეგარდმო მეხისტეხით
უჟამოდ აშობინა ზევსმა.

და მერმე მეხით დაფერფლილი
დედა განერიდა საწუთროს.
უჟამოდ ნაშობი კრონიონმა მიირქვა,
საშოდ თვისივე თეძო განუჩინა,
ოქროს კინძებით შიგ მიიკრა
ჰერასაგან ფარულად.
მერმე მოირების განგებით
ზევსის თეძოდან მეორედ იშვა;
გვირგვინად გველები შემოაწნეს
ღმერთს ხარისრქებიანს.
მის კვალად იწნავენ თმებში მენადები
გვირგვინს ესევითარს.

ს ტ რ ო ფ ი გ

თებეო, სემელეს გამზრდელო,
სუროს გვირგვინი შემოიწან,
მოირთე ურთხელის მარადი სიმწვანით,
ბაკხისეულ ხმაზე აყიჟინდი!
მუხის და ნაძვის რტოებით მოირთე,
მოისხი ირმის ხატულა ტყავი,
უფრორე ფიჩვი სპეტაკბეწვიანი,
შმაგი ნართეკის პყრობად განიწმინდე,
რათა ეყიჟინათ ბაკხური “ევოი”.
მერმე შლეგიანმა სატირებმა
დედა ქალღმერთისგან საჩუქრად მიიღეს,
ხელთ იპყრეს იგი დაფდაფები
და სამწელიწდეულ ქორუმებში
დიონისეს სალხენად აქუხეს.

ე პ ო დ ო ს ი

ოჰ, ტკბილი ჟამი, სანეტარო!
ტანზე ირმის ტყავი შეგემოსა,
ბაკხობის წმინდა სამოსელი.
ლიდიის მთებში მირბოდი, მირბოდი,
დამაშვრალი მიწად ეცემოდი,
ტყიურ ნადირთა მონადირეს
უმი ხორცი მოგშიებოდა!
წინამძღოლის ძახილი ჩაგესმოდა:
“ევოი, ბრომიოს! ბრომიოს, ევოი!”
აჰა, რძის ღვარი ელვრება მიწას,
ფუტკრის ნექტარი და ღვინო მოსჩქეფს,

ტბილსურნელოვანი იწვის საკმეველი,
ბაკხუსს ხელთ უპყრავ კვარი მოგიზგიზე,
ნართეკის კვერთხი მაღლა აღუმართავს
და ფაფარაყრილი ფერხულად მოუხმობს:
“ბაკხო ქალებო, მოვედით, მოვედით!
ლიდიის ოქროვან წყალში განბანილნო,
დაფდაფთა გრიალზე დიონისეს უმღერეთ,
ყიჟინით ადიდეთ ღმერთი მოყიჟინე!”
ოდეს სალამური, წმიდა საკრავი,
ღვთაებრივ ხმაზე გაიწკრიალებს _
მთებისკენ ეშურება, მთებისაკენ
გახელებულ დიაცთა დასი.
ვით კვიცი, დედის წინ მოკუნტრუშე,
ბაკხი ქალი ხალისით მიხლტის.

პირველი ეპისოდიონი

ტირესია

ჰეი, რომელი ხარ? გამოუხმეთ სახლიდან კადმოსს,
აგენორის ძეს, ვინც დასტოვა ძველი სიდონი
და თებე-ქალაქს გალავანი ვინც შემოავლო!
ეახლოს ვინმე და აცნობოს, რომ ტირესიას
მისი ნახვა სურს. თავად უწყის, რისთვის მოვსულვარ,
რა საქმე მივის მე, ბერიკაცს, ჩემზე უხნესთან:
ხელთ ვიპყრათ თირსო და მოვისხათ ირმის ტყავები,
ჭაღარა თავი ნორჩ სუროთი დავიგვირგვინოთ!

კადმოსი

ძვირფასო ჩემო, ხმაზე გიცან, რა შემომესმა
პალატთა შიგან ბრძნული სიტყვა ბრძენი კაცისა.
აჰა, მეც მოველ შემოსილი ღმერთის სამოსით,
რაკი შეგვფერის განვადიდოთ დღეს დიონისე,
ღმერთქმნილი ვაჟი დამეხილი ჩემი ასულის.
მაშ, წინ გამიძეხ, ტირესიავ, მოხუცი მოხუცს!
ბრძენი ხარ, იცი, სად გაიბმის შმაგი ფერხული,
სად უნდა დავდგეთ და ვარხიოთ ჭაღარა თმები.
ნუმც დავიღლებით თირსოს კვერთხის მიწაზე ცემით,
წარხდეს სიბერე...

ტირესია

ბერო კადმოს, მეც შენთანა ვარ,
მეც ჭაბუკური გახელებით ვესწრაფი ფერხულს.

კ ა დ მ ო ს ი

აბა, ვიჩქაროთ, გავაქროლოთ მთისკენ ეტლები!

ტ ი რ ე ს ი ა

ეტლებით სრბოლა არ ეგების ბაკხის ზეიმზე.

კ ა დ მ ო ს ი

მაშ, შენ წამიძეღ, მიწინამძღვრე მოხუცმა მოხუცს!

ტ ი რ ე ს ი ა

დათქმულ ალაგას მალე მივალთ ღმერთის შეწევნით.

კ ა დ მ ო ს ი

მხოლოდ ჩვენი ორნი ჩავებმევით ბაკხურ ფერხულში?

ტ ი რ ე ს ი ა

მხოლოდ ჩვენ განვსჯით გონივრულად, ცდებიან სხვანი.

კ ა დ მ ო ს ი

ნუღარ ვაყოვნებთ. აბა, მოდი, ხელი ჩამჭიდე.

ტ ი რ ე ს ი ა

ჰა, ჩემი ხელიც, მომაშველე შენი მარჯვენა.

კ ა დ მ ო ს ი

მოკვდავი კაცი არ გარდავალ უკვდავთა ნებას.

ტ ი რ ე ს ი ა

ღმერთებს ნუ განვჩხრეკთ _ წინაპართა ჩვენთა ანდერძი
ისე ძველია, ვით დრო-ჟამი დაუსაბამო,
და ვერრა სიტყვა კაცებრივი მას ვერ გარდაცვლის,
თუნდ გახლდეს სიბრძნე, მოხვეჭილი ღრმა საუნჯიდან.
გამკიცხვენ ალბათ, რომ ასაკი არად ჩავაგდე
და სუროს გვერგვით ფერხულისკენ მივეშურები.
მაგრამ ბერიკაცს ჭაბუკისგან არ არჩევს ღმერთი,
ოდეს ფერხულში ჩაებმიან მოფერხულენი _
მზად არს მიიღოს ყველასაგან ღირსი პატივი.

კ ა დ მ ო ს ი

რაკი მზის თვალი არ გინათებს, ბრძენო მოხუცო,
მენდე, მოგითხრობ ყოველივეს, რაც იქ მოხდება.
აგერ, პენთევსი მოიჩქარის სასახლისაკენ,
ექიონის ძე, ვისაც ტახტი დავუთმე ჩემი.
შეშფოთებულა, რა სიახლეს გაგვიმხელს ნეტავ?

პ ე ნ თ ე ვ ს ი

თებეს მიწაზე შემოქცეულს უცხო თემიდან
ქალაქში დამხვდა უჩვეულო, ავი ამბები.
პალატებიდან გაკრეფილან ჩვენი დიაცნი
და მაცთუნებელ, ყალბ დღეობებს მართავენ მთებში;
შმაგი ფერხულით თაყვანს სცემენ ღმერთს ახალზედას,
ღმერთს, დიონისედ სახელდებულს აჰკიდებიან.
წინ უდგათ სავსე ლაგვინები, თანაც მალულად
მამაკაცების სარეცლისკენ უჭირავთ თვალი.
ჩანს, აფროდიტე უფრო მეტად შეჰყვარებიათ,
ვინემ ბაკხევსი. ვისაც მივწვდი, შევიპყარ ყველა
და ხელშებორკილთ მსახურები დავუდარაჯე.
ვინც გადამირჩა, თავის დროზე მათაც მოვრეკავ _
ინოს, აგავეს, ვინც დამბადა ექიონისგან
და ავტონოეს, დედას ბედკრულს აქტეონისას
თმებით დავითრევ, გამოვახვევ რკინის ბადეში
და დავუკარგავ ბოროტეულ ბაკხობის ხალისს.
ამბობენ, ვიღაც უცხოთესლი მოსული თებეს,
ვიღაც გრძნეული და მჩხიბავი ლიდიეთიდან,
თავთუხისფერი კულულები მხრებს დაჰფენია,
ღვინისფერ თვალებს აფროდიტეს მადლით აბრწყინებს;
იკრებს ქალწულებს ყოველისმხრით და დღენიადაგ
დაუცადებლად ნასრულობის ბადეში აქცევს.
ოჰ, ნეტავ მასაც მისწვდებოდეს ჩემი მახვილი!
ჩავუჩუმებდი იმ გრუხუნა თირსოს კვერთხის ხმას,
ფაფარაშლილ თავს ფერხთა ქვეშე დავუგორებდი!
ამბობენ, თითქოს ღმერთი იყოს ის დიონისე,
თითქოსდა ზევსის ვრცელ ბარკალში გამოიშუშა.
მაგრამ ხომ ვიცით, რომ თვით ზევსმა დამეხა ბავშვი
დედასთან ერთად, ვინც დასწამა ცილი კრონიონს.
განა ამისთვის სარჩობელას ღირსი არ არის
ის თვითმარქვია, თავგასული გადამთიელი?
ამას რას ვხედავ! საოცრებავ! ბრძენ ტირესიას
ტანზე მოუსხამს ირმის ტყავი აჭრელებული,
ხოლო პაპაჩემს, ო, სირცხვილო! ხელთ თირსოს კვერთხი
დაუჭერია და ბაკხობად გამზადებულა!
რა დაგმართნიათ ბერიკაცებს! შეგშლიათ გონი!
ჰე, კადმოს, ნუთუ არ მოიგლეჯ მაგ სუროს გვირგვინს?
მითხარ, როდემდის გეჭირება ნართეკის კვერთხი?
შენ შეაცდინე პაპაჩემი, შენ ტირესიავ!
გინდა, თებელებს მოუვლინო ახალი ღმერთი,

რომ ფრინველებზე მკითხაობით და კვამლის ჭვრეტით
წილად გხვდეს მეტი საზღაური. მხცეს უმადლოდე,
თორემ შენც მათთან იქნებოდი გამომწყვდეული _
ბაკხ დიაცებთან, სიბილწე რომ შემოგვაპარეს.
წარწყმედილია ის დღეობა, ის საღვთო სუფრა,
სადაც ღვინის სმას დიაცნიც არ ეკრძალებიან.

გ უ ნ დ ი ს წ ი ნ ა მ ძ ღ ო ლ ი

ჰოი, რა სიტყვები ესმის ყურთა ჩემთა!
რად არ უფრთხი ღმერთებს, უცხო კაცო?
რად არ გეშინის კადმოსისა, მიწისშვილთა დამთესელის?
რად არცხვენ, ძეო ექიონისაო, მოდგმას შენსას?

ტ ი რ ე ს ი ა

ბრძენკაცს შეშვენის საუბარი მჭევრმეტყველური,
ოდეს საგანი ღირსეული დაუცს სათქმელად;
ხოლო შენ, პენთევს, გაგისარჯავს ამაოდ ენა _
სიტყვამარჯვე ხარ, გარნა აზრი არ მოგდევს ბრძენის.
მხოლოდღა ენით მოქადული უგნური კაცი
მამაციც იყოს, ვერ ივარგებს ქვეყნის გამრიგედ.
შენ რომ დასცინე _ ღმერთი იგი ახლად მოსული,
არ ძალმიძს თხრობად, ვით განითქმის ელადის მხარეს.
ორი ღმერთია, კაცთა მოდგმას რომ ასულდგმულებს:
ერთი _ დემეტრე; დედა-მიწა, მშრალით მკვებავი;
მერმე მოვიდა დიონისე, ვინც ყურძნის მტევანს
წვენი ადინა, განაჩინა ჩვენდა სასმელად,
რომ დაგვიამოს წუთისოფლის მწარე ვნებანი.
ნეტარი ძილის მომგვრელია დამაშვრალთათვის,
იგი გვავიწყებს ყოველდღიურ ტანვა-წვალებას;
თვით ღმერთი იგი ღმერთებისთვის იღვრება მსხვერპლად,
ხოლო კაცთათვის მომტანია დიდი სიკეთის.
ამასაც გეტყვი _ მდაბიორებს მოუჭორიათ,
თითქოს ბარკალში ჩაეკეროს ზევსს ჩვილი ღმერთი.
ეს ზღაპარია, ნამდვილ ამბავს ახლა გაიგებ:
როდესაც ზევსმა დიონისე, ახლადშობილი,
გამოარიდა მეხის ცეცხლს და ცად აიტაცა,
განრისხდა ჰერა, დაუპირა ძირს ჩამოგდება.
მაშინ კრონიდემ მოიკრიბა ზევსური ძალა _
ჭვირვალე ეთერს გამოჰგლიჯა მცირე ნაწილი,
განაზრქო იგი, დიონისეს ორანი შექმნა
და განრისხებულ ცის დედოფალს მძევლად მიართვა
ეს ასე მოხდა, მაგრამ ხალხმა, უბირმა ხალხმა,

რა ვეღარ შესწვდა საიდუმლოს, შეთხზა ზღაპარი,
თითქოს ბაკხევსი ზევსის თეძოს გამოეზარდოს.
ამასაც გეტყვი: მისანია ახალი ღმერთი,
რაკი ბაკხური, ღვთაებრივი გახელების ჟამს
იღვიძებს ნიჭი მისნობისა; ოდეს შეაღწევს
კაცთა შიგანში ღმერთი იგი, მყის მომავალი
აღიხილება გონდაკარგულ მზერის წინაშე.
არესის ველზეც წილი უძევს, უწყოდე ესეც:
მისი მადლია, რომ დამფრთხალი ჯარი ურიცხვი
გაურბის შუბებს და ერღვევა საბრძოლო წყობა.
მალე იხილავ დელფოშიაც, პარნასის მთაზე,
ჩირაღდნით ხელში მოხტუნავეს, ბაკხისეული
რტოების მქნეველს, განდიდებულს მთელს ელადაში.
გონს მოდი, პენთევს! ნუ იქადი ძალმოსილებას,
კაცთა ნებაზე ბატონობის არ შეგწევს ძალი.
ნუ დაენდობი ჭკუას შენსას, არ მოგაცთუნოს!
თებე-ქალაქში შემოუშვი ახალი ღმერთი,
უღვრიდე საღვრელს, თავს დაიწან სუროს გვირგვინი,
ხელთ იპყარ თირსო და ჩაები ბაკხურ ზეიმში.
არ მოვლენილა დიონისე ამ წუთისოფლად,
რომ ყმაწვილ ქალებს აარიდოს ეროსის ვნება _
ეს მათ ხელთაა: თვით ბაკხური გახელების ჟამს
თავს არასოდეს არ წაიხდენს ქველი ასული.
ხომ კარგად ვიცი, ვით გიხარის, რომ მთელი თებე
ქება-დიდებით იხსენიებს პენთევსის სახელს;
მაშ, მოხარულმა გაახარე ყრმა ღმერთის გულიც!
ახლა კი პენთევს, თუნდ დაგვცინო, მე და კადმოსი
მოვისხამთ სუროს და ჩავდგებით მროკველთა წრეში;
ჭაღარანი ვართ, მაგრამ მაინც გვმართებს ფერხული.
ღმერთს ვერ უარვყოფ, ვერ დავყვები შენს უღვთო ნებას.
შენ კი, შეშლილო, ვერ გიშველის ვერრა წამალი,
რაკი სიცოფეს, უკურნებელს, მოუწამლიხარ!

გ უ ნ დ ი ს წ ი ნ ა მ ძ ღ ო ლ ი

მფარველ აპოლონს როდი ჩრდილავ, ბრძენო მოხუცო,
ოდეს საკადრის პატივს აგებ ყრმა დიონისეს.

კ ა დ მ ო ს ი

ო, შვილო ჩემო, ტირესიამ სწორად გირჩია!
შემოგვიდექი, ნუ გადახვალ ღვთაებრივ წესებს,
ნუღარ ჭოჭმანობ, გონიერი კვლავ გონს მოეგე.
თუნდაც არ იყოს იგი ღმერთი, როგორცა ფიქრობ,

დე, ითქვას შენგნით! თქვი სიცრუე კეთილმოქმედი,
და თუ განცხადდა, რომ სემელეს ღმერთი უშვია,
უკუნისამდე იკურთხება ჩვენი გვარ-ტომი.
ნუთუ არ გახსოვს მწარე ხვედრი აქტეონისა,
სვეუბედური მონადირის, ვინც მისივ ძაღლებს
შემოეგლიჯათ არტემისის წმიდა ნაკრძალში,
რა დაიქადნა, დავჯაბნიო მშვილდოსან ქალღმერთს?
შორს შენგან ეგე! მო, სუროთი დაგაგვირგვინო,
რომ ჩვეთან ერთად ღმერთს მიაგო ღირსი პატივი.

პ ე ნ თ ე ვ ს ი

არ მომეკარო! თავად წადი და იბაკხურე!
მე ნუ წამბილწავ ემაგ სენით, ხოლო შენს მოძღვარს,
თავს რომ დაგხურა სამარცხვინო სუროს გვირგვინი,
მივაგებ სასჯელს.
აბა, ჰეი, სწრაფ მიაკვლიეთ
იმ ადგილს, სადაც ეს მისანი ფრინველ-მკითხაობს!
დასცხეთ კეტები, შეურყიეთ სადგომის ჭერი
და კედელ-ყურე თავდაყირა აუტრიალეთ.
თავსაკვრელები გაატანეთ ქარს და ბორიოს!
დაე, შეძრწუნდეს, ბაკხუროზის წაუხდეს ნირი!
სხვებმა კი თებეს მოიარეთ, ეძებეთ ყველგან
ქალსახიანი უცხოელი, ვინც ჩვენს დიაცებს
ჯადოთი ჩხიბავს და უბღალავს წმიდა სარეცელს.
ეძებეთ, ვიდრე არ შეიპყრობთ; მაგრა შეჰკარით,
სწრაფად მომგვარეთ შებორკილი, რომ ქვით განტვინულს
ამოვაშხამო ჩემს ქალაქში ბილწი ზეიმი.

ტ ი რ ე ს ი ა

ჰე, უბედურო, რასაც ამბობ, თავად არ უწყი!
გონს გადასულხარ, თუმც ადრევე წაგერთვა გონი,
წავიდეთ, კადმოს, ნუ ვაყოვნებთ, ღმერთს შევავედროთ
შლეგი პენთევსი, რომ ჩვენს ქალაქს გამწყრალმა ღმერთმა
კიდევ ახალი უბედობა არ მიუსართოს.
დაეყრდენ თირსოს და მომყევი, აგენორის ძევ,
ერთურთს დავენდოთ, აუგია ჩვენი დაცემა,
რაკი ბაკხოსის სადიდებელ ზეიმში მივალთ!
მეშინის, კადმოს, რომ აგავეს შეშლილმა შვილმა
შენი სახლიდან არ აღგავოს ძველი დიდება!
არა. მისნობით როდი გითხრობ, შენც კარგად გესმა:
თავად პენთევსის პირმა წართქვა ეს განაჩენი.

პირველი სტასიმონი

გუნდი

სტროფი ა

ჰოსია _ მაღალო სათნოებავ!
ჰოსია _ ღმერთთა დედოფალო!
ჰოსია, რომელი ხმელთა ზედა
ფრთებით ოქროვანით დაფრინავ!
გესმისა პენთევსის უთნოობა,
გესმისა ბრომიოსის შეგინება,
სემელეს ღვთიური ძისა?
ღმერთისა მოხარულის, პირმცინარის,
თიასურ ქოროებს რომ უძღვება,
მოწმიდართა დასის წინამდგომის,
სტვირის ხმაზე ნაღველს რომ გვიამებს?
კურთხეული ყურძნის დამწურავის,
ლაგვინიდან ღვინოს რომ აჩქეფებს?
სუროსგვირგვინიან მონადიმეთ
სანეტარო ძილ-ბურანს რომ მიუღვრის?!

ანტისტროფი ა

ბაგეუკრძალავნი, უკეთურნი
ხვედრს უკეთურსავე მიითლიან
ეჰა, მყუდროებავ სანეტარო,
ეჰა, განწმედილო ფიქრებო,
რა შეარყევს ჭერს და ყუდროს,
სად მარადის სუფევთ?
ხოლო ზეციერნი ზეგარდმო
მარად ჰვრეტენ მიწიერთა საქმეთ.
ამაოა ყოველი სიბრძნე,
თუ ცხოვრებამ ჩაგიარა ამაოდ;
მაშ, იფიქრე, დღენიადაგ იფიქრე,
რაზომ უხანოა საწუთრო:
მიუწვდომელ ოცნებათა მდევარი
მისაწვდომელს დაკარგავ.

სტროფი ბ

კვიპროსს მივაშუროთ, კვიპროსს,
აფროდიტეს კურთხეულ ჭალაკს,
სად მოკვდავთა ვნებით გამჩხიბავი
ეროტები მკვიდრობენ;
იქ, სადაც ასტოტა ბოკაროსი

არწყულებს ფაროსის უწვიმარ მიწას!
პიერიას ვნატრობ, სანეტაროს,
სადაც მუზათა მყუდრო სავანეა.
ოლიმპოს წმიდა ხევებისკენ
წამიყვანე, ბრომიოს, წამიძეხ,
“ევოის” მაძახურო!
იქ მკვიდრობს სიყვარული,
იქ მკვიდრობს ვნება,
იქ მკვიდრობს მენადების წესი საორგიო!

ა ნ ტ ი ს ტ რ ო ფ ი გ

ხარობს ზევსის შვილი, ხარობს,
დიონისე ღრეობებში ხალისობს!
ირენე ჰყავს _ ჩვილთა მზრდელი _
ნანდაური სატრფო.
სვით მდიდარნო, სვით ღატაკნო!
ღვინის ღმერთი არ გაგარჩევთ,
თქვენთვის აჩენს
ჭირთუკუმყრელ ღვინოს.
სმულს იგი, ვინც არ იკარებს,
სიამეებს დღისეულთ და ღამეულთ.
შორს სიბრძნე უსარგებლო, შორს
ჭკვიანთა ხვედრი უამური!
უბირო ხალხო, ბახუსი თქვენია,
სანადიმოდ თქვენსკენ ვეშურები!

მ ე ო რ ე ე პ ი ს ო დ ი ო ნ ი

მ ს ა ხ უ რ ი

მოვედით, პენთევს, აღვასრულეთ შენი ბრძანება.
ხედავ, ამაოდ არ დავმშვრალვართ, მოგინადირეთ
ნადირი იგი, ვის გულისთვის გაგგვზავნე მთებში.
არ გაქცეულა, თვინიერად მოგვენდო მხეცი,
ღაჟღაჟა სახით, ფერუცვლელი იდგა ჩვენს წინა
და გვიღიმოდა, როს ვბორკავდით წამოსაყვანად.
მაშინ ვეუბნე მოწიწებით: ჰე, უცხო კაცო,
ნუ გეგონება, ჩვენის ნებით დაგსხმოდით თავსა,
პენთევსმა ბრძანა და ვასრულებთ მის ნება-სურვილს,
ახლა ისმინე, მეუფეო, სხვა სასწაულიც:
ბაკხმა ქალებმა უგრძნეულად დაიხსნეს თავი,
საპრყობილეში რომ ჩაჰყარე ხელფეხშეკრულნი.
არავინ უწყის, ვით აეგდო ურდული კარებს _

განიხვნენ კარნი და დიაცნი გაუჩინარდნენ,
შორიდან გვესმა, ბრომიოსის სახელს ყვიროდნენ.
და კიდევ ბევრი საოცრება მოგველის ალბათ;
ჩანს, ამაოდ არ მოვლენილა ეს კაცი თებეს.
აწ შენ განსაჯე...

პ ე ნ თ ე ვ ს ი

ნუ გეშინით, გაუშვით ხელი.
ვერ გამექცევა, რა ფეხმარდიც არ უნდა იყოს.
გხედავ, მშვენებით შემოსილხარ, გადამთიელო!
აწ აღარ მიკვირს, რამ შეშალა ჩვენი დიაცნი _
განა ამისთვის არ მოადექ შვიდბჭიან თებეს?
წყობათა შიგან არ მოგზრდია ეგ ნაზი თმები,
ღაჟღაჟა ლოყებს რომ გიფარავს ვნების აღმძვრელად;
მზის მცხუნვარება არ უნახავს შენს მწყაზარ სახეს,
ასე სათუთად შეგინახავს სალუქი ფერი,
რომ აფროდიტეს ტრფიალება მოგენადირნა.
ახლა ეს მითხარ, სით მოსულხარ, რა ტომისა ხარ?

დ ი ო ნ ი ს ე

არ ვიტრაბახებ, მაგრამ გეტყვი, რაკიღა მკითხე:
ნუთუ ტმოლოსი კურთხეული არა გსმენია?

პ ე ნ თ ე ვ ს ი

ის მთა ხომ არა, სარდეს ქალაქს თავს რომ დაჰყურებს?

დ ი ო ნ ი ს ე

იქიდანა ვარ, ლიდიაა ჩემი სამშობლო.

პ ე ნ თ ე ვ ს ი

იქიდან მოგაქვს ნასრულობა ელადის მხარეს?

დ ი ო ნ ი ს ე

მე ზევსის შვილმა, დიონისემ, გამომაგზავნა.

პ ე ნ თ ე ვ ს ი

განა იქ ზევსი მოგევლინათ ღმერთთა საჩენად?

დ ი ო ნ ი ს ე

არა, აქ იყო, აქ შეეტრფო იგი სემელს.

პ ე ნ თ ე ვ ს ი

სიზმრად ჩაგესმა ან თუ ცხადში გემცნო ეგ საქმე?

დ ი ო ნ ი ს ე

ცხადში გამანდო, ორგიებიც მან შთამაგონა.

პ ე ნ თ ე ვ ს ი

ბარეღამ მამცნე, რა რიგია ეგ ორგიები!

დ ი ო ნ ი ს ე

არა ხამს ცოდნა უსრულთათვის ამა საქმისა.

პ ე ნ თ ე ვ ს ი

რა ნეტარება მიეგება მაგ ღმერთის მსახურს?

დ ი ო ნ ი ს ე

არც ეს არ ითქმის, თუმცა ცოდნით _ საცოდნელია.

პ ე ნ თ ე ვ ს ი

კარგად მიტყუებ! ეგებ ფიქრობ, გამანასრულო?

დ ი ო ნ ი ს ე

ღმერთის ორგია უკეთურებს არ გაიკარებს.

პ ე ნ თ ე ვ ს ი

ცხადლივ თუ ნახე, როგორია, მითხარ, ის ღმერთი.

დ ი ო ნ ი ს ე

როგორიც სურდა ყოფილიყო, არ დამკითხვია.

პ ე ნ თ ე ვ ს ი

კიდევ თვალთმაქცობ, გაურბიხარ გონივრულ პასუხს!

დ ი ო ნ ი ს ე

უგუნურთათვის ამაოა ბრძნული პასუხი.

პ ე ნ თ ე ვ ს ი

მითხარ, სად გყავდა ელადამდე ის შენი ღმერთი?

დ ი ო ნ ი ს ე

ბარბაროსები ადიდებენ უკვე ბრომიოსს.

პ ე ნ თ ე ვ ს ი

ბრიყვანი არიან, არა ჰგვანან ელინთა მოდგმას.

დ ი ო ნ ი ს ე

ვის როგორ მოსდგამს _ ზოგთა სიბრძნე სიბრიყვე არი.

პ ე ნ თ ე ვ ს ი

რა დროს მოგიხმობთ თქვენი ღმერთი, დღისით თუ ღამით?

დ ი ო ნ ი ს ე

მარტოდენ ღამით _ ღვთაებრივი გვხიბლავს სიბნელე.

პ ე ნ თ ე ვ ს ი

და ქალებს ხიბლავთ, ინადირებთ ღამის ბადეში?

დ ი ო ნ ი ს ე

რა ღამე! განა ნაკლებია დღისით საცთური?

პ ე ნ თ ე ვ ს ი

ფრთხილად! არ გექმნეს სანანებლად უგვანი სიტყვა.

დ ი ო ნ ი ს ე

შენ კი დაგღუპავს უგნურება და ღმერთის გმობა.

პ ე ნ თ ე ვ ს ი

ენამჭევრობა, მებაკხურო, ვერას გიშველის!

დ ი ო ნ ი ს ე

მითხარი ბარემ, რას მექადი, რა განგიზრახავს?

პ ე ნ თ ე ვ ს ი

ჯერ ძირში შეგჭრი მაგ კულულებს, ნალოლიავებს.

დ ი ო ნ ი ს ე

წმიდა არს იგი, მომიზრდია დიონისესთვის.

პ ე ნ თ ე ვ ს ი

მერე მაგ თირსოს ჩამაბარებ, ხელთ რომ გიპყრია.

დ ი ო ნ ი ს ე

თავად წამართვი, თუ შეჰბედავ დიონისეულს.

პ ე ნ თ ე ვ ს ი

მერმე დილეგში ჩაგაყუდებ, მცველებს მიგიჩენ.

დ ი ო ნ ი ს ე

რაჟამს ვისურვებ, მეყსეულად დამიხსნის ღმერთი.

პ ე ნ თ ე ვ ს ი

თუკი გეღირსა მისი ხმობა ფერხულში მროკველს.

დ ი ო ნ ი ს ე

ხმობა რად მინდა, ის აქვეა, ჭვრეტს ყოველივეს.

პ ე ნ თ ე ვ ს ი

რაღაც ვერ ვხედავ, უხილავი გყოლია ღმერთი!

დ ი ო ნ ი ს ე

გვერდს მიდგას იგი, მკრეხელთათვის უხილავია.

პ ე ნ თ ე ვ ს ი

შეჰკარით! ხედავთ შემაგინა მეც და თებელნიც!

დ ი ო ნ ი ს ე

ვერა, ვერ შემკრავთ უღმერთონი მე, ღმერთშემოსილს!

პ ე ნ თ ე ვ ს ი

შეჰკარით-მეთქი! ძალმოსილი თებეში მე ვარ!

დ ი ო ნ ი ს ე

დაგვიწყებია, ვინ ხარ, რა ხარ, რა ბედს იმზადებ!

პ ე ნ თ ე ვ ს ი

მე პენთევსი ვარ, აგავეს და ექიონის ძე.

დ ი ო ნ ი ს ე

თავად სახელი მოგისწავებს ავ ბედისწერას.

პ ე ნ თ ე ვ ს ი

კმარა! თავლაში წაიყვანეთ და იქ დააბით,
წყვდიადის ჭვრეტით რომ თვალები ამოიღამოს.
დე, იქ აროკდეს, უკუნეთში, ხოლო დიაცებს,
მისთა სიავეთ თანაზიართ, სადმე გავყიდი
ან გადავაჩვევ დოლის ბრახუნს, ვნებას ჩავუქრობ,
მონებთან ერთად ბეჭსახეხელს მივაბამ ბაწრით.

დ ი ო ნ ი ს ე

წამოვალ, გარნა რა მოხდება არმოსახდენი.
შენ კი, დიდგულო, განმგებელო, რაკი უარჰყავ
და შეაგინე დიონისე, უწყოდე ესეც:
არ დააყოვნებს განგებული შენდა სასჯელი.

მეორე სტასიმონი

გუნდი

სტროფია

ჰოი, ასულო აქელაოსისაო,
დირკეო, ნეტარო ქალწულო!
განა შენ ღვარში არ განბანე
ზევსის ღვთაებრივი ნაშიერი?
მამამ მეხის ცეცხლს რომ გამოსტაცა,
ბარკალში ჩაისვა და ეტყოდა:
“მოდი, დითირამბო, მოდი,
მამრის საშოში შემო, დითირამბო!
დაე, ეს იყოს სახელი შენი,
ამ სახელით თებეს მოევლინე!”
შენ კი, დირკეო, საკვირველო,
შენს ანკარა ნაკადს არ გვაკარებ
გვირგვინოსანთ, ფერხისაის მროკველთ!
რად ხელს გვკრავ, რად გაგვაქცევ?
მტევანსავსე ვენახს გეფიცები,
ბაკხისეულ ღვინოს, საამურს _
მოვალს ჟამი, ახლორეა,
ოდეს დიონისეს შეიტკბობ.

ანტისტროფია

შეხედეთ, შეხედეთ, ვით განცხადდა
ბოროტი მოდგმა ქვეშეთისა!
ვით განცხადდა დრაკონის ეშვის დანათესზე
პენთევსი, ექიონმა რომ შვა,
კაცთა უგვანმა, ქვესკნეთელმა,
მესისხლემ, ზეცის მოშუღარმა
გიგანტების კვალად.
აწ ბადეს მიმზადებს,
დასაჭერად მექადის
მოგრიალე ბრომიოსის გუნდს.
თავად ორგიათა გამძღოლი
საპრყობილის ბნელში ჩაუკეტავს.
თუ ხედავ, ზევსის ნაშიერო,
თუ ხედავ, დიონისევ, ჩვენს გასაჭირს?
ადრე მოდი, ოქროსთმიანო,
თირსოს კვერთხით მოგრიალევ!
დაეშვი ოლიმპოს მწვერვალიდან
მესისხლე კაცის თავხედობა დააცხრე!

ეპოდოსი

სადა ხარ, დიონისევ, სად ხარ?
იქნებ ნისას პოხიერ ველებზე
თირსოს ქნევით თიასებს უძღვები,
იქნებ კირიკიის თხემებზე რონინებ,
იქნებ პარნასის ხევებში დახვალ,
სადაც ოდესღაც ღვთისადარი ორფევსი
ხეებს აღძრავდა სიმღერის ხმაზე,
უსასტიკეს მხეცებს ამდოვრებდა?
ჰოი, პეიერიავ, ნეტარო,
პატივს გდებს "ევჰეის" მაძახური.
შენსკენ მოდის, შენსკენ საფერხულოდ!
სწრაფმედინი აქსიოსის წიაღ
მოფერხულე მენადებს გამოირეკს;
გადმოლახავს ლიდიასს, მჩქეფარეს,
კაცთათვის მადლის მომნიჭებელს,
ანკარა ღვარით მხარეს რომ არწყულებს,
ცხენებით ღონიერს.

მესამე ეპისოდიონი

დიონისე

იო!
ისმინეთ ჩემი ხმა, ისმინეთ!
იო, მენადებო, იო!

ხმა გუნდიდან

ვინ მიხმობს, საიდან მიხმობს?
"ევჰეის" ხმაზე ვინ მიხმობს?

დიონისე

იო, კვლავ გიხმობ, იო!
სემელეს და ზევსის ძე გიხმობ!

სხვა ხმა გუნდიდან

იო, წინამძღვარო, იო!
დაუბრუნდი თიასებს, დაუბრუნდი,
ბრომიოს, ო, ბრომიოს!

გუნდის წინამძღოლი

შეიძრა მიწის ფუძე, შეიძრა ქვეშეთი!
აა, აა!
მალე შეირყევა პენთევსის ჭერი,

სასახლე თავზე დაემხობა,
დიონისე ჰგიეს სასახლეში,
დიონისე ვადიდოთ!

გ უ ნ დ ი

ვადიდებთ, ოოო!

პ ი რ ვ ე ლ ი ხ მ ა გ უ ნ დ ი დ ა ნ

აჰა, შექანდა სვეტის ბუღაური
სახლითგამო კიჟინებს ბრომიოს.

დ ი ო ნ ი ს ე

აინთე, აბრიალდი მეხის ჩირაღდანო,
დასწვი, გადაბუგე პენთევსის სასახლე!

ს ხ ვ ა ხ მ ა გ უ ნ დ ი დ ა ნ

აა, აა!
ცეცხლი აბრიალდა, ცეცხლი,
მეხის ცეცხლი ჯერეთ დაუმცხრალი,
სემელეს საფლავზე ზევსის დანაკვესი!
მიწად განერთხეთ, მენადებო, მიწად!
ძრწოდეთ, მოცახცახე მენადებო, ძრწოდეთ!
ჩვენი მეუფე დარბაზებს დაამხობს,
ზევსის ძალმოსილი ვაჟი.

დ ი ო ნ ი ს ე

რამ შეგაძრწუნათ, ლიდიელნო, ჩემნო დიაცნო?
მიწად განრთხმულხართ! იქნებ შიში დაგეცათ, ოდეს
ბაკხოსის ხელმა მიწად დასცა პენთევსის ჭერი?
ნურას გეშინით, მოიეცით ძალი და სიმხნე.

გ უ ნ დ ი

დაგვბრუნებიხარ, თიასების დიდო იმედო!
დაგვბრუნებიხარ ობლად შთენილთ, მიტოვებულთ!

დ ი ო ნ ი ს ე

სასო წარგიხდათ, მენადებო, უჩემოდ შთენილთ,
როცა წყვდიადში ვყავდი პენთევსს გამომწყვდეული?

გ უ ნ დ ი

რა ვართ უშენოდ, ვინ დაგვიცავს, თუ არ გვეყოლე?
გარნა... ვინ გიხსნა, ვით დაუსხლტი ხელიდან უღვთოს?

დ ი ო ნ ი ს ე

მე თავად ვიხსენ ჩემი თავი გაუჭირვებლად.

გ უ ნ დ ი

ნუთუ ხელები ბორკილებით არ შეგიბორკა?

დ ი ო ნ ი ს ე

ბარე ეწადა, შევებორკე, მაგრამ ვერასგზით
ვერ მომეახლა, თუმც ეგონა ბორკილს მადებდა.
ჩემს ნაცვლად ხელში ხარი შერჩა ცნობაარეულს
და გამწარებით ხარს დაუწყო საბელით კოჭვა.
ოფლში გაღვრილი ბრაზით კბენდა საკუთარ ტუჩებს;
მე წინ ვუდექი, დამშვიდებით თვალს ვადევნებდი.
ამ დროს ბაკხოსი მოგვევლინა, სასახლე შესძრა,
დედის საფლავზე ცადამწვდომი ცეცხლი დაანთო;
ცეცხლის ხილვაზე ელდა ეცა საცოდავ პენთევსს _
ეგონა, თითქოს სასახლეში გაჩნდა ხანძარი.
შეძრწუნებულმა მონებს უხმო, ჩაექროთ ცეცხლი,
მაგრამ ამაოდ ჩაიარა მონების ჯაფამ:
ამაოდ ხაპეს წმიდა წყალი აქელაოსის.
მერმე, ის იყო, გონს მოეგო ანაზდეულად
და რომ ვეღარსად მომკრა თვალი, ხმალამოწვდილი
ჩემს საძებნელად გამოენთო. მაშინ ბაკხოსმა
ჩემი ხატება გამოსახა ჭვირვალ ეთერში;
მივარდა აჩრდილს ბორგნეული ჩემი მესისხლე
და გამეტებით სცა მახვილი ცარიელ სივრცეს.
ეს არ აკმარა ბრომიოსმა, ძლიერი მკლავით
ჩამოუნგრია სახლის ჭერი და მის წინაშე
მიწად დაამხო სრა-სასახლე სვეტებიანად.
და ამ გრიალში რა მიხილა მე უვნებელი,
მოტყდა პენთევსი, მოეშალა ძალი და ღონე
და ხელმოცარულს გაუვარდა უქმი მახვილი:
ასე ყოფილა: კაცს არ არგებს ღმერთების ჯიბრი!
მშვიდად გამოვვლე დანგრეული სასახლის ბჭენი,
მოვედი თქვენთან... პენთევსისკენ არც მიმიხედავს,
მაგრამ ჩუ!.. მესმის აჩქარებულ ნაბიჯების ხმა _
პენთევსი მოდის. ხედავთ, რისხვას აუტანია!
რაც უნდა მითხრას, ხამს დათმენა გულისწყრომისა:
ბრძენი კაცისგან არ ეგების სიფიცხის ჩენა.

პ ე ნ თ ე ვ ს ი

უცნაურია, ვით გამიქრა თვალ და ხელ შუა

ის უცხო კაცი, ტყვედ რომ მყავდა გამომწყვდეული!
ოჰ, აქ ყოფილა! ეს ისაა, სწორედ ის კაცი!
აქ როგორ გაჩნდი, სასახლის წინ? თავი დაიხსენ?

დ ი ო ნ ი ს ე

მშვიდად, პენთევსო, ნუ მრისხანებ. დაიცხრე წყრომა!

პ ე ნ თ ე ვ ს ი

როგორ გამოხველ ბნელეთიდან ხელფეხშეკრული?

დ ი ო ნ ი ს ე

აკი გითხარი, მიხსნის-მეთქი, დაგავიწყდაა?

პ ე ნ თ ე ვ ს ი

ვინ? ვინ გიხსნიდა? უცნაური სიტყვები მესმის!

დ ი ო ნ ი ს ე

ვინც კაცთა მოდგმას მტევანსავსე ვაზი უხარა.

პ ე ნ თ ე ვ ს ი

. . . . . .

დ ი ო ნ ი ს ე

ეს დიონისეს დიდებაა, შენ კი აგინებ.

პ ე ნ თ ე ვ ს ი

ახლავ ვუბრძანებ, კარიბჭენი მაგრად ჩაკეტონ.

დ ი ო ნ ი ს ე

ფუჭი საქმეა! კედლის წიაღ ვერ გავა ღმერთი?

პ ე ნ თ ე ვ ს ი

ბრძენი ხარ, ბრძენი, გარნა სიბრძნეს რაში მოიხმარ?

დ ი ო ნ ი ს ე

სად მისჭირდება, ბრძენიც იქ ვარ... აქეთ მოხედე,
მწყემსი გეახლა; მაცნე თუა, მთიდან მოსული.
რაღაც ამბავი მოგიტანა, დაუგდე ყური.
მე განზე გავალ, არ გეგონოს, სადმე გევიქცე.

მ ა ც ნ ე

მისმინე, პენთევს, მბრძანებელო თებე-ქალაქის!
მწყემსი გეახელ კითერონის მწვერვალებიდან,
სადაც აროდეს არ დამდნარა სპეტაკი თოვლი.

პ ე ნ თ ე ვ ს ი

რაზე გარჯილხარ, არ ამბავი მოგიტანია?

მ ა ც ნ ე

მოველ, რომ გამცნო, მეუფეო, შენ და თებელებს,
მთაში ნანახი საკვირველი, უცხო ამბავი:
გატყიურებულ ბაკხ დიაცებს წავაწყდი მთებში,
ფეხშიშველანი ქალაქიდან რომ აიყარნენ.
მაგრამ არ ვიცი, როგორ გკადრო ამ ამბის თხრობა:
წვრილად მოგიყვე ყოველივე თუ დაგიმალო!
რადგან მეშინის, მეუფეო, შენი წყრომისა _
გულფიცხელნი ხართ ქედმაღალი ბასილევსები.

პ ე ნ თ ე ვ ს ი

თქვი, ნუ გეშინის, უბრალონი არ ისჯებიან.
მაგრამ რაც უფრო მეტს ავს მეტყვი ბაკხ დიაცებზე
მით უფრო ავად დაისჯება მათ ბელადი,
ვინც ის დიაცნი გადარია და ზნე უცვალა.

მ ა ც ნ ე

დილაადრიან, ჰელიოსის პირველ სხივებზე,
როცა ვდენიდი საბალახოდ ძროხების ნახირს,
მთის ფერდობიდან ქალთა სამ გუნდს მოვკარი თვალი:
ერთის თავმდგმური დედაშენი აგავე იყო,
მეორეს ინო წინამძღვრობდა, ხოლო მესამეს _
ავტონოიე, აქტეონის მშობელი დედა.
ეძინა ყველას, ქანცმილეულთ ნეტარი ძილით;
ზოგს ნებიერად ქვეშ დაეგო ნაძვის შტოები,
ზოგს სასთუმალად მუხის ნედლი ფოთლები ეწყო,
და ასე იწვნენ თვინიერნი, მოსილნი კდემით.
შენ კი ამბობდი, თითქოს ღვინით გაბრუებულნი
ტყე-ტყე დარბიან ვნებიანი ეროსის კვალზე.
ამ დროს აგავე, რა მოესმა ძროხის ბღავილი,
ფეხზე წამოხტა და დიაცებს შეეხმიანა:
გაიღვიძეთო, დიაცებო! _ მათაც თვალთაგან
გადაიყარეს ტკბილი ძილი, წამოიშალნენ
და უცხო ხილვა მოევლინა მაშინ ჩემს მზერას:
რაზომი კდემით ჩამომწკრივდნენ ბაკხი ქალები,
მოხუცნი, ნორჩნი, უხედნელნი ჯერეთ ქალწულნი!
უკუიყარეს უხვი თმები, ტანზე მოისხეს
ირმის ტყავები, ჭრელხატულა მათი სამოსი:
ქამრად გველები უვნებელნი შემოისარტყლეს.

გულზე ეხუტათ მგლის ლეკვები, ზოგს ირმის ნუკრი _
რძეს აწოვებდნენ, ავსებოდათ ძუძუნი ისე,
თითქოს დაეგდოთ სულ ახლახანს თოთო ბავშვები
თავზე იწნავდნენ მწვანე გვირგვინს უსურვაზისას,
მუხის ფოთლებს და აყვავებულ ურთხელის რტოებს.
ვხედავ, ერთ-ერთმა ქალთაგანმა თირსოს არგანი
კლდეს დაჰკრა _ წამსვე თავანკარა ამოსკდა წყარო;
სხვამ მიწად ჩარგო აყვავებულ ნართეკის ჯოხი
და ღმერთმა მყისვე ღვინის ღვარი ამოაჩქეფა.
სხვანი თეთრ სასმელს, ჩვილთა საზრდოს დანატრებულნი,
რძის ნაკადულებს პოულობდნენ ნაზი თითებით.
თირსოს კვერთხიდან გოლეული მოსწვეთდა თაფლი.
ნეტავ გენახა, მეფევ ჩემო, ეს სასწაული!
მაშინ ხომ ლოცვას აღუვლენდი შენგან გალანძღულ
ღმერთს, ახალმოსულს ამ კურთხეულ თებეს მიწაზე!
ჰოდა, რა ერთად შევიყარნეთ მენახირენი,
ამ არნახული ამბის გამო შევყევით ბაასს _
თუ რა საკვირველ სასწაულის გავხდით მოწმენი.
მაშინ წამოდგა ერთი ვინმე ენაკვიმატი,
ხალხში გასული და ქალაქთა ხშირი სტუმარი;
ასე გვირჩია: ბინადარნო ამ წმინდა მთათა,
მწყემსებო, მოდით, დედოფალი მოვინადიროთ,
ამ ბაკხ დიაცებს გამოვტაცოთ პენთევსის დედა,
მივგვაროთ პენთევსს, გავუხაროთ ბასილევსს გული.
ჩვენც გვეპრიანა მისი სიტყვა და მყის ბუჩქებში
მივიმალენით და დავუწყეთ ლოდინი ქალებს.
და, აჰა, დადგა ორგიების დათქმული ჟამი
და დიაცებმაც თირსოები აახმაურეს.
ერთხმად მოუხმეს ზევსის ნაშობს _ ბაკხოსს, ბრომიოსს:
მთამ ბანი მისცა მათ დაძახილს, ატყდა ყიჟინა,
იძრა ნადირი და ყოველი სულდგმული ტყისა,
ამ დროს აგავემ ჩამირბინა როკვა-თამაშით,
მეც გავექანე დასაჭერად, ამიცდა ხელი...
ჰკივის აგავე: ჰე, ძაღლებო, ჩემო ძაღლებო,
ხომ ხედავთ, ავი კაცისშვილნი გვინადირებენ!
აბა, მომყევით თირსოს ქნევით, მომყევით ყველა!
ჩვენაც დამფრთხალნი გავიქეცით და თავს ვუშველეთ,
თორემ დაგვგლეჯდნენ უეჭველად ბაკხი დიაცნი.
იქვე მწვანეზე მობალახე ნახირს მივარდნენ _
განა თუ ჰქონდათ ბასრი რკინა, არა, ფრჩხილებით
სავსე ჯიქნები დაუფატრეს მბღავანა ფურებს.
სხვებმა ხბორები ნაკუწებად აქციეს, ირგვლივ

დაინახავდი მიყრილ-მოყრილ ფერდებს და შიგანს,
ნაძვის ტოტებზე სისხლმდინარე ეკიდა ხორცი...
ხოლო ხარები ქედმაღალნი, ადრე რომ რქებით
იმუქრებოდნენ, უსასოოდ ეყარნენ მინდვრად
და ისე სწრაფად ატყავებდნენ მარდი ქალწულნი,
რომ შენს ხელმწიფურ წამისყოფას ვერ მოასწრებდი.
მერმე დაიძრნენ, ფრთოსნებივით შეინავარდეს,
გაჰყვნენ ასოპის ნაპირებზე ატეხილ ჭალებს,
გადაიქროლეს აქოჩრილი ოქროყანები,
შვიდბჭიან თებეს მოქალაქეთ რომ აპურებენ.
მისწვდნენ ერითრას, კითერონის ძირში მდებარეს,
მერმე ჰისია მოარბიეს დედაბუდიან
და სახლებიდან გაიტაცეს ჩვილი ბავშვები.
რაც მოიხელთეს, ყველაფერი მოიგდეს ზურგზე
გიჟურ სრბოლაში ფიორიც კი არ დავარდნიათ _
არცა ბრინჯაო, არცა რკინა. გაწეწილ თმაში
ცეცხლის ენები ბრიალებდა, არ კი ეწვოდათ.
მაშინ გაავდნენ დარბეული მდაბიორები,
ხელში აიღეს საჭურველი და მიეტევნენ.
აი, სად ვნახეთ სასწაული, დიდო მეუფევ!
განა თუ ვინმე დაუკოდავს მათ წვერმახ შუბებს!
ხოლო ნართეკმა, გატყორცნილმა დიაცთა ხელით
მრავალი დასჭრა და დამფრთხალი უკუაქცია.
ასე დაჯაბნეს დიაცებმა გულადი მამრნი.
არა, მეფეო, ღვთისგან იყო ეს სასწაული!
მერმე გაბრუნდნენ, მიაშურეს თავიანთ სადგურს,
იქ, სადაც ღმერთმა წყაროსთვალი ამოუჩქეფა.
ჩამოირეცხეს სხეულიდან შემხმარი სისხლი,
ღაწვებს გველები ულოკავდნენ ორკაპი ენით.
ო, ღმერთი იგი, მბრძანებელო, ვინც უნდა იყოს,
დიდი ყოფილა! დაამკვიდრე თებე-ქალაქში!
სხვა მადლთან ერთად იმა ღმერთმა, როგორც შევიტყვეთ,
ჭირთუკუმყრელი ყურძნის წვენი აღმოგვიჩინა.
რაა უღვინოდ კაცთა ყოფა, ან ტრფობის გარე,
სხვა რა სიამე დარჩენია გატანჯულ მოდგმას!

გ უ ნ დ ი ს წ ი ნ ა მ ძ ღ ო ლ ი

ვერ გამიბედავს, ბასილევსის ნებას აღვუდგე,
გარნა ხამს, წრფელად მოვახსენო გულისპასუხი:
სხვა ღმერთზე მცირე როდი არის ყრმა დიონისე!

პ ე ნ თ ე ვ ს ი

ჰა, შემოგვადგა, შემოგვენთო ვით ცეცხლის ალი
ბაკხ დიაცების თავხედობა, ცოფი, სიგიჟე...
სირცხვილი ელინთ! არ ეგების აწ დაყოვნება.
ჰეი, საჩქაროდ მიაშურეთ ელექტრას ჭიშკარს,
უბრძანეთ ყველას, ვინც კი არის ფარშუბოსანი,
სწრაფმავალ მხედრებს მოუწოდეთ, ან ვისაც შვილდის
ლარი უსინჯავს, აამხედრეთ ერთობლივ ყველა.
დაე, დალაშქრონ დახელთილი ბაკხი დიაცნი,
თორემ სულ მალე შეიშლება თებე-ქალაქი,
თუკი დავუთმეთ ქალებს, როგორც ადრე ვუთმენდით.

დ ი ო ნ ი ს ე

არ დამიჯერე, თუმც გესმოდა ჩემი სიტყვები;
ავად მომეპყარ, მაგრამ უნდა გირჩიო მაინც:
ღმერთს მოერიდე, არ გაგივა ღმერთთან მახვილი.
დაიცხრე რისხვა, ბრომიოსი როდი მოითმენს,
რომ მენადები მთებს მოსწყვიტო დიონისიურს.

პ ე ნ თ ე ვ ს ი

არ დაგკარგვია, უცხო კაცო, რჩევის ხალისი?
ეგების ფიქრობ, გადაურჩე ახლაც ბორკილებს?

დ ი ო ნ ი ს ე

მაგ რისხვას სჯობდა, დაგეღვარა ამო საღვრელი.
გულს რას აწყდები, რას გახდები ღმერთთან მოკვდავი?

პ ე ნ თ ე ვ ს ი

უხვად დავუღვრი გახელებულ დიაცების სისხლს,
როცა ომს ავტეხ კითერონის დაბურულ ხევში.

დ ი ო ნ ი ს ე

უკუიქცევით, და დარჩები სირცხვილეული,
თირსოს შუბებით როცა ფარებს შეგიმუსრავენ.

პ ე ნ თ ე ვ ს ი

ამაოდ ვდავობ ამ ჟინიან გადამთიელთან,
არ მოეღლება მჭრელი ენა, არ დაიდუმებს.

დ ი ო ნ ი ს ე

მოყვასო, კიდევ დაგრჩენია ჟამი ფიქრისა.

პ ე ნ თ ე ვ ს ი

როგორ? ჩემს მხევლებს თებეს მეფე მონად გავუხდე?

დ ი ო ნ ი ს ე

ბაკხი დიაცნი უბრძოლველად რომ მოგიყვანო?

პ ე ნ თ ე ვ ს ი

და შემიტყუო დასაღუპად დარწყულ მახეში?

დ ი ო ნ ი ს ე

ნურა გაშფოთებს, მარტოოდენ შენი შველა მსურს.

პ ე ნ თ ე ვ ს ი

აღთქმითშეკრულხართ, დღენიადაგ რომ იბაკხუროთ.

დ ი ო ნ ი ს ე

ღმერთს შევეკარი. ეს უწყოდე: ღმერთია იგი.

პ ე ნ თ ე ვ ს ი

კმარა, დადუმდი! მომიტანეთ ჩქარა მახვილი!

დ ი ო ნ ი ს ე

ვაგლახ!..
თუ ისურვებდი, თიასები თვალით გეხილა?

პ ე ნ თ ე ვ ს ი

ვისურვებდიო? დიდძალ ვერცხლსაც გადავიხდიდი.

დ ი ო ნ ი ს ე

რამ აგიტანა, რად შეგიპყრო ანაზდად ვნებამ?

პ ე ნ თ ე ვ ს ი

ჯავრი მაქვს, ჯავრით ვიხილავდი ღვინით გამტყვრალებს.

დ ი ო ნ ი ს ე

და საჯავრებელს სიხარულით იხილავ მაინც?

პ ე ნ თ ე ვ ს ი

შენ თავად ნახავ, გატრუნული ვიჯდები ფიჭვქვეშ.

დ ი ო ნ ი ს ე

გეშს აიღებენ, რაზომც მალვით არ მიეპარო.

პ ე ნ თ ე ვ ს ი

მაშ, ჯიქურ მივალ, დასანახად გავეცხადები.

დ ი ო ნ ი ს ე

მაშ, წაგიყვანო? დაადგები მთებისკენ ბილიკს?

პ ე ნ თ ე ვ ს ი

აბა, ვიჩქაროთ! ლოდინისგან სული მელევა.

დ ი ო ნ ი ს ე

ოღონდ პეპლოსი მეწამული უნდა ჩაიცვა.

პ ე ნ თ ე ვ ს ი

პეპლოსი? რისთვის შევიმოსო დიაცის კაბით?

დ ი ო ნ ი ს ე

რათა არ მოგკლან. მამაკაცებს არ გაირევენ.

პ ე ნ თ ე ვ ს ი

ჭეშმარიტს ამბობ. გამჭრიახი იყავი ადრეც.

დ ი ო ნ ი ს ე

თვით დიონისე გახლავს ჩვენი მოძღვართ-მოძღვარი.

პ ე ნ თ ე ვ ს ი

მაშ, მეც დამმოძღვრე. უმჯობესი მირჩიე რჩევა.

დ ი ო ნ ი ს ე

თავად მე მოგრთავ. ჯერ შევიდეთ შიდა პალატში.

პ ე ნ თ ე ვ ს ი

დიაცებრ მომრთავ? სააუგო საქმეს მიპირებ?

დ ი ო ნ ი ს ე

ნუთუ აღარ გსურს მენადების დასი იხილო?

პ ე ნ თ ე ვ ს ი

როგორ თქვი წელან? რა სამოსი უნდა ჩამაცვა?

დ ი ო ნ ი ს ე

გრძელი პეპლოსი, კოჭებამდე, თავზე ჩიქილა.

პ ე ნ თ ე ვ ს ი

რას დამიმატებ, მორთულობად განა ეს კმარა?

დ ი ო ნ ი ს ე

თმას გაგიშლი და მაგ ხელმწიფურ მხრებზე დაგიფენ.

პ ე ნ თ ე ვ ს ი

განა ამის მეტს აღარაფერს არ დამიმატებ?

დ ი ო ნ ი ს ე

ხელთ თირსოს მოგცემ, ირმის ქათიბს წამოგახურავ.

პ ე ნ თ ე ვ ს ი

არა, არ ძალმიძს გამოწყობა ქალის კაბაში!

დ ი ო ნ ი ს ე

მაგრამ სისხლს დაღვრი, თუ მენადებს ომს გაუმართავ.

პ ე ნ თ ე ვ ს ი

ეგ მართალია, ჯერეთ მათი დაზვერვა მმართებს.

დ ი ო ნ ი ს ე

ასე აჯობებს. ბოროტით კი მოიმკი ბოროტს.

პ ე ნ თ ე ვ ს ი

როგორ გავიდე ქალაქიდან შეუმჩნეველი?

დ ი ო ნ ი ს ე

უკაცრიელი გზებით გავალთ. მე გიწინამძღვრებ.

პ ე ნ თ ე ვ ს ი

ეს მიჯობს, ვიდრე გამამასხრონ ბაკხმა ქალებმა.
მაშ, შინ შევიდეთ და განვსაჯოთ, როგორ მოვიქცე.

დ ი ო ნ ი ს ე

ნება შენია... მე მზადა ვარ შენს სამსახურად.

პ ე ნ თ ე ვ ს ი

აჰა, მივდივარ. იქ გადავწყვეტ, რა გზას დავადგე _
შევიბა ხმალი თუ სარტყელი სადედაკაცო.

დ ი ო ნ ი ს ე

ხედავთ, დიაცნო, გაეხვია კაცი ბადეში _
ბაკხებთან მიდის, სადაც ცხადი სიკვდილი ელის.
ჰე, დიონისევ, აწ შენზეა, შორს ხომ არა ხარ,
მივაგოთ შური ჩვენს მოშურეს! გონი აჰხადე,
მოჰგვარე ბინდი და სიგიჟის ტკბილი ბურანი,
რაკი საღ გონზე დიაცურად არ მოირთვება.
ნახეთ, თებელთა სასეირო შეიქნეს იგი,
ქალურ მავალი შვიდბჭიანი ქალაქის წიაღ,

ადრე რომ ყიფით და გოროზად მემუქრებოდა!
წავალ, მოვკაზმავ უნატიფეს სამკაულებით;
დაე, მოკლულმა დედის ხელით თან ჩაიყოლოს
ჰადესის სახლში. დე, გაიგოს თებე-ქალაქმა,
რომ სასტიკია დიონისე, შვილი ზევსისა,
ხოლო მორჩილი კაცთა მოდგმის _ კეთილისმდომი.

მესამე სტასიმონი

გუნდი

სტროფია

ნუთუ ფეხშიშველნი კვლავაც ვიროკებთ
ღამის ფერხულებში ბაკხით დახელთილნი?
ნუთუ კვლავ ოდესმე ცვრიან ეთერისკენ
ყელმოღერებით შევარხევთ თირსოს?
ნუთუ კვლავ ბიბინა ველებზე
გავიჭრებით კუნტრუშა ირმისებრ?
ოდეს მახეებს თავდაღწეული
გაურბის საშიშ მონადირეთ,
მარეკები ყიჟინით მისდევენ,
გახელებულ მწევრებს მიუსევენ;
მიჰქრის ქარივით ირემი, მიჰქრის,
მიგელავს ფეხმარდი, გაივაკებს,
გადაიქროლებს წყლისპირა ფშანებს,
მიაშურებს ახოს, ხშირჩრდილიან
ტყეს დანატრებული, მწყურვალე
სიმარტოვისა კაცთა კიდეგან.
სად არის სიბრძნე? სად უფრო მშვენობს
კაცთა მომართ ღვთიური მადლი?
იქ ხომ არა _ არესის ველზე,
ოდეს გამარჯვებულ მარჯვენას
მტერს თავზე დავადებთ?
მშვენიერი გვეთნევა მუდამ!

ანტისტროფია

მძიმედ იძვრის, მძიმედ მოაბიჯებს,
გარნა ჯიუტად, მტკიცედ ახლოვდება
ღვთიური განგება.
დაუსჯელად არავის დასტოვებს,
საკადრისს მიაგებს კაცთა სიჯიუტეს _
უგუნურს, უგუნურის განზრახვით

ღმერთების მეტოქეს.
განზრახ ანელებს ღმერთი ჟამთდენას,
დევნის, და, ბოლოს, მისწვდება უთნოს.
დადგინებულ წესთა უკეთესის
არა ხამს ფიქრი და ძიება.
შეიგნე, მოკვდავო, გულში ჩაიბეჭდე
ადვილსაცნობელი ესე:
ძლიერ არს ღმერთი, ძლიერია
წესი დროისა უხსოვარის,
ბუნების გულში ჩაფესვილი.
სად არის სიბრძნე? სად უფრო მშვენობს
კაცთა მომართ ღვთიური მადლი?
იქ ხომ არა _ არესის ველზე,
ოდეს გამარჯვებულ მარჯვენას
მტერს თავზე დავადებთ?
მშვენიერი გვეთნევა მუდამ!

ეპოდოსი

ნეტავ მას, ვინაც თავი დააღწია
ზღვას აბობოქრებულს, ქარიშხლიანს,
მიადგა მყუდრო ნავსაყუდელს!
ნეტავ მას, ვინაც განსაცდელს სძლია!
ზოგს ბედი უხვად აჯილდოვებს,
ზოგს ხელს მოუცარავს საწუთრო
ბევრი იმედი კეთილად ახდება,
ბევრი იმედი ცრუვდება ფუჭად.
ნეტავ მას, ვინაც უშფოთველად
წუთისოფლის განლია დღენი!

მეოთხე ეპისოდიონი

დიონისე

ეჰა, არსაწადელ ხილვის მოწადინევ,
პენთევსო, ნატვრად უამურის მოსწრაფევ,
გამოდი სახლის წინ, გამომეჩვენე,
მენადების სამოსით რომ მოსილხარ
და ღვიძლი დედის ზვერვად ეპირები!
ო, როგორ ჰგავხარ ანაგებით კადმოსის ასულს!

პენთევსი

ასე მგონია, ორი მზე მინათებდეს,
ორ თებეს ვხედვდე, ორ შვიდბჭიან ქალაქს...

ხარად ჩენილი ვინ ხარ ჩემს წინაშე,
თავზე ორი რქა რომ ამოგზრდია?
იქნებ კაცი არც ყოფილხარ ადრე?

დ ი ო ნ ი ს ე

აწ ღმერთი გვახლავს, აქამდე რომ არა გვწყალობდა;
შემოგვირიგდა. ახლა ხედავ ნამდვილ სახილველს.

პ ე ნ თ ე ვ ს ი

მე ვინად ვჩანვარ, უცხო კაცო, ვის მიმამსგავსებ,
დედისდას ინოს თუ ღვიძლ დედას ჩემსას, აგავეს?

დ ი ო ნ ი ს ე

ორთავე მათგანს მიგამსგავსებს შენი მჭვრეტელი.
მაგრამ ეს რაა? ჩამოგშლია ვარჯები შუბლზე _
განა მე წელან ჩიქილაში არ ჩაგიმალე?

პ ე ნ თ ე ვ ს ი

იქ, სასახლეში, ჩამომშლია შეკრული თმები,
ბაკხურ დიაცთა წამბაძავი როცა ვროკავდი.

დ ი ო ნ ი ს ე

რაკიღა ერთხელ გადავწყვიტე, მეზრუნა შენზე,
ახლაც გიშველი. აბა, სწორად დაიჭი თავი!

პ ე ნ თ ე ვ ს ი

ჰა, გამისწორე. შენს ხელთა ვარ, სხვა გზა არა მაქვს.

დ ი ო ნ ი ს ე

ხედავ, სარტყელიც მოგშვებია; ხოლო პეპლოსი
თანაბრად აღარ გეფინება თეძოებს ქვემოთ.

პ ე ნ თ ე ვ ს ი

კარგად შემნიშნე. შეჭმუჭვნილა მარჯვენა მხარე,
ხოლო მარცხნივ კი კოჭებამდე ეშვება კაბა.

დ ი ო ნ ი ს ე

არ შემიტკბობდი უძვირფასეს მოყვასის დარად,
რომ თვინიერნი დაგენახა ბაკხი ქალები?

პ ე ნ თ ე ვ ს ი

მითხარი ბარემ, რომელ ხელში მეჭიროს თირსო,
მენადებისგან რომ ვერავინ ვერ გამარჩიოს?

დ ი ო ნ ი ს ე

მარჯვენით იპყარ, თან მარჯვენა ფეხი აქნიე!
ქების ღირსი ხარ, რომ გონება გადაგიბრუნდა.

პ ე ნ თ ე ვ ს ი

აბა, თუ შევძლებ, კითერონი ზურგზე მოვიგდო,
მთელი ტყიანად და იმა ბაკხ დიაცებითურთ!

დ ი ო ნ ი ს ე

შეიძლებ, თუკი მოისურვე. ადრე გონება
არ გქონდა საღი, ახლა ასწილ გამჭრიახი ხარ.

პ ე ნ თ ე ვ ს ი

შენ როგორ ფიქრობ, ძალაყინი არ დამჭირდება?
იქნებ ხელებით ამოვძირკვო საფუძველითურთ?

დ ი ო ნ ი ს ე

ნუ აწყენ ნიმფებს, ნუ მოუშლი მყუდრო სავანეს,
და პანის ხმატკბილ სალამურებს ნუ დაადუმებ.

პ ე ნ თ ე ვ ს ი

კეთილად უბნობ! არ დავჯაბნი მძლავრობით ქალებს,
სადმე ნაძვებში მიმალული გავირინდები.

დ ი ო ნ ი ს ე

ჰო, გაირინდე, გაინაბე, თვალი არ მოგკრან,
რაკი მზაკვრულად ეპირები ბაკხების ზვერვას.

პ ე ნ თ ე ვ ს ი

მაშინ მიყურე, როს ანაზდად თავს დავაცხრები
და ჩიტებივით გამოვიჭერ განცხრომაში მყოფთ!

დ ი ო ნ ი ს ე

განა ამისთვის არ მიდიხარ მალულად მთაში?
დასტურ შეიპყრობ, თუ მანამდე შენ არ შეგიპყრეს.

პ ე ნ თ ე ვ ს ი

მაშ, წამიყვანე შვიდბჭიანი ქალაქის წიაღ!
ერთადერთი ვარ, ვინც შეჰბედა ესეგვარ საქმეს!

დ ი ო ნ ი ს ე

ერთადერთი ხარ, თებესათვის მხოლოდ შენ ზრუნავ,
ბრძოლა მოგელის სასტიკი და აუცდენელი!
უკან მომყევი, წინამძღოლი ვიქნები სანდო.

ხოლო იქიდან სხვა მოგიყვანს!...

პ ე ნ თ ე ვ ს ი

მშობელი დედა?

დ ი ო ნ ი ს ე

ჰო, ყველას თვალწინ...

პ ე ნ თ ე ვ ს ი

ამისათვის მივდივარ სწორედ.

დ ი ო ნ ი ს ე

ხელში აყვანილს...

პ ე ნ თ ე ვ ს ი

ნებიერი ვიყავი მუდამ.

დ ი ო ნ ი ს ე

მოგიყვანს დედა.

პ ე ნ თ ე ვ ს ი

ფუფუნებას მპირდები განა?

დ ი ო ნ ი ს ე

ჰო, ფუფუნებას, სწორედ ისეთს...

პ ე ნ თ ე ვ ს ი

რისიც ღირსი ვარ!

დ ი ო ნ ი ს ე

ღირსი ხარ, ღირსი და ღირსივე მოგელის წერა,
ცად აიწევა საკვირველი შენი სახელი!
განაპყარ ხელი, ჰე, აგავევ, თქვენც მისნო დასნო!
ეჰა, ასულნო კადმოსისა! საომრად მიმყავს
ჭაბუკი მეფე.... მე ვიქნები გამმარჯვებელი
და ბრომიოსი. დანარჩენი თავს იჩენს თავად.

მ ე ო თ ხ ე ს ტ ა ს ი მ ო ნ ი

გ უ ნ დ ი

ს ტ რ ო ფ ი ა

მოდის, ძაღლებო, ლისას ძაღლებო,
მთას შეესიეთ, ფეხმარდებო!
იქ ფერხულობენ კადმოსის ასულნი.

მიდით, მიესიეთ დიაცებრ მოკაზმულს,
მენადების მზვერვად რომ მოსულა!
ჯერ დედა, კლდიდან მომზირალი,
თვალს მოჰკრავს მსტოვარს, ჩასაფრებულს.
მენადების კრებულს შეუძახებს:
ვინ არის, ნეტავ, ეს კადმოსიანი.
მსტოვრად რომ მოდის დილაადრიან?
მთისკენ რომ მოდის, მენადებო, მთისკენ,
ვისი ნაშობია ნეტავ?
ნაყოფს არა ჰგავს დიაცის სისხლისას,
ლომის ბოკვერია ალბათ,
ანდა ლიბიელ გორგონების ნაშობი.
მოვედ, სამართალო, განცხადდი!
მოვედ, ხელმახვილიანო, მოვედ!
ყელი გამოსჭერ უღვთოს, უსამართლოს,
ექიონის ნაშიერს!

ა ნ ტ ი ს ტ რ ო ფ ი ა

მოდის უკუღმართი ზრახვით აღსავსე,
მოდის მზვაობარი, გაგულისებული,
ბაკხოს, შენი და დედაშენის ორგიის
ცნობაარეული საზვერად მოდის,
უძლეველის ძლევად ეპირება!
ნეტავ მას, ვისაც თვინიერი
ზრახვანი ცისკენ მიუმართავს _
წუთისოფელს უშფოთველად განვლის!
არა მშურს სიბრძნე კაცებრივი,
სხვა წმიდა მადლი მიმიზიდავს,
ველტვი სხვა სიკეთეს:
დღე ცისმარე სუნთქვა წამიერი
მსხვერპლად შეეწიროს უკვდავთა ნებას;
არა დავადგე უკუღმართთა გზაზე,
უკვდავთა მახლდეს შიში და რიდი.
მოვედ, სამართალო, განცხადდი,
მოვედ, ხელმახვილიანო, მოვედ,
ყელი გამოსჭერ უღვთოს, უსამართლოს,
ექიონის ნაშიერს!

ე პ ო დ ო ს ი

ხარად გამოცხადდი, რქადასხმულ
ანუ მრავალთავა ურჩხულად გვეჩვენე,

ანუ ლომად ცეცხლოვანად გამოჩნდი!
მოვედ, ბაკხოს, მენადების მარეკო,
პირმცინარემ ბადე მიუსროლე _
დამღუპველი სათხეველი _
მენადების გუნდში შემოპარულს!

მეხუთე ეპისოდიონი

მ ა ც ნ ე

ო, ძველო სახლო, ბედნიერო მთელს ელადაში,
სახლო სიდონელ ბერიკაცის, ვინაც დათესა
ურჩხულის ეშვნი და მოისთვლო ურჩხულთა მოდგმა!
დიდად მანალვლებ, თუმც მონა ვარ, გარნა მონათაც
ხამს მბრძანებელთა მწუხარება გაიზიაროს.

გ უ ნ დ ი ს წ ი ნ ა მ ძ ღ ო ლ ი

რა მოხდა, კაცო? ბაკხ ქალებზე ახალს რას იტყვი?

მ ა ც ნ ე

გესმათ, პენთევსი დაიღუპა, ექიონის ძე!

წ ი ნ ა მ ძ ღ ო ლ ი

დიდ ღმერთად გაჩნდი, წინამძღვარო ჩვენო, ბრომიოს!

მ ა ც ნ ე

ამას რად იტყვი, დედაკაცო! ნუთუ გახარებს
შვიდბჭიან თებეს მბრძანებელთა უწყალო ხვედრი?

წ ი ნ ა მ ძ ღ ო ლ ი

აწ კი ნებისად ვიყიჟინებ, “ეჰეის” ხმაზე,
რაკი ხუნდები, შემხუთველი, აღარ მაშინებს!

მ ა ც ნ ე

უმამროდ როდი დარჩენილა თებე-ქალაქი!

წ ი ნ ა მ ძ ღ ო ლ ი

თებე როდი მყავს მბრძანებელად! დიონისეა,
დიონისეა ჩემი ღმერთი და წინამძღვარი!

მ ა ც ნ ე

გეპატიებათ, დიაცებო. გარნა არა ხამს,
კაცის სიკვდილი, ეგზომ მწარე, რომ გიხაროდეთ.

წ ი ნ ა მ ძ ღ ო ლ ი

გვაუწყე ბარემ, რა სიკვდილით მოკვდა პენთევსი,
ის უღვთო კაცი, ღვთიურ ნების უარმყოფელი!

მ ა ც ნ ე

როგორც კი გავცდით შვიდბჭიანი თებეს სანახებს,
ასოპის წყალი გადავლახეთ, ნათელმედინი.
მერმე ავყევით კითერონის ციცაბო კალთებს _
სამნი ვიყავით _ მე, პენთევსი და უცხო კაცი,
ვინც ორგიების სანახავად აგვიყოლია.
გამოხდა ხანი, მივადექით ხასხასა მდელოს,
ხმაგაკმედილნი ჩამოვსხედით, რომ უხილავებს
თავად გვეხილა საკვირველი სანახობა.
შორით მოჩანდა მოჩრდილული ნაძვებით ახო,
კლდით მოზღუდული, დაღარული ნაკადულებით;
მწვანეზე ისხდნენ მენადები, საქმიანობდნენ _
ზოგი თირსოზე კვლავ აწნავდა დაცვენილ სუროს,
სხვანი უხედნელ კვიცებივით გალაღებულნი
ერთიმეორეს გასძახოდნენ ბაკხურ სიმღერებს.
მაგრამ პენთევსმა დაბინდული მზერა ვერ ჰკიდა
დიაცთა გუნდებს და ამგვარად მიმართა გამძღოლს:
ჰე, უცხო კაცო, ამ საფრიდან თვალს ვერ მივაწვდენ
იმ ცრუ მენადებს, იქნებ სადმე ბორცვზე ავიდე,
ან დამიგულე ცადაწვდილი, მაღალი ნაძვი _
მაღლიდან უკეთ გამოჩნდება მათი სირცხვილი.
მაშინ ვიხილე სასწაული ჯერარნახული,
რაიც მეგზურმა ჩვენს თვალთა წინ მოიმოქმედა:
მოძებნა ნაძვი ტანკენარი, ცადაშოლტილი,
ტოტს მოეჭიდა, არკაცური ძალით მოზიდა,
ძირს დაითრია, დაითრია და როგორც შვილდი,
ისე მოდრიკა ცადაწვდილი ხის წვეროკინი;
მიწად დაღუნა _ ღვთაებრივი ერჩოდა ღონე.
დასვა პენთევსი ნაძვის ტოტზე და ნება-ნება
შეუშვა ხელი, რომ თანისთან ამართულიყო;
ხე აიწვადა, კვლავ შეერთო მჭვირვალე ეთერს
მის კენწეროზე მოქცეული ბასილევსითურთ.
მაგრამ, ვაი რომ უფრო ადრე იქნა ხილული,
ვიდრემდის თავად იხილავდა მენადების გუნდს!
ვერც კი შევასწარ ცადატყორცნილ მბრძანებელს თვალი,
რომ უცხო კაცი მეყსეულად გაუჩინარდა.
მერმე მოისმა ზეგარდამო მძლავრი ძახილი _
ასე იზახდა (დიონისე თუ იყო თავად):

ეჰა, დიაცნო, მოგიყვანეთ თქვენი მესისხლე,
ვინც ჩემს ორგიებს დასცინოდა. მიაგეთ შური!
ეს გავიგონე და ანაზდად ცის წიაღიდან
მიწად დაეშვა ღვთაებრივი, უცხო ნათელი.
გაყუჩდა ირგვლივ არემარე, ტყე დამყუდროვდა,
შეწყდა ნადირთა ჩამიჩუმი, ფოთლების ჩქამი...
ბრომიოსის ხმა ბაკხ დიაცებს ჩაესმათ ბუნდად,
ყურები ცქვიტეს, აქეთ-იქით აპყრობდნენ მზერას.
კვლავ რა მოუხმო დიონისემ და ეცნაურათ
კადმოსის ასულთ დაძახილი მათი ღმერთისა,
წამოიშალნენ, ფრთოსნებივით შეიფრთხიალეს,
შეიბეს ფრთები ქედნებისა, დაჰკრეს ყიჟინა,
მიჰყვნენ ღმერთის ხმას ღმერთის სუნთქვით დახელთილები _
დედა აგავე, დანი მისნი და ყველა ბაკხი.
განა თუ მიწას დააკარეს მარდი ფეხები _
თვალშეუსწრებლივ გადაევლნენ მჩქეფარე ნაკადს.
ნაძვზე შემომჯდარ ჩემს მბრძანებელს რა მოჰკრეს თვალი,
აცვივდნენ კლდეზე, გოდოლივით რომ აწვდილიყო
და მთელი ძალით დაუშინეს ქვები და ღორღი,
ნაძვის ტოტები, თირსოებიც არ დაიშურეს _
ყველას პენთევსი გაეხადა ბედკრულ სამიზნედ.
მაგრამ ვერ მისწვდნენ, წვეროკინი მაღალი იყო.
ხოლო პენთევსი, განწირული და უსასოო,
მიყუჟულიყო, ჩავარდნოდა შიშისგან ენა.
მერმე ბერმუხას მოამტვრიეს მსხვილი ტოტები,
რომ ხის კეტებით ნაძვის ძირი ამოეძირკვათ.
რა ვერას გახდნენ. ასე უთხრა ქალებს აგავემ:
მოდით, ქალებო, მოვეჭიდოთ ამ ნაძვის ღეროს,
ძირს ჩამოვაგდოთ ეს ნადირი, ხეზე ამმვრალი,
რათა არ გათქვას საიდუმლო ორგიებისა.
და შემოეჭდო ნაძვის ღეროს ურიცხვი ხელი,
მაგრა მოსწიეს, შეანჯღრიეს და ამოძირკვეს.
შექანდა ნაძვი და პენთევსიც ვაით და ვიშით
ძირს გადმოეშვა ხის წვეროდან; მაშინღა მიხვდა,
რომ ახლოს იყო საზარელი დაღუპვის ჟამი.
პირველ აგავე, ღვიძლი დედა, მიეჭრა ზორვად;
მან კი, ბედკრულმა, გადაიძრო ქალის ჩიქილა,
რომ ეცნო მშობელს თვისი პირმშო და არ დაეკლა.
ევედრებოდა, უფერებდა ღაწვებზე დედას _
მე ვარო, დედი, შენი შვილი, შენი პენთევსი,
არ გახსოვს განა, ექიონის სახლში რომ მშობე?
შემიბრალეო, დედაჩემო, ამ ცოდვის გამო

ნუ დამღუპავო შენს ნაშიერს! _ მაგრამ აგავე,
პირდორბლიანი, თვალებს ავად აბრიალებდა,
გონს ვერ მოეგო, გაავცნობდა, ვერ იცნო შვილი,
რაკი ბაკხოსმა დაუბნელა სრულად გონება.
ეძგერა პენთევსს, ხელი სჭიდა მარცხენა მკლავში,
ფეხი ნეკნებზე მიაბჯინა იმ სვეუბედურს;
მკლავი მოგლიჯა _ უცნაური ჩადგმოდა ძალა;
ჩანდა, ღვთაება ყოვლისშემძლე შეეწეოდა.
ინოც იქ იყო _ დახელთილმა მეორე მკლავი
ტანს აახლიჩა; მიესივნენ ბაკხი დიაცნი,
დასცეს ყიჟინა ერთობლივი, შესძრეს მიდამო,
კვნესოდა ჩემი მბრძანებელი, ვიდრეღა სული
სხეულში ედგა; დაჰკიოდნენ სულთმობრძავს თავზე.
ერთს მისი მკლავი დაეთრია, მეორეს _ ფეხი,
ფერდებს ძვალ-რბილი აახლიწეს და სისხლიანი
ფრჩხილებით ფლეთდნენ საცოდავი პენთევსის სხეულს.
ასე აკუწეს ასო-ასო და მიმოფანტეს
ტყეში და ღრეში _ ძნელი გახდა მათი მოძებნა.
ხოლო დედამისს, გაშმაგებულ აგავეს, წილად
ერგო საბრალო მისი თავი, ხელი დასტაცა
ნართეკის წვერზე წამოაგო ლომის თავივით
და ამ ნადავლით წამოვიდა კითერონიდან,
დასტოვა დები გახელებით მოფერხულენი.
თავად მოილტვის თებესაკენ ამ უბედური
ნანადირევით მოქადული, გამყინავი ხმით
მოუხმობს ბაკხოსს, ნადირობის შემწეს, მეწილეს
და გამმარჯვებელს, ვინაც ცრემლი მოუნადირა.
მე კი... შორს წავალ, გავეცლები ამ ცოდვის კითხვას,
ვიდრე აგავე მოაღწევდეს ქალაქის კედლებს.
თვინიერება და ღვთის შიში ყველაფერს მიჯობს –
ხამს, მოკვდავ კაცთა დაიმარხონ ეს წმიდა მცნება.

გ უ ნ დ ი

ვადიდოთ ფერხულებში ბაკხოსი,
დიონისე ვადიდოთ!
ვახაროთ პენთევსის სიკვდილი,
ურჩხულთა ნაშიერის ბოლო!
დიაცებრ მოსილი, ხელთირსოიანი _
საჰადესო ნართეკით _
ხარს წაჰყვა რქადასხმულს
შავეთის გზაზე.
ჰე, ბაკხო დიაცნო, კადმოსის ასულნო,

გამარჯვების ვაშა დაგისრულდათ
მოთქმით და გოდებით!
ვაგლახ, ძის სისხლით შეიბღალა
თეთრი ხელები მშობელი დედის!

ექსოდოსი

გ უ ნ დ ი ს წ ი ნ ა მ ძ ღ ო ლ ი

ვხედავ, აგავე მოიჩქარის სასახლისაკენ,
პენთევსის დედა, თვალშეშლილი და მოყიჟინე.
აჰა, მორბიან მენადებიც, მიეგებენით!

ა გ ა ვ ე

ჰეი, აზიელო მენადებო!

გ უ ნ დ ი

რად გვიხმობ?

ა გ ა ვ ე

მთებიდან მომაქვს, მომიტანია
ახლადნაკაფი სურო სასახლეში _
ბედნიერი ნანადირევი!

გ უ ნ დ ი

ვხედავ, მიგვიღიხარ თანამეღრეველ.

ა გ ა ვ ე

განა თუ ბადე მომიხმარია!
ხელით შევიპყარ ლომის ბოკვერი.

გ უ ნ დ ი

რომელ უდაბნოში?..

ა გ ა ვ ე

კითერონს...

გ უ ნ დ ი

რა მოხდა კითერონს?

ა გ ა ვ ე

იქ მოკლეს...

გ უ ნ დ ი

პირველ ვინ დაკოდა?

ა გ ა ვ ე

ჩემია ჯილდო.

გ უ ნ დ ი

ნეტარ ხარ, აგავე!

ა გ ა ვ ე

თიასებში განვითქვი!

გ უ ნ დ ი

მერე ვინ იყო?

ა გ ა ვ ე

კადმოსის...

გ უ ნ დ ი

რაო, კადმოსის?

ა გ ა ვ ე

ასულებმა
ჩემს შემდეგ, ჩემს შემდეგ
დასცეს ნადირი.

გ უ ნ დ ი

გწევია ბედი!

ა გ ა ვ ე

მოდით, ვილხინოთ!

გ უ ნ დ ი

რა გალხენს, ბედკრულო!

ა გ ა ვ ე

ჯერეთ ჩვილია ეს ბოკვერი,
ღაწვები ღინღლით დაფარვია,
ახლახან მოზრდია ფაფუკი ფაფარი.

გ უ ნ დ ი

ფაფარი ტყიურისას მიუგავს.

ა გ ა ვ ე

ბაკხოსმა, მარჯვე მონადირემ,

მარჯვედ მიუსია
მის კვალს მენადები!

გ უ ნ დ ი

ჭეშმარიტად, ნადირთ ბატონია!

ა გ ა ვ ე

მადიდებ?

გ უ ნ დ ი

არ გადიდო?

ა გ ა ვ ე

მალე ძენიც კადმოსისა...

გ უ ნ დ ი

და პენთევსი...

ა გ ა ვ ე

დედას განადიდებს.

გ უ ნ დ ი

მომწადირებელს...

ა გ ა ვ ე

ლომის ბოკვერისას...

გ უ ნ დ ი

უცნაურის...
აგავე
უცნაურად.

გ უ ნ დ ი

ამაყობ, განა?

გ უ ნ დ ი

მახარებს დიდად
საქმე დიადი, დიადი, ბრწყინვალე...

გ უ ნ დ ი

ქვეყნის სადიდებლად.

გ უ ნ დ ი ს წ ი ნ ა მ ძ ღ ო ლ ი

მაშ, ახილვინე, უბედურო, ქალაქის მკვიდრთა
შენი ნადავლი, მთებიდან რომ მოგიტანია.

ა გ ა ვ ე

ჰე, მკვიდრნო ტურფაგოდლებიან ქალაქისანო,
მოდით, იხილეთ საოცარი ნანადირევი!
ბერი კადმოსის ასულებმა მოვინადირეთ _
განა თუ გვქონდა სათხედები თესალიელთა,
ანუ ბადენი სათხეველნი, წვერმახი შუბი!
რას ვაქნევთ რკინას, მოელვარეს და მტკიცედ ნაჭედს,
თეთრი ხელებით შევიპყარით მბრდღვინავი მხეცი
და ასო-ასო, წილობებად ჩამოვირიგეთ.
მაგრამ... სად არის მამაჩემი, ბერი კადმოსი?
ახლოს მოვიდეს, მიეგებოს გულოვან ასულს.
ან შენ სადა ხარ, შვილო ჩემო? მიადგი კიბე
კედელს და მაგრად მიაჭედე ეს თავრიელი
სასახლის შუბლზე _ ნიშნად ჩვენი გამარჯვებისა.

კ ა დ მ ო ს ი

უკან მომყევით, მაგ საბრალო მსხვერპლის მტვირთველნი.
აქ დაასვენეთ, სასახლის წინ, პენთევსის ნეშტი,
დიდხანს რომ ვძებნეთ ორწოხებში კითერონისა
და შევაგროვეთ ასო-ასო მიმოფანტული.
მაშინ შევიტყვეთ საზარელი ამბავი ესე _
რა მოვადექით შვიდბჭიანი ქალაქის ზღუდეს
მე და მისანი ტირესია, ნაბაკხურევნი,
უმალ გავბრუნდი მთებისაკენ და წამოვიღე
ბაკხების ხელით დაგლეჯილი შვილის ცხედარი.
იქ დავინახე ავტონოე, ვინც არისტეოსს
უშვა ბედკრული აქტეონი, ინოც იქ იყო,
ტყე-ტყე დაძრწოდნენ დახელთილნი და დანესტრილნი.
აგავეზე თქვეს, დასტოვაო დიაცთა დასი
და სასახლისკენ გაიჭრაო ბაკხური რბოლით.
მართალი უთქვამთ, _ აგავეა, არ მტყუნობს თვალი.
ჰოი, ბედკრულო, არ მენახე ნეტამც აროდეს!

ა გ ა ვ ე

მაშ, იამაყე, მამაჩემო, და გიხაროდეს,
უმამაცესი ასულები რომ გიშობია.
მე ჩემზე გეტყვი უპირატეს, ვინც საჩეჩელი
შორს მოვისროლე და ფარტენა ქარს გავატანე;
ვიცვალე ზნენი დიაცურნი და ხელით ვიჭერ
გარეულ ნადირს. აჰა, ჯილდო სიმამაცის წილ!
შენი სასახლის ტრიგლიფებზე ეკიდოს იგი!
შეავლე ხელი, მამაჩემო, და იამაყე,

ლხინად შეჰყარე მეგობრები, რომ ყველამ ნახოს.
შენი ასულის საკვირველი ნანადირევი.
ნეტარ ხარ, ნეტარ, მამაჩემო, მოკვდავთა შორის!

კ ა დ მ ო ს ი

ვაი ჩვენდა, სვედავსილთ, ბედუკუღმართთ!
ვაი საქმეს, საწყალობელ ხელით აღსრულებულს!
კარგი მსხვერპლი შეგიწირავს ღმერთებისად,
ახლა თებეს სანადიმოდ იწვევ?
ვაი, სახლო ჩვენო, უკუღმართად ნაშენო!..
ჯერ შენ დაგტირი, ასულს უბედურს,
მერე ჩემს თავს, საბრალობელს დავტირი.
ღირსად მოგვაგო შური ბრომიოსმა,
დაგვატყდა რისხვა ჩვენივე ღვიძლისა!

ა გ ა ვ ე

რარიგ გვიწამლავს სიხალისეს კრული სიბერე,
აგვაწუწუნებს, მცინარ სახეს ჩამოგვიტირებს!
პენთევსი მაინც მიჰყვებოდეს ნაკვალევს ჩემსას,
ფეხბედნიერი მონადირე შეიქნებოდეს!
მაგრამ ვაი, რომ ღმერთთან ბრძოლას უნდება მხოლოდ...
შენს მეტი ვინ ჰყავს, მამაჩემო, შემგონებელი?
რად არ გამოჩნდა, დედას რად არ გამომეგება,
რათა ეხილა, რა იღბალი დამეცა თავზე.

კ ა დ მ ო ს ი

ვაი, თქვენ, ბედშავთ! რომ შეგეძლოთ _ გადიხალისოთ
შეშლილი გონი, აიტანდით მწარე სატანჯველს?
უკეთუ დარჩეთ უცნობელნი, როგორც ახლა ხართ,
ეს იქნებოდა ერთადერთი ნუგეში თქვენი.

ა გ ა ვ ე

რა სატანჯველი, მამაჩემო, რისი ნუგეში?

კ ა დ მ ო ს ი

ჯერ მაღლა, ცისკენ მიმართე მზერა.

ა გ ა ვ ე

აჰა, მივმართე... გარნა რად მიბრძანე?

კ ა დ მ ო ს ი

ცა იგივეა? თუ ფერნაცვალი მოგეჩვენა?

ა გ ა ვ ე

უწინდელზე უფრო ბრწყინვალებს შუქთა მთოველი...

კ ა დ მ ო ს ი

ნუთუ გახელება არ გაგინელდა?

ა გ ა ვ ე

გამინელდაო?.. ამას რად ამბობ?
ჰო, თითქოს ცნობას მოვდიოდე...

კ ა დ მ ო ს ი

თუ ძალგიძს მომისმინო, მიპასუხო?

ა გ ა ვ ე

რას ვამბობდით, მამავ, დამავიწყდა.

კ ა დ მ ო ს ი

ვის სახლში შეხველ, თუ გახსოვს, ჰიმენეს სიმღერით?

ა გ ა ვ ე

ექიონს არ მიმეც, დრაკონის დანათესს?

კ ა დ მ ო ს ი

იმ სახლში ქმარს შენსას ვინ უშევ, თუ გახსოვს?

ა გ ა ვ ე

პენთევსი განა ჩვენი პირმშო არ იყო?

კ ა დ მ ო ს ი

ეგ ვისი თავია, ხელში რომ გიჭირავს?

ა გ ა ვ ე

ლომისაა... მენადებმა არ მითხრეს?

კ ა დ მ ო ს ი

კარგად დახედე, წამის საქმეა...

ა გ ა ვ ე

ვაი, რას ვხედავ! ხელთ რა მიჭირავს?

კ ა დ მ ო ს ი

კარგად დააკვირდი, მიხვდები...

ა გ ა ვ ე

მივხვდი, მივხვდი... დავღუპულვარ ბედკრული!

კ ა დ მ ო ს ი

კიდევ გეჩვენება ლომის თავად? თუ...

ა გ ა ვ ე

არა, პენთევსის თავი მიპყრავ უბედურს!

კ ა დ მ ო ს ი

უმალ დატირებული, სანამ მიხვდებოდი, აგავე...

ა გ ა ვ ე

ვის მოუკლავს? ვინ მომცა ხელთ?

კ ა დ მ ო ს ი

ო, სიმართლევ შემზარავო! რა გვიან გაცხადდი!

ა გ ა ვ ე

მითხარი, მითხარ! სული ვერ ითმენს...

კ ა დ მ ო ს ი

შენ მოჰკალ, დანი შენნი გშველოდნენ...

ა გ ა ვ ე

სად? სასახლეში... თუ

კ ა დ მ ო ს ი

სადაც აქტეონი ძაღლებმა დაგლიჯეს.

ა გ ა ვ ე

რად წავიდა კითერონს საბრალო?

კ ა დ მ ო ს ი

ღმერთისა და შენი მენადების დასაცინად.

ა გ ა ვ ე

ჩვენ რაღამ წაგვიყვანა კითერონს?

კ ა დ მ ო ს ი

შეიშალენით, ბაკხოსმა დაგხელთათ...

ა გ ა ვ ე

ახლაღა მივხვდი. გაგვწირა დიონისემ.

კ ა დ მ ო ს ი

არ აღიარეთ, ღმერთად არ სცანით.

ა გ ა ვ ე

სად არის ნეშტი, მამაჩემო, ნეშტი ძვირფასი...

კ ა დ მ ო ს ი

ძლივას შევკრიბე ასონი და, ჰა, მოვიტანე.

ა გ ა ვ ე

ასო ასოს თუ მიუსადაგე?

კ ა დ მ ო ს ი

(მივუსადაგე, გარნა თავი...)

ა გ ა ვ ე

პენთევსს ჩემი ბრალი რად მოეკითხა?

კ ა დ მ ო ს ი

ერთად შესცოდეთ, შეუგინეთ ბაკხევსს პატივი,
ცილი დასწამეთ _ ამიტომაც დაგსაჯათ ღმერთმა.
არა მარტო თქვენ, დაიღუპა დღეს ჩემი სახლი,
მომერღვა ფუძე, უმემკვიდროდ გადაშენებულს
რა დამრჩენია გლოვის მეტი; დავტირი პენთევსს _
მოკლულს, დაგლეჯილს მისიანთა ბრალეულ ხელით.
ჩემი სასახლის ბურჯი იყავ, ჩემო მემკვიდრევ,
ქალაქის რისხვა და სიბერის ჩემის ქომაგი!
ვინ გაბედავდა, გაელანძღა ჩემი ჭაღარა,
თუკი შენ მახლდი ბასილევსის ტახტზე მჯდომარე!
აწ სასახლიდან უპატიოდ განვიდევნები
დიდი კადმოსი, ვინც დათესა თებელთა თესლი
და სანუკვარი მოსავალი რომ მოიწია.
უძვირფასესო კაცთა შორის, თუმც აღარა ხარ,
მაინც ძვირფასად დაიმარხვის შენი სახელი!
ნუთუ ნიკაპზე ხელს კვლავ აღარ მომითათუნებ?
აღარ ჩამიკრავ პაპას მკერდში, კვლავ აღარ მკითხავ _
ვინ გაწყენინა, უპატიო ვინ გყო მოხუცი?
ვინ შეგაწუხა, მითხარ, გული ვინ აგიმღვრია,
რომ საკადრისად გავუსწორდე შენს მაგინებელს?
აწ ვინ დამიცავს, დავრჩენილვარ უმწედ, უნუგეშ...
ბრალი დედაშენს, საწყალობელს, ბრალი დებს მისას!
შეხედეთ, ხალხო, თუ ვინმე ხართ ღმერთის მგმობელი,
ნახეთ სიკვდილი ეგეგვარი და შეინანეთ!

გ უ ნ დ ი ს წ ი ნ ა მ ძ ღ ო ლ ი

მებრალვი, კადმოს, უბრალო ხარ ამ სატანჯველში,

გარნა შენს მოდგმას, დამნაშავეს, ღირსად მიეზღო.

ა გ ა ვ ე

ო, რა სასტიკად დატრიალდა ბედის ბორბალი!

. . . . . .

(დაკარგულ ნაწილში სავარაუდებელია: აგავეს გლოვა შვილის გამო, ქოროს სიტყვები, რითაც იგი ამცნობს დიონისეს გამოცხადებას აწ უკვე ღვთაებრივი სახით, დიონისეს სიტყვის დასაწყისი _ აგავესა და მისი დების თებედან განდევნის განაჩენი)

დ ი ო ნ ი ს ე

. . . . . .

. . . . . .

თავად ურჩხულად გადიქცევი და შენი ცოლიც _
არესის შვილი ჰარმონია, უკვდავი ქალი,
მოკვდავმა კაცმა რომ შეირთე, შეიცვლის სახეს:
გველადქცეული წამოგყვება, სადაც კი წახვალ;
შეაბამ ურემს _ ასეთია ნება ზევსისა _
უცხო ურდოებს წინამძღოლად მოევლინები;
უშქარი ლაშქრით დაარბევენ უამრავ ქალაქს,
გარნა, დაბოლოს, წაერთმევათ დღე დაბრუნების,
რაკი აპოლონს დაუნგრევენ წმიდა სამისნოს.
არესი გიხსნით თქვენ ორთავეს და ნეტარ ქვეყნად
დაგიმკვიდრდებათ უზრუნველი და მშვიდი ყოფა.
მე, დიონისე, გეუბნებით ზევსის განაჩენს,
კრონიონის ძე, არა მოკვდავ კაცის ნაშობი.
და რომ შეგეგნოთ იგი სიბრძნე, რაც უარყავით,
ზევსის წყალობით მოიხვეჭდით კეთილდღეობას,
მეც _ დიონისე თანამდგომად გეყოლებოდით.

ა გ ა ვ ე

ო, დიონისევ, გევედრები, ნუ გაგვწირავ!

დ ი ო ნ ი ს ე

კმარა! გვიან არს სინანული, გვიან მიცანით.

ა გ ა ვ ე

ეს ვიცით, გარნა... სასტიკია შენი სასჯელი.

დ ი ო ნ ი ს ე

დამგმეთ, შემაგინეთ უკვდავი...

ა გ ა ვ ე

სასტიკებაში რად გვბაძავთ უკვდავნი?

დ ი ო ნ ი ს ე

ასე დაადგინა ზევსმა დასაბამით.

ა გ ა ვ ე

ვაი, აღსრულდა, მამავ, ვიდევნებით!

დ ი ო ნ ი ს ე

რაღად აგვიანებთ? მოსახდენი მოხდეს!

კ ა დ მ ო ს ი

ო, შვილო ჩემო, რა საშინელ ბოლოს ვეწიეთ!
გაუბედურდა ჩემი მოდგმა და დანათესი.
ვაიმე ბედკრულს! უცხო თემად უნდა ვიარო
მოხუცმა მსხემმა. დამიდგინეს ღმერთებმა ისევ,
რომ ელადაში უცხოთესლი შემოვიყვანო
და ჰარმონიას, ჩემს მეუღლეს _ არესის ასულს,
ურჩხულად ქცეულს მე, ურჩხულმა, დავარბევინო
ელინთა ძველი საფლავები და საწმინდარნი...
აწ ვერასოდეს მოვისვენებ ამ წუთისოფლად,
და ვერცა წყალნი ლეთესანი დამამშვიდებენ.

ა გ ა ვ ე

შენგან მოწყვეტილს, მამაჩემო, მეც ხომ მომკვეთენ!

კ ა დ მ ო ს ი

ასულო ჩემო, უბედურო, ხელებს რად მიწვდი,
ვით თეთრი გედი, უსუსური, უმწეო პატრონს?

ა გ ა ვ ე

საით მივიქცე განდევნილი მშობელ ქვეყნიდან?

კ ა დ მ ო ს ი

არ ვიცი, შვილო, მამაშენი ვეღარ გიშველის.

ა გ ა ვ ე

მშვიდობით სახლო მშობლიურო,
მშვიდობით თებევ შვიდბჭიანო!
კერიიდან დევნილი გეთხოვები!

კ ა დ მ ო ს ი

არისტეოსთან წახვალ, შვილო...

ა გ ა ვ ე

მებრალვი, მამავ!..

კ ა დ მ ო ს ი

მეც, შვილო ჩემო!
შენს დებს დავტირი, სვეუბედურთ...

ა გ ა ვ ე

მწარე სატანჯველი, მწარე
დაატეხა შენს მოდგმას
დიონისე მეუფემ, მამაჩემო!..

კ ა დ მ ო ს ი

მწარედ შეიგინა თქვენგან, მწარედ
თებე-ქალაქში მისი სახელი...

ა გ ა ვ ე

მშვიდობით, მამავ...

კ ა დ მ ო ს ი

მშვიდობით, შვილო...
თუკი მშვიდობა გიწერია სადმე...

ა გ ა ვ ე

წამიყვანეთ, მეგზურნო, წამიყვანეთ,
რათა შევერთო დათა ჩემთა
თანადევნილთ, საბრალობელთ!..
მომაშორეთ საძულველ კითერონს,
დაე, კითერონი თვალით ნუ ვიხილო!
გადამკარგეთ, თირსო დამავიწყეთ,
თიასებში სხვებმა გაიხარონ!

გ უ ნ დ ი

მრავალგზით ცხადდება ღმერთების ნება,
მრავალგზით ცუდდება კაცთა მოლოდინი.
რასაც მოველით, არ აგვიხდება,
რასაც არ მოველით, მოგვივლენს ღმერთი.
ამგვარად დასრულდა ამბავი ესე.

თარგმნა ზურაბ კიკნაძემ

ძველი ატიკური კომედია

არისტოფანე

(დაახლ. ძვ.წ. 446-385 წწ.)

ისტორიას ძველი ატიკური დრამის მრავალი კომედიოგრაფოსის სახელი შემორჩა. მათგან მხოლოდ არისტოფანეს თერთმეტმა კომედიამ მოაღწია სრულად ჩვენამდე. პოეტის ბიოგრაფიიდან ძალზე ცოტა რამ ვიცით, თუმცა მისივე შემოქმედებიდან ნათელი ხდება, რომ იგი პელოპონესოსის ომის მძვინვარების ხანაში მოღვაწეობდა. ძველი ატიკური კომედია მკვეთრად გამოხატული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ხასიათისა იყო: მასში აისახა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პრობლემები. განსაკუთრებით აინტერესებდა კომედიას ომისა და მშვიდობის, სოციალური, იდეოლოგიური, მათ შორის ლიტერატურული საკითხები. სწორედ ათენის ინტელექტუალური სფეროს განქიქებას მიეძღვნა არისტოფანეს კომედია "ღ რ უ ბ ლ ე ბ ი ", რომელსაც პირველი წარმოდგენისას მესამე ადგილი (რაც დამარცხების ტოლფასი იყო) მიაკუთვნეს. დამსახურებული პოპულაროზა კი მხოლოდ მაშინ მოიპოვა ამ კომედიამ, როდესაც ათენელებმა სამოქალაქო ომში დამარცხების მიზეზთა ძიება იწყეს და გაიაზრეს, რომ ღირებულებათა რღვევას თან ახლავს ტრადიციული სიქველისა და კეთილშობილების ქრობა, რითაც ბოლოს ისევ ადამიანები ისჯებიან. "ღრუბლებში" ტრადიციათა უარმყოფელი მოძღვრების სიმბოლოდ სოკრატეა გამოყვანილი. კომედიის წარმოდგენიდან 24 წლის შემდეგ, რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, ისტორიულმა სამსჯავრომ დიდ ფილოსოფოსს იგივე განაჩენი გამოუტანა, რაც კომედიოგრაფოსმა, თუმცა ამ ბრალდების ავტორი უკვე იყო არა არისტოფანე, არამედ ომით დაკნინებული ათენის საზოგადოება.

"ბ ა ყ ა ყ ე ბ ს " ლენეების დღესასწაულზე არნახული წარმატება ხვდა: მან გაიმარჯვა და მაყურებელთა თხოვნით, იმავე ფესტივალზე ხელმეორედ წარმოადგინეს. ასეთი რამ პირველად მოხდა ატიკური კომედიის ისტორიაში.

კომედიოგრაფოსმა ამჯერად მთავარ გმირებად ტრაგიკოსები: **ესქილე**, **სოფოკლე** და **ევრიპიდე** შეარჩია და მათი შემოქმედების სიღრმისეული ცოდნით, ფანტაზიის წარმო-უდგენელი გაქანებით, შეუდარებელი მახვილგონიერებით დიდებულ პოეტურ აგონს აზიარა მაყურებელი.

თარგმანები:

არისტოფანე, კომედიები (ხუთ ტომად), თარგმანი და კომენტარები ლ. ბერძენიშვილისა. ტომი I, ტომი II. თბილისი, 2002-2004 წ.

ღრუბლები

მოქმედნი პირნი:

strefsiade.	simarTle.
fidipide, misi Ze.	tyuili.
qsanTia, msaxuri.	pasia.
sokrate.	strefsiades mevaleebi.
aminia.	ocdaoTxi qalisagan – Rrublebisagan
sokrates moswavleebi.	Semdgari gundi.

სცენაზე ორი სახლია: სტრეფსიადესი და სოკრატესი.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

ვაი, ვაი!
ზევსო, მეუფეო, რა ღამე დამდგარა
დაუსრულებელი! აღარ გათენდება?
რამდენი ხანია, მამალმა იყივლა,
მსახურნი ხვრინავენ – უწინ სხვა დრო იყო!
წყეულიმც იყავი, ომო, შენს გამოა,
მსახურთა ცემაც რომ აღარ შემიძლია.
(მიუთითებს შვილზე, რომელსაც იქვე სძინავს)
ამ კეთილ ყმაწვილკაცს არც გაუღვიძია,
სძინავს და აფუჭებს ჰაერს არხეინად,
თანაც ხუთ საბანში არის გახვეული.
ასეა? მაშ, ჩვენაც დავწვეთ და ვიძინოთ.
(დაძინებას ცდილობს, მაგრამ ვერ ახერხებს)
ვაი, მე უბედურს რაღა დამაძინებს –
ხარჯები, ვალები, საჯინიბოები?
ამ ბრიყვის ბრალია. თმები მოუშვია,
ცხენზე დაჯირითობს, ეტლსაც დააქროლებს.
ძილშიაც ცხენებზე ბოდავს; ვიღუპები,
მთვარეს რომ მეოცე დღე მოჰყავს თავისი.
ვახში სულ იზრდება!
(მსახურს)
აანთე ლამპარი,
წიგნი მომიტანე, რათა წავიკითხო,
რამდენი მმართებს და ვახშიც შევაჯამო.
(მსახურს მოაქვს ლამპარი და წიგნი)
მაშ, ვნახოთ, რა მმართებს. ოცი მნა პასიას,
ცხენი რომ ვიყიდე, მახსოვს, ჯიშიანი.

რად არ დავითხარე თვალი მე უჯიშომ!
ფ ი დ ი პ ი დ ე (ბოდავს)
ფილონ, წესს ნუ არღვევ, შენს გზას გაუდექი!

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

ამ უბედურებამ დამღუპა მთლიანად,
ამ ჩემს შვილს ძილშიაც ცხენები აბოდებს.
ფ ი დ ი პ ი დ ე (ძილში)
რა გზაზე გაგექცა ეტლი საომარი?

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

რა გზითაც მამაშენს ოჯახი დაექცა.
ეს იყო პასია, მერმე კი ვინ მოდის?
აჰა, ამინია – ეტლი და ბორბლები.
ფ ი დ ი პ ი დ ე (ძილში)
ცხენი გაატარე, სახლთან მოიყვანე.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

შენ, ჩემო ძვირფასო, მამაც გაატარე;
ახლა ამ საქმესაც წავაგებ – ყველაფერს
ვახშში წაიღებენ.
ფ ი დ ი პ ი დ ე (იღვიძებს)
მამა, გეკითხები,
ნეტავ რას ბუზღუნებ და რა გაწრიალებს?

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

რა და დემარქოსი გამოძვრა, დამკბინა.

ფ ი დ ი პ ი დ ე

მაცალე, სულელო, ცოტა წავიძინო.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

ჰო, შენ დაიძინე. ვალი კი, იცოდე,
სულ შენ დაგეცემა მაგ თავში, იცოდე.
ოხ!
ნეტავ დაიღუპოს ავი მაჭანკალი,
მე რომ გამირიგა მაშინ დედაშენი!
სოფელში ვიყავი, უტკბესად ვცხოვრობდი
ტალახში და, სადაც მინდოდა, ვწვებოდი
სავსე ზეთისხილით, თაფლით და ნახირით.
მერმე მოვიყვანე მეგაკლეს დისწული,
თუმც თვითონ სოფლელი ვიყავ, ქალაქელი –
ზვიადი და კარგი ცხოვრების მოყვარე,
იგი მოვიყვანე, გვერდით მივუწექი

მთხლით, გოდრით და მატყლით სულ აქოთებული;
მას სურდა მირონის, ზაფრანის, ამბორის,
ხარჯების, განცხრომის, სიუხვის სურნელი.
უქმად კი არ იყო – ქსოვდა დღენიადაგ.
მაშინ მოსასხამი ვუჩვენე და პირში
ვუთხარი, ამაოდ ქსოვ-მეთქი, დიაცო.

მ ს ა ხ უ რ ი

ზეთი აღარ არის ლამპარში, ბატონო.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

ჩემთვის გიყიდია შენ ლოთი ლამპარი!
მოდი, აგატირო.

მ ს ა ხ უ რ ი

რად უნდა ვიტირო?

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

იმად, რომ ფითილი სქელია ჩადგმული.
(თავისთვის)
და მერმე, როგორც კი ეს ძე შეგვეძინა,
მე და ჩემს მეუღლეს ძვირფასს სახელისთვის
მოგვიხდა ჩხუბები და დავიდარაბა;
რადგან მას უნდოდა სახელში “ჰიპოსი” –
ქსანთიპე, ქერიპე ანდა კალიპიდე,
მე მსურდა სახელი პაპის – ფიდონიდე.
მერმე კი მოვრიგდით, ერთად შევურჩიეთ
სახელი, დავარქვით ასე: ფიდიპიდე.
ცოლი აიყვანდა და ეფერებოდა:
“შენ რომ გაიზრდები, ეტლით გაქანდები,
როგორც ბიძაშენი მეგაკლე, ქსიტისით”.
მე ვეუბნებოდი: “როცა გაიზრდები,
თხებს მთებში გარეკავ, როგორც მამაშენი”.
მაგრამ მან ჩემს სიტყვებს როდი დაუჯერა,
ცხენებს გადააგო სულ ჩემი ქონება.
მთელი ეს ღამე რომ ვფიქრობდი, ერთი გზა
მოვძებნე ნაღდი და სწორედ შეუმცდარი,
თუკი დავარწმუნებ ამას, გადავრჩები.
ახლა კი როგორმე უნდა გავაღვიძო.
როგორ გავაღვიძო ნაზად? ფიდიპიდე,
ეჰ, ფიდიპიდუკა!

ფ ი დ ი პ ი დ ე

რაო, მამაჩემო?

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

მაკოცე და ხელი მომეცი მარჯვენა.

ფ ი დ ი პ ი დ ე

აჰა. და რა მოხდა?

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

მითხარი, გიყვარვარ?

ფ ი დ ი პ ი დ ე

ვფიცავ პოსეიდონს, ცხენოსან მეუფეს!

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

არა, არ მიხსენო, შვილო, ცხენოსანი!
სწორედ ეგ ღმერთია ჩემი დამღუპველი.
თუ მართლა გიყვარვარ გულით, ეს მითხარი,
შვილო, დამიჯერებ?

ფ ი დ ი პ ი დ ე

რას თუ დაგიჯერებ?

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

უნდა შეიცვალო შენი ჩვეულება
და უნდა წახვიდე, შვილო, სასწავლებლად.

ფ ი დ ი პ ი დ ე

რას ამბობ?

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

მიჯერებ?

ფ ი დ ი პ ი დ ე

ვფიცავ დიონისეს,
მართლა დაგიჯერებ.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

აქეთ მოიხედე.
თუ ხედავ ამ კარებს და ამ სახლს პატარას?

ფ ი დ ი პ ი დ ე

ვხედავ და რა მოხდა, მამა, გეკითხები?

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

ეს ბრძენთა სულების საფიქრალეთია,
აქ ცხოვრობს ის ხალხი, რომელიც ამტკიცებს,
ცა არის ღუმელი და ჩვენ ნახშირიო.
თუ ფულს გადაუხდი, უმალ გასწავლიან
იმგვარად ლაპარაკს, რომ გაიმარჯვებდი
ყოველგვარ საქმეში, თუნდ იყო მტყუანიც.

ფ ი დ ი პ ი დ ე

ვინ არის ეს ხალხი?

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

მე ზუსტად არ ვიცი.
ნატიფი ხალხია, ბრძენი და კეთილი.

ფ ი დ ი პ ი დ ე

ახ, ის საძაგლები, ვიცი, თაღლითები,
გაფითრებულები, მუდამ უხმაურნი,
საბრალო სოკრატე ანდა ქერეფონტი.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

მოიცა, გაჩუმდი, სიბრიყვეს ნუ რომავ.
თუ მამისეული ქონება გადარდებს,
უნდა დაანებო თავი ცხენოსნობას.

ფ ი დ ი პ ი დ ე

არა, დიონისეს ვფიცავ, ლეოგორას
გაზრდილი ხოხბებიც რომ მომცე, არ ვიზამ.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

წადი, გევედრები, ძვირფასო არსებავ,
წადი და ისწავლე.

ფ ი დ ი პ ი დ ე

რა უნდა ვისწავლო?

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

ამბობენ, იმათთან სიტყვები არისო,
ერთი მართალი და მეორე ტყუილი,
ჰოდა, ამ ტყუილით თურმე გაიმარჯვებ
სუყველა საქმეში, თუნდ იყო მტყუანიც.
და თუკი ისწავლი იმ ტყუილ სიტყვასაც,
რაც ახლა ვალი მაქვს შენი გულისათვის,
იმათგან ობოლსაც არვის გადავუხდი.

ფ ი დ ი პ ი დ ე

ო, ვერ დაგიჯერებ, ვერ დავენახები
მე ფერდაკარგული კანით ჩემს ცხენოსნებს.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

მაშ, ვფიცავ დემეტრეს, ვერაფერს მიიღებთ
ვერც შენ, ვერც იორღა და ვეღარც სამფორა.
სახლიდან გაგაგდებ, გისვრი ყორნებისკენ.

ფ ი დ ი პ ი დ ე

მაგრამ ბიძაჩემი მეგაკლე უცხენოდ
მე აღარ დამტოვებს. გტოვებ და მივდივარ.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

ო, ვეღარ გავუძლებ და ასათ დაცემას!
ვილოცებ ღმერთებზე და თვითონ ვისწავლი
რაიმეს იმ ხალხთან მათს საფიქრალეთში.
მაგრამ მე, მოხუცი, გამოლენჩებული
როგორღა ვისწავლი სიტყვის სინატიფეს?
(მიდის მეზობელ სახლთან)
ჰო, უნდა მივიდე. უქმად რას ვუდგავარ,
ვერ დავაკაკუნებ? ბიჭო, ეჲ, ბიჭიკო!

გამოდის მ ო ს წ ა ვ ლ ე .

მ ო ს წ ა ვ ლ ე

გასწი ყორნებისკენ! ვინა ხარ, მითხარი?

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

მე ვარ სტრეფსიადე, ფიდონის ნაგრამი.

მ ო ს წ ა ვ ლ ე

ვიღაც უმეცარი ყოფილხარ, ამგვარად
რომ დააბრახუნე კარზე, სულ ახლახან
ნაპოვნი ძვირფასი აზრი გამიწყვიტე.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

უნდა მაპატიო, სოფლელი კაცი ვარ.
მითხარი, უდროოდ რა აზრი დაბადე?

მ ო ს წ ა ვ ლ ე

მხოლოდ მოსწავლეებს თუ ეთქმის ეს აზრი.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

მაშ, თქვი გაბედულად, მე სწორედ მოსწავლედ
მოვსულვარ, ძვირფასო, თქვენს საფიქრალეთში.

მ ო ს წ ა ვ ლ ე

მაშ, გეტყვი, ოღონდ შენ არავის არ უთხრა.
ახლახან ქერეფონტს მოჰკითხა სოკრატემ,
რწყილი რა მანძილზე ხტებაო, ნეტავი,
– ის იყო, ქერეფონტს წარბზე უკბინა და
მას შემდეგ სოკრატეს თავზე გადაახტა.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

მერედა, გაზომა?

მ ო ს წ ა ვ ლ ე

ძალიან კარგადაც!
ცვილი გაალღო და რწყილი მოიტანა
და ჩააყოფინა რწყილს ცვილში ფეხები,
ცვილი გამაგრდა და რწყილსაც ფეხსაცმელი
გახადა და იმით გაზომა მანძილი.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

ო, ზევს მეუფეო, რა ღრმა აზრებია!

მ ო ს წ ა ვ ლ ე

და მაშინ რას იტყვი, როდესაც მოისმენ
სხვა აღმოჩენათა ამბებს?

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

სხვა რაღაა?

მ ო ს წ ა ვ ლ ე

ერთხელ ქერეფონტმა ჰკითხა სფეტოსელმა
სოკრატეს, მითხარი, კოღოზე რას მეტყვი,
თუ იცი, საჯდომით მღერის თუ პირითო.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

მერედა, რა ბრძანა “კოღოს თაობაზე?”

მ ო ს წ ა ვ ლ ე

მან ბრძანა, რომ კოღოს მუცლის ღრუ ვიწრო აქვს
და, რადგან თხელია, ჰაერი პირდაპირ
მიჰქრის ერთიანად შიგ საჯდომისაკენ.
იქ კი სწორ ნაწლავთან დიდი მოცულობის

ხვრელია და მასში მოჰშხუის ჰაერი.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

კოღოს უკანალი საყვირი ყოფილა!
სამგზის ბედნიერი ნაწლავთა კვლევაში!
ან რა სასამართლო დააკლებს რაიმეს
მას, ვინც გარკვეულა კოღოს ნაწლავებში?!

მ ო ს წ ა ვ ლ ე

გუშინწინ დაჰკარგა აზრი უდიდესი
ხვლიკის გულისათვის.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

ეს როგორ? – მითხარი!

მ ო ს წ ა ვ ლ ე

მთვარის გზას და ბრუნვას იკვლევდა სოკრატე
და პირდაღებული ზეცას გასცქეროდა,
როდესაც ზემოდან ხვლიკმა დაასკორა.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

ვიშ, ხვლიკო, სოკრატეს თუ გადმოასკორე!

მ ო ს წ ა ვ ლ ე

გუშინ კი, საღამოს, ვახშამი არ გვქონდა.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

ვაჰ! მერე საჭმელზე რა გამოიგონა?

მ ო ს წ ა ვ ლ ე

ჯერ მთელ მაგიდაზე ნაცარი დაჰყარა,
შამფური მოჰხარა, ფარგლად იხმარა და...
აწაპნა ლაბადა მერმე პალესტრიდან.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

და ამის მერე ჩვენ რას ვამბობთ თალესზე?
გამიღე, გამიღე ეგ საფიქრალეთი
და სწრაფად მაჩვენე ეგ თქვენი სოკრატე.
მეც მინდა, შეგირდად დავუდგე, გამიღე!

(კარი იღება. გამოჩნდებიან მ ო ს წ ა ვ ლ ე ე ბ ი) .
ვაიმე, ჰერაკლე! ეს რა მხეცებია?!

მ ო ს წ ა ვ ლ ე

თქვი, რამ გაგაკვირვა, რაო, ვინ არიან?

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

ვინ და ლაკონელნი, პილოსს შეპყრობილნი.
მერედა, მიწას რად უცქერენ ყველანი?

მ ო ს წ ა ვ ლ ე

ესენი ეძებენ, რაცაა მიწისქვეშ.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

ა, ხახვს დაეძებენ! მაგაზე ნუ დარდობთ,
მე ვიცი, დიდ-დიდი ხახვები საცაა.
და რას აკეთებენ წელში მოთხრილები?

მ ო ს წ ა ვ ლ ე

სწავლობენ წიაღის საიდუმლოებებს.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

ეს უკანალი კი ცას რისთვის გასცქერის?

მ ო ს წ ა ვ ლ ე

ახალი ხერხია ასტრონომიაში.
(მოაზროვნეებს)
მაშ, შედით ყველანი, მან არ დაგინახოთ.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

ჯერ არა, ჯერ არა! ცოტაც მოიცადონ,
ერთად გავარჩიოთ ჩვენი საქმეები.

მ ო ს წ ა ვ ლ ე

ეს არ შეიძლება! მათ აკრძალული აქვთ
ხანგრძლივად გამოსვლა და ყოფნა ჰაერზე.
სტრეფსიადე ათვალიერებს უცნაურ საგნებს.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

ღმერთების სახელით, ეს რაა, მითხარი.

მ ო ს წ ა ვ ლ ე

ეს – ასტრონომია.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

ეს რაა, ნეტავი?

მ ო ს წ ა ვ ლ ე

გეომეტრიაა.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

და რა საჭიროა?

მ ო ს წ ა ვ ლ ე

მიწის ასაზომად.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

გასანაწილებლად?

მ ო ს წ ა ვ ლ ე

არა – დედამიწის.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

კარგია, სახალხო
და გამოსადეგი მეცნიერებაა.

მ ო ს წ ა ვ ლ ე

ესეც – დედამიწის გამოსახულება.
აქ კი ათენია.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

რას ამბობ? არ მჯერა,
რადგან მანდ ჩამომსხდარ მსაჯულებს ვერ ვხედავ.

მ ო ს წ ა ვ ლ ე

ეს კი ჭეშმარიტად ატიკის მხარეა.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

სადღაა კიკინა და ჩემებურები?

მ ო ს წ ა ვ ლ ე

იქვე იქნებიან. ეს კი ევბეაა,
რომელიც გრძლადაა შორს გადაჭიმული.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

ჰო, ვიცი. ეგ ჩვენ და პერიკლემ გავჭიმეთ.
სპარტა კი სადღაა?

მ ო ს წ ა ვ ლ ე

სადა? აი, აქ.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

რა ახლოს ყოფილა! კარგად დაფიქრდით და
როგორმე აქედან შორს გადაიტანეთ.

მ ო ს წ ა ვ ლ ე

შეუძლებელია.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

მაგრადაც ინანებთ.
(შემაღლებულ ადგილას სოკრატეს შეამჩნევს)
იქ კიდევ ვინღაა დაკიდულ კალათში?

მ ო ს წ ა ვ ლ ე

ის არის.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

ვისია?

მ ო ს წ ა ვ ლ ე

სოკრატე.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

სოკრატე!

220 მაშ, წადი, ახლავე მოუხმე სოკრატეს.

მ ო ს წ ა ვ ლ ე

შენ თვითონ მოუხმე, მე არა მცალია.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

სოკრატე!
ო, სოკრატუნიკო!

ს ო კ რ ა ტ ე

რად მიხმობ, მოკვდავო?

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

ჯერ გთხოვ, ის მაუწყო, ახლა რას აკეთებ.

ს ო კ რ ა ტ ე

225 ჰაერში დავდივარ და ვფიქრობ მზის ირგვლივ.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

კალათში რა გინდა? ზევიდან დაჰყურებ
ღმერთებს? რა მიზეზით?

ს ო კ რ ა ტ ე

რადგან ვერასოდეს
წვდები ამაღლებულ საგანთა ბუნებას,
თუ არ ჩამოჰკიდებ აზრსა და გონებას

და მას არ შეურევ ჰაერს უნატიფესს.
მიწაზე რომ ვიყო და ისე ვუცქირო,
ვერაფერს განვჭვრიტავ, ძალა ხომ მიწისა
არ უშვებს თავისგან აზრის სინოტივეს.
სწორედ ამგვარი რამ მოსდის კარდამონსაც.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

რას ამბობ?! იზიდავს
აზრი სინოტივეს კარდამონისაკენ?
ახლა კი ჩამოდი, ჩემო სოკრატუნა,
უნდა განმანათლო, ამისთვის მოვსულვარ.

ს ო კ რ ა ტ ე

რისთვის მოვსულვარო?

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

მე სწავლა მწყურია.
ვახში არ მასვენებს, მტანჯავენ სასტიკად
მევალეები და ქონებას მართმევენ.

ს ო კ რ ა ტ ე

საიდან დაგედო ამდენი ვალები?

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

ცხენის ღორმუცელა სენი შემეყარა.
შენ კი შემასწავლე ისეთი სიტყვები,
რომ არ დავუბრუნო ვალი მევალეებს.
კარგად გადაგიხდი, ღმერთებს გეფიცები.

ს ო კ რ ა ტ ე

ღმერთებს მეფიცები? ჯერ ერთი, ღმერთები
მეცნიერებაში არ არის.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

მაშ რაზე
იფიცებთ? რკინაზე – ბიზანტიონივით?

ს ო კ რ ა ტ ე

გინდა, ღვთაებრივის არსში ჩაგახედო?

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

კი მინდა, ღმერთმანი, ღმერთი თუ არსებობს.

ს ო კ რ ა ტ ე

და მერმე ღრუბლებსაც გინდა ესაუბრო,

ჩვენს ახალ ღვთაებებს?

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

კი მინდა, ძალიან.

ს ო კ რ ა ტ ე

მაშ ახლა მაგ წმინდა საწოლზე დაჯექი.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

დავჯექი.

ს ო კ რ ა ტ ე

ახლა კი აიღე, აი, ეს
გვირგვინი.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

რად მინდა გვირგვინი, სოკრატე?
რა, ათამანტივით დამკლავთ და შემწირავთ?

ს ო კ რ ა ტ ე

არა, ზიარებას ვინაც კი გადაწყვეტს,
მათ ასე ვექცევით.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

და რას გამოვრჩები?

ს ო კ რ ა ტ ე

გახდები ყბედი და ფქვილივით ნატიფი.
უძრავად იჯექი!
(ფქვილს აყრის)

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

თავს ვერ მოვიტყუებ!
თავზე თუ დამაყრი, ფქვილი კი გავხდები!

ს ო კ რ ა ტ ე

ახლა, მოხუცო, დუმილი გმართებს და ყურადღებით მოსმენა ლოცვის.
(ლოცულობს)
ჩემო მეუფევ, განუზომელო ჰაერო, მიწას ზე მოქცეულო,
ელვარე ცაო, უზენაესო ღრუბლებო, ელვის მტყორცნელნო მაღლით,
თქვენ, დედოფლებო, ამაღლდით ახლა და გამოუჩნდით თქვენს ფილოსოფოსს.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

ჯერ არა, არა! ჯერ გავეხვიო ამაში; ვშიშობ, არ ჩავისველო,
რადგან სახლიდან ისე მოვდივარ, რომ ბეწვის ქუდი არ დამიხურავს.

ს ო კ რ ა ტ ე

მოდით, ღრუბელნო, თქვენ, ღირსეულნო, მოდით, გვეჩვენეთ,
მეხთამტყორცნელნო!
წამოდით, თუნდაც თოვლით დაფარულ ოლიმპოს წმინდა მწვერვალზე ისხდეთ,
თუნდ ოკეანის – მამის ზვირთებზე წმინდა გუნდებად იყოთ ნიმფებთან,
თუნდაც ნილოსის შესართავს უსხდეთ და წყალს ხაპავდეთ ოქროს ჭურჭლით,
თუნდ მეოტისის ჭაობთან იყოთ, თუნდაც მიმანტის თოვლიან კლდესთან,
მაინც გვისმინეთ, მიიღეთ მსხვერპლი და გაიხარეთ ჩვენი ლოცვებით.

პაროდოსი

შორიდან მოისმის ღ რ უ ბ ე ლ თ ა სიმღერა.

პ ი რ ვ ე ლ ი ნ ა ხ ე ვ ა რ გ უ ნ დ ი

სტრ.

მარად მედინო ღრუბელნო,
ნამიანნო და მსუბუქნო, მაღლა აღმოვხდეთ!
მამის ყრუდმგრგვინავ ოკეანიდან მაღალ
და ტყიან მთათა მწვერვალებისკენ
უნდა წავწიოთ, რათა
დავხედოთ შორი მწვერვალებიდან მაღლით
ნაყოფებს, მორწყულ და წმინდა მიწას
და გვესმას ღვთისთვის მიძღვნილ წყაროთა ხმები,
მოგუგუნე ზღვის დიდი ჩურჩული;
ხოლო ეთერის დაუმცხრალი თვალი ბრწყინავდეს
მზით მოელვარე სხივებში.
დავაგდოთ უმალ წვიმის ღრუბელი, ჩვენი
მარად უკვდავი სახე მივიღოთ, მიწას
შორით მჭვრეტელი თვალით დავხედოთ.

ს ო კ რ ა ტ ე

დიდო და წმინდა ღრუბლებო, ცხადად გსმენიათ თურმე ჩემი ძახილი.
(სტრეფსიადეს)
თუ გაიგონე ხმები და მასთან თავზარდამცემი გრიალი მეხის?

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

კიდეც ვაღმერთებ მრავალღირსეულ ღრუბლებს და მათი გრიალისათვის
პასუხიც კი მაქვს გამზადებული, საჯდომს სურს, შიშით დაიგრიალოს,
შეიძლება თუ არ შეიძლება, მე მესკორება მაინც ამჟამად.

ს ო კ რ ა ტ ე

ნუ თამაშობ და ნუ მაიმუნობ, კაცო, უთავო კომიკოსივით!
ჩუმათ, დადუმდი! მგონი ქალღმერთთა გუნდი ხელახლა იწყებს სიმღერას.

მ ე ო რ ე ნ ა ხ ე ვ ა რ გ უ ნ დ ი

ანტ.
წვიმის მომტანნო ქალწულნო,
პალასის ქვეყნად მივიდეთ, მხარე ვაჟკაცი ხალხის
და საყვარელი კეკროპის მიწა ვნახოთ.
იქ გამოუთქმელ სიწმინდეს სცემენ
პატივს, გაიღოს რათა
დღესასწაულზე ზიარებულთა სახლი,
ძღვენი მიეგოს ზეციურ ღმერთებს,
ცადაბჯენილი წმინდა ტაძარნი, კერპნი
და მსვლელობანი მარად ნეტართა,
გვირგვინოსანი ღმერთის წირვა და ნადიმები,
სულ, წლის ყველა დროს. როგორც კი
გაზაფხულდება, იქ ბრომიოსის წმინდა
ზეიმი დგება, გუნდი გუნდს უხმობს
და სალამურთა მუზა გუგუნებს.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

ზევსის სახელით, მითხარი ერთი, ჩემო სოკრატე, ეს რა ხალხია,
ასე ზვიადად რომ გუგუნებენ? გმირი ქალები ხომ არ არიან?

ს ო კ რ ა ტ ე

ეს ზეციური ღრუბლები გახლავს, მოცალე ხალხის დიდი ქალღმერთნი;
მათი წყალობით გვიჩნდება აზრი, მათ ვუმადლოდეთ ლაპარაკს, ბოდვას,
სიტყვაუხვობას და თაღლითობას, ეშმაკობას და მატრაბაზობას.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

მართლაც, როგორც კი ისმინა მათი, სული ზეცისკენ გაფრინდა ჩემი
და ახლა ცდილობს, ილაპარაკოს ნატიფად კვამლსა და მისთანებზე;
მას სურს, აზრუკა მოიგერიოს და სიტყვას სიტყვით გასცეს პასუხი;
მე მზად ვარ, თუკი ეს შეიძლება, მსურს მათი ცხადად დანახვა უკვე,

ს ო კ რ ა ტ ე

ახლა აქედან შეხედე პარნასს. უკვე ხომ ხედავ, რომ ჩამოდიან
მშვიდად ისინი.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

სადა? მაჩვენე.

ს ო კ რ ა ტ ე

აგერ, მოდიან, მრავლად არიან,
დაბლობების და ჭალების თავზე. ვერ ხედავ?

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

ვერა, რა ამბავია,
რატომ ვერ ვხედავ?

ს ო კ რ ა ტ ე

შემოსასვლელთან!

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

ჰო ახლა ვხედავ, ძლივს დავინახე.

ს ო კ რ ა ტ ე

ახლა ნამდვილად უნდა ხედავდე, თუ წირპლიანი არ გაქვს თვალები.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

ღმერთმანი, ვხედავ, ვხედავ ღირსეულთ, მრავლად მოდიან უკვე ისინი.

ს ო კ რ ა ტ ე

მაშ, არ იცოდი, რომ ღმერთებია და სხვა რაიმედ კი მიიჩნევდი?

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

მე არ ვიცოდი და მივიჩნევდი ნისლად და ნაზად, მჭვარტლად ყოველთვის.

ს ო კ რ ა ტ ე

მაშ, არ გცოდნია, სწორედ ამათმა რომ გამოზარდეს ბევრი სოფისტი,
ბევრი მისანი, ბევრი ექიმი თითებზემრავალბეჭდებიანი,
დითირამბების ლექსისმთხზველები და ბევრი ყალბი ვარსკვლავთმრიცხველი
მათ გამოკვებეს ბევრი მოცლილი, რათა უმღერონ იმათ და აქონ.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

ამიტომ ქმნიან “ნარნარა, სველი ღრუბლების მტრული შემოსევაო?”
“ასთავიანი ტიფონის თმები”, და “გრიგალები ძალუმად მქროლნი?”
“ჰაეროვანნი და ნოტიონი, მოლივლივენი ცაში ფრინველნი”,
“წვიმიანნი და წყლით აღსავსენი?” – სამაგიეროდ, თავად ისინი
დიდი სიკეთის, კეფალის ხორცს და შაშვის ხორცუკას შეექცევიან.

ს ო კ რ ა ტ ე

შენ ფიქრობ, ასე არ უნდა ეთქვათ?

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

შენ ის მითხარი, ამათ რა მოსდით,
თუკი ღრუბლები არიან, ქალებს რამ დაამსგავსათ ასე, მოკვდავებს?

ცაო, ასეთი არის ღრუბელი?

ს ო კ რ ა ტ ე

აბა, როგორი არის? – მითხარი.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

ზუსტად არ ვიცი, მაგრამ ისინი ცაში აფრენილ მატყლს მაგონებენ
უფრო, ღმერთმანი, ვიდრე ამ ქალებს! რამოდენა აქვთ, მაინც, ცხვირები!

ს ო კ რ ა ტ ე

მაშ, მიპასუხე ამ ერთ კითხვაზეც.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

სწრაფად მითხარი, რას მეკითხები.

ს ო კ რ ა ტ ე

ღრუბლებისათვის რომ შეგიხედავს, არ დაგინახავს მათში კენტავრი
ანდა ავაზა, მგელი და ხარი?

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

კი დამინახავს, მერმე რა მოხდა?

ს ო კ რ ა ტ ე

მათ შეუძლიათ, ყველაფრად იქცნენ; ვინმე თმოსანი თუ დაინახეს,
ერთ-ერთი თმაგრძელ უსაქმურთაგან, ვთქვათ, ქსენოფანტის ვაჟკაცი იყოს,
იმისი ვნების დაცინვისათვის უმალ კენტავრებს ემსგავსებიან.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

ვთქვათ, დაინახეს ჩვენი ხაზინის დამტაცებელი სიმონი, მერმე?

ს ო კ რ ა ტ ე

მისი ბუნების ნათელსაყოფად უმალვე მგლებად შეიცვლებიან.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

ამიტომ იყო, ფარისდამგები კლეონიმე რომ იცნეს ახლახან,
“მისი ბუნების ნათელსაყოფად” უმხდალეს ირმებს რომ დაემსგავსნენ?

ს ო კ რ ა ტ ე

ხოლო სულ ბოლოს კლისთენე ნახეს და ამის გამო იქცნენ ქალებად.

(ორქესტრაზე შემოდის დიაცი ღ რ უ ბ ლ ე ბ ი ს გუნდი).

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

მაშ, გაიხარეთ თქვენ, დედოფლებო და თუკი გითქვამთ ვინმესთვის სიტყვა,
მეც მომხედეთ და მითხარით რამე ცად აღვლენილი ხმით, მეუფენო.

კ ო რ ი ფ ე ო ს ი

შენ გაიხარე, ჭაღარა კაცო, შენ, მონადირევ ბრძნული სიტყვების.
(სოკრატეს)
უფაქიზეთა სისულელეთა ქურუმო, გვითხარ, რა გინდა ჩვენგან.
სხვას ჩვენ არავის ყურს არ ვუგდებდით ამჟამინდელი ბრძენკაცებისგან,
მხოლოდ პროდიკეს, გონებისა და სიბრძნის გულისთვის და მერმე შენაც,
რადგან ამაყად დადიხარ გზებზე და აქეთ-იქით აცეცებ თვალებს,
უხამურს ტანჯვა გხვდება მრავალი და მაინც ჩვენსკენ მომართავ მზერას.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

ო, დედამიწავ, ეს რა ხმა იყო, რა ზვიადი და რა საკვირველი!

ს ო კ რ ა ტ ე

მხოლოდ ესენი არიან ღმერთნი, სხვა ყველაფერი სისულელეა.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

და ჩვენი ზევსი, გაფიცებ მიწას, ოლიმპიელი, ღმერთი არ არის?

ს ო კ რ ა ტ ე

რომელი ზევსი? რას როშავ, ნეტავ? ზევსი არ არის.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

რაო, რას ამბობ?
აბა, საიდან ჩამოდის წვიმა? ჯერ, თუ კაცი ხარ, ეს ამიხსენი.

ს ო კ რ ა ტ ე

ამ ღრუბლებიდან, რაღა თქმა უნდა; მე დაგიმტკიცებ ამას ახლავე.
აბა, ოდესმე თუ დაგინახავს, ღრუბლის გარეშე რომ იყოს წვიმა?
ზევსი რომ იყოს წვიმის გამრიგე მოწმენდილ ციდან უნდა ეწვიმა.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

ვფიცავ აპოლონს, ამ შენი სიტყვით გადამარწმუნე, თუმცა კი უწინ
მართლა მეგონა, მაღალი ზევსი წვიმას შარდავდა ციურ საცერში.
ასე თუ არის, ვინ ქუხს? – მითხარი. ჭექა-ქუხილის კი მეშინია.

ს ო კ რ ა ტ ე

სწორედ ამათგან მოდის ქუხილიც.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

როგორ ახერხებთ, უმამაცესნო?

ს ო კ რ ა ტ ე

როდესაც კარგად აივსებიან წყლებით, საოცრად დასივებულნი,
წვიმის წვეთებით გაჯერებულნი დედამიწისკენ მოისწრაფიან.

ეჯახებიან მერმე ერთმანეთს, ეხეთქებიან და გრიალებენ.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

ვინ დააქანებს მათ იქით-აქეთ, ღრუბელთგამრიგე ზევსი ხომ არა?

ს ო კ რ ა ტ ე

ო, ზევსი არა! მხოლოდ გ რ ი გ ა ლ ი .

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

როგორ, გრიგალი? ეს არ ვიცოდი,
რომ არ არსებობს ზევსი, მის ნაცვლად გრიგალი არის თურმე მეუფე.
მაგრამ შენ ჯერაც არ გითქვამს ჩემთვის, საიდან მოდის მეხი და გრგვინვა.

ს ო კ რ ა ტ ე

არ გისმენია, ალბათ, გითხარი: გაჯერებული წვიმით, ღრუბლები.
ეჯახებიან-მეთქი ერთმანეთს, ეხეთქებიან და გრიალებენ.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

აბა, ეს როგორ უნდა ვირწმუნო?

ს ო კ რ ა ტ ე

მე დაგიმტკიცებ ამას ახლავე. –
დღესასწაულზე როცა წვნიანით ამოიყორავ მუცელს, მერმე ხომ
დაიბერება მთელი შიგანი და უეცრად ხომ აბუყბუყდება?

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

აპოლონს ვფიცავ, მართლაც ასეა, სულ იბერება და იბერება,
და როგორც მეხი, ისე ხმაურობს, ისე გრგვინავს და ისე გრიალებს;
ჯერ ნელა, ასე “პაპაპა პაპა”, მერმე კი იწყებს “პაპაპა პაპა”-ს,
მერმე კი, როცა რამეს ვაპირებ, სულ ქუხს და გრგვინავს “პაპაპაპაპაქს!”

ს ო კ რ ა ტ ე

თუკი შენ შენი პატარა მუცლით ასე გრგვინავ და ასე ხმაურობ,
წარმოიდგინე ერთი, უსაზღვრო ჰაერი როგორ დაიგრუხუნებს!

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

ამის გამოა, ხშირად მუცელზე ასე ამბობენ, დაიჭექაო;
მაგრამ შენ უნდა ამიხსნა ახლა, საიდან ჩნდება ელვარე ელვა,
რომელიც ხშირად კაცს დაეცემა, ამობუგავს და ცოცხლად დაფერფლავს?
ცხადია, ელვა ზევსის ხელშია – სასჯელი ფიცის გატეხვისათვის.

ს ო კ რ ა ტ ე

მერედა როგორ მოხდა, შე ბრიყვო, მართლა კრონოსის დროის ბეხრეკო,
ფიცის გატეხვა თუკი ისჯება, რად არ დანაცრა ელვამ სიმონი,

ან კლეონიმე ანდა თეორ? ხომ წამდაუწუმ ცრუდ იფიცებენ!
არა, საკუთარ ტაძარს დაეცა და აგერ, ჩვენთან ახლოს, სუნიონს.
მუხებს ხომ ერჩის? ახლა არ მითხრა, დაარღვიაო მუხამაც ფიცი.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

ეგ მე არ ვიცი... შენ, შეიძლება, მართალიც იყო. რაღაა ელვა?

ს ო კ რ ა ტ ე

რაა და როცა მშრალი ჰაერი ზევით აიწევს და თავის თავში
ჩაიკეტება, ბუშტისმაგვარად გაიბერება, ვეღარ გაუძლებს,
გასკდება, შემდეგ გამოიჭრება გარეთ სტვენით და გრგვინვა-გრიალით
და ასე, თავის თავზე დაწოლით თვითონ ანათებს იგი თავისთავს.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

ღმერთმანი, ბოლო დიასიებზე მეც ამნაირი რამ დამემართა.
ნათესავისთვის მინდოდა კუჭი შემეწვა, გაჭრა კი დამავიწყდა;
გაიბერა და მერმე თავისით გასკდა უეცრად და შიგ თვალებში
შემომაყარა სიბინძურე და სახე დამიწვა იმ დასაწვავმა.

ს ო კ რ ა ტ ე

ადამიანო, მოსულხარ ჩვენთან, რომ შეისწავლო მაღალი სიბრძნე,
რათა ათენსა და საბერძნეთში უბედნიერეს კაცად შეგრაცხონ;
თუ არ გიმტყუნებს მეხსიერება, გულმოდგინება და მოთმინება,
თუკი არ დაგღლის ნიადაგ შრომა, სიარული და მოუსვენრობა,
და თუკი ყინვა ვერას დაგაკლებს და აღარც ჭამა არ მოგინდება,
მოერიდები გიმნასიონსაც, ღვინოსაც, ამგვარ სისულელეებს,
ამნაირ ყოფას საუკეთესოდ მიიჩნევს, როგორც ჭკვიანს შეჰფერის,
ყველგან მიაღწევ შენ გამარჯვებას: საქმეში, სჯაში, პაექრობაში.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

მე მოთმინებას, დარდს და საზრუნავს, უძილობას და მომჭირნეობას,
ნიადაგ შრომას, მოუსვენრობას მიჩვეული ვარ დიდი ხანია.
მხოლოდ ამაში თუ არის საქმე, ჩემი იმედი გქონდეს, სოკრატე.

ს ო კ რ ა ტ ე

მაშ, დღეის იქით გეცოდინება, რომ არ არსებობს არც ერთი ღმერთი,
იმ სამის გარდა, რაც ჩვენთანაა – ქ ა ო ს ი , ე ნ ა და ეს ღ რ უ ბ ლ ე ბ ი .

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

სხვებს მე დღეიდან ხმასაც არ გავცემ, არც ერთს არაფრად აღარ ჩავაგდებ,
მსხვერპლს არ შევწირავ და არც ზედაშეს აღარ დავუღვრი, არც მუშკამბრს ვუკმევ.

კ ო რ ი ფ ე ო ს ი

აბა, გვითხარი, რა გსურს, მოხუცო? უარს ვერაფრით ვეღარ გაკადრებთ,
რაკი გვირწმუნე, ღმერთებად გვცანი, ცდილობ შეიცნო ჭეშმარიტება.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

ო, დედოფლებო, მე სულ პატარა რამე მჭირდება, რომ ლაპარაკში
ყველას ვაჯობო და ამ საქმეში ჩამოვიტოვო ყველა ბერძენი.

კ ო რ ი ფ ე ო ს ი

თუ ამას ითხოვ, მიიღებ კიდეც. ამიერიდან შენს მოსაზრებას
ყველაზე დიდი წონა ექნება და გაიმარჯვებ ყველა კრებაზე.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

მე არ მჭირდება უზარმაზარი იდეები და მოსაზრებები,
მინდა, კანონი რომ შევაქციო და გავაცურო მევალეები.

კ ო რ ი ფ ე ო ს ი

მიიღებ, რასაც ასე ესწრაფვი; მართლაც არაფერს დიდს არ მოითხოვ.
ნურაფრის დარდი ნუღარ გექნება და ჩვენს მსახურებს ენდე უშიშრად.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

სხვა გზა არცა მაქვს, უნდა მოგენდოთ, სანამ დამახრჩობს ეს გაჭირვება,
სანამ დამაქცევს ვალი, ცხენები ჯიშიანი და უჯიშოები.
ახლა, როგორც სურთ, ისე მომექცნენ;
მე მომიცია ჩემი სხეული –
მცემეთ, მომკალით მშიერ-მწყურვალი,
მომსპეთ, გამყინეთ, ტყავი გამაძვრეთ!
თუ დავუძვერი ვალებს, მიძახოს
ხალხმა, რაიც კი მოესურვება:
თავხედი, ყბედი, ურცხვი, ტუტუცი,
საძაგელი და ქოსატყუილა,
ყბის ამქცევი და ქვეყნის დამქცევი,
კანონის ჭია, თაღლითი, ფლიდი,
მატრაბაზი და აუტანელი,
ეშმაკი, ქლესა, გამოქექილი
და ღორმუცელა.
– ასე მიწოდონ, ოღონდ მასწავლეთ.
ახლა, რაცა გსურთ, ის გამიკეთეთ,
დემეტრეს ვფიცავ,
თუ საჭიროა, სიბრძნის მოყვარულთ
ჩემგან კუპატი დააკეპინეთ.

ს ო კ რ ა ტ ე

ვაჟკაცობა ჰქონია მას,
სულდიდი და მზადმყოფია!
(სტრეფსიადეს) იცოდე,
თუ განათლდი, მოკვდავ ხალხში განგეთქმება სახელი.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

რა ვირწმუნო?

ს ო კ რ ა ტ ე

მთელი დრო ჩემთან გაატარე, –
კაცთაგან ყველაზე უფრო შესაშური
ცხოვრებით იცხოვრებ.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

ამას ოდესმე მოვესწრები?

ს ო კ რ ა ტ ე

მაგაზე მეტსაც მოესწრები,
შენთან მოვლენ და
დაგისხდებიან;
ისინი შენგან მოითხოვენ
შველას და რჩევას,
როცა ექნებათ საქმეები
სასამართლოში.
ყველა ჩათვლის, რომ
მხოლოდ შენ ძალგიძს,
შესაფერისი რჩევა რამ მისცე.

კ ო რ ი ფ ე ო ს ი

აბა, მიიღე ეს ბერიკაცი და შეასწავლე, რასაც აპირებ,
რომ შეასწავლო, გამოჰკითხე და აზრის სიცხადე გამოუცადე.

ს ო კ რ ა ტ ე

ახლა კი საკუთარ თავზე საუბარი
მოგიწევს, როგორც კი გავიგებ, ვინცა ხარ,
უმალ მოგიყენებ ახალ მანქანებას.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

რა ბრძანე? კოშკივით მიპირებ აღებას?

ს ო კ რ ა ტ ე

არა, გამოკითხვა უნდა ჩაგიტარო,
რათა შეგიმოწმო შენ მეხსიერება.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

ეგ ორნაირი მაქვს, ჩემგან თუ ისესხეს,
მახსოვს და არ მახსოვს, თვითონ თუ ვისესხე.

ს ო კ რ ა ტ ე

ისე, ლაპარაკი როგორ გეხერხება?

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

ვალზე უარის თქმა მშვენივრად გამომდის.

ს ო კ რ ა ტ ე

სწავლას თუ შეიძლებ?

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

შენ ნუ გედარდება.

ს ო კ რ ა ტ ე

მაშ, ამაღლებულის შესახებ ერთ სიბრძნეს
გესვრი და პირდაპირ უნდა დაიჭირო.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

და მერმე მაგ სიბრძნეს ძაღლივით შევსანსლავ?

ს ო კ რ ა ტ ე

არა, უვიცია ეს კაცი, ველურია.
ვშიშობ, ბერიკაცო, ცემა არ დაგჭირდეს.
ვინმემ რომ მიგბეგვოს, რას იზამ?

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

დავაცლი,
ცოტასაც მოვითმენ, მოვუხმობ მოწმეებს,
სასამართლოშიაც მივალ და ვუჩივლებ.

ს ო კ რ ა ტ ე

აბა, გაიხადე!

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

რამე დაგიშავე?

ს ო კ რ ა ტ ე

აქ მხოლოდ შიშვლები შედიან, იცოდე.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

მე რა, გასაჩხრეკად ხომ არ შემოვდივარ?!

ს ო კ რ ა ტ ე

მოეშვი მიქარვას.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

ახლა ეს მითხარი,
თუკი მოვინდომებ და კარგად ვისწავლი,
შენს მოსწავლეთაგან ვის დავემსგავსები?

ს ო კ რ ა ტ ე

სულმთლად ქერეფონტის იერი გექნება.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

აბა, სანახევროდ მოვმკვდარვარ საწყალი.

ს ო კ რ ა ტ ე

მორჩი ლაყბობას და უკან გამომყევი,
ჩქარა, ნუ აყოვნებ!

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

არა, ჯერ ჩამიდე
ხელში თაფლისკვერი! ისე მეშინია
შემოსვლის, როგორც რომ ჰადესში ჩავარდნის.

ს ო კ რ ა ტ ე

ნეტავ რას წრიალებ სახლის წინ? შემოდი!
სოკრატე და სტრეფსიადე საფიქრალეთში შედიან.

პარაბასისი

კ ო რ ი ფ ე ო ს ი

მაშ, წადი და გაიხარე
სიმამაცის გამო.
ბედნიერება მიეცეს
ამ კაცს, რამეთუ დაიძრა
ასაკის სიღრმეებისკენ
და სურს, ახალი იდეით
აივსოს სულის სალარო
და ეზიაროს სიბრძნეს.
მაყურებლებო, მსურს, გულწრფელად გაგესაუბროთ.
ჩემს აღმზრდელს ვფიცავ, დიონისეს, სიმართლეს გეტყვით.
მე თქვენ მგონიხართ გონიერი მაყურებლები, –
ეს კომედია ჭკვიანური არის, იცოდეთ,
ამაზე უკეთ არაფერი დამიწერია.

მე ადრე იგი სიყვარულით გაგასინჯვინეთ,
ბევრი ვიშრომე, მაგრამ მაინც ბრიყვი ხალხისგან
დამარცხებული გამოვბრუნდი. – არ ვიყავ ღირსი!
სირცხვილი თქვენი, ბრძენო ხალხო, ვისთვის დავშვერი!
ბოლომდე მაინც ვერ გაგწირეთ, ჩემო კარგებო,
მე თქვენ მიყვარხართ და თქვენგანაც ხშირად მსმენია
ქება-დიდება “ჭკუისა” და “გარყვნილებისთვის”.
მე ხომ ქალწული ვიყავი და მშობიარობის
ნება არ მქონდა, მაინც ვშობე, ბავშვი ვიღაცამ
აიყვანა და თქვენ გაზარდეთ კეთილშობილად;
თქვენგან მივიღე ერთგულება და სიყვარული.
მოვიდა ჩემი კომედია ელექტრასავით:
მოვიდა, ეძებს, იქნებ შეხვდეს ბრძენ მაყურებლებს;
იცნობს, როგორც კი დაინახავს, ძმის თმის კულულებს.
თვითონ ზნეობით წმინდა არის, თავადაც ხედავთ:
ტყავის ფალოსი ხომ არავის არა ჰკიდია,
რომელიც თავში წითელია, ბავშვებს აცინებს;
ეს კომედია არ დაცინის მელოტებს, კორდაქსს
აქ არ ცეკვავენ, არც მოხუცი არ დარბის ჯოხით,
ცემა-ტყეპაში რომ ჩამალოს ცუდი ხუმრობა;
არავინ დაძრწის მაშხალიანი, არავინ ბღავის,
არა, ის მხოლოდ თავისსავე სიტყვებს ენდობა.
მეც, ამოდენა პოეტი ვარ, არ მომიშვია
თმები და თქვენი მოტყუებაც კი არ მიცდია –
სცენაზე მუდამ ახალ-ახალ იდეებს გაწვდით,
არც ერთი არ ჰგავს ერთმანეთს და ყველა სწორია.
როცა კლეონი ზეობდა, მე იმას მუცელში
ვურტყამდი ფეხებს და დავინდე, როცა წაიქცა.
ამათ კი ერთხელ ჰიპერბოლემ მისცა საბაბი,
ფეხქვეშ გაიგებს ის საწყალიც და დედამისიც.
ყველას დაასწრო ევპოლისმა მისი “გარყვნილით”,
მე გამძარცვა და წამიხდინა მთელი “მხედრები”,
შიგ დედაბერიც შეათრია კორდაქსისათვის,
რომელიც შექმნა ფრინიქემ და ურჩხულმა შთანთქა.
მერმე ჰერმიპე მოუბრუნდა ამ ჰიპერბოლეს...
ახლაც ყველანი თავს ესხმიან კვლავ ჰიპერბოლეს,
რომ უბადრუკად მიემსგავსონ ჩემს სურათ-ხატებს.
ვისაც აცინებს უნიჭოთა ეს სისულელე,
ის ჩემს ქმნილებებს ვერ გაიგებს. ვინაც გაიგებს,
მას კი გონიერ მოაზროვნედ ჩათვლის მერმისი.

პ ი რ ვ ე ლ ი ნ ა ხ ე ვ ა რ გ უ ნ დ ი

ოდა
ღმერთთაგან ზეცის გამგებელს,
დიდ ზევსს, მეუფეს, გუნდისკენ, –
ჩემსკენ მოვუხმობ პირველად.
სამთიოთის მპყრობელ პოსეიდონს
დედამიწისა და მარილიან ზღვის შემარყეველს
უსასტიკესს;
სახელოვან ჩვენს მამასაც, წმინდა ეთერს,
ყველაფრისთვის მიმნიჭებელს სიცოცხლის,
ცხენთამეუფეს, რომელიც
ბრწყინვალე სხივით ანათებს
მთელს დედამიწას, – უდიდესი არის ღმერთთათვის
და მოკვდავთათვის ეს ღვთაება.

პ ი რ ვ ე ლ ი ნ ა ხ ე ვ ა რ გ უ ნ დ ი ს წ ი ნ ა მ ძ ღ ო ლ ი

ეპირემა
თქვენ მოგმართავთ, მაყურებლებს, მოგვაპყარით გონება.
არაფრად რომ არ ჩაგვაგდეთ, ახლა გკიცხავთ ამისთვის.
ყველა ღმერთზე უფრო მეტად ამ ქალაქზე ჩვენ ვზრუნავთ,
თქვენ კი მსხვერპლსაც არ გვწირავთ და ზედაშესაც არ გვიღვრით.
ჩვენ ხომ გიცავთ! თუკი ვინმეს მოუნდება ლაშქრობა
უგუნურად, მაშინ ვქუხვართ და წვიმასაც დავუშვებთ.
ღმერთებისთვის საძულველი როცა პაფლაგონელი
აირჩიეთ მხედართმთავრად, ჩვენ წარბები ავწიეთ,
საშინელი საქმე ვქენით, ვიელვეთ და ვიქუხეთ.
მთვარემ თვისი გზა დააგდო, მზემ თავისი ფთილი
გადაშალა და გიბრძანათ, ამას ვერ ეღირსებით,
სანამ თქვენთან სტრატეგოსად იქნებაო კლეონი.
თქვენ კი მაინც აირჩიეთ... ალბათ, მართალს ამბობენ,
რომ სიბრიყვე დაეუფლა ამ ქალაქს და ღმერთები
თქვენს შეცდომებს წამდაუწუმ აქცევენო სიკეთედ;
ეს რომ მართლაც ასე არის, დაგიმტკიცებთ იოლად:
თუკი ამხელთ თაღლით კლეონს, ქურდობაში დაიჭერთ
და მექრთამე არამზადას ყელზე ხუნდებს დაადებთ,
რაც კი ძველი ცოდვა გადევთ, იმავწამსვე ისინი
ქალაქისთვის სასარგებლო რამედ გადაიქცევა.

მ ე ო რ ე ნ ა ხ ე ვ ა რ გ უ ნ დ ი

ანტ-ოდა
შენც შეეწიე, ფოიბოს,
დელოსის მკვიდრნო, კინთიის

მაღალ მწვერვალის მპყრობელო;
შენ გაქვს სასახლე ეფეოსის,
იქ ლიდიელი ქალწულები თავს გეხვევიან,
ბედნიერო;
შენაც მოდი, დედოფალო, ჩვენებურო,
შენ, ქალაქის მეუფეო, ათენა;
შენც, პარნასოსის მფლობელო,
ფიჭვების გამნათებელო,
ბაკხი ქალების წინამძღოლო სწორუპოვარო,
შენ, მხიარულო დიონისე!

მ ე ო რ ე ნ ა ხ ე ვ ა რ გ უ ნ დ ი ს წ ი ნ ა მ ძ ღ ო ლ ი

ანტ.

სწორედ ახლა, როცა აქეთ ვაპირებდი წამოსვლას,
გზად შემოგვხვდა ბადრი მთვარე, დაგვაბარა მოგვეძღვნა
გამარჯობა ათენისთვის, მოკავშირეებისთვის.
მერმე ბრძანა, გავბრაზდიო, თქვენგან დავიტანჯეო,
თუმცა ყველას გეხმარებით საქმით, არა სიტყვითო.
ჯერ ხომ თვეში ჩირაღდნისას დრაქმის მეტს გიზოგავთო,
საღამოს ხომ ამას ამბობთ, როცა შინ ბრუნდებითო:
“არ იყიდო ჩირაღდანი, ბიჭო, მთვარის შუქია”.
მთვარე ამბობს: “მე ყველაფერს რიგიანად ვაკეთებ,
თქვენ კი დღეებს ცუდად მართავთ, თქვენ კი ურევთ ყველაფერს”;
“ამას გარდა”, – მითხრა მთვარემ, “ღმერთნი გადავიკიდე,
ბრაზდებიან, რადგან მუდამ შინ უმსხვერპლოდ მიდიან
და დათქმულ დროს ვერასოდეს ნახულობენ ზეიმებს;
თქვენ კი მსხვერპლის ნაცვლად ახალ სასამართლოს აჩაღებთ.
ხშირად, როცა ჩვენ, ღმერთები, მგლოვიარედ ვმარხულობთ,
როცა მწარედ დავტირივართ მემნონს ანდა სარპედონს,
მაშინ გვწირავთ სწორედ ღვინოს და იცინით ღმერთებზე.
ამიტომაც, წელს რომ თქვენი ჰიპერბოლე დანიშნეთ,
ჩვენ გვირგვინი ჩამოვართვით; უკეთ ეცოდინება,
რომ დღეები ცხოვრებაში მთვარით მიმდინარეობს”.

პირველი ეპისოდიონი

შემოდის ს ო კ რ ა ტ ე , უკან მოჰყვება ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე .

ს ო კ რ ა ტ ე

ვფიცავ ამოსუნთქვას, ქაოსს და ჰაერსაც,
ასეთი ტეტია კაცი არ მინახავს,
არც ასე უვიცი, ბრიყვი, გულმავიწყი!
რაღაც ეშმაკობას სწავლობდა, მეგონა

და სულ დაივიწყა, სანამ დაისწავლა.
გარეთ გამოვუხმობ? ახლა, სინათლეზე.
სად ხარ, სტრეფსიადე? ლოგინით გამოდი.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

ლოგინს არ მითმობენ ეს ბაღლინჯოები.

ს ო კ რ ა ტ ე

იჩქარე, გამოდი, მისმინე.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

მოვედი.

ს ო კ რ ა ტ ე

მითხარი, რა გინდა ახლა აითვისო
ისეთი, რაც ჯერაც არ შეგისწავლია?
რა გინდა / მეტრი თუ რიტმი და სიტყვები?

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

მეტრი შემასწავლე, თორემ მეალაფემ
ორიოდ ქენიკით მაინც მომატყუა.

ს ო კ რ ა ტ ე

მე ეგ არ მიკითხავს. რომელი საზომი
მოგწონს, ტეტრამეტრი გიჯობს თუ ტრიმეტრი?

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

მე მგონი, ჩარექი სუყველას სჯობია.

ს ო კ რ ა ტ ე

მიჰქარავ!

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

თუ გინდა, დავდოთ სანაძლეო,
ჩარექი სწორედ რომ გახლავს ტეტრამეტრი.

ს ო კ რ ა ტ ე

გასწი ყორნებისკენ, ჩლუნგო, უსწავლელო!
იქნება, აჯობოს, რიტმი შეისწავლო?

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

მერედა, რა თავში ვიხალო ეგ რიტმი?

ს ო კ რ ა ტ ე

ეს დაგეხმარება ურთიერთობაში,

იმწუთას გაიგებ, რომელი რიტმია,
ენოპლიისა თუ დაქტილის მიხედვით.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

დაქტილის მიხედვით? – ეგ ვიცი.

ს ო კ რ ა ტ ე

გვიბრძანე.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

დაქტილი რა არის, თითი არ ბრძანდება?
თითი კი ვიცოდი უკვე ბავშვობაში.

ს ო კ რ ა ტ ე

ბრიყვი ხარ, უხეში!

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

არა, უბედურო,
ამათი დასწავლა არ მინდა!

ს ო კ რ ა ტ ე

მაშ რისი?

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

ძალიან მჭირდება ტყუილის შესწავლა.

ს ო კ რ ა ტ ე

მაგრამ მანამდე ხომ სხვაც უნდა ისწავლო,
თუნდაც მამრობითი სქესის გამოცნობა.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

მაგაზე ადვილი რა არის, ბატონო! –
ეს ცხვარი, ხარიო, თხა, ძაღლი, ქათამი.

ს ო კ რ ა ტ ე

ხომ ხედავ, რა მოგდის? ქათამს ხომ დედალსაც
ეძახი, მამალსაც ქათმად მისახელებ.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

რას ამბობ?

ს ო კ რ ა ტ ე

შენ არ თქვი ძაღლი და ქათამი?

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

ვფიცავ პოსეიდონს! აბა, რა ვუწოდო?

ს ო კ რ ა ტ ე

დედალს – ქათამია, მამალს – ქათამსო.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

მომწონს “ქათამია”, ჰაერს გეფიცები:
აი, ამ ნასწავლი სიბრძნის გულისათვის
ვარცლსაც კი აგივსებ ფქვილით სულ პირთამდე.

ს ო კ რ ა ტ ე

ვარცლი რომ გამოთქვი ახლა მამრობითად,
ხომ მდედრობითია!

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

როგორ, მამრობითად
გამოვთქვი მე “ვარცლი?”

ს ო კ რ ა ტ ე

სწორედაც! გამოთქვი,
როგორც “კლეონიმე”.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

ეს როგორ, მითხარი.

ს ო კ რ ა ტ ე

ერთგვარად გამოგდის ვარცლიც, კლეონიმეც.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

მაგრამ კლეონიმეს ვარცლი არ ჰქონია,
ცომსაც მრგვალ ქვიშაში ზელდა გამუდმებით...
მაშ, როგორ ვუწოდო?

ს ო კ რ ა ტ ე

როგორ და სოსტრატეს
როგორც მოუხმობდი: “ვარცელა” უწოდე.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

ეს მდედრობითია?

ს ო კ რ ა ტ ე

რა საკითხავია?

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

იქნება “ვარცელა”, როგორც “კლეონიმე”.

ს ო კ რ ა ტ ე

ახლა სახელებით უნდა გაარჩიო
შენ მამრობითებიც და მდედრობითებიც.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

ვიცი, მდედრობითი რაცაა.
სოკრატე გვითხარი.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

ლისილა, კილინა, მირა, დემეტრია.

ს ო კ რ ა ტ ე

და მამრობითები?

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

ათიათასია:
თუნდაც, ფილოქსენე, ანდა ამონია.

ს ო კ რ ა ტ ე

შე ბრიყვო, ესენი მამრობითებია?!

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

რატომაც არაო?

ს ო კ რ ა ტ ე

შენ რას მეუბნები?!
აბა, ამინია რომ შეგხვდეს, რას ეტყვი?

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

როგორ თუ რას ვეტყვი – აქეთ, ამინია!

ს ო კ რ ა ტ ე

ხომ ხედავ, ქალივით მოუხმობ “მამრობითს”.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

სწორიც ვარ, ღმერთმანი, ჯარში არ მსახურობს.
რა, ისიც ვისწავლო, რაც იცის სუყველამ?

ს ო კ რ ა ტ ე

ო, არა, ღმერთმანი, დაწექი.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

და რა ვქნა?

ს ო კ რ ა ტ ე

რამე მოიფიქრე იმ შენს საქმეთაგან.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

არა, გევედრები, ამაზე არ მინდა,
მომეცი ნებართვა, მიწაზე ვიფიქრო.

ს ო კ რ ა ტ ე

ეს არ შეიძლება.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

ვაი, მე ბედკრული
ვუხდი გადასახადს დიდ-დიდ ბაღლინჯოებს.

(სოკრატე საფიქრალეთში შედის, სტრეფსიადე წვება).

პ ი რ ვ ე ლ ი ნ ა ხ ე ვ ა რ გ უ ნ დ ი

სტრ.

იფიქრე კარგად, თავს დაუკვირდი, საკუთარ აზრებს
თავი მოაბი
სასწრაფოდ. თუკი გაგიჭირდება,
მეორე ფეხზე
გადაიტანე აზრი, ძილი კი არ მიაკარო თვალებს.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

ვაიმე, ვაიმე!

კ ო რ ი ფ ე ო ს ი

რა გჭირს, რა გაწამებს?

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

დავიღუპე უბედური,
საგებიდან კორინთელში გამომძვრნენ და დამკბინეს.
დამიგლიჯეს ფერდები,
სული ამომაცალეს,
დამიქაჩეს კვერცხები,
გამომთხარეს საჯდომი,
დავიღუპე!

კ ო რ ი ფ ე ო ს ი

ახლა ხომ მაგრად არ გტკივა?

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

რა არ მტკივა?! როცა ჩემი
ფულიც გაქრა, ფერიც გაქრა,
სულიც გაქრა, ხამლიც გაქრა
და ამ უბედურებისგან
ძილიც გაქრა, რულიც გაქრა
ცოტა კიდევ – მეც გავქრები.

მეორე ეპისოდიონი

საფიქრალეთიდან გამოდის ს ო კ რ ა ტ ე .

ს ო კ რ ა ტ ე

შენ ეი, რას შვრები? არ ფიქრობ?

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

მე? ვფიქრობ,
ვფიცავ პოსეიდონს.

ს ო კ რ ა ტ ე

და რა მოიფიქრე?

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

რაც გადამარჩენდა ბაღლინჯოებისგან.

ს ო კ რ ა ტ ე

წადი, დაიღუპე!

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

უკვე დავიღუპე.

ს ო კ რ ა ტ ე

აქ რას მენაზები! კარგად გაეხვიე.
მზაკვრული გონებით უნდა გამოძებნო
რამე ეშმაკობა.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

ვინღა ჩამომიგდებს
ამ ტყავში რაიმე ეშმაკურ ნააზრევს?

პაუზა.

ს ო კ რ ა ტ ე

ახლა კი დავხედო ერთი, რას აკეთებს.
რა, გძინავს?

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

მე? არა, აპოლონს ვფიცავარ.

ს ო კ რ ა ტ ე

გაქვს რამე?

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

ღმერთმანი, არა.

ს ო კ რ ა ტ ე

არაფერი?

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

არა, თუ არ ჩავთვლით ასოს მარჯვენაში.

ს ო კ რ ა ტ ე

ისევ გაეხვიე, რამე მოიფიქრე.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

რაზე მოვიფიქრო? მითხარი, სოკრატე.

ს ო კ რ ა ტ ე

შენ თვითონ რაც გინდა, იმაზე იფიქრე.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

ათასჯერ გითხარი, ვალის ამბავია,
ვალების გადახდა არ მინდა, სოკრატე.

ს ო კ რ ა ტ ე

მიდი, გაეხვიე და ისევ ჩაღრმავდი
ფიქრებში; დაშალე საქმე ნაწილებად
და ისე განსაჯე.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

ო, რა მეშველება!

ს ო კ რ ა ტ ე

დამშვიდდი. აზრებში თუკი დაიბნევი,
თავი დაანებე, მოშორდი; ხელახლა
უნდა დაუბრუნდე და აწონ-დაწონო.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

სოკრატე, ძვირფასო!

ს ო კ რ ა ტ ე

რას იტყვი, მოხუცო?

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

ვახშზე მომივიდა აზრი უმზაკვრესი.

ს ო კ რ ა ტ ე

კარგია, გვაჩვენე.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

აბა, შეაფასე:
ვინმე ჯადოქარი, ვთქვათ, თესალიელი
რომ მოვისყიდო და მთვარე მოვიტანოთ,
მრგვალ სკივრში ჩავაგდო, ასე გადავმალო
ძვირფას სარკესავით და ვუყარაულო?

ს ო კ რ ა ტ ე

რას მოგცემს?

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

როგორ თუ რას მომცემს, სოკრატე?!
მთვარე არასოდეს აღარ ამოვა და
ვალს არ გადავიხდი.

ს ო კ რ ა ტ ე

ვითომ რატომაო?

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

ვახში ხომ თვეობით იზრდება, ამიტომ.

ს ო კ რ ა ტ ე

კარგია! ახლა ეს ამბავიც მიბრძანე:
თუ ხუთტალანტიან სარჩელს შეიტანენ,
როგორ აირიდებ თავიდან, მითხარი.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

როგორ? ეგ არ ვიცი, უნდა მოვიფიქრო.

ს ო კ რ ა ტ ე

დიდი ტვინის ჭყლეტაც არ ვარგა, იცოდე,
მიუშვი გონება, ჰაერში ავიდეს
ფეხზეძაფგამობმულ ოქროს ხოჭოსავით.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

ვიცი, სასამართლო როგორც ავიცილო,
შენც მოგეწონება ეს გზა.

ს ო კ რ ა ტ ე

რომელია?

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

წამლის გამყიდველთან იმ ქვას ხომ შევიძენ,
ლამაზი რომაა, ბრჭყვიალა, რომლითაც
ცეცხლი აინთება?

ს ო კ რ ა ტ ე

ცეცხლის ქვას გულისხმობ?

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

სწორედაც. რას იტყვი, ეგ რომ ავიღო და
გადაწყვეტილებას როცა ჩაიწერენ,
გვერდზე გადამდგარმა სხივი დავიჭირო,
ამოვწვა, რაცაა ჩემზე ჩაწერილი?

ს ო კ რ ა ტ ე

ბრძნულია, ქარიტებს ვფიცავ!

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

მიხარია,
რომ ხუთი ტალანტის საქმე მოვიხსენი.

ს ო კ რ ა ტ ე

მაშ ახლა ამასაც გაეცი პასუხი:
თავს როგორ დაიძვრენ სასამართლოსაგან,
თუ დამნაშავე ხარ და მოწმეც არა გყავს?

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

ძალიან იოლად.

ს ო კ რ ა ტ ე

გვითხარი.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

ახლავე:
როცა უკანასკნელ საქმეს გაარჩევენ,
მე გავიქცევი და თავსაც ჩამოვიხრჩობ.

ს ო კ რ ა ტ ე

მიჰქარავ!

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

რას ამბობ, ღმერთებს გეფიცები,
მკვდრისგან ხომ ვერავინ მოითხოვს სამართალს?!

ს ო კ რ ა ტ ე

მიჰქარავ! წაბრძანდი, მე შენ ვერ გასწავლი.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

ღმერთების სახელით, ნუ იზამ სოკრატე!

ს ო კ რ ა ტ ე

785 როგორ თუ ნუ ვიზამ, ყველაფერს ივიწყებ!
დღეს რა გაქვს ნასწავლი, პირველი რა იყო?

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

ჰო მართლაც, პირველი რა იყო, პირველი...
რომელშიც ფქვილს ზელენ, ის იყო? პირველი...
ვაიმე, რა იყო?

ს ო კ რ ა ტ ე

გასწი ყორნებისკენ,
790 უგულმავიწყესო, ბრიყვო ბერიკაცო!

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

ვაი, მე უბედურს რაღა მეშველება?!
ვერა, ვერ ვისწავლე ეს ენის ტრიალი!
რამე ჭკვიანური მირჩიეთ ღრუბლებო!

კ ო რ ი ფ ე ო ს ი

გვისმინე, მოხუცო: ჩვენ ამას გირჩევდით,
795 შვილი გეყოლება უკვე წამოზრდილი,
ის გამოაგზავნე, შენს ნაცვლად ისწავლოს.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

კი, კი მყავს ვაჟკაცი კარგი და კეთილი,
მაგრამ რა გავაწყო, სწავლა რომ არ უნდა?

კ ო რ ი ფ ე ო ს ი

შენც უთმენ?

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

კარგი და მაგარი ბიჭია,

თუმცა დედამისის შვილია, რას ვიზამ?
წავალ, გამოვგზავნი. თუკი არ ისურვა,
სხვა რაღა დამრჩება? – სახლიდან გავაგდებ.
(სოკრატეს)
შინ შედი, ცოტა ხანს უნდა დამელოდო.

სტრეფსიადე გადის.

მ ე ო რ ე ნ ა ხ ე ვ ა რ გ უ ნ დ ი

ანტ.
(სოკრატეს)
თუ ხვდები, რამდენ სიკეთეს იღებ ჩვენგან, ღმერთთაგან,
ღრუბლებისაგან?
ხომ ყველაფერი მზადაა ახლა,
რასაც ინებებ!
ხომ გააგიჟე ეს კაცი ნაღდად და აურიე ტვინი?
რაკი დააბი, გაკრიჭე კიდეც!
უნდა იჩქარო,
ასეთმა საქმემ
შეტრიალება იცის უკუღმა.

მესამე ეპისოდიონი

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე და ფ ი დ ი პ ი დ ე სახლიდან გამოდიან.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

ო, ნისლს გეფიცები, აქ ვეღარ დარჩები,
წადი მეგაკლესთან, სვეტები შეჭამე.

ფ ი დ ი პ ი დ ე

ვაი, უბედურო, ეს რა დაგმართვია,
ჭკუაზე არა ხარ, ვფიცავ ოლიმპიელს.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

ოლიმპიელიო! ღმერთო, რა ბრიყვია!
ამოდენაა და ზევსი სწამს ჯერ კიდევ!

ფ ი დ ი პ ი დ ე

ნეტავ, რა გაცინებს?

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

სწორედ ეგ მაცინებს,
ბავშვი რომ ბრძანდები და გჯერა ზღაპრები.

ერთი, აქ მობრძანდი, გაიგე ამბები,
ისეთებს გაიგებ, რომ კაცი გახდები,
ოღონდ ეს არავის არ უთხრა, იცოდე.

ფ ი დ ი პ ი დ ე

მოვედი.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

ახლახან ზევსი დაიფიცე?

ფ ი დ ი პ ი დ ე

დიახ, დავიფიცე!

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

სწავლა სიკეთეა!
ზევსი არ არსებობს.

ფ ი დ ი პ ი დ ე

მაშ, ვინღა არსებობს?

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

გრიგალი, რომელმაც ზევსი გააძევა.

ფ ი დ ი პ ი დ ე

ნეტავ, რას მიჰქარავ?

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

იცოდე, ასეა.

ფ ი დ ი პ ი დ ე

ვინ თქვა ეს?

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

სოკრატემ ბრძანა, მელოსელია.
და რწყილის გზა-კვალის მცოდნე ქერეფონტმა.

ფ ი დ ი პ ი დ ე

შენ ასეთ გიჟებთან მიდი და უჯერებ
მაგ ცოფიანების ბჟუტტურს?

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

წესიერად!
ცუდი არაფერი არ მითხრა მაგ ხალხზე,
ხალხს ტვინი ასკდება! მომჭირნეობისგან
თმებსაც არ იკრეჭენ, აღარც ნელსაცხებელს

ხმაროზენ, უარი უთხრეს აბანოსაც.
შენ კი ჩემს ცხოვრებას ხაზი გადაუსვი.
სასწრაფოდ მიბრძანდი და რამე ისწავლე!

ფ ი დ ი პ ი დ ე

მაგათაგან ისწავლი, რაც სიბრძნე არსებობს.
გაიგებ, ბრიყვი რომ ბრძანდები, უგნური.
აბა, მომიცადე, ახლავე გამოვალ

სახლში შედის.

ფ ი დ ი პ ი დ ე

(თავისთვის)
სულ გაგიჟებულა, რაღა მეშველება!
ჯერ სასამართლოში მივიდე პირდაპირ,
თუ ჯობს, მეკუბოვეს მოვუხმო, ნეტავი?

სახლიდან გამოდის ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე და დედალ-მამალი ქათამი გამოჰყავს.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

მაშ ვნახოთ, ამას რას ეძახი, მითხარი.

ფ ი დ ი პ ი დ ე

ქათამს.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

ბრწყინვალეა. ამას რას ეძახი?

ფ ი დ ი პ ი დ ე

ქათამს.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

ერთნაირად ორივეს, სულელო?
მეტი არ გაბედო! ამას დაუძახო
უნდა “ქათამია”, იმას “ქათამოსი”.

ფ ი დ ი პ ი დ ე

როგორ, “ქათამია?” აი, ეს სიმართლე
ისწავლე, მამიკო, გოლიათებისგან?

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

სხვაც ბევრი ვისწავლე, მაგრამ ყველაფერი
წელთა სიმრავლისგან სულ გადამავიწყდა.

ფ ი დ ი პ ი დ ე

და ამას შესწირე შენი მოსასხამიც?

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

ეგ კი არ შევწირე, ეგ “გადავიაზრე”.

ფ ი დ ი პ ი დ ე

ბრიყვო, ფეხსაცმელი მაინც რა უყავი?

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

პერიკლეს არ იყოს, “ხამდა და დავღუპე”.
წამოდი, წამოდი, მამას დაუჯერე
და მერმე, თუ გინდა, შეცდი, მე რა მეთქმის!
ექვსი წლის იყავი, ძლივს რომ ბუტბუტებდი,
მოსამართლეობის ობოლი ავიღე,
იმით მაყიდინე ეტლი სათამაშო...

ფ ი დ ი პ ი დ ე

დრო რომ გამოხდება, ინანებ, იცოდე.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

მომწონს, რომ მიჯერებ.
(საფიქრალეთის კარს უკაკუნებს)
გამოდი, სოკრატე,
შენთან მოვიყვანე ეს ჩემი ვაჟკაცი,
ძლივს, ძლივს დავითანხმე.

გამოდის ს ო კ რ ა ტ ე .

ს ო კ რ ა ტ ე

ჯერ კიდევ ბალღია,
დაკიდულ კალათში ჯერ არ გამოცდილა.

ფ ი დ ი პ ი დ ე

მე მგონი, შენ თვითონ ჩამოეკიდები.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

გასწი ყორნებისკენ! ლანძღავ მასწავლებელს?

ს ო კ რ ა ტ ე

ჩამოეკიდეო! რა ხამად გამოთქვა,
ფართოდ გაღებული პირით, რა ბრიყვულად?!
ამან აიცილოს უნდა სასამართლო,
უნდა დაამარცხოს მოსარჩელეები?

თუმცა ჰიპერბოლემ ტალანტად ისწავლა.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

ნუ ფიქრობ, ისწავლის, ჭკვიანი ბიჭია.
ეს სულაც პატარა ბავშვი ბრძანდებოდა,
სახლებს რომ ძერწავდა და გემებს ჩორკნიდა,
ტყავისგან პატარა ეტლებს აკეთებდა,
ხოლო ბროწეულის კანიდან – ბაყაყებს.
ამან რომ ორივე სიტყვა შეისწავლოს,
როგორც უკეთესი, ისე უარესი,
მტყუანიც რომ იყოს, მაინც გაიმარჯვებს.
სიმართლე თუ არა, ტყუილი ისწავლოს.

ს ო კ რ ა ტ ე

თვითონვე ისწავლოს ამ ორი სიტყვიდან,
მე უნდა დაგტოვოთ.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

ეს ერთი გახსოვდეს,
სიმართლე იოლად უნდა დაამარცხოს.

კალათებით, საბრძოლო მამლებივით შემოჰყავთ ს ი მ ა რ თ ლ ე და ტ ყ უ ი ლ ი .

ს ი მ ა რ თ ლ ე

აქ გამობრძანდი და დაენახვე
ჩვენს მაყურებელს, რა თავხედიც ხარ.

ტ ყ უ ი ლ ი

გამოვბრძანდები, რაკი შენ გინდა
და დაგამარცხებ ორიოდ სიტყვით.

ს ი მ ა რ თ ლ ე

ოჰო! ვინა ხარ?

ტ ყ უ ი ლ ი

სიტყვა.

ს ი მ ა რ თ ლ ე

ტყუილი!

ტ ყ უ ი ლ ი

რომ დაგამარცხებ, ჩემზე იტყვიან,
ეს სჯობიაო.

ს ი მ ა რ თ ლ ე

ბრძნულს რაღას იზამ?

ტ ყ უ ი ლ ი

სულ ახალ-ახალ აზრებს მოგართმევთ.

ს ი მ ა რ თ ლ ე

ჰო, ეგ აზრები ჰყავიან ახლა
ამ სულელებში.

ტ ყ უ ი ლ ი

არა, ბრძენ ხალხში.

ს ი მ ა რ თ ლ ე

დაიღუპები!

ტ ყ უ ი ლ ი

რას გააკეთებ?

ს ი მ ა რ თ ლ ე

სიმართლეს ვიტყვი.

ტ ყ უ ი ლ ი

მე კი მოგიგებ საპირისპიროდ,
რომ არ არსებობს ქვეყნად სიმართლე.

ს ი მ ა რ თ ლ ე

არ არსებობსო?

ტ ყ უ ი ლ ი

აბა, სად არის?

ს ი მ ა რ თ ლ ე

ღმერთებთანაა.

ტ ყ უ ი ლ ი

მაშ, სიმართლე და სამართალია,
მამამისი რომ შებორკა ზევსმა?

მითხარი!

ს ი მ ა რ თ ლ ე

მოდის
უბედურება! ტაშტი მომეცით.

ტ ყ უ ი ლ ი

რა ჭკუასუსტი ბერიკაცი ხარ!

ს ი მ ა რ თ ლ ე

რა გარყვნილი ხარ და უსირცხვილო!

ტ ყ უ ი ლ ი

რა, ვარდი ხარო?

ს ი მ ა რ თ ლ ე

ტაკიმასხარა!

ტ ყ უ ი ლ ი

გვირგვინსაც მადგამ?

ს ი მ ა რ თ ლ ე

და მამისმკვლელო!

ტ ყ უ ი ლ ი

ოქროთი მფარავ და ვერც კი ხვდები.

ს ი მ ა რ თ ლ ე

მაგ “ოქროს” უწინ ტყვიას ვემახდით!

ტ ყ უ ი ლ ი

ახლა ეგ ჩემთვის სამკაულია.

ს ი მ ა რ თ ლ ე

რა თავხედი ხარ!

ტ ყ უ ი ლ ი

შენ კი ბებერი!

ს ი მ ა რ თ ლ ე

შენს გამო სწავლა
არავის უნდა ყმაწვილკაცთაგან.
მალე გაიგებს მთელი ათენი,
რა სისულელეს ასწავლი ბავშვებს.

ტ ყ უ ი ლ ი

რა ბინძური ხარ!

ს ი მ ა რ თ ლ ე

შენ ხომ “სუფთა” ხარ!
არ გახსოვს, ადრე რომ მათხოვრობდი,
ტელეფე ვარო, მისიელიო,
ჩანთიდან აზრებს
ამოიღებდი და იმათ ღრღნიდი?

ტ ყ უ ი ლ ი

ვაიმე სიბრძნევ!

ს ი მ ა რ თ ლ ე

ვაი სიგიჟევ!

ტ ყ უ ი ლ ი

რა მომაგონე!

ს ი მ ა რ თ ლ ე

შენი ქალაქიც,
რომელიც შენით
რყვნის და აფუჭებს ახალგაზრდობას!

ტ ყ უ ი ლ ი

(ფიდიპიდეზე მიუთითებს)
ასწავლი, რომ ხარ კრონოსის დროის?

ს ი მ ა რ თ ლ ე

რად არ ვასწავლი, თუკი ხსნას ეძებს
და ლაყბობაზე არ კარგავს ჭკუას?

ტ ყ უ ი ლ ი

(ფიდიპიდეს)
აქ მოდი, ეგ კი მისით გაგიჟდეს.

ს ი მ ა რ თ ლ ე

იტირებ, ხელიც რომ დააკარო!

ჩხუბობენ.

კ ო რ ი ფ ე ო ს ი

შეწყვიტეთ ბრძოლა, ლანძღვა-გინება,
ჯობს, რომ გვიჩვენოთ,

უწინ რა იყო, რას ასწავლიდი,
შენ კი გვითხარი,
ახლა რაა, რომ მოგისმინოთ
ამან და თვითონ ამოგირჩიოთ.

ს ი მ ა რ თ ლ ე

მე თანახმა ვარ.

ტ ყ უ ი ლ ი

მეც თანახმა ვარ.

კ ო რ ი ფ ე ო ს ი

მაშ, ვინ დაიწყებს ახლა ლაპარაკს?

ტ ყ უ ი ლ ი

ამან დაიწყოს.
მას შემდეგ, რაც ეს ილაპარაკებს,
ახალი სიტყვით, ახალი აზრით
გავანადგურებ
ბოლოს და ბოლოს, თუ იბუზღუნებს,
სახეს და თვალებს
კრაზანებივით ამოუჭამენ
ჩემი აზრები – დაიღუპება.

პირველი აგონი

პ ი რ ვ ე ლ ი ნ ა ხ ე ვ ა რ გ უ ნ დ ი

სტრ.

ახლა ამ ორმა უნდა გვაჩვენოს ბრწყინვალე
სიტყვით და აზრით, ბრძნული გამონათქვამებით,
რომელი უფრო მაგარი ბრძანდება სიტყვა-პასუხში.
სიბრძნე დიდ საფრთხეში გახლავთ ჩავარდნილი ახლა,
რადგან ჩემს მეგობრებს შორის უდიდესი შეჯიბრი იწყება.

კ ო რ ი ფ ე ო ს ი

(სიმართლეს)
ეპირემა
ვინაც გვირგვინით შეამკე ძველთა კეთილი ზნე და კეთილი საქმე,
ხმა ამოიღე, როგორც გინდა და საკუთარ თავზე გვიამბე რამე.

ს ი მ ა რ თ ლ ე

მაშ, მოგახსენებთ იმ ძველ აღზრდაზე, რომელიც იყო ძველ დროებაში,
როცა ვამბობდი მხოლოდ სიმართლეს და მოკრძალება მერქვა სახელად.
ჯერ ერთი, ვერსად გაიგონებდი ბავშვის ტირილის ხმას ვერასოდეს,

მწყობრი ნაბიჯით გაუდგებოდნენ გზას მასწავლებელ კითარისტისკენ,
ტანზე ჩაცმასაც ვერ გაბედავდნენ, თუნდ ხვავრიელად, უხვად ეთოვა.
ისიც სიმღერას შეასწავლიდა და გაისმოდა შეუჩერებლივ
“პალასი მძლავრი, ქალაქთმმუსვრელის”, “შორს მიმავალი ძახილის” ხმები,
აგუგუნებდნენ იმ ჰარმონიას, რასაც მღეროდნენ მათი მამებიც.
თუკი ვიღაცა ტაკიმასხარა იანცებდა და ხმას აურევდა,
ან დაიწყებდა, როგორც ფრინისი, სიმღერის განზრახ დამახინჯებას,
დაიჭერდნენ და მაგრადაც სცემდნენ, როგორც მუზების შეურაცხმყოფელს.
პალესტრაში რომ აღმოჩნდებოდნენ, ფეხებს ერთმანეთს მიატყუპებდნენ
ჩვენი ბავშვები, რომ სარცხვინელი მათ უეცრად არ გამოსჩენოდათ.
და მერმე, როცა წამოდგებოდნენ, ქვიშაზე კვალსაც არ დატოვებდნენ,
რომ არ ეფიქრათ შეყვარებულებს მათი სხეულის სილამაზეზე.
რომელი ბავშვი გაბედავდა და ჭიპს ნელსაცხებლით დაიზილავდა!
ნაზად ჰყვაოდა ბავშვური ღინღლი, ვით გაზაფხულზე ვაშლის ყვავილი.
ხმასაც არავინ არ ინაზებდა და კაცებს ისე არ მიმართავდა,
თავისთვის თვითონ არ მაჭანკლობდა, თვალების ნაბვით არ დადიოდა;
სადილზე ბოლოკს ვერ მოჰკიდებდა ხელს უფროსების დაუკითხავად,
ვერც ნიახურს ვერ აიღებდა, ვერც კამის გემოს ვერ გაიგებდა,
ვერც თევზს შეჭამდა, ვერც შაშვს დახრავდა, ვერც ფეხზე ფეხს ვერ გადაიდებდა.

ტ ყ უ ი ლ ი

ო, ძველთაძველი დიპოლიები, კუტკალიებით სავსე ამბები,
კეკიდები და ბუფონიები...

ს ი მ ა რ თ ლ ე

სწორედ ამათი მოშველიებით
დაავაჟკაცა ოდესღაც ჩემმა აღზრდამ მარათონს მებრძოლი ხალხი.
შენ კი რა ჰქენი? ახლანდელები სულ შეახვიე ქიტონებში და
პანათენეებს ვეღარ ვუყურებ, ფარს ასოს წინ რომ დააჭერინებ
და უსირცხვილოდ ასე აცეკვებ, ტრიტოგენიას არ ერიდები.
(ფიდიპიდეს)
აბა, დაფიქრდი, ჩემო ბიჭუნა, მე ამირჩიე, მართალი სიტყვა –
და შეიძულებ აგორის ხმაურს, არ გაიხედავ აბანოსაკენ.
რაც სირცხვილია, თავს აარიდებ, ხოლო დაცინვა რისხვით აგანთებს,
როგორც კი უფროსს თვალს მოჰკრავ სადმე, წამოდგები და ადგილს დაუთმობ.
მშობლებს ხომ ხმასაც არ შეუბრუნებ, და არც ურიგო საქმეს არ ჩაიდენ,
მერე სირცხვილსაც ღმერთად დაისვამ და ქანდაკებას გამოუმერწავ,
ქალებსაც აღარ შეუვარდები და წინ პირღია არ დაუდგები,
კახპისგან ვაშლსაც აღარ აიღებ, რომ არ გაგიტყდეს ხალხში სახელი.
მამასთან ხმასაც აღარ აუწევ და “ზერიკაცსაც” არ დაუძახებ,
არ შეურაცხყოფ მის ასაკს, ვინაც გამოგზარდა და კაცად გაქცია.

ტ ყ უ ი ლ ი

ო, დიონისეს გაფიცებ, ბიჭო, არ დაუჯეროო, თორემ, მერწმუნე,
დაემსგავსები დედიკოს ბიჭებს, ან ჰიპოკრატეს გოჭებს, იცოდე.

ს ი მ ა რ თ ლ ე

არა, ბრწყინვალე ბედი გექნება, ტკბილად იცხოვრებ გიმნასიონში.
აღარ ილაყბებ აგორაზე და უხეშ დაცინვას მხარს არ აუბამ,
არ გაერევი ძუნწშარიან და ბინძურტუტუცურ ბრიყვულ საქმეში;
აკადემიის ჭალას ეწვევი, ზეთისხილებში გაინავარდებ
იქვე, გონიერ თანატოლებთან ერთად, შეგამკობს ლერწმის გვირგვინი,
ირგვლივ იდგება ამო სურნელი, თეთრი ფოთლები დასცვივა ალვას
და გაზაფხული მოგიტანს შვებას, ჭადარი თელას დაუწყებს ჩურჩულს.
თუ დამიჯერებ, ჩემო ბიჭუნა,
თუკი გონებას აქეთ მომართავ,
მუდამ გექნება ბრწყინვალე მკერდი,
თეთრი კანი და დიდ-დიდი მხრები,
დიდი საჯდომი, პატარა ასო
და მოკლე ენა.
ახლანდელებს თუ დაემსგავსები,
გაგიყვითლდება, იცოდე, კანი,
პატარა მხრები, პატარა მკერდი,
მცირე საჯდომი და დიდი ენა,
დიდი ასო და დიდი სიბრიყვე.
თავს დაირწმუნებ,
სამარცხვინო რამ კარგი გახდება
და პირიქითაც.
ეს არ გეყოფა და ანტიმაქეს
გარყვნილებასაც კი შეისწავლი.

მ ე ო რ ე ნ ა ხ ე ვ ა რ გ უ ნ დ ი

ანტ

მარადიული სიბრძნის მცველო სახელოვანო!
რა ტკბილად ჰყვავის შენს სიტყვებში სიბრძნის ყვავილი!
ბედნიერები იყვნენ, ვინც ძველ დროში ცხოვრობდნენ.
(ტყუილს)
ბრწყინვალედ შეთხზე, მუზის მეპატრონევ, ახლა
რაიმე ახალი უნდა მოგვახსენო, გაჯობა ამ კაცმა.

კ ო რ ი ფ ე ო ს ი

ანტეპირემა
ახლა უნდა მოიფიქრო საშინელი სიტყვები,
თუ გინდა, რომ დაამარცხო, ხალხი არ გააცინო.

ტ ყ უ ი ლ ი

მე თვითონაც შიგნეული მეწვის, ისე მწყურია
მასთან დაპირისპირება და აზრების ამღვრევა.
ბრძენმა ხალხმა ხომ “ტყუილი” იმისათვის დამარქვა,
რომ პირველმა მოვიფიქრე კანონის და სიმართლის
უარყოფა, ყველაფერზე მოფიქრება პასუხის.
ეს ხომ დიდი საქმე გახლავთ, მილიონი სტატერის –
აირჩიო ტყუილი და გაიმარჯვო ტყუილით.
(ფიდიპიდეს)
წეღან ტვინს რომ გილაყებდა, მაგის აღზრდას შეხედე:
აბანოს რომ დაემდურა, ცხელ წყალს გადაემტერა,
(სიმართლეს)
რას ერჩოდი, რის გამოა, ცხელ წყალს რომ ემართლები?

ს ი მ ა რ თ ლ ე

იმას ერჩი, ბოროტია, და ანაზებს მამაკაცს.

ტ ყ უ ი ლ ი

აქ გაჩერდი! ხელში მყავხარ! ვერსად ვერ გამექცევი!
მიპასუხე, ზევსის რომელ ვაჟკაცს აღიარებდი
უმძრაფრესად, თქვი, ვისა აქვს ტანჯვა გადატანილი?

ს ი მ ა რ თ ლ ე

მე არავინ მიმაჩნია ჰერაკლეზე ძლიერად.

ტ ყ უ ი ლ ი

და “ჰერაკლეს წყაროც”, ალბათ, გაგიგია, ცივია?
სიმამაცეს დაუწუნებ?

ს ი მ ა რ თ ლ ე

აი, სწორედ ეს გახლავს,
სწორედ ასე ლაყბობენ და ასე ლაზღანდარობენ,
აბანოებს ავსებენ და პალესტრებში ვერ ნახავ.

ტ ყ უ ი ლ ი

შენ აგორას აგინებ და მე კი ვაქებ, ჰომეროსს
რა რჯიდა, რომ დაგვიხატა აგორელი ნესტორი,
საძაგლობა ყოფილიყო, ამას ხომ არ იზამდა?
ახლა ენის ამბავიც ვთქვათ, შენ ამბობ, არააო
მისი სწავლა საჭირო, მე ვამბობ, კია-მეთქი!
კეთილგონიერებაო! – უდიდესი იავე!
თუ გინახავს, რომ ოდესმე კეთილგონიერებით
ვინმე კარგი გამხდარიყოს, მითხარი და მომკალი.

ს ი მ ა რ თ ლ ე

მოგახსენებ, პელევსმა ხომ გაინაღდა მახვილი?

ტ ყ უ ი ლ ი

მახვილიო? ეს რა დიდი სარგებლობა უნახავს!
აქ მელამპრე ჰიპერბოლემ რამდენიმე ტალანტი
მოიპოვა სისაძაგლით, არათუ ეს მახვილი.

ს ი მ ა რ თ ლ ე

პელევსმა კი მოიყვანა ცოლად ნაზი თეტისი...

ტ ყ უ ი ლ ი

...რომელმაც ის მიატოვა, რადგან შენი პელევსი
მორცხვი იყო, არ უყვარდა ღამეების თენება,
ხოლო ქალი გარყვნილი და შენ – რეგვენი ბრძანდები.
(ფიდიპიდეს)
დააკვირდი, მეგობარო, სიმართლე ხომ ყველაფერს
გაკარგვინებს, ყველაფერზე უარს არ გათქმევინებს? –
ბიჭებსაც და ქალებსაც და სმას და სიცილ-ხარხარსაც.
რა აზრი აქვს შენს სიცოცხლეს, ესენი თუ არ გექნა?
ესეც ასე. მივაკითხოთ სულის მოთხოვნილებებს:
შეაცდინე, შეგიყვარა, მაგრამ გამოგიჭირეს,
დაიღუპე, რადგან ბრძნულად ლაპარაკი არ იცი.
მე მომენდე, გაიხარე, იცინე და იხტუნე,
ცოლთან თუ გამოგიჭირა, ქმარს მშვიდად აუხსენი,
რომ არ მიგიყენებია მისთვის შეურაცხყოფა;
მერმე ზევსის მაგალითიც მოუყვანე, ქალებმა
ღმერთიც კი შეაცდინეს და შენ ხომ ღმერთი არა ხარ?

ს ი მ ა რ თ ლ ე

უკან ბოლოკს რომ შეჩრიან, თმებს რომ დააპუტავენ,
რაღას იტყვის, არ აცდება სქელსაჯდომიანობა.

ტ ყ უ ი ლ ი

იყოს მერე, მიპასუხე, ცუდი რაა მაგაშიც?

ს ი მ ა რ თ ლ ე

როგორ რაა?! უარესი რაღა უნდა გამოტყვრეს?

ტ ყ უ ი ლ ი

ეს მითხარი, ამაშიც თუ დაგამარცხე, რას იზამ?

ს ი მ ა რ თ ლ ე

სხვა რა მრჩება? – დავდუმდები.

ტ ყ უ ი ლ ი

აბა, ახლა მითხარი,
მსაჯულებად ვინ არიან?

ს ი მ ა რ თ ლ ე

სქელსაჯდომიანები.

ტ ყ უ ი ლ ი

აბა, ტრაგიკოსებად?

ს ი მ ა რ თ ლ ე

სქელსაჯდომიანები.

ტ ყ უ ი ლ ი

ხალხს ვინ მართავს? მიპასუხე!

ს ი მ ა რ თ ლ ე

მხოლოდ სქელი საჯდომი.

ტ ყ უ ი ლ ი

ხომ მიხვდი, რომ მიჰქარავდი?
ჩვენი მაყურებლებიც
ნახე ერთი.

ს ი მ ა რ თ ლ ე

ვნახავ კიდეც!
(თვალს მოავლებს ამფითეტარს)

ტ ყ უ ი ლ ი

თქვი, რას ხედავ?

ს ი მ ა რ თ ლ ე

აქაც უმრავლესობა
სქელსაჯდომიანებია.
იმას ვიცნობ, იმასაც
და იმასაც, გრძელთმებიანს.

ტ ყ უ ი ლ ი

რაღას იტყვი?

ს ი მ ა რ თ ლ ე

მე დავმარცხდი. დამელოდეთ,
ძმებო ქვეშეფსიებო,
მოსასხამი გამომართვით,
გამოვრბივარ თქვენსკენ.

სიმართლე გარბის.
შემოდის ს ო კ რ ა ტ ე .

ს ო კ რ ა ტ ე

რას იტყვი, მოხუცო, ბიჭს უკან წაიყვან,
თუ აქ დაგვიტოვებ კარგად აღსაზრდელად?

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

ურტყი და ასწავლე! გახსოვდეს, როგორმე
ისე გამოზარდე, ცალი ყბით საქმეს რომ
მიადგეს, მეორე ყბაც აუთამაშდეს
უფრო სერიოზულ საქმის შესაჭმელად.

ს ო კ რ ა ტ ე

შენ ეგ ნუ გადარდებს, ბრძენკაცად იქცევა.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

(თავისთვის)
სახეგაყვითლებულ ბრძენკაცად, ღმერთმანი.

სოკრატეს ფიდიპიდე შინ შეჰყავს.

კ ო რ ი ფ ე ო ს ი

(სტრეფსიადეს)
წადი ახლა. მე მგონია, ამას მალე ინანებ.
ჩვენ კი უნდა განვაცხადოთ, საჩუქრად რა მოელით
ჩვენს მსაჯულებს, თუკი ახლა გაგვამარჯვებინებენ:
ეს პირველი – გაზაფხულზე ყანებს რომ მიაკითხავთ,
ჯერ თქვენ გაგიწვიმდებათ და შემდეგ სხვებს, დანარჩენებს.
ჩვენზე იყოს თქვენი ბაღის და ვენახის შენახვაც,
რომ გვალვამ არ გამოაშროს და წვიმამ არ დაალპოს.
ხოლო ვინმე თქვენთაგანი ღმერთებს თუ შეურაცხყოფს,
ღრუბელთაგან საშინელი ბოროტება მოელის,
ვეღარც ნაყოფს ვერ მოიწევს, ვეღარც ღვინოს დაწურავს, –
ყურძენი და ზეთისხილი მწიფობას რომ დაიწყებს,
მსხვილი სეტყვის შურდულებით დავესხმებით, იცოდეთ.
თუკი ვინმემ გადაწყვიტა გამოშრობა აგურის,
კრამიტს ისე დავულეწავთ, თიხა მწარედ ტიროდეს.
თუკი ქორწილს ჩაიფიქრებს მისი სანათესავო,
მთელი ღამე ისე დავცხებთ, მოვანატრებთ ეგვიპტეს,
გირჩევნიათ, თავიდანვე გონივრულად განსაჯოთ.

მეხუთე ეპისოდიონი

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

(ტომრით ხელში გამოდის შინიდან)
მეხუთე, მეოთხე, მესამე, მეორე,
მერმე კი ის დღეა, ყველაზე მეტად რომ
მაშინებს, მაფიქრებს, მკლავს და მაცახცახებს, –
სავსემთვარეობის “ძველი და ახალი”.
ვისი ვალიცა მაქვს, ყველა დაიფიცებს,
რომ პრიტანს გადამცემს, დამღუპავს, ზომიერად:
“ამ ერთხელაც მადროვე, ჩემო მეგობარო,
სხვა დროს გამომართვი”, მაშინვე ყველანი
გამომლანძღავენ და გამათახსირებენ,
დამემუქრებიან სასამართლოებით.
ახლა დამემუქრონ, აღარ მეშინია,
რაკი ფიდიპიდემ ისწავლა ტლიკინი.
ერთი, შევაღწიო ამ საფიქრალეთში.
(აკაკუნებს)
ბიჭო, ბიჭო-მეთქი!

ს ო კ რ ა ტ ე

(კარებში გამოჩნდება)
სალამი, მოხუცო!

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

მეც მოგესალმები. ჯერ ეს გამომართვი,
(ტომარას აძლევს)
როგორც მასწავლებელს გერგება, სოკრატე.
ჩემს შვილს თუ ასწავლე ის სიტყვა, წეღან რომ
აქ გამოიყვანე და ყველას გვაჩვენე?

ს ო კ რ ა ტ ე

ვასწავლე.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

სიცრუევ, ყოველთდედოფალო!

ს ო კ რ ა ტ ე

ახლა სასამართლოს შიში ნუ გექნება.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

როგორ, მოწმეები პირში რომ დამიდგნენ?

ს ო კ რ ა ტ ე

რაც მეტი იქნება მოწმე, ის აჯობებს!

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

დროა, სიხარულის ყიჟინა დავცე!
იტირეთ, ობოლის ამწონნო,
იტირეთ, ჩემო ძველო ვალებო და ვალთა ვალებო,
აღარ მეშინია თქვენი, ვერაფერს დამაკლებთ!
ისეთი მეზრდება
ამ სახლში ბიჭი,
ორლესული ენით მბრწყინავი,
ჩემი მებრძოლი, ოჯახის მხსნელი, მტერთა ზიანი,
მამისეული უბედურების იავარმქმნელი!
(სოკრატეს)
გაიქეცი და ჩემთან მოუხმე,
შვილო, შვილო, გამოდი სახლიდან,
უსმინე მამაშენს.

გაფითრებული და გამხდარი ფ ი დ ი პ ი დ ე სოკრატეს თანხლებით გამოდის სახლიდან.

ს ო კ რ ა ტ ე

აი, ეს კაციც.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

ო, მეგობარო, მეგობარო!

ს ო კ რ ა ტ ე

წაიყვანე და წადი.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

ვაიმე, შვილო!
იუ, ვაიმე!
როგორ მიხარია ამ ჩაყვითლებული
კანის გამოჩენა! ზედვე გაწერია,
რომ ახლა არავის არაფერს შეარჩენ,
იქით მიაწვები: “რაო, შენ რა ბრძანე?”
გაღმა შედავების ოსტატის მზერა გაქვს,
სახეს კი გინათებს შუქი ატიკური.
მაშ, ახლა მიხსენი, უწინ რომ დამღუპე.

ფ ი დ ი პ ი დ ე

რისი გეშინია?

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

ძველის და ახალის.

ფ ი დ ი პ ი დ ე

რა დღეა ასეთი, “ძველი და ახალი?”

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

ის დღეა, პრიტანებს რომ უნდა გადამცენ.

ფ ი დ ი პ ი დ ე

მომჩივანს ცუდი დღე უნდა დავაწიო,
ერთი დღე ორ დღედ რომ აქცია, იმისთვის.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

რას ამბობ?

ფ ი დ ი პ ი დ ე

იმას, რომ შეუძლებელია,
ვინმე ყმაწვილქალიც იყოს, დედაბერიც.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

ეს ხომ კანონია!

ფ ი დ ი პ ი დ ე

ვფიქრობ, რომ კანონი
სწორად ვერ გაიგეს.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

მაშ სწორი რაღაა?

ფ ი დ ი პ ი დ ე

სოლონმა ხალხისთვის ბევრი გააკეთა.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

რა უნდა სოლონთან ამ ძველსა და ახალს?

ფ ი დ ი პ ი დ ე

ეს დღე ხომ სოლონმა დანიშნა ვალების
გასასტუმრებლად და საქმის გარჩევისთვის,
საქმე ხომ ირჩევა ახალმთვარეობას.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

ძველი რად უნდოდა?

ფ ი დ ი პ ი დ ე

იმად, საყვარელო,
რომ მოსარჩლე და მისი მოპასუხე
ერთურთს შეხვედროდნენ შეთანხმებისათვის,
შემდეგ მივიდოდნენ ახალმთვარეობას.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

სარჩელის საწინდარს რატომ ღებულობენ
ძველსა და ახალ დღეს მოსამართლეები.

ფ ი დ ი პ ი დ ე

ეგ ღორმუცელობის ამბავი იქნება –
უნდათ, რომ საწინდარს კბილი მოუსინჯონ,
მთელი დღე სინჯავენ და ვერ ისვენებენ.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

კარგია.
(მაყურებელს)
რას სხედხართ, ბრიყვნო, უბედურნო?
ჩვენა ვართ ბრძენნი და თქვენ ქვები ბრძანდებით,
ქვები ხართ, ჯოგი ხართ და ამფორები ხართ.
ახლა საჭიროა, სიმღერა დავურტყა
ჩემსა და ჩემს შვილზე, ბედნიერებაზე:
“ნეტარო სტრეფსიადე,
თავად ბრძენი დაიბადე,
შვილიც ასე აღზარდე” –
ამას იმღერებენ ჩემი მეზობლები,
ჩემი მეგობრები.
შური დაახრჩობთ, როცა გაიმარჯვებ სასამართლოში,
ახლა შემომყევი, გაგიმასპინძლდები კაცურად.

შინ შედიან.

მეექვსე ეპისოდიონი

პ ა ს ი ა

(შემოდის მოწმესთან ერთად)
მითხარი, კარგია, შენსას რომ სხვას მისცემ?
არასდროს! არ ჯობდა, სულ რომ დამკარგვოდა
სირცხვილი, ამ საქმეს არ გავკარებოდი?
ხომ ხედავ, საკუთარ ფულისთვის მოვდივარ
და მოწმედ მყავხარ, რად მინდა, მითხარი,

მტრად გადავიკიდო კაცი ახლობელი?
მაგრამ სამშობლოსაც არასდროს შევარცხვენ,
სანამ ცოცხალი ვარ.
(ყვირის)
სამართალს გადავცემ
ძველსა და ახალზე.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

(გამოდის. მოწმეს)
მოწმედ დამიდექი,
ორი დღე ახსენა. რა თანხას მოითხოვ?

პ ა ს ი ა

თორმეტ მნას. გასესხებ, უნდა ვიყიდოო
ცხენი.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

რა ცხენიო? ნუთუ დაგავიწყდა,
როგორ მეზიზღება ცხენიც, ცხენოსნობაც?

პ ა ს ი ა

ღმერთებს იფიცებდი, ფულს დაგიბრუნებო.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

მაშინ ხომ არ ჰქონდა ამ ჩემს ფიდიპიდეს
ის სიტყვა ნასწავლი, დაუმარცხებელი.

პ ა ს ი ა

მაშ, აღარ აპირებ ვალის დაბრუნებას?

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

სხვა რისთვის გვინდოდა ეს ცოდნა, ნეტავი.

პ ა ს ი ა

ღმერთებს იფიცებდი და ახლა უარჰყოფ?

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

რა ღმერთებს?

პ ა ს ი ა

ზევსს, ჰერმესს
და პოსეიდონსაც.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

კიდევ შეიძლება

კაცმა დაიფიცოს სამი ობოლისა.

პ ა ს ი ა

როგორ არ გრცხვენია, შე დასაღუპავო?!

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

(პასიას ათვალიერებს)
მარილით გაწმინდე, გაყიდე ტიკივით.

პ ა ს ი ა

კიდეც რომ დამცინის!

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

ექვს ქოეს ჩაიტევს.

პ ა ს ი ა

დიად ზევსს მოვუხმობ, ღმერთებს გეფიცები,
ეს აღარ გაგივა.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

ღმერთებზე გავერთე,
ზევსის დაფიცებაც აცინებს მცოდნე ხალხს.

პ ა ს ი ა

იცოდე, ამაზეც პასუხს გაგებინებ,
პირდაპირ მითხარი, ფულს როდის იძლევი,
თუ სასამართლოში მოგიხმო?

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

დამშვიდდი,
რაკი შენ არ იშლი, პასუხსაც მიიღებ.
(შინ შედის)

პ ა ს ი ა

(მოწმეს)
რას ფიქრობ? რას იტყვი? მოგვცემს, მე მგონია.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

(ბრუნდება ვარცლით)
სად არის ის კაცი, ფულს რომ მოითხოვდა?
ეს რაა, მითხარი.

პ ა ს ი ა

რაა და ვარცლია.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

ასეთი ბრიყვი ხარ და ფულსაც მოითხოვ?
ვერც ერთი ობოლი ვერ დაიმსახურე,
რაკი "ვარცლს" ეძახი ჭეშმარიტ "ვარცელას".

პ ა ს ი ა

არ მომცემ?

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

რატომღაც მე ასე მგონია.
ხომ არ აჩქარდები და ხომ არ მოუსვამ
ახლავე აქედან?

პ ა ს ი ა

მივდივარ. გაფრთხილებ,
საწინდარს შევიტან, ან თავს არ ვიცოცხლებ!

პასია და მისი მოწმე გადიან.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

(მიაძახებს)
იმ ძველთან ერთად ხომ ახალსაც დაკარგავ,
თუმცა მე შენთვის ხომ ცუდი არ მინდოდა,
მაგრამ ამ ვარცელას ამბავმა დაგღუპა.

მეშვიდე ეპისოდიონი

შემოდის ა მ ი ნ ი ა .

ა მ ი ნ ი ა

იო, ვაიმე!

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

ვაჰ!
ვინ არის ეს კაცი, ასე რომ ქვითინებს,
კარკინეს რა არის, დემონის ხმა რომ აქვს?

ა მ ი ნ ი ა

შენ გინდა იცოდე, ვინა ვარ? ღმერთებო,
რა უბედური ვარ!

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

შენს გზაზე იარე!

ა მ ი ნ ი ა

ო, განრისხებულო ჩემო ბედისწერავ,
როგორ დამიმსხვრიე მე ეტლის ბორბლები!

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

რა ბორბლებს სტირიხარ, რა გაგჭირვებია.

ა მ ი ნ ი ა

არა, ნუ დამცინი, უბრძანე შენს ვაჟკაცს,
ფული დამიბრუნოს; ისედაც საშინელ
დღეში ვარ! უთხარი, ფული დამიბრუნოს.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

რა ფულზე მეტყველებ?

ა მ ი ნ ი ა

ჩემგან რაც ისესხა.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

მართლაც რომ საშინელ დღეში ჩავარდნილხარ.

ა მ ი ნ ი ა

სწორედაც! ცხენიდან ვარ ჩამოვარდნილი.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

მიჰქარავ! ცხენიდან კი არა, ვირიდან.

ა მ ი ნ ი ა

მივქარავ კი არა, ფული მომიტანეთ!

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

თქვი, სრულ ჭკუაზე ხარ?

ა მ ი ნ ი ა

ეს კიდევ რას ნიშნავს?!

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

აქ ტვინის შერყევის ამბავი იქნება.

ა მ ი ნ ი ა

ჰერმესს გეფიცები, თუ არ დამიბრუნებთ,
გიჩივლებთ, იცოდე.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

ბარემ ეს მითხარი,

შენ როგორ გგონია, წვიმა რომ წამოვა,
ახალი წყალი აქვს ზევსს, თუ ჰელიოსი
ერთსა და იმავე სითხეს მიმოაქცევს?

ა მ ი ნ ი ა

არ ვიცი ეგა და ფეხებზე მკიდია.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

მერედა რა პირით თხოულობ იმ ფულებს,
თუ არ გაგეგება უბრალო ამბების?

ა მ ი ნ ი ა

ახლა თუ არა გაქვთ ის ფული, მომეცით
ვახში.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

რა მითხარი? – ეს ვახში რაღაა?

ა მ ი ნ ი ა

სხვა რაღა იქნება, ისაა, დღითიდღე
რაც ფული იზრდება და დრო რომ დადგება
სულ ბევრი გახდება.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

კარგად ლაპარაკობ.
მაშ, შენ, მიგაჩნია, ზღვა უფრო დიდია,
ვიდრე ეწინ იყო?

ა მ ი ნ ი ა

არა, იგივეა.
მეტი ვერ იქნება.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

მერედა, ახსენი,
როგორ არ იზრდება, როდესაც ამდენი
მდინარე ერთვის და შენ კი მიგაჩნია,
რომ შენი პატარა ფული გაიზრდება?
თვითონ წაეთრევი ახლა ამ სახლიდან,
თუ კეტი მოგართვა?

ა მ ი ნ ი ა

(მაყურებელს)
მოწმედ დამიდექით!

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

შეაბი, რას უცდი? გაჭენდი, სამფორა!
(ურტყამს)

ა მ ი ნ ი ა

რა თავხედობაა!

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

გასწიე, გასწიე!
თორემ ეს მოგხვდება, აჩუ, ამინია!
(ამინია გარბის)
გარბიხარ? მეწყინა. მინდოდა შემება
შენივე ბორბლები და წყვილად ცხენებიც.

პ ი რ ვ ე ლ ი ნ ა ხ ე ვ ა რ გ უ ნ დ ი

სტრ.
აი, ასეთია უსინდისობა,
ეს ბერიკაცი
ცდილობს, ნასესხები
ფული შეირჩინოს.
შეუძლებელია, რომ დღესვე
თვითონ მას არ მოუხდეს რამე,
ამ ბრძენს იგივე თაღლითობა დაუბრუნდება,
რაც წამოიწყო თვითონ,
უეცრად რაღაც უბედურება არ დაემართოს!

მ ე ო რ ე ნ ა ხ ე ვ ა რ გ უ ნ დ ი

ანტ.
ვშიშობ, ბერიკაცი უმალ იპოვის,
რასაც ეძებდა:
მისივე ვაჟკაცი
ძალიან მაგარი
მაგარ-მაგარი სიტყვების თქმაში,
აღზრდილი და გამობრძმედილი
ყველაზე უფრო უსამართლო ლაპარაკებში,
ისეთ რამესაც იტყვის,
ნეტავი მუნჯი ყოფილიყოო, იტყვის მამამისი.

მერვე ეპისოდიონი

სახლიდან გამორბის ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე , რომელსაც ფ ი დ ი პ ი დ ე მოსდევს.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

ვაიმე, ვაიმე!
ვაი, მეზობლებო, ვაი, ახლობლებო,
მიშველეთ, მცემენ, ო, ნათესავებო!
ვაი მე უბედურს, ვაი! რას მიშვრები,
საკუთარ მამას სცემ?

ფ ი დ ი პ ი დ ე

დიახაც, მამას ვცემ!

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

(მაყურებელს)
ხედავთ? – აღიარებს.

ფ ი დ ი პ ი დ ე

დიახ, ვაღიარებ!

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

ო, შე ავაზაკო, ბილწო, მამისმკვლელო!

ფ ი დ ი პ ი დ ე

მითხარი, მითხარი! სხვა რამეც დაურთე,
იცი, მიხარია მაგის გაგონება.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

გარყვნილო!

ფ ი დ ი პ ი დ ე

ეგ ჩემთვის ვარდის ტოლფასია.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

მამას სცემ?

ფ ი დ ი პ ი დ ე

ვამტკიცებ, სამართლიანადაც,
დიახაც, ვამტკიცებ!

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

ო, უსაზიზღრესო,
რა სამართალია მშობლის ხელყოფაში?!

ფ ი დ ი პ ი დ ე

სიტყვაზე თუ მიდგა საქმე, დაგამარცხებ.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

როგორ დამამარცხებ?!

ფ ი დ ი პ ი დ ე

ძალიან იოლად.
მითხარი, რომელი სიტყვით გსურს, მოგმართო?

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

რომელი სიტყვითო?

ფ ი დ ი პ ი დ ე

ტყუილით? სიმართლით?

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

იმიტომ გასწავლე, ბიჭო, ლაპარაკი
თავის დასაცავად სასამართლოებში,
რომ ჩემთვის დაგეწყო ახსნა-განმარტება,
რა სასარგებლოა მამის ცემა-ტყეპა?!

ფ ი დ ი პ ი დ ე

მე ასე მგონია, მაინც დაგარწმუნებ,
თუკი ყურადღებით მომისმენ, მამიკო.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

მაშ, ილაპარაკე, ვნახოთ, რას მობოდავ.

მეორე აგონი

პ ი რ ვ ე ლ ი ნ ა ხ ე ვ ა რ გ უ ნ დ ი

ოდა

ახლა, ბერიკაცო, უნდა მოიფიქრო,
როგორ დაამარცხებ,
ეს დარწმუნებული რომ არ ბრძანდებოდეს,
რას გაგიბედავდა?
რაკი გათავხედდა, რაღაცის იმედიც
ექნება, მგონია.

კ ო რ ი ფ ე ო ს ი

ეპი
ჯერ გუნდს მოგვმართე, გვითხარი, რამ ატეხა ჩხუბი,
რა იყო ამის მიზეზი, გაგვაგებინეთ ბარემ.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

ახლავე გეტყვით, რის გამოც ავტეხეთ ლანძღვა-გინება,
პირველად რაზე შევასკდით; სადილობისას იყო,
რომ ვთხოვე, ლირა აეღო და დაემღერა მასზე
სიმონიდეს ეს სიმღერა – “როცა გაკრიჭეს ცხვარი”;
მან კი ამაზე მიბრძანა, რომ კითარაზე ახლა
არავინ უკრავს, ქეიფშიც აღარ მღერიან თურმე.

ფ ი დ ი პ ი დ ე

მაშინვე იყო საჭირო შენი მაგარი ცემა,
ნადიმზე რომ მამღერებდი, შენი ჭრიჭინა ვიყავ?

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

შინაც ეს სიტყვა არ მითხრა?! ეს არ იკმარა, მერმე
სიმონიდეზეც გაბედა, რა პოეტია ეგო!
ეს სიტყვა რომ გავიგონე, ძლივს მოვითმინე მაშინ
და ვთხოვე, მირტი აეღო, რომ წაეკითხა ჩემთვის
რამე ესქილესეული და მომახალა ამან:
“ესქილე ნაღდად პირველი პოეტი არის, როგორც
ხმაურიანი, მოლაყბე, თავსატეხების გიჟი”.
როგორ გგონიათ, რა დღეში ჩავარდებოდა გული?
მე მაინც მოვითმინე და ასე ვუთხარი მაშინ –
იყოს ახალი, ვინაც კი სიბრძნით სავსეა-მეთქი.
ევრიპიდედან ადგილი ამომირჩია უმალ,
როგორ წაბილწა უზნეო ძმამ სარეცელი დისა.
მაშინ კი ვერ მოვითმინე და თავს დავეცი კიდეც
საგინებელი სიტყვებით; სიტყვას წამოჰყვა სიტყვა,
დიდხანს ვლანძღავდით ერთმანეთს, მერმე წამოდგა ეს და
დამარტყა, წამაქცია და ძვალ-რბილი გამიერთა.

ფ ი დ ი პ ი დ ე

მითხარი, სწორი არა ვარ, თუ ევრიპიდეს არ თვლი
ყველაზე უფრო ბრძენ კაცად?

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

როგორ, ბრძენია იგი?
გეტყოდი, მაგრამ გამლახავ.

ფ ი დ ი პ ი დ ე

სწორიც ვიქნები, ნაღდად.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

როგორ თუ სწორი?! გაგზარდე, შემარცხვენელო მამის,

იმას ვფიქრობდი, გამეგო, რას ბუტბუტებდი ხოლმე,
“ნწ”-ს რომ იტყოდი, ვხვდებოდი და წყალს გასმევდი უმალ,
დედაო, როგორც იტყოდი, პური მომქონდა შენთვის,
კაკას რომ დაიძახებდი, გარეთ გამყავდი უცებ,
რომ საქმეს მორჩენილიყავ... შენ კი მახრჩობდი მამას,
მე ვყვიროდი და ვბღაოდი,
გარეთ გაყვანას ვითხოვდი,
ვიხვეწებოდი შველას და
ასე, ამ ცემა-ტყეპაში
აქ მაქნევინე კაკა.

მ ე ო რ ე ნ ა ხ ე ვ ა რ გ უ ნ დ ი

ანტ-
მე მგონი, ყმაწვილებს გულები შეუხტათ,
ოდა
ელიან, რას იტყვის.
თუკი დაამტკიცა, რომ რასაც აკეთებს,
სწორადაც აკეთებს,
მაშინ ბერიკაცებს ცერცვის მარცვლადაც არ
ჩაგვაგდებს არავინ.

კ ო რ ი ფ ე ო ს ი

ანტეპირემა
შემარყეველო ახალი, აგორებული სიტყვის,
მართლის მთქმელი რომ გამოჩნდე, უნდა იპოვო რამე.

ფ ი დ ი პ ი დ ე

რა საამოა, სიმართლეს რომ გაეცნობი ახლოს,
რომ შეგიძლია დადგენილ კანონს შეხედო ზიზღით!
აქამდე ცხენოსნობაზე თუ მიდგებოდა გული,
სიტყვას ისე ვერ ვიტყოდი, არ შემცდენოდა რამე.
ახლა სულ სხვა დრო დამიდგა, მამამ შემიწყო ხელი
და მაზიარა მსჯელობებს, მაღალ და ნატიფ აზრებს,
რომ გახლავთ დასჯა მამისა სამართლიანი საქმე.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

ცხენოსნობაზე იფიქრე; ის მირჩევნია ისევ,
ცხენებმა გამაღატაკოს, ვიდრე აქ შვილმა მცემოს.

ფ ი დ ი პ ი დ ე

მართლა, რისი თქმა მინდოდა? შემაწყვეტინე სიტყვა...
ჰო, გამახსენა, ბავშვი რომ ვიყავი, შენ თუ მცემდი?

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

კი გცემდი, რადგან სიკეთე მინდოდა შენთვის.

ფ ი დ ი პ ი დ ე

ჰოდა,
მე რომ სიკეთე მინდოდეს, რატომ არ უნდა გცემო,
თუკი სიკეთის სურვილი არის ცემა და ტყეპა?!
ეს როგორ უნდა გავიგო, შენ დაუსჯელი დარჩე,
მე – ვისჯებოდე ყოველთვის? თავისუფალი არ ვარ?
სულ რომ ბავშვები ტირიან, ერთი იტიროს მამამ!
ეგ ბავშვის ამბავიაო, მეტყვი და განა ორგზის
ბავშვი არ არის მოხუცი, დაბერებული კაცი?
მოხუცებს ახალგაზრდებზე მეტიც კი უნდა მოხვდეთ,
რადგან მაგათი შეცდომა სულ უსამართლო გახლავთ.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

ნეტავ, ვის გაუგონია, ეს მოითმინოს მამამ?!

ფ ი დ ი პ ი დ ე

ვინაც ეს დააკანონა, ადამიანი იყო,
მან დაუმტკიცა წინაპრებს, რომ ბავშვი უნდა ცემო.
თუკი ასეა, დღეიდან ხომ შეიძლება, შვილებს
დავუკანონოთ, სანაცვლოდ ურტყან საკუთარ მამებს?
რაც მოგვხდენია მანამდე, ძველი კანონის დროში,
იმ ცემა-ტყეპას ერთბაშად გაპატიებდით კიდეც.
რა, მამალი არ გინახავს, ანდა ცხოველი რამე,
მამებს ისინიც ურტყამენ, რა განასხვავებს ჩვენგან?
მარტო ის, დადგენილებებს ჩვენსავით რომ არ წერენ.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

ეს მიპასუხე, თუ მამალს უკვირდები და ბაძავ,
რატომ არა ჭამ ნაკელს და რატომ არ გძინავს ხეზე?

ფ ი დ ი პ ი დ ე

იმიტომ, ჩემო ძვირფასო, რომ სოკრატეს არ უთქვამს.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

შენ თავი თუ გებრალება, სულაც არ უნდა მცემო.

ფ ი დ ი პ ი დ ე

რატომ?

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

იმიტომ, რომ შენაც ბევრი მოგხვდება, როცა

შეგეძინება შვილები.

ფ ი დ ი პ ი დ ე

თუ არ მეყოლა, მაშინ?
შენი ცემა ხომ შემრჩება! შენ კი იცინე ჩემზე.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

(მაყურებელს)
თანატოლებო, მე მგონი, სწორია, რასაც ამბობს,
რაღა დაგვრჩება სათქმელი, მაშ, დავეთანხმოთ კიდეც,
ჩვენი ხვედრია ქვითინი უსამართლობის გამო.

ფ ი დ ი პ ი დ ე

ახლა სხვა აზრიც ავიღოთ.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

სულ დავიღუპე, მგონი.

ფ ი დ ი პ ი დ ე

იქნება ამან გიშველოს, შეგიმსუბუქოს ტანჯვა.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

რაღაც კარგს ამბობ, ეტყობა. შემიმსუბუქე, მიდი.

ფ ი დ ი პ ი დ ე

დედაჩემსაც ვცემ, შენსავით.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

რაო, რა ბრძანე, ბიჭო?!
რა ბოროტებას ამზადებს!

ფ ი დ ი პ ი დ ე

და უსამართლო სიტყვით
თუ დაგიმტკიცე, რომ დედის
ცემა საჭირო გახლავს?

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

რაღა დამრჩება?! ამას თუ
გაბედავ, მაშინ, იცოდე,
შენც ბარათრონში მოგისვრი,
სოკრატეს მოგაყოლებ და
მაგ უსამართლო სიტყვასაც!

ექსოდოსი

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

(გუნდს)
ეს ყველაფერი ხომ თქვენგან მომივიდა,
ღრუბლებო, თქვენა ხართ ყველაფრის მიზეზი.

კ ო რ ი ფ ე ო ს ი

საძაგლობისაკენ შენ თვითონ წარმართე
საქმე და მიზეზიც შენ თვითონ ბრძანდები.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

მერედა, თავიდან რატომ არ მითხარით,
თუ ბერიკაცი და ბრიყვი დამიჭირეთ?

კ ო რ ი ფ ე ო ს ი

ჩვენ ასე ვაკეთებთ ყოველთვის, როგორც კი
შევატყობთ, რომ ვინმეს აზრი უკეთური
აწუხებს, ჩავაგდებთ უბედურებაში,
ღმერთების შიში და რიდი რომ ისწავლოს.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

სამართლიანია შენი საქციელი,
არ იყო საჭირო, ვალად რაც ავიღე,
იმის არმიცემა და შენარჩუნება.
(ფიდიპიდეს)
წამოდი, დავღუპოთ ჩვენი დამღუპველი
სოკრატე და მისი ყოველი მოსწავლე.

ფ ი დ ი პ ი დ ე

მე ჩემს მასწავლებელს რა პირით დავღუპავ?!

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

ზევსს, ჩვენს წინაპართა ღმერთს ეცი პატივი.

ფ ი დ ი პ ი დ ე

რა ბრიყვი კაცი ხარ! რა ზევსი, რის ზევსი!
ზევსი ხომ არ არის?

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

არის.

ფ ი დ ი პ ი დ ე

ტყუილია,

გრიგალი ბატონობს, ზევსი გააძევეს.

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

ზევსი არავის არ გაუძევებია,
თუმცა მაგაში ხომ მეც გამასულელეს,
როდესაც მაგ გრიგალს ღმერთად მივიჩნევდი.

ფ ი დ ი პ ი დ ე

აქ დარჩი ახლა და მარტოკამ მიჰქარე.
(გადის)

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

როგორ მომატყუეს, როგორ შევიშალე,
როცა გავაძევე ნამდვილი ღმერთები!
(ორქესტრაზე მდგომ ქანდაკებას)
ჰერმეს, მეგობარო, შენ არ განმირისხდე,
სულ ნუღარ დამღუპავ, არა,შემიწყალე,
რადგანაც ლაყბობით ჭკუა დამიკარგავს.
სჯობს, რამე მირჩიო, იქნებ სასამართლოს
გადავცე ისინი, ვუჩივლო თუ არა?
(ყურს უგდებს ქანდაკებას)
სწორია ეგ რჩევა, არ ღირს სასამართლო,
ჯობს, თვითონ გადავწვა სახლი უსწრაფესად.
მაგ მოლაყბეების...
(მსახურს)
წამოდი, ქსანთია,
აიღე კიბე და თოხიც მოაყოლე,
მერმე საფიქრალეთს ჯიქურ მიადექი,
ლეწე სახურავი, თუ გიყვარს პატრონი,
თავზე ჩამოვამხოთ სახლი უწმინდურებს.
ვინმემ ჩირაღდანი აქ გამოიტანოს,
მე დღესვე მივუზღავ სამართალს სოკრატეს
და მის მოსწავლეებს, ტუტუც მატრაბაზებს.
(ჩირაღდნიანად მიბრება სახურავზე)

მ ო ს წ ა ვ ლ ე

(ფანჯრიდან იხედება)
ვაიმე, ვაიმე!

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

(სახურავზეა)
აბა, ჩირაღდანო, საქმეს შეუდექი!

მ ო ს წ ა ვ ლ ე

შენ, კაცო, რას შვრები?

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

რას უნდა ვშვრებოდე?
ამ ფიცრებს ნატიფად გავესაუბრები.

ქ ე რ ე ფ ო ნ ტ ი

(ფანჯრიდან)
ვინ არის, ვინ, გვიწვავს სახლს, ვინ ტუტუცია?

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

ვისი მოსასხამიც თქვენ დაისაკუთრეთ.

ქ ე რ ე ფ ო ნ ტ ი

დაგვღუპავ, დაგვღუპავ!

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

მეც სწორედ ეგ მინდა
და თუკი ეს თოხი იმედს არ გამიტეხს,
არც გადმოვვარდები, არც კისერს მოვიტეხ.

ს ო კ რ ა ტ ე

(გამორბის სახურავიდან)
შენ, კაცო, რას შვრები ემაგ სახურავზე?

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

ჰაერში დავდივარ და მზეს განვიხილავ.

ს ო კ რ ა ტ ე

ვაი მე უბედურს, დამახრჩობს ეს ბოლი!

ქ ე რ ე ფ ო ნ ტ ი

მე კი, უბედური, დავიწვი მთლიანად!

ს ტ რ ე ფ ს ი ა დ ე

რომ შეურაცხყოფდით ღმერთებს, რა გეგონათ,
მთვარის სავარძელს რომ უჭვრეტდით ყველანი!
(მსახურს)
მისდიე, ესროლე, ურტყი, ღმერთები რომ
არაფრად ჩააგდეს, ეს არ შეარჩინო!
საფიქრალეთი ინგრევა.

კ ო რ ი ფ ე ო ს ი

მომყევით გარეთ, დღეს საკმარისად ბევრი ვიშრომეთ გუნდში სუყველამ.

განმარტებანი

კომედია დაიდგა ძვ. წ. 423 წელს დიდ დიონისეებზე და კომედიოგრაფოსთა ასპარეზობაზე მესამე ადგილი დაიკავა. შემდგომში "ღრუბლების" წარუმატებლობით განაწყენებულმა არისტოფანემ, რომელსაც ეს კომედია თავის საუკეთესო ნაწარმოებად მიაჩნდა, სცადა მისი გადაკეთება, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს საქმე ბოლომდე არ მიუყვანია და ამჟამად ცნობილი არ არის, დაიდგა თუ არა "ღრუბლების" მეორე რედაქცია, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია (პირველი რედაქციიდან მოღწეულია უმნიშვნელო ფრაგმენტები).

სტრ.7. მ ს ა ხ უ რ თ ა ც ე მ ა ც რ ო მ ა ღ ა რ შ ე მ ი ძ ლ ი ა – ომიანობისას პატრონები დაშინებული იყვნენ, მონები ქმრებთან არ გაქცეულიყვნენ ან არ დაებეზღებინათ ისინი.

სტრ.21. მ ნ ა – ფულის ერთეული ათენში, 1 200 დრაქმა (დაახლოებით 24 ვერცხლის მანეთი).

სტრ.46. მ ე გ ა კ ლ ე – ეს სახელი ხშირად გვხვდება ალკმეონიდების გვარში.

სტრ.64. ქ ს ა ნ თ ი პ ე , ქ ე რ ი პ ე ა ნ დ ა კ ა ლ ი პ ი დ ე – თითოეული ამ სახელის მეორე ნაწილი შეიცავს "ჰიპო-" ძირს ("ჰიპპოს" ცხენია): ცხენოსნობა არისტოკრატი ახალგაზრდობის აუცილებელ გასართობს წარმოადგენდა.

სტრ.96. ც ა ა რ ი ს ღ უ მ ე ლ ი . . . – აქ და სხვაგანაც არისტოფანე სოკრატეს მიაწერს მუშაობას ნატურფილოსოფიაში, გეომეტრიაში, ლინგვისტიკასა და ა. შ., რასთანაც რეალურ სოკრატეს საქმე არასოდეს არ ჰქონია. ასევე არ ჰქონია ისტორიულ სოკრატეს ფასიანი სასწავლებელი და არავისთვის უსწავლებია სასამართლო მჭევრმეტყველების ელემენტები.

სტრ.104. ქ ე რ ე ფ ო ნ ტ ი – სოკრატეს ერთ-ერთი ყველაზე ახლობელი და ერთგული მოსწავლე.

სტრ. 108-109. ...ლეოგორას გაზრდილი ხოხბებიც რომ მომცე... – ლეოგორა ორატორ ანდოკიდეს მამა იყო. ხოხობი მაშინაც იშვიათ და ძვირფას ფრინველად ითვლებოდა.

სტრ.156. ს ფ ე ტ ო ს ე ლ ი – სფეტოსი ატიკის ერთ-ერთი დემი იყო.

სტრ.180. თ ა ლ ე ს ი – ძვ. წ. ´³³ საუკუნის ძველი ბერძენი ფილოსოფოსი.

სტრ.211. ე ვ ბ ე ა – უხვმოსავლიანი კუნძული ატიკის აღმოსავლეთით; პელოპონესის ომის პირველ წლებში ერთ-ერთი ლაშქრობის დროს გააცამტვერა პერიკლემ.

სტრ.257. ა თ ა მ ა ნ ტ ი – ლეგენდარული გმირი. სოფოკლეს ამავე სახელწოდების ტრაგედიაში მას თავი უნდა შეეწირა ზევსისათვის საკუთარი შვილების მიმართ ჩადენილი დანაშაულის გამო. ღვთისთვის შესაწირ არსებას გვირგვინით ამკობდნენ ხოლმე.

სტრ.270. ო ლ ი მ პ ო – საბერძნეთის ჩრდილოეთით, თესალიაში მდებარე წმინდა მთა.

სტრ.273. მ ე ო ტ ი ს ი ს ჭ ა ო ბ თ ა ნ . . . – მეოტისი თანამედროვე ზღვაა. მ ი მ ა ნ ტ ი – მთაა მცირე აზიაში.

სტრ.300. პ ა ლ ა ს ი ს ქ ვ ე ყ ა ნ ა – ატიკა.

სტრ.301. კ ე კ რ ო პ ი ს მ ი წ ა – ათენი, რომლის დამაარსებლადაც ითვლებოდა ლეგენდარული კეკროპი.

სტრ.335. შმდგ. – არისტოფანეს თანამედროვე დითირამბიკოსი და ტრაგიკოსი პოეტების ღვლარჭნილი სტილის პაროდია.

სტრ.348. ვ ი ნ მ ე თ მ ო ს ა ნ ი – იგულისხმება ლირიკოსი პოეტი იერონიმე, ქსენოფონტის ძე.

სტრ.361. პ რ ო დ ი კ ე – ძვ. წ. ´ საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი სოფისტი.

სტრ.408. დ ი ა ს ი ე ბ ი – ზევსისადმი მიძღვნილი ძველებური დღესასწაული.

სტრ.530. შმდგ. – იგულისხმება არისტოფანეს პირველი კომედია "მეინახენი", რომელშიც გამოყვანილი იყო ორი ძმა; ისინი განასახიერებდნენ აღზრდის ორ სისტემას, პატრიარქალურსა და მოდურს (კომედიამ მეტად უმნიშვნელო ფრაგმენტების სახით მოაღწია ჩვენამდე).

სტრ.531-532. ბ ა ვ შ ვ ი ვ ა ღ ა ც ა მ ა ი ყ ვ ა ნ ა . . . – არისტოფანე შეახსენებს ათენელ მაყურებელს, რომ თავის პირველ კომედიებს იგი სხვისი სახელით დგამდა.

სტრ.534. მოვიდა ჩემი კომედია ელექტრასავით . . . – ესქილეს ტრაგედია "ქოეფორებში" ელექტრა მამის საფლავზე ნაპოვნი თმის კულულის მიხედვით ხვდება, რომ დაბრუნებულა მისი ძმა, ორესტე.

სტრ.538. შმდგ. – ჩამოთვლილია ბალაგანური კომედიის ძირითადი ხერხები.

სტრ.540. კორდაქსი – აღვირახსნილი როკვა.

სტრ.551-552. ევპოლოსის კომედია "მარიკანტში" წარმოდგენილი იყო ბარბაროსი მონა ჰიპერბოლე და მისი გალოთებული დედა.

სტრ.555-556. ფრინიქე და ჰერმიპე – არისტოფანეს თანამედროვე კომედიოგრაფოსები.

სტრ.595-596. . . . ფოიბოს, დელოსის მკვიდრო – კუნძული დელოსი იყო ფოიბოსის (აპოლონის) კულტის ერთ-ერთი ცენტრი. კინთია – მთაა ამ კუნძულზე.

სტრ.598. ეფესოსი – არტემისის კულტის ცენტრი ლიდიაში.

სტრ.603. პარნასოსი – მთა ცენტრალურ საბერძნეთში.

სტრ.622. მემნონი და სარპედონი – ლეგენდარული გმირები, ღვთისშვილები, რომლებიც ტროასთან დაიღუპნენ.

სტრ.666. ძველბერძნულ ენაში ცალკე სიტყვები არ იყო "მამლისა" და "დედლის" აღსანიშნავად.

სტრ.830. . . . სოკრატემ ბრძანა, მელოსელმა – მელოსელი იყო არა სოკრატე, არამედ ფილოსოფოსი დიაგორა, ძვ. წ. ´ საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე უფრო თანმიმდევრული ათეისტი.

სტრ.836-837. აღარც ნელსაცხებელს ისვამენ – ნელსაცხებლის წასმა საზოგადოდ მიღებული ჰიგიენური წესი იყო ძველ საბერძნეთში.

სტრ.905. მამამისი რომ შებორკა ზევსმა . . . – ზევსმა ტახტიდან ჩამოაგდო მამამისი კრონოსი და ტარტაროსში დაამწყვდია.

სტრ.967. "პალასი მძლავრი, ქალაქთმმუსვრელი" – ნაწყვეტი ჰიმნიდან, რომლის ავტორადაც მიიჩნევდნენ ძვ. წ. ´³ საუკუნის ლირიკოს პოეტ სტესიქორეს.

სტრ.970. ფრინისი – ბერძენ-სპარსელთა ომების ეპოქის მიტილენელი კითარისტი.

სტრ.984. დიპოლიები – მიწათმოქმედთა ძველი დღესასწაული. კუტკალიები – ათენელს ჩვევად ჰქონდათ გრძელი თმის ტარება, რომელსაც კუტკალიის ფორმის აბზინდით იმაგრებდნენ ხოლმე.

სტრ.985. კეკიდე – ნახევრადმითიური მომღერალი.

სტრ.989. ტრიტროგენია – ათენა პალასის ერთ-ერთი საკულტო სახელი.

სტრ.1001. ჰიპოკრატეს გოჭები . . . – გადმოცემის მიხედვით, პერიკლეს ძმისწულ ჰიპოკრატეს ბრიყვი ვაჟები ჰყოლია.

სტრ.1005. აკადემიის ჭალა – ჭალა ათენის გარეუბანში, რომელიც ატარებდა მითოსური გმირის, აკადემოსის სახელს. შემდგომში პლატონმა აქ დააარსა თავისი სახელგანთქმული სკოლა.

სტრ.1051. "ჰერაკლეს წყარო" – თბილი წყლის წყარო თერმოპილეს ხეობაში. გადმოცემის თანახმად, იგი შეუქმნია ათენას, რომელსაც სურდა, დაესვენებინა გარჯით გადაღლილი ჰერაკლე.

სტრ.1956. ნესტორი – ჰომეროსის "ილიადის" ერთ-ერთი გმირი, ცნობილი თავისი მჭევრმეტყველებით.

სტრ.1063. . . . პელევსმა გაინაღდა მახვილი – მითის მიხედვით პელევსი, რომელმაც არ გაიზიარა თავისი მეგობრის ცოლის ვნება, ღმერთებმა დაასაჩუქრეს და მას ზღვის ქალღმერთი, თეტისი მიათხოვეს. ამ ქორწინებიდან იშვა უდიდესი ბერძენი გმირი აქილევსი.

სტრ.1131. მეხუთე, მეოთხე . . . – თვის მეორე ნახევარს ძველი ბერძნები უკუღმა ითვლიდნენ.

სტრ.1134. " ძ ვ ე ლ ი დ ა ა ხ ა ლ ი " (იგულისხმება “დღე”) – ასე ეწოდებოდა თვის ბოლო დღეს, რომელიც "ძველი" იყო გასული და "ახალი" – დამდეგი თვეების მიმართ.

სტრ.1189. ს ო ლ ო ნ ი – ძვ. წ. ´³ საუკუნის ათენელი კანონმდებელი, სახელმწიფო მოღვაწე და პოეტი.

სტრ.1261. კ ა რ კ ი ნ ე – არისტოფანეს თანამედროვე ტრაგიკოსი პოეტი. რამდენიმე ვაჟის (პოეტებისა და მსახიობების) მამა.

სტრ.1264-1265. . . . ო , გ ა ნ რ ი ს ხ ე ბ უ ლ ო . . . – ნაწყვეტი კარკინეს ძმის, ქსენოკლეს ჩვენამდე არმოღწეული ტრაგედიიდან.

სტრ.1356. ს ი მ ო ნ ი დ ე – ძვ. წ. VI´³-´ საუკუნის ძველი ბერძენი ლირიკოსი პოეტი.

სტრ.1371. ე ვ რ ი პ ი დ ე დ ა ნ ა დ გ ი ლ ი ა მ ო მ ი რ ჩ ი ა უ მ ა ლ – იგულისხმება ევრიპიდეს ტრაგედია "ეოლე", რომელშიც ტრაგიკოსმა ერთმანეთზე შეყვარებული და-ძმა გამოიყვანა.

ბაყაყები

მოქმედნი პირნი:

qsanTia, mona.	eake.
dionise,Teatris RmerTi.	persefones moaxle.
herakle.	ori mefunduke qali.
cxedari.	plutonis msaxuri.
qaroni.	evripide.
bayayebis gundi.	esqile.
ziarebulTa gundi.	plutoni.

(ორიგინალში აკლდა პირველი 49 სტრიქონი)

ჩავძირეთ ათი თუ თორმეტი, არ მახსოვს.

ჰ ე რ ა კ ლ ე

ორმა?

დ ი ო ნ ი ს ე

გეფიცები!

ქ ს ა ნ თ ი ა

...აქ გამომელვიძა.

დ ი ო ნ ი ს ე

და იქ წავიკითხე, ეგმზე, “ანდრომედე”.
როგორც გავასრულე, უმალ სიყვარულმა
ვეებამ, ძლიერმა შემიძრა ეს გული.

ჰ ე რ ა კ ლ ე

მაინც რამოდენამ?

დ ი ო ნ ი ს ე

მოლოდინისოდენამ.

ჰ ე რ ა კ ლ ე

ქალია?

დ ი ო ნ ი ს ე

ოჰ, არა.

ჰ ე რ ა კ ლ ე

ბიჭი?

დ ი ო ნ ი ს ე

არა-მეთქი!

ჰ ე რ ა კ ლ ე

მაშ, კაცი?

დ ი ო ნ ი ს ე

აპაპა!

ჰ ე რ ა კ ლ ე

ვაჰ! იქნებ კლისთენე!

დ ი ო ნ ი ს ე

ძმაო, ნუ დამცინი, საშინელ დღეში ვარ;
ოჰ, ის სურვილია, რომ მტანჯავს სასტიკად.

ჰ ე რ ა კ ლ ე

რომელი, ძამიკო?

დ ი ო ნ ი ს ე

არ ძალმიძს გამოთქმა;
მაგრამ, რომ გამიგო, გეტყვი ქარაგმულად:
შენ ფაფა ოდესმე თუ მოგნატრებია.

ჰ ე რ ა კ ლ ე

ფაფაო? ოხ! ოხ! ოხ! კი! ათიათასჯერ!

დ ი ო ნ ი ს ე

ნათლად აგიხსენი, თუ “სხვაც ვთქვა რაიმე?”

ჰ ე რ ა კ ლ ე

ფაფაზე? არ მინდა. მშვენივრად მიგიხვდი.

დ ი ო ნ ი ს ე

ჰოდა მეც ასეთი ნატვრა და სურვილი
მკლავს ევრიპიდესი.

ჰ ე რ ა კ ლ ე

და ის რომ მკვდარია?

დ ი ო ნ ი ს ე

ვერ გადამარწმუნებს კაცთაგან ვერავინ:
მე მასთან მივდივარ.

ჰ ე რ ა კ ლ ე

ჰადესის სიღრმეში?

D ი ო ნ ი ს ე

ღმერთმანი, თუნდ უფრო ღრმად იყოს, მივაგნებ.

ჰ ე რ ა კ ლ ე

რად გინდა?

დ ი ო ნ ი ს ე

მჭირდება ნამდვილი პოეტი.
“ძველები არ დარჩნენ; ვინც დარჩა, არ ვარგა”.

ჰ ე რ ა კ ლ ე

რაო, იოფონტი არ დარჩა?

დ ი ო ნ ი ს ე

ეგ ერთი
თუ დამრჩა ვარგისი... ისიც მეეჭვება,
ჯერ კარგად არც ვიცი, როგორი იქნება.

ჰ ე რ ა კ ლ ე

კაცო, ევრიპიდეს სოფოკლე არ სჯობდა?
იმას მიაკითხე, თუ იქით მიდიხარ.

დ ი ო ნ ი ს ე

არა, იოფონტი უნდა შევამოწმო,
სოფოკლეს გარეშე რისი მაქნისია.
თანაც ევრიპიდე თაღლითი კაცია,
ვშიშობ, შეეცდება იქიდან გაქცევას.
აქ წყნარ სოფოკლეს კი იქ რაღა შეცვლიდა?!

ჰ ე რ ა კ ლ ე

ხოლო აგათონი?

დ ი ო ნ ი ს ე

ის ჩვენგან წავიდა –
კარგი პოეტი და ტკბილი მეგობარი.

ჰ ე რ ა კ ლ ე

სადაა საწყალი?

დ ი ო ნ ი ს ე

ნეტართა ნადიმზე.

ჰ ე რ ა კ ლ ე

ქსენოკლე?

დ ი ო ნ ი ს ე

ზევსს ვფიცავ, ჯანდაბას წასულა!

ჰ ე რ ა კ ლ ე

აბა პითანგელე?

ქ ს ა ნ თ ი ა

(თავისთვის)
ჩემზე კი კრინტიც არ
დაძრულა, მხარი კი ჩამომწყდა მთლიანად.

ჰ ე რ ა კ ლ ე

და სხვებიც ხომ დარჩნენ, ისეთი ბიჭები,
ასობით რომ ქმნიან, ხოლო ყბედობაში
თვით ევრიპიდესაც ტოლს არ დაუდებენ!

დ ი ო ნ ი ს ე

ყბედები არიან მართლაც და მთხლეები!
სწორედ ეგ მერცხლები ჰკლავენ ხელოვნებას, –
გუნდს რომ მიიღებენ და ტრაგედიასთან
ღამეს გაათევენ, მაშინვე კვდებიან.
ნიჭიერ პოეტს კი, რომ დაიგრიალოს
ერთი ვაჟკაცურად, ვეღარსად იპოვი.

ჰ ე რ ა კ ლ ე

როგორ თუ ნიჭიერს?

დ ი ო ნ ი ს ე

ისეთს, რომ იტყოდეს
ასე გამბედავად, თამამად: “ეთერი –
ზევსის კარ-მიდამო”, ან “ფერხი ჟამისა”,
ან, “სულს არ უნდოდა ზვარაკთან შეფიცვა,
ენამ კი დაასწრო და ცრუდ დაიფიცა”.

ჰ ე რ ა კ ლ ე

შენ მოგწონს ესენი?

დ ი ო ნ ი ს ე

მომწონსო? – მაგიჟებს!

ჰ ე რ ა კ ლ ე

ეს ხომ სიცრუეა, თვითონაც ხომ ხვდები!

დ ი ო ნ ი ს ე

ჩემს ტვინში ნუ ძვრები, სახლში დაეტიე!

ჰ ე რ ა კ ლ ე

მე კი, სულ უბრალოდ, შტერული მეგონა.

დ ი ო ნ ი ს ე

ჰო, ჭამაც მასწავლე!

ქ ს ა ნ თ ი ა

(თავისთვის, ბოღმით)
ჩემზე – არაფერი!

დ ი ო ნ ი ს ე

ამიტომ მოვედი შენებრ გადაცმული,
შენ გბაძავ... მინდა, რომ შენც დამისახელო
შენი მეგობრები, მაშინ კერბეროსთან
ვინაც მიგიყვანა, – იქნებ მეც დამჭირდნენ.
მაშ, ჩამომითვალე ნავსადგურები და
გზები, ქალაქები, საროსკიპოები,
დუქნები, რუები, სასტუმრო, რომელშიც
ბაღლინჯო არ იცის.

ქ ს ა ნ თ ი ა

(თავისთვის)
ჩემზე – არაფერი.

ჰ ე რ ა კ ლ ე

და შენ, უბედურო, იქ ჩასვლას გაბედავ?

დ ი ო ნ ი ს ე

შევწყვიტოთ ამაზე. შენ მე გზა მითხარი,
რომლითაც მივაღწევ ჰადესის სიღრმეებს
ოღონდ ნუ იქნება ნურც ცხელი, ნურც ცივი.

ჰ ე რ ა კ ლ ე

ახლავე... რომელი გზა გითხრა პირველად?
ჰო... არის ერთი გზა: სკამით და კანაფით.
ჩამოეკიდები.

დ ი ო ნ ი ს ე

ცხელია, მხუთავი.

ჰ ე რ ა კ ლ ე

არის სხვა ბილიკიც. ის უფრო მოკლეა.
ფილთაქვა სჭირდება.

დ ი ო ნ ი ს ე

რაა? საწამლავი?

ჰ ე რ ა კ ლ ე

მიმიხვდი.

დ ი ო ნ ი ს ე

ცივია ეგ ზამთრის სუსხივით,
სულ გამეყინება იმწუთას მუხლები.

ჰ ე რ ა კ ლ ე

მაშ, გინდა, სწრაფი და დამრეცი გზა გითხრა?

დ ი ო ნ ი ს ე

მინდა. სიარულში ვერ ვარ გამოცდილი.

ჰ ე რ ა კ ლ ე

მაშ, კერამიკოსზე აბობღდი.

დ ი ო ნ ი ს ე

და მერმე?

ჰ ე რ ა კ ლ ე

მაღალი კოშკია, აძვერი.

დ ი ო ნ ი ს ე

და რა ვქნა?

ჰ ე რ ა კ ლ ე

იქიდან ჩირაღდნით მორბენლებს უყურე
და მაყურებლები რომ დაიძახებენ
“დაეშვით”, თვითონაც “დაეშვი”.

დ ი ო ნ ი ს ე

საით?

ჰ ე რ ა კ ლ ე

ძირს.

დ ი ო ნ ი ს ე

შენ გინდა, რომ ტვინი დავასხა მიწაზე?
მე მაგ გზით არ წავალ.

ჰ ე რ ა კ ლ ე

რომელ გზას დაეძებ?

დ ი ო ნ ი ს ე

რომლითაც შენ ჩანდი.

ჰ ე რ ა კ ლ ე

ცურვა რომ მოგიწევს?
რომ ჩახვალ, პირდაპირ დიდ ტბას მიადგები,
უძიროს.

დ ი ო ნ ი ს ე

და იგი როგორ გადავცურო?

ჰ ე რ ა კ ლ ე

ტბაზე გადაგიყვანს მოხუცი მენიჩბე
პატარა კანჯოთი. ორ ობოლს მოითხოვს.

დ ი ო ნ ი ს ე

რა ძალა ჰქონია ორ ობოლს ჰადესშიც!
იქ ვინ შემოიღო?

ჰ ე რ ა კ ლ ე

ვინა და თეზევსმა.
შემდეგ კი გველებს და საშინელ ურჩხულებს
ნახავ.

დ ი ო ნ ი ს ე

ნუ მაშინებ, უკან არ დავიხევ!
არ გამოვბრუნდები!

ჰ ე რ ა კ ლ ე

დაგხვდება მარადი
სკორე და ტალახი; იმაში აგდია,
ვინც კი უსამართლოდ მოექცა სტუმარს, ან

ბიჭი შეაცდინა, ფული კი არ მისცა;
ან დედა მიბეგვა, ან ყბა მოუნგრია
მამას; ან ცრუ ფიცით ურცხვად დაიფიცა.

დ ი ო ნ ი ს ე

ღმერთებს გეფიცები, უნდა მიუწვინონ,
ვინაც კინესიას ასწავლა პირიქე,
ან ამოიწერა რამე მორსიმედან.

ჰ ე რ ა კ ლ ე

მერმე დაგიბერავს სიო ფლეიტათა,
იქაც დაინახავ აქაურ სინათლეს,
მირტების ჭალაკებს, კაცთა და დიაცთა
ბედნიერ მსვლელობას, ტაშსა და სიხარულს.

დ ი ო ნ ი ს ე

და ვინ იქნებიან?

ჰ ე რ ა კ ლ ე

ზიარებულები.

ქ ს ა ნ თ ი ა

(თავისთვის)
ვირივით არა ვარ ამ ზიარებაზე?!
აღარ შემიძლია, ამას ჩამოვიღებ.
(ფუთას მიწაზე დებს.)

ჰ ე რ ა კ ლ ე

რაც კი დაგჭირდება, იმათგან გაიგებ;
რადგანაც სწორედ იმ ადგილზე გაივლის
ის გზა, რომლითაც შენ პლუტონთან მიაღწევ.
აბა, გაიხარე, ძმაო!
(შინ შედის.)

დ ი ო ნ ი ს ე

შენც ჯანმრთელად
მენახე ყოველთვის.
(ქსანთიას)
აიღე ლეიბი.

ქ ს ა ნ თ ი ა

ახლა ჩამოვიღე.

დ ი ო ნ ი ს ე

აიღე სასწრაფოდ!

ქ ს ა ნ თ ი ა

არა, გევედრები, ვინმე ვიქირავოთ
მკვდართაგან, თუ შეგვხვდა იქით მიმავალი.

დ ი ო ნ ი ს ე

თუკი ვერ ვიპოვეთ?

ქ ს ა ნ თ ი ა

მე ვზიდავ.

დ ი ო ნ ი ს ე

სწორია.

აგერ, ვიღაცეებს არ მიაქვთ ცხედარი?
(ეძახის)
ვერ წამოგვიღებდი ამ ტვირთს ჰადესამდე?

ორქესტრაზე შემოდის სამგლოვიარო პროცესია.

ც ხ ე დ ა რ ი

დიდია?

დ ი ო ნ ი ს ე

(ფუთას აჩვენებს)
ესაა.

ც ხ ე დ ა რ ი

ორ დრაქმას თუ მომცემ!

დ ი ო ნ ი ს ე

ცოტა დაუკელი!

ც ხ ე დ ა რ ი

(თავის მესაფლავეებს)
აბა, გზას გავუდგეთ!

დ ი ო ნ ი ს ე

მოიცა, შე კაცო, შევთანხმდეთ რამეზე!

ც ხ ე დ ა რ ი

ორ დრაქმას არ მომცემ, – არც ღირს ლაპარაკი.

დ ი ო ნ ი ს ე

ცხრა ობოლს...

ც ხ ე დ ა რ ი

გავცოცხლდე, თუკი დაგეთანხმო!

ქ ს ა ნ თ ი ა

ვაჰ! ეს დაწყევლილი თავსაც რომ იფასებს!
თვითონ წამოვიღებ.
(მესაფლავეებს გააქვთ ცხედარი)

დ ი ო ნ ი ს ე

კაციც შენ ყოფილხარ!
მივიდეთ კანჯოსთან.
(ორქესტრაზე გამოჩნდება ქარონის კანჯო)

ქ ა რ ო ნ ი

ნაპირს მიაყენე!

ქ ს ა ნ თ ი ა

ეს რაა?

დ ი ო ნ ი ს ე

რა? ესა? – გზა არის, ღმერთმანი;
ისაა, რომ გვითხრეს. კანჯოსაც ხომ ხედავ?

ქ ს ა ნ თ ი ა

ვფიცავ პოსეიდონს, თვითონ ქარონია!

დ ი ო ნ ი ს ე

ქარონ, გამარჯობა! ქარონ, გამარჯობა!

ქ ა რ ო ნ ი

ვის სურს დასვენება ტანჯვა-სიავისგან?
ვის უნდა ლეთესთან, “ვირის ბეწვეულთან”,
კერბერიელებთან ანდა ჯანდაბასთან?

დ ი ო ნ ი ს ე

მე.

ქ ა რ ო ნ ი

სწრაფად ჩამოდი!

დ ი ო ნ ი ს ე

მერმე, სად მიმიყვან?

მართლა ჯანდაბაში?

ქ ა რ ო ნ ი

მხოლოდ შენ წაგიყვან,
ჩამოდი!

დ ი ო ნ ი ს ე

შენ, ბიჭო!

ქ ა რ ო ნ ი

მონა არ გადამყავს,
თავისი ტყავისთვის თუ არ უბრძოლია.

ქ ს ა ნ თ ი ა

ზევსს ვფიცავ, მე არა, თვალები მტკიოდა.

ქ ა რ ო ნ ი

მაშ, ახლა მოგიწევს ტბისთვის შემორბენა.

ქ ს ა ნ თ ი ა

თქვენ სად დაგელოდოთ?

ქ ა რ ო ნ ი

კაეშნის ლოდებთან.
იქ ნავსადგურია.

დ ი ო ნ ი ს ე

გაიგე?

ქ ს ა ნ თ ი ა

(სიმწარით)
მშვენივრად.
ნეტავი ვინ შემხვდა, ასე ვინ დამთარსა?!
(გადის)

ქ ა რ ო ნ ი

ნიჩბებს მიუჯექი. იჩქაროს, ვინც მოდის!
შენ, კაცო, რას შვრები?
რას ვშვრები? – არაფერს!
ნიჩაბს მივუჯექი, როგორც შენ მიბრძანე.

ქ ა რ ო ნ ი

აქ, შე ღორმუცელავ, აქ დაჯე!

დ ი ო ნ ი ს ე

დავჯექი.

ქ ა რ ო ნ ი

ხელები ჩაავლე ნიჩბებს!

დ ი ო ნ ი ს ე

ჰო, ჩავავლე.

ქ ა რ ო ნ ი

კაცო, ნუ სულელობ! აბა, გულმოდგინედ
მოუსვი მაგ ნიჩბებს.

დ ი ო ნ ი ს ე

და როგორ შევიძლო
მე, გამოუცდელმა, არაზღვაოსანმა,
არც სალამინელმა?

ქ ა რ ო ნ ი

იოლად შეიძლებ.
მოუსვამ – სიმღერას მოუსმენ.

დ ი ო ნ ი ს ე

ეს ვისას?

ქ ა რ ო ნ ი

ბაყაყებ-გედების. საოცარს!

დ ი ო ნ ი ს ე

მიბრძანე.

ქ ა რ ო ნ ი

ოოპოპ ოოპოპ!

კანჯო კვეთს ორქესტრას. სცენის მიღმა ისმის ბაყაყების სიმღერა. დიონისე სიმღერის ტაქტში უსვამს ნიჩბებს.

ბ ა ყ ა ყ ე ბ ი

ბრეკეკეკექს, კოაქს, კოაქს!
ბრეკეკეკექს, კოაქს, კოაქს!
ჭაობის წყლის შვილებმა
აღვავლინოთ ჰიმნები;
ავაჟღეროთ ტკბილხმიანი

სიმღერა:
კოაქს, კოაქს!
და ნისეურ ღვთაებას,
დიონისეს, ზევსის ძეს,
ვუგალობოთ ჭაობში.

ქოთნის დღესასწაულებზე
გამომთვრალი ხალხის ჯგუფი
ჩემს სანახებს ერთიანად მოადგა.
ბრეკეკეკეკექს, კოაქს, კოაქს!

დ ი ო ნ ი ს ე

მე საჯდომი დამებეჭა
და ამტკივდა. კოაქს, კოაქს!

ბ ა ყ ა ყ ე ბ ი

ბრეკეკეკეკექს, კოაქს, კოაქს!

დ ი ო ნ ი ს ე

არაფერი არ გადარდებთ!

ბ ა ყ ა ყ ე ბ ი

ბრეკეკეკეკექს, კოაქს, კოაქს!

დ ი ო ნ ი ს ე

დაიღუპეთ მაგ კოაქსით!
თვითონაც სულ კოაქსი ხართ!

ბ ა ყ ა ყ ე ბ ი

დაიღუპე, არამკითხევ!
მე ვუყვარვარ ტკბილლირიან მუზებსაც და
თავად პანსაც, სალამურით რომ ერთობა.
ფორმინგიან აპოლონსაც ეფონება
წყალში ჩაზრდილ
ჩემი სტვირის ხმიანება.
ბრეკეკეკეკექს, კოაქს, კოაქს!

დ ი ო ნ ი ს ე

მთელი ტანი დამიწყლულდა
და საჯდომიც ოფლში ცურავს;
დავიხრები, – ხმას გამოსცემს...

ბ ა ყ ა ყ ე ბ ი

ბრეკეკეკეკექს, კოაქს, კოაქს.

დ ი ო ნ ი ს ე

მომღერალთა მოდგმაო,
მორჩი!

ბ ა ყ ა ყ ე ბ ი

არა, ვიმღერებთ
უკეთესად: ჩვენ მზეკეთილ
დღეებში სულ ასე ვხტებით
შროშანიდან ლერწამზე და
ჩვენთვის ვხარობთ სიმღერით.
წყალში ყვინთვა გვიყვარს ძლიერ;
როცა ზევსი თავსხმას გვივლენს,
წყლის სიღრმეებს მივაკითხავთ,
ჭაობს ავახმაურებთ და
წყალში მუშტებს გავაჩენთ.

დ ი ო ნ ი ს ე

ბრეკეკეკექს, კოაქს, კოაქს!
(ჰაერს აფუჭებს)
თქვენგან ამას თუ ვისწავლი!

ბ ა ყ ა ყ ე ბ ი

მეტისმეტი არის უკვე!

დ ი ო ნ ი ს ე

ჩემთვის არის მეტისმეტი.
ნიჩბის მოსმით გავსკდები!

ბ ა ყ ა ყ ე ბ ი

ბრეკეკეკექს, კოაქს, კოაქს!

დ ი ო ნ ი ს ე

იყიყინეთ, არ მადარდებს!

ბ ა ყ ა ყ ე ბ ი

აბა, მართლა ვიყიყინოთ,
ჩავიწყვიტოთ ხმები სულაც,
არ გავჩერდეთ მთელი დღე!

დ ი ო ნ ი ს ე

ბრეკეკეკექს, კოაქს, კოაქს!
ამით ვეღარ დამამარცხებთ.

ბ ა ყ ა ყ ე ბ ი

შენც ვერაფერს ვერ დაგვაკლებ.

დ ი ო ნ ი ს ე

თქვენც ვერ მიყოფთ ვერაფერს!
ვერასოდეს! სულ ვიბღავლებ!
ვიღრიალებ მთელი დღე,
სანამ ხმით არ გადავფარავ თქვენს კოაქსს.
ბრეკეკეკეკექს, კოაქს, კოაქს.
ვიცოდი, მაგ კოაქს რომ შეგაწყვეტინებდით.

ქ ა რ ო ნ ი

შეწყვიტე. დააწყვე ნიჩბები. გადადი.
ფულის!

დ ი ო ნ ი ს ე

გამომართვი ეს ორი ობოლი.
სადღაა ქსანთია? შენ, ბიჭო, ქსანთია!

ქ ს ა ნ თ ი ა

აუუ!

დ ი ო ნ ი ს ე

აქ მოდი!

ქ ს ა ნ თ ი ა

სალამი, ბატონო.

დ ი ო ნ ი ს ე

იქ რაა?

ქ ს ა ნ თ ი ა

წყვდიადი გახლავს და ტალახი.

დ ი ო ნ ი ს ე

ვინმე მამისმკვლელი თუ ნახე, ან კიდევ
ცრუ ფიცის მიმცემი, რომ გვითხრა?

ქ ს ა ნ თ ი ა

შენ არა?

დ ი ო ნ ი ს ე

(დარბაზს უყურებს)
მე ახლაც კი ვხედავ, ვფიცავ პოსეიდონს.
რა უნდა ვიღონოთ?

ქ ს ა ნ თ ი ა

წინ უნდა ვიაროთ.
აქ უნდა შემოგხვდნენ უკვე ურჩხულები,
მან რომ აგვიწერა.

დ ი ო ნ ი ს ე

ვანანებ იმ თავხედს!
ტყუოდა ყველაფერს ჩვენს დასაშინებლად,
ჩემი ვაჟკაცობის შეშურდა ნამდვილად.
აბა, ჰერაკლეზე ტრაბახა ვინაა?!
მე კი ვისურვებდი, მოგზაურობაში
რამე ფათერაკი რომ გადაგვხვდომოდა.

ქ ს ა ნ თ ი ა

ღმერთმანი, რაღაცა ხმაური მომესმა.

დ ი ო ნ ი ს ე

საიდან?

ქ ს ა ნ თ ი ა

უკნიდან.

დ ი ო ნ ი ს ე

მაშ, უკან იარე.

ქ ს ა ნ თ ი ა

მე მგონი, წინიდან.

დ ი ო ნ ი ს ე

აბა, წინ იარე!

ქ ს ა ნ თ ი ა

ღმერთმანი, ვეება ურჩხული გამოჩნდა!

დ ი ო ნ ი ს ე

როგორი?

ქ ს ა ნ თ ი ა

სასტიკი! სახესაც რომ იცვლის!
ხარია! ჯორია! ახლა კი ქალია
ნორჩი და ლამაზი.

დ ი ო ნ ი ს ე

სად არის? მივირბენ.

ქ ს ა ნ თ ი ა

ქალი აღარაა, უკვე ქოფაკია.

დ ი ო ნ ი ს ე

ემპუსა ყოფილა!

ქ ს ა ნ თ ი ა

ჰო, სახე სულ ცეცხლით
უელავს.

დ ი ო ნ ი ს ე

და ფეხი? სპილენძის ფეხი აქვს?

ქ ს ა ნ თ ი ა

ერთი სპილენძის და მეორე ფუნისა,
იცოდე.

დ ი ო ნ ი ს ე

ვაჰ, საით წავიდე?

ქ ს ა ნ თ ი ა

მე საით?

დ ი ო ნ ი ს ე

მიხსენი, ქურუმო, თუ გინდა ქეიფი!

ქ ს ა ნ თ ი ა

ვაი, დავიღუპეთ, ჰერაკლე!

დ ი ო ნ ი ს ე

რას ყვირი?!
კაცო, გევედრები, ნუ მიხმობ მაგ სახელს!

ქ ს ა ნ თ ი ა

მაშინ – დიონისე.

დ ი ო ნ ი ს ე

ეგ უარესია!

ქ ს ა ნ თ ი ა

წამოდი, აქეთკენ წამოდი, ბატონო!

დ ი ო ნ ი ს ე

რა მოხდა?

ქ ს ა ნ თ ი ა

დასრულდა უკვე ყველაფერი:
ჰეგელოქესავით თქმა ჩვენც შეგვიძლია:
“ტალღები დაცხრა და ზღვა ისევ დამტკნარდა”.
გაქრა ის ემპუსა.

დ ი ო ნ ი ს ე

ფიცი!

ქ ს ა ნ თ ი ა

გეფიცები!

დ ი ო ნ ი ს ე

კიდევ დაიფიცე!

ქ ს ა ნ თ ი ა

ვფიცავ!

დ ი ო ნ ი ს ე

კვლავ!

ქ ს ა ნ თ ი ა

ზევსს ვფიცავ!

დ ი ო ნ ი ს ე

ო, როგორ გავფითრდი, ის რომ დავინახე!

ქ ს ა ნ თ ი ა

ეგ კი შიშისაგან სულ გაგწითლებია.

დ ი ო ნ ი ს ე

საიდან დამეცა ეს უბედურება?
რომელი ღვთაება მღუპავდა?

ქ ს ა ნ თ ი ა

“ეთერი –
ზევსის კარმიდამო”, თუ “ფერხი ჟამისა?”
შენ!

დ ი ო ნ ი ს ე

რაა?

ქ ს ა ნ თ ი ა

არ გესმის?

დ ი ო ნ ი ს ე

რა უნდა მესმოდეს?

ქ ს ა ნ თ ი ა

ფლეიტის ხმა ისმის.

დ ი ო ნ ი ს ე

მეც მესმის! ჩირაღდნის
რაღაც იდუმალმა სუნმაც მოაღწია!
აბა, დავიმალოთ და ყური დავუგდოთ.
ზიარებულთა გუნდი
იაკქოს! იაკქოს!
იაკქოს! იაკქოს!

ქ ს ა ნ თ ი ა

ესენი არიან ზიარებულები,
ჰერაკლემ რომ გვითხრა, ბატონო. მღერიან
“იაკქოს, იაკქოს”, როგორც აგორაზე.

დ ი ო ნ ი ს ე

მეც ასე მგონია; მაინც უკეთესი
იქნება დამალვა: გავიგებთ ყველაფერს.
(იმალებიან.)

პაროდოსი

სცენაზე შემოდის თეთრებში გამოწყობილი მისტერიებს ზიარებულთა გუნდი.

პ ი რ ვ ე ლ ი ნ ა ხ ე ვ ა რ გ უ ნ დ ი

სტრ
მრავალპატივდებულო, ამ ტაძარში განისვენებ,
იაკქოს, იაკქოს;
მოდი ჩვენთან, ჩვენს მინდვრებში საცეკვაოდ,
მოდი ზაირებულებთან.
აყვავეჰულ მირტებისგან
დაწნულ გვირგვინს დაიმშვენებ
და თამამად ჩაებმები ფერხულში,
გაუძღვები ჩვენს ცეცხლოვან
და მხიარულ როკვარს, ღმერთო!
ქარიტებით სავსე როკვას გაუძღვები,
ზიარებულთ გაუძღვები, მეუფეო!

ქ ს ა ნ თ ი ა

წმინდა დედოფალო, დემეტრეს ასულო!

რა დამატკბობელი სუნია ხორცისა!

დ ი ო ნ ი ს ე

წყნარად ვერ იქნები? თუ სუნით გაძღები?

მ ე ო რ ე ნ ა ხ ე ვ ა რ გ უ ნ დ ი

ანტ.

გაიღვიძე! ლამპარი უპყრია და ისე მოდის,
იაკქოს, იაკქოს,
ის, ვარსკვლავი ღამეული ზეიმების.
მთელი ველი ცეცხლით ბრწყინავს.
ბებრებს მუხლი უთამაშებთ;
სევდას გადაიყრიან და
დაუნდობელ მსვლელობასაც წელიწადთა –
ამ ზეიმის გულისათვის.
ჩირაღდნები წამოიღე! მოიყვანე
გუნდისათვის ჭაბუკები,
მიადექით აყვავებულ წმინდა მინდორს!

კ ო რ ი ფ ე ო ს ი

ჩვენ მოწიწებით უნდა დავდუმდეთ. ჩვენი გუნდი კი დატოვოს ყველამ,
ვისთვისაც წმინდა სიტყვა უცხოა, ვისაც სინდისი სუფთა არა აქვს;
ვისაც მუზათა წმინდა ორგია არ უნახავს და არ უცეკვია,
არც ხარისმჭამელ კრატინეს ნამდვილ ბაკქოსურ ენას ზიარებია;
ვისაც მდარე და არამახვილი, ან უადგილო ხუმრობა მოსწონს;
ვინაც არ აცხრობს ამბოხებებს და სიმშვიდისათვის არ ზრუნავს ვინაც,
შეუნელებლად ცეცხლს რომ აღვივებს და საკუთარი თავის ფიქრი აქვს;
ვინც გაჭირვებულ ქალაქს მიმართავს და ვერანაირად ვერ ძღება ქრთამით,
ვინც მტრებს გადასცემს საგუშაგოებს, ან ეგინადან ხელუხელებელი
მარაგი გააქვს, როგორც აკეთებს ვინმე ახალი თორიკიონი;
ეპიდავროსში ვინაც აგზავნის აფრებს, ფისსა და ტყავის ღვედებსაც;
ვინც სხვას არწმუნებს, მტერს ფული მივცეთ, რომ ხომალდები აიშენოსო;
ვინაც ჰეკატეს უსვრის ხატებს და თან საფერხულო სიმღერას მღერის;
ვინაც რიტორი არის და ფიქრობს, რომ ლუკმაპური წაართვას პოეტს, –
თუ დიონისეს დღესასწაულზე გაათამაშეს კომედიაში;
ამათ ვუბრძანებ, კიდევ ვუბრძანებ და მესამედაც ვუბრძანებ ამათ,
გაეთრიონ და ზიარებულთა გუნდი დატოვონ დაუყოვნებლივ.
გამოაცოცხლეთ თქვენი სიმღერა, როგორც ამ ზეიმს შეეფერება.

გ უ ნ დ ი

აბა, ყველამ გულმკერდზე
აყვავებულ ველისა
აბაკუნეთ ფეხები!

იცინეთ და
ითამაშეთ, იხუმრეთ!
საკმარისად ვისადილეთ!
იარეთ და უმღერეთ
ჩვენს მხსნელსა და გადამრჩენს!
დაიფარავს ქალღმერთი
სამუდამოდ
ჩვენს სამშობლოს, თუნდაც ეს
თორიკიონს არ სურდეს.

კ ო რ ი ფ ე ო ს ი

აბა, სხვა ჰიმნიც მოგვასმენინეთ, ნაყოფისმომტან ქალღმერთისადმი –
დემეტრესადმი მიძღვნილი ჰიმნი. აბა, კაცურად, აბა, მთელი ხმით!

პ ი რ ვ ე ლ ი ნ ა ხ ე ვ ა რ გ უ ნ დ ი

სტრ.
დემეტრე, წმინდა ორგიის
დედაუფალო, მოდი და
შენივე გუნდი იხსენი!
დაუსრულებლად მთელი დღე
მათამაშე და მაცეკვე!

მ ე ო რ ე ნ ა ხ ე ვ ა რ გ უ ნ დ ი

სტრ.
ხან გამაცინე, ქალღმერთო,
ხან ჩამაფიქრე ნამდვილად.
თუ ღირსეულად წავმართავ
შენს დღესასწაულს, უკვდავო,
შემამკე ძლევის გვირგვინით!

კ ო რ ი ფ ე ო ს ი

თამამად!
ახლა კი ყმაწვილ უფალსაც სიმღერით უხმეთ ჩვენთა,
რომ მოვიდეს და გაუძღვეს ჩვენს საზეიმო ცეკვას.

პ ი რ ვ ე ლ ი ნ ა ხ ე ვ ა რ გ უ ნ დ ი

სტრ.
ო, იაკბოს, მრავალპატივდებულო,
ო, უტკბესო, მიგვიყვანე ქალღმერთთან
და გვაჩვენე,
რომ იოლად, უდრტვინველად
გაასრულებ ამ დიდ გზას;
ღმერთო ცეკვისმოყვარეო, გამიძეხი!

მ ე ო რ ე ნ ა ხ ე ვ ა რ გ უ ნ დ ი

ანტ.
მომჭირნევ და მოყვარულო სიცილის!
შენ დაფლითე სანდლები და ძონძები
და გვასწავლე
მხიარულად, დაუსჯელად
ჩამოვლა და თამაში;
ღმერთო ცეკვისმოყვარეო, გამიძეხი!

გ უ ნ დ ი

მხოლოდ ახლა გავიხედე გვერდით და
შევამჩნიე ტურფა სახის გოგონა,
“სამეგობრო”.
დახეული ქიტონიდან
წყვილი კერტი მოუჩანს;
ღმერთო, ცეკვისმოყვარეო, გამიძეხი!

ქ ს ა ნ თ ი ა

როგორ მინდა, უკან გავყვე,
ცეკვითა და თამაშით
ვერ გავძღები მთელი ღამე!

დ ი ო ნ ი ს ე

მეც, მეც მინდა!

კ ო რ ი ფ ე ო ს ი

რა თქმა უნდა, თქვენც გინდათ,
არქედემეს დავცინოთ,
რომელსაც შვიდ წლამდე პატრონი არ ჰყავდა;
ახლა კი ხალხს უძღვება,
ზედა მიცვალებულებს,
პირველი კაცია იქ გარყვნილებაში.

კლისთენეს ძის ამბავი
ხომ გაიგეთ, საფლავში
რომ იბრდღვნის უკანალს და სახეს იხოკავს?
იბრაგუნებს გულზე ხელს,
ტირის, ბღავის, მოუხმობს
ერთ ნძრევისწყაროელ მეგობარს, მატკანეს.

ამბობენ, რომ კალია,
ჰიპოტკანეს ვაჟკაცი
ტყავში გახვეულა “საზღვაო ბრძოლისთვის”.

დ ი ო ნ ი ს ე

ხომ ვერ გვეტყვით, სად არის
აქ პლუტონის სასახლე?
სტუმრები გახლავართ ახლახან მოსულნი.

კ ო რ ი ფ ე ო ს ი

ახლა შორს არ წახვიდე,
არც მე მკითხო ხელახლა.
იცოდე, სწორედ იმ კართან ხარ მოსული.

დ ი ო ნ ი ს ე

აბა, ფუთა აიღე.

ქ ს ა ნ თ ი ა

ნეტავ, რა ამბავია?
რაა ამ ფუთაში, “კორინთე, ზევსის ძე?”

კ ო რ ი ფ ე ო ს ი

შემოდით
ქალღმერთის წმინდა ნაკრძალში, ამ ყვავილოვან ველზე,
ზეიმის მონაწილენო; აქ გაიხარეთ გული.
მე კი გამომყვეს ქალების და ქალწულების გუნდი.
წავიდეთ, რათა ლამპრებით ღამე ვუთიოთ ქალღმერთს.

პ ი რ ვ ე ლ ი ნ ა ხ ე ვ ა რ გ უ ნ დ ი

ანტ.
მხოლოდ ჩვენთვის ამოდის
მზე და მოაქვს სინათლე.
ჩვენ ვართ ზიარებულნი,
ღვთისნიერად ვღებულობთ
უცხოებს და ჩვენივე
თანაქალაქელებს.

გუნდი მარჯვნივ იკავებს ადგილს. დიონისე და ქსანთია მიდიან მარცხნივ, პლუტონის სასახლის კარებთან.

პირველი ეპისოდიონი

დ ი ო ნ ი ს ე

მინდა, ამ კარებზე დავაკაკუნო და
არ ვიცი, აქ როგორ არის მიღებული.

ქ ს ა ნ თ ი ა

ნუღარ დააყოვნებ, ბრახუნი ატეხე.

ჰერაკლეს სახე და სიმტკიცე გახლავდეს.

დ ი ო ნ ი ს ე

ჰე, ბიჭო!

გამოდის ეაკე.

ე ა კ ე

ვინა ხარ?

დ ი ო ნ ი ს ე

მძლეთამძლე ჰერაკლე გახლავარ.

ე ა კ ე

ო, შე საზიზღარო, ურცხვო და თავხედო!
ბილწო, ყოვლადბილწო, ყოვლადუბილწესო!
შენ არ მოიტაცე ჩემი კერბეროსი?!
ახრჩობდი საწყალს და ისე მიათრევდი.
ახლა სად წამიხვალ? შენზე იზრუნებენ
სტიქსის ქარაფები, შავგულიანები,
სისხლჭარბ აქერონტის მრისხანე კლდეები.
კიდევ: კოკიტოსთან გელიან ძაღლები;
ჰო... ასთავიანი ექიდნაც მოელის
შენს ძვირფას შიგნეულს; ფილტეს ტარტესოსელი
მურენა არავის დაუთმობს იოლად;
თირკმლებს და სისხლიან ნაწლავებს დაგლეჯენ
ტითრასის მკვიდრები, გელქვა გორგონები.
მე დაუყოვნებლივ მათკენ გავიქცევი.
(გადის.)

ქ ს ა ნ თ ი ა

რა გჭირს?

დ ი ო ნ ი ს ე

ჩავისვარე... მოიხმე უფალი.

ქ ს ა ნ თ ი ა

სეირი თუ გინდა, ესაა! ადექი,
სანამ დაგინახეს.

დ ი ო ნ ი ს ე

გული შემიღონდა.
ტილო მომიტანე და გულზე დამადე.

ქ ს ა ნ თ ი ა

აიღე, დაიდე. ო, ოქროს ღმერთებო!
შენ გული მანდა გაქვს?

დ ი ო ნ ი ს ე

ალბათ შიშისაგან
შეხტა და ჩავარდა პირდაპირ მუცელში.

ქ ს ა ნ თ ი ა

ყველაზე მხდალი ხარ მოკვდავ-უკვდავებში!

დ ი ო ნ ი ს ე

მე მხდალი როგორ ვარ? – ტილო მოვითხოვე.
იცი, რას იზამდა სხვა?

ქ ს ა ნ თ ი ა

ჰო, რას იზამდა?

დ ი ო ნ ი ს ე

მხდალი რომ პირდაპირ სუნში ჩაწვებოდა.
მე – ფეხზე ავდექი, თან გამოვიწმინდე.

ქ ს ა ნ თ ი ა

რა ვაჟკაცობაა!

დ ი ო ნ ი ს ე

სწორედაც, ღმერთმანი!
შენ არ შეგაშინა სიტყვათა ხმაურმა,
ამდენმა მუქარამ?

ქ ს ა ნ თ ი ა

არც კი მიფიქრია.

დ ი ო ნ ი ს ე

ასეთი ვაჟკაცი თუ ხარ და მამაცი,
შენ გახდი ჰერაკლე! აიღე კომბალი,
ეს ტყავიც შენ გქონდეს, ჯიგარუშიშარო!
მე ტვირთს წამოგიღებ, უკან გამოგყვები.

ტანსაცმელს უცვლიან ერთმანეთს.

ქ ს ა ნ თ ი ა

კარგი, გავაკეთოთ. დაგემორჩილები.
შენ ახლა უყურე ჰერაკლოქსანთიას,

მხდალი თუ იქნება, ლაჩარი – შენსავით.

დ ი ო ნ ი ს ე

არა! შენ მილეტელ ავაზაკს მაგონებ.
იარე, ამ ბარგს კი თვითონ წამოვიღებ.

მ ო ა ხ ლ ე

(გამოდის სასახლიდან. ქსანთია – ჰერაკლეს)
ო, უძვირფასესო, მოხვედი, ჰერაკლე!
ქალღმერთმა გაიგო შენი ჩამოსვლა და
პური გამოგიცხო, ქოთნები აგივსო
თაფლით და მთლიანი ხარიც შეგიბრაწა;
მზადაა კვერები, ნამცხვრები... შემოდი!

ქ ს ა ნ თ ი ა

ძალიან კარგია!

მ ო ა ხ ლ ე

აპოლონს ვფიცავარ,
არსად არ გაგიშვებ: შენთვის იხარშება
ფრინველის ხორცი და ცხვება ტკბილეული;
შემზადებულია ღვინოც საუცხოო.
მოდი, შემომყევი!

ქ ს ა ნ თ ი ა

გმადლობ!

მ ო ა ხ ლ ე

რის მადლობა?
მაინც არ გაგიშვებ, სახლში ფლეიტისტი
ქალი გელოდება; მოცეკვავეებიც
არიან.

ქ ს ა ნ თ ი ა

რას ამბობ?! მოცეკვავეები?

მ ო ა ხ ლ ე

და რა გოგოები! ახლა გაიპარსეს.
შემოდი, აპირებს უკვე მზარეული
თევზის შემოტანას, მაგიდაც შემოაქვთ.

ქ ს ა ნ თ ი ა

შედი და უთხარი იმ მოცეკვავეებს,
სახლში რომ არიან, მოდის-თქო ჰერაკლე.

ბიჭო, წამოიღე ბარგი და მომყევი.

დ ი ო ნ ი ს ე

შენ, ბიჭო, მოიცა! მართლა დაიჯერე?
მე ხომ სულ ხუმრობით გაგხადე ჰერაკლე.
თავს ნუ გაგივიდა, გონს მოდი, ქსანთია!
ბარგს ხელი მოჰკიდე. აბა, წამოიღე!

ქ ს ა ნ თ ი ა

რა იყო? შენ ახლა მიპირებ, წამართვა,
რაც თვითონ მომეცი?

დ ი ო ნ ი ს ე

როგორ თუ ვაპირებ?!
აბა, გაიხადე!

ქ ს ა ნ თ ი ა

სუყველას გიმოწმებთ
და ღმერთებს მივმართავ.

დ ი ო ნ ი ს ე

რა ღმერთებს მიმართავ?
ჭკუაზე არა ხარ! სად ვიღაც მოკვდავი
მონა და სად კიდევ ალკმენეს ვაჟკაცი!

ქ ს ა ნ თ ი ა

დამშვიდდი, ბატონო, იცოდე, ოდესმე
კიდევ დაგჭირდები, თუ ღმერთმა ინება.

ისევ უცვლიან ერთმანეთს ტანსაცმელს.

პ ი რ ვ ე ლ ი ნ ა ხ ე ვ ა რ გ უ ნ დ ი

სტრ. უკვე ჩანს, რომ კაცი არის
ჭკვიანი და გონიერი,
ალბათ, ბევრიც უნახავს.
სულ ამაზე არის თქმული
“არსად არ დაიკარგება”.
კარგიცაა, სჯობია
დგომას ქანდაკებასავით,
სახეს ერთს რომ არ შეიცვლის.
მოძრაობა, ძიება,
გამორჩენა – აი, მესმის!
თერამენეს მაგონებს.

დ ი ო ნ ი ს ე

სასაცილო იქნებოდა,
თუ ქსანთია, ვინმე მონა
მილეტოსურ ნოხებზე
დაიწყებდა კოტრიალს და
ღლაბუცს მოცეკვავეებთან!
ღამის ქოთანს მომთხოვდა,
მე კი სანთლებს დავუჭერდი!
რა თაღლითიც არის, ვიცი:
მნახავდა და იმავწამს
ყბაში მუშტებს დამიშენდა,
კბილებს არ შემარჩენდა.

მეორე ეპისოდიონი

შემორბის განრისხებული მეფუნდუკე ქ ა ლ ი , რომელსაც მეორე მეფუნდუკე ქალიც მოჰყვება.

პ ი რ ვ ე ლ ი ქ ა ლ ი

პლათანე, პლათანე! მოდი, ეს თაღლითი
არ არის, მაშინ რომ შევიდა ფუნდუკში
და პური ჩახეთქა თექვსმეტი?!

მ ე ო რ ე ქ ა ლ ი

ღმერთმანი,
ისაა ნამდვილად!

ქ ს ა ნ თ ი ა

მოხვდება ვიღაცას!

პ ი რ ვ ე ლ ი ქ ა ლ ი

ურიცხვი ნიორიც!

დ ი ო ნ ი ს ე

მიჰქარავ, დიაცო!
არც ვიცი, რას ამბობ!

პ ი რ ვ ე ლ ი ქ ა ლ ი

კოთურნი ჩაიცვი
და ასე გეგონა, რომ ვეღარ გიცნობდი?
ნიორი რა არის? თევზზე ჯერ არ მითქვამს!

მ ე ო რ ე ქ ა ლ ი

ღმერთმანი, არც ყველზე. არ გახსოვს, საბრალოვ,
ამან რომ ჩახეთქა კალათებიანად?

პ ი რ ვ ე ლ ი ქ ა ლ ი

და მერმე, როგორც კი ფული მოვითხოვე,
ავად გადმომხედა, ბღავილი დაიწყო.

ქ ს ა ნ თ ი ა

კი, ეს იქნებოდა, სულ ასე აკეთებს.

პ ი რ ვ ე ლ ი ქ ა ლ ი

დანაც ამოიღო, თითქოსდა გაგიჟდა...

მ ე ო რ ე ქ ა ლ ი

ზევსს ვფიცავ!

პ ი რ ვ ე ლ ი ქ ა ლ ი

მაშინ ჩვენ, შეშინებულებმა,
სხვენს მივაშურეთ და იქ გადავიმალეთ;
ამან კი წნულებიც წაიღო, წავიდა.

ქ ს ა ნ თ ი ა

კი, ამის საქმეა.

პ ი რ ვ ე ლ ი ქ ა ლ ი

რაღაც მოვიფიქროთ!
წადი და ჩვენს დამცველს, კლეონს დაუძახე.

მ ე ო რ ე ქ ა ლ ი

შენც წადი, იქნება შეგხვდეს ჰიპერბოლე.

პ ი რ ვ ე ლ ი ქ ა ლ ი

ახლა კი მოგხვდება, ფაშვო საზიზღარო!
ო, რა სიხარულით დაგილეწ მაგ ეშვებს,
რომლითაც შენ ჩემი მარაგი შესანსლე!

ქ ს ა ნ თ ი ა

მე – გადაგისვრიდი უმალ ბარათრონში.

მ ე ო რ ე ქ ა ლ ი

ნამგალს ავიღებდი, სასას ამოგკვეთდი,
რომლითაც ჩახეთქე ჩემი კუპატები.

პ ი რ ვ ე ლ ი ქ ა ლ ი

კლეონთან მივდივარ, იგი სამართალში
მიგცემს და რაც ჭამე, ამოგანთხევინებს.
(ქალები გადიან.)

დ ი ო ნ ი ს ე

მომკალით! – ქსანთია მაინც მეყვარება.

ქ ს ა ნ თ ი ა

მიგიხვდი, რაც გინდა. შეწყვიტე, შეწყვიტე.
სად მე, სად ჰერაკლე?!

დ ი ო ნ ი ს ე

ნუ იტყვი, ძვირფასო,
ნუ იტყვი, ქსანთუნა.

ქ ს ა ნ თ ი ა

მე, ვიღაც მოკვდავი,
თან მონა, ალკმენეს ძე როგორ ვიქნები?!

დ ი ო ნ ი ს ე

ჰო, ვიცი, რომ ბრაზობ. მართალიც ბრძანდები.
მომკალი, თუ გინდა, ერთ სიტყვას არ გეტყვი.
თუ აწი ოდესმე წაგართვა სამოსი,
არ დამრჩეს არავინ, მომიკვდეს ცოლ-შვილი,
მეც მოვკვდე და მომყვეს უკან არქედემეც!

ქ ს ა ნ თ ი ა

მივიღე ეს ფიცი და შენი პირობაც.

(კვლავ უცვლიან ერთმანეთს ტანსაცმელს.)

მ ე ო რ ე ნ ა ხ ე ვ ა რ გ უ ნ დ ი

ანტ.
აბა, ახლა თუკი შენთვის
წართმეული სამოსელი
დაგიბრუნეს თავიდან, –
გაიმაგრე სული, გული,
შეიძინე საშინელი
გამოხედვა, გახსოვდეს,
რომ ღმერთი ხარ და გამაგრდი.
თუკი როშვა დაიწყე და
რამე ნაზი წამოგცდა,

არაფერი არ გიშველის, –
ბარგს ატარებ თავიდან.

ქ ს ა ნ თ ი ა

კაცნო, ცუდად არ მირჩიეთ,
მე თვითონაც მივხვდი ამას,
ჩავწვდი უკვე ყველაფერს.
თუკი რამე კარგი მოხდა,
კვლავ წართმევას შეეცდება,
კარგად ვიცი, ნამდვილად.
შინ კი მაინც მამაცურად,
გამბედავად ვიქნები და
თვალებიდან ცეცხლს ვისვრი;
დამჭირდება, როგორც ვატყობ:
ხმაურია კარებთან.

მესამე ეპისოდიონი

ორი მონის თანხლებით შემოდის ე ა კ ე .

ე ა კ ე

შეჰკარით სასწრაფოდ ეს ძაღლიპარია,
პასუხი რომ აგოს!

დ ი ო ნ ი ს ე

ვიღაცას მოხვდება!

ქ ს ა ნ თ ი ა

ფეხი არ გადმოდგათ!

ე ა კ ე

ეს ბრძოლას აპირებს?!
დიტილას, სკებლია, პარდოკას! სასწრაფოდ
გამოდით სამივე, ამას მოუარეთ!
(მონები გამორბიან და ჰკრავენ ქსანთიას.)

დ ი ო ნ ი ს ე

საშინელებაა, სხვისას იპარავს და
ხალხსაც ცემს!

ე ა კ ე

ნუ იტყვი, გასაოცარია!

დ ი ო ნ ი ს ე

საზიზღარია და თავხედი!

ქ ს ა ნ თ ი ა

ღმერთმანი,
არასდროს ვყოფილვარ აქ, არც არაფერი
მე არ მომიპარავს; მოვკვდე, თუ ვტყუოდე!
ერთ კეთილშობილურ აზრს შემოგთავაზებ:
ხომ ხედავ ამ მონას, ეს გამოსცადე და
თუ ბრალი დამედოს, მოჰკალი მაშინვე.

ე ა კ ე

როგორ გამოვცადო?

ქ ს ა ნ თ ი ა

ო, ყველანაირად!
გაჭიმე, დაკიდე, ცემე, გაატყავე,
დაოთხე, ან ცხვირში ძმარი ჩაუღვარე,
მუცელზე აგური დააწყვე... ერთს კი გთხოვ:
პრასით ან ახალი ხახვით არ გაჯოხო.

ე ა კ ე

კაცური სიტყვაა! თუ მონას რაიმე
მოუვა ცემაში, ფულით გადაგიხდი.

ქ ს ა ნ თ ი ა

მე ფული არ მინდა, მუქთად გამოსცადე.

ე ა კ ე

მაშ, აქვე, შენს თვალწინ გამოტყდეს ეს მონა.
(დიონისეს)
ტვირთი ჩამოიღე და არ გაგვიბედო
არც ერთი ტყუილი.

დ ი ო ნ ი ს ე

მე თქვენ გეუბნებით,
ვინმემ არ მაწამოს! ღმერთი ვარ უკვდავი!
თავბედს გაწყევლინებთ, გაფრთხილებთ!

ე ა კ ე

რას ამბობ?

დ ი ო ნ ი ს ე

ვამბობ, რომ ზევსის ძე ვარ მე, დიონისე.

ეს ჩემი მონაა.

ე ა კ ე

თუ გესმის?

ქ ს ა ნ თ ი ა

კი მესმის;
მაშინ მას წამებაც ვეღარ შეაშინებს.
ღმერთი თუ ბრძანდება, ცემასაც ვერ იგრძნობს.

დ ი ო ნ ი ს ე

შენაც ხომ ამტკიცებ, რომ ღმერთი ბრძანდები!
მაშინ ხომ შენც უნდა გაწამონ ჩემსავით.

ე ა კ ე

კაცური სიტყვაა!

ქ ს ა ნ თ ი ა

ჩვენ ორში რომელიც
პირველი იყვირებს, ან ტკივილს შეიგრძნობს,
იმწუთას მიხვდები: ის ღმერთი არ არის.

ე ა კ ე

ნაღდად ღირსეული კაცი ხარ; გეტყობა,
სამართლიანიც ხარ. აბა, გაიხადეთ!

ქ ს ა ნ თ ი ა

ახლა რას გვიპირებ?

ე ა კ ე

საშინელს არაფერს,
ცოტ-ცოტას დაგარტყამთ ორივეს.

ქ ს ა ნ თ ი ა

კარგია.
ნახე, განძრეულსაც ვეღარ დამინახავ.

ე ა კ ე

(ურტყამს ქსანთიას)
დაგარტყი?

ქ ს ა ნ თ ი ა

ღმერთმანი, მე არ გამიგია!

ე ა კ ე

იმასთან მივალ და დავარტყამ.
(ურტყამს დიონისეს)

დ ი ო ნ ი ს ე

როდისღა?

ე ა კ ე

დაგარტყი.

დ ი ო ნ ი ს ე

მაშ, რატომ არ მეხიცინება?

ე ა კ ე

არ ვიცი. ხელახლა იმასთან გადავალ.
(ურტყამს ქსანთიას)

ქ ს ა ნ თ ი ა

ნეტავ რას აყოვნებ? ვაჰ, ვაჰ, ვაჰ!

ე ა კ ე

რა “ვაჰვაჰ?”
გეტკინა?

ქ ს ა ნ თ ი ა

ო, არა! ჰერაკლეს ზეიმზე
ვფიქრობ, როდისაა ის დიომეაში.

ე ა კ ე

ეს წმინდა კაცია. კვლავ იმას გამოვცდი.
(ურტყამს დიონისეს)

დ ი ო ნ ი ს ე

ოჰ, ოჰ, ოჰ!

ე ა კ ე

რა მოხდა?

დ ი ო ნ ი ს ე

მხედრები დავლანდე.

ე ა კ ე

მერმე, რა გატირებს?

დ ი ო ნ ი ს ე

ეს? ხახვმა ამიწვა!

ე ა კ ე

რამე არ გაწუხებს?

დ ი ო ნ ი ს ე

არა, არაფერი!

ე ა კ ე

ხელახლა იმასთან უნდა გადავიდე.
(ურტყამს ქსანთიას)

ქ ს ა ნ თ ი ა

ვაიმე!

ე ა კ ე

რა იყო?

ქ ს ა ნ თ ი ა

ეკალი შემერჭო.

ე ა კ ე

ეს რა ამბავია? იმასთან გადავალ.
(ურტყამს დიონისეს)

დ ი ო ნ ი ს ე

აპოლონ! “...რომელიც მბრძანებლობ დელოსზე”...

ქ ს ა ნ თ ი ა

ეტკინა! ხომ გესმის!

დ ი ო ნ ი ს ე

სულ არა! რატომღაც
უცებ ჰიპონაქტის ლექსი გამახსენდა.

ქ ს ა ნ თ ი ა

კარგად ვერ აკეთებ. ფერდი ჩაულეწე!

ე ა კ ე

ო, არა, ღმერთმანი!
(დიონისეს)
მუცელი მაჩვენე!
(ურტყამს)

დ ი ო ნ ი ს ე

ოო, პოსეიდონ!

ქ ს ა ნ თ ი ა

ეტკინა!

დ ი ო ნ ი ს ე

“... რომელსაც
გიპყრია ზღვები და ეგევსის ნაპირი”.

ე ა კ ე

დემეტრეს ვფიცავარ, ვერ მივხვდი, თქვენ ორში
ღმერთი რომელია; შემოდით ორივე.
ჩემმა მბრძანებელმა და მისმა მეუღლემ
განსაჯონ, თვითონაც ღმერთები არიან.

დ ი ო ნ ი ს ე

აი, ეს სწორია! ნეტავი აქამდეც
მოგეფიქრებინა, სანამ გამჯოხავდი.
(შედიან)

პარაბასისი

პ ი რ ვ ე ლ ი ნ ა ხ ე ვ ა რ გ უ ნ დ ი

მიუახლოვდი წმინდა გუნდებს და ხიბლი მიაგე ჩემს საგალობლებს, მუზავ!
მოდი და ნახე ხალხის სიმრავლე, ათი ათასი
ბერძენი კაცი ზის აქ.
ღირსებით ყველა აღემატება კლეოფონტს;
მას კი ბაგეზე თრაკიული მერცხალი უზის
და უჭიკჭიკებს, თითქოს
ბარბაროსებთან სადმე ფოთოლზე იჯდეს;
გულისმომკვლელად გვებულბულება, დავიღუპები იმავწამს,
თუ გამეყოო ხმები.

პ ი რ ვ ე ლ ი ნ ა ხ ე ვ ა რ გ უ ნ დ ი ს წ ი ნ ა მ ძ ღ ო ლ ი

წმინდა გუნდის ვალი არის, ქალაქს პატიოსნება
ურჩიოს და შეასწავლოს. ჩვენის აზრით, პირველად
ყველა უნდა გათანაბრდეს, შიში უნდა მოისპოს.
თუკი ვინმე მოატყუა, შეაცდინა ფრინიქემ,
თუკი ვინმეს უნებლიედ ფეხი ერთხელ დაუცდა,
შევუნდოთ და დავუვიწყოთ ადრინდელი შეცდომა
და პატივსაც ნუღარავის ნუღარ ავყრით ქალაქში.

სამარცხვინო საქმე გახლავთ, ზღვაზე ერთხელ ნაბრძოლევს
პლატეელად ვხდით და მონას დავასკუპებთ ბატონად.
არა, ცუდი კი არ არის, კარგად ვშვრებით, პირიქით;
სამწუხაროდ, გონივრულად მხოლოდ ამას ვაკეთებთ;
მაგრამ თუკი არაერთგზის უომია ვიღაცას,
მამამისიც თუ ომობდა, ნათესავიც თუ არის,
ნუ გასწირავთ, შეიბრალეთ, აპატიეთ ეს ერთი.
გააკეთეთ ბრძნული საქმე: რისხვა გადაიყარეთ,
შევიწყალოთ და ყველანი ნათესავად მივიღოთ;
დავუბრუნოთ პატივი და ჩვენთან ერთად ვაბრძოლოთ.
ხოლო თუკი ქედმაღლურად, სულელურად გავწირავთ,
როცა ქალაქს საფრთხე ელის და მორევში იხრჩობა,
უფრო გვიან დავრწმუნდებით, რომ შეცდომა დავუშვით.

მ ე ო რ ე ნ ა ხ ე ვ ა რ გ უ ნ დ ი

თუ სწორად ვხედავ კაცის ხასიათს
და თუკი ვწვდები იმის ხასიათს, მალე
წაიღებს წერილს ის მაიმუნი, ავი კლიგენე,
ის ქონდრისკაცი, ის!
როგორ გვაწამებს ეს საზიზღარი მექისე,
ნაცარშერეულ კომოლოსის, ქვიშით და თუთქით
მდიდარი მიწის მეუფე!
მალე წაიღებს წერილს, თუ იცით, რატომ? –
მშვიდობა არ სურს და კომბლით დადის ყოველდღე მთვრალი, ვინმემ რომ
არ შეაშინოს ღამით.

მ ე ო რ ე ნ ა ხ ე ვ ა რ გ უ ნ დ ი ს წ ი ნ ა მ ძ ღ ო ლ ი

კარგა ხშირად გვეჩვენება, თითქოს ჩვენი ქალაქი
თავის შვილებს ისე არჩევს, – საყვარლებს და საძაგლებს,
ვით ძველებურ მონეტებს და ახალმოჭრილ ოქროებს.
თუ ძველია მონეტა და გაუყალბებელია,
თუ კარგია და სჯობია სხვა მონეტებს ათასჯერ,
თუ მოჭრილი არის სწორად, არის ხარისხიანი,
ბერძნებსა და სხვა ხალხებშიც მოწონება თუკი აქვს,
არ ვიყენებთ; ბრუნვაში გვაქვს საძაგელი სპილენძი,
აგერ, გუშინ და გუშინწინ უხარისხოდ მოჭრილი.
კეთილშობილ მოქალაქეს, პატიოსანს, გონიერს,
სამართლიანს, გამოსადეგს, წესიერს და რიგიანს,
პალესტრაში განათლებულს, მუსიკაში გარკვეულს
ვაძევებთ და ახალ სპილენძს, ყირმიზსა და უცხოელს,
საძაგელს და საძაგლის შვილს სიხარულით ვიტოვებთ,
თუმცა გუშინ მოეთრნენ და ერთ დროს ჩვენი ქალაქი

შესაწირად ვარგისადა არ ჩათვლიდა მაგ ოხრებს.
მაგრამ ახლა, უგუნურნო, ჩვეულება შეცვალეთ:
პატიოსნებს დაეყრდენით, თუ ივარგეს, ხომ კარგი;
თუ არადა, კარგი ხიდან მაინც ჩამოვარდებით,
თუკი თავი გეტკინებათ, შიგნით რაღაც ყოფილა.

მეოთხე ეპისოდიონი

სახლიდან გამოდიან ქ ს ა ნ თ ი ა და პლუტონის მ ს ა ხ უ რ ი .

მ ს ა ხ უ რ ი

ჩვენს მფარველ ზევსს ვფიცავ, ეგ შენი ბატონი
კაცური კაცია!

ქ ს ა ნ თ ი ა

რატომ არ იქნება?!
ქალებს უყვარს და სმაც არ ეჯავრება.

მ ს ა ხ უ რ ი

ახლა რომ გამხილა, კარგად არ მიგბეგვა,
რომ მონამ ისურვე უცებ ბატონობა?

ქ ს ა ნ თ ი ა

ხელსაც ვერ მახლებდა!

მ ს ა ხ უ რ ი

მონა თუ იზამდა
იმას, რაც შენ ჰქენი! მომწონს ასეთები.

ქ ს ა ნ თ ი ა

რა მოგწონს, მითხარი.

მ ს ა ხ უ რ ი

თავი ბედნიერი
მგონია, ჩემთვის რომ ვაგინებ ჩემს ბატონს.

ქ ს ა ნ თ ი ა

ბურტყუნი არ გიყვარს, როდესაც ნაცემი
მიდიხარ კარებთან?

მ ს ა ხ უ რ ი

კი მიყვარს, ძალიან!

ქ ს ა ნ თ ი ა

ტყუილად წრიალი?

მ ს ა ხ უ რ ი

ღმერთმანი, ძალიან!

ქ ს ა ნ თ ი ა

ზევსია მფარველი! და დაყურადება
მაგათი ლაყბობის?

მ ს ა ხ უ რ ი

ნუ მეტყვი, ვგიჟდები!

ქ ს ა ნ თ ი ა

და შემდეგ ამბების გატანა თუ გიყვარს?

მ ს ა ხ უ რ ი

მაგის სიყვარული არაფერს ედრება!

ქ ს ა ნ თ ი ა

ფოიბოს აპოლონ! მომეცი მარჯვენა,
მეც მაკოცნინე და შენაც გადამკოცნე.
თქვი, ზევსის სახელით, ჩვენი შემწყალებლის, –
ეს რა ხმაურია, რას იგინებიან
ამ სახლში?

მ ს ა ხ უ რ ი

ესქილე და ევრიპიდეა.

ქ ს ა ნ თ ი ა

რა მოხდა?

მ ს ა ხ უ რ ი

აქ, ჩვენთან დიდი ამბავია,
მკვდრებში აჯანყება და ამბოხებაა.

ქ ს ა ნ თ ი ა

როგორ, ამბოხება?!

მ ს ა ხ უ რ ი

აქ ხელოვანთათვის
არსებობს კანონი: ვინც უძლიერესი
იქნება იმათგან, მას პრიტანიონში
ეძლევა უფასო კვების და პლუტონის
გვერდით დაბრძანების უფლება.

ქ ს ა ნ თ ი ა

გავიგე.

მ ს ა ხ უ რ ი

მაგრამ თუ მოვიდა სხვა, უფრო ძლიერი,
მაშინვე მას უნდა დაეთმოს ადგილი.

ქ ს ა ნ თ ი ა

მერედა, ესქილე რაღამ შეაშფოთა?

მ ს ა ხ უ რ ი

აქამდე მას ეპყრა ტახტი ტრაგიკოსთა,
როგორც უძლიერესს.

ქ ს ა ნ თ ი ა

ახლა ვის უპყრია?

მ ს ა ხ უ რ ი

როგორც ჩამოვიდა ჩვენთან ევრიპიდე,
სულ შემოიკრიბა მამისმკვლელები და
ჯიბის ქურდები და ქუჩის მძარცველები, –
ისინი ჰადესში საკმაოდ არიან.
მათ რომ მოისმინეს მისი მსჯელობები,
გაგიჟდნენ უმალ და უბრძნესად ჩათვალეს;
გაამაყებულმა დაიპყრო ის ტახტი,
რომელზეც ესქილე იჯდა.

ქ ს ა ნ თ ი ა

არ ჩაქოლეს?!

მ ს ა ხ უ რ ი

არა! მოითხოვა ხალხმა სასამართლო, –
იქ გადავწყვიტოთო მაგათი ამბავი.

ქ ს ა ნ თ ი ა

ნახე, საზიზღრები!

მ ს ა ხ უ რ ი

ხმა ცას გააგონეს!

ქ ს ა ნ თ ი ა

მერედა, ესქილეს არავინ არა ჰყავს?

მ ს ა ხ უ რ ი

ჩვენც გვიჭირს კარგები, როგორც იქ, მიწაზე.

ქ ს ა ნ თ ი ა

და რის გაკეთებას აპირებს პლუტონი?

მ ს ა ხ უ რ ი

უნდა, შეჯიბრება მოაწყოს მაგათი
და იქ გადაწყვიტოს.

ქ ს ა ნ თ ი ა

კი მაგრამ, სოფოკლემ
რად არ მოითხოვა ის ტახტი თავისთვის?

მ ს ა ხ უ რ ი

არ უნდა, ღმერთმანი! ეგ რომ ჩამოვიდა,
ესქილეს აკოცა და ხელიც ჩასჭიდა;
ტახტისთვის კამათი არც კი დაუწყია.
ახლა აპირებსო, ბრძანა კლიდემიდემ,
მეორედ დაჯდომას; თუკი გაიმარჯვებს
ესქილე, ადგილზე დავრჩები, თუ არა,
შევეჯიბრებიო, უთქვამს, ევრიპიდეს.

ქ ს ა ნ თ ი ა

და მალე იქნება?

მ ს ა ხ უ რ ი

შეჯიბრი? სულ მალე.
დიდი და სასტიკი საქმე აღიძვრება:
სასწორზე დადებენ მაგათ პოეზიას.

ქ ს ა ნ თ ი ა

რაო? ტრაგედიას როგორ აწონიან?

მ ს ა ხ უ რ ი

სიტყვათა გირებით. თან სახაზავებით
სულ გადაზომავენ...

ქ ს ა ნ თ ი ა

ფილებს აკეთებენ?

მ ს ა ხ უ რ ი

...დიამეტრს, კუთხეებს. ბრძანა ევრიპიდემ,
სიტყვებს სულ დავზომავ ტრაგედიაშიო.

ქ ს ა ნ თ ი ა

წარმომიდგენია, რას ბრაზობს ესქილე!

მ ს ა ხ უ რ ი

თავი დახრილი აქვს, თვალებს აბრიალებს.

ქ ს ა ნ თ ი ა

დავას ვინ გადაწყვეტს?

მ ს ა ხ უ რ ი

ეს ქმნიდა სირთულეს.
ბრძენ ხალხს სად იპოვი? ათენელებსაც ხომ
ვერ უთანხმდებოდა ხანდახან ესქილე!

ქ ს ა ნ თ ი ა

იმათგან მრავალი მძარცველად მიაჩნდა.

მ ს ა ხ უ რ ი

სხვებზე კი ამბობდა, არ შეუძლიათო
პოეტთა ბუნების შეცნობა; შენს ბატონს
მიმართეს ახლახან, ის პოეზიაში
ხომ კარგად ერკვევა! შევიდეთ, მაგათ თუ
კამათი ატეხეს, ჩვენც მაგრად მოგვხვდება.
(შინ შედიან.)

გ უ ნ დ ი

სასტიკი ბრაზით აღსავსე, მეხმოგრიალე პოეტი
ბრძოლისთვის კბილებალესილ, მახვილმოლაყბე მეტოქეს
დაინახავს და უმალ უსაშინლესი რისხვით
დააბრიალებს თვალებს.
იგი კი ჯიღაზმებიან, მუზარადქნევა კამათით,
სიტყვამახეთა ნაკადით, საქმეთა მოჩუქურთმებით
შეებრძოლება ამის მაღალფარდოვან აზრებს
და ამხედრებულ სიტყვებს.
მაშინ მრისხანე პოეტი ფაფარს აიყრის საზარლად,
წარბებს აიწევს მძვინვარედ, ურჩხულისებრი ღრჭენით და
გოლიათური სუნთქვით ისვრის ლურსმნებით ნაჭედ,
ფიცრებად შეკრულ სიტყვებს.
ის, ჯადოქარი ლექსისა, გრძნეული სიტყვის მოქმედი,
აღარ შებორკავს ენას და ერთად მოუშვებს აღვირებს.
სიტყვათა ხლართებს დახსნის; ფრაზათა ხვანჯებს დაშლის
და დაასვენებს ფილტვებს.

მეხუთე ეპისოდიონი

შემოდიან ე ვ რ ი პ ი დ ე , ე ს ქ ი ლ ე და დ ი ო ნ ი ს ე .

ე ვ რ ი პ ი დ ე

ვეღარ დამარწმუნებ! მე ჩემს ტახტს არ დავთმობ!
მასზე ძლიერი ვარ ამ ხელოვნებაში!

დ ი ო ნ ი ს ე

რად დუმხარ, ესქილე? ხომ გესმის, რას ამბობს?!

ე ვ რ ი პ ი დ ე

ო, ჯერ თავს იფასებს; ასე არ შვრებოდა,
ეგ ტრაგედიებშიც? არ მატრაბაზობდა?!

დ ი ო ნ ი ს ე

დაფიქრდი, ძვირფასო; მეტისმეტს ნუ იტყვი.

ე ვ რ ი პ ი დ ე

კარგად შევისწავლე; კარგად გავეცანი
ზვიადად მეტყველებს და ველურთა შემოქმედს;
სადავე არა აქვს, ვერ დაიმორჩილებ,
პირსაც ვერ დაუხშობ ზვაობარქედმაღალს.

ე ს ქ ი ლ ე

მართლა, ნაშიერო სოფლელი ქალღმერთის?
ამას მეუბნები, ჭორების შემკრებო,
ღატაკთა შემქმნელო, ძონძების მკერავო?!
ო, ვერ გაიხარებ!

დ ი ო ნ ი ს ე

შეწყვიტე, ესქილე!
სულ ნუ გაიხურებ შიგანს მრისხანებით!

ე ს ქ ი ლ ე

მე ვერ მოვისვენებ, სანამდე არ ვამხელ
ამ კოჭლთა შემოქმედს, ამდენს რომ მიბედავს!

დ ი ო ნ ი ს ე

მონებო, ბატკანი! შენ, შავი ბატკანი!
გრიგალი აპირებს, მგონი, ამოვარდნას!

ე ს ქ ი ლ ე

შე, შემგროვებელო კრეტულ სიმღერათა,
სისხლის აღრევაზე წერდი ტრაგედიას...

დ ი ო ნ ი ს ე

მოიცა, ესქილე, მრავალღირსეულო!
შენ კი, ევრიპიდე, ჭკუას მოუხმე და
სეტყვას დაემალე, საბრალოვ, სასწრაფოდ,
ახლა საფეთქელში არ მოგხვდეს სიტყვა და
არ ამოგივარდეს თავიდან “ტელეფე”.
რისხვა დაიოკე, ესქილე! აჯობებს,
მშვიდად რომ დასდებდე ბრალს, რადგან პოეტებს
ვაჭარ ქალებივით ლანძღვა არ შეგფერით;
შენ კი მუხასავით აენთე ყვირილით.

ე ვ რ ი პ ი დ ე

მზადა ვარ აწი და უკან არ დავიხევ!
მეც ვუკბენ! ამანაც უკბინოს, თუ უნდა,
სიტყვებს და მუსიკას, ძარღვებს ტრაგედიის;
ღმერთმანი, პელევსსაც, მერმე ეოლესაც,
მერმე მელეაგრეს, ან კიდევ ტელეფეს.

დ ი ო ნ ი ს ე

შენ კი რას აპირებ? მითხარი, ესქილე.

ე ს ქ ი ლ ე

მე აქ პაექრობა არ მსურდა, კამათში
არ ვართ თანაბარნი ჩვენ ორნი.

დ ი ო ნ ი ს ე

ეს რატომ?

ე ს ქ ი ლ ე

ჩემთან არ მომკვდარა ჩემი პოეზია,
ამისი – მოკვდა და ჰადესში ჩამოჰყვა.
და მაინც, რაკი გსურს, დავჰყვები შენს ნებას.

დ ი ო ნ ი ს ე

აბა, მოგვიტანონ ცეცხლი, საკმეველი;
მე უნდა ვილოცო თქვენს პაექრობამდე,
რათა ღირსეულად მოგიწყოთ განკითხვა.
თქვენ – მუზებს უმღერეთ მანამდე სიმღერა.

გ უ ნ დ ი

ზევსის ცხრა ასულო, წმინდა ქალწულნო,
მუზებო, უსმინეთ პოეტთა ბრძნულ და გონივრულ სიტყვებს;
ახლა ესენი პაექრობაში გადაეშვებიან,
მძიმე სიტყვებით ერთიმეორეს შეასკდებიან.

მოდით, მუზებო, ძალა მიაგეთ
საშინელ ბაგეებს, ყოვლისშემძლეებს,
რომ სიტყვა შეიკრას უმტკიცესად.
რამეთუ
იწყება უკვე პაექრობა დიდი სიბრძნისა.

დ ი ო ნ ი ს ე

თქვენ ორმაც ილოცეთ, სანამ დაიწყებდეთ.

ე ს ქ ი ლ ე

დემეტრე, აღმზრდელო ჩემის სულისაო,
ღირსი მექმენ შენივე იდუმალებისა!

დ ი ო ნ ი ს ე

შენაც განემზადე ლოცვისთვის.

ე ვ რ ი პ ი დ ე

მზადა ვარ!
ოღონდ მე სხვა ღმერთებს მივმართავ, იცოდე.

დ ი ო ნ ი ს ე

რა, საკუთარი გყავს მოჭრილი?

ე ვ რ ი პ ი დ ე

დიახაც!

დ ი ო ნ ი ს ე

წადი და შენს ახალ ღმერთებზე ილოცე.

ე ვ რ ი პ ი დ ე

ეთერო, გონების საზრდოვ, სითამამევ,
ენისა, გაგებავ, ყნოსვავ დახვეწილო,
მტერი ღირსეულად მომაცილებინეთ!

აგონი

პ ი რ ვ ე ლ ი ნ ა ხ ე ვ ა რ გ უ ნ დ ი

აჰა, ყველანი ვიწვით სურვილით,
მოვუსმინოთ ბრძენკაცებს, დავინახოთ, სიტყვებით
რა გზას დაადგებიან.
ენა გამხეცებულია,
სიმტკიცით და სიმამაცით
აღსავსეა ორივე.
ახლა უნდა მოველოდეთ,

რომ ფაქიზ და სათუთ სიტყვას
იტყვის ერთი, მეორე კი
სიტყვას თავის ძირიანად
ამოთხრის და შეალეწავს,
სულ დაუნგრევს ლექსუკების ხუხულას.

კ ო რ ი ფ ე ო ს ი

აბა, სასწრაფოდ დაიწყეთ. ილაპარაკეთ გულით,
მეორედ აღარ წამოგცდეთ ერთხელ ნათქვამი სიტყვა.

ე ვ რ ი პ ი დ ე

თავად როგორი გახლავართ, ამას სულ ბოლოს გეტყვით;
ჯერ მსურს, ეს კაცი ვამხილო, – ცრუ, ტრაბახა და ფლიდი.
ეს მატყუარა თეატრში ასულელებდა ყველას,
ვინც გაიარა ისედაც მტკნარი ფრინიქეს სკოლა.
გამოიყვანდა მსახიობს, დაუფარავდა სახეს, –
ვინმე აქილევსს, ნიობეს სადმე დასვამდა მარტოდ;
ამ ტრაგედიის თოჯინებს არ დასცდებოდათ სიტყვაც.

დ ი ო ნ ი ს ე

ღმერთმანი, არ დასცდებოდათ.

ე ვ რ ი პ ი დ ე

და მიყოლებით გუნდი
ოთხ რიგსაც ჩაათავებდა... მსახიობები დუმდნენ.

დ ი ო ნ ი ს ე

მე კი იმათი დუმილი გულს მიამებდა უფრო,
ვიდრე მავანთა ლაყბობა.

ე ვ რ ი პ ი დ ე

რადგან, იცოდე კარგად,
ბრიყვი ბრძანდები.

დ ი ო ნ ი ს ე

რას იზამ! რატომ შვრებოდა ასე?

ე ვ რ ი პ ი დ ე

მატრაბაზობდა! საწყალი მაყურებელი ელის,
რის თქმას აპირებს ნიობე, წარმოდგენა კი მიდის.

დ ი ო ნ ი ს ე

ხედავ ამ თაღლითს?! რამდენგზის მოვტყუებულვარ მისგან!
რისთვის შეგიკრავს წარბები?

ე ვ რ ი პ ი დ ე

არ მოსწონს მე რომ ვამხელ.
ასე რომ გაგასულელებთ, შუაგულშია დრამა.
უეცრად თორმეტიოდე ხარისოდენა სიტყვას,
წარბჩაჩქანმუზარადიანს და საფრთხობელას ისვრის,
რომ ვერ გაიგოს ვერავინ.

ე ს ქ ი ლ ე

ვაი უბედურს!

დ ი ო ნ ი ს ე

ჩუმად!

ე ვ რ ი პ ი დ ე

ერთ ნათელ სიტყვას არ იტყვის!

დ ი ო ნ ი ს ე

(ესქილეს)
ნუ აკრაჭუნებ კბილებს!

ე ვ რ ი პ ი დ ე

სკამანდროსები, თხრილები, გრიფარწივები ფარზე,
სპილენძით გამოჭედილი, ამხედრებული ზმები!
თუ ვაჟკაცი ხარ, გაიგე!

დ ი ო ნ ი ს ე

სწორია, ღმერთებს ვფიცავარ!
მეც მთელი ღამე ვფიქრობდი, არ მიძინია წვეთიც,
რა ჩიტი არის, ნეტავი, შავრა-მამალი-მეთქი.

ე ს ქ ი ლ ე

შე უმეცარო, ხომალდზე ნიშანს ხატავენ ასეთს.

დ ი ო ნ ი ს ე

მე არაქისისი მეგონა, ის, ფილოქსენეს ვაჟი.

ე ვ რ ი პ ი დ ე

მერედა, ტრაგედიაში რა უნდა, ნეტავ, მამალს?!

ე ს ქ ი ლ ე

ო, საძულველო ღმერთთათვის, შენ ვინ გამოგყავს ერთი?!

ე ვ რ ი პ ი დ ე

შავრა-მამლები, შენსავით, და თხა-ირმები არ მყავს,
რადგან მაგათი ადგილი სპარსულ ფარდაგზე გახლავს.

მე შენგან რა ჩავიბარე? რა? – ტრაგედია მძიმე,
გასივებული ტრაბახით, მსუყე სიტყვებით სავსე;
რა უნდა მექნა? პირველად შევამსუბუქე ოდნავ, –
მჩატე სიტყვები მივეცი, გავასეირნე ცოტა,
წიგნიდან გამოწურული ყბედობის წვენი ვასვი,
კეფისოფონტთან შერეულ მონოდიებით ვკვებე;
ენაზე მომდგარს, ყველაფერს აღარ ამბობდა გმირი,
როგორც კი გამოვიდოდა, წარმოაჩენდა ნათლად
დრამის ხასიათს.

დ ი ო ნ ი ს ე

და შენსას ათასჯერ სჯობდა იგი.

ე ვ რ ი პ ი დ ე

პირველი სიტყვებიდანვე არავინ მყავდა უქმად;
სიტყვას ვაძლევდი სუყველას: დედაკაცებს და მონებს,
დედაბრებსაც და ბატონებს, ქალიშვილებსაც.

ე ს ქ ი ლ ე

მერმე,
სიკვდილის ღირსი არა ხარ?!

ე ვ რ ი პ ი დ ე

არა, აპოლონს ვფიცავ!
დემოკრატია – ესაა.

დ ი ო ნ ი ს ე

ეს მიატოვე, კარგო;
შენ ამ საკითხზე მსჯელობა კარგს არ მოგიტანს ახლა.

ე ვ რ ი პ ი დ ე

ამათ ლაყბობა ვასწავლე...

ე ს ქ ი ლ ე

და მეც ამას არ ვამბობ?!
მაგ “სწავლებამდე”, ნეტავი, გამსკდარიყავი თავად!

ე ვ რ ი პ ი დ ე

... და გავაცანი აზომვა და შეფასება ლექსის;
ფიქრი, ჭვრეტა და გაგება, მოტყუება და განსჯა,
ტრფობა და ყველაფრისადმი ეჭვი.

ე ს ქ ი ლ ე

მეც ამას ვამბობ.

ე ვ რ ი პ ი დ ე

მე საოჯახო ამბები შემოვთავაზე სცენას,
რაც ნაცნობია ყველასთვის; ყველას შეეძლო ჩემი
დრამის გაგებაც, გაკიცხვაც. არ ვზვიადობდი ფუჭად,
არ ვღალატობდი გონებას და არ ვაფრთხობდი ვინმეს.
კიკნეს არ ვქმნიდი, არ ვძერწდი "ცხენეჟვანშებმულ" მემნონს.
ან შეადარე ამისი მოსწავლეები ჩემებს:
სად ამის ფორმისიოსი და მეგენეტე მანეს,
წვერიანჰოროლოსანნი, დამცინავმხრელნი ფიჭვის;
სად ჩემი კლეოფონტი და ან თერამენე ბრძენი!

დ ი ო ნ ი ს ე

ო, თერამენე კი არის ჭკუით აღსავსე კაცი;
თუნდაც გასწიროს ბედმა და გაქრეს იმედი ყველა,
უბედურების წარღვნიდან მშრალი ამოვა მაინც.

ე ვ რ ი პ ი დ ე

ერთ-ერთი საუკეთესო
მოსწავლე იყო ნამდვილად...
ხელოვნებაში მსჯელობაც
მე შევიტანე, რომ ყველას
სუყველაფერი გაეგო.
ახლა უკეთაც ხედავენ
და შეკითხვებიც ისწავლეს:
"ეს საქმე როგორ იქნება?
ის ვინ აიღო, მითხარით!"

დ ი ო ნ ი ს ე

ღმერთმანი, ათენელები
შინ რომ მიდიან, იმწუთას
ყვირილს უწყებენ მსახურებს:
"აბა, სად არის ქოთანი?
ამ თევზებს ვინ მოაჭამა
თავები? ჯამი სად არის,
რომ შევიძინე შარშანწინ
სად დაიკარგა ნიორი?
ვინ ეთამაშა ზეთისხილს?"
უწინ კი იყვნენ ჩერჩეტნი,
ბოთე "დედიკოს ბიჭები",
დოყლაპიები სულაც.

მ ე ო რ ე ნ ა ხ ე ვ ა რ გ უ ნ დ ი

"ამას თუ ხედავ, ლომო აქილევს?!"

შენ ამაზე რას იტყვი? ოღონდ ფრთხილად იყავი,
სულმა აღარ წაგძლიოს,
არ გასცილდე ზეთისხილებს.
მძიმე რამეს გაბრალებენ;
მაგრამ შენ კი, რაინდო,
რისხვით ნუღარ უპასუხებ;
ჩამოხსენი იალქნები,
წყალში ფრთხილად შეცურდი;
მერმე ნელა მოუმატე
სიჩქარეს და შეეცადე,
დაიჭირო საიმედო ზურგქარი.

დ ი ო ნ ი ს ე

აბა, პირველო მთელს საბერძნეთში, ვინაც აღმართე სიტყვა კოშკივით
და ტრაგედია მოაჩუქურთმე, ნიაღვარივით მოუშვი სიტყვა!

ე ს ქ ი ლ ე

მე ეს შეხვედრა ბრაზით მახრჩობს და შიგნეულშიაც ცეცხლი მედება,
რომ ამას უნდა გავცე პასუხი; შენ არ გეგონოს, რამე მიჭირდეს.
ჯერ მიპასუხე: რა თვისებებით აღგვაფრთოვანებს დიდი პოეტი?

ე ვ რ ი პ ი დ ე

გონიერებით, ჭკუის სწავლებით; ქალაქებში რომ ადამიანებს
უკეთესებს ვხდით, იმით.

ე ს ქ ი ლ ე

და თუკი არ გააკეთე ასე, პირიქით, –
რიგიანი და კეთილშობილი თუ არამზადად გადააქციე,
რისი ღირსი ხარ?

დ ი ო ნ ი ს ე

სიკვდილის ღირსი! ნუღარ იკითხავ ამას მეორედ.

ე ს ქ ი ლ ე

ახლა კი ვნახოთ, როგორი ხალხი მიიღე ჩემგან თავდაპირველად:
კეთილშობილნი, მაღალ-მაღალნი, ქალაქისათვის თავდადებულნი;
ახლა კი ვინ გყავს? – მატრაბაზები, ჭორიკანები და მასხარები;
ჩემს დროში ხალხი შუბით სუნთქავდა და თეთრფრთიანი მუზარადებით,
საბარკულებით, აღჭურვილობით, შვიდხარიანი ძალგულოვნებით.

ე ვ რ ი პ ი დ ე

ვაიმე, მოდის უბედურება! გამსრესს თავისი მუზარადებით!

დ ი ო ნ ი ს ე

შენ კი, გვითხარი, რა გააკეთე, კეთილშობილნი როგორ გახადე?
ილაპარაკე, ესქილე, ნუ ხარ მზვაობარივით განრისხებული.

ე ს ქ ი ლ ე

დრამა შევქმენი არესით სავსე!

დ ი ო ნ ი ს ე

რომელი დრამა?

ე ს ქ ი ლ ე

“შვიდნი თებეში”.
ვისაც უნახავს, სუყველას უმალ ბრძოლაში ყოფნა მონატრებია.

დ ი ო ნ ი ს ე

სწორედ ეგ არის შენი შეცდომა, თებელები რომ გახადე ჩვენზე
უფრო მამაცნი და მეომარნი! აი, ამისთვის კი იცემები!

ე ს ქ ი ლ ე

თქვენი გაწაფვა მინდოდა სულაც, მაგრამ თქვენ ასე არ მოიქეცით;
მე “სპარსელები” დაგიდგით შემდეგ, იმით მინდოდა, მესწავლებინა,
რომ გულოვნება გმართებთ ყოველთვის; შარავანდედით შევმოსე ბრძოლა!

დ ი ო ნ ი ს ე

რა სასეირო ამბავი იყო, შენ დარიოსი რომ დაიტირე!
გუნდმა ხელი ხელს შემოჰკრა უმალ და დაიბღავლა: “ავა, ავაი!”

ე ს ქ ი ლ ე

აი, ესაა პოეტის საქმე. თავიდანვე ხომ ის გამოგვადგა,
კეთილშობილი ვინც იყო სულით: ორფევსმა მოგვცა მისტერიები
და აგვიკრძალა მანვე მკვლელობა; მკურნალობა და ორაკულები
ხომ მუსეოსმა გვასწავლა, ხოლო ჰესიოდემ კი მიწის საქმე და
ჭირნახულისთვის გარჯა, ხვნა-თესვა; თვით ჰომეროსი, ღმერთთა სადარი,
იმით არ არის სახელგანთქმული, რომ სასარგებლო საქმე გვასწავლა:
ჯარის წყობა და აღჭურვილობა, ომში ქველობა?

დ ი ო ნ ი ს ე

მაგრამ პანტაკლეს
ვერ შეასწავლა, გამოლაყებულს: მხედრიონში რომ იყო ახლახან,
ჯერ მუზარადი დაიდგა თავზე, მერმე ფიქრობდა ფრთის დამაგრებას.

ე ს ქ ი ლ ე

მაგრამ ასწავლა ისეთ ვაჟკაცებს, როგორიც იყო გმირი ლამაქე.
მე, ჰომეროსით შთაგონებული, ლომგულოვანი პატროკლეების

და ტევკრეების სიქველეს ვქმნიდი, რათა სურვილი ჰქონოდა ყველას,
გატოლებოდა ამ გმირებს, როცა საყვირი ბრძოლად მოუწოდებდა;
მაგრამ, ღმერთმანი, არ შემიქმნია გარყვნილი ფედრა და სთენებეა
და ვერც ვერავინ იპოვის ჩემთან შეყვარებული დიაცის სახეს.

ე ვ რ ი პ ი დ ე

რადგანაც შენში წვეთიც არ არის აფროდიტესი!

ე ს ქ ი ლ ე

და ნურც ყოფილა!
სამაგიეროდ, წვეთის სანაცვლოდ შენში ხომ არის მთელი მდინარე!
იმიტომაც ხარ წყალწაღებული.

დ ი ო ნ ი ს ე

ღმერთმანი, სრული სიმართლე გახლავს!
რაც მიაწერე სხვა დედაკაცებს, თავადაც იმან გიყო სიკეთე!

ე ვ რ ი პ ი დ ე

რა დაუშავეს, თქვი, უბედური, ქალაქს იმ ჩემმა სთენებეებმა?

ე ს ქ ი ლ ე

დიდგვაროვანთა დარბაისელი ბანოვანები შეარცხვინე და
თვითმკვლელობამდე მიაყვანინე იმ შენს ჰიპოლიტ-ბელეროფონტებს.

ე ვ რ ი პ ი დ ე

განა ისეთი არ იყო ფედრა, როგორიც მე მყავს გამოყვანილი?

ე ს ქ ი ლ ე

იყო, ღმერთმანი; მაგრამ საძაგელ ამბებს პოეტი უნდა ერიდოს,
სცენა არ უნდა დაუთმოს მაგათ; რადგან ბავშვისთვის მოძღვარი არის
მასწავლებელი, ხოლო დიდისთვის – მოძღვარი უნდა იყოს პოეტი.
მან ახალგაზრდებს პატიოსნება უნდა ასწავლოს.

ე ვ რ ი პ ი დ ე

შენ ლიკაბეტეს
და პარნასოსის სიმაღლის სიტყვებს რომ ქმნი, ისაა პატიოსნება?!
ადამიანურ სიტყვას ვერ იტყვი?!

ე ს ქ ი ლ ე

მაგრამ, ბედშავო, სიტყვა უცილოდ
დიადთა აზრთა და შთანაფიქრთა შესაბამისად უნდა შეიქმნას.
ბუნებრივია, ნახევარღმერთი ამაღლებულად ლაპარაკობდეს
და სამოსელიც განსხვავებული, მავანისაზე ბრწყინვალე ეცვას.
მე ყველაფერი კარგად განვსაზღვრე, შენ – წაახდინე.

ე ვ რ ი პ ი დ ე

რა გავაკეთე?

ე ს ქ ი ლ ე

ჯერ ხომ მეფეებს ძონძი ჩააცვი, რათა ისინი შესაბრალისად
მოჩვენებოდნენ ადამიანებს!

ე ვ რ ი პ ი დ ე

რა დავაშავე, ნეტავი, ამით?

ე ს ქ ი ლ ე

შენგან განსწავლულს შეძლებულთაგან არავის არ სურს ტრიერარქობა,
ყველა ძონძებში გამოხვეულა, კვნესის და ტირის, ღატაკი ვარო.

დ ი ო ნ ი ს ე

დემეტრეს ვფიცავ, ძონძების შიგნით კარგი ქიტონი აცვია, შალის!
ყველას ტყუილით რომ გააცურებს, ამოცურდება თვითონ ბაზარში.

ე ს ქ ი ლ ე

მერმე ლაყბობა, დაუსრულებლად ლაზღანდარობა ასწავლე ყველას;
დაცარიელდა ყველა პალესტრა, უქმად ყოფნაში გაგვინებივრდნენ
და გაგვინაზდნენ ყმაწვილკაცები; პარალოსები გაგვითამაშდნენ,
ისწავლეს ენის შემობრუნება უფროსისათვის; ჩემს სიცოცხლეში
კი რა იცოდნენ? პურს მოითხოვდნენ, დაიძახებდნენ: “ნიჩბებს მოვუსვათ!”

დ ი ო ნ ი ს ე

აპოლონს ვფიცავ, ეხერხებოდათ თალამაქსების გაბითურებაც,
მეინახეთა აყროლებაც და სანაპიროზე ხალხის გაძარცვაც.
ახლა იციან მხოლოდ კამათი, გემს ალთა-ბალთად დაატარებენ.

ე ს ქ ი ლ ე

რა სიავე არ ჩაუდენია?
არ გამოჰყავდა მაჭანკლები და
წმინდა ტაძარში მშობიარენი?
ძმების სარეცელს ზიარებულნი,
რომ კითხულობდნენ, ჩვენი სიცოცხლე
სიცოცხლეაო? ამის გამოა,
ხალხს უსინდისოდ რომ ატყუებენ;
მაიმუნებით, ცრუ მწერლუკებით
რომ გაიჭედა მთელი ქალაქი.
ყველა მცონარე გახდა და ახლა
ვეღარც ჩირაღდნით დარბის ვერავინ.

დ ი ო ნ ი ს ე

ღმერთმანი, მართლაც ვერავინ დარბის!
პანათენეებს რომ ვესწრებოდი,
სიცილით მოვკვდი, ჩამორჩენილი
ვიღაც პატარა, მსუქანი კაცი
სხვებს რომ მისდევდა: კერამიკოსში
დაიჭირეს და ფეხქვეშ გაიგდეს,
უკანალში და ფერდებში ურტყეს.
პატარა კაცმა თავის მტანჯველებს
სულ აუმყრალა ხელისგულები,
ჩააქრო კვარი და მიიმალა.

პ ი რ ვ ე ლ ი ნ ა ხ ე ვ ა რ გ უ ნ დ ი

დიდი საქმე, პაექრობა, მძიმე ბრძოლა გახურდა,
ძნელი არის ამორჩევა:
ერთი მძლავრად უტევს, მაგრამ
მეორესაც შეუძლია, თავი მტკიცედ დაიცვას.
ერთ ადგილზე ნუღარ სხედხართ,
თავდასხმისთვის ჯერ ხომ ბევრი ხერხი არ გიხმარიათ!
შეუტიეთ, იკამათეთ,
მისხალ-მისხალ გაარჩიეთ
ძველიცა და ახალიც.
შეეცადეთ, ლამაზად და ბრძნულად ილაპარაკოთ.

მ ე ო რ ე ნ ა ხ ე ვ ა რ გ უ ნ დ ი

თუკი კიდევ გეშინიათ, ვინმე უცოდინარი
არ აღმოჩნდეს მსმენელებში,
ვერ გაიგოს კოხტად თქმული, –
ეგ ცრუ შიში გახლავთ, ახლა ძველებურად როდია:
გამოცდილი არის ყველა,
წიგნი ყველას უნახავს და ყველამ იცის სიმართლე.
ბევრი ნახეს, შეისწავლეს,
ბუნებამაც უშველათ.
ნუღარაფრის დარდი ნუ გაქვთ,
იპაექრეთ, შეგაფასებთ ბრძენი მაყურებელი.

ე ვ რ ი პ ი დ ე

პირველად, მე მინდა, პროლოგებს შევუდგეთ,
რათა ამ ღირსეულ კაცის ტრაგედიის
პირველი ნაწილი კარგად გავარჩიოთ;
ამბის გადმოცემა ბნელი აქვს ყოველთვის.

დ ი ო ნ ი ს ე

რომელს განიხილავ?

ე ვ რ ი პ ი დ ე

რომელიც იქნება.
თუნდაც “ორესტეას” პროლოგით დაიწყოს.

დ ი ო ნ ი ს ე

ჰერმეს წიაღისა, მფარველო მამისა!
გენუკვი კავშირს და შველას გეაჯები,
რამეთუ დავბრუნდი, მოვედი მიწაზე...

დ ი ო ნ ი ს ე

არის აქ შეცდომა!

ე ვ რ ი პ ი დ ე

თორმეტი არ არის?!

დ ი ო ნ ი ს ე

თორმეტი?! სულ სამი სტრიქონი არ არის?!

ე ვ რ ი პ ი დ ე

და თითოეულში ოცი შეცდომაა.

დ ი ო ნ ი ს ე

მოიცა, ესქილე, არ გირჩევ ლაპარაკს,
ეგ იცის სანაცვლოდ ოთხმოცსაც იპოვის.

ე ს ქ ი ლ ე

ამასთან დავდუმდე?!

დ ი ო ნ ი ს ე

ჰო, თუ დამიჯერებ.

ე ვ რ ი პ ი დ ე

მიწიდან ცამდეა პირველი შეცდომა.

ე ს ქ ი ლ ე

ტყუიხარ!

ე ვ რ ი პ ი დ ე

იყვირე, მე სულ არ მადარდებს!

ე ს ქ ი ლ ე

რას მითვლი შეცდომად?

ე ვ რ ი პ ი დ ე

დაიწყე თავიდან.

ე ს ქ ი ლ ე

ჰერმეს წიაღისა, მფარველო მამისა...

ე ვ რ ი პ ი დ ე

ორესტე არ ამბობს ამას სამარესთან
გარდაცვლილ მამისა?

ე ს ქ ი ლ ე

ამას არ უარვყოფ.

ე ვ რ ი პ ი დ ე

ჰერმესს აქ რა უნდა? მამა ხომ დაღუპა
მისივე მეუღლემ ძალდატანებით და
ფარული მზაკვრობით! ვის ფ ა რ ა ვ ს ჰერმესი?

ე ს ქ ი ლ ე

ამაზე არც ამბობს, წიაღის ჰერმესს კი
მოუხმო, რამეთუ სურდა გაცხადება,
რომ ზევსის უფლება ახლა მის ხელშია.

ე ვ რ ი პ ი დ ე

ეს უარესია, ვიდრე მე მეგონა!
თუ ზევსის უფლება ჰერმესის ხელშია...

დ ი ო ნ ი ს ე

...მაშინ შეუბილწავს შვილს მამის საფლავი.

ე ს ქ ი ლ ე

ჩემო დიონისე,არ ვარგა ეგ ღვინო.

დ ი ო ნ ი ს ე

განაგრძე წაკითხვა. შეცდომა ეძებე.

ე ს ქ ი ლ ე

გენუკვი კავშირს და შველას გეაჯები,
რამეთუ დავბრუნდი, მოვედი მიწაზე...

ე ვ რ ი პ ი დ ე

აქ განმეორება ინება ესქილემ.

დ ი ო ნ ი ს ე

რა გაიმეორა?

ე ვ რ ი პ ი დ ე

აბა, დაუკვირდი:
ბრძანა, დავბრუნდიო, “მოვედი მიწაზე”.
“დავბრუნდი”, მოვედი”, სულ ერთი არ არის?

დ ი ო ნ ი ს ე

ღმერთმანი, ვიღაცამ რომ უთხრას მეზობელს:
“ცოტა ხნით მათხოვე ან ვარცლი, ან გობი”.

ე ს ქ ი ლ ე

ეს ასე როდია, მოლაყბე კაცუნავ,
არ არის სულ ერთი! სწორად მიწერია!

ე ვ რ ი პ ი დ ე

როგორღა? მითხარი, მეც გამაგებინე.

ე ს ქ ი ლ ე

“მოვედის” ის იტყვის, ვისაც აქვს სამშობლო
და გაძევებული არასდროს ყოფილა;
ხოლო განდევნილი – “დავბრუნდი, მოვედის”.

დ ი ო ნ ი ს ე

კარგია, ღმერთმანი! რაო, ევრიპიდე?

ე ვ რ ი პ ი დ ე

მე კი ორესტეზე “დაბრუნდას” არ ვიტყვი, –
ფარულად მოვიდა, არავინ იცოდა.

დ ი ო ნ ი ს ე

კარგია, ღმერთმანი!.. ვერ მივხვდი, რას ამბობ.

ე ვ რ ი პ ი დ ე

ბარემ დაასრულე.

დ ი ო ნ ი ს ე

მიდი, დაასრულე,
ესქილე. შენ, ცუდი რა არის, უყურე.

ე ს ქ ი ლ ე

სამარის მიწიდან ვთხოვ, რომ გამიგონოს
მამამ და მისმინოს.

ე ვ რ ი პ ი დ ე

ისევ იმეორებს!
რაც გაგონებაა, მოსმენაც ისაა!

ე ს ქ ი ლ ე

გარდაცვლილს მოუხმობს, სულელო! იმას კი
ვერას გააგონებ, სამგზისაც რომ უხმო.
შენ როგორ პროლოგებს გვიწერდი?

ე ვ რ ი პ ი დ ე

მე გეტყვი.
თუ გავიმეორო, ან თუ სარეველა
მიპოვე სიტყვაში, თვალებში მაფურთხე.

დ ი ო ნ ი ს ე

აბა, წაგვიკითხე, სხვა საქმე მე არ მაქვს:
უნდა მოვისმინო შენი პროლოგებიც.

ე ვ რ ი პ ი დ ე

მეფე ოიდიპოს, ადრე ბედნიერი...

ე ს ქ ი ლ ე

არა, ბედნიერი არასდროს ყოფილა!
მის დაბადებამდე ბრძანა აპოლონმა,
რომ მამას მოკლავდა; როგორ იქნებოდა
ის კაცი ოდესმე ოდნავ ბედნიერიც?!

ე ვ რ ი პ ი დ ე

... ბოლოს უბედური შეიქნა ყველაზე.

ე ს ქ ი ლ ე

ღმერთმანი, ასეთი იყო თავიდანვე.
რად არ იქნებოდა? ის რომ დაიბადა,
ზამთარი იდგა და ქოთანში ჩააგდეს,
რომ გაზრდილს მშობელი მამა არ მოეკლა;
მერმე პოლიბესთან მივიდა კოჭლობით;
ბოლოს მოიყვანა ცოლად დედაბერი,
თან დედაც აღმოჩნდა; თავიც საკუთარი
ხელით დაიბრმავა.

დ ი ო ნ ი ს ე

ბედი ექნებოდა,
ერასინიდესთან რომ ესტრატეგოსა!

ე ვ რ ი პ ი დ ე

მიჰქარავ! პროლოგებს მე კარგად ვაკეთებ!

ე ს ქ ი ლ ე

ახლა სათითაოდ ვერ დავედევნები
შენს ყველა გამოთქმას. ღმერთებმა ინებონ
და მაგ შენს პროლოგებს ჭინჭილით წაგიქცევ.

ე ვ რ ი პ ი დ ე

ჭინჭილით? პროლოგებს?

ე ს ქ ი ლ ე

ჰო, ეგეც გეყოფა.
შენ ისეთ ლექსებს წერ, ჭინჭილა კი არა,
ჩარექი, ჭარიკი, ქვევრიც მიუდგება;
ამას მე ახლავე ნათლად დაგიმტკიცებ!

ე ვ რ ი პ ი დ ე

ვაჰ! შენ დამიმტკიცებ?

ე ს ქ ი ლ ე

ჰო-მეთქი!

დ ი ო ნ ი ს ე

დაიწყე!

ე ვ რ ი პ ი დ ე

ასეა ნათქვამი: თავის ორმოცდაათ
ვაჟკაცთან ერთად რომ მოადგა ხომალდით
არგოსს, ეგვიპტოსმა...

ე ს ქ ი ლ ე

ჭინჭილა დაკარგა.

დ ი ო ნ ი ს ე

ჭინჭილას რა უნდა ამ ლექსში? ახალი
პროლოგი დაიწყე, კიდევ გამოვცადოთ.

ე ვ რ ი პ ი დ ე

მაღალ პარნასოსზე, ჩირაღდნის ნათელში
გუნდს რომ უძღვებოდა, ტყავში გახვეულმა
ღმერთმა დიონისემ...

ე ს ქ ი ლ ე

ჭინჭილა დაკარგა.

დ ი ო ნ ი ს ე

ვაიმე, ხელახლა დაგვეცა ჭინჭილა!

ე ვ რ ი პ ი დ ე

ყოველთვის ასე ხომ ვერ იზამს! ამ პროლოგს
ველარ მიაწებებს იმ წყეულ ჭინჭილას:
ყველგან ბედნიერი კაცი ვერ იქნება;
იქნებ გვაროვანმა სარჩოც ვერ იპოვოს,
ხოლო უაზნომ კი...

ე ს ქ ი ლ ე

ჭინჭილა დაკარგოს.

დ ი ო ნ ი ს ე

კაცო, ევრიპიდე!

ე ვ რ ი პ ი დ ე

რაო?

დ ი ო ნ ი ს ე

ჩამოხსენი
აფრები! ჭინჭილამ მაგრად შეუბერა!

ე ვ რ ი პ ი დ ე

დემეტრეს ვფიცავარ, არც კი გავიფიქრებ!
მაგ "ჭინჭილფარხმალსაც" სულ დავაყრევინებ!

დ ი ო ნ ი ს ე

აბა, სხვა დაიწყე. უფრთხილდი ჭინჭილას!

ე ვ რ ი პ ი დ ე

სიდონის ქალაქს რომ გამოსცდა, კადმოსმა,
ძემ აგენორისა...

ე ს ქ ი ლ ე

ჭინჭილა დაკარგა.

დ ი ო ნ ი ს ე

კაცო, შეეხვეწე, მოგყიდოს ჭინჭილა,
თორემ სულ დაღუპავს პროლოგებს.

ე ვ რ ი პ ი დ ე

ეს როგორ?!
მე უნდა ვეხვეწო?

დ ი ო ნ ი ს ე

ჰო, თუ დამიჯერებ.

ე ვ რ ი პ ი დ ე

ო, არა! მარაგში კიდევ მაქვს პროლოგი,
ვეღარ მიაწებებს ზედ თავის ჭინჭილას:
პისას რომ მოადგა ცხენებით, ტანტალეს
ვაჟკაცმა, პელოფსმა...

ე ს ქ ი ლ ე

ჭინჭილა დაკარგა.

დ ი ო ნ ი ს ე

მაინც მიუმატა თავისი ჭინჭილა.
იქნება მოგვყიდო, რას იტყვი? იშოვი
მაგაზე უკეთესს ორიოდ ობოლად.

ე ვ რ ი პ ი დ ე

ღმერთმანი, კიდევ მაქვს მრავალი პროლოგი!
ენევსმა მინდორში...

ე ს ქ ი ლ ე

ჭინჭილა დაკარგა.

ე ვ რ ი პ ი დ ე

ჯერ სრული სტრიქონი მაინც მათქმევინე!
ენევსმა მინდორში აღებულ მოსავლის
წილი რომ შესწირა...

ე ს ქ ი ლ ე

ჭინჭილა დაკარგა.

დ ი ო ნ ი ს ე

ეგ როგორ? წირვის დროს? ვინმემ მოიპარა?

ე ვ რ ი პ ი დ ე

თავი დაანებე, ძვირფასო. ახლა თქვას!
ჭეშმარიტადაა ნათქვამი, რომ ზევსმა...

დ ი ო ნ ი ს ე

დამღუპავ! ხომ იტყვის: “ჭინჭილა დაკარგა!”
ჭინჭილას ლექსიდან ვეღარ მოიცილებ,
როგორც ქუთუთოზე ამოსულ ჯიბლიბოს.
ახლა სიმღერებზე გადადით, გაფიცებთ!

ე ვ რ ი პ ი დ ე

ახლავე გაჩვენებთ, როგორ წერს სიმღერებს,

სულ რომ იმეორებს ერთსა და იმავეს!

პ ი რ ვ ე ლ ი ნ ა ხ ე ვ ა რ გ უ ნ დ ი

რა მოხდება, ნეტავ, აწი?
საფიქრალი კიდევ დამრჩა:
რა გასაკიცხს უნახავს
კაცს, რომელიც სიმღერებით
ამჟამინდელ ტრაგიკოსებს
ბევრად აღემატება?
მიკვირს! ნეტავ რას უპოვის,
ანდა როგორ გაკიცხავს
ბაკქეურის მეუფეს?
მეშინია ამისი.

ე ვ რ ი პ ი დ ე

გასაოცარია მისი სიმღერები;
სუყველა ერთ ხმაზე რომ დაიყვანება!

დ ი ო ნ ი ს ე

მე კენჭებს ავიღებ და დათვლას დავიწყებ.

ე ვ რ ი პ ი დ ე

“ლომო აქილევს! ხომ გესმის ბრძოლის ხმა და ქვითინი!
ვაჰ, რა ტანჯვაა! რად არ გვეშველები?!
ჰერმესს, მეუფეს ჩვენსა და წინაპარს, მოვუხმობთ ტბასთან;
ვაჰ, რა ტანჯვაა! რად არ გვეშველები?!”

დ ი ო ნ ი ს ე

ესქილე, ეს უკვე მეორე “ტანჯვაა!”

ე ვ რ ი პ ი დ ე

“სახელმორჭმულო ატრევსის ძეო, ხალხთა მეუფეო, მითხარი:
ვაჰ! რა ტანჯვაა! რად არ გვეშველები?!”

დ ი ო ნ ი ს ე

ესქილე, ეს უკვე მესამე “ტანჯვაა!”

ე ვ რ ი პ ი დ ე

“დადუმდით, ტაძარს არტემისისა გააღებენ ქურუმნი ქალნი.
ვაჰ! რა ტანჯვაა! რად არ გვეშველები?!
ღვთიური ნიშანი მომეცა! გმირებს წარმატება ელით!
ვაჰ! რა ტანჯვაა! რად არ გვეშველები?!”

დ ი ო ნ ი ს ე

ზევსო მეუფეო! მართლა დავიტანჯე!
ახლავე აბანოს უნდა მივაკითხო:
თირკმლები გამისკდა ამდენი ტანჯვისგან.

ე ვ რ ი პ ი დ ე

ჯერ უნდა უსმინო სხვა წყობის სიმღერას,
რომელიც კითარის თანხლებით სრულდება.
“აქაველთა ორი ტახტის დარად მთელი საბერძნეთი,
ტოფლატოთრატოფლატოთრატ,
სფინქსს, შავი დღის ძუკნა-პრიტანს, გააგზავნის,
ტოფლატოთრატოფლათოტრატ,
საზარელი გველეშაპი შუბითა და მსახვრალ ხელით,
ტოფლატოთრატოფლათოტრატ,
შესახვედრად ცაში მფრინავ ძაღლებს უხმობს,
ტოფლატოთრატოფლათოტრატ,
აიანტის წინააღმდეგ,
ტოფლატოთრატოფლათოტრატ.

დ ი ო ნ ი ს ე

ვინ არის ფლატორთა? მარათონელია?
ჭიდან წყალს რომ იღებ, იმის სიმღერაა!

ე ს ქ ი ლ ე

მე მშვენიერიდან კვალად მშვენიერში
გარდავთქვი სიმღერა, რათა ფრინიქესთან
ვარდი არ მეკრიფა მუზათა ჭალაში.
ამისთვის სულ ერთი იყო და აიღო
მელეტეს სუფრულიც, კარიის სიმღერაც,
ცეკვაც, დატირებაც; ახლავე გაჩვენებთ.
ლირა მომიტანეთ! თუმცა რა საჭირო
იქნება ის ლირა? არა, საჟღარუნო
ეჟვანი მჭირდება! აქეთ, ევრიპიდეს
მუზავ, შესაფერი სიმღერა გიმღერო.
(შემოდის ეჟვნებიანი მოცეკვავე ქალი.)

დ ი ო ნ ი ს ე

რაღაც არ ეტყობა მას ლესბოსელობა!

ე ს ქ ი ლ ე

“ზღვის თოლიებო, მუდმივადმედინ ტალღებში
ტკბილად ჟღურტულებთ მარად,
ისევ და ისევ ისველებთ,

წყალში დალბობილ ფრთათა ზედაპირს;
სხვენის კუთხეში ობობას თითები
ააააააახვევენ ააბლაბუდას,
ჟღერადი მაქოს ქმნილებას,
ფეიქრის დაზგის საგალობელს.
ხოლო მუსიკის მოყვარული
დელფინი გემთან თამაშობს
ორაკულების სიგრძით.
აყვავებული ვენახის
მორჩო კეთილო, შრომათდამხსნელო,
მშობელი გულში ჩამიკარი".
ხედავ, რა საზომს ხმარობს?

დ ი ო ნ ი ს ე

ვხედავ.

ე ს ქ ი ლ ე

როგორ, ამას ხედავ?

დ ი ო ნ ი ს ე

ვხედავ.

ე ს ქ ი ლ ე

ამის ავტორი გაბედავს
ჩემი სიმღერის გინებას?
რას ქმნი შენ თვითონ? კახპასავით
თორმეტჯერ იცვლი პოზას!
საგუნდო ნაწილში ასეთი ბრძანდები;
აწ მონოდიაშიც მინდა, გამოგცადო.
"შავო წყვდიადო ღამისა,
ეს რა უბედურ სიზმარს მიგზავნი
ბნელი ჰადესის წიაღიდან?
სული უსულო
აქვს ამ ზმანებას; შემზარავი
და ამაზრზენი, ძაძით მოსილი
შვილია ღამის; სისხლიანია, სისხლიანია
იმისი მზერა! საშინელია ბრჭყალები!
მოახლეებო, სწრაფად ამინთეთ ჭრაქი!
აბა, წყაროდან ამომიტანეთ და გამიცხელეთ წყალი!
მე ამ ჩვენებას მსხვერპლი თუ ჩამომბანს!
იო, ღვთაებავ ზღვისა!
ო, მეზობლებო, შეხედეთ,
ამ საოცრებას უყურეთ!

ჩემი წამალი მოიტაცა და სადღაც
გაიქცა გლიკე!
დამაჭერინეთ, ნიმფებო,
დამაჭერინე, მანია!
მე უბედური
სულ შრომაში ვარ და ამ ძაფებს
ვააახვევ და გორგლს ვაკეთებ;
გათენებამდე როგორმე
მინდა მოვასწრო დილით
მივიტან, გავყიდი.
ის კი ეთერში გაფრინდა, გაფრინდა
მსუბუქი ფრთების ფარფატით!
მე დამიტოვა ნაღველი;
თვალთაგან ცრემლი, თვალთაგან ცრემლი
მცვიოდა, მცვიოდა უბედურს!
მაგრამ კრეტელნო, იდას ძენო,
მომეშველენით, მშვილდებს დაავლეთ ხელი!
ამოძრავდით და ამ სახლს სწრაფად გარსშემოერტყით!
ტურფა არტემის, ნორჩო დიქტინა, შენაც
მცირე ძალებით ყოველნაირად სახლი შეისწავლე;
შენ კი, ჰეკატე, ზევსის ასულო,
გამიჩირაღდნე გზა გლიკესაკენ, –
შევუვარდები და სახლს გავუჩხრეკ!”

დ ი ო ნ ი ს ე

შეწყვიტეთ სიმღერა!

ე ს ქ ი ლ ე

თვითონაც მომბეზრდა.
ახლა კი სასწორთან მინდა მივიყვანო;
სასწორს შეუძლია, სიტყვებს თუ აწონის,
სწორად შეაფასოს ჩვენი პოეზია.

დ ი ო ნ ი ს ე

აქ მოდით ორივე! ყველის ვაჭარივით
აგწონით თქვენცა და თქვენს პოეზიასაც.

მ ე ო რ ე ნ ა ხ ე ვ ა რ გ უ ნ დ ი

უცნაური არ არის?
საოცარი არ არის?
სასწაული არ არის?
კაცი რას არ მოიფიქრებს!
ვიღაცა რომ შემხვედროდა,

ეს ამბავი მოეყოლა,
მე ხომ არ დავუჯერებდი,
რაებს როშავ-მეთქი!
(შემოაქვთ ვეებერთელა სასწორი.)

დ ი ო ნ ი ს ე

სასწორთან დადექით ორივე!

ე ს ქ ი ლ ე დ ა ე ვ რ ი პ ი დ ე

დავდექით.

დ ი ო ნ ი ს ე

აბა, დაიჭირეთ; ხელი არ გაუშვათ,
სანამდე მე “კუკუს” არ ვიტყვი, მანამდე.

ე ს ქ ი ლ ე დ ა ე ვ რ ი პ ი დ ე

გვიჭირავს.

დ ი ო ნ ი ს ე

სასწორზე დადეთ სტრიქონები!

ე ვ რ ი პ ი დ ე

“არგო რომ ამგვარად არ გაფრენილიყო”...

ე ს ქ ი ლ ე

“მდინარე სპერქიოს, ხართა საძოვრებო”...

დ ი ო ნ ი ს ე

კუკუ!

ე ს ქ ი ლ ე დ ა ე ვ რ ი პ ი დ ე

ჩვენ გავუშვით.

დ ი ო ნ ი ს ე

ესქილეს პინაა
დაბლა დაწეული.

ე ვ რ ი პ ი დ ე

მიზეზი რა არის?

დ ი ო ნ ი ს ე

რაა და “მდინარით” ლექსი დაამძიმა;
მატყლის გამყიდველიც მატყლს ასე ასველებს;
შენი სტრიქონი კი მსუბუქად “აფრინდა”.

ე ვ რ ი პ ი დ ე

სხვა რამეს ვიტყვი და დამიპირისპირდეს.

დ ი ო ნ ი ს ე

ისევ დაიჭირეთ!

ე ს ქ ი ლ ე დ ა ე ვ რ ი პ ი დ ე

გვიჭირავს.

დ ი ო ნ ი ს ე

დაიწყეთ!

ე ვ რ ი პ ი დ ე

“მხოლოდღა ს ი ტ ყ ვ ა ა ტაძარი რ წ მ ე ნ ი ს ა ”...

ე ს ქ ი ლ ე

“მხოლოდ თ ა ნ ა ტ ო ს ი გაურბის საბოძვარს”.

დ ი ო ნ ი ს ე

გაუშვით!

ე ს ქ ი ლ ე დ ა ე ვ რ ი პ ი დ ე

გავუშვით.

დ ი ო ნ ი ს ე

კვლავ ამან დასწია,
მძიმე თ ა ნ ა ტ ო ს ი – სიკვდილი დაადო.

ე ვ რ ი პ ი დ ე

მე რ წ მ ე ნ ა დავადე, ბრწყინვალე სიტყვაა!

დ ი ო ნ ი ს ე

რწმენა მსუბუქია, გონებაც არ ახლავს.
სხვა რამე მოძებნე, მძიმე და მაგარი,
იქნებ გადასწონო ამისი სიტყვები.

ე ვ რ ი პ ი დ ე

მექნება ასეთი?

დ ი ო ნ ი ს ე

გეტყვი: “აქილევსმა
ორი იაქე და ჩარი გააგორა”.
დაიწყეთ! ეს ბოლო აწონვა იქნება.

ე ვ რ ი პ ი დ ე

“უმალვე რკინის კეტს დაავლო მარჯვენა”...

ე ს ქ ი ლ ე

“ეტლი ეტლს დაეცა და ცხედარს ცხედარი”...

დ ი ო ნ ი ს ე

ისევ გაგაბრიყვა.

ე ვ რ ი პ ი დ ე

როგორ მოახერხა?

დ ი ო ნ ი ს ე

ეტლებიც დაყარა, ცხედრებიც დააწყო;
ამას ვერ ასწევდა ასი ეგვიპტელიც.

ე ს ქ ი ლ ე

რად გვინდა სტრიქონი? ავიდეს სასწორზე
ეს კაცი ცოლ-შვილით და კეფისოფონტიც
მაგათთან დაბრძანდეს, წიგნებიც აიღონ;
ორ სტრიქონს ვიტყვი და მაინც გადავწონი.

შემოდის პ ლ უ ტ ო ნ ი და მისი ამალა.

დ ი ო ნ ი ს ე

მეგობრებს მსაჯულად მე ვერ დავუდგები,
ეტყობა, არჩევანს მე ვერ გავაკეთებ:
ეს ბრძნად მიმაჩნია, ის მიყვარს ძალიან.

პ ლ უ ტ ო ნ ი

რისთვისაც მოსულხარ, იმას არ აკეთებ?

დ ი ო ნ ი ს ე

და თუ გავაკეთებ?

პ ლ უ ტ ო ნ ი

წაიყვან, რომელსაც
აირჩევ, ტყუილად ხომ არ ხარ მოსული!

დ ი ო ნ ი ს ე

ო, დიდი მადლობა! მისმინეთ ორივემ!
მე აქ პოეტისთვის მოვსულვარ.

ე ვ რ ი პ ი დ ე

რად გინდა?

დ ი ო ნ ი ს ე

მინდა, რომ ქალაქმა ზეიმი მოაწყოს.
თქვენ ორში ვინც უფრო ბრძნულს ურჩევს ჩვენს ქალაქს,
ვინც მეტს გაუკეთებს, მეც იმას წავიყვან.
პირველად ეს ვნახოთ: ალკიბიადეზე
რას ფიქრობთ? ქალაქი აღელვებულია.

ე ვ რ ი პ ი დ ე

ხალხი კი რას ფიქრობს?

დ ი ო ნ ი ს ე

რას უნდა ფიქრობდეს?
უყვართ, ეჯავრებათ, მაინც სურთ, რომ ჰყავდეთ.
მითხარით, თქვენ თვითონ როგორი აზრის ხართ?

ე ვ რ ი პ ი დ ე

მძულს ის მოქალაქე, რომელიც სამშობლოს
კარგისთვის ზანტია, ცქვიტია ცუდისთვის;
თავისთვის ძლიერი, სხვებისთვის უძლური.

დ ი ო ნ ი ს ე

კარგია, ღმერთმანი! შენ რა აზრისა ხარ?

ე ს ქ ი ლ ე

ქალაქში ლომები არ უნდა დაზარდო;
თუ გაზრდი, კიდევაც უნდა გაუგონო.

დ ი ო ნ ი ს ე

მფარველო უფალო! მიჭირს გადაწყვეტა.
ერთმა თქვა ბრძნულად და მეორემ გარკვევით.
მაშ, კიდევ მოგიწევთ აზრების გამოთქმა:
მითხარით, ქალაქის შველაზე რას ფიქრობთ?

ე ვ რ ი პ ი დ ე

ვინმემ კლეოკრიტეს ფრთებად კინესია
მისცეს, რომ ქარებმა ზღვისკენ გააქროლონ...

დ ი ო ნ ი ს ე

რას ვისეირნებდით! რის თქმას აპირებდი?

ე ვ რ ი პ ი დ ე

... რათა იქ იბრძოლონ გემებზე. საძმარით
ძმარი სულ თვალებზე შეასხან მომხდურებს.
მე ვიცი და მინდა, რომ გითხრათ.

დ ი ო ნ ი ს ე

გვითხარი.

ე ვ რ ი პ ი დ ე

საეჭვო რაც არის, სანდოდ მივიჩნიოთ,
სანდო კი საეჭვოდ.

დ ი ო ნ ი ს ე

ეს როგორ? ვერ მივხვდი!
უფრო გასაგებად და ნათლად გვითხარი.

დ ი ო ნ ი ს ე

ყოჩაღ, პალამედე, ცბიერო გონებავ!
ეს შენ მოიფიქრე თუ კეფისოფონტმა?

ე ვ რ ი პ ი დ ე

ბევრი მე, საძმარე კი კეფისოფონტმა.

დ ი ო ნ ი ს ე

აბა, შენ რას იტყვი?

ე ს ქ ი ლ ე

ჯერ თქვი, სათავეში
პატიოსნებია?

დ ი ო ნ ი ს ე

როგორ იქნებიან?
ვის მოსწონს ისინი? – მხოლოდ საძაგლები!

ე ს ქ ი ლ ე

რა ჰქნას სახელმწიფომ, თუ ხალხი არა ჰყავს?
რაღა გადაარჩენს იმ ქალაქს, რომელსაც
არც ჯვალო უხდება, არც ტყავი ძვირფასი?

დ ი ო ნ ი ს ე

შენაც მოიფიქრე, თუ გინდა წამოსვლა.

ე ს ქ ი ლ ე

მე იქ კი ვიტყოდი, აქ არ მსურს რატომღაც.

დ ი ო ნ ი ს ე

არა, ჯერ აქედან ურჩიე რაიმე.

ე ს ქ ი ლ ე

მტრის მიწა საკუთარ მიწად ჩაითვალოს,
ხოლო საკუთარი მტერს უნდა დაეთმოს.

ხსნა ხომალდებშია და არა ხარჯებში.

დ ი ო ნ ი ს ე

მაინც მოსამართლე შეჭამს გადასახადს.

პ ლ უ ტ ო ნ ი

რაო, გადაწყვიტე?

დ ი ო ნ ი ს ე

ასე მოვიქცევი:
“რომელიც გულს უნდა, მეც იმას ავირჩევ”.

ე ვ რ ი პ ი დ ე

გახსოვდეს ღმერთები, რომელთაც შეჰფიცე,
რომ შინ წამიყვანდი, მე ამომირჩიე!

დ ი ო ნ ი ს ე

“ენამ დაიფიცა”... ესქილეს ავირჩევ.

ე ვ რ ი პ ი დ ე

კაცო საზიზღარო, ეს რა გააკეთე?!

დ ი ო ნ ი ს ე

რა და გამარჯვება ვუბოძე ესქილეს.

ე ვ რ ი პ ი დ ე

თავი მომჭერი და თვალებშიც მიყურებ?!

დ ი ო ნ ი ს ე

მხარს მაყურებელიც არ გიჭერს, ხომ ხედავ.

ე ვ რ ი პ ი დ ე

რა გელაპარაკო, გარდაცვლილს დამცინი.

დ ი ო ნ ი ს ე

“ვინ იცის, სიცოცხლე იქნებ სიკვდილია”,
წადილი – სადილი, ღვიძლი კი – ღვიძილი!

პ ლ უ ტ ო ნ ი

აბა, დიონისე, შემოდით!

დ ი ო ნ ი ს ე

რა ხდება?

პ ლ უ ტ ო ნ ი

მე გიმასპინძლდებით წასვლამდე.

დ ი ო ნ ი ს ე

კარგია!
ღმერთმანი, ეს საქმე მე არ მეჯავრება.

შედიან პლუტონის სახლში.

ექსოდოსი

პ ი რ ვ ე ლ ი ნ ა ხ ე ვ ა რ გ უ ნ დ ი

სტრ.
არაერთგზის დავრწმუნდი, რომ
ბედნიერი მაშინ ხარ,
სრულყოფილი გონება
თუ მუდმივად შენთან არის.
გონიერი კაცია, –
კვლავ მიწაზე დაბრუნდება,
გაახარებს თავის ქალაქს,
მეგობრებს და ნათესავებს,
რადგან შერჩა ძველი სიბრძნე.

მ ე ო რ ე ნ ა ხ ე ვ ა რ გ უ ნ დ ი

ანტ.
კარგია, რომ სოკრატესთან
არ დაჯდები სალაყბოდ,
მუზებს არ მიატოვებ,
არ უარყოფ არასოდეს
ტრაგედიის ნაწილებს.
ხოლო მაღალფარდოვანი
სიტყვიერი სიცბიერით
დროის კარგვა არის საქმე
ჭკუანაღრძობ კაცისა.

სახლიდან გამოდიან პლუტონი, დიონისე და ესქილე.

პ ლ უ ტ ო ნ ი

მაშ, გაიხარე, ესქილე, წადი
და დაიხსენი ჩვენი ქალაქი.
კარგად დამოძღვრე, ბრძნულად აღზარდე
უგუნურები, – ბლომად არიან.
(ხანჯალს აძლევს)
ჩემგან კლეოფონტს ეს გადაეცი,
(თოკს გადასცემს)
ეს მიუტანე გადასახადის
ამკრეფებს – მორმექსს და ნიკომაქეს.
(საწამლავიან ჯამს აძლევს)
ეს – არქენომეს. მაგათ უთხარი,
მალე მესტუმრონ, ჩემთან ჩამოსვლას
ნუ აყოვნებენ. თუკი სასწრაფოდ
არ მეწვევიან, აპოლონს ვფიცავ,
უმალ დავშანთავ; მერმე მივაკრავ
ადიმანტეს და ლევკოლოფესაც
და ჩამოვრეკავ სუყველას ქვევით.

ე ს ქ ი ლ ე

ამას გპირდები. შენ ჩემი ტახტი
სოფოკლეს მიეც, რათა დაიცვას
და შემინახოს, რადგან ოდესმე
დაგიბრუნდებით. ეგ მიმაჩნია
სიბრძნით მეორედ. კარგად გახსოვდეს,
ფრთხილად იყავი, რომ ის თაღლითი,
ის ცრუსიტყვა და მასხარა კაცი
არ დაეუფლოს ჩემს ტახტს მზაკვრულად
და თვითნებურად ზედ არ დასკუპდეს.

პ ლ უ ტ ო ნ ი

აბა, აანთეთ წმინდა ლამპრები,
მაღლა ასწიეთ, უკან მიჰყევით!
მოასმენინეთ პოეტს მისივე
სიმღერები და საგალობლები!

კ ო რ ი ფ ე ო ს ი

წიაღის უფალნო, ჩვენს პოეტს უსურვეთ კეთილი მგზავრობა!
გზები დაულოცეთ, რომლითაც მიაღწევს სინათლის ქვეყანას.
ჩვენს ქალაქს ვუსურვებთ სიკეთეს, სიხარულს და ბედნიერებას.
მალე ყოველგვარი უბედურებისგან გავთავისუფლდებით,

მალე გადავრჩებით სამხედრო ბეგარას! ხოლო კლეოფონტმა
და სხვებმაც, ვისაც სურთ,საკუთარ სამშობლოს მინდვრებში იბრძოლონ!

განმარტებანი

კომედია დაიდგა ფილონიდეს სახელით ძვ. წ. 405 წ. ლენეებზე და კომედიოგრაფოსთა ასპარეზობაში მან პირველი ადგილი დაიკავა; მეორე იყო ფრინიქეს "მუზები", ხოლო მესამე – პლატონ კომიკოსის "კლეოფონტი". არისტოფანეს ამ კომედიას ისეთი დიდი პატივი და მოწონება ხვდა წილად, რომ იგი ხელახლა დაიდგა ან იქვე, ლენეებზე, ან იმავე წლის დიდ დიონისეებზე. ასეთი რამ უიშვიათესი იყო იმ დროისათვის.

406 წელი უბედური აღმოჩნდა ათენის კულტურული ცხოვრებისათვის. ამ წელს მიყოლებით გარდაიცვალნენ დიდი ტრაგიკოსები: ევრიპიდე, სოფოკლე და აგათონი. ათენის ლიტერატურული დიდება სამხედრო ძლიერების დაცემასთან ერთად კნინდებოდა. თეატრის ღმერთი დიონისე დიდი პოეტის გარეშე დარჩა...

კომპოზიციური თვალსაზრისით "ბაყაყებში" განსაკუთრებით თვალშისაცემია ორი გუნდის არსებობა. უცნაურია, რომ კომედიას სახელი მისცა არა მთავარმა გუნდმა, რომელიც მაყურებელს მიმართავდა პარაბასისში, არამედ მეორეული მნიშვნელობის გუნდმა, რომლის ფუნქცია გაცილებით უფრო მოკრძალებულია და რომელიც, შესაძლოა, არც კი ჩანდა სცენაზე.

კომედიოგრაფოსმა ერთმანეთს დაუპირისპირა ძველი, ძლიერი ათენი და ახალი, დაკნინებული და დაღუპვის გზაზე დამდგარი ქალაქი-სახელმწიფო. ძველ, აღმავლობის ეპოქის ათენს განასახიერებს ესქილე, ხოლო ახალს, დეკადანსის ეპოქისას – ევრიპიდე.

პიესა აშკარად იყოფა სამ ერთმანეთისაგან თითქმის დამოუკიდებელ ნაწილად: 1. დიონისეს მოგზაურობა ჰადესში (ე. წ. "კატაბასისი"), 2. ზედმიწევნით პოლიტიკური ხასიათის პარაბასისი და 3. ლიტერატურულ-ესთეტიკური ხასიათის ნაწილი: ესქილესა და ევრიპიდეს კამათი საიქიოში ტრაგიკოსის ტახტის დასაკავებლად (ე. წ. "ასპარეზობა").

სტრ. 13-14. ფ რ ი ნ ი ქ ე , ლ ი კ ი ს ი , ა მ ი ფ ს ი ა – კომედიოგრაფოსი პოეტები, არისტოფანეს მეტოქეები და თანამედროვეები.

სტრ. 22. მინიშნება სტამნოსზე, წაგრძელებულ ვიწროყელიან თიხის ან ლითონის ჭურჭელზე, რომელიც ძირითადად ღვინისათვის გამოიყენებოდა; ს ტ ა მ ნ ი ო ს ი ს ძ ე დ ღვინისა და თეატრის ღმერთი დიონისე მოხსენიებულია ხუმრობით, "ზევსის ძის" ნაცვლად.

სტრ. 33. პელოპონესის ომში ათენის მმართველობა იძულებული შეიქნა, ჯარში მონებიც გაეწვია და ამის სანაცვლოდ მათთვის აზატობა აღეთქვა. სწორედ კომედიის წარმოდგენის წელს არგინუსის კუნძულებთან მოპოვებული გამარჯვების შემდეგ ამ ბრძოლაში მონაწილე მონებს თავისუფლება მიენიჭათ (შდრ. სტრ. 190 და შმდგ., სტრ. 693 და შმდ.).

სტრ. 38. კენტავრები, მითოსური ნახევრადცხენ-ნახევრადადამიანები ბერძენთა აზროვნებაში უხეშობისა და ველურობის სიმბოლოს წარმოადგენდნენ.

სტრ. 45-47. დიონისეს თავის ჩვეულებრივ "ღვთაებრივ" სამოსელზე გადაცმული აქვს ჰერაკლეს ტრადიციული სამოსიც, ლომის ტყავი.

სტრ. 52. " ა ნ დ რ ო მ ე დ ე " – ევრიპიდეს ერთ-ერთი სახელგანთქმული ტრაგედია, რომელიც დაიდგა 412 წ., ე. ი. "ბაყაყების" წარმოდგენამდე შვიდი წლით ადრე. ის ამბავი, რომ ამდენი ხნის შემდეგ დიონისეს პირით არისტოფანემ ახსენა "ანდრომედე", მიუთითებს იმ შთაბეჭდილების სიძლიერეზე, რაც თავის დროზე მოუხდენია ამ ტრაგედიას.

სტრ. 55. მ ო ლ ო ნ ი , ევრიპიდეს პროტაგონისტი (მთავარი როლების შემსრულებელი) სქოლიასტის სიტყვით, გოლიათური აღნაგობისა ყოფილა.

სტრ. 72. სტრიქონი ევრიპიდეს ჩვენამდე მოუღწეველი ტრაგედიიდან "ენევსი".

სტრ. 73. ი ო ფ ო ნ ტ ი – სოფოკლეს ვაჟი; კომედიოგრაფოსთა მტკიცებით, მამის დახმარებით ქმნიდა ტრაგედიებს. დიდი პოპულარობით სარგებლობდა თანამედროვეებში. მისი შემოქმედებიდან ჩვენამდე მხოლოდ რამდენიმე უმნიშვნელო ფრაგმენტია მოღწეული. არ არის გამორიცხული, რომ მამა-შვილის თანამშრომლობის ამბავი კომიკოსთა მიერ მოგონილი ჭორიც იყოს (შდრ. ქვემოთ, სტრ. 78-79).

სტრ. 83. ა გ ა თ ო ნ ი – ძველი საბერძნეთის ერთ-ერთი სახელგანთქმული ტრაგიკოსი პოეტი, რომლის შემოქმედებამაც ჩვენამდე ვერ მოაღწია. არისტოტელეს ცნობით, მას შეუქმნია ტრაგედია

"ყვავილი" ("ანთოს"), რომელიც აგებული იყო არამითოლოგიურ და არაისტორიულ, გამოგონილ სიუჟეტზე. არისტოკრატების დამარცხების შემდეგ აგათონი გაიქცა მაკედონიაში, მეფე არქელაეს კარზე. იხ., აგრეთვე, "ქალები თესმოფორიების დღესასწაულზე", სტრ. 39-265.

სტრ. 86-87. ქ ს ე ნ ო კ ლ ე , საშუალო ნიჭის ტრაგიკოსი პოეტი, კარკინეს ძე, არისტოფანეს ხშირად ჰყავს ნახსენები (შდრ. "ღრუბლები", 1261-1265; "მშვიდობა", სტრ. 790-795; "ქალები თესმოფორიების დღესასწაულზე", სტრ. 168). პ ი თ ა ნ გ ე ლ ე – ტრაგედიოგრაფოსი, რომელზედაც ჩვენთვის არაფერია ცნობილი.

სტრ. 99 და შმდ. " ე თ ე რ ი – ზ ე ვ ს ი ს კ ა რ - მ ი დ ა მ ო " – აქაც და შემდგომ სტრიქონებშიც პაროდიული ციტატები ევრიპიდეს შემოქმედებიდან. აქ ტრაგიკოსს ბრალად ედება ნატურალისტური დამდაბლება ("ზევსის... კარმიდამო": ევრიპიდეს "მელანიპეში", ჩვენამდე მოუღწეველ ტრაგედიაში, ჰქონია: "ვფიცავ წმინდა ეთერს, ზევსის სამყოფელს") და ღვარჭნილი მანერულობა ("ფერხი ჟამისა", შდრ. ევრიპიდეს "ბაკქელი ქალები", სტრ. 888).

სტრ. 101-102. მინიშნება ევრიპიდეს "ჰიპოლიტოსის" ცნობილ სტრიქონზე, რომელიც თავის დროზე ქცეული იყო სოფისტური მოძღვრების ლოზუნგად. სქოლიასტის მიხედვით, აქ მოყვანილია ნაწყვეტი ევრიპიდეს რომელიღაც სხვა ტრაგედიიდან.

სტრ. 110-111. იგულისხმება ჰერაკლეს ჰადესში ჩასვლისა და იქიდან კერბეროსის, ურჩხულისებრი ძაღლის მოტაცების ამბავი. ეს იყო ჰერაკლეს ერთ-ერთი გმირობა, რომელიც მან ჩაიდინა მეფე ევრისთევსის ბრძანებით.

სტრ. 124. საწამლავი გამოიყენებოდა ათენში სახელმწიფო დამნაშავეების დასასჯელად; ამგვარი სიკვდილით აღესრულა, როგორც ცნობილია, სოკრატე.

სტრ. 139-142. მ ე ნ ი ჩ ბ ე – იგულისხმება მოხუცი ქარონი, მკვდართა საუფლოს ზღაპრული მენავე. ძველი ბერძენის რწმენით, მკვდართა სულები აქერონტზე ერთ ობოლად გადაჰყავდა ქარონს; ამ წარმოდგენის გამოძახილი იყო ის, რომ მიცვალებულს თავქვეშ ამოუდებდნენ ხოლმე მონეტას. ო რ ო ბ ო ლ ს რომ ამბობს, ამით არისტოფანეს მკვდართა საუფლოში ხუმრობით გადააქვს ათენში არსებული ჩვეულება, დემაგოგ კლეოფონტის მიერ შემოღებული ე. წ. დ ი ო ბ ე ლ ი ა , რომლის თანახმადაც ძვ. წ. 410 წლიდან ათენის ღარიბ მოსახლეობას ორ-ორი ობოლი ურიგდებოდა. თ ე ზ ე ვ ს ი – ათენის მითიური დამაარსებელი და მეფე, რომელსაც ათენელები ხუმრობით მიაწერდნენ ყველანაირ რეფორმას. აქ, ალბათ, იგულისხმება მითი, რომლის თანახმადაც თეზევსი ჰადესში ჩასულა პერსეფონეს მოსატაცებლად.

სტრ. 145 და შმდგ. საიქიო აქ აღწერილია ისე, როგორც ეს გააზრებული იყო ბერძენ მიწათმოქმედთა მისტიკურ რელიგიაში. კერძოდ, სულეთი იყოფა ჯოჯოხეთად (ცოდვილთათვის) და სამოთხედ (უცოდველთათვის). არც ჰომეროსის პოემები და არც ძველბერძენ ფილოსოფოსთა უმეტესობის ნაშრომები არ იცნობენ საიქიოს დაყოფას ჯოჯოხეთად და სამოთხედ; საიქიო ერთიანია და მასში არც სამუდამო ტანჯვაა ცოდვილთათვის და არც სამუდამო ნეტარება უცოდველთათვის.

სტრ. 152. ვ ი ნ ა ც კ ი ნ ე ს ი ა ს ა ს წ ა ვ ლ ა პ ი რ ი ქ ე . . . – როგორც ყოველთვის არისტოფანესთან, აქაც სერიოზულ პასაჟს მოსდევს სახუმარო და დამცინავი სტრიქონები. ამჟამად დაცინვის ობიექტია დითირამბიკოსი პოეტი და ნოვატორი მუსიკოსი კ ი ნ ე ს ი ა . პ ი რ ი ქ ე – საომარი ცეკვა. მ ო რ ს ი მ ე – იხ. "მხედრები", სტრ. 398 და კომენტარი.

სტრ. 158. ზ ი ა რ ე ბ უ ლ ე ბ ი ანუ მ ი ს ტ ე ბ ი – ელევსინის მისტერიების მონაწილენი (მისტერიები იმართებოდა დემეტრესა და პერსეფონეს საპატივცემულოდ).

სტრ. 159. ვ ი რ ი ვ ი თ ა რ ა ვ არ ა მ ზ ი ა რ ე ბ ა ზ ე ? – ანდაზაა; მისი შინაარსი ესაა: ერთი შრომობს და სხვები მხიარულობენ; რადგან ვირი სიმძიმეებს დაათრევს და არავითარ მონაწილეობას არ ღებულობს საზეიმო მხიარულებაში (სქოლიასტი).

სტრ. 184. ორიგინალში სამმაგი მისალმებაა, რომელიც აღებულია აქეოსის სატირული დრამიდან "ეთონი" (ჩვენამდე არ მოღწეულა). აქ, ალბათ, იგულისხმება, რომ ქარონს, როგორც მოხუცს, ყურს აკლია.

სტრ. 186-187. ლ ე თ ე – დავიწყების მდინარე. ვ ი რ ი ს ბ ე წ ვ ე უ ლ ი გადატანითი მნიშვნელობით აღნიშნავდა არარსებულ ადგილს. კ ე რ ბ ე რ ი ე ლ ნ ი – არისტოფანეს მიერ ხუმრობით შექმნილი ხალხი (ჰადესის მკვიდრი ძაღლის, კერბეროსისა და ოკეანის სანაპიროს დამასახლებელი ხალხის, კომერიელების სახელთა კონტამინაციით. შდრ. ჰომეროსი, "ოდისეა", ჲ³, 14).

სტრ. 205. ა რ ც ს ა ლ ა მ ი ნ ე ლ ი ა – ორმაგი აზრია: 1. სალამინელი არაა, ე. ი. მონაწილეობა არ მიუღია სალამინის საზღვაო ბრძოლაში (ძვ. წ. 480 წ.); 2. ცუდი მენიჩბე და ზღვაოსანია (კუნძულ სალამინის მკვიდრნი კარგი ზღვაოსნები იყვნენ).

სტრ. 209. სავარაუდოა, რომ ბაყაყების გუნდი სიმღერებს სცენის მიღმა ასრულებდა და უხილავი იყო მაყურებლისათვის. შესაძლოა, რომ სცენაზე არც მსახიობები ჩანდნენ და მთელი მოქმედება 269-ე სტრიქონამდე სცენის მიღმა მიმდინარეობდა.

სტრ. 215. ნ ი ს ე უ რ ი ღ ვ თ ა ე ბ ა – გადმოცემის თანახმად, დიონისე დაიბადა და აღიზარდა ნისაზე (მთაა თრაკიაში; შდრ. ჰომეროსი, "ილიადა", ´³, სტრ. 133).

სტრ. 127 და შმდგ. ჭ ა ო ბ ი ("ლიმნაი") ეწოდებოდა ათენის ერთ-ერთ უბანს, რომელიც განლაგებული იყო დიონისეს თეატრსა და ილიოსს შორის. აქ იყო დიონისეს ძველი ტაძარი, ლენონი, რომელიც იღებოდა მხოლოდ 12 ანთესტერიონს (თებერვალში); შდრ. თუკიდიდე, ³³, 15. ქ ო თ ნ ი ს დ ღ ე ს ა ს წ ა უ ლ ე ბ ი – ანთესტერიების (ყვავილთა ზეიმის) მესამე დღე. პირველ დღეს ეწოდებოდა "პითოიგია" ("კასრის გახსნა") და იგი ახალ ღვინოს ზეიმობდა; მეორე დღე იყო "ქოეს" ("ზედაშეები"); ამ დღეს ეწყობოდა ღვინის ზეიმი და შეჯიბრი სმაში (იხ. "აქარნელები", სტრ. 961, 1000 და შმდგ., 1198 და შმდგ.). მესამე დღეს, როგორც აღვნიშნეთ, ეწყობოდა "ქოთნის დღესასწაულები"; ამ დღეს წინა დღის ნამთვრალევი ხალხი ჰერმესს უძღვნიდა მოხარშული ბოსტნეულით სავსე ქოთნებს.

სტრ. 230 და შმდ. ბაყაყებს მიაჩნიათ, რომ მათი სიმღერა მოსწონთ მუზებს (იგულისხმება ბერძნული წარმოდგენების ის ვარიანტი, რომლის მიხედვითაც მუზები თავდაპირველად ნაკადულის ნიმფები იყვნენ), პ ა ნ ს (ტყის ღვთაებას, რომელსაც მიეწერებოდა სალამურის გამოგონება) და ა პ ო ლ ო ნ ს , მუსიკის ღმერთს.

სტრ. 293. ე მ პ უ ს ა – მრავალსახიანი ურჩხული; ბერძნული ზღაპრები მას მიიჩნევდნენ სისხლიან ვამპირად, რომლებიც ადამიანებს დასაშინებლად მოუგზავნა ჰეკატემ (შდრ. "ქალები სახალხო კრებაზე", სტრ. 1056).

სტრ. 297. არისტოფანესთან სცენური ილუზიის დარღვევის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ნათელი ნიმუში. დიონისე, კომედიის პერსონაჟი, მთელს ორქესტრას გადაირბენს და საშველად მოუხმობს ღმერთ დიონისეს (ე. ი. "თავის") ქურუმს, რომელიც ამფითეატრის პირველ რიგში იჯდა მისთვის სპეციალურად განკუთვნილ სავარძელზე. სავარძელმა წარწერით "ეკუთვნის დიონისეს ქურუმს" ჩვენს დღეებამდეც მოაღწია.

სტრ. 303-304. მსახიობმა ჰ ე გ ე ლ ო ქ ე მ , რომელიც ევრიპიდეს "ორესტეში" მთავარ როლს თამაშობდა, "წყნარი ზღვის" ნაცვლად ("გალენÉ") წარმოთქვა "სინდიოფალა" ("გალენ"). შეცდომა გამოიწვია მახვილის არასწორმა დასმამ; ორიგინალში განხორციელებული კალამბურის გადმოცემა ნაწილობრივ ვცადეთ: “ზღვა და ისევ და... მტკნარდა" ნაცვლად “ზღვა ისევ დაწყნარდა"-სი).

სტრ. 316. ი ა კ ქ ო ს ი – ღვთაება, რომელშიც პერსონიფიცირებული იყო დიონისური მსვლელობა; პროცესია აგორადან გადიოდა და მიემართებოდა ელევისნისაკენ, სადაც საღამოსთვის ჩადიოდნენ; ამ დროისათვის უკვე ყველას ანთებული ჰქონდა ჩირაღდანი.

სტრ. 357. კ რ ა ტ ი ნ ე – იხ. "მხედრები", სტრ. 396 და შესაბამისი კომენტარი. არისტოფანე განუწყვეტლივ დასცინოდა მას სიცოცხლეში და ასევე განუწყვეტლივ განადიდებდა მას სიკვდილის შემდეგ. " ხ ა რ ი ს მ ჭ ა მ ე ლ ი " სინამდვილეში დიონისეს ეპითეტი იყო.

სტრ. 362-364. ლაკედემონელთაგან დეკელეას დაპყრობის შემდეგ (413 წ.) ათენელებმა საექსპორტო და საიმპორტო საქონელს მათი საერთო ღირებულების მეოცედის ტოლი ბაჟი დაადეს (თუკიდიდე, ´³³, 24). ე გ ი ნ ა – კუნძული, რომელიც ათენს ეკუთვნოდა, მაგრამ პელოპონესთან ახლოს მდებარეობდა და მოსახერხებელი იყო კონტრაბანდისტებისათვის.გადმოცემის მიხედვით, არისტოფანეს მამისაგან სამემკვიდრეოდ დარჩენია ნაკვეთი ამ კუნძულზე. თ ო რ ი კ ი ო ნ ი – როგორც ჩანს, გადასახადის ამკრები ყოფილა, რომელიც ბოროტად იყენებდა თავის თანამდებობას. ე პ ი დ ა ვ რ ო ს ი – არგოლისის ქალაქი, სპარტელთა მოკავშირე. ამ ქალაქის სახელგანთქმული თეატრი აგებულია მოგვიანებით, ძვ. წ. ³³³ საუკუნეში.

სტრ. 366. იგულისხმება პოეტი კ ი ნ ე ს ი ა .

სტრ. 367-368. იგულისხმება დემაგოგი აგირიოსი, რომელსაც სახალხო კრებაზე, თითქოსდა ეკონომიის თვალსაზრისით, წამოუყენებია წინადადება კომედიოგრაფოსებისათვის ჰონორარის შემცირების თაობაზე.

სტრ. 400. მანძილი ათენსა და ელევსინს შორის 100 სტადიონს (18,5 კმ) შეადგენდა.

სტრ. 416 და შმდგ. ეს მოკლე სიმღერა-შაირები გვაგონებენ იმ არქაულ სახუმარო და ინვექტივურ სიმღერებს, რომელთაგანაც, არისტოტელეს ცნობით, შემდგომში აღმოცენდა ძველი კომედია, როგორც ლიტერატურული ჟანრი. ა რ ქ ე დ ე მ ე , ათენის დემოკრატიის რადიკალური ფრთის ერთ-ერთი ლიდერი არაათენური წარმოშობისა იყო. შ ვ ი დ წ ლ ა მ დ ე პ ა ტ რ ო ნ ი ა რ ჰ ყ ა ვ დ ა . . . – ე. ი. შვილ წლამდე არ იყო ჩაწერილი არც ერთ ფრატრიაში, ფაქტობრივად, არ ითვლებოდა ათენელად. ზ ე დ ა მ ი ც ვ ა ლ ე ბ უ ლ ე ბ ი – იგულისხმებიან ცოცხლები, სააქაოს მკვიდრნი.

სტრ. 428-429. სინამდვილეში უმდიდრესი მოქალაქის, კ ა ლ ი ა ს მამას ჰ ი პ ო ნ ი კ ე ერქვა.

სტრ. 441. ქ ა ლ ღ მ ე რ თ ი – იგულისხმება პერსეფონე.

სტრ. 470-471. ს ტ ი ქ ს ი და კ ო კ ი ტ ო ს ი – საიქიოს მდინარეები.

სტრ. 473. ე ქ ი დ ნ ა – ზღაპრული ნახევრადდიაც-ნახევრადგველი, კერბეროსისა და სხვა ურჩხულთა მშობელი.

სტრ. 474-475. ტ ა რ ტ ე ს ო ს ე ლ ი მ უ რ ე ნ ა – მტაცებელი თევზია, გამოიყენებოდა საჭმელადაც.

სტრ. 477. გ ო რ გ ო ნ ე ბ ი ს ტ ი თ რ ა ს ი ს (ატიკის ერთ-ერთი დემი იყო) მკვიდრებად მოხსენიება არისტოფანეს გესლიანი ხუმრობის ერთ-ერთი ნიმუშია.

სტრ. 478. საიქიოს მრისხანე გამკითხავი ეაკეს, რომელიც აქ უბრალო მონადაა წარმოდგენილი, მთელი ეს მონოლოგი ევრიპიდესეული მონოლოგების აშკარა პაროდიას წარმოადგენს.

სტრ. 479. " მ ო ი ხ მ ე უ ფ ა ლ ი " . . . – ზედაშის შეწირვის ჩვეულებრივი ფორმულიდან: "ყველაფერი მზადაა. მოიხმე უფალი".

სტრ. 501. მ ე ლ ი ტ ე ლ ი ა ვ ა ზ ა კ ი – იგულისხმება კალია (სტრ. 428). მ ე ლ ი ტ ე – ატიკის ერთ-ერთი დემი, საიდანაც იყო წარმოშობით კალია.

სტრ. 519-520. ქ ს ა ნ თ ი ა , როგორც ცუდად აღზრდილი კაცი, სალამს უთვლის მოცეკვავე ქალებს და არა დიასახლისს, როგორც ამას ძველი ჩვეულება და ზრდილობის ნორმები მოითხოვდა.

სტრ. 351. ა ლ კ მ ე ნ ე – ჰერაკლეს დედა, ზევსის ერთ-ერთი მეუღლე.

სტრ. 541. თ ე რ ა მ ე ნ ე – პელოპონესის ომის ბოლო წლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო მოღვაწე ათენში, ცნობილი იყო, როგორც გამჭრიახი, მოხერხებული, მაგრამ უპრინციპო პოლიტიკოსი. არგინუსის კუნძულებთან მოპოვებული გამარჯვების შემდეგ ათენელთა ფლოტი დაედევნა ლაკედემონელთა ხომალდებს; თერამენეს დაევალა, წყლიდან ამოეკრიფა გარდაცვლილ მეომართა გვამები, მაგრამ ამოვარდნილმა ქარიშხალმა არ მისცა ამის საშუალება. სასჯელისათვის რომ თავი აერიდებინა, თერამენემ თვითონ აღძრა სასამართლო საქმე დანარჩენი სტრატეგოსების მიმართ და ბრალი დასდო მათ რელიგიური ადათ-წესების დარღვევაში. სტრატეგოსები დაისაჯნენ, ხოლო ექვს მათგანს (ბრწყინვალე გამარჯვების მიუხედავად!) გარდაცვლილთა ზღვაში (ე. ი. დაუკრძალავად) დატოვების გამო სიკვდილი მიესაჯათ.

სტრ. 549 და შმდგ. ბერძენთა საყვარელი გმირი ჰ ე რ ა კ ლ ე ცნობილი იყო, როგორც დიდი გურმანი და ღორმუცელა.

სტრ. 569-570. კ ლ ე ო ნ ი და ჰ ი პ ე რ ბ ო ლ ე , "ბაყაყების" დადგმის დროისათვის დიდი ხნის გარდაცვლილი პოლიტიკური მოღვაწეები (პირველი 422 წ. გარდაიცვალა, მეორე – 411 წ.), საიქიოში გამყიდველთა და მეფუნდუკეთა დამცველად აქცია შეუბრალებელმა არისტოფანემ.

სტრ. 608. დ ი ტ ი ლ ა ს ი , ს კ ე ბ ლ ი ა , პ ა რ დ ო კ ა ს ი – ბარბაროსული სახელებია.

სტრ. 623-625. თუ წამებისას მონა დასახიჩრდებოდა, პატრონს აუნაზღაურდებოდა მატერიალური ზარალი. ძველ მოსამართლეთა ულმობელი ჩვეულების მიხედვით, ჩვენებები მონათაგან მიიღებოდა სასტიკი წამების პირობებში. "სულგრძელი" ქსანთია, როგორც "კეთილშობილი" ბატონი, არ მოითხოვს მატერიალურ ანაზღაურებას.

სტრ. 650-651. ათენის მახლობელ დიომეაში ჰერაკლეს საპატივცემულოდ ეწყობოდა დღესასწაული "დიომეები". ომის გამო ზეიმი კარგახანია არ ჩატარებულა. ეს (და არა ეაკეს მწარე დარტყმები) აღელვებს თითქოსდა ქსანთია-ჰერაკლეს).

სტრ. 661. ლექსი ეკუთვნის არა VI ს-ის ´³ ს. პოეტს ჰიპონაქტს, არამედ მის თანამედროვე ანანიოსს. რა არის ეს – კომედიოგრაფოსის შეცდომა? თუ დიონისეს დაუბნელა გონება ტკივილმა? ამ უკანასკნელ კითხვას პასუხს სცემს სქოლიასტი, რომელიც წერს: "ისე ეტკინა და დაიბნა, რომ არც კი იცის, რას ამბობს".

სტრ. 664. " რ ო მ ე ლ ს ა ც გ ი პ ყ რ ი ა " . . . – ნაწყვეტი სოფოკლეს ჩვენამდე მოუღწეველი ტრაგედიიდან "ლაოკოონი".

სტრ. 679 და შმდგ. კ ლ ე ო ფ ო ნ ტ ი – დემოკრატთა რადიკალური ფრთის ერთ-ერთი ლიდერი, რომლის დევიზი იყო " ო მ ი ბ ო ლ ო მ დ ე " . დედით თრაკიელს ბრალი დაედო უცხოთესლობასა და სამოქალაქო უფლებათა უკანონო მითვისებაში. "ბაყაყების" წარმოდგენიდან ერთი წლის შემდეგ, ოცდაათი ოლიგარქის ბატონობისას, იგი სიკვდილით დაისაჯა.

სტრ. 710 და შმდგ. კ ლ ი გ ე ნ ე , როგორც ჩანს, რადიკალური დემოკრატიის კიდევ ერთი წარმომადგენელი ყოფილა. როგორც რადიკალთა უმრავლესობა (კლეონი, ჰიპერბოლე და სხვ.). ისიც ხელოსანთა წრიდან ყოფილა. ალბათ, ამიტომ უწოდებს მას კომედია "მექისეს".

სტრ. 713. კ ი მ ო ლ ო ს შ ი (კიკლადების ერთ-ერთი კუნძული იყო) მოიპოვებოდა ნატრიუმით მდიდარი თუთქი, რომელსაც ბერძნები საპნის ნაცვლად ხმარობდნენ.

სტრ. 718-731. რადიკალური დემოკრატიის ლიდერებს არისტოფანე ახალ მონეტებს ადარებს, რომლებშიაც მეტი წილი სპილენძი იყო შერეული.

სტრ. 791. კ ლ ი დ ე მ ი დ ე – ერთ-ერთი ძველი კომენტატორის აზრით, სოფოკლეს მსახიობი. სხვა კომენტატორის ვარაუდით, სოფოკლეს ერთ-ერთი ვაჟი.

სტრ. 792. მ ე ო რ ე დ ("ეფედროს") დ ა ჯ დ ო მ ა . . . – ეფედროსად იწოდებოდა პარტნიორი, რომელიც შეჯიბრში გამარჯვებულს უნდა შერკინებოდა (შდრ. პროფესიულ კრივში არსებული ტერმინი "სარეზერვო ჩემპიონი").

სტრ. 807. მინიშნება ვერსიაზე, რომლის თანახმადაც სიცოცხლის ბოლოს ესქილეს განხეთქილება მოუხდა ათენელებთან და სიცილიაში გაემგზავრა; აქვე, ქალაქ გელაში გარდაიცვალა იგი 456 წელს.

სტრ. 840. ევრიპიდეს შემოქმედებიდან აღებული სტრიქონია; ოღონდ ტრაგიკოსთან ყოფილა "ზღვის ქალღმერთის".

სტრ. 847. შავი ფერის მსხვერპლს მიწის წიაღის ღმერთებს წირავდნენ.

სტრ. 850. ევრიპიდეს ტრაგედიაში "ეოლე" ძმა დის სარეცელს იზიარებდა.

სტრ. 863-864. "ეოლე", "პელევსი", "მელეაგრე", "ტელეფე" – ევრიპიდეს ჩვენამდე მოუღწეველი ტრაგედიებია. ეს ჩამოთვლა კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ყველაფერი, რაც გადარჩა დიდი ტრაგიკოსის შემოქმედებიდან, გადარჩა შემთხვევით და არა საუკეთესოთა შერჩევისა და შენახვის გზით. ევრიპიდეს საუკეთესო ქმნილებანი, შესაძლოა, უკვე სამუდამოდაც, შთანთქა დავიწყების ამოუვსებელმა წყვდიადმა.

სტრ. 886-887. ეს ლოცვა ფრიად დამახასიათებელია ესქილესათვის. იგი წარმოშობით ელევსინიდან იყო და მოუხმობს დემეტრეს, რომლის მისტერიებსაც უეჭველად უღრმესი გავლენა აქვთ მოხდენილი მის ტრაგედიებზე. ი დ უ მ ა ლ ე ბ ა – იგულისხმება მისტერიები.

სტრ. 889 და შმდგ. არისტოფანეს ევრიპიდეს ფორმალურად ათეიზმშიც დებს ბრალს; შდრ. "ქალები თესმოფორიების დღესასწაულზე", სტრ. 451. გ ა გ ე ბ ა ("ქს ნესის", იგივეა, რაც "ს ნესის") – ამ ცნებას ევრიპიდე წამდაუწუმ ხმარობდა. იხ. მაგალითად, "ჰიპოლიტოსი", სტრ. 1605; "ტროელი ქალები", 669; "მავედრებელნი", სტრ. 203 და ა. შ.

სტრ. 910. ფ რ ი ნ ი ქ ე – ევრიპიდეს მხედველობაში ჰყავს ესქილეს უფროსი თანამედროვე (ძვ. წ. დაახლ. 540 დაახლ. 470) ტრაგიკოსი, თესპისთან ერთად ტრაგედიის ხელოვნების ერთ-ერთი დამაარსებელი, "ფინიკიელი ქალებისა" და "მილეტოსის" ავტორი. ევრიპიდეს პირით აქ აღწერილია ტრაგედიის უძველესი ფორმა: მასში გამოდიოდა ერთადერთი მსახიობი, რომელსაც, შესაძლოა, სიტყვაც არ ეძლეოდა. მთავარი როლი მინიჭებული ჰქონდა გუნდს, რომელიც სიმღერებს მღეროდა (შესაძლებელია, მართლაც ო თ ხ სიმღერას, როგორც ამას სტრ. 995 ამტკიცებს).

სტრ. 931. ევრიპიდეს პაროდიაა; შდრ. "ჰიპოლიტოსი", სტრ. 375.

სტრ. 932. შ ა ვ რ ა - მ ა მ ა ლ ი (ჰიპპალეკტრ Pბ) – ხომალდის ემბლემა ყოფილა ესქილეს ჩვენამდე მოუღწეველ ტრაგედიაში "მირმიდონელები"; შდრ. "მშვიდობა", სტრ. 1177.

სტრ. 934. ე რ ი ქ ს ი ს ი – უცნობი პირია; სქოლიასტის მტკიცებით, მახინჯი და აუტანელი ვინმე ყოფილა.

სტრ. 944. კ ე ფ ი ს ო ფ ო ნ ტ ი – თუ ამ პასაჟით ვიმსჯელებთ (იხ. აგრეთვე სტრ. 1408; 1452 და ფრაგმ. 580), ევრიპიდეს მეგობარი და თანამშრომელი, ერთ-ერთი ძველი კომენტატორის აზრით კი მისი ნიჭიერი მონა ყოფილა.

სტრ. 946-947. ევრიპიდეს ტრაგედიები, როგორც წესი, ასე იწყებოდა: გმირი გამოსვლისთანავე ამბობს, თუ ვინ არის იგი და სად ხდება მოქმედება. შდრ. "ჰეკუბა", "ფინიკიელი ქალები", "მავედრებელნი", "ორესტე", "იფიგენია ტავრისში" და სხვ.

სტრ. 953. მინიშნება ევრიპიდესა და რადიკალური დემოკრატიის ლიდერთა შორის ჩამოვარდნილ უთანხმოებაზე, რომლის გამოც ტრაგიკოსმა სიცოცხლის ბოლოს დატოვა ათენი და დასახლდა მაკედონიაში, მეფე არქელაოსის კარზე.

სტრ. 963. კ ი კ ნ ე და მ ე მ ნ ო ნ ი – აქილევსის მიერ მოკლული, ტროას ომის მონაწილე ლეგენდარული გმირები. მემნონს ეძღვნებოდა ესქილეს ჩვენამდე მოუღწეველი ტრაგედია.

სტრ. 965-967. პერსონაჟ ევრიპიდეს აზრით, ესქილეს პატივისმცემლები უხეში და უგემოვნო ხალხია: ფ ო რ მ ი ს ი ო ს ი – წვერიანი და უხეში შესახედაობის დემაგოგი; მ ე გ ე ნ ე ტ ე მ ა ნ ე ს ი – ვიღაც გაუნათლებელი მონა (მანესი მონის სახელი იყო). სამაგიეროდ, ევრიპიდეს მოსწავლეები არიან: ახალგაზრდა ა რ ი ს ტ ო კ რ ა ტ ე , სოფისტ თრასიმაქეს პატივისმცემელი კ ლ ი ტ ო ფ ო ნ ტ ი და ზემოხსენებული თ ე რ ა მ ე ნ ე .

სტრ. 992. როგორც სქოლიასტი გვემოწმება, ასე იწყებოდა ესქილეს "მირმიდონელები". გუნდი ამ სიტყვებით მიმართავდა აქილევსს, რომელიც მდუმარედ შეჰყურებდა ტროელთა წარმატებებსა და აქაველთა ხოცვა-ჟლეტას.

სტრ. 995. სარბენი მინდვრის ბოლოს დარგული იყო ფინიშის მაუწყებელი ზეთისხილის ხეები.

სტრ. 999. ჩ ა მ ო ხ ს ე ნ ი ი ა ლ ქ ნ ე ბ ი . . . – იგივე მეტაფორა გამოყენებული აქვს ევრიპიდეს: "მედეა", სტრ. 523-526; შდრ., აგრეთვე, "მხედრები", სტრ. 432.

სტრ. 1017. მამაცი აიანტის ფარზე ხარის ტყავი შვიდგზის იყო გადაკრული. იხ. "ილიადა", ´[33], სტრ. 220.

სტრ. 1021-1025. იგულისხმება ესქლეს ტრაგედია "შვიდნი თებეს წინააღმდეგ", რომელიც ძველ დროში განთქმული იყო, როგორც უბრწყინვალესი ნიმუში საბრძოლო ჰეროიკისა და პატრიოტიზმისა; პელოპონესის ომში თებე ათენის მოწინააღმდეგეთა ბანაკს ეკუთვნოდა. " ს პ ა რ ს ე ლ ე ბ ი " ესქილემ მიუძღვნა ათენელთა მიერ სალამინში მოპოვებულ გამარჯვებას; მოქმედება ხდებოდა არა გამარჯვებულ საბერძნეთში, არამედ დამარცხებულ სპარსეთში.

სტრ. 1031-1034. ო რ ფ ე ვ ს ი და მ უ ს ე ო ს ი – დიდი ლეგენდარული პოეტები. პირველის სახელს უკავშირდება ე. წ. "ორფიკული იდუმალებანი", რომელიც თავისი ხასიათის უახლოვდებოდა ელევსინის მისტერიებს. ჰ ე ს ი ო დ ე – ძვ. წ. ´333-´33 სს. დიდი ბერძენი პოეტი, ავტორი პოემებისა "სამუშაონი და დღენი" და "თეოგონია".

სტრ. 1036. პ ა ნ ტ ა კ ლ ე – არისტოფანეს თანამედროვე დითირამბიკოსი პოეტი.

სტრ. 1039. ლ ა მ ა ქ ე – მხედართმთავარი, რომელიც სიცილიის ექსპედიციის დროს დაიღუპა.

სტრ. 1040-1041. პ ა ტ რ ო კ ლ ე და ტ ე ვ კ რ ე – ტროას ომის ლეგენდარული მონაწილენი, გმირები "ილიადისა" და ესქილეს ჩვენამდე მოუღწეველი ტრაგედიებისა.

სტრ. 1043-1044. ფ ე დ რ ა და ს თ ე ნ ე ბ ე ა – ევრიპიდეს ტრაგედიათა ("ჰიპოლიტოსი" და "სთენებეა") პერსონაჟები, რომლებმაც, როცა მათი სიყვარული უარყვეს, ბრალი დასდეს ჭაბუკებს ჰიპოლიტოსსა და ბელეროფონტს. ფედრა ჰიპოლიტოსის დედინაცვალი იყო, ხოლო სთენებეა ბელეროფონტის მასპინძელი; ამ ქალებმა დაარღვიეს უმაღლესი ეთიკის ნორმები... შეყვარებული დედაკაცის სახე მართლაც მიუღებელია ესქილეს ჰეროიკული შემოქმედებისათვის.

სტრ. 1048. ანეკდოტია ევრიპიდეს ოჯახურ უთანხმოებაზე.

სტრ. 1056-1057. ლ ი კ ა ბ ე ტ ე და პ ა რ ნ ა ს ო ს ი – მთებია საბერძნეთში.

სტრ. 1065. ტ რ ი ე რ ა რ ქ ი – მდიდარი მოქალაქე, რომელიც ვალდებული იყო საკუთარი თანხებით აღეჭურვა ხომალდი (ტრიერი).

სტრ. 1079 და შმდგ. მ ა ჭ ა ნ კ ლ ე ბ ი – მაგალითად, ფედრას ძიძა ევრიპიდეს "ჰიპოლიტოსში". ტ ა ძ ა რ შ ი მ შ ო ბ ი ა რ ე ნ ი – იგულისხმება ქურუმი ქალი ავგე (ჩვენამდე მოუღწეველი ტრაგედია "ავგე"), რომელმაც, ჰერაკლესაგან დაორსულებულმა თავისი ძე ტელეფე ათენას ტაძარში შვა, რაც ყველა ბერძენისათვის უდიდეს მკრეხელობად ითვლებოდა; ძ მ ე ბ ი ს ს ა რ ე ც ე ლ ს ზ ი ა რ ე ბ უ ლ ნ ი – ევრიპიდეს "ეოლეში" წარმოდგენილი იყო ინცესტური სიყვარული ეოლეს შვილებისა: ასულის, კანაკესი და მისი ძმისა, მაკარესი; ეს ამბავი რომ გაიგო, მამამ ქალიშვილს მახვილი გაუგზავნა, რომლითაც მან თავი მოიკლა; ამავე მახვილით აღესრულა მაკარეც. "ჩვენი სიცოცხლე სიცოცხლეა?" – ასეთ კითხვას სვამს მელანიპე (ჩვენამდე მოუღწეველი ტრაგედია "მელანიპე"; ასეთივე აზრი გვხვდება "პოლიიდეშიც" (ფრაგმ. 7).

სტრ. 1124-1176. " ო რ ე ს ტ ე ა " – ესქილეს ტრილოგია. მის მეორე ნაწილში, რომელსაც "ქოეფორები" ეწოდება, ო რ ე ს ტ ე შინ ბრუნდება, რათა შური იძიოს დედაზე; იგი სიტყვას წარმოთქვამს მამის საფლავზე. სხვათა შორის, "ქოეფორების" დასაწყისის რამდენიმე სტრიქონი დაკარგულია და მათი აღდგენა სწორედ არისტოფანეს ამ კომედიის მიხედვით ხერხდება. ჰ ე რ მ ე ს წ ი ა ღ ი ს ა ("ჰერმE ქთონიე") – ამ სიტყვისა და მთელი ამ პასაჟის ჭეშმარიტი აზრის გასაგებად დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია ნახოს პ. მაზონის წიგნი "ბერძნული ეტიუდები" (პარიზი, 1919, გვ. 376 და შმდგ.).

სტრ. 1182. ასე იწყებოდა ევრიპიდეს ჩვენამდე მოუღწეველი ტრაგედია "ანტიგონე".

სტრ. 1196. ე რ ა ს ი ნ ი დ ე – ერთი იმ ექვს სტრატეგოსთაგან, რომლებიც არგინუსის კუნძულებზე მოპოვებული გამარჯვების შემდეგ სიკვდილით დასაჯეს სახალხო კრების გადაწყვეტილების თანახმად. დიონისეს აქ უნდა თქვას, რომ ოიდიპოსისათვის უმჯობესი იყო ამ სტრატეგოსთა ბედი გაეზიარებინა, ვიდრე უბედური ყოფილიყო მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში.

სტრ. 1206 და შმდგ. პროლოგი ევრიპიდეს ჩვენამდე მოუღწეველი ტრაგედიისა "არქელაოსი", რომელიც დაწერილი ყოფილა არგოსის ორმოცდაათი ასულის ამბავზე; ისინი გამოექცნენ ეგვიპტოსის ვაჟებს, რათა თავი აერიდებინათ ინცესტური ქორწინებისათვის (ბიძაშვილები იყვნენ).

სტრ. 1211 და შმდგ. პროლოგი ევრიპიდეს ჩვენამდე მოუღწეველი ტრაგედიისა "ჰიფსიპილე", რომელშიც აღწერილი ყოფილა დიონისური მსვლელობა.

სტრ. 1217. პროლოგი ევრიპიდეს ჩვენამდე მოუღწეველი ტრაგედიისა "სთენებეა".

სტრ. 1225 და შმდგ. პროლოგი ევრიპიდეს ჩვენამდე მოუღწეველი ტრაგედიისა "ფრიქსე".

სტრ. 1232 და შმდგ. პროლოგი ტრაგედიისა "იფიგენია ტავრისში".

სტრ. 1240 და შმდგ. პროლოგი ევრიპიდეს ჩვენამდე მოუღწეველი ტრაგედიისა "მელეაგრე".

სტრ. 1244. პროლოგი ევრიპიდეს ჩვენამდე მოუღწეველი ტრაგედიისა "მელანიპე". დიონისემ დროულად შეაწყვეტინა ევრიპიდეს სიტყვა, რადგან ამ პროლოგის აგებულება (ჩვენამდე რამდენიმე ფრაგმენტმა მოაღწია) განსხვავდება იმ შაბლონისაგან, რომელზედაც აგებულია მთელი ეს ეპიზოდი.

სტრ. 1257-1260. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ითვლება ინტერპოლიციად; მართლაც, გუნდი ორგზის იმეორებს ერთსა და იმავეს, თანაც ევრიპიდეს რეპლიკა უპასუხებს სწორედ სტრ. 1256-ს.

სტრ. 1246 და შმდგ. ნაწყვეტები ესქილეს ტრაგედიებიდან,კომიზმის მისაღწევად გაერთიანებულნი რეფრენით “ვაჰ, რა ტანჯვაა! რად არ გვეშველები?!"

სტრ. 1285 და შმდგ. კვლავ ნაწყვეტები ესქილეს ტრაგედიებიდან, კომიზმის მისაღწევად გაერთიანებულნი შინაარსისაგან დაცლილი სიტყვებით: "ტოფლატოთრატოფლატოთრატ".

სტრ. 1296. ცნობილია, რომ ესქილე მარათონში იბრძოდა. შესაძლოაო, ვარაუდობს დიონისე, იქ გაიგონა მან ეს ბარბაროსული სახელიო.

სტრ. 1299. იხ. სტრ. 910 და შესაბამისი კომენტარი.

სტრ. 1302. მ ე ლ ე ტ ე – უნიჭო ტრაგიკოსი, შემდგომში სოკრატეს ბრალმდებელი, კალიას მინიონი.

სტრ. 1308. ამ სტრიქონს ორმაგი აზრი აქვს (არისტოფანე ხშირად მიმართავს მსგავს კონნოტაციას): 1. ევრიპიდეს მუზას არაფერი აქვს საერთო ლესბოსურ პოეზიასთან, ე. ი. ტერპანდრესთან, რომელსაც დიდ პატივს სცემდა ესქილე; 2. (ირონიულად, მუზის როლის განმახორციელებელი შიშველი მსახიობის მიმართ) მას არ ძალუძს ლესბოსური სიყვარული, რომელიც მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი გარყვნილებით იყო სახელგანთქმული (შდრ. "კრაზანები", სტრ. 1346; "ქალები სახალხო კრებაზე", სტრ. 920).

სტრ. 1309 და შმდგ. პაროდია ევრიპიდეს მანერულობასა და მუსიკალურ კომპოზიციაზე: ევრიპიდეს სხვადასხვა ტრაგედიიდან ამოღებული ნაწყვეტები უაზროდაა დაკავშირებული, თუმცა კი სპეციალურადაა ერთმანეთის მიყოლებით პირობით-ამაღლებული და ბუფონადურ-კომიკური პასაჟები. ასევეა გაკეთებული სტრ. 1331-1363 " მ ო ნ ო დ ი ა " , ერთი მსახიობის არია, რომელიც ევრიპიდეს ინნოვაციაა.

სტრ. 1378. მთელი შემდგომი სცენა აგებულია მეტაფორის მატერიალიზაციის მეტად თავისებურ პოეტურ ხერხზე. პოეტები "წონიან" ლექსებს და სტრიქონებს "სიმძიმის", ე. ი. მნიშვნელობის მიხედვით. ქვემოთ ციტირებულია სტრიქონები ევრიპიდესა და ესქილეს სხვადასხვა ტრაგედიიდან: სტრ. 1382 – ევრიპიდეს "მედეას" დასაწყისი; სტრ. 1383 – ესქილეს "ფილოქტეტედანაა"; სტრ. 1402 – ევრიპიდეს "მელეაგრედან"; სტრ. 1403 – ესქილეს "გლავკედან".

სტრ. 1383. ს პ ე რ ქ ი ო ს ი – მდინარე თესალიაში.

სტრ. 1400. ძველი ბერძნები სამი კამათლით თამაშობდნენ.

სტრ. 1422. ა ლ კ ი ბ ი ა დ ე – ათენის პოლიტიკური მოღვაწე, თავისი აფორიაქებული და მღელვარე დროის ერთ-ერთი ყველაზე უფრო კოლორიტული ფიგურა, ბრწყინვალე მხედართმთავარი, რომელიც არაერთგზის იცვლიდა პოლიტიკურ პოზიციას. მიატოვა ათენი და მტრის მხარეზე გადავიდა, იბრძოდა სპარტელებთან ერთად; კვლავ დაბრუნდა ათენში... "ბაყაყების" დადგმიდან მცირე ხნის შემდეგ მოკლეს.

სტრ. 1451. პ ა ლ ა მ ე დ ე – მითოსური გამომგონებელი; მისი სახელი საზოგადო გახდა და აღნიშნავდა მოხერხებულ და გამჭრიახ კაცს.

სტრ. 1463-1465. ესქილე იმეორებს პერიკლეს ანდერძს, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ ათენელებმა ყურადღება არ უნდა მიაქციონ მტრის მიერ ატიკის აოხრებას და თავად უნდა გააგრძელონ პელოპონესის იავარქმნა; რადგან სპარტელებისათვის მიწა ყველაფერია, ხოლო ათენელებს რჩებათ ძალაუფლება ზღვაზე. ესქილეს უნდა, თქვას, რომ ათენის სიმდიდრის წყარო ზღვაზე ბატონობაა, ხოლო ღარიბთათვის, მოსამართლეთათვის და ა. შ. ფულის დარიგება უსარგებლო და გაუმართლებელი ხარჯია, რაც ხელს უშლის ფლოტის აღდგენასა და გაძლიერებას.

სტრ. 1471. " ე ნ ა მ დ ა ი ფ ი ც ა " – ევრიპიდეს პაროდიაა. როგორც წესი, "ბაყაყებში" ევრიპიდეს "ღვთისმგმობი" და "უზნეო" გამონათქვამები საბოლოოდ ბუმერანგივით მასვე უბრუნდებიან და მისთვისვე მოაქვთ ზიანი ამ პასაჟში.

სტრ. 1491. კომედიის ბოლოში სოკრატეს ხსენება კრავს ადრევე დასახულ კვანძს, რომელსაც ხსნიან, ერთის მხრივ, რაციონალისტური პოეზიის შემოქმედი, "სცენის ფილოსოფოსი" ევრიპიდე და, მეორეს მხრივ, რაციონალისტური ფილოსოფიის ფუძემდებელი, ანტიკური სამყაროს ყველაზე უფრო კოლორიტული ფიგურა ს ო კ რ ა ტ ე .

სტრ. 1506. ნ ი კ ო მ ა ქ ე – 410 წ. კანონთა უნიფიკაციისათვის შექმნილი კომისიის წევრი; კომისიის მუშაობა დიდხანს გაგრძელდა, შესაძლოა, ნიკომაქეს ანგარების გამოც. ა დ ი მ ა ნ ტ ე – ალკიბიადეს მეგობარი. მ ი რ მ ე ქ ს ს ა , ა რ ქ ე ნ ო მ ე ს ა და ლ ე ვ კ ო ლ ო ფ ე ზ ე არაფერი არ არის ცნობილი.

სტრ. 1528 და შმდგ. დაწერილია ესქილეს სტილში; შესაძლოა, რაღაც ნაწილი აღებულიც იყოს ესქილეს შემოქმედებიდან.

თარგმანი და კომენტარები ლევან ბერძენიშვილი